


K 157 795
3

ଓଡ଼ିଆ ମୁଦ୍ରଣ
ପ୍ରକାଶନକାରୀ




ଲୋକ କୀତଗୀଳ

ସାହଚାର୍ଯ୍ୟପତ୍ର
ସାହଚାର୍ଯ୍ୟପତ୍ର



თანი გმანი.

შეხვედრი წერილი,
შენიშვნები და ლექსიკონი
ა კ ა კ ი ბ ე ლ ი ვ ა ნ ი ს ა



ଲେଖକ ତାତପଦ୍ମନାଥ

56.906

ଶାଖାଲ୍ୟଗର୍ହ ଶାଖାକାରୀକା



ଶାଖାକାରୀକା ଟ୍ରେଜରୀ ନଂ ୫୩-୧୧୭-୬୩୭୩୦୩୩୩୫୫

୦୫୦୩୦୬୦ — ୧୯୭୫

შეითხველთა ფართო წრეები კარგად იცნობენ გამოჩენილი ფრანგ ათეისტის, შექმლისა და ეტრიულისტის, კარდინალ ლეო ტაქტილის — ვაბრიელ ფონან-პაესის (1854—1907) „წმინდა ბრნაგსა“ და „სახალის ბიბლიას“, რომელიც თარგმნა, ნარკევებითა და ლექსიკონებით აღკურვა აყავი გელოვანმა. ახლა მეოთხველს ვთავიშობთ მისი ტრილოგიას მესამე წიგნს — „სახალის სახარებას“, ჭრისტიანული ჩელიგიის მითოლური და მარტინის იეს ქრისტეს მშავს, რასაც მეცნიერებლი პოზიციებიდან აშიშველებს ტაქტილი.

ჩვენი გამოცემის მიზანი უფრო ფართო, ვიზუალური ტაქტილის თარგმნა: ზუსტად ციტირებულია რელიგიური ქართული სამწერლო ენის ბრწყინვალე ტეგლი, შედარებულია ზოგ სხვა (განსაკუთრებით ლუთერის კლასიკურ გერმანულ) თარგმანთან, გამოტანილია საყურადღებო დეტალები, სქოლი-ოფებისა და შენიშვნების გარდა წიგნს ერთვის ვრცელი ლექსიკონი და ნარკევი, დიდოსტრატია მრავალი შედევრი: ხელონების ამდენი ნაწარ-შოები ხომ ძველი ფრითის აჩლ ერთ სხვა წიგნშე არ შექმნილა!

შეითხველი დარწმუნდება, რომ ამბავი მითოლური ღმერთაცემისა, რომელ-მაც ბოლომდე ზიდა ჯვარი და დაცალა სიმწრის ფიალა, მხოლოდ ლეგენდების კრებულია, რაც ბევრ სიბრძნეს და საანდაზო თქმასაც შეიცავს, როგორც შემოქმედი ადამიანის გენის ნაყოფი და არა „სულიშმახის“ ნაკარნაზევი, თუმცა ეკლესიის მამები ხშირად წინააღმდეგობაში ვაჭრებიან, წიგნში კომიკურ სიტრაკიებთან ერთად ბევრი რამ არის მხატვრულად საინტერესო.

ქართულ თარგმანი შენარჩუნებულია დედინის ხატოვანი ეხა, სტილი და ზოგადი მხატვრული ლირებულება.

© საქ. კპ ცე-ის გამოცემისამდე, 1974 (თარგმანი).



განიძარვეთ ძელი იყო კაცი საქმიან შინაგანი და შეიმოხეთ ახალი იყო განახლებული მუნიციპალიტეტი, შევაჭრად წატისა მის ღამისაღებელისა...

კოლახელთა, 3, 10

გადავშილოთ „ახალი აღთქმა“ — ძელთაძეველი წიგნი, რომლის ასაკი 2000 წელიწადს უახლოედება. გადავაცილოთ ფერფლი და მტვერი...

წიგნებსაც ხომ თავითი ბედი აქვთ, როგორც ქვეყნებსა და ქალაქებს! ამერიკასაც ახალ ქვეყანას ვეძანით, თუმცა საკმაოდ „დაძველდა“.

სიტყვამ მოიტანა და წევნც ახალი ქვეყნიდან დავიწყოთ — იმ შრავალტანჯული ქვეყნიდან, რომელსაც არ შეხებია არც სამოთხე, არც ჯოჯოხეთი, არც აღამისა და ვას პირველი შეცოლება, არც ამ შეცოლების გამოსყიდვა ქრისტეს ჯვარცმით... არ შეხებია, ვიდრე ოკეანეს არ გადასერავდა კაენის უწყალო შთამომავალთა რეინის რაზმი, აპოკალიფსის ცეცხლოვანი მხედრობა, ქრისტესისა და პისაროს აბჯარასხმულ ჯალათთა და შავანაფორიან სულთამხუთავთა არმია, და დაშვერელი მახვილით არ შეუტევდა ბუნების მიამიტ შვილებს, უდანაშაულო ინკებსა და აცტეკებს, რომელთაც შეეძლოთ შენება, მაგრამ არ შეეძლოთ აშენებულის დაცვა, ეს კი ძვირად დაუჯდათ. მათ არ ჰყოლიათ არც კაენი, არც იუდა, არც იესო, არც ჰეროდე. ჰყავდათ მსის დეთაება და არ იცნობდნენ საბათოს...

წარმოვიდგინოთ, რომ ვიმუოფებით ანდებში, კანამარის მწვანე ხეობაში, საოცარი ქალაქის მოედანზე, ოქროს სამკაულებში ჩამჯდარ სამეფო საჩრდილობელთან, და მწვანე ტოტების წეროში ინკი მეომრების თავზე ფერად ფრთხოებაში ურთები ღამისაღებები...

ხარის ტყავში ჩამული სახარება მტვერში გდია. ეს არის დაავდო საჩრდილობელზე წამოწლილში ატაგუალპამ, ინკების მრისხანე მეფემ. დედაქალაქიდან მოვიდა პისაროს ბანაკ-

ში, რათა პირადად მიეღოცა პეტრუში ჩასვლა, მაგრამ მტკდელმა ვისენტე დე ვალვერდემ თავი მოაბეჭრა ვრცელებადანა
ბით. არ სცოდნია იქსოს დარივება: „ნუ მრავალსა მეტვა-
ლებთო“ მთელი შექმნათა, მოსეს წიგნები, მეფეთა, მსა-
ჯულთა, მახარებელთა წიგნების შინაარსი გადმოულაგა, და
თუმცა ინკი თარჯიმანი ესპანურში თრიანის ლირსია, მაგრამ
ჰკვიანმა ატაგუალბამ უმთავრესი მაინც გაიგო: თურმე ვი-
ლაც პაპმა ალექსანდრემ დასავლეთის მიწები ესპანეთის მე-
ფეს აჩუქა, ატაგუალბა მოვალეა მიიღოს მისი რელიგია, ქედი
მოუხაროს უცხო ხელმწიფებს, თეთრი ხალხის ბელადს, თუ
სურს, რომ ეზიაროს ციურ სასუფეველს... ოპ, რა მომქანცვე-
ლია ეს ყველაფერი! რისთვის უნდა გამოიცვალოს საბწმუ-
ნოება, როცა თავის ღმერთს არ ემდურის? რატომ უნდა დაე-
მორჩილოს ესპანეთის ბელადს, როცა თავის ქვეყანაში თვი-
თონ არის ბელადი? რისთვის უნდა ამჯობინოს მკვდარი
ღმერთი ცოცხალის? რა ღმერთია ის, რომელიც აღამიანებმა
ჯვარს აცვეს, და რა აღამიანები არიან ეს გადამთიელები,
რომელთაც თავიანთი ღმერთი მოკლეს? დაბოლოს, თუ სამყა-
რო საბაოთმა შექმნა, რატომ არ იციან ეს ინკების ქურუმებმა?
ვალვერდე უხსნის და უხსნის...

— საიდან გაიგეთ ეს ყველაფერი? — აწყვეტინებს მოთმი-
ნებიდან გამოსული ატაგუალბა.

— აი, აქედან, — და მღვდელი სახარებას გაუწვდის.

მეფე წიგნს გულგრილად ართმევს, შლის, ყურთან მი-
იდებს, ძირს აგდებს და ამბობს:

— მე ის არაფერს შეუძნება!

ეს იყო საბაბი. კბილებამდე შეიარაღებული ესპანელები
მასპინძლის მცველებს მისცვივდნენ, მახვილებზე ააგეს. ბისა-
რომ ატაგუალბას გრძელ თმაში ჩაავლო ხელი, გადმოათრია,
ფეხით შეადგა იმპერატორს. დაიწყო სკრემა. უმწეო ხალხი
დაიბნა, გაიქცა, დაიფანტა. ოთხი ათასი პეტრუსი გაწყდა იმ
დღეს და მხოლოდ ერთი ესპანელი დაიჭრა: თვით პისარო,
რომელსაც უცაბედად მისივე მეომრის მახვილი მოხვდა.

ასე დაიწყო მეტრიკის „გაქრისტიანება“. აღსრულდა იქსოს
წინასწარმეტყველება: „არა მშვიდობის მიღენად მოვედ, არა-
მედ მახვილითა“...

ჩვენ მაინც ფრთხილად ავწიოთ სისხლითა და მტკრით მოსვრილი წიგნი, რადგან ჩრდილების გარდა მასში ირმანდული საქმაოდ ბევრი მახვილი სიტუაცი, ფავშესაქცევი ამზადი დამატებული ეპიზოდი. ვიღრე მის შინაარსზე გადავიდოდეთ, წარმოვიდგინოთ, რა არის ამ წიგნში მავნე.

ოთხთავი, ოთხი სახარები, ბერძნული ევანგელიონი (სიკეთის ხარება) ქრისტეს შობის, მოღვაწეობისა და მოწამეობრივი აღსასრულის ამბავია. ასეთი ამბები უკვე გადახდათ ეგვიპტელთა მზის ღმერთის შეიღებს, რომელთაც ეგვიპტის ჰეროდე-ფარაონი ხეოპსი დევნიდა, და ბაბილონის ღმერთის ბელ-მარდუქს, რომელიც აწამეს, სიკვდილის წინ სამოსი შემოავლიჯეს, შერე კი მკვდრეთით იღდგა. ბევრი რამ გადაიღეს ძველი რელიგიებიდან ევანგელიისტებმა, მაგრამ ორიგინალურიც ბევრი რამ დაუმატეს, დახვეწეს და უფრო ჩამოყალიბებული, სრულყოფილი რელიგია შექმნეს, უფრო სწორად—უფრო სრულყოფილი რელიგიის სახელმძღვანელო წიგნები, რომელიც უწინაარეს ყოვლისა რთული შინაარსითა და ბრძნული გამოთქმებითაც იქცევეს ყურადღებას. სახარება შრავალი იყო, მაგრამ ამ ოთხის გარდა ყველა დაგმეს (პეტრეს, იაკობის, იუდის, ნიკოდემოსის პოკრიფული სახარებანი).

„სამი სახარება შეგვეწიოს!“ — ასე ილოცებოდა ქართველი ვლეხი საუკუნეების განმავლობაში, და ეს დალოცვა არ იყო მოკლებული ირონიას. ჩანს, მეოთხე სახარების იწუნებდა, ოლონდ არ ვიცით, რომელს, ან იქნებ უბრალო ალიტერაციისათვის გასამდა ოთხი. ჩვენ კი გვინდა ოთხივე სახარება განვიხილოთ, ე. ი. ამ წიგნის ქართულად გამოცემით გარკვეული ცოდნა მივცეთ მკითხველს. ანტირელიგიურ თემებზე მოძაფქრის მომზადების დონე ავამაღლოთ და საერთოდ სარგებლობა მოვუტანოთ საუკეთესო სამებას — მკითხველს, ჟეშმარიტებას და მხატვრულ სიტყვას.

ლეო ტაქსილის მწიგნობრული სამების — განთქმული ტრილოგიის ეს მესამე წიგნიც სასიამოვნო და სასაჩიგებლო წიგნია. თუ „სახალისო ბიბლია“ ასახვს მამა-ღმერთის ამბავს, „სახალისო სახარება“ ქე-ღმერთის ამბავია, „წმინდა ბუნაგი“ კი — ქრისტეს მოაღვილეთა ამბავი. ახლა ჩვენს წი-

ნაშეა ოთხივე სახარების სრული, თითქმის სრული დრუნა უნაკალო თარგმანი, ასე უხვად ციტირებული დედნის მატუჯებით თანაც იქვეა მოცემული უაღრესად შახვილვონივრული დაბა-სიათება, კომენტარები, შეფასება. მეცნიერული ახსნა-გან-მარტებანი. ტაქსილის ირონიისა და სატირის კრძნობა წომ საერთოდ აღიარებულია. ზოგან ის ვოლტერს მოგვაგონებს. ჩაც შეეხება სიღვთისმეტყველო ტექსტების ცოდნის, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ის ღვთისმეტყველების პროფესორია და ყო-ფილი კარდინალი! მას ერთი საფეხური დარჩა პაპის ტახტამ-დე, მავრამ ვოლტერის ტახტი ამჯობინა. მის წარმატებაზე თუნდაც მარტო ის მეტყველებს, რომ „სახალისო სახარების“ მეორე რუსული გამოცემა, 370 000 ცალი, მოკლე ხანში ბიბ-ლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ სახარების შინაარსა და ავ-კარგზე. წიგნში ყველაფერი წერია, რასაც საფუძვლად და-ედო სახარება: იქსოს დაბადება, ცხოვრება, ჯვარცმა და ამაღ-ლება. ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკის კორიფეული ერ-თომეორებს ეჯიბრებოდნენ ამ თემებზე შედევრების შექმნაში. გადაშალეთ ლუკრის, ლონდონის, პრაღის, პრადის, ბუდაპეშ-ტის, უფიცის, ვატიკანის, ერმიტაჟის, ჰოლანდიის, იტალიის გერმანიის ეროვნული მუზეუმების ბრწყინვალე აღმომები — სურათების თითქმის ნახვარი ბიბლიურ თემებზე. ლუთ-რის ბიბლიის კლასიკური თარგმანის ორთომეულში ათასზე მეტი სურათია (Tausend Bilder Bibel), და ეს მხოლოდ ნა-წილია. ბიბლიის, უპირატესად სახარების თემებზე მრავალი შედევრი შეუქმნიათ მილტონს, ტასოს, კოეთეს, ჟაინეს, ეკენი სიუს, ჟენდელს, ბეთჰოვენს, ბახს... კოეთეს ცნობილ ლექსს „წვეულებას“ საფუძვლად დაედო კაიშოდი სახარებიდან (მა-თე, 22,1-10). ლესინგმა „ნათან ბრძენი“ ბიბლიის ეპიზოდზე აავო. რამდენ პოეტს უწერია კანენე (ბაირონი), სოლომონზე. დავითზე, აპასფერაზე, იუდეის ომშე... ბიბლიის, სახარების ტექსტები, საანდაზო თქმები გამოუყენებით მარქსს, ენ-გალსს, ლენინს, სტალინს, გორკის, ბელინსკის... ეს თქმები ამდიდრებენ ყოველი შწერლის ენას. ეს გამო-თქმები დამკუიდრებულია ყოველი კულტურული ხალხის ენა-ში. ესაა ცხოვრების სიბრძნე. აი, ამ კუთხით გვაინტერესებს

პირველ რიგში სახარებაც. ჩვენთვის ესაა ლიტერატურული ქედი, ლეგენდებისა და იგავთა ერთგვარი წყარო, მმ. ტექსტი ქსტებზე ზრდიდნენ თაობებს, ასწავლიდნენ მშობლიურ ქანის. ამ ნაწარმოვბიდან ის უნდა ავიღოთ, რაც შხატვრულად თუ ისტორიულად საგულისხმოა, და უნდა ვიცოდეთ მისი რელი- გიურ-ფილოსოფიური არსიც. შისი რეაქციული ხასიათიც. როგორ შევძლებათ ღვთისმეტყველთან დავას, თუ არ გვეცო- დინება ღვთისმეტყველება? უნდა გვახსოვდეს ლენინის დე- ბულება: რელიგიას ლანძლვით კი არა, ცოდნით და დარწმუნე- ბით უნდა ვებრძოლოთ. ბრუნო ღვთისმეტყველების დოქტო- რებს რთულ საღვთისმეტყველო პოზიციებზეც ამარცხებდა.

* * *

იყო დრო, როცა იქსოს ქადაგების მოსმენა მხოლოდ მის საცოდავ მოწაფეებს უხდებოდათ, სხვა არავინ ისმენდა. შერე მათ მთელი საქრისტიანო ეცნობოდა — უკვე სახარებიდან, ქადაგებიდან და ათასი ღონისძიებით. ჯვარუმული მაცხოვ- რის მცნებას ნებით თუ უნებლიერ მიღიონები მისდევდნენ და მისდევენ დღესაც. ბრძოლა არ დამთავრებულა.

შეეღია ბიბლია, კერძოდ სახარება იყო ერთგვარი ცდა, რომ „წყეულ კითხვებზე“ პასუხი გაეცათ, მაგრამ აი, ამ რე- ლიგიებმა თვით შეიყვანეს კაცობრიობა ახალი წყეული კითხ- ვების ღაბირინთში, საიდანაც ხალხებს დღემდე უჭირთ თვის დაღწევა.

„ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ყველგან საერთოდ, ჩვენშიაც ბიბლიას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მან მის- ცა სასულიერი მწერლობას ნიმუში ლიტერატურული განხრე- ბისა, პოეტური ფორმისა, მხატვრული გემოვნებისა და ჩამოქ- ნილი, დახვეწილი პროზაული ენისა... ბიბლიური წიგნები იძ- ლეოდა სიუჟეტებს არა მარტო ძველი, არამედ ახალი დროის ლიტერატურისთვისაც“, — ასე ახასიათებს ჩვენი სახელოვანი შეცნიერი კორნელი კაკალიქ ზოგადად ბიბლიის და კერ- ძოდ სახარების მხატვრულ მნიშვნელობას (ტ. I, გვ. 400).

ქრისტე რომ ლეგენდაა, ჲს ბავშვმაც კი იცის, მაგრამ ისაა ლეგენდების გმირი, მისი ცხოვრების მბავიც ერთიანი ცხოვ- რიაბისეული ამბავია, ბრძნული და ასურდული მხჯელობების

ერთგვარი კრებული, რაც დღესაც მოქმედებაშია კაპიტალის
ტურ სამყაროში, და არა მარტო ეკლესიებში.

განა დღეს კი არ არიან მწივნობრები და ფარგლევლებზე...
რომელთაც არ სურთ გაარჩიონ თეთრი და შავი, ნიჭი და
უნიჭობა, ცოდნა და უმეცრება, შუქი და ჩრდილი? მათ სწევე-
ვიათ სწავათა წარმატების გამო ნერვულობა, ხრისები, მუხანა-
თობა, შეთქმა და შხამიანი ქილიკობა. დღესაც არიან გამო-
ხარშული ბიუროკრატები, რომლებიც პონტიოდინ პილა-
ტემდე გვაგზავნიან, ხელს იძანენ, დოგმატურად გვიმეორებენ,
რომ აღამიანი შეიქმნა შაბათისათვის და არა შაბათი აღამია-
ნისათვის... ათობით მაგალითია წმინდა წერილში საგულის-
ხმო.

ჩვენთვის სუსტი მოწმეა ღმერთი, მაგრამ ძლიერია ადა-
მიანი. აღამიანის ეს ქმნილება რომ თვალსაჩინო ნაწარმოები
არ ყოფილიყო, თავიანთ რჩეულ შეღვრებს არ შექმნიდნენ
მის სიუკეტებზე ხსენებული შემოქმედნი. აგრეთვე ლეონარ-
დო და ვინჩი, რაფაელი, მიქელანჯელო, ტიციანი, ტინტორე-
ტო, რებბრანდტი, რუბენსი, ივანოვი... შავ მიწაზე უკეთ იშრ-
დება ვარდი და ვაწი.

ძნელად იყითხებოდა საღვთო წიგნი, მაგრამ მას მაინც კი-
თხელობდნენ. ფრთიან თქმებს მაინც პოულობდნენ. ვინ იცის,
რამდენს უფიქრია „უფალო, ფხალმუნს მაკითხებ — ეს არის
შენი რისხვა? რად მიგანია სასჯელად შენი წიგნების კითხ-
ვა?“ ტაქსილმა იზრუნა იმისათვის, რომ სახარების კითხვა
სახალისო ყოფილიყო.

„სახალისო სახარება“ არც მეცნიერული ტრაქტატია, არც
ღეთისმეტყველური ქრონიკა. ესაა სატირული პამყლერი
ღრმად ვანსწავლული და მახვილვონიერი მწერლისა, რომელ-
საც ჩვენი ჰკითხველი კარგად იცნობს. მისი სამივე წიგნი თა-
თქმის ამ სი წლის წინ დაიწერა, და სამივე უაღრესად თანა-
მედროვე წიგნია. ტაქსილი არ გვქანცას უთვალავი ავტო-
რის ციტატებით, საბუთებისა და ცნობების სიუხვით. საკუთა-
რი გონებით, ერუდიციით იმდიდრებს სახარების შინაარსს,
რასაც ცოცხლად ვადმოსცემს, აშიშვლებს უკელა წინააღმდე-
ვობას. მიზანი შიღწეულია.

თუ სახარების ჭეშმარიტებისა და ისტორიულობის გაბა-

თილება გვინდა, ეს თითქოს არც ისე ძნელია. ვინ დაიჯურდეს, რომ სიმართლეა ეგზომ გასაოცარი ფაქტი, ქრისტეს სახლში და ლებრივი ცხოვრება, რასაც არ იშოწმებს არც ერთი იძურო-ინდელი შეერალი, მოღვაწე, ისტორიკოსი? თუნდაც პირველი შეცოდება! ღმერთმა ვაშლის ჭამისათვის აღამიანთა თაობები სატანჯველად გასწირა, ვიდრე იქსოს მოუკლენდა, მაგრამ იქსოს ჯვარიმაც ხომ უფრო მძიმე დანაშაული იქნებოდა? განა საბაოთს პირმშო შვილი ვაშლზე ძვირად არ უდირდა? ხომ შეექლო უბრალოდ ეპატიებინა შეცოდება, თუ სურდა? ამ ცოდვას კი ლიად ტოვებს. განა ეს აბსურდი არაა?

ცოდნის უარყოფა მხოლოდ ბნელეთის მოციქულთა დონეა. თვით აღექანდრიოელად წოდებული განსწავლული ღვთისმეტყველი, ეკლესიის მამი კლიმენტი ამტკიცებდა III საუკუნეში: „არ არსებობს სარწმუნოება ცოდნის გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს ცოდნა რწმენის გარეშე“. თუ მეორე დიდი საეკლესიო შეერალი ტერტულიანი გმობდა მეცნიერებას, წარმართობის მავნე ნაშიერად და სატანის პირმშოდ აცხადებდა, კლიმენტი მოითხოვდა ცოდნის და რწმენის პარმონიას, მეცნიერებისა და რელიგიის შეთანხმებას. მრავალი წლის მანძილზე ეს საკითხი მსჯელობის საგანი იყო და ეკლესიის მესვეურთა ეს მტკიცება დღემდე გრძელდება და, ცხადია, იმთავითვე აბსურდია. მეცნიერება და რელიგია შეუთავსებელია, ვითარება ცეცხლი და წყალი, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ თვით ძველი ეკლესიის მამა აღიარებს ცოდნის სიღიაღეს, აუცილებლად ცნობს კრაშატიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, ასტრონომიის, არითმეტიკის, გეომეტრიის, მუსიკის, დიალექტიკის შესწავლას „რათა ბოლოს იქვე დაბრუნდეს, ხაიდანაც ვავიდა“ ე. ი. ფილოსოფიის სამყაროში. საყურადღებოა მისი ის აზრიც, რომ აღამიანის სრულყოფილობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია მის ცოდნასა და გონიერებასთან.

რაკი ეკლესიის მამა ისე ქადაგებს, ჩვენს ღროშო რაღა მტკიცება უნდა, რომ ცოდნა აუცილებელია და გამონაკლისს არ წარმოადგენს იმ რელიგიის არსის ცოდნა, რომელსაც თავ-გამოდებით იცავდნენ ეკლესიის მამები. აუცილებელია იმისა-თვის, რომ მათი მცდარი დოგმები გავაძათილოთ. ისე, ზეპი-

რად, დირექტივებით რელიგიის აღმოფხვრა ისევე ძნელია, როგორც საბლის გაყვანა ნემსის ყუნწში. ცნობილია, დისტან-
მაც კი შესძიხა: „ღმერთო, მე არ ვიცი, არსებობ თუ არა
ჟენ!“ მაგრამ დიდრომ ღმერთს ტახტი შეურყია.

ამრიგად, ევანგელისტებმა, მახარებლებმა, და ეკლესიის
მამებმა უკვე მოახდინეს ქრისტეს ყველა მითის სინთეზი. ჩვენ
ისლა დაგვრჩნია, რომ მათი ანალიზი მოვახდინოთ.

* * *

როდის აწამეს ქრისტე? არასოდეს, რადგან ის არ არსე-
ბობდა. შეცნიერულ საბუთებზეც რომ არაფერი ვთქვათ, თვით
შობის თარიღი საეჭვო ხდება: მითის მიხედვით ჰეროდე
დიდისა და რომის ნაცვალ კვირინიუსის დროს დაიბადაო. მაგ-
რამ როცა კვირინიუსი იუდეაში მივიდა, ჸეროდე უკვე ათი
წლის გარდაცვლილი იყო. იქსო რომ იშვა, ჸეროდე ოთხი
წლის შევდარი იყო და საიქიოდან ხომ ვერ დაუწყებდა დევ-
ნას? მერე, იქსო აწამეს მღვდელმთავართა კაიაფას და ანას
დროსო, წერია სახარებაში, იუდეეველებს კი ერთდროულად
ორი მღვდელმთავარი არასოდეს ჰყოლიათ; სახარებაში ლა-
პარაკია ღორების ჯოგზე, ებრაელები კი ღორებს არ აშენებ-
დნენ, და ისიც პალესტინაში; ღუკას თქმით, მარიამი და იო-
სები სამხრეთ ბეთლემში ცხოვრობდნენ, მათე კი ამტკიცებს,
ჩრდილოეთ ნაწარეთშით, და ა. შ.

პალესტინა პატარია ქვეყანაა, პოეტურმა ფანტაზიამ ის
შთელ სამყაროს გაუტოლა. გალილეის ზღვა რა ზღვაა, ერთი
კიდიდან შეორე ჩანს, სახარების ფურცლებზე კი ის არის გა-
შლილი ზღვა, ნაოსნობაა, ქარიშხლებია, და გენესარეთის ტბა
შსოფლით ოკეანებივით ცნობილი გახდა თუნდაც იმისათვის,
რომ შის ზედაპირზე მითიურმა ქრისტემ ფეხით გაისეირნა.

იქსო ნაწარეველი მარტო იყო და მარტო დარჩება, თუ
გვეცოდინება ყველაფერი, რაც მის სახელთანაა დაკავშირე-
ბული, და ის იქნება მხოლოდ სახალისო ნაწარმოების გმირი.
ბოლოს და ბოლოს, რა გაუკეთეს თვით მოციქულებმა? ერთ-
შე ვასცა, ერთმა უარყო სამგზის, ერთმა არ იწამა მისი ცად
აძალება, დანარჩენები ნეიტრალურ პოზიციაზე დარჩენენ,
ეს იყო და ეს.

პირველ ხანებში ქრისტიანობა მებრძოლი სულისკვეთზე
ბით განიჩენდა, შემდევ და შემდევ ამ სულისკვეთზე ნაწილი
სახიც არ დატინილა, ის იქცა მორჩილების რელიგიად: ცირკუს
ლი უნდა დაემორჩილოს ქმარს, მონა—ბატონს, მოწაფე—მო-
ძღვარს, ბატონი—ღმერთს, კეისარს მიეცეს კეისარისა, „რამე-
თუ არა არს მოწაფე უფროს მოძღვრისა თვისისა, არც მო-
ხაი უფროსის უფლისა თვისისა“. ამიტომ შეურიგდნენ მას
აშაქვეყნის შეუფენი, მოძღვარნი და კეისარნი.*

* * *

ვანსაკუთრებით შკაცრი ჰებრძოლის, დოგმის აპოთეოზის
შეიშვნელობა ქრისტიანობამ მიიღო ხაეკლესით მწერლის ტე-
რიტულიანის შრომებში, და როგორც ტიპიურს, ამ პიროვნე-
ბის ახლო გავეცნობით.

სახელგანთქმული საეკლესიო მწერალი, რომელსაც ზოგი-
რთი გარემოების გამო კელესის მასის პატივი არ არგუნეს,
კვინტ სეპტიმიუს ფლორენს ტერტიულიანი დაიბადა ა. წ. 160
წ. კართაგენში და ოხალგაზრდობაში ფრიად თავაშვებულ ცხო-
ვრებას ეწეოდა, სძაგლა ანტიკური კულტურა და ფილოსოფია.
რომში ქრისტიანობა მიიღო „იმ სიმამაცისათვის, რითაც
ქრისტიანები ხვდებოდნენ წამებას“, და ეს უდრტეინველი წა-
მება მიიჩნია იმ სარწმუნოების სიმართლის საბუთად, რასაც
ეს ფანატიკოსები ეწირებოდნენ. ამ საკვირველ მწერალს აუ-
ცილებლად მიაჩნდა წამება, ჯვარზე ასვლა, ამა სოფლის სი-
ძულვილი და შეუპოვრობა, რათა ქრისტიანობამ გაიმარჯოს.
ამით გადაიკიდა თვით ქრისტიანები, რადგან ჯვარზე ასვლის
მსურველი შედამ ცოტი მოიძებნება. ამის გამო გადაუდგა თვით-
ოთნაც „ჩვეულებრივ ეკლესიას“ და შევიდა მონტანისტების
სექტაში, რაც ასეთსავე სასტიკ წესებს იცავდა, ბოლვითი იდე-
ებით სულდგმულობდა, სულიწმინდის შემწეობით სიზმარში
გაგონილი ბუნდოვანი სიტყვების ტამაშზე აგებდა თვის მო-

* ქრისტიანობის ანსის, ქრისტიანული დღესასწაულების შესახებ დაწვრილე-
ბით ცნობებს შეითხვევლი ნახავს ს. სახარუოს პოპულარულ წიგნში „ზოგიტო
ქრისტიანული დღესასწაულის წარმოშობისა და იდეოლოგიური ანსის შესახებ“ (ჩეკინიერება, 1971).

ქლვრებას. „იესო ქრისტეს შემდეგ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნდა ცნობისმოყვარეობა, აღარც ძიება გვინდა სახარების შემდეგ ჩვენ გვწამს ის და სხვა აღარაფერი გვინდა ვიწამოთ სან სხვა რა უნდა ვიწამოთ?“ ასე ბრძანებს ტერტულიანი. და მასზე მკაცრი აღმოჩნდა ეკლესია, რომელმაც ის წმინდანად არ შერაცხა.

რაც ქრისტიანობას ეწინააღმდეგება, სიცრუეა, და იმდენის ღირსიც არაა, რომ უარყო. ქრისტიანული ღოგმატების უაზ-რობას ამ სიტყვების ავტორი კარგად ხედივს, მაგრამ ეს არ აწესებს. პირიქით, ამყობს ამ აბსურდით. სწორედ ამ ბრძა რწმენის აპოთეოზია, ვონების უარყოფის ფორმულია მისი განთქმული აფორიზმი: „მწამს, რადგან აბსურდია“ (ლათ. კრედო, ქვია აბსურდუმ ესტ). მორწმუნე ქრისტიანი უნდა იყოს ურცხვი და გიეთ. „ღვთის შეიღი ჯვარს აცვეს და ეს არ მრტველია სწორედ იმიტომ, რომ თითქოს უნდა მრტვე-ნოდეს. ქრისტეს ჯვარცმა უნდა მწამდეს სწორედ იმისათვის, რომ ჩემი ვონება ამ აბსურდის წინააღმდეგ იღაშქრებს. ის აღდგა კუბოდან, რომელშიაც ჩაასვენეს? ნამდვილი ამბავია, რადგან შეუძლებელი გვეჩვენება“. ქრისტიანობა ეწინააღმ-დეგება მეცნიერებას, აზროვნებას, ამიტომ იღებს ტერტული-ანი მას ულაპარაკოდ. ან მეცნიერება უნდა ეღიარებინა, ან რელიგია; აღიარა რელიგია, რადგან ფანატიკოსი იყო. მან უარყო მებრძოლი ფილოსოფია და ამით გახდა ფილოსოფო-სი. დიდი მონტანისტი ამტკიცებდა, რომ იესოს და მოცი-ქულთა გამოცხადება არ დამთავრებულა, მამა-ღმერთი ძეწე დიდია და სამყარო მან შექმნა აჩარაობისაგან...

ეს იყო სიტყვები. არ იქნა, არ ასრულდა ხალხთა ოცნება დედამიწაზე, და მცთ ცაში აღაბყრეს ხელები. არ მორჩა ში-ში, შიმშილი, გვალვა, ძალადობა, ჭირი და ვნება ათასნაირი, და ადამიანებმა მოიგონეს ქრისტეს ვნება, მწერლებმა კი და ასაბუთეს. ტერტულიანმაც გააბათილა წარმართთა აზრი, ყველა უბედურების მიზეზიათ ქრისტიანობა. ყველა უბე-დურებისა არა, მაგრამ ეს რა ნუგეშია? აღაპრე ხელები და იღლიცე: ოსინა, ოსინა! დიდება ცათა შინა და შშვიდობა ქვე-ყინასა ზედა! მერე ჩამოიღე დაღლილი ხელები, აკრიფე ბორ-კილები და წაიღე გოლგოთის გზაზე, თუ გინდა შესვლა ციურ

56. 906

სასუფეველში... ასე არწმუნებდნენ, ასე „უო აღძოსავლეთსა და დასავლეთში. ხალხს ნუგეშად ისევ მახვილი სიტყვა ჩამარიანა ბოდა: „კუჭი მიხმება შიმშილით — ედემია თუ დოზანა? ჯამარია ჩამხლებია წყურვილით, როგორ ვიყვირო „ოსანა“!

ადამიანი ეძიებს და პპოვებს. მორწმუნები იმავე წმ. წერილში პოულობდნენ ფრთიან თქმებს: „ვაი თქეენდა, ფარისეველნო... თქვენს ნასახლარზე ეკალი და ჭინჭარი ამოვა, ორგულნო!“

* * *

ძველი ტრადიციით სახარება—საღვთო წიგნია. ჩვენთვის ის ლიტერატურული ძეგლია; ღვთისმსახურთა რწმენით, ეს წიგნი სულიწმიდის ნაერნახევია, ჩვენი თვალსაზრისით — ადამიანის ქმნილება; მღვდელთა აზრით, მორწმუნება შთაგონების წყარო, ჩვენთვის — ხელოვანთა თემების წყარო. ჩვენ არ გვაგულება სხვა წიგნი, რომელსაც ამდენი იღუსტრაცია ექნება. ამ წიგნის გმირებს ხატავდნენ რიგითი იღუსტრატორებიც და ხელოვნების ტიტანებიც. წმინდა წერილის პარელი ქართული თარგმანებით ფასდაუდებელი ბალავრის ქვა ჩაიღო ქართული სალიტერატურო ენის საძირკველში; ლუთერმა რომ ბიბლიის უზაღო თარგმანით გერმანული სალიტერატურო პროზის ენა შექმნა, ეს მარქსმა და ენგელსმა აღიარეს; დანიის ლიტერატურის მამამ კრისტიერნ პედერსონმა, რომელიც 1554 წელს გარდაიცვალა, ბიბლიის თარგმანით ჩაუყარა საფუძველი დანიურ ლიტერატურულ ენას.... თითქმის იგივე როლი შეასრულა მრავალი სხვა ქვეყნის მწერლობის ისტორიაში. ბიბლიის, კერძოდ, სახარების თარგმანშია. ამ წარმატების მიზეზი მარტო რელიგიურ საჭიროებაში არაა საძიებელი. ორსავე აღთქმაში აისახა ხალხის ცხოვრება, მისი უბრალოება და უბრალო სიბრძნე. ათობით, ასობით იგავი და ხატოვანი თქმა მიეწერება მათეს, მარჯოზს, ლუკას და იოანეს. რომელ დიდ მწერალს არ შეშურდება ეს წარმატება? საამისოდ კანონიკურობა არ ქმარა. მოზაიკა, რელიეფი, ფერწერა, ფრესკა, გრავიურია, გრაფიკა, მუსიკა, პოეზია, დრამატურგია — ვინ არ მახვილდა და რა ფანრში არ ასახავდა სახარების პერსონაჟებს! ციტომაა, რომ მისი ყოველი მუხლი, ფრაზა, სიტყვაც კი განსჯის საგანი იყო.

თუ ლიტერატურული პოზიციებიდან ვიღაპარაკებთ და
არა ამბიონიდან, სახარების მთავარი გმირი სიკეთესთან მო-
თად კიდევ გვარითობს, გვაფიქრებს და გვაცინებს. საშავი-
ეროდ აღგვაშფოთებენ მისი მოადგილის ნიღაბს ამოფარებუ-
ლი მღვდელმთავრები, რომელთაც საუკუნეების განმივლობა-
ში არ დარჩენიათ. ჩაუდენელი არც ერთი ცოდვა, რაც კი ხო-
რციელ არსებას შეუძლია ჩაიღინოს. ვისაც ჯერ კიდევ ვერ გა-
უგია, რისთვის ვწერთ და ვთარგმნით ასეთ წიგნებს, მან დაი-
კავოს ხელში სია ათასობით, ასი ათასობით წამებულ, დი-
ლეგში გაგუდულ, კოცონზე დამწვარ, საქნებში დაგლეჯილ-
დასერილ, დევნილ, სახსრებამოგდებულ დამაიანებისა და გა-
იხსენოს, რომ ეს კეთლებოდა ქრისტეს სახელით. ამ ჯალა-
თობას, ამ ძალადობას, ამ სიცრუეს, ჩაგვრას და უმეცრებას
კაბრძვით, ვებრძვით იმათ, რომელთაც ხელი არ აუკან-
კალდებათ, ისე შეუძლიათ უდანაშაულო ადამიანი, ქალი
თუ კაცი ოწამონ, ჯვარს აცვან, ცოცხლად დაწვან, შაბამიანი
სტილეტით განგმირონ, პირში მდუღარე ფისი ჩასხან, შიშ-
ველ ტანჩე გამდნარი ტყვია ჩამოაღვენთონ, გაატიტვლონ და
მწერებს შეაჭამონ, ძელზე დასვან, მუხლები დაუფქვან,
ფრჩხილებში ნემსები გაუყარონ, ზურგზე თასმები მოკვე-
თონ, ენა ამოგლიჯონ, ჭერზე დაპყიდონ თმით და ცეცხლი შე-
უნთონ ფეხებში, მუხრუჭებით „შეკუმშონ“ და „დააგრძე-
ლონ“... შაგრამ შეიძლება ადამიანი მოხპო და ვერ დაამარცხო.

ჩვენს ახალგაზრდობას ბედმა გაუდიმა: მას აღარ უხდება
ლვთისმეტყველების შესწავლა. რა არის ლვთისმეტყველება?
უაღრესად რთული ანტიმეცნიერული მოძღვრება ღმერთსა
და სატანაზე. რა განსხვავებაა მათ შორის? აინშტაინმა მოკ-
ლედ განმარტა: ერთი პლუსით აღინიშნება, მეორე მინუსით.
მართლაც, ერთი ნათელია, მეორე ბნელი: სიმბოლოებიი
უკეთ: ორი მახვი, რომლებიც ადამიანმა დააგო და შიგ თვი-
თონვე გაება.

დახავლეთში ბევრი ავტორი დღესაც სერიოზულად იმტქი-
ცებს, გამოჩენილ ადამიანებს ღმერთი სწამდათო: კეპლერს,
კოპერნიკს, ნიუტონს, ანდერსენს, ტოლსტოის... დარვინს ბიბ-
ლიის ავტორითები სწამდათ. ერთ დროს მართლა სწამდა, და
როგორც ქმნილება—ბოლომდეც, მაგრამ თავისი თეორიით მი-

ბლიური ეარიანტი სიცოცხლის წარმოშობისა თავდაცირა და აყენა. ერთია პოეტური რწმენა, მეორე—ბრძანი რწმენა. დღესთანავე ადამიანი უკეთ მეტისმეტად ძლიერია, რომ ღმერთის დამაკავშირისა რება დასჭირდეს. განა ელნათურისა და ტელევიზიის გამოგონება ღმერთის გამოგონებაზე ძნელი არ იყო?

შავრამ არ უნდა შეგვიშალოს საფირევლმა. არ უნდა ვიყოთ უმაღლენი, ვითარება ნაზარეველნი. სახარება უშრეტი წყარით საყურადღებო ეპიზოდებისა და მახვილი სიტყვისა, რასაც ტიტანები უწევენ ანგარიშს. შეიძლება ესა თუ ის გმირი სულ ერთი-ორჯერ იყოს ნახსენები და უკვდავ გმირად დარჩეს. არსად არაა მომაბეზრებელი დახასიათება თომასი, არც მის ეჭვიანობაზეა ლაპარაკი, და მხოლოდ ერთი დეტალით — ვიდრე კრისტენი ხელს ჩაყოფ, ქრისტეს აღდგომას არ დავიკერებო, „ურწმუნო თომა“ სანდაზოდ დარჩა... ღმერთმა კი არა, მხატვრულმა დირსებამ იხსნა ახალი აღთქმა დავიწყებოს საგან.

* * *

ჩვენი ყურადღების შუაგულში, ცხადია, ქართული ტექსტი დგას, ძველი ქართული თარუმანი, ოთხთავი, მისი მთარგმნელები, ხელოვანნი, გაღამწერები, შემნახაენი...

ქართველ ერს შეუძლია იმაყოს, რომ დგას იმ უძველეს ერთა შორის, რომელთაც ბიბლია აღრევე თარგმნეს, და თარგმნეს მაღალ დონეზე.

V საუკუნეში უკვე არსებობდა „დავითი“. 978 წელს უკვე არსებობს სრული ქართული ბიბლია, თუ უადრეს არა, ხოლო ცალკეული წიგნები კი ბევრად უფრო აღრე უთარგმნიათ. 975—978 წლებში ექვთიშე ათონელს უთარგმნია იოანეს გამოცხადება. სახარება ევროპაში უფრო გვიან ითარგმნა. გერმანულ ენაზე, მართალია, გოტმა ეპისკოპოსმა კულტივიამ IV საუკუნეში გადაიღო, მაგრამ ნამდვილი და საბოლოოდ დაკანონებული თარგმანი ღუთერისა გამოვიდა მხოლოდ 1522 წელს (ახალი აღთქმა) და 1534 წელს (ძველი და ახალი აღთქმა).

ქართველი კართველი არ ამნევდა ამაღლებულ სიტყვას.

მას აფასებდნენ იაკობ ხუცესი, ხანძთელი და მერჩულები პოტენი ნელები, უცნობი და უსახელო მოღვაწეების მთელი ქაონშებისა კი ეფრემ მცირე წერდა: „ლუკა დიდი და უნაკლო სიტყვითა, ხოლო სიტყვა რაი გესმეს ღირსსა მსმენელთა, ნუ პეონებ ჰა-ერად განძნევად“. აქ დიდი აზრია.

ქრისტეს, როგორც ახალი რელიგიის პერსონაჟს, დიდი აღგიღილი უჭირავს ძველ თუ გვიანდელ მწერლობაში. დავით გურამიშვილის თქმით, ღმერთმა აღამიანებს „მოსცა სათხო-ვირი, ქრისტე მაცხოვარი, სადიდებლად ღვთისა, ძე დავითი-სა“, და მასვე ხმირად შესთხოვს „არიდოს ცხოვარს, საცა მგლის ხრო არს“. იგი „სწორულს ულხენდა, ბრძანათ თვალს უხელდა, მკვდართა აღუდგენდა, წყალს ღვინოდ უქცევდა“...

ქართველმა კაცმა იცოდა სიტყვის ფასი, იცოდა, რომ „არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი, არამედ სიტყვითა“, ამიტომ სახარება მისთვის უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო და საინტერესო, როგორც საკითხავი წიგნი.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა სახულიერო მწერლებისა და გადამწერების მუშაობა. მოვიგონოთ ათონელები, ხანძთელი, მიქელ თამარიშვილი, იოანე ხელაშვილი და სხვანი.

1910 წელს ფრანგულად დაიბეჭდა დიდი ქართველი მეცნიერისა და პატრიოტის, პატრი მიქელ თამარაშვილის შვიდას-გვერდიანი შრომა „საქართველოს ეკლესის ისტორია“, რამაც მთელი ევროპა აახმარა. ის შეფასდა, როგორც „ახალი ისტორიული გამოცხალება“ და „აღმოჩენა“. პაპია პიუს მეათემ კარდინალ მერი დელ ვალის პირით სამოციქულო კურთხევა შეუთვალია, „როგორც ჯილდო ბრწყინვალე შრომისა-თვის“ (თამარაშვილი დაიღუპა 1911 წელს ხმელიაშუა ზღვაში, ვიღაც საეჭვო „მოყვასის“ გადარჩენის ცდის დროს).

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთაო“, — თქვა პოეტმა. საინტერესოა, როდის ითქვა ეს და ვინ თქვა. საქართველოს მეფე-პოეტმა თეიმურაშ I-მა დაწერა დაახლოებით 1650 წელს, როცა ანალოგიური თქმისათვის დახმარეთში კველას განკვეთა, წამება და კოცონი ელოდა. ეროვნული სილალითა და თავისუფლებით ნაკარინახევი ეს თავისებურება ქრისტიანობისა იმას მოწმობს, რომ ჩვენთვის ჩრდილის

და თავისუფლება განუყოფელი რამ ყოფილან, და მარტო ხა-
ლოცავად არ გვქონდა წიგნი „საღვთო წიგნი ბევრი წახდა
უყოთა და უბუღობით, საშაიროს ინახავენ სტაერის ბუდეში თავის
ან ნახლობით“... ასე უპირისპირდებოდა გარკვეულ ვითარე-
ბაში შაირი და ლოცვა, საღვთო და საერო, ღოგმა და აზ-
რი, — უველგან, საღაც საერთო-საქვეყნო ინტერესები არ
აერთიანებდა ამ ორ სამყაროს.

* * *

ქართული სახარების ენა, იოანე-ზოსიმეს ქებული „საწა-
მებელი ენაა“, რითაც იესო განსჯის ცოდვა-ბრალს. ეს რწმე-
ნაა.

ქართული ოთხთავი—ჩვენი ეროვნული ლიტერატურის
უჭერნობი ძეგლია, ტყავგადაკრულ ხის გარეკანში ჩასმული,
ძვირფასი ფერადი სურათებით და ორნამენტებით მორთული,
დიდი ხელოვნებით გადაწერილ-შემკული... მისი მრავალი რე-
დაქცია და პირი არხებობს: პადიშის (897), ოპიზის (913),
ჯრუშის (936, იღუსტრაციები 940 წლისა), პარხლის (973),
ტბეთის (995), ხანმეტური, ექვთიმე და გიორგი ათონელები-
სა... ეს უკანასკნელი იქცა დასაყრდენ ტექსტად, მაგრამ მას
საფუძვლად დაედო ჯრუშ-პარხლის ვარიანტები. პადიშური
კი, ზოგიერთი გამონაკლისით, სრულიად სხვა, განხე მდგარი
რედაქცია აღმოჩნდა (ა. შანიძის, რ. ბლეიკის, ი. იმნაიშვი-
ლის და სხვათა კვლევა-შედარების შედეგად).

ეს ოთხთავი ჩვენი კულტურის დიდმა მომავემ ვანტანგ VI გამოსცა 1709 წელს (მთაწმინდის რედაქცია) და შემდე-
გაც მრავალჯერ გამოცემული (მათე, ს.—პეტერბურგი, 1909,
მარკოზი, 1911, ხოლო 1928 წელს ივივე მარკოზი პარვარდის
უნივერსიტეტის პროფესორმა რ. ბლეიკმა პარიზში გამოსცა).

ჩვენშიაც და უცხოეთშიაც დიდი ხანია სჯა-ბასი და
კვლევა-ძიებაა იმის თაობაზე, თუ საიდან ითარებმნა ქართული
სახარება-ოთხთავი: ბერძნულიდან, სირიულიდან, კესარიუ-
ლიდან თუ ლათინურიდან. ისეთი ავტორიტეტული სწავლუ-
ლი, როგორიცაა რ. ბლაიკი, მეცნიერული ანალიზის საფუძ-
ველზე აცხადებს: ქართული ტექსტი ბევრად უფრო ძველია,

ვიდრე შრავალი სხვა ძველი ტექსტით. სხვა შეცნიერებიც და
პარფული კესარიულის აღსაღევნად ქართულს ეყრდნობიან.

ქართველ მთარგმნელებს რომ ხელთ ბერძნული და სხვა
საიმედო წყაროები ქეთნიათ, ამის მოწმობს თუნდაც გიორგი
მთაწმინდელისეული ხელნაწერის მოკლე შენიშვნა, რაც მა-
თეს სახარების ერთი მუხლის თარგმანს ეხება: ჯრუჭ-პარხ-
ლის სახარებაში ეს მუხლი (მათვ. 24,36) ასე იკითხება: „ხო-
ლო დღისა მისთვის და ეამისა, არავინ იცის, არცა ანგელოს-
თა ცისათა, არცა ძემან, გარნა მამამან მხოლომან“. ამაზე
მთარგმნელი შენიშვნავს: „არცა ტემან, — ესე სიტყვაი სამთა
ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერეთ“ (ეს
ფრაზა არც 1879 წლის შშვენიერ გამოცემაშია შესული).

აქ არ არის დრო და ადგილი მაზე შსჯელობისა, მაგრამ
ქართული თარგმანი ისე ღრმა, პოეტური, ლამაზი და ზუსტია.
რომ შეუძლებელია თარგმანთა თარგმანიდან იყოს შესრულე-
ბული. ესაა ნაშრომი დედინის არხის ღრმად მცოდნე, განსწავ-
ლული და ნიჭიერი მწერლისა, რომელსაც, გოეთეს თქმა რომ
ვიხმაროთ, „უფლება აქვს უხეშიც იყოს, ოღონდ იმ საქმეში,
რომელიც იცის“.

ქართულ ოთხთავთა ხელნაწერები შემკულია შინიატურე-
ბით, ორნამენტებით, ქართული ხელოვნების მშვენებაა შათი
იღრუსტრაციები, ქართული ეკლესიების შემკულობანი, ბეშ-
ქენ და ბექა ოპიზარების მოქედილობანი და გამოსახულებანი,
უბისის მოხატულობა, ჯვრების კოლექცია (IX ს. ჯვარცმა,
ძელი-ჭეშმარიტი, ანჩისხატის, ჩხარისა და უბისის, წალენ-
ჯიხის და გვლათის, ყინწვისის და იფრარის მოხატულობანი,
ფრესკები, ჯვრები, ხატები...). ეს ძეგლები შით უფრო ვე-
ოცებენ, რომ ეს მაღალი ღირებულება იქმნებოდა სისხლის
წვიმაში, და შემოსეულ მტერთა მნგრეველმა ქარიშხალშა
უველავე სახტიკად ჩვენი ტაძრების თავზე გადაიქროლეს.

ჰადიშის სახარება, მაგალითად, საუკუნეების განმავლობა-
ში ინახებოდა სვანეთის სოფელ ჰადიშში, არწივის ბუდესავით
რომ გადმოსცექერის დიდებულ სახახებს. მრავალსაუკუნოვა-
ნი კოშკის თავზე ფიჭვი ამოსულია. აქ 500 წელი ისვენებდა
ნიკოლოზ ჯუმათელის ზრუნვით შატბერდიდან გამოტანილი
უნივალური ხელნაწერი. ეს კოშკი ერთ დროს ბულა და მექ-

მურზა ავალიანების კუთუნილება იყო. მერე მათი მუმავაზ-
რის აფრისიონ ავალიანისა, და ასე მოღის ღლემდე ღვევნდა მუქი ზოლებისა, კოშქს რომ ჩამოხდევს ჩაკირულ კადალზე.
ეს თურმე მმათა ხისხლია, რომელთაც თავი შესწირეს ხელნა-
წერის შენახვას, ან იმ თერთმეტი ურჯულო გადამთიერისა,
რომლებიც ამ კოშქში მოუკლავთ (იხ. ჩაედენ ავალიანი, „ა-
დიშის კოშკია მოწამე“, „სოფლის ცხოვრება“, 1972, 24 ივ-
ლისი).

პალიშის სახარება უკვლევიათ გრაფის ქალს უვაროვას,
ა. ხახანაშვილს, ნ. მარს, კ. კეკელიძეს, ა. შანიძეს, რ. ბლეიკს,
გ. ჩუბინაშვილს, ს. ყაუხჩიშვილს, თ. გონიაშვილს... 1916 წ.
შისი პირი ე. თაყაიშვილმა გამოსცა მოსკოვში (Материалы,
ტ. 14). დღეს ეს ხელნაწერი მესტიის მუზეუმში ინახება.

* * *

ახალი აღთქმის ახალი გარიანტის ქართულად თარგმნით
სრულდება ტაქსილის ტრილოგიის გადმოქართულება. მთელი
„სახალისო სახარება“ ავტორს წარმოდგენილი აქვს, რო-
გორც ერთგვარი დრამა, რომლის დასახრულსაც ფარდა ვჰ-
ვება. მაგრამ გააჩრება ახლებურია და კრიტიკული. ამიტომ
ვეძის ახალ დადგმას.

ქართული ტექსტი ძალაუნებურად გასცილდა ჩვეულებ-
რივი პუნქტუალური თარგმანის ფარგლებს. ქართულ ოთხ-
თავს დიდი ისტორია აქვს. ამასთან დაკავშირებულმა განმარ-
ტებებმა, ძიება-შეჯიბრებამ, დამატებითი მასალის, შენიშვნე-
ბისა და ლექსიკონის საჭიროებამ, ცნობებმა სახარების თემის
ხელოვნებაში ასახვის ისტორიიდან. უზუსტობათა შესწორე-
ბამ და ა. შ. წიგნი საგრძნობლად შეავსო. ვფიქრობთ, ეს
ამდიდრებს და არაფერს ვნებს თარგმანს. ქართველი მთარგმ-
ნელი არავითარი აუცილებლობის წინაშე არ იდგა, რომ ზუს-
ტად მიძყოლოდა აეტორისეულ დედანს და დაკმაყოფილე-
ბულიყო მისი ციტატებით ძველი დედნებიდან. ჯერ ერთი,
ჩვენ გვაქვს ორივე აღთქმის კლასიკური, უძველესი თარგმა-
ნი და ჩვენც საჭირო შემთხვევაში ოდნავ გაეზარდეთ მხატვ-
რულად საინტერესო ციტატების მოცულობა, სადაც წიგნი

ამის საშუალებას იძლევა. ამ მხრივ ერთგვარი თავმოუწყდება რუს მთარგმნელებსაც გამოუჩენიათ. ჩვენი ძეველი თარგმანი სალიტერატურო ენის საუნჯეა და მკითხველსა თუ შემოქმედს აინტერესებს მისი წარმოდგენა რაც შეიძლება მეტი სისრულით. გაუგებარ იღვილებს, არქაიზმებს ფრჩხილებში განმარტება დავურთეთ, რადგან წიგნი მკითხველთა ფართო მასებისთვისაა განკუთვნილი.

თარგმანზე მუშაობის დროს ხელთ გვქონდა ყველა ქართული ხელმისაწვდომი გამოცემა (დასაყრდენად კი — ა. შანიძის ეული გამოცემა, ჯრუჭ-პარხლისა და ქადიშის ვარიანტებით, იგრეთვე 1879 წლის სრული ქართული გამოცემა), რუსული და ძველი სლავური თარგმანები, ლუთერის სრული გერმანული თარგმანი, მრავალი დამხმარე წიგნი. სიტყვის შერჩევისას ხშირად უპირატესობას ვანიჭებდით პალიშის სახარებას, როგორც უძველეს და თავისებურ ვარიანტს, ხაერთოდ კი — უფრო ნათელ, გასაგებ ვარიანტებს.

დავსახელებთ ორიოდე მაგალითს. არსებობს იქსოს განწყობის და სიტყვების სამკვარი თარგმანი: „და იწყო დასულებად და ურვად“ (ჯრუჭ-პარხალი); „და იწყო გულის სიტყვად და ურვად“: „მწუხარე არს სული წემი ვიდრე სიკედილამდე“. ჩვენ ვამჯობინეთ ეს უკანასკნელი ვარიანტი.

ოთხთავის ცნობილი ვარიანტები IX-X საუკუნეებშია გადაწერილი, მაგრამ ესაა V-VI საუკუნეების ქართული ენის ძეგლები, ამდენად მათი მნიშვნელობა დიდია და ამ თარგმანს ესეც გარკვეულ წონას აძლევს.

* * *

ამრიგად: ჩვენ ვაერთიანებთ ოთხსავე სახარებას, ვაცლით რელიგიურ საბურველს და რჩება დიდი მხატვრული ნაწარმოები, არა მხოლოდ მორწმუნეთა მახარობელი. ტაქსილის მორიგი ტრაგიკომიკური სპექტაკლი უთუოდ მოეწონება ყველას, კისაც მოსწონს ხალისიანი თავგადასავალი (დეტექტივის ელემენტებით!), მხატვრული სიტყვა და სიმახვილე კონებისა.

აპაპი გელოვანი.



ერისთავ გავშვილა

ზეპირის ექლვა

ఎట ఇట్లుటా తొం లోడ్లు చెప్పినా ఉర్కించి
క్రానిసింగాలు మిల్లులు కుంటియి, నుమిలుసా శాశ్వత-
లు తొప్పిగా, శ్రేష్ఠులుపీఅ ఉదంశి ఇట్లు తొం-
క్షుర్భింగిసా మిస అంగిసా, డా ప్రోలి మిసి అశ్వాల-
టాగ్యాం ఎప్పినిసింగా, డా శాశ్వతులి చిసి క్రొ-
సాంగ్రామ. డా గ్యూస్క్స నుంచి క్రొ క్రొంగ్ రథినిం-
సా పూర్తాలు, డా క్రొంగ్లుప్పు క్రొంగ్లుతా మిస్క్రొంగా
సింగింగ్లుసా క్రొలుసింగా క్రొంగ్లింగి. డా అంగ
ప్రొఫ్స్ తొం చ్యూపులు, నుమ్మెం క్రొలుసింగ్లుడి స్పృ-
ధ్యుల్లి, డా నుంచి క్రొంగ్లుప్పు క్రొంగ్ క్రొంగ్లు
ప్రొఫ్స్.

ລາວ, ວ. 1, ດົບ. 5-7.



ას უამსა შინა ჯერაც არ შობილიყო სიტყვა, ესე იგი უფალი ქრისტე¹. იერუსალიმელ მღვდელთა შორის გახლდათ ერთი ლევი-ტელი², რომელსაც ერქვა ზაქარია^{*}.

“უდეის მოებში. ცოლიც ჰყავდა, სახელად ელისაბედი (ებრაულთა მღვდლებს ქორწინების უფლება ქქონდათ). მოციქულ ლუკას სახარების თანახმად, „იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ, და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი“ (ლუკა, 1, 6). მაგრამ მეუღლეთა უბიწობას მყაცრი გამოცდა ელო-

და, იქნებ ფიქრობთ, რომ მორწმუნენი მათს ყელაბაში ფულს ან ყრიდნენ? არა, საქმე ეს როდია.

ზაქარია და ელისაბედი იმისათვის დარღობდნენ, რომ კველი ცდისა და ღონისძიების მიუხდავად შვილი არ უნიდებოდათ.

მღვდელი და მისი ცოლი ჩავა ჯელები აღარ იყვნენ. კიდევ რამდენიმე უნაყოფო წელიც და ყოველგვარ იმედს დაკარგავდნენ. უშვილოდ და უძროდ გადაეცებოდნენ კიდეც ეს მით უფრო საწყენი და სავალო იქნებოდა, რომ ებრაელებს უშვილობა სამარცხვინოდ მიაჩინიათ და უძეო ცოლ-ქმარს ერთიმეორეს აითით უჩვენებდნენ: უგრ, ბედშავნიო!

ზაქარია თავის ჭერაშე აღარ იყო. ამასობაში მისი მორიგეობის დროც დადგა და იერუსალიმში გაიწვიეს. რაღა თქმა უნდა, ტაძარში სამსახური ძალიან არ ეხალისებოდა, სიამოვნებით დაკადებოდა შინ და ცოლს დაეხმარებოდა კომბისტოს მოყვანაში, იმ ჯადოსნური კომბისტოსი, რომელშიაც ხანდახან ყმაწილებს პოელობენ ხოლმე: მაგრამ წესისა და რიგის ფასი რა იქნება! ლევიტელი მორწმუნებს უნდა ემსახურებოდეს, იმისთვისაა ლევიტელი.

პოდა, ზაქარიაც ბეზღუნით გაემართა იერუსალიმს. საბედნიეროდ, ყოველ შედალს უკანა მხარეც აქვს და ორიდან ერთი მხარე მაინც სასიამოვნო უნდა იყოს. მღვდლებს სხვადასხვა მოვალეობანი წილისყრით ერგებოდათ ხოლმე. ზაქარიას საკმევლის კმევა ერგო³. უნდა მოგახსნოთ, რომ ამასჲ დიდი პატივი მღვდელს არც ერგებოდა. კმევა უბრალო საქმე როდი გახლდათ, რადგან ებრაელთა ღეთისმსახურება უაღრესად საზეიმო ვითარებაში ხდებოდა და ბევრი საკმეველიც იხარჯებოდა.

უწინარეს ყოვლისა, უწინდესი სამლოცველო დარბაზის შიგ

შეამო მესიახე; მესამე — რიგითი მღვდელი, იოანე ნათლისმცემლის მამა, ღმერთისა დაამუნება იმისათვის, რომ ეპერ შეიტანა ანგელოზის განტხადებაში: ამ სიბერეში შეიღი გაეოდებათ. „მსაცავად წეველებისა მღვდელობისა, ჰეკლა მას საცეკველისა კმევა და შევიდა ტაძარის უფლისისა... და ენკენა მას ანგელოზის უფლისა... და შეპრეზენდა ზაქარია, იხილა რა იყა, და შემი დაეცა მას ზედა. პრექა მას ანგელოსმან მან: წე გეშინიან, ზაქარია, რამეთუ შეისმეს ერდრებანი შენია და ცოლვან შენინ ელისაბედ ვაშვეს შენ დე და უწოდე სახელი მისი იოანე“ (ლუკა, 1, 9—13). ე. ი., ეს იყო წეველებრივი მღვდელი და განლილებულია იმისათვის, რომ შეა ითანე ნათლისმცემელი, კინც ქრისტე მონალი. (სქოლის შენიშვნები ყველა გან აკადემიურანისაა. რედ.).

შეუგულში, უზარმაშარ შევადსანთლიან ქორკანდელსა და პატარია-
გიდას შორის, რომელშედაც წმინდა პური იდო, ოქროს საკურთხე-
ველი აღმართულიყო. რას იტყვით? განა ეს ფუფუნება არ არის?
შარტო ასეთი ქორკანდელი რად ღირს! დიდებული საკურთხეველი
ფარდით იყო გამოყოფილი მეორე განყოფილებიდან, რომელსაც სა-
ნაწილე ერქვა: იქ ინახებოდა წმინდა ნაწილები, წმინდა სჯელის
კიდობანი. რასაკვირველია, ეს განყოფილება კიდევ უფრო წმინდა-
თაწმინდად ითვლებოდა, რადგან სწორედ იქა ბრძანდებოდა ძლე-
ვამოსილი ღმერთი იაღვე, იგივე იუღოვა, უზენაესი უფალი სა-
ბაოთი.

სანაწილეში შესვლის ნება ყველას კი არ პქონდა. ასეთი პატი-
ვით მხოლოდ მკმეველი სარგებლობდა. როცა ის იერუსალიმის ტა-
ძარში გამოჩენდებოდა, მთელი ბრძო ხალისიანი პიმნების გალო-
ბას დაიწყებდა ხოლმე, ტაძარში სანთლებს ააციმციმებდნენ, ყვე-
ლანი მოწიწებით გაიწევდნენ და მკმეველს გზას უთმობდნენ. მკმე-
ველიც, რა თქმა უნდა, პატივს იფერებდა, ბრძოს უკან ტოვებდა,
ზღუდეშე გადააბიჯებდა, საფუხურებს აუჩქარებდა აივლიდა, სა-
კერთხეველზე მარტოდმარტო დადგებოდა და როგორც კი მღვდელ-
მთავარი ნიშანს მისცემდა, ნელსურნელებას ცეცხლში ისროდა.
სწორედ ეს გახლდათ უწმინდესი გუნდრუკი, საკმეველი, დანამას-
ტაკი — სიმბოლო მორწმუნეთა მიერ ცად აღვლენილი ლოცვა-
ვედრებისა. მკმეველი ხალხს დარბაისლურად დაუკრავდა თავს და
სანაწილეში გავიდოდა. ამასთან უქან-უკან მიიწევდა და ისე მიღი-
ოდა, თორებ თუ საკურთხეველს ზურგს შეაქცევდა, ღმერთმა დაგ-
ვიფაროს! სანაწილეს რომ დატოვებდა, ზარის წერიალი მიაცი-
ლებდა, თავის მხრივ კი ხალხს ლოცვავდა. იმავე დროს ლევიტელ-
ნი აპყვებოდნენ, ლოცვებს დაღადებდნენ და სამლოცველოს მთელს
ამ სოდომიგომორში დიდხანს გაისმოდა მათი მწყობრი გალობა. ო,
ეს იყო სანახაობა ჭეშმარიტად დიდებული, ჩინებული, გრანდიო-
ზელი — პირდაპირ ვერ აგიშერთ!

ეს ცერემონია ისე აღანთებდა და აღაგზნებდა ყველა დამსწრეს
და მონაწილეს, რომ ყოველ მათგანს რაღაც საიდუმლოებით მო-
ცული ცახცახი აიტანდა. ამა წარმოიდგინეთ: სანაწილეში შესუ-
ლი მოციქული, მკმეველი მღვდელი ხალხის ლოცვას ცად აღავ-
ლენდა, ღმერთს აუწყებდა, აუწყებდა გუნდრუკის კმევით. გუნდ-
რუკი ფარდის მიღმა იკმეოდა, წმინდა გვამლი ცაში ადიოდა. საკ-

შარისი იყო იაღვეს არ მიეღო, უარესო მისი შესაწირავი, საკმარისი რისი იყო რაიმე დაუდევრობისათვის მდვდელი დაქსაჯა, რომ მისი სასჯელი თავს დაატყდებოდა მასთან ერთად მოელი ისრაელის ხალხს, და ყველა ებრაელს განურჩევლად შემუსრავდა მძიმე სნე-ელემბა⁴: ღვთაებრივ ამშებთან ხემრობა არ ვარგა. აი, რატომ ელოდნენ გელის ფანცქალით მემეველის დაბრუნებას სანაწილიდან. რა პასუხს მოუტანს ხალხს უზენაესი და მარადიული ღვთაებისაგან? ეს კითხვა აწესებდა ყველას, ვინც ტაძარში იმყოფებოდა. დიდხანს ლოდინით რომ მორწმუნეთა გელი არ გადაელია, მემეველი ჩვე-ელებრივ ყოველთვის ცდილობდა დროშე მიეტოვებინა წმინდა კი-დობანი და მაღლე დაბრუნებულიყო საკურთხეველთან.

ამჯერად კი ზაქარიამ რაღაც დიდხანს დააყოვნა. ისრაელთა შეილები საფუძვლიანად შეაშუოთა ამ ამბავმა. ხემრობა საქმე ხომ არ იყო: გადიოდა წამები, წეტები, გადიოდა წამებით, ყო-ველი წეთი საუკუნედ ეჩვენებოდათ, ზაქარია კი აგვიანებდა. საშ-ველი არ დაადგა მის გამოსელას.

ბოლოს, როგორც იქნა, ფარდა გადასწია და ცხვირი გამოჰყო. მაგრამ რა ცხვირი, არ იყითხავთ? უზარმაზარი, დაუკერებლად დაგრძელებული! კუშტად და დაღვრემილად ჩამოეშვა ცხვირი ძირს შეშფოთებულსა და შეჭირვებულ ზაქარიას. ამ ჩამოშვებული ცხვი-რისა და შეშინებული სახის პატრონს მთელი ტანი ვერხვის ფო-თოლივით უცახცახებდა. ხომ არაფერი მომხდარა ფარდის უკან?

დიახ, იქ ნამდევილად მოხდა წარმოუდგენელი რამ. ასე რომ, ყური მომაპყარით და ძრწოდეთ!

ვიდრე ჯერ კიდევ სრელ ჭკუაშე იყო, ზაქარიამ ასეთი გა-დაწყვეტილება მიიღო: „რაკი ასეთი ბედი მერგო, რომ მამაზე-ციერს ვევედრო იმ სამწყსოს სვებედნიერება, რომელიც ჭირივით მეჯავრება, ერთი პატარა პირადი სათხოვარი მაინც უნდა შევბე-დო უცილავ საბაოთსო“.⁵ თქვა ასე, თავი მიწას დაქერა, ძირს გაიშ-ხლართა და დაიწყო ჩურჩელი:

— ღმერთო ეფალო ცათა შინა, ყოვლის შემძლეო, ხომ ვერ შემეწევი ერთ პატარა საქმეში: ხომ ვერ განკურნავ უშეილობის სენისაგან ჩემს ცოლს? გვევდრები, ისე მომიგვარე საქმე, რომ ჩემს ელისაბედს შეილი ეყოლოს და წე მანვეწნინებ დიდხანს.

ზაქარიამ მუხლი მოიყარა და მღლოცველის მდგომარეობაში სული განაბა.

ჭამოდგა თუ არა, ცხვირწინ სახეგაბადრული ანგელოზი იძილა. გაგ ჩერჩეტს უნდა გახარებოდა; ის კი არა, დაიბნა და გული გადა-
უქანდა: როგორ წარმოიდგენდა, რომ უფლის შიკრიკი მოქველინჯ-
ბოდა! ანგელოზს მისი დაშოშმინჯბაც მოუხდა:

— ნუ გეშინია, ზაქარია, ყველა ზაქარიაშე უფრო დალოცვილო
და სვებედნიერო! — უთხრა ანგელოზმა. — იცოდე, შენი ღოცვა
შესმეხილია და უფალმა ყურად იღო. განსაკუთრებული რეტროაქ-
ტიური ძალით, რაიც მიუწადომელია უბრალო მოკვდავთათვის,
ღმერთი შენი მეუღლის გარდაქმნას, ტრანსფორმაციას მოახდენს.
შენი ელისაბედი შინ უდაბნოსავით უნაყოფო და ბერწი დატოვე,
მაგრამ გავა ცხრა თვე და ვეღარ იქნობ. მეტსაც გეტყვი: შენ გე-
ყოლება შვილი და ეწოდებ სახელად იოანეს. დიდი სიხარული
მოგელის, და ისრაელთა ცვილებიც შენთან ერთად გაიხარებენ.
შენი შვილი არ დალევს ღვინოს და სხვა მათობელა რამებს.
ხალხში ქადაგებას დაიწყებს და ხალხი ერწმუნება: ფხიზელს ხალ-
ხი ყოველთვის უჯერებს. მრავალ ერწმუნოს მიიყვანს უფალ ღმერ-
თთან. დაბოლოს, მოხუცო კაცო, ერთ განსაციფრებელ ამბავსაც გე-
ტყვი: შენი შვილი მესიის წინაშორბედი იქნება¹⁵.

ზაქარია საკუთარ ყურს არ უჯერებდა. ნამდვილად მასხარად
მიგდებსო, და ანგელოზს ასე უპასუხა:

— ბატონო ჩემო, უფალი ღმერთი მეტისმეტად გულეხვად
მასაჩუქრებს, მე ხომ ამდენი არ მითხოვა! ხომ არ დამცინის? და-
ვუშვათ, რომ დაგიჯერეთ. რით დამიმტკიცებთ, რომ ნამდვილად
ღვინის მოგზავნილი ხართ?

ზაქარიას ეჭვმა ანგელოზი ძალიან გაანაწყენა.

— ცუდია, ცუდი, ბებერო, — უპასუხა, — აბა როგორ გვკად-
რება ასეთი საქმე? მე შენთან მოვედი მეგობრულად, მამა საბათ-
თის დავალებით, შენ კი ეჭვით მიცერი, გამასხრება მოგინდო-
მებია! ეს მეტისმეტია! მაშ იცრდე. მე გაბრიელ მთავარანგელოზი
ვარ, პნევლოზთა მთავარი, საბათის მარჯვნა ხელი. ხოლო იმი-
საოვის, რომ ამიერიდან ეჭვი გულში აღარ გაივლო და ზედმეტი
ახსნა-განმარტებები არ მოითხოვო, ამ დღევანდელი დღიდან იმ
დღემდე, როდესაც განგების ნება ასრულდება, ენა დაგებმება და
შეტყველების უნარს დაკარგავ.

ამ სიტყვებზე მთავარანგელოზი აფრინდა, ჭერს მიაშურა და
გაოგნებულ ზაქარიას მშვიდობის სიტყვაც არ დაუტოვა.

ახლა თქვენთვის გასაგებია, თუ რატომ შეონდა ასეთი საცო-
დავი სახე, როდესაც მღოცველებთან დაბრუნდა.

ამაოდ აყრიდნენ კითხვებს.

— აბა, რას გვეტყვი?.. რა მოხდა?.. იღაპარავთ, ბატონი მოძ-
ლვარო, რა, ენაზე კლიტე დაიდევით?

ზაქარია მხოლოდ თავს აქვევდა და რაღაც დაუნაწევრდეს
ზერებს ლუდლულებდა, სხვა საგულისხმო მისგან ვერაფერი მო-
ისმინეს.


იმ დღეს ისრაელთა შეიღები მძიმედ შეჭირვებული წავიდნენ
დასაძინებლად და მთელი ღამე გელზე შაჯლაჯუნა აწეათ.



იოანე ნათლისმამალი

და შემდგომად დღეთა მათ მიედგა (ე. ა.
დათვისულდა) ელისაბედ, ცოლი მიხი, და
იტარებდა თავსა თვისისა ხეთ თვე და იტ-
ყოდა: ვითარჩედ ესრულ მიყო მე უცალმან
დღეთა ამით, რომელთა მისედგა ჟყო მის-
ძოლებად ყველრება წერი კაცთა შორის.

ლუკა, 1, 24-25.



ამსახურის ვადა რომ გავიდა, ზაქარია
დაუყოვნებლივ შინ დაბრუნდა. მალე მისი
ბერწი მეუღლის მუცელმა თანდათანობით
იმატა. ამ ამბავშა მეზობლებს ენა დააგ-
რძელებინა, მხოლოდ მისი ქმარი იყო ისევ
ისე მუნჯი და „ვე შემძლებელ სიტყვად“. ებედური ზაქარია არა
მარტო დამუნჯდა, არამედ დაყრუდა კიდევ, თუმცა ეს განგების
განაჩენით სულაც არ ყოფილა გათვალისწინებული.

ამის მიუხედავად, ზაქარია კიდევ ხედავდა და კიდევ გებუ-
ლობდა, რომ ხალხი დასკინოდა მაღამ ელისაბედს, ამ სიბერეში
რომ უცირად დაორსულდა. ამიტომ უკანასკნელი ხეთი თვის გან-
მავლობაში თავის მეუღლეს ჩაღავდა, რომ უცხო თვალს არ დაე-
ნახა. „ასეთი გამოკვეტვა სრულიად ბუნებრივიაო, — ამბობენ გა-
თოლიკე ღვთისმეტყველნი, — ავი თვალისა და ჭორიკანა ხალ-
ხის აცყარობისაგან ხომ უნდა დაეფარა განგების ნებით მუცლად-
ღებული ქალი!“ რა სათქმელია, პირდაპირ დაუჯერებელი სას-
წაულია!

მაგრამ გავიდა ცხრა თვე და ელისაბედს გაუი ეყოლა. ანგელო-
ზის წინასწარმეტყველება ასრულდა, მაგრამ ეს ეშმაკური წინას-
წარმეტყველება ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო აღსრულებული.

გამრიელმა ხომ ასე აუწყა ზაქარიას: როგორც კი ვაჟი შეგვძინება, ენაც გაგეხსნებათ. სინამდვილეში კი ასეთი არაფერი მოშრდარა: მღვდელი უწინდებურად ყრუ და მუხი იყო, შაგრამ ამასაც თავისი მიზეზი პეტონდა: ღმერთს უნდოდა ენის ადგმა ხალხის თვალწინ მომხდარიყო. მართლაც, რა აზრი უნდა პეტონდეს სასწაულის მოხდენას ჩაკეტილ სახლში, სადაც ვერავის გააკეთებულ?

ამრიგად, ზაქარია ყრუ-მუნჯი იყო იმ დღემდე, როცა ებრაელთა ძველი წყეულების თანახმად ბიჭის დაბადება საქვეყნო დღეზეიმით უნდა აღნიშნათ. ეს იყო წინადაცვეთის ადათი. დაბადებიდან ერთი კვირის შემდეგ ყშაწვილი, რომელსაც ანგელოზის ბრძანებით ითანე უწოდეს, იერუსალიმში ჩაიყვანეს და იქ საზეიმო ვითარებაში ჩაუტარეს პატარა ოპერაცია, რაც ებრაელთა და მუსულმანთა რწმენით იგივეა, რაც ნათლობა.

აქ კი ზაქარიამ ეცებ შექყვირა:

— პო-პო-პო, რა კარგია, ხალხნი! მე უკვე ლაპარაკი შემიძლია! ჩემო კეთილებო, მე უკვე ვლაპარაკომ!

ახლა კი აეშალა ლაპარაკის საღერღელი და მთელი ამ ცხრა თვის დუშილი ერთბაშად აინაშლაურა: მოქვა გრძელი ლოცვის ღაღადს უფალ საბაოთის სადიდებლად.

მოდით და ეს სიტყვა დავიმოწმოთ. სახარებაში ხომ ის მთლიანად ჩაწერილია და ასე იწყება: ზაქარია აღივსო სულითა წმიდითა, წინასწარმეტყველებდა და თქვა:

„ეპერთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაილისა, რამეთუ მოქსედნა და ჰყო ხსნა ერისა თვისისა. და აღმიღვინა ჩვენ რქა ცხოვრებისა შორის სახლსა მას დავითისა, მონისა თვისისა...“ და ასე შემდეგ (ლუკა, 1, 68—69)

სწორედ ასეა ნათქვამი სიტყვა-სიტყვით, არაუერს ვიგონებ. შაგრამ განა ღირს ზაქარიას შებრალება იმისათვის, რომ თავისი რქები უხაროდა, ცოლის თავას მოჭრა ქვეყნის ხსნად მიაჩნდა?

ყრმა ითანე იშრდებოდა, დედ-მამის ზრუნვით გარემოცული. მაგრამ განა ღირს საინტერესო ამბავი ხდებოდა. როგორც კი დროს მოიხელოდა, ითანე მშობლებს გაურბოდა, გარე-გარე დაეხეტებოდა და საათობით ებაასებოდა საკუთარ თავს.


როგორც ხედავთ, ითანე მართლაც წინამორბედი იყო იმ მე-სიისა, რომელსაც ებრაელები მოუთმენლად ელოდნენ.

როდის და როგორლა იშვა თვითონ მესია, მაცხოვარი? სწორედ ამაზე გვაქნება ლაპარაკი მომდევნო თავში.

სული ხილვის ჩართვა

და ქრისტიანობის მან: ნუ კეშინ-
ნინ, მარიამ! რამეთე ქმოვე მაღლი ჭინაშე
ღმინთისა. და ქრისტიანია, შენ შეცდად იღო
და ქრისტე და უწიფერე სახელი მისი: იქნი.
ეს იყოს დიდ და ძე მაღლის ეწოდოს, და
მისცემს მას უფალმან ღმიერთმან საყდარი
დავითის, მამისა თვისისა.

ღუჯა, I, 30-31.



ჸ, რა მარჯვე ვინმე იყო ეს გაბრიელ მთა-
ვარანგელოზი, უფლის ახალგაზრდა შიკ-
რიკი! თუ წმინდა წერილს ვერწმუნებით,
ძალიან უყვარდა ოჯახების აფორიაქება,
წინდაწინ ახარებდა ხოლმე ძეობას, მატე-
ბას. ჩვენ უკვე ვიყავით იმის მოწმენი, როგორ გააფრთხილა ზაქარია,
ვაჟიშვილი შეგეძინებათო და სახელიც კი შეურჩია. ახლა მეორედ
ვისილავთ იმავე როლში, და სადა გგონიათ? ელისაბედის მამიდა-
შვილთან.

ელისაბედის* ახლო ნათესავი, სახელად მარიამი, გალილეაში
ცხოვრობდა, პატარა მიყრუებულ ქალაქ ნაზარეთში. ტანიორნიილი
შავეგრძემანი მარიამი შესახედავად მომხიბლავი იყო. ეს ქორფა
ქალიშვილი ნამდვილი გემრიელი ლუკა გახლდათ, რომელი მეცა
დაიწუნებდა!

იმხანად იუდეის მეფე იყო ვინძე იროდი, უფრო სწორად

* ელისაბედი (ებრ. „ჩემი უიცია ღმერთი“), ლეთისმოსავა ქალი, მე-
ორედ გვხვდება ბიბლიიში. პირველი მათვანი აარონის ცოლი იყო. (სქო-
ლით შენიშვნები მთარგმნელისაა. რედ.).

პეროდე⁷, რომელსაც ებრაელები ნამდვილ მეუღლ არ ცნობდინ. ეს მონარქი რომაელებმა წამოასკუპეს თავზე და ყოველი ებრაელი გეტულდათ, რომ ისაა უძრალო მეტიჩარა, რომელმაც ვანონიური მეფის ტახტი დაიკავა. ამავე დროს დავითის სამეფო გვარი რამდენსამე შთამომავალს ითვლიდა⁸, მათ შორის იყო ვინმე ხურო, სახელად იოსები.

პოდა, მარიამი შერთეს ამ იოსებს, დავითის შთამომავალს.

ქალიშვილის დედამ ანამ და მამამ იოახიმმა იშთავითვე გადა- წყვიტეს თავიანთი ასული ღმერთისათვის მიუძღვნათ: ჯერაც, პა- ტარა გოგონა ტაძარში მიიყვანეს და იქ საზეიმო ფიცი ჩამოართ- ვეს: არასოდეს არ გავთხოვდები და სიკვდილამდე ბატონ მღვდლებს მოეემსახურებით.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ანამ და იოახიმმა გადაიციქებს. რა მიზეზით? ამასე სახარება დუმს. ასე იყო თუ ისე, იოახიმმა და ანამ გადაწყვიტეს, ჩვენი ასული დურგალ იოსებს უძღბ მივათხო- ვოთო. ადგილი შეხაძლებელია, რომ მმობლები ვალში ჩაგარდნენ და გადასდას რომ ვერ ახერხებდნენ, გაქნილმა იოსებმა სელსაყ- რელი წინადაღება მისცა: ფულს არ დავეძებ, თქვენი გოგონა მომა- თხოვეთო. ასეთი გარიგება ხომ ხშირად ხდება...

მოკლედ რომ მოგჭრათ, ძევლი აღთქმა დავიწყებას მიეცა და ქალის მშობლებმა ასული ზეიმით მიათხოვეს მოხუცებულ იოსებს. ქორწილი იმავე ტაძარში გადაიხადეს, სადაც ღმერთს ქალწულო- ბის აღთქმა მისცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მღვდლები დასაბამიდან განირჩეოდნენ გასაოცარი ღმობიერებით, მათი დაყოლიება მედამ აღვილი იყო. ტურფა ქალი ხომ არსებითად მათი საკუთრება იყო და სულ მცი- რე გამოსახყიდისათვის ასე იოლად დაუთმეს სხვას, თვითონვე და- ლოცეს, როგორც ვინმე ვიგინდარას დალოცავდნენ.

მაგრამ აქ მარიამა დაიწყო ჭირველობა: იოსები პირტიტებულა ჭაბუკი როდი იყო! ეს გახლდათ ხანში შესული, პირქუში, შებლ- გახსნელი, მელოტი, წვერმომვებული და თანაც კიდევ ბუზღუნა კაცი. არა, ასეთი ქმარი არაფერ სიკეთეს არ უქადა. ამას გარდა, მარიამი უფრო სერიოზულად უყურებდა თავის ფიცს.

სიტყვა რომ იოსებზე ჩამოუგდეს, წარბი შეიკრა და შესძახა:

— რასა ბრძანებთ? მე ხომ ქალწულობის აღთქმა მაქვს დადე- ბული, დაგავიწყდათ?

თავისდა საბედნიეროდ, იოხები გაქნილი დიპლომატი იყო თი-
თებით თავისი გაქონილი წვერი ჩამოივარცხნა და ცბიერი ღიმილით
თქვა:

— მომისმინეთ, ქალიშვილო. თუ მხოლოდ ეს მიზეზია, შე-
მიძლია დაგამჟიღოთ. მთელი საქმე ისაა, რომ მარტოხელა კაცი
ვარ და მოწყვენილობა მაწუხებს, ხმის გამცემი არავინა მყავს. ერთი
თუთიყუში მყავდა და ისიც გასულ კვირას მომიჯვდა. ერთი ჩემს
შარვალს დახედეთ! თვითონ საკუთარი ხელით ვიკერებ ღილებს ხომ
ხედავთ, რა ცედად დამიკურებია! მომისმინეთ, უკლი მხოლოდ იმი-
სათვის შესაჭიროება, რომ სალილი დამიმზადოს და ტანის მოსა-
დამიკუროს. აი, როგორ შესმის ცოლ ქრისტობა!

ყველაფერი ეს ისეთი შშვიდი და სათხო ხმით ითქვა, რომ სი-
დედრის თვალში ცრემლი აციმიდა. ქალიშვილს მიუბრუნდა და
ყურში ჩასჩირჩულა:

— ნუ იპრანჭები, სულელი! რაკი მე და მამამუნმა შენი გა-
თხოვბა გადაეწყეტეთ, მორჩა, ურჩობას ვეღარ გაბედავ ძველი
გადაწყვეტილება გრძლიდან უნდა ამოიგდო. ხომ იცი, მამაშენის
საქმე წაღია ვერ წავიდა. რის ვაკავაგლახით გაგაქვს სული. ტა-
ძარში რომ წაგიცვანთ, შლვდლები სამჯერ გაგვაძრობენ ტყავს,
იოხები კი მშილესაც არა გვთხოვს. დამიკურე, მე ეკეთერო!
ამისთანა ქმარს უკასოდეს ვერ ელირსები, იყოდე!

მარიამშა ძირს დაიხედა და ჩურჩულით მიუვი:

— კუთილი, დედა, მე თანახმა ვარ, მხოლოდ იმ პირობით,
რომ ჩემს აღთქმის არასოდეს არ დაგარღვევა...

იოხებმა თავი დახარა და უთხრა:

— ქალიშვილო, თქვენ დიდ პატივსა მდებთ.

მე გახდა მამა იოახიმის ასული დავითის შთამომავლის მე-
უღლე.

ქორწინების მოლოდინში შავგერებანი ასული მშობლების სახ-
ლში ფეხმოუცვლელად იჯდა, კარ-მიდამოს დარაჯობდა, ვიდრე
დედ-მამა სამუშაოდ იყვნენ წასული.

პოდა, მამინ მოხდა, რაც მოხდა. ადრე გასაფეხულზე, მარტის
ერთ სისხამ დილით, როდესაც მარიამი თავის პატარა სენაში იჯ-
და. მოულოდნელად პირმშვენიერი ჭაბუკი გამოეცხადა. ისეთი
ლამაზი იყო, რომ მის ყურებას არაფერი ჯობდა.

ჭაბუქს ბაგეებზე მომჯადოებელი ღიმილი დასთამაშებდა. ქალ-წელს მიუახლოვდა და ასე მიმართა:

— ღილა მშვიდობისა, მარიამ! მართლაც რომ პინანთელი გოგო ყოფილხარ! მაშინვე შეგეტყობა, რომ უფლის ნაკურთხი ხარ! ჩაშ იცოდე, ღმერთი შენთანაა, შემოქმედი ყოველივე მშვინიერისა. შენ უბედნიერესი ქალი ხარ, რადგან ყრმა, შენგან შობილი, ათასჯერ უფრო დალოცებილი იქნება სხვა მოკედავთა შორის.

მარიამი თანდათან უფრო და უფრო საგონებელში ვარდებოდა და იმავე დროს აღტაცებისაგან სახე ებადრებოდა. პირველად ეს-მოდა თავის სიცოცხლეში ასეთი მელოდიური ხმა: დახეთ, რა მშვენიერი ვინმეა, როგორ არა ჰგავს იმ თეთრწვერა ბებერს, რომელ-საც საქმიროდ უმზადებენ!

შაგრამ ყველაზე მეტად მარიამი იმან გააოცა, რომ ყრმის შობა უწინასწარმეტყველეს. ამაზე კი მშვენიერ ჭაბუქს ასეთი პასუხი გასცა: „პრქვა მარიამ ანგელოსსა მას: ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთე მე მამა-კაცი არა ვიცი?“

ასეთმა გულებრყვილო პასუხმა ჭაბუქი უზომოდ გაახარა:

— ამისათვის, მშვენიერო მარიამ, გეთაყვა, ნე შეწუხდები,— უთხრა, — სული წმინდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ! მოკლედ, ეს არაფერ სიძნელეს არ შეადგენს. ჩემი სახელია გაბრიელი და პროფესით ანგელოზი ვარ, ასე რომ შევიძლია შენდო. უზენაესის ძალა გადმოვა შენზე, მერე კი ვნა-ხოთ! დამიჯერე, კეთილო ჩემთ: შენ გეყოლება ყრმა, უწოდებ სა-ხელად იყოს, სხვა კი ყველა ღვთის შვილს დაუძახებს.

ამ წუთიდან მარიამს ყველა ჰჭვი გაეფანტა.

-- აქა, მხევალი უფლისა, — მიუღო კდემით, — დე, იყოს ნება თქვენი.

რა მოხდა ამის შემდეგ ნაზარეთში, იოახიმის სახლში? ამ კი-თხვაზე ერთ-ერთი წმინდა ეპისკოპოსი ასეთ პასუხს გვაძლევს: „ამ წამიდან სიტყვა იქცა ხორცად“. მოკლედ, ნათქვამს ხორცი შე-ესხა.

რა გაეწყობა, ხორცად იქცა და ხორცად იქცეს!

მიქელგამრიელმა თავისი მისია შეასრულა და ფრთხები აიქნია, შერზე ხერელი ნახა და იქ აძვრა, გაუჩინარდა.


უწინდესი ქალწული განაყოფიერდა. სულიწმინდის ჩარევამ ბრწყინვალე შედეგი გამოიღო.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა ერთი უბრალო კითხვა შეიცდა.
ჩემს ძეგლ მეგობარს, ჩვენს უწმინდეს პაპას: რატომ უწოდეს „სარიცავა
ხარებაში იქსო ქრისტეს ხან „აღამიანის შვილს“, ხანაც დამუშავდოთ
თის შვილს“?* აბა დაფიქრდით, ეს ხომ ერთი და იგივე არ არის?
მით უმეტეს, რომ „გაბრიელი“ ებრაულად „ღვთის კაცს“ ნიშნავს.
წმინდაო მამაო, თქვენის მხრივ დიდი თავაზიანობა იქნება, თუ ამას
აგვისნით უასლოეს საეკლესიო ყრილობაზე. თორემ ასე შეიძლება
მორწმუნებმა იფიქრონ, რომ უვანგელისტები ამით ამბობენ,
ქრისტე „ღვთის კაცის“ შვილიაო, ეს კი ახალი ერესის საფრთხეს
ქმნის.

ოღონდ არ იფიქროთ, წმინდაო მამაო, რომ ასეთი მოსაზრება
ჩემგან გამომდინარეობს.

მთელი ჩემი არსებით მორწმუნე კაცი ვარ და კიდევაც მწამს,
რომ მიქელგაბრიელს სულიწმინდის ოინებში არავითარი წილი არ
ედევს. მე რწმენის მომხრე ვარ, ვიცი და მჯერა, რომ წმინდა მტრე-
დი გაბრიელის დაუხმარებლადაც მოახერხებდა საქმის მოგვარე-
ბას.

ეს ბევრად უფრო თავშესაქცევი ამბავია!




* ტაქსილი ირონიულად მიმართავს თავის ძეგლ მეგობარსა თუ მო-
კრეს რომის პაპს, რაღვან ერთ ღრის კარგინალი იყო და პაპის განსა-
კუთრებელი კურადღებით საჩვებლობდა. თავის „მოყვოებს“ უძლენა
„წმინდა ბენაგი“.

თარიღი ელისახებთან

და აღსდგა მარიამ შინა დღეთა შინა და
წარვიდა შინა კერძო შეწირაცლ, ქალაქად
იუდასა. და შევიდა სახლსა ჩაქარიასა და
ზოგითხა ელისაბედ. და იყ. კოსტატა ქმა
ელისაბედს მოკითხა მარიამისი, ჰეროებთ-
და კრის იყი მუცელა მისა, და აღიგხო
სულითა წმიდითა ელისაბედ. და ქვა ხმითა
დიდოთა და სოჭვა: კურობერებ ხარ შენ დე-
დათა ცირის და კურობერებ ას ნაყოფი
მუცელისა შენისა!... და დადგრა მარიამ ელი-
საბედის თანა სამ თავებ. და წარვიდა ხა-
სიც თვისათ

ღვევ, I, 39-42, 56.



მრიგად, მტრედმა თავისი საქმე გააკეთა
და, როგორც ვხედავთ, ურიგოდ არ გაუკე-
თებია. მოკლედ, ისე გააკეთა, რომ სამიო-
დე დღის შემდეგ მარიამი ეკჯ სავსებით
ნათლად გრძნობს თავისი მდგომარეობის
სერიოზულობას და უდაგს, რა ბედნიერებაც ეწია. სახარებებში
საქმის ვითარება ამჟარაა. ქალწული ეშმაკურად დემს, მაგრამ
მშენენიჭრად ესმის, რაც არის და როგორც არის.

მთელი დღეობით იჯდა, ფიქრებში გართული, აღუროთოუანე-
ბული იგონებდა მშვენიერი გამრიელის მონახულებას და ყველა-
ფერს, რაც ამ შეხვედრას მოჰყვა.

საღამოობით, მუშაობიდან რომ შინ ბრენდებოდნენ, მამა
იოახიმი და დედა ანა გაკვირვებული რჩებოდნენ: რა გულჩათხ-
რობილი გახდა ჩვენი ასული, ნეტა რაზე დარდობსო?

— იოსებზე ფიქრობს, — ეშმაკურად ჩაუკრავდა თვალს, კაცი გადასახად მეუღლეს.
— არაფერიც! — შიუგებდა უფრო საზრიანი ანა. — აქ რაღაც
სხვა ამბავია... იოსები არაა მაგისი დარღის მიშები, შენც არ
მომიკვდე...

— ასე გვონია?
— თავი მოშერი, თუ ასე არ იყოს.
— მაშინ ვერა ყოფილა საქმე კარგად...
— ნუ დაღონდები, არაფერია! მარიამი გონიერი გოგოა. დარ-
წმუნებული ვარ, ჩვენს ოინბაზს რაღაცა აქვს განსრახული... ქალი-
შვილია, ვერ გაამტყუნებ, მაგის წლებში გელის ჩოჩქოლი იწყება...
მაგრამ მარიამი წესიერი ქალიშვილია, არხენად იყავი, არ შეგ-
ვარცხვენს... საიმისოდ მეტისმეტად გონიერია, რომ რამე სისუ-
ლელე ჩაიდინოს. ვისაც როგორ ენებოს და ჩემს სისხლსა და ხორცს
კი ვიცნობ! ტყუილად კი არა ვარ მისი მშობელი დედა, ცხრა თვე
ჩუცლით მიტარებდა...

თუ იოსების ამბავს იყითხავთ, საპატარძლოს თავს ეფლებო-
და, გარშემო უტრიალებდა, როგორც რომელიმე სანაქებო სასიძო
გაფეაცი. კვირაში ერთხელ მაინც ჯერადად გამოჩნდებოდა იოახი-
შის სახლში, თან ეზარმაზარი თაიგული მოძეონდა ხოლმე. უმთავ-
რესად მთის შროშნები მოძეონდა: რას ერჩით, კაცს გემოვნება ძეონ-
და, თუმცა რა გასაკვირია ხუროები ყოველთვის განიჩრჩოდნენ
თავაზიანობით, იშვიათად თუ გადავდეო ზრდილობისა და მოკრ-
ძალების მიჯნაზე.

მარიამი კი ჯერაც ვერ ბედავდა ხმის ამოღებას, ვერაფერს ეუბ-
ნებოდა ვერც მამას, ვერც დედას, თუმცა ერთი სული პეონდა, ვიდ-
რე თავისი გულის სატკივარსა თუ სიხარულს ვინმეს გაუმხელდა,
ერთგულსა და მახლობელს. ასეთი სურვილი, უნდა ვაღიაროთ, სრუ-
ლიად ბუნებრივია.

აი, ამიტომაც სთხოვა მშობლებს, ჩვენს ელისაბედთან გამიშ-
ვითო ცოტა ხნით.

იოახიმმა და ანამ მოითათბირეს და ვერავითარი მიშები ვერ
ნახეს, რომ ამ თხოვნაზე უარი ეთქვათ. მაშინ იყო, რომ მარიამი
ელისაბედს ესტუმრა.

იმ დროს ზაქარიას ცოლს ჯერ კიდევ არ ჰყავდა პატარა იოანე:
მესიის წინამორბედი ჯერ კიდევ მხოლოდ პროექტის სახით არსე-

ბობდა. ლუკა აცხადებს, რომ ელისაბედი მარიამისა და ლუკას
დაქორწინებიდან ზუსტად ექვსი თვის შემდეგ შეიქმნა უსტინისტე,
ლუკას ცნობები კი ყოველთვის დიდი სიუსტით გამოირჩევიან.

ელისაბედი სრულიად განმარტოებით ცხოვრობდა, საღლაც იუდე-
ის მთებში, და ისედაც ადამიანის ნახვას მონატრებულმა რომ თა-
ვისი მამიდაშვილი დაინახა, ძალიან გაუხარდა, თანაც გაუკვირდა.
ქალებმა პირველი შეხედვისთანავე გაუგეს ერთიმეორეს.

— უი. დამიდგეს თვალები, ამას ვისა ვხედავ! — შეიცავდა
ელისაბედმა და გადაეხვია. — ჩეირი კედელს, ჩემო მარიამ, რა
ქარჩა მოვიტანა?

მარიამმაც გადაკოცნა ბიძაშვილი.

— ძვირფასო ელისაბედ, — უთხრა და სახეშე ალმურმა გა-
დაპკრა. — რომ იცოდე, როგორ მიხარია შენი ხილვა!

— ვიცი, ვიცი, რა სათქმელია... ჩენენ დიდი ბედნიერება გვუძა
წილად, განსაკუთრებით კი შენ, ასე არ არის? მაგრამ ამა წარ-
მოიდგინე, რა უწაური ამბავია. დაგინახე თუ არა, ჩემს წიაღში
ბავშვმა შეითამაშა... ეს კარგი ნიშანია, დამიჯერე!

მარიამმა თავის მახლობელს სიამოვნებით დაუკერა. გახარე-
ბული ქალების სახმარს დასასრული არ ქქონდა.

— ახლა არსად არ გავიშვებ, ჩემო თვალთა სინათლევ, რამ-
დენიმე დღით ჩემთან უნდა დარჩე, — უთხრა ელისაბედმა, —
შენი აქ ყოფნა ბედნიერებას მომიტანს.

ამაზე დიდი თავაზიანობა ძნელი წარმოსადგენია.

მარიამმა გადაწყვიტა აღარაფერი არ დაემალა ელისაბედის-
თვის. უამბო, როგორ ინაცელა ანგელოზმა, გაანდო თავისი სიყ-
ვარულიც იმის მიმართ, ვინც ეგზომ დიდი ყურადღების ღირსაღ
გახადა. მოკლედ, თავის განცდებს გზა მისცა. ბოლოს კი გრძნო-
ბამოზღვავებულმა ასე შესძახა:

— სული ჩემი აღიდებს უფალს ჩემსას, და გული ჩემი, უფალშე
რომ ფიქრობს, დღე ყოველ სიხარულით იგსება, მე მონა ვარ ჩემი
მეუფისა, მხევალი ჩემი უფლისა, ის აღმაქებდა წყალობით და ჩა-
სახა ჩემს წიაღში რაღაც ურიად ამაღლებული...

ელისაბედი რაღაცნაირად ნაშად იღიმებოდა.

მარიამი კი განაგრძობდა:

— მისი სახელა ჩემთვის წმინდაა: მე ვშიმშილობდი — მან
განმაძღო. ჩემთვის და ჩემში მან გამოავლინა ძალა თავისი უშენა-




ესი. ამიტომაც ყოველი მორწმუნე ყველა დროისა წეტარს შიწოდებს*.

ელისაბედმა ხელი მოჰკიდა.

— შენ მომჯადობელი ხარ, ჩემთ ძეინფასო მარიამ!

ბიძაშვილ-მამიდაშვილის ახეთი გულის ამაჩუყებელი ურთიერთობა გრძელდებოდა მთელი სამი თვის განმავლობაში, ვიდრე მღვდელი ზაქარია მამა გახდებოდა.

იმ დღეს მარიამი ნაზარეთში დაბრუნდა. მაგრამ უკვე სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც სიტყვა ხორცად იქცა, ამიტომ ქალწულის მუცელმა ცნობისმოყვარე ხალხის ყურადღება მიიპყრო.



* „და ქსოვა მარიამ: ადილებს სული წეში უფალსა, და განიხარა სულმან ჩემთან ღმრთისა მიმართ, მაცხოვერისა ჩემისა, რამეოთ შოხელნა სიმდაბლესა ზედა მხევლისა თვისისა, რამეოთ ამა ესერა, ამიერითვან მნიღილენ შე ყოველნი ნათესავნი. რამეოთ ჟყო ჩემთანა დიდებულა ძლიერმან და წმიდა ანს სახელი მისი, და წყალობა მისი ნათესავით ნათესავალმდე მოშიშთა მისთა ზედა. ჟყო სიმტკიცე მკლავითა თვისითა. განაბნინა ამიარტყანნი გონებითა და გულთა მათთათა. და დამხვნა ძლიერნი საყდართავან და აღამაღლნა მდაბალნი. შშიერნი აღაესწა კეთილთა და მდიდარნი განვლინნ ცუდნი. შეეწია ისრაილსა, მონასა თვისსა, მოხსენებად წყალობისა“ (ლუკა, 1, 46-54).

რომელიც იმსახი მოთავს ამ ამბავს უსიგდება, თავისა პირველად არ ვხავინა

ზოლო იოსებ, ქვემო მისი, შემთაღი იყო,
და არა უნდა განმხილებად მისი, ისრატა
ფარულად განტკვებად მისი. და ვითარ იყო
ამას განიზრახეიდა ოდენ, ამა ანგელოზი უუ-
ლისა ჩვენებით გამოუწინდა მას და პრეცა-
ოსებ, ძეო დავითისო! უ გეშინინ მიყვა-
ნებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთე
რომელი იყო მისგან მშენს, სულისაგან ჭმი-
დისა არს. მშვას რე და უწიდონ სახელი მი-
სი იქმო, რამეთე ჩან იხსნეს ქრი თვისა
ცოდვათა მათგან. ეს ყაველი იქმინა, რა-
თა აღესრულოს სიტყვა იყო უულისა, პა-
რითა წინასწარმეტყველისათა თქმული: „ამა
ქალწელი მიუდგან და მშვას რე და ეწი-
დინ სახელი მისი ემშანულ, რომელ არს
თარგმანებით: ჩვენთანა ღმერთი. განაღიმა
იოსებ მიღისა მისგან და ქუ გერე, კო-
თარცა ებრძნა მსა ანგელოზმან უფლისმან
და წარიყვანა ცოლი თვისი.

შათე, I, 19-24.



ენ ჟევე ვიცით, რომ იოსები იყო
სრულიად ჩვეულებრივი ხურო, მაგრამ გა-
რეგნულად უბირი სასიძო ქვას წვენს გა-
ადენდა, სირცხვილ-ნამუსის ქუდი ეხურა
და მოწყვალე უფალმა არც თავმოყვარეობის
ნაკლებობით დასაჯა.

— რაუი ნერგი ამოვიდა, მაშ ვიღაცას მარცვალი ჩაურგავს!
წოგორც გატყობ, ჩემს ბოსტანში ვიღაცა გადასულა. — თქვა,
წოგორც კი ფეხშიმე საცოლე დაინახა.



აქ, რა დასამალავია, ხუროს გულშე შაგარი დარდი დაკარგი ჩანაბა
ზი დააწეა. სიმართლე უნდა ვთქვათ, საამისო საფუძველიც ჰქონიათ თუ
და. ამა წარმოიდგინეთ, რა იცოდა ამ მიამიტმა და გულუბრყვი-
ლო ადამიანმა, რომ მისი ჩეტოე მშოლოდ და მშოლოდ თეთრი
მტრედია და მიუხედავად იმისა, რომ მარიამი მის თვალსა და
ხელს შუა დაორსულდა, ისეთივე ქალწელია, როგორიც სული-
წმიდის ჩარევამდე იყო? არა, იოსებს ამის წარმოლენაც არ შე-
ეძლო.

დააყუნეთ მის ადგილშე უკიდურესად ღვთისმოშიში მორჩიშენე
კაცი, რას იფიქრებდა? დაკუშათ, რომ მარიამის ქმარი სრულიად
უწყინარი და ღვთისნიერი კაცია, რომელსაც ასეთ საქმეში ტოლი
არ მოექმნება. ვთქვათ, სამი თვით ელისაბედთან ყოფნის შემდეგ
მისი დანიშნული მოვიდან შინ ბრუნდებოდა და ასეთ საინტერე-
სო მდგომარეობაში იხილა: ქალიშვილი, რომელსაც საქმრო არ მი-
კარებია, ფეხმიმეა! სანამლეოს დავდებ, რომ ჩვენს ხუროშე უფ-
რო ნაწყენიც დარჩებოდა.

იოსები ცოლის მოუვანას იმისათვის აპირებდა, რომ ქალს სა-
დილი ემზადებინა და შარევალშე ღილები დაეტერებინა, ეს მარ-
თალია, მაგრამ არც ისეთი რეგული იყო და არც იმდენად გულ-
გრილი ცოლებრული სიყვარულის საქმეში, რომ ყურადღება არ
მიექცია იმ სასაცილო მდგომარეობისათვის, რაშიაც ვარდება ხო-
ლმე რქოსანი ქმარი.

ერთხელ, ჩეკულებისამებრ თაიგულით ხელში რომ ეახლა მარი-
ამს, შეამჩნია, რომ მისი საპატარელო საგრძნობლად დამსხვილე-
ბულიყო. მეცელი წამოზრდოდა გაშმაგებულმა იოსებმა თაიგუ-
ლი განხე გადაისროლა და შესძახა.

— ემიაკმა დალაპვორს, ქალბატონო! მას შემდეგ, რაც არ მი-
ნახიარო, თქვენ რაღაც მოგისწრიათ!

მარიამია თავი დარცხვინით დახარა. მამა ითახიმი და დედა
ანა გაშტერდნენ. იოსები მშობლებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ფრი ემიაკ! თუ იმედი გაქვთ, რომ ამის შემდეგ თქვენს ქა-
რაულუტა ქალს შევირთავ, ასევე შეგიძლიათ იმედი იქონიოთ, რომ
პალმა ბოლოებს მოისხამს! ნუ გეშინიათ, ისედაც დამცირიან ახლობ-
ლები, ქორფს გოგოს რომ დაადგი თვალი, რა ხეირს ნახავდიო! ახ-
ლა ხომ პირდაპირ საშველს არ მომჟეშენ! ისეთ სიმღერებს გამომი-
თქვამენ, თავი მომექრება! ლაწირაკი შეგირდები ხომ ტვინს გა-

მომიღებენ და შეეცდებიან ათასი უხამსობა მომაკერონ! არა, შეიღოსან, დიდ მაღლობას მოგახსენებთ, ასეთი საქმე არ იქნება... სიტყვას უკან ვიძრუნებ... არავითარი სურვილი არა მაქას; რომ ქვეწის ყბაში ჩავარდე და სოფელში გამომაჭენონ!

ვიდრე იოსები ასეთ რამებს ლაპარაკობდა, მარიამი ცოტა გონის მოეგო, საქმროს დაშოშინებას შეუდგა და ალერსიანი სახე მიიღო, რომ მწარე აბი როგორმე გაეტკბილებინა.

— იოსებ, ჩემო კარგო, გეფიცებით, თქვენ შემცდარი ხართ... მე წმინდა ვარ, როგორც ყრმა, რომელსაც მე ვშობ...

— წმინდა ვარო, ვითარდა ჩემი ნაბუშარი?! იცით, ეს უკვი მეტისმეტია!

— იოსებ, ჩემო ბაჭია, გეფიცებით, უწინდებურად ღირსი ვარ თქვენი... ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაიტრაბახებს, რომ თუნდაც თითის წევრი დამიკოცნა...

— კარგით, კარგით, ნე გამაგიქეთ... ვინც გენებოთ, მე კი ვერ გამაბრიყვებთ! თუ მამაკაცი არ იცით, მაშ რა სულიერმა ჩაგად-დოთ ამ შავ დღეში?

— მტრედმა!

აქ კი იფეთქა ხურომ. ისედაც გახურებულ თავში ხელი იტაცა და შესძახა:

— ყოველივე ამის შემდეგ შენ კიდევ დამცინი? სეირი თუ გინდათ, ესაა. კიდევ კარგი, რომ ჯვარისწერამდე მოხდა... რა ბედში ჩავარდებოდი, რომ ეს ქალი მომეცვანა!

ამ სიტყვებზე იოსები გადარეულივით გავარდა გარეთ.

იოახიმი და ანა რეტდასხმულებივით იდგნენ. გაოცებულ-გაწბილებულებს ენა ვერ დაეძრათ, იდგნენ ასე გაონებულნი.

იოსები რომ წავიდა, სახლში საშინელი ალიაქოთი ატყდა. მარიამს სეტყვასავით დააყარეს მწარე-მწარე სიტყვები. მშობლებს უნდოდათ უკეცელად შეეტყოთ იმ ვიგინდარის სახელი, რომელიც გახდა ჩამდენი ამ საქმისა, რაც დედ-მამას სამარცხვინდ მიაჩნდა, რადგან არ იცოდნენ განგების ნება. მეზობლად ერთი ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა, ვინმე პანტერი. დედამ მაშინვე იმ ბიჭუშე აიღო ეჭვი. პანტერი ურიგო ახალგაზრდა არ იყო და თავის დროზე ხელიც კი სთხოვა მარიამს.

ქალწელი ჩველა ღმერთს იმოწმებდა*, იფიცებოდა, მხოლოდ

* ტაქსილი განსრუბ ხემრობით ახსენებს „ღმერთებს“. წარმართელი გავებია.



მტრედია დამნაშავე, მე უბრალო ვარო, მაგრამ ვინ უჯერებდა!

ბოლოს და ბოლოს ითახიმი და ანა დაწყნარდნენ. ვნახოთ, რა კორეა იქნებათ, გადაწყვიტეს და დაიწყეს ლოდინი.

ჰელი ყოველგვარი იმედი დაკარგეს ქალიშვილის გათხოვებისა, როდესაც ერთ მშვენიერ დიღას მათს სახლში ისევ იოსები გამოცხადდა. ხურო ხელების ფშვნეტით შევიდა სახლში. არასოდეს არავის ენახა მის სახეზე ასეთი ბედნიერი კაცის გამომეტყველება.

— გამარჯობათ, მომავალო ჩემო სიდედრო და სიმამრო! ხომ არ გადაგიფიქრებიათ ჩემი სიძობის ამბავი?

— რას ამბობ, ადამიანო? — ერთხმად შესძახეს ითახიმა და ანამ. — ჩვენ პირიქით გვეგონა, რომ ხელს აიღებდით ჩვენს ქალაზე იმ პატარა სიცათის შემდეგ, რაც მას შეემთხვა.

— რაც მართალია, მართალია. ნამდვილად გავბრაზდი, ვერ დაგიფიცავთ... მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია.

ითახიმსა და ანას ახლა კიდევ უფრო გაუკვირდათ.

— ეს რანაირი ლაპარაკია? — იკითხა მამამ. — ახლა ყველაფერი ნათელია და ამიტომაც გინდათ ჩვენი ასელი შეირთოთ?

— სწორედ ასეა.

— მეონი ვერაფერი გაგვიგია...

— სწორედ ასეა-მეოქი.

— იოსებ, თქვენ ხემრობთ... ჩვენს უბედურებას ახლა კაცი ასე ბოროტად დასცინებს?

— სულაც არ ვსუმრობ... ყველაფერი ვიცი და ამიტომ გარწმუნებთ, გოგო მართალს ამბობს, ყველაფერში მტრედია დამნაშავეო.

ანამ და ითახიმა ერთიმეორეს გადახედეს.

— რას შესცერით ერთიმეორეს ანცი კატებივით? ზეც ვამტკიცებ, ამ საქმეში მტრედია გარეული-მეოთქი...

— როგორც გენებოთ, — ჩაიბურტყუნა ითახიმა, — თუ ასე დაგიჩიცებიათ, იყოს მტრედი... ბოლოს და ბოლოს, ეს თქვენი საქმეა.

— წარმოიდგინეთ, დღეს სიზმარი ვნახე. მშვენიერი ოქროს-ფრთხებიანი ანგელოზი პირდაპირ ჩემს ღოგინზე დაჭდა და ფეხ-მორთხმულმა მითხრა: „მომისმინე, იოსებ, შენ ნამდვილი დოყლაბია ხარ... საკმარისია ხელი გაიშვირო და საუნჯის მფლობელი გახ-

დები, შენ კი თითის განძრევასაც არ აპირებ!“ „ამა სად არის ხაუნ-
ჯე?“ — ვკითხე ანგელოზს. „აქედან ორ ნაბიჯზე, შენსაც პატარა
ქალაქში. ეს საუნჯეა მარიამი, მამა ითახიმის ასული, მომხიბლაუ-
ზი ქალიშვილი, შენი საცოლე“ „გიცი, ვიცი, — ვეუბნები, — ეს
ის გოგოა, რომელიც დაორსულდა, კაცმა არ იცის, ვისგან და რა-
ნაირად. ყველა ფიქრობს, რომ ეს პანტერის ნამუშევარია. თუ მა-
რიამი მართლა საუნჯეა, ყოველ შემთხვევაში ხათნობისა არა“. „შე-
მცდარი ხარ, იოსებ, პანტერი აქ არაფერი სახსენებელია, არც
სხვა ვინმე მოკვდავთაგანი. ყრმა, რომელსაც ის გოგო მუცლით ატა-
რებს, ეს, ჩემო კარგო, მაცხოვარია, მესია, რომელიც იქ სელიშმინ-
დის ჩარევამ გააჩინა“. „ზაშ მტრედის ამბავი მართალი ყოფილა?“
„მართალია. სრული სიმართლეა. მე გაბრიელ მთავარანგელოზი
ვარ, შეგიძლია შეწდო“ „ქო, ჩაკი ასეა, გავრჩემდები. რას მირჩევთ?
როგორ მოვიქცე ახლა?“ „ითხოვე, მეგობარო, მარიამი, და რაც შე-
იძლება მალე. ამგვარად კანონის წინაშე შენ გახდები მამა მესიისა,
რომელმაც უნდა იხსნას ისრაელი ხალხი და მასთან მთელი კაცთა
მოდგმა“.

ითახიმისა და ანას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იოსები
განაგრძობდა:

— ახლა ხომ გაიგეთ, რატომ ვჩერობ, რომ თქევნი სიძე გა-
ვხდე... ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმე სხვასაც გამოეცხადოს ციური
მტრედი და ასეთი საუნჯე ჭამართვას!

— თანახმა ვარ, დაჰკარი ხელი, ძვირფასო იოსებ! — მშობლე-
ბის სიხარულს ვერ აგიშერთ. — გაძლევთ მარიამს. განვაცხადეთ
და მორჩია... ოღონდ იცოდე, უკან დახევა აღარ იყოს!

— გადაწყვეტილი საქმეა!

გავიდა კიდევ ერთი დღე და ახალგაზრდა მარიამს უკვე ქმრი-
ანი ქალი ეწოდა. საქორწინო ცერემონიის დროს რამდენიმე ყმაწ-
ვილმა სცადა გახსმრება ნარინჯის თეთრი ყვავილების გვირგვინ-
ზე, პატარძალს რომ ემშვენებდა თავს, მაგრამ უფლის ჩაგონებით
მღვდელმთავარმა სიმონმა შუროს ხელი ჩაავლო და ყურში ჩასჩურ-
ჩელა:

— ნუ გეშინია, ბედნიერი კაცი ხარ.

მაცხოვერის ჩამოავლენა

ჭაველი ნათესავი აპრიაშიისითგან ვიღრე
დავითისადმიდე, ნათესავი ათ-თოხ-მეტ; და
დავითისიღვან ვიღრე ტკვევნადმიდე ბაბილონ-
ისა ნათესავი ათ-თოხ-მეტ; და ტკვევნათ-
გან ბაბილონისათ ვიღრე ქრისტესადმიდე
ნათესავი ათ-თოხ-მეტ. ხოლო იქსი ქრისტეს
შობა ქსრეთ იყო: რამეთუ თხოვილ იყო დე-
და მისი მარიამ იოსებისა, და ვიღრე შერთ-
ვადმიდე მათდა, იყი მიღვომილ სულისაგან
წმილისა.

მათე, I, 17-18.



სლა სწორედ დროელი იქნება სიტყ-
ვის ჩამოგდება ქრისტეს საგვარტომო ნუს-
ხაზე. ამასთან მყითხველს უნდა შევახსე-
ნოთ ის დაპირებანი, რომლებიც იაღვებ
მისცა პატრიარქებს. ეს საგულისხმო საგ-
ვარტომო ნუსხა — საგულისხმო უმთავრესად თავისი დასასრუ-
ლით — სახარებაშივეა მოცუმული. ამიტომაც სათანადო გაშუქებას
ითხოვს.

სრულიად შესაძლებელია, რომ იმ დროისათვის, როცა უწმი-
ნდესი ქალწულის შშობიარობის დრო დადგა, თუმცა უმანქო ქალ-
წულადევე რჩებოდა, პატრიარქებმა იაღვეს დელეგაცია გაუგზავნეს,
რათა გამოეხატათ თავიანთი სიხარული იმასთან დაკავშირებით,
რომ მათს პირდაპირ შთამომავლობაში დაიბადება ყრმა, რომელ-
საც წინასწარმეტყველთა განჭერების თანახმად უნდა ეხსნა კაცთა
მოდგმა და გამოესყიდა შეცოდება, ჩადენილი ჯერ კიდევ ადამისა
და ევას მიერ.

უზენაეს მეუფესთან პირველად აბრაამი გამოცხადდა და მო-
ახსენა:

— ღმერთო უფალო ცათა შინაო, შენი ციური კანონების დაც-
ვისა და ერთგულებისათვის საჩუქრად შენ დამპირდი, რომ შევი-
ქმნებოდი მამამთავარი კურთხეული ტომისა და რომ ჩემს უშეალო
შთამომავალთა შორის იშობოდა მესია. აი, ეს დროც დადგა. ო,
ყოვლის შემძლე უფალო. შენი ფიცი წმინდაა და უცვლელი, შენ
სიტყვას არ გადახვალ.

— რასაკეთიველია, აბრაამ, უფლის სიტყვა ხალისით აღსრუ-
ლდება.

— უფალო, მე ვშვი ისააკი.

ისააკი მივიდა და თქვა: „უფალო, მე ვშვი იაკობი“. იაკობიც
მივიდა და უთხრა: „მე ვშვი იუდა“. იუდაც მივიდა და უთხრა:
„მე ვშვი ფარა“. ფარა მივიდა და მოახსენა: „მე ვშვი ესრომ“. ეს-
რომი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი ამინადაბ“. ამინადაბი მივიდა და
მოახსენა: „მე ვშვი ნაასონ“. ნაასონი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი
სალმონ“. სალმონი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი ბოოსი“. ბოოსი
მივიდა და მოახსენა: „მე ვშვი იობედ რუთისაგან“. იობედი მივიდა
და უთხრა: „მე ვშვი იესე“. იესე მივიდა და უთხრა: „მე ვშვი და-
ვით მეფე“.

აქ დავითი გამოცხადდა. ღმერთმა იელოვამ ხელი ლოუაზე მე-
გომრულად მოუთათუნა და უთხრა:

— ძვირფასო დავით, შენ ყოველთვის გამორჩეული გრძნობით
მიყვარდი. ამიტომ გაგიმეორე დაპირება, რაც აბრაამს მივეცი. მა-
ტიანეში შენ, ჩემო ძვირფასო, მესიის წინაპარს დაგიძახებენ.

დავითმა თავი მდაბლად დაუკრა და უთხრა:

— მე ვშვი სოლომონ.

სოლომონი მივიდა და მოახსენა: „მე ვშვი რობოამ“. რობოამი
მივიდა და უთხრა: „მე ვშვი აბია“. აბია მივიდა და უთხრა: „მე
ვშვი ასა“. ასა მივიდა და მოახსენა: „მე ვშვი იოსაფატ“. იოსაფატი
მივიდა და უთხრა: „მე ვშვი ოზია“. ოზია მივიდა და თქვა „მე ვშვი
იოთამ“. იოთამი მივიდა და თქვა: „მე ვშვი აქაზ“. აქაზი მივიდა
და უთხრა: „მე ვშვი ეზეკია“. ეზეკია მივიდა და მოახსენა: „მე
ვშვი მანასე“.

მანასეც გამოცხადდა. უკვე მზად იყო ეთქვა თავისი შვილის სა-
ხელი, მაგრამ უფალმა ღმერთმა ხელით ანიშნა, გაჩუმდიო:

— სხვისა რა ვიცი და შენ კი კარგად გიცნობ, მანასე, — უთხრა ღმერთმა. — ბედმა გაგილიმა, რომ მესის წინაპართა სიაში მონვდი. კი არ გსაყვედურობ, მაგრამ სიკვდილამდე რომ ავაზაკი იყავი, რა დასაფარავია! ასეთები იშვიათად იბადებიან. შენს სინდისს არა ერთი მძიმე ცოდვა აწევს: ემაკს სცემდი თაყვანს, შენი ბრძანებით გადახერხეს ესაია წინასწარმეტყველი, ჩემი უსაყვარლესი წინასწარმეტყველთაგანი. იქსო ქრისტე დღესა თუ შვალ დაიბადება. ხომ არა გვინია, რომ მას ესახელება თავის წინაპართა შორის შენი გამოჩენა? *

— რაც მართალია, მართალია, — ოხვრით დაუკრა კვერი ბიბლიის გმირშა მანასემ — ვალდარებ, უკეთური ვიყავი და არა მწამდა ჩემი ღმერთი. კერპთა საამებლად ვტრძანე შუაშე გადაეხერხათ ესაია წინასწარმეტყველი მაგრამ ისიც ხომ მართალია, უფალო, რომ ისე უხემად არ გადამილახავს ზნეობის კანონები, როგორც სოლომონმა გადალახა, არასოდეს არ ვეჭეოდი ცოლის სილამაზით სპეციულაციას, როგორც აბრაამი გაანათხოვრებდა ხოლმე თავის სარრას, და არც მეძავი შვილი ვარ, მსგავსად ბოოზისა! ¹⁰

— უკაცრავად, თქვენ ჩემი მისამართითაც თქვით რაღაც, არა?

— შემუოთდა ბოოზი.

— რა მოხდა, რა მოხდა? — ჭრუბი ცქვიტეს აბრაამმა და სოლომონმაც.

— მოხდა ის, — მიუგო მანასემ, — რომ უფალი ბრალსა მღებს, უკაცრი და მკრეხელი სარო, მე კიდევ შემამსებუქებელ

* ათონიმეტია წილის იკო მანასე, ოლეს იშვიალება, და ორშეოც და ათაუთმეტ წილისა მეფუობდა იერუსალემს შინა (სხვა ცნობით — 50 წილს. ა. გ.) და სახელი დედისა, მისისა თუობია (გვ. ქეუიბა). და ქმნა ბირთოტი წინაშე თვალთა უფლისათა და კოდოდა უკანით სახაველებათა წარმართოსა, რომელიც განავდო უფალმან პირისაგან იეთ ისრაელისათა, და მიიქცა და აღაშენნა მაღალი, რომელი დაარღვევნა მამამან მისიან ეზიკია, და აღადგინა სამსხვერპლო ბაალის, და ქმნა მაღარნი, ეითარი ა ქმნა, აქამ მეფემან ისრაელისამან, და თაუკანისცა უოკელსა ძალსა ცათასა და დაემონა მათ... და ქმნა ბომონნი... და დადგა გამოქანდაკებულნი მაღართანი ტაძარსა შინა, რომლისა თქვა უფალმან დავითის მიმართა: დაუდვა მენ სახელი ჩემი საუკნოდ... და კვალად სისხლი უბრალო დასთხია მანასე უტალა, ვიღრევდის აღიგოთ იერუსალემი პირის პირამდე, გარდა ცოდვათა მისთა, რომლითა ცოდვათა შინა მოიყვანა იცდიანი, ქმნად ბოროტისა წინაშე თვალთა უფლისათა" (4 მეფეთა, 21, 1—4, 7, 16).

გარემობებს გასახელებდა თქვენ გიმოწმებთ. მესიას ჩომი თავის
წინაპრებს შორის ძალიან არ ვესახელები, ამაზე მზად და დაგრძელებულ
თანხმო მაგრამ არა მკონია ჩემთვის მოუხდეს იმაზე მეტი წამო-
წითლება, რამდენიც მოელის ყოველთვის, როდესაც გაიხსენებ ბო-
რზის დედას ქალბატონ რაბს, იერიქონელ როსკიპს ..

— ჩუმად, ჩუმად, — შეაწყვეტინა უზენაესმა. — რისთვის უნ-
და ვძერტყოთ ჩვენი ჭუჭყიანი საცვლები ყველა ამ ახალგაზრდა ქე-
რუბიმისა და სერაფიტის თვალწინ? დაცხრით, დამწვიდდით, ძვი-
რფასებო მანასია, ჩემო მეგობარო, მისატიქია ყველა შენი ონი
და ნუღარ ქექავ ამ ნაგავს, ნუ აკრიტიკებ ქრისტეს სხვა წინაპ-
რებს. მოდით, განვაგრძოთ ჩვენი ექსკურსი მესიის გვარტომბა-
ში, რაც ძალიან საინტერესოა და რასაც მიჩნად აქვს იმისი მტკი-
ცება, რომ მე ჩემი სიტყვა შემისრულებია, ამრაამს და დავითს რომ
მივეცი. ამრიგად, შენ ვინდა შვი, მანასია?

მანასემ მიუწოდ:

— მე ვშვი ამონი.

ამონი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი იოსია“. იოსია მივიდა და
თქვა: „მე ვშვი აექონია და ძმანი მისნი“. იექონია მივიდა და უთ-
ხრა: „მე ვშვი სალათიელ“. სალათიელი მივიდა და უთხრა: „მე
ვშვი ზორობაბელ“. ზორობაბელი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი აბი-
უდ“. აბიუდი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი ელიაკიმ“. ელიაკიმი
მივიდა და თქვა: „მე ვშვი აზორი“, აზორი მივიდა და თქვა: „მე
ვშვი საღოვ“. საღოვი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი აქიმ“. აქიმი მი-
ვიდა და უთხრა: „მე ვშვი ელიუდ“. ელიუდი მივიდა და უთხრა:
„მე ვშვი ელეაზარ“. ელეაზარი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი ჩატა-
თან“. ჩატათანი მივიდა და უთხრა: „მე ვშვი იაკობ“.

იაკობი თავისი ადგილიდან წამოდგა.

— უქ! — ამოიხსრა იაღვემ. — შენ ერთი დამრჩი, ჩემო გა-
რგო იაკობ მეორე!

— დიახ, დიახ, ეფუალო, სულ ახლახან შენ ცოცხალთა სიიდან
ამომშალე, მაგრამ ჩემი შვილი ჯერაც ცოცხალია.

— ვინ შვი შენ?

— მე ვშვი იოსები, — მიუგო იაკობი.

ბატრიარქებმა ერთიმეორეს გადახედეს.

— ეტყობა, უს იოსები იქნება მესიის მამა? — იყითხა აბრა-
ამია.

— სულაც არა, ეს იოსები მხოლოდ და მხოლოდ ქმარია ფინ-
შე მარიამისა, რომელიც შობს აღნიშნულ ქრისტეს.

— დიახ, დიახ! — შენიშნა დავითმა, რომელსაც ეგონა, რო-
ჟელაფერს მიხვდა. — ეს იოსები, ჩემი შთამომავალი იქნება და-
პირებული მაცხოვრის მამა.

— რასა ბრძანებთ, თქვენ უდიდებულესობავ! ეშმაკმა დალახ-
ვროს, რით ვერ გაიგეთ? იოსებს მაცხოვართან არავითარი დამო-
კიდებულება არა აქვს, ის მხოლოდ მარიამის ქმარია, მორჩა დ-
გათავდა. დანარჩენთან თქვენ არაფერი გესაქმებათ.

პატრიარქები რაღაცაზე დიდხანს ჩურჩულებდნენ, მერე კი ერთ-
ხმად შესძახეს:

— ისე ვატყობთ, უფალო, რომ მასხარად აგვიგდეთ, არა?!

— მაშინ რა ეშმაკად მინდოდა მთელი ეს გენეალოგია, — თქვა
აბრაამია, — რისთვის მოგვიწვიე, თუ ჩემს შთამომავალს თითიკ
არ გაუნძრევია იმისათვის, რომ მესია ეშვა. აბუჩად ამიგდეს და
ისაა.

— ყველანიც აბუჩად აგვიგდეს! — დაუმოწმეს დანარჩენებმაც.

მამაშეციერმა მუშტი დაპკრა თავის საშემაო მაგიდას (ეს იყო
გადასარევი მაგიდა, სულ ბრილიანტებით მოჭედილი).

— ექ, თქვე ჯიუტებო! — შეპყვირა თანაც. — ინჩი არ ესმია
ამ ოხრებს, გამოყვანილი ამოცანები უნდა დაულაგო წინ, მეტი არა-
უერი.

— ამოცანა ამოცანა! ეს კი, როგორც გენებოს, — შენიშნა და-
ვითმა, — მაგრამ დამპირდი თუ არა, რომ მესია ჩემი გვარიდან გა-
მოვიდოდა? დამპირდი თუ არა?

— დაგპირდი.

— მე? — შეუტია ღმერთს აბრაამია.

— უდავოდ. სწორედ ამიტომ ითვლება თქვენს პირდაპირ შთა-
მომავლად ხურო იოსები, მარიამის მუედლე, იმ მარიამისა, რომე-
ლიც ხვალ ქრისტეს დედა გახდება.

— ღმერთო, შეგვიწყალე! — აყაყანდა მთელი გუნდი. — მა-
გრამ თუ ეს იოსები მხოლოდ პლატონური ქმარია და იესოს შექ-
მაში წილი არ უდევს?

— თუნდაც ასე იყოს, მერე თქვენ რა?

— ეს როგორ? რა ბრძანებოდა მეტონური ქმარია და იესოს შექ-
მაში, შენს მოვალეობას არ ასრულებ.

- მაპატიეთ, მაგრამ...
- შენ სიტყვას ბანზე გვიგდებ, პასუხს თავს არიდებ!
- არც ერთი წუთით.
- ოქ, ეს კი მეტისმეტია!

და მესის ცრუ წინაპრებმა ლეხები დააბაკუნეს, ისე რომ არც გი დაუფარავთ თავიანთი აღმიფოთება ასე ურცებად პირში ჩალის გამოვლების გამო. მოკლედ, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ. უშენაესმაც დაკარგა მოთმინება, არანაკლებ გაბრაზდა.

— მეხი კი დაგაყარეთ! — შესძახა ბრაზმორულმა. — ბოლოს და ბოლოს, თავი მომაბეჭრეთ! ასლავე მოუსვით აქედან, და რაც შეიძლება, ცოცხლად! თქვენი პრეტეზიები პირდაპირ სულელურია მე შევასრულე ჩემი დაპირება, რაღაც მე უცოდველი ვარ. ითხები არ არის მესის მამა, და მაინც მესია თქვენი მოდგმილან გამოვიდა. განა საკმარისი არაა, რომ მე ამას ვამტკიცებ? და ეს თქვენი ჰერი საქმე როდია, აქ საიდუმლო იცარება.

მაგრამ პატრიარქები მძვინვარების განაგრძობდნენ და მაშინ საბაოთმა ბრძანა:

— ტახტებო, ძალაუფლებანო, სათავეებო, ამა გაყარეთ აქედან ეს თავხედები!

ბრძანება თვალის დახამსამებაში შესრულდა.

აი, რატომ ცდილობს სახარება ყოველი ღონისძიებით დავვისტკ-კიცის, რომ იესო ქრისტე დავითისა და აბრაამის შთამომავალია, თუმცა არ ითვლება იოსების შვილად, ლოსები კი ამ ორი პატრიარქის შთამომავალია, ღმერთს რომ ასე გამორჩევით უყვარდა.

იმისათვის, რომ არავინ მისაყვედუროს განუსჯელად, ყოველნაირ აბდაუბდას იგონებ და სახარებას მიაწერო, მე ვიმოწმებ მათეს სახარების პირველ თექვებეტ მუხლს:

„წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაამისი.

აბრაამ პშვა ისააკ; ისააკ პშვა იაკობ; იაკობ პშვა იუდა და ძმანი მისნი.

ხოლო იუდა პშვა ფარეზ და ზარა თამარისაგან; ფარეზ პშვა ესრომ, ესრომ პშვა არამ.

არამ პშვა ამინადაბ; ამინადაბ პშვა ნაასონ; ნაასონ პშვა სალ-მონ.

სალმონ ქშვა ბოოს ქერაბისაგან; ბოოს ქშვა იობედ რუთისაგან;

იობედ ქშვა იესე; იესე ქშვა დავით მეფე.

დავით მეცემან ქშვა სოლომონ ქურის ცოლისაგნ.

სოლომონ ქშვა რობომ; რობომ ქშვა აბია; აბია ქშვა ასა.

ასა ქშვა იოსაფატ; იოსაფატ ქშვა იორამ; იორამ ქშვა ოზია-
ოზია ქშვა იოათამ; იოათამ ქშვა აქაზ; აქაზ ქშვა ენეკია.

ენეკია ქშვა მანასე; მანასე ქშვა ამონ; ამონ ქშვა იოსია.

იოსია ქშვა იექონია და ძმანი მისნი, ტყვეობასა მას ბაბილონე-
ლთასა.

შემდგომად ტყვეობისა ზის ბაბილონისა, იექონია ქშვა სალათი-
ელ; სალათიელ ქშვა ზორობაბელ.

ზორობაბელ ქშვა აბიუდ; აბიუდ ქშვა ელიაჟიმ; ელიაჟიმ ქშვა
აზორ.

აზორ ქშვა სადუკ; სადუკ ქშვა აქიმ; აქიმ ქშვა ელიუდ.

ელიუდ ქშვა ელეაზარ; ელეაზარ ქშვა მატათან; მატათან ქშვა
იაკობ.

იაკობ ქშვა იოსეპ, ქმარი მარიამისი, რომილისაგან იშვა იესო,
რომელსა ქეკიან ქრისტე”.

სახარებას რომ კითხელობ, უნებურად გაოცდები, იმდენი უაზ-
რობა და წინააღმდევობა იყრის თავს. განა აბსურდი არ არის რე-
ლიგიური დოქტრინა, რაც ძირითადად ემყარება მარიამ ღვთის-
შობლის უმანკოებას, ქალწელის უბიშობას, და ანათემის შიშით
კრძალავს თუნდაც ერთი წამით იმ აზრის გაელვებას, რომ იესო
ქრისტეს შობაში იოსეპს რაიმე წილი უდევს? ამავე დროს კი სა-
ხარება მთელი თავისი გულმოდგინებით ამტკიცებს, იოსები, ეს მა-
რიამის დუნე ქმარი, აბრაამისა და დავითის შთამომავალიაო და
ამით ამტკიცებს, თითქოს იაღვემ თავისი დაპირება შეასრულა, მესია
ბიბლიური პატრიარქების უშეალო შთამომავლად საღდება. მაგ-
რამ იესო ხომ არის იოსების შვილი? სისულელის რა დიდებული
ძეგლია!

მაგრამ ასეთ სულელურ შტკიცებაშიც კი სახარება თავის თავს
ეწინააღმდევება. ასე. ქრისტეს შობის ამბავი ღუგასა და მათეს
სახარებაში სულაც არაა ერთნაირად გადმოცემელი. აი, როგორ გა-
დმიგცემს ქრისტეს გენეალოგიას ევანგელისტი ღუგა:

„და თავადსა იესოს ეწყო თდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რო-
მელი საგონებელ იყო მმედ იოსებისსა, იაკობისსა, ერისსა, მატა-



თანისსა, ლევისსა, მელქისსა, იანესა, იოსებისსა, მატაოსა, ამო-
სისა, ნაომისა, ელისა, ნაგესა, მათისა, მატათისა, სემისკა, კლემენტის-
სა, იუდასსა, იოანანისა, რესასა, ჰორაბაბელისა, ნერისა, მელქისა,
ადდისა, კოსამისა, ელმოდალისა, ერისა, იოსისა, ელიშერისა, იო-
რამისა, მატათისა, ლევისა, სვიმეონისა, იუდასსა, იოსებისა, იო-
ნანისა, ელეკიმისა, მელეასა, მაინანისა, ნათანისა, დავითისსა, იე-
სესსა, იობედისა, ბოსისა, სალმონისა, ნაასონისა, ამინადაბისა,
არამისა, იორმისა, ესრომისა, ფარეზისა, იუდასა, იაკობისა, ისა-
კისა, აბრამისა, თარიასა, ნაქორისა...” და ა. შ.

ამრიგად, წმინდა მათე და წმინდა ლუკა ქრისტეს შობისა და
გვარტომობის საყითხში ერთიმეორეს ეთანხმებიან აბრამიდან და-
ვითამდე. მაგრამ დავითიდან დაწყებული, ეს ღვთაებრივი მტრე-
დის შთაგონებული ორი ცვანგელისტი აშკარად ეწინააღმდეგება
ერთიმეორეს. მათეს სიტყვით, გვარი თუ ნათესავი სოლომონს გა-
იყლის, ხოლო ლუკას სიტყვით ღმერთმა თავისი დაპირება აღას-
რულა დავითის გვარის შეორე შტოს, ნათანის გზით. ძო, სას-
წაულო! ეს ორი სხვადასხვა შტო ბოლოს მაინც თავს იყრის იოსებ-
ში. ეს რანაირად ხდება? ჭეშმარიტად, ყოვლისშემძლეა იეღოვა!

დასკვნა: სახარებებში მოყვანილი ორივე საგვარტომო ნუსხა-
ჯერ სასაცილოა თავისთავად, რამდენადაც მათი დასკვნა არღვევს
მოელს შენობას, მაგრამ ამის გარდა კიდევ ერთიმეორეს გამო-
რიცხავენ, რაც ეკვე სისულელის მწვერვალია.


თავი დაეხაროთ, ძმებო, ამ აბდაუბდის წინაშე და ვირწმუნოთ,
რადგან ვერაფერი გაგოგია*.

* ტაქსილი ითამაშებს საეკლესიო შეერლის ტერტილის ცნობილ გა-
მოცქმას: „ქრელო, ქვით-აბსურდუმ ესტ“ — „შამს, რადგან აბსურდია
(უარიობაა)“.

გოგა და მცხაოსია

და მწერმა იყვნება მასეუ სიცულსა, ვადა-
თა ქადგემოდებ, და პეტილვიდებს ხემილვა-
სა ღმისხახა ხამწერისა მათსა (ე. ი. ღა-
შით სამწეროს დარაჯობდნენ). და ამა ან-
გელობი უფლისა ღამერი მათ ჟედა, და
ლილება უფლისა გამოუძირული მათ, და
შეეშინა მათ შიშითა დაზიანა. და პრევა
ჩათ ანგელოსმან უფლისამან: წე გეშინინ, რა-
შეოთხ ამა ესრა გახარებ თქვენ ხისარულსა
ფილსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა. რა-
შემც იშვა დღეს იტენდა მაცოვერი, რო-
მელ არს ჭრისტო უფალი, ქალაქისა დავითი-
სხა... და იყო ვითარება აღვადეს ანგელოსი
იგი ჟეცად, მწერმა მათ პატენეს ურთიერ-
ხას: განვიდეთ წევნ ვიღრე ბეოლემადმდე და
ვიპილოთ ხიტვა ება, რომელი იყო ჩვენდა
მომართ, რომელი იყო უფალმან მაუწყა
რენ. და მოვიდეს მაწირულ, და პარვეს მა-
რიამ და იოსებ, და ყრიმა იყო მწირარე ბა-
გასა

დრეკა, თავი 2, მუკ. 8-11, 15-16.



ენ შეგე ვიცით, რომ იოსები სიუმარ-
მა იმთავითებ დამშეგიდა. ქს ხამაგალითო
სასიძო საოცარ იმედებს იძლეოდა, ფასდა-
ედებელი ქმარი ვიქნებით. ღმერთია მოწა-
მე, ხულ ტყუილად ეშინოდა მარიამს გა-
თხოვებისა!

დასრულდა თუ არა საქორწინო ცერემონია, ხურომ განაცხადა,
მე და ჩემი ცოლი სხვადასხვა სარეცელში დაგწევებით. შეასრულა

თუ არა თავისი სიტყვა? სახარების ლეგენდა ამის თაობაშე აღარა-
ფერს გვეუპნება. მთელი შემდგომი ამბავთა მსვლელობა უზრუნველყოფილი იყო მეტყველებს, რომ მარიამი ყოველთვის ასე უდიერად არ კუცეოდა
თავის კანონიერ ქმარს, ეგზომ დარბაისელსა და ღირსეულ მეუღ-
ლეს. მაგრამ რად გვინდა წინ გასწრება!

ჭეშმარიტება გვაიძულებს ვალიაროთ (და ამას სიამოვნებით
ვასრულებთ კიდეც), რომ ასეა თუ ისე, პირველ ხანებში მაინც მა-
რიამი სელიწმინდის გამოცხადებით კმაყოფილდებოდა, არავითა-
რი სხვა რამ კავშირით არ დაინტერესებულა.*

თავის მხრივ იოსებიც ერთობ ამაყობდა პატივით, რაც მას წი-
ლად ხვდა. მართალია, მესიის მამა არ ყოფილა, მაგრამ სამაგიე-
როდ მესიის დედის ქმარი ხომ იყო და ახეთი სახელიც ერთ რამედ
ღირს! ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მისი მეუღლე ფეხმძიმედ იყო
და მაცხოვარი უნდა ეშვა! სიამოვნებით გამოაცხადა თავი ყრმის
მამად და მარიამს ზრუნვას არ აკლებდა.

იმ ხანებში გამოვიდა კეისარ ავგუსტიუსი პრძანება. იმპერა-
ტორი რომის იმპერიის ყველა ქვეშევრდომის საყოველთაო აღწერას
მოითხოვდა? იუდეა მაშინ ამ ძლიერი და ძლევამოსილი საბრძა-
ნებლის ნაწილს წარმოაღენდა. მას განაცემდნენ კეისრის სრულ-
უფლებიანი წარმომადგენელნი, მათ შორის ბრძანდებოდა ზემოთ-
სხენებული ტეტრარქი ჰეროდე — „მეოთხედის გამგებელი“.

იმპერატორის ბრძანებულებით, ყოველი ქვეშევრდომი ეწერებო-
და არა იქ, სადაც ცხოვრობდა, არამედ იქ, საიდანაც გადმოსული-
ყო მისი ოჯახი ან გვარი. ამიტომ იოსებსაც ბეთლემში მოუხდა
ჩასვლა, რაღაც დავითის შთამომაცელად ითვლებოდა, დავითი კი
ქალაქ ბეთლემის მკვიდრი იყო.

მგზავრობისათვის ერთობ შეუფერებელი დრო გამოდგა. ნაზა-
რეთი უნდა მიეტოვებინათ და მომქანცველ გზას გასდგომოდნენ.
მარიამის შშობიარობას კი დღე-დღეშე ელოდნენ.

ძლიერ ჩააღწიეს ბეთლემში, რომ ქაღწულს ჟყვე სამშობიარო

*რეანის ლეონისმეტყველების ფაცელტეტის პროფესორის პატ ფურარის
მიერ დამოწმებული წმინდა ტექსტი მისი წივნილი „იესოს ცხოვრება“
გვაუწევს: „საკორწინო ცერემონიის შემდეგ ანალგაზირდა პატრიარქით თა-
ვის საკუთარ სახლში დაბრუნდა, მაგრამ იოსები მას არ გაყარება, ვად-
რე არ ეკოლა ჟე და უწიოდა მას სახელი იესო“ (აღვილი ველვარიდან)!!.

— მერე? — იყოთხვეს ცრობისმოყვარე შეითხველი. მერე ენახოთ
(ლ. ტ.).

ტკივილები დაეწყო. იოსები სასტუმროში გაიქცა, მაგრამ მისდა
სამწუხაროდ ყველა ნომერი უკვე დაკავებული აღმოჩნდა.

რა უნდა ექნათ? სახელდახელო თავშესაფარი ხომ უნდა გამოიქანდა
ნახაო სადმე? ადგნენ და პირველსავე გომურში შევიდნენ, პირდა-
პირ ცივ დატაჭიე მოიკალათეს. აი, აქ, ცივ ზამთარში, ყოველგვარ
ზრუნვასა და სათანადო დახმარებას მოკლებულმა მარიამშა შეა-
ჩვენი წიგნის გმირი, პირდაპირ ჩალაშე, რაც საქონლისათვის ეყა-
რა. მართლაც რომ ვერაფერი სახარბიელო ვითარებაა, სრულიად
შეუფერებელი იმისათვის, რომ ქვეყნად ასალი ღმერთი გამოცხად-
დეს!

— მაგრამ ნე დავდონდებით ასეთ ამბავშე, რაც უმაღ კომიკუ-
რია, ვიდრე სამწუხარო. შევიწყალოთ და შევიცოდოთ მსოლოდ ის
ლარიბ-ლატაჯი. რომელთა ცხოვრებაშიაც მსგავსი ამბები ასე ხმი-
რად და ასე უნებურად ხდებოდა. ხომ არ შეიძლება იმის დავიწყება,
რომ თვითონ იქსომ ყველაფერი ეს გაითვალისწინა და თვითონვე
ისურვა ასეთი შესაბრალისი ხვედრი ჩდებოდა, მსგავსად მაშვრალ-
თა და დაღდასმულთა, რომელთა ღვთაებაც იხა? მისივე ხურვი-
ლი იყო, რომ ახალშობილი ყრმის პირველი მსავილი მსოლოდ და
მსოლოდ გომურში მყოფ საჩია და სახედარის გაეგონათ. გამოვი-
ზოგოთ ჩვენი თანაგრძნობა იმ უთვალავი ბედკრულისათვის, ვი-
საც ასეთი და უარესი უბედურებაც ეთმენია არაფრისათვის, უბ-
რალოსა და უდანაშაულოს.

იოსები კი ბედნიერი იყო: აგერ ის, მისი მესია, მაცხოვარი,
საკუთარ ხელებში აუყვანია, არტახებში ახვევს, თვითონვე ეუბნება
პირველად „აღუ-აღუს“! სწორედ ის, იოსები, ჩაითვლება ამ წეთი-
დან ყრმის მამად. რამდენი სახელი და დიდებაა!

იოსებს რომ ბედის წიგნში ბევრი გასაკვირი ამბის ხილვა ეწე-
რა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ სურპრიზები მისთვის
მსოლოდ ახლა იწყებოდა.

უწინარეს ყოვლისა, ყველა მახლობელი გორაკიდან დაიწყო
მწყემსების მოზღვავება, რომ თაყვანი ეცათ მისი შვილისათვის.

ოქვენ გინდათ თქვათ, ამ შეა ზამთარში, — ამბავი მოხდა 25
დეკემბერს, — გორაკებზე მწყებები საიდან იქნებოდნენ? დიახ,
დიახ, ძვირფასო მკითხველო, იყვნენ! ნამდვილი, ცოცხალი მწყემ-
სები გახლდათ, გორაკებზე შეფერნილ საქონელს რომ მწყემსავდნენ
ამ ზამთრის ღამეში! გაგიკვირდათ, არა? ზოგი ეკლესიასაც ჰქით-

რეთ! თავისი საკუთარი პატიოსნებით დაიფიცებს, რომ ყველა კუ-
რი ასე მოხდა.

ეს მწყემსები ბეთლემის გორაკებზე აძღვებლნენ ცხარის შარქის
ჟეცურად მათ ოვალი მოსკრა კაშკამა შევმა განიხსნენ თაღნი ცისა-
ნი და სერყეახავით ჩამოცეივდნენ ანგელოზები. ბექ-ხადარის ხმით
შეძრეს ცა და მიწა. ხმაური მართლაც უჩვეულო უნდა ყოფილი-
ყო, რადგან ლუკა თვითონვე პლიარებს, მწყემსები შეძრწუნდნენ
და „შევმინა მათ შიშითა დიღითაო“.

— ნუ გეშინიათ, მწყემსებო, — უთხრეს ანგელოზებმა. — ჩვენ
გამოგეცადეთ, რათა კაუწყოთ თქვენა და თქვენს ხალებს დიდი სი-
შარული და ბედნიერება მაშ მოვეისმინეთ ეს-ესაა დაიბადა მაცხო-
ვარი. მიაშურეთ ახლავე ქალაქ ბეთლემს იარეთ ჯერ მთავარი
გზით, მერე ჩესამე ქციაზე მარცხივ შეეხვით. მეექვსე ფრანსი-
სომ იამოცდათი ნაბიჯით მიუახლოვდებით, პატარა ფარდელი
დაგხვდებათ ერთი, კანი ღაა იქნება შიგ ნახავთ ახალგაზრდა
ქალს, მოხუცებულ კაცს, ხარსა და ვირს, აგრეთვე ყრმას, ახალში-
ბილს აი, ის იქნება მესია წინასწარმეტყველთა წინები წაკითხ-
ლი გაქვთ? პო, რა თქმა უნდა. არ გექნებით წაკითხული. თქვენ
ხომ უწიგნერი და უბირი ხალხი ხართ მაგრამ ეს არაფრია: იცა-
დეთ, რომ წინასწარმეტყველებმა უკვე იწინასწარმეტყველებს მაც-
ხოვრის გამოცხადება. მოელი მსოფლიო ულოდება მას აგრე რთხი-
ათასი წელია! როგორც ხედავთ, ორი დღის ამბავი არაა. დღეს
ამღენი ხნის ნანატრი მესია თქვენს თვალწინაა. მაშ წალით ბეთ-
ლემში, ცოცხლად, ფეხზე დოლაბი არ მოიბათ ყრმა იქ დაგხვდე-
ბათ!

მწყემსები ზეზერლად გაშტერლნენ, ანგელოზებმა კი იმავე თა-
ღებს მიაშურეს, საიდანაც უმტკრის ნაყარივით ჩამოცეივდნენ, თა-
ნაც მთელი ხმით იგალობეს: „ოსანა! ოსანა!“ ოსანა ცათა შინა, დე-
დამიწაზე, მშვიდობა ყოველთა, და ნება კეთილი კაცთა შორის!“

მისამართი უადგინებელი უადგინებელი განვითარებისა და განვითარების მისამართი

და რაგამს აღტერულნებ დღენი იყი განწილებისა მთავრობის სჯულითა მისებრ მოსესისა, აღმიაფენებანებ ყრმა იყი იურუსალიმაზ წარდგინებად წინაშე უფლისა, ვითარდა წერილ არს ხელისა უფლისასა, რამეთუ ყოველმან წულმან, რომელმან განაპოს საშო, წმიდა უფლისა იწოდოს.

ლეკა, თ. 2, მუხ. 22-23.



დწერასთან დაკავშირებული ყველა ფორმალობა რომ შესრულდა, ისებმა დაუყოვნებლივ გადაწყვიტა ბეოლემიდან წასვლა. ან რა გააჩირებდა ამ სტუმართმოძულე, დუხშირ ქალაქში, სასაც ქალწულებს აიმულებდნენ საჭინიბოებსა და ბაგებში ეშვათ ყრმები!

ცოლი და შეიღი აიყვანა და იერუსალიმის გზას გაუდგა, რათა ებრაული წესის თანახმად ახალშობილი ყრმა ტაძრად მიეყვანა.

რვა დღის გასვლის შემდეგ კი, აგრეთვე ებრაულთა წესისა და ადათის თანახმად, პატარა იესო უნდა წინადაცეცითათ.

ამ წინადაცეცითის თაობაზე სწავლულ-თეოლოგთა შორის ცხარე დავა იყო. ვინ მოახდინა ეს ოპერაცია? არ ისვენებდნენ ქრისტიანი ვქიმები. ევანგელისტები ამაზე დუმილს ამჯობინებენ, სინამდვილეში კი ამ საკითხის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყველაზე უფრო მიხვედრილი ვარაუდობდნენ, რომ წინადაცეცითის წესი ისევ ითხებმა შეასრულა, სხვამ არავინ. ამგერად, მარწენალმა მამამ პირველმა დაღვარა დვთაებრივი სისხლის პირველი წვეთები.

მაგრამ ნულარ დავკარგავთ დროს ტყუილად ამ სადაცო საქმის გადაწყვეტაზე. უმჯობესია გამოვთქვათ ჩენი გაოცებულმა შემო რომ მამა ღმერთი ციდან დედამიწაზე ჩამოდის საგანგებოდასმის კა თვის, რომ ბოლო მოვდოს ებრაელთა რელიგიას, მის ნაცვლად შექმნას ქრისტიანული სარწმუნობა, ამავე დროს კი საოცრად არღვევს თანმიმდევრობის პირველ მოთხოვნას (უმისოდ ხომ არაფერი ხდება!) და ხალხს ნებას აძლევს ახალი რელიგიის დამფუძნებელს ასეთი, ებრაული ადათით ნაკარნახევი ოპერაცია ჩაუტარონ¹³.

წინადაცვეთის ოპერაციას რომ გაუკეთებდნენ, ახალშობილს სახელსაც არქმევდნენ. ჩვენს გმირს იქსო დაარქვეს. ასე ურჩია მარიამს მთავარანგელოზმა გაბრიელმა თავისი ვიზიტის დროს ნაზარეთში. სიცოცხლეშიაც და ჯვარცმის შემდეგაც ქრისტეს უთვალავ სხვა სახელსაც ეძახდნენ, მათ შორის იყო „ქრისტეც“, ზედწოდება, რაც „მხსნელს“, „მაცხოვარს“ ნიშნავს. უკეთ რომ ვთქვათ, ესაა მოარელი სიტყვა, რაც გულისხმობს ცხებულს, მირონცხებულს და ა. შ.

მაგრამ ყრმას რომ სახელი დაარქვა, ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია: უნდა მოეხდინათ აგრეთვე დედის განწმენდა ცოდვები-საგან. ასე ითხოვდა მოსეს კანონი¹⁴.

სულიერი მამები დასაბამიდან განირჩეოდნენ იშვიათი მოხერხებითა და სხვისი ქონებით ხელის მოთხოვნის უნარით. შშობიარობით ვითომდა შერყვნილი ქალის განწმენდისათვის მღვდლისათვის უნდა მიეცათ საჩუქარი ან ფული: საჩუქრად დაღგენილი იყო გვრიტი და ბატყანი, ხოლო ვისაც ასეთი არსებები არ გააჩნდა, გარეულ თანხას მისცემდა და ის იქნებოდა. რაც შეეხება ქრაქს, მას სამსხვერპლო ცეცხლზე მოხრაკავდნენ ხოლმე და ამის შემდეგ მღვდლის სახლში ჩინებული მოხრაკული იგუავნებოდა. ფულიც მის ჯიბეში მიდიოდა.

მარიაში ვერაფერ საჭიროებას ვერა ხედავდა, რომ ამ დაწესებული ხარჯისათვის თავი აერიდებინა. რა თქმა უნდა, შეეძლო, განცხადებინა, სულიწმიდის ჩარევა ვერ შემბილწავდაო, ახლა ეფრთო უბიწო ვარ, ვიდრე ოდესმე, და არავითარ განწმენდას არ ესაჭირობო, მაგრამ ეტყობა, თვითონაც ვერ იყო თავის უბიწობა—ში ისე გელდაჯერებული, როგორც მისი ქმარი — ხურო იოსები, დავითიანი.

ისე კი სწორად მოიქცა, იერუსალიმში რომ წავიდა, რადგან

ჭმინდა ტაძარში მან იხილა მოხუცი სიმონი, სწორედ ის ნიმონ-
ბერიგაცი, რომელმაც დალოცა მისი და იოსების კავშირი და მოახდენა
მენინა ის ღოცვა, რაც სახარებაშია დამოწმებული.

წელთა სიმრავლის მიუხედავად სიმონს ჩინებული მესსიერება
ჰქონდა, სახელები არ ავიწყდებოდა- მაშინვე იცნო მარიამი და იოსე-
ბი, ხოლო როცა ყრმა იხილა, სასიამოვნო ხმით შესძახა:

— ახლა შემიძლია დამშვიდებული მოგვედე, რამეთუ საკუთარი
თვალით ვიხილე მხსნელი ისრაელი წალხისა!



ქოვანი პიზანო. მაღონა დელ ფორ्टე. 1245.

ჯაფოსხური ვარსკვლავები

ჩოლო იქანს შობას ბერძეში პურიას-
ტანისასა, დღეთა იწოდი მეცნისათა ამა მო-
გვია აღმოსავალით მოვიდეს იტრუსალიშად
და იტყოდეს სადა არს, რომელი იყო იმეა
მეცნე პურიას? რამეთე ვიზილეთ ვანეკუ-
ლავი მისი აღმოსავალით და მოვიდით თაყ-
უნისლეშად მისა.

მათ, 2, 1-2.



მ დროს აღმოსავლეთში მრავალი პა-
ტარ-პატარა სამეცო იყო. მათ განაგებდ-
ნენ მაგებად ანუ მოგვებად წილებული ხე-
ლმწიფები, რომელიც მაგიას, მემარგეო-
ბას, ასტროლოგიას და სხვა მისთანა მეც-
ნიერებებს ჩისდევლნენ¹⁵.

სამი ასეთი მეცე-პრძენი ერთიმეორები მეგობრულად იყო. ხან
ერთოან შეიყრებოდნენ, ხან მეორესთან და თავიანთ ჯადოქრულ
წიგნებს ჩაჰედირებულნენ.

ამ განსწავლული მბრძანებლების სახელები ეგანგელისტებში
არ იცოდნენ, მაგრამ ღირსპატივცემულმა ბედამ*, ინგლისელმა
ღვთისმეტყველმა, რომელიც VIII საუკუნეში ცხოვრობდა,
ღვთაებრივი ზეშთაგონების წყალობით გაიგო ეს საიდუმლო, ასე
რომ მისი, ამ ბედას წყალობით, ახლა მოელმა კათოლიკერმა
სამყარომ იცის აღმოსავლელი მოგვების სახელები.

ამრიგად, მათი სახელებია: მელქიორი, გასპარი და ბალთაზა-
რი.

ღირსპატივცემული ბედა, რომელმაც მოგვების ამბავი შემდე
იცის, ვიდრე ოთხივე ეგანგელისტმა, ერთად აღებულმა, მრავალ



ნაირნაირ ცნობას გვაწვდის: „მელქიორი ჭაღარა მოხუცე აზურა გადიდი წვერ-ულვაში პეტნდა. გასპარი, რომელიც ბევრად იგულიშვილია ახალგაზრდა იყო, წვერს არ იყენებდა. წითელი კაცი გახლდათ, წითელყანიანი. რაც შევეხდა ბალთაზარს. შავ რასას ეკუთხებოდა და წვერს არ იპარსავდა“.

ერთხელ, შემიღებომის წყნარ ღაშები ჩვენი ხაცხობი საშიცე ბრძენი ერთი მათგანის ობსერვატორიაში იმყოფებოდა. კარაბაღინი გადაეშალათ და მოწმენდილ ლაზე ციურ შნათობებს აკვირდებოდნენ. რომელიღაც აქმდე უცნობი კომუტა უნდა აღმოჩინათ. უც-რად შეამჩნიეს, რომ ცის თაღზე გამოჩნდა არაჩეულებრივი კაშკაშა ვარსკვლავი და მაშინვე უწვეულოდ ამოძრავდა. ვარსკვლავთ-მრიცხველთა გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— ხედავთ იმ ვარსკვლავს? — მიუბრუნდა მელქიორი თავის შევობრებს. — მოძრაობს, ხომ მართალია?

— ჟო, ჟო, მარჯვნიდან მარცხნივ ინაცვლებს უცნაურად, შე-მდეგ კი მარცხნიდან მარჯვნივ, — დაუდასტურა ბალთაზარ-ზა.

— ეს კიდევ რა არის! — შესძახა გასპარმა. — მე მგონია, რო-გავს!

რას უნდა მოასწავებდესო ეს ყოველივე? — ფიქრობდნენ მოგ-ვები.

მელქიორმა, როგორც საშეცნიერო საბჭოს თე საზოგადოების თავმჯდომარემ, ასეთი წინადაღება შეიტანა:

— მოდით, ბატონებო, ერთი საათით განვიდეთ ჩვენთა კაბი-ნეტთა შინა და იქ, მყუდროებაში, ხაფუძვლიანად შევისწავლოთ საცნაური ამბავი ესე. შემდეგ ისევ შევიყაროთ და განვსაკოთ შე-დეგნი ჩვენთა ანგარიშთანი.

ასედაც მოიქცნენ.

სამი საათი მაინც ანგარიშით დნენ, პერგამენტები ციფრებით აავსეს. ასეთ მოელე ხანში სამივე წელში მოიკეცა, ისე დაქანცა მძიმე გონებრივმა შრომამ. ობსერვატორიის დიდ დარბაზში რომ დაბრუნდნენ, საზეიმო და დარბაზსლური იერით დადეს თავთავი-ანთი პერგამენტები მაგიდაზე, თვითონ კი უსიტყვოდ მივიღნენ სარქმელთან.

იდემალი ვარსკვლავი უწინდებურად ციმციმებდა მოგვების თვა-ლწინ და საოცარ მაღაყებს გადადიოდა ცის თაღზე.



— უსნაურია, ძალიან უსნაური, — დედუნებდნენ გმოვავმუდა
ისევ მაგიდას მიუსხდნენ.

პირველად სიტყვა მელქიორმა აიღო:

— მე გამოვიანგარიშე, რამდენ ნახტომს აკეთებს მნათობი ჩვი-
დმეტი წელის განმავლობაში. ეს რაოდენობა გადავამრავლე რიცხ-
ვზე 4 228 695, ნამრავლს გამოვაკლი 5 372. ნაშთი გავყავა
47-ზე. ამის შემდეგ მე მოვახდინე ოცდახუთი გამრავლება, იმდე-
ნივე გამოვლება და გაყაფა, ყოველთვის ერთი და იგივე მამრავლი
გამოვიყენე. ერთი და იგივე საკლები და იგივე გამყოფი. აი ჩემი
საბოლოო შედევი.

აქ მელქიორმა ისეთი გრძელი ციფრი წარმოადგინა, რომ თო-
კი გვევრებოდათ, ვარსკვლავეთში გასწვდებოდა.

არც გახსპარი და ბართაშარი ჭამდნენ ფაფას, მათაც ბევრი
ოფლი ღვარებს, ბევრი მათემატიკური გამოთვლა და ანგარიში ჩა-
ატარებს, ამასთან თავიანთ კვლევა-ძიებას საფუძვლად დაუდეს ის
ციფრები, რომლებიც პირველად მოუვიდათ თავში.

ამის მიუხედავად მოხდა კვეშმარიტი სასწაული! ყველა ანგა-
რიში, როგორც წვეთი წვეთს, ისე ჰგავდა ერთიმეორებს.

მეცე-ძრძენყაცებმა ერთიმეორებს გადახედეს და სამთავემ ერ-
თხმად აღტაცებით შესძახეს:

— ვარსკვლავის მოძრაობაზე დაკვირვების შედეგად ჩვენგან
ჩატარებული ანგარიში ეკვმიუტანელად ამტკიცებს, რომ ამ ზამ-
თარში იერუსალიმის გარეუბანში დაიბადება იუდევლთა ახალი
შეფე და რომ ეს მეცე ღმერთია, რის გამოც მოგვიხდება წასვლა
მისდა თაყვანსაცემად

საუცხოო რამ არის ეს მათემატიკა! ბრწყინვალე მიგნებაა ეს
ზესტი მეცნიერებანი!

მოგაგონებთ, არაფერს არ ვაზვიადებ: თვით სახარებაშია ნათქ-
ვამი, ანგელოზებმა კი არ შეატყობინეს, მოგვებს ქრისტეს დაბადე-
ბა, არა: ვარსკვლავის მოძრაობის, მისი გადანაცვლების მიხედვით
დაასკვნესო, რომ იერუსალიმის გარეუბანში და ა. შ.

რაკი თვითონ ვარსკვლავს მოგვთათვის არაფერი უთქვაშს, შაშ
სხვა რა უნდა ვიფიქროთ? ფენომენალური პრობლემის ამოხსნა
ესათუოდ არაჩვეულებრივი მათემატიკური გამოთვლით გადაწყვი-
ტეს.

— წავიდეთ, თაყვანი ვცეთ იუდევლთა ახალ შეფეს, — დაადა-
ხე



სტურეს თავიანთი გადაწყვეტილება გასპარმა, მაღთაშარმა და მელქიორმა.

რაღა საჭირო იყო სახვალით გადადება? ცოლ-შეკლაც არ დაშვიდობებიან, ისე გადადგნუნ გზას. ისიც კი არ უფიქრიათ, რომ შეიძლებოდა მათი მოგზაურობა ერთობ დიდხანს გაგრძელებულიყო და ამ ხნის განმავლობაში ქვეშეცრდობი უგამებელოდ დარჩებოდნენ.

მოგზაურობა ოთხი თვე გაგრძელდა. თებერვალიც დაიწყო და აღმოსავლელი მონარქებიც ჩაბრძანდნენ იერუსალიმში.

თავიანთი გამოთვლის შედეგად განსხვავდულმა მზრდანებლებმა იცოდნენ, რომ იცდეაში ახალი მეცე უნდა დაბადებულიყო. მაგრამ გამოთვლა არ უწევებოდა ზუსტად იმ აღგილს, სადაც ეს სახწაული უნდა მომხდარიყო. სამაგისტროდ მათ ჰყავდათ უზადო გამყოლი — იგივე ვარსკვლავი. წინ მიუძღვიდათ, ხალისით ანათებდა მოგვთა გზას დღისითაც და ღამითაც. საქართვის იყო მიძყოლოდნენ ციურ მეგზურს. ასე მიიყვანა მეცნები ვარსკვლავმა იერუსალიმში, სადაც რამდენიმე დღის წინ მარიამს ყრმის წინადაცვეთისა და თავისი განწმენდის ადათი აღესრულებინა.

*სამი აღმოსავლელი მოვვის თაყვანისცემა აღმომინების ესოქის მრავალმა დიდოსტურმა უკდაცეო შესარაშნაც ტილოები (ბოტიქელი, ვილანდიათ, ვან დევი, ლიურერი, ლორენცი კრელი, რუბენსი). პოეზიაში ცნობილია ჟანკა მსუბუქი იროვნეთ გამომარილი ლექსი:

სამი ხელმწიფე აღმოსავლელი
ცილოლა მორით, კარილი კარილ,
—ძმარ, ჰეთლების გზა ხომ არ იყით! —
ეკითხებოდნენ მთავი და პარალ.

არენ იცოდა, გზას განაგრძობდნენ,
არ ჩერდებოლნენ მიკვეები აჩსად.
წინ მიუძღვიდათ ოქროს ვარსკვლავი
და უნათებდათ ხალისით გზას.


ის ინების წახლიერ გაჩერდა,
იქ წმინდანებმა შესვლა ინებეს.
ხარი ბლაოდა, ბავშვი ჩხაოდა,
გალობდა სამი წმინდანი შეუე.

მოგვიანი თაყვანისცემა

წოლო მათ ვითარება ესმა ესე შეფისა შის-
გან, წარვიდნენ, და ამა, ვარსკვლავი იყო,
რომელიც იხილეს აღმოჩვალით, წინა-უძ-
ლედა შით, ვიღრემდე მოვიდა და დაადგრა
ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იყო.
შელო მათ, ვითარება იხილეს ვარსკვლავი
იყო, განისარებ სისარულითა დიდითა ფრიად.

და ვითარება შეეიდეს სახლსა მას, იხილეს
ყრმა იყო მარიამისთანა, დედისა თვეშისა,
და ლავაზილეს და თაყვანი-პსლეს მას, და აღა-
ლეს საუნჯეთა მათთა, და შეპსწირეს მასსა
ლეკენი: ოქრო, გუნდისუყი და შერი.

მათე, 2, 9-11.



ერუსალიმში ჩასულმა მოვეებმა გაიგეს,
რომ ახალი მეფე ექვსი კვირის წინ დაი-
ბადა. ქრისტეს შობაშდე საში თვით ადრე
გასდგომოდნენ გზას ვარსკვლავთმირიცხ-
ველი ხელმწიფები.

ადგილი წარმოსადგენია იერუსალიმელთა გაოცება, აღმოსავ-
ლელი მეფეების ასეთი მდიდრული ქარავანი რომ იხილეს. ასეთი
დიდმშენიერება ჟავე დიდი ხანია აღარ ენახათ. ყმაწვილები
გუნდ-გუნდად გამოფენილიყვნენ ქუჩებში და თვალთა ცეცებია
შესცემოდნენ დატვირთულ აქლემებს, რომელთა მრედე ზერგსაც
ძვირფასი ქსოვილის თოქალთოები ფარავდა.

მოგვებმა გამყოლი აიყვანეს და მეფესთან მივიდნენ. მათი
ანგარიშით არ ჩანდა, რომ ახალმობილ პრინცს მეფე პეროდეს
ოჯახთან საერთო არალერი პქონდა, ამიტომ იმედი პქონდათ, რომ
ღირსპატივცემულ ყრმას უთუოდ სამეფო სახახლეში იხილავდნენ.



მეფე პეროდე უაღრესად გაოცებული დარჩა, როცა მისმა გვირაცხავა რგვინოსანმა კოლეგებმა, ეგზომ შორეული ქვეყნიდან ჩამოჰყდებოთავა მა, სუფთა ებრაულ კლასიკურ ენაზე მოახსენეს:

— ძვირფასო თანამომმევ. ჩვენ ჩამოვედით, რათა მოგი-ლოცოთ თქვენი ვაჟიშვილის მშეიდობით დაბადება.

— რა მიძრმანეთ? — შესძასა პეროდემ. — ჩემს ცოლს უკვე დიდი ხანია არავითარი შვილი არა პყოლია!

— მაგრამ, — მიუგო მელქიორმა, — ჩვენთვის მათემატიკური სიზუსტითა ცნობილი, რომ სწორედ ორმოცი დღის წინ იყდების ახალი მეფე დაიბადა. თუ ის თქვენს დინასტიას არ უკუთვნის, მაშინ კეთილი ინებეთ და გეითბარით, სად შევვიძლია მისი ნაჩვა?

მომითმინეთ, რას მიძქარავთ, აუ იყოთ? — პერია პეროდემ.

— თქვენი უდიდებულესობავ, როგორ გვადრებათ ასეთი ლაპარაკი! ჩვენ ვნახეთ ვარსკვლავი, რონელიც მოძრაობს. ის მოგვაძლევა ამ ქვეყანაში. თავადაც მოგეხსენებათ, რაყი ვარსკვლავი თაქა ნებას აძლევს ასე მოიქცეს, საამისო მიზეზუბიც ექნება — აღბათ. ჩვენ სრულიად დაწერილებით შევისწავლაა: ციური სხეულების მოძრაობის კანონ-წესები და შეგვაძლია მხოლოდ გაფიმეორით კითხვა: თუ იუდეის მომავალი მეღე თქვენს სასხლეში არ იმყოფება, მაში სადა ბრძანდება?

პეროდე შეაშფოთა ამ სწავლულ მეფეთა დაჯერებულმა ლაპარაკმა. ახლა კი იყადრა ჩატიქერება: არა, ეს პატივცემული ადამიანები უმიზეზოდ არ გაირჩებოდნენ და აქლემებზე ამხედრებულნი არ ჩამოვიდოდნენ ცხრა მთის მიღმიდან მხოლოდ იმისათვის, რომ მასხარად ავეგდეთო. პეროდე დარწმუნებული იყო, რომ იუდეის შეფობა მხოლოდ მის შეილს შეეძლია, ამიტომ ვიდაც იღუმალებით მოცელ მეტოქეზე ფიქრმაც კი თავშარი დასცა.

მაგრამ იუდეველთა მეფე გამოცდილი კაცი იყო, შეშფოთების ნასახიც კი არ გამოუმედავნებია და მოგვებს პირმომცინარმა უთხრა:

— ახალი ამბავი, რაც თქვენ მაუწყეთ, ძვირფასო ბრძენიო, ჩემთვის მართლაც მოულოდნელია, მაგრამ მე ის სიხარულით მავსების, განაგრძეთ, თუ შეიძლება, თქვენი ვარსკვლავის დევნა და როდესაც იუდეის მომავალი მეფე იპოვოთ, დაბრუნდით სასახლეში, მითხარით,

საღაა მისი რეზილენცია. მეც ბედნიერად ჩაუთვლი თავს ვაძლო
უავგეხსტოეს ყრმის.

-- ო, წვენ უბრალო ჩვეულებრივი ვიშიტისათვის როზი ვეზზა-
ლებით! — შეხძახა გასპარმა. — იუდეის მომავალი მეცე ჩვენზე
და ოქვენზე ძლიერი და ძლიერმოსილი იქნება. წვენ იმისათვის მივ-
დივართ, რომ თაყვანი მცირო.

— აა, მაშ ახეა საქმე? — შესკვირა პეროდემ. — კეთილი, მა-
შინ მეც მინდა თაყვანი უცე. ახეთ ხიამოვნებას უარს ცეტ-
ყვით.

პეროდემ სტუმრებს თითო ჭიქა ღვინო და შაქრლამა შესთავა-
ზა და მერე მოგვები წავიდნენ. როცა დავბრუნდებით, ახალი მეცის-
წულის ზესტ მისამართს გეტყვითო, დაპპირდონენ.

ამ წუთიდან პეროდემ ხულის სიმძიდე დაკარგა. ხუმრობა ხომ
არ არის, ტახტის მოცილე დაიბადაო, უთხრეს! ისე შეაწესა ამ
ცოტბამ, ფრიც კი მოისახრა, სრულიად უბრალო ღონისძიებით რომ
შეაძლებოდა ახალშიობილი ყრმის პოვნა. ეს ღონისძიება შემდეგში
შეგონიანეობდა: მოგვებს უნდა გაძყოლოდა, მოარელი გარსკვლავი
შიიყვანდა იქსოსთან! მაგრამ დაბნერლ კაცს ახეთი აზრი თავში არ
შოსვლია*.

თალთაშარი, შეღეორი და გასპარი შარტონი წავიდნენ შოხუტი-
ალე შნათობის კვალდაკვალ. რიკორია გვონიათ, სად ამოპყოფნენ
თავს შთელი ამ მიმოსვლის შემდეგ? ნაზარეთში? შეგეშალათ!

ღლწერის ფურცელშე რეგისტრაციის შემდეგ იოსებმა თავისი
ოჯახით მიატოვა ბეთლემი და იერუსალიმს მიაშურა. ტაძრიდან
გასვლის შემდეგ მათ სხვა აღარაფერი რჩებოდათ გასაკეთებელი,
თავიანთ სახლში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ნაზარეთში, მაგრამ რა-
ტოშლაც გენი იცვალეს და ისევ სტუმართმომულე ბეთლემის გზას
დაადგხენ, რადგან, თუ სახარებას ვერწმუნებით, მოგვების თაყვა-
ნისცემა მოხდა არა ნაზარეთში, არამედ ბეთლემში.

* შოგვებისა და პერიდეს შეხეედრას ტაქსილი არ იგონებს. სახარე-
ბაში წერია: „მაშინ იტოზი იდუმალ ბორწლა მოვეთა მათ და გაშოით-
ხა შათეან კამი იგი გამოიჩინებულისა მას ვარსკვლავისა. და წირავლინ-
ნა იგინი შეთლებად და ჰრევა: შივედით და გამოიყოხეთ პეშმარიტად
ყრმისა მისთვის, და რავაშ შეოვოთ იგი, მითხარით შე, ჩათა შეცა შივა-
ლა და თაყვანის-ვცე შას“ (მათე, 2,7-8).

ტკუილად დამიწყებდნენ დავას იმაზე, რომ ეს თაყვანისცემა მანამდე მოხდა, ვიდრე იქსოს იერუსალიმის ტაძარში წაიყვანდნენ მე გუპასუხებდი, რომ ეს წარმოედგენელია: ქეროდემ ხომ იცოდა ჰყვი, რომ დაიბადა მისი შეტოვე. მესია, და მთელი თავისი მეფე-რი მრისხანებით დაექებდა ყრმას რალა მტკიცება უნდა, რომ ყრმა ვერ გადარჩებოდა მეფის რისხეას. ან რა უდარდელი უნდა ყოფილიყონენ მშობლები, რომ ასეთ არეულ დროს საჯაროდ მიეყ-ვანათ კანონგარეშედ გამოცხადებული ყრმა ტაძარში, რათა რაღაც რელიგიური წესი აღსრულებინათ!

ახევე შეუსაბამი იქნებოდა დავა იმაზე, რომ მოგვების თაყვანისცემა საერთოდ, კალენდრის მიხედვით, წინ უსწრებდათ ღვთის-მშობლის განწმენდას. მაშინ როგორდა მოხდა, რომ მოგვების თა-ყვანისცემა მოხდა ნ იანვარს, სოლო ქეროდეს ბრძანებით ყრმების გაწყვეტა (შედევი მისი) — ცხრა დღით ადრე, 28 დეკემბერს? საქშე ისაა, რომ ქრისტიანული ლეგენდა ერთიანად შეთხულია, სოლო ღვთისმსახურთა სიცრუე პირდაპირ უსინდისობას ედრება, მათი ხრისების წინააღმდეგობა კი პირდაპირ ღალადებს.

ლოგიკურად რომ ეიმსჯელოთ. — თუ საერთოდ შეიძლება ლო-გიკაშვ ლაპარაკი სახარების ზღაპრებში — იოხების ოჯახშა პირვე-ლად შეასრულა ყველა ფორმალობა, რაც მოხეს კანონის თანახმად იყო გათვალისწინებული წინადაცემის, ძღვნის მირთმევისა და განწმენდის სახით, შემდევ კი ყოველგვარი საჭიროების გარეშე და-ბრუნდნენ უცხო ქალაქში — ბეთლემში. თუმცა, ვინ იყის, იქნებ იოხებს გომიურში საკინძები დარჩია?

ამრიგად, ოქროს ვარსკვლავი ბეთლემში გაჩერდა, ლეგენდა-რული გომიურის თავშე. იქ, უეპველია, კურ კიდევ იმყოფებოდნენ ხა-თი და სახედარი. რაც შეეხება თვითონ იოხებს, თუ წმინდა მათვე კურწმუნებით, იქ აღარ იმყოფებოდა.

ამაღ აღთქმაში ნათქვამია: „და ვითარცა შევიდეს სახლსა მ.ა., იშილეს ყრმაი იგი მარიამისთანა, დედისა თვისისა, და დავარდეს და თაყვანისცეს მას, და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შექსწირეს მისა ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მურია“. (შათვ. 2, 11).

მოგვთა ძღვნი მე შედამ საგონებელში მავდებს.

სავალესით მწერლები დარწმუნებით გვატყობინებენ, რომელმა რა საჩუქარი მიართა ყრმას, და უნდა ვაღიარეთ, რომ ორ მათ-განს ბევრი ჟრაფერი გაუმეტებია.

შელქიორმა თავისი ზარდახშია ვახსნა და მისრთვა ყუკლაფური, რაც შე აღმოჩნდა სალ ბაჯაღლო ოქრო იყო გასპარისა ვუკლ-რეკი შიართვა — ის კუნდრუკი რა იხეთი ძეირტახი მღვენის! ბალთაშარმა ბ გასთან და დი ცოტაოდენი მური — სურნელოვანი ფისი, რაც კუნდრუკი უკირი არსად არ ღირს.

შორეული ქვეს და ჩიმოსული მონარქების ახეთი სიძუნწე პირდაპირ წარმოედგენდღია. სიმართლე რომ ითქვას, ამ სიმორეზე წახეტი ღვიძა არ კი ღირდა, თუ ამასე უკუცვეს ვერაფერს გამოშტებდნენ!

გუნდრუკი, ხამეცველი კიდევ ჰო, არა უშესე. თავისთავად ჩალის ფასი აქეს. მაგრამ დაა, წევ მაინც, ხული წიგდლევს და შეფაძლია თქვა, რომ გაქეს სურნელი ამით ახალშობილა ასიამოვნო. ფასპარა ბევრი არაფერი დაუკადა თავისი კომპლიშენტი.

მაგრ მ ბალთაშარი ... ოპ, ეს ბალთაშარი! რა ძენწი ყოფილა! ცოტაოდენი მური არ არ თავის ღმერის და მორჩა მური რა არის? განა საწყენი რაა? ან რას ნიშავდა შენი მური, ბალთაშარი? ღრმად ღირსპატიული ბედა გვიხსნის ყველაფერს: „მური, რაც შევი ზანგი - ცეფის ხელთ იყო, ყრმას მოაკონებდა. რომ ადამიანი უნდა მოკვდეს“. ე ი მურივით შავია კაცის ბედით ძველი ხალხები მართლაც იყენებდნენ მურს ბალუსმირების მიზნით. რას იტყვით? ხომ ხედავთ. რა გულისხმიერებაა, რა ყურადღების ნაშანი, რა შეხაფერისი საჩიუქარი: გვამის დასაბალშამირებელი ფისი ახალშობილისათვაծს!

პირადად შე ვერ დაკვთანხმები ინგლისელ ბერს ჩემის აზრით, ბალთაშარი ნამდევილი კრიეანგი ყოფილა, ქვას წევნს გაადენდა, ქისას იოლად არაურისაცეს არ გახსნიდა. მაგრამ ვჭვი არ მეპარება იმაში, რომ მას მესიანთან ურიგო თამაში გამართა. როცა აკვანშივე პიართვა ის, რაც გასევნებასე გამოადგებოდა. მე პირადად აი, რას ვფიქრობ მური იხეთი ნივთიერებაა, რასაც ფარმაცევტები იყენებენ კრიფტარი წამლის დასამშადებლად, ჩვილ ბავშვებს რომ ასმევენ, რათა არტასები არ დაახველონ. ალბათ ბალთაშარმაც ამ მიზნით მისცა მური. მე მკონია, ეს უფრო სარწმუნოა.

ახეა თუ ისე. მოგვეძმა ზარდახშია ოქროსთან ერთად მოხერხებულად შეაჩეჩეს ღმერთის თავიანთი ფისა და საკრიკელიც. სამაგიეროდ მელქიორის ძღვები მართლაც მეფური იყო. თუნდაც სა-

შეულო ზომის შარდახშა ყოფილიყო, შიგ ოცდაათი-ორმოცი ათა-
სი ფრანგის ღირებულების ოქრო მაინც ჩატეოდა, რაც იმულტიკანა
ისათვის გვარიან თანხას წარმოადგენდა.

მაგრამ აი ახალი თავსატეხი ჩემი გულუბრყვილობისათვის: ამ
ფრიად მნიშვნელოვან ქონებას შემდეგ სახარება ერთხელაც აღარ
იხსენიებს. პირიქით, ყველგან იმაზეა ლაპარაკი, რომ მარიამი და
იოსები ყოველთვის ხელმოკლედ ცტოვნობდნენ. რაც შეესება თვი-
თონ ქრისტეს, ის ზომ პირდაპირ ღარიბ-ღატაკი იყო და მთელა
სიცოცხლის განმავლობაში იმყოფებოდა გელეხვი, მაგრამ საკ-
მაოდ საეჭვო ყოშაქცევის ქალების სარჯწე, რომელთაც ქვემოთ კი-
დევ დავუბრუნდებით.

ის გარემოება, რომ მარიამმა ასე მოკლე ხანში გაფანტა მეცის
ნაჩექარი ოქრო, იმაზე შეტყველებს, რომ ღვთისმშობელსაც ქვინია
თავისი საიდუმლო ვნებანი და საჭიროებანი. ვინ იცის? იქნება და-
უმაღლა კიდევ იოსებს მთელი სიმდიდრე, რაც მოხუცი მოგვის სტე-
მრობამ არგენა? თანხის გაზრდის მიზნით აღმათ ლატარია გაითა-
მაშა და ისიც წააგო, რაც გააჩნდა? ან იქნებ სახარების ავტორებს
დაავიწყდათ მოგვების ძლვენის ამბავი? მწერლობაში რა არ ხდება!



გიბერტი. ხარება. ფლორენციის ბაპტისტერიის ჩელიეფი.

თეოდა რაჭალი ეპიკომეზი შარგის

და მოიღეს ბრძანება ჩვენებით, რათა არა
შეაქციონ იროვისა, არამედ სხვით გშით
წარვიდნენ სოფლად თვისნა. და ვითარეა გა-
ნერინებ მოვარი იყო, ას ანტელის უფ-
ლისა გამატებიდა ჩვენებით იოსებს და მჩქეა
აღხდევ და წარიყვანე ყრჩა ვე და დედაი
შავისი და იულტოდ გვაპტედ და იყავ მუნ,
ვიდრემდე გრძეა შენ, რამეორ ეცვლებას
ინიდის მოძიებად ყრჩა ვე და წარწყმე-
და და 331.

მათ, 2, 12-13.



ოვებს არაფრის ეჭეი არ პქონიათ, და
მზად იყენენ კიდევ შეესრულებინათ პე-
როდე მეცის თხოვნა. ბეთლემიდას დაპ-
რუნებული სასახლეში წასასვლელად ეჩ-
ზადებოდნენ, რომ შეეტყობინებინათ, შენი
მომავალი კონკურენტის რეზიდენცია გომურიათ. მაგრამ საბედ-
ნიეროდ იაღე ციური სიმაღლიდან დასცეროდა ღვთის შეიღს
(ასე ეწოდა იმიტომ, რომ სულიწმიდა მტრუდისაგან იშვა).

ერთხელ ღამით მოგვებს ერთნაირი სისმარი თავსიშმრათ. ვი-
ღაცის ხმა აფრთხილებდა:

— არ გაიცლოთ გულში პეროდებათან წასვლა. ის ბოოცა...
იმ ყრმის დაღუპვა უდევს გულში, თქვენ რომ ინახულეთ. იერუსალიმ-
ში აღარაფერი გესაქმებათ, თქვენი ფეხი აღარ ვიხილო იქა. თქვენს
გზას ეწიეთ.

მოგვებმა რჩევა ისმინეს.

როგორ მოახერხეს შინ დაპრუნება იმ გზის ავლით, რომლითაც
იერუსალიმში ჩამოვიდნენ, ამაზე „წმინდა წერილში“ არაფერია ნა-
74



თქვამი. ეტყობა, რომელიღაც სხვა ვარსკვლავი გაუძღვათ, პრაღას, რამდენიმე რომელმაც ბეთლემში ჩამოიყანა. თავთავიანთ ქვეყანაში, რაღაც თქმა უნდა, ხალხი შეშფოთებული დახვდათ ხელმწიფების ამდენია ხნის ხეტიალის გამო, და ხელახლა აიღეს ხელმი მართვის სადაც. ები. მაგრამ აი, რა არის საიმპერია: მეფებს, რომელთაც რვა თვე გზაში გაატარეს — იქით და უკან — იმისათვის, რომ თაყვანი უცია სრულიად უცხო ღმერთისათვის, დაბრუნების შეშდეგ არც კი უცდიათ თავიანთ ქვეყანაში მისი სარწმუნოების შეტანა. ამა როდის გავონილა, რომ სპარსეთში, სადაც აღმოსავლელი მოგვები ბრძანდებოდნენ, ოდესშე ქრისტეს გულტი ყოფილიყო?

თუმცა, ყველაფერი ეს წერალმანია. უმჯობესია იოსებს დავუბრუნდეთ. მოგვების მონახულების შემდეგ იოსებს ასევე გამოვცხად, ძილში გაძირელ მთავარანგელოზი („წმინდა წერილში“, მოგეხსენებათ, სიზმრები ძალიან დიდ როლს თამაშობენ). უფლის შივრიგმა დროზე გააფრთხილა მოხუცი ხურო, გზას გაუდევით, თორები ყრმის სიცოცხლეს საშიშრიება ერებებათ.

— ადექი, იოსებ, — უთხრა არქანგელოზმა, — ასყვანე ბავშვი, ააყენე დედამისი და რაც შეიძლება ჩქარა აიძრგვენით! წადით ეგვიპტეში. ეს ქვეყანა აქტდან შორს არ არის, მხოლოდ არაბთას გავლა მიგიხდებათ. ბიძლია ამბობს, რომ ასეთი მოგზაურობისათვის აბრაამია სამოცი წელი დახარჯა, მაგრამ საყოველთაო პროცესს თუ გაითვალისწინებთ, თქვენ ბევრად უფრო ადრე ჩახვალო. მაშ გაიქცი, იოსებ, ჩქარა გაიქცი, თორებ ხეალ დილიდან ჰეროდე ყრმის ძებნას დაიწყებს, რათა მოგედოს!

იოსებს დიდი ხელწინა არ დახშირებდია. გათენებისათვის აღარ დაცუდია, გამოაღვიძა ცოლი, რომელსაც სულიწმიდა ელანდებოდა, და უთხრა:

— ადექი, ცოლო, ამა ცოცხლად!

— რა მოხდა? რა იყო? — თვალების ფშვნეტით ეყითხებოდა მარიამი.

— ადე, ადე-მეთქი, — გაუმეორა ქმარია.

— იქ, იოსებ, რა აეტანელი კაცი ხართ! ამა რისთვის გამაღვიძეთ?

— წუწენის დრო არაა, ძვირფასო მეუღლევ. საქმე ისაა, რომ შეიფ ჰეროდეს იესოს მოკლა განუზრახავს. ნუთუ ძალიან გეხალი-სება უძლეველი ტეტრარქის გადაკიდება? მე მესმის, რომ შენი



შეილი ღმერთია და თავის გაგულების ნებას აგრე იოლადუ ჩრდილი
მისცემს, მაგრამ ვიტერობ, ყრმის ფრთაებირივ ძლიერებაზე იშვიდის
დამყარება ჯერ ნაადრევია, ამიტომ ბევრად უფრო გონივრულად
მოვიქცევით, თუ დროით გავერიდებით ხოცვა-ულეტას, რაც ვაწუ-
რახლია. ჩქარა აიყვანე შენი ბუთხეზა ბიჭი და გავიქცეთ!

ასე თქვა ხურომ ბრძანების კილოთი და მისმა ცოლმაც იყაღრა
მაშინ წამოდგომა.

— თუ საქმე გასაქცევადაა, მაშ გავიქცეთ, რა გაეწყობაო, —
თქვა. — მაგრამ ვინ წაიღებს ჩვენს სარჩო-საბადებელს? თქვენ
ალბათ მოგდებენებათ, რომ მე ბავშვის გარდა ურაფერს წამოვი-
კიდებ.

— ო, ქალბატონო, მაგისათვის პლარ შეგაწებებ: ჩვენს ვირს წა-
ვიყვანთ.

— მაგრამ ეს სახედარი ხომ ჩვენი არაა! ვიღაცას დაუტოვებია
ამ საჯინიბოში. უბრალო წესიერება არ გვაძლევს ნებას, რომ ის
მიერთვისოთ

— მაპატიეთ, მაგრამ ჩვენ საკუთარი ინტერესები კი არ გვა-
მოძრავებს, შვილის გადარჩენა გვადევს ვალად. და განა იქსო ქველ-
ნიერების მბრძანებელი არ არის?

— მაშე რა პასუხი უნდა გაეცა? სახედრის საკითხი გადაწყვეტილი
იყო. მარიამი ზედ შეჯდა, ხელში ყრმა დაიკავა და გზას გაუდგნენ.

როცა ცის ტატნობზე მსე გამოჩინდა, ლტოლვილები ეკვი შორს
იყვნენ ბეთლემიდან. მთელი დღე მიღიოდნენ. საღამოხანს, დაისის
ბინდში, ვიღაც საეჭვო პირებმა აღყა შემთარტყეს

— ან ფული, ან სული! — შექცვირა ავაზაკების მეთაურმა.

მარიამია ხომ არ გაუმხილა იოსებს, რომ მოგვებმა მთელი ზარ-
დახმა ოქრო უბოძეს. ამიტომ შარაგზის ავაზაკების მუქარას იოსებ-
მა მომხიბლავი უბრალოებით უსისუხა:

— ჩემო კარგებო, თქვენ უბრალოდ შეგვეალათ: სულაც არა
ვართ ის მდიდარი მიგზაურები, რომლებიც ალბათ გვონივართ. შე
ერთი ღარიბი ხერო ვარ, ასე ცარიელ-ტარიელს მომიხდა შშობ-

* აյ მართლაც ზედშეტი არ იქნებოდა გაეხსენებინათ მოცელი ზარდაზ-
შა იქრო, მოვებმა რომ უბიოქს, და რითაც შეეძლოთ ეყიდვათ ველა
ერი, რაც ბეთლემში მოითვევებოდა. ევანგელისტებს მართლა დაეკარ-
დათ, მელქიორმა რომ იქსოს ამღენი იქრო აჩეკა, თორემ გზაში მარკ
გამოიყენებდნენ.



ლიური მხარის შიტოვება. ხერხი და რანდა — აი მთელი ჩუმრი კერძოდა
დიდრე. ეს ახალგაზრდა ქალი — ჩემი ცოლია, ბავშვი კურაგებულებია
რთის შვილი. დიახაც, მაცხოვარია, ჩვენი წინასწარმეტყველები რომ
დაპირდნენ ებრაელ ხალხს.

ავაშაკი, ეტყობა, წინასწარმეტყველებას კითხულობდა, ან სწა-
მდა მაინც. მაშინვე მუხლებზე დაემხო უბიწო დედის წინაშე და შე-
ევედრა, მომიტევე ჩემი უცერემონიო საქციელიო.

— ქალიშვილო, თუ ქალბატონო, — ეუბნებოდა, — ჩემი სახე-
ლია დიმასი. პროფესიით ქურდი ვარ, მაგრამ ეს არ მიშლის, რომ
ვიყო გრძნობიერი. ბოდიში მომიხდია იმისათვის, რომ შეგაფერ-
ხეთ, ხოლო იმისათვის, რომ შეგაშინეთ, ჩენთან ღამის გასათვად
გვეპატივებით. მეუა შეავს ყმაწვილი შვილი. სამწუხაროდ, სწეულია.
წამობრძანდით ჩემსას, ღამეს კარვად გაგათვეინებთ. მეც ხელი მო-
მემართება: რაკი თქვენი შვილი მაცხოვარი ყოფილა, მისი სტუ-
რობა ბედნიერებას მომიტანს.

— როგორ მოგწონს ასეთი მიწვევა? — პკითხა იოსებმა მარი-
ამს. — მე მგონია, გულწრფელად გვეუბნება. თანაც, ვატყობ, გაავ-
დრებას აპირებს. განა შეიძლება იმის დაშვება, რომ ღვთაებრივ
ყმაწვილს, რომელიც იაღვებ ჩვენ გვანდო, სურდო შეეყაროს?

— ყაჩაღებშიაც ურევია ქეთილი ადამიანები, — მიუგო ეწმინ-
დესმა ქალწულმა. — ნუ ვეტყვით უარს, ვესტუმროთ ამ ყაჩაღს.

ქრისტიანულ ლეგენდას აღარ შემოუნახავს სხვა რამ ცნობები
მგვიპტეში გაქცევის შესახებ. პირველი ღამე იოსებმა ყაჩაღ დიმა-
სის სახლში გაატარა, მას კიდევ შევხვდებით ჩვენი მოთხრობის და-
სასრულს. მეორე ღღეს, როცა იოსებმა მძარცველის სახლი დატოვა,
მასპინძლის სწეული ყრძა ჟუვე ჯანსაღი იყო.


საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ დიმასის სახლის მახლობლად
მოდიოდა წყარო, რომელშიაც მარიამმა თავისი ყრძის არტახები
გარეცხა, რადგან მართალია, იქსო ღვთაებრივი ბავშვი იყო, ყოველ
ნაირად ადამიანის ზნე და ბუნება პქონდა.

დღესაც გვიჩვენებენ ბეთლემის გარეუბანში წყაროს, რომელში-
აც მარიამმა ქრისტეს არტახები გარეცხა. მას დიმასის წყაროს ეძა-
ხიან. ამ რეცხვის წყალობით წყაროს წყალს დღემდე საოცარი სა-
სწაულების მოხდენის უნარი აქვს.

ვეზე პეროვსაც პერინა ნერვაზი

შემინ ვითარცა ინილა ინილი, რამეცაც
მოიყიცხა მოგვთა მათგან, განრისხნა ფრიად,
წარაკულინნა და მისწუყვილნა ჭაველი ტამა-
ბი, რომელი იყვნებ ბეთლემი და უოგელია
საზღვანია მიხსა. ირია წლიათუანი და უდა-
რესი, მსგავსად მის ქამიხა, ვითარცა გამო-
იყიახშა მოგვთა მათგან.

მსოფ, 2, 16.



მასობაში, როგორც ჟევე ითქვა, მეფე
პეროდეს ეჭვი პერნდა აღებული, რომ და-
ბადებულია ღვთისაგან მირონცხებული
მისი მეტოქე. მოგვთა რწმუნებით ამ ყრმას
მომავალში იუდის ტახტი უნდა დაეკავები-
ნა, და მეფები უთუოდ საქმის კურსში იყვნენ. ეს კი ნამნავდა,
რომ მეფე პეროდე ტახტიდან უნდა გადაეყირავებინათ. ტეტრა-
რქი ძლიერ შემუოთებული იყო, მით უფრო რომ თავის გვირ-
გვინს დიდად აფასებდა და მისი მოცილე ღმერთიც არ უნდო-
და.

მეფე პეროდემ ბრძანება გასცა სასახლეში მოწევიათ მღვდელ-
მთავარი და მწიგნობარი. დაწერილებით მოგვთა მოგვთა
ვაშიტის ამბავი, მათი ვარაუდები, არც ვარსკვლავის როკვა და-
ვიწყებია, და პირდაპირ დაუსვა ასეთი კითხვა:

— რა არის მთელს ამ ამბავში ჭეშმარიტება?

მღვდელმთავრებმა უპასუხეს:

— დიახ, ჩვენ ვიხილეთ მეფე-მოგვთა ქარავანი, ვიხილეთ ცა-
ზე მოარული ვარსკვლავიც, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რას მოასწავებს
მთელი ეს ამბავი.



— მაშასადამე, თქვენ უბრალო გირები ხართ! — რისხელია
შესძახა მეფე პეროდემ. — წარმოიდგინულ, მოგვებმა, ჩომელიაც
თქვენი წინასწარმეტყველები. წიგნები თვალითაც არ უნახავთ,
მნათობთა მოძრაობის მიხედვით გამოიჯინგარიშეს, რომ აქვე, იერუ-
სალიმის გარეუბანში უნდა შობილიყო ახალი მეუკე, თქვენ კი, რო-
მელნიც ყველას ჰქონით იერუსალიმის ტაძარში, ზეპირად
იცით წინასწარმეტყველთა ყველა ქადაგება, — წარმოდგენაც
არა გაქვთ იმაზე, რაც ჩემს სამეფოში უნდა მოხდეს! გაგონილა
ახეთი საქმე? თქვენ, ბატონებო, ტყუილად იღებთ ფეხს! აბა
ცოცხლად მაუწყეთ წინასწარმეტყველების აზრი, თორები სახრიო-
ბელა არ აგცდებათ არც ერთს!

მწიგნობრებსა და მღვდელმთავრებს ასეთი პერსპექტივა ხელს
არ აძლევდა. ქეროდეს მუქარა მათ არ უღიმოდა. მოიტანეს თა-
ვიანთი წიგნები და ციიბიანივით კანკალით დაიწყეს ფურცელა.

ბიბლიაში არაფერი არ მიუთითებდა გარკვევით მესიის დაბადე-
ბას კეისარ ავტუსტუსის დროში. მაგრამ რაკი სხვა გამოსავალი
არ იყო და პეროდესათვის უნდა ესიამოვნებინათ, მიქიას წიგნი
გადაუშალეს (5,2), სადაც წერია: „და შენ, პატარა ქალაქო ბი-
თლებო-ერთობათავ, განა პატარა ხარ ათასთა შორის იუდასთა? შენ-
გან იშობა ჩემდა ის, ვინც უნდა გახდეს გამგებელი ისრაელისა,
და შობა რომლისა დახაბაშიდან მარადისობისა“.

როდის და როგორ უნდა შობილიყო ეს საშიში მეუკე, ამაზე
მიქიას წინასწარმეტყველებაში არაფერი ეწერა.

ისევ და ისევ იმისათვის, რომ პეროდე არ გაენაწყენებინათ,
სწავლელმა იუდეველებმა გამოთქვეს აზრი, რომ უთუოდ არის
რაღაც საერთო ამ წინასწარმეტყველებასა და მოგვთა ალ-
გებრულ გამოანგარიშებას შორის.

— კარგით, — გაიფიქრა პეროდემ. — მაშ ბეთლემს მივხე-
დოთ.

მღვდლები ისე გააცილა თუ გაუშვა, რომ არც კი გაუმხელია
თავისი გერაგული განზრახვა, რაც უკვე თავში უტრიალებდა. მარ-
თლაც, მზაკვრულ გეგმას ადგენდა.

იუდეველთა სამღვდელოებიდან ერთს მაინც უდავოდ შეეძლო
სწორი ცნობების მიწოდება იმაზე, რაც პეროდეს აინტერესებდა.
მს კაცი იყო მღვდელმთავარი სიმონი, რომელიც მარიამის განშენ-
დაში მონაწილეობდა, როდესაც იქსო ტაძრად მიიყვანეს. მკით-



ხელს ახსოვს უთუოდ: სიმონი არ იყო, რომ უფლის კურისხევა ჩემი რძნო და პირველსაც ხილვაზე იცნო მესია? ეჭვი არ უწიდა შეგვეპაროს, რომ მღვდელმთავართა სხდომას სასახლეში სიმონიც ესწრებოდა (თუ ავად არ იყო). რატომ არ თქვა ის, რაც იცოდა? ცხადია, იაღვემ თუ თებერვალს გაუხსნა ენა, თორემ ახლა ენაზე კლიტე დაადო.

პეროდემ გადაწყვეტა მოგვებისათვის დაეცადა, მაგრამ მოგვება უფლის ბრძანებით მეორე ვზა აირჩიეს, იერუსალიმს სათოფეზე აღარ გაკარებიან.

პეროდე სულ უფრო და უფრო ბრაზობდა, ბოლოს საშინელმა ისტერიკამ მოიცვა. მის სიშმაგეს საზღვარი არა ქვინდა. სულ ცოფსა ყრიდა. მთელი ჭურჭელი დალეწა, მსახურებს სილას აწნავდა, უხეშად მოქეცა ედანაშაულო ცოლს, ათობით ღერი თმა დაიძრო თავშე და ხელიც კი იღრძო, როცა გამეტებით მოიქნია, რათა სარკე მუშტით დაემსხვრია.

აღგა და ბეთლემში გაეშურა, თან ჯალათი და მისი თანაშემწე წაიყვანა. იქ გაცლებიანი მოქალაქეები დაიბარა. დასვა და ჰქითხა:

— აქ ამ ცოტა ხნის წინ სამი აღმოსავლელი მონარქი ხომ არ გამოჩენილა?

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, გამოჩენდა. სამი მონარქი, მდიდრულ აქლემებზე ამხედრებული, ჩამობრძანდა, ვარსკვლავს მიპყებოდნენ და გომურში შევიდნენ.

— გომურში?

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, საჯინიბოში, სადაც მოხუცი დასახლდა. სწორედ იქ დაიბარა ამ ცოტა ხნის წინათ ერთი ყრმა.

— ამაში დარწმუნებული ხართ?

— ოღონდაც, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენს ქალაქში სამი ათასი მცხოვრებიც არ იქნება, — მიუგეს წარჩინებულმა მოქალაქეებმა. — აქ ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს და ხომ არა ვგონიათ. რომ სამი უცხო ხელმწიფის ჩამოსულა შეუმჩნეველი დარჩებოდა? წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა ვნახეთ, რომ აქლემებზე მჯდარი სამი ხელმწიფე აღმოსავლელი დიდი ამბით გაემართა გომურისაკენ! ყველაზე უფრო უბადრუკი ფარლალა გომურისაკენ, კლდის ქვებზე რომ არის მიღველი და შივ



ღარიბი მწევმსები საქონელს ამწევდევნ ხოლმე, გლეხები ვირსა
და სარს აპამენ.

— სად არის ასლა ის სამი მეცე, გომურის მობინადრეების რომ
თაყვანი სცეს?

— აი, ამაზე კი რა მოგახსენოთ. არავის არ დალაპარაკებიან, არავისთვის არაფერი ჟეითხავთ, რადგან მთლიანად საკუთარ ვარსკვლავს ენდობოდნენ, და ისევე შეემჩნევლად გაქრნენ, როგორც გამოჩენდნენ.

— ის ძერიყაცი და მისი ცოლ-შვილი ისევ იმ გომურში არიან?

— არა, თქვენო უდიდებულესობავ, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად ერთ მშვენიერ დამეს ის მოხუციც გაქრა და მასთან მისი ცოლ-შვილიც. ერთ საწყალ კაცს მისდა შავბედად გომურში ერთი ვირი დაეტოვებინა, ის ვირიც დაუკითხავად აუხსნიათ და გაპარულან. ჩვენ ვერ მოგახსენებთ, რა ოჯახია, ვინ არიან, მავრავ ქეთილი სულები კი არ უნდა იყონ.

— საკმარისია! — ჩაიბურტყუნა ქეროდემ. — თქვენ სიმართლეს მიმალავთ. თქვენ მაღალ იმ არაჩეულებრივ ყრმას, რომლის გელისთვისაც სამი უცხო ხელმწიფე ბეთლემში ჩამოვიდა.

— გაფიცებით, თქვენო უდიდებულესობავ...

— მე კი არ მჯერა თქვენი ფიცი! პოლიტიკური მოსაზრებით მე დაინტერესებული ვარ იმით, რომ ამ ყმაწვილმა არ იცოცხლოს არც ერთი წამით, და მე სრული გარანტია უნდა მქონდეს, რომ ხელიდან ვერსაით წამივა. ამიტომ ბატონი ჯალათი და მისი თანამემწე, რომელიც თან მომიყვანია და მაქვს პატივი ახლავე წარმოგიდვინოთ, ამავე წესს თეუდგებიან ყველა ბეთლემელი ყმაწვილის გაეშვევას, ორ წლამდე ასაკისას.

გაისმა საერთო გოდება. წარინებული მოქალაქეები ფეხქვეშ ჩაუცვიდნენ ვაბოროტებულ ქეროდეს. მეფეს წარბიც არ შეუხრია.

— ჯალათებო! — შესძახა. — თქვენ გაიგონეთ ჩემი ბრძანება! შეედექით მოვალეობის შესრულებას!

ჯალათები მაშინვე გავარდნენ და დაიწყეს სახლების ჩხრეკა. ორას-სამასამდე სახლი იქნებოდა, და მწესრის გამს, როცა მსედასავლეთში ჩაესვენა, უკვე მორჩინენ თავიანთ შავბნელ საქმეს. ალომად უმანკო სისხლი დაიღვარა. პატარა ქალაქში, სადაც ძლივი იქნებოდა სამი ათასამდე ბინადარი, ერთ დღეში გაწყვიტეს ოცი

ათასი ყრმა*. ასე ამტკიცებს ექლესია და ჩვენ რა უფლება გვაძლოთ
არ გერმუნოთ!

რაც შეეხება მამა-ღმერთს, იითიც არ გაუწირევია იშისათვის,
რომ ეს ჯოჯოხეთური ხოცვა-ელეტა შეერწყმინა. შეფის რისხვის ამ-
დენი უმანქო მსხვერპლის ბედი, ჩემის აზრით, ყველაზე მეტად
უნდა აღელვებდეს რამდენადმე სამართლიან მსაჯულს, მით უმეტეს
ციურს. უზენაესის ერთი ამოოხერაც საკმარისი იქნებოდა, რომ შეე-
წყვიტათ ეს გაუგონარი სვრემა ყრმათა, რომელიც ვერანაირად
ვერ იქნებოდნენ იქსოს დაბადების მიზეზი. მაგრამ მოწყალე საბა-
ოთი ამჯერად ყრუ დარჩა, არც დაშვებულა ციდან, არც ანგელოზი
გამოუგზავნია და დრუბლებზე მჯდარი გულდამშვიდებით დასცემ-
როდა სისხლიან ჭალათებს.



ლუკა დელა რობო. მადონა და ყრმა.

* შეთლების მოსახლეობა არასოდეს ან იღემატებოდა საში ათასს. ცხა-
ლია, თცი ათასი ყრმის გაწყვეტის აშშავი ჰდავისა რიც. (ლ. ტ.).

ივერი ვავისახავი

სოლო რაფაშ აღქმულა მწოდი, ამა ან-
გლოხი უფლისა გამოეცხადა წენებით თა-
სებს ევვიპტეს. და პრევა: აღსდე და წარიყ-
უნე ყრმა ეც და დედა მავრი და წარუე
ძეგუნად იხრალისა, რამეთუ მიმწუდებ,
რომელნი ემიებდეს ხულია ზაგრი ყრმისა.

ხოლო იცი აღმძღვა და წარმოიყვანა ყრმა
ეც და დედა მისი, და მოვიდა ქვეყანაზ
იხრალისა.

გათე, 2, 19-21.



ანძილი ბეთლემესა და ჰელიოპოლისს, ეგ-
ვიპტის ქალაქს შორის, სადაც, ქრისტია-
ნული გადმოცემის თანახმად, იოსების
ოჯახი იმპერატორი, ოთხას კილომეტრამდე
იქნება. ამასთან გაითვალისწინეთ, რომ
ლტოლეილებს მოუხდათ არაპეთის უდაბნოს გადალახვა მის
ყველაზე უფრო ფრთო ნაწილში, სადაც არაეითარი გზა და კვალი
არ არის, უკომისაოდ მიძყვებოდნენ ქა-ღორღიან უდაბნოებს. ვარ-
სკელავიც კი არ უნათებდათ გზას. ასეთ პირობებში, დამეთანხმე-
ბით, წარმოედგენელია ქვეყნის გადალახვა ისე. რომ არ დაიბნე,
და იოლი წარმოსაღენია, რა არასასიამოენო იყო ლტოლეილი ოჯა-
ხის ასეთი გასეირნება.

მაგრამ მამობილი და უბიწო დედა არ დაბნეულან, არ არევიათ
გზა და ბილიკიდან არ გადასულან არც ერთი ნაბიჯით. ღამით
იოლად გადიოდნენ უფარნოდ და უხანთლოდ. ღოთაებრივი ყრმის
სხეული შექს აფრქვევდა და გზას ანათებდა.

მავრამ რას ჭამდა და როგორ გადასწია ფირი, სხვისი კომერი-
ტან რომ წაიყვანეს, — ეს აღარავინ არ იყის.

ექლუსია გვარწმუნებს, რომ მოგზაურებს თავიანთ გზაზე ყოველნაირი სასწაული თან ახლდათ და უძისუბექებდა წილსულას. უგზო აღვილზე თავისთავად გაიძმებოდა გზა, და რა საშტაცია, რომ, როგორც კი იოსების ოჯახი გაივლიდა, გზა ისევ ქრებოდა. უდაბნოს ქვიშა — ესეც ვიდრე ოჯახი გაივლიდა — მობიბინე მოლად იქცეოდა, სადაც იერიქონის ვარდი იუერჩენებოდა. ყოველ ნაბიჯზე რა ნაყოფსა და ხილსაც ინებებდნენ, გამზადებული ხვდებოდათ. იოსებს ხილის მოსაკრეფად გარჯაც არ უხდებოდა: ხევი თავისთავად დასწევდნენ ტოტებს, მოწყვეტის მეტი არაფერი უნდოდა.

რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში იოსების ოჯახს არ გაუჭირდებოდა თენდაც ორი უდაბნოს გადალახვა, მით უმეტას, რომ არაბეთის ლომები, ვეფხვები და დრაკონებიც კი (რადგანაც იმ დროს დრაკონებიც არსებოდნენ!) ჯოგ-ჯოგად გარბოდნენ იესოსაკენ, ფერხთით ემსობოდნენ, კუდის ქიცინით ელაქტუცებოდნენ და ლიკავდნენ ალბათ კიდევ: რაჯი მაცხოვარი ხარ, ჩვენი თავი დაგვენაცვლოს, პირს როგორ მოგაკრებთ, თუ არა საკოცნელადო!

იოსების ოჯახის ადგილსამყოფელი ეგვიპტეში იყო ქალაქი ჰელიოპოლისი (მზის ქალაქი) ანუ ონი, აწინდელი მატარიექი. რვა კილომეტრზე ქაიროდან.

არავინ არ ეწყის, რა საქმიანობას ეწეოდნენ განდევნილობის წლებში ნეტარი ლტოლვილნი. იესოს იმეგამინდელი ცხოვრების ყველაზე უფრო ნათელ ეპიზოდად მატარიექის კაპტური მონასტრის პერები ჩვენს დროში ასახელებენ გარეული ლელვის ხეს: მიმღოცეულებს დიდის ამბით და გარკვეული გადასახადის ფასად უჩინებენ ამ ხეს, რომლის ქვეშაც თურმე ღვთისმშობელმა თავის ყრმას ძუძუ აწოვა და ამით ლელეს პატივი დასდო.

თქვენ იტყვით, წელთა სიმრავლის გამო ლეღვი ალბათ გახმებოდათ. რასა ბრძანებთ! მიუხედავად ამისა, რომ კენწეროშე თითქმის ორი ათასი წელი ჰქიდია, მწვანეა, როგორც არასოდეს, და სულაც არ დაუკარგავს ნერგის იერი.

ვისაც ასეთი სასწაულები არ სწამს, წავიდეს, ჩავიდეს მატარიექის მონასტრში და იქ თრასიოდე წელი გაატაროს, ან სამასი, მე კი დაკვლები, რას მაცნობებს.

მეორე სასწაული, რომლის შემძარიტებაშიც ყველას შეუძლია დაწმუნდეს, ისე რომ არსად გამგზავრება არ მოუხდება, — ესაა



ფინიკების ანუ ინდის ხერმის სასწაული. იყიდეთ ცოტაოდენი უზარუნაობის ნიჟი და მიირთვით. ამ ხის ყოველი ნაყოფის კურკაზე შემოწიევთ ნელის მაგვარად წრეს „0“. ესინ კურკაზე არავითარი „0“ არ ყოფილა, შემდეგ გაჩნდა. ესაა იგივე ლათინური „0“.

ეს ასე მოხდა: როცა იქსო წლინახევრისა გახდა, ერთხელ დედამ ფინიკი მისცა. ცეროდენა ბალომა, რომელიც შანამდე მხოლოდ რაღაც გაურკვეველს ტიტინებდა, უეცრად შესძახა: „ო, მშვენიერი ნაყოფო!“ ფინიკის ნაყოფზე გაჩნილი „0“ სამარადისო მოვონებად დარჩა ამ საკვირველი წამოძახილისა, რაც იქსოს ბაგეს პირველად მოწყდა.

წმინდა პონაფენტურას¹⁷ სატყეოთ იოსების ოჯახშა განდეგილობაში შეიდი წელი დაქყო. მოელი ამ ხნის განმავლობაში ყმაწვილი გარემოცული იყო დედის მზრუნველობით, ის აჭმევდა ძუძუს. ქალწულის რე — ესეც თქვენ ერთი ახალი სასწაული! ყმაწვილი, როგორც შვილს შეიცერება, მამის ხელსაწყოებით თამაშობდა, ჩამა კი, როგორც მშობელს შეეფრება, გორგოლებს უკეთებდა. მოკლედ, იქსოს ყრმიბა, თუ რამდენიმე სასწაულს არ ჩავთვლით, ისევ მიმდინარეობდა, როგორც ყველა სხვა ყმაწვილისა, და ბუნებრივია, რომ დედის კალას ეპოტინებოდა, თავის ღვთაებრივ ცრემლებსაც დედრს სამოსის სახელოებით იწმენდდა.


ანგელოზები იოსებს ქამით ქამამდე ატყობინებდნენ ყველაფერს, რასაც ჰეროდე მეფე სიადიოდა. ასე შეიტყო ოცი ათასი ბეთლემელი ყრმის გაწყვეტის ამბავიც. ადვილი წარმოსალენია, რა გახარებული იყო, რომ ცოლი დროზე გააღვიძა და ღვთაებრივი ყრმა სულთამშეთავ ტირანს გაარიდა!

იოსებმა გაიგო სრულიად გამაოგნებელი ამბავიც. რაქილმა, მოხეც იაკობის საყვარელმა მეცნლემ, პატრიარქ ისააკის რძალმა, რაქილმა, რომელიც ოდესლაც გარდაიცვალა და რამათს დაკრძალუს, 3651 წელს ქვეწიერების შექმნიდან, ყმაწვილთა ულეტის დღეს გამოიღვიძა თავის კუპონი და ისე გელგამგმირავად შეკეიფლა, რომ ოთხას კილომეტრზე გაისმა. ეს სასწაული სახარებაში დადასტურებულია: „ მაშინ აღესრულა თქმელი იგი იერემია წინასწარმეტყველისა, რომელსა იტყვის: ხმაი. პრამათს ისმა გოდებისა და ტირილისა. და ტყებისა მრავალი. რაზილ პსტიროდა შეიღთა თვათა და არა უნდა ნეკეშინის-ლემა, რამეთუ არა არნს“ (მათე, 2, 17-18).

როცა ჰეროდე აპრაშის წიაღმი წაშავდა, ანგელოზის ისმებს ესეც მაშინვე მიახარა. იმანაც გულებრყვილოდ იფიქრი და დაკარგების დრო და უმიო. ადგა, გაყიდა თავისი ჩასელის ნი და გადაიღეს გზას გაუდგა, შეიძლიურ ნაშარეთს მიაშურა (ლუკა, 2,39).

ჰეროდეს ამბავს რომ მოვრჩეთ, მყითხველის ყურადღებას შევანიშებ ერთ სერიოზულ წინააღმდეგობაზე, რაც არსებობს მეცნიერთა და ევანგელისტთა მტკიცებებს შორის. ისტორიული დოკუმენტები გვემოწმებიან, რომ ჰეროდე გარდაიცვალა ზესტად ოთხი წლით ადრე იმ თარიღამდე, რასაც ევანგელისტები ქრისტეს დაბადების თარიღად დებენ. ამ ანგარიშით მოგვები სააჯაოში ურაფერს შეატყობინებდნენ იუდეის მეფეს იეჰოს შათაბისას.

თუ ამ წერილმანს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა მხრივ ქრისტიანული ლეგენდა ტეშმარიტების უტყუარ ასახვას წარმოადგნს. ამრიგად, მეფე ჰეროდე ნამდვილად იყო ბოროტმიტმედი, ძუძუთა ბავშვების გამედეტი. წეველიც იყოს სახსენებელი ამ ურჯუკისა, რომელიც თავის გარდაცვალების შემდეგაც კი იღებდა უცხოელ სელმწიფეებს და აწყობდა სისხლიან ხოცვა-გლეტას!



ართ შელერთ. იესო მარიამის შემდეგ („რე მრავალს იტუვოთ...“).

ივალი-ვენეციელი პირები

და იყო რა იყი ათორმეტის წლის, აღმო-
ვადეს იგინი იურისალიშვილი, ვათარუა ჩვეულ
იცვნებ დაქვასწაულისა მას.

და აღმორვალნებ დღენი იყი და წარსელასა
მას მათსა დაპირა იყსო უჩმა იურისალიშვილი,
და არა უწყოდეს ისესპ და დედამინ მის-
მას...

და იყო შემზღვომიად სამისა დღისა პპავებ
იყი ტაძარისა მას შინა, ცხლომისე შირის
შიძლვართა, ისმერდა მათსა და ჰყითსვიდა
მათ.

და განკუცირდებოდა მათ ფუფულთა, რი-
შელთა ქსმილა მისი გელის-ხელის-ხელის მისი
და სიტყვის-შიგება მისი

ლუკა, 42-43, 46-47.



ზრდებოდა და ივებოდა სიბრძნითაო, გვა-
უწყებს ევანგელიისტი ლუკა. ეკლესიის
მამები დასძენებ: „მისი გონიერაც ისრდე-
ბოდა მისი სხველის ზრდის კვალობაზეთ“
(სინაის, ბეჭისა და ვატიკანის სელნა-
ჭირ-1.)

რერადლება ინაქციება. ესასაც დვათაებრივი გონება ჯერ კიდევ
არ ყოფილა გახსნილი და განვითარებული ჩანასახის პერიოდში. მაშასადამე, დედის წიაღმი ჯერ კიდევ სრულიად ჩვეულებრივი
ადამიანის განსახიერება იყო? მაშასადამე, ვიდრე მისი ორგანო-
უბი რაიმე ფორმას შიიღებდნენ, მისი გონიერაც არასრულყოფილი
იყო? გასაკვირია, გასაკვირი...

პატარა იყსო თავს ვერ აღწევდა სიძნელეებს, რომელთაც ყო-

კლი მოხარდი ეჯახება ცხოვრებაში, მაგრამ ერთ რამეში კი იყდა გაუღიმა. სხვულის ზრდასთან ერთად ჭირა-ზონებაც უძირდება, თანაც სხვებშე სწრაფად.

მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა წერა-კითხვის შესწავლა, ისიც ერთბაშად. საკმარისი იყო მხოლოდ სურვილი, მაგრამ გაურჯელად ანბანის დაუფლება არ ისურვა და სხვა ყმაწვილებივით შეუდგა კითხვას. ასო-ასო კითხულობდა, ფერცელ-ფერცელ.

მისი პირველი მასწავლებელი დედა იყო: ბიბლიის მიხედვით ასწავლიდა. „წმინდა წერილში ლაპარაკი იყო თვითონ იქიოზე, — წერენ ღვთისმეტყველნი, — მარიამმა ცეოდა, ვინც არის მისი ქ. ამიტომ სწავლების დროს თავისი მოვალეობაც არ ავიწყდებოდა: თან ასწავლიდა, თან თაყვანსა სცემდა“.

მე ცხადად მაქეს წარმოდგენილი, როგორ ტარდებოდა ეს გაკუჭილები, თაყვანისცემის სცენების თანხლებით. დასწრება რომ შეგვძლებოდა, უთუოდ საინტერესო იქნებოდა მათი ცეკვა და მოსმენა:

დ ე დ ა. აბა, მომიყევი გაკვეთილი.

ყ რ მ ა. დედიკო, ჩამემინა. შესწავლა ვერ მოვასწარი.

დ ე დ ა. მაშინ წერითი დავალება მიჩვენე.

ყ რ მ ა. დედიკო, შენ ხომ უკვე იცი, როგორ ცედ ხასიათუევარ, რადგანაც ერთი ფრაზა არ გამომდის. შემდეგ ზედ მეღანი დავალვენთ და პატიოსან სიტყვას გაძლევ, რვეული ცეცხლში ვისროლე.

დ ე დ ა. საძაგელო ბავშვო! ამისათვის დღეს ტკბილეულს ვერ მიიღებ.

ყ რ მ ა (ზლუქენით). დედა, დედიკო, მეტს აღარ ვისამ!

დ ე დ ა (თავისთვის). აი, უბედურება! მე ჩემი ღმერთი ვატირე!

ყ რ მ ა (დაწყნარდა). მე კიდევ ტკბილეული მინდა! მინდა! და შენ კიდევ არა გაქვს უფლება არ მომცე, იმიტომ რომ მე სამყაროს მეუფე ვარ.

დ ე დ ა (ხელებს მღოცველივით დაიწყობს). ო, უფალო ჩემთ იქსო, ნუ გამიწყრები მე, დედასა შენსას, მხევალსა! შენ მიიღებ მერაბიან პურს, ო, ჩემო ღვთაებრივო მბრძანებელი!

ყ რ მ ა. აი, ასე არა ჯობდა, ჩემო დედიკო! რა კარგი დედა მყავხარ, როგორ მიყვარხარ! მოდი, გაკვეთილი დავამთავროთ,

ზარი უკვე დაირევა! ახლა კი, დედიკო, დაინიჭე და თაყვანი შეცა.

დედა მუხლებზე ემსობა და თაყვანსა სცემს საკუთარ შეძლება. სრული სიმართლეა, რაღგან მრავალ თანაბედროვე დედასაც ეს წესი გადმოუღია!

ნე ვიფიქრებთ, რომ ყოველთვის ასე იყო. მისი ასაკისათვის მეტისმეტად განვითარებული ყმაწვილი გაკეთილებს ჩინებულად ამზადებდა და გაკვეთილზე სუფთად შესრულებული დავალებები მოქმენდა. რასაც დედა თაყვანისცემიდან თაყვანისცემამდე ასწავლიდა, ყველაფერი სასარგებლო იყო.

როცა იქსოს თორმეტი წელი შეუსრულდა. იოსებმა მარიამს მოავონა, რომ ებრაელთა კანონის თანახმად ბავშვი იერუსალიმში უნდა წაიყვანოს.

მართლაც, ამ ასაკის ებრაელი ყმაწვილი ნაწილობრივ თავი-სუფლდებოდა მშობელთა მეურვეობიდან სინაგოგაში მიქავდათ, თავზე რაღაც თავსარქმელს ახურავდნენ, ფილაქტელიებით — წმინდა ტექსტის ციტატებით აჭრელებული ეტრატის ნაჭრებით დამშვენებულს, — და ხდებოდა „ღვთის შვილი“. რომელიც ვალდებულია შეასრულოს ყველა მისი მითხოვნა, ერთ-ერთი მთავარი მითხოვნა კი ის იყო, რომ დღესასწაულებზე იერუსალიმში უნდა ჩასულიყო, კერძოდ — აღდგომის დღესასწაულზე.

ყრმა იქსო თორმეტი წლისა იყო (ლუკა, 2, 42), როდესაც მშობლების თანხლებით პირველმა იმოგზაურა იერუსალიმში. ნაზარეთი იერუსალიმიდან ას ოცი კილომეტრით იყო დაშორებული. ამ გზის გავლას სამი-ოთხი დღე ესაჭიროებოდა.

წმინდა ოჯახმა იერუსალიმში მთელი შვიდი დღე გაატარა. ბრწყინვალე კვირა, პასექის დღესასწაული. იქსო დაპყავდათ ტაძარში, აგრეთვე ბალაგნებში, სადაც უჩვენებდნენ წვერ-ულვაშიან ქალებს, ბუმბერაზებს და მისთანა ჩეჩვენლო რამეებს. საქმე ისაა, რომ „აღდგომა“, პასექი ნამდვილი ერთვული დღესასწაული იყო და როგორც ყოველ დროში, შარლატანებმა ახლაც მოხერხებულად გამოიყენეს ის ხელის მოსათბობად.

დღესასწაულები რომ დამთავრდა, იოსებმა და მარიამს უკან გასაბრუნებლად დაიწყეს მზადება, შალე კიდევაც შევერთდნენ იმ ქარაგანს, რომელიც ნაზარეთის მიმართულებით რადიოდა. გზის მესამედიც არ პქონდათ გავლილი, რომ პირველი დღის დამლევს მშობლებმა შენიშნეს: მათი ვაჟი სადღაც გამქრალიყო. ისე და-



გარეუს თვალსა და ხელს შეა, როგორც ხელჯობს ან მატებანს და კარგავენ ხოლმე. დავიმოწმოთ სახარების ტექსტი:

„და აღასრულნეს დღენი იგი, და წარსლვასა და მას მათხა, დაპშთა იქსო ყრმა იერუსალიმს, და არა უწყოდეს იოსებ და დედამან მისმან. ჰეონებდეს მისა, ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი, და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძებდეს მას ნათესავთა შორის და შეცნიერთა. და არა პეონეს იგი და მოიქცეს ივინი იერუსალიმადვე და ეძიებდეს მას“ (ლეკა, 2, 43—45).

— რა ღვთის ჩისხვა! — ფაცურობდა იოსები. — ხომ არ გახსოვს, მარიამ, იყო თუ არა ჩვენთან, როცა ექცისთავიან ძროხას გამოვკილდით?

— დაბეჯითებით ვერ გეტყვა, მაგრამ შე მგონია, იყო.

— კი, კი, იქსო ჩვენთან იყო! იქ არ ვეყიდეთ ჭაფლი?.. დაიცა! მე ვიცი. სადაც დავკარგეთ

— აბა, სად?

— მშევნიერ ბერენიკასთან დარჩია, ფერიასთან!

— რას ამბობ!

— გარწმუნებ!

— ჩე კი მგონია, რომ მესია სამხეცეში დარჩია, გაწვრთნილ ძალაბითან. იყი, იოსებ, როგორ მოეწონა, მეტადრე ერთი ტინია, მავთულსე რომ დადიოდა?

— შეიძლება შენ მართალი იყო... წამო, მუნიციპალიტეტში ვიყითხოთ, აბა საით წავიდნენ ის მომთვინიერებელნი თუ მწვრთნელები!

— ვაი თუ იმ წყეულმა ცირკის მასხარებმა თან წაიყვანეს ყმაწვილი! — წრიალებდა მარიამი. -- მე არ მინდა, რომ ჩემია შვილი თოვჭემავალი გახდეს

— ნუ ღელავ, ჭვირფასო; ნუ ღელავ, — ამშვიდებდა იოსები. — ვიპოვით. დარწმუნებული ვარ, რატემაში იქნება, მეკარესთან, დაკარგელ გასაღებებს შორის.

სად არ ძებნეს, ვის არ მიმართეს, ქალაქის თვითშმართვულობაშიც შეიხედეს, მხიარულ სანახაობათა ბალაგანშიც: იქსო თითქოს მიწამ ჩაყლაპა!

იოსები პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ვერ ღავერებინა ცით დატეხილი უბედურება, თმას იგლუჯდა, უდარდელობას სდებდა თავს ბრალად და უნდა ითქვას, რომ არც თუ შავუერ-



ლოდ. უკვე ელანდებოდა საშინელი სამსჯავრო, თავისი განკარგულებული ხმა:

— აქ მოდი, ითხებ! ახლოს, ახლოს! მე შენ ფხვილივით დაგუფშვნი! მე ხომ ჩემი შეიღი მოგნდე, უკეთ — მტრედის შეცლი, თვალი გეჭიროს-მეთქი, დაგადალე. ის ბავშვი მაცხოვარია, ადამის ტომის ცოდნები უნდა გამოეყიდა. შენი იმედი შეინდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ შესძლებდი შენი მისის შესრულებას — მესის გაზრდას, რასაც მეც ასევე მოვახერხებდი, დრო რომ მქონდა დედამიწაზე ჩამოსახვლელად... ახლა რა მოხდა? შეუსრულდა თორმეტი წელი და დაჩიყარე! რა ღმერთი გაგიწყრა? არა, ასეთი დოკულაპიობა ყოველგვარ სახდევას სცილდება! იყი თუ არა, რომ შენი მიზეზით კაცობრიობა ხსნას ვერ ეღიოსა? და შენა გგონია, ეს ასე ჩაგივლის? შენი დაუდევრობა და უგულისყურობა — დანამაულია, შენ ამისათვის დაისჯები. აშიტომ გაძლევ სასტიკ სახეელს: სამჯერ სამარადისოდ ჯოჯოხეთში პატიმარყოფას! შენ ეს დაიმისახურე.

საცოდავი სურო წამდაუწემ ფიქრობდა, სიზმარში ვარ თუ სინამდვილეში დამატყდა ღვთის რისხეათ! ყოველ სამ საათში ერთხელ მაინც ხსნიდა თავის ჩემოდანს, რომ შეემოწმებინა, ამაში ხომ არ ჩაიმალა ის ცულლეტი ბიჭიო!

მარიამი ხომ პირდაპირ გაათავა დარდმა. ყოველგვარი სატან-ჯველისათვის მზად იყო, ოღონდ ასეთ საწამებელს გადარჩენოდა.

ამათ ძებნა ორ დღეს გაგრძელდა. მესამე დღეს ყმაწვილი ნახეს: „და იყო შემდგომად სამისა დღისა პპოვეს იგი ტაძარსა მას შინა, მჯდომარე შორის მოძღვართა, ისმენდა მათსა და პეითხვიდა მათ. განუკვირდებოდა მათ ყოველთა, რომელთა ესმოდა მისი გელის-ხმის-ყოფა და სიტყვის-მიგება მისი“. ხად იყო სახარება, რომ იქ ეპოვათ!

მართლაც, იქსო ვენდერკინდი ყოფილა. ტაძარში შევიდა თანამად და გაბედულად, როგორც საკუთარ სახლში, მაშინვე მისცა იკლიკანტური კითხვები განსწავლულ ღვთისმეტყველთ და სიამონებით ჩასვა ყველანი ლაფში.

შაგრამ ტაძრის მესვეურებს რას გააცურებდით! აქ იმყოფებოდა ჟბრაელთა უზენაესი სამღვდელოება. „პილელი, მოხესავით ღირს-პატივდებული და ღრმა სიბერის მოელი სიდიადის დარბაისლურად მატარებელი; შეუდრუკელი სამაი, კვლავ შემკვრელი ყოველი-



ვესი, რასაც გახსნიდა პილელი; იონათასი, იუზიველის „შეიღოლი“ რომლისა სიტყვა იყო ეგზომ მხერვალე, ფრთოსნები წამსვე და და ცვიოდნენ, თავზე მქროლავნი, ან სერაფიმებად იქცეოდნენ და ნიავს შეერეოდნენ“ (მისმა). მათ შორის მშობლებს შეეძლოთ ეხილათ სიმონიც, განწმენდის უამს რომ წინასწარმეტყველებდა და ჯერაც არ მომკვდარიყო, აგრეთვე იისებ არიმათიღელი, სენატორი... „და იხილეს იგი და განუკვირდა. პრქეა მას დედამან მისმან: შვილ! რა ესე მიყავ ჩვენ ესრეთ? აპა ესერა, მე და მამა შენი ერონი-ნებთ და გეძიებთ შენ. და მან პრქეა მათ: და რასა მეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისა თანა ჯერ არს ჩემი ყოფა, და მათ ვერ გულის-ხმა ჰყენს სიტყვა იგი, რომელი პრქეა მან“ (ლეკა, 2, 48—50).

პატარა იქსო, რომელმაც მშობლებს ასეთი ორაზროვანი პასუხი გასცა, პირდაპირ აოცებდა ზემოთ ჩსენებულ განსწავლელ მღვდელმთავრებს. თავისებურად ხლართავდა და ხსნიდა ურთულეს თეოლოგიურ პრობლემებს. ბოლოს და ბოლოს ყველამ კეთილგონივრული დუმილი ამჯობინა. იქსო არაესი არ ათქმევინებდა სიტყვას, და ყველანი პირდაღებულნი შესცემოდნენ ბრძნად მოუბარებულს.

მაგრამ იმ გაოცების მიუხედავად, რაც ამ სცენების მხილველ მარიამს სახეზე გამოეხატა, მშობელ დედას ვერ დაევიწყებინა შიში და ელდა, რაც შვილის დაკარგვის გამო იმ დღეებში გამოსცადა, და მაშინვე საყვედურით აავსო:

— რა იყო ეს, შე ოინბაზო? მშობლებს გაექეცი, გული გაუხეთ-შე. ჰერადაკარგულები დაგეძებენ მთელს ქალაქში, შენ კი ვითომ აქ არაფერიათ, დამჯდარხარ ამ ტაძარში და მღვდელმთავრებს ეკამათები, ფილოსოფიაში შეჭრილხარ! აბა ცოცხლად, მოუსვი სახლისაუნ, შე უქნარავ, შენა!

იქსოს ენა მაკრატელივით უჭრიდა, თავის გასამართლებლად დედას დამცინავად უპასუხა:

— რასა ბრძანებ? რისთვის მეძებდით შე? განა არ იცით, რომ მამაჩემთან უნდა ვიყო და იმ საქმეებს მივხედო, რაც მას ეხება?

იოსები ყმაწვილის ერთადერთ მამად თავის თავს თვლიდა და

ასეთი ხუმრობის გაგონებაც კი არ სურდა*. ყმაწვილს ყურში ხელი ჩაავლო და ტაძრიდან გაიყეანა, შემდეგ კი წმინდა ოქახი სრულდა შემადგრენლობით გაემართა ნაზარეთისაკენ.

გვაქვს საფუძველი ვიფუიქროთ ისიც კი, რომ ამ შემთხვევის შემდეგ რეციდივების თავიდან აკილების შიშით იოსებმა ყმაწვილის განხწავლას საზღვარი მისცა, წიგნი დახურეს და სახელოსნო გახსნეს: ბავშვს თავისი ხელობის სწავლება დაუწყო. ასე გახდა ღმერთი იქსო სურო იოსების უბრალო მოწაფე, ასე ტრიალებდა სახელოსნოში, ვიდრე სწავლის მანია ისევ არ დაუუფლა.

მართლაც, როცა იქსო თანამოქალაქეებშა ნახეს, როგორ ასწავლიდა ხალხს ნაზარეთის სინაცოგაში, მათ ერთხმად შესძახეს (ეს წერია სახარებაში): „ეს ხომ დურგალია, მარიამის შეილი?“

ოცდაათ წლამდე იქსო წყნარად ცხოვრობდა, სახელოსნოში საქმიანობდა, ხერხი და რანდა ეჭირა, ხერხავდა, ამალაშინებდა, ხოლო როცა იოსები გარდაიცვალა, მისი ადგილი დაიჭირა.

ამლა კი ვნახავთ, რომ გულმოლგინედ და მთელი სერიოზულობით მოექიდა იმ საქმეს, რასაც თავის მისიად თვლიდა, და რასაც საბოლოოდ მოქყა უქმად ხეტიალი, ფუჭი ქადაგება და ახალი ედიდესი რელიგიის შექმნა.

იმ დღიდან, რაც ყმაწვილი იქსო იერუსალიმის ტაძარში მოპყა საათობით ჯდომასა და ლაპარაკს მასწავლებელთა შორის, ლირსიც იყო, რომ მისთვის ეწოდებინათ „სიტყვა“, — მართლაც, ენა სამართებელცით უჭრიდა.

* სახარება გვაუწეუბს, ბავშვის პასუხი ვერ გაიგესო. ძალასაც კანად გაიგეს: იოსები არც ისე გულუბრყვილო ვინმე იყო, ეს ვერ გაეგო.



ენეგიური გეორგი



სიტყვის პირველი ნაბიჯები

ივახოვ მახლობლებს არ სხავთ თავისათვი ნათასავის დათავარივობა

რაშეთ არცადა მშენა ზისთა პრემერა
მისი.

ითანა, 7, 5.

და ესმა მის კერძოსათა, და გამოვიდეს
შეპყრობად მისა, რამეთუ იტყადეს, ფითარ-
შედ განკრიომილ არა.

მარქოზი, 3, 21.



მრიგად, ოცდაათი წლის იესო ჟევე თავისი
ოჯახის ბურჯია. ოჯახი კი მრავალრიცხო-
ვანია.

იოსებმა, როგორც ვიცით, „არა იცოდა
რა მარიამის სიახლოებისა“, ვიდრე მის
ცოლს არ ეყოლა შვილი, რომელსაც იესო უწოდეს. სამაგიეროდ
შემდეგ მარჯვედ აინაზღაურა დანაკლისი.

რა თქმა უნდა, მარიამი, პირველ ხანებში თავს იყლავდა, რა
გამატარებინებს მთელ სიცოცხლეს ამ მოხუც ხეროსთან, თანდა-
თან დაწყნარდა და დაწწმუნდა, რომ ქალწულის შიშესა და ურვას
საფუძველი არ ქვენია.

კავალერი, რომელმაც შრომნები მიართვა, საერთოდ სანაქებო
კაცი გამოდგა. მის მოუხეშავ გარევნობაში საძრახისი არაფერა
იყო, რადგან ამ საფარველის ქვეშ მგრძნობიარე და მსრუნველი
გული იფარებოდა.

გარდა ამისა, ახლა სავსებით გამორკვეულია, რომ იოსები სი-
ნამდვილეში ბევრად უფრო მხნე და ყოჩაღი ყოფილა, ვიდრე კაცს

მოუჩერებოდა. ის კი არა, ბეჭებზე გააკრავდა ვინჩე პანთერს, მის ჯელ მეტოქეს, და მარიამის ხელის სხვა მაძიებლებსაც.

დროთა განმავლობაში მისმა უბიწო მეუღლემ შეიგნი, რომ უბიწობა საკმაოდ დიდანის შეინარჩუნა, მესია შვა, ამით დეთის წინაშე პირნათლად მოიხადა ვალი და მისიგან ეს საფსებით საკმარისია. სულ ხომ ღმერთები არ უნდა ეშვა!

ამავე დროს არც სულიწმიდაა ესაჭიროებოდა ნელახლა დედა-მიწაზე დაშვება და მეორე ქრისტეს შექმნა.

მოკლედ, მარიამი არავითარი ვალდებულებით აღარ იყო შებოჭილი. მართალია, ოდესაც ტაძარში აღთქმა ჰქონდა დადებული უბიწობისა, მაგრამ განა ამ მოვალეობისაგან არ გაათავისულა თვითონ მღვდელმთავარმა, როცა იოსებთან მიხი ქორწინება აკურთხა? ქორწინება იმისათვის როდი ხდება, რომ ქალმა შესუმშირა აკნატუნოს.

რაც შეეხბა დაპირებას, რაც თვითონ მარიამია მისცა თავის თავს, და რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჯვარისწერის დროს წაყვნებულ პირობებს არასოდეს არ დაარღვევდა, ეს პირდაპირ სისულელე იყო. რამდენჯერ აძლევს ქალიშვილი თავს სიტყვას, ჭკიით ვიწებით, მაგრამ როგორც კი აკრძალულ ხილს იგემებს ხოლმე, მაშინვე დასძენს: „...ხვალიდანო!“ ფიცი, რასაც ადამიანი საკუთარ თავს აძლევს ხოლმე, იშვიათად გამოდგება მტკიცე. გულში დათე-შელი ხიტყვა მერყევია.

იისებს ძლიერ მარჯვე მანევრისტება მოუხდა. აშკარაა, ყოველ-ნაირად ერიდებოდა თავისი ახალგაზრდა მეუღლის უხიაკობის გა-ღიზიანებას. მტრედის შეილის დაბადების შემდეგაც — თუ ამაზე ვტყუოდე, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი — იოსები დიდხანს შორს იდგა და არც კი ეკარებოდა ღვთისმშობელს. სიტყვას უწინდე-ბურად პატიოსნად იცავდა. მისი ტაქტიკაც სწორედ ამაში მდგო-მარეობდა: თავისი ხანშესულობის მიუხედავად ხურო არ ჩქა-რობდა. განა ვერ მოასწრებდა თავისი მხურვალე გულის გა-დაშლას!

შე პირადად სრულებით არ გამიკვირდება, თუ გამოირკვევა, რომ ინიციატივა მარიამის მხრიდან წამოვიდა. ან რატომაც არა, ბოლოს და ბოლოს? ახალგაზრდა ლამაზი ქალი თანდათან მიეჩინა ხუროს, ეგვიპტე და არაბეთი ერთად მოიარეს! მერე ყველგან ეს კაცი მამობრივ ზრუნვას ამეღავნებდა იქსოს მიშართ. აყვანილი მამა

კი იყო, მაკრატ ბევრი მშობელიც არ ისრუნებს ამაზე მეტად: აიყანა, წაიყვანა, ტაძრად მიიყვანა, სიკედილს გაარიდა, ღმერის გვერდაარჩინა, კვებავდა, ზრდიდა, როგორც დვიძლ შეიღს.

დაწმუნებული ვარ, მერე და მერე მარიამს აგრერიგად აღარ ეშიშლებოდა წვერიანი ხურო. მის ხრინწიან ხმაში რაღაც ნაში ბევრებიც დაიჭირა, მისი მანერებიც საკმაოდ სასიამოვნო ეჩვენა. მოკლედ, ერთ საღამოს ახე გადიქტა: „საწყალი იოსები! რა მკაცრად ვეძევე, ის კი ასეთი კეთილია“.

როდესაც ქალებს თავში ასეთი აზრები მოსდით, მაშინ გულიც ეცვლებათ და ეს ნიშანია იმისა, რომ რაღაც სერიოზული ამბავი მოხდება.

ამის შედეგი ისაა, რომ ოთხივე ევანგელისტი აღიარებს, იქსოს დები და ძმები ჰყავდათ:

„და აქა ესერა, დედა მისი და ძმანი მისნი ქსლგეს გარე და ქიფებდეს მას სიტყვად. ხოლო იქო მიუვი შეტყველსა მას და პრექა: ვინ არს დედა ჩემი? ანუ ვინ არიან ძმანი ჩემი? და მიცყო ხელი მისი მოწაფეთა მიმართ თვისთა და ქსტევა: აქა, დედა ჩემი და ძმანი ჩემინი...“ (მათე, 12, 46—50).

„და მოვიდეს უკეთ ძმანი მისნი და დედა მისი...“ (მარკოზი, 3—31—35).

„მოვიდეს მისა დედა და ძმანი მისნი... დედა შენი და ძმანი შენი გარე ქსლგანან და ხილვაი შენი პნებავს...“ (ლუკა, 8, 19—21).

„პრექეს მას ძმათა მისთა... უკეთუ ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა. რამეთუ არცაღა ძმათა მისთა პრწმენა მისი“ (იოანე, 3, 3—10).

მისი დების სახელები უცნობია, არც მათი რიცხვი ვიცით, სამაგიეროდ ახალ აღთქმაში ზუსტადაა ნაჩვენები ძმათა სახელები: იაკობი, იოანა, სიმონი და იუდა (მარკოზი, 6, 3).

წმინდა ეპიფანიუსი¹⁵, ეკლესიის მამა და უაღრესად ზესტი, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, ღაბეჯითებით ამტკიცებს, ეს ძმები და დები იოსების პირველი ქირწინების შვილები იყვნენთ.

ასეთი ზღაპრები სხვა ვინმეს უამბეთ, გეთაყვა, უცბიერესო ზამაო ეპიფანიუსო!

ჯერ ერთი, სახარებაში არსად არაა ნათქვამი, იოსები ქვრივი იყო, როცა შეირთო მარიამით.

გარდა ამისა, არსებობს ლეგენდა, რაც საფსუბით ცნობს გვ-ლესია, ლეგენდა, რაც აქამდე არ გვიხსენებია და ძალიან დატოვა ლიც იქნება, რომ აქ გავიხსენოთ.

როცა მამა ითაზიშმა და დედა ანამ თავდაპირველი გადაწყვეტილება შეცვალეს და განიზრახეს ტაძრისათვის მიძღვნის ნაცვლად მარიამი გაეოხოვებინათ, მისი ხელის მაჩიებლები შეიკრიბნენ და დაადგინეს, საპატარძლო მისი იყოს, ვინც ყველაზე უფრო უმანკო ცხოვრებას ეწევათ. მოეწყო თავისებური კონკრეტის უმანკოებისა. გამოცდა ასე უნდა ჩატარებულიყო: პრეტენდენტებს უნდა მოეტანათ თითო წვეულებრივი გამხმარი ჯოხი და დაბლა დაედოთ. მერე მსჯავრის გამოტანა ღმერთს მიანდეს და დაიწყეს საოცარი სასწაულის ღოლინი. აქ მოხდა სასწაული: ყველა ჯოხი გამხმარი დარჩა და მხოლოდ იოსების ჯოხმა მწვანე ყლორტები გამოიღო. გამხმარმა ჯოხმა მშვენიერი შროშნები გამოისხა. ეს შროშნანი ყველა სიტყვაზე ნათლად მეტყვლებდა იოსების ზეობრივ სისპეტაკეზე.

შეითხეველმა გვაპატიოს, რომ ეს სასწაული აქამდე არ მოგვიხსენებია, მაგრამ საინტერესო რამის თქმა არასოდეს არ არის გვიანი.

იოსები რომ მარიამშე ადრე ქალს არც კი გაკარებია, ეს შროშნებმა გვითხრეს. მაგრამ სხვა საგულისხმო საბუთიც გვაქვს: იოსებს რომ პირველი ცოლი და შვილები ჰყოლოდა, აღწერის დროს ბეთლემში წაიყვანდა, მერე კი ეგვიპტეშიც გაიყოლიებდა, რომ პეროლეს არ დაეხოცა.

ამიტომ და ამისათვის, უპატივცემულესო წმინდაო ეპიფანიუსო, ცოტა ენას კბილი დაპირეთ და თქვენთვის შეინახეთ თქვენი ვერსია, რადგანაც ის, ვინც ბევრი რამის დამტკიცებას ლამობს, ვერაფერსაც ვერ ამტკიცებს.

სრულიად ბუნებრივია ჩვენი ვარაუდი: რომ ქრისტე თავის და-ძმებში ყველაზე უფროსი იყო, რომ ისინი დაბადებული არიან ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ, რომ ქრისტე იოსების სიცოცხლეშიც და მისი ვარდაცვალების შემდეგაც ოჯახის მთავარი იმედი და მარჩენალი იყო.

როცა იქსოს ცოდაათი წელი შეუსრულდა, ორი მისი ძმა თითქმის უკვე მოსრდილი იყო, ამიტომ გადაწყვიტა, რომ ოჯახს უკვე



შეუძლია უმისოდაც იოლად გავიდეს, თვითონ კი ქადაგება უნდა დაიწყოს.

პირველად, როცა ოქროპირობისაკენ მიღრეუილება გამოამდება-ნა, ოჯახში ჩემჩემად დასცინოდნენ, ხუმრობდნენ და თავს იქცევ-დნენ. ყველამ მხრები აიჩინა, როცა განაცხადა, ქვეყნიერებს უნდა გარდავქმნა, მარტოოდენ ჩემი სიტყვის ბეჭრით ავაძოძრაო არსი ყოველიო.

მისი ძმები, ნათესავები და მეგობრები დაღვრემილები დაღო-ოდნენ, ერთიმეორეს შესჩიოდნენ, როცა ხედებოდნენ, და ალბათ ასეთი საუბრები იმართებოდა:

- რას იტყვი, რა ჰქუაზეა იქსო?
- გუშინ ვნახე. ისევ ისე ელოლიავება თავის იდეას ..
- მაშ კიდევ არ გაუარა?..
- სამწუხაროდ, არა.
- როგორ, ისევ ისე აპირებს კაცა მოღვის მორჯულებას?
- უფრო შეუპოვრადაც, ვიდრე აქამდე.
- ეს პირდაპირ საგონებელში მაგდებს, გელწირფელად გეპ-ნები. უფრო დედამისი მეცოდება. სამაგალითო დედა, ეს არ დაუმ-სახურებია.

— რას იზამ? უნდა შევურიგდეთ ამ ამბავს, მეტი რა გრძა! იუ-სოსთან რას გახდები, თავი ვერა აქვს დაწყობილი და თან ჯიუტია, როგორც ვირი. ქადაგება მოუნდა და იქადაგებს, ქვას შეაგდებს და თავს შეუშევრის.

- ოქ, ახლა უნდა უსმინო, რაებს არ იტყვის!
- არ ვიცი, რა უნდა უქადაგოს ქუჩის ღოყლაპიებს, მაგრამ ჩვენ, მისი ძმები, ამ ლაყბობის მოსმენას არ ვაპირებთ, რასაკვირ-ველია. ისედაც გამოგვიჭედა ყურები რაღაც საიქიო ქვეყანაზე. ქა-დაგებით. ერთი საათი რომ უსმინო, საქმარისია — გამოტვინდები კიდეც. ამიტომ, დაიწყებს თუ არა ასეთ რამებს, დავურავთ ფეხს და სახლიდან გავრმივართ ხოლმე.

- სამწუხაროა, სამწუხარო. ჩანს, სრულიად შეიძლა...
- მართალი ბრძანებაა.
- რა უბედურება დაატყდა ეს თქვენს ოჯახს! საბრალო კაცი თავს დაიღუპავს... განკრთომილია!
- ამ სიტყვებზე მეგობრები და ნათესავები თავებს გადააწევდ-ნენ და შეჭირვებულნი ერთმანეთს დაშორდებოდნენ.



თქვენა გეორგიათ გაშვილებ? წაიკითხეთ ითანეს უმარტინებადი უცმოთ ჟეკვე დავიმოწმეთ მისი სიტყვები, „არცაღა ძმითა მისისა პატიშენა მისიო“. თუ ესეც ცოტაა, მოუსმინეთ წმინდა მარკოსს: ადგრენ ანდრეა და ფილიპე, ბართლომე და მატთეოსი, თომა და იაკობ აღფეხი, თადეოს და სიმონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი, „და მივიდეს სახლისა, და შეპერბა კვალად მისი ერი... და ესმა მის კერძოსათა, და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვა-თარმედ განკროომილ-არს“, ე. ი. ჭავიდან გამოვიდაო (3, 21).

იქსოს სამველი არ იყო. ქადაგებდა და ხეტიალობდა. საბრალო იოხები რომ ამ დროს ცოცხალი ყოფილიყო, უთუოდ რაიმე ზომებს მიიღებდა. მაგრამ მოხუცი ჟავა მამა აჩრაამის წიაღში იყო წასული. ეტყობა, სრულიად ჩვეულებრივი აღსასრული ერგო, წყნარი და მშვიდი, რაღანაც სახარებაში არც კი წერია, რანაირად განისვენა და რა მასალისაგან გაიკეთა უკანასწერელი ზანდუკი.

მოკლედ, იქსოს მრავალრიცხოვანი ოჯახი პყავდა, და ამ ოჯახს არ სწამდა მისი ღვთაებრივი მისია. თავისი ლაქიისათვის დიდი ადამიანი არასოდეს არ იქნება გენიოსი, საკუთარი ძმის თვალში წინასწარმეტყველი ვერასოდეს ვერ გახდება შორსმჭვრეტელი მისანი.



ანდრეა სანსოვინი. მაცხოვრის ნათლისცემა. ფლორენცია. 1500.

სამხატვი ცრევა იმანა ნათლისმახალი

და იყო მათ დაუკა შინა, მოვიდა იქნო
ნაზარეთით გაღილისათ და ნათელ ილა
იმანქსევან იორდანება.

და მეცხვედრად დმოსლეანა შინა მიერ
წყლით, ისტონ ცანი განამულო და სულა
ღმირთისა გარდამიმავალა, ფიარცა ტრედა
მის ზედა.

მრკობი, 1, 9-10.



აკადგინოთ ზოგიერთი თარიღი, რათა ოლ-
ნავ დავაღონოთ ქრისტიანული ღვევენდის
მიმდევრები. ისტორიული საბუთებიდან.
რომელთა უარყოფა შეეძლებელია, დად-
გნილია, რომ ქეროდე გარდაიცვალა 750
წლის აპრილში რომის დაარსებიდან (ის-
ტორიკოს ეთსევას შრომები არავითარ ეჭვს არ ტოვებენ, ტეროდეს
გარდაცვალების თარიღი მკვლევარს უსტად აქვს დადგვენილი).
ამავე დროს რომის ეცოდველი პაპების მიერ ახალი წელთაღრიცხ-
ვის დასაბამად დადგენილია ქრისტეს დაბადება, რაც იმავე ეცოდ-
ველი პაპების ანგარიშით შეესაბამება 753 წელს რომის წელთა-
ღრიცხვისას.

ქეროდეს სიკედილსა და იქსოს დაბადებას შორის ამ ანგარი-
შით გავიდა 750 წლის ცხრა თვე, მთელი 751 წელი, მთელი 752
წელი და მთელი 713 წელიც, ექვსი დღის გამოკლებით, ე. ი. სულ
დაახლოებით ოთხი წელიცადი.

ეკლესია იმასაც ამტკიცებს, რომ იქსომ თავისი ქადაგება დაი-
წყო მაშინ, როცა ოცდაათი წლისა გახდა, ქადაგებდა სამი წელი-
წადი და გარდაიცვალა ოცდაცამეტი წლისა დაბადებიდან. ასე თით-
ქოს ყველაფერი ნათელია.

მაგრამ აი, რა არის ნათეული ღუპას სახარებაში (3, 1—2):
„წელსა მეათხუთმეტესა ტიბერის კეისრისასა, მთავრობასა პონტო-

ელისა პილატესა ურიასტანს, და მეოთხედ-მთავრობასა გალილის იორდისა, ხოლო ფილიპპეს ძმისა მისისა მეოთხედ-მთავრობასა, იტეირეს და ტრაქონელთა სოფელსა და ლეიისანისსა მეოთხედ-მთავრობასა აძილინებსა, მღვდელმითავრობასა აწახასა და კაიაფასა, იყო სიტყვა უფლისა იოანეს მიმართ, ძისა ზაქარიასსა უდაბნოს¹⁹.

ამას გარდა, ახალი აღთქმა ამტკიცებს, რომ იოანემ ქადაგება დაიწყო სულ რაღაც რამდენამჟე თვით ადრე (იესოს პირველ საჯარო გამოხვდებიდე).

მეორე მშრივ ცნობდება, რომ ევისარი აკტესტუსი, რომელიც შეცვალა ტიბერიუსმა, გარდაიცვალა 767 წლის 19 აგვისტოს (რომის დაარსებილია). მაშესადამე, ტიბერიუსის მშრივსებლობის შესუთხმეტე წელი დაიწყო 781 წლის 19 აგვისტოს რომაული წელთაღრიცხვით, და მაშესადამე, ქრისტე ამ დროს ოკუდათი წლისა კი არ იქნებოდა, არამედ იყვანრიგა წლისა.

აქედან გამომდინარეობს, რომ სახარება აუმცა სულიწმიდის მიერაა ნაკარხახევი, ხშირად საუკთარ თავს ეწინააღმდეგება. თუ ვირწმუნოთ, რომ ქრისტე თავის მოღვაწეობას ოცდაათი წლისა შეუდგა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ქრისტეთი წელთაღრიცხვის დაწევპარდე თრი წლით ადრე დაბადებულა ამ წელთაღრიცხვის დამფუძნებელი. განა ეს თავშესაქცევი არ არის?

მაგრამ ნუდარ შეეჩერდებით ასეთ წერილმანებზე, დავუბრუნდეთ ისევ იოანეს, ზაქარიას შეილს.

იოანეს ყრმობიდანვე უსაქმოდ ყიალი უცვარდა, თავის ტოლებთან არ თამაშობდა, უდაბნოში განმარტოვდებოდა და იქ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მისი უდაბნო იყო დაუმუშავებელი მიწა ქებრონსა და იერუსალიმს შორის, მთავრობიანი მიწარე, ალაგ-ალაგ მწირი და უნაყოფო ხეობებით გადაკეთილი. მსოლოდ დაბეჩავებული ჯაგარები აცოცხლებდნენ თდნავ ამ თეთრი კირქვის ერთ-ჯეროვან ხრიოებს, რომელიც თავიანთი დამაბრმავებელი კაშგაშით თვალს ქანცავდნენ. მაგრამ ასეთი მწირი მცენარეულობაც კი ერებოდა მკვდარ ზღვასთან მიახლოების კვალობაზე: იმ მხარეში ხომ საერთოდ უდაბურება და ყრუ დუმილი სუჟექტი.

* ბერების ეს ტექსი, ხაგრამ ზესტა ალწერილობა შეტ-ნაკლებად მთელს პალესტინაზე შეიძლება გავრცელდეს. ერთი შეხედვით საოცარია, რომ სწორედ ასეთ მწირ, ხრიო, უმწეო, ლატავ და სასტიკ მიწაზე, სადაც

ასე გამოიყურებოდა უდაბნო, სადაც იოანე „ქადაგებდა“, ვიდრე თცდაათი შლისა შესრულდებოდა. იძალება კიოხვა: შეიტკირავია რას აკეთებდა იქ? საბაოთი თუ უგზავნიდა ზეგარდმო შეწყვირითი განხილვას? თვითონ ევანგელისტი მათე გვაუწყებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ კალიებით იკვებებოდა:

„მათ დღეთა შინა მოვიდა იოანე ნათლის-მცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა, და იტყოდა: შეინანეთ, რამეიც მოახლებულ არს სასუფეველი ცათა—

რამეთუ ესე არს, რომელ იგი იქმულ არს ისაია წინასწარმეტყველისა მიერ და იტყვის: ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა...

ხოლო თავადსა იოანეს ემოსა სამოსლად მისა თშისაგან აქლებისა, და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა, ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველერი“ (მათე, 3, 1—4).

ზანდახან მოგზაურები სვედებოდენ ამ ჩვენს შემლილსა, მოუთხრობდნენ მის ამბავს ადგილობრივ მოსახლეობას, და მრავალი ცნობისმოყვარე მიდიოდა უდაბნოში, რომ ერთი შეეხედა, როგორ აღვიძებდა უდაბნოს ეს ახირებული კაცი დილიდან დაღამებამდე თავისი გოდებით: „განმშადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ჭყვენით ალაგნი მისნი, — გაპყვიროდა დაუღალავად, — ყოველი სევნები აღმოივსოს და ყოველი მთანი და ბორცვინი დამდაბლდენ და იყოს გულარძნილი იგი მართალ, და ფიცხელი იგი გზად წრფელად“, ე. ი. რაც მრუდეა, გასწორდება და რაც უსწორმასწოროა, გასრიალებულ გზად იქცევაო (ლუკა, 3, 4—5).

გარდა ამისა, „წმინდა წერილი“ გვაუწყებს, რომ ეს წმინდა კაცი არასოდეს არ იპარსავდა წვერს. გრძელი ნაწიავები, ტკავის სარტყელი და აქლების ტყავი შეაღენდა მთელს მის სამოსელს. ახლა წარმოიდგინეთ რა საყურებელი იქნებოდა!

ზღვაც კი შევდარია, დაიწუა დიდი მღელვარე, თავისებური კელტურის აკვანი, შეეიქმნა ბიბლია, მოსეს ლეგანდა, — ისევე როგორც მოსეს მიანუშენების შემქმნელი ტიტანის — მიერელანელის და აღოჩენინების სხვა ტიტანთა აკვანი დაიწუა თავის დროზე პაპთა და პერკოვთა ტიტანით სულშეხეროლ იტალიაში. შემოქმედ აღამიანს სამოქმედოდ მოუწოდეს ჰალადობა; სიმწირე და სილატაკე. აღთქმული ქვეყანა არ ასახებოდა, მაგრამ ჰალა მას დაეძებდა.



თავშესაქცევმა ახირებამ ითანეს ერთგვარი სახელუ მოუხუჭუჭა

თავისი პიროვნებისადმი აღძრული ცნობისმოყვარებული რომ შეამჩნია, ზაქარიას ტე ითრდანეს სანაპიროზე დაბინავდა. თავის მნახველებს ის ურჩევდა ჭიპამდე წყალში ჩამდგარიყვნენ და დამატებით კიდურ კოკით ასხამდა თავზე წყალს. მართლაც, ბევრი მსურველი გამოჩნდა, სიამოვნებით რომ თანხმდებოდნენ ასეთ უწყინარ გართობაში მონაწილეობის მიღებაშე.

პოდა, ერთხელ ცნობისმოყვარეთა ბრძოს თანხლებით თავის ნათესავს თვით იესო ქრისტე ესტუმრა პირადად. ითანეს ის ადრე არასოდეს არ ენახა, მაგრამ მაშინვე იცნო.

— რით შემიძლია გემსახურო? — ჰეითხა იქსოს.

— ამას რას ამბობ?! მეც მოსანათლაგად მოვედი, — მიუგო იქსომ.

— მეჩემრები? — გაუკვირდა ითანეს. — ეს მე უნდა მოვინათლო შენგან და თვითონ მოდიხარ ჩემთან მოსანათლავად?

— მორჩი ამ ცერემონიებს! — შეაწყვეტინა ქრისტემ. — ჯურჯერობით ნათლისმცველის მოვალეობა შენ გეკისრება, ამიტომ ჩეარა მომნათლე.

ითანებ კალიქტა, უარის თქმა პირდაპირ უსრდელობა იქნებათ. მარიამის შვილი ხელში აიყვანა, წყალში ჩააყენა, ზედაც წყალი დაატე კა მონათლა.

თიცა ქრისტე წყლიდან გამოვიდა, ანაზღად ცის თაღი გაიხსნა, იქიდან მტრედი ჩამოფარფატდა (თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ ის უპრალო იქნიც ყოფილიყო) და იქსოს მხარზე დააჯდა. მაშინ ითანემ გარკვევით გაიგონა, რაც ჩაუდედუნა მტრედმა იქსოს ყურში: „ესე არს ტე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათოო ვიყავ“ (მათე, 3, 17).

სამწესაროდ, დანარჩენმა ხალხმა, თუმცა იქვე იყო, ეს ხმა ვერ გაიგონა (ციდან ისმოდათ, ბრძანებს მათე), თორემ პირდაპირ იქვე ულაპარაკოდ მიღებდნენ ყველანი ახალ სარწმუნოებას, ეს დანამდვილებით ვიცი. ჩიტის უცაური გამოცხადების მიუწვდავად სალხის მონათელა სრულებითაც არ მომხდარა. საჭმე ისაა, რომ ითანე სასწაულის ერთადერთი მოწმე იყო. დანარჩენებმა, ეტყობა, ყურში ბამბა ჩაიტენეს და თვალებიც დაზეშეს.

წმინდა იუსტინე დასტენს²⁰, რომ ჩოგორც კი ქრისტეს ნათლება და დასრულდა, იორდანე ცეცხლის მდინარედ იქცა (დიალოგი ტრიფონთან, გ. 88).

შე კი რატომდაც მეჩვენება, რომ მდინარე იქცა პუნშის ზღვად და ყველამ იმდენი დაღია, რამდენიც ენება.



არა შელერი. „შოთა რევულეთა მისიაგანი, მიურდნობილი წიაღთა თანა იუსტინა“ (ა., 18, 28).

რომელია მოთხოვის გვარის ახალი, თუ რომორ განიზრახა დარღოს შაბლონი

ხოლო იქსო, საქუმ სულითა წმიდითა, მი-
იქცა იმრღვანით და მოქუანდა ხელსა უღა-
ნოდ.

და ორმეტე დღე გამოიცა დღეობდა ეპიფანი-
საკან, და არა რა მსჭამა ჩათ დღეთა შინა,
და აღრაუსრულნეს დღენი იგი შევმიტა...

და აღმარულნა ყოველი გამიალდელნი ეპ-
მაკმან მან, და განეშორა მას, ვიღრე ფა-
მადმიღე:

ღუვა, 4, მუხ. 1-2, 13.



ის ულელეშე უფრო აბეზარი სწეულება არ
არსებობს. იოანე ნათლისმცემელს პირდა-
პირ ავადმყოფური მიდრეკილება ჰქონდა,
გული სულ უდაბნოში მიუწევედა. როგორც
კი მოინათლა, ეს მანია იქსოსაც გადაედო.
იოანე შეოლოდ გამხმარი ყალით იკვებებოდა. იქსომ გადა-
წყვიტა გაესწრო, დაეჩირდილა ნათლისმცემელი.

მახლობლად ერთი უდაბური ადგილი იყო, ზუსტად იოანეს
უდაბნოს ჰკავდა. სწორედ იქით გაეშერა იოანეს ღვთაესრივი ნა-
თესავი. სადგომი იმ გორაკზე გაიკეთა, საიდანაც ახლოს იყო უთ-
ვალავი გამოქვაბული. შემდეგმი ამ გორაკმა ორმოცი დღის კორა-
კის სახელწოდება მიიღო, იმის მოსავონებლად, რომ იქ მარიამის
შვილმა ექვსი კვირა დამყო.

ამ უდაბნოში საძაგელი ყალიაც კი არ ბინადრობდა, რომ ადა-
მიანს მოეკლა, არავინ და არაფერი არ ბინადრობდა, გარეული მხე-
ცების გარდა. წინასწარმეტყველებმა საკმაოდ ხატოვანი აღწერილო-
108

შეა დაგვიტოვეს ამ გორაკისა და შისი მიღამოუბისა. აი, აქ დაჭყო
შრისტემ, ნადირებს შორის, მთელი თვენახევარი. ნადირებთან რეაცია
ტარებულ დროს ევანგელისტი მარკოშიც მოგვითხრობს: რდა ფურიათა
მუნ ორმეოც დღე, და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან, და იყო მხეც-
თა თანა, და ანგელოსნი მსახურებდეს მას“ (1, 13).

იქსო ქრისტემ სრულყოფილობაში ითანეს გადაჟარბა, რად-
გან ასე თუ ისე ღმერთი იყო, და ამ ორმოცი დღის განმავლობაში
საერთოდ არაფერი არ ჰქომია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშ-
ნოს, რომ ეს მართლაც სარწმუნო საბუთია მისი ღვთაებრივი ჩამო-
მავლობისა, და ისეთი გმირობა, რომ მე მისი შოთხდენა გამიცირდე-
ბოდა. თუ სასწაულზე ვილაპარაკებთ, ის უფრო იმაში მდგომარე-
ობს, რომ ტურებმა, ლომებმა და ლეოპარდებმა იქსოს ხორცს პირიც
არ მაკარეს, თორებმ ვინ დაუშელიდათ გადაესანსლათ ის, ვინც მათს
სამულობელოებში შემოიჭრა! მათაც ხომ არავითარი საკვები არ
გააჩნდათ! მერე და ყველა ხომ ღმერთი ვერ იქნება, უჟრელად
გაძლის მთელი ორმოცი დღე!

მართალია, ყოვლისშემძლე ღმერთს შეეძლო თავისი თავი უწყ-
ლეადი და შეევალი გაეხადა, ან უჩინარი, როგორც კი მშეცები
კლანჭებს მოიმარჯვებდნენ, რათა მოესინჯათ „სიტყვა, რაც იქცა
ხორცად“.

ანგელოზები ემსახურებოდნენ, — დასძნს მარკოსი. ის კი
არ უთქვამს, რითიო, რას უკეთებდნენ, თუკი იქსომ აბსოლუტური
შიმშილობა გამოაცხადა? ცხადია, ვერცხლის თევზებით შემწვარ-
ბობრაკულებს არ მიართმევდნენ; მაშ რა სამსახურს უწევდნენ? თუმ-
ცა, შესაძლებელია, წაღებს წმენდონენ.

ამასობაში ეშმაკს უცნაური იდეა მოუვიდა თავში. განიზრასა
ქრისტეს შეცდენა. სატანა იმდენად იყო განაწყენებული ქვეყნაზ
მესიის გამოწენით, რომელსაც საშინელი პირველი ცოდვა უნდა გა-
მოესყიდა, რომ ჰქუას ძალაც კი არ დაატანა, ცოტაოდენი ეფიქრა
მაინც, მაგალითად, ამნაირად: „თუ ვინმეა უცოდველი, ეს უკ-
ველად უფალი ღმერთი იქნება. პირდაპირ დაუჯერებელია, რომ
მან თავს ნება მისცეს რაიმე შესცოდოს. ამიტომ არაფერი საჭირო
არაა დროის დაკარგვა რაღაც სულელურ ცოცხლაზეო“.

სატანას ასეთი რამები არც უფიქრია, ისე გაეშერა თავისი
შავი ზრახვებით და იმედიც ქქონდა, რომ წარმატებას მიაღწიედა.

„თუ მოვახერხე მაცხოვრის ჩათრევა რაიმე საეჭვო და ურიგო

აქმეში, აი, სეირიც ეს იქნება, — ფიქრობდა ეშმაკი. — უფალი
ღმერთი რომ ჩემს ჯოჯოხეთში შეავდეს — უკეთესი. რა მინდა?
აი, მაშინ კი შევუნთებ ცეცხლს ჩემს ღუმელზე დამდგარ ტაფას!

ამ ხაამური ფიქრით მოცული მშაკვარი მაცდური სტენა-სტე-
ნით გამურა იერიქონის უდაბნოსაკენ.

იესოს მარხვის მეორმოცე დღე იყო მთელი თავისი ღვთაებ-
რივი უპირატესობის მიუწედავად მარიამის პირმშოს კუჭმა წვა
დაუწყო. მთელი ორმოცე დღის განმავლობაში მაღა არა ჰქონია,
მაგრამ შიმილობის დასასრულს გულისკოვზის ქვეშ მაინც იჩინა
თავი ჭამის სურვილმა.

ეს ამბავი გელახლილად არის ნათევამი სახარებაში: „ორმეოც
დღე... არა რა ჰქონა... და აღესრულნეს დღენი იგი, შეემშია“
(ლუკა, 4, 2).

აი, ახლა გამოეცხადა სატანა, ეშმაკური თავაშიანობით დაუკრა
თავი იესოს, უმორჩილესად მოიკითხა და ასე დაიწყო:

— ნეთე კიდევ არ გიცდია გუჭის წვისაგან თავის დაღწევა?
აბა ვინ დაგიჯერებს? შენს წინ რომ ამდენი ქვა ეყაროს და ერთიც
ურ ასწიო, რომ კალია მოკლა, ეს ხომ მეტისმეტი გრძელებული-
ლობაა!

იესომ მხრები აიწერა.

— მე არ გეხუმრები, — განაგრძო სატანამ. — ხარ თე არა
ღმერთის შეილი? თე ხარ, მაშინ საკმარისია უბრძანო ამ ქვებს,
ჰურად იქეცით-თქო, და მაშინვე თავიანთ წმინდა მოვალეობად
ჩათვლიან, რომ ასე მოიქცენ.

ასეთი იყო პირველი ცოტნება. ერთი წუთით დავუშვათ, რომ
ქრისტე მართლაც აეგო ეშმაკის ანკესზე: არაეთარ მომაკვდინებელ
ცოდვას არ ვხედავ ამაში. სასწაულის დახმარებით ქვის ჰურად
ქცევა არ ითვლება ჯოჯოხეთურ ცოდვად, პირიქით, მრავალი წმინ-
დანის კანონიშაცია სწორედ იმის წყალობით მოხდა, რომ ამ სახის
ოინებს აწყობდნენ. განა შემდეგ თვითონ იესოს არ მოუხდენია
ასეთი სასწაული, და ისიც არაერთხელ?

მთელი ცოდვა გამოიჩატებოდა მარხვის გატეხვაში, თე მართლა
დაავალა მამამისმა საბაოთმა უთუოდ ორშიცდღიანი მარხვა და-
იცავიო. მაგრამ ვადა ხომ უკვე მოთავსებული იყო? მეორმოცე დღეს
ხომ უკვე დაიწყო ჭამა იესომ?

ღმერთი ვერ აცთუნა სატანის მახემ. ასეთი პასუხი გასცა:



— არავითარ საჭიროებას არ გხედავ იმში, რომ ეს ქადაგი უზრუნველყოფას რად გაქციო, რადგან არა მარტო პურით ცხოვრობს აღამონაზობაზე, მაგრა მის მიზანი არა იყო მას გამომცდელი იგი და პრეზენტი: უკეთე შენ ხარ იქ ღვთისა, ქსოვი. რათა ქვანი ესე პერ იქმნენ. ხოლო იქსო მიუკო და პრეზენტი: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო პსექსონდების კაცი, არამედ ყოვლისა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა” (მათე, 4, 3—4, აგრეთვე მეორე სჯელისა, 8, 3).

სატანამ პასუხი ვეღარ გასცა: ეტყობა, უფლის სიტყვა მართლაც უხვად შეიცავს ო კალირიებს და საკვებად საკმარისი ყოფილა. მე რომ ეპისკოპოსის მზარეული იყო, ათევეფუილი ერბოკვერცხის გაკეთება ეძრძანებონა, ამის ნაცვლად ამეოთ ბიბლია და ეს ადგილი წამევროთხა, საინტერესოა, რა სახეს მიიღებდა.

ამრიგად, ეშმაკი დავას მოერიდა. მარაგად კიდევ როი საშუალება პეტრი შემონახული. იქსოს თავისი საზიზღარი კლანწები წაავლო, აფრინდა, იერუსალიმში გაიტაცა და ტაძრის ფრთაზე ჩამოსვა. ღვთისმეტყველნი გვიმტკიცებენ, რომ ეს იყო ხოლომონის პორტიკის მთავარი შესასვლელის კენწერო, რაც იორდანის სათავის აღმოსავლეთ ნაპირს გადასცეროდა. მაღალი პორტიკის სახე-რავი ტაძრის ეზოში იყო გამოწეული. ეშმაკმა იქსოს ეზოში თავ-მოყრილი ხალხი უჩვენა და უთხრა, რაც უჩვეულო ამბავი მთას-დინე:

— ერთი გადაიხედე: ურიგო სიმაღლე არაა, ხომ! აი, ჩემო კარგო, შემთხვევა მოგეცა, უჩვენე ხალხს, რისი უნარიცა გაქვს. გადა-ეშვე! ნუ გემინია, კისერს არ მოიტეხე! შენ ხომ ღმერთი ხარ, მაშინვე ანგელოზები მოგეშველებიან, აგიტაცებენ, რომ ვინიცობაა ძირს დავარდე, ღვთაებრივი ტერფი არ იტკინო.

იქსო არც შეორე ცოუნებას აქვეა და არ გააკეთა ის, რაც ღმერ-თებს კურძალებათ. ეშმაკეულის წინადაღება ამჯერადაც უბრალო სიტყვით უარყო:

— სადღაც წერია... არა, ასე უბრალოდ კი არა: „ვითარშედ წე-რილ არს: არა განპესადო უფალი ღმერთი შენი“.

მაშინ სატანამ ისევ ჩაავლო ხელი თავის უფალ ღმერთს და ისე მაღლა ააფრინა, თავპრუ დაგესცეოდათ. მოკლედ, სადამდეც შეეძლო. ბოლოს უზარმაზარი მთის მწვერვალზე დასვა. ამ მწვერ-ვალიდან, როგორც სახარება გვარწმუნებს, ჩანდა მთელი სამყარო,



„ყოველი სუფევანი ხოულისანი და დიდება მათი“. აქ საკითხა არ არის, რა ხიმაღლისა უნდა ყოფილიყო ის მთა ისეთი, რომ იქიდან მთელი დედამიწა გამოჩენილიყო, რაკიდა ცნობილია, რომ მას ბერთის ფორმა აქვს?* მაგრამ განა ღირს ასეთ წვრილმანზე შენერება?

ამრიგად, სატანამ იცხოს უჩენა ქუყნიურების მთელი სამეურ და მისი დიდება.

— აი, ხილამაზე თუ გინდა, ეს არის! — შესძახა. — პოდა, მთელი ეს ჟაიდეგანო საპრემანებელი მე მეკუთხნის მე მიცემ, ვისაც ვისურებდ. გინდა გაჩეუქო ერთი-ორი სამეფო? ოთხი იყოს! ან იქნება მთლიანად გინდა? მერე რა, მე მზადა გარ, მოგცემ, ოღონდ ერთის პირობით: თუ ჩემი ღმერთი ხარ, დაინორქე ჩემს წინ და თაყვანი მცირე მე, სატანას, ეშმაკს („ესე ყოველი მიგცე შენ, უკეთე და გარდე და თაყვანის-მცე მე“).

ამ ხიტუების გაგონებაზე ქრისტეს ხარხარი უნდა დაეწყო მოურიცხებლად, რადგანაც ეს ეშმაკი მართლაც სრულ ჭერაზე არ იყო. მაგრამ ქრისტე ჯერაც ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი. თანაც ღვთაებრივად თავმდაბლი, და ხარხარი არ დაეწყო, არც სიცალი დაუყრია, მხოლოდ მისი მოთმინების ფიალა კი აივხო და განიზრავა თავიდან მოეცილებინა ავსული, რომლის მკლავებში მომწყველმაც ლაშვარდ სივრცეში ამდენი იქროლა:

— კმარა, გვყოფა! „წარვედ ჩემგან მართლ-უკუნ, სატანა! რა-შეთუ წერილ არს: უფალსა შენსა ღიერთსა თაყვანი სცე და მას მშოლოსა მსახურებდე!“ ახლა მოძურწე აქედან, და რაც შეიძლება ცოცხლად! დახხოთ, რა მოუნდა! როლების გაცელა! არა, ბებერო გაიძერავ, მე კი არ უნდა გცე თაყვანი, შენ უნდა მცემდე თაყვანს და მემსახურებოდე. კმარა ხუმრობა. განვედი ჩემგან, მაცდურო ძალავ!**.

ეშმაკს ბევრი ხვეწნა არ დასჭირდა. უდრტვილესად დაეძორნილა ბედსა და ღმერთსა, ცოუნების ამაო ცდით გაწიბილებულმა ქვესკენელს მიაშერა.

* სხვას რომ თავი დაენებოთ, იმ ღროს ხომ ჯერ კიდევ არ იცოდნენ. რომ დედამიწას სფეროს ფორმა აქვს. ტაქსილს ეს არ განსცნების, თარეშე ვერცხლისტებსაც აპატიებდა იმ შეცდომას, რასაც არისტოტელეს, პლატონს და სოფრატეს აპატიებენ.

** იბ. მათე, 4, 1, 11; მარკოზ, 1, 12-13; ლუკა, 4, 1-13.

სიტყვას ემაჟეპა პირველი ზეღუდართავები

ხეალისა ღღუ შეღვა კვალად ისანე და
შოწაფეთა მისთაგანი ღრნი,

და ესმა მისი ღრთა მათ შოწაფეთა, იტ-
ყოდა რა ამას, და მისსღვედება იქსოსა. მო-
ექსა იქსო და პრექა:

რასა ეძიებთ? ხოლო პრექება ჩას: რაპი
რომელი ითარეშინების: მიძღვარ, საღა იყ-
უვი?

ისანე, 1, 35-39.



იდრე ქრისტე სატანასთან პაუქრობდა და
ნებას აძლევდა მას ეტარებინა ხან ტაძრის
სახურავშე, ხანაც მთის მწვერვალზე, იოანე
უწინდებურად განაგრძობდა მოელი ხშირ
ძრავდა მშეიდობიანი მდინარის სანაპიროებს.

იერუსალიმში თანდათანობით დაირხა ხმები, რომ ბეთანიაში
ვიღაც ახირებული კაცი გამოჩნდა, ხალხს ატიტულებს, იორდანში
აბანავებს, თავზე წყალს ასხამს და ამასთან ერთ-ერთი ნათლო-
ბის დროს ითანებ ასეთი რამე თქვა: „ეს არს, რომლისათვის იგი
ვსოდები, რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უწინარეს იყო,
რამეთე პირველ ჩემსა არს“ (იოანე, 1, 15).

ეს ამბავი რომ გაიგონეს, იუდეველთა უზენაესი სასულიერო
ორგანოს, სინედრიონის წევრებმა²¹ ერთიმეორეს შემფოთებით გა-
დახვდეს: როგორ, განა ნება უნდა მიეცეს ამ იოანე ნათლისმცე-
მელს, რომ თავისი რელიგიური ონბაზობა კვლავაც განაგრძოს?

საჭირო იყო სწორი და ენერგიული მაქმედება. სინედრიონში
თავის რამდენსამე წევრს დაავალა, ნათლისმცემელს ესტუმრეთ და



დიპლომატიურად გაიგეთ ყველაფერი. ამ მისიისათვის გამოიყორცილი წარმომადგენლები ფარისეველთა სექტიდან იყვნენ, რომელთაც ეძრაველთა შერის დაახლოებით ისეთივე ადგილი ეჭირათ, როგორიც კათოლიკებში უძრავთ იეზუიტებს²². ფარისეველები თავისებურ რელიგიურ საზოგადოებას ქმნიდნენ. მისი წევრები საერთ სარაინდელზე მოღვაწებოდნენ, ერისკაცთა მსგავსად, და დიდი პატივითაც სარგებლობდნენ. ერთნაირი წარმატებით ეწეოდნენ პოლიტიკასა და ქიმიკობრივას, მეურნალობდნენ სწერლო, დევნიდნენ სხეულიდან ყოველგვარ სწებას შელოცვებით, და ყველაზე მეტად ცდილობდნენ თანამოქალაქეთა თუ თანამორწმუნეთა შორის სრულიად შეუზღუდულია გაბატონებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ესენი გახლდათ პატივწოყვარე და გაქნილი ინტრიგანები.

დელებატები ბეთანიაში ჩავიდნენ.

— ვინა ხარ შენ? — პკიოტეს ნათლისმცემელს. — ის მესია ხომ არა ხარ, რომელსაც ჩვენ ველოდებით?

— არავითარი! — მიუგო ითანემ. — მე და მესია? ო, არა და არა!

— მაში ილია ხომ არა ხარ²³, ამ რამდენიმე ასეული წლის წინ რომ გარდაიცვალა, ცად ამაღლდა და ახლა ისევ დაბრუნდა დედა-მიწაზე?

— არა, მე ილია არა ვარ.

— მაში წინასწარმეტყველი მაინც იქნები?

— ძალიან ცდებით.

— ბოლოს და ბოლოს, მაში ვინა ხარ?

— მე ვარ ხმა უზენაესისა უდაბნოსა შინა. გზა გაუსწორეთ უფალს!

ფარისეველები ახლა კი შიხვდნენ, ვისთანაც პქონდათ საქნე. შაგრამ ერთმა მათგანმა, რომლის აზრითაც ითანეს მორწმუნეთა შდინარეში ჩაყრის უფლება არა პქონდა, მაინც მისცა კიდევ ერთი კითხა:

— რა ემმაკს ნათლავ, თუ არც მესია ხარ, არც ილია წინასწარმეტყველი და არც სხვა წინასწარმეტყველი?

ითანემ თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და ასე მიუგო:

— რა თქვენი საქმეა, თუ ვნათლავ? მე წყალში ვნათლავ, მაგრამ თქვენს შორის არის ერთი, რომელსაც არ იცნობთ: ხწორედ ისაა, ჟან რომ მომყება, მაგრამ ჩემს წინ დადგა, და აი მე არა



გარ ღირსი, რომ ფეხსაცმლის ზონარი გავუჩსნა იმას, ვინც გაეჭრდა შორის დგას (მთელი ეს ბოდვა ამოღებულია ითანეს სახარების დროის 1, 26—27).

ფარისეველები ამ ასსნამ დააკმაყოფილა და დაამშეიდა. ითანეს ნათევამ კომპლიმენტში რაღაც დაუარული აზრი იყო და ყოველ მათვანს შეეძლო ასეთი პატივი თავის თავზე მიეღო*. ამის შემდეგ ყველანი იერუსალიმში გაბრუნდნენ და თავიანთი კვლევა-ძიების შედეგი სინედრიონს მოახსენეს.

მათი აზრი აღმართ ასეთი იყო:

— ჩვენ ენახეთ ნათლისმცემელი, მეგობრებო! ო, რა ფიცრი და კვიმატი ვინმეა! სიმართლე რომ ითქვას, შემლილისაგანაც იშვიათად მოისმენთ ასეთ ამდაუბდას! ჩვენ არაფრის ვამბობთ იმაზე, თუ რამდენად საშიში კაცია. რაყი მას ხელს აძლევს უდაბნოში ჯდომა და ღალადება ხმის ჩახლეჩამდე, მისი ნებაა, იყდეს. ვის რას დაუშავებს. მომლილი წისქვილივით არახუნებს, რაღაც თავი არეული უნდა ქქონდეს. ეს არის და ეს.

შეორე დღეს, ფარისეველთა წასკლის შემდეგ, იქსო ჩამოვიდა მთიდან, საღაც ეშმაქს ასე უდრტვინელად ააყვანინა თავი, და თავის მხრივ თვითონაც მივიღა ითანესთან.

როგორც კი თავისი ნათესავი დაინახა, ნათლისმცემელმა შექვეირა:

— აგერ, აგერ! აი კრავი უფლისა! აი, ვინ იღო თავზე ქჩეკნის ცოდვა!

იქ ხალხი იყო. ვერც კრავი ნახეს, ვერც ვერძი, არც მიუძლევით ყურადღება ითანეს ყვირილისათვის.

ის კი განაგრძობდა:

— მე არ ვიცნობდი მას, არ ვიცნობდი უფლის კრავს. მაგრამ ის უკან მომყება, და ის ჩემშე მაღალია, რაღაც ჩემიამდე იყო, ესე არს ძე ღმრთისა.

— ეს წომ უკვე თქვი! — შენიშნა ერთმა იქ მყოფაგანმა.

— მერე რა? მე ისევ ვიტყვი. და თუ თქვენ მკითხავთ, რატომ გნათლავ წყალში, იცოდეთ: იმიტომ, რომ ეს კრავი ზეგარდმო მებით გამოეგზავნა ისრაელს.

* ფარისეველთა ძელი ზნეა: „უკალ რეკვერ თავი მესია ქონიაონ“, იტყვიან.

ითანეს გარშემო ბრძომი იწყო თავმოყრა. ცნობისმოყვარეთა სტილი რავლემ ითანეს ლაპარაკის საღერღელი აუშალა და მოჟჟეულის სტილი ხმით დაღადება:

— მე ვნახე სულიწმიდა! — ირწმუნებოდა. — მე ვიხილე, ვიხილე იგი! ციდან ჩამოვშვა მტრედი, კრავზე დაჯდა და იქვე დაწია („ვიხილე სული ღმრთისა, ვითარცა ტრედი ვარდამომავალი ზეცით და დაადგრა მას ზედა“). რაზედაც გინდათ, დავიუიცებ, არ ვიცოდი, ვინ იყო. მაგრამ იმან, ვინც ნათლისცემა დამავალა, მანვე მითხრა „რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წილითათ (ითანე, 1, 33). და მე ვიხილე, ვიწამე, კავე არს ძე ღმრთისა“.

არავის აზრადაც კი არ მოსელია, რომ ითანეს მხედველობაში ჰყავს იქსო, და პრბომ დამლა იწყო, თან ათასნაირ ყაიდაზე სჯაბასი გაიმართა, ითანეს შეწლილობა ხალსა ეწაზე ეკერა.

• მეორე ღლეს ითანე იმავე ადგილზე გამოჩნდა. ამჯერად ორი გალილეელი მეოცევზე ასლდა. ანდრია და ითანე, ზებედეს შეილი. ეს უკანასკნელი ხულ ახალგაზრდა, პირტიტეელა ჯველი იყო, თავს გრძელი ქერა თმის უმშვენებდა. მოკლედ. ცხვტაბუქს გავდა.

იქვე იქსომ ჩაიცარა. ამჯერად ითანემ თითო გაიცირა მაცხოვრისკენ და ისევ გააბა:

— ფურადღება მიაქციეთ ამ წაბლისფერთშიან კაცს. ესაა ღვთის კრავი, რომლის ამპაგსაც ღღენიადაგ ვქაღაგებ.

ითანემ და ანდრიამ ნათლისმცემელი მიატოვებს და იქსოს კვალ-ზე წავიდნენ. იქსო მოუბრუნდა და როცა, ნასა, ეს ადამიანები მას მოჟყვებიან, ჰყითხა:

— რას ეძებთ?

— გვითხარით, სად ცხოვრობთ, — მიუგეს მეოუზეებმა.

— რაკი ასეა, მაშ წამოდით ჩემთან

იქსომ ორივე ერთ უკაცრიელ ქოხში მიიყვანა, სადაც ხანდახან ღამეს ათევდა, და როცა ყველანი შევიდნენ, კარი მაკრად წაკტა. ნაშუადღევის ოთხი ხაათი იყო.

რა მოხდა ქოხში, ამაზე ხახარებაში არაფერი არ არის ნათქვამი. რაზე ისაუბრა სიტყვამ თავის ორ პირველ ზედსართავთან, სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩა.

ასე იყო თუ ისე, ახალმა ნაცნობმა ანდრია და პირმშვენიერი



იოანე პირდაპირ მოხიბლა. ანდრიამ თავისი აღტაცება ძმაცუფლურად ზიარა. ძმაც მეტევზე იყო, სიმონი ერქვა. მეორე დღეს მიშრისტიანი იქსოს მისკვარა.

იქსომ სიმონს ასე მიშართა.

— შენ სიმონი ჩარ, სომ მართალია? დღეიდან შენი სახელი იქნიბა პატრიკ, თაც ქვას ნიშნავს.

ცესალი და პატიოსანიო, — მიუგო სიმონმა. — მისრძანე და ქვა ვიქნებით*.

ეს დღე ასე დაღამდა, მეორე დღეს კი იმავე ადგილას, იორდანეს პირას, იქსომ ნახა მეოთხე გალილეველი, სახელად ფილიპე. ისიც ბეთსაილელი იყო, ანდრიას და სიმონ-პეტრესავით.

— მომყევი, — უთხრა იქსომ. — ვისაც მე ვუყვარვარ, ის ძე მომყევება.

ფილიპე ცესოს მიჰყვა.

ბოლოს, ფილიპეს დაუინებითი თხოვნით, ამ პატარა კომიანიას შემოუწოდა კიდევ ვინმე ნათანაილი, თოლმაის შვილი (ბართოლმაი), რომელსაც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ეწოდა ბართლომე.

როცა ის მესიას წარუდგინეს, იქსომ ქვითხა:

— აი, ბართლა სიტყვა, ნაშდვილი იუდეველი! მე მომწიონს ეს ყმაწვილი! („ამა ჰეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკვა არა არს“).

— დაიცა, საადან იცენობ?

— მე უკვე გიხილე.

— ეს როვას იყო?

— ვიდრე ფილიპე გიხმიობდა.

— სადა?

— როვორ თუ სადა? ლეღვას ქვეშე გიხილე (იოანე, 1, 48—50).

— აი, ეს შესმის! — შესძინა ბართლომებ. — შენ შართლაც

* ტაქსილის მეურ ასე მხიარულად მოთხრობილი ამბავი სიმონის პეტრებ მონათელისა ეკლესიას სულაც არ მიაჩინა სახუმარი საქმედ. პეტრე, უკვა“, კლდე — ის საირწვევლია, რაზედაც იყსო თავისი ახალი რელიგიის ტაქტის ვებში. ეს ტაქტი, დღვევანდელი ვატიკანის სახით, თითქოს პეტრე მოციქულის — პირველი პაპის სამარტინი აგებული და ბურჯია მთელი კათოლიკური სამარტინი



არ შემრობ! რაბი! შენ ხარ ძე ღმრთისა, შენ ხარ მეუფე ჰერიტეიტონისა! სანაძლეოს დავდებ!

იქსო განაგრძობს:

— შენ ეს გაოცებს, უძვირფასესო? შენ დამიჯერე იმიტომ, რომ შე ვთქვი, ლეღვა ქვეშე გიხილე-მეთქი. მაგრამ ეს სულ წვრილ-შანებია. მაცალე, ისეთ საქმეებს გიჩვენებ. პირს დააღებ.

— რა უნდა ვიხილო? — დაინტერესდა ბართლომე.

სხვა მოწაფეებმაც ყურები ცქვიტეს, მოუთმენლად შეხცემოდ-ნენ იქსოს, ამა რას გვეტყვისო.

— შენ იხილავ... თქვენ იხილავთ, ცა გაისსნება და ანგელოზი ციცერი გამოწნდებიან, აღმავალნი და დაღმავალნი ჩემთანა („ამინ, ამინ, გეტყვი თქვენ: იხილენით ცანი განხმულნი, და ანგელოსნი ღმრთისანი აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა შედა კაცისახა“ — იოანე, 1, 52).

ასეთი გახაოცარი ხილვის მოღოდინში მოწაფეებმა სიხარულით ცეკვა დაიწყეს.

ასე შეადგინა იქსომ მოყიქელთა თავდაპირყელი ბირთვი. ამ დასში შევიდნენ: ანდრია, იოანე, სიმონ-პეტრე, ბართლომე და ფილიპე.

სიტყვა შეიგხო ხეთი ზედსართავით — მოწაფეებით, რომელ-თაც თავის მხრივ დანარჩენები მოიყვანეს*.

* ეს დასახელებული ანდრია პეტრეს ძმა იყო, გალილეის ტბაში თევზის იქერდა და იოანეს ცნობით (1, 41) მის ძმაზე დარე მოეწოდა ქრისტემ, მომცვევით. ამიტომ დაერქვა მას ბერძნულ გადმოცემაში „პირველწოდე-ზელი“ (პიოტრიულიტოსი). აქედანაა დაწესებული მნიშვნელოვანი პირველწოდე-ზელის ორდენი: რესეპტორი ის უფრო პოპულარული იყო, რაღაც გადმო-ცემით აქედა ქადაგებდა, კიდევ მდე მიეიღა, გაიარა კავკასია და შეტრ პატ-რიაში ჭვარს აცა პრიულნისულმა ეგვატშა. პეტრეს და ანდრიას საქმეთა წიგნი უართლდ იყო ცნობილი.

ახა ახდავი დაღრთის გამოსხალებისა ქორწილზე

ასე ქვენა დასაბამიდ ხასწაულთა იქნო კა-
ნას გალილეასა, და გამოუცხადა ღილაკი
თვისი, და პრეზენა მისი მოწაფეთა თვისი.

ითანა, 2, 11.



სე ჩაუყარა ხაფუძველი სარწმუნოებას მო-
რიდებულმა ღვთის შეიღმა იქსომ, თავისი
მცირე დასი შეყარა, მოციქულთა ბირთვი,
ჯერჯერობით სეღლ ბერი კაცი, და გჲას ვა-
უდგა. პირველად მაშარეთის შსარეს გას-
წიეს. არც ეტლი პყავდათ, არცა ქხენი, ასე რომ უინ ნეღლა მიიწევე-
ლნენ. პირველი ღამე რომ სიქემში გაათიეს, შეორე ვლ-პანიმში.
ფეხით გადასურეს ესდრელონის უდაბნო ვაკე და რის ვაცვაცლახით
ჩაეიდნენ პატარა მიყრუებულ ქალაქში, სადაც იქნო ცხოვრობდა
თავისი ოჯახით.

ჩვენს მცუაურებს — ეს უნდა გვახსოვდეს — ჯიბეში გასვერე-
ტილი გრომიც არ გააჩიდათ. ექვიცემ მიატოვა ღარიბელი ქოხია-
ხები და მცირეშემოსავლიანი, მაგრამ სავსებით პატიოსანი ხელი-
ბა, გზას გაუდგა, წახეტიალდა, და ამიერიდან გადაწყვეტილი იყო:
გელშემატკიცარი სულელების ხარჯზე უნდა ეცხოვრათ. უჭირდია,
გარკვეული კონტრიბუცია დააკისრეს იმ საქაომებსა და ხელია-
ბალებს, რომელთაც გზადაგზა სედებოდნენ, ამის წყალობით სალაშ-
ქრო საღილზე დესერტად ყოველთვის რაიმე გამოუჩინდებოდათ
ხოლმე.

გარდა ამისა, ნაზარეველი მეგობრების იმედიც პქონდათ ცო-
ტათი, მაგრამ როცა იქ ჩავიდნენ, იქსოს ოჯახი შინ არ აღმიჩ-
ნდა: ქორწილში წასულიყვნენ მახლობელ სოფელში

— მით უკეთესი, — თქვა იქსომ. — ჩვენც წავიდეთ კორ-
წილში.

მართლაც, კანაში წავიდნენ, სულ რაღაც ოთხ კილომეტრზე ნა-
ზარეთიდან. უბრალო ხელოსნები ათხოვებდნენ თავიანთ ქალი-
შეიღლს.

იუდგაში ქორწილი ნამდვილ მოვლენად ითვლებოდა, და ის
მართლაც მოვლენაა იმის ცხოვრებაში, ვინც ქორწილს იხდის. ასე
იყო კანაშიც. ღარიბ-ღატაკნიც კი ამ დღეს ზარ-ზეიმით ხვდე-
ბოდნენ და სუფრაც სავსე ჰქონდათ.

როცა ხეთი თანამგზავრის თანხლებით იქსო მოვიდა, ზეიმი
ეპენ გაჩაღებული იყო. ყველა გათვალისწინებული ცერემონია უკ-
ვე დაემთავრებინათ და საქორწინო ნადიმი იწყებოდა. ჩვენი მოხე-
ტიალე უსაქმირები სწორედ დროზე მოვიდნენ, სულზე მიუსწრეს,
შექთი სუფრა მაღიან ჭამა-სმას უქადდათ, მით უმეტეს, რომ ასეთა
ქეიფი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ხოლმე.

აქ სინდისის ქენჯნა მართლაც ზედმეტია, დამშეული მგზავ-
რები სუფრას მიუახლოვდნენ, წვერლებში გაერიცნენ და ერთგვარი
უხერხულობა შეიქნა, მაგრამ მასპინძელს არ უნდოდა შათი გაწი-
ლება და ისეთი სახე მიიღო, თითქოს სულაც არ შეუმინებელია.

მარიამმა სცადა შვილის დაყვავება, ღვინო არ არისო, უთხრა,
როცა იქსოს ღვინო შემოაკლდა, მაგრამ მისი შვილი დიდი მორჩი-
ლებითა და ურდილობით არ გამოირჩეოდა ხშირ შემთხვევაში, ამი-
ტომ უხეშად შეაწყვეტინა: „რა არის საერთო ჩემსა და შენს
შორის, დედაკაცო?“ („რა არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა
მოწევნულ არს ფამი ჩემი“, იოანე, 2, 4).

იოანეს სახარებაში ეს უხეში სიტყვები ისე დამშეციდებითაა
გადმოცემული, თითქოს სრულიად ჩვეულებრივი რამე ეთქვას შვილს
დედისთვის.

უნდა შეენიშნოთ, რომ ამ სიტყვებიდან ჩანს იქსოს ერთგვარი
უხეშობა და უქმეხობა. დედის ადგილზე რომ იოსები ყოფილიყო,
იქსო ალბათ იმასაც ეტყოდა: ჩვენს შორის საერთო არაფერიაო!
იქ სიმართლე მაინც იქნებოდა, მაგრამ მშობელ დედას ეს როგორ
უთხრა? მართლაც, ადამიანია ყველა თავისი ნაკლითა და ღირ-
სებით. ქორწილში ურიგოდ მოიქცა.

ვეკითხები ყველა მშობელს: ყურის აწევას არ იმსახურებს ასეთი
პასუხი?

იქსოს გამართლება მხოლოდ ერთი რამით შეიძლება: დარჩეაზემი
რომ შედიოდა, წინასწარ ცოტა ზედმეტი გადაკრა და უჩვეულად თავში
თავში ღვინო აუვარდა. ღმერთებიც ხომ თვრებიან!

მაგრამ სულერთი არ არის? როგორც ყოველი დედა, მარიამიც
სუსტი იყო, შვილს პასუხი არ გასცა, მსახურებს მიებრუნდა და
უთხრა:

— კარგია, ნე უშლით, დალიოს. რაც უნდა, ის გააკეთოს.

აოდა, რაც სურდათ, ის გააკეთოს. ანდრია, სიმონი, იოანე,
ფილიოზ და ბართლომე — მთელი ჯგუფი, აქამდე რომ არავინ იც-
ნობდა და არავის მიუწვდეთ, საპატიო ადგილებზე დაჯდა*.

(ეხადია, ასეთი ხაზიგადოება მაშინვე დააცარიელებდა მოთ-
ლებს. და ცოტა სინის შემდეგ სტუმრებმა ისევ მოითხოვეს ღვინო.

იქსოსაც მოეხასიათა ყელის ჩასველება, მთელი თავისი ღვთა-
ებრივი ავტორიტეტი გამოიყენა და სასწაულიც მოახდინა.

დარბაზში, ხადაც ნადამი იყო გაჩაღებული, ექენი ქვერ-
ჭელი იდგა. ნადიმის დასასრულს ამ ჭურჭლებს წყლით ავსებდნენ,
რომ სტუმრებს ჸულები დაებანათ.

ქრისტემ მსახურები შოიხმო და ვისრა:

— აავსეთ ჭურჭელი წყლით.

მსახურებმა ექვსივე ჭურჭელი პირთამდე აავსეს.

— ახლა აიღეთ და სტუმრებს შიართვით.

შსახურებმა ეს ბრძანებაც აასრულეს.

ო. სასწაული! წყალი ღვინოდ იქცა, და რა ღვინოდ!

* ცნობილია, რომ პოლემიკო გატაცებული ტაქსილი ხერ-
დება მეორე უკიდურესობაში, ამიტინებს და აუბრალებს თავის მანევრს,
ალაგა-ალაგ ვოლტერისტებრი ირონიის გრძელებას და კარგას დღემინტა-
რულ ტაქტებს. აქც ასე მოსდის: რა ისეგი გასაშეირცხალია ქორწილში
ექვსი დამშეული კაცის, ისაც მოტაქელთა და წათი დმერთის დაუპა-
რიებლად მისვლა, მით უმეტეს, როცა სახლის კარი და ვტილი დაჭიდათ
და მათს წინამძღვალს დედა ქორწილში ეგულებოდა? ასეთი რამ ყველგან
ხდება. ირონიის მახვილი მიმართული უნდა იყოს სხვ., უფრო მინშენე-
ლოვან, არსებით წინააღმდეგობებზე, რომელებითაც სიცირა ირავე აღთქმა
(ან რა ქორწილია იქ, სადაც ექვსი თერდაც დაუპატივებელი სტუმრით-
თვის ღვინო ენანებათ?).

პატარძლის მამას ეკონა, რომ ასეთი სურპრიზი სიძემ, მუშავი და
და სტუმრებს და უნებლივებ მიაძახა:

— მე აღფრთოვანებული ვარ თქვენით! სხვებივით კი არ იქ-
ცევით? ჩეკველებრივ, პირველად კარგი ღვინო გამოაქვთ ხილმე,
შემდეგ კი, როცა სტუმრები შეზარხოშდებიან, ყოველნარი წყალ-
წყალა სითხით ისტუმრებენ, დარწმუნებულნი, რომ ამასაც გადაყ-
ლაპავენ და სულერთია, ვერაფერს მიხვდებიანთ. თქვენ კი, პირიქით,
პირველადაც კარგი ღვინო გამოიტანეთ, ბოლოსაც — კიდევ ეს-
თესი. ეს სანაქებო საქშეა, ჩემთ მეგობარო, სანაქებო! ბარაქალა
თქვენს მასპინძლობას! თქვენ ჩემი პატივისცემა დაიმსახურეთ!

(ითანა, 2, 10).

მაგრამ ახალგაზრდა სიძემ კარგად იცოდა, რამდენი ბოთლი
ღვინოც ქქონდა. ის ძლიერ დავალებულად გრძნობდა თავს მოხე-
ტიალე ხურის წინამე. სუფთა წყალი რომ რჩეულ ღვინოდ აქცია,
ამით სავსებით გამოისყიდა ის ზარალი, რაც თავისი დაუპატივებე-
ლი სტუმრების მადამ ოჯახს მიაყენა. ამრიგად, იქსო, რომელსაც
თავდაპირველად ალმაცერად უყურებდნენ, ერთბაშად ზემოის გრინი
გახდა.

იქსოს წყალობით საუკეთესო ღვინო წყაროსავით მოსჩეულა,
ყველამ საკმარისს შეტი იგემა ღეთაებრივი ღვინი და შინ ბარ-
ბაცით გასწიოს.

ამრიგად, თავისი პირველი სასწაულით იქსომ მფარველობა გა-
უწია მხოლოდ და მხოლოდ ლოთებს*.

* იქსოს ეს ნაბიჯი მართლაც ერთ-ერთი ბიბლიოტიკ სასწაულია, ლევა-
თისა და გმირების არც ერთ ნაკლია და ლიტერატურას რომ არ უარავს. კანას
ქორწილიში, რაც არაერთმა ღილისტრმა ასახა ხელოვნებაში (კანას აუკუ-
რებით ცნობილა რევილანდტის ტალო), იქსო ქრისტე ბერძენია დათ-
ნისეს ანუ ბახტეს მოგვაფონებს.

აურგაური იურისალიშვილის ჩატარში

და მოახლოებულ-იყო პასექი იერ ურია-
თა, და აღვარა იქიმ იერუსალიმია.

და პერვა ტაძარსა შის შინა მიფადრულ-
ნი ზროხათანი და ტრედთა და მცენრები
შისძომარენი (ე. ი. ნახა, რომ ტაძარში ყიდ-
ლენ ხარ-ძროხას, მტრებს, და ასტრინ
დამხურდავებულნი).

და შეპქმნა შოლტი საბლისა, და ფაველი
იყი გამოახსა ტაძრით, ზროხა და ცხოვარი,
და კურმის-მსყიდლელთა მათ დაუთხრია კურ-
ნია, და ტაბლები იყი დაუმხვა.

და ტრედის-მიფადრულთა და მათ პრეზი-
ალილო ეს ამიერ, და ნუ პყოლო სახლისა
შიმიხა ჩემიხასა სახლ საყაჭრო!

ოთხე, 2, 13-16.



დფილად ჭარმოიდგენთ, რაოდენი ხმაური
ატეხა ამ სასწაულმა ნაშარეთში, რა მითქ-
მა-მოთქმა გამოიწვია. მაგრამ იქსოს თან-
მემამულეები მაინც ეჭვით შესცემოდნენ
მის სასწაულებრივ ძალას.

გაუგეთ, მეზობლებო? — უკითხებოდნენ კანას ქორწილის
შეორე დღეს ნაშარეველნი ერთიმეორეს. — გაიგეთ ხურო იოსების
შვილის იქსოს ამბავი?

— რაო? კიდევ რა ოინი მოიგონა?

— გუშინ არც აცია, არც აცხელა, ელეაზარის ქორწილში მობ-
რძინდა...

— ხელაც არ გამიკვირდება, ისეთი კადნიერია.



- ეს კიდევ არაფერი. ვიღაც ხეთი ამფსონი მოიყვანა ჩარტაში ვიცი, ხად გაიცნო. ამბობს, ჩემი მოწაფეები არიანთ მარტინია და მერქე, მერქე?
- იქეიფეს, უზომოდ სვეს, ხოლო როცა ღვინო გამოილია, ხერომ თვითონ დაამზადა ღვთაებრივი ღვინო...
- დაამზადა? რისგან და რანაირად?
- წყლისაგან.
- ნუ მეხუმრები... თუმცა გასაგებია: წვრილფეხა ვაჭრებმა იციან: წყალს რაიმეთი შეღებავენ და ღვინოდ ასაღებენ.
- არა-მეთქი, წყალი ქქონდა, მეტი არაფერი...
- რა იცი? იყავი ქორწილში?
- თვითონ არ ყოფილგარ, მაგრამ ნაბეიმ მიამბო, ნაბეის მა-თუსალამ უამბო, მათუსალას იოსიასაგან გაუგია, იოსიას კიდევ გეღვინისაგან, რომელსაც ეს ყველაფერი ბიძაშვილმა პირკანმა შე-ატყობინა.
- ოოო! ეს პირკანი ხომ პატარძალს ბიძად ხვდება, ქერა ნო-გმის ასელს?
- სავსებით სწორია.
- მაგრამ იმას ვინ დაუკერებს! წყალწაღებული ლოთია! ეტ-ყობა, კარგად გამოთვრა, მერე კი ხერო რას არ შეაჯერებდა!
- მაშ რა გვინია! ადვილი შესაძლებელია. ისე კი სულ დარ-ჩეული ხალხი ყოფილა...
- რა სათქმელია! ეს სასწაული მისი ჭიუის საქმეა, თაღლითი კაცია.

ასე გაასაღეს ღმერთი კაცად.

მაგრამ თუ ამ სასწაულმა ნაზარეველებს საჭორაო საქმე გაუ-ჩინა, სამაგიეროდ იყვნენ უფრო გონიერნი, რომელთაც მშრები აი-ჩეჩის, ვერაფერი გავვიგიათ.

ეს ნათლად ჩანს სახარებიდან.

იოანე, ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც ქორ-წილს დაქსწრო, ვერსად ვერ ფარავს ბრაზსა და აღმიერთებას ნაზა-რეველთა ხსენებაზე.

მაგალითად, ის წერს: „და პრქეა მას ნათანაიღ: ნაზარეთით შე-საძლებელ არსა კეთილისა რაისამე ყოფად?“ (იოანე, 1, 47). ბარ-თლომეც ამ აზრისა იყო.

დასკვნა: თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტემრებს, რომელ-



ბიც ქორწილში იმყოფებოდნენ და რომელთაც, სამწერაროდა თავისუფასო ანთი შთაბეჭდილებანი შთაბორბავლობას არ შემოუნახეს, გაგრძელებული იქნის ერთგულ მოწაფეს იოანეს, სხვამ ღვინის მიღების ამ მეთოდს ყველამ ეჭვის თვალით შეხედა*.

იქსომ მაღე მოისაზრა, რომ თავისი რეპერტუარით ნაზარეთში წარმატებას ვერ მიაღწიეს და სწრაფად მიატოვა ეს ქალაქი, საღაფ მას თხემით ტერფამდე იკნობდნენ.

აქედან გენისარეთის ტბის სანაპიროებს მიაშერა: იქ გუნებაც უფრო ლამაზი იყო და ხალხიც უფრო უბირი, უკმიტაკო და მიამიტი. გარდა ამისა, ტბის გარშემო მრავალი ქალაქების გარაკი გაეშენებინათ, სადაც ფრიად მშიარულად ატარებდნენ დროს გაღილეველი ლამაზმანები, ხოლო ჩვენი ახალგაზრდა ინიციატი მოწყალე თვალით უყურებდა ახალგაზრდა ტურფა კოდვილებს. ასეთი თავისუფალი ქცევის ასულებით განსაკუთრებით განთქმული იყო სანაპირო ქალაქები კაპერნაუმი, მაგდალა და ტიბერიადე. ბოლოს, გენისარეთის ტბის სანაპიროები სწორედ ყველაზე უფრო მოხერხებული იყო იქსოს ახალი მოძღვრების საქადაგებლად. საკამარისი იყო ნაეზე ახულიყო და ნაპირზე თავმოყრილი უსაქმიურებისათვის ექადაგა ის, რაც უნდოდა. მაშინდელი პოლიცია თუ გამოჩნდებოდა, მაშინვე ნაეს ღუშას ასწევდა, ხოლო მოიმარჯვებდა და ელვის სისწრაფით მიაშერებდა მოპირდაპირე ნაპირს.

პირველად ქრისტემ საკურორტო ქალაქ კაპერნაუმში შეისვენა, მაგრამ დიდი სინთ კი არ გაჩერებულა.

კანას ოინი ალბათ დავიწყებული იქნებაო, იციქრა და გადაწყვიტა ისევ იერუსალიმში გამოცხადებულიყო. ეს მოხდა პასექის (პასექის) დღესასწაულზე. გალილეის ყოველი კუთხიდან გაეშერა ხალხი წმინდა ქალაქებსაგენ. ქარავანი ქარავანს მისდევდა. იქსოც თავისი ხუთი მოწაფის, სხვა ღარიბ-ღატაკთა, მოწმინდანო დოყლაბიებისა და მაწანწალების თანხლებით ერთ-ერთ ქარავანს შეუერთდა.

იერუსალიმში ჩასულმა იქსომ პირველ რიგში ტაძრის მონახულება გადაწყვიტა. მიეიდა კიდეც. ტაძარი მოზღვავებულ ხალხს ვერ იტევდა. ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ნახავდა იმისათვის, რომ რა-

* ლაპარაკია იქსოს სასწაულზე, თოპემ წყლისაგან ღვინის მიღების სასწაულს ჩვენს დროშიაც არავის უთვლიან დაუკერებელ სასწაულად.

იმე თინი მოუხდინა და ქვეყნის ყურადღება მიეპყრო. ქრისტეს განცხაში კი ასეთი სკანდალური დღე უკვე მომწიფებული უყორდა და მართვის გარეშე.

სამლოცველო საჭე იყო მოვაჭრებით, რომლებიც ღმისტეს ასაკებელ საგანს ყიდდნენ, აგრეთვე სამსხვერ-პლო საჩებს, მტრედებს, ბატქნებს და ა. შ. მოედანზე, ეზოში, თვით ტაძრის შესასვლელთან იყო დაზუვებული ყოველნაირი სავაჭრო საქონელი, რაც შეიძლებოდა ღვთისმსახურების დროს გამოეყენებინათ. ისევე, როგორც ჩვენს დროშიც კელესიებისა და ტაძრების გარშემო ნამდეილი ბაზრობა იმართება ხოლმე გელუბრყვილო მორწმუნებისათვის, იესო ქრისტეს დროსაც გამდიდრების მსურველი მლოცველებს ყოველგვარ სამსხვერპლო საქონელს სთავაზობდნენ. დღეს უფრო მაირულო ასორტიმენტი საღდება: სანთლები, გუნდრუჟი, ხატები, წმინდა ნაწილები, კრიალოსნები, ყოველგვარი რელიქვია, ცეცხლოვანი ლოცვის ტექსტით აჭრელებული პატარ-პატარა ხატები და სხვა რელიგიური ნაგავი, რასაც მოხერხებული მეწურილმანები აჩეჩებენ უბინ მორწმუნებს. მაშინ კი გამოყვანილი ჰყავდათ მტრედები ღარიბთათვის და ხარები ან ცხვრები — უფრო მდიდრებისათვის. ბატქნები, მხოლოდ პასქის ღლესასწაულზე კლავდნენ. ებრაელები, რომლებიც შორეულ კუთხეებში ცხოვრობდნენ და იერუსალიმში წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდნენ, მაელს თავიანთ ღვთისმსახურულ გულმოდგინებას ამ დღებისათვის ინახავდნენ მარაგად. ახლა ერთბაშად ასრულებდნენ ყველა აღმერას, რაც მთელი თორმეტი თვის განმავლობაში უცროვდებოდათ, და ამზენი ხნით დაგროვილ ლოცვას ერთად აღავლენდნენ უზენაესის შიმართ. როგორც ხედავთ, იმ ფამილან ბევრი არაფერი შეცვლილა.

უკეთესად რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა ხდებოდა პასქაზე იურუსალიმის ტაძრის გარშემო, საქმიანისა დავესწროთ პარიზის პანთეონში გამართულ ღლესასწაულს, წმინდა ქენევიევის პატივსაცემად რომ ეწყობა.

ეს იყო ნამდეილი ბაზარი, საღაც ირეოდა ყველა და ყველა-უერი — უელის გაღამხურდავებულნიც კი. ბიბლიის მოთხოვნის თანახმად (გამოსვლათა, 30, 11—16), ყოველ მორწმუნეს მღვდლებისათვის უნდა მიეცა „საღსარი თვისისა თვისისათანა...“ შესაწირავად უფლისა...“ მაგრამ რომის პროვინციად ქცეულ იუდეაში ფული გაჭირდა, ახლა ჯიბეში ორიოდე გროში თუ აღმოაჩინდებოდათ, კეისრის გამოსახულებით. ასეთ ფულს უფალს ვერც კი აკად-



რებდნენ. ამ შემთხვევისათვის მღვდლებმა ტაძრის შესასვლებებზე უკარა დამზურდავებელი კონტროლები გამართეს, ზარაცები დასკეცია დაგროვია ხეთ, არც იმზროინდელი მღვდლები ყოფილან დოკულაპიები! უკლის დახურდავების უფლებისათვის ფერცხლის მონეტას იღებდნენ და იქვე იჯიბავდნენ, ისე რომ სინდისის ქენჯნა არ აწერებდათ.

აი, აქ გამოჩენდა იქსო თავისი ამაღლის თანხლებით.

— ერთი ამათ დამისხდეთ! — ჩაიბურტყუნა სიმონ-პეტრემ თვალთა ბრიალით. — ეს რამდენი ფული დახვავებიათ მაგიდებზე! ჩენ კი განვრეტილი გროშიც არ გაგვაჩინია.

— ახლა ხარებს შეხედე! რამდენი ცხვარია! — დასძინა ანდრიამ.

— ურიგო არ იქნებოდა, ეს ბატქნები რომ შამფურზე აგვაგო, — მოქავა ოცნებას ბართლომე.

— მე წყვილი მტრედითაც იოლად გავიდოდი, — ბეკრის შეტყველი იერით თქვა იოანემ.

ექვსმა მოხეტიალე მქადაგებელმა ერთიმეორეს გადახედა... და გახევდა.

— ყურადღება! — შეაწყვეტინა ყველას ფიქრი იქსომ. — არ გაიჭირეთ, ცოტა ფრთხილად იყავით!

ამ სიტყვებზე ხელთ იპყრა შოლტი და უეთიანივით შევარდა მოვაჭრეთა ბრძოს შეაგულში: მარჯვედ მოიქნია ფეხი, გადააყირავა დასახურდავებელი მაგიდები და დახლები, ვერცხლის უული ჩხრიალით დაცვიდა ძირს. იმავე წას დაუწყო უმოწყალოდ ცემა ხარებსა და ცხვრებს, გადაუჭირა შოლტი ბატქნებსაც კი. ბღავილითა და ზმუილით დაიფანტა განწირული ჯოგი. მტრედებს კი, რომელებიც მამის მხრიდან ნათესავებად მოხვდებოდა, გალიები დაუმსხვრია და გააფრინა, ამავე დროს ყვიროდა, რისხვით ატრიალებდა ღვთაებრივ თვალებს:

— განვედიო, უსირცხვილო ვაჭრები! თქვენ ბილწავთ ლოცვა-გურთხვის სავანეს! თქვენ ქურდებისა და ნოვაჭრების ბენაგად გიქციათ მამაჩემის სახლი!

დაიწყო წივილ-კივილია, ჩხუბი და დავიდარაბა. იქსო რომ მარტო საკუთარ ზურგზე გადაეტანა მთელი რეაცია, გვერდებს დაუზუღდნენ, ისე იმუქრებოდნენ გამწარებული ვაჭრები. ერთი კაცი, რაც არ უნდა ღონიერი იყოს და გულიც ერჩიდეს, რას გაემშლავდება ასობით გააღმასებულ მოვაჭრეს, რომელსაც მღოცველთა

ბრძოლა თანაუგრძელობს! სეირის მოყვარულ გამვლელ-გამომვლელს კიდევ რა ენაღვლებოდა? შეეძლო დავიდარაბის ცეტლის შეგვეპაროს, რომ ასედაც მოხდებოდა.

იქსომ ამ ბრწყინვალე პოეტური წამოწყების უმძიმესი ნაწილი თავის თავზე აიღო, ხოლო ხუთი მოწაფე ეხმარებოდა. მათ ზურგს უმაგრებდა იმ მაწანწალების ბრძო, რომლებიც იერუსალიმში გაიცნეს და შემოიკრიბეს.

ამ „არევის“ საბაბი მშევნიერად იყო მოფიქრებული. აი, რატომ: იქსო ღმერთი იყო, ამაზე არ ვდავობ. რაკი ღმერთი იყო, მას წინასწარ განჭერუტის უნარიც პქონდა, და რაკი ასეთი უნარი გააჩნდა, წინდაწინვე იცოდა, რომ ქრისტიანი მღვდლებიც ასევე ივაჭრებდნენ ჩვენი ეკლესიების კარებთან, როგორც ებრაელი მღვდლები ვაჭრობდნენ იერუსალიმის ტაძარში. როგორც ღმერთი, იქსო დღესაც ცოცხალია და ყოვლის შემძლე, ამაში ეჭვი არავის გვეპარება. რაკი ასეა, მაღლით დასტერის ქრისტან მღვდლებს და ხედავს, რომ მოხვეჭის იგივე ძარღვე ამოძრავებთ, რაც ებრაელ მღვდლებს ამოძრავებდა. რაკი დღეს ასევე არ აწიოკებს საკმევლითა და კრიალოსნით მოგაჭრებებს, მაში დარწმუნებულია, რომ ასეთი ვაჭრობა არ ბილწავს მის სახლს, ღვთაებრივ საყდრებს. რამდენადაც მხედველობაში გვაქვს იქსოს ღვთაებრივობა, მისი განვება, წინასწარ ჰერუტა, შევვიძლია დამტკიცებულად ჩავთვალოთ, რომ იერუსალიმის ტაძარში, საღაც იმავე აზრისა იქნებოდა, უბრალოდ საინტერესო კომედია გაითამაშა იმ საბაბით, რომ წმინდა აღგილებში კეთილმახურელი სავნებით ვაჭრობა თითქოს შეუფერებელი საქმია. ამიტომ ტაძრიდან მოვაჭრეთა განდევნა იყო მხოლოდ სანახაობა.

მოელი საქმე ისაა, რომ იქსოს უნდოდა იუდეაში სახელის განთქმა, აგრეთვე თავისი და თავის მოციქულებისათვის საჭირო სანოვაგის შოვნა. საამისოდ ხელსაყრელი აღგილი იყო იუდეის ღვდა-ქალაჭი, შესაუერისი დრო კი — ღღესასწაული.

როცა გაოგნებული ხალხი ცოტა გონს მოეგო, გაოცებამ გაუარა და დაწყინარდა, ბორგნეულ კაცს დაუწყეს გამოკითხვა, რისთვის მოიქეცი ასეო.

— რისთვის? — ამაყად მიუკო იქსომ. — განა მე მოვალე



ვარ თქვენ ანგარიში ჩავაბარით? მე ხომ მესია ვარ, უშმავმა და-
ლახვროს!

— მესია? — შეცბა ხალხი. — ამას როგორ დაგვიმტკიცეა? („მიუგეს ურიათა და პრევეს: რასა სასწაულსა მიჩვენებ ჩენ, რა-
მეთე ამას იქმ?“).

— ძალიან აღილად. დააქციეთ („დაპსენით“) ესე ტაძარი და
მე კვლავ ავაშენებ საჭ დღეში.

— აი, ეს კი მესმის! — შესძახეს ურიებმა. — ეს ტაძარი ორ-
მოცდავექსი წელიწადი შენდებოდა და შენ გინდა სამ დღეში ააშე-
ნო? („ორმოცდა ექვსსა წელსა აღეშენა ტაძარი ესე და შენ სამთა
დღეთა აღაღვინო იგი?“ — ითანა, 2, 20).

— მე ჩიმს სიტყვას გავიტახ, — მიუვო იქსომ. — ვის სურს
დამიდოს საზამლეო?

ამჯერად ქრისტეს სატყვას სამარისებური დუმილით შეხედნენ
სიტყვაზ გაბათჭვება იზეიძა და საამისოდ სასწაულის მოხდენაც კი
არ გახდა საკირო*.

უნდა ვიკარაუდოთ, რომ სანაძლევის გულისათვის ვერც ერთი
დამსწრე ვერ გამოდავდა იმ ტაძრის დაზრუვას, რასაც თაობები აშე-
ნებდნეს და ამშეუხებდნენ. თანაც ხელთ არა ქეონდათ საამისოდ
საჭირო ხელსაწყო-იარაღები. მერე და, საზოგადოებრცემ შენობე-
ბის დაზრუვა მაშინ ჯერ კიდევ ისჯებოდა კანონით.

რაც შევხება მოვაჭრებსა და ცხვრის პატრონებს, შათ თავიან-
თი საზრუხავიც ეყოფოდათ, რომ ახლა ის ერკვიათ, რამდენად მარ-
თალია შოლტიანი კაյის მესიობა. ერთინი ძირს დაყრილ მონეტებს
აგროვებდნენ, სხვები ვაქცეულ საქონელს დასდევნებოდნენ. ხალხი
დაშარალდა, სანაძლევოს თავი ვისა ქეონდა!

იქსომ თავისი უჩვეულო კადნიერებით გამოწვეული ალიაქო-

* ეპიზოდი მოკონილია იმის დასამტკიცებლად. რომ „მსაცალთა
პრევენა სახელისა მისისა, რამეთე პრედეიდეს სასწაულთა მისთა“, ხო-
ლო უასტაულოდ სიტყვის დაფრება არ არის შოკებერლი გონიერამახევა-
ლობასა და ორიგინალობას, რაც წმინდა წერილში საერთოდ მრავლადა
გამნეული. სხვა გზით, როგორც ეხედათ, ქრისტეს უკირს თავისი ლკო-
ებრიელის ლამტკიცება.

თით ისარგებლა, თავის მოწაფეებს შეუერთდა, უთეოდ უსულის აკ-
ნეტუაში რომ იღებდნებ მონაწილეობას, რათა დრო პატარი
დავაარგათ, და ყველანი ერთად თავის გზას გაედგონ, ასე რომ
ახეთი საყურადღებო სცენის შემდგომი განვითარებისათვის არც და-
შლდეთ.




რაჭაელი. მაღლია ჩიკოლინი.

იმპოზიტოსი

იყო ვინწე კაცი ფარისევლავერნი, სახელით ნიკოდიმის, მთავარი უძინათ.

ეს შოგილა აუსისა ღამი, და პრექა მას: რაბი! ეწყოთ, რამეთუ ღმისასა მიერ მის-რელ ხარ მოძღვრად; რამეთუ ვერგის ჩე-ლეწიფების სახულია ამათ საქმედ, რო-მელთა შენ იქმ ჰყეო არა ღმიერთი იყოს მის თანა.

ოთახე, 3, 1-2.



ქვენ აღმათ გახსოვთ ფარისევლითა ელ-ჩობა ითანე ნათლისმცემელთან, სინედრი-ონმა რომ მოაწყო. თქვენ გახსოვთ, შეა-კაცები იერუსალიმში დამრუნდნენ სრული-ად დარწმუნებულხი იმაში, რომ იორდა-ნის ნაპირებზე მოქადაგე-მდაღადებელი, შეალიჭამია ითანე სრულ ჭეშაშე არაა.

მაგრამ, ჟეშმარიტების გულისათვის უნდა ვაღიაროთ, რომ ერთ მათგანს მაინც, აღმათ უფრო ჰქევიანს, ვეფი ღრღნილა. არაერთხელის არაფერი უთქვამს, მაგრამ შინ დამრუნებულმა თავის თავს რამდე-ნიმე უციხვა დაუსვა:

— ვინ არის ის კაცი? ნუთუ სრულიად ჩეულებრივი ზტერია ეს ითანე? ან იქნებ ღვთისაგან მირონწებული ვინმეა? ივითშარ-ქვა წინასწარმეტყველი ხომ არ არის? თუმცა ამასაც უარყოფს. უარყოფს იმასაც, რომ ის იღია წინასწარმეტყველია. კოვა საქსე წყალს აღვრის თავზე ადამიანებს და ამტკიცებს, რომ მოგა უფასოი, თანაც როგორი! მისი ფეხსაცნობის ზონაზი რომ გაეხსნა, იმისი ღირსიც არა ვარო, ამტკიცებს. უკვე მოვიდა ის უფალი? მოვა თუ



არ მოვა? ხომ არ დავასმინო, ხადაც ჯერ არს, რომ შეძლოდეთ უფაფა შექაფარში შიაბრძანონ? ან იქნებ მე თვითონ მივიღდე მისმარი უშესებები ჩავარდნილმა ვოხოვო, იორდანის წმინდა წყალი მაპყვრის მეც კეფაზე? როგორ ჯობია?

ჩევნი ფარისეველი პრინცივით იყო დაბნეული. სახელად ნიკოლიონის ერქვა, მაგრამ სახელი რას უშევლიდა! შერთალია, ეს ზოგად სახელად იქცა, მაგრამ არასახარბიერო სახელად. როცა უნდათ ვინმეს უთხრან, სულელი ხარო, ასე ეტყვიან: „ეჭ, შე ნიკოლიონისო, შენა!“

იმ დღიდან, რაც ნიკოლიმოსმა იოანე ნათლისმცემელი ნახა, იითქოს ეკლებზე იჯდა წარმშეკრული შესცემელი ქვეშეცნეულად თავის კამერდინერს, მებაღეს, მზარეულს, და ფიქრობდა:

— ვთევათ და ის მართლა მაცხოვარია? იქნებ რომელიმე ამათგანია? შე შემსახურება და იმისი ღირსიც კი არა ვარ, ფეხსაცმლის ზონარი გავუხსნა...

შემდეგ გულდასმით ჩააკვირდებოდა თავის მსახურს და გაიყინებდა:

— ეჭ, ნიკოლიმოს, ნიკოლიმოს! აბა რისთვის მოგველინებოდა ასეთ დროს მესია? არასოდეს არ ყოფილა ჩევნის ხალხში ღმერთის ისეთი რწმენა, როგორც ახლა, არასოდეს არ ყოფილან ადამიანები ასე ღვთისნიერნი. ყოველწლიურად პახქის ღლებასწაულზე ტაძარი გაშეღილია მომლოცველებით, ნემისი არ ჩავარდება ჩამოდიან იუდეის ყოველი კუთხიდან. არა, რწმენას სასიკვდილო რა სქირს, მაშასადამე მესია მოგვიანებით მოვა!*

ღამით, როცა ნიკოლიმოსი თავის რბილ გერმაში წვებოდა, ეჭ-გებმა ისევ დაუწყეს სულის კორტნა. ასე ჩაეძინა და სიზმარში ჩაჰყა იოანე ნათლისმცემელი — მყალიჭამია.

* ასეთი ჩლუნგი მსჯელობისათვის გახდა ნიკოლიმოსის სახელი საანდაზო: თითქოს რწმენის ან მეულების მოჩვენებით სიმტკიცე უზრუნველყოფდეს მის მარადიულობას, როცა ძალადობისა და სიცრუის ტაძარის — სავაჭრო სახლად ქცეულ საერებელოს საძირკველში წყალი აქვს შედღებაი ცხადია, არც ახლა სარწმუნოება უქადა კაცობრიობის სიკეთეს, მაგრამ ყალბი სინაშვილის ნიკოლიმოსისეულმა გაეცამ ამ უარისცელის სახელი სამედავიდ აქცია დროშიველი და უაზრო სარწმუნოების ჩლუნგი მსახურის სინონიმად.



ასე მოეწამდა ცხოვრება გაუძედავ სენატორს (სხვათა შერწყმული შეთავისებით იუდეველია სენატის წევრი იყო). პირზე გაიმართა

პოდა, როცა იქრუსალიმის ტაძარში იქსომ ასეთი ბაქეანალია მთაწყო, ნიკოლიმისაც გაიგო, ჰერიუნდა და მომხდარ ამბავში მრავალი რამ საერთო ნახა ისეთი, იოანე ნათლისმცემლის წინასწარმეტყველებას რომ ემსხვერდა.

— ადამიანი, რომელშიც შარაფთა დახლები გადააყირავა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ადამიანია, და ყველა ვერ გამოდავს მისი ფეხსაცმლის ზონის გახსნასო, — ფიქრობდა ფარისეველი.

ვინ იცის, ჩემი შერმძლენედ დაუსვა თავს ასეთი კითხვა იქნება ეს არის მესია?

ნიკოლიმისმა განიზრახა პირდაპირ იქსოსთვის ეკითხა, შემს ამბავს ხომ არ გვიჩინას წარმეტყველებდნენ წინასწარმეტყველნიო?

თუმცა ჩემს ნიკოლიმისს ერთი სული პქონდა, კადრე ამ თავსატეხს გაიგებდა და ამოხსნიდა, მაგრამ არც თავის შერცხვნა უდღოდა: როგორც ურთხილი და წინდახედული კაცი, იქსოსთან მაშინ გაემგზავრა, როცა უკვე დაღამდა.

სახარება არ გვეპნება, როგორ გაიგო მოხეტიალე მქადაგებლის მისამართი, მაგრამ გაიგო და კარზე დაუკაეთა.

ნიკოლიმისი თავის თავს დიპლომატად თვლადა და არასოდეს არ იწყებდა საუბარს შეკითხებით. მოფიქრებული პქონდა შურის გამოტეხვა იმნირად, რომ თვითონვე დაწყო გელასდილი ლაპარაკი.

ამიტომ იქსოს მიწამდე თავი დაუკრა და ეწოდა „რაბი“.

ეპრაელებს ორი სიტყვა პქონდათ, „რა“ მარცვლით რომ იწყებოდა, ამასთან ერთი უშენავს მოწიწებას გამოხატავდა, მეორე კი, პირიქით, უსაძალეს გინერას წარმოადგენდა. ერთია „რაბი“, მეორე — „რაგა“²¹.

კაცი რომ კაცს „რაბის“ ეწოდებდა, ეს იყო ედიდესი ქების და მოწიწების ნიშანი. რაკას დაძახებას კი სკობდა საქვეყნოდ გაგედინათ ლოფაშე ტკაცანი.

— რაბი, — თაფლისმწოლვარე ხმით მიებრუნდა იქსოს ფარისეველი. — ყველამ ვიცით, რომ შენ ხარ მასწავლებელი, მოძღვარი ჩვენი, უფალმა რომ გამოვიგზავნა შენი თავი, რათა გვასწავლო ჩვენ. მოელი იერუსალიმი ერთხმად ადიდებს სასწავლებს,

რომელთაც შენ აძლენ ჩვენდა საამებლად. რაკი სასწაულებს გამოიყენებოდა ეს იძას ტიპის, ომზე ღმერთის შენთანაა.

განა საამოდ არ გალობს ეს ფარისხეველი სენატორი? ციციერი დიპლომისტი სწორედ ფარისხევლურად ამბობს იმას, რაც არ სწავს. საქმე ისაა, რომ ამ დროს იქნოს იერუსალიმში ჯერ კიდევ არც ერთი სასწაული არა აქვს მოხდენილი. მის აქტივობი ითვლებოდა მხოლოდ წყლის ღვინოდ გადაქცევის სასწაული, კანას ქორწილში რომ უჩვენა მთვრალ საუთგადოებას. — მარჯვედ გათამაშებული როინ, რამაც ურწმუნო ნაშარეცულნი გულიანად გააცინა. რას ვერჩით, ეს მართლაც სასწაული იყო, მაგრამ დედაქალაქამდე მაინც ცირ მივდწია ამ ამბავს. ნიკოდიმოსმა ამაზე არაუერი იცოდა, მაგრამ რაკი მისი, იქნოს გულის მოგება ვწადა, მამინვე მღიერებულობით დაიწყო, იქნებ ასე უფრო გავიდე ფონსაო.

მაგრამ ნიკოდიმოსს ძლიერ მოწინააღმდეგებიან პერიდა საქმე. იყსომ დოინჯი შემოიყარა და მიუგო:

— თქვენ ძალიან გულეოლი ხართ, მაგრამ მე ვიყი, რის-თვისაც მოხვდით ჩემთან: ვინდათ ზუსტი ცნობები მიიღოთ ჩემი მისის შესხებ მაგრამ, ჩემთ კარგი, უფლის სასუფლებული რომ ისილოთ, საამისოდ ჯერ საჭიროა ახლად იშვათ.

პასუხი, როგორც ხედავთ, საკმაოდ ბუნდოვანია. ნიკოდიმოსს იმდენი ჭკუა სად გააჩნდა, რომ ის აესხნა. ამიტომ ბრინჯივით დაიბანა.

— შაპატიეთ, მაგრამ თქვენი განმარტების აზრი საკეთით ვრ გავიგე, — მიუგო, — როგორ უნდა იშვას ადამიანი მეორედ, როცა ის უკვე მოხუცია? ნეთუ შეუძლია დედის წალში დაბრუნდეს, რათა მეორედ დაიბალოს?

იყსოს გულიანად გაუცინა.

„რევენია! — გაიფიქრა. — დაღუჭილს ითხოვს. რა გაეწყობა, უნდა დავეხმაროთ“.

ჰოდა, ასე უთხრა:

— ჭემიარიტს, ჭემიარიტს მოგასსენებთ, უძვირფასესო ნიკოდიმოს: ვინც ხელახლა არ იშობა წყლისა და სულისაგან, ის ციურ სასუფლებლს ვერ ეზიარება.

— წყლისაგან?

— რა თქმა უნდა, წყლისა და სულისაგან.

სენატორი უარესად დაიბანა.



— ეს როგორდა გავიგოთ?

— მთელი საქმეც ესაა: თქვენთვის ითანეს თავზე წყული არის თავზე. გადასახამს, მტრედს არ შთატერია სული თქვენს მელოდ თავზე. ამიტომ თქვენ იაჩიც არ გაგვევბათ ასეთი ამბებისა. ხორცისაგან შობილი ხორცია, სულისაგან შობილი ხელია („შობილი იგი ხორცია განკუთხანისაგან სული არს“ — ითანე, 3, 6).

ნიკოლომოსმა თვალები დააჭყიტა.

იქსომ განაგრძო:

— არ გაგიკვირდეთ, რასაც გეტუეთ. ყველაფერი ეს ძალიან სერიოზულია. ვიმეორებ, თქვენ ხელახლა უნდა იშვათ. მტრედი ჩაშინ უძერაქს, როდესაც რენების, და თქვენ გესმით მასი ხბა, მაგრამ თქვენ არ იცით, ასაიდან მოდის და საით შიდის. ასე მოხდის უცლას, ვინც მტრედისავან შობილა.

— რა ეშმაკა! — შესძახა ნიკოლომოსმა. — ვერანაირად ეკრ გამიგია, რაები მოიხარით. ვატყობ, ეგ ჩემი ჰკეის საქმე არ არის. აი, თუნდაც ეს მტრედი აკილოთ, რომელიც სულს უბრავს და ადამიანებს შობს, ან ის აბაზანა. თქვენი ნათესავისავან რომ უნდა მიიღოს ადამიანმა, რათა მეორედ იშვას, — რანაირად შეიძლება ასეთი ამბები?

ახლა იქსოს ჯერი დადგა გაოცებისა. ერთი გადახუდა და უთხრა:

— ექ, შენ ვინა ყოფილხარ! გამოყდილი ღვთისშეტყველი, სინედრიონის წევრი, და ერ გაიგოს, რაზე ველაპარაკები! უცნაური ამბავია სწორედ!

— რა ვენა ახლა, თუ ნამდვილად ვერა გამიგია რა!

— ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად გეტუე შენ. ისეთ რამეს არ ვიტყვი, რაც არ ვიცი და რაც არ შემიძლია დავამტკიცო. ას, რაზე-დაც გელაპარაკები. თვითონ მინახავს, თქვენ კი ლგახართ პირდა-ლებული და თითქოს ზღაპრებს გიყვებოდეთ, ისეთი სახე მიიღილიათ. მაგრამ თუ ჩემი არა გვერათ მაშინ, როდესაც მიწიერზე ველაპარაკებით, წყალზე და სულზე, მაშინ რანაირად უნდა გაიგოთ, როდესაც ლაპარაკს დაგიწყებთ ცის ამბავშე? აკი არავინ ცად არ ამაღ-ლებულა, თუ არა ცით ჩამოსული ძე კაცისა, მყოფი ცათა შინა. და როგორც მისემ აღმართა გველი რვალისა²⁵ უდაბნოსა ზედა... თქვენ მე მისმენთ თუ არა? („უკუთუ ქვეყანისა გითხარ თქვენ და არა გრწამს, კითარ უკვე ზეცისა გითხრა თქვენ, და გრწმუნეს? და



არა ვინ აღქმდა ზეცად, გარნა რომელი იყო სარდამოშიდური წერილი და უითარება რომ მარტინ მარტინისა, ეგრეთ ჯერ არს ამაღლება ძისა კაცისასა — ითანე, 3, 12—14).

— გისმენთ. განაგრძეთ.
— პოდა ასე... ეგრეთ ჯერ არს ამაღლება ძისა კაცისასა...
— მაგრამ აქ რა კავშირია?..
— რათა ყოველი მორწმუნე მისი არ დაიღუპოს, არამედ პერნ-დეს საუკენო სასუფეველი. ხედავთ, ძვირფასი, ღმერთმა ისე შე-იყვარა ქვეყნიერება, რომ თავისი პირზე შეიღი დაუთმო. ეს გირ-ვირთ? სინამდვილეში კი ეს ასეა რადგან შეიღი თავისი მხოლოდ-შებილი გაგზავნა ქვეყნად არა იმისათვის, რომ განხაჭოს იგი, არა-მედ იმისათვის, რომ ისხნას ქვეყნიერება. ანუ კულაცერს გიხს-ნით იმისათვის, რომ თქვენ იყოდეთ, შეიღი უფლისა — ეს... ესაა ის. ვისიც ვერა გაგიგიათ რა! („რამეთე ესწრეთ მეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ-შებილი შიპსა მას, რათა ყოველსა, რომელსა პრწმუნეს იგი, არა წარჩინებულეს, არაშედ აქენდება ცხოვრება საუკუნო“, ითანე, 3, 16).

ეს საუბარი მთლიანად არის მოთხოვნილი ითანეს სახარებაში, რომლის ტექსტიც აქვე დაეიმოწმეთ. გამიგეთ, ძვირფასო შეითხვე-ლო, რომ აქ ჩე ფარ-ბმაღლსა ვყრი, რადგან მეშინია თქვენც იგივე არ მოგიგდეთ, რაც შოუვიდა ნიკოლიმოსს, ქრისტეს სახლიდან გამოსულს.

საბრალო სენატორი გაუგებრობათა მორცემი ჩაინაქა. ჯერ ითანე ნათლისმცემელმა გამოუღი ტვინი, მერე ახლა მარიამის შეიღმა თავგზა აუბნია. ამავე დროს ბაქიობაში ხომ ნათლისმცე-მელი თავის ბატონ ნათესავს სად შეედრებოდა, ღანჩადაც ვერ გა-მოადგებოდა!

არსად სახარებაში არ არის ნათქვამი, რომ ითანე წინამორბედი ანუ ნათლისმცემელი უოტათი მაინც გაწაული იქნებოდა მჭევრ-შეტყველებაში. იქსო სულ სხვა საქმეა. მართალია, ხშირად მის სი-ტყვას აზრი აკლია ან ბენდოვანია, მაგრამ სამაგიეროდ საათობით შეეძლო ლაპარაკი შეუსვენებლივ: მისთვის ეს არავითარ სიმწელეს არ წარმოადგენდა, ენა უჭრიდა.

საბრალო ნიკოლიმოსს დღეობით სტკილა თავი იმ ბენდო-განი გამოთქმების წყალობით, რაც ამ ღვთაებრივმა წისქვილმა და-

უფერა. როცა თავის სახლში დაბრუნდა, ყურები უწიოდა და ეჩერენტ-
ბოდა, რომ მის თავში რაღაც ჩარხი ტრასლებდა.

მოკლედ, დატვენილი მანევრი მოიფიქრა, მაგრამ მატერიალური
ნიცადა. შინ დაბრუნდა, როგორც გამოლაყებული რეგვენი, უწინ-
დელზე უარესი, და კიდევ მეტი დაერნებით ეკითხებოდა თავის თავს:

— მესიაა თუ არ არის მესია? იოანე ნათლისმცემელია? თუ
იქსო? ან იქნებ სულაც არავინ არ არის? თავის ჰქუაზე თუ არა
იოანე? იქნება იქსო დამციოდა? რანაირად დავიძადო ჩელახლა?
ვეთხრა სინედრიონის წევრებს, რომ მალე მოვა ადამიანის შვილი?
ან იქნებ ჯობდეს ვეთხრა, რომ ხერაფერზე იდარდებენ და კური
აღარ უგდონ მოცლილი მასხარების ლაყბობას? რა იქნება, რომ
ყველაფერი პეროდეს* შევატყობინო? თუმცა შეიძლება ჯობდეს და-
ვიცადო, ვიდრე ჩემს მელოტ თავზე მტრედის სუნთქვას შევიგრ-
ძობ?



ჩუსტინი. ფარისეველი. ფლორენცია. 1511.

* ცხადია, ეს არ არის პერიოდე დიდი, რომელშაც ოცი ათასი ყმაშ-
ვილი გაედიტა. პერიოდე შის შევეილრეის დინასტიის სახელად იქცა. ექ-
ლაპარაკია პერიოდეს შვილზე ანტიაზე (ნტიპატრი), რომელიც თავისი
ძმის ცოლთან — პატიომეოვანრე პერილიადესთან კავშირში დაღუპა: ქალის
ზეგავლენით ტატის ეძებდა, მიაღწია კი იმას, რომ იმპერატორშია კალიგრ-
დამ გალიაში გალასახლა და იქვე გატაბაიცვალა. ააშენა ქალაქი ტაპე-
რიადა. მანვე დასახვ ითანე ნათლისმცემელი, რომელშაც ამზილა შისი
უზნეო კავშირი ძმის ცოლთან.

იმანა ხათლის სახეობალი ხათაგალაზი ეპვევა

...რამეთუ ამინ ინოდი მიაყდინა და შე-
იცია ითანე, შემძირებილა იგი და შესვა
სამყრიობილებს, ინიდიადასა თვის, ცოლისა
ფილიმებს, მისია მისია, რამეთუ იგი შე-
ირთ ცოლად.

რამეთუ ეტყოდა ითანე ინოდის, ვითარ-
ჩედ არა ჟურ არს შენდა, ვითარმეა ცოლად
გესვა მის ცოლი შენი.

ზოლი ინოდის გულა დაცდვა მისოვის,
და უნდა მოყვება მისია, და ჟურ ზელ-ეჭიფა.

მარკოზი, 6, 17-19.



აგრძმ არ იჟიქროთ, რომ ამჯერად იქსო
იერუსალიმში დამკვიდრდა. სამინლად მო-
უსვენარი ვინმე იყო, არსად არ ჩერდებო-
და. გარდა ამისა, იერუსალიმის ტაძართან
მივაჭროთ დაწიოკების შემდეგ იერუსა-
ლიმში არც ისე იოლად დაედგომებოდა, აშიტომაც შორეულ მხარე-
ებს მიაშერა. იუდეა უძღა შევაჯერო კიდით კიდემდევ.

მაინც საით წავიდა? არ ვიცით. სწავლული ღვთისმეტყველნი
ვარა უდობენ, იდუმეის საზღვრამდე მივიღაო და სათანადო დამი-
ტეკიცებელ საბუთებს იმოწმებენ. ნუ შევედავებით, იყოს ისე, რო-
გორც სურდეთ.

ყოველ შემთხვევაში, იქსო არ დასეირნობდა არც გორაკებსე,
არც უნაყოფო უდაბნოში. სახარებაში ნათქვამია, რომ ღირსსახსო-
ვარი პასქის შემდეგ მან დაიწყო ხალხის ნათვლა სწორედ ისე,
როგორც ითანე ნათლავდა.

ზაქარიას შეიღლო სწყენოდა ასეთი კონკურენცია, მაგ-
რამ კეთილი კაცი იყო, თავის ნათლელს რას უწყენდა!



იგვე არ ითქმის იოანე ნათლისმცემლის მოწაფეებზე. მტკლიანურად
ჭამიამ თავისი მოღვაწეობა იმით დაგვირგვინა, რამ გარს შეწყვიტათთავა
რიბა რამდენიმე ფსიქოპათი, რომელიც შის გიგერ იდვებს იშია-
რებდა. ეს ახილებული ჩალხი თავის ხელობას წმინდა საქმეზ რაუ-
ხდა და ადამიანებს ისე სერიულად აძანავებდნენ. რომ თქვები
მოწინებული მათი რწმენით, ის კიცა, რითაც ჩალხს თავშე წყალს
აღვრიდნენ, მათმა მაცწავლებელმა გამოიგონა. საამისოდ ერთგვარი
საფუძველიც ჰქონდათ. ამიტომ როგორც კი იესომაც დაიწყო ჩალ-
ხის ნათვლა, ხმაური ატექს, იოანეს გამოიკინება უხეშად მიით-
ვისაო!

აი, მივიდნენ იოანე ნათლისმცემელთან და ასე უთხრეს:

— მასწავლებელო, ჩვენამდე მოვიდა ხმა, რომ ის მაღალი ქედა
კაცი, რომელიც ჯერ კიდევ იორდანის ნაპირას შენ მონათლუ..

— ვიცი, ჩემთ შეგობრებო. ძალიან კარგი. როგორ არისო?

— ფალსიფიკატორი ყოფილა! ყალბისმქმნელი. ჩვენსავით ნათ-
ლავსო ხალხს და ისე წარმატებით ეწევა თურმე ამ საქმეს, თოთ-
ქოს თავის დღეში სხვა ხელობა არა ჰქონდა. მაგრამ ყველაზე უც-
რო საწყენი ისაა, რომ ყველა მასთან მიდის, ერთი ტიტველი გაც
აღარ დაგვრჩნია.

გრძნობით თუ არა ამ საჩივრის მოედს სიმწარეს?

იოანემ და მისმა მიწაფეებმა ჟკვე დიდი ხანია შეწყვიტეს
შექთად ნათლობა. ახლა კი ორ ნაბიჯშე კონკრენტი გამოუწინ-
დათ — როგორი შარალია? მოწაფეები ძალას შეწესებული იყენენ.

არც ეძრახვით. ერთი დააყენეთ თავი მათხ ადგილზე. როგორც
კი ხელობა შემოსავლიანი ხდება, გადის და სარწახ იძლევა, გა-
მოჩნდება ვინმე გამულელი და საქმეს აღუკებს. მეტი რაღა გრძ-
დათ? მოწაფეები ცოცხა ყრიდნენ. მაგრამ ასანემ დაშვიდებით
მოუხმინა საჩივარი, მხრები აიჩინა და წყნარად მიუკო:

— მზე ყველასათვის ანათებს. კონკრენტია — ვაჭრობის ხე-
ლია. ადამიანს არაფერი არ ენდა ჰქონდეს ისეთი, რასაც ზეცა არ
შისცემს. საგნებს უცრო ფართო უნდა შეხედოთ, მეტობრები!
ყოველთვის მითქვამს, რომ მე ქრისტე არა ვარ, რომ მხოლოდ შა-
უწყებელი ვარ მისი მოვლინებისა.

— თვით რაცა ბრძანოთ, ის იყოს, — მიუკი მოწაფეებმა. —
მაგრამ ვის მოუკიდა თავში პირველად აზრი იმის თაობაზე, რომ
კოკასა შიგან რაცა დგას, ის გადაეღვაროსო თავშე მოსანათლავად



განწირებულ ხალხს. განა კოკის იდეა შეინ გამოგონილი არაუგიანული ტექსტის არ უნდა დავიწყებოდა ეს ამბავი და არ უნდა შედგას ჩივითაც სავაჭრო ინტერესები".

ითანამდებობის ისევ აიჩინა მხრები.

— თქვენ მაცინებთ! — შესძახა. — ერთი წესიერად მომისმინება, ასეთ შედარებას გეტუვით. მუცელლე ისა, გასაც ქავს მეუღლე, ხომ ასეა? ხოლო როდესაც ადამიანი თავისი მევობრის ქორწილშია, მას უბარია თავისი მევობრის ბედოერება, ესეც ხომ მართალია? მეც ასევე მიხარია, რომ ჩემი ნათესავი ქრისტე თავს ბედოერად გრძელობს, ხალხს რომ ნათლაც იმის მაგიერ, რომ შემშერდეს, მიხარია. ასე იცნობიან ნამდვილი მევობრები! იცსო დღისადღე ისრდება, მე კი ჩემი ღონისობა და საქმით სულ უფრო გატარავდები. მაში გაუმარჯოს იცსო ქრისტე!

რაკი ითანეს მოწაულები ვირც ასეთმა მსჯელისამ დააჯერა, ზაქარიას შვილმა დასძინა:

— ხედავთ, ჩემი უწყინარო ბატქნებო, ჩევნ მიწის შეიღები ვართ, ჩემი ნათესავი კი ციდან მოეიდა, მგონი, გამიგეთ?

მოწაფეები იღინებოდნენ.

— შეწყვიტეთ სიცილი! — შექყვირა ითანე ნაიაღასმუშელმა. — ბოლოს და ბოლოს, თავი მომაბეჭრეთ. იქნა მტრედის შვილია, ხოლო მტრედი — ესაა ღმერთი! ღარწმუნებული იყვაოთ, მტრედი ტყუილად არ შობდა და მოგვიყლენდა ღვთის შვილს. ღმერთს უთუოდ უყვარს თავისი შვილი. ასე რომ, ჩემი რჩევა მეოსმინეთ და მოეშვით ამ სულელერ დავას, იწარეთ იცსო, რადგან მირწმუნე ძე-ღმერთისა მარადიცლ სასულეველში ვისხვდება, თოლი ურწმუნო ცხონებას ვერ ეღირსება, რისხა ღვთისა დაატყდება თავზე. ასეა საქმე!

ახლა კი მოწაფეებმა ზედმეტად ჩათვალეს დავა. აზრი, მართალია, არც ახლა შეცდებათ, მაგრამ გადაწყვიტეს აღარ გაშორდა-ვებოდნენ დამრიცებელს: ითანე ნათლისმცემლის გადარწმუნება ამათ ცდა იქნებოდა.

მეაღისტამიას არც უჟიქრია იცსოზე განაწყენება იშისათვის,

* ანქაიანშებისა და ნეოლითიშების, ძველი ენობრივი ნორმებისა და თანამედროვე სკელალების ტერმინების აღრევა, ცხადია, მხოლოდ იცმორისტული ხერხია, წიკნის სტილითა და მისი ხასიათით ნაკარნახევე.

რომ შისი მიმართვით ხალხს წათლავდა. თითქოს აქ არაფერდო, ისე განაგრძობდა კოკითა თუ გოვზით ადამიანთა თავების გუმბაზუჭურება და ასალი ღონისძიებაც კი გამოიგონა მოწყვენილობის გვერდისა და ლად: პოლიტიკურ რჩატორად იქცა და ხელისუფალთა გაპრიტი-კებას მოჰყა.

გალილეის ტეტრარქი ამეამად იყო შეროდე (იროდი) ანტიპა, პეროდე დიდის შვილი შეოთხე ცოლისაგან, რომელსაც ერქვა სამარიილი მალთასი. ამ ანტიპას ჰყავდა ძმა ფილიპე, ბატანეისა და ორი სხვა პროგინოის ტეტრარქი ეს ფილიპე მარიამის შვილი იყო, მღვდელმთავრის ასულისა და პეროდე დიდის მესამე ცოლისა.

ფილიპემ ცოლად შეირთო ერთ-ერთი ძმისწული, მშენიერი პეროდიადე, ძალაუფლების მოყვარე და მეტისმეტად ვნებიანი ყმა-ვილი ქალი.

ერთხელ ანტიპა თავისი ძმის ფილიპეს სახლში იყო და გვა-ცებით შეუყვარდა პეროდიადე, რომელიც არა მარტო რძალი იყო შისი, არამედ ძმისწულიც.

დიდხანს ლამობდა ანტიპა-პეროდე ამ საშინელი ვნების გულში ჩაკერას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვერ სძლია და დაემონა მავინ ძმა ფილიპე და მისი ცოლი თავის სასახლეში დატანებიდა და დი-დებული ნადიმი გაუმართა.

ფილიპე საგონებელში ჩავარდა.

— უცნაური ამბავია, — ვაიფიქრა, — დღეს ჩემი ძმა ისე თა-ვაზიანად მეცეცა, როგორც არასოდეს. გადაწყვეტილი საქმეა, რა-ღაც უნდა მოხვოოს. აღმართ მეზობელ პრინცს ომი უნდა გამოიცემა-დოს და ამ სუფრით უნდა მომთაცლოს, რომ დამარება მოხვოოს. აი, ბოროტი, ცმიერი კაცი! მაგრამ არც ისე რეგვენი ვარ, ხრიუ-ბით ვერ მომატეულებს! ყველაფერი ვიცი.

სინამდვილეში კი ფილიპემ არაფერიც არ იცოდა. ანტიპა არა-ვითარი ომის ატეხვას არ აპირებდა. სტუმრებისათვის რომ ესია-მოვნებინა, თავისი ცოლი ფილიპეს გვერდით დასვა, ფილიპეს ცოლი პეროდიადე კი თვითონ მოისვა გვერდით.

ნადიმზე ანტიპა წამდაუშემ მუხლებით ედებოდა თავის მომხიბ-ლავ მეზობელს, ფილიპეს კი, რეგვენს, არც შეუმნივია, რა სდები-და სუფრის ქვეშ და არხეინად ისხამდა ღვიძოს.

სუფრა რჩეული საჭმელებით იყო სავსე. კერძი კურს ცვლიდა,



ანტიპა კი უფრო და უფრო ბოჭავდა ჰეროლიადეს მესლებს და ლოს ღესერტიც გამოიტანეს*.

— ფილიპე, — მიუბრუნდა ძმას გალილეის ტეტრარქი, — რა-ლაც უნდა გითხრა.

— ეჭე! — შესძახა ფილიპემ ცოტა არ იყოს ეშმაკურად. — აბა, მითხარი, ჩითხარი, ძვირფასო ანტიპა.

— ოღონდ ახლა კი არა, ნალიმის შემდეგ.

— როგორც გვწებოს.

— იცი, ფილიპე, მე ისეთი სათქმელი მაქას, რომ ჩეგნი მანლი-ლოსნების დასწრებით ჯურ გვტყვი.

— რა ეშმაკი გინდა? — შესძახა ბატაქის ტეტრარქმა, ძმის ახირებული ლაპარაკით ვაკვირვებულმა.

როგორც ეტყობოდა, საქმე სამხედრო კავშირს არ ეხებოდა. მაში რაღას ნიშნავდა ანტიპას უცნაური გამომცემულება? ქალებს არ უნდა მოეხმინათ მათი საუბარი. მაში, საქმე რაღაც საჩიოთირო სა-განს ეხებოდა.

უაღრესად დაინტერესებულმა ფილიპემ სახელდახელოდ გადა-სანსლა თავისი დესერტი და ტეჩიებიც არ შეუწინდია, ისე გაძყვა ძმის.

მშრმანებელმა ძმებმა ერთიმეორეს ხელი ჩაქიდეს და საიდემ-ლო გვირაბით ბაღს მიაშურეს.

— ბარემ მითხარი ახლა, რა გინდოდა?

— ძვირფასო, ჩემი ცოლი ისე მომბეჭრდა, რომ თვალით დასა-ნასავადაც მეზარება. მინდა გავყეარო.

— ახლა მესმის, რატომ არ გინდოდა სუფრაშე ჩემთან ლაპა-რაკი... მაგრამ მიმისმინე, ანტიპა, შენი ცოლი შევენირი ქალია, არც თვალად დაიწენება და არც ტანად...

— შეიძლება, მაგრამ მე უკვე აღარ მიყვარს, სხვა შემიყვარდა..

— აი, ეს კი ცუდია... მაგრამ რა გაეწყობა, გაეყარე იმას, ვინც შეეძლდა, და შეირთო ის, ვინც გიყვარს. ოღონდ გასხვდეს: შენი სიმამრი ცოტა ავი კაცია, თანაც ძლიერი: არაბეთი ემორჩილება,

* სერილე ანტიპატრია ცნობილი იყო, როვორც შეეწესელი და ზედა-ყემოდა კაცი. მას რომაელმა პოეტებმა უმღერეს უფრო მეფერი ნადა-შეპისათვის.

მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს. უძინელია, ამ საქმეს ასე არ დატოვებს. აგისირდება, თავს დაგეხსმის, ომი იქნება... 

— შენ მართალი ხარ! მაგრამ ჩემი ახალი სატრუთ პირზე გაივით მიყვარს, რა ვწა?!

— ოქ, ღადარში ჩაგრძნილხარ, საცოდავო! გულწრფელად თანაგირდნობ... ხომ იცი, ანტიპა, როგორ მიყვარხარ. ჩემი იმედი გეონდეს, დაგეხმარები, გპირდები...

— შენი იმედი მაქვს სწორედ... გმადლობ, ფილიპე.

— ქოდა, შეირთე, ვინც განდა! ქორწილში აღმათ დამიპატიცებ?

— ფილიპე, ბარემ ყველაფერს გეტყვი... მე გავყრები ცოლს, მაგრამ ვერ შევირთავ იმას, ვინც მიყვარს.

— რატომ?

— სამწუხაროდ, ქალი ქმრიანია.

— მაშინ გაიტაცე.

— რა მარჯვე ხარ! მაგრამ ზოგჯერ ისეთი დაძრკოლებაა, ანგარიში უნდა გაუწიო... მე მგონია, შენ რომ შენი საუკეთესო მეგობრის ცოლი შეგვარებოდა, არ მოიტაცებდი, ხომ მართალია?

— პო, ეს მართლაც ძალიან მძიმე შემთხვევაა, ვერაფერს გახდები.

— შესაძლებელი რომ იყოს მეგობართან მოუაპარაკება... იმდენად ერთგული და თავდადებული რომ იყოს, ე. ი. მე მინდა ვთქვა: ცოლი რომ დაგითმოს. ყველაფერი ითლად მოგვარდებოდა.

— სცადე, ანტიპა. მიდი იმ შეგობართან და ვალახლილად აუქსენი საქმის ეთარება.

— ემმაკებმი წადიო, მეტყვის.

— რა იცი? ყველა ხომ არ კარგავს ჭიჭას სიყვარულისათვის? ეს შენ ხარ ასეთი, ჩემო საბრალო ანტიპა. არაან სხვებიც, სხვანაირებიც. აი, მაგალითად მე. ჩემთვის ცოლი მხოლოდ ლეიბია, უძრალო ავეჯი, და ისიც არც თუ ისე ძვირფასი.

ანტიპამ თავისუფლად ამოისუნთქა, გულზე შოეშვა და უკავთამად დაუმატა:

— ფილიპე, შენ მე მხენეობას მინერგავ. გულაძლილად მითქვაშის, ყველაფერს გაგანდობ-მეთქი.. ქოდა, ყველაფერსაც გეტყვი...

— მე ვიცნობ შენს საყვარელს?

— იცნობ და აგრე?

— იქნებ ჩემი შეამდგომლობაა საჭირო ამ საქმეში?



— თუ ისურვებ.

— მაშინ მითხარი მისი ქმრის სახელი და თუ მამდებარებელი კატეგორიას ცვლილის, რომლის ნიმუშიც მე ვარ. დარწმუნებული იყავი, ჩემსას გავიტან, დავარწმუნებ, რომ ცოლს გაღიაროს, რათა შენ სიამოვნება მოგანიჭოს.

— მაგრამ იცი თუ არა, ფილიპე... ძვირუსო ფილიპე..

— კიდევ რაღა უნდა ვიცოდე?

— იცი...

— იღაპარავე, ეშმარია დალაპვროს, რას დეჭავ?

— გითხრა? შენ ვინდა?... ნაშ მომისმინებ; მისი ქმარი — შენა ხარ!

— აა, ეს რა მითხარი? მაშ ქერთლიადე გიყვარის?

— აა, რომ მცვეარდეს მარტო! მაგრამ ვაღმერთებ, უზენაესია ჩემი! ამინიდან უზრუნველყო ნეაპოლში აღარაა, ფილიპე, ამ ჩემს გაღმერდშიია!

ამ სიტყვებზე ანტიპამ მთელი ძალით იქრა მუშტი მყერდი. ფილიპე გაოცებული იდგა. მაგრამ როცა პირველმა გაოცებამ გაუარა, გიფივით გადაიხარხა:

— აა იონი! — შესძახა. — არანაირად არ ველოდი! შენ გიყვარს ჩემი ცოლი და ამდენი ხანი გაჩერებული ხარ? ენა ხომ არ გადაყლაპე?

— რას იშამ, ფილიპე! არის შემთხვევები, როცა შენს სიყვარულზე ვერ იყვირდებ ყოველ გზაჯვარედინზე. გრძში კი გაქვს ღალარი და გწევს.

— მოკლედ, შენ შეყვარებული ხარ, გინდა გაეყარო ცოლს და შენთან ერთად მეც გავეყარო... ეყანასკნელი გითხვა: ჩემს ცოლს თუ უყვარხარ?

— ღმერთო ჩემი! გეფილები, შენი პატიოსნება იოტის ოდენადაც არ შეღასულა...

— ჩემთვის საკმარისია შენი სიტყვა... კეთილი, ანტიპა, ჩემი ძეირფასო ანტიპა, რაკი შენ გიყვარს ქერთლიადე, რომელიც ბოლოს და ბოლოს ორივეს ძმისწულად მოგვეხდება, გითმობ მის თავს. გასიყრები, შეირთე და იყავით.

— მე კი ამაზე კრანტის დაძყრაც ვერ მოვახდები.

— სულელი!

ძმები ერთომეორეს გადაეხვივნენ.



თუ საქმის ასე შემობრუნებამ ვინმეს სიამოვნება მიამოვნება ეს იყო პეროდიადე სამაგიეროდ მოლაპარაკების შედეგები ან მიუმართონა პეროდეს ცოლს. ვიდრე თფიციალური გაყრის ამბავი პრე-საში გამოცხადდებოდა, საკუთარი ნებით მიატოვა სასახლე და ჩა-კეტა მახერის სიმაგრეში, რაც მკვდარი ზღვის აღმოსაპლეთ სანა-პიროს გადასცერის ერთ-ერთი მთიდან.

ფილიპემ თავისი სიტყვა შეასრულა: განქორწინება ნებაყოფი-ლობით მოხდა და პეროდემ პეროდიადე ცოლად შეირთო. ყოფილი ქმარი საქორწინო ცერემონიას ესწრებოდა, და შეიძლება ვივარაუ-დოთ, რომ ხელიც მოაწერა, როგორც მოწმემ, თუ იყო მაშინ ასეთი წესი, ოღონდ საბუთი არ შემონახულა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფილიპემ ანტიპას მართლაც ძმერია ვა-უწოდა ხელი და ანტიპამ აღაო იცოდა, როგორ გადაეხადა მაღ-ლიცა.

სიყვარულს რამ უცხადებდა, პეროდიადეს ასე ეუბნებოდა.

— სხვა მის ადგილზე აღმათ სხვანაირად მოიქცეოდა... ფილიპე პირდაპირ ოქროა, ადამიანი კი არა (ეს ბოლო, ცხადია, სიმართლე იყო).

ამ სიტყვებზე პეროდიადეს გულში იკრავდა.

— ფილიპე ყოველთვის კარგად მექცეოდა და ამ თხოვნასაც შეეგისერულებდა, ვიცოდი, — მიუგო ქალმა. — ჩვენს ბედნიერე-ბას მას უნდა ვამაღლოდეთ.

— მერე თავს ნაშად დაადებდა მხარზე ახალ ქმარს, თავის მაზლა და ბიძას, და ასე ხეევნა-კოცნა-ჩურჩულში გაპყავდათ დრო.

— უფალმა გრძელი დღე არგუნოს ჩვენს ფასდაუღებელ ფილიპეს!

მაგრამ გამოჩენდა ერთი ბატონი, რომელსაც ეს ძმერი გარიგება არ მოეწონა. არ მოეწონა კი არა, გამშავდა კაცი. ეს იყო ითანე ნათლისმცემელი.

როცა მეზავრები უდაბნოში ესტუმრებოდნენ, რაია წმინდა კაცს მათთვის თავზე გოზა წყალი გადაევლო, ის პეროდეს საქციელზე ჩამოჟღვდებდა სიტყვას ხოლმე და ეუბნებოდა:

— რა საძაგლობაა! ნამდვილი ხათაბალა! ეს მეუკე ორგზის სი-სხლისაღმრევია: ახალი ცოლი მისი ძმისწულიცაა და რძალიც! ვა სირცხვილო! ეს ხომ თავის მოჰრაა!

— მაპატიეთ, — გამოედავებოდა ზოგიერთი. — რაც შეეხება

ბიძა-ძმისწულის ქორწინებას, ასეთი რამე პირველად არ ხდება ცისქვეშეთში. როცა ფილიპემ შეირთოთ ჰეროდიადე, არათური გამოქამთ, თუმცა ასეთივე ბიძა-ძმისწული იყვნენ. ხოლო რაც შეეხება იჯენს შენიშვნას, უკეთურმა რჩალი როგორ შეირთოთ, არც ესაა წოლად საფუძვლაანი: ჭილიპე სომ თავისი სურვილით გაეყარა პეროდიადეს, კანონი დაცულია და რას ერჩი იმ კაცს?

— რას ერჩიო? მე უს არ მომწონს და პორჩა!

— მაგრამ კაცთა კერძო კხოვნება თქვენ სულ არ გეხვიათ.

— შეხება! მე არ მსურს, რომ უს საძაგელი კავშირი გაგრძელდეს!

— მერე, რას აპირებთ, როგორ მიაღწევთ იმას, რომ მეტე თავის საყვარელ დედოფალს გაშორდეს? ქმარმა დაუთმო და შენ არ უთმობ?

— ზე ვიყვირებ დილიდან დაღამებამდე და დაღამებიდან დაღამდე, რომ პეროდე უკეთურია, პეროდიადე კი — მისი მსგავსი.

— ვერაფერსაც ვერ გახდებით ამით. იმისათვის, რომ თქვენ იყვიროთ და იყავლახოთ, არა მგონია მეტე თავის წინანდელ ცოლს დაუბრუნდეს.

— როგორც გენებოთ, ყვირილს კი ვერ დამისწლით.

— ჰო, მაგრამ სასაცილოდ აგიღდებენ. საქმე იმით დამთაურდება, რომ პეროდე გაბრაზდება და ღიღუვში ამოქაფით თავს.

— ვერ გაბედავს.

— უარესსაც ელოდეთ!

ითანე ნათლისმცემელმა კეთილი რჩევა არ შეისმინა. არ დაიშალა მეუის ძაგება და გმობა.

პირველ ხანებში პეროდეს ართობდა ამ გოზა წყლით მოვაჭრე კაცის ქადაგება, საქციელს რომ უწენებდა გალილეის მბრძანებელს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოსწყინდა და იორდანის სანაპიროების ნათელმშევრეტელს უბრძანა: შეწყვიტე ლაქლაქი და მომასვენეო. მაგრამ ითანემ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა, მეფის ბრძანება აინუშიაც არ ჩააგდო. რაკი გაფრთხილებამ არ გაჭრა, პეროდე სანტიკი ბრძანება გამოსცა. ითანე ნათლისმცემელს თავშე პოლიციელები წაადგნენ.

— ვიდრე ხალხს აბანავებდით, არავინ გიშლიდათ, — მიმართა უფროსმა პოლიციელმა. — ფარისევლებმა შეგვატყობინეს, არეულად ლაპარაკობსო, ჭეშაზე არ არისო, მაგრამ ასე თუ ისე შეიძ



ლებიდა მოთმენა. ახლა უკვე საშიში პიროვნება გახდით, უზაფირადად გად მთავრობის გინებაში ხართ. თქვენ აშბობთ, ახალ რესტარენტით გვეადაგვით. მერე და რელიგია ხომ იმისათვის არის, ძალაუფლების მორჩილება იქადაგოს? როგორც ხედავთ, საკუთარ თავს ეწინააღმდეგებით, ეს კი ნიმნავს, რომ სრულ შეურაცხადობამდე მიხვდით*. შავრამ რამდენადაც ეს მეტისმეტად დიღსანს გაგრძელდა. გვაქვს პატივი დაგაპატიმროთ.

ნათლისმცემელი შებოჭეს, გოზა თუ კოგა კონფისკაციის წესით წაიღის, ქოხი დაულექეს და წავიდნენ. ყოველავე ამის შემდეგ ითანე ჩასვეს მახორის ციხეში, სადაც ანტიპას პირველი ცოლი გაიქცა. განსხვავება ის იყო, რომ ანტიპას ნაცოლარი თავის უფლავ ცხოვორობდა, ითანე კი საკანში იჯდა და კარი საიმედო იყო ჩაკეტილი — ეს არასახარბიელო მდგომარეობაა, მეტადრე უდაბნოს ბინადარისათვის, რომელსაც ფართო პორიშონტები უყვარს.

იმის ნაცელად, რომ წინამორბედი დაემშვიდებინა, პატიმრობამ სულ გამოიყვანა წონასწორობიდან. როცა ციხის ქონგურებთან მერცხალი გაინავარდებდა და ლაქვარდ სივრცეში ასრიალდებოდა, ითანე ხელებს ასწევდა და გადარეულივით დაიწყებდა ყველის: — ძვირფასო მერცხალო, გაფრინდი შეროდესთან და უთხარი. რომ მთელი ჩემი პატივისცემა დაკარგა და ეს უბედურებას მოკრანს!


* შეურაცხადი (იურიდიული ტერმინი) ისეთი კაცია, რომელიც ფსიქიური მდგომარეობის, სულიერი ავალიურობის გამო უერ ძლევას ანგარიშს თავის მოქმედებას და სიტყვას. შეურაცხადობის დროს ჩადენილი საქციელია არ ითელება დაწარებად.

იისო იმორჩილებს სამარითელ ტალე

შიგეო დედაკაცმან მან და პრქა: არა შე-
გის ქმარი. პრქა მას იქს კრისტიან მითქე,
უითარმედ არა მიტის ქმარი. რამეთე ხელ
ქმარ გეხსნეს და ამ რომელი გივის, არა არა
ქმარი შენი. ეს ტემპერატური სოჭე.

პრქა მას დედაკაცმან მან: უფალი! ცხე-
დავ, რამეთე წინა! წარმეტყველი საჩ შენ.

იოან, 4, 17-19.



უმცა იქსო ყოვლისშემძლე ღმიერთი იყო,
მას ვერანაირად ვერ მიაკუთვნებდით ადა-
მიანთა იმ კატეგორიას, რომელთაც მამა-
ცებს ეძახიან. პირიქით, მის ბუნებაში იყო
რაღაც სიმსდალე.

იოანეს პატიმარყოფის ამბავი რომ გაიგო, გაიფიქრა, შალე ჩემი
კერი დადგებაო, და საჩქაროდ გამოიცვალა ადგილსამყოფელი.

იქსოს ასეთი გაქცევით გამოწვეული კომიკური შთაბეჭდილება
რომ ოდნავ მაინც შეერბილებინა, სახარება ისე ხსნის, თითქოს ასე
თვითონ კი არ მოიქცა თავისი სურვილით, არამედ უზენაესის ნე-
ბით: სულიწმიდა ჩაერიაო საქმეში. ასე მარჯველ ამას ვინ ახსნი-
და, თუ არა ლჟეა (4, 14).

ამრიგად, რაკი იმხანად ჩვენი მოგზაური იდუმეის ნაპირას ნათ-
ლავდა ხალხს და გალილეას წასელა გადაწყვეტა, მოელი იუდეა
უნდა გადაესერა, შემდეგ კი სამარიაც. *

* ნათლისცემის საქმე ძარითადად მაინც მოწაფებს ჰქონდათ შინდო-
ბილი: „რამეთე თვით იქსო არა ნათელს-საცემდა, არამედ მოწაფენი
მისინ“ (იოან, 4,2). მაშინ „ლაურეა ურიასტანი და წარვიდა გალილიად“.

ითანე მოციქულმა ითავა ამ მოგზაურობის აღწერა. პირველი და ასე შეუძლებას — რაოდენ ზუსტია ითანე თავის აღწერილობაში! — იქსომ გადაკვეთა სამარიისა და იუდეის საზღვარი. აქ კი გზის მარცხნა მხარეს გამოჩინდა სამარიის ქალაქი სუქარი (სიქარი), ბაღებითა და სამოურებით გარემოცული. მაგრამ სიარულით დაღლილი იქსო ქალაქში აღარ შესულა. ჭასთან გაჩერდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც იწყებოდა ის ხეობა, რომელშიაც ქალაქი იყო ვაშენებული.

მოწაფეები კი სიქარში გაემართნენ, რადგან სანოვაგე უთავდებოდათ და საღმე სავზალი ხომ უნდა ეშოვათ!

წარმოიდგინეთ, ითანე ამას წერდა ოთხმოცდაათი წლის ასაკში. რა მესსიერება ქვეთა, წვრილმანებსაც არ ივიწყებს!

მარტო რომ დაწინა, იქსო გრძელ სკამზე ჩამოჯდა, საჩრდილობლის ქვეშ (აღმოსავლეთში ქვების გარშემო გრძელი სკამები იდგა, იქვე საჩრდილობელს აკეთებდნენ ხოლმე), და დაიწყო ფიქრი იმაზე, საიდან გაეჩინა წყლის ჭურჭელი (ოწინარზე მხოლოდ თოვი ეკიდა). გინც წყალზე მოდიოდა, ყველას საკუთარი კოკა ან გოზა მოჰქონდა, ყურჩე თოქს მოაბამდნენ, აიღებდნენ წყალს და შინ გასწევდნენ.

იქსოს წყურეილი ტანჯავდა და რჩებოდა ერთადერთი ღონისძიება, რომ ის მოეკლა — წყლით გაჟღენთილი თოვი უნდა მოეწოვა. ჟევე ასე აპირებდა, როცა დაინახა გზაზე მომავალი დოქოანი ქალი. ეს იყო ახალგაზრდა სამარიტელი დედფაცი, ტანალი და ლამაზი.

„სწორედ სელზე მომისწრო“, — გაიფიქრა ჩვენმა მგზავრმა და დაელოდა.

აქ თავში ასეომა ასრმა გაუეცვა: ეცნობი მამაკაცის დანახვაზე ქალს შეეშინდება და გაიქცევათ. მართლაც, აღმოსავლელი ქალები ხომ ასე მორცხვნი და მიუკარებელნი არიან! ჩვეულებრივ ასე დღი-სით-მშისით არც კი დაიარებიან წყალზე. იციან, რომ მამაკაცები თამამნი და სახიფი: თონი არიან, ამიტომ ჭასთან ჯგუფ-ჯგუფად მივმართებიან ხოლმე. ისიც შებინდებისას. ეს ქალი კი სრულიად მარტო მოდიოდა და არც კი შეკრთა, როცა ჭასთან ჩამომჯდარი ეცხო კაცი იხილა ეტკობოდა, არც ისე სათო კინმე იქნებოდა.

ქალმა დოქს თოვი მოაბა, ჩაუშვა ჭაში და წყალი ამოილო.

— წყალი დამალევინე, — სოხოვა ქრისტემ (წილი და წყალი ”).

სამარიტელმა უცნობს გადახედა. ჩანდა, თავაზიანთა უცნობი გენდა მის მთავრ ღირსებას. შეტყველებითა და სამისით უკარყო, რომ საქე იუდეველთან პქონდა.

— უცნაურია, — მიუგო ცოტა ირონიულად, — რანაირად მთხოვ იუდეველი წყალს მე, სამარიტელ ქალს?

უნდა ვიცოდეთ, რომ იუდეველებსა და სამარიტელთა შორის ყრე მტრობა სეუევდა („ვითარ შენ ურია ხარ და ჩემგან წყალისა ითხოვ, სამარიტელისა დედაგაცისაგან? რამეთუ არა შეეხნიან ურიანი სამარიტელთა“). იუდეველთა ამაყი შეილები სამარიტელ მეზობლებს უღირს არსებებად რაცხდნენ.

მაგრამ იესო არ აპირებდა ქედმაღლობის გამოვლენას: ძალიან სწყუროდა. უცნაური ამბავი კია: გამობრმედილი ონბაზი, რომელმაც კანას ქორწილში წყლისაგან ღუზო შექმნა, აქ უდღური აღმოჩნდა, რომ წყალი შექმნა*.

საბრალო კაცი წყურვილით იხრჩობოდა. რამდენიმე წევთი წყალი ახლა მაღამოდ მოხვდებოდა მის გამშრალ ყელს, ამიტომ განიზრახა სამარიტელ ქალთან ჰყელეცობა დაეწყო.

— თ! — შესძახა პახეხად. — არსებობს წყალი და წყალი. როგორც ვიცით, საგანსა და საგანს შორის არის სხვაობა. მე ვთხოვ, წყალი მასვი-მეოქი და შენ უარს შეუძნები. რომ იცოდე, ვინ დგას აქ შენს წინ, უარს არ შეტყოდი, არამედ თავად მოხვედი ცოცხალ წყალს.

— შენ დამცინი! — უოხრა სამარიტელმა. — ვერ გამიგია, რანაირად ამოიღებდი? ჭა ხომ ასე ღრმაა, შენ კი არც კოკა გაქვს, არც გოზა. ნუთუ ეშმაკობით გადააჭარბებ ჩვენს მამას იაკობს,

* ეს დებულება, ვერ არის ღამიარებელი, რადგან ლეინო, რაც უნდა იყოს, წყლისაგან შექმნა, ხოლო შექმირისა არ იყოს, არასეგან არ იქმნების არარაცე. ჩაც შეეხება უზრდელობას, აქ უფრო სამარიტელა ქალი გამოიჩინევა უზრდელობით, ვიდრე მოწერებელი ნაზარევილი მკაფერი.



რომელმაც მოგვეცა ეს წყარო, თვითონაც აქედან სვამიდა, მისი
შეიღებიცა და საქონელიც?*

ამ სიტყვებზე სამარიტელმა ქალმა, რომელიც ძლიერ გულაკ-
თოლი იყო, აიღო წყალი და ქრისტეს მიაწოდა. იქსომ წყალი და-
ლია.

— მომისმინე, — დაიწყო ისევ, — ამ ჭის წყალი სულაც არა
კლაგს წყურეცილს, ხოლო ის ცოცხალი წყალი, რასაც მე გპირდები,
სამუდამოდ იხსნის ადამიანს წყურვილისაგან. თუ ჩემი წყაროს
წყალი დალიე, აღარასოდეს არ მოითხოვ წყალს.

„რა თავშესაქცევი კაცი ყოფილა“, — გაიჟიქა სამარიტელ-
მა ქალმა და ხმამაღლა თქვა:

— აქამდე შეგვეძლო მოგვწილებინა ეს წყალი, რომ სამუდა-
მოდ მოგველა ჩემთვის წყურვალი... ხომ არ უნდა მომკლა?

იქსომ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

— წალი, შენს ქმარს უხმიე, აქ მოვიდეს, მე სიამოუნებით გა-
ვეცნობი მას.

სამარიტელმა ქალმა გულიანად გაიცინა.

— მე ქმარი არა მყავს, — თქვა გულახდილად.

— ვის ეუბნები ამას? შენ ქმარი არა გყავს? შენ სათვალავი
დაგვარგავს! შენ გყავდა კურ ერთი, მერე მეორე, მესამე, მეოთხე,
მეხუთე — მთელი გუნდი ის კი, ვინც ახლა გყავს, არ არის შენი
ქმარი. მე, შვილოსან, ვიცი, ვუ მომატყუებ.

— ღმერთმანი, შენ მომჰალი და ქაა! ყველაფერი ერთი შე-
ხედეით გამოიცანი!.. იქნებ მისანი ზარ? მაშ სწორად მეუბნებოდ-
ნენ, იერუსალიმილმა მწიგნობრებმა ყველაფერი იციან... ახლა
ვხედავ, იერუსალიმელი მწიგნისარი ყოფილხარ... ისე ღარიბულად
კი გაცვია, ამას ვურ იტყვის ადამიანი. თუმცა თქვენი შეცნიერები
სულ ძონებს იმისაგან და ისე დაეხტებიან... აი, თურმე რა იოლია
მოლაპარაკება. ჩვენს ხალხებს აბა რა აშორიშორებს? უმნიშვნე-
ლო წვრილმანი: ჩვენი მამები ღმერთს აი ამ მთაწე ევედრებოდნენ,
შენ კი ამბობ, რომ თაყვანისცემა იერუსალიმის მხარეს უნდა
ხდებოდეს...

* იქსომ და სამარიტელი ქალი იაკობის წყაროსათვის შეხედნენ ცრისა-
შეორებს, იმ დაბაში, „რომელი მისცა იაკობ იონებს, ქენა თევსა“
(იონე, 4, 5).



იქსომ სამარიტელი მიიჩიდა.

— დამერწმუნე, — უთხრა, — დგება დრო და ვამზორებული ამ მთაშე სცემთ თაყვანს მამას და არც იქრესალიმში. ვისაც აქედან სცემთ თაყვანს. ძვირფასო, ეს იქნება მესია.

— მართალია, მართალი. ასე ამბობდნენ ტაძარში, რაღაც მესია გამოცხადდება, რალაც უნდა გვასწავლოსო. სადაა მერე ეს მესია?

— ეს მე ვარ!

— ღმერთო ჩემო!

— მე ვარ ღმერთი შენი. დამიჯერე, ჩემი სიტყვა განონია.

სამარიტელი დედაკაცი, როგორც ჭაველი თავისუფალი ქცევის ქალი, ძალას მორწმუნე იყო. არაფერი არ უნდოდა, ოღონდ ვინ-მესთვის თაყვანი ეცა. მაშინვე ჩემის მოხეტიალე მქადაგებელს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა და დაუწყო ხელებზე ამბორი. იქსო თავისი წარმატებით გახარებული იყო.

ამ დროს უცემ გამოჩნდნენ მოწაფეები, რომელიც „წარსულ იყენეს ქალაქად, რათა საზრდელი იყიდონ“.

„ეშმაკმა წაგიღოთ! — დაწყეველა გულში აბეზარნი. — რალა ასლა მოვინდათ გამოცხადება, როცა ეს ლამაზი ქალი სიყვარულს მისხნის!“

სამარიტელ ქალს შერცვა, თავზე რომ წაადგნენ იმ დროს, როცა უცხო მამაკაცს ხელებს უკოცნიდა, წამოვარდა და ისე გაიქცა, კოკაც იქვე დარჩა.

სუქარის მცხოვრებლებმა რომ ასე დაბნეული ქალი ნახეს, გზაში ფეთიანივით გავარდნილი, გააჩერეს და გამოყითხვა დაუწეუს:

— რა შეგემთხვა, ქალო? საით გარბიხარ? რას გიგავს სახე?

— გიკვირდეთ! — მიუგო ქალმა. — კაცი ვნახვ, უწინ ანასოდეს შემხედრია, ყველაფერი კი სცოდნია, ჩემი ამბავი აქეთ მითხრა. ქრისტე ვარო, თქვა. თუ ეს სიმართლეა?

სუქარლებმა, რალა თქმა უნდა, იმთავითვე ჭას მიაშურეს, აპა ვინ არის ის უცხო სუბიექტიო!

ჩემნმა გმირმა მაშინვე გადაწყვიტა მდგომარეობის გამოყენება. რაკი ისევ ყურადღების შეაგელში აღმოჩნდა, ლვალთმაქცობას მოჰყვა. მოწაფეებმა პური შესთავაზეს და უთხრეს: „ჭამე, მას-წაელებელო!“ იმან კიდევ ხმამაღლა, ყველას გასაგონად შესძახა:

— ტყუილად მთავაზობთ პურს, ჩემო მეგობრებო. მადლობელი ვარ, მაგრამ მე მაქეს საჭმელი, რაც თქვენ არ გაგანიათ („ხოლო

თავადმან პრეზა მათ: მე ჭამადი მაქეს ჭამად, რომელი თქვენ არა
იცით").

მოწაფეებმა ერთმანეთს გადახედეს და თქვეს: პირდაბითავა

— „ნუ უკვე მოვინმეართვა მას ჭამადი?“ ალბათ იმ ქალმა აჭა-
მა, აქ რომ ვისილეთო.

„მაგრამ იესო სულაც არ გულისხმობდა პორციელ საჭმელს, —
წერს ერთი ღვთისძეტყველი. — მაცხოვარი ძალიან გახარებული
იყო, რომ სიყვარულის ნაძერწყალი მოახვედრა გულში სამარიტელ
დედაკაცს, რომელიც ამბობდა, ქმარი არა მყავსო და რიცხვი კი
დავიწყებოდა თავისი ქმრებისა. გული იესოსი გაძლა და დაივიწყა
ნამდვილი მიწიერი შიმშილი“.

— აი, რატომ თქვა ქრისტემ:

— ჩემი ჭამადი არს, რათა ვპყო ნება მომავლინებულისა ჩემისა,
და აღვასრულო საქმე მისი.

სუქარელებმა გაიფიქრეს:

„თუ მხოლოდ ასეთი ხოხის იმედი აქვს, გვებრალებაო“.

იესო კი თავისი მოწაფეების გასაგონად განაგრძობდა:

— თქვენ არა თქვით, ოთხ თვეში მყა დაიწყებათ? „აპა ესერა,
მე გვიტავი თქვენ: აღიჩილენით თვალი თქვენი და იხილეთ ყა-
ნები, რამეთუ სპეტაკ არიან სამკალად აწევ და მომკალმან სას-
ყიდველი თვისი მიიღოს და შეიკრიბოს ნაყოფი ცხოვრებად საუ-
გნონდ... რამეთუ ამით არს ჭეშმარიტი სიტყვა იგი, ვითარმედ
სხვა არს მთესვარი და სხვა არს მომკალი“: ერთი თეხავს ხოლ-
მე, მეორე კი იმკის. ამასთან ერთიც კრიყოფილია და მეორეც. სწო-
რად გამიგეთ, რაზეც გელაპარაკებია: მე გაგაგზავნეთ იმის მოსატა-
ნად, რაც აუცილებელია საყოფალდელი საკვებად, და ვიდრე თქვენ
შორს იყავით, აქ მოვიდა ქალი, რომელიც მოვიმყე.

ვიდრე იესო ასეთ აბდაუბდას ქადაგებდა, მის გარშემო ცნო-
ბისმოყვარეთა ბრძო სულ იზრდებოდა. ბევრი, აღფრთოვანებული
იმით, რომ იხილეს ძე ღვთისა, მის გაშეებას არ აპირებდნენ, ჯ-
ლაქში შეიპატივეს და იესო სუქარში ორი დღით დარჩა.

სამარიტელმა ქალმა, ვინც ის პირველად იხილა, მთელს ქალაქს
უამბო მისი ამბავი და არსად არ დავიწყებია შექება. პირდაპირ
მომჯადოებული ვინმეაო.

სუქარელების პასუხი ასეთი იყო:

— შენ რომ გაგაკვირვა, ეს რომელს გაუკვირდება! ჩვენც ბევ-

რი რამ გვითხრა უცნაური და ერკელო. გუსმენდით და ვრწმუნდებოდით, რომ ეს ნამდვილად ქრისტეა, მხსნელი ქვეყნისა.

ყოველ შემთხვევაში, ასეა ნათქვამი სახარებაში, და არა ფულები ლება გვაქვს არ ვერწმუნოთ? პირადად იქ არ გყოფილქმნდება წერის მოგვემთ იმის გარანტიას, რომ ეს სიტყვები ნამდვილად ითქვა. მაგრამ არც უარყოფას ვაძირებ. არა, მხოლოდ ფაქტის კონსტატირებას ვახდენ და ამით ვადასტურებ, რომ თვით სახარებაშიც კი არ მოიპოვება თუნდაც ერთი ადგილი, რამდენადმე დამაჯერებელად რომ მოგვითხრობდეს მთელი ქალაქის მოქცევის ამბავს.

სუქარის (სიქარის) შეცოვრებლებმა აღიარეს, მართალია, რომ ესაა იქსო ქრისტე და ის ისნის გაცობრიობას, მაგრამ ერთი სუქარელიც კი არ შეცერთდა გამაგრცელებელთა მცირერიცხუან ჯგუფს. ამიტომ ასეთი მოქცევა წმინდა პლატონურ ხასიათს ატარებდა და თავაზიანობის ფარგლებს არ გასცილებია. წავიდოდა იქსო და დაავიწყდებოდათ ყველაფერი.

ასეთი იყო იქსოს პირველი შეხვდრა თავის თანამემცელებთან (იოანე, 4, 1—42).

დაიწყო იმით, რომ მთერალ შექორწილებს ასიამოვნა, წყალი ღვინოდ უქცია. იქრესალიში არსებითად იმით გაითქვა სახელი, რომ აურჩაური ატება. ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს ხალხში აშეარად გამოცხადება ისურვა, სახელგარეხილი ქალის გვლი მოიგო და მორჩია, რაღაც ყველა კომენტატორი იმ აზრისაა, რომ სუქარის ჭასთან იქსოს მეძავი შეხვდა.




ანიშალე ქარაჩი, იქსო ჭასთან (სამარიატი ქალთან).

პირველი მარცხი

და აღიგნენ ყოველის გედის წყრიობითა,
რომელიც იყვნებ შესაკრიტულსა მას შინა, ეს-
შოდა რა ესე, და აღმადეს და განაძეს იფი
გარეშე ქალაქისა ჩიხებან, და მიიყვანეს იფი,
გოდრე წვერადმდე მის მოისა, რომელსა ზე-
და ქალაქი იფი მათი დაშენებულ იყო, რა-
თა გარდააგდონ იფი.

ხოლო თავალმან განვილო შორის მიაისა
და ჭარვიდა, და მოუკიდა კაპერნუმიად, ქა-
ლაქსა გალილისასა, და ახწაკვდა მათ...

ცეკვა, 4, 28-31.



ამარიაში რომ თავის პროპაგანდისტები
მოღვაწეობას მორჩია, იქსო გალილეაში
დაბრუნდა და ნაზარეთში გაჩერდა
იქსოს არ ავიწყდებოდა წარაკეტლთა

დაცინვა და ოცნებობდა იმ ღრიშე, როცა
თავისი უგბილი და უმაღლური თანამემამულეები ხელახლა იხილავ-
დნენ ეკვე დიდების მწვერვალზე ასულ ხუროს. იერუსალიმში მომ-
ხდარი აურზაურის ამბავი აღიათ ნაზარეთამდეც მოაღწევდათ,
ფიქრობდა. თუ გზაში კიდევ რაიმე ხელსაყრელი შემთხვევათ წარ-
მატებდა რასმე აქამდე შოხვეჭილ სახელს, მაშინ ხომ ნაზარეთში
ნამდვილი ტრიუმფი ეღოდა.

ამ მიზნით ყველგან, სადაც კი გაჩერდებოდა, თაქს ასაღებდა
სწავლულად. რომელმაც ღრმად იცის ყველა საღვთისმეტყველო
საკითხი.

იქსოს ხინაგოვების გარს უდებდნენ და სთხოვდნენ ქადაგებე-
ბით გამოსელას. რა ხალისით იღებდა ამნაირ წინადაღებას და

როვორ ატრიალებდა გააღმასებულ ენას მტრედის შეიძლი, ამას
წარმოდგენა მკითხველისათვის მიმინდვია.

ბიბლიის ყოველი მუხლი საკმარის მასალას აძლევდება არა იმაზე, რომ
ოქრო პირიდან მცვერმეტყველების იორდანი გადმოსულიყო.

ყურადღება მიაქციეთ: იქსოს არ მიუღია განათლება, მაგრამ
სრულიად არხეინად თვლიდა თავს ღვთისმეტყველების ღორქო-
რად. ის, რაც სხვას უკანონობად და სიყალბედ ჩაეთვლებოდა, ეფ-
სოსთვის სრულიად ბუნებრივი იყო: კაცი ღმერთი იყო და რა გაუ-
ჭირდებოდა! მტრედის შეიღს თავში სიბრძნის სალარო ჰქონდა
და რაც რამ ენიდან მოწყვებოდა, წინასწარმეტყველებად ითვლე-
ბოდა, რადგან ღვთაებრივი იყო მისი წყარო. მხოლოდ მტრედი,
მამა მშობელი და სამების კომპანიონი ავებდა პასუხს მისი სიტყვი-
სათვის. ყველაფერი მტრედის შთავონებული იყო და თე ოდნავ
რამე შეემლებოდა, ესეც მტრედს დაბრალდებოდა.

ამრიგად, იქსო თავის საქმეს აქეთებდა, კრიტიკის არ ეშინოდა.
ერთ სოფელში რომ მივიდა, სინაგოგაში შევიდა, სადაც სწორედ
ღვთისმსახურება მიმდინარეობდა.

იმ დროს ყველა სინაგოგა ერთნაირ ყაიდაზე შენდებოდა. ერთი-
მეორისაგან მხოლოდ სიდიდითა და სიმდიდრით განიჩრჩეოდნენ.
რა სიდიდისაც იყო ქალაქი, იმის შესაფერისს აშენებდნენ სინაგო-
გებსაც. ორ პორტიკს შორის გაჭიმული დარბაზის ბოლოში საკურ-
თხეველი იყო აღმართული, საღზინებელი. ხატი და სამსპეციალო
ალაგი არ ჰქონდათ, სამაგიეროდ იდგა სკირი, რომელშიაც უარდა-
გის ქვეშ ინახებოდა ისრაელის წმინდა წიგნები. ეს ხის ყუთი, სი-
ნაგოგის ავეჯის ნაწილი, რაც იმ წმინდა ზანდუკსა ჰგავდა, საი-
დანაც ახალგაზრდა სამუელს ღმერთი ელაპარაკებოდა, საპატიო
ადგილზე იდგა²⁵.

სინაგოგის ყველაზე უფრო სათაყვანო ნაწილი იყო სამლოცვე-
ლო. სწორედ იქ იდგა სკამები, რომელებზედაც განისვენებდნენ ნწიგ-
ნობართა და ფარისეველთა პატივდებული უკანალები. იქვე იყო
აღგილები, გათვალისწინებული უფრო გავლენიანი და შეძლებული
მორწმუნებისათვის, რადგან შებლვიწრო რეგვენნი ყოველ დროში
განსაკუთრებული პატივითა და დიდებით სარგებლობდნენ კაცთა
სააგოდ, ღორული დღეგვთილობა და ქისა კი მათთვის წმიდათა-
წმიდა ნაწილია.

სინაგოგის შეაგრძი ამაღლებული აღგილი იყო, თავისებური

ესტრადა. აქედან უკითხავდა რაბინი „წმინდა წიგნებს“ და არი-
გებდა მორწმუნებებს.

რაც შეეხება სამწყსოს, ის თავს იყრიდა ბაზილიკურ ჩაქა, რა ირ ნაწილად იყო გაყოფილი საგანგებო მოაჯირით: ცალ მხა-
რეს იყვნენ მამაკაცები, მეორე მხარეს დედაკაცები.

„წმინდა წიგნების“ კიდობის წინ დღე და ღამე ჩაუქრობელი
კანდელი ენთო.

სინაგოგის სახურავი ყველა შეზობელი სახლის სახურავშე მა-
ღალი უნდა ყოფილიყო: თუ სახურავი არა, შენობის დამაგვირგვი-
ნებელი შპილი მაინც, დღვანდელი ეკლესიების სამრეკლოს ან
მუსულმანური მიზგითების მინარეთებს რომ მოგვაგონებდნენ.

შესასვლელთან ხვეტებშე ეკიდა შეწირულობისათვის განკუთუ-
ნილი ყულაბები, მუდამ გამზადებული იმისათვის, რომ გულებრ-
ყილი მორწმუნეთა დანაშოგი მიეღოთ და გადაეყლაპათ.

როგორც ხედავთ, ქრისტიანული რელიგიას დამუშავებელი გა-
დაიღეს იუდაიზმის გამოგონებანი უწინილეს ღირებამდე. ასლი
დედანს ემსგავსება, არაუერი არ დავიწყებით.

ყოველი სინაგოგის სათავეში იდგა რაბინი და უცუცითა საბჭო
(მათ მწყემსებს ეძახდნენ). ეს სინკლიტი წინამდებოლობდა ყოველ-
გვარ რელიგიურ ღონისძიებას, ასამართლებდა, განხილდა, სჯიდა
და კიდევაც განდევნიდა თემიდან თამამ ადამიანებს, რომელიც
მოედს ამ ბალაგანს ალმაცერად უყურებდნენ. ეკიდურეს შემოსვე-
ვაში კი, როცა ღვთისმგმიბელის კადნიირება საზღვარს სცილდე-
ბოდა და მერქელობას ედრებოდა, მწყემსთა საბჭოს უფლება პერ-
და დამნაშავე ბორკილებში ჩაესვა და გაეგზავნა სინედრიონში, იუ-
რუსალიმის უზენაას სასულიერო სასამართლოში.

სინაგოგაღურ საბჭოში მიავარ როლს თამაშობდა პერსონალი,
რომელსაც საკმაოდ ჩათაფლული სახელი ჰქონდა. ახგელის ეძახ-
დნენ. ყველაზე ხშირად ეს იყო დაჩანაბანაკებული ბებერა. უბრილი,
სოკოსავით ნაოჭიანი, სირაქლემას კვერცხივით შელოტი, დორბ-
ლიანი და ბეხრევი ვინმე, გვიანდელი რომის პაპის მსგავსი. მოკ-
ლედ, ყველაზე ნაკლებად პგავდა ანგელოზის, მაგრამ სწორედ ან-
გელოზის ეძახდნენ, თუმცა ამით მორწმუნებს ანგელოზებზე წარ-
მოდგენა უფლებდოდათ.

ღირსეულ მოხუცთა შორის მეორე ადგილი ეჭირა ე. წ. შაზანს,
მეორე რანგის მღვდელმსახურს, რომლის მოვალეობას შეადგენდა

წამყითხველის ან კანტორისათვის²⁷ წმინდა წიგნის მიწოდება, სკორის კარის გაღება და დახურვა, საღლესასწაულო წესრევენტს უკიდურესი მომზადება.

რაც შეეხება სამსახურის წესრიგს, ერთხელ და საშუალოდ განსაზღვრული იყო განსაკუთრებული მითითებებით. შესასელელთან თითები უნდა დაგებანათ წმინდა წყლით („ხელი დამიბანიაო“, იქცოდნენ). განბანილი ხელები ქრისტი წინ უნდა გაეშვინა და ლოცვა წაეკითხა. შემდეგ კვლა დამსწრე გააძამდა ფსალმუნთა კითხვას. ყველა ცდილობდა გარეშემოსი კილო დაეცვა, მაგრამ ეს იყო ამაო ცდა. შეელს სამღებო მისამართი ისეთი კაკოფონია იდგა, რომ ყრუც ყურებს დაიცოდა, მხოლოდ წამყითხველის გამგმირავი წამოკიდება თუ გაპკეთდა ხოლმე ამ უთავპოლო გუგუნ-ღმუილის ხმას. მერე შედედელი მიმართავდა ხალხს ღარიგებებით, და მთელი ქორი ერთშმაღლ მიუჩებდა: „ამინ!“

ამას მოპყვებოდა თვრამეტი დალოცვა, და ბოლოს მთავარი კერძი-ქადაგება წეველებრივ ადგილობრივი რაბინი გამოიდებდა თავს და ლაშტობდა ძილისმომგვრელ რამებს, მაგრამ თუ იმ ღროისათვის სინაგოგაში ან მის მახლობლად ვინზე გამვლელი ცნობილი ღვთისმეტყველთაგანი აღმოჩნდებოდა, მაშინვე შეათრევდნენ, გათედრაშე აიყვანდნენ და ალაპარაკებდნენ, რომ მისი ბრძნული სიტყვა მოესმინათ.

როცა ნაშარეთში ქრისტე ჩავიდა, სწორედ საზეიმო ღვთიმსახურება შიმდინარობდა იქსის მომსრები წინასწარ მოგროვდნენ სინაგოგაში, რათა საკადრისი მიღება მოეწყოთ. მაგრამ ჯერჯერობით ხალხში იყვნენ გარეული და ვერავინ ამჩნევდა, მოძღვარს ელოდნენ.

მირონცხებული საზეიმოდ იყო გამოწყობილი. მცოდნე ღვთისმეტყველი ამტკიცებენ, გრძელი და ფართო ბურნუსი ეცვას და თავიც ბეღუინების მსგავსად პერნდათ ბაჭრით შეკრული შებლის დონეზე. ჩეელებრივი სამოსიდან მხოლოდ ქიტონი შერჩეოდა.

სხვათა შორის, ეს ქიტონი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. არც ერთი ნაკერი არა პქონდა. გვეშით? არც ერთი! და ეს ქიტონი კი ემოსა თურმე იქსოს დაბადების დღიდან!!!

ეს იდგალური ქიტონი საკვირველი თვისებით იყო გამორჩეული ყველა სამოსისაგან, რაც ოდესმე ადამიანს უტარებდა: ისიც ისრდებოდა და იწელებოდა მიხედვით, როგორც იზრდებოდა მისი



ბატრონი. სახსრები მქერივდებოდნენ, ძლიერდებოდნენ, იძულებოდა უაკენ, მაგრამ ქიტონი ერთხელაც არსად გახეედა. როცა იქმნებოდა უაკენი წამოეშარდა, ქიტონიც გაფართოვდა, ხოლო როგორც კი ოდნავ გახდებოდა, ქიტონიც ვიწროვდებოდა. იქსომ ის ხიდილამზე შეინარჩუნა. შემდეგ იმასაც გავიგებთ, თუ რა მოუვიდა ამ ქიტონს, რადგან მასთანაც არის დაკავშირებული ერთი ლეგენდა.

ამრიგად, სამარიტელი ქალას კეთილი ნაცნობი თავისი ბედუინის სამოსით ნაზარეთის სინაგოგაში გამოინდა. ნიშნის მიცემისთვის მისმა შიწაცევებმა ერთხმად შესძახეს.

— მასწავლებელო! დოქტორო! იერუსალიმელი დოქტორი აქა! ილაპარაკოს! ილაპარაკოს!

იმავე წამს, თითქოს მართლაც უმრავლესობას მისი მოსმენა სდომებოდა, იქსომ ხალხი გაარღვია, ამაღლებულ ადგილს მიაშერა, შაზანს გრძელი გრაგნილი ხელიდან გამოსტაცა და გაშალა. ასეთი გრაგნილი სპილოს ძვლის ჯობზე იყო ხოლმე დახვეული, ზედ „წმინდა“ ტექსტები ეწერა ხოლმე.

იქსომ პაპირუსი გამალა და წაიკითხა, ან ისეთი სახე მიიღო, თითქოს კითხულობდა:

— ისაიას წინასწარმეტყველება... ყურადღება! „ხულია უფლისა წემ ზედა, რომელისათვის მექო მე, და მახარობებულად გლახაკთა მომავლინა მე, განკურნებად შეშესრულოთა გულითა, ქადაგებად ტკცეთა განტევებისა და ბრმათა აღხილვად, განვლინებად მომსვრეცელთა განტევებითა. და ქადაგებად წელიწადი უფლისა შეწყნარებული“ (ლუკა, 4, 18–19; ისაია, 61, 1–2).

ძნელი არ არის იმის გამოცნობა, თუ როგორ მოხერხებულად გამოიყენა წვენმა გმირმა ასე ისტატურად შერჩეული ციტატა; ღარიბთა და დაღდასმულთა ინტერესებისათვის ვიბრძვიო, და ხალხის გულის მოსაგებად ასეთი ლაქლაქი მაშინაც ისევე წარმატებით გადიოდა, როგორც თრი ათასი წლის შემდეგ.

წაიკითხა ესა, გრაგნილი მსახურს გადახცა და დაჯდა.

„და შეპყო წიგნი იგი და მიმსცა მსახურსა, და დამსჯდა. და თვალნი ყოვლისა კრებულისანი მას პხედვიდეს“ (ლუკა, 4, 20).

მაშინ იქსომ საზეიმო ხმით დაიწყო:

— ბატონებო და ქალბატონებო! „დღეს აღესრულა წერილი ესე ყურთა მომართ თქვენთა“. წინასწარმეტყველება, რაც წაგიგითხეთ, აღსრულდა!



შისი სიტყვები ხარებასავით გაისმა.

მორწმუნეთა ბრძო, რომელიც მზადაა აბიცით გადატყველის შესახებ კულტურული გვერდის მიერ განვითარება და ლამაზად იქნება ნათელი მიერ განვითარება. მონუსტული გვერდი შესცემით მიერ განვითარება სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ განვითარება და ლამაზად იქნება ნათელი მიერ განვითარება. მონუსტული გვერდი შესცემით მიერ განვითარება სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ განვითარება და ლამაზად იქნება ნათელი მიერ განვითარება.

იქსოს უნდა განვითარო, როცა ერთმა დამსწრეთაგანმა, ეტყობა დანარჩენებზე უფრო გონიერმა, ეუცრად შესძახა:

— დაიცა! თვალები ამომიარეთ, თუ ეს ჩვენი ხუროს იოსების შვილი არ იყოს! ღმერთმანი, სწორედ ჩვენი ხუროა!

საკმარისი გახდა ეს ერთი წამოძახილი, რომ იქსოს მთელი მომხიბლაობა ჩაიფუშა. ვინც იცის ბრძოს ამბავი, იოლად რომ აკ-ჟება პირველ შთაბეჭდილებას და ანაზღეულად იცვლის წარმოდგენებს, — იოლადვე წარმოიდგენს, რა ანაზღეულად შეიცავად ხალხის სიმპათია ანტიპათიით.

რომელიდაც მორწმუნე თავიდანვე ბუტბუტებდა თავისთვის: „საღ მინახავს ეს ჭაბუკი? ნაცნობი სახეა...“

ხოლო როცა ნაკლებად გრელებრყვილომ შესძახა: „ეს ხომ ხუროა“, მთელმა სინაგოგამ ერთხმად უბასუხა, ოღონდ „ამინ“ კი არა, არამედ „აი, ეშმაქმა დალახვროს!“

მაშინ ავარდა ქარიშხალი. ყოველი რეგვენი თავს შეურაცხუ-ფილად თვლიდა, ყველა ცდილობდა თამაშის გამწვავებას და თავის გამოჩენას. იქედნური სიტყვები ცვიოდა ყოველი მხრიდან:

- ქეი, იქსო, ხადაა შენი შალაშინი?
- ასეთი უტიფარი როგორ უნდა იყო?
- როგორ არიან შენები, წინასწარმეტყველო?
- მეგობრებო, გაბრიყვება მოგვინდომა! ხუროც წინასწარმეტყველია?

— ეს რა გიქნია, ხელოსნობა ტაკიმასხარობაშე გაგიცვლია? მანჭიობა ამჯობინე შინ ყოფნას?

— შენი ჭკეის საქმე არაა წინასწარმეტყველთა განმარტება, შეტაღრე ისაიასი! ის ხომ ხუროს ხერხით გადახვერხეს! ²³

— საიდან გაქვს დოქტორის წოდება? მამაშენმა იოსებმა ხომ არ მოგანიჭა?

— ხურო იმისათვის მიუბრუნდა ისაიას, რომ ხელმეორედ მოკლას!



3686340
8165000


















Digitized by
Digitized by



TITIANUS















— შენს დაზგას დაუბრუნდი, იქსო-გლახაკო!

— თუ მართლა დოქტორი ხარ, ჯერ შენი თავი ვაწყერნე! შენ ხომ ჰქონაშე მწყრალად ხარ, საცოდავო, მკურნალობა ვინდა!

უფლის შვილს სეტყვასავით აყრიდნენ ღვარძლიან სიტყვებს, დამატებირებელ რეპლიკებს. ისიც უკურთა გინს შეუყანას ცდილობდა. წამიერი დუმილით ისარგებლა და ქარიშელის ასარი დებლად თქვა ცნობილი სიტყვა:

— აქ ვიღუამ შესძახა: „თავი ვაწყერნეო!“ ვესინ აქენი გულის ურვა. ისეთი რამები წამომაძახეთ, ჩემი რწმენა არა გეონიათ. რა თქმა უნდა, თქვენ გინდათ აქაც ისეთივე სასწაულება მისახდინო, როგორც მომისდენია გალილეის კანაზი ან სხვაგან. მაშინ მიწამებდით. ნება მომეცით ერთი შედარება გიცხჩათ იგავად. როდესაც იღია წინასწარმეტყველის ჟამს გუალვა იყო და მოუსავლიანობა, „დაეხმა ცა სამ წელ და ვეკს თვეს, რაგამს იყო საყმილი დიდი ყოველსა ქვეყანასა“, მრავალი ქვრივა და გაჭირებული იყო ისრაელში, მაგრამ იღია მიერველა მშოლოდ ერთ მათვანს, სიღონიის სარეფოლ ქვრივსა. მრავალი კეთილვანი იყო ისრაელში წინასწარმეტყველ ელისეს გამსაც, „და არა ვინ მათვანი განკურნა, გარდა ნეემან ასურისა“²⁹. მავრამ ვინ იყო ეს ნეემინი? განა ვის, თანამემამულეთაგანი? მსგავსიც არაფერი. ეს იყო ასური, სიჩაელთა საჩდალი. პოდა, თუ კი ისეთი დიდი წინასწარმეტყველინი, როგორიც იყენენ იღია და ელისე, სასწაულებს მშოლოდ უწერდლა წინაშე ახდენდნენ, მე რატომ არ უნდა მიეყვე მათს შეგალითს?*

პასუხი, როგორც ხედავთ, საკმაოდ თავხედურია. ბუნებრივია, ამან საყოველთაო აღმუშაოთება გამოიწვია, რაღაც ეს იყო სწორედ გამოწვევა: თქვენ რა ღირსი ხართ, ჩემი თანამემამულები, რომ თქვენთვის სასწაული მოვახდინო, წყალი ღვინოდ წატეოთ და სინეული განკურნოთ? „და აღივსნეს ყოველი გულის წყრომითა, რომელი იყი იყენეს შესაკრებელსა მას შინა, ესმოდა რა ქე“ (ღრ-

* ქრისტეს ამ სატყეაზარ ტაქტისლს გამოტიკებულია იქნა მისი შეაქტივისადმი, რაც საანდაზოდ დატანა: „არა ვინ წინასწარმეტყველი შეწერებულ არს თვისსა მაცელსათ“ (ივ შინური მღვდელს შენდობა არა იქნება).

კა, 4, 28). რა გახაკვირია? ნაზარეველნი წარმართებსა და დამუშავებისა
ვანებს შეადარა! მეტისმეტი შეურაცხყოფაა!

ამჯერად კი იქსომ უბრალო ღრტვინვა კი არ მოიხმინა, არამედ
ხევრთო აღმფოთების ღმიერი:

— ძირს! გააგდეთ! ქედი მოჰერიხეთ!

თავმოურილებმა სიტყვას საქმეც მიაყოლეს, სცენაზე აცვივდ-
ნენ, სტაცეს ხელი იქსოს, ძირს ჩამოათარიეს და კინწისევრით გააგ-
დეს სინაგოგიდან.

ქრისტეს ამდენი ქიმუნჯი და წიხლი მოხვდა, უფალი ღმერთიც
არ მიშველებია, თავისი უმწეობა თვითონვე დაუშტკიცა მორწმუნე-
თა ბრძოს, ის კი მხოლოდ მწარედ იღიმებოდა. ყოველ დარტყმას
ასეთი წამაქეშებელი სიტყვით ხვდებოდა:

— მცემეთ, ძვირდეთ თანამოქალაქენო, ეცადეთ, მცემეთ! ახ-
ლავ ისეთ რამეს მოვახდენ, გაკვირვებული დარჩებით.

ხალხი კი სცემდა და სცემდა, აინუშიძაც არ მოსდიოდათ ღმერ-
თის მუქარა. როგორც ძეველ ტილოებზეა დახატული, პცემდნენ, წის-
ლებს უწერდნენ მირონცხვებულს და ასე მისდევდნენ იმ მოის მწვერ-
ვალისაკენ, რომელიც ქალაქს გადმოსცეროდა. იქ ერთი ხრამი იყო
და სუსტად მორწმუნე ნაზარეველნი აშკარად იმ ხრამში უპირებდ-
ნენ გადაწეხვას თავიანთ დოკტორს.

შაგრამ როგორც კი ხრამის კიდეეს მიაღწიეს, იქსომ უცტრად
თავისი ღვთავებრივი რაობა გამოავლინა: ხელის გაქნევით გააპო,
„განვლო თავად მან შორის მათხა და წარეკიდა“ (ლუკა, 4, 15—30).

ნაზარეველნი პირდაპირ გაშტრიდნენ, ფერი წაუკიდათ. მაგრამ
იქსომ ეს ურწმუნოები ისე გააბრაზა, რომ ახეთი სასწაულის მიუ-
ხედავად ერთმაც არ იწამა*.

მტრედის შვილი ამით ძალიან განაწყენებული დარჩა, ერთი

* ხალხის აქცია „ავესტრეტი“ რეაგირება სასწაულებზე საერთოდ
დამსახურებელია მთელი წევინდა წერილისათვის: „ევანგელის ფარაონა
პალტრიდად ხელებითა მოსეს სასწაულებს. ეპისტელები მთელს სისლამი
ეპისტემის ღმერთი, მოცლი მისი სისლიერისა და უოკალი სასწაულის
მიუხედოვათ. ასევე ინდიუსტრიელ ხელება ხალხი სასწაულებს სიხა-
რებში. ამდენი სასწაული ხდებოდა, რომ ხალხი შეთ მიერკია. ასეთია
დამსახურება — ერთიმან სითომაშე, ვაკი და ა. შ. უნგერის ა-
სახა ბიბლიისიც.



მიმდევარი შაინც რომ გამოსჩენოდა, იამაყებდა ბრწყინვალე კარის რა გეთილით, რაც ურწმუნო თანამემამულებს მისცა: განა მთელი ფართო თავა ეისი ძლიერება არ უწევნა? ასეთი საჯარო დემონსტრაციის მიუხედავად, სასწაული უშედეგო იყო და მხოლოდ თავისი გამოისელის მწარე მოგონებად დარჩა. სინაგოგაში ქრისტე დამარცხდა. ეს იყო სრული მარცხი.

წარმოიდგინეთ ასეთი რამე! ღმერთი და იმავე ღროს მესამედი ღმერთი, სამების ნაწილი, ოცი წელიწადი ითვლებოდა ნაზარეველად, უდიდესი პატივი დასდო თავის თანამოქალაქებს, იმათ კი რა უმაღლერობით უპასუხეს!

ჩალა და ღონე არ დაუზოგავს, რათა დაემტკიცებინა, ისაიას წინასწარმეტყველება ჟავი აღსრულდათ, საკუთარ სამშობლოში კი მაცხოვარს სტკენით შეხვდნენ, როგორც ხმაჩახლეჩილ მომღერალს ხვდებიან.

ქრისტეს თავმოყვარეობა საგრძნობლად იყო შეღასული.

რაც შეეხება მოციქულებს, იესოს განდევნის ღროს მათი ჩეკნებაც არაა. კაცმა არ იცის, სად არიან და რას აკეთებენ. იქნებ ზოგი ვინმე გამოექომავა მოძღვარს, იქნებ უფსერულში გადადებისაგან იხსნეს კიდეც, მაგრამ სახარებაში ამაზე არაფერია ნაოქვაში... ეტყობა, ღროზე უწველეს თავს, საქმე ცედად არისო, იფაქრეს და მოქაურებლეს, მერე კი გაკვირვებულები შექმურებდნენ თავიანთ მასწავლებელს, ზღაპრის გმირივით მოელი და უკნებელი რომ დაბრუნდა მოიღან. იესოს რომ ეკითხა, სად ბრძანდებოდითო, აღბათ უპასუხებდნენ, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, ხილათს გადაგვერჩინე საყვარელი მასწავლებელი, მაგრამ არაფერი ვაკეივიდა, ისეთი ზედახოცვა იყო სინაგოგაშით... გაშმავებული ბრძო... თრომტრიალი, ბრძა ფანატიკოსები... და ასე შემდეგ.

განკურნება შორ მაცილზე

პრევა მის იქნო: დაკრუ არა იხილოთ სახ-
წაულები და ნიშები, არა გრწმენებ.

პრევა მის სამეცნისა კაციან მინ: უფა-
ლი მოვდე პირველად სიკვდილადშიდე რისა
ჩემისა (კარისკაცმა უორია: შეიღი მიკვე-
ბაო).

და პრევა მის იქნო: ვადოდე, ცოცხალ არს
ძე შენი. და პრემენა კაცა მის სიტყვა იტი,
რომელი პრევა მის იქნო, და წარვიდა.

და ვითარცა მოოდენ ვიდოდა იტი, მონა-
ნი შენი მოვდებეოდენ მის და უორეს და
პრევას, ვითარმედ და შენი ცოცხალ-არს.

ითარე, 4, 48-51.



აზარეთიდან რომ განდევნებ, იქსო კანაში
მიღიდა, იქიდან კიდევ სხვაგან და ასე მოი-
არა ყველა პატარ-პატარა ქალაქი, ტიბე-
რიადის ტბის პირას განლაგებული. წინა
თავში შეკვე ვიღაბარავეთ, ვისგან შედგე-
ბიდა ძირითადად ასეთი ქალაქების მოსახლეობა. არსებითად, ეს
გამოდათ მოდას აყოლილოთა აგარავები, სადც გართობის მოყვა-
რული ხალხი იყრიდა თაქს. რა თემა უნდა, მათ მორის იყვნენ
მოელი იუდეისა და გალილეის ყველაზე უცრო მარჯვე ახალგაზ-
რდა ქალები.

სახარება დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ იქსო სამაგალითო
მოხეტიალე მქადაგებელი იყო. მოელს სიცოცხლეში არ პქონია ბი-
ნა. თვეშესაფარი, მუდმივი სავანე, აღარც კი იცოდა, სად გაეოია
დამ.



შე მგონია, უკანგველისტები აზვიადებენ.

იქსო არც ისეთი უბირი ვინმე იყო, რომ თავშესაფარი არ იქნადა და ამა მამისის სამყოფელის ქვეშ უყვარდა ღამის გათვალისწინებით, მაგრამ ვერავინ შემაჯერებს იმას, რომ მისი ბინის ქერს მედამ წარმოადგენდა ვარსკვლავიანი ცა. მით უშეტეს, რომ მისთვის ქალები გირდებოდნენ — ეს საერთოდ ცნობილია. რა გასაკეირია, რომ ხშირად ასეთი უაპლოესი ურთიერთობა ჰქონდა თავისუფალი ქსეული ქალებთან!

უმთავრესად საქმე ჰქონდა იმ უზნეო ქალებთან, უპატრონოდ რომ დაეთრეოდნენ, წამხდარი და მემრუმენი. სწორედ ასეთები უწყობდნენ ქსეულგან საკადრის შეხედრის.

საამისო საბუთებს სახარებაში ყოველ უურცელზე ნახავთ.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, არა მგონია ვინმემ დაიკუროს, რომ ჩეუნი გრინი ღამებს ლია ცის ქვეშ ათევდა.

ამრიგად, იყენ მოვზაურობს და ეკნობა კალთამადლიან მანდალოსნებს. კანადან ემაუსმი ჩადის, ემაუსიდან ტიბერიალეში, ტიბერიადიდან მავდალაში, გენისარეთში, გენისარეთიდან კაპერნაუშში, კაპერნაუშიდან ბეთსაიდში, ბეთსაიდიდან ხორაშინში, და მისი ჭაღო ყველგან უმაგალითო ჟევავლენას ახდენს. ჩეუნი ცოტა არ იყოს გაუთლედი ჯადოქარი და შემაცდენელი უდავოდ თრიაგინალერი ვინმე იყო, ხოლო აკრძალული ხილის მოყვარული მშენიერთა სქესის წარმომადგენლები. როვორც ცნობილია, მუდამ დაუძლეველ მიღრეკილებას იჩენენ ყოველივე იმისაღმი, რაც ოდნავ მაინტ განსხვავდება ყოველდღიური, ერთუერთვანი, ბანალური კევისავან.

ერთხელ, როცა ქრისტე კანაში დასეირნობდა, უცებ პეროლეს კარისკაცი მიუახლოედა.

— დახე, დახე, დახე! — თავისთვის ჩაილაპარაკა ჩეუნმა არტისტმა. — როვორც ვატყობ, ჩემი ნათესავის ითანე ნათლისმცემლის საკის ტახტი უნდა გავიზიარო!

ხუთმა მოწაფემ — ჯერ კიდევ მხოლოდ ხუთი მოწაფე პყავდა — აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა და თვალთა ცეცხა, რომ დროშე გამარტიულიყვნენ და უფრო საიმედო საჭარი ეპოვათ.

მოელი ჯგუფი ცახუახმა აიტანა. მოციქულებს მუხლები მოეკ-



ვეთათ. მაგრამ ამჯერად იოლად გადარჩნენ, მხოლოდ შეძრებული მეს მაგარი.

კარისკაცს არავითარი ცუდი განზრახვა არა ჰქონია. ხელში გრანილი უტირა, მაგრამ ეს არ იყო დაპატიმრების ბრძანება.

ყოჩად მეომარს — კარისკაცს სამხედრო ხარისხიც ჰქონდა. ახლახან მიეღო კაპერნაუმიდან წერილი თავისიანებისაგან: შეიღი გაგიხდა აკად და სადაცაა სულს დალევსო.

სახარება არ გვეუძნება კარისკაცის სახელს. ზოგიერთი ღვთის-შეტყველის ვარაუდით ეს იყო ვინმე მანაინი, ზეფის ძიძის შეიღი ანუ პეროდეს ძუძუს მტე, მასთან ერთად გაზრდილი. ეს კაცი მოხსენიებულია პირველ ქრისტიანთა შორის*. სხვები ამტკიცებენ, რომ ეს იყო პეროდეს მოურავი ხურა, რომლის ცოლი ითანა სხვა გალილეველ ქალებთან ერთად ქრისტეს მიმდევარი გახდა (ლუკა, 8, 3). თუმცა მის სახელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

კარისკაცმა ჩვენი მქადაგებლის ამბავი ხალხში გაიგო. იქსო ამბავი ყველას პირზე ვკერა. წყალი ღვინოდ აქციაო, სულთამშილავიაო, ერთი შეხედვით ადამიანთა ჭირსა და სიხარულს კითხულობს — მოკლედ, ნამდვილი ჯადოქრის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ცნობილია, როგორ უყართ პატარ-პატარა ქალაქებში უსაქმურებს გაგონილის გამერვა-გაშვიადება, როგორ აქცევენ ბუზს აქ-ლემად და ყოველგვარ წვრილმანს ათას კედს გამოაბამენ. გე-ლებრყეილი პროვინციელების მითქმა-მოთქმაშ იქსო მრავალთა წარმოდგენაში აქცია მკურნალად, სწორუპოვარ ჯადოქრად, რო-ჩელსაც ყოველგვარი სწერებისაგან სხეულის განკურნების უტყუარი საშუალებები აქვს.

იქსოზე ვერ ვიტყვით, სასწაულები არ მოუხდენიაო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერავის დაასახელებდა, რომ მძიმე სწერებისაგან განკურნა, უებრო მკურნალის სახელი კი ჰქონდა გავარდნილი. მართალია,

* ტაქტილს მხედველობაში აქვს მოციქულთა საქმის 13 თავის პირველი მუხლი: „იყვნეს ვინმე ანტიოქიას შინა, მსგავსად კრებულისა შის წინას-წარმეტაველი და მოძღვარის: ბარნაბა და სვიმეონ, რომელსა იგი უჩქვანიერ, და ლუკის კიოჩინელი, და მანინ, რომელი იყო რეძეს — შევ იროდი მეფისა, და სავლე“ (საქმე მოციქულთა, 13, 1). საკუთრივ ესაა „მანაშენ“ (ასე აქვს ლოთერსაც).

საამისოდ საფუძველი თავისთავად ქერძა: მტრედის შვილი და სასწაული მისთვის წუთის საქმეს შეადგნდა.

იქსომ პაპირუსი გამოართვა და თვალი შეავლო:

— ჩემთან რა გინდათ? — უთხრა კარისკაცი. — არც თქვენ გიცნობთ, არც თქვენს შეიღის. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ ახალგაზრდა კაცი ავად გამშდარა, გულწრფელად თანაგიგრძნობთ.

მაგრამ კარისკაცი იმისათვის არ ხლებია ქრისტეს, რომ მისგან ეს თანაგრძნობის გაცემილი სიტყვები მოესმინა.

— მასწავლებელო! — ამეტყველდა ისევ. — გუშინ ჩემი შეიღის ლოგინთან საუკეთესო ექიმების კონსილიუმი შედგა. ყველაზე უფრო განსწავლულმა ექიმებმა აღიარეს, შენი შეიღი განწირელია. თავს ვეღარ დააღწევს...

— სამწევხარო ამბავია.

— ვის ეუბნებით ამას? მე ხომ მამა ვარ! მერე თქვენ, ძვირფასო მოძღვარო, ნეთუ თქვენ ვერ გადამირჩენთ საყვარელ შეიღის?

— რა ბრძანეთ? მე ეს არ მითქვამს.

— გევედრებით, გაფიცებთ ყველა წმინდანს. მზად ვარ დაგიჩოქოთ — აი, ხედავთ? ოდონდ ისხენით, გადაარჩინეთ ჩემი შეიღი! მიკედება ყმაწვილი კაცი!

იქსო ნიკაპით საკუთარ ხელისგულს დაეყრდნო და ფიქრებს მიეცა. შემდეგ თქვა:

— თუ არ ვცდები, სასწაულსა მოხოვთ... უარს ვერ გეტყვეით. მაგრამ ნება მომეცით შეგნიშნოთ: თქვენ, იუდეველი, ყველანა ერთნაირები ხართ. თუ პირველსავე მოთხოვნაზე სასწაული არ გიჩვნეთ, ჩემი არა გწამთ.

კარისკაცი ყველაფრისათვის მზად იყო.

— უფალო! — შექცევირა გამგმირავი ხმით. — გაფიცებთ ყველაფერს, რაც თქვენთვის ძვირფასია, ჩქარა გაეშერეთ კაპერნაუმში, ვიდრე ჩემი საბრალო შეიღი ჯერ კიდევ ცოცხალია!

რა მომხიბლავი გულებრყვილობაა, არა? კარისკაცი დარწმუნებულია ქრისტეს ღვთაებრივ ძლიერებაში, რაკი თავისი ფეხით ეახლა და დაუჩიქა, სასწაული მოახდინეო! მაგრამ თუ ქრისტეს სასწაულის მოხდენა შეეძლო, რისთვის უნდა ჩასელიყო ფეხით კაპერნაუმში, როცა ცხენიც კი არ აახლეს? განა შორი მანძილიდან არ შევძლო ერთი პატარა სასწაული მოეხდინა?

ყოველ შემთხვევაში, იქსომ გადაწყვეტა სწორედ ასე მოქცე-

ულიყო. კანაში უთუოდ რაღაც პაემანი პქონდა დაწიმნული იმ სა-
დამოს და იმ სიცხვეში ფეხით ათი კილომეტრის გავლა ჩატარდა და
სებოდა. ან რა საჭირო იყო დასწრება და ფოკუსით ხალხის და
ინტერესება თავისი დასწრებით, თუ დაუსწრებლადაც ასეთივე
წარმატებით განკურნავდა დიდებულის შვილს?

ამიტომ, როცა კარისკაცმა თავისი სათხოვარი გაუმეორა, ქრის-
ტემ მიუგო:

— რა საჭიროა სარეცელთან ჩემი ყოფნა? წადი, მეგობარო,
შენი შვილი ცოცხალია!

— ცოცხალია? — შეპყვირა მშობელმა. — მინდა ვინწმუნო!
მაგრამ თუ მცირე ხნის სიცოცხლე დარჩენია?

— შენი შვილი თავს ისე გრძნობს, როგორც ახალგაზრდა
ღმერთი.

— უფალო, განა ეს შესაძლებელია?

— წადი და გაიგე. ერთი, ორი, სამი — თქვენი შვილი ფეხზეა!

ამით დაიმედებული კარისკაცი გაპერჩაუმში ჩავიდა. შვილი სა-
ათი იყო ადგილობრივი დროით, ჩვენი დროით კი ნაშაუადლევის
შირველი საათი.

ჩვენი კარისკაცი ისე იყო დაწმუნებული მოხუტიალე ჯადოქ-
რის სიმართლეში, რომ არც კი ჩეარობდა შინ მისელას. მის ად-
გილზე რომ სხვა ყოფილიყო, თავსედმოგლეჯილი გაიქცეოდა მო-
მაკვდავ შვილთან, იმან კი ღამე გზაში გაათავა, ვიღაც მიერტნის
დუქანში.

მეორე დღეს დილით ის იყო გზას გაუდგა, რომ მასურები შეხ-
ვდნენ, კანაში მოიჩქაროდნენ, რომ სამახარობლო მიეღოთ.

— გიხარდება! — შესძახეს, თითქოს გაუგონარი ახალი ამ-
ბავი უნდა ეთქვათ, — შენი შვილი უფრვე დადგა!

— ვიცი, — მიუგო გულგრილად. — რა დროს გახდა კარგად?

— გუშინ, შვიდ საათზე.

— მე ეს ვიცოდი.

რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი მსახ-ზთა გაოცებაზე: ვერც კი
წარმოედგინათ, როდის აქეთ გახდა შაოი ბატონი ასეთი მენცარი.
დიდხანს იტექდნენ თავს ამაზე ფიქრით, მაგრამ თავსატეხი ამოუხ-
სნელი დარჩათ.

რაც შეეხება კარისკაცს, იმან ყველაფერი უამბო თავისიანებს
და მთელმა ოჯახმა იწამა ქრისტე („და პრემენა მას და ყოველთა

სახლეულთა მისთა. ესე კვალად მეორე სასწაული პეტნა იქსო, მო-
რავიდა ურიასტანით გალილეად“ — ითანე, 4, 46—54).

ჩვენის მხრით, ძვირილასო მკითხველო, ესეც უნდა შეცდომაში ითავს
იქსოს აქტივიზი. ამჯერად კი ნამდვილად ისე ეჭირა თავი, როგორც
ღმერთს გვადრება... სამწეხარო და საწყენია მშოლოდ ის, რომ
ჩვენი გმირი, ეს მითიური არსება, არასოდეს არ არსებობდა.



8. პლიუშისტიკი. ჩაცალით ურშეშსა შაგას მოსლვად ჩემდა.
(მარკოზი, 10, 14)

ეპეპეპელი

და იყო კრებულსა მას შენა მიასა კაცი,
რომელისა თანა იყო სელი არა-წმიდა, ღა-
ღად ქყო, და მარტეჭა: ემა, რაი არს ჩეუნი და
შეწი, იქნო ნაზარეველი? მოსრულ ხარ წარ-
წამედად ჩვენდა, გიცით შენ, გინა ხარ,
წმიდაი ქეყ ღმრთისა.

შერისხნა მას იქნო და პრეჭა: პირი ღაი-
ყავ და განკედ მაგისტან.

და დაქაცა იყო სელმან არა-წმიდამან და
ხმა-ქყო ხმითა ღილითა, და განკედა მისკან.

მარკოზი, 1, 23-25.



აღრესად სხვადასხვანაირად ექცეოდნენ იმ
დღეებში იქსოს ნაზარეთსა და კაპერნა-
უმში: თუ პირველ ქალაქში თვალში ეკლა-
და ხვდებოდათ, მეორეში ყოვლისშემძლე
სასწაულომოქმედის სახელი დაუვარდა --
თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ.

ბართლომე, საყვარელი ითანე და სამი სხვა მოწაფე დაუდალა-
ვად და დაუზარებლად მოუთხრობდნენ ყველას, ვისაც მოსმენა
სურდა, ასეთი და ასეთი სასწაული მოახდინა, კარისკაცის შვილი
მოარჩინათ. იქსოს უჭირდა, საერთოდ უჭირდა, მაგრამ მოციქულთა
აგიტაციამ შურები გაუმაგრა. მეორე დღეს მოელი ბრძო მოაწყდა იქა-
ურობას, რომ წვეროსანი მკურნალი ენახათ.

ეს მეორე დღე იყო შაბათი, ებრაელთა კვირა, როდესაც მოწ-
მინდანო ხალხი სინაგოგებს აწყდება.

შაბათობით ღოცვა აღრე დილით იწყებოდა. იქსომ შემთხვევა
გამოიყენა, რომ სწორედ იმ დროს გამოცხადებულიყო, როცა სინა-
170



გოგა ხალხით იყო გატედილი. ტევა არ იყო. ცნობისმოყარებული ჩამანა
აიქო სამლოცველო. ყველა ცდილობდა უფრო მოხერხებული შესრულება
კალათებულიყო, რომ რაც შეიძლებოდა თავისუფლად მოქმინა
ღვთაებრივი ოქროპირის ყოველი სიტყვა.

იქსომ გაისწორა ქიტონის ნაკეცები, კოხტად დაიყენა საყე-
ლო, დაიკაპირა სახელო და მოარული ხიტყვა მოაშეადა საფუძვლი-
ანი ქადაგებისათვის.

წინასწარ კი ჩაახველა, რომ ხინაგოგაში სკამების გადაადგილე-
ბა შეეწყვიტათ. როდესაც სასურველი ვითარება შეიქმნა, ისეთი
დუმილი ჩამოვარდა, რომ ბეჭის გაფრენის ხმას გაიკონებდით.

ნაბიჯი უკან გადადგა, წევრზე ხელი ჩამოისვა, ღვთაებრივი
ნიკაპი მყერდული დახარა, შემდეგ ანაზღად წინ წამოვიდა, ხელვი-
უფერტური შესტით აღმართა მაღლა და ასეთი მომხიბლავი ფრა-
ზები წარმოოთვა:

— ქალბატონებო და ბატონებო! დღეს თქვენს წინაშე გაშოდის
არა სიტყვიერი პაექრობაში გამობრძმედილი მეომარი, როგორც
უთოვდ ფიტრობთ, ამიტომაც ამთავითვე ბატივბასა და კეთილგან-
წყობილებას ვითხოვ საზოგადოებისაგან. არა, პატივცემულო მანდი-
ლოსნებო და პატივცემულო ბატონებო, მე ორატორი არ გახლა-
ვართ. ხუროს ქოხში უხადგმული და გასირდილი ვარ, დეტის რძეს-
თან ერთად არ შემიწოვია ოქროპირობის ბადაგი და რიტორთა სამ-
სალა. დაე, მწიგნობართა და ფარისეველი გასწიონ უკესიტყვა-
ობის ჭაპანი, მე კი ბედნიერი და ამაყი ვიქწები იმითაც, თუ ჩემი
გაურანდავი სიტყვა იღნავ მაინც მიიპყრობს თქვენს ყურადღებას...

ერთი წამით შეჩერდა, რათა შეეფასებინა თავისი გამოსვლით
გამოწეველი ეცვეტი. მამაკაცთა უმრავლესობა, ასეთი მოკრძა-
ლებული დასაწყისით აღფრთოვანებული და პირდაღებული იჯ-
და და უსმენდა. ქალები იქსოს თვალს უკრავდნენ და ერთმანეთში
ჩურჩელებდნენ:

— რა სათნო წინასწარმეტყველია! პირდაპირ გასაგივებელი
ვინმეა!

— რა დამათრობელი სტილი აქვს! მომხიბლავია! ღვთაებრივია!
ქმაყოფილი იქსო განავრძობდა:

— მადლობელი ვარ, ქალბატონებო და ბატონებო, გულისხ-
მიერი ყურადღებისათვის. ყველა ღონეს ვიხმარ იმისათვის, რომ
თქვენი მოლოდინი გავამართლო და არ გაგაწილოთ.



ამას მოქაუთა ახალი პატარა და ბევრისმოქმედი ჩახვეულებითაც და გადაიდა და შესძახა:

— ყოველი ხალხის ცნობებაში ხდება გარდატეხა, როცა მეტ-ლეხო იქცევა ჰეპრად, ჭუპრიღან კი პეპელა გამოფრინდება. ღვთა-ებას რომ შეეხება, ხალხი საჟურნო ხავსს ჩამოიცილებს ხოლმე, მტერს ჩამოიფრითხავს, წამოიწევს და წავა წინ, ახალი პირისონ-ტების დასაპყრობად. გუმინ ჯერ კიდევ უცნობი და შეუმიჩეველი ღარიბ-ღატაკი ღდეს ანაზღეულად გამოახილებს ისეთ თვალის-მომჭრელ შექს, რომ ხალხი გაოგნებულია, ბრწყინვალე მდიდარი კი შერცხვენილი ღაღებება ჩრდილში.

— ნინებულია! ბრწყინვალეა! — დაიწყო ჩურჩული ყველაზე უურო ღაკეირვებულ მსმენელთა რიგებში.

— ასეთ წუთებში ხმა უფლისა ეხება არა მარტო სელის გარ-საცმელს, არმედ აღწევს სიღრმეში, ვულთა წმიდათაწმიდა ნა-წილში, და იქ აურეცევს ხოლმე სარწმუნობის ცენტრულე-ბას. საზოგადოებისაგან უმინდულოდ განკიცხულ ცოდვილებს მოე-ლინებათ ანაზღეული ზემოავინება და მაშინ შეიგნებენ, რომ ღრია გადააგდონ ძეგლი ბორკილები, ღრია აღსრულდეს უშენაესის ტ-ლით დაკისრებული ვალი, რაც...

აქ იესო შეაჩერა ხმამაღალი გოდების ხმაში, სინავოგაში რომ გაისმა. მოარცული სიტყვა შეა გზაზე შეჩერდა.

მსმენელი სკამებიღან წამოიშალნენ და ზედ შედგნენ, რომ თვალითაც ეხილათ თავებედი, რომელმაც ეგზომ ბრწყინვალე სიტყვა შეაწყვეტინა ნათელ თარიტორის.

— კარში გააკდეთ მყვირალა! კინწისკვრით გააკდეთ უზრდე-ლი! — გაისმა აღმოფავების შეძახილები.

— დაუბრუნეთ შემოსასვლელი უზელი და გზა უჩენეთ! — გაჰყიოდნენ ქალები.

იესომ ბრბოს თავშე ხელები გაიწოდა და ასე სცადა სიჩუმის ჩა-მოგდება. მაგრამ მყვირალა ისევ ისე განაგრძობდა გიცური წამოძა-ხილების ფრჩვევას, თან იგრისებოდა და ხელებს ისე აქნედა, რო-გორც შემოლილი. საერთო აღიაქოთი გაძლიერდა.

ჩეცრად ერთმა მორწმუნებ, აღმათ უფრო შორსმჭვრეტელშა და გაგებულმა, მყვირალა ბორგნეული შეიცნო და შესძახა:

— ეს ხომ ეშმაკეულია, შეპყრობილი კაცია! სულში უწინ-დერი უზისი!



ასეთმა განცხადებამ კურავინ გააკვირვა: ადამიანებს, რომელიც თაც ეშმაკი ურიგოდ გაეხუმრა, სულმი ჩაუძრა და დაისადგუნდა იმ ეპოქაში უამრავს ნახავდით ყველა საზოგადოებრივ ადგილების და ტაძრებშიც კი.

დღეს ეშმაკეული აღარ არიან და ამიტომ ჩვენ გვიჭირს იმის წარმოდგენა, თუ რას ემსგავსებოდნენ ასეთი მრეცლაგანწი. ისლა გზრჩება, ვენდოთ სწავლელ დვთისმეტყველთ, რომელიც მათ დაწერილებით აღწერენ.

ამაოდ ცდილობენ სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორები იმის მტკიცებას, რომ გათანგულობა, ეშმაკეულითა თუ ქაჯემით მეპყურობილობა ცალკეული ინდივიდებისა ახალი გამოკვლევებით არ დასტურდებათ. ამაოდ ცდილობს თანამედროვე მეცნიერება იმის მტკიცებას, რომ მდგომარეობა, რომელმიაც ეგრძელ წოდებული სატანის მონები ვარდებიან, სინამდვილეში გონიერივი მომლილობის შედეგია, — ვკლესია არაფრად აგდებს მედიკოსებსა და მეცნიერებას. თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად კი მოგვითხრობს ისეთი შორეული წარსულის შემთხვევებს, რომ მათი შემოწმება, სამწუხაროდ, ჟავე შეუძლებელია.

ამბობენ, რომ გათანგულობის წყალობით ეშმაკეული მართლაც ჭეშმარიტად ფენომენალურ რამებს ახდენდნენ.

ღვთისმეტყველთ რომ ვერწმუნოთ, ეს ამბავი დაწერილებით აქვთ შესწავლილი და თურმე ასე ხდებოდა:

ეშმაკი ადრე დილით ესტუმრებოდა იმ პირს, რომლის გათანგვაც პქონდა განზრახული. ამისათვის იღებდა ჩახევრად მხეცის და ნახევრად ადამიანის სახეს, მაგალითად, ძალლ-გაცისას ან გომბეროს-სახე კაცისას. როცა უბედური მსხვერპლი შიშისაგან ეონებას კარგავდა და გაშეშდებოდა, ეშმაკი თავისუფლად უძრებოდა თურმე პირში.

„გათანგულის სხეულში რომ დაისადგურებს, — წერს ეკლესიის ერთ-ერთი ავტორიტეტული მამა, ეპისკოპოსი სეგიური, — ეშმაკი ხდება მისი სრულუფლებიანი პატრონი. ჩხვლეტს უბედურს, ესერავს გელს, უტრიალებს შიგნეულს და ყოველნაირი ღონისძიებით აწვალებს. ამავე დროს გათანგული გამოსცემს უსაშიშლებს სუნს: ეშმაკეულს, ავი სულით შეპყრობილს გოგირდის ან ბებიერი ვაცის სუნი სდის და გარემოს აყროლებს. ზოგჯერ — უფრო ხშირად ეს ქალებს მოსდით — ეშმაკი თავის მსხვერპლს აიძულებს



გაღმოანთხოოს უსაშიშლრესი ლანდღვა-გინება. ზოგიერთ გარემო გელს ჰაერში აიტაცებენ და ჯოჯოხეთში მიაქროლებენ, ზადაც შეწრიუნებული შესცეკრიან დაწყეველილ სულთა ტანჯვას. სხვა გათანაგულებს ავსული ცხოველებად აქცევს, ხანაც ხეებად და ნაყოფად. გაშმაგებული ეშმაკი ზოგიერთ ებედურს ფერფლადაც კი აქცევს. მაგრამ ზოგიერთის სხეულიდან ხერხდება ეშმაკეულის განდევნა ლოცვა-კურთხევითა თუ ნაკურთხი წყლის შემწეობით. ბევრი გათანაგული საზიზდარ ქვეწარმავალთა და გვამთა გვერდით ცხოვრობს. მათ შორის ისეთებიც მოიძებნებიან, რომელთაც სული საკუთარი ნება-სურვილით მიპყიდეს ეშმაკს და სისხლით მოაწერეს ხელი ხელშემრულებას. ეს უბედური წინასწარვე არიან განწირულნი მარადიული წამებისათვის. დაბოლოს, არიან გათანაგული, რომელიც არავითარ ტანჯვას არ განიცდიან; ასეთები წყვდიადის მეუფის მფარველობით სარგებლობენ. ეშმაკი მათ იცავს, ასწავლის ოქროს კეთებას, უხსნის მომავლის საკვალოებსა და ქვესკნელის საიდუმლოებას, აგრეთვე ანიჭებს უნარს მოახდინონ სასწაულები — რა თქმა უნდა, არა წმინდა, არამედ ჯადოქრული და შავი მაგიით ნაკარნახევი. ეშმაკის კერძთა სულიც სამედამოდ განწირული და დაკარგულია⁴.

კაპერნაუმელი ბნელიანი უთუოდ ყველაზე უფრო მავნე ეშმაკის მსხვერპლი იყო. სინაგოგის იატაკზე იგრიხებოდა, ურიგოდ ღრეულა სახსრებს და თან გოდებდა უმსგავსოდ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს აბატი ფუარი და მე ვინა ვარ, რომ მისი უარყოფა ვცადო!

ეს ბორგნეული შეუმჩნევლად შეძერა სინაკოვაში ხალხთან ერთად, და იყო თავისთვის მყუდროდ, მაგრამ ეტყობა, მტრედის შვილის სიტყვას ვეღარ გაუძლო, აღელდა და თავისი თავი გასცა, რადგან მის არსებაში შეკრილ ეშმაკზე ქრისტეს ქადაგებამ დამღუპველად იმოქმედა. ბორგნეულმაც მეტი ვეღარ ითმინა, სამსართულიანი გინება მიაყოლა თავის გოდებას და დასწულება ტკბილოებარი მქადაგებელი, თან ყველა მიწიერი ცოდვა აქციდა თავისი შეკრით. ბოლოს და ბოლოს, დამაშავე ეშმაკი იყო, მას რა ბრალი მქონდა? ეწმინდეური სული შეტყველებდა მისი ბავით.

პირველად ბორგნეულის სკანდალურმა საქციელმა ყველა აღაშფოთა, მაგრამ გაიგეს, ვისთანაც პქონდათ საქმე და თანდათან დაწყნარდნენ: ჯერ ერთი, ბორგნეული თავისი სიტყვისა და საქციელი -



საოცის პასუხს არ აგებდა, მეორეც და სანახაობა საქმაოდ თავისტარულად ქცევი იყო. ეშმაკისა და წინასწარმეტყველის შეხვედრაზე დამტკიციათოდა რესო რა უნდა იყოს? ვნახოთ, ვინ ვის.

იქსო, თავით ფეხამდე ღმერთი, თავის გამარჯვებაში წინასწარ იყო დარწმუნებული. ჯერ აცალა ბორგონიულს, შემდეგ კი მოითხოვა, ასლის მომგვარეოთ.

— რა გინდა? — ჰკითხა შტრედის შეილმა კაცს, რომლის სხეულშიც ბოროტი სული სახლობდა.

— მოგვმორდი და მოგვასვენე, აი, რა გვინდა! — უპასესა ბორგნებულმა. — რა გესაქმება ჩვენთან, იქსო ნაშარეველო? ჩვენს დასაღუპავად მოხვედი? ვიცი, ვიცი, ვინცა ხარ — ეფლის წმინდანი ხარ! („რაი არს ჩვენი და შენი, იქსო ნაშარეველო? მოხრულ-ხარ წარწყმედად ჩვენდა...“).

ეშმაკეულის აღიარება იქსოს სასიამოვნოდ უნდა დარჩენოდა: ამით დაამტკიცა მისი ღვთაებრივი ჩამომავლობა. ღვთისნიერი ოეოლოგები ამას თავისებურად სხინან: სატანამ განგებ შეაქო ქრისტე, შეშინებულმა, მსგავსად მონისა, რომელსაც მფლობელი მათრაპითა სცემს, ის კი თავის მფლობელს ადიდებს, იქნებ შემიწყალოს და მომეშვასო.

იქსომ ასეთი მლიქვნელობა მაინც არ გაიკარა. პირდაპირ ბორგნებულთან მიერიდა და მის სხეულში ჩასახლებულ ქაჯს დაემუქრა:

— გაჩუმდი და განვედი მაგისგან!

„და დაძსცა იგი სულმან მან არა-წმინდამან, და ხმა პყო ხშითა დიდითა და განვიდა მისგან“ (მარკოში, 1, 26).

ეს სანახაობა უთუოდ უცნაური უნდა ყოფილიყო.

უბედურს ლამის ყები ერთომ, ეშმაკი რომ გამოუშეა. ძლივს გამოეტია უკეთური. მაშინვე ადგა და ჩამოვდა, თითქოს არაფერიათ. ამდენი ხანი სახლობდა მის სხეულში ავი სული, მაგრამ წაგიდა, განქარდა და კვალიც არ დაუტოვებია.

დამსწრეთა აღტაცებას საზღვარი არა პქონდა. უბრალო ჭადო-ქარი უგონათ იქსო კი არა, ერთბაშად დიდ სასწაულომოქმედად იქცა.

ებრაელებს უთვალავი ბორგნეული პყავდათ, და მათს განკურნებას მოვლი ცერემონიები ესაჭიროებოდა, იქსოს არაფერი არ დასტირდა, ერთი ღვთაებრივი სიტყვის გარდა: „განვედი მაგისგან!“.

მაგალითად, იოსები მოგვითხოობს, ეშმაკი ცხვირიდან გამოპ-

ყავთო ჯადოსნერი მცენარის ბეჭდისმაგვარი ფესუის შემწეულის.
ასეთ შემთხვევებში ბორგნეული მიწაზე გორაობდა, ხელი უშაკა
განშემო რყალად ჩამორიცებულ წყლით საკე ჭურჭელს აპირქვა-
უბდა — ნიშნად იმისა, რომ სხეულიდან გამოვიდა.

ამრიგად, იესომ წვეულებრივი წმინდა რიტუალის დაუხმარებ-
ლად განდევნა ემძაკეული. ორიოდე სიტყვა და მორჩია. მკურნალო-
ბის მეთოდი მეტისმეტად უბრალო იყო, მაგრამ სწეული საუხებით
განიკურნა.

სამაგიეროდ ხალხი მოიცავა გაოცებამ.

„ეს რა არის? — ეკითხებოდნენ ერთიმეორეს. — რა მოძღვ-
რებაა ასეთი, ავი სული რომ ემორჩილება?“ („და დაუკარდე-
ბოდა ყოველთა, ვიღრე ერთიერთას, და იტყოდეს: რამე არს მოძ-
ღვრება ესე ახალი, რამეთუ ხელმწიფებით სულთაცა არა წმიდათა
უბრძანებს და ერჩიან მას?“ — მარკოზი, 1,27).



რაჭაელი. ურბების გაშევითა.

სასახლის ჩანა

და კითარ შემცირდებოდა და მხე დამ-
ვიდოდა, მიპყარდეს მისა ფოველი სწერდა
და ეშმაკეული.

და ფაფელი ქალაქი შეკრძალ იყო ჭირაშე
კართა.

და განკურნია ფოველი ბოროტავან სკო-
თა და თავით-სახეობავან სწერდებათა, და
ეშმანი მრავალი განასინა, და არა ჩტევას-
და სიტყვად ეშმაქთა მათ. რამეთე იკოდეს
იყო, კითარმედ ქრისტე არს.

და განთიაზ რიერაქი იყენ აღადგა და
გამოკვადა მეურ და განკედა უდაპირისა აფ-
გალსა და მუნ იღილებადა.

მარჯორი, I, 32-35.



სე ერთბაშად მოიპოვა ქრისტემ ღიდებული:
რეპუტაცია, ყოველ შემთხვევაში გალილეის
მიწა-წყალშე მაინც.

მაგრამ ჩენი ღმერთი ისეთი ვიწრო ვა-
ქანებისა როდი იყო, რომ ამ მცირედია
დაქმაყოფილებულიყო. მით უმეტეს, რომ მთელი გუდა სასწაულები
ქვრნდა.

როგორც კი აღთრთოვანებულ კაპერნაუმელთა თანხლებით იესო
სინაგოგიდან გამოვიდა, მისკენ ქვასავით გაემურა სიმონ-პეტრე-
ქვა, და ისე შეპყვირა, რომ ყველას გაეგონა:

- უფალო, უპედურება მოხდა!
- რა იყო? — იყითხა იესომ.
- ხომ იყი, უფალო, რომ ჩემი ოჯახი ბეთსაიდში ცხოვრობს?



- ვიცი.
- ჩემი ცოლის ოჯახი კი აქ ცხოვრობს.
- პო, მართლა, მაგონდება: შენ მითხარი, კაპერნაუმელი ქალ-წელი ვითხოვეთ... პოდა, რა შეგვმისხვა, მეგობარო, არ გამოგადგა?
- ახლა იმისი დარღი არა მაქვს.
- მაში ვისი?
- ჩემი სიდედრისა. სადღაც ხურვება შეყრია და ვაი თუ ყორედაიტანოს.
- შენი სიდედრია?
- დიახ, უფალო.
- ვერაფერი გამიგია. სიდედრისათვის იკლავ თავს? უცნაურია...
- სულაც არაა უცნაური, უფალო! ჩემი სიდედრი — სიდედრია შორის სიდედრია, ჰემიარიტი საუნჯე.
- მაში ისეთი სიდედრია, სხვა სიდედრებს არა ჰგავს?
- სწორედ ასე გახლავთ, უფალო. კეთილი მოხუცი ქალია, ერთობ ძეირფასი. თუ ჩემი სიკეთე გინდა, განკურნე.
- უარს ვერ გატყვეო, ჩემო პეტრე. წამიყვანე შენს ფენომენალურ სიდედროან.

სიმონ-ქვას შეორედ მიპატიუება აღარ დასჭირდა, მაშინვე გაუძლვა სახლისაკენ, მასწავლებელიც უკან გამყვა.

მალე სახლში შევიდნენ კიდეც. უბრალო ქოხი იყო, სახლი კი არა. სიდედრი დარიბულ საწოლზე იწვა და მოდავდა: ხურვებას მართლაც ხელი დაერია.

იქსო რომ იხილა, დედაბერმა ისეთი სრსულელეების როტვა დაიწყო, რომ ყურებს დაიცობით, მაგრამ მირონცხებულმა ამას ყურადღება არ მიაქცია. საერთოდ, გულკეთილი და სათნო ადამიანი იყო იქსო ქრისტე.

— ხელავ, აღარ იცის, რას რომაეს, — თქვა იონას ერთ-ერთმა შვილმა. — მაგისი ციებ-ცხელება ყველას გვაშფოთებს. ისეთ რაზე-ებს ბოდავს, რომ წმინდას აქ არ გაეჩირება. ასეა დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე.

— დიახ, აქ დამაფიქრებელი ამბავია, — დაუდასტურა მეოვე-ზეს იქსომ.

ავაღმყოფს მაჯა გაუსინჯა და მერე ისევე მიმართა, როგორც უწმინდეურ სულს სინაგოგაში:



— ხურვებავ! რისთვის შესახლებულხარ ამ ჩინქეული ჭალის სხეულში?

მაგრამ ხურვებას, ეტყობა, სმენა პლალატობდა, ავსულიტით ან უტრიციდა ენა, ამიტომაც დუმდა, პასუხს არ აძლევდა.

— ხურვებავ! ხურვებავ! — გაუმეორა იქსომ. — რას დუმხარ? ვერა მხედავ, ვინა ვარ? აბა მოშორდი ამ მანდილოსანს! აითრიე წელი!

ამ სიტყვებზე სწორებ ხელი ჩავლო, ასწია და თავისი ერთი შეხებით მომავდავს სიცოცხლე დაუბრუნა, მოასულიერა, ღონე მისცა („და მოვიდა და უპყრა ხელი მისი და აღადგინა იგი და მეყ- სეულად დაუტევა იგი მხერვალებამან მან, და აღსდგა და მსა- ხურებდა მათ“ — მარკოზი, 1,31).

ამრიგად, ხურვება იყო, მხერვალება თუ ციებ-ცხელება, თვალ- სა და ხელს შეა გაქრა, მაქას სულიერი გადაიკარგა და ჩვეულებ- რივი სისუსტეც კი არ დაუტოვებია, როგორც ასეთი მძიმე სწორე- ბა უტოვებს ხოლმე ავადმყოფს. სიმონ-ქვის სილედრი წამოხტა და მკვირცხლად გავარდა სამზარეულოში, რომ ღუმებლზე შემდგარი ბულიონისთვის ქაფი გადაედო.

კიდევ რამდენიმე წუთიც და ჯანმაგარი სილედრი ჟკვე სუფ- რას მლილა. რომ თავის მკურნალსა და მის მოწაფეებს გამასპინ- ძლებოდა.

ეს ჟკვე მეორე სასწაული იყო, შედიზედ მოხდენილი. კაპერ- ნაუმელები გონს მოსვლას ვერ ასწრებდნენ.

— უფალო, განა ეს შესაძლებელია? — მასლაათობდნენ ნათ- ლიები. — ეინ არის ეს კაცი ამისთანა, თავისი ერთი სიტყვით რომ აქრობს სენსა და ეშმაქს?

— ნაშარეველი ჯადოქარია, მოყვარევ! დიდი მოწყვალე საბა- ოთი...

ახლა ჟკვე ისე უყურებდნენ იქსოს, როგორც პირველი კლასის ჯადოქარს, მაგრამ ის კი არ იცოდნენ, რომ თავის სასწაულებს ის უმაღლოდა დეთაებრივ ჩამომავლობას. ახლა კიდევაც რომ აეხსნა, მამაჩრემი ციცური მტრედიაო, აღარავის არ გაჟირდებოდა.

ასეა თუ ისე, ავადმყოფების ყურამდე ყოველი მხრილან მოდი- ოდა სასწაულების ამბავი და სიხარულით ლოგინებში სტადიუნ, შფოთავდნენ, დაიმედებულნი, რომ დაბოლოს მტანჯვლ სატკიცარის თავს დააღწევენ.



მაგრამ იმ დღეს შაბათი იყო და დაღამებამდე დაცდა მოუტყოფა არა რადგან ეს ისეთი დღეა, რომ ებრაელს უფლება არა აქვთ წალი ძოში! კუში გაისწოროს, კანონის მიხედვით მუშაობა იყრიბალება და ესეც ხომ მეშაობაა!

სამაგიეროდ მზის ჩასვლისთანვე კაპერნაუმის ქეჩები ხეიბართა ბრძოებით აიგო. მოქალაქეებს ჯერ არასოდეს არ ენახათ ასეთი პროცესია. თითქოს ერთბაშად აღმოჩნდნენ რაღაც მახიჯოთა სამეფოში!

ციებიანები მთელი სხეულით ცახცახებდნენ, ბორგნეული და ბნედიანი ეპილეფსიური შეტევებისაგან იყრუნჩებოდნენ, გიები მანტვა-ღმეცით ქალაქის ბავრებს სიცილით ხოცავდნენ, უმრავ-ლებობა კი საშიზღარ წყლულებსა და მახინჯ სიმსივნებს აჩინდა. წმინდა ვიტის როკვით შეცყრიბილი ჩეხედური სნეული ამაზრზენ ფერზულში ჩაბმულიყვნენ და ისე ტრიალებდნენ, რომ მნახველს თავბრუ დაეხვეოდა. იქვე ურიკებით მოძყავდათ დამბლადაცემულები, რომელთაც მოძრაობის უნარი არა ჰქონდათ. ქარავანს აკლუნენ მხოლოდ თავმოკვეთილი, რომელთაც საკუთარი თავები იღლიის ქვეშ ექნებოდათ ამონირილი.

შალე სნების მორევი სიმონ-ქვის ქოხშახს შიადგა და წალეკვით დაუმუშარა, თუ სატკივარს არ ეშველიდნენ. ყველა ბორგნეულმა იკოდა, რომ დიდი მცურნალი ამ სახლში იმყოფებოდა.

— ჩაბი! ჩაბი! — უხმობდნენ ხეიბრები. — შეგვიძრალე ტანკული და დაღდასმული! უსაშეველე ჩვენს სატკივარს!

იქსოს ბევრი ხვეწნა არ დასჭირდა. რაკი სასწაულის მონაცემები ასე გაიწაფა, ხელის აქნევის მეტი არაფერი უნდოდა, უარის თქმა პირდაპირ ხალხის გაწმილება იქნებოდა.

პაციენტები რიგში ჩააფენა და დაიწყო მიღება.

ხელს შეახებდა, სიტყვას იტკოდა, არჩენდა — ამაზე იოლი გზა მედიცინამ არ იცის.

როცა ბორგნეულის რიგი მოვიდოდა, იქნი ეშმაკეულს უბრძანებდა, დატოვე ეს სხეულია! უწმინდური ამ ბრძანებას ისეთი გინებით შეხვდებოდა, რომ მელოტსაც კი თავზე თმა ყალყზე დაუდგინდოდა, მაგრამ მეტი ჩა გზა ჰქონდა, საიმედო ბუნაგს ტოვებდა და პირიდან ან ნებტოვებიდან ამოძვრებოდა, თავის კოჯორეთს მიაშერებდა. ამასთან ეშმაკი არ ივიწყებდა შეძაბლის:

— ანგელოზმა წაშილოს, თუ ვტყურდე: ძლიერი ვინმე ყოფილ-

ხარ, რომ ერთი სიტყვით მაიძულე დამეტოვებინა ჩემი ბინა შემარტინი მარიტად, შენ უპრალო წინასწარმეტყველი კი არა ხარ, არამედ ღმერთის შეიღლი!

მთარული სიტყვა ჰქონას არ კარგავდა ეშმაკის კომპლიმენტი-სათვის. პირიქით, ნაწყენიც კი რჩებოდა, რომ უწმინდურნი ასე უტიფრელად ამეღავნებდნენ მის ღვთაებრივ ინკოგნიტოს. სახარება ხაზგამით აღნიშნავს, რომ იქვთ ემსუქრებოდა ეშმაკებს, უკრძალავდა მათ ღვთაებს იმის თაობაზე, რომ ის იქვთ ქრისტეა.

ერთი შეხედვით ეს უცნაურია, მით ემეტეს, რომ თვით ქრისტე არაერთხელ აღიარებდა თავის ვინაობას, მაგრამ კაცი თუ დაუფიქრდება, ასეთი აკრძალვა სრულიად ღოვიყერია.

თავს რომ უბრალო მოკვდავად ასაღებდა, ამით იქვთ აოცებდა თანამედროვებს, როგორც უებრო და სწორუპოვარი მკურნალი, და თუ ყველა დარწმუნდებოდა, რომ ის ღმერთია, ასეთი სასწაულები არავითარ სარგებლობას არ მისცემდნენ, არც სახელს მოუხვეჭდნენ. იმისათვის, ვინც შექმნა სამყარო და ადამიანი, ციცქანის მიაჩინა ან მიუდე ხერხემლის გასწორება რა ისეთი გადასარევი სასწაულია?

მირონცხებული მეკურნალობდა მთვლი ღამე. გათვენებამდე უკან არ დაუხვევა არც განსაკუთრებით რთული შემთხვევების წინაშეც რა უიმედო ხეიბარიც არ უნდა მისულიყო ან მიეყვანათ, ხელის ერთი შეხებით კურნავდა, ხელის ერთი გაშეერთ სწელება ქრებოდა, კეტი ფეხზე დგებოდა.

სასწაულების ასეთი სიუხვე სავონებელში აგდებს ევანგელისტ მათეს. წამოიჭრა საკითხი: რა უყო იქსომი იმ უთვალავ სწელებას, რომელთავალაც ეს ხალხი მთარჩინა? მათე იმ დასკვნაშე მივიღა, რომ ციცქანმა მეკურნალმა ყველა ეს სენი თავის თავშე აიღო.

მართლაც, იმ ერთი დღის ყველა სასწაული იყო აღსწელება ისაია წინასწარმეტყველის სიტყვებისა, დავიშოწმოთ მათე: „და შეახო ხელსა მისსა და დატევა იგი მხერვალებამან. აღსდგა და მსახურებდა მას. და ვითარა შემწუხრდა, მოძვეარეს მას ეშმაკეულები მრავალი და განასხა სულები იგი სიტყვითა, და ყოველი, რომელი ბოროტად სწელ-იკუნეს, განკურნნა. რათა აღესრულოს თქმული იგი ისაია წინასწარმეტყველისა, რომელ სთქვა: მან უძლურებანი ჩვენი მიხედნა, და სწელებანი ჩვენი იტვირთნა“ (მათე, 8, 14—17).

როგორც ცნობილია, იქვთ ქვეყნად იმისათვის გამოცხადდა,

რომ კაცთა მოდგმის მთელი სატკივარი და ცოდვა-ბრალი იტენი-
თოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ ჩვენგანს პირვეულზე დღიუ-
ცოდვა ამძიმებს, ადამისა და ევას ჩადენილი, მიწიერს მისამართის
რომ ვაშლი შექამეს, მამალმერთის უსახტიკესი აკრძალვის მიუხე-
ლავად. მაშინ ღმერთმა იყლოვამ უთხრა:

— თქვენ ცოდვა ჩაიდინეთ. პოდა, ამიერიდან რომ ჭიუა ის-
წავლოთ, მთელი თქვენი მოდგმა დაიტანჯება სწეულებებით, რო-
მელნიც აქამდე არ იცოდით. რაც მთავარია, ამიერიდან ყველანი
მიკვედებით, იმის ნაცვლად, რომ ისარგებლოთ მარადიული ხასუ-
ფელის ნეტარებით.

ამ დებულებიდან და ვითარებიდან გამომდინარე, ებრაელები
ყოველ სწეულს უყრებდნენ, როგორც ადამიანს, რომელიც პირ-
ველი შეცოდებისათვის ღმერთს დაუსჯია.

ამიტომაც ალალი მოწმუნის პირველ ნიშნად უნაკლო ჯანმრ-
თელობა ითვლებოდა.

აი, რატომ მიპყო ხელი იქსომ სწეულთა განკურნებას. ამით
სომ მათს სულებსაც ისხსიდა შეცოდებისაგან!

როცა უკანასკნელი დაურდომილი წავიდა და სიმონ-ქეის კარ-
თან ზედმეტი ბარგი — ყავარჯენი დააგდო, უკვე თენდებოდა. იქსოს
მოელი დამე თვალი არ მოუხსეავს. ადგა და შძინარე კაპერნაუმი
გაიარა, განმარტოებულ ადგილს ეძებდა, რომ დიღის ლოცვა შე-
ესრულებინა.

მაგრამ ეტყობა, სჯულის წიგნში ეწერა, რომ იმ დღეს ერთი
წელის მოსევნება არ ექნებოდა. როგორც კი კაპერნაუმია თვალი გა-
ახილა, ჩველა მოქალაქე მხსნელისა და მეტერნალის საძებნელად
გაეშერა.

განსაკუთრებით დაუაცერდა სიმონ-ქეა, იგივე პეტრე, აგრეთვე
სხვა მოციქულები. ისეთი გულმოდგინება გამოიჩინეს, რომ ფიქრში
ჩანთქმული იქსო იპოვეს კიდევ.

— გიხარიდეს! — შესძახეს. — ასლა ყველაფერი მოგვარებუ-
ლია. შენს დიდებას წინ ვედარაფერი დაუდგება. შენმა სასწაულებ-
ში თანამირზეთა მოელი ბრძოლი ფეხზე დააყენა. ხალხი ჯგუფ-
ჯგუფად დაგეძებს და ასალ სასწაულებს ითხოვს.

— არა, ამჯერად კმარა, — მოუჭრა იქსომ. — კარგი რაზ
ცოტ-ცოტაობითო! მერე და კაპერნაუმელებს ისედაც ბევრი პატივი
ხვდათ წილად, მე ხომ მარტო მათთვის არ გამოვცხალებულვარ დე-



დამიწაზე! სხვა ქალაქები და სოფლებიც არის ქვეყნად, ჩემი და შარება რომ ესაჭიროებათ. დროა გზას გაეუდევთ.

ძლიერ მოასწორო ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ მოწაფეები მიმდინარე კვალიზე წამოსული ბრძო თავშე წაადგა. იქსო ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. არწმუნებდნენ, კაპერნაუმში უკი- თხესად იქნებით, ვიდრე საღმე სხვაგან, კარგ ბინას მოგცემთ, საჭმელ-სასმელს არ მოგაყლებთ და საერთოდ თავს ისე იკრინობ, როგორც თვეზი წყალში.

განსაკუთრებით დაქინებით ქალები ეკედრებოდნენ. არ დაწინე- ნილა ერთი კაპერნაუმელი ლამაზი ქალი, რომ მისი ცთხნება არ ეცადა. ცბიერი ღიმილით, თვალის ჩაკერით, ხელის შეხებით და რით არა ცდილობდნენ მისი გულის მოგებას, მაგრამ ღმერთს ერთ ქალაქში ვინ გააჩერებდა!

— აი, ნახავთ, რაბი, როგორ ზრუნვაში გვეყოლებით, ნიავს არ მოგაყარებთ.

— ცხოვრება თაფულად მოგეჩვენებათ, ისე ედარლელად გამ- ყოფები!

— სხვა ქალაქებში შეიძლება უზრდელი და უშეცარი ვიზუე გამოჩინდეს, როგორც ნაზარეთში, შეერაცხულფა მოგაყენონ, აქ კი...

— გაგანებივრებთ...

— მოგივლით...

— ხელის გულზე გატარებთ..

— პატივს არ მოგაყლებთ...

— გვეყვარებით...

— დიახ, დიახ, ყველანი შეეგიყვარებთ.

იქსოს გული აუჩვილა ამდენმა ხევწნა-მუდარამ, მაგრამ რო- გორც მოგეხსენებათ, ბინადარი ცხოვრება მას არც მოსწონდა და არც ხელს აძლევდა („ქრქვა მას (მწიგნობარს) იქსო: მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიღრიკოს“).

— ძვირფასებო, — გაეხურა ლამაზ კაპერნაუმელებს. — თქვენ მართლაც კარგები ხართ და არა მგონია საღმე სხაგან ვი- პოვო ასეთი გულითადი მიღება. სიამოვნებით დავრჩებოდი თქვენს სტუმართმოყვარე კაპერნაუმში, მაგრამ აფსუს! ჩემი ვალი მომიხ- მობს, ჩემო კრავებო! მე მოვალე ვარ ჩემი მცირე ნიჭი და უნარი

სანთლად ავენთო, მტლად დავედო იმას, ვისაც ესაჭიროება, ვისაც შეუძი აკლია. ამიტომ გთხოვთ მაპატიოთ.

იქსოს გადაწყვეტილება მტკიცე იყო და არაფიცარ შოთერისებას არ შეეძლო მისი შეჩერება.

კაპერნაუმელ ნათლიებს, განსაკუთრებით მდიდარ მედუქეებს შემთხვევით კი არ უნდოდათ იქსოს შეკავება. შესანიშნავად ესმოდათ, რომ ქრისტეს სასწაულების ამბავი სწრაფად მოედებოდა ქვეყანას და ყოველი მხრიდან მოაწყდებოდნენ სტუმრები, და კაპერნაუმი მალე იქცეოდა ტიბერიადის ტბის თვალად, მოელი მხარის ყველაზე უფრო კეთილმოწყობილ ქალაქად. ქრისტე რომ კაპერნაუმში დარჩენილიყო, ქალაქის მომავალი ნამდვილად უზრუნველყოფილი იქნებოდა. ეს ყოველ მოქალაქეს ესმოდა. მამაკაცები ჩავთ ოცნებობდნენ სასიამოვნო გარიგებებზე, ქალები კი წინასწარ ტკბებოდნენ მომავალი გამარჯვებებით, ფიქრობდნენ ზღიდრულ საღილებზე, შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულების მიერ დატოვებული ბრილიანტის ფარდულებზე.

ყველაფერზე უარის თქმა მოუხდათ. მათი ყველა იმედი დაიფშვნა, როგორც ბანქოს სახლი, როდესაც იქნომ ფიცი დადო, არასოდეს არსად არ მექნება მუდმივი თავშესაცარიო. ამის შემდეგ გამოემშვიდობა მოქალაქეებს, მოხდენილი მანერებით დაპირდა, კიდევ გინახულებთო, და წავიდა (მარკოზი, 1).*

* საბედნიეროდ, ევანგელისტის „მიგნება“, ყველა განკრიბელი კაპერნაუმელის ვიზი და სწება იქნომ თავზე ოცოხ, ცარიელი განცხალება აღმოჩნდა, თორებმ ბორგეული, ციებიანი, წალულებიანი ხეზარი ქრისტე ნაბისაც ვერსაით გადალგამდა და ჩვენი წიგნიც აქვთ გათავდებოდა. ქრისტე ეწამა ერთი დიდი სატკირით — ფარცმით, და ყოველგარი სწების მიწერა — თეორიული განვითალებაა.

თევზის შერის სასწაული და გამრავლება განკურნებაში

მიუღო სეიმინ და პრეზა: მოძღვანი ღამე
ყოველ დაქმცევით და არა რა მოვიღო.
ხოლო სიტყვითა შენითა გარდაუტყვიო ბაჯე.
და აპა ესერა ჰქონე, შეაყენეს იდეზისა
ს მომავლე ჯილი, და განსაქდებიანეს ბაჯე-
ნი მათნი.

და წამ-უყოფეს, რომელი იგი იყვნეს
ურთსა მას ნავსა, რათა მოვიღონ და შეეწი-
ნენ მათ, და მოვიღოს და აღავხნეს ორნივე
იგი ნავნი, ვიდრემდე დაინთემიდეს იგინი.

და ვითონცა იხილა სეიმინ პეტრე შე-
უძრდა მუხლა იქსოვთა და პრეზა მას: გან-
ვდე ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი გარ,
ვალა.

რამეთუ განკურუებაში შეიძურა იგი და
ყოველი მისომანი ნადირობაშა მას უკუ-
ზისასა, რომელი შეაცეცეს.

ეგრეთვე იაკობ და იოანე, ქრისტეს-
ის, რომელი იყვნეს ზორნი სეიმინისნი.
და იგი პრეზა სეიმინის: ეს გემინი, სვა-
მან, ამინისოგან იყო კაცა მინაღირე.

ცეკვა, 5, 5-10.



აპერნაუმიდან წასული იქსო ტბის სანაპი-
როებს აძყვა ჩირდილოეთისაკენ და გაჩერ-
და პატარა სოფელ ბეთსაიდში, საიდანაც
იყვნენ წარმოშობით მისი პირველი მოწა-
ფები.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ იორდანის სანაპიროზე იქსომ გამუნი
მეოუეზე სიმონი, რომელსაც უწილა პეტრე ანუ ქა. აურიველი მისი



ძმა ანდრია, მომავალი პირველწოდებული, — იონას შეტარები. იქვე გაიცნო ითანე, ზებედეს შვილი და ნათანაილი, ზარ-თოლმეტის შვილი (აქედან ბართლომე), აკრეთვე ყველანი, ბართლომეს გამოკლებით, ბეთსაიდელები იყვნენ, უბრალო მეთევზეთა ცხოვრების ჭაპანს ეწეოდნენ.

მასწავლებელს რომ მშობლიურ სოფელში ეპატიუებოდნენ, პირველ მოციქულებს იმედი ჰქონდათ, რომ იქ ახალგაზრდა თანამზრას გველებს შემოიკრებდნენ და მოწაფეთა დასს გააძლიერებდნენ. ყმაწვილ ითანეს, მაგალითად, უფროსი ძმა ჰყავდა. „წმინდა წერილი“ მას იაკობ დიდს უწოდებს. მასთან ბევრი ლაპარაკი არ დასკირდათ, მაშინვე თანხმობა განაცხადა. ითანეში მარჯვედ დაუხატა მოარეულ გლახაკთა ცხოვრების სიამენი, დაარწმუნა, რომ სახელდიდება ელის ყველას, ვინც მათ მიემხრობა, და ასე მოაქცია ძმა.

ახლა იქსოს უკვე ექვსი მოწაფე ჰყავდა. მცირეოდენი დრო ბეთსაიდში გაატარეს და ეს მცირე დრო არაჩვეულებრივი მოვლენით აღინიშნა.

მოსახლეობის სიმრავლით ბეთსაიდი გაპერნაუმს ვერ შევდრებოდა. თანაც ეს იყო მთელს ტბაზე უღარიბესი დასახლება. საერთოდ, ქრისტეს მოწაფეები უყვლანი ღატაკები იყენენ, სულ იქით არაფერი გააჩნდათ. განა ღარიბთა მგმობელნი ვართ, მათი მასწავლებლის სარწმუნოებას რომ ვიწუნებთ? არა, პატიოსანი მშრომელები იყვნენ, მხოლოდ თვეზის ჭერით ირჩენდნენ თავს, ასე რომ ძლივს გაპქონდათ თავი.

ამის მიუხედავად მეთევზებს გელი მიუწევდათ მშობლიური მხარისაკენ, სადაც პირველად იხილეს მზის სინათლე. ძეველი ხელობის გახსნებაც კი მოუნდათ და მამაპაპური ბადე გამონახეს ნავში ჩასწდნენ და სათევზაოდ გავიდნენ.

სიმონ-ქვა, ანუ პეტრე, თუ ეს სახელი უფრო მოგწონთ, მთელ ამ წამოწყვების ინიციატორი იყო. ერთხელ, მწუხრის ქამს, როც გარეუბანში დასუირნობდნენ, პეტრემ თავისი კოლეგების წაქვეზებ დაიწყო:

— მომისმინე, დიდი იაკობ, — მიმართა ასალ მოწაფეს. — მოდი, დღეს ვითევზაოთ. დიღას მოძღვანს გვერდენთ, რაც ღამია დაგვიჭერია. რას იტყვი?

— ქარგი აზრია! — კვერი დაუკრა იაკობმა. — მამა ზებედე



თავის ნაცს გვათხოვებს, ბადე კი ჩემიც გამოდგება. ისეთი ცუცქა-
ლი დავახვედროთ, რომ მოძღვარმა გარჯა დაგვიფასოს. გვიპირობო
— აი, მესმის! კარგი საქმე იქნება სწორედ! ჩვენც მოვდი-
გართ! — ერთხმად შესძახეს ანდრიამ, ფილიპემ და ახალგაზრდა
იოანემ.

ბართლომეც კი, ერთადერთი მოციქული, რომელიც არ იყო მე-
ოჯვზე, სიამოვნებით შეუერთდა მეგობრებს.

საწრაფოდ შეაკეთეს, შეაკოწიწეს ძელთაძველი ბადე და ჰე-
მედეს მიადგნენ, დიდი იაკობისა და პატარა იოანეს მამას.

— გამარჯობა, მაშიკო! — შესძახა ერთ-ერთმა შვილმა. —
როგორა ხარ, მოხუცო?

— ასე, გვარიანად, შვილები!

— ჩვენ ეს-ესაა გნახეთ, შინ რომ ბრუნდებოდი. ამ ღამემი აღ-
მათ აღარ გაბრუნდები საოჯვზაოდ, არა?

— არა შეონია... თანაც ამინდი ისეთია, ზღვაზე გასვლა არ
ღირს (ასე ამაყად ეძახდნენ ზღვას ტიბერიალის ციცქა ტბას ად-
გილობრივი მცხოვრებლები). ბადე რომ ამოვზილი, უკვე ქარი ავარ-
და. ზღვა აღელდა, ზედაპირზე ტალღები ატორტმანდნენ, თევზი
დაბლა ჩავიდა, სიღრმეს მიაშერა. ასე რომ, ღამით კარგი ჭერა
არ იქნება.

— ჩვენ კი სწორედ ღამით ვაპირებთ გახვლას, ნავის საოხოვ-
ნელად ვართ მოსული, — ამოღერდა სიმონ-პეტრემ, — გვათხოვე,
მამაო ზებედე, შენი ნავი, დილას დაგიბრუნებთ.

ბიძია ზებედე ადგა, გარეთ გამოვიდა, ზღვას გახედა, როვორც
გამოცდილ მეზღვაურს შეეფერება, ზღვის მგელს რომ ეძახიან, პო-
რიშონტს თვალი შეავლო.

— რატომაც არა! — თქვა ბოლოს. — ნაცს სიამოვნებით გა-
თხოვებთ. ზღვაზე ოდნავი ღელვაა, სახეირნოდ შესაღერისი დრია.
რაც შეეხება თევზს, არ იქნება დღეს ჭერა, მეთქვას, ერთ ციმორ-
საც ვერ დაიჭერთ! ტყუილი იმედი ნე გვიქნებათ.

— ამინდი იქნება შეიცვალოს, ჭერა კი ზოგჯერ სწორედ მა-
შინაა კარგი, როცა იმედი არა გვაქვს ხოლმე.

— თქვენი ნებაა. ნავის იმედი კი მაქვს. დიდი იაკობი და
სიმონი გაუძღვიან, მოერვეიან, გზა მშვიდობისა, მეოჯვზებო! ბა-
რაქიანად დაბრუნებას გისურვებთ.

შეს ახალგაზრდა მოციქულსაც სწორედ ეს უნდოდა. მოხუცს



გულითადი მაღლობა მოასენეს და დაპირდინენ, ხეაუ, დამტკიცებული უსაფრთხოდ ნავიანად აქ გავჩიდებით, თუ ფსკერშე არ ადრინიტილოთ.

ბიძია ზებედემ ქედი გვერდზე დაისურა, ეშმაკური ღიმილით შებრუნდა შინ და მოდური ფსალმუნის გალობით ჩამოჯდა ცეცხლა-პირას.

— აი, სულელები! — შეწყვიტა ფსალმუნის სტვენა ზებედემ, მარტო რომ დარჩა. — ის ერჩიათ, მოხუც ზებედესთვის დაეჯერე-ბინათ. ახლა მოელი ღამე იწვალებენ, დასველდებიან და თავი მომცერით, თუ ერთ ბაყაყსაც კი დაიჭირენ!

ექვსი მეცობარი კი შორს იყო, ისინიც მხიარულ სიმღერას სტვე-ნლნენ, მენავეთა ძველ სიმღერას. რამდენიმე წეთიც, ღუშა ასაწეს და... იქროლე, წემო ნავო!

ნაემა კი იქროლა, თეთრი ტალღაც გადასერა, მაგრამ მოხუცი ზებედე მართალი გამოდგა. რამდენჯერ ისროლეს ბაღე, ღრმა ადგი-ლებშიაც სცადეს, მავრამ არაფერი გამოუვიდათ. შეა ტბაში ყველა იალეპანი აუშვეს, ბაღე უკანა მხარეს გადაისროლეს და წამიკიდ-ნენ — ბაღე ისევ ცარიელი აღმოჩინდა. ნაპირშე რომ გამოვიდნენ, სულ ფსკერშე ჩაუმვეს, მოზიდეს — ისევ ცარიელი ბაღე შერჩათ ხელში.

თემუა არც ასე იყო საქმე ნაპირის შელამიდან ყოჩაღმა მეთევ-ზებმა წარმატებით ამოიტანეს ორიოდე გაცვეთილი ქვაბი, რაღაც ჩერები, ორი ჩამღრძვალი ძალით და დალეჭილი ქოთნების მოვ-ლი კოლექცია.

მზე ამოვიდა და ექვსივე მეთევზე ნაპირს მიაღვა. გაწვალებუ-ლებს, დამშეულებს, სკელსა და ქაჯივით გაშავებულებს ლანა პირს არ უხსნიდა, ისე იყვნენ გაბრაზებული. ერთი ციმორი მაინც დაე-ჭირათ წამლად!

შერცხვენილები და განაწყვნებული ურთისებარეს თვალს ვერ უსუროებდნენ.

— კუბოში მინახავს ასეთი ჭერა! — ბუზენებდა დაღი იაკობი.

— თქ, იმ ბებერმა ბიძია ზებედემ თავისი საქმე იცის, — ცი-ცილსე ზეთი დაასხა ფილიპემ. — ჩვენ კი არა გეგაუს!

— რაც მართალია, მართალია, — დაუდასტურა პატარა ითანემ. — თევზაობაში მამაჩემი თავს არ შეირცხვენს, ნამდვილი ისტატია.



— ახლა მთავარი მამაშენი კი არაა, — მოუჭრა სიმონ-პეტრები, — რას გვეტყევის მოძღვარი, როცა გაიგებს, რომ მთელი გვამდინარე ტბაზე ვლაშლანდარობდით და ჩამორძვალი ძაღლების მეტი ზორაფერი დავიჭირეთ!

ვიდრე ამ სავალალო საუბარში იყვნენ, ნაპირზე მართლაც ჯამოჩნდა იქსო და ვაი-შეთვეულებს მიუახლოვდა.

— გავებით! — დამნაშავე მოწაფესავით ჩაიბრუტყუნა. ანდრიამ. — ახლა ნახეთ ჩვენი სეირი!

იქსო მოახლოვდა.

— დახეთ! — თქვა შორიდანვე. — ეს რა არის, ისევ მოგინდათ თვეზის ჭერა?

— არა, თვეზის ჭერა კი არა, — ამოღერდა სიმონ-ქვამ. — ისე, წარმტაცი ღამე იყო და ნავით გასეირნება შოგვებასიათა. თან ბადეც წამოვიდეთ, ყოველ შემთხვევისათვის... არა, თვეზის ჭერა არც გვიფიქრდა! ისე, თავშესაქცევად, ვითომც და ჩვენც შეთვეულები ვართ, ვინმე გაიცინებდა! სათვეზაო ამინდი სულაც არ არის და...

— გვედავ, გვედავ, — გაიცინა იქსომ. — თვეზის ნაცვლად ჩვრები და გატესილი ქოთნები დაგიჭერიათ. მაგრამ იქნებ შეცდით, ბადე იქ არ გისროლიათ, სადაც თვეზია? შეა ტბაში ხომ არ გადაგისვრიათ?

— როგორ არა! იხიც სამასხროდ, განა მართლა!

— არც იქ იყო? ხელი მოგეცარათ? უცნაური ამბავია. ძალან უცნაური, თუმცა სასაცილოც. სანაძლეოს დავდებ, დღეს თვეზი მოუთმენლად ელის თქვენს ბადეს: ოღონდ ისროლეთ და ისე შევსრიალდებით, როგორც საკუთარ სახლშით!

დიდმა იაკობმა თვალები ხელისგულივით მოიჩრდილა, რომ უფრო დამსგავსებოდა მამამისს ზებედეს და მცოდნესავით უპასუხა:

— მაპატიი, მოძღვარო, მაგრამ შეი ცდები. ცდი მინდია, დაღამებამდე აქ შეოვენე ვერალერს გახდება.

— ამ, მართლა? — წესახა იქსომ. — ჩამ ჩე ცდები? ვნახოთ! ახლავე გიჩვენებოთ, ვინ ცდება და ვინ მართალია! მომისმანე, პეტრე, ხომ არ განაგრძობ სეირნობას და მეც თან არ წამიყვან?

მოციქულებმა ერთიმეორეს გადახდეს. როდის ყოფილა, რომ დმერთი თვეზაობდათ? ფეხზე ძლივს იდგნენ, ესეც საქმე იყო, მაგ-

რამ არაფერი შეიმჩნიეს, რომ მოძღვარს ლაპირებად არ წავთვალა.

— ეციცუროთ! — შესძახეს ერთხმად. — ყველა თვეშაშიც დაზიან
გილზე დაჯდეს!

ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ ნაპირიდან შორს იყვნენ.
გრილი სიო ქროდა, ზღვა ოდნავ ღელავდა.

— აბა, მეცობრებო! — ბრძანა მირონცხებულმა. — ისროლეთ
ბადე!

ჩამღრძევალი ძალლების დამჭერებს საოცრად მქავე გამომეტე-
ველება ქვენდათ. შეხედაედით, შეგეცოდებოდათ. ამის მიუხედავად
დამორჩილდნენ, იმ ადამიანების იქრით, რომლებიც წინასწარვე
დარწმუნებული არიან, უსარგებლო საქმეში ვართო.

უნდა გენახათ მათი გაოცება, როცა ბადე თევზით აივსო!

— აბა, რას იტყვით? — ჰქითხა იქსომ. — რას იტყვით-მეთქი?
თქვენი აზრით ამინდი არახელსაყრელია, ჩემი აზრით კი სწორედ
ჩვენი ამინდია. გეუბნებით, რამდენჯერაც არ უნდა ისროლოთ,
დღეს ბადე ცარიელი არ დარჩება.

ღმიერთს ყველაფერი ემარჯვება. მოციქულები საკუთარ თვალებს
არ უკერძოდნენ. თევზი ნავში ჩაყარეს და ისევ ისროლეს — ბადე
ისევ სავსე ამოზიდეს. ყოველ კუთხეში თევზი ირეოდა. ბაწარი ვა-
წვევტაზე იყო.

იქვე მეორე ნავი მიცერავდა. რომელიდაც მეთევზები ხელცარი-
ელები ბრუნდებოდნენ. მოციქულებმა გადასძახეს, მოგვეშველეოთ,
და მოკლე ხანში თრივე ნავი თევზით იყო გაჭედილი.

მოციქულებისათვის ეს იყო ნამდვილი აღმოჩეადება. მოციქულებისათვის
მოძღვარს დაუნიკეს და სიმონ-პეტრემ ყველას სახელით უთარა:

— მასწავლებელო, შენ შეშმარიტად ყოვლის შემძლე უფალი
ხარ! განვედი! ჩამოგვეცილდი, რადგან ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ
მეოვეზები ვართ.

უცნაური განცხადებაა, ხომ მართალია? თითქოს მოწაფეები სი-
სარულით ცას უნდა სწორდნენ, რომ მათ შორის იყო მათი ამხანაგი,
რომელსაც უნარი ქვენდა წყალში თუ ხმელეთზე სასწავლები მი-
ეხდინა. ამის ნაცვლად მოციქულები შეიშის ზარმა მოცევა. გავ-
შორდით!

ეს ამბავი რომ ავხსნათ, ერთი ძველი გადმოცემა უნდა გავისწე-
ნოთ. ძველი ებრაელების რწმენით, ადამიანი, რომელმაც ღმერთი
ისილა, გათავებული კაცია, ამ სოფლისა აღარაა. ამიტომ შევწინ-
190

დათ პეტრეს, ზებედეს შეიღებს და დანარჩენებსაც: არაფიქტურული
სერდა სიკეთის მუზეუმი*

იქომი ისინი დამშეიდა:

— ნურაფრის შიში ნუ გექნებათო, — უთხრა.

მერე დამის მარცხი ახსენა და დასძინა:

— რავი უჩიმოდ ერთი ღერი თევზიც ვერ დაგიჭერდათ, პრიფე-
სია უნდა გამოგიყვალოთ: ამიერიდან თქვენ გაქცევთ ადამიანებსე
მონადირებად („ნუ გეშინინ, სვიმონ: ამიერითგან იყო გაღოა მი-
ნადირე“ — ლუკა, 5, 10).

ამის შემდეგ ნავი დატოვეს და სოფელში დაბრუნდინ.

მაგრამ თუ განმე გააოცა ამდენი თევზის ხილვამ, ეს იყო ბიძია
ზებედე

— იცით, ეს უკვე მეტისმეტია! — გოდებდა მოპული. — ახეთი
შერა და ისიც ასეთ ამინდში? ათასი ეშმაკი და ეშმაკუნა ყოფილა
თქენებანა! ჰეშმარიტად, ეს აა სასწაული სასწაულთა შორის!

იმ დღეს იქსოს სრული შესაძლებლობა მიეცა განენათლებინა
თავისი მოწაფეები, ისე რომ არ დაუცდია სულთა დღისათვის. თა-
ვისი ჯვარცმის მეორე დღისათვის, რათა ციურ შექს გაესხვისნე-
ბინა მათი სულები!

მართლაც, ბეთსაიდში მოციქულებმა გაიგეს, რომ ადაპიანებსე
მონადირენი იქნებოდნენ. მაგრამ სახარების ყველა კომენტატორი
იმ აზრისაა, რომ ვერც პეტრემ და ვერც სხვა მოწაფეებმა მაშინ ვერ
გაიგეს, რას გულისხმობდა მოძღვარი ამ გრძნეულ სიტყვებში.

მხოლოდ წმინდა ამბროსიმ, რომელიც წვენი წელთაღრიცხვის
პირველ საუკუნეში ცხოვრობდა, წარმატებით შესძლო სახარების ამ
აღვილის ასსნა²⁰.

* თევზაობაზე. რომელშიც იქან ჭრისტე ილებლა მონაწილეობა, მხოლოდ ერთ სახარებაშია ლაპარაკი (ლუკა, 5, 1—11). საწუნია, რომ ასეთმა სასწაულმა სხვები ვერ დააინტერესება, შენიშვნავს ავტორი. ზამა-
გიეროდ თვითონ ტაქსილი ამ ვპირობს ვრცლად მოგვიანების, იღლიდ
საყმაოდ თვითი სულად. მასი მოთხოვბის თანახმად, საქმეში ზებედე არ-
რეცლი, მოციქულები მოტცხვობენ და ჭრისტე თვითონაა თავისი მონა-
წილეობის ინიციატორი, სახარებაში კი პირიქითაა: „მიცეც სვიმონ და
მჩქეა: მოძლვარი ღმევ უკველ დავშევერით და არა რა მოვიღეო. ხოლ
სიტყვითა შენითა გარდაუტეოთ ბალე“.

„იქსომ, — ამტკიცებს ეს ამბროსი, ეკლესიის მამა, — თევზაობაში სასწაული მოახდინა, რათა მოციქულებისათვის, ერთგული რაოდენ დიდ ძალა უფლებას აძლევს, ადამიანთა სულების გამკერლობას რომ პპირდება. ეს სასწაული ხატოვნად გამოსახავდა მათს მისიას. ამიერიდან მათ უნდა მიეტოვებინათ გენესარეთის ტბა აღა-მიანთა ზღვის გულისათვის, ეცხოვრათ მუდმივ შრუნვაში და შრო-მაში, ადამიანთა ენებების ტალდებში. მათი მშეიდობიან ცხოვრება უნდა შეცვლილიყო მღელვარე და საშინელი ცხოვრებით, სამაკ-ეროდ ამისათვის ელოდაც ფასღაულებელი საჩუქარია: თავიანთ სა-ცოდავ ხელობას ტოვებდნენ გამთა სამსახურისათვის, თავიანთი ტლანქი ბადე უნდა შევცვალათ სახარების ბადით, რაც კი არ ხო-ცავს ნადავლს, არამედ, პირიქით, უფრთხილოდება და გამოყენებისათვეში საბრალონი, რომელნიც მარადიც წყვლიადში სულე-დნენ” (წმინდა ამბროსი, „ლევა”, წიგნი IV).

აი, თერმე რაში მდგომარეობს ადამიანთა დამჭერის ხელობა! ამინივად, ძვირფასო მკითხველო, თქვენი მრეველის მდვდელიც აღა-მიანებშე ნადირობს, თქვენს სულებს იჭერს. მისი იარაღია სახარე-ბის ბადე. ხოლო როცა ის რასხე უსაშინო სისულელეს ქადაგებს, საყველპერო ლათინურში და ხუცურში ვარჯიშობს, თერმე ამით მარადიც წყვლიადიდან მოქმუავნართ სინათლისაკენ, თქვენ — მისი თევზი ხართ.

სამწუხაროდ, როცა იქსომ თავის მოციქულებს უბრწყინვალესი მომავალი დაუთქმა, ციური ტკაცილი გამოუვიდა: ყველა მრ უკულ-მა მთელი სიცოცხლე სიღატაკესა და საფრთხეში გაატარა, აღსახ-რულიც სავალალო ერგოთ. ექვსი მოწაფიდან, რომლებიც თევზაო-ბაში იღებდნენ მონაწილეობას, ხუთს სასამართლომ ჩამოხრიობა მიუსაკა და კიდევაც დასაჯეს, როგორც უბრალო გამვლელები, ხო-ლო მეტესე, ითანე, შემსლილობაში მოკედა.

ასე იყო თე ისე, მეოცეწებმა ვერ გაიგეს, რანაირად უნდა შე-ეცვალათ თევზის ჭერა ადამიანების ჭერით, მაგრამ დამშვიდდნენ და ისევ აღვეხოთ გელები რწმენით. აღარავინ არ სთხოვდა იქსოს, განვეღით შორს ჩვენგან. პირიქით, თვითონვე მიატოვეს ყველა და ყველაფური, რომ მის გზას გაძყოლოდნენ.

თავისი მოწაფებით გარემოული მირონცხებული ისევ გზას გაუდგა, „და მოვლიდა იქსო ყოველსა გალილეასა, და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ჰქადაგებდა სახარებასა სასულე-დნენ”.

ლისასა და განკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურება-
სა ერსა შორის. და განითქვა ამბავი მისი ყოველსა ქვეყანასა ჩატა-
რასტანისასა, და მოგვრიდეს მას ყოველთა ბოროტად სწერლია,
თითო-სახეთაგან ხენთა და გვემითა შეპყრობილთა და ემზადეულ-
თა და ცისად ცისად გვემილთა და განრღვეულთა, და განკურნნა
იგინი" (მათე. 4, 23—24).

დავიმოწმოთ კიდევ ერთი შემთხვევა ჯადოსნური განკურნები-
სა, რადგან ამ საქმიანობას ქრისტე ჟავე ყოველ მხარეში ეწეოდა.

ერთხელ იქსო მივიდა ერთ ქალაქში, რომლის სახელი, სამწუ-
ხაროდ, გამოუკვეველი დარჩა. აქ ერთი კაცი მიუახლოვდა, მის
ფერხთით დაემხო და შევეძრა, განმკურნე.

ამ უბედურის ტანჯვა მართლაც გამოუთქმელი იყო: მის სხე-
ულს ნელნელა მუსრავდა უსაზარლესი სენი — კეთინი.

კეთინი სხეულის კანს ისე ჭამს, რომ სპილოს უხეში კანის სა-
ხეს აძლევს. ამიტომ მედიცინის მუშავები კეთინის ამ სახეობას
სპილოს კეთის ეძახიან. ევროპაში ის საკმაოდ იშვიათად გვხვდე-
ბა, სამაგიეროდ გვეიძტეში, არაბულ აღმოსავლეთში და საერთოდ
აზიაში ის ჩვეულებრივი მოვლენაა. კეთინის გამომწვევი მიზენები
დღემდე გაურკვეველია და ბუნდოვანი, ამიტომ რა გასაკვირია, თუ
ძველი დროის ებრაელები მას თვლიდნენ ციურ სასჯელად ყველა-
ზე უფრო შძიმე საიდუმლო შეცოდებისა და დანაშაულისათვის.

სპილოს კეთინით სხეულს კანი უსქელდება, ხენეშდება, სკდება,
კანქვეშა უჯრდებში გროვდება მოთვეთო სითსე ან ლორწო, რო-
მელიც თანდათანობით სქელდება და ქმნის მკვრიც ცვილისებურ
მასას. ზოგჯერ კეთინოვანის კანი თითის სისქე ხდება. სხეულება
ედება მთელს სხეულს, მაგრამ განსაკუთრებით ქვედა კიდურებს,
წივიგებსა და ტერიფებს აზიანებს. ასეთ შემთხვევაში ფეხები საზა-
რელი წყლელებით იფარებიან, დუნდებიან, მშესალ ქვას ემსვავ-
სებიან და სივდებიან უსაშეელოდ. ავადმყოფი ციებიანივით ძაგ-
ძაგებს, დაურკვებელი წყლელი ტანჯავს, სხეული უხურდება, თით-
ქმის აღარ შეუძლია ჭამა და ჯოჯოხეთური ტანჯეით თუ გადაყლა-
პავს საკვების მინიმალურ ულუფას, რაც აუცილებელია სიცოცხ-
ლის შესანარჩუნებლად. ასეთი შეტევები მეორდება ყოველ თვეში,
თუ უფრო ხშირად არა, და ყოველ შემოტევას მისდევს მეტი და
მეტი სიმსივნე. მთელი სხეული შეშეპებულია. ბოლოს გასივებული
კიდურები მართლაც ჯოჯოხეთურ ზომებს აღწევენ. ყოველივე აქვ-

დან ჩანს, რატომ იწვევდნენ კეთროვანები მუდამ ზიზღყა, ღულები
დას.

ფანატიზმი და სისასტიკე განუყრელი მეცნიერება არიან, და ამ
აზრით არც ებრაელები შეადგენდნენ გამონაკლისს. კეთროვანებს
საზოგადოებიდან დევნიდნენ, მათ აკრძალული პქონდათ იერუსალიმ-
ში შესვლა, განწირულნი იყვნენ იმისათვის, რომ ველ-მინდვრებსა
და უდაბნოებში ეხტიალათ, ხოლო როცა საჭმელი შემოაკლდებო-
დათ, მათხოვობდნენ, ოღონდ წინასწარ ქალაქის ჩაფრებს გადას-
ძახებდნენ, ახლოს შიხველა აკრძალული ქვობდათ.

გარდა ამისა, მოვალენი იყვნენ ძონძებში ეფლოთ, როგორც ნო-
ტირალებს ქელებებში, თავი დანით გადაეპარსათ, პირი სავანებებო
სახვევით შევერათ და დაუყოვნებლივი სიკვდილის შიშით შორი-
დანვე შესმიანებოდნენ ყოველ ადამიანს საძედისწერო შეძახილით:
„უწმინდური! უწმინდური! მე უწმინდური ვარ!“

ზოგიერთ კეთროვანს ერთგვარი ბეღი ქვენდა: ქურუმები მკურ-
ნალობდნენ და გაჯანსაღებას ცდილობდნენ. ლაპარაკია მცდიდრებ-
ზე, რომელთაც უცურად ეს საზარელი სენი შევყარათ. ბიბლიაში,
დვეიტელთა წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი განწმენდის ასეთი
პროცედურა.

ქურუმი და კეთროვანი ქალაქერეთ გადიოდნენ, ორი წმინდა
ბეღურისა და წმინდა წყლის შემწეობით... მაგრამ ჯობს მოვესმი-
ნოთ, როგორ ხდებოდა მოსეს კანონით კეთროვანის „განკურნება“,
რაც თვით ღმერთმა უკარნახა:

„და ეტყოდა უფალი მოსეა და პრექა: ეს არს სჯელი კე-
როვანებისა, რომელსა დღესა განწმიდნეს და მოიყაროს იგი მღდე-
ლისა მის და განვიდეს მღდელი იგი გარეშე ბანაკსა მას და იხი-
ლოს მღდელმან მან და აპა განკურნებულ არს წელება იგი კე-
როვანებისა მისგან, და უბრძანოს მღდელმან მან, და მოართვნენ
განწმედილსა მას ორნი წიწილა ცოცხალი წმიდანი და ძელი ნაძ-
ვისა და ზესთული მეწამული და უსუპი (განსაწმედელი ბალახი)
და უბრძანოს მან მღდელმან მან, და დაკლან ქათამი იგი, ერთი
ჰურელსა კეცისასა, წყალსა ზედა ცხოველსა. და ცხოველი ქათამი
იგი ერთი მოიღოს მან და ძელი იგი ნაძვისა და შეგრავნილი იგი
მეწამული და უსუპი და დააწოს იგი და ქათამი იგი ცოცხალი: სი-
სტელსა მის ქათმისა დაკლელისასა, წყალსა ზედა ცხოველსა, და აპ-
კუროს განწმედილსა მას კეთროვნებისასა შვიდ გზის და წმიდა იყოს,



და განავლინოს ქათამი იგი ცოცხალი ველად. და განირცხეს სამრუჩა
სელი თვისი (გაირეცხოს სამოსელით) განწმენდილმან მან და დაბადებული
იყვინოს ყოველი თმა მისი (მთელს ტანზე მოიპარსოს თმა) და
დაიძანოს წყლითა და წმიდაი იყოს, და ამისა შემდგომად შევიდეს
ბანაკად და იქცეოდეს გარეშე სახლისა თვისისა შეკლ დღვ. და შემ-
დგომად შვიდისა დღისა დაიყვინოს ყოველი თმა მისი, თავი და
წვერი და წარბინი მისნი და ყოველი თმა თავისა მისისა დაიყვი-
ნოს და განირცხეს სამოსელი და დაიძანოს წყლითა გვამი მისი
და წმიდა იყოს, და დღესა მერჯვა მოიძნეს ორნი ტარიგნი (კრავ-
ნი) უბიწონი...“ (წიგნი მეხამე მოსესი ლევიტელთა, თ 14, 1—8
და ა.შ., აგრეთვე მათე, მარკოზი, ლუკა). ამ უბიწო ბატქის, ცხე-
რის, ფქვილის და მნიშვნელოვანი ფულის მოტანით თავდება სწ-
ულის განწმენდა, და მთელი ეს ბიბლიურ-ხამედიცინო განწმენდა
მცირევინდება იმით, რომ მღვდელი — განწმენდელი იღებს თა-
ვის პონორას, კეთრი კი რჩება კეთრად, თუმცა განწმენდილად
ცხადდება.

კეთროვანს რადა ეშველება ამ წიწილებითა და ქათმებით, მაგ-
რამ ასეთი რთული პროცესი სწერულს ათავისუფლებდა კანონით
გათვალისწინებული სასტიკი რეეიმისაგან. მას შევძლო დაბრუნე-
ბულიყო „ბანაკში“, გ. ი. ქალაქში, ცხოვრა და ემკურნალა, რო-
გორც უნდოდა. გაუმჯობესებულ პირობებში მართლაც შეიძლებოდა
განკურნებულიყო, რადგანაც სპილოს კეთრის განკურნება პრინციპუ-
ლად შესრულებელია. და მაშინ ცრუმორწმენე ხალხი ამ სიკეთეს ქუ-
რუმთა უზენაძეს ძლიერებას მიაწერდა.

ჩვენს კეთროვანს, რომელიც სახარებაში თევზაობის შემდევა
მოსხენებული, ეტყობა, განწმენდისათვის საკირო თანხა არ გააჩ-
ნდა, ამიტომ როგორც კი იქსოს მობრძანება გაიგო, იმთავითვე
თაგერდმოგლევილი გაიქცა და შორიდანვე შესძახა:

— უფალო! თუ ისურევებ, შენთვის იოლი იქნება ჩემი განწმენდა!

მაშინ იქსომ შეიწყალა, ხელი შეახო ცოცხალ მიცვალებულს და
თქვა:

— მინდა, განიკურნე!

მისწვდა თუ არა ღვთაების სიტყვები მოარელი ლემის სმე-
ნას, კორი წამსცე გაქრა და მორჩია ავადმყოფი, რომლის გაჯანსა-
დებას მრავალი წლის გულმოღვინე მცურნალობა, ზრუნვა და ხარჯი
ესაჭიროებოდა. საშინელმა სწერლებამ კვალიც კი არ დატოვა.



ამრიგად, მოარულმა სიტყვამ კიდევ ერთი სასწაულში მოაწყობის, და ფრიად დამაჯერებელი.

მოციქულების აღტაცებას საზღვარი არა პქნდა. პმასთან თვითონ განკურნებული ისეთი ვინმე აღმოჩნდა, რომ ჯაფად ღირდა: იქვე უძხვეს ჩაუვარდა იქსოს, ყოველნაირად გამოხატავდა თავის უსაზღვრო მადლობას, და მისი სიხარული სავსებით გასაგებია. მაგრამ მაცხოვარმა მადლიერების სიტყვა შეაწყვეტინა:

— ჩემო მეგობარო, თუ გინდა მასიამოვნო, არ უამბო შენი განკურნების ამბავი არც ერთ სულიერს. მე ბუნებით თავმდაბალი, მორცხვი ვარ. საკმარისი იქნება წახვიდე და ეჩვენო მღვდელმთავრებს: თუ საჭირო იქნება, ჯანმრთელობის მოწმობასაც ისინი მოცემენ.

სასწაულით განკურნებულმა კაცმა გადაკრული სიტყვა ხწორად გაიგო. იმის ნაცვლად, რომ ენაზე კბილი დაუტირა, წავიდა და მოცელს ქვეყანას მოხდო თავისი გაჯანსაღების ამბავი, ასე რომ მალე იქსოს მოსვენება დაკარგდა: საითაც არ უნდა წასულიყო, ათახნაირი სნეულნი ეღობებოდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ (მარკოზი, 1, 40—45).

მოცელს სირიას (ასურასტანს) მოედო ქრისტეს სასწაულების ამბავი. მასთან მოდიოდნენ ყოველი მხრიდან. მოციქულები ოვითონ წარუდგნდნენ მოძღვარს სნეულთა და ბორგნეულთ, ბნედიანებსა და სხვა განკურნებული უბედურებით დაღდასმულებს, ეშმაკეულებსა და მოთვარულებს, სუსტსა და უღონოს. იქსო ყველას კურნავდა, არავითარ წამალს კი არ ხმარობდა (მათე, 4, 24).

მოცელულთა, ღუნატიკების ანუ „ცისად ცისად სნეულთა“, როგორც სახარება ხწოდებს, ნერვულ ავადმყოფობას დღეს ოფთალმიას ეძახიან. ესაა ნერვული მოშლილობა, მხედველობის მოშლა, რასაც მოთვარეს მიაწერდნენ.

იქსოს მოპბეზრდა საყოველთათ აღიარება და თაყვანისცემა, მკერნალობა და მადლობის მოსმენა. დიდ ქალაქებს ერიდებოდა. ამავე დროს ერიდებოდა ეჭვიან ჰეროდეს ყურადღების მიპყრობას.

ამრიგად, იქსომ სათანადო წინდაბედულობა გამოიჩინა. როცა კეთოვანის განკურნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაპერნაუმში დაბრუნდა, იქ შეკვე ელოდნენ მარადიული დილეტანტები და ქლესა მლიქენელები — მწიგნობარნი და ფარისეველნი, რომლებიც ჩამოსულიყვნენ არა მარტო მოცელი გალილეიდან, არამედ აგრეთვე იუდეიდან და იურუსალიმიდანაც კი.

წარმოიდგინეთ, რა ჯიუტი ხალხი იყო! აյი ქრისტემ ამდღნი
სასწაული მოახდინა, და რა სასწაულები! მეტის გაკეთებას ადამიანი
არც ერთი ღმერთისაგან არ უნდა ელოდეს. სხვა მათს ადგილზე აღ-
რევე სავსებით იწამებდა დიდი მკურნალის ღვთაებრივ ჩამომავლო-
ბას. ეს უბადრუკი პედანტები კი დაწვრილებით სწავლობდნენ გან-
კურნებულთა ავადმყოფობის ისტორიას და თვალს ხუჭავდნენ უმ-
თავრესშე — მკურნალის არამიწიერ ჩამომავლობაზე. ამაზე დიდი
სიბრძავე საერთოდ ძნელი წარმოსადგენია*.

სამაგიეროდ კაპერნაუმელებს ბევრად უფრო გონიერულად ეჭი-
რათ თავი. მოარული სიტყვა სასწაულს სასწაულზე ახდენდა. ღილ-
ყურა ვირი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ ეს არ ეცნო. კაპერნა-
უმის მოსახლეობამაც მტკიცედ გადაწყვიტა ეღიარებინათ ქრისტე
ან ღმერთად ან სწორუცოვარ ჯადოქრიად მაინც.

პოდა, როცა ხმა გავარდა, ქრისტემ დაპირება შევვისრულა, ისევ
ჩამოვიდა კაპერნაუმშიო, მოელი ბრძოები მიაწყდნენ სახლს, სა-
დაც ის გაჩერდა. შიგნით და გარეთ იმდენი ხალხი მოვროვდა, რომ
აღარავის არ შეეძლო არც შესვლა, არც გამოსვლა. ეტკობა, ძვლ
ტირანებს ბევრად უფრო სუსტი დაშვერვა ჰყავდათ, რომ ასეთი და-
უსრულებელი მიტინგები შეუმჩნეველი რჩებოდათ.

— ღმერთო, რა ბედნიერებაა შენი ხილვა ასე საღად და ჯანმ-
რთელად! — გაიძახოდნენ მნახველები.

— მერწმუნოთ, მეც ასევე მიხარია, რომ ყველანი ჯანმრთე-
ლად ხართ, — პასუხობდა იქსო.

— თუ ჩვენს ქალაქში ერთი სწერლიც აღარაა, ეს შენი წყალო-
ბაა, მოძღვარო.

— მე თქვენი სამსახურისათვის მუდამ მზად ვიქები, მეგობ-
რებო. მაგრამ იქნებ კიდევ დარჩა საღმე ეშმაკეული, ცისად ცისა-
დი ან, რაც უარესია, კეთროვანი?

* სახარების ამ მოქნეტს გამოჩენილი აღამიანები იყენებენ ამ ხელოვ-
ნებათმოლწერა, კალმისამთა, ცრუშეცნიერთა, კრიტიკან-მსაჩულება. ვა-
ნეურებელ მწიგნობარ-ცარისეველთა ანალოგიად, რომლებიც ეკირე-
რებენ ასოებს და ეკრ ამჩნევენ არსა, ფართო გაქანების შემოქმედზე მა-
ლია აყვენებენ ერთხო ვონგბის „სპეციალისტს“, რომელსაც შხილთ სხეუ-
თა აზრების გაღლება, ცატირება და გაღშერა შეუძლია. ამ აზრით სა-
ხარებაში ბევრი საგულისხმო და გონიერული ეპაზოდია.



— არა, უფალო, არც ერთი!

— საწყენია.. ესე იგი, მით უკუთესი! სხვა ქალაქებზე ჩატარდა იტყვით.

— ეშმაკმა დალაშვროს, ორმოცდაათ ქალაქში ერთდღოულად ხომ ვერ იქნები! ბედნიერია მხოლოდ ის, ვინც თავისი თვალით იხილა შენი სასწაულები!

იქსომ მხოლოდ გაიღიმა ამ გულუბრყვილო ადამიანთა განცხადებაზე — თითქოს და მის ყოვლის შემძლეობას საზღვარი პეონიდა! ოდონდაც! თუ მოესურვებოდა, არა თუ ორმოცდაათ ქალაქში, მთელი დედამიწის ყველა ქალაქსა და სოფელში ერთდღოულად გამოცხადებოდა და ყველა სნეულებას ერთბაშად განკურნავდა. თუ ამას არ აკეთებდა, უთუოდ იმის გამო, რომ არ უნდოდა თავის თანამედროვეთა მეტისმეტად განებივრება. კარგი რამ ცოტცოტაობით უნდა!

იმ დროს, როცა ქრისტე ამ ფიქრებში იყო, უეცრად სახურავი შეაზე გაიყო.

აღმოსავლურ სასლებს საერთოდ აქვთ ხოლმე მოძრავი ბრტყელი სახურავი.

სწორედ ეს მოძრავი ნაწილი გადახწიეს კაპერნაუმელებმა, სახურავზე რომ გასულიყვნენ. ხვრელში ხელები ჩამოყვეს და ი, თოშმა კაცმა პირდაპირ საწოლით (ცხედრით) ჩამოუშვა ერთი ბნედიანი — უკანასკნელი კაპერნაუმელი სნეული.

ვინც ის მოიყანა, თავებანწირებით ღამობდა გზის გაკაფვას კარისაკენ. როცა ვერაფერს გახდა, უფრო იოლ საქმედ მიიჩნია სახურავზე ასვლა და არაჩეულებრივი გზით ჩამოშვება ქრისტეს სამყოფელში.

იქსო მოხიბლა რწმენის ამ ახალმა გამოკლინებამ. დასუსტესულ სნეულს ხელი გაუწოდა და თქვა:

— მერწმუნე, მეგობარო, შენ სნეული ხარ შენი ცოდვებისათვის. ამიერიდან მოგეტვება შეცოდებანი შენნი. ამიტომ განიკურნები კიდეც.

აქ ახალი აღთქმა გვაწყებს, რომ მოქცეულთა ბრბოში სინედრიონის რამდენიმე წევრიც გაძვრა. მოარეული სიტყვის ეს უკანასკნელი ხიტყვები რომ გაიგონეს, შპიკებმა ერთიმეორეს გადახედეს და ახეთი ჩერჩელი გამართეს:

— ღმერთმანი, ამ ჭაბუკის კადნიერებას საზღვარი არა აქვს! არ



იქმარა, სნეულებს რომ არჩენს, ახლა ცოდვების იიტევებაც დაშრარავა
წყია! რა უფლებით? ვის შეუძლია ცოდვების მიტევება, თვინიერ-იმოგოვა
ღმერთისა?

მაგრამ იქსომ თავისი განგებით გამოიცნო მსტოვართა გულის
ურვა, მიუბრუნდა და უთხრა:

— ჸე, თქვენ, ფარისეველნო და მწიგნობარნო, რისთვის იშრა-
ხავთ გულში ბოროტს? ჩემმა სიტყვებმა გაგინინეს იარა? რაკი ასეა,
მიოჩიეთ, გეთაყვა, რა უფრო იოლია: უთხრა უღონო სნეულს „მო-
გიტება შეცოდებანი შენინი“ თუ „მოწყდი აქედანო?“ დემხართ?
პოდა, რამდენადაც მე მაქვს ასეთი უფლება, ამ ბნედიანს კიდევ ვე-
მეორებ: „ადგეტი, აკრიფე ცხედარი შენი და ვიდოდე“. ბნედიანი
მაშინვე ადგა, აიღო თავისი ქვეშაგვები და წავიდა (....აღიღეს და
გადაუტევს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა განრღვეული იგი.
და იხილა იქსო... და პრეჭა განრღვეულსა მას: შვალო, მიგვტე-
ნენ შენ ცოდვანი შენინი. ხოლო იდვნეს ვინმე მუნ მწიგნობართაგან-
ნი და პზრახვიდეს გულთა შინა მათთა...“ მარკოში, 2, 4–6)*.

ტაშის გრიალით შეხვდა იქსოს სიტყვას მოული კაპერნაუმი.
შებლვიწრო მწიგნობართაგანნი სირცხვილეულნი აიძურწენ და
კუდამოძუჯუბულნი გაიპარნენ, ვითარცა ბორვნეულის სხეულიდან
განდევნილი ეშმაკი.

— აი ეშმაკის კერძი! — ბუზღუნებულნენ. — ასეთი ჯერ არ-
საღ გვინახაეს!

საღ ნახავდნენ ბეცი მწიგნობარ-კალმისანნი ასეთ ფენომენს!
სახარება აღარ გვეუბნება, შეიკრიბნენ თუ არა იმთავითვე ფა-
რისეველნი და მოითათბირეს თუ არა, როგორ ჩაესვათ იქსო იშავე
შახერის ციხეში, სადაც უკვე იჯდა მისი ნათლისმცემელი ნათებავი
ითანე. მაგრამ თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ მა-
შინ დაადგა კბილი ვერაგმა მწიგნობარ-ფარისეველთა კილაგმა
ქრისტეს, მაშინ გადასწყვიტეს თავიდან მოცილებინათ სწორუპო-
ვარი მკურნალი კაცთა მოდგმის ტკივილებისა.

* ცხელარი აქ. ცხალია, ლოვინის მნიშვნელობით იჩირება.

აირველი პრემია პირზავობისათვის

და ამინა შემცირდობა კამოვიდა და იხილა
შეზერე, სახელით ლევი, მჯდომარე საზ-
ვერება ჟელა* და პრევა მას: შომცველი მე!
და მან დაუტვია უკავები და აღხვეგა და
შისძლება მას.

და დაუმისადა ლევი პერი და იქნოს სახ-
ლა შინა თვესა, და იყო კრებული დიდი
შეზერეთა და სხვათ, რომელი იყონეს მათ
თანა ინახით შისძლომარენო.

და სდროტეინვილები ფარმაცევტი და მწიგ-
ნობარი მათი მოწაფეთა მიხთა თანა და
იტყოდეს: რასათვის შეზერეთა და ცოდვის-
თა თანა სჭამით და სვამი?

დეკ., 5, 27-30.



თარული სიტყვის ჩვეულებრივი ამაღლა მა-
მინ მხოლოდ ექვსი კაცისაგან შედგებოდა.
მაღე მათ მემინდეც შემოუერთდა.

იმ დროს, როდესაც სახარების თანახმად
ხდებოდა ფანტასტიკური სასწაულებისა და
გაუგონარ თავისადასავალთა წყება, რასაც საყოველთაოდ ცნობილი
იქნოს ცხოვრება ეწოდება, იუდეა, როგორც შეკვე გითხარით,
რომაელთა ეღველევეშ იყო. გამარჯვებული, როგორც წესი, ყოველ
დაპურობილ ქვეყანაში აყენებდნენ ხარებს ამკრეფთ. დამარცხებუ-
ლი მძიმე ხარებს ისდიდნენ.

* შეზერე — შებავე; ვერავი, მატრაბაზი, მცინცლავი (დ. ჩებინ.).

საკონის ქვეყანაში ამ მეხარუებს მეზოვრეებს (მებატონებს) ეძახ-
დნენ.

პირველად ასე უწოდებდნენ რომაელ მხედრებს, რომელიც უკი-
თონ კრეფლენ გადასახადს ამა თუ იმ ქალაქსა თუ პროცესიაში.

რომელიმე რომაელი მდიდარი მივიღოდა იმპერატორთან და
ეტყოდა:

— მომისმინე, ხომ არ დამეთანხმები, რომ იჯარით მომცე გა-
დასახადები ამა და ამ პროცესიდან? რანაირი წელიც არ უნდა
იყოს, კარგი თუ ცუდი, შენ მიღიონს მიიღებ, თანაც თავისუფაღი
იქნები ყოველგვარი აღმინისტრაციული დავიდარაბისაგან. სარ-
ფიანი გარიგება! ღირს ასე, მე ყოველწლიურად გაძლევ მი-
ღიონს, მმართველობის ყველა ხარჯს თვითონ კვისრელო, შენ კი
მომცემ ფირმანს, რომლის ძალითაც უფლება მექნება ავტოუ ყვე-
ლა ხარკი, ბეგარა და გადასახადი რომის იმპერიის სახელით.

როგორც წესი, კიდესარი ასეთ პირობებს იღებდა და უდებოდა
გარიგება.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ ყოველი მოიჯარადრე პრო-
გინციის მოსახლეობას სამხაგად აძრობდა ტყავს, გამოსწოვდა ყვე-
ლა სასიცოცხლო წვენს, ცდილობდა აეღო რაც შეიძლებოდა შეტი
გადასახადი და ისედაც სხვისი ნაოფლარით გასტელებული ჯიბე კი-
დევ უფრო გაესტელებინა.

იმ შემთხვევებში, როცა ლაპარაკი იყო უფრო მნიშვნელოვან
პროცესიებზე, ხაქმე უფრო ფართო ასპექტში წყდებოდა და გა-
რიგებაში მოელი ფინანსიური გაერთიანებები იღებდნენ მონაწი-
ლეობას. ეს გაერთიანებანი ანუ კომპანიები რომის აუნიბდნენ თა-
ვიანთ წარმომადგენლებს, ხოლო იჯარით აღებულ პროცესიებში
ხარების ამკრეფთ, რომლებიც შეთვალყურეობას ეწევდნენ აკრეიცილი
ხარკის შეზიდვასა და გამოზიდვას, ბაჟის აღებას ამ საქონლიდან,
იმავე დროს განსაზღვრავდნენ მის ღირებულებას — ცხადია, შეტ-
ნაკლები სისწორით, როგორც მოეხასიათებოდათ.

სწორედ ასეთ ფინანსურებს, რომის ეფუძნობის შეამავლებს, გა-
დასახადების ამკრეფთ ეძახიან ევანგელისტები მეზოვრეებს. ამ თა-
ნამდებობაზე ჩვეულებრივ ნიშნავდნენ დაპყრობილი პროცესიის
მკვიდრს — ამდენი შეგნება მაინც უკვე პეტონდათ ძველ დროშიაც
მათ იცოდნენ ენა, ჩვეულებრივ და რესერსები, თავიანთი ქვეყნის
ზე და ბუნება. საერთოდ, ეცხოლებზე უკვე ასერხებდნენ უცხო-



ელთა მომარაგებას, გადამთიელთა გასუებას საკუთარი სალის
ნაშრომ-ნაამაგარით, და არც საკუთარ მუცელს ივიწყებდნენ, რაღ-
გან თავი ქვეყნის კეთილისმყოფელებად მიაჩნდათ.

მეზვერის თანამდებობა, ჩვენს შორის რომ ითქვას, არაფერი
დიდი ბედენა იყო, ხალხი მათ ზიზღით უყურებდა. მაგრამ ვინ
რას გაძედავდა! ახეთ თანამდებობაზე ჩვეულებრივ აყენებდნენ ისეთ
გარეშერებს, ემეცარ და უგული საქმოსნებს, რომელთაც საკუთარი
ხალხი და ქვეყანა გულშე არ ეხატათ, და სხვანაირად შეუძლებე-
ლიც იქნებოდა, რადგან სწორედ მათ უნდა გამოეწოვათ საარსებო
წვენი საკუთარი ხალხისათვის, მონიბის უღელევეშ მგმინავი თანა-
მემამულებისათვის უნდა წაეგლიჯათ მოელი სიმდიდრე და დოკ-
ლათი, რათა გადამთიელი მოძალადების ქისა გაევსოთ. იუდეაში
ამნაირ მეზვერებს ისევე უყურებდნენ, როგორც ფინანსიურ იმსპექ-
ტორებს შეხედავდნენ ჩვენში, საფრანგეთში, სადაც მათ დავალე-
ბული ექნებოდათ ხარჯის აკრეფა გერმანელი ფინანსიური მაგნატე-
ბისათვის, ხაზარბაზნე ხორცისათვის.

ყველასაგან ათვალისწინებული, საყოველთაო ზიზღის საგნად ქცე-
ული მებაჟები მშოლოდ თეორიულად თუ ჩაითვლებოდნენ ერის
ნაღებად. ყველაზე ხშირად მათ აგროვებდნენ სწორედ შეკანასკნელი
ნაძირალებისაგან, შაწანწალა საქმოსნებისა ან ვაი-მეომრებისაგან. რომელთაც ტაცებისა და ძალადობის მეტი არაფერი უსწავლიათ და
ოსპის შეკამადისათვის გაყიდიდნენ თავიანთ სამშობლოს სრულიად
ბუნებრივია, რომ ამნაირი ადამიანები არ მეჩერდებოდნენ არავი-
თარი თვითონებობისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენების
წინაშე. იჯარის სისტემა დარბევის სისტემად იცვალა, ხოლო სიტყვა
„მეზვერე“ მხეცობის, ძალმომრეობის, მძარცველის სინონიმად იქ-
ცა. ციცერონი³¹ ამ ლაქიებს უყოყმანოდ უწოდებს „ადამიანთა შო-
რის უსაზისლრეს არსებებს“ (დე ოფფიციის, 1, 42). ცნობილი
ბერძენი მწერალი სტობეონი³² მათზე ლაპარაკობს, როგორც „დათ-
ვებსა და მგლებზე, რომელთაც ადამიანის სახე მიუღიათ“. ერთი
სიტყვით, ებრაელები მეზვერებს უყურებდნენ, როგორც მახინჯ
ურჯვებებს, სისხლისმწოველებს, რომლებიც სისხლის სამართლის
დამნაშავეებსა და მეძავებზე დაბლა იდგნენ. სიმართლის გულისათ-
ვის უნდა დავადასტურო, რომ საამისოდ ყველა საფუძველი პქონ-
დათ. მეზვერე მედამ მეზვერეა.

ქოდა, ის მინდოდა მეთქვა, სწორედ ამ ნაძირალებში გამონახა

ქრისტემ თავისი მეშვიდე შოწაუე სწყაბდა, ასე დაღურდ მეცხი
მოწაუე ჟყავდა და განსრახული პერნდა მათი რიცხვი თორმეტამ-
დე გაეზარდა.

ამ მიზნით იქსომ კაპერნაუშიაც შეიხედა და ყველგან დაიარა,
სადაც ოქრო ეგულებოდა.

ეწინარეს ყოვლისა ყველაზე უფრო სახელგატებილი სახამრო-
გბი ინახულა. უდიდესი ყურადღებით აკირდებოდა ამ ბუნავთა ბი-
ნადართ, ერეოდა მათს უმსგავს საუბარში და მაშინ, ორ ჭიქა საძა-
გელ სითხეს რომ შესვამდნენ, ასეთი დიალოგი იმართებოდა ხოლო:

— როგორ არის შენი საქმეები, მეგონარო? — პეტსაჟდა იქსო.

— ჩემი საქმეები? თქვენ გინდათ თქვათ, როგორ მიდის ჩემი პა-
ტარა სიღონიას საქმეები? გვარიანად! ორი წელიც არ გასულა. რაც
ის მორგვი საქმეში ჩაგაყენე და ჯერ სად წარ, კიდევ მიაღწიეს რა-
მე... გასულ კვირას ერთი ბებერი ძაღლი ჩაიგდო ხელთა — ხენა-
ტორი... მსოლოდ ესაა უბედურება: ბებერი ვაცი ისეთი კუთხიანია,
ათასი ემაკა რას გახდება!

— მაშ თეითონაც არა გქონია მუდმივი სამუშაო?

— მაქს, როგორ არა, ოღონდ ამჟამად ჩვენს საქმეში შეცერ-
ხებაა.. უნდა გითხრათ, ახლა იმდენი რეგვენია, თავგამოდებით რომ
ეჩრდებიან პოლიტიკაში და თავი დიდი ვიზმე ქვინიათ, თავების მა-
გიერ კი მრავე აყირობი ამიათ... მთავრობამ მოული პოლიცია ფეხ-
ზე დააყრინა... ერთი გაყავი თავი შარაგზაზე — მაშინვე ხელისუფალ-
თა ხელში აღმოჩნდებით! ახლა, თავიანთი ხელფახი რომ მაინც გა-
ამართლონ, ჩვენისთანა ცოდვილებითაც კრაყოფილდებიან, მაშინ-
ვე ხელსა გვტაცებენ ხოლმე, თუ შეოქმულებს ვერ ბორევიან.

— რა ხელობას ეწვეთ?

— ქარავნებს ვემსახურებით.

— იმავე დროს ქალიმვილებითაც ვაჭრობთ, თუ არ ვცდები?

— ყოველთვის მზად ვართ გემსახუროთ, უფალო ჩემი!

იქსო აღტაცებით შესცეუროდა თავის თანამოსაუბრეს და თავის-
თვის ამბობდა:

„მარჯვე არამშადაა, წენს ვერ დასდებ! შარაგზის ყაჩაღია! ხია-
მონებით მოვნათლავდი და მოციქულად ავიყვანდი! ყაჩაღთა რი-
ცხვესაც შევამცირებდი და სკუთარ დასსაც გაეამრავლებდი. მე
მგრინია, არც სხვა მოწაფეები დაიწუნებენ. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ,

კიდევ დავძებნოთ. იქნებ ამ სათოკე არამშადაზე უკუთხესი გამომდევნების გამოინახოს. ვინც ეძებს, ის ჰპოვებს!“

ასე განავრძობდა ძებნას ქალაქის სარდაფებსა და ბენატების.

ბოლოს ტბის ნაპირას იქსო ერთ მიყრუებულ ქოხს წააჭუდა, ასეთი აბრა ჰქონდა: „საბაქო“. აქ იყო კაპერნაუმელი მეზვერების ბუნაგი.

მირონცხებული ამ არამშადების ბანდამი მოხვდა ჯერ ერთს მოელაპარაკა, მერე მეორეს. მისი უერადღება ვინმე ლევიმ მიიპყრო. დაქითხა. მაშამისს თავიდანვე ყოველნაირი სისაძაკლე უწავლებია და ცხრა თოჯინი გამოვლილი არამშადა ახლა მეზვერედ მეშაობდა, სახელად მატთეოსი ერქვა (იგივე მათე). არც სახარება ფარავს ამ პროფესიის ადამიანთა სიბილწეს („და მსჯიდა იგი იწახით სახლსა შინა, და მრავალი მეზვერენი და ცოდვილი თანასხდეს ინახით (საჯდომით) იქსოს თანა“ — მათე, 9, 10). ძნელად მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც ამ ლევიზე დაბლა დაეშვებოდა დანამაულობათა წემპეში. რა დანამაული გინდათ, რომ ლაქად არა სცხებოდა. იუდეაში რომ არამშადების კონკურსი გამოეხსადებინათ, უსათუოდ ყოველწლიურად პირველ პრემიას ის მიიღებდა.

სუტენიორი (საყვარელ ქალთა ხარჯზე მცხოვრები), თაღლითი და ჯაშები, თავის თავში აერთიანებდა ყველა ცოდვასა და ზაღს. მეორე ასეთი მანქიერი მთელს დუნიაზე არ მოიძებნებოდა. ასე კი სიმდაბლის, სიფლიდისა და გამცემლობის უკანასკნელ ჭაობში ამოპყო თავი: ებრაელი კაცი თავისი ქვეუნის მტრებს მიეყიდა, რომალებს ემსახურებოდა.

„სწორედ ასეთი მოციქული მჭირდება, გამოვასწორებო!“ — გაიფიქრა იქსომ.

თქვა და არც დაუკუნებია, ისე გადაუშალა ლევის თავისი პროგრამა.

ასეთი და ასეთი პარტია შემიღებებია, რწმენისათვის თავდადებული, და ხომ არ შემიერთდებიო? თავისი ძმობის რაობა რომ მოუთხრო, ჰქითხა:


— აბა, რას ფიქრობ ამაზე? შემოხვალ ჩემს კომპანიაში?

— ხელს მაძლევ! — მიუგო მეზვერემ. — შენი აჩრი — ჩემი აზრია. თანახმა ვარ.

— ძალიან კარგი. მაშ მომყევი.

— მოგვყები, — მეზეურემ თავისიანებს სელი ჩამოარტენი წავიდა.

იქსოს დაეინებითი მოთხოვნით ახალმა წევრმა სახელი გამოიცვალა. ლევი იქცა მათედ. სწორედ ამ პატივცემულმა გვამშა შეიტანა ოთხიდან ერთ-ერთი სახარება და უნდა ითქვას, რომ სამუდამოდ ჰკვდავჭყო თავისი სახელი. შარაგზის აგაზაკობას ეს რამდენადაც ჯობდა, იმდენად დიდია მის წინაშე იქსოს დამსახურება, და იმდენადვე ქარგად გადაუხადა მეზეურე ლევი-მათემ სამავიერო (იხ. სახარებანი ლუკასი — 5.27—28; მარკოზის — 2,13—14; მათესი — 9,9—10).





როგორ მუშაობდა იესო ქრისტე

აგანო „პილეზე“

მიუკო უძლესიან ჩ. 5 და პრეზა უფა-
ლი! კუი არა მიქვი, რა რაგამს წარა-
ქვე აღიმრდეს და შეამცამავდო საბანელს
აჩის. ვიდრე მე მოვიფილდე, სხვა უცინარეს
ჩემისა შეთავიდის და განიცემის (ვ. ა. კაცი
არა მიაქვი, აუზით ღრმასე ჩამავდოსმი).

პრეზა მას იტეო: აღიდე, აღიდე ცაკვა-
რი შენი და გადადე.

და მეყვენელაზ განკუცძლა კუი იფი და
აღიდო ცხედარი იფის და წარკიდა ხოლო
იყო შეასათი ღლე იფი.

კრუდეს მას ურიანი იტე: შეასათი აჩი, და
არა ქურ არს შეხდა აზურ ცაკვარი შენ:

ც. 5, 5, 7-9.



იღრე ასე თუ ისე შშარდაჭერა არ იგრძნი,
იქცო თვითონვე ყოყმანობდა, იწყეოდა და
იოწეოდა, მაგრამ როდესაც — ნაზარეთში
განცდილი მარცხის შემდევ — აღურთო-
ვანებით შეხვდნენ კაპეტინაუზში, მაცხოვარ-
მა თქეა, ახლა კი დადგა დრო გადამწყვეტი მოქმედებისა, რათა
აღვასრულო დიადი მისია, რისოფისაც მოწოდებული ვარო. მართა-
ჭია, მისი წარმატებაც ფრიად შეფარდებითი იყო და არა საყო-
ვლოათ, მაგრამ ეს იყო მაინც წარმატება, და შეკლო გადაედგა
მორიგი ნაბიჯი, რადგან მას უკვე მიძყვებოდნენ.

მოარული სიტყვის ერთობ გაბერდავი დებიუტი თითქმის შეუ-
ლი წელიწადი გრძელდებოდა. რაღა ღარძა? ორივე წელი. ამ-
რიგად, ჩევნს მოხეტიალე გმირს მფორდე ვხვდებით მორიგი პასექის
კვირაძალზე.

იესომ შემთხვევა არ გაუშევა, ხელახლა ინახულა იერუსალიმი. მაგრამ ამჯერად ტაძარში აურზაურის ატეხება აღარ გამოუჩინახავთ; თუმცადა ზარაფებს და მოვაჭრეებს იქ წინანდელზე უართოდ გაეძიათ თავიანთი ბაზარი. ამ გადაწყვეტილებაში არ იყო არავითარი ლოგიკა. ორიდან ერთია. მოვაჭრეები ან არცხვენენ ტაძარს ან არ არცხვენენ. ერთხელ იესომ განაცხადა, არცხვენენო, და თანმიმდევარი რომ დარჩენილიყო, ახლაც ისევე უნდა გამოხხატა თავისი კეთილშობილური აღმფოთება, როგორც წინა წელს გამოხხატა, როდესაც ჯერ კიდევ არ პქონდა ზურგი მომაგრებული. არ უნდა დაეხია უკან, ფილრე მოვაჭრეები ბოლოს და ბოლოს ხელს არ აიღებდნენ თავიანთ შემბილწეველ საქმიანობაშე, რაც შერეხელობას ედრებოდა.

მაგრამ ლოგიკა და თავმდაბლობა უცხო იყო მტრედის შეილისათვის.

ასეა თუ ისე, ამ წელს იესომ ვაჭრები და ზარაფები აღარ ააწირება.

იმის ნაცვლად, რომ ტაძარში გამოსულიყო და მხილება დაეწყო, იესო სააბაზანო განყოფილებაში გაემურა, ცხვრის ჭიშკარით რომ იყო გამართული და სწეულებს ემსახურებოდა. ამ აბანოს „ბითეზდა“ ერქება. ეს სიტყვა ძველ ებრაულად ნიშნავს „საქველმოქშედო სახლს“.

აბანო წარმოადგენდა საკმაოდ ფართო საცურაო აუზს, რახაც რკინისა და გოგირდის ცხელი წყაროები კვებავდნენ. ამ დაწესებულების დამაარხებელთ შესაფერისი ლეგენდაც გამოიგონეს, რათა ხალხი მიეზიდათ.

ლეგენდა ამბობდა, რომ წლის გარეულ დროს უფლის ანგელოზი ციდან აუზში ჩამოეშვება და წყალს აღელვებს. პირველი და ერთადერთი სწეული, რომელიც მოასწრებს და ამ აღლვებულ წყალში პირველი გადაეშვება, აუცილებლად მოჩინება, რა სენიორაც არ უნდა იყოს შეპყრობილი.

ყოველ იერუსალიმელს სწამდა ეს ლეგენდა, და სწეულები „ბითეზდის“ აუზისაკენ პირდაპირ ბრძოებად მოეშურებოდნენ. მოეთმენდად ელოდნენ იმ წეთს, როცა წყალი „აღლედებოდა“, ვ. ი. მორევსავით დუღილს დაიწყებდა. დარწმუნებულნი, რომ ეს უფლის ანგელოზი აქოთებს წყალს უხილავი ხელით, ყველა ბასეინს მიაწ-

ყდებოდა, და შეველა ცდილობდა პირველი გადაშევებულის აქოფებულ წყალში, რათა პირველი შადრუვანი მოხსედრიდა. ეს როცა უაღმის წინასწარ ვიცი, რასაც იტყვიან ამაზე სწავლული ღაზტეჭაშიკორის აღმიანები. ისინი იტყვიან.

— სააბაზანო დაწესებულების „ბითეზდას“ მეპატრონები გაქნილი თაღლითები ყოფილან. ხალხში გაფრცელებული ლეიქნდა, ცხადია, თავიდან ბოლომდე მათი გამოიგონილია. წყლის ჟესარი ადელება კი თბილი წყლის ნაკადის პერიოდული ცვლის წედევია და არა ანგელოზის ჩამოხვლისა. ეს არის და ეს*.

იერუსალიმის მაებში მართლაც არის აღმოჩენილი მრავალი ცხელი წყარო, რენისა და გოგირდის შემცველი. არის იმილი წყაროებიც და ცხელიც. მივ იმ მიის გულჩიც კი, რომელზედაც აღმოჩელი იყო ტაძარი, მთელი მიწისქვეშა ტბა აღმოჩენდა. სასმელი წყლის ეს უშარძაზარი რეზერვუარი ჯერ კიდევ ძველ დროში კარგად იყო ცნობილი და იერუსალიმის ერთ-ერთ სასწაულად ითვლებოდა, რადგან თავისთავად იშვიათი მოვლენა იყო და თანაც ამ ქალაქს ხანგრძლივი ალყის დროს წყლით ამარავებდა. ამას აღნიენავს ტაციტიც³³ თავის „ისტორიში“ (წაგნი, V, თ. 12).

შედარებით ახლახან სიონელთა სახელგანთქმული ორდენის ბერები ობოლთა თავშესაფრისათვის საძირკვლის ჩაყრის დროს წააწყდნენ ძველ ბაკებს, რომელთაც უხევი ნაკადები კვლავდნენ. დღემდე შემონაპალი წყალსადენი ამ ბაკებიდან ტაძრის ზღუდის ქვეშ გადის.

ურიცხვი მიწისქვემა წყარო რომ არსებობდა, ეს უბრავლებმა უხსოვარი დროიდან იცოდნენ. დავითის ფსალმუნში ლაპარაკია წყალთა ნაკადებზე, რომელნიც ახარებენ ღვთის ქალაქს, უზენაესის სამყოფელს. იეზეკილი, სწორედ ის სახელგანთქმული წინასწარმეტყველი, რომელიც ადამიანის განავლის ბუტერბოლდებს ჭამდა, ამ წმინდა მდინარის თაყვანისმყვიშელი იყო. მას უძღვნა თავისი წი-

* ლეგენდის წარმატებას ხელს უწყობდა: ერთი ბენებრივი გარემოებას ჩაუ თაღლითებს ალბათ გათვალისწინებულა ქქონდათ. მასმედ სწეული მსეთი მკვირცხლი როდისაა, რომ ბრძოლი ჩეკორდი დამყაროს და პავილი გადაეშვას აბაზანაში, თლიმპიელი მცურავის მსგავსად. გადაეშვა-შოლნენ ჭანსალი, და თავიანთ სიგანძილესაც ანკელოზს მიაწერდნენ!

ნასწარმეტყველების წიგნის შემციდე თავის პირველი თორმეტი მუხლი, რომელთა შინაარსი დაახლოებით ასეთია: ტაძრის საძროველის ქვეშ წალი მოედინება აღმოხავლეთისაკენ, გადას ვაკეზე და ერთვის ზღვას, წყალი მისი ცხოველია, სიკანსალის მომნიჭებელი... და ყოველი არსი ცოტხალი, შიგ ჩასული, განიკურნება... თევზიც უამრავია... და ყოველივე იხარებს იმ წყალში (იუზეკილი, 47, 1—12).

— ამრიგად, — დაასკვნიან ბატონი სკეპტიკოსები, — დიდი სააბაზანო სასწაული სინამდვილეში იყო სრულიად წეველებრივი ბუნებრივი მოვლენა. მისი ახსნა ძნელი არ არის. წვეულებრივ „ბითეზდას“ სამკურნალო დაწესებულების აუზი თბილი წყლით მარაგდებოდა დროგამომჯებით, როცა აპანოს მეპატრონები გამონახავდნენ საქმაოდ მარჯვე სიმულანტს, რომელიც სხვაზე ადრე გადაეშვებოდა აუზში, უცებ ქვემოდან ცხელი წყლის ნაკადს ამოუშვებდნენ. ეს ნაკადი ზომიერ წყალს შეუერთდებოდა. ნელთბილი და ცხელი წყლის ნაკადების შეერთება იწვევდა მოჩვენებით დუღილს, ჩნდებოდა ხელოვნური მორცვი და ხალხი გაპყვიროდა, ანგელოზი უჩინარი ხელით აუზს აბრუნებს. იმავე წამს ვითომ სნეული თავდაყირა გადაეშვებოდა აუზში, ჩაყვინთავდა, ამოყენთავდა და წყალშივე გაპყვიროდა, ურთბაშად მოვრჩიო, ყველა სნეულებისაგან უპვე განვიკურნეოს! ახლა დანარჩენი ავადმყოფებიც გადაეშვებოდნენ და ბანაობდნენ, და რამდენადაც ეს ცხელი წყლები ნამდვილად შეიცავდნენ სამკურნალო თვისებებს, ავადმყოფი ურთვარ შემსუბურებას გრძნობდა, როგორც სდება დღეს ბალნეოლოგიურ კურორტებზე. რაღა თქმა უნდა, ეს გაუმჯობესება ზებუნებრივ ძალას მიეწერებოდა და ყოველი ავადმყოფი, რომელიც მით უფრო მოზრდუნეა, რაც უფრო სნეული, შინ ბრუნდებოდა დარწმუნებული იმაში, რომ საქმაოდ ვერ იმარჯვა, თორემ თუ პირველი გადაეშვებოდა აუზში, სრულიად გამოჯანსაღებული დაბრუნდებოდა, სნების ნასახიც კი არ დარჩებოდა მის ტანში.

მცოდნე და ჰქვიანი ადამიანების ამნაირ მსჯელობაზე განსწავლელი ღვთისმეტყველნი ასეთ პასუხს იძლევიან:

— როცა საქმე სარწმუნოებას ეხება, მაშინ ფიქრი და მსჯელობა საერთოდ ზედმეტია, რაკი მტრედის, ანუ სულიწმინდის კარნაშით დაწერილ სახარებაში წერია, რომ აუზში წყალს უჩინარი ანგელოზი აქოთებდა და იმავე დროს სამკურნალო თვისებას ანი-

ჭებდა, ეს უნდა ვიწამოთ და მორჩა! იყო იქ ცხელი წყარო თუ არ
იყო, ამას მნიშვნელობა არა აქვს. წმინდა წერილი ამტკიცებს, რომ
„ბითეზდას“ აბაშანაში სასწაულები ხდებოდა, — მაშასადამეოთაც
ამ წყალს ნამდვილად გააჩნდა სასწაულებრივი განკურნების ძალა.

შეიძლება ვიკითხოთ:

— ხომ არ დამშრალა ეს ზებუნებრივი აუზი? თუ დღესაც
არის?

პასუხი:

— დიახ, დღესაც არის. იერუსალიმში ჩასულ მიმღლოცველებს
დღესაც აჩვენებენ ამ ბასეინს, ცხადია, არა მუქითად. მაგრამ ეს გა-
დასახადი არაფერია. კეთილ ქრისტიანებს ისე ძვირად უღირო
ქრისტეს სახელთან დაკავშირებული ყოველი ძეგლი, რომ მზად
არიან გადაიხადონ, რაც ვლინება, ოღონდ რამე ნახონ. მეტიც დღეს
იერუსალიმში ერთის ნაცვლად ორ „ბითეზდას“ უჩვენებენ, ამასთან
ორივეს მეტატრონე მშადაა საკუთარი ხელმოწერით დამშვენე-
ბული მოწმობა მოგართვან იმის დასტურად, რომ მისი სამკურ-
ნალო დაწესებულება ერთადერთი ნამდვილი „ბითეზდაა“, იმ
უამინდელი, როცა იერუსალიმში ქრისტე მოღვაწეობდა და სახარე-
ბაში აღნიშნულია. პირველი აბანო მოთავსებულია ტაძარსა და
წმინდა სტეფანეს ჭიშკარს შორის. მეორეც იქვეა, წმინდა ანას უკ-
ლესიის გვერდით. ეს უკანასკნელი აღმოაჩინა ბატონშა მოსმა, ფრანგმა ხუროთმოძღვარმა, რომელსაც წმინდა ანას ქანდაკების
რესტავრაციება დაავალეს. შეიძლება იმედი ვექილით, რომ მორივი
არქეოლოგიური გათხრების დროს იერუსალიმში აღმოჩნდება მესა-
მე „ბითეზდაც“, რომ ისიც ერთადერთი ნამდვილი „ბითეზდა“ იქ-
ნება, როგორც ორი დანარჩენია.

— სასწაულის საქმე როგორილაა? ხდება ისევ ისეთივე პროცე-
დურები და სასწაულებრივი განკურნება თუ აღარ ხდება?

— რაც შეეხება სასწაულებს, რატომღაც შეჩერებულია, არა-
ფერი ისმის.

ჩვენს დროში ავადმყოფები სამკურნალოდ სხვაგან შიდიან. ან-
გელოზის ლოდინი, თუ როდის მოვა და წყალს აადულებს, დროის
ამათ დაკარგვა იქნებათ, ამბობენ.

ან მართლა სადღა მოიცლის ანგელოზი ასეთი წვრილმანისათ-
ვის? დღეს ანგელოზებს აღარ სცალიათ. რომელიმე ჩემმა მომხაბ-
ლავმა მკითხველმა მანდილოსანმა რომ სთხოვოს, საპონი მომაწო-

დეო, სასაცილოდ არ ეყოფა ეს ციური ქმნილებანი, ოდესლაც რომ ადამიანს ასე დაუზარებლად ემსახურებოდნენ, დღეს პირდაპირ ჟენერილიდან არიან წასული. ეს ჰეშმარიტად საწყვინი ამბაჭიათ და აფსუს, სადა ხართ ძველო ქვებულო დროებანო, ბიბლიისა და სახარებისანო?

მაშინ იმდენი სახწაული ხდებოდა, რომ ჸკუას დაკარგავდით.

რაღა თქმა უნდა, ებრაელები აღტაცებით ღამარაკობდნენ ამ სასწაულზეც. საკმარისი იყო დაგეცადათ ანგელოზისათვის, წყალის რომ აქოთვიდა, და თუ საკმაოდ ჯანმრთელიც იყავით იმისათვის, რომ აუზში პირველი გადამხტარიყავით, სრულიად გაჯანსაღებული ამოყვინთავდით. მთავარი იყო გადახტომა მოგესწროთ.

მაგრამ თუ ასეთი სახწაულით მორჩინილი ავადყილები ზეცას უმაღლოდნენ, ბევრი სწერელი და დავრდომილი მოიძებნებოდა, მედი რომ არა ქეონდა. ამ უკანასკნელთა შორის ერთ დამბლადაცემულს დაგასახელებთ. ის საცოდავი იერუსალიმში თცდათვრამეტი წელიწადი ზედიზედ ჩატყავდათ, რომ როგორმე „ბითეზდაში“ მოხვედრილიყო და ტანჯვისათვის თავი დაუღწია, მაგრამ დავრდომილი იყო, მოძრაობის უნარი არა ქეონდა და ამიტომ ყოფელთვის სხვა გაასწრებდა ხოლმე.

ადვილი წარმოსადგენია ამ უიღბლო კაცის ბედი.

ბევრად უფრო ძნელია იმის ასსნა, რატომ ერთხელ მაინც არ აიძულა თავისი დამტარებლები აუზის კიდეზე დაესვათ და საჭირო მომენტში პირდაპირ მდედარე წყალში გადაევდოთ. ხომ აიძულებდა თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში უშედევოდ ჩაეყვანათ ცხერის ჭიშკართან და ცხვარივით გაბრიყებული რჩებოდა? მაგრამ მოვეშვათ ამას.

იქსო აბანოში სწორედ მაშინ მივიდა, როცა ეს დავრდომილი ბედს ემდეუროდა.

მოარეო სიტყვას დოკულაპიების მოელი შრბო დაპყვებოდა. აბაზანის მეპატრონებს ხეიბრის დანახვაზე სიცილი წასკდათ: ცხადია, ყველა იყნობდა ამ უიღბლო სპორტსმენს და მისი საქმე ენაზე გკერათ.

— ვერ გამიგია, რა არის აქ სასაცილო? — გაუკვირდა იქსოს.

ყველამ დამბლადაცემულისკენ გაიმვირა ხელი და ერთიმეორეს არ აცლიდნენ, ისე გულმოდგინედ მოუთხრობდნენ მაცხოვარს



მის გასაჭიროს. მათმა დაცინვამ სწეული ისე გააბრაშა, რომ ჩემი კულტურული დარდი უსაშველო სიშმაგედ ექვა.

იქსოს ჯერ არ პქონია ამაზე უკუთხის შემთხვევა დაემტკიცებინა იერუსალიმელებისათვის, რომ ღვთაებრივი მტრედი ნამდვილად მამამისია.

დავრდომილს მიუახლოვდა, თითოს განძრევის უნარიც რომ არა პქონდა, ისეთ სწეულს, და პკითხა:

— გინდა ვანიკურნო?

— ეს რა კითხვაა! — ჩაიბუზღუნა დამბლადაცემელმა. — მაშრავა ემზაქისათვის ჩამოვდივარ აქ? აგრე, ოცდათვრამეტი წელიწადია, რაც მომათრევენ...

— ქო, მაგრამ როგორც ვხედავ, არ გამოგდის.

— რას გაგხდები? ნაბიჯის გადადგმაც არ შემიძლია. აბა რა-ნაირად უნდა განვიკურნო? როგორც კი ანგელოზი წყალს ააღუდებს, ვინმე სხვა გადახტება, მე კი მშრალზე ვრჩები.

— მერე, ვერავინ დაგვეხმარა?

— დაგვეხმარაო? ხომ ხედავ, ამ არაშზადების ბანდას უხარია, ჩემს გასაჭიროს რომ უყურებს. ვაგვიანებ და იცინიან. აი, ნახე, ეცინებათ! ერთსაც არ მოუვა თავში აზრად, რომ შემიბრალოს და თუნდაც წიბლი მჰკრას, ოღონდ ბასეინში გადამავდოს. მე ასეთი კეთლი ხუმრობა როდი შეწყინებოდა, მაღლობელიც დავრჩებოდი.

— შენ მართლაც შესაბრალისი ყოფილხარ.

— როდისმე შემიბრალებენ.. მაგრამ რისთვის მოხვედი აქა? ჩემს დასატირებლად? უშენოდ ცოტა რეგვენია, რომ დამცინოს? ხოლო თუ მართლა გული შეგტკივა ჩემთვის, დამიღვები გვერდით და როგორც კი წყალი წამოდუღდება, გადამაგდე ამ აუზში.

იქსომ მხრები აიჩინა.

— აღვექი! — უბრძანა დამბლადაცემელს მცირე დუმილის შეძლებ. — აღვექი, აიღვ შენი ლოგინი და წადი.

ავადმყოფმა ჯერ გაიფიქრა, მტრედის შვილი დამცინისო. ჟკვი გაბრაზდა, როცა უეცრად იგრძნო, როგორ მოშლვავდა ძარღვებში სისხლი.

— ღმერთო მაღალო! მგონი, თითოს განძრევა შემიძლია! — ჩაიღუდლება. — დახე, სახსრებში ღონე მემატება.

მართლაც, თითოც გააქნია და ხელიც.



— აგერ, ფეხიც დავძარი!

ჯერ ერთი ფეხი გაიქნია, მერე მეორე.

— ომ, ახლა ხელებიც გამეხსნა! ყველაფერი შემსუბურდა.

ყოფილი დამბლადაცემული ისე მარჯვედ ამოძრავდა, როგორც კატა, რომელსაც კუდზე ფეხი დააბიჯეს.

მაყურებელი აღტაცებული დარჩა. მეაბანოეები გაოცებისაგან გონის ვერ მოსულიყვნენ. შეიდი მიციქული ფარშევანგებივით იფოფრებოდა და ისე ამაყად იდგა, თითქოს სასწაულის მოხდენაში მათი წილიც ყოფილიყო.

იესომ კი ხელები მოიფშნიტა და გულდამშვიდებით შესცეროდა ფეხზე წამომდგარ დავრდომილს.

— მადლობა შენ, ღვთაებრივო მკურნალო! — გიჟივით იმეორებდა განკურნებული ხეიბარი და სიხარულისაგან მაღაყებზე გადადიოდა. — შენისთანა მკურნალი მიწას არ უტარებია.

ამ სიტყვებზე ჭილობი დაკეცა, დამტარებლებიც დაივიწყა და ქეჩაში გაფარდა. მკურნალს გასამრჯელო არ უთბოვია. ეს სამაგალითოა!

მაგრამ როგორც კი განკურნებული აბანოს შენობას გასცდა, ორმა პოლიციელმა დაუძახა.

— ჰეი, შენ, რაღაცა გქვია! — ღრიალებდნენ ჰეროდეს ქეში-გები. — საით გარბიხარ?

ყოფილი დამბლადაცემული შეჩერდა:

— ჩიმიანებოთან გავრბივარ, მალე მინდა ვერცნო, — მიუგო აბეზარ მდევრებს. — მინდა გაფახარო, ასე უცრად რომ განვიკურნე.

— ერთი შეჩერდი, მეგობარო! ჩვენ ასე იოლად ვერ გაგვაცერებ. განვიკურნეო, ამბობ... ამას თვითონაც ვხედავთ. მაგრამ როგორ არ იცი, რომ დღეს შაბაოია, და კანონი სასტიკად კრძალავს ყოველგვარ საქმიანობას?

სასწაულით განკურნებულმა პირი დააღო.

— მომისმინეთ, — ამოღერდა ბოლოს. — ეს რა დროიდან ითვლება გაჯანსაღება შრომად?

— გეყოფა ყბედობა, მეგობარო!.. შენს ჯანმრთელობაზე არ არის აქ ლაპარაკი. ჩვენ გვაკვირვებს ჭილობი, იღლიის ქვეშ რომ ამოგიჩრია.

— ჭილობმა რაღა დაშავა?

— ეშმაკმა დალახეროს, კიდევ გვეკითხება! მენ რა, უჭირასწორები მწყრალად ხარ? მაშინ იცოდე. მოსეს კანონი კრძალავს შაბაზობით გადასახლებას.

მართლაც, ბიბლიის კანონით შაბათობით მხოლოდ დასვენება შეიძლება.

რა უნდა ექნა სასწაულით გადარჩენილს? მას ბრალი ედებოდა, მოსეს კანონი დაარღვიერ.

როცა გაიგო, რომ პოლიციელები აქტის შედგენას აპირებენ, დაწვრილებით მოუყავა, რაც გადახდა.

პირველად წესირების დამცველებს გაგონებაც არ სურდათ რაიმე ახსნა-განმარტებისა, ერთი სიტყვაც არ სჯეროდათ მისი. როგორ დაიჯერებდნენ, რომ ორმოცი წლის დავრდომილი ერთ წამს გაჯანსაღდებოდა, ისე რომ წმინდა აუზშიაც კი არ უბანავია? ამიტომ იმ დასკუამდე მივიღნენ, რომ წესრიგის დამრღვევი განყოფილებაში უნდა მიეყვანათ.

ჩვენი სწორი-ყოფილის ბედზე უსაქმურები მოგროვდნენ, მალე პოლიციელებს პირდაპირ ალყა შემოატყეს. ოცამდე მოწმემ იქვე ფიცით დაადასტურა, რომ დამბლადაცემულმა სიმართლე თქვა.

ამის მიუხედავად, ჯიუტი პოლიციელები მაინც აქტის შედგენას აპირებდნენ, მით უმეტეს რომ ფარისეველთა სუქტას ჰყოთვნოდნენ. ფარისეველები, როგორც ცნობილია, თავგამოდებული ფორმალისტები იყვნენ და უსიტყვოდ ითხოვდნენ მოსეს კანონების დაცვას.

ამრიგად, ნამდვილი დამნაშავის აღმოჩენის მიზნით ისევ ყოფილ სწორს შიმართეს:

— ჩვენ შეად გართ დაგიჯეროთ, რომ ავად იყავი და იცებ განიკურნე. მაშასადამე, ვიღაცამ გიმკურნალა და ამით დაარღვია ბიბლიერი კანონი, რომლის თანახმადაც შაბათობით მკურნალობა იყრძალება.

— მაგრამ ის არ არის ექიმი და არც უმეშავნია! — შესძახა განკურნებულმა. — უბრალოდ მითხვა: „ადექი და წალიო!“ სასწაული შემსაობა არ არის!

ჩანდა, გონიერი ვინმე იყო ეს პაციენტი, მაგრამ გონიერება და პოლიციელები ერთომეორეს ვერ ეწყობიან.

— კმარა! არსებული კანონების ახსნა მხოლოდ ძალაუფლების წარმომადგენლებს აქვთ. შენი მკურნალი კანონია, დამრღვევია!



როგორც ჩანს, „კანონის დამცველთა“ ხასიათი მარად ერთნაირი ყოფილა.

— მაგრამ მოგვისმინეთ...

— ჩემად, შენ გელაპარაკებიან! კითხვებზე გვიპასუხე! რა ქვია შენს მკურნალს?

— აბა რა ვიცი! მაღალი ქერა კაცია, გრძელი თმა აქეს, სახელი გი, — ღმერთო, მომკალი, თუ ვიცოდე!

მეტი ველარაფერი ათემევინეს. განკურნებული მართლა არ იცნობდა იქსოს, და ვერც მოწმებმა დაუდგინეს მისი ვინაობა.

წესიერების გუშაგებმა გელი გაიმაგრეს, ყოფილი დამბლადაცემელი გაუშვეს, თვეთონ კი თავიანთ ჩაწილში წავიდნენ, აღჭერვილი საგლოსხმი ცნობით, რომ არსებული კანონის საწინააღმდეგოდ რომელიდაც უცნობი ექიმი ხახულით მკურნალობს სწეულთ, ისიც შაბათობით, როცა უნდა იჯდეს.

იმ დღიდან იქსო ნიშანში ამოიღეს. ექვე სწორედ იმაზე აიღეს. სინედრიონის წევრებმა, რომელიაც მოარული ხიტყვის მიერ გახდა წელს ტაძარში მოხდენილი ზედაპირუაც კარგად ახსოვდათ, გადაწყვიტეს ამ საცხოვო ყარიბშე მექაური მეთვალყურეობა დაწყებინათ.

რამდენიმე დღის შემდეგ თავსედი დამრღვევი ტაძარში გამოჩნდა და ყოფილ დავილდომიცლს შესვდა. თავისი მკურნალის დანახვაზე განკურნებულია სიხარულისაგან სტუნვა ღარისათავის განაზომელი მაღლობა ერთხელ კიდევ უნდოდა დაემოწმებინა. მაგრავ იქსომ მაშინვე მოჟღორა.

— მე კანმრთელობა დაგიპრუნე, — უთხრა, — მაგრამ არ იფიქრო, რომ მთელს სიცოცხლეში შენ გიმეურნალებ! სწეულურა, უნდა იცოდე, სახელია ცოდვებისათვის. ამიტომ ამიერიდან წულა შესცოდებ, რომ ახალი სწება არ შეიცარო. თუ მაინც დასწეულები, თავს დააბრალე. მეტად ამ საქმეში აღარ ჩავერეცი, პატიოსან სიტყვას გაძლევ.

ყოფილი სწეული დაპირდა, ყმაწვილივით უცოდეველი ვიქებით, ხოლო როცა მკურნალი წავიდა, ხალხს დაუწყო გამოკითხვა, ვინ არის ეს საკვირველი კაციო.

მორწმუნეთა შორის აღმოჩნდა ხალხი, რომელიც იცნობდა ქრისტეს.

განკურნებულს ხახელი უთხრეს, იმან კიდევ მთელს ქვეყანას მოსდო თავისი კეთილისმყოფელის ვინაობა: „წარვიდა კაცი იგი და

უთხრა ურიათა მათ, ვითარმედ იქსო არს, რომელშან განკურნა
მე". დიახ, მანვე გასცა!

სინედრიონის ეჭვი ახალმა, ამჯერად საიმედო ცნობებიც და-
ადასტურეს. მაშინვე გამოიტანეს დადგენილება, რომ მოსეს კანო-
ნის დამრღვევი სისხლის სამართალში მიეცათ. რეგუნნი ახამართ-
ლებენ ქრისტეს!

წმინდა სამსჯავროს გამომტიებლებმა იქსო დაიძარეს და ფორ-
მალური დაკითხვა ჩაუტარეს.

— აღარებთ თუ არა, რომ გასულ შაბათს „ბიოზდის“ „აბა-
ნოში ვიღაც დამბლიანი კაცი განკურნეთ?

— ვაღიარებ.

— ეწევით თუ არა საერთოდ საექიმო პრაქტიკას?

— არა

— როგორ თუ არა? ადამიანი მძიმე ავადაა, თქვენ არჩენთ და
კიდევ ამბობთ, არ ვეწევით ქვემობას! შერე არც ის გულდნიათ, რომ
შაბათი დღე შოსეს კანონით დასახვენებლადაა დადგენილი.

ცხადია, ქრისტეს მსაჯულებს მისი მოშორება უნდოდათ და სა-
ბაბად შაბათს შეკრნალობა აიღეს: „შისთვის ჰსდევნიდეს ურიანი
იგი იქსოს და უნება მოკლვა მისი, რამეთუ ამას იქმოდა შაბათთა
შინა“ (იოანე, 5, 16).

როგორ ფიქრობთ, რა უპასუხა იქსომ?

მას უნდა აეხსნა, სასწაულებრივი განკურნება ექიმობა არ
არისო, მაგრამ ასე კი არ მოიქცა, გაჯიუტდა, სიქმე გაირთულა:
„მამა ჩემი მოაქამდე იქმს და მეც ვიქმ. ამისათვის უფრო ხოლო
ეძიებდეს ურიანი იგი მოკლვად იქსოს, რამეთუ არა ხოლო შაბათ-
სა დაქსნიდა, არამედ ღმერთსაცა მამად თვისად იტყოდა და თავსა
თვისსა სწორ პყოფდა ღმრთისა“. დაკითხვა მისთვის იქცა საბაბად,
რომ თავისი მოძღვრება და ვინაობა ვრცლად დაეხურათებინა, და
არც დააყონა გრძელი სიტყვის თქმა*.

გადამეტებული სიტყვამრავლობით, უჩვეულოდ შეტყველი ესტუ-
ბით ლაპარაკობს ქრისტე იმაზე. რომ მამამისი არ წყვეტს რაიმეს

* ტაქსილის ირონია აქ მთლად გამართლებული ვერ არის: ქრისტეს
ხომ ისედაც შევძლო თავი დაესტურინა და ფარტმასაც გადარჩენოდა, მაგ-
რამ მისი მისია იყო არა თავის დაძერენა, არამედ რელიგიის შექმნა, და
აღრე თუ გვიან ხომ უნდა შესტაკებოდა ეპრაელთა სინედრიონს!

კეთებას; რომ მამას ქყავს შვილი, რომელსაც ევალება მაშინ საქმი
აკეთოს და ხელში ცოდვა-ბრალის სასწორი ეჭიროს; რომ მიღება-
ლებულნი, თუ ბედი გაეხსენებათ და შვილს მოუსმენენ, მარადებულ
სასუფლებულში იცოცხებენ; რომ თვითონ მას არა აქვს თავისი ნება
და ემორნილება იმ უზენაესის ნებას, რომელმაც ქვეყნად გამოვსავ-
ნა; რომ მისი ნათესავი ითანე ნათლისმცემელი „იყო სანთელი ა-
თებული და საჩინო“ და მოსე ბრალმდებელია, რომელსაც თქვენ
უსმინთ („არს შემასმენელი თქვენი მოხე, რომელსა თქვენ ესავთ.
უკეთუმცა გრწმენა მოხესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემ-
თვის დასწერა. უკეთუ მისთა წიგნთა არა გრწამს, ჩემთა სიტყვათა
ვითარმე გრწმენა?“ — ითანე, 5, 45—47).

აქვე იესო სინედრიონს მოახსენებს, რომ მისი ტანჯვა არ იქნე-
ბოდა ჰეშმარიტი წამება, მარტო თავისითვის რომ იტანჯებოდეს,
მაგრამ თავისი მსაჯულებისთვისაც იტანჯება, „და უწყი, რამეოუ
ჰეშმარიტ არს წამება მისი, რომელსა ჰეწამებს ჩემთვის“.

მოვლი ეს სარწმუნოებრივ-ფილიოსოფიური აბდაუბდა იმდენად
უაზროა, რომ უფრო ურცლად უნდა დავიმოწმო. დაე, მკითხველმა,
ბრალი არ დამდოს, ხუმრობ და აზვიადებო. ქრისტეს ყველა ფრაზა,
რაც აქაა დამოწმებული, მას ეკუთვნის და არა შე.

ამრიგად, აი ქრისტიანობის მითიური დამარსებლის ამ სიტყ-
ვის დანარჩენი ნაწილი, რაც ალბათ უფრო აზრიანი იქნებოდა, მათი
მთქმელი რომ სინამდვილეში არსებულიყო (ითანე, 5, 19—47):

„მიუღი იესო და პრეზა მათ ამინ, ამინ, გეტყვი თქვენ: არა
ხელუწიუბების ძესა კაცისასა საქმედ თავით თვისით არცა ერთი რა,
უკეთუ არა ისილოს რამე მამისაგან საქმე. რამეთუ რაგდენსა. იგი
მამა იქმს, მას ძე აგრეთვე მსგავსად იქმს. რამეთუ მამასა უკვარს
ძე და ყოველსავე უჩვენებს მას, რაოდენსაცა იგი იქმს, და უფრო-
სიცა ამისა უჩვენოს მას საქმე, რათა თქვენ გიკვირდეს. რამეთუ ვი-
თარცა იგი მამა აღადგინებს მკვდართა და აცხოვნებს, უგრეუა ძე,
რომელთა პნებავს, აცხოვნებს. არცადა მამა ჰსჯის არავის, არამედ
ყოველი სასჯელი მოშეცა ძესა, რათა ყოველი პატივსცემდენ ძესა,
ვითარცა იგი პატივსცემენ მამასა; რამეთუ რომელმან არა პატივს-
ცეს ძესა, მან არა პატივსცეს მამასა, რომელმან მოვლინა იგი. ამინ,
ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელმან სიტყვანი ჩემნი ისშინენს
და პრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქნდეს ცხოვნება საუკუნო, და
სასჯელსა იგი არა შემვიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკვდილი-

საგან ცხოვრებად. ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ მოვალს უაში,
და აწვე არს ოდეს მკედართა ისშინნენ სიტყვანი ძისა ღმრთებანი რამეთ
და რომელთა ისმინნეს, ჰსცხოვდნენ. რამეთუ ვითარცა იგდი მუშავორი თავის
აქეს ცხოვრება თავისისა თანა, ვერეცა ძეს, მოსხცა, რათა აქ-
ვნდეს ცხოვრება თავისისა თვისისისა თანა. და ხელმწიფება მოსხცა მას
სასჯელისაცა ყოფად, რამეთუ ძე კაცისა არს. წე გიკვირნ ესე, რა-
მეთუ მოვალს უაში, რომელსა ყოველი, რომელი ისხნენ საფლა-
ვებსა, ისმინონ ხმისა მისისა. და გამოვიდოდენ კეთილის-ზოქმედნი
აღდგომასა ცხოვრებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა
საპსჯელისასა. არა ხელმწიფების მე საქმედ თავისით არა
რა; არამედ ვითარცა მესმის, ვსჯი, და სასჯელი ჩემი მართალ არს,
რამეთუ არა ვეძიებ წებასა ჩემსა, არამედ წებასა მომავლინებელისა
ჩემისა მამისასა... თქვენ შოავლინეთ ითანესა, და პსწამა ჟეზმარიტი.
ხოლო მე მაქვს წამება კაცისაგან არა მოვიღო, არამედ ამის ვიტყვი,
რათა თქვენ ჰსცხოვნდეთ... ხოლო მე მაქვს წამება უფროს ითანესა,
რამეთუ საქმენი, რომელი მომცნა მე მამამან, რათა აღვასრულე
ივინი, ესევ საქმენი პსწამებენ ჩემთვის, რომელთა მე ვიქმ, რამე-
თუ მამამან. მომავლინა მე. და, რომელმან მომავლინა მე, მამამან,
მან პსწამა ჩემთვის, თქვენ არცა ხმა მისი გესმა საღამე, არცა ხატი
მისი იხილეთ. და სიტყვა მისი არა არს თქვენთანა დადგრომილ,
რამეთუ რომელი იგი მოავლინა ღმერთმან, ესე თქვენ არა გრწამს.
გამოიძიებდით წიგნთაგან, რამეთუ თქვენ პერნებთ, ვითარმედ გაქვს
ცხოვრება საუკუნო მათ შინა, და იგინი არიან, რომელი პსწამებენ
ჩემთვის. და თქვენ არა გნებაეს მოსლეად ჩემდა, რათა ცხოვრება
გაქვნდეს. დიდება კაცთაგან არა მოვიღო. არამედ გიცნი თქვენ,
რამეთუ სიყვარული ღმრთისა არა გაქვს თავთა შინა თქვენთა. მე მო-
ვედ სახელითა მამისა ჩემისათა, და არა შემიწყნარებთ; უკეთუ სხვა
მოვიდეს სახელითა თვისითა, იგი შეიწყნაროთ. ვითარ უკვე ხელ-
გვიფების თქვენ ჩემუნებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთარს მი-
იღებთ და დიდებასა მხოლოსა ღმრთისასა არა ეძუებთ? წე პერ-
ნებთ, ვითარმედ მე შეგასმინნე თქვენ მამასა ჩემსა. არს შემასმენელი
თქვენი მოსე, რომელსა თქვენ ესავთ. უკეთუშიცა გრწმენა მოსესი,
გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთვის დასწერა. უკეთუ მისთა
წიგნთა არა გრწამს, ჩემთა ხიტყვათა ვითარმედ გრწმენეს? ამისა
შემდგომად წიაღპხდა იქსო წიაღ-ზღვასა მას გალილისასა, რო-
ჩელ არს ტიბერიისაა".

პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი წევნი ცდის მაჯხვდა-
ვად, მთელი კეთილგანწყობილების შემთხვევაშიც კი ჩატანა, რე-
ლია სიბრძნისა და უაზრო ნაბოდეარის ამ ნარევში რაიმე საღი აზ-
რის პოვნა: მამის მოგზავნილი ვარ, ხალხისათვის უნდა ვეწამო,
თქვენ ეს არ გესმით, პატივს არ სცემთ ღმერთს და თვითონ თქვენს
მოსეს, რომელმაც თავისი წიგნი ჩემოვის დაწერა და ა. შ. — ესაა
ძირითადი შინაარსი, რაც მეორდება, ბუნდოვანი სოფიზმებით მძიმ-
დება და ჭიანურდება. დღეს რომ სისხლის სამართლის რომელიმე
დამრღვვევი დაკითხათ და ასეთი ვრცელი სიტყვით გამოსულიყო,
აუცილებლად გააგზავნიდნენ შესამოწმებლად ფსიქიატრულ საავად-
მყოფოში.

ცხადია, არც მაშინ გაეგებოდა ვინმეს ასეთი რომეა. თვით სინერ-
რიონის წევრები, რომლებიც დიდი ჰყუის კოლოფები არც თვითონ
იყვნენ, მხრებს იჩეჩავდნენ და ვერ ვადაწყვიტათ, ასეთი სიტყვა-
უხევი შეადაგებელი ჰქვათამყოფელად ჩაეთვალათ თუ შეურაცხადად.
ბოლოს და ბოლოს, ხელი ჩაიქნიეს და უარი თქვენს მოარული სიტყ-
ვის პატიმარყოფაშე. მათი აზრით, იქსო თვითონაც არ გაეგებო-
და, რას ლაპარაკობდა, და პასუხსაც ვერ აგებდა საკუთარი საქცი-
ელისათვის.

სამსჯავრო იმით დაკმაყოფილდა, რომ ხელში მიაჩინეს შა-
ბათობით აკრძალულ საქმეთა სია და გააფრთხილეს, ამიერიდან
ყერაღლებით იყვაიო*. მათი აზრით, იქსო თვითონაც არ გაეგებო-

და, რას ლაპარაკობდა, და პასუხსაც ვერ აგებდა საკუთარი საქცი-
ელისათვის.

მათი სრული სია გადმოცემულია ეკრეთ წოდებულ რაბინია
წიგნში. მე დავასახელებ მხოლოდ ნიმუშებს იმის დასამტკიცებ-
ლად, რომ ფანატიზმი წყაროა აბსურდისა.

შაბათობით ებრაელები განწირულნი იყვნენ სრული უმოქმედო-
ბისათვის.

„შაბათ დღეს ბრმას ეკრძალება ჯობით სიარული. ყოველ ებ-

* ერთა რამ კი შაინც გამორჩიათ მხედველობილან: ეს „შეურაცხადი
გაცი“ ხომ მაინც ახდენდა სასწაულებს და აჩინდა ღვარდნილებსა? რა-
ნაირად შეიძლებოდა უბრალო ყბელი ასეთ ზეპუნებრივ საქმეთა მოქმედი
ყოფილიყო?

რავლს უკრძალება ტეირთის შიდვა, თუნდაც მარათ იყოს, ან მო-
სახსნელი გვირგვინი კბილზე, ან ბატა, რაც არაა ქიტოზზე ჟამ-
რებული. აკრძალულია ერთ ასოზე მეტის დაწერა გამშულად. კუ-
ძალულია მწერის მოკვლა, თუნდაც ხელზე დაგაურინდეს და გაბენ-
დეს. გვკრძალება ტანზე ხელის გადასმა, თუ რევმატიზმი გაწუსებს. აკ-
რძალულია მტკიფანა კბილის წამლობა, თუნდაც მარტო ძმირის
გამოვლება, თუ მერე არ გადაყლაპავ და გარეთ გადმოდვრი. აკრ-
ძალულია საქათმეში იმაზე მეტი მარცვლის დაყრა, რამდენის
აკენეფაც ქაომებს შეუძლიათ, რათა დარჩებილი მარცვალი არ ამო-
ვიდეს და არ ჩაითვალოს შაბათს დათესილად. მგზავრებს უკრძა-
ლებათ გზის გაგრძელება, თუ გზაში შაბათმა მოუსწროთ, თუნდაც
შემოაღამდეთ ტყეში, ჯლზე, წყიმაში ან ქარში, ისეთ ადგილებში,
სადაც ავაზაკები დათარებიბენ“.

ამის შემთხვევლიც რა სკულმდებელიც იქნებოდა, მყითხველმა
წარმოიდგინოს. ოღონდ არ იფიქროთ, რომ ყოველივე ამას ჩემი
სიამოწებისათვის ვიგონებ. აქ ჩამოთვლილი აკრძალვები იმ დროს
ნამდევილად არსებობდა და ხალხი მათ იცავდა. ცნობებიც კია შე-
მონაბული ერთ ფარისეველზე, რომლის სახელია შამაი, რომელიც
ხუთშაბათის შემდეგ მსახურს ვეღარ ენდობოდა, სრულიად უბრალი
ხელწერილს ვეღარ ატანდა, რადგან წარმართი იყო და ემინოდა,
ვაითუ ადრესატს შაბათს ჩააბაროსო.

არც ქრისტიანები ჩამორჩებიან ებრაელებს უასრო შესაუღების
დადგენაში. დღესაც კი შოგიერთ ქვეყანაში კვირა დღის უქმება
ისევე მეაცრად იცავენ, როგორც ებრაელები იცავდნენ შაბათს. არც
ისე დიდი ხნის წინ, მაგალითად, ინგლისელი ღვთისმეტყველნი სე-
რიოზულად არჩევდნენ ასეთ საჭიროობოროგო საქმეს: შეიძლება თე
არა კვირაობით ხარული? და წარმოიდგინეთ, სრული უშორაობის
მომხრეებიც აღმოჩნდნენ. სელაპივით ვგდე და უცადე ორშაბათს!

ფარისეველთა ფარისევლობა

და მერე შევიდა შესაკრებულსა, და იყო
მენ კაცი, რომელსა ხელი გამომეც ედება
(ხელი გამომოძილა).

და უმშირდეს მას, უკეთე შებაზსა განკ-
გურის იყო.

და მას ქამა პრეზა იქნო კაცხა მას, რო-
მელსა ხელი გამომეც ედება: აღსდევ და წარ-
მოხდევ შირის.

და პრეზა მათ იქნო: ჯვრ-არს შეპატასა ში-
ნა კეთილისა საქმე ანუ ბოროტისა? სულისა
ცხოვრება ანუ მოკლეა? ხოლო იყინი პაღუმ-
ნეს.

და მიმო-იხილა მათდა ჩიხხვითი და მუკ-
ხარებ სიბრძისათვის გულთა მათთასა, და
პრეზა კაცხა მას. განირზა ხელი შეწი, და
განირთხა, და კელაც მოკეთ ხელი იყი, ვი-
თარცა ურთი იყი.

და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველ-
ნი ინდოიანთა თანა და ზრახვა პულებ მისმა-
ვის, რათა წარმატების დრო იყო (უნდა დაე-
ღუბათ).

ხოლო იქნო მოწავითერი განეშინა მათ-
გან...

მარკოში, 3, 1-7.



ნდა ნახოთ, როგორ უჩიუდებათ გული
ქრისტიანებს, როცა მოგვითხრობენ ყველა
იმ უსიამოვნებას, რაც იქნოს ფარისეველებ-
მა მიაყენეს!

მათ რომ გირწმუნოთ, „ბითეზდის“ აბა-
ნოში მომზდარი ამბის შემდეგ მოარული სიტყვა განეწყვეტილი
დევნას განიცდილა. ყველგან, უდაბნოში თუ მარაგზაშე, მაშინაც კი,
224

როცა იქსოს უკონა, რომ მარტო დარჩია თავის მოწაფეებთან, თითქოს კვალდაგვალ დაძყებოდნენ სინედრიონის დაგეშილი ქოფაეუბის და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მოხეტიალე მქადაგებელს უსაქ- შურთა ბრძოს მიუსევდნენ ხოლმე, ღვთისმგმობელსა და მოსეს კა- ნონების დამრღვევს ეძახდნენ.

პასექის მომდევნო შაბათს იქსომ გადაწყვიტა გალილეაში დაბ- რუნებულიყო და თავისი შეიდი მოციქულის თანხლებით გზას გა- უდგა კიდეც.

ჩეენ ეკვ ვიცით, რომ წმინდა დასი თავის საკუთრებად თვლი- და ყველაფერს, რაც გზად დასჭირდებოდათ და ხელთ მოხვდებო- დათ. ასე, მაგალითად, მოშივდათ და შევიდნენ სხვის ყანაში, მწიფე თავთავეები მოაგროვეს, ხელშივე დაფუშვნეს და მარცვლის ჭამა და- იწყეს.

ცხადია, ახლა არ იცოდნენ, რომ ფარისევლები თვალს არ აყი- ლებდნენ. უეჭველია, სინედრიონის ქეშიკები გადაცმულები იქნე- ბოდნენ, თორემ იქსოს მოწაფეები შეამჩნევდნენ ამრიგად, უეცრად ინკოგნიტოს ნიღაბი აეხადა და მოურიდებელ მძარცველებს ფარი- სევლები მიუახლოვდნენ.

— ახლა კი გაები! — უთხრეს იქსოს. — მკონი, დღესაც შა- ბათია.

— შაბათია. მერე რა გინდათ?

— ისა, რომ კანონი სასტიკად კრძალავს მქასა და ლეწვას შა- ბათ დღეს! შენი მოწაფეები კი ჩეენს თვალწინ მკიდნენ და ანია- ვებდნენ. აბა ახლა სცადე თავის დაძვრენა!

— რასა ბრძანებთ? დაგიქირავეთ, რომ გამაცინოთ თუ როგო- რაა თქეენი საქმე? — მიუგო იქსომ, რომლის დაბნევა აგრე იოლი არ იყო. — საიდან იცით, რომ ჩემი მოწაფეები მკიდნენ და მარ- ცვალს ანიავებდნენ? შეგიძლიათ ქურდები უწოდოთ, რადგან გზაში მოგვშივდა, მაგრამ რაც არ გაუკეთებიათ, იმაში ბრალს ურ დას- დებთ. შაბათის კანონი არ დაურღვევიათ.

— ილაყბე, მაგრამ ნუ გადააშლამებ! — ურჩიეს ფარისევლებ- მა. — ამ საკითხს უკვე დიდი ხანია აქვს თავისი ახსნა, დადგენილია და დაკანონებული, რომ თავთავების შეგროვება და ხელში დაფუშვნა იგივეა, რაც პურის მქა და ლეწვა. დღეიდან იცოდე: ჩეენმა სამს- ჯავრომ, რაც უცოდველია, უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, რომ ყანაში სიარულიც კი ლეწვად ითვლება და თვითონ ბეჭის

შოკვლაც კი კვალიფიცირებულია, როგორც აკრძალული ნადირობა (მაიმონიდი³⁴, ჩჩევა-დარიგებათა წიგნი, თავი 7). სარიცხული
იქსომ მხრები აიჩინა.

— ბიბლიის კანონთა ამხსნელად თქვენ ვერა ხართ მომზადებული.

— მართლა? — იუკადრისეს ფარისეველებმა.

— ამას არ უნდა ლარი და ხაში, ნუ გეწყინებათ... განა არ იყით, რა ქნა ერთხელ დავითმა, ძლიერი შიმშილი რომ იგრძნო? სინაგოგაში შევიდა და სამსხვერპლო პური შეჭამა, რომლის ჭამის ნება არავის ქქონდა, — რა თქმა უნდა, მღვდლების გარდა, — პურის ნარჩენი კი თავის მსახურებს მისცა. ეს მაშინ მოხდა, როცა მღვდელმთავრად იყო აბიათარი და როცა...

— ღმერთი იყოს მისი მფარველი, ის დავითი იყო, შენ როგორდა ახსნი შენი მოწაფეების საქციელს?

— ძალიან უბრალოდ! თუ დავითს შეეძლო წმინდა პური ეჭამა და დაერღვია მოსეს კანონი, განა შეიძლება ჩემი მოწაფეების გამტყუნება იმისათვის, რომ დამშეულებმა სიცოცხლის შეხანარჩენებლად მინდორში ორი თავთავი დაფშენეს?

როგორც ჩანს, სინედრიონის შპიკები ვერ იყვნენ გამოცდილი ფარისეველები, თორემ შეეძლოთ მთარული სიტყვისათვის ეთქვათ, თვითონვე არ გცოდნია წესიერად ბიბლიაო, რადგან ჯერ ერთი, იქსოს მიერ მოსხენიებულ მღვდელმთავარს აბიათარი კი არ ერქვა. არამედ აქიმელები, და მეორეც, დავითს სამუელმა „სცხო“, უფლის კურთხევა ქქონდა მიღებული, მეფე იყო, ჩვენი მქადაგებელი კი არ იყო კურთხეული არც ერთი მღვდლისაგან^{*}.

ამას გარდა, დავითს უფლება ქქონდა შეეჭამა სამსხვერპლო პური, ანუ შემოწირული პური. თორმეტი ასეთი პური სიმბოლო იყო ებრაელთა თორმეტი გვარტოშისა. მათ აცხობდნენ საუკეთესო უქვილისაგან და ათავსებდნენ სინაგოგის საკურთხეველთან, ბრწყინვალისაგან.

* სალკოისმეტაცელო საკითხებზე დაუსრულებლივ შეიძლება პატერაბის გაგრძელება, როგორც მეცელ საეკლესიო დისპეტებზე იცოდნენ. იქსოს შეეძლო ტაქსილისთვისაც ეთქვა: არც შენ გულინი აბბლია კარგად, რადგან დაკითო მეფე იყო მიწიერი, მე კი ცაური მეფე ვაჩ, ღმერთი, და მეტი უფლებაც მაქვს დატარლვით მოსეს დაბასებული კანონით. თანაც მას საქმე აქვს უბადრუკ ლაქიებთან, რომელთა სახელი საზირდას მლიქენელთა სინონიმად დარჩა.

გაღებული მაგიდაზე, რაც შავი ხისაგან იყო გამოთლილი და ოქროთქველი შემეტელი. ეს შემოწირული კერძები სულ მედამ ახალ-ახლო გვარით დალებოდა, რადგან მღვდლები მიირთმევდნენ. იუდევლი. მღვდლები ხომ მღერთის შეწევნით აიძულებდნენ მორწმუნებს, რომ მოემარა-გებინათ. შემოწირულობის სახით ისინი იღებდნენ ბატქნებს, ცხვარს, ხარებს და უმაღლესი ხარისხის ფქვილსაც კი. დავითი კანონიერი მეუე იყო და წინასწარმეტყველი, ამიტომ შეეძლო ეჭამა ყოველგვარი საჭმელი, რასაც სინაგოგაში მოიტანდნენ, ამით არავითარ კა-ნონს არ არღვევდა.

ამრიგად, ფარისევლები მოარულმა სიტყვამ დააბნია და ხმა აღარ ამოუღიათ. საბუთი საჭმაოდ დამაჯერებელი ეჩვენათ.

მაშინ იქსომ თქვა:

— შემიძლია კიდევ დავუმატო. განა შაბათი დღე არსებობს მღვდლებისათვის? არა. უძრალო მორწმუნები შაბათობით არაფერს არ აკეთებენ, მავრამ მღვდლებს ეს არ ეხებათ. ტაძარში არ თენ-დება შაბათი. პოდა, კეთილი ინებეთ, შეისმინეთ: მე თვითონ ვარ ტაძარი, ამიტომ ჩემი მოწაფეები, ჩემს გვერდით რომ მუშაობენ. არაფერს არ არღვევენ.

ფარისევლებმა ვერაფერი უპასუხეს, უთუოდ იუიქრეს: ვისაც ასე-თი თამამი რწმენა და პრეტენზიები აქვს, ის კიდევაც თავისას გაი-ტანსო, დაჭრეს ფეხი და წავიდნენ.

ასეთ მოპატერესთან გამათი მართლაც უსარგებლო იყო! ამიტომ იერუსალიმში დაბრუნდნენ, რათა სინედრიონი საქმის კერსში შე-ეყვანათ: ესა და ეს ვნახეთ და მოვისმინეთო.

რაც შეეხება მირონცხებულსა და მის თანამგზავრებს, არხეინად განაგრძეს თავიანთი გზა.

იქსოს, როგორც წინასწარმეტყველს, იმ დღეს ჯეშვილად უნდა ეფიქრა მომავალზე, როდესაც იუდევლ ქურუმთა როლი ქრისტიან მღვდლებს გადაეცემიდა. მართლაც, შემდეგ დასევნების დღე კვირა გახდა და მღვდლები ამ დღეს მუშაობას გვიკრძალავნ. მართალია, თვითონ ამ დღეს ოფლი ღვარად გადასდით, მაგრამ სამაგიეროდ ყველა დანარჩენი დღე მათთვის დასევნებაა და ბევრს არაფერს აკე-თებენ, ამიტომ არც იღლებიან

მოპარული თავთავების ამბავი მოთხოვთაღია სამ სახარებაში:

მათეს (12,1—8), მარკოზის (2,23—27)* და ლუკას სახარებაში (6,1—5).

ეს შემთხვევა მოხდა იერუსალიმიდან გალილეაში მიმავალ გზაზე**. ევანგელისტები :რ გვეუძნებიან, სად გაჩერდა შემდეგ მაცხოვარი, რომელმაც თავი მოარულ ტაძრად გამოაცხადა. ისინი კმაყოფილდებიან ზოგადი განცხადებით, რომლის მიხედვითაც ფარისეველთა ხრისტებმა, კერძოდ შაბათობით საქმიანობის მომაბეჭრებელმა აკრძალვამ ქრისტე ძლიერ გააბრაზა და ამიერიდან განგებ სულ შებათობით ახდენდა სასწაულებს, სხვა დღეებთან შედარებით თავისი საქმიანობისათვის უპირატესობას ამ დღეს აძლევდა.

ასე, მომდევნო შაბათს განზრას შევიდა სინაგოგაში და ხალხში გაერია, იქნებ ვინმე სნეული ვნახო, რომ აქვე განვეურნო და ფარისევლებს გადა მოვცელაო.

შესაფერისი დავრდომილიც მაღლ ნახა: ბედშავს მარჯვენა ხელი გამსმარი ჰქონდა. ებრაელთა სახარების მიხედვით ეს იყო კალატოზი. მართალია, ეს სახარება ნიკეის საეკლესიო ქრებაში აპოკრიფად გამოაცხადა, მაგრამ ჩვენ რა გვედარდება? იქ წერია, კალატოზით, და იყოს კალატოზი!¹³⁵

სად და როგორ გაუხმა ხელი — გაურკვეველია. ერთი რამ კი ნათელია: მარჯვენაგამსმარი ოსტატი მარცხნა ხელით ჩაქარის ფრა ხმარობდა და იძულებული გახდა გლახაკობით ერჩინა თავი.

იქსო პირდაპირ მისევენ გაეშურა.

ფარისევლები მაშინვე მიხედვდნენ — ამ დუხტირ კამუშებს ვინ დაემალებოდა! — მაშინვე დაფაცურდნენ. შორისახლო დაძვრებოდნენ და ერთი სული ჰქონდათ, ვიდრე იქსო სნეულს მოარჩინდა, იქნებ გამოვიჭიროთო!

* საველიევას და იარილინის ჩუსულ თარგმანში არასწორადაა მითითებული მარკოზის სახარების შეხლები (23—38), უნდა იყოს 23—27.

** საში სახარებიდან აძიათარ მღვდელმთავარი მოხსენიებული პყავს შხოლოდ მარკოზს: „და იყო ვითარ იგი თანა-წიარპევიდოდა შებათსა ყანებისაგან და მოწაფეთა მისთა იწყეს გზისა სლვად და მესტვად თავისა ხუკილისასა (თავთავებს აკროვებლნენ), ხოლო ფარისეველი ეტყოფეს მას: იხილე, რასა წმენ მოწაფენი შენი შებათსა შინა, რომელი არა ჭერ არს უოფად? ხოლო იქსო პრქეა მათ: არა სადა აღმოგიყითხავთა, რა იგი ჰყო დავით, რავაშ იგი უხმდა და შეემშია... შევიდა სახლსა ღმრთისასა, აძიათარ მღვდელმთავრისა ზე და ჰურნი იგი შესაწირავთანი შემსკამნა... რომელთა არა ჭერ არს ჭმად, გარნა მღვდელთა ხოლო“ (2, 26).

— მომიტევთ, — მიმართა ერთმა, — თქვენ ამ აუდმისოფის
მორჩენა ხომ არ გადაგიშვეტიათ?

— რა მითხარით? — გამომწვევი ხმით ჩაეყითხა ქრისტე
კადნიერს, ვითომ არ გაუგონია.

— მე ვთქვი: ხომ არ აპირებთ თქვენი ნიჭის გამოჩენას და ამ
კაცის გაჯანსაღებას-მეთქი?

— ამას რისთვის მეყითხებით, მოწყალეო ხელმწიფევ?

— იმისათვის, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ დღეს შაბათი გან-
ლავთ.

— ეს არ დამვიწყებია, მოწყალეო ხელმწიფევ!

— პოდა, მოწყალეო ხელმწიფევ, საექიმო პრაქტიკა შაბათო-
ბით სასტიკად იქრძალება.

— შეიძლება, მაგრამ ჩემს საექიმო საქმიანობას არაფერი სა-
ერთო არა აქვს მედიცინასთან.

— ათასი ბოლიში, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ რა ღონის-
ძიებითაც არ უნდა განკურნოთ ეს ხელგამხმარი კაცი, ამით დაარ-
ღვევთ მოსეს კანონს. გამიგეთ, უფალო?

სინაგოგაში თავმოყრილნი ცხოველი ინტერესით უსმენდნენ ამ
გარეგნულად თავაზიან, მაგრამ ცბიერებით აღსავსე საუბარს. რო-
მელი გაიმარჯვებდა — ექიდნა თუ ქრისტე — ეს ჯერ არ ჩანდა.
მაგრამ აქ მოარულმა სიტყვამ იოლად მოიგო ხალხის გელი ასეთი
მოხდენილი შედარებით:

— მინდა ვიცოდე, ორმოში რომ შაბათ დღეს ცხვარი ჩაგივარ-
დეთ, აღმოჩენდება თუ არა თქვენს შორის თუნდაც ერთი ისეთი, რომ
არ ჩავიდეს და არ ამოიყვანოს თავისი ცხვარი?

დარტყმა მიზანში მოხვდა. მირთნცხებულის სიტყვას ხალხი კმა-
ყოფილების გუგუნით შეხვდა. იქსომ იგრძნო, რომ უმრავლესობა
მის მხარეშეა და დასძინა:

— განა ადამიანის ჯანმრთელობა ცხვარშე ძვირფასი არ არის?
ბევრად უფრო ძვირფასია! მაშასაღამე, ავადმყოფის განკურნება
არა მარტო შეიძლება, არამედ აუცილებელიცაა, თუნდაც შაბათს
იყოს.

შემდეგ მარჯვენაგამხმარ კალატოშს მიუახლოვდა და უბრძანა:

— მიჩვენე მარჯვენა!

ავადმყოფი დაემორჩილა. იქსომ ყურადღებით დაათვალიერა
მოღრევილი კიდური.

— ქალბატონებო და ბატონებო! — მიუბრუნდა ხალხს.
ბოროტმა ენებმა რომ არ დამწამონ, გვატყუებსო და თავის თანამ-
ზრახველს სნეულად ასაღებსო, აგრე თქვენი თვალით შეხვდეთ და
დარწმუნდით, რომ ამ კაცს მარჯვენა ხელი ნამდვილად გამშმარი
აქვს.

მერე კალატოზს მიუბრუნდა და უთხრა:

— აბა, მეგობარო, გაიარე და ყველას უჩვენე შენი მარჯვენა.
კარგად დაინახონ ქალბატონებმა და ბატონებმა, რა ხელის პატ-
რონიცა ხარ.

კალატოზმა ბრძანება უნაკლოდ შეასრულა.

ეჭვიანი მაყურებლები, რაც ძალი და ღონე პქონდათ, ჩქმეტლენენ
ხელზე, ხომ არ ეშმაკობსო, მაგრამ აგადმყოფს ერთხელაც არ დაუკ-
ვნესია — ხელი ქვისა გეგონებოდათ. ერთ-ერთმა ფარისეველმა ნემ-
სიც კი ჩაარჭო წამხდარ-ხელში, მაგრამ კალატოზს წარბიც არ
შეუკრავს. ხელი გამხმარი იყო, ამას ღვარძლიანი ფარისეველიც კი
დაიჯერებდა.

მაშინ ჩვენმა მოგვმა და ჯადოქარმა სახელოები დაიკაპიშა და
დარწმუნებულმა, რომ ბრბომ დაუჯერა, ხმაშიალლა განაგრძო:

— ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ დარწმუნდეთ: ხელში
არაფერი მიჭირავს. მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფის ძალით, გან-
გების ნებით მე ახლავე აღგადგენ სისხლის მოძრაობას ამ ებედუ-
რის ძარღვებში და მარჯვენას დავუბრუნებ რსტატს, რომელმაც
ის დაკარგა. აბა, მეგობარო, მომეცი შენი მარჯვენა ძალიან კარგი..
ყურადღება! გამართე! „განირთხ ხელი შენი!“ მორჩია, შენ მორჩე-
ნილი ხარ!

ამ სიტყვებზე კალატოზმა სიხარულით შექუვირა. გადარეული
შექურებდა თითებს, რომლებიც პირველად ამოძრავდნენ მრავალი
წლის განმავლობაში.

— ყოჩალ! დიდებულია, სასწაულია! — შესძახა ბრბომ.

ზუსტად რომ ვთქვათ, ფარისეველები გაშმაგდნენ. მაგრამ იცოდ-
ნენ, რომ ახლა მთელი სიმპათია მკურნალის მხარეზეა და იქაურობა
დატოვეს, თან კბილებს აქრაჭუნებდნენ დამარცხებულნი, და ფარი-
სეველერად სისინებდნენ:

— აი თავხედი!

— ისევ პირში ჩალა გამოგავლო!

— არაფერია, ჩვენი დღეც დადგება!

„ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა პყვეს მის-
თვის, რათა წარსწყმიდონ იგი. ხოლო იქსო გულის-ხმა პყო და გა-
ნეშორა იმიერ და წარვიდა, და მისდევდა მას ერი მრავალი, და
განპეურნა იგი ყოველნი“ (მათე, 12, 9—21; იხ. აგრეთვე მარკო-
ზი, 3, 1—6; ლუკა, 6, 6—11).

მაცხოვარი გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ კარგად იცოდა,
რომ ფარისეველებს არ ეძინათ, მისი „წარწყმედა“ პქონდათ გადა-
წყვიტილი, ე. ი. დაღუპვა, და მხოლოდ საბამს ეძებდნენ. ამიტომაც
გაერიდა დროშე, თანდათან უკან დაიხია და ხალხს სიხოვა, არ გა-
მამშილოთო. ბრძო მაინც არ იყო სანდო. აკი ცოტა ხნის წინ სწო-
რედ იმ დავარდნილმა ლეშმა გასცა, რომელიც ოვითონ მოარჩინა!
იცოდა, ადრე თუ გვიან მიუწეს მოუნახავდნენ, ხალხს წაქეშებ-
დნენ დაუძინებელი მტრები და მაშინ მისი საქმე გათავებული იქნე-
ბოდა. თუ დღეს „სახელსა მისსა წარმართნი ესვიდნენ“, ხვალ შე-
იძლებოდა საქმე ჩაუდიმა შეტრიალებულიყო.* მაგრამ მის საათს
ჯერ არ დაექრა.

„მისი საათი ჯერ არ დამდგარა“, „მისი დრო ჯერ არ მოსულა“, —
იმეორებენ ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი და ამით სსნიან
უფალ იქსოს ყველა საქმეს იქ წეტებამდე, როცა მაინც შეიძყრეს და
ჯვარშე გააკრეს.

სულიერ მამებს რომ ვერწმუნოთ, იქსო შვა მისმა კოლეგამ,
მტრედმა ციურმა, მხოლოდ იმისათვის, რომ გამოესყიდა პირველი
შეცოდება და ადამიანთა ყველა სხვა ცოდვა-ბრალი. უზენაესი უფა-
ლი ღმერთი, სამსახოვანი ერთარსება, ოთხი ფთასი წელიწადი იჯ-
და ცაში და დასცეკროდა, როგორ იბადებოდნენ ადამიანთა თაო-
ბები, დადაღულნი და დაღდასმულნი იმ პირველი ცოდვით, რაც
შთამომავლობას დაატეხეს ვაშლის მოყვარულმა ადამშა და ევამ,

* კალტოზის განკურნების შემდეგ იქსოს აეტორიტეტი-ტლიერ გაი-
ზარდა. ხალხა ყველგან აღიარებდა და „ესაუდა“. „გამინ მოკვეარეს ჩას
ეშვიერულნი, ბრძა და ურუ, და განსკერნა იგინი.. და განკურიტებოდა
ერსა მას და იტყოდეს: ნუ ჩავა-უს არს ეკ დავითისი?“ იქსო სასტაც
ბრძოლას უცხადებს ფარისეველებს. კლასაკური მცეცრმეტავალების ნიმუ-
შია ხენეშ ჯაშუშთა განხილებელი მისი იტყვა: „ნაშობნო უქედნეთნი:
ეითარ ხელგაწიფების კეთილისა სიტყვად, რამეთუ თქეენ უკეთურნა
ხართ?... რამეთუ სიტყვათა შენთაგან ვანპართლე და სიტყვათა შენთაგან
დაისაჯო“ (მათე, 12, 34-37).

რომელთაც არ გემარეს სამოთხის ყველა სიკეთე, აკრძალულ ხილს წაატანეს ხელი და სინდისი ღაიმძიმეს თავხედებმა. არანალებმა რაზებდნენ მათი შთამომავალნი, ხანმოკლე სიცოცხლის მანშილუნე რომ იმდენ სხვადასხვა ცოდვას სჩადიოდნენ, რომ შათი სული დიდი ხნის გაუწმენდა საკვამურულე შავი ხდებოდა. აუცილებელი იყო რაიმე ღონისძიების გამონახვა, მაგრამ სახელდობრ რისი?

სამ საათს თათბირობდა სამება.

იაღვემ, სამთაგან ყველაზე უფრო ავმა და შერისმაძიებელმა, თქვა:

— ადამიანი რომ ცოდავდა, ცოდავს და შესცოდებს, ამაში შეგიძლიათ თვითონვე დარწმუნდეთ! დაე, იწვოდეს ჯოჯოხეთის მარადიულ ცეცხლში!

მაგრამ სიკეთის განსახიერებამ — იესო ქრისტემ შორს დაიჭირა:

— არა და არა! ჩვენ ასეთი წვრილმანი და გულლრძო არ უნდა ვიყოთ! ღმერთი მოვალეა ასეთ წვრილმანობაზე მაღლა იდგეს.

— როგორ, შენ გინდა ეს ჯიუტი და ურჩი არამშადები ციური სასულეულის ყველა სიკეთით გააძლენიერო?

— რატომაც არა?

— მაგრამ როგორლა გამოისყიდიან თავიანთი კადნიერებით ჩადენილ მილიონობით, მილიარდობით ცოდვას?

— გამოსყიდვის საკითხს მე ჩემს თავშე ავიღებ. ადამიანის ხორცს შევისხამ, კ. ი. მის კანს შევიმოსავ და გარკვეული ხნის მოღვაწეობის შემდეგ უგნერთ ნებას მივცემ, რომ ჯვარს მაცვან. ამრიგად, მე გავხდები მსხვერპლი კაცთა უკეთურობისა. და თავს ვიდებ სახამროებში დამსხვერეული ჭრუჭლის მთელს ანგარიშს.

მტრედი დუმდა, მაგრამ უკვე მომწიფებული პქონდა თავში საკუთარი აზრი. ახლა დაუდგა დრო, რომ მისთვის ხორცი შეესხა.

— მე ვეთანხმები იესოს! — დაიღუდუნა ციურიმა ფრთხოსანმა. — ნაზარეთში, იუდეაში არის ერთი ქალწული, რომელსაც სიამოვნებით ისა... გამოვეცხადებოდი და მოვეცურებოდი. თანახმა ვარ რომელიმე ჩვენი მთავარანგელოზი გაფრინდეს, გამოვეცხადოს, ახაროს და დაამუშაოს სულიწმიდის სულისკვეთებით. დანარჩენი ჩემი საქმე იყოს. გაივლის გარკვეული დრო და იესო ყრმად იქცევა, ღმერთი ადამიანის ხორცს შეისხამს.

— ძალიან კარგი აზრია! — დაუმოწმა იესომ. — ამას ვეწო-

დებთ უბიწოდ ჩასახვის საიდუმლოს. ხოლო როდესაც ადამიანთა შორის მოვხვდები, მათი ტოლი და მსგავსი, უკვე თვითონ გაუზრუნებ იმისათვის, რომ ჯვარს მაცვან ზესტად ოცდაცამეტი წლის თავზე, არც ადრე, არც გვიან.

— თუ ასეთი პერსპექტივა გახარებს, ძვირფასო, — ბუშდუნით თქვა იყოვამ, — ასრულდეს ნება შენი, თანახმა გარ. ეს შენი პირადი საქმეა მაგრამ დაქინებით მოვითხოვ, რომ ჯოჯობეთი საბოლოოდ არ გაუქმდეს არც მას შემდეგ, რაც შენ ჯვარს გაცვამენ და სიკვდილით დათრგუნავ სიკვდილსა. შენ ნარდად გამოისყიდი ყველას შეცოდებას, მაგრამ ყოველი ცოდვილი ცალკე თავისთვის აგებს პასუხს. ჩვენ მათთვის ცალკე სამზარეულოსაც შევმნით, „განსაწმენდელს“, სალხინებლის სახით, თორუმ ყველას ერთად ვერც მოხრავა.

ასეთი იყო ზოგადად იმ ხელშეკრულების არსი, რაც სამების წევრებმა შეკრეს და დაბეჭდეს.

ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

იქსო, როგორც ამ წიგნის პირველი თაფეხიდან ვიცით, მართლაც ხორცშესხმულ ადამიანად იქცა და სრული ოცდაცამეტი წლისა რომ გახდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უარისევლებს უფლება მისცა ჯვარზე გაეკრათ.

სწორედ ასევე ვიცით ისიც, რომ დადებული ხელშეკრულების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ იქსომ გამოისყიდა ყველა წარსული და მომავალი ცოდვა, იეღოვა კიდევ განაგრძობს სამრალო ცოდვილთა ხრაკვას — ზოგს ჯოჯოხეთში უკრავს თავს და ზოგს სალხინებელში.

ასე იყო თუ ისე, იქსომ მაინც თავისი დრო იცოდა. ვიდრე ამ საათმა არ დაძვრა, არავის არ მისცა ნება, რომ მისთვის კლანჭები ჩაევლო.


ამიტომ იყო, რომ ახლაც სწრაფად აიკრა გუდა-ნაბადი და გზას გაუდგა, როგორც მაშინ, როდესაც პურის თავთავებისათვის „წარწერედა“ დაუპირეს. იარა, იარა და ტიბერიადეს ტბის ჩრდილოეთ სანაპიროზე აშობყო თავი.

თორმეთი მოსირული დაკრძალვადაგულია

და ვითარება იმიღა იქსო ერი ივი, აღვი-
და მიასა და დაძძულა იფი შენ, და მოუპ-
დეს მას მოწაფენდ მისნი.

და აღალო პირი თვისი, ახწავებდა მათ
და ატუოდა: ნეტარ იყენები გლაბანი სელი-
თა, რამეთუ მათი არს სასულეული ცათა.

მათვ, 5, 1-3.



ესოს გადანაცვლება სამარაგო პოზიციებზე
წინასწარ დადგენილი გეგმის თანახმად
მოხდა. ღვთაებრივი მესერი, ეს ახირებული
ღმერთყაფი, თავისი შვიდი მოწაფეის თან-
ლებით იხევს უკან, იმ ქვეყანაში. სადაც
უილიპე მბრძანებლობს (ცოლი რომ მმას დაუთმო).

მაგრამ, როგორც სახარება ამტკიცებს, მას თან გაპყვა უთულავი
გასელელებული ხალხი გალილეიდან, იუდეიდან, იერუსალიმიდან,
იდუმეიდან და იორდანის სანაპიროებიდან*. ძნელი წარმოხადგენი
თუნდაც ერთი გლები ან ვაჭარი თუ ხელოსანი, რომელიც შშობლიურ
მხარეს, სახლსა და კარს მიატოვებს და უცხო მხარეში გაემგზავრება:
განცხაშლერელი ვალით მხოლოდ იმისათვის, რომ მოარულ სიტყვას

* გასულელებრდს ამ ხალხს ვეტორი გარეველი გაგრა: უშიოდებს:
შართალია, ქრისტე თავისი იდეალური სამართლიანობის ქადაგებით, სწ-
ულთა განკურნებით და სიყვარის ქადაგებით ააღ. მიმსილელ, უფრო ნა-
ოლ და დახვეწილ სისტემის უყრიდა საფუძველს ძველი. დახასკებული
ფანატიზმის ნანგრევებზე, სადაც ფარისევლებთან შედარებით მისი ნათელი
სახე შარავანდედითა მოცული, მაგრამ ეს ახალიც საბოლოოდ იმავე სი-
ცერეს და ძალადობას სთავაზობს ხალხს და ამჟევუნიურ ცხოვრებას. საი-
შიოს ცხოვრებაზე ცვლის.

ან თუნდაც ტაძარს მოუსმინოს, ან კიდევ ერთი სასწაულებრივი გან-
გრძნება იხილოს. ასეთი რამ არ ხდება, მაგრამ იძულებული გარდ
კირწმუნოთ, რაკი ეს სულიწმიდის კარნახით დაწერილ ჭიშკარია
წერია.

ცონბისმოყვარე დოკუმენტი ჩასულან ისეთი წარმართული შხა-
რეებიდანაც კი, როგორიც იყო ტვიროსი და სიდონი.

იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ იქსოს შეეშინდა, ზედახოც-
ვაში არ გამსრისონო (მაშინ ხომ ჯვარზე აღარ გააკრავდნენ!) და
პეტრეს უთხრა:

— მე შეყოფა, ყელამდე ვარ ხალხის პატივისცემით. საჩქაროდ
იშოვე ნავი, მეორე ნაპირზე მინდა გაუცეროთ.

მართლაც, აუტანელი ვითარება იყო. ყველა ხეიბარი და სწერელი
მაცხოვარს კისერზე ეკიდებოდა, დარწმუნებული იმაში, რომ მისი
უნაკერო ქიტონის ერთი შეხება საკმარისი იქნებოდა ადამიანის მო-
სარჩენად ყოველგვარი სწებისაგან.

ეშმაკეულნიც კი აქციონერნ საერთო ფეხის ხმას. მოდიოდნენ,
იქსოს ფეხში ჩავლებდნენ ხელს და გადარეული ეშმაკებიც გედამო-
ძეებული ხტებოდნენ მათი პირიდან, ხმამაღლა აღიარებდნენ, ქედს
ვიხრით მისი ძლიერების წინაშეო!

ყველაუერი ეს, რა თქმა უნდა, დრომდე მომხიბლავი იყო, მაგრამ
ბოლოს მომქანცველი გახდა.

ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში იმდენი პაციენტი იყრიდა
თავს, რომ საღამოს ქრისტეს თითის განძრევაც აღარ შეეძლო დაქან-
ცელობისაგან. ღმერთი იღლებოდა, მასასადამე მის ყოვლისშეძლეო-
ბასაც საზღვარი ჰქონდა. ერთხელ, როგორც წმინდა ლუკა გვატყობი-
ნებს, ქრისტე ისე დაიღალა, რომ ღამით მთაში გაიპარა და მიუღი
ღამე ლოცვაში გაატარა.

ყველაზე უფრო განსწავლელი ღვთისმეტყველნიც კი ვერ გეტა-
ვიან ვერც ერთ სიტყვას მისი ლოცვიდან, სამაგიეროდ მთელი სი-
ზესტით განსაზღვრეს, რომელ მთაზე ითქვა ეს ლოცვა. მათი აზრით,
ეს მთა კაპერნაუმსა და ტიბერიადეს შორის მდებარეობს. არაბები
მას რქოსანს ეძახიან, რადგან უნაგირივით ორთხემიანია და მირსაც
ერთი სოფელია, ამავე სახელწოდებისა.

რაც შეეხება თვით ლოცვას, მისი სტენოგრაფიული ჩანაწერი არ
დარჩენილა, მოუცდელობის გამო, მაგრამ მიახლოებითი გარიანტი
შეგვიძლია აღვადგინოთ:

— მამაო ჩემი! — უთუოდ ასე წამოიძახებდა წმინდა, სამეტის
მეორე წევრი. — ღმერთო, რა ჯანჯლობა და ჯახირია ათავითა
გულისათვის არ დავთანხმდებოდი არავითარ განხორციელებაზე, რომ
მცოდნოდა, რა გაჭიანურებული საქმე ყოფილა! თავიდან დაწყება
რომ შეიძლებოდეს, რაღა თქმა უნდა, სხვა გზას დავადგებოდი. უარე,
რა ხათაბალაში გავაძი თავი! როგორ წარმოვიდგენდი. თუ გალილეა-
ში და იუდეაში ამდენი ეშმაკეული და მძიმე სხეული იქნებოდა! სწ-
ულნი გარეთ არ გჩოდიან და თურმე ამიტომ არ ჩანან... რიცხვი არ
ქიონიათ! დღესაც, მარტო დღეს რამდენი ვინმე განვეურნე, ღმერთში
იცის. ყველას ხომ უნდა შევხებოდი, ხელები მეტეინა! ქანცი გამი-
წყდა. ხოლო როცა ვხედავ, რომ ეს მარტო უმსუბუქესი მონაცევითია
ჩემი მიწიერი გზისა, პირდაპირ თავშარი მეცემა. მაშინ რაღა ვქნა,
როცა დადგება ჩემი საათი და იძულებული ვიქნები ჩაეგარდე ქო-
ფაკ ფარისევლებს, რომელთაც სძინავთ და ესიზმრებათ, როგორ გა-
მარავენ ჯვარზე! შენ მართალი იყავი, უფალო! ღმერთმანი, მამაო
ჩემი საბართ, შენ ახლა უთუოდ დამცინი სადღაც ცის თაღებში! შენ
მართალი ხარ, ცამდე მართალი! რა ეშმაკმა მომაფიქრა ამ დცდამი-
წაზე ჩამოსვლა და ყველა მიწიერი ცოდვის გამოხყიდვა! მეტი საქმე
არა მქონია!.. ექ, რისთვისა ვყბედობ, ახლა რაღა დროისაა, თავი
უღელში მაქვე გაყოფილი! როცა ღვინო დასხმულია, უნდა შესვა,
მეტი რა გზაა! ამინ! ოქ, ღმერთო ჩემი!

მეორეს დღეს, როცა „რქოსანი მთიდან“ ეშვებოდა, იქსოს აზრად
მოუვიდა: კარგი იქნება, თუ ჩემი მოვალეობის ნაწილს მოციქულებს
დავაკისრებო. სასწაულების მოხდენის უნარის ბოძება რთელი ამბავი
არ იყო. რვა რომ იმუშავებდა ერთის ნაცვლად, ეს ჯაფას შეამსუბუ-
ქებდა. აქ მოაგონდა ისიც, რომ დრო გადის, მოციქულთა შტატი კი
ჯერაც არაა დაკომპლექტებული. სასწარაფოდ დატრიალდა, თავის
შეიდ მოწაფეს ხუთიც მიუმატა და თორმეტი გახადა.

მეზვერე მათე ალფესის ძემ (მათე ალფესმა) ერთბაშად ორი ძმა
მოუყვანა, რომელთა ერთგულებაზე საკუთარი თავით აგებდა პასტეს
მართლაც, სახარებაში ნათქვამია, რომ იქსოს ორი ახალი მოწაფე —
თადეოსი და იაკობ უმცროსი აგრეთვე ალფესის შეილები ყო-
ფილან.

ხსენებულთა გარდა მაწანწალების რაზმში შესვლა ინება ვინჩე
თომაშ, მეტსახელად ზილოტმა (მარჩბივმა), ვინმე სიმონ კანანელმა

ანუ კანანიტმა, ვინმე იუდა კერიასტელმა იუდეველმა ანუ იუდა ისკა-
რიოტელმა.

ასე შესრულდა თორმეტი შოციქულის კრებული, ისევე როგორც
თორმეტი შვილი პყავდა იაკობს, თორმეტი ტომი შეადგენდა ისრა-
ელს.

აი ჩვენი მაწანწალების სრული ნომენკლატურა: სიმონ-პეტრე და
ანდრია პირველწოდებული — ითანას შვილები; ფილიპე, ბატარა
ითანე და დიდი იაკობი — ზებედეს შვილები; ნათანიელი, თოლმაიას
შვილი (ბართლომე); სიმონ კანანელი; ლევი (ფსევდონიმი — მათე);
თადეოზი და იაკობ უმცროსი — აღთესის შვილები; თომა ზილოტი
ანუ მარჩბივი, და ბოლოს იუდა ისკარიოტელი.

შოციქულები რომ შეაჩინა (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყველა-
შერჩეული ვერ გამოდგა რჩეული), ქრისტეს სულ გამორჩა მხედველო-
ბიდან, რომ მათვეის სასწაულების მოხდენის უნარი მიენიჭებინა.
ასეთი ნიჭი მათ ბევრად უფრო გვიან მიიღეს, ეკვე წმინდა მტრედის
შემწეობით. იქსომ კი ამის ნაცვლად თავისი მოწაფეები მაღალ მთა-
ზე აიყვანა და იქ თავისი გრძელი, უდავოდ ბრძნელი და მჭევრმე-
ტყველური სიტყვით გაუმასპინძლდა (იგივე შეიძლებოდა ველუც
ასეთივე წარმატებით ვეადაგა).

— ამინ გეტყვი თქვენ! — შესძახა. — აქ, რქევნ არ ციით, რა-
ოდნ ბედნიერნი არიან დამთხვეულნი (ნეტარ იყვნეს დატაქნი სუ-
ლითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა). მართალია, წარმოდ-
გნაც არა აქვთ თავიანთ ბედნიერებაზე, მაგრამ მათი ბედი სწო-
რედ შესაშურებელია, რადგან სულით ღატაკთა ხვედრია ციური სა-
სუფეველი! ახლა ვინც სიმწრის ცრემლს აფრქვევს, სანაძლეოს დავ-
დებ, გებრალებათ, მაგრამ ისინიც ბედნიერნი არიან, რადგან ბო-
ლოს ნუკეშია მათი ხვედრი („ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გული-
თა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ“). ამას გარდა, „ნე-
ტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“ ასევე
„ნეტარ-იყვნენ, რომელთა ქშიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათ-
ვის, რამეთუ იგინი განძსძლენ“, და მოგა დრო, როდესაც სასმელ
წყალსაც კი მიიღებენ. მერე, „ნეტარ-იყვნენ მოწყალენი, რამეთუ
იგინი შეიწყალენ“. გამიგვთ? ვინც დღეს მოწყალეა, მასაც შეიწყა-
ლებენ, როცა თვითონ გაეხვევიან ხათაბალაში, და ამდენად მათი
ბედნიერებაც უდავოა. ასევე ნეტარ არიან წმინდანი გულითა,
მშვიდობის-მყოფელნი, დევნილნი სიმართლისათვის... მოკლედ.

ყველა ბედნიერია, ვინც უბედურია! ყველაზე უფრო ბედნიერი კი ის არის, ვინც ღმერთს იხილავს, რადგან ამაზე დიდი ბედნიერება წარმოუდგენელია. ასეთ სანახაობას ვინც იხილავს, მისთვის მატერეტაც არაფერია! მაგრამ ღმერთი რომ იხილო, ამისათვის წმინდა გული უნდა გქონდეს. ამრიგად, ვისაც წმინდა გული აქვს, ის ნეტარია. ნეტარნი არიან აგრეთვე ყოველგვარი ცემა-ტყეპის მოძულენი, ყრადგან ჯერ ერთი ისედაც შეიძლება დადი ჩხუბისთვი გახდე, და მეორეც, სადაც პრობლემების მშეიდობიანი გზით გადაწყვეტის მომხრენიც შეიძლება „ძედ ღმრთისად იწოდნენ“, ეს კი ძალის კუდი არ გვეროთ! მოკლედ, ყოველ ლოთსა და რეგვენს შეუძლია ღვთის შეილობა გაიკრას, თუნდაც ბუნებით მაწანწალა იყოს! დაბოლოს, ნეტარნი არიან, ვისაც უსამართლოდ დაათრევენ სასამართლოებში, რადგან დადგება დრო, სიცრუის სიტყვა გაიტანტება და უსამართლოდ დევნილი სულით სნეულთა თანაზიარად მიიღებენ კომპენსაციის სახით ციურ სასუფევლს — ცხადია, გარდაცვალების შემდეგ. ასე და ამრიგად, ყველანი ერთად მაშინდა მოისვენებენ, როდესაც გაასვენებენ.

მოციქულებმა მთელი ეს მიქარვა სიამოვნებით მოისმინეს, პირდაპირ წვერებზე თაფლი ჩამოსდიოდათ. სხვა მსმენელი არ იყო, თორემ ვინ არ მოიხიბლებოდა! იქსომ ასე ისურვა: მისი ხამოთ ქადაგების პირველი გამოცემა მხოლოდ რჩეულებს გააუნო. მხოლოდ შემდეგ გამოსცა მასობრივი ტირაჟით, ფართო საზოგადოებისათვის*.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო დასასრული

იქსომ საიდუმლო იერთი გადახედა მოწაფეებს და განაგრძო:

— ჩემი სიტყვა განკუთვნილია სულით დატაკთათვის ზოგადად და თქვენთვის კერძოდ. სულიერად თქვენ სულაც არა ხართ მიღიონერები, — ამ საქმეში ბედმი გაგიღიმათ. მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერი იქნებით მაშინ, როდესაც ხალხი აგეშლებათ, ყველრებით აგიკლებენ, ბოროტი სიტყვით გაგთათხავენ, შეგავიწროვებენ, გცემენ,

* სახარების უთვალევი მსჯელობა თუ ეპიზოდი, თავისთავად შეიძლება აბსურდულიც, განზოგადებისა და იგავის მოცულერაც მასალას, იძლევა-ასევე შეიძლება ქრისტეს ამ ქადაგების ანალოგით გაეცნს ენოთ ქედმალა-და თვითმმარქებია „მცოსნები“, რომლებიც ამაუად აცხადებენ, წერე რჩეულებისათვის ვწერთ და არა ხალხისთვის, თუმცა მათი უთვამოლო ნაწილები ამ „რჩეულებსაც“ ისევე ცედა-დ ესმით, როგორც ხალხსა და იური ეცტორებს.

დაგამცირებენ... მაშინ გიხაროდეთ დევნილთ და „მხიარულ იყა-
ვით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა“... როცენა საქმე სასამართლომდე მივა, კბილებში ოფლი გამოგივათ! სწორულდოთავა
მაშინ უნდა ეწიოთ ცას სიხარულით, რადგან ასე დამყარდება კავ-
შირი თქვენსა და წინასწარმეტყველთა შორის. იცით, რას ითმენდ-
ნენ წინასწარმეტყველნი? ისინიც „ეგრეთვე პსდევნენს უწინარეს
თქვენსა!“ მათმა თანამედროვებმა ძალონე არ დაიშერეს, რომ
მათთვის მხიარული ცხოვრება მოეწყოთ. როზგითა სცემდნენ, ცხე-
ნის კუდზე აბამდნენ, ორმოებში ყრიდნენ მტაცებელ ნადირთა შე-
საჭმელად და შეაზე ხერხავდნენ კიდევაც! აი, სწორედ ეს გელით
თქვენცა! როგორც ხედავთ, ძალზე შესაშერი კარიერა გაქვთ გამზა-
დებული. ჯერჯერობით კი, ამ სასახელო ტანჯვათა მოლოდინში იხა-
რეთ და იმხიარულეთ, ჩემო მეგობრებო! ბედნიერი მომავალი თქვენ-
თვის უზრუნველყოფილია!

კეთილ მოციქულებს სახეები დაეღრიჯათ: ეტყობოდათ, ასეთი
მომავალი ხელს არ აძლევდათ. თორმეტიდან ერთმაც არ გაიღიმა.

— ნუ დაღონდებით, მეგობრებო! — განაგრძობდა იქსო. — ასეა
საჭირო. ასე წერია წმინდა წიგნებში, და თქვენ ვერაუერს შეცვ-
ლით, — ვერც თქვენ, ვერც მე. რაც წმინდა წიგნებში წერია, ის უნ-
და ასრულდეს. თქვენ ხართ მიწის მარილი, და თუ მარილი ძალას
დაკარგავს, რითლა დაამარილებთ?

გაკვირვებულმა მოციქულებმა ერთიმეორეს გადახედეს: რა უც-
ნაური ლაპარაკი იცისო თქვენმა მოძღვარმა!

— ჰემშარიტად, ჰემშარიტად გეტყვით თქვენ, — განაგრძობ-
და მოძღვარი: — თქვენ ხართ მარილი ჰევყანისანი. უკეთუ მარი-
ლი იგი განპქარდეს, რაითამე დაიმარილოს? თუ მარილი აღარ იქ-
ნება მარილიანი, რაღას ივარგებს? გადასაყრელი გახდება და სალ-
ხი ზედ გაივლის.

თორმეტსავე მოციქულს ვიმოწმებ, არაფერი დამიმატებია. ეს
იქსო ქრისტეს სიტყვებია. ვისაც ეჭვი ეპარება, ჩაიხედოს მათეს
სახარებაში (მეხუთე თავი, მეცამეტე მუხლი).

— თქვენ ხართ მარილი, — იმეორებდა მირონცხებული, —
და იმავე დროს თქვენ ხართ ნათელნი სოფლისანი. როცა ქალაქი
მთაზეა აშენებული, მას არ შეუძლია დაბლა ხევში იყოს აშენე-
ბული, ხომ ასეა? ხევში ვინ დაინახავდა, მწვერვალზე კი სად დაი-
მალება? ცხადია, ეს სულ სხვა რამეა, და „ვერ ხელეწიფების და-

ფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“ სანთელს. რომ აანთვებენ, ზედ
ქოთანს არ გადააფარებენ, არამედ სასანთლეზე დადგამენ, რომ გვ-
ანაოთს ყველა, ვინც სახლში იმყოფება. თუ ქოთანი გადააფარებს,
მაშინ რა საჭიროა სანთლის ანთება? აი, ასეა თქვენი საქმეც: „ეპ-
რეთ პბრწყინვედინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ
საქმენი თქვენი კეთილნი“ უბრალოდ რომ-გითხრათ, ქოთნების
(ხვიმირის) ქვეშ კი არ უნდა ენთოთ, სასანთლეზე უნდა იდგეთ და
ქვეყანა გაანათოთ.

სიმონ-პეტრე და სხვა მოციქულები კეფას იფხანდნენ, ვერაუერი
გაეგოთ.

— კიდევ რამდენიმე სიტყვა, მეგობრებო, — განაგრძობდა
იქსო. — ბოროტი ენები იტყვიან, თითქოს და მე ქვეყნად იმისათვის
მოვსელვარ, მოსეს კანონები დავარღვიო, წინაპწარმეტყველთა
თქმული ჟავევაგდო. ეს მართალი არ არის. მოსემ თქვა: „არა კაჯ
ჰქლა“, მე უფრო შორს მივდივარ. მე არა მარტო ვაშბობ „არა
კაც ჰქლა“; არამედ მეტსაც გეტყვი თქვენ: „რომელი განურისხნეს
ძმასა თვისსა ცედად“ და უთხრას „რაკა“*, იყოს წყეული, ჯოჯო-
ხეთის ცეცხლსა და გევნას თანამდები! ასევე, ვინც უწოდოს ძმას
„ცოფ“, ისიც სასჯელის ღირსია. უწოდეთ რაც გენებოთ — ღორი,
ძაღლი, სახედარი, ოღონდ „რაკა“ არავინ უწოდოს. ასევე მძელს
საჩივრები, დასმენა და საპყრობილეში ჩაგდება კაცისა, რადგან
სარჩელს იგებენ მხოლოდ მოსამართლენი. ჯობს მოწინააღმდეგეს
მოელაპარაკოთ და საქმე მშვიდობიანი მორიგებით დაამთავროთ,
თორემ წინამოსაჯულე მსაჯულთან მიიგიყვანს და საპყრობილეში
ამოყოფ თავს. დამერწმუნეთ, მეგობრულად გირჩევთ, გულითა და
სულით მსურს თქვენთვის სიკეთე... ან კიდევ, მოსე კრძალავს მე-
ძავობას: „არა იმრეშო!“ მე კიდევ უფრო მეტს მოვითხოვ: ქაღს რომ
შეხედავ და რამეს გაიფიქრებ გულისითქმის კარნახით, უკვე იმრეშე
მასთან და ესაა. მოყვასის ცოლს რომ სხვა თვალით შეხედო, მსე-
თუნახავი იქნება თუ გომბეშოს მსგავსი, ესეც უკვე მრეშობაა! ერი-
დეთ ამას. და თუ „თვალი შენი მარჯვენე გაცთუნებდეს შენ, აღმო-
დე იგი და განავდე შენგან; რამეთუ ემჯობეს არს შენდა, რათა წარ-
ქსწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გვამი შენი შთავ-

* რაკა (ქ. ებრ.) — უსინდისო, უნამუსო (უმძიმესი სალანქლავი სი-
რავა).

რდომას გვენიასა“. აი, ეს, თვალის ამოღება ყველაზე უფრო რადი-
კალურ ღონისძიებად მიმაჩნია, სხვას არა უცნობ. მეტსაც გრიფის
„უკეთე მარჯვენე ხელი გაცთუნებდეს შენ, მოიკვეთე იგი და განაგ-
დე შენგან“. არც ესაა ურიგო ღონისძიება!

„რაღაც ძალიან შორს შესტოპა!“ — ფიქრობდნენ მოციქულები.

— რაყი ამ თემას შევეხეთ, ცოტა ქალებზედაც უნდა ვთქვათ, —
არ ცხრებოდა მირონქხებული. — გამოგიტყდებით, ქალების საწი-
ნააღმდეგო მე თვითონ არაფერი მაქვს. ჩვენში როგორაა მიღებული?
როცა ქალბატონი ვაჟბატონს თავს მოაბეზრებს, ეს უკანასკნელი
კარში გააბრძანებს ხოლმე. განა ეს ლამაზია? გეუბნებით: ქალის
გაშვება მხოლოდ მრუშობისათვის შეიძლება („ხოლო მე გეტყვი
თქვენ: რამეთე ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვი-
ნიერ სიტყვისა სიძვისა, მან იმრუშა იგი. და რომელმან განტევ-
ბული შეირთოს, მანცა იმრუშა“). ყველა დანარჩენ შემთხვევაში:
თუნდაც ქალი სიდედრზე უფრო კაპასი იყოს, თუნდაც კატლეტზე
შაქარი დაგიყაროთ და მერაბაში — მარილი, დილით თავზე მთელი
კასრი წყალი დაგაღვაროთ ხოლმე, აქა და გაღვიძება მინდოდათ,
სალამობით კი ჯოხითა გცემოთ, ვითომ მასაუს გიკეთებო, — სულ-
ერთია, მოვალე ხართ ითმინთ.

— მაგას რა ენაღვლება, იოლად ლაპარაკობს, — ყურში ჩა-
ძახა იაკობ დიდმა თადეოზს, — ქალებისაგან აღერსის მეტი არა-
ფერი ახსოვს: მთელი კაპერნაუმელი ლამაზები მაგისთვის გიდე-
ბია! აბა ერთი ბუშდუნა შეგერა შეხვედროდა, ვნახავდი, რა გე-
ნებაზე დადგებოდა!*

იქსო კი მიპქროდა, მინავარდობდა. შეისვენა და ისევ მორიგი
ტირადა გააბა:

— მოსხს კანონი იმასაც აცხადებს: არასოდეს არ ასენო ტყუი-
ლად ღმერთის სახელიო. ეს კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ არ კმა-
რა. იცით, რას აკეთებენ გამელელ-გამომელელნი, როცა თავიათ
მიყვასაა გასულელება უნდათ? ბიბლიას იფიცებენ, ტაძარს, ქა-
ლაქ იქრუსალიმს, „რამეთე ქალაქი არს მეუფისა დიდისა“, და
პერინიათ, რომ ამით ფონს გაელენ. ვერ მოართვეს! მით უმეტეს, რომ
მერე თავიანთ ფიცს თვითონვე არღვევენ. აი, ეს, ჩვენს შორის რომ

* შეგერა (ბერძ) — შერძისძიების ქალლშერთი (ერთ-ერთი ერთია,
ზერძნულ მათოლოვაში), საერთოდ, ბორიტი, კაპასი, როკამი დედაკაცი.

ითქვას, ღორობაა. არაფრის დაფიცება არ შეიძლება: ცას ვერ და-
ფიცავ, რადგან უფლის საყდარია; იერუსალიმს — რადგან, დაიდ
მეუფის ქალაქია; თვით შენს თავსაც ვერ დაიფიცავ, „რამეთუ კერ-
ძალ-გიას ერთისა თმისა განსპეტავება (გათეთრება) გინა დამავ-
ბად“, თუ არ შეიღებე. საერთოდ, რამეს თუ გეითხავენ, უბრა-
ლოდ უპასუხეთ: „პო, პო“, ან „არა, არა“. ხოლო თუ ცარიელ
სიტყვაზე არ დაგიჯერებენ, ფიცს მოგთხოვენ, ასე უპასუხეთ: „წა-
დი აქედან... იცი, სადა?“ ასე უნდა, რადგან „უმეტესი უკეთერი-
საგან არს“.

სული მოითქვა და განაგრძო:

— მოსეს ქანონი იმასაც ამბობს: „თვალი თვალისა წილ, კბი-
ლი კბილისა წილ“. ღმერთმანი, ეს მეტისმეტი სიმპაცირეა! მე სხვა
აზრისა ვარ. ათასჯერ ჯობია მოვითმინოთ და ვაპატიოთ ყველას
ყოველგვარი საძაგლობა. ვთქვათ, საღმე ქუჩაში ბოროტი მტერი
მოვიდა, მტკივნეულ ადგილშე ფეხი დაგადგა და თვითონვე ხილა
გაგაწნა. იმის მაგიერ, რომ უზრდელს ჭკუა ასწავლო, მეორე ღოყა
მიუშეირე („ხოლო მე გეტყვი თქვენ: არა წინააღმდეგომად ბორო-
ტისა, არამედ რომელმან პეცეს შენ ყვრიმალსა შენსა მარჯვენესა,
მიუშყარ მას ერთი კერძოცა“). აი, მაშინ შენი მტერი ცეკვას დაი-
წყებს! ან ავიღოთ ასეთი შემთხვევა: ვთქვათ, ვინმეს მოეწონა თქვენი
პერანგი (კვართი) და ამისათვის სასამართლოში ჩიეილი მოგინ-
დომათ. თქვენც ადგენით და უთხარით: „ჩემი პერანგი მოგეწონათ?
ინგებეთ! ეს მოსასხამიც მომირთმევია, წაიღვი!“ თუ ერთი პერანგი
დაგრჩებათ, არაფერია: ზაფხულობით ცპელა და ასე უფრო გრილად
იქნებით, ან, ვთქვათ, ვინმემ მოიწადინა. თქვენთან ერთად ათასი
ნაბიჯის გავლა. თქვენ ეტყვით: „როგორ, თქვენ გინდათ თქვენთან
ერთად მხოლოდ ათასი ნაბიჯი გავიარო? სიამოვნებით! ორი ათასი
იყოს!“

— მოსე მოითხოვს, — განაგრძობდა იქსო, — „შეიყვარე მოყ-
ვასი შენი და შეიძულე მტერი შენი“. ეს სისულელედ მიმარინია,
მოდით, ასე ვთქვათ: პირიქით! „მე გეტყვი თქვენ: გიყვარდეთ მტე-
რი თქვენი და აკურთხევდით მწყვერთა თქვენთა, და კეთილსა
უყოფდით მოძულეთა თქვენთა, და ულოცევდით მათ, რომელი
გმძლაერობდენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ“. დიახ, ვინც გდევ-
ნით, გწყვევლით, ზიანს გაყენებთ, ცილსა გწამებთ — გიყვარდეთ,
როგორც გულითადი მეგობარი. ყოველ შემთხვევაში, მეტი სიახლე

იქნება. და კიდევ მოწყალების ამბავი. ეს საჩითირო საკითხია. პირმოთნენი ერთ გახურეტილ გროშსაც არავის მისცემენ, თუ წინას-წარ მთელს ქვეყანას არ გააგებინეს. ჩვენ ასე მოქმედე არ გამოგრძოთ გადაება. თუ ოდესმე ვინმე უბედურის შეწევნა გვინდა, ეს ისე უნ-და გავაკეთოთ, რომ მარცხენა ხელმა არ იცოდეს, რას აკეთებს მარ-ჯვენა: სრულიად საიდუმლოდ.

— მაპატიეთ, — ვეღარ მიითმირა სიმონ-პეტრემ. — ყვე-ლაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ როდისღა გადავალთ სიტყვიდან საქმეზე? აქამდე ხომ თვითონ გაგვიშვერია ხელი და სხვასა ვთხოვთ მოწყალებას, ხოლო რამდენადაც ჩვენი სამოციქულო ხელობა სარ-ფიანი არ ყოფილა, მე აღარ ვიცი, როდის გამოვიჩნოთ გულუხვობას აშკარად ან საიდუმლოდ?

— ეს არაფერს ნიშნავს! — დამშვიდებით მიუგო მოარულმა სი-ტყვამ. — რაკი ქადაგება დაკიწყე, ხომ უნდა ვიქადაფო რამე?

ჩვენდა სამწუხაროდ, სახარებაში არ შემონახულა ეს ხანმოკლე წალაპარაკება. მაგრამ მას უსათუოდ პქონდა ადგილი. ეს სტრიქ-ნებს შორის იკითხება.

მართლაც, თავის სახელგანთქმულ სამოო ქადაგებაში იქსომ გამოთქვა მთელი რიგი დებულებანი, რომლებიც აღებულია მრა-ვალი საუკუნით ადრე მცხოვრები ფილოსოფოსების შრომებიდან. ბუნებრივია მისი მოწაულების გაოცება: მეტისმეტად რთელი და უცხო იყო ეს ფილოსოფია უბირი მოციქულების ყოველდღიური ცხოვრებისათვის. მეოთეშეებს და მეზევერებს, რომელთაც ღუჭა-პური უჭირდათ, რა ფილოსოფიისა სცხელოდათ?

მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ ისევ იქსოს სიტყვას დაუკე-რუდეთ, თუმცა ისედაც ძლიერ გაგრძელდა. ესაა ერთგვარი კრე-დო, ქრისტიანული რელიგიის თეორია, ამ ბუნდოვანი და მკაცრი სარწმუნოებისა, რომელშიაც პატიოსანი და ზნემაღალი აზრები ისე გაბნეულან, როგორც მარგალატები ნაგვის გროვაში. ისიც უნდა შეენიშნოთ, რომ ხსენებული მარგალიტები მედამ შეუმინებელი და გამოუყენებული რჩებოდათ პრაქტიკულ ცხოვრებაში მღვდლებ-სა და ფარისეცლებს.

ამრიგად, მოარული სიტყვა განაგრძობდა:

— როცა იღოცოთ, ნე ლოცულობთ ხმამაღლა და ნე ლო-ცულობთ ზეზეულად. ასე აკეთებენ პირუერი მღვდლები, რათა ყვე-ლამ დაინახოს მათი მოჩვენებითი ღვთისმოსაობა. თქვენ, პირი-

ქით, ჩაიკეტეთ ცალკე და იღოცეთ, რათა არავინ დაგინახოთ და
არავინ მოგისმინოთ. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რაც უფრო მოკეთები
ლედ იღოცებოთ, მით უკეთესია. არ დაივიწყოთ, დედამიწაშე რამდე
დენიმე მიღიარდი ადამიანი ცხოვრობს, — განა უფალ ღმერთს
ერთდროულად შეუძლია ყველას მოუსმინოს? გარშმუნებოთ, თუ ნა-
ხევარ საათზე მეტ ხანს იღოცეთ, ის ვერ მივა ჩვენი მამაშეციერის
ყურამდე: საამისოდ არც დრო ეყოფა და არც მირთმინება. ამიტომ,
მრავლისმეტყველ წარმართთა და პირფერთაგან განსხვავებით,
ოქენე ასე მოკლედ იღოცეთ: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
წმიდა იყავნ სახელი შენი. მოვედინ სულევა შენი, იყავნ ნება შენი,
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა
მომეც ჩვენ დღეს. და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი (ვალნი) ჩვენ-
ნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შე-
მიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მისსნენ ჩვენ ბოროტისაგან.
რამეთუ შენი არს სულევა და ძალი, და დიდება საუკუნეთა მიმართ,
ამინ!“ ახლა კი მივყვეთ მუხლობით: „რომელი ხარ ცათა შინა“
შეიძლებოდა შეგვეცვალა სიტყვით „ყველგანა მყოფი“, მაგრამ ასე-
დაც არა უჭირს რა. „წმიდა იყავნ სახელი შენი!“ არსად არ გამამ-
ხილოთ, მაგრამ ღმერთის სახელი დასაბამიდან წმიდაა, ასე რომ
ახლა კიდევ მისი გაწმინდანება და განსპეტაქება ჟევე ზედმეტია.
ეს იგივეა, რომ კარაქში კარაქი ჩაუმატო. მაგრამ მოვეშვათ ასეთ
წვრილმანებს. „მოვედინ სულევა შენი“... აი, ეს კი საჭიროა, ეს პირ-
დაპირ მისწრება იქნება, თორემ არის დაპირებები, აღთქმული ქვეყ-
ნის ფიცით მტკიცება, შედევი კი არ ჩანს და არა! მეტისმეტად დიდ-
ხანს გაგრძელდა ღმერთის დავა ეშმაკთან, ტანჯვას და სიღატაკეს კი
ბოლო არ მოედო. მართალია, სისულელეა ვარწმუნოთ ღმერთი: ჩქა-
რა გაიმარჯვეო, — განა თვითონაც მოწადინებული არა? მაგრამ
შეხსენება მაინც ზედმეტი არ იქნება, რომ ჩვენს ბებერ უფალ საბა-
ოთს ხალხი არ დაავიწყდეს. იყოს, ვიღოცოთ, მეტადრე რომ ეს არა-
ფერი არ გვიჯდება... „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგ-
რეცა ქვეყანასა ზედა“. ვიცი, ამიხირდებით და მეტყველ, რომ ამაზე
დიდი სისულელის მოფიქრება ძნელია; უზენაესს რომ სთხოვო გა-
აქოთს ის, რაზედაც თვითონვე ოცნებობს, ესაა იღიოტიზმი და მე-
ტი არაფერით, იტყვით. არ გედავებით, წმინდა წყლის იღიოტიზ-
მია, ისევე როგორც ყველა წინანდელი ფრაზა, ამაში აბსოლუტუ-
რად მართალი ხართ. მაგრამ საერთოდ ურიგოდ არ უდერს, ამიტომ

დაუტოვოთ, მით უმეტეს, რომ ეს ლოცვაა, მეტი არაფერი... „პარი
ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“ სწორია, თავიც არ უნდა და-
ვიწყოთ, ხომ მართალია? თუ პური არა, თავთავები მაინც შოგცნს,
რა დააკლდება?.. „და მომიტევენ ჩვენ თანანადვები (ვალები)“
ჩვენი, ვითარცა ჩვენ მიუტვებთ თანამდებოთ მათ ჩვენთა“. ესეს
იმავე ოპერის არია გახლავთ, საიდუმლო მოწყალებაზე რომ გით-
ხარით. რამდენადაც მე და ოქენენ არსად არავისთვის არაფერი გვი-
სესხებია, მაშასადამე, არც ვალი გვაქვს სადმე ასაღები, ამიტომ
ჩვენთვის ძალიან ადვილია თავი დიდსულოვან მევალეებად გავასა-
ლოთ, არავის არაფერი მოვთხოვოთ და თვითონ კი ჩამავე დებულე-
ბის საფუძველზე ვალების პატივება მოვითხოვოთ. მოგვეხსნებათ,
ამ ხნის განმავლობაში ბევრი ვალი დაგვაწვა, რადგან სადაც მივე-
დით, ყველგან ხხვის ხარჯზე ვცხოვობთ, ვქადაგებთ და არ ვმუ-
შაობთ, გელუბრყვილო სულელებს ვატყუებთ და ესაა. მოკლედ, ეს
დებულება ჩვენთვის ზედგამოტრილია... „და ნუ შემიყვანებ
ჩვენ განსაცდელსაო“ ჩასაკირელია, ასეთი თხოვნა შეიძლება
უცნაურად მოგვეჩვნის: ღმერთს რომ ეველრო, ცოდვას ნუ ჩამადე-
ტინებ და რაც გინდა, მთხოვო, — ეს ხომ ნამდვილი ერქისია! ეს
იკივეა, ჩვენს უფალ ღმერთს უთხრა, ბოროტების ღვთაება ხარ და
შემიბრალე, ცოდვაში ნუ ჩამაგდებო! თუმცა, რატომაც არა? მისი
ნების გარეშე ხომ არაფერი ხდება? მაშასადამე, ბოროტებაც... ამ-
რიგად ეთხოვოთ ღმერთის, ნუ იქნება ჩვენთვის სატანა, ეიყოთ
წინდახედული... „არამედ მისხენ ჩვენ ბოროტისაგან“, — ეს ფრა-
ზა წინა დებულებას ავსებს. „ამინ!“

ასეთია არსი იმ მოძღვერებისა, რაც იქსომ წმინდა მთაშე იქა-
დავა. ეს ფეიქრის ქსელივით გამმული გრძელი ქადაგება, რომლის
სიტყვასიტყვით დამოწმებას ვერა ვძედავ, რადგან მემინია მკი-
თხველი არ დავაფრთხო, მთელი ქვაკუთხედია ქრისტიანობისა, ქვინ-
ტესენციაა ახალი აღთქმისა. ტყუილად კი არ უკავია მას მათეს სა-
ხარებაში მთელი სამი თავი — მეხუთე, მეექვე და მეშვიდე.

მე ვიცი, რომ მისი წაკითხვა თავიდან ბოლომდე — საშუალო-
ზე დაბალი ხარისხის სიამოვნებაა, მაგრამ აუცილებელი კია. ყო-
ველთვის უნდა გვახსოვდეს ჩელიგის ამორალობისა და პირუერო-
ბის ამბავი. ეს სწორედ ისეთი შემთხვევაა, როცა ზედმეტი გარეა
ზედმეტ გარჯად არ ჩაითვლება.

მე ვლაპარაკობ ქრისტიანობაზე პირმოთნეობაზე იმიტომ, რომ

რამდენიმე სამართლიანი დებულების ჩართვა მოჩვენებითია, თუა-
ლის ახვევაა, მხოლოდ ნიღაბია და სინამდვილეში ისინი გრძელებული-
არ სრულდებიან. მოძალადე ტირანები ყველაზე მეტს ლაპარაკო-
ბენ სათნოებაზე და თავისუფლებაზე, რადგანაც მათი მეუფება სათ-
ნოებისა და თავისუფლების ნიმუში ქვრივათ, — ზესტად ესაა რე-
ლიგია! გაიხსენეთ ყველა დროის ქრისტიანები! განა ისინი სადმე
საიდუმლოდ არიგებენ მოწყალებას? პირიქით! ყველა მათი საქველ-
მოქმედო წამოწყება სარეკლამო აურსაურის საგანი ხდება, ყო-
ველი მათი შეწირულობა აღნუსხულია გადაჭარბებით, რომ შთამო-
მავლობამ გაიკვირვოს, აი რა უშურველი ყოფილანო! ამ მიზნით
ხდება შეწირულობაც. მაშ განა სიმდიდრე სძულო ამ გაყიდულ,
სინდისით და თანამდებობით მოვაჭრე ვაჟბატონებს? რასა ბრძა-
ნებთ! მათი სასახლები თუ ეკლესიები მორთულ-მოკაზმულია ოქ-
რო-ცერკველით, ხავერდითა და ბრილიანტებით. ეპისკოპოსები
ფულუნებით იმოსებიან, ბოლო ერთი უბადრუკი ბებრის — რომის
პაპის შენახვა ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი მანეთი უჯდე-
ბა მშრომელ ხალხს. განა ისინი მიუტევებენ წყვნას მტერს? უმაღ
თავს ჩამოიხრიობენ! შურისმაძიებელი ტირანები ბოროტად სარგებ-
ლობენ მდგომარეობით და სპონსორ, თრგუნავენ თავისუფალი აზრის
ყოველგვარ გამოვლინებას, რადგან ამას უცხო იდევებად და ღვთის
გმობად თვლიან. ქვეყნად არავინ არაა ცრუ წმინდანებზე ბოროტი
და შურისმაძიებელი. სცადეთ, უთხარით მღვდელს იმისი მეოთხე-
დი, რაც ზის პატიოსნებაზე იცით, და სასამართლოებში წანწალს
გადაქვებით! თვითონ მრავალცოლიანი მემრუშე მცირე გადახვევი-
სათვის თქვენ დაგხვით და გაგასამართლებთ უმოწყალოდ!

მე ვლაპარაკობ ქრისტიანობის ამორალობაზე, რადგან ქრისტია-
ნული მოძღვრების ის ნაწილი, რაც წიგნებშია, კიდევ არაური,
მაგრამ რაც პრაქტიკულ ცხოვრებაში ნამდეილად სრულდება, ადა-
მიანური მორალის ყველა მოთხოვნას ეწინააღმდეგება. იესო თავის
შოწაფებს შრომას აძულებს, და განა შრომა არ აკეთილშობილებს
ადამიანს? ვინ კვებავს ყველა დროისა და ქვეყნის ყველა კურის
მუქთახორებს? აქ თეორიაც კი მანკიერია. მოციქულთა ყველა მიმ-
დევარიც მათებრ უსაქმური და ვიგინდარა იყო. ამ მხრივ საგულის-
ხმოა იმავე სამთო ქადაგების ერთი ნაწყვეტი:

„მიმართ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა პსთესვენ, არცა
ჰმეირან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქვენი ზეცათა პირდის

შათ, არამე უფროს თქვენ უმჯობეს ხართა მფრინველთა? — აი, რაა უქადაგებს იქსო თავის მოციქულებს: ფრინველები არ თქვავთ, არა რა მკიან და თქვენ ნაკლები ხართო? — ანუ ვინმე თქვენგანი ჰშრუნვილისა და შეუძლოს შეძინებად ჰასაკა თვისსა წყრთა ერთ? (შრომით და ჯაფით რომელსაჩე თქვენგანს შეუძლია განა ერთი წყრთა მაინც მოიმატოს?). და სამოსლისათვის რასა ჸშრუნავთ? განიცადენით (ნახეთ) შროშანი ველისანი, ვითარ იგი აღორძინდის? არა ქშერებიან, არცა ქსთავნ (შროშენები ისე იზრდებიან, არც ზრუნავენ, არცა რთავენო). ხოლო გეტყვი თქვენ, რამეთუ სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი (სოლომონ ბრძენი თავისი დიდების მწვერვალზეც კი ვერ შეიმოსა მათზე ლამაზადო) ... მცირედ მორწმუნენო! ნუ ჸშრუნავთ და იტყვით: რაი ვპსჭამოთ? ანუ რაი ვპსვათ? ანუ რაი შევიმოსოთ? რამეთუ ყოველსა ამას წარმართნი ეძიებენ; რამეთუ იცის მამამან თქვენმან ზეცათამან, რა გიხმს ამათ ყოველთაგანი» (მათე, 6, 26—32).

პირდაპირ არ იცი კაცმა, რა უნდა თქვა პარაზიტიზმის აჭ უსირცხვილო ქადაგებაზე. ქრისტეს ვერ დავწამებთ, მაგრამ ვინც ის სიტყვები მიაწერა, ნეტავი რა ჰყუაზე იყო? რა მოუვიდოდა კაცობრიობას, რომ ყველა ამ მუქთახორის რჩევას აქყოლოდა? მუქთამჭამელი ისედაც ბევრია ქვეყნად. მე ვფიქრობ, რომ ასე ჩვენ თანდათანობით შევიმოსავდით ტანზე ბალანს და პირველყოფილთა გამოქვაბულებში დავბრუნდებიდით.

ამიტომ ვიმეორებ: ვინც შექმნა ლეგენდა ქრისტეზე და ამ მითიურ პერსონაჟს ასეთი რამეები ათქმევინა, საზისძარი არამშადა ყოფილა, პირფერობისა და უზნეობის, სიღატაკისა და უქმად ყიალის მქადაგებელი. . .

რეგული კონკუ

და კითხო შეიახლა ბეჭეთა ქალაქისათ, და ამა უსწრა გამოიკვნება მცველარი, რე მხოლოდ-შეიძილი დედისა თეობისა, და იყო იყო ქვერიც; და ერთი მწავალი იყო ქალაქისა მიხონა.

ଦା ଠେଲା ର୍ଯ୍ୟାଳ୍ୟାକୁ ଗେଣ ଗେବ, ଦା ଶ୍ରୀ-
କ୍ଷୁଦ୍ରା ଗେଣ, ଦା କର୍ମଜୀବ ପିଲା: ଶ୍ରୀଦୁର୍ଗା! ଶ୍ରୀଦୁର୍ଗା!
ଅନ୍ତରେ

ଦା ଶ୍ରେ-କୁରମିଳିଷ୍ଟର୍ଡା ମିଶ୍ରଲାଭିର ନେଇ, ଦା ଏହି-
ଯା ବୀକ୍ରିପ୍ତାବ୍ଦ; ଦା ମିଳିଷ୍ଟା ନେଇ ଲ୍ୟାଙ୍କାବ ତୁଳି-
ନ୍ତା.

卷之七，12-15。



ას შემდეგ, რაც მოციქულთა თორმეტწევ-
რიან დასს აუცილებელი ინსტრუქციები
მისცა, იქსო მოიდან ჩამოვიდა და კაპერ-
ნაუმში დაბრუნდა.

აქ ისეთი ეახლა ცნონტურიონი, ასისთავი,
რომაელი ოფიცერი, ტბის მახლობლად განლაგებული სამხედრო
განაყოფის ჟურნალი, და მისელისთანავე თხოვნით მიმართა:

— ეფალო, შინ ერთი მოსამსახურე მყავს, ძალიან მიყვარს. უბრძალები სახსრები სტკივა, საშინლად იტანჯება. დაეხმარე, უფალო.

— კარგი, — მისურო ქრისტემ. — შე მოვალ შენთან და განვ-
კურნავ სწოროს.

— რისთვის უნდა შეწეხდე, უფალო! საკმარისია ისურვო და
ჩემი მს-ხური ისედაც განიკურნება.

მირონცხებული ასეთმა მტკიცე წმმენამ ისე აღაფრთოვანა, რომ იქვე თქვა საჭირო სიტყვა და ცენტურიონის მსახური, რა თქმა უნდა, მაშინვე ფეხზე წამოვარდა (ლუკა, 7, 1-10).

ამ გულუბრყვილო ეპიზოდის მეორე დღეს, როგორც სახარება გვარშმუნებს, იქსო ეკვე ქალაქ ნაინში აღმოჩნდა. ასეთ სწორად გადასვლას იმდროინდელ სატრანსპორტო პირობებში არ შეუძლია არ გააოცოს ყველა, ვისაც ზერელე წარმოდგენა მაინც აქვს. მცირე აზიის გეოგრაფიაშე. საქმე ისაა, რომ კაპერნაუმიდან ნაინამდე სულ მცირე ორმოცდასუთი კილომეტრი მაინც არის. თუმცა ქრისტეს და მის მოწაფეებს სრულიად იოლად გადაულახავთ ეცებ ასეთი დიდი მანძილები, დაღლილობაც კი არ უხსესებდათ, გეგონებოდათ ცე-როდენა ბიჭები არიან და ჯადოსნური ჩექმები ჩაუცამოთ შეიძ-მილიანი.

იმ დღეს ნაინში გასვენება იყო.

ქრისტეც განგებ თუ იყო, ჩახული, მაშინვე შეამჩნია სამკლო-ვიარო პროცესია.

აღმოსავლურ გასვენებაშე გულსაკლავი სანახაობა ვერ წარმო-მიდგენია. ნათესავები ცხედარს არტახებში გააცვევენ, ნელსურნე-ლოვან ნივთიერებებს დააფრქვევენ და ძაძით მოსილნი მიასვენებენ, გოდებენ, თავს იკლავენ, წინ ფლეიტისტები მიუძღვიან, კაეშნის მომგრელი მწეხარების პანგებს აკენესებენ, ჟყან კი საკუთარ ჭი-რისუფლებშე შეტად დაქირავებული მოტირალნი ირჯებიან: გაპეი-ვიან, მოთქავმენ, იხვევენ ტანზე ძონძებს, იშენენ მკერდში მჯიდებს და ცაში ხელაპერობილნი აწეწილი თმიდან ღერებს იგლეჯენ ხოლ-მე დროგამოშვებით.

როგორც ჩანს, იმ დღეს შინაურმა და გარეშემ ერთნაირად უხვად წაიხსა თვალებშე ხახი, რომ ნამდვილ ცრემლს აფრქვევდ-ნენ, ყოვლად უნეგვიდ დამწერებულნი და აჩეჩილნი.

იქსო გულის სიღრმემდე შეაძრწუნა ამ ჩამოძონძილ ჭირისუ-ფალთა ხილგამ, თუმცა, როგორც ღმერთს, უნდა სცოდნოდა, რომ ეს იყო კარგად მოწყობილი ფარსი და მეტი არაფერი.

— ვის ასაფლავებთ? — პკითხა მოტირალთ.

სახარებაში მიცვალებულის გვარი და სახელი არაა მოხსენე-ბული. იძელებული ვართ ქვრივიშვილი ვეწოდოთ, რაღვანაც ქვრი-ვის პირშით შეიღი აღმოჩნდა.

— ქვრივიშვილია, — აუსსნა რომელიდაც ძაძოსანმა. — გუშინ უეცრად გადამრუნდა და მამა აძრაამის წიაღში განისვენა. რა მოე-ლანდა ასეთი, კაცმა არ იყოს. ის ხომ თავისი ქვრივი დედის ერ-თადერთი შეიღი იყო! რანაირად შეიძლებოდა მარტოხელა დედის

ასე უნუგეშოდ მიტოვება! საბრალო ქალი! ეს ერთი შეიღი ჰყავდა,
თვითონაც ხომ ქერივია, ასე რომ ახლა უპატრონოდ დარჩა.

ერთ-ერთი მოციქული მირონცხებულს მიუახლოვდა და უკრძა
ჩასჩერჩელა:

— მე მონია ურიგო შემთხვევა არაა სასწაულის მოახდენად.
ეს დიდი სასწაული იქნება, ერთბაშად ასწევს თქვენს აქციებს!

— მეც ასე ვფიქრობდი, — მიუგო ქრისტემ.

მართლაც, მტრედის შეიღი ფიქრებს მიეცა. აქამდე მხოლოდ
სხეულებს არჩენდა და ბოროტ სულებს დევნიდა ეშმაკულთა სხეუ-
ლიდან. მიცვალებულთა განკურნება ძალიან რთული და მაცდური
ოპერაცია იქნებოდა. ამ სასწაულის შემდეგ ვეღარავინ შეიტანდა
ეჭვს მის ღვთაებრივ ძლიერებაში.

იქსომ მრავალმეტყველად ჩაუკრა თვალი მოწაფეებს.

ზრბოში გარეული მოწაფეები ჩავთ აგელიანებდნენ უემაკო
ბრიყებს, სთხოვო მაცხოვარს, სასწაული მოახლინოს.

— ეს თეთრი კაცი, ქერა და ტანმაღალი, ნამდვილი წინასწარ-
მეტყველია, — ეპნებოდნენ, — ასეთები სიზმრადაც არ გინახავი,
თუ ისურებს, თქვენს ქვრივიშვილს იმ წეთას გააცოცხლებს*.

— რაბი! რაბი! — გაპყვიროდნენ ადგილობრივი მცხოვრებ-
ლები. — შეიწყალე საბრალო ქვრივ-ობრის შეიღი.

სამგლოოებარო პროცესია შეჩერდა. მიცვალებული დაბლა დაას-
ვენეს. ხურო-განმაჯანსაღებელი დინჯად მიუახლოვდა ქერივი-
შეიღის დედას.

— ნუ ტირი, კეთილო ქალო, — დაამშეიდა (რაც გულის ამა-
ნუებელი ფორმალობაა, თუ გაცოცხლების იმედი ძეონდა).

— აქ, ბატონო, თქვენთვის იოლი სათქმელია, მე კი ისე ვი-
ტანჯები, ისე უბედური ვარ... აქ, ჩემო შვილო, ჩემო ერთადერთო
ღვიძლო ზა ჯილაგო! რა ვქნა, ჩემი სიბერის ნებეში დავკარგე-

* ტაქსილს მხედველობიდან გამორჩენა ერთი დეტალი: ქრისტეს და
მისი მოციქულებისათვის არ არსებობს არც ტერიტორიული და არც
ერობრივი სიძნელეები. საღაც მიეღენ, თავიანთ ენაზე ისე აგებინებენ
უყელას, რომ თანამდებობა არ სჭირდებათ. ასე ელაპარაკებან რომაელებს,
ნაინელებს, სირიელებს, ფინიერებს, კორინთელებს... ნაინ პალესტი-
ნში იყო (აწინდელი სოფელი ნეინი), მაგრამ ახალი აღმარტინის ტექსტებში
მრავალ ისეთ ტომის კაცს უნდებეთ, რომ ასე უთარწინოდ შორს უკა
წავიდოდნენ.

დაიწყო:

— რაო, მართლა წინასწარმეტყველია?

— რომ შეხედავ, არა ჰგავს...

— რას ამბობ, როგორ არა ჰგავს! შეხედე, რა შთაგონებული გა-
მოხედვა აქვს, რა ღვთაებრივი იერი! წინასწარმეტყველი კი არა,
ღმერთი ეთქმის, აბა შენ რა გესმის! თუ მოიწადინა, მკვდარს გა-
აცოცხლებს.

— ვერაფერსაც ვერ გააცოცხლებს!

— გააცოცხლებს-მეთქი!

— ვერა-მეთქი!

— სამ სახარებას ვფიცავ, გააცოცხლებს!

— ოთხს ვფიცავ, ვერ გააცოცხლებს.

ფიცი ადვილი იყო: სახარებები ჯერ არ იყო დაწერილი.

ვინც ამბობდა, გააცოცხლებსო, ფიქრობდა, რომ აგერ შეედგება
საქმეს და ჩველა წესს დაიცავს, როგორც ელისე და ილია აკეთებ-
დნენო.

მიცვალებულთა გასაცოცხლებლად მთელი რიტუალი არსებობ-
და, ეს ბიბლიიდან გვახსოვს. წინასწარმეტყველი ცხედარს უნდა მი-
უწვეს, პირი გაუღოს, რაც მეტად ძნელია, და რამდენჯერმე სული
ჩაპბეროს, რაც ძალი და ღონე აქვს. ამიტომ, როცა ნახეს, რომ
იქმო მიცვალებულის გვერდით დაწოლას არ აპირებდა, ყველამ
პირი დააღო (ცხედრის მაგიერ).

მართლაც, ეს რა არა? ქრისტე პირდაპირ მივიდა საკაცესთან,
შეეხო და თქვა:

— აბა, ახალგაზრდა კაცო, შენ გეუბნებიან, ადექი!

მიცვალებულმა ეს რომ გაიგონა, ისე წამოვარდა, გეგონებო-
დათ ზამბარაზე დასკუპებული ეშმაკიაო, მყისვე გახია არტახები,
მოიფშვიტა თვალები და რაკი დარწმუნდა, ისევ ცოცხალი ვარო,
მთელი ხმით დასჭექა კრიმანჭული. მოკლედ, როგორც ზღაპრებ-
შია. ოღონდ ეს სინამდვილე იყო.

— აბა, ჭაბუკო! — მიმართა იეხომ. — შენი სიმღერა შინ დაამ-
თავრე, აქ გასვენება! ახლა კი გადაეხვივ დედაშენს, ქვრივთა შო-
რის უბრწყინვალეს ქალს, და იყავი ბედნიერი, ვიდრე ხელახლა
მოკვდები.

ქვრივიშვილი გონს მოვიდა, მაგრამ ქვრივი გულწასელი ეგდო

ჯერაც. მისი დარღი აღარავის ქეონდა, გამცოცხლებელი აქვე იყო.
მერე გონს მოეგო, ქრისტეს ფეხქვეშ ჩაუვარდა და უნაკერო ძირი
ტონშე ეამბორა.

რაც შეეხებათ ნაინელებს, იმის ნაცვლად, რომ სასწაულმოქ-
მედი ეცნობისთვის ოვაცია მოეწყოთ, სიკვდილის ფერი დაედოთ და
ლამის ერთის მაგიერ ყველა გასაცოცხლებელი გახდა, შიშისაგან
ისეთი ელეომელეთი მოვეიდათ. „და შიში დაეცა მათ ყოველთა
ზედა, და აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ წინასწარ-
მეტყველი დიდი აღდგომილ არს ჩეენ შორის, და რამეთუ მოქსელნა
ღმერთმან ერსა თვისსა. და განეფინა სიტყვა ესე ყოველსა ურიას-
ტანსა მისთვის და ყოველსა მას გარემო სოფლებსა“ (ლუკა, 7,
16—17).

რამ გამოიწვია ასეთი პანიკა?

უბრალო ამბავმა: გეთილმა ნაინელებმა იფიქრეს, და სრულიად
ლოგიკურადაც:

— რაჯი ერთი თავისი სიტყვით შეუძლია მიცვალებული გა-
აცოცხლოს, ერთი შემოხედვით შეიძლებს ყველა ჩვენგანი ცტედრად
ჰქეციოს!*

ამიტომ აიკრიფეს ხელ-ფეხი და გაპქესლებ, ვისაც საით მიუწ-
ვდებოდა თვალი. ცოტაც და შარვლებს ჩაასველებდნენ -კიდევ.

მოდი და ამის შემდეგ კიდევ მოახდინე დიდი სასწაულები!
ღმერთმანი, გარჯაც არა ღირდა ასეთი რეგენი ხალხისა და საჭკო
წარმატებისათვის! უმაღლერობას ხომ საზღვარი არა პქონდა! საჩუ-
ქარსაც არავინ იმეტებდა.

მყედრეთით ამოვარმა თავისი სუდარა შეახვია, ბაზარში წაიღო
და გაყიდა, როგორც ჩამოწერილი საქონელი. აღებული ფულით
იყიდა ღრუბელა, რომ მოტირალთა ცრემლები მოეგროვებინა: მათ
ხომ ხახვი წაისვეს თვალებზე და ცრემლთა ნაკადი არ დაუმრათ,
რადგან ფული წინასწარ პქონდათ აღებული.

რაც შეეხება დამკრძალავ ბიუროს და მესაფლაცებს, რომელ-

* აშეარაა: ნაინელების რეაცირება ასეთ წარმოულგენეს სასწაულზე
უზრო ღოვანერი და გამაცებია, ვიდრე, მაგალითად, ნაშაოეველი აქამებას
იშვია და გრძელილობა, რაც იმ ღრუბისათვის მათ უფრო დაუგრებელია.
ეპენ იწევეს მხოლოდ ერთი ვარემოვნა: როგორ მოხდა, რომ ნაინში, ერთია
დღის საეალზე, აქამდე არაფერი იცოდნენ ასეთი გაღმეარი მეტრიალის
შესახებ?

თაც სარფიანი საქმე წაუხდათ, უაჭველია, კარგს არას უსურებელი დნენ იქსოს. ქვრივიშვილი ალბათ დათქმულის ნახევარს გადაუჩდიდა პირველთ და არაფერს მისცემდა მეორეებს, რომელია წაროში აღარავის ესაჭიროებოდა. ალბათ ერთმაც და მეორემაც საქმე სასამართლოს გადასცა, რომ გაწეული ხარჯები აენაზღაურებინათ, მაგრამ რით დამთავრდა მათი პროცესი, ეს აღარ ვიცი.



არი შელერი. გამოცდა ეშმაკისაგან (მათე, 4, 1).

მოახე ცათლისხმეალის გასაჭირი

და უთხრეს იოანეს მოწაფეთა მისთა ამის ყოველისათვის.

და მოუწოდა იოანე ირთა მოწაფეთა თეოს-თა და მიაეღინა იქნობა და პრეტა: შენ ხა-რა მომავალი, ანუ სხვასა მოველოდეთ?

და მიწავიდეს მისა კაცნი იგი, პრეტა: იოანე ნათლის-მცემელმან მომავალინა ჩეენ შენდა და ქსოვეა: შენ ხარა მომავალი, ანუ სხვასა მოველოდეთ?

მას გამსა შინა განპეტრინა მრავალინი სე-რელებათაგან და სალმობათა, და სელთაგან ჩავაურთა, და მრავალთა ბრძანა მიმმად-ლა ხედეა.

და მიეცო და პრეტა მათ იქმო: მიეცით და უთხართ იოანეს, რა ეს იხილეთ და გე-მია: ბრძანი აღიმილენ, მცემელი კალენ (ბრძები დადიან), კეთროვანნი განპირდე-ბიან და გლახაეთა ესარების.

და ნეტარ იყოს, რომელი არა დაპირუ-დეს ჩემდა მიმართ! (ბენიერია ის, ვანკ ჩემი ვინაობაში ეჭერ არ შეიტანსო).

ღუჯა, 7, 18-23.



ენ მაცხოვარს დავყვებით ქალაქიდან ქა-ლაქში, იოანე ნათლისმცემელი კი ამასო-ბაში ზის თავის დილევში, მახერის ციხეში, და ქეროდეს ავინებს. რეეიმი აქ მაინც და მაინც სასტიკი არ ყოფილა: ბნელში მჯდო-მი იოანეც შეუურჩებდად აღეწენებს თვალყურს თავისი ნათესავის საქმიანობას, მოციქულებს უგზავნის, უწინდებურად პყავს მოწაფე-ბი, ასწავლის კიდევ ყოველიც ეს თუ მართალია, ერთხელ კიდევ

კრწმუნდებით, რომ პეროდე სულაც არა პგავს სასტიკ ტირანს, სადა სიყვარულო თავგადასავალს შექ ყურადღებას უთმობს, ვიდორ პრინციპის ლიტიკურ პატიმრებს, სიკეთისა და შემწყნარებლობის განსახიერებაა, ქრისტიანები კი გადასაცემა მოძალადედ ხატავენ.

ჩვეულებრივ, პატიმრებმა არ იციან ხოლმე, რა ხდება თავიანთი საქნის კედლების გარეთ, და მით უმეტეს, როცა ცინწეში ხდება ბანდის მეთაური, მას ყოველგვარი კავშირი კერძალება გარე სამყაროსთან. აქ კი იოანე ნათლისმცემლის მოწაფეები მთელს ქვეყანაში დაეხეტებოდნენ, გლოხაკობდნენ, ნათლავდნენ უბირ ხალხს, აგროვებდნენ ფერს და ხშირად ნახულობდნენ თავიანთ წინამდღოლს. როგორც ჩანს, საამისო ნებართვაც ექნებოდათ, ხელმოწერილი და სათანადოდ გაფორმებული.

— აბა, რას იტყვით? — პეტითა მოწაფეებს პატიმარმა.

— ფარისევლები, როგორც ყოველთვის, თავიანთი ჯორიდან არ ჩამოდიან, მოსეს კანონებს ჩაპირკიტებენ. შაბათობით ხალხის ნათლობის აკრძალვას გვიპირებენ.

— ეს არ მიკვირს როგორაა იქსოს საქმე?

— ამბობენ, ქალაქებსა და დაბა-სოფლებში სასწაულებს ახდენსო. ზოგჯერ ხალხს შინ გამოძახების ნებასაც აძლევსო...

— დალახვროს ღმერთმა! პირველი მისი სასწაული ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ სატუსალოდან გამოვეხსენი. რა თქმა უნდა, აქ არც ისე ცუდად ვარ: კვება გვარიანია, ქვეშაგები ციხის პირობებში უკეთესი არ იქნება, — ედანნიში ჭილობიც არა მქონდა, — ციხის დირექტორი ჩემთან კარგადაა, რის ნებას არ მაძლევს, მაგრამ მოწყვილობისაგან სულს ვღაფავ! მე ხომ უდაბნოს სუფთა პარს ვარ შეჩვეული!

— იქსოს ამაზე არაფერი უთქვამს.

უთუოდ ამ ფიქრებმა მიიყვანეს იოანე ასეთ დასკვნამდე: ნამდვილად ესაა მესია თუ სხვა მაცხოვნის მოვლინება იქადაგა? მართლაც, სხვანაირად ვერ ავითხოებია მოარული სიტყვის ასეთი გულგრილობა თავისი ნათესავისა და მომნათლავის ბედისადმი.

ამიტომ გასაკებია წინამორბედის ნაბიჯი: ორი მოწაფე დაიბარა და მაცხოვარს ასეთი შინაარსის ეპისტოლე გაუგზავნა: „ამისხენი, მოწყვალეო ხელმწიფელი, შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო თუ სხვას ველოდეთ?“ შესანიშნავი დიპლომატიური სილაა!

ორი ნათლისმცემელი გაეშურა ქრისტეს საძიებლად და კიდევ

იპოვეს ქალაქ ნაინში. წერილი რომ წაიკითხა, იქსო ჩაფიქრდა „აი სეირი! ჩემი წინამორბედიც კი უკვობს... ძალიან გარებდ ვიცი, რასაც ელის ჩემგან ჩემი კუშენი. ჩემთვის, რა თქმა უნდა, ტი-ხიდან მისი გამოხსნა ერთ გადაფერთხებაშე ძნელი არაა... მაგრამ მაცალე, მეგობარო! რაკი შენც კი ჩემი რწმენა არა გქონია და მე-სიის ღვთაებრივობაში ეჭვი გეპარება, ისეთ სასწაულებს მოვახდენ, რომ შენმა მოწაფეებმა თვალები დაჭყიტონ და მიწამონ, ხოლო შენ კი ვერ მოვართებს! იმ სასწაულს, რასაც ელი, ისევე ვერ იხილავ, როგორც საკუთარ ყურებს!“*.

ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, სწორედ ამ დროს, რო-ცა იოანეს მოწაფეები ქრისტეს წინაშე წარდგნენ, ირგვლივ უთვა-ლავი ყრუ-მუნჯი და სწორები ირეოდა კუშიანები, ბრძები, კოჭ-ლები, უფეხოები, უხელოები, უხელუებები, კეთროვანნი, ეშმაკე-ულნი, ჰლევიანები, ყვავილით დაავადებულნი, წყლულიანები, წყალმანკანნი და ციებიანნი. გარდა ამისა, მაცხოვის გარშემო კუბოების რიგი იდგა, ზედ თვალცურემლიანი ჭირისუფალნი ადგნენ.

იქსო ნათლისმცემლის მოწაფეებს მიუბრუნდა და უთხრა:

— მაშ თქვენს მასწავლებელს არ სკერა, რომ მე ვარ მესია? მაშინ, რაკი ასეა, ფართოდ გაახილეთ თვალები და მიყურეთ.

ხელები წინ გაიშვირა, რამდენიმე კაბალისტიკერი სეტყვა წარმოთქვა და გაუგებარი გესტით დაამშვენა. იმავე წამს ყველა სნეული გაჯანსაღდა, ყველა ხეიბარს წამოეშარდა ის ორგანო თე კიდური, რაც აკლდა, ყველა მიცვალებულმა თავის კუბოს სახურა-ვი ახალა, ამოხტა და სისარულისაგან ცეკვა დაიწყო. მოკლედ, გიერ მოჭევიანდებოდა და ჭკვიანი გაგიცდებოდა, ისეთი ამბავი დატ-რიალდა.

— აჩლა რას იტყვით? — პკითხა მოციქულებს იქსომ. — ვი-ნახავო საღმე ასეთი სასწაული?

არა, ასეთი საღ უნდა ენახათ! ნათლისმცემლის მოწაფეებმა აღიარეს, რომ პირველი ხარისხის სასწაული ნახეს.

— წალით, მოახსენეთ იოანეს, რაც ნახეთ და გაიგონეთ: ბრმებს თვალები აეხილათ და დავრდომილნი დადიან-თქო, კეთრო-

* იქსოს ასეთი შერისძიება დამაფერებელი ვერაა. ცნობილია, ურწმუნებისათვის არ დაუსჯია ხალხი და სუსტი რწმენა არაერთხელ აპარია მოციქულებს. იოანეს ყველაზე მეტად სწამდა იქსო.

ვანი განიწმინდნენ და ყრუებს ესმით, სწორი განიკურნებიან და მიცვალებულნი კუბობიდან დგებიან-თქმ. თუ ამითაც ვრცხულობები, მაშინ მცცოდინება, რომ არ სურს მირწმუნოს.

ნათლისმცემლები დაღონდნენ. ყველაფერი ნახეს და გაიგეს: დარწმუნდნენ, რომ მესია ეგ არის, მაგრამ სასწაულებისათვის არავითარ გასამრჯელოს არ ითხოვს. ამან კი მძიმე საზრუნავი გაუჩინათ. სახარება არ მაღავს, ითანეს მოწაფებიშია რომ შეიტყვეს, ქრისტე „ისე“ ახდენს სასწაულებსო, ლამის გულები დაუსკდათ.

მხრები აიჩინეს და ჩაიღულდნედეს:

— ვინც საქონელს მუქთად იძლევა, ის ზიანს აყენებს ვაჭრობას, ჭირმა წაიღოს!

იქსომ ჩინებულად გაიგო, რისი თქმაც სურდათ. ამიტომ დაუმატა:

— მომისმინეთ: რას ჩამოგტირით ეგ სახეები? რაზე დაგიღრუჯიათ? თუ ჩემს სიტყვას უფასოდ წარმოოთქამ, ეს მარტო ჩემი პირადი საქმეა, გასაგებია? გარდა აშისა, ვაი მას, ვინც ჩემით უქმაყოფილო იქნება! ჯოჯოხეთში იწვოდეს და არ დაიწვოდეს-მეთქა, გეუბნებით!

ნათლისმცემლებს უარესის შეეშინდათ და ღროშე მოქეურცხლეს. ბრბო ქრისტეს მხარეზე იყო და შევი მრისსანე ღრტვინვა გაისმოდა უცნობი თავებდის უსაქცევლობაზე. ამ საკვირველ სასწაულებში ეჭვის შეტანას რომ ბედავდა. ისლა დარჩა, კონტროლი გაუწიონ? ზოგ-ზოგები იმასაც ლაპარაკობდნენ, დაეციოთ და დავნაყოთ, ახა იქნება მათზე! ღანარჩენები თვითონ ითანე ნათლისმცემელს ლანძღვდნენ და საქვეყნოდ ამეობდნენ მაგარ-მაგარი სიტყვებით. მაცხოვარმა იგრძნო, რომ ღროა დაშოშინოს თავისი მეტისმეტად თავგამოდებული მოშხრეები:

— გეყოფათ! — უთხრა. — ნათლისმცემელი არც ისეთი ცუდი ვინმეა, რომ ასე გადასწედეთ და აუგად ასევნოთ. ის კაცი დაღდას-მულია იმდენი ესიამოვნებისაგან, რაც საპატიმროში გადასტანია. ნახევრად მოუხარმავი ცერცვი და გაშმარი ჩალა ვის დააყენება კარგ გუნებაზე? მაგრამ ეს არ უმლის, რომ წინასწარმეტყველად დარჩიეს. მან იწინასწარმეტყველა ჩემი გამოცხადება, მან მიწოდა უფლის კრავი, მან მომნათლა, — ეს მეტისმეტად დიდი და თავაზიანი სამსახური იყო და სათანადო პატივის ღირსია. ამიტომ ვირ-

ჩევთ, ნუ აღელდებით მისი ეჭვისათვის, კაცი ცუდ ხასიათზეა. ეს
ხომ დანაშაული არაა!

ზოგ ვინმეს ჯერ კიდევ უკვირდა, ასეთი სათონო სიტყვა რომ ეს-
მოღა, ამიტომ იქსომ დაუმატა:

— დიახ, მეგობრებო, ის დამნაშავე არაა. სამაგიეროდ არიან
უფრო მავნე ადამიანები, ჩემი მტრები და საბრალო ითანებუ აენი,
მის მოწაფეებზე ბოროტნი. მე ვლაპარაკობ ფარისეულებზე. ო, ეს
ხალხი ქმაყოფილი არასოდეს არ არას! როცა ნათლისმცემელმა მე-
ნიუ შეიცვალა და კალიების ჭამაზე გადავიდა, ამბობდნენ, ემაგე-
ულია, ხოლო მოვედი ძე კაცისა, ვჭამ და ვსუამ ადამიანურად, ახლა
მე ამიხირდნენ: „აპა, კაცი მჭამელი და მიმელი ღვინისა, და მე-
გობარი მეზვერეთა და ცოდვილთაო!... იქრო და ვერცხლი უყ-
ვარსო!.. რაც არ უნდა მოიმოქმედო, ყოველთვის შარს მოგდებენ!
ამიტომ ჯობს ყურადღებაც არ მივაჭუიოთ მათს ლაყბობას. მერწ-
მუნეთ. აი, თქვენ ცნობისმოყვარენი ხართ. „რასა გამოხვედით ხილ-
ვად? წინასწარმეტყველისა? ბეტვი თქვენ, და უმეტეს წინასწარ-
მეტყველისა!“ ამიტომ მერწმუნეთ!

ვიდრე იქსო ერს ასე უქადაგებდა, მოწაფეები მახერის ციხისა-
ძენ მიეშურებოდნენ. როცა მივიღნენ, ითანებ ჰკითხა:

— რაო, რა თქვა?

— ნამდვილად მესია გახლავთ, ამისი უარყოფა არ იქნება! —
ჩიუგეს მოციქულებმა. — სასწაულს სასწაულზე ახდენს და თანაც
ქადაგებს, ქადაგებს. თუ შეე არ გათავისუფლებს ამ ციხიდან, მხო-
ლოდ იმის გამო, რომ შენი პატიმრობა ხელს აძლევს. ტყეილად კი
არაა ნათქვამი, ახლო ნათესავები ერთიმორის მტრები რიანო, ან
იშვათად შეიყვარებზო ერთიმეორეს. შენ რომ გარეშე ვინმე იყო
მისთვის, აქამდე დაგიხსნიდა, მაგრამ ახლო ნათესავი ხარ და ამი-
ტომ გადაუწყვეტია: თვითონ მოუაროს თავს, როგორც უნებოხო!

— ესე იგი, იჯდესო ციხეში აღსასრულამდე?

სასოწარკვეთილმა ითანებ, რაკი დარწმუნდა, ღვთაებრივმა
ძმამ უურგი მაქციაო, რამდენიმე ძლევა თმა მოიგლიჯა თავზე და
შებლი კედელს შეატეხა (მათე, 11, 2—19; ღუკა, 7, 18—35)*.

* ოთხსავე სახარებას შორის ბევრი შინაარსობრივი განსხვავება და
აჩტ მოცულობით არიან ერთნაირნი, მაგრამ მრავალი ეპიზოდი, სტრი-
ქონი, მთელი მუხლები ერთიმეორეს ზუსტად ემთხვევიან. ეს მოთხოვნილი
ეპიზოდიც თითქმის ერთნაირადაა მოცემული ცეკას სახარების მეშვიდე
და მათეს მეთერთმეტე თავში.

თასო მამობარ ქალს იჩინს

ევვლებოდა ვინმე ჩას ფარისეველთაგანა,
რათა ქსეტამის პური მის თანა, და შევიდა
სახლისა მის ფარისეველისასა და დამჯდა.

და იყო ღებავაცა ვინმე ქალაქისა მას შე-
ნა, რომელი იყო ცოდვის; ქმა, რომელ
არს იყი სახლისა შინა მის ფარისეველისაა,
შიოდნა ალაბასპური ნელსაცხებულისა, და დამ-
სდგა უკრძალა თანა მიხოთა, მატიროდა და იწ-
უთ დაუტომად ცრემლითა ფერწა მიხოთა,
და თმითა თავისა მიხისათა წარპილდა, და
ამბორის-უყოფუდა ფერწა მიხოთა, და ქსეტ-
შდა ნელსაცხებულსა.

ღრეა, 7, 36-38.



არისეველები, როგორც არაერთხელ ითქვა,
საერთოდ არ სწყალობდნენ იქსოს. მავრამ
მთელი თავიანთი სიძულვილის მიუხედავად
ზოგიერთი მათვანი მარც ერთგვარი ცნო-
ბისმოყვარეობითა და საჭირო პატივისცე-
მითაც კი ეკიდებოდა. ასეთ ადამიანებს უნდოდათ ახლოს ყოფილიყ-
ვნენ ადამიანთან, რომელიც თავისი დროის და ყველა დროის უდი-
დეს მკურნალად იყო ცნობილი. ჩვენ ჟკვე ვიხილეთ, როგორ ესტურ-
რა ნიკოდიმოსი და რა მეგობრული ბაასი გაუმართა; კინაღამ გა-
გირდა, იმდენი უსმინა.

სწორედ ასევე აღმოჩნდა ნაინში ცნობისმოყვარე ფარისეველი,
სახელად სიმონი. ფარისეველთა ადგილობრივ სექტაში დად ვინმედ
ითვლებოდ. პოდა, ერთხელ ამ წითელმა კოჭმა ქრისტეს ძლიერების
გამოცდა განიზრახა, ან იქნებ უბრალოდ მასთან შინაურული საუ-
ბარი მოიწადინა.

ერთხელ დილით იქსომ მოკლე საღარბაში ბარათი მიიღო საუ-
თი შინაარსისა:

„ფარისეველი სიმონი ხვალ მიღებას აწყობს. თავს შედნიერდ
ჩათვლის, თუ თავის სახლში იხილავს იქსო ნაზარეველს“.

ჩვენმა შებლგასნილმა გმირმა სიმონს მაშინვე შეუთვალა, თა-
ნახმა გარ, გეწმივიო. ჰოდა, დანიშნულ საათს ქრისტემ ფარისევლის
სახლის კარი შეაღო.

იმ დროის ჩვეულების თანახმად, განსაკუთრებით საპატიო სტუ-
მარს კარებთან ფეხს დააბანინებდნენ, ნელსურნელებას აფრენე-
დნენ და დოყაზეც კი ჭკოცნიდნენ.

ფარისეველმა, რომელსაც უბრალოდ უნდოდა ეზილა, როგორ
გამოიყურებოდა მესია, ამ საპატიო წესების შესრულება ზედმეტად
ჩათვალა. ეს ჩეგვენი იქსოს ისე შეხვდა, როგორც ჩვეულებრივ
სტუმარს, საკმაოდ თავშეკავებულად, გაცვეთილი კომპლიმენტებით
დაკმაყოფილდა:

— ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით... დიდი ხანია მესმის თქვენი
ამბავი და ვოცნებობდი, რომ საუზმეზე ჩემს ჭერქვეშ მეტილეთ.
გთხოვთ, უძრალოდ შევეცეთ იმას, რაც ღმერთს მოუცია.. იმედი
მაქეს ნაწყენი არ დარჩებით

იქსონაც იმავე კილოზე უჟასუხა. ბოლოს და ბოლოს, პატივი და
დიდება არ აკლდა, მთავარი ის იყო, რომ სასმელ-საჭმელი უშვად
ყოფილიყო.

სუფრას მიუჯდა და ვიდრე ამინდზე საუბარს მორჩებოდნენ, უკ-
ვე მოხრაკული მიირთვა, თანაც საკმაოდ ბლომად. იქსო ისე იქცეო-
და, როგორც მის მდგომარეობას შეეფერებოდა: სიყვარულით არავის
დაუბატიუებია, მისი გარევნობა და ქცევა აინტერესებდათ, და აი,
ასეთი იყო მიხილეთო!

საუბარში თავი უბრალოდ ეჭირა და არაფრით არ ამეღავნებდა
თავის ზებუნებრივ ჩამომავლობას.

ამასობაში ქალაქში ხმა გავარდა, იქსო სიმონთან საუზმობსო.
ცნობისმოყვარეობით ატანილი უსაქმურები სახლთან მოზღვავდნენ
და ათასნაირი საბაზით ბევრი მათვანი სტუმართმოყვარე ფარისევ-
ლის სახლშიც კი შევიდა. ქვეყნის ადათ-წესის თანახმად, მსახუ-
რები ყველას უშვებდნენ, ვინც სანადიმო დარბაზში შესვლას ისურ-
გებდა. კარის დახურვას ვერ ასწრებდნენ, ისე მოედინებოდა სტუ-
მართა ნაკადი.

აი, აქ ხურო-სასწაულომოქმედს მოევლინა ვინმე ლამაზი ჭალი, რომელმაც ხალხში გარევა და სახლში შეღწევა მოახერხა. ახალგაზირებული რდა, მსუბუქად ჩატარდი, სასიამოვნო შესახედავი შავგვრემნი ქართველი იყო. ხელში აღებასტრის ქილა ეჭირა, ნელსურნელებით სავსე.

იესოს გვერდით რომ აღმოჩნდა, ქალი ფეხშვეშ ჩაუვარდა, დაუჩინქა, ქილა ხელიდან დაუვარდა და გატყყდა. ნელსურნელოვანი სითხე იატაკშე დაიღვარა. მაშინ ქალი ატირდა, ისე შეწუბდა, გრძელი ქერა თმა ჩამოიშალა, იატაკშე დაღვრილი ნელსურნელებით დაასველა და ამ მურით დაუწყო მაცხოვრის ფეხსაცმელს წმენდა*.

დარბაზში მყოფნი საფუძვლიანად გააკვირვა ამ თავისებური ადათის ხილვამ. იმ დროის წესით ეს ნიშნავდა სიყვარულის გამოცხადებას ძალშე აშკარად და გადაჭრით. სიმონი ასეთ საქმეებში გამოცდილი იყო და ჟველაფერი კარგად გაიგო.

ქალი კი უსვამდა და უსვამდა იესოს ფეხსაცმელშე თავის ქერა თმას, არც ტერტებშე დააკლო, არც შეხლებშე იესოს სიაშოკნებდა და მოწყალედ იღიმებოდა.

ეს არაფერი, მაგრამ ქალი მოყივნებული იყო, სახელი გატეხილი ქქონდა. თეთრი ვარდების გვირგვინს არსად არ დაადგამდნენ სათნოებისათვის, და მით უმეტეს იუდეაში. პირიქით, თავისი წარსულით სულ სხვანაირად იცნობდნენ. სახელად მარიამი ერქვა. ქმარი ჟყავდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ შორს გაისტუმრა, მას შემდეგ რაც მაღალი რქებით დაამშვენა. მისი ქმარი ვინმე პაპუსი იყო, იუდას შვილი, მეფანონე. ლამაზმა ცოლმა ერთობ მხიარული ცხოვრება არგუნა.

წყაროში რომ ჩაიხდა და თავშე ამოსული რქები დაინახა, პირველად პაპუსმა პროტესტი განაცხადა. ეჭვიანობაც კი დაიწყო, აცხადებს ყველა სწავლული ღვთისმეტყველი, მარიამს სახლში ამწყვდევდა.

ამან ისე უშედა, როგორც მიცვალებულს საფენშა. მარიამი ქმრის თავს სულ ახალ-ახალი რქებით ამჟობდა. მებაღე, მეტლე, ხაბაზი, დაბაღი, ღაქია, მზარეული, თულუხჩი, ბაყალი თუ ყასაბი, — ვინც შეხვდებოდა, მას დაპყვებოდა, არავის იწენებდა. გაუ-

* ვისაც სურს ამ მითიცრი ქალის სახე იხალოს, ნახოს ტიციანის „მარიამ შავდალინელი“, ან სხვა ღილაკტატია ქმრიალებანი, რომელსპერაც. ხასარების ეს სახე სამედამოდ უკადაციურიალია.

მაძლარი ეინმე იყო. როცა მისი საყვარლები უკვე სულ დაფავდუნ, ის ისევ იწვევდა და ეხვევდა.

ერთ მშვენიერ დილას, როცა პაპესი შინ არ იყო, მარიამშა დაპკრა ფეხი და ერთ კოხტა ოფიცერს გაჰყდა, ფანჯრიდან რომ მოპკრა თვალი და მოეწონა.

ოფიცერი მაგდალის გარნიზონში მსახურობდა. მარიამიც იმ ქალაქში გადაბარებდა. მოთმინებიდან გამოსულ ქმარს ეყო ჭკუა და სამწედამოდ მიაფერთხა გზაარეულ მემავს, მანაც იგრძნო თავისუფლება და ოთხივ კუთხივ გზა გაისხნა, დაკარგული წლების ანაზღაურებას შეუდგა.

ყველაზე უფრო ღრმად მორწმუნე კომენტატორებიც აღიარებენ. რომ ქმრის მოღალატე ქალმა არც საყვარელი დაზოგა. რაღა თქმა უნდა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ მოელმა ქალაქმა გაიზიარა მისი დილება. დღესაც კი, როცა ამ მარიამს ასახელებენ, თან ურთავენ ზედწოდებას „მაგდალინა“, „მაგდალინელი“, და მართალიც არის: რამდენიმე თვეში ამ ქალმა მოასწრო იმდენი, რომ ქალაქში ერთი მამაკაციც აღარ დარჩენილა, მასთან რომ არ დაწოლილიყო.

იესო რომ პირველად იხილა, მაგდალინელშა იფიქრა:

— მე არ ვიყო მარიამ მაგდალინელი, თუ ეს ლამაზი კაცი არ შევაცდინ!

იმ დღიდან აეკიდა მარიამი იესოს, ყველგან თან დაჰყვებოდა, თვალს უკრავდა, ესწრებოდა მის ყველა საკარო გამოსვლასა და სასწაულს. ნაინშიც ასე მოევლინა, რომ ქერივიშვილის სახწაულებრივი გაცოცხლება ენახა. ბოლოს, იმით გაგულისებული, რომ იესო მას არ აქცევდა ყურადღებას, თავშედურად შეიძრა ფარისეველ სიმონის სახლში, სადაც მირონცხებული საუზმობდა.

ახლა კი დარწმუნებული იყო მაგდალინა თავის წარმატებაში. მართლაც, იესომ არა მარტო შეამჩნია, არამედ ნებაც კი მისცა თავისი ფეხები დაეკოუნა და საკუთარი თმით მური წაესვა.

მაგრამ ფარისეველი სიმონი კი შეძრწებული იყო. განა შესაძლებელია, რომ ადამიანი, რომელიც თავს წინასწარმეტყველად ასაღებს, ასეთი ბრმა და ვნებას აყოლილი იყოს? აშალუარა ქალს რომ ფეხზე კოცნის ნება მისცე ღმერთმა, ეს ხომ თავისთავად სკანდალია! ეს ქერა ქალი კი შარაგზის მემავია და, რაღა თქმა უნდა, რომ ამით ვითარება რთელდება!

„აი, შე უნამუსოვ! — ამბობდა გულში ფარისეველი. — მაგრამ

იქსო ხომ იქსო! ახლაც დაიტრაბახოს ვინმემ, რომ მომავალსა ჭვრეტს! ვისაც ენებოს, მე კი ამას ვერავინ შემაჯერებს. ვიდრო მოუკარავა მავალზე იშრუნებდა, ჯერ ახლანდელი ვითარებისათვის შეუძლო თვალი და გაერკვია, უკეთესი იქნებოდა. ორიდან ერთია: ან იცის, რომ პირველი ხარისხის შეძაჭთან აქვს საქმე, ან არ იცის. თუ არ იცის, მაშინ ისეთივე წინასწარმეტყველია, როგორიც ის ქოთანი, საწოლთან რომ დგას, ხოლო თუ იცის, მაშინ კარგი ვინმე კი ყოფილა!“

ხედავთ, საღამდე შეიძლება აღამიანი მიიყვანოს რწმენის ნაკლებობაშ? აი, რას ნიშნავს არასწორი თვალსაზრისი!

იქსომ მაშინვე ამოიკითხა სიმონის სულში ყველაფერი, რასაც ეს დუხშირი უარისეველი ფიქრობდა და განიზრახა მოკლე, მავრამ სამახსოვრო გაკვეთილი მიეცა.

ლამაზ ქალს უქში გაუწოდა, რომ უფრო მოხერხებულად მოფერებოდა, თვითონ კი ფარისეველს მიმართა:

— სიმონ, მე მინდა ორი სიტყვა ჩაგჩურჩულო ყურში.

— აი, ჩემი ყური! — გაიცინა მასპინძელმა.

— ერთ კრედიტორს ორი მოვალე ჰყავდა. ერთს სუთაბი დინარი ქმართებდა, მეორეს თრიმოცდაათი (ერგახისი). ხედავდა, თავის ფერს ითლად ვერ დაიბრუნებდა, რადგან ორივე მოვალე ღარიბი იყო, როგორც სინაგოგელი ვორთხები. ხელი ჩაიქნა, მიაფურთხა და გადაწყვიტა იყოს დიდხულოვანი. ორივე მიიწვია და უთხრა: „ჩემო მოკეთებო, თქვენ რაღაც წერილმანი გმართებთ ჩემი, მავრამ მინდა ქველი საქმე გავაკეთო, დავიციწყოთ და მორჩა!“ რაღა თქმა უნდა, დაღონებულმა მოვალეებმა გაიხარეს და მაღლობის თქმას ვეღარ აუდიოდნენ. მავრამ მითხარი, სიმონ, რომელ მათგანს ქმართებდა მეტი მაღლობის თქმა უანგარო მევალისათვის?

— რა თქმა უნდა, იმას, ვისაც მეტი თანხა შერჩა. ამას რა კი-თხვა უნდა?

— შენ მართალი თქვი.

— მერე?

— მერე ისა, რომ იგავი შენზე და ამ ქალზეა ნათქვამი.

— შენ რა, დამცინი?

* იქსო ქრისტეს ნალიში სიმონ ფარისეველთან ხელოვნებაში რუბენს-შეც ასახა.



— არც მიუიქრია! პირიქით, ნამდვილს გვებნები უშფლის მისიხედა
ლმი შემოვედი, შენ თავაზიანობის წესიც კი არ დაიტავი, წყალი
არ მომაწოდე ფეხის დასაბანად... ო, კი არ გსაყვედერობ, უბრალოდ
ფაქტს აღვნიშნავ... ამ ქალმა კი ფეხი დამიამა თავისი ნატიფი ნელ-
საცხებლით. გინდა იყნოსო? თვითონევე დარწმუნდები, რა ნელსა-
ცხებელია...

— ასც შვერა, მოძღვანო.

— შენ ლოუაზეც კი არ მაკოცე, როგორც მიღებულია, ეს ქალი
კი მკოცნის, ლოყაზე კი არა, ფეხებში, თანაც რა მხურვალედ! ესე
იგი, ამ ქალს უფრო ვუყვარება, ვიდრე შენ, და ამას დაუფარავად
გამოხატავს... უფრო მაღლიერია...*

— მაღლიერი? რისხვის?

— როგორ თუ რისთვის? სამსახურისთვის, რაც მე გავეწიე, და
რასაც შენი გონება ვერ მისწვდა.

— რა სამსახურია, მიმრჩახეთ ერთი!

— მე აღჭურვილი ვარ ცოდვების პატივების უფლებით, სიმონ. შეიძლება შენ ეს გაევირვებს, მაგრამ მით უფრო საცოდავი ხარ, და
ეს კი მაინც ასეა. შენს სუფრასთან რომ ვჯდებოდი, რამდენიმე ცოდ-
ვა მოგიტევე, რაც ჩაგიდენია, და ეს ვერც შეჩიშნე. ზესტად ასევე,
ამ ქალმა რომ ფეხები დამიკოცნა, მისი სული სიბილწისაგან უკვე
განვწმინდე, და დარწმუნებული იყავი, ეს დიდი ხანია ესაჭიროე-
ბოდა. ამ კეთილმა დედაკაცმა ეს გაიგო და ამისათვის შემიყვარა...
ესაა ის მოვალე, რომელსაც დიდსულოვანმა გამსესხებელმა ვალი
აპატია, ხუთასი დინარი აჩუქა.

მაგრამ სიმონი მაინც არ იყო დარწმუნებული. სარწმუნოების
საქმეში ხაოცრად ჯიუტი გინმე გახლდათ

— რისთვის აძლევ ასეთ უპირატესობას ამ უნამუსო დედაკაცს? —
პკითხა იქსოს

— სრულიად ბუნებრივი მიზეზია: მისი ცოდვების ხასიათის გა-
მო. მე დაუძლეველი ძალით მიმიწვევს გული ზნემრულე ქალები-

* ბრწინვალე ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა: აქედავა ამას
დადაცას? შემოვედ სახლსა შემსა, წყალი ფერსთა ჩემთა არა მცე; ხოლო
ამან ცრემლითა დაალტვნა ფერნი ჩემთა და თმითა თესითა წარმონა.
ამშორის-უოუა არა მომევ მე; ხოლო ესე, ვინათვან შემოვედა, არა დამსუ-
ბრების ამბორის-უოლითა; ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელ-
საცხებელი პსკო ფერსთა ჩემთა (ლუკა, 7, 44-46).

საკენ. რაც უფრო მძიმედ აეგება სიყვარულის ანკესზე, მით უკრია
სათოა ჩემთვის, და ამ ქალს იმისათვის მიღებული შეცოლებაზე,
რომ მრავალნი შეიყვარა („მიტევნეს მაგას ცოდვანი მაგისი, რა
მეთუ შეიყვარა ფრიად“). მაგდალინელს კი უთხრა: „მიგეტენებ
შენ ცოდვანი შენი... სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გვა-
ლე ვიდოდე მშვიდობით!“

თანამეინახევები გაოცებულნი კუითხებოდნენ ერთიმეორეს: „ვინ
არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტეობს?“

ფარისეველი სიმონი კი დუმდა. მაგრამ მისი სულის კარები
სამუდამოდ დაიხურა ქრისტეს მოძღვრებისათვის. ხავსმოდებულ-
მა ფარისეველმა გულში გადაწყვიტა შემდევებისათვის უფრო ჭინდა-
ხედული ყოფილიყო და არ დაეპატიურებინა ასეთი საეჭვო ზნეობის
მქონე ადამიანები.

სახარებაში ამ საქმის ბოლო გამოტოვებულია.

მაგრამ ისედაც აშკარაა, რომ მაგდალინელი, კმაყოფილი იქსოს
ასეთი ყურადღებით, შიღწეული წარმატებით არ დაკმაყოფილდა.
მე, მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ მაგდალინი თავის საც-
ხოვრებელში წაიყვანა და მასთან მიწიერ ნეტარებასაც ეზიარა. იქსოც
ხომ კაცი იყო!

როცა მამაკაცი ქალს ნებას აძლევს, რომ საკუთარი კავებით
ფეხებზე ნელსაცხებელი წაუსვას, არა მგრძნია ამით დაკმაყოფილ-
დეს.

ამას გარდა, თუ ღვთისმეტყველნი ტყავიდან ძრებიან, ოღონდ
დაგვიმტკიცონ ღვთისმშობლის მარიამის ებიწობა და უცოდველო-
ბა, სამაგიეროდ ხმასაც არ იღებენ ღვთის შვილის უმანქოებაშე, არ-
სად არ ამბობენ, რომ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა უთვალავ
ტურფა ქალს, რომელთა შორისაც დღეებსა და ღამეებს ატარებდა.
ჩვენ ეს ცოდვად არ მიგვაჩნია!

ფარისეველი სიმონი, რომელსაც არ სწამდა ქრისტე, ცხადია,
გაოგნებული დარჩებოდა თავისი სტემრის ეზნეობის გამო, თუმცა
თვითონ ეინ იცის, რაებს არ სჩადიოდა. მოწინდანო ღვთისმეტყ-
ველნი კი, პირიქით, წმინდად წოდებულ რომელიმე პერსონაჟის
თუნდაც არაორაზროვან თანაგრძნობას პირდაპირ ღვთის წყალობად
თვლიან. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე კოხტა გოგოს გახსემრება
მღვდელი, რომელშიაც უფლის კურთხევის ნაწილია გადასული, კი-



თოლი ქრისტიანები ამას საძრახისად სულაც არ თვლისთვის სამონად ქალაქი სასამართლოები დევნიან ზედმეტად ტემპერატურული მდგდლებს, საკულესიო კანონები კი მათ ფაქტიურად ამართლებენ. იქსოს მსახური, რომელიც ბრალდებულია მცირეწლოვანთა გარყუნისათვის, იმავე დღეს ცხადდება წმინდა მოწაშედ, ხოლო მისი მსხვერპლი ან გარყუნილების თანამშრახველი, რომელზედაც მადლი ციცერი გარდამოსულა, თითქმის წმინდანდ შეირაცხება.

მით უმეტეს, რატომ არ უნდა გამოეცახდებინათ წმინდანად მარიამი, რომელიც იქსომ საყვარლად დაისვა?

პატივცემულ პაპუსის მოღალატე ცოლი, რომელმაც მოელს მაგდალეს რქები დააღვა, მაცხოვრის მელავებში ისევ უბიწოდ და უმანკოდ იქცა. მხერვალედ შეიყვარა იქსო და იქსოც ეთეთდ კმაყოფილი იყო. ოღონდაც! ის იყო პირველი და ურთადერთი მამაკაცი ზაგდალინელის საყვარელთავან, რომელიც რქებს გადარჩია.

ჩენ კიდევ დაეცემუნდებით ქრისტეს და მარიამ მაგდალინელის სიყვარულს. ამ სიყვარულის არსებობას უარყოფენ მხოლოდ წოვარით ჯიუტი ღვთისმეტყველნი, ცნობილნი თავიანთი უანატიშით. პირიქით, მას აღიარებენ ველესიოს მამები, მათ მთრის აბატი დე-ლა ბომი, წმინდა აგრიკულა ავინცონელის კოლეგიის მეკანონე, უქრისტიანდეს, ანუ დაბრუნებული საშოთხის სახელგანთქმული ავტორი.

* აქ ზედმეტი არ იქნება, მცირე პარალელის გავლება ქრისტიანულ მოძღვრებასა და ბერძნულ მითოლოგიას შორის. ბერძნი ვაჟირები და ღმერთები საღაც კი მოცელი, აშენიად შეიავარებენ რჩეულ ქალებს, ეპიძეონ ბოროტ ძალებს, აშენებენ ქალაქებს, უძღვნიან ხალს ან ქალაქებს ძვირფას საწერებას და ა. მ. ქრისტიანულ წიგნებში კი სიყვარული უვილგან კიცხის და გმიბის საგანია, იყრალება ის, რახაც სინამდვილეში ფარელად თვითონ ღვთისმსახურნი სწავლიან, და თვითონ მათი იდეალურად მითიური გმირი, ღმერთი, ქრისტე, მკურნალობითა და ქალაგებით ითარდება, ამისთვის მხოლოდ თეორიულ ედემს ქმნის საღდაც ცაში, ღეღმისუანებ მცხოვრებ აღმიანებს კი ფაქტიურად არაფერს აძლევს, ამიტომ მისი რელიგია სასტრია და სევდის მომცვერელა, მოკლებული სილალესა და პოტერ სილამშევს.

ივლი პრისტის წევაზე

უცხრეს მას და ეტყოდეს: დედა შენი და
ძმინი შენი გარე ქადგანან და ხილვად შენი
პნევაზე.

ხილო თავადმიან პრევა მათ: დედა ჩემი და
ძმინი ჩემი ქავ არიან, რომელთა ხილვა
ჯმროსა ისმინონ და ქუნ იყო.

ლუა, მ, 20-21.



ავისი გამარჯვებით გამხიარულებული და
გახარებული მესირ იქსო გალილეაში დაბ-
რუნდა, ნაზარეთის მიდამოებში. ეს ქალაქი
მაინც ანდამატივით იშიდავდა, თუმცა
მხოლოდ დაცინვა და წიჩლი ახსოვს იქი-
დან. ეტყობა, თავს ხიტყვა მისცა, რომ უკანასკნელი სიტყვა მისი
იქნება, და კარგად ის იცინის, ვინც ბოლოს იცინის

პირველად აქ უნდოდა შეკმნა წინასწარმეტყველის რეპეტ-
ცია, ამისათვის წარმოიქვა პთაგონებული სიტყვა, მაგრამ თანამემა-
შულებმა სასაცილოდ აიღდეს, როდის გახდიო დოქტორი? ამბით-
ნიდან გადმოათოის, მერე მთაში აიყვანეს და კინაღამ უფსერულში
გადაუძახეს. ამჯერად იქსომ წარმატების მიღწევა ქალების შემწუ-
თბით განიზრახა.

ეკვე წინასწარ ტკბებოდა თანამემამულეთა განცვიფრებული
ხახების ხილვით, მაგდალინელის თანხლებით რომ მოევლინებოდა,
როგორც გამოუსწორებელი ოინბაზი. ეს ქალი ძლიერ წარმოსადეგიც
იყო და უსაზღვროდ მდიდარიც.

ქალს რომ უყვარდე და უყვარდე მხოლოდ შენი გულისათვის,
ამაზე ოცნებაც კი ყველას არ შეეძლია.

თუ იქსო ასეთ რამეზე ოცნებობდა, ახლა ამ ოცნებამ ფრთა შე-
ისხა.

ღატაკი კაცი შეიყვარა შეძლებულმა ქალმა. თვითონ ჭიდი სი-
ლამაშით არ განირჩეოდა, საყვარელი კი გაიჩინა კალმით ნახატი
და ენებით დამწვარი.

მაგრამ რაზე ვლაპარაკობ? ახლა, ერთი კი არა, შეყვარებულ
ქალთა მთელი რაზმი დასდევდა. სადაც წავიდოდა, ყველგან პარამ-
ხანა ქეონდა. სულთნის გამორჩეული საყვარელი, ცხადია, მაგდა-
ლინელი იყო, მაგრამ სიმართლის გულისათვის უნდა ვთქვათ, რომ
მარტო ამ ერთის ყურადღების საგანი არ ყოფილა იქსო.

სახარებაში მოხსნიებულია მისი ორი თაყვანისმცემელიც:
იოანა და სუსანა. სუსანაზე არავითარი ცნობები არ შემონახულა,
გარდა იმისა, რომ ძველ ებრაულ ენაზე მისი სახელი აღნიშნავს
„შროშანა ყვავილა“¹. რაც შეეხება იოანას, წმინდა ღვარეწყებს,
თითქოს ეს ქალი ვინმე ხუშის (ქუშის) შეილი ყოფილიყო, ქერთ-
დეს ერთ-ერთი მამულის მიურავისა. ერთხელ, იქსო რომ ნახა, ამ
იოანამ გულმი ჩაითქვა: „აი მამაკაცი, რომელიც მე მინდა!“ შემ-
დეგ ქონება გაყიდა, ქმარი შიატოვა და ქრისტეს აედევნა.

— ვისაც მე ვუყვარება, მე გამომყვება! — იმერებდა მოარე-
ლი სიტყვა.

მართლაც, დასებად დაპყვებოდნენ ქალები, რომელთაც ეს სი-
ტყვა პირდაპირ ესმით. ზოგი ქმარს გაქცეოდა, ზოგიც როსკიპი
იყო, საათებითა, თუ წევებით მოგაჭრე ყველას გაგრებით უყვარ-
და აკრძალული ხილი და ყველა თავს ევლებოდა თავის უებრო მოძ-
ღვარს, მაცხოვარსა და მბრძანებელს.

ზოგიერთები იქსოს ისე აღმერთებდნენ, რომ მზად იყვნენ თა-
ვიანთ ხარჯზე პყოლოდათ. თვითონაც მოურიდებლად სარგებლობ-
და ქალების ყურადღებით, რათა თავისი ადამიანური მხარე დამ-
ტკიცებინა ყოველნაირად.

გადამალეთ ლუკას სახარების მერვე თავი, წაიკითხეთ მეორე
და მესამე მუხლი. იქ გარკვევით ბეჭმნებიან: „და დედანი ვინმე,
რომელი განკურნებულ იყვნეს სულთაგან არა-წმიდათა და უძლე-
რებათა: მარიამ, რომელსა ერქვა მაგდალინელა, რომლისაგან შეიდ-
ნი ეშმაკი განსრულ-იყვნეს; იოანნა, ცოლი ქოშასი, ეზოს-მოძ-

ვრისა იროდისი, და სუსანნა, და სხვანი მრავალნი, რომელნი ჰქონდებდეს მას ნაყოფთაგან მათოთა**.

აი, ხომ ხედავთ, კველა გზა მოჭრილია, ბატონო ხუცესნო!

გარკვევით წერია: „ემსახურებოდნენ იმით, რაც გააჩნდათო“, და ქვეშ აწერია „წმინდა ლეკა“.

მცონი, თქვენთვის ნათელია, რა ეწოდება იმ აკრძალულ ხილს, ქონებას, ნაყოფს, რომელიც ქალს ხაშუალებას აძლევს ემსახუროს „თავისი ქონებით“**. ეს მეტისმეტად ეწმაწური სიტყვაა, რომ აქ დავწერო, მაგრამ მისი მფლობელი სავსებით იმსახურებდა ასეთ ფერადლებას, და უმჯობესია მას მივაკუთვნოთ საყოველთაოდ მიღებული ტერმინი — აღფონსი.²⁵

ამრიგად, ქრისტე — აღფონსი ყოველგვარ ცრუმიორწმუნეობაზე მაღლა დგას. ხეტიალით დაიწყო და მივიდა იქამდე, რომ თავის თაყვანის მცემულ ქალთა ხარჯზე ცხოვრობს. ამ გზაზე დამდგარს ხიცოცხლე უხათეოდ სახრჩობელაზე უნდა დაესრულებინა. რაც ბოლოს და ბოლოს მოხდა კიდევ. რადგან ჯვარი იმ კპოქაში ველგარული სახრჩობელის მაგიერა, იყო. მომხიბლავი პერსონაჟია, ხომ მართალია? მღვდლებმა უკრისტიანეს კრავთა ნიმუშად ხრულიად დასრულებული ტიპი არჩიეს, გმირად აქციეს და დააკანონეს. ძალაუწებურად იტყვი, გულუბრყილო მორწმუნებს დასცინებო, როცა შექმნეს ღეგენდა ფანტასტიკურ ღმერთ-კაცუ, მაწანწალის ხახე მისცეს, დამატებით აღფონსად გამოაცხადეს, იმის მაგიერ, რომ სამაგალითო ოჯახის მამა, ქველმოქმედი მოქალაქე და პატიოსანი შერომელის ტიპი აეღოთ!

მაგრამ არა, ეტყობა, ასეთია თვით არსი და ბენება კველა რელი-

* რესიდ ტექსტში აქ წერია „თავიანთი ქონებით“ — «имением своих», ლეოპოლი ბიბლიაშიც ასე — „von ihrer Habe“. ქართული „ნაყოფთაგან“ უფრო კოლორიტული სიტყვაა.

** მარკოზის ხახატება ასე დასტურებს ლეკას ცნობას: „ხოლო იყვნეს დედანიცა, რომელიც შორით ჰედვიგეს; რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალინელა, და მარიამ იაკობისი მცირისა, და იოსეს დედა, და სალომე, რომელიც ოდეს იგი იყო გალილის, შეუდგეს მას და პმსახურებდეს, და სხვანი მრავალი, რომელიც მის თანა აღსრულ-იყვნეს იერუსალიმიდ“ (15, 40—41). ეს ცნობები ქრისტეს ხდიან უმანკობის ლანდის საფარველს და იელივენ ხორცებს მიმდინარე აღმიანად, რომლისთვისაც უცხო არ ყოფილა მიწიერი ხეამე.

გიისა, რომ ასე აღმერთებენ და კანონიშაციის შარავანდედებზე ჩემულია
ენ უსაძაგლეს ადამიანურ ხასიათებს.

ეს ძალშე საგულისხმოა. კულტების შემქმნელი, საქმეს რომ შე-
ედგებიან ხოლმე, ალბათ ასე მსჯელობენ:

— ხალხი რომ გააბრიყეო, უნდა აიძულო იწამოს თავისებური
შებუნებრივი ტაკიმასხარა, რომელსაც ჩეენ თოჯინასავით ვმარ-
თავთ. მაგრამ ეს უზენაესი არსება რომ უბირთა გონიერისათვის ში-
საწელომი და მახლობელი გავსადოთ, ადამიანის ტყავში უნდა ვა-
გახვით, წმინდა მატერიალური ფორმა უნდა მივანიჭოთ და ვაი-
ძულოთ რამდენიმე წელი მაინც გაატაროს ადამიანთა შორის, ჩვეუ-
ლებრივ პირობებში. მაგრამ თუ გავაღმერთეთ ჩვეულებრივა აღა-
მიანი, ოჯახის კაცი, კარგი მამა და მეუღლე, გამრჯე და კეთილი
კაცი, ღირსი ყოველნაირი პატივისცემისა, ღიღ ადამიანთა საუკე-
თესო თვისებების განსახიერება, ამაში ჩვენი დამსახურება აღა-
ფური გამოიწვება. ასეთ ადამიანებს უჩვენოდაც პატივსა სცემები
და ჩვენ მშრალშე დავრჩებით. ზურგს შეგვაძლევინ. ჩვენი, ღვთის-
შეტყველთა, ამოცანა სულ სხვაგვარია. ჩვენ ალოგიზმების ხეხულა
უნდა ავაშქიროთ, აბსურდი აბსურდშე დავაწყოთ, მანკა ღირსებად გა-
გასაღოთ, ბოროტება — სიკეთედ, და ამ ერთგლითობით დავაპი-
ოთ უბირნი, დავერცლოთ აჯამთა გონებას. აი, ამიტომ ვაქციოთ
ჩვენი ღმერთი უკანასკნელ მაწანწალად! მის გაჩენას პირველდა-
საწყისშივე მიეცეთ რაიმე სულელური განმარტება, ვთქვათ, ჩიტის
შვილად გავასაღოთ. მერე გავსადოთ უმაღურ შეიღლად და ურიგო
ძმად, ზარმაცად, რომელიც შრომის წილ უქმად ყოფნას არჩევს.
დავ, ყოველ ნაბიჯზე არღვიოს თავისი ქვეყნის კანონები, იმის მა-
გირ, რომ პატივი სცეს. იყოს იშკილბაზი, შარლატანი, ყარიბი,
ქერდი, იხერტიალოს მეძავებთან ერთად, რომელნიც თავიანთა
ვაჭრობით ნაშოგარი ფულით კვებავენ და ინახავენ. აიყვანოს მოწა-
უებად უკანასკნელი არამსაღები, თუნდაც სამშობლო ქვეყნის გამ-
ყიდველები, რომლებიც ხშირად ისედაც მოფარდაგებულ დარბაზებ-
ში სხდან. დავ, გარყვნილებას ეწეოდეს და ამართლებდეს გარყვ-
ნილებას, სიძვას და სიმრუშეს. ავყიდოთ ყველა მანკი: პატივმოყ-
ვარეობა, სულმოკლეობა, ზიმბდალე, უპატიონსიობა და მატყუარო-
ბა. და, მისი უმაჯნისი ცხოვრება საყადრიისად დასრულდეს: ჩამო-
კიდონ ორ სხვა მაწანწალასთან ერთად, და ერთი მათგანი მისი ძმა-
ბიჭი იყოს! მერე, როცა შევთხავთ ლეგენდას, რაც თავიდან ბო-

ლომდე სატანის საქმიანობას ახახავს მცირე გამონაკლისებით, ჩანა
ხალხს ვეტავით: „რას უყურებთ, ეს ღმერთია! იღოცეთაც თუ შარები
გამოჩენდებითან ბრძები, რომლებიც ამ იგავში ვერაფერს ნაწავენ, ხი-
ბინძურის, სიცრუისა და დანაშაულის გარდა, დაიწყევლონ, განკუ-
ჯოთონ, სამედამოდ კრელ იყოს მათი სახელი უკუნიოთი უკუნისამდე.
თუნდაც ოდესლაც თვითონ ყოფილიყნენ აღზევებულნი და განდი-
დებულნი!“ ხოლო ვინც ჩვენს ლეგენდას ირწმუნებს და ხალვის-
მეტყველო ფიქციის წინაშე ქვედს მოიხრის. — ჩვენი ნადავლია! იხი-
ნი ჩვენ გვეკუთვნიან სულით და ხორცით, მათი უელიც ჩვენს ქი-
საში ჩაჩრიალდება.

აი ერთადერთი ახსნა, რაც შეიძლება მიუსცს ღვთაებრივია შე-
მოქმედების პრობლემას. რაც უფრო საქალველია არსება, მით უფრო
იოლია მიხი გახალება ღმერთად და შბრძანებლად ხომ ხახებით
აშკარაა, რომ ვერავითარ რელიგიას და ტირანიას ვერ შექმნი, თუ
წინასწარ ხალხი არ გააძრიყვეს! ამიტომ, ახალი კულტი რომ შექმნა,
თუნდაც ძალლის ან ღორის სახისა, ჯერ ადამიანური მორალის
ყველა ბუნებრივი ცნება თავდაყირა უნდა დააყენო! მაშინ იოლია
ძველი კულტის შეცვლა ახლით.

ამ პრინციპებიდან გამოდიოდნენ ქრისტიანობის კუმტი თეორე-
ტიკოსები, როცა ქრისტეს მითისა თხშავდნენ, მის კადტს აცვიდ-
რებდნენ დიდ იეღოვას ტახტზე. ამასთან სრულიად არსეინად ამ-
კობდნენ მას ყოველნაირი ადამიანური თვისებით, და გმირი ხილრად
სიმდიაბლის მტკვრში აგორავეს. დუხშირმა ფარისევლებმა და უტ-
ვინო ტირანებმა ღმერთი ჯვარს აცვეს. ესეც თქვენი ახალი ღმერთი!

ამავე დროს პყოფნიდათ თავსედობა, რომ ეთქვათ, ამ ღმერ-
თის დანახვაშე შისიანებიც კი წითლდებოდნენ.

როცა იესოს ოჯახში შეიტყო, იხევ აქეთ მოდისო, ხაით გარიდე-
ბოდნენ, აღარ იცოდნენ. სირცხვილით აღარ იყვნენ, წილებიდნენ
უბედურ მაწარწალას, რომელსაც თითქოს მიზნად დაესახა მათი
შერცხვენა და თავის მოჭრა.

გარეგნულად მაინც რომ თავი დაეჭირათ, ნათესავები ისეთ ხა-

* ამ ირონიულ განცხადებაში ტაქსილი უთეოდ თავის სუბიექტერ
იმსახასაც აქსოვს, როგორც გამოძახალს თავისი, როგორც კარგინალის
ოდინდელი დიდებისას, რასაც მოპყვა მისი მამხილებელი წიგნები და
დევნა.

ხეს იღებდნენ, თითქოს ეცოდებოდათ იქსო, და თვითონ რანი 933-
ნენ ამისთანა ეს უბადონი, ამას აღარ იყითხავდნენ.

— საწყალი ბიჭი! — მიუგებდნენ ყველას, ვინც ხურის შეიძლება
ახალ-ახალი იონების მოსათხრობად ესტუმრებოდათ. — შეიშალა!
საბოლოოდ დაკარგა ჭკეა მაგ საცოდავმა! თვითონაც აღარ იყის,
რას სჩადის.

გულის სიღრმეში კი იქსოს უბრალო შემღილად როდი თვლილ-
ნენ: გადადებულ არამშადად მიაწნდათ, რომელიც ისეთ ადგილას
უნდა გადაემალათ, სადაც თავისი მატრაპაზობით ვეღარავის გააკ-
ვირვებდა.

ამ მიზნით ყველანი შეიკარნენ და იქსოს შეეგებნენ იმ მიზნით,
რომ შეეპყროთ, შეებოჭათ და საღმე გომურში ჩაემწყვდიათ.

ეს წერილმანი ფიქსირებულია მარკოსის სახარებაში: „და ესა
მის კერძოსათა და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს,
რამეთუ განკროთომილ-არს“ (მარკოში, 3, 21).

ოჯახური საქმე იყო და მთელმა ნათესაობამ გამოიდო თავი. აქ
იყვნენ და-ძმები, დეიდაშვილ-მამიდაშვილები, და თვითონ დედა-
მისი მარიაშიც კი არ დარჩენილა განშე.

ექსპედიციის სათავეში ჩაღვა იქსოს ოთხი ძმა: იაკობი, იოსები,
იუდა და სიმონი (შარკოში, 6, 3).

მაგრამ როცა შეხედრის ადგილზე მივიდნენ, იქსომდე შისელა
შეუძლებელი გახდა. მაცხოვარი მორიგ ეშმაკეულს კერნავდა, რო-
მელიც ევანგელისტ მათეს³⁷ სიტყვით მრმა და მუნჯი იყო, ლუკას
სიტყვით კი მხოლოდ მუნჯი. მოძღვარს ფხიშლად დარაჯობდნენ მო-
ციქულები. სასტიკად იყვნენ გაფრთხილებული, ჩემი ნათესავები არ
შოუშვათ ჩემს სიახლოეს, თუ ნაშარეთიდან ჩამოვლენო. როგორც
ხედავთ, არც თვითონ ენდობოდა თავისიანებს.

ყველაფერი ფართო გზაზე ხდებოდა. იქსოს მხლებელი ქალები
მახლობელ სახამროში ისევნებდნენ და ელოდნენ, როდის მოათა-
ვებსო ჩენი მევობარი სახწაულების მორიგ სერიას. მოაული სიტყ-
ვისა და მისი მოციქულების გარშემო მრავალრიცხვანი ბრბო შე-
მოყრილიყო.

იქსომ ეშმაკეულის მოყვანა ბრძანა.

— იმედი მაქვს ყრუ არა ხარ? — ჰქითხა ავადმყოფს.

ყრუმ თავი გააქნია.

— ჩინებულია! მაშინ მისმინე, რას გეტყვი. ჩემო მეგობარო,

შენ დამუნჯდი და დაბრმავდი (გიხელმძღვანელოთ მათეს ვერსიით).
რაღანაც შენ უწმინდეური შემოგისახლდა. საჭიროა სწეულების, გარემონტი
მომწვევე მიზე შებთან ბრძოლა. იმის ნაცვლად, რომ შენი სტანდარტული
და სიმუნჯე განვურნო, შენი სტეულიდან ეშმაკს განვდევნი. მაშინ
თვალიც აგებილება და კიდევაც დაილაპარაკებ.

ეშმაკეული იყო და სტეული, ბრძა და ყრუ-მუნჯი. მასაც მხო-
ლოდ ის უნდოდა, რომ სმენა, მხედველობა და მეტყველების უნარი
დაბრუნებოდა. ეს იყო მისი ოცნება. ბუნებრივია, იქსოს მიერ დას-
მული დიაგნოზის წინააღმდეგი არ ყოფილა. ოღონდ მოურჩინა და
ეშმაკს კი არა, ბელზებელსაც ჩაისახლებდა.

— ჰეი, ეშმაკო! — შესძახა იქსოზ. — ვინ მოგცა ნება, რომ
საცხოვრებლად ამ კაცის სტეული აგერჩია? ამა, გადმოხტი და მოუს-
ვი აქედან, გიბრძანებ!

თქვენ ეჭვი არ გეპარებათ, ძვირფასო მკითხველო, რომ სული
ბოროტი მაშინვე დაემორჩილა. სტეულის პირიდან ამოვარდა და
გოდებით გაიქცა, რომ დადგენილი წესისათვის არ ეღალატა. გან-
კურნებულმა მაშინვე გაახილა თვალები და მოქვეყა ათასაზო არა-
კებს, შხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ენა მაკრატელივით
უჭრის.

სასწაულმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უსაქმირების აღტა-
ცება გამოიწვია. მხოლოდ რამდენიმე მწერალმა, რომელთაც ევან-
გელისტები მწიგნობრებად ნათლავენ და მედამ ფარისევლებთან
ახსნებენ (სწორედ ამ ეკანასქნელებს გამოეგზავნათ იერუსალი-
მიდან ახლაც), ბრაზით სახე მოიღრიცა, დაიღმიჭა და მოზ-
ღვაცებულ ხალხს მიმართა:

— კეთილი აღამიანებო! იმის ნაცვლად, რომ ამ კაცის სასწაუ-
ლებით აღტაცებულნი ცმუკავდეთ, ისა სჯობია კისრისტებვით გა-
აგდოთ! რანაირად დევნის ეშმაკებს, თუ ბელზებული არაა, წკვდია-
დის მეუფე? უჯრედად ეშმაკების მეუფესთან არის მოლაპარა-
კებული!

მწიგნობართა ისარი მიზანში მოხვდა. როგორც ინსინუაცია და
ხრიკის ნიმუში, ეს იყო ნამდევილი აღმოჩენა.

იქსომ მაშინვე იგრძნო საფრთხე და დარტყმაზე დარტყმითვე
უპასუხა:

— რა გავეგებათ ასეთი საქმეებისა, ბრიყვებო? — შესძახა. — რა-
ტომ გვინიათ ეშმაკი ასეთი სტეული? რა ეშმაკისათვის დამეხმარე-
ბებული?

ბა ბოროტი სული? რათა მერე ეშმაკები კაცთა სხეულიდან განვდებნო? კარგი რამეა, ჭყუის კოლოფები! კაცობრიობის მტერი თავის მტერი არაა. „და უკეთე მეუფება მეუფებასა განვდლოს“ (გამოცემის), ვერ ხელეწიფების დამტკიცებად მეუფება მისი. და ჩამო სახლი სახლსა განვდლოს, ვერ ხელეწიფების სახლი იგი ღამტკიცებად“, გაიგეთ? თუ სახლი ისე გაიყო, რომ კედლები არ გაამაგრებენ, სახლი დაინგრევა თუ არა, როგორა გვინიათ? ასევე „უკეთე ეშმაკი თავსა ოფისსა ზედა აღდგომიღ არს, ვერ ხელეწიფების დამტკიცებად, არამედ აღხასრული აქვს“. რანაირად გამაგრდება მაშინ სატანის მეუფება?

საბუთი მტკიცება, წყალი არ გაუვა. ხალხიც იქსოს მხარეზე იყო. იქსოს ვერ იცავდნენ მოწალეები, მაგრამ ოცითონ მარჯვედ იცავდა თავს. მწიგნობრებმა დროშე დაიხერეს ჩაჩინდი და მოპკურულებეს, ხალხი სტვენითა და ყიჯინით მიაცილებდა ფარისეველთა ქეშიკებს.

იქსომ შემთხვევით ისარეცხლა და ხალხს სიტყვით მიძართა. ამასთან ნაცადი აღმოსავლური ხერხი გამოიყენა, თავისი ქადაგება იგავებით დაამშვენა. ვიღაც კაცის ამბავი თქვა, რომელმაც ყანაში კეთილი თეხლი დათესა. ღამით შორიდა მისი მტერი და იმავე ყანაში ბოროტი თეხლი დათესა. ქეთილი თეხლი და ბოროტი თეხლი ფრთად ამოფიდა, მაგრამ კეთილი აღმოჩნდა ხორბალი, ბოროტი კი ღვარძლი; ხარეველა ახრიობდა პურს ყანის პატრონს მოვლი ყანის გაწმენდა მოუხდა, ხარეველა ამოძირება, რომ მერე სუფთა ყანა ჩიომება. ეს სამუშაო, პირდაპირ რომ ითქვას, ძალზე ძნელი და მომწანცველია. მოული გარეა ასცდებოდა, რომ ღამით ორგველისა ოფი შეეძალა და არ მიეცა ნება დაეთესა შმაგი და ღვარძლი.

ამ ტექლი აღმოსავლური იგავის აზრის გაგება იოლია:

—ის, რასაც მე გეუბნებით, კეთილი თეხლია, ამიტომ დამიჯერეთ სიტყვაზე. მთავარი კი ისაა, რომ ვინც სახელს მიტეხს, ბოროტ თეხლისა თეხსავს და ღმერთმა დავიფაროთ, რომ მათ უსმინოთ. თუ ჩემს მტრებს მოუსმენთ, სიფრთხილეს დაკარგავთ, ჩემს რწმენას დაკარგავთ და მაშინ უსათეოდ დაახრიობს ღვარძლი პურის ნათესს.

მღვდლებს ხშირად უყვართ ამ იგავის გამეორება და ამისათვის ათემევინეს ის თავიანთ ღმერთს.

მის საპირისპიროდ ადამიანთა სიბრძნეში შექმნა ანდაზა: „ვინც ერთ ზარს უსმენს, ერთ ხმას უსმენსო“. ზაშასადამე, სწორი წარმოდგენა რომ შეგვექმნას რაიმე მოძღვრებაზე, რელიგიაზე, სისტემაზე

და მის მსახურებზე, ამისათვის აუცილებელია მოუსმინოთ არა მა-
რტო იმას, ვინც ძალას გვატანს და თავს იქცებს, არამედ მეორე მზრდებული
რესაც, ვინც მას გმობს და აკრიტიკებს. ცალმხრივი მსჯავრია ფრიგულობა, რა კა-
მსჯავრია.

მღვდლებმა ტყუილად კი ან შეცვალეს ბრძნელი ანდაშის აზრი
ძველი პურისა და ღვარძლის იგავით.

— ფრთხილად, ცხვრებო, ნორჩინი და ხნიერნი! — ქადაგებენ ეს
ცბივრი და თავსედი მოძალადები. — ნე კითხულობთ ანტიკლერი-
კალურ წიგნებს და ნე ისმერთ ათეიისტურ ლექციებს! თქვენ ხომ აკ-
ვნიდანვე გრძლივ მონური სულისკვეთებით, სისულელის რწმენისა
და შეუძმარობის სიყვარულის სულისკვეთებით! შეიღმა მამა და-
ახმინის და ცილმა ქმარი, თუ ჩენ ვინმე აუგად გვახსენებს. ამ
რწმენასა და სულისკვეთებას შეინარჩუნებთ და სულ მუდამ მონო-
ბის სხივისან უდელში იქნებით, თუ თავს აარიდებთ ყველაფერს,
რაც საწინააღმდეგო აზრის სასარგებლო იქნება.

ადამიანთა საკეთილდღეო თვალსაზრისის მიხედვით ეს აერძა-
ლელი ილეთია, მავნე ზომია, მაგრამ რა დარჩებოდა რელიგიისაგან,
თუ დროში პატიოსნება გაიხადა?

ამრიგად, მოციქულებმა და ბრძომი იგავი მოიწოდეს.

სულ უკანა რიგებმი მიტყულეტილი იქსოს ნათესავები ჩემად
თათბირობდნენ. მაწანწალის შეპყრობისათვის ნამდვილად ვერ იყო
შესაფერისი მომენტი, უმაღ შეიძლებოდა მღვევართა შეპყრობა, ან
სიბრძეებისაგან მათი განკურნება. იქსოს თავს ეს ხალხი არავის გაა-
ტანდა.

მაშინ ეშმაკობით გადაწყვიტეს ფონს გასვლა. ქრისტე უნდა
შეეტყუებინათ სადმე მიყრუებულ კუთხეში და იქ შეებოჭათ. ძმებმა
შეუთვალეს, მოლაპარაკება გვინდათ ხალხიდან ვიღაცამ სურვილი
განაცხადა, დაგვეხმარებით, და გაიქცა.

— რაბი! — მიმართა იქსოს. — მოელი შენი ოჯახი აქა: დედა,
დები, ძმები და ყველა შენი ნათესავი. საგანგებოდ ჩამოსულან ნა-
ზარეთიდან, შენი ნახვა უნდათ.

— ეშმაკსაც წაუდია ის ხალხი! — მიუკი იქსომ. — საიდანაც მოსუ-
ლან, იქით წავიდნენ!

— დაიცა, რაბი, მგონი ვერ გამიგე: აქ მოხუცი დედა გელოდება.

— მე კი გიმეორებ: არაფერი მესაქმება იმ ხალხთან!

მუშტად შეკრული ბრძო გაიშალა. ქრისტეს ნათესავებს შეეძლოთ



ცოტა ახლოს მისულიყვნენ. შალხის შეაგულში გარეული, ჩაჭრიშის და მახლობელი სახეები რომ დაინახა, იქსომ ხმას აუწირ და უკელის გასაგონად შესძახა:

— მომეშვან! მომასვენონ! ვინ არის დედა ჩემი? ვინ არიან ძმანი ჩემი? ეს ნაზარეთიდან ჩამოსულები ხომ არა? სასაცილოა! კეთილი მოციქულებისა და ჩემი მხლეებელი ქალების კიდევან არავინ არის ჩემი ოჯახი. გისაც ვეყვარვარ, ის არის ჩემიანი! ჩემი ერთგული მხლეებელნი და თანამდგომინი შეადგენენ ჩემს ოჯახს, სხვა არავინ!

ხელი გაიშვირა, კოტა ბიჭი ითანე უჩვენა, ამაფად რომ იდგა, ქებით გახარებული, ყვინჩილასავით, და დაუმატა:

— აი ჩემი საყვარელი მოწაფე, — ჩემთვის ის ძმაც არის და დაც, დედაც და ცოლიც. რაც შეეხება მაგ ორგულებს, ნაზარეთიდან რომ ჩამოსულან, ჯობს გამეცალონ. გასაგებია?

იქსომ ნათესავებს ეყოთ ჭკუა, რომ დავა აღარ გაემართათ. იძრუნეს პირი და ნაზარეთს მიაშურეს, კიდევ უფრო მწარედ გაწინილებულებმა და შერცხვენილებმა, ვიდრე ოდესმე (მათე, თ. 12,22-37,46-50; თ. 13,1-53; მარქოზი, თ. 3,20-25; ლუკა, თ. 8,1-21)

რაც შეეხება თვითონ ქრისტეს, როცა ხალხი დაიმაღა, მოციქულების თანხლებით მიაშურა იმ ადგილს, სადაც თავისი თაყვანის-მცემელი მანდილოსნები ეგელებოდა.



კორექტ. ითანე მახარებული.

ჟარებელი ქარიშხალი და გამოფენელი ლორები

და აღვიდა იგი წესა და მისადევდეს მას
მოწაფენი მისია. და ამა ქერა, აღმვრა (ლე-
ლვა) იყო დიდი ზღვასა შინა, კიდრე დაურ-
ვადმდე ნავისა დელვათაგან. ხოლო თავაღ-
სა (იქსო) ეძინა. და პოცხლეს მას მოწა-
ფენი მისია და აღადგინეს (ააცვენეს) იგი და
ეტყადეს; უფალი! მისხენ ჩეკნ, ჩამეთუ წარ-
ესწყმდებით! და თავაღმან პრევა მათ; რა-
სა შემინდით, მცირედ მოწმუნენი? მაშინ
აღმსდგა და შეპრისნა ქართა მათ და ზღვა-
სა, და იყო შეკეცელად დაუდება დიდი
(ზღვა დაწყნარდა). ხოლო კაცთა მათ უკ-
უირდა და იტყადეს; რაპამ ვინმე არს ეს,
ჩამეთუ ჭარიცა და ზღვა ურჩიან (უმორჩი-
ლებიან) მას?

და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო ხო-
ლელსა მას გრძელებულთასა, შეემოხევინეს
მას ორნი ეშმაკელინ, რომელინ გამოიღო-
დეს ხაფლავებისაგან, უჩიად ბოროტნი, ვიღ-
რედა ვერვის ხელეზიუებოდა წილსლვა მიერ
გზით. და ღაღად-ქუეს და იტყადეს; რა
სამეცე ჩეკნ და შეინ, იყსო, ძეო ღმირთი-
საო? (რა დაგიმავთ, რა არის ჩეკნს შო-
რის საერთო...). მისხედ აქა უწინარეს ეამი-
სა ტანჯვად ჩეკნდა.

იყო შირის მათგან კოლტი ღორთა მიმოვ-
რი. ხოლო ეშმაკნი იგი უკერძობოდეს მას და
ეტყადეს; უკეთ განკვასამ ჩეკნ, მიბრძანე
ჩეკნ მისლებად კოლტია იმას ღორთასა. და
პრევა მათ: მიკვდით (მილით)! ხოლო იგინი
განკვდეს კაცთა მათგან და მიმსართეს კოლ-
ტსა მას ღორთასა. და მიმსართა უკედზენ
კოლტმან ღორთამან კბოლესა მას ზღვისა
და მოძრავდეს იგინი წყალთა მათ შინა.

მათე, 8, 23-32.



ქსო გართოპაშე ოცნებობდა, მაგრამ თავისი გაშრდილი პოპულარობა კი ვერ გაითვალისწინა. დაიწყო დიდი სახსრაულების ხანა. ვერც კი მოასწრო თავისი ოდალის-კუბისათვის* ათიოდე სიტყვის თქმა, რომ სახამროს ხალხმა აღყა შემოარტყა. ხალხს იქსოს ხილვა და მოსმენა ხურდა, ხალხი თცნებობდა თავისი კეთილისმყოფელის გამოჩენაშე, ყველას უნდოდა შეხებოდა ან რაიმე სხვა ღონისძიებით გამოეხატა, რარიგ აღმერთებდა მაცხოვარს.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არა დროული. თავი მოაბეჭრეს, წამოწოლა არ დააცალეს.

მირონცხებულმა ბოდიში მოუხადა მანდილოსნებს, პატივია ითხოვა, არ შემიძლია თქვენს შერის დავრჩეო.

— ხომ გესმით, რა ხდება? — უთხრა. — ბრძო წეთობით მატულობს. ხომ გესმით, როგორ გუგუნებს? ლამის კარები შემოლეჭინ! მოდი, დავიმალები: სელერთია, ჩემი გაგელისებული თაყვანისმცემლები არ მოვასევებენ და ღამითაც არ დაგვაცლიან ძილს.

ამრიგად, „ნახვამდისო“, დაიბარა, სახამროდან გამოიჭრა და უკანა კარიდან გაიპარა.

მოციქულებიც თან წაიყვანა, უახლოეს ნაესადგურს მიაშერა და ნავის გამონახვა ბრძანა. სწორედ ამ დროს ერთი დიდი ორჩხომელი ღუშიდან უნდა აეხსნათ, გალილეის ზღვაში გახასვლელად ემზადებოდნენ**. ტბის მოპირდაპირე ნაპირზე უნდა გასულიყვნენ.

* ოდალისე (თურქ. — ფრანგ. ოდალისე) — თეთრი შხევალი თურქთა პარამხანაში (ძველად). ტაქსილი მათ ირონიულად აღარებს იქსოს მხლებელ ქალებს.

** გალილეის ან ტიბერიადეს ზღვა, იგ. გენესარეთის ტბა (ცხრ. გალილ — მხარე, ილქი) — ასე ერთიან სახარებაში ჰალესტინის ტბას, რომლის სიგრძე სულ 21 კილომეტრადევა, სიგანე კი — 12. ამ „ზღვას“ გაიკვის იორდანე, რომელიც შერე მკვდარ ზღვას ერთვის. მოებშია, ზღვის ღონეზე დაბლა. ბიბლიაში მისი სახელია კინკრეთი, ექვდანა დამასინებული „გენისარეთი“ (ლუკა, 5, 1). ტიბერიადის ტბა ეწოდა მას შერე, რაც მის

— ერთი გზა გვეონია, — თქვა იქსომ. — ოღონდ გადმა გაუი-
დეთ და მეტი არაფერი მინდა.

მერე ორჩხომელის პატრონს მიუძრუნდა და პეითხა: პირებით გადა-
სათ გაცურავთ?

— ქალაქ გერგესაში, — უპასუხა მათეს მიხედვით. მარკოსის
და ლეგას აზრით კი გადარინის მხარეს მიცურავდნენ.
— ჩაესხდეთ?
— ინებეთ.

მთარული სიტყვა ნავში აეიდა, თან მოციქულები მიჰყებოდ-
ნენ.

გზითა და ათასი მღელვარებით დაქანცული იქსო ბაგირების
გროვაზე მიწვა და ჩასთვლიმა. ცოტაც და ღრმა ძილს მიცა. ღმერ-
თი ისვენებდა.

საუცხოო ამინდი იდგა. სახიამოვნო ნიავი იალქნებს ზომიერ
ბერავდა, ტალღები საამოდ ლივლივებდნენ. ორჩხომელი შპირუ-
ლად მისრიალებდა წინ.

— მართალი გთხორათ, ჩვენი მასწავლებელი ისეთი უტიფარი
ვინმება, მსვანეო მიწას არ უტარებია, — შენიშნა თადეოზმა. —
გვმშობ ჩაგვსვა, ქისა კი ცარიელი აქს, სულს იქით არაფერი აბა-
ფია. ახლა სძინავს არხეინად. წარმოდგნილი გაქვთ, რა სახეს მი-
იღებს ორჩხომელის პატრონი, როდესაც სხვა მუშავრები ფულს მის-
უმენ და ჩვენი ჯერი დადგება?

— რას დელწე? — მიუგო სიმონ-ქვამ. — ყველაფრით გეტუო-
ბა, რომ ჩვენს შორის ჯერაც უცხო და შეუწეველი ხარ. როცა ორ-
ჩხომელის მეპატრონე ფულს მოგვთხოვს, ჯიბებს გადმოვიბრუნებთ,
ხოლო იქსო გასამრჯელოს ნაცვლად რაიშე იგავს ეტყვის და ამით
გაისტუმრებს. ხამი ხარ, თადეოზ!

— კარგი იქნება, თუ მენავე იგავით დაშომმინდება! მაგრამ მე
მეონია, ეს მეზღვაურები რაღაც კეთილი სულები არ უნდა იყონ, მე-
კობრებებსავით იძლვირებიან. ვაი თუ გვერდები დაგვიზილონ!

ანაზდეულად თვალსაწიერზე შევი ღრუბელი გამოჩნდა, გაი-
ზარდა, წამოიგრავნა, ნიავქარმა ჩამოიქროლა, ტალღები ატორტ-
ჩანდნენ, ორჩხომელი ნაფოტიერ დატრიალეს.

ნაპარზე აშენდა იმპერატორ ტიბერიუსის სახელობის ქალაქი (იოანე, 21).
აქ იყო ქალაქთა წყება, იქსოს ქაღაგების მთავარი უპარი. იულიის ივში ამ
ტბაზე 6500 ებრაელი გაშედა.

— ეშმაკი მაგას! — იღანძლებოდნენ მეზღვაურების, რა ცხადა
გვაკლდა! ახლა ნახეთ, რა დღე დაგვადგება!

ორჩიხომელის პატრონმა იალქნების ჩამოშეება ბრძანა, მაგრამ
სხვა არაფერი შეეძლო. ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, ნავი ნამდვი-
ლად დაღუპვის წინაშე დადგა.

ჭაბუკი ითანე, ჩეჩული მოწაფე, იქსოს გვერდით იწვა, როგორც
ყოველთვის, თავი მექრდუ დაესვენებინა, როგორც ბალიშზე. მას-
წავლებელი ისე ახლოს იყო მასთან, რომ ახეთი რაშეების ნებას აძ-
ლევდა. ქარმა, შხეცებმა თუ ნაეის კედლების ჭრიალშა ითანე გა-
მოაღვიძა, მირონცხებულს კი უწინდელზე ღრმად ეძინა. იქსოს
გამოღვიძება არც ისე იოლი საქმე იყო, თუმცა თვითონ ბიბლიურ
სამყაროს აღვიძებდა.

ვითარება კი სულ უფრო საშიშ ხახიათს იღებდა. ტალღები ნავს
უმოწყალოდ აქანავებდნენ, მესაჭეს ქანცი გაუწყდა, შტურვალის
დაჭერას ვეღარ ახერხებდა. მენავეს ხმა ჩაეხლინა, იმდენ ბრძანებას
იძლეოდა. ჭველა უბედურებას ისიც დაემატა, რომ ორჩიხომელის
ძირზე ხერხლი გაჩნდა, ან იქნებ მხოლოდ გაიძიარა, მაგრამ წყალი
ნავში შემოიჭრა. მენავემ დასახმარებლად მგზავრებს უხმო. მეზღვა-
ურები ისედაც ქანცგაწყვეტილები იყვნენ. საიდანღაც ტუმბო გააჩი-
ნეს. დაიწყო წყლის ამოქაჩვა და გარეთ გადაღვრა. სამწუხაროდ,
წყალი იმაზე მეტი შემოდიოდა, რამდენსაც ქაჩავდნენ, და ზოგიერ-
თებმა ჟევი დაიწყეს გამოთვლა, რამდენი ხნის შემდეგ დაეშვებოდა
ნავი ფსკერისაკენ.

ქრისტე კი ხვრინვას განაგრძობდა.

ღმერთს რა უჭირდა, თუნდაც თავისი კოლეგის პოსეიდონის
სამეფოში ამოეყო თავი, მაგრამ მოციქულებს შიშით სული კოჭებში
ეპარებოდათ. ბოლოს და ბოლოს მისცვივდნენ და დაუწყეს ნჯღრევა.

იქსომ თვალები გაახილა, დაამთქნარა, გაიჭიმა და იკითხა, რა
მოხდა ისეთი, რომ მაღვიძებთო?

— რა მოგივიდათ? — გაუკვირდა მერე. — იცით, რა კარგად
მეძინა?

— ადექი, მოძღვარო, ვიღუპებით! გემი - იძირება. ვიხრიობით
გვიხსენი! გვიხსენი, ღვთის გულისათვის!

— ამისათვის დამიტროსეთ ძილი? სიმართლე გითხრათ, აჩას
თქვენგან არ მოველოდი!

— მაგრამ მოგვისმინე, მოძღვარო...

— ო, მცირე მორწმუნენო, რისა შეგეშინდათ? განა შეიძლება
რაიმე ხიტათი შეგემოხვეთ, როცა მე თქვენთანა ვარ? რა რა რა რა რა რა
— რასაკეირველია, რაბი, შენ ყოველთვის მართალი ჟანერის გარემონა
რამ ნავში წყალი შემოდის, ხუთიოდე წუთში თვეზების ღუჯა
გავხდებით!

— შენ რომ მოინდომო...

მაშინ იქსო წამოდგა და ქარი საყვედურებით აავსო:

— რასა სჩადიხარ, ქარიშხალო, რას ჩამოიქროლე ფეთიანივით?
როგორ ბედავ ღმუილითა და ზუშუნით ამ ნავის რყევას? შენ ჩემი
მოწაფეები დაგიშინებია, ეს მეტისმეტია!... ან საერთოდ ვინ მოგ-
ცა ნება, რომ იქროლო? პირდაპირ სიტყვა ვერ მიპოვნია! წყეუ-
ლო ქარო და ქარიშხალო, არ ვიცი, რა მაკავებს, მაგრამ მამას გე-
ფიცები, თე კიდევ განაგრძე გიფური მძვინვარება, ისეთ ქროლას
გასწავლი, რომ ეშმაკებს გული აერევათ.

ქარმა ერთხელ კიდევ გაშმაგებით დაიწივლა.

— გეყოფა-მეთქი! — შესძახა იქსომ. — მე შენ გიკრძალავ
ქროლას! იყუჩე, ოდეს სიტყვა მეტყველებს!

როგორც კი ეს გაიგონა, ქარიშხალი ისევე ანაზდეულად ჩადგა,
როგორც გაჩინდა. ნავი კი მაინც ქანაობდა, გამძვინვარებული ტალ-
ღები ბანშე გადადიოდნენ. იესო ქრისტემ დოინჯი შემოიყარა, დაბ-
ლა დახედა წყალთა სტიქიას და შესძახა:

— შენ რა, ტიბერიადის ზღვაო მღელვარევ! შენ არ გეხება
მოარული სიტყვის ბრძანება? ის, რაც ქარს ვეთხარი, ასევე უნდა
გესმინა შენც. ლიტრას ეუბნებოდნენ და კოკავ, შენც გესმოდესო, არ
გაგივონია? შენი ხუმრობა არ მომწონს. იმისათვის კი არ მოვსულ-
ვართ აქ, რომ შენ დაგვახრიო! ახლავე შეწყვიტე ღელვა, თორებ
სილას გაგაწნავ, იცოდე!*

ტიბერიადის ზღვა ისე დაწყნარდა, თითქოს ჯალოსნური კერ-
თხი აიქნიეს. შესღვაურები და მგზავრები საკუთარ თვალებს არ
უკერებდნენ და ამიტომ ერთიმეორეს ეკითხებოდნენ:

— ეს რა ქნა?

— აი, ეს მესმის! — ამბობდნენ ჩურჩულით. — გადავრჩით

* როგორც ცნობილია, სპარსო რეგენერა შეფემ ქსერქსემ ბრძანა გა-
ერთზეათ დარღვენელის სრუტე, როცა ალელვებულმა ზღვამ კემები გაუ-
ფანტა. ფერორი ქმნის ანალოგიურ კომიკურ სიტუაციას.

ღეონის წყალობით და ღმერთი ნავშია! ასეთ ვინმეცსთან ხემრობაარღება ვარგა. ვინ არის ეს კაცი, რომ ქარი და ზღვა ემორჩილებიან ჩიტაუკა ღმერთმა დამიფაროს, რომ ვიწრო გზაზე შევხვდე და ავი თვალით შემშედოს!

ლაპარაკობდნენ, მაგრამ შიშით გჟლები უსკდებოდათ და ერთიანად კანკალებდნენ. გადარჩენის სიხარულსაც კი არ შეეძლო ჩაეკლა მათი ძრწოლა და შიში ქრისტეს ყოფლის შემძლე სიდიადის წინაშე. ვთქვათ და ამ ჭაბუქს მოეხასიათა ჩვენი ასროლა მთვარეზე, მაშინ რაღა ვენათო? — ფიქრობდნენ თავისთვის. — გადასარევი თუ ვინდათ, ეს არის! წარმოგიდგენიათ?

გზის დანარჩენი ნაწილი მშეიღობიანად განვდეს, ტყეილად ეშინოდათ. წყალიც კი ტრიუმიდან. ისევე გადაიღვარა, როგორც შემოიღვარა. ორჩხომელის ბზარი და ხერელიც თავისთავად ამოიგდისა, რა თქმა უნდა. რაც ვინდათ თქვით და სასწაულების ფასი არაფერია! ადამიანს სამარიდან აგაყენებს, თუ მოხდა!

როცა ორჩხომელი გერგესიდაში ჩავიდა, უკვე თენდებოდა: ნავის პატრონს არც უფიქრია, რომ იქსოს და შისი მოწაფეებისათვის გზის ფული ეთხოვა. მგზავრობის ფული კი არა, იქით უნდა მიეყა, რომ სასწაულომოქმედმა კაცმა დაღუპვას გადაარჩინა! რაღა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსელია, რომ ამავე მგზავრს ასევე წარმატებით შეეძლო ქარიშხალი გამოეწვია, რათა მერე მისი ნავი ეხსნა, ფული არავის მოეთხოვა, და კიდევ ერთი დამსახურებაც მიემატებინათ მისი საკვირველი საქმეებისათვის. მართლაც, განვების მოვლენილს ითლად შეეძლო ატმოსფერული შფოთი გამოეწვია, რაღან ყოვლის შემძლე იყო მაშინაც კი, როცა ეძინა! ვინ იცის, შეიძლება თავისი მოციქულების ჩურჩელიც კი ესმოდა ძილში, მგზავრობის ფული რომ აწეხებდათ? მოწაფეები კიდევ ვერ იცნობდნენ მოძღვარს და არც ის იცოდნენ ხეირიანად, რა ბელიერებაა ღმერთთან ერთად მოგზაურობა.

ამრიგად, ყველა მოციქული ნაპირზე გადავიდა.

პირველი, ვისაც თავგადასავლის მაძიებელნი შეხვდნენ, იყო ეშმაკეული, მაგრამ ჩვეულებრივი კი არა, ავი სული რომ ჰყავს მუცელში. არა, ასეთი ჯერ მაცხოვარსაც კი არასოდეს ენახა.

სახლიდან გაეგდოთ უბედური. იმის ნაცელად, რომ დროგამოშვებით მოწყვო სიგიჟის სცენები, ეს ეშმაკეული განუწყვეტლივ შფო-

თიანი და ბორგნეული იყო. ამიტომ ოჯახსაც მოეცილებინა თავიდან, და ქალაქიდანაც გაეგდოთ.

ეშმაკის ერთი ერთ-ერთი სანაპირო კლდის გამოქვაბულში და დასახლებულიყო თავის ეშმაკთან ერთად. მისი სამოსელი ადრესი ძონძებად ქცეულიყო. დღე და ღამე კლდე-ღრეში დარბოლა დედო-შობილა, ამასთან გიფერი გოლებითა და შემაძრწუნებელი შეძახი-ლებით გამოლეულ-გამომელელს თავზარსა ხევმდა. თავნება გიფი თა-ვისი ურიგო ხიტიტულით განსაკუთრებით ქალებს არცხვნდა და აგელისებდა.

დროთა განმავლობაში ეშმაკეულმა შორს განითქა სახელი. ასეთ საფალალო მდგომარეობაში ყოფილა მრავალი წელიწადი, და დედები ბავშვებს მისი ხსენებით აშინებდნენ, როგორც დღეს ვა-შინებთ ხოლმე ჯადოქრებით და კუდიანებით:

— ახლავე გააჩერე ზღუქენი, საძაგლო, თორემ ეშმაკეულს დაუკახებ და გამოქვაბულში წაგიყვანსო! — უუნებოდნენ.

ყმაწვილები, იმის მაგიერ რომ უარესად აბდავლებულიყვნენ. მაშინვე ჩუმდებოდნენ და დედის კალთას აფარებდნენ თავს.

ზოგჯერ უბედურს იჭერდნენ, თოკით აბამდრენ, რადგან ეშინო-დათ ბორგნეულისა, მაგრამ ისეთი ღონიშრი იყო, ბაგირს გაწყვეტ-და, რკინის ბორკილიც კი ვერ უძლებდა და გარბოლა. არავის შეე-ლო მისი დაწყისარება და არავის ცნობდა*.

აი, რა საშინელ ეშმაკეულს შეხვდნენ მოციქულები, როგორც კი ნავიდან ხმელეთზე ფეხი შედგეს. ადვილი წარმოსალენია, რა სა-ნახვი იქნებოდა და რა ოინებს აკეთებდა!

იქსო მაშინვე მიხვდა, ვისთანაც პქონდა საქმე. თავისი ჩვეულე-ბის თანახმად, დაუყოვნებლივ შეება ეშმაკს, უხედური კაცის გი-ური ხტუნების, მანქვა-გრეხვის, ნახტომების და ხხვა გიმნახტიე-რი ვარჯიშის გამოწვევე მიზეულს.

— მიპახუხე, უწმინდერო! — შესძახა. — დიდი ჟანია, რაც ამ კაცის სხეულში ჩასახლდი?

* შეა საუკუნებში ასეთ „ეშმაკეულს“ კოცონი ელოდა, იმ დროს კი ასეთი „განწმენდის“ სითხო კულტურა ჭარაც არ იყო დანერგილი.

ეშმაკეულის განდევნის ეს უძველესი პრაქტიკა დღესაც გრძელდება მაგალითად, ამ განსვენებული ბელგიელი პატერი ითახის ფახმანი წმინდა წყლის შემწეობით ახერხებდა ავსულთა განდევნას, მისი მოწაფე რეზი კი ამ სათხო საქმეს ტილელონის და რადიოს დამარტებით განაგრძობს.

— დიდი ხანია, დიდი სანია, — მიუგო ეშმაკმა ეშმაკელის
პირითვე. — მაგრამ რა საჭიროა ასეთი კითხვები? გასარტ, მომარტი
ვენ! აბა რა გეხაქმება ჩემთან? თუ ჩემს ეშმაკელს ვაწვალებ, ეს
ჩემი პირადი საქმეა. ეს ჩემი ბინაა... შენ არა თქვი, ბინა არა მაქ-
ვსო? „მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი,
ხოლო ძესა კაცისასა არა აქვს, სადა თავი მიიღრიკოსო“. მეც ასე
ვიყავი და აგერ შევსახლდი, შენ რა ხელი გაქვს?.. დააოცე და მო-
ათვინიერე ქარიშხლები, ოღონდ მე ნუ მტანჯავ! შენ ამშვიდებ აღელ-
ვებულ ტალღებს, მე კი ამ უბედურ გიეს ვაიძულებ, რომ იკრუნ-
ჩხებოდეს და მაღაყებს გადადიოდეს. ყველას თავისი ხელობა აქვს.
ნუთუ ქვეყნად იმისათვის გამოცხადდი, რომ ეშმაკეულს ეშმაკობა
არ დააცალო?

— შენთან დისკუსიის გამართვას არ ვაპირებ, — სიტყვა მო-
უჭრა იქსომ. — ბოროტო სულო, განვედი მაგ კაცისაგან!

მაგრამ ეს ეშმაკი სხვა ჯილაგისა იყო, სხვა გუბით ნავალი,
თავისი მსხვერპლის აგრე აღვილად დათმობას არ აპირებდა, არც
განძრეულა.

— მესი კი დაგაყარე! — შეძაბა ქრისტემ ცოტა ხნის შემ-
დევ. — არ გესმის? თუ განსაკუთრებული ვინმე ხარ, წითელი კოჭი,
საღარბაშო ბარათი მოგართვა? ან იქნება უძლიერესი ეშმაკთაგანი
ბრძანდები? შენი სახელი მითხარი, თავხედო!

ახლა კი გელი გაიმაგრეთ, მკითხველნო, არ შეგეშინდეთ. რო-
გორც ირჩევა, ეს ეშმაკეული შეპყრობილი იყო არა ერთი რომე-
ლიმე ქაჯით ან ეშმაკით, არამედ ჯოჯოხეთურ სულთა მთელი ათა-
სეულით! მოდით და თავზარი ნუ დაგეცემა!

— სახელი ჩემი ლეგიონი, რამეთუ ჩვენ მრავალნი ვართ! —
ერთხმად უპასუხეს ავსულებმა იმავე კაცის ხმაზე. — ექვსი ათასი
სული ვართ ამ ერთ სხეულში!

— ახლა ყველაფერი გასაგებია, — შენიშნა იქსომ, — აი, თურ-
მე რატომ იგრიშება ეს კაცი თავის კოლეგებზე ექვსი ათასჯერ მე-
ტად. მერე რა, ბატონო ავსულნო, იყავით მთელი ლეგიონი, მაინც
კედების ამოძუება მოგიხდება!

ახლა კი, როგორც ევანგელისტი მათე-მეზვერე გვარშეუნებს,
ექვი ათასი ქაჯი და ეშმაკი ძალიან ცედ გუნებაზე დადგა.

— ღმერთო მაღალო! — დაიწყეს წუწუნი. — კარგი, ამ კაცის
სხეულს დავტოვებთ, რაკი ასე გვიძრძანებ, მაგრამ აბა საღ წავი-

დეთ? რაიმე თავშესაფარი მაინც გაგვიჩინე! შეგვიბრალე, წევ გაგ-
ვასახლებ ამ ქვეყნიდან, ჩვენ ისე მოგვწინს აქაურობა, რომ შემატებულია
ლია ღორების ჯილაგში გავერით, მათი ზე და ბუნება მივიღოთ.

იესო იმ დღეს დილიდანევე კარგ გუნებაზე იცო.

გარშემო მიიხედ-მოიხედა და შეამჩნია ღორების კოლტი —
უთვალავი ღორი მშეიდობიანად ჩიჩქიდა შიწას — უთუოდ თირკ-
მელა სოკოს ეძებდნენ*. მიხვდა, ეშმაკებს შემთხვევით არ უხსენე-
ბიათ ღორები!

იესომ ერთი შეხედვით, ღვთაებრივი მზერით გადათვალა ღრუ-
ტუნები და წარმოიდგინეთ, ზუსტად ექვესი ათასი აღმოჩნდა¹³⁸ არც
მეტი, არც ნაკლები. მერე რა, ხომ ხდება ხოლმე ასეთი საკვირვე-
ლებაც?

მირონცხებულს ყოყმანი აღარ დაუწყია. თვალდათვალ, ხელდა-
ხელ გადათვალა ურიცხვი ღორი და ეშმაკებს უბრძანა:

— გამობრძანდით, ბატონო ეშმაკებო, წევ გეშინიათ! ღორების
შეტი რაა ამ მიწაზე! გაიქცეთ და იმ ღორებში შეძვერით!

შემდეგ რა მოხდა, აღწერაც კი შეუძლებელია.

ეშმაკეული ანაზღეულად დაცხრა, დამშვიდდა, ბატყანიერით სათ-
ნო გახდა. პირდაპირ მიწაზე დაჯდა, ფრჩხილების წმენდას შეუდგა
და ცალყბად მოციქულებს უყურებდა: ესენი ვინდა არიანო?

სამაგიეროდ ღორები გაგიდნენ, გაცოფდნენ, ეშმაკებმა გადა-
რიეს: სოკოებს თავი ანებეს, შეხტნენ, შეიკუნტრუშეს, დატრიალდ-
ნენ და ჭყივილით დაერივნენ ერთიმეორეს ზოგი ჟყანა ცუხებზე
შედგა და როგვას მოჰყვა, ზოგი წინა ფეხებით დაიარებოდა, ყირა-
ზე მდგარი, სხვები თავბრუდამშვევ სალტო-მორტალეს გადადიოდ-
ნენ ან ჯარასავით ბრუნავდნენ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ეს უთ-
ვალავი ღორი მათი ჯილაგისათვის შეუფერებელ თინებს ასრულებ-

* ტაქსილი იუმორისა და სატრიას სინატრიუმით ხშირად კლასიკურ სი-
მაღლეებს აღწევს, თუმცა ხშირად იმავე კლასიკური, ვოლტერისებრუი
ცინიზმითა და გაუბრალოებით ცოტა არ იყოს ვულგარულ ტონსაც ვეთ-
ვაზობს. ეს არაა გაუბრალოება, დედანში ღორები „ტრიუფელებს“ ეძებენ.
ცხადია, ეს არაა ტრიუფელი, არამედ თირქელა სოკო, თირქმლის ფორმის
ქლიფრ სინტერესი სოკო, რაც განსაკუთრებით საფრანგეთში იცის და მი-
ლიონობით ცრანკის ღირებულების საეჭსპორტო პროდუქტს წარმოად-
გენს (ეძებენ ძაღლების, ღორების ან ერთვარის ბეზების შემშეობით,
იცის მუხის ქვეშ და მისი კულტურის მოსაყვანად ამ მუხის ჩერებს თე-
სავენ ხოლმე).

და, და ისეთი მსიარელი აკომპანემენტით, რომ წარმოდგენაც კი შეუძლებელია. მრავალნი ჭყიოდნენ, ზოგიც სიხარულისავრი მიწაზე კოტრიალობდა, პირველად უყურებდა ცას და ხალისით შესჭიროდა, ბევრსაც — უფრო მარჯვებს — ართურმის თამაში გაემართა, რაც, სთმართლე რომ ითქვას, კარგად ვერ გამოსდიოდათ.

მოციქულებს მუცლები ხელით ეჭირათ.*

მაგრამ თუ აქ ჯენბე ვერ იყო სიცილის გუნებაზე, ეს ითქმის ამ მეღორეებშე, რომელთაც იუდაში ექვსი ათასი ღორის კოლტი დღმოაჩნდათ. შემფოთებულები შესცემოდნენ გადაწეულ ღორებს და ფიქრობდნენ, რით დამთავრდება ეს საკვირველებათ.

საცოლავი მწევმსები! მირონცხებულის ხუმრობა ძვირად დაუკადათ. როცა ცეკვითა და კუსტრუშით გული იჯერეს, ღორებმა სირბილით მიაშერეს ტიბერიალის ზღვას, ქარაფიდან გადაცვიდა მოელი კოლტი და ექვსი ათასი ღორი ერთივით დაიხრჩო!**

შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოლტის პატრონები გაღატავდნენ და საქმე სამათხოვროდ გაუხდათ. აღვილი სათქმელია, ექვსი ათასი ღორი! რომის იმპერატორს არ ეყოლებოდა ამდენი ღორი!

თუ ჩემს მონათხრობში ეჭვი გეპარება, ძვირფასო მეითხველო, ამ თავის ეპიგრაფი წაიკითხეთ, და, თუ არც იმას ენდობით, ჩაიხედეთ სახარებაში: მათესი (8, 23—34), მარკოზის (4, 35—40, აკრეთვე 5, 1—20), ლუკასი (8, 22—39). ავრემც სამი სახარება შეგეწევათ, მე არა ვტყუოდე და არაუერს ვაზვიადებდე.

შეიძლება ასეთი კითხვა მომცენ: საიდან გაჩნდა ღორების კოლ-

* მოციქულებისა რა მოვახსენოთ და ერთი აეტორი წერდა, სახარების ამ ეპიზოდს რომ უსმენდნენ, მორწმუნებს მუცლები ხელით ეჭირათ. ცხადია, ამ ორივინალერ ამბავში ხელავდნენ არა ქრისტეს მოძღვრებას, არამედ თვეშესაქცევ ამბავს. საერთოდ, ცალკეული ლოთისმეტყველური მსელობების გამოყენებით, მოელი სახარება ერთიანი სათავეა და ავლინა.

** ჩვენ ვერ გავარევით, ეჭვი ათასი ეშმაკიც დაიხრჩო გაღილების ზღვაში თუ გაცერეს. ისტორია კი მითის საინტერესო ანალოგიას იძლევა: იყდება იმშე ამ ზღვაზე გამართულ ბრძოლაში ამდენივე იულეველი და იღება. (საერთოდ კი 600 000 კაცი). ეს იმით ნერონის ღრის დაიწყო იულეველია იანინებით (66-77 წლებში) და რომაელთა სრული გამარჯვებათ დამთავრდა. რომაელებს იძლენად სტულდათ ეს ხალხი, რომ ვესპასიანემ და ტიტემ უარი თქვეს „იუდაიუს“ ტიტულის მიღებაზე, თუმცა წესით ეკუთხოდათ, როვორც გამარჯვებულებს.

ტი, და ისიც მთელი ექვსი ათასთავიანი, იმ ქვეყანაში, ხადაც მოსეს კანონებს სასტიკად იცავდნენ? ღორის ხომ იუდევები აკრძალულ საჭმელად ითვლებოდა? გინც ამ კანონს არ დაიტანა ყოველგვარი სასჯელი ელოდა, სიკვდილიც კი.

ხიმართლე გითხრათ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შემიძლია.

მაგრამ რაკი სულიწმინდის ნაყარნახევ წიგნებში ღორების კოლტი ნამდვილად არის, მამასადამე იცდეაში ისანა ყოფილან*.

ჩვენ ისღა დაგვრჩნია, რომ გვიკვირდეს და გვწამდეს, ანდა პირიქით, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რომ მღვდლები და ღვთისმეტყველნი თავიანთ სამწყსოს უტვინო ლინჩებად თვლიდნენ, ამიტომ ჩასჩინჩინებენ თავიანთი თავის სადიდებლად რაც მოვპრინებათ, აიძულებენ ისშინონ, ხისულებე ჰეშმარიტებად მიიღონ, სიცრუე დოგმად, და იწამონ ის, რაც ათასწაირი შეუსაბამო წინააღმდეგობისაან არის შეკოწიუებული**.

* ღორების კოლტი უძლები შვილის იგავშიც არის.

** ეს თავი რამდენიმე შეირ წენიშვნას ითხოვს. მათეს სახარებაში ლაპარაკებია არა ურთ, არამედ ორ ეშმაკეულზე: „ორზი ეშმაკეული... ვამოვადოდეს ხაფლავებისაგან“. ხაფლავებში გამოქვაბულები 『გულისხმება. საინტერესოა, რომ ეს ზესტად ასე რცხულ და გერმანულ თარგმანებშიც: «Ero встретили два бесноватые вышедшие из гробов»... «die kamen aus den Totengräbern» ყველგან როი ეშმაკეულია. ასც ხსენებულ და არც ქართულ თარგმანებში ღორებისა და ეშმაკების რაცხვი ნაჩენებია არაა; ლაპარაკია „უთვალავ ღორზე“, რომელთა კოლტი ასც ჭრისტეს დაუთვლია. უზაღი ქართულ თარგმანში ასახულია ყველა ლერალი, ასევე თარგმნილი ეშმაკია საყვედები: „მოსხევდ აქ წწინაჩენა ეშმაკია ტანგვად ჩვენდა“, ე. ი. ნავარაულევ ღროზე აურე გერანგვაო. მერე, მათეს მიხედვით ეშმაკები ითხოვენ, „ღორებში შევალთო“, ტაქ-სილს ეს დეტალი სხვანაირად აქვს.

ხეილი მაჟვარეაზოან

და პსტიროლებს მას ყოველნი და იტყვებდეს (ჭვითინებდნენ). ხოლო იქსო ჰრეკა შათ: ნე პსტირთ, რამეთუ ყრჩა იყი არა მომევ-დარ-არს, არამედ ჸსძინავს. ხოლო იყინი პბასრობლებს მას, უწყობეს, რამეთუ მომევ-დარ-იყო (იქსო დასცინოდნენ, რაღაც იყოდ-ნენ, რომ ყმაწვილი მკვდარი იყო). და თა-ვალმიან გამოახსა ყოველი (გაფარა ყველა) და უძყრა ხელი ყრმისა მის და ხმა უყა: ყრმაო აღხდევ. და მოიქცა სული მიხი, და მეცვევ-ულად აღსდგა და უბრძანა, რათა მაცენ მას ჭამადი. და განუკვირდებოდა მამა-დედათა მიხთა, ხოლო თავადმიან ამუნი მათ, რათა არავის უთხრან საქმე ივი.

ღრეკა, 8, 52-56.



ე გმირობის შემდეგ იქსოს ეკონა, რომ ად-გილობრივი მოსახლეობა სახევაბაძრული და ხელაპყრობილი შეხვდებოდა. ამჯერად მირონცხებული შეუდა. როგორც კი ღორე-ბის სასწაულის ხმა დაირჩა, გერგეს ეველნი მართლაც ხელაპყრობილნი ეკებებოდნენ, ოღონდ თავავანსაცემად კი არა: მოელი ბრძოლები ევედრებოდნენ, გაგვცილდი, მიატოვე ჩვენი ქვეყანათ.

არა და მართლა ვის რად უნდოდა სასწაულთმოქმედი, რომელ-საც ყოველ წესს შეეძლო შეესახლებინა ემმაკები მათი ცხვრების, ძროხების, ხარების, კატების, იხვების და ღორების სხეულშიც, — რაკი იუდეველებს იმ დროს ღორებიც ჰყავდათ?

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო! მოარული სიტყვა ხალხს დაპირ-

და, გაგეცლებითო, ოღონდ ერთი პირობით: ყოფილ ეშმაკეულს მი-
სი სახელი მოელს ქვეყანაში კიდით-კიდემდე ენდა განეუქმდე და
ედიღებინა*.

განკურნებულმა ეს საქმე უყოყმანოდ ითავა, გახარებულმა გერ-
გესეველებმაც იქსო სასწრაფოდ მოიცილეს თავიდან. რაკი ეს საკი-
თხი დადგა, სამგზავრო ფელი გადაიხადეს და მაცხოვარი თავის მო-
ციებულებიანად ზღვის იმავე მხარეს გაისტუმრეს, საიდანაც ჩამო-
ვიდნენ, რომ გერგესილში ღორების სინილა გაეწყვიტათ.

წმინდანები გემამდე მიაცილეს.

ორჩომელის პატრონმა გერგესილის საქალაქო საბჭოს წარმო-
მადგენლებს პეითხა:

— საით წავიყვანო ეს ბატონები?

— საითაც გიბრძანებენ, იქ წაიყვანე, ოღონდ აქედან გაგვე-
ცალონ!

იქსომ სთხოვა, გენესარეთში ჩაგვიყვანეთ. ეს პატარა ქალაქი
ტბის მეორე ნაპირზე მდებარეობდა და გერგესეველებს ამისი სა-
წინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდათ?

მირონქებულმა იმ დილით ექვსი ათასი ეშმაკი ექვსი ათას
ღორის შეუსახლა, რითაც ალბათ ასიამონა ეპრაელთა მეფეს. გერგე-
სილის მიწაზე დიდი ხნით არ დარჩენილა, ამიტომ ცრავე საღამოს
ზღვის მეორე მხარეს გადავიდა, გენესარეთის პირდაპირ. როგორც კი
ხმელეთზე უეხი შედგეს, მათემ თავის მეგობრებს მაცდური წინადა-
დება მისცა:

— ჩემო მეგობრებო! — უთხრა. — შიმშილით ვიხოცებით. აბა
თავად განსაჯეთ: გუშინ საღამოდან ჩვენს პირში ღუქმა არ ჩასულა..
პოდა, აქ ძველი მეგობრები მყავს. გენესარეთელი მეზვერეები დიდი
ხანია კაპერნაუმელ მეზვერეებს დაუძმობილდნენ, და თავს ბედნიე-
რად ჩათვლიან, თუ ჩვენთვის სანაქები ნადიმს გამართავენ. ჯერ
წავალ, გავაურთხილებ, მერე თქვენთან დავერუნდები.

მათემ საქმეს მარჯვედ მოაბა თავი.

როგორც კი მეზვერეებმა გაიგეს, რომ ქრისტე მზადაა მათ ეს-
ტუმროს, სიხარულისაგან ისეთი ხტუნვა გამართეს, რომ თავი ჰერსა
ჰკრეს.

* იქსოს პიზიცია საკუთარი საქმეების რეალაზის საქმეში მოეცებუ-
ლა თანმიმდევრობას: ხან ხალხს ავალებს, ავიტაცია გამიშიეთო, ხანაც
აფრიახილებს, არ გაამშილოთო.



მერე მათეშ დაამშეიდა:

— მართალია, ისეთი ლაპარაკი იცის, გეგონებულ, წერესულ ჭირი თხულობსო, — უთხრა, — მაგრამ ჩვენი ყოვლის ჰქონილება შამუქია ამპარტავანი არ არის, თავი უბრალოდ უტირავს. სურას სული და გულია, სმა და ჭამა უყვარს, იგავები არ გამოელევა. მერე ისეთი გულითადია, ისეთი თავაზიანი, ქალთა თავანის მცემელი, რომ გაოცემული დარჩებით. თუ ვინზე ისეთი ქალიშვილები გამოინახეთ, დანარჩენი მოძღვრის საქმეა, თავს არ შეირცხვენს.

— მართლა? ქალების ყოფნა არ შეაწეხებს?

— რას ლაპარაკობ! გაიხარებს,

— მაგრამ შენ არ იცი, ვისა ვეულის სმიბთ, როცა ქალებზე ვლაპარაკობთ. ხელიდან წასულ მემავებს თუ გამოვნახავთ ხოლმე...

— რაც უარესია, შით უკეთესია! აი, ნახავთ, რა კმაყოფილი დარჩეს!

— მაშინ ჩეარა მოიყვანე. ჩვენ კი სულიას გავშლით, ქალებს დავიბარებთ და ქრდი შეისა ვკრათ, სახლი ჩვენია!

იქსომ გულით გაიხარა, როცა გაიგო, რა სადილიც მზადდებოდა. მათემ ახსნა-ვანმარტება დაიწყო: ჩემი გენესარეთელი მეგობრები თავიანთი საზიონლარი ხელიდან მიუხედავად სამაგალითო მსმელები არიან, სხვამ ვინ რა იცის ვერაგობის, ცმიერების, სუტენიორობის, მატუარობისა და მისთანებისათ, მაგრამ მირონცხებულმა შეაწევეტინა: „როდესაც კუჭი ცარიელია, იქ უკვად მეტყველს არ მიეღოან!”

— შენი განმარტებანი სხვა დროისათვის შეიხახე, — უთხრა მოციქულს, მშიერ მოძღვარს რომ სულელთა ამბავს უქადაგებდა, — ისა სჯობია, ჩემი მათე, შენს მეგობრებთან წაგვიყვანე, თუ რამე გააჩნიათ.

წმინდანები მოურიდებლად შევიდნენ სახლში, სადაც მეზვერეუბი ელოდნენ. რა თქმა უნდა, ეს იყო გენესარეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საეჭვო სახლი. მსუბუქი ქალები იქსოს თავს დასტრიალებდნენ. პირდაპირ ლოცინებში კოტრიალობდნენ ჟინმორეულნი, მაგიდის გარშემო რომ გაეშალათ სანადიმო დარბაზში. ყველა სვამდა, ჭამდა, იგინებოდა, ყვიროდა, მღეროდა, ქალი კაცს ძკოცნიდა, კაცი ქალს. აქ სრული თავისუფლება სულევდა, გითარცა საღმე უმდარეს ლუპანარიუმში*.

* საროსკებთ სახლი ჰყელ რომში.

როცა იქსი და მისი მოცეიქულები მოვიდნენ, მაცხოვარს ისეთი
აღტაცების ღრიანცელით შეხვდნენ, რომ ამაში ადამიანური კადაგადასა
ფერი არ იყო.

ადვილი წარმოსადგენია, რა ნადიმი გაიმართა. ეს იყო ნამდ-
ფილი ორგაი.

სტუმრებმა და მასპინძლებმა თავაწყვეტილი ხმაურით მოელი
უბანი შემოყარეს. გენესარეთს არ ენახა ასეთი აურზაურიანი ღრეო-
ბა. ბოლოს ტკბილეულიც ჩამოარიგეს, შეზარბიშებულ მოქიცევებს
განსაკუთრებული განცდები აუთამაშდათ. უკვე ითქვა ყველა სად-
ლეგრძელო. იქსომაც დალია თავისი საყვარელი მოწაფის იოანეს
სადღეგრძელო.

აი, ამაშე გაიმართა ცხარე გამათი.

იასანე ისეთი პირნათელი იყო, ისე ანებივრებდა მაცხოვარი,
რომ ერთ-ერთმა თანამესუფრებ ეტიფრელი აზრი გამოიქვა. გვეო-
ნებათ, სინამდვილეში იოანე კი არ არის, არამედ იოანაო. მართლაც,
ანგელოზივით სახე პქონდა, ხუჭუჭი თმა, ცისფერი თვალები, ნე-
ბიერი, მინაბული, განცხრომის სხივით გამოიბარი. ვინც შეხედავდა,
თამამად დაიფიცებდა, მშვენებით სრული ქალიშვილია.

ზოგიერთი მეზვერე ამტკიცებდა, მამაკაცის სამოსელი თვალის
ასახვევად აცვიაო, და საკოცნელად მიიღვდა. მოოცხვი და გულით
უმანკო ჭაბუკი მხოლოდ წითლდებოდა, უარის თქმაც ერიდებოდა.

ამრიგად, უზრდელი მასპინძლები იოანეს მშვენერებაშე და-
ვობდნენ, როცა სანადიმო დარბაზში მეზობლების ჯგუფი შემოიჭ-
რა. თავაშვებული მეზვერეების ასეთი ღრეობა რომ დაინახეს, სალ-
ხი განცვიფრდა და აღმფოთდა. მეზვერეებისაგან ვის გაშეკვირდე-
ბოდა, მაგრამ როცა იხილეს, რომ ქრისტეც სხვებივით ლხინის-
და, მღეროდა და თევზებს ამტკრევდა, ვიღაცამ თაყი ვერ შეიკავა
და შესძახა:

— გრუსვენოდეს მაინც! სწავლული ღვთისმეტყველი ამ ნაძი-
რალებთან როგორ ქეითობ?

ხალხი შენიშვნას აძლევდა თავის შაცხოვარს.

იქსომ მაგიდაშე მუშტი დაპკრა და უპასუხა:

— რა თქვით? პური ან უნდა ვჰამო? ჰეკუას, მასწავლით? იყით,
ეს ხალხი გაწილებულია. ერთი მითხარით, რა გესაქმებათ ჩვენთან?

— მომიტევეთ, — მიუგო ერთმა ფარისეველმა, — მაგრამ თქვენ
თავს საზოგადო მოღვაწედ ასაღებთ, ამიტომ თქვენი პირადი ცხოვ-

რება სამაგალითო უნდა იყოს დანარჩენებისათვის. აგრე კი ვხედავთ, რომ შენს ძეირფას დროს ტყუილად ფლანგავ, მეზჲირეუმს და შეძალებს შორის ქეითობ!

— ეს ხეპრე შეურაცხყოფას გვაყინებს! — აყაყანდნენ მოქეი-ფეები. — იქსო, გადაუხადე სამაგირო, არ შეარჩინო ჩვენი წყუნა!

მაშინ მესია ცბიერი ღიმილით მიუბრუნდა ფარისეველს და უთხრა:

— ვთქვათ და ჩემი თანამესუფრეები მართლაც უღირსნი არიან. მერე და რა გინდათ? ჩემი აქ ყოფნა სრულიად გამართლებულია. თქვენ, დანარჩენები, უცოდველები ხართ, მეზვერეები კი გამოუს-წორებული ცოდვილი არიან. ძალიან კარგი. მაგრამ მე ყველა ადამიანის ბედი მაწუხებს, ამიტომ უფრო ცოდვილების ბედი უნდა მაინტერესებდეს, ვიდრე უცოდველებისა და გელმართალთა. მეურ-ნალი ესაჭიროება სნეულს და არა ჯანმრთელს.

ეს განცხადება ტაშის ქახილით მიიღეს. ფარისევლები მიხვ-დნენ, რომ ქრისტესთან დავა სიკეთეს არ მოუტანს არავის და დუ-მილი ამჯობინეს.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა და იქსო ქრისტეს სხვა მხრიდან მოუხდა საყვედურების მოსმენა.

ხმაურითა და შეძახილებით მოდარბაზეებმა ითანე ნათლისმ-ცემლის მოწაფეთა ყურადღებაც მიიპყრეს. ახლა ისინი მოვიდნენ და მაცხოვარი მწარედ დაამუშაოთ:

— ჩვენი მასწავლებელი მახერის ციხეში იტანჯება, — უთხ-რეს. — შავ პურს ლოღნის და აყროლებულ წყალსა სვამს. შენ კი, მისი ძმა და თვისი, გამლილ სუფრას უზიხარ და ქეიცს ეწევი! ნუთუ დაგვიწყებია შენი წინამორბედი? ის ხომ დიდი წინასწარმე-ტყველია! ჩვენ მას დავტირით, ვმართულობთ, რათა მას დავემსგაგ-სოთ ჩვენ ძაძებს ვატარებთ იმ წმინდა კაცისათვის, შენ კი...

— ბოლოს და ბოლოს, მე ეს მომბეჭრდა! — შესძახა ბრაზ-მორეულმა იქსომ. — განა მე ვარ დამნაშავე იმაში, რომ ითანე ასე სულელერად გაება ქეროდეს მახეში? მერე, თუ საქმე საქმეზე შიდ-გა, თვითონ ითანემ ამასწინათ შეურაცხყოფა მომაყენა, სასიძო მი-წოდა... რავი სასიძო ვარ, ქორწილიც ხომ უნდა იყოს?*. ახლა

* სასიძოდ არის წოდებული იქსო სამი მთავარი მიზეზით: 1. გოლგო-თ ზე სატანჯველად წასკლის წინ შეაღამისას ეველრებოლა მამა-ლმერთს 292

ესეც ვიკითხობ: როცა სასიძო ნადიმობს, განა შეუძლიათ მის მეგობრებს იმარხულონ? მაშინაც მოასწრებენ მათი ქბილები მოსვერტას, როცა მათ შორის აღარ ვიქნები, ესე იგი როცა მეც შემემთხვევა რაზი იმავე იმავე სიფათი.

ნიშნად იმისა, რომ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია, იქსომ თავისი იგავების უძირო გედას თავი მოსხნა:

— არავინ, არავინ არ დააკერებს გაცვეთილ ტანისამოსს ხამი ტილოს ბეჭყით, რადგან წვიმაში ახალი ქსოვილი დაიკლებს, გა-ხუნებულ სამოსელს გახევს და უფრო დიდი ნახვრეტი გაჩნდება, ვიდრე იყო. სწორედ ასევე, არავინ ჩაასხამს ძველ ტიკჭორაში ახალ ღვინოს, მაჭარს, თორემ გასკდება და ღვინო ძირს დაიღურება. გარდა ამისა, თუ ნამდვილ ძველ ღვინოს ხართ მიჩვეული, ახა-ლი დაუღვინებელი მაჭარი არც მოგეწონებათ და ისევ ძველ ღვი-ნოს მოითხოვთ, რადგან უფრო მაგარია...

— ეგ ხომ ვიცით! — შესძახა ვიღაცამ, — მაგრამ რისთვის დაგ-ჭირდა ასეთი იგავი?

— როგორ, ვერ მიხვდით?

— ასეთი გადაკრული ლაპარაკისა ჩვენ არ უვრი ვიცით.

— ძალიან საწყენია! მაგრამ მე ხომ ვიცი, რისი თქმაც მინ-დოდა, ჰოდა საკმარისია.

იქსოს უკვე მორიგ იგავშე უნდოდა გადასვლა, როცა ბრძოში ჯიქურ გამოვიდა და მიუახლოვდა ადგილობრივი სინაგოგის „ან-გელოზი“, სახელად იაირი.

— მასწავლებელო! — უთხრა. — შენ ხედავ დარღით დაღდას-მულ მამას. გამიგონე, მე აქ სიხარულით არ შემოვსულვარ, შენ და-გეძებდი და მშად ვიყავი ქალაქის ყველა ბირა-საგანე დამევლო. მთა-ვარი ისაა, რომ ვიპოვვე, აი, რა უნდა შემოგჩიდელო. ასული, ერ-თადერთი ასული მეღვებება. ახლა, როდესაც აქ გელაპარაკები, აღ-ბათ ის უკვე სულს ღაფავს, ან გაცივდა კიდეც. მაგრამ ამბობენ, რომ შენ ზებუნებრივი ძალის მფლობელი ხარ. მე მჯერა, მწამს ეს ამბავი!

(„უკვეთუ შესაძლებელ არს, თანა წარმხედინ სასუმელა ესე“, ვ. ი. ამარი-დეო ეს წამება) — მათე, 26, 39; 2. ქრისტეს მეორედ მოსვლის გასახსე-ნებლათ; 3. ღამის მყულროებაში ლოცვა მტრების გარეშოცვაში უფრო უხილუათ იყო. დაწვრილებით იხ. ბოლოს ღარისულ ლექსიკონში „შეა-ლაშის სასიძო“.

წამოდი, მოძღვარო, ხელი შეასე ჩემს ასულს — დარწმუნებული გარ, თვალს გაასელს და ზეს წამოდგება.

— როგორც იქნა, ვნახე თუნდაც ერთი ადამიანი, მომდევაც ჩემი სწამს! — შესძახა იქსომ. — ძალიან კარგი! მე არ გავიტრუებ ჩემს იმედს. წავიდვთ; ჩემო მეგობრებო და ჩემო მოციქულებო! მერე დაებრუნდებით და ნადიმს გაფაგრძელებთ.

ყველა წამოდგა და შემოერთებულ ბრძოსთან ერთად იარის სახლისაკენ წავიდა.

დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ქალაქის მედექნები და მოგაჭრები ამოდენა პროცესის დანახვაზე დახლებს ტოვებდნენ და ცნობისმოყარეობისაგან იწვოდნენ.

— საით მიემურებით? — კიოთხებოდნენ ხალხს.

— იქსო მომაკვდაფი გოგონას გამოჯანსაღებას აპირებს, — იხ-მოდა პასუხი.

ხალხის ნაკადი მდინარესავით იზრდებოდა. მოარულ სიტყვას ჟკვე ძალით უხდებოდა ბრძოში გზის გაკაფვა.

ამ დროს პროცესიას ერთი კეთილი მანდილოსანი შეუერთდა და საგულდაგულოდ შეეცადა მოძღვრისაკენ გაეკეთია გზა. წყნარად და ფეხსაკრეფით მიემურებოდა აღთქმული მიზნისაკენ. აგრე. მიე-ახლოვდა კიდეც. ხუთი-ექვსი ნაბიჯიც და ხელით შეებებოდა მის ღვთაებრივ ქიტონს. ხალხში ნემისი არ ჩავარდებოდა და კიღაც მან-დილოსანს ვინდა მიაქცევდა ყურადღებას.

ეს კეთილი გენესარეთელი დედაკაცი აგრ თორმეტი წელიწადი იტანჯებოდა სოკოს სენით და ვერანაირად ვერ მოირჩინა თავი. მისი უკანა ტანი საშინელ მდგომარეობაში იყო. სახარება ამას ხასგახ-მით აღნიშვავს: „და დედაკაცი ვინმე იყო მუნ, რომელი იყო წყა-როთა სისხლისათა გვემულ ათ-თორმეტი წელ, და ურიად ვნებულ იყო იგი მრავალთაგან მკურნალთა და არა რაი ხარგებელ ეყო, არა-მედ უფროსად უტირებად მოვიდა“ (მარკოში, 5, 25—26). აი, ეს ქალი, თორმეტი წელიწადი რომ სისხლისაგან იყლებოდა, ახლა ცდილობდა როგორმე ქრისტეს შეხებოდა. „წყაროთა სისხლისაგან გვემული... ასეთი დიაგნოზი მედიცინაში არ არის ცნობილი, ას მხოლოდ სახარებაში გვხვდება, და ისიც არა ოთხივეში. სულიწმინ-დას, რომელიც ევანგელისტს ამ სიტყვებს კარნახიბდა, ალბათ შეედგელობაში ჰქონდა არა სასიკვდილო სისხლდენა, არამედ უკა-

ნა გასავლის სისხლძარღვების ბურთულების გასკდომის შედეგად
წამოსული სისხლი.

წარმოიდგინეთ თორმეტ წელიწადს გაგრძელებული ბუპილის
ჭეშმარიტად, ეს დედაკაცი დიდი მოწამე ყოფილა, და ნეტა, რა
ჩაიდინა ამისთანა? იყრუჩიშებოდა, იგრიხებოდა, ამაოდ ლამობდა
ქავილით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქებას.

მისი ნუგეში ის იყო, რომ სწამდა.

„თუ ქრისტეს სამოსის კალთას როგორმე შევეხები, უსათუოდ
განვიკურნებოთ“, — ამბობდა გულში.

ვინც ლამობს, ის აღწევს მიზანს. აი, მიუახლოვდა, დიდი მკურ-
ნალის გვერდით აღმოჩნდა. თავავანწირულმა ხელი გაიწოდა, ქრის-
ტეს ტუნიკი მოსწია და იმავე წამს ყველა სისხლიანი ბურთულა
გაუქრა. გადარჩა ოპერაციას! პემოროიდალური რეციდივები აღარ
განმეორებულა!

გაგიგონიათ საღმე ასეთი სასწაული? ხომ ხედავთ, იეღვას,
სულიწმინდის და მარიამის პირმშო ისეთი მკურნალი იყო, რომ თა-
ვისი ნება-ცურვილის წინააღმდეგაც კი კურნავდა, მისი სამოხელე
კი კურნავდა სნეულსა! ყოველ შემთხვევაში, სახარებაში ასე წე-
რია. იესოს ფიქრადაც არ მოსვლია, თუ საღმე ვინმე დედაკაცი, თა-
ვისი ქრისტეული სენით შეწეხებული უცნობი ქალი მოისწავ-
ულდა, რაც ა მაცხოვარს ეხსნა. ან რას მიაქცევდა ყურადღებას, სნე-
ულ გოგონასთან მიიჩქაროდა, ისედაც მოსდევდა „ერი მრავალი“
და „შეაურვებდეს მას“. საჭირო გახდა ახალი სახის სასწაული,
რომ გაეგო, რანაირად მოარჩინა კიდევ ერთი ავადმყოფი. როცა
ქიტონი მოსწიეს, რაღაც შეცება და ისეთივე შოკი განიცადა, როგო-
რიც მოსდის ხოლმე კატას, ხელს რომ უკუღმა გადაუსვამენ ხოლ-
მე და ნაპერწელებს დააყრევინებენ: იესოს არსებას მოწყდა სასწა-
ული და მოარჩინა ქალი..

მაშინ იესო ხალხს მოუბრუნდა და ქიოთხა:

— ვინ შევხო ჩემს სამოსელს? ვინ იყო ესა?

— რაზე ლაპარაკობ, მოძღვარო? — გაუკვირდა პეტრეს. —
ხომ ხედავ, რა ზედახოცვაა, ხალხი ყოველი მხრიდან გვაწყდე-
ბა, შენ კიდევ მეკითხები, ვინ შემეხო ხელითაო! ეს ხომ იგივეა, რომ
თივის ზეინში ნემისი ძებნო.

— რაღაც ვერა ვვრძნობ თავს კარგად, — მიუგო ქრისტემ.

მე ვიგრძენი, რომ ჩემს არსებას სასწაული მოწყდა, ეს კი ასე უბრალოდ არ ხდება. ვიღაცა შემეხთ.

უბედურმა ქალმა იგრძნო, რომ მიუხედნენ, და თუ დიდი შეკურნალი გაწყრა, მისი კალო გალეწილია. ამიტომ დამალვა ვეღარ გაბედა, ელდანაკრავი და აკანკალებული დაემსო მაცხოვრის ფერხთით.

— უფალო, უფალო! — გაიძახოდა ცრემლთა ფრქვევით. — მე კადნიერმა შევცოდე, გევედრები, მაპატიე, ნუ დამიბრუნებ ჩემს სწერებას!

იქსომ გაიღიმა.

— ასულო ჩემო! — უთხრა სათნომყოფელმა. — ასეთი ბოროტ-მოქმედი როდი ვარ. რა თქმა უნდა, შენს განკურნებას საჯაროდ ვერ იტყვი, ვერც ვერავის აჩვენებ, მაგრამ ღმერთი იყოს შენი მფარველი, მით ჟეოთესი შენთვის.

ვიდრე იქსო ქალს ელაპარაკებოდა, მამა იაირის მსახურები მიუახლოვდნენ.

— რა მოხდა, რა მოხდა კიდევ? — ძკითხა შემფუოთებულმა სინაგოგელმა ანგელოზმა.

— ჩვენო მმრდანებელო, შენი ასული მიიცვალა, — უპააუხეს დაღვრემილებმა. — ჯადოქრის შეწუხება აღარ არის საჭირო*.

მამა იაირმა უმწეო მშერა მიაპყრო იქსოს, რაც ალბათ ამას ნიმუშებია: შენ ეს არის მოარჩინე ვიღაც უბირი დედაკაცი, რომელ-საც ბუასილი სჭირდა, მე კი, პატიოსნებას გეფიცები, ცოტათი მეტი წონა მაქვს და კეთილი ინებე, ისე მომექეცი, როგორც ჩემს მაღალ მდგომარეობას შეეფერებაო. რაკი ჩემმა ასულმა საბოლოოდ სული დალია, მშვინიერი შემთხვევა გეძლევა, რომ თავი გამოიჩინო და სახელი განითქვაო!

შემთხვევები არც აქამდე აკლდა, მაგრამ ურწმუნო საღხი მხოლოდ სეირს უყერებდა, თითქოს უბრალო ჯამბაზი ყაფილიყო.

— წავიდეთ! — მოკლედ მოუჭრა იქსომ, რომელმაც ყველაფერი გაიგო.

* ტაქსილი არ აზრიდებს. წინასწარმეტყველის, შეცის, თვითონ ღმერთის დამიცირება და უგულვებელყოფა პირველი შემთხვევა არ არის ბიბლიაში (ვაკისსენოთ, როგორ დაუშინეს ქვები დავითს, გადაუდგნენ იყონვას, უბრალო ჯადოქარს ეძახიან იქსოს...).

ბრძო ისევ დაიძრა. მალე დიადი მკურნალი და მისი მხლებელი
ხალხი იაირის სახლსაც მიადგა.

სახლში რომ შევიდნენ, იქსომ მოტირლები ნახა. უკვე თავიანთ
საქმეს შესდგომოდნენ. ო, ეს ბუზები! უკვე დახვეოდნენ ცხედარს,
წუთსაც არ კარგავდნენ ცრემლით მოვაჭრენი, ნარდად და ბითუმად
ყიდნენ იმას, რისი ფრქვევაც შეეძლოთ. მაშ რა უნდა ექნათ, ჯერ
თვატრები არ იყო! ჯერ მიცვალებულს თვალი არ დაეხუტა, რომ უკ-
ვე მის სახლში გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ჯერ ღარიბებსაც მიაკით-
ხავდნენ, თორებ აქ ხომ კარგი გასამრჯელო ელოდათ მთელი დღე
მოთქმა-გოდებისათვის!

ცდასა და გელმოდგინებას არ აკლებდნენ. სახლი ირყეოდა მათი
გელგამგმირავი გოდებისა და კივილისაგან.

— რისთვის გლოვობთ? — მიმართა იქსომ. — დამშვიდდით,
ნუ ტირიხართ! თქვენი ქალწული არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!

მოტირლები დაცინვით შეხვდნენ:

— რასა ბრძანებოთ, არ მომკვდარაო!

— ახლა მკვდარი და ცოცხალი ვეღარ გაგვირჩევია?

— ნუ შეწებდებითო, გვეუბნება!

— ისრა გვაკლია!

— ეგ რა ხუმარა ჰინმე ყოფილა, დედაკაცებო? ექიმი ვარო
და მიცვალებული ვერ გაურჩევია. ეს სადაური ექიმია?

ამის შემდეგ მოტირლებმა ზურგი აქციებ, ჩვენს საქმეს მივ-
ხედოთო, რაც მით უფრო მართალი იყო, რომ სახლის პატრონი ან-
გელოზიც მოვიდა. იქსომ ციური შესტით გააჩემა, მოთქმის დაწევ-
ბა აღარ დაანება.

— გავიდეს ყველა! — ბრძანა. — სახლში დარჩებიან მხო-
ლოდ განსვენებული ქალწულის დედა და მამა. აგრეთვე პეტრე,
იაკობი და იოანე.

ყველა დაემორჩილა.

მაშინ განსვენებულის ხელი აიღო და უთხრა:

— ტალიფა კუმი! ქალიშვილო, შენ გეუბნები, წამოდევე!

დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები, გამოგადგებათ, ვინმეს გაცოც-
ლება რომ ისურვოთ. „ტალიფა კუმი!“ — ამ ხეთი ბგერის შემ-
წეობით დაუბრუნა იქსომ სიცოცხლე იაირის ასულს. ახ ამტკიცებს
უვანგელისტი მარკოსი, რომელიც თვითონ ამ ამბავს არ დასწრებია.
რაც შეეხება ევანგელისტ იოანეს, თავის სახარებაში ამ საგულის-

ხმო ოპერაციას ერთი სიტყვითაც არსად ახსენებს, თუმცა კულტურის
მამები ერთხმად შიგვითითებენ ამ მოციქულზე, როგორუსემსჩაული
ულის ნამდვილ მომსწრებულება.

მაგიური „ტალიფა კუმი“ გაიკონა თუ არა, გოგონა წამოვარდა
და გახარებულმა, რომ ისევ ცოცხალია, მთელი სახლი დაირბინა.
შშობლები თავს მეშვიდე ცაშე ჰკონებდნენ, და აღარც მოტირალნი
ჰკოდებდნენ. იქსომ ქალიშვილის შშობლები დედამიწაზე დაბრუნა:

— მოხარული ვარ, რომ დაკვირვეთ, — უთხრა, — მაგრამ ეს
ყველაფერი როდია. ცოტა ამ ბაშვზე იფიქრეთ, შიმშილით არ მოკ-
ლათ! რამდენი ხანია არაფერი უჭამია საცოდავს! აჭამეთ და მერე
იღოცეთ!

შემდეგ ამისა მირონცხებული მეზვერეთა სახლში დაბრუნდა,
რათა ნადიმი დაესრულებინათ, როგორც დაკპირდა იქსო მათეს და
მის მეგობრებს*.

ამ ღირსშესანიშნავი ამბების შემდგე იქსომ ისევ ინახულა
შშობლიური ნაზარეთი, რაც ნამდვილად არ იყო ამისი ღირსი, და
ისევ სასაცილოდ აიგდეს, რადგან ასე ეწერა წიგნებში, რომ ნაზა-
რეველნი თავიანთი თანამემამულის შეკონებებისადმი ყრუ დარ-
ჩებოდნენ სამუდამოდ. თავს იჩენს მხოლოდ ერთი კითხვა: რატომ
ლამობდა ასე შეუპოვად თვითონ იქსო, რომ რამე შეესმინა რევ-
ენთათეის? რატომ არ აიღო ხელი ამ უიმედო წამოწყებაზე? რო-
გორც ღმერთს, მას უნდა სცოდნოდა წარსულიც, აწმყოც და მომა-
ვალიც, მაშასადამე ნაზარეველთა მიმართ არავითარი იღუშია არ
უნდა ძერნოდა, როგორც არ ძერნია ფარისეველთა მიმართ.

ევანგელისტი მარკოზი თავისი წიგნის მეექვსე თავში (1—6)
გვაუწყებს, რომ ნაზარეველნი იქსოს ამჯერადაც სრულიად უწდობ-
ლად შეხვდნენ.

— საიდან უნდა მიეღო სიბრძნე და ძლიერება? — ამბობდნენ
ურწმუნონი, — წავიდეს ეს ყალთაბანდი და აბრიუვოს ხალხი საღ-
მე სხვა ქალაქებში, სადაც არავინ იქნობს და არავინ იცის, რა შვი-
ლიცა ბრძანდება. ჩეენ მაგ გაიძეერას საკუთარი თითებივით ვიც-
ნობთ! ეს ხომ სრულიად ჩვეულებრივი ხუროა! განა მარიამის შვილი
არაა? იაკობის, იოსიას, იუდას და სიმონის ძმა არაა? აგერ არ

* ნახეთ სახარება მათესი, 10, 10-26; მარკოზის, 2, 15-22; ლუკას, 8,
29-56.

არიან მაგისი დები? ვინ არის და რა უნდა იქადაგოს ისეთი, რომ
ჩქენ გაგვაძრიყვოს?

„არა არს წინასწარმეტყველი შეურაცხ, გარნა სოფელშა ივის-
სა და სახლსა თვისსა“, — თქვა შელანქოლიურად იესომ და დრო-
ებით ხელი აიღო იმედშე, რომ თავის თანამემამულებს მოაქცევდა.

ხანმოკლე დროით შევბულებაში წასელაც კი განისაზახა. ამ მიზ-
ნით მოული თავისი სამოციქულო საბჭო შეკრიბა და ახეთი სიტყ-
ვით მიმართა:

— დღეიდან ახალი განკარგულებების გაცემაშედე ჩემს მაგიერო-
ბას თქვენ გასწევთ. მოელი ჩემს რწმუნებას თქვენ გამლევთ. უჩემოდ
გაემიტავორებით საქადაგებლად, გადასცავთ ქვეყნის ყველა მხარეს
კიდით კიდვებდე და ხალხს აუწყებთ, რომ ციური სახულეველი არ კ
ისე შორსაა, როგორც ფიქრობენ ხოლმე. განეურნეთ სნეულნი, აღად-
გინეთ მიცვალებულნი, განწმინდეთ კეთროვანნი, სერხემალი გაუს-
წიორეთ კუშიანებსა და დაღრეკილებს, განდევნეთ ემბაკნი ბორგნეულ-
თა სხეულიდან. არ გაძელოთ სპეკულაცია. ხასწაულები არაფერი არ
დაგიჯდებათ და ამიტომ თქვენც ნურას აიღებთ, სიკეთისათვის
სასყიდელს ნუ ითხოვთ. მაგრამ რაკი მარტოოდენ სიყვარულითა
და წყლით კურ იარსებებთ, ნებას გაძლევთ ისარგებლოთ იმ ხალხის
სტუმართმოცვარეობით, რომელიც ჩვენს სარწმუნოებას მიიღებს
და შინ შეგეპატიუებათ. ამასთან არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი
ზრუნვის მთავარი საგანია მსუბუქი ქცევის დედაქაცი: ამ ღამაშსა
და კეთილ ცოდვილებს შეიძლება ბჟვრი რამ შევუნდოთ. გარდა ამი-
სა, ყურადღება მიაქციეთ პატარა მავშვებს, გიყვარდეთ და აღერსს
ნუ მოაკლებთ. დაბოლოს, იქადაგეთ ყველგან ჩემი მოძღვრება. სა-
დაც შესვიდეთ, თქვით: მშვიდობა ხახლსა ამას! თუ შინ არ შევიშ-
ვან და გაგაგდონ, გადით და „განიყარეთ მტკირი ფერსთა თქვენ-
თა და რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-გქუო იგი წინა-
შე მამისა ჩემისა ზეცათასა“. ნუ შეშინდებით. თქვენი სიტყვა უ-
და იწამოს, ყველამ, ვინც იწაგა მომავლინებელი თქვენი. ერიდეთ
ბოროტ დიდეკაცებს, რომელიც მეტის წინაშე წაგაყენებენ, რათა გა-
წამონ ჩემი გულისათვის. „ამა, მე მიგავლინებთ თქვენ, ვითარდა
ცხოვართა, შორის მგელთა; იყვენით ჟავე მეცნიერ, ვითარდა გველ-
ნი და უმანქო, ვითარდა ტრედნი“ (მიგავლინებთ, როგორც ცხვრებს
მგელთა შორის, ამიტომ იყავით გველიყით შეკიანნი და მტრედიეთ
უცოდველნი“ — მათე, 10, 16).

ამაზე მუდამ ფრთხილმა და წინდახედულმა პეტრემ ასე უპასუხა:
— ჩვენ წავალთ, უფალო ჩემო, მაგრამ შენ მტრებთან გუაგრძელ
ნი. მათ შორის მართლაც ისე ვიქნებით, ვითარცა ცხვრინი მგელ
თა შორის!

— ძალიან კარგი! მეც ეს გითხარით.
— ამაზე კარგი რა იქნება: მგლები შეჭამენ ცხვრებს და მორჩა!
იესოს პასუბი პეტრეს ცალკე უნდა დაემახსოვრებინა:
— ნუ გეშინიათ: მყვდარ ცხვარს მგლებისა არ ეშინია. მაშ
იქროლეთ, „რამეთუ მრავალთა სირთა (ჩიტთა) უმჯობეს ხარ
თქვენ“.

ბოლოს და ბოლოს, მაცხოვარი თავის ერთგულ ცხვრებს დაეს
შვიდობა, მოციქულები წყვილ-წყვილად წავიღნენ სხვადასხვა მხა-
რეს და მოძღვარს დაპირდნენ, ჩვენს ყოველგვარ საქმიანობას გაც-
ნობებთ. იესო კი დასასვენებლად წავიდა და დიდხანს ნებივრობ-
და მარიამ მაგდალინელის, იოანას, სუსანას და თავის სხვა თაყვა-
ნისმცემელთა მყლავებში.

ყოველივე ამაზე ცნობებს ნახავთ მათეს (თ. 10), მარკოზის
(თ. 6) და ლუკას (თ. 9) სახარებებში, დამატებით კი — წმინდა
კლიმენტი ალექსანდრიელის მეორე ეპისტოლებში კორინთელებ-
თან (მებუთე თავში)³⁹.



რაჭაელი. ხიმონ-პეტრე.

სადაც იორანი ნათლისმახალი შხოვრაგის გამოს კარგავს

და შევიდა ასული იროდიახი და ჩოკვიდა (ცყვავდა) და მითნა (მოეწონა) იროდია და მის თანამეონახეთა, და პრევა იროდი მე-
ფემან ქალსა მას: მიხოვე, რაიტა გნებავს და მიგცე შენ, და კულება მას, ვითარმევ,
რაცა ითხოვო, შიგცე შენ, ვიღრე ზოგადმდე
შეფოშისა ჩემისა.

ხოლო იგი გამოვიდა და ქეითხა დედასა თვისხა, ვითარმევდ რა ვითხოვო? ხოლი მინ
პრევა მას: თავი ითანე ნათლის-მცემელისა.

და შევიდა ქალი იგი შიურაულ მეფისა და პრევა: შნებავს, რათა აწევ მომცე მე თავი ითანე ნათლის-მცემელისა. და მწეხარე იქმ-
ნა იროდი შეფუ. ხოლო ფიცისა მისოვეს და მიხთანა შეინახეთა, არა ინება შეურაცხყოფა ქალისა მას. და მეცესულად წარავლინა შეხრმლე მისი და უბრძანა მოღებად თავი მისი.

ხოლო იგი წარვიდა და მოპყვეთა თავი საპყობილესა შინა. და მოიღო თავი მისი უეშენენითა და მისეცა ქალსა მას, და ქალ-
მან მან მიართვა დედასა თვისხა.

მართიშვილი, 6, 22-28.



ი, ვის არა ჰყავდა ოდალისქები და ჰური-
ები, იქსოსავით! თუ ასეთი სადმე არსებობდა,
ეს იყო ითანე ნათლისმცემელი. უკვე
თორმეტი თვე გაიჭიმა მას შემდეგ, რაც
ჰეროდეს და ჰეროდიადეს უზნეო ჟორწინე-
ბა ამხილა და ამისათვის საპყრობილეში უკრეს თავი. ძვირად და-
უჯდა გულახდილობა წინამორბედს.

ითანეს მოწაფეები ქრისტეს მოსვენებას არ აძლევდნენ. დაუხა-
სენი შენი ნათესავი და ნათლისმცემელი, შავ პურს ჰითმ-ლიონის კა-
და აშმორებულ წყალს ასმევენო. მაგრამ ისინი აჭარბებდნენ. რო-
გორც შეკვე გითხარით, ახალი აღთქმის მოწმობით. მირონცხებუ-
ლის ნათლიას ძალიანაც ღვთისნიერად ეჭცვიან. მაგალითად, ხომ
ვნახეთ, რა თავისუფლად შედიოდნენ მასთან მოწაფეები და რო-
გორ მიმოქვნდათ ყოველნაირი ამბავი აქეთ-იქით!

სახარება გვაუწყებს, რომ დროგამოშვებით თვითონ ჰეროდე
მცე მოინახულებდა დიდ მეუდაბნოეს და რჩევა-დარიგებას ეკი-
თხებოდა.

აი, მაგალითად, რას გვეუბნება მარკოზი:

„რამეთუ იროდის ეშინოდა ითანესი, და იცოდა ივი, რამეთუ
გაცი მართალი და წმინდა არს, და ჰსციდა მას, და ისმინის მი-
სი, და მრავალსა პატივსა უყოფდა, და ჯეროვნად ისმენდა მისსა“
(თ. 6, მუხ. 20).

ჰეროდეს იმიტომაც ჰყავდა ნათლისმცემელი ციხეში, რომ
ეშინოდა მისი, მაგრამ გონიერ მეცეს ეს არ უშლიდა, რომ აი
კაცს რიდითა და პატივით მოპყრობოდა. მაშასადამე, ჩვენი კუზე-
ნი ითანე პრივილეგირებული პატიმარი იყო.

ცოტაოდენი კეთილგონიერება რომ გამოეჩინა, დიდი ხნის გა-
მოსული იქნებოდა საპყრობილიდან და თანაც დიდი პატივით. მა-
გრამ ეს დოკუმენტი წმინდანი იქსოსთან კავშირს ამჯობინებდა,
ეპისტოლეს ეპისტოლეზე უგზავნიდა.*

რამდენადაც მიმოხვდის შეზღუდულობა — ერთადერთი
რამ, რაშიც ის შეზღუდული იყო — მისთვის ყველაზე მძრე-

* საკითხისადმი ასეთი შევიღობიანი-ფილისტერული მიღებით, კუნძულ
ბირობითია და გაუმართლებელია. ცეკვა რომ შერიცებისა და მორჩილებისა
გზით წასულიყო, საერთოდ არც მისწრავება იქნებოდა, არც წინავლა. ეს
ეხება გმირებსაც და მეცნიერებსაც. იდესი ინ რწმენისათვის თავდაცუ-
ბელია, ფანტაზიამდე ერთგულია ქმნილენი მიანდ წინააღმდევობას
მუხტს და ეს მეტია, ვიზრე პირადი კეთილდღეობა, სინდისის და პრი-
ციპის ფასად რომ ჭდება. ცხადია, სულ სხვა საკითხია, თუ როგორია
თავისთვალი ის იდეა, თუ რწმენა, რამაც გამოიჩინილი აღამინება ეწირე-
სანს. ფაქტი ისაა რომ ვადრე პეტრეს ტაძრში ეშმაკები მოიკალათვე-
ბრენ, პირველი ქრისტიანები ისრით კეთილგონიერების გზით არ დადიოდ-
ნენ.

ასჯელს წარმოადგენდა, ხოლო მისი მაცხოვარი ისე მძღოლა, ჩოგორც უკანასკნელი მოღალატე, თავის უფლად შეეძლო შემთხვევა, დეს ნდობით აღჭურვილ პირად ქცევის და ამასთან არავითარი სინდისის ქენჯნა არ განეცადა.

იუდეის ტეტრარქი ბედნიერ კაცად ჩათვლიდა თავს, თუ ასეთ შრიეცელს შეიძენდა.

უცხველია, იშთავითვე გაათავისუფლებდა და თავის სამეცო კარზე საპატიო თანამდებობას მისცემდა.

ესცე არაუერი. ნათლისმცემელი თვითონვე იფუსებდა საქმეს, რითაც კი შეეძლო. მთლიანად პეროტეს ხელში მყოფი პატიმარი შეუპოვრად განაგრძობდა თავისი მეფის გმობას და ყოველ შეხვედრაშე ლანძღვა-გინებით იკლებდა მისი უსნეო ქორწინების გამო. ბუნებრივია, ასეთი არასასიამოვნო გამოსვლები მეფეს გულზე მაღამოდ არ მოხვდებოდა. მისი მოთმინება სანაქებოცაა, სხვა ამდენს არ აუტანდა. ითანეს მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ პეროდიადეს სახით დაუძინებული მტერი შეიძინა, ქალები კი ასეთ რამეებს არასოდეს არავის აპატიებენ. შადამ პეროდიადე დუშა, მაგრამ გულში შერისძიებას ამზადებდა.

არასოდეს არ ჩაერიოთ ქალის საქმეშიო, ამბობს ძველი ბრძნული ანდაზა. დედაკაცი რომ გაიწევს, ცხრა ედელი კამეჩი ვერ შეაჩერებსო. მართლაც, ეს ისეთი გარემოებაა, რაშაც უახლოესი მეგობრებიც კი შეიძლება ერთიმეორეს გადაძვიდოს. უთქათ, თქვენი მეგობარი გაგიგებულია ერთ ლამაზ ქალზე, რომელიც თქვენის აზრით მსოფლიო ომზე უარესია. მიაფურთხეთ და მოეშიოთ, ნულარ ჩაერევით, ინებივრონ, რამდენიც სურდეთ. ღმერთმა დაგიფაროთ, რომ უროსა და გრძელს შორის თითო ჩარგოთ! ხოლო თუ ამ ბრძნულ შეგონებას არ შეისმენთ და თვითონვე შეეცდებით შეაგონოთ თქვენს მეგობარს, რომ მიუტევებელ სისულელეს აკეთებს და ურჩევთ თავი. მიანებობს იმ ქალს, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მადლობას ვერ მიიღებთ. მას შემდევგაც კი, რაც თავის უსნეო დულსინეას ეშმაკებში გაგზავნის, დარწმუნდება, რომ თქვენ მისი სიკეთე გინდოდათ, — მაშინაც კი არ შეგირიგდებათ. ეს უკვე ათი ათასჯერ არის შემოწმებული.

ითანე ნათლისმცემელი სულელთა იმ შეუწყარებულ ჯიშს ეკუთვნოდა, რომელსაც თავის მოვალეობად მიაჩინა სხვათა ოჯახურ საქმეებში ჩარევა.

ქეროდე ვერც ერთ სახელმწიფობრივ საკითხშე ვერც ქეროდე და რჩებას ისე, რომ არ მოესმინა მომაბეზრებელი მანამდევნებით თუ არა.

— პო, თქვენო უდიდებულესობავ, ასე და ასე მოიქცით, მე ვფიქრობ, ასე ემჯობინება. მაგრამ პოლიტიკა ყველაფერი როდია. ხალხი რომ მარტოოდნენ პოლიტიკით კვებო, გაგიწყდება ცხვარივით. არც პირადი ცხოველება უნდა დაივიწყო, არც ხალხის კეთილდღეობა და არც კეთილი ზნეობა. ამ მხრივ კი, თქვენს ადგილზე რომ ვიყო, ადრევე წითლსა ვკრავდი პეროდიადეს, კარში გავაგდებდი და ძველ კანონებრ ცოლს დავუბრუნდებოდი. ეს თქვენი წმინდა მოვალეობაა, თქვენი უპირველესი ვალი ღმერთისა და სამშობლოს წინაშე.

ქეროდე წარბებს შეიკრავდა და უსიტყვოდ წავიდოდა.

ღამით კი, პეროდიადეს რომ მიუწვებოდა, გულში ხინჯი ჩაპუვებოდა და თავის მართლება მოუხდებოდა ხოლმე. თუ ეს უზნეოდედაკაცი თავის შევბედად ნათლისმცემელის ამბავს ჰქითხავდა, მეუე ქმილებში გამოსცრიდა: „რას მეკითხები ნათლისმცემლის ამბავს? ჯობია გაჩერებე... საერთოდ ეჭიქურ კაცი არაა, მაგრამ ამ ერთ საქმეში...“ „აა, მაში ისევ დაგიწყო ძველი გალობა ამ ჩვენს ქორწინებაზე?“ „ნუ მეკითხები-მეთქი...“ „ბინძური პირუტყვი!“ — დაასკვნიდა პეროდიადე ქმილთა კრაჭუნით.

პეროდიადე ნერვული, ფიცხი და შთაბეჭდილებიანი ქალი იყო. ითანეს დაუსრულებელმა თავდასხმამ ისე გაამწარა, რომ მის განსენებაზე უკვე ისტერიკა მოსდიოდა. იქსოს კუშენი დედოფალს თავზარსა სცემდა.

თავდაპირველად იმით კმაყოფილდებოდა, რომ უბრალოდ ეძახდა ტიპს, რომელიც სხვის საქმეში ეჩირება, მერე და მერე უძახა ავყია, გელღრძო მქირდავი და ბოლოს ბინძური პირუტყვიც გახადა.

ბინძური პირუტყვი — დედოფლის რისხვის უკანასკნელი საუხეშერია.

ბინძური პირუტყვისათვის რჩებოდა მხოლოდ ერთი საუხეშერი — სახრჩობელა.

ტეტრარქი ჟევე მწარედ ნანობდა, რომ ნათლისმცემლის ყველა სიტყვას თავის თანამემცხედრეს უღავებდა ყურში. ქალს კაცმა ყველაფერი კი არ უნდა უთხრას. იმის გამო, რომ პირველ ხანებში ვერ მოისაზრა ითანეს მამხილებელი სიტყვების შერბილება და

მათვის უფრო იოლად მოსანელებელი სახის მიცემა, ახლა თავისი პატიმრის დაცვა უხდებოდა პეროდიადეს მძვინვარებისაგან ჰქონდებოდეს თავისი უხიაკი აზრი აკეთდა.

„ის წყეული ნათლისმცემელი არ მოისვენებს, ვიდრე არ წავას-ვენებ! — ფიქრობდა ხშირად. — არ მოეშება თავის ჩაყოფას სხივის საქმეში, ვიდრე მაგ თავს არ წავაცლი“. ამ ფიქრებში იყო დღე და ღამე.

თავის მოკვეთა არც ისე ძნელია საქმე იყო. პეროდიადე შემთხვევას ეძებდა და აი, ხელსაყრელი შემთხვევაც მიეცა.

მეუე პეროდე თავისი სახელობის დღეობას არ იხდიდა, რადგან არ პერნდა წმინდა სახელი: წმინდანების სამახსოვრო დღები ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი. ამიტომ რომაელთა წესის თანახმად დაბადების დღეს იხდიდა.

იმ წელს მახერში მოისურვა დღეობის გადახდა.

მეუის დაბადების დღის აღსანიშნავად დიდი ნადიმი გაიმართა. მიწვეული პყავდა კარისკაცები, ათასეულთა მეთაურები და გალილეველთა მამასახლისები. ყველაფური, რაც ვიცით პეროდეს სიმდიდრეზე, მფლანგველობაზე, სიუხვეზე და სასახლის დიდმშენიერებაზე, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნადიმი ყოველგარ ქებას აღემატებოდა.

პეროდიადემ კარგად იცოდა ქმრის სუსტი მხარეები და მხიარულების ნაწილის გაძლიერა თვითონ იკისრა. არა, პეროდიადე სულაც არ ყოფილა უშკუო ქალი. ჭკუაც უჭრიდა, გონებაც და ცბიერებაც.

თვითონ პეროდე ანტიპა მხოლოდ სუფრას უფროსობდა და იხდიდა საჭირო თანხებს, რაც ერთობ ძნელი იყო, რამდენადაც პეროდეს ხარჯი შემისავალს აღემატებოდა.

უცებ, ვითომ სხვათა შორის, პეროდიადემ უთხრა:

— საღამოს ბალეტი უნდა მოვაწყო.

სწორედ ეს ბალეტი გახლდათ ხაფანგი. თქვენ ნახავთ, რა მოხერხებულად იყო ყველაფური მოწყობილი.

დღეობა თავის რიგშე მიდიოდა. პირველად სტემრებმა ჭამა-სმით გული იჯერეს. შემდეგ, როცა უკანასკნელი სასმისები დაიცალა, სტემრები ცისფერ დარბაზში გავიდნენ. იქ უკვე დაგებული იყო ფარჩები და გამზადებული საგანგებო საცეკვაო სცენა. პეროდე

აღმიერთებდა იტალიიდან შემოსულ ვნებისაღმიერელ ცეკვებს და
ამიტომ მაშინვე პირველი რიგისაკენ გაეშერა, შეა აღდგენის და
ბრძანდა.

დაიწყო ბალეტი. ერთიმეორეზე ლამაზი და ტანისარო მოცემა-
ვე ქალები, ტერპსიქორესი¹⁰ ჩჩერელი მოწაფები ასპარეზშე გამოვი-
დნენ. ვერ იტყოდით, რომელი რომელს სკობდა, ყველა ერთნაი-
რაც მომხიბლავი და მაცდური იყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყვე-
ლის საღომეა სკობდა, პეროდეს ახული პირველი ცოლისაგან*.
ცეხის აწევაში ამ ქალს ტოლი არა ჰყავდა!

მომხიბლავი ასული, მამის საკადრისი ქცევისა, ისე ცეკვავდა,
რომ ტაშის ქუჩილი არ შეწყვეტილა მოწონების ნიშნად. სცენაზე
თაიგულების წვიმა მოდიოდა. პეროდე აღტაცებული შესცემოდა
საყვარელ ასულს და აღარ იცოდა, რით ესიამოვნებინა, ამდენი
სტემრის წინაშე ასე რომ ასახელა გვირგვინოსანი მამა.

— პეროდიადეს ახულო, გიხართდეს! — შესძახა. — რა გრა-
ცია! რა ბრუნვა, რა ფეხის აწევა გცოდნია! ამნაირი ჯერ არაფერი
შინახავს! ვფიტავ, ასეთი სიამოვნებისათვის მზადა ვარ მივცე
მომხიბლავ ასულს ყველაფერი, რახაც ისურვებს, თუნდაც ნახევარი
სამეფო!

— სიტყვაზე გიშერ, მამიკო! — მიუგო სალომეამ.

— სიტყვას ვადასტურებ! — არ დაიხია პეროდე ანტიპამ.
სალომეამ დედასთან მიირბინა და ყურში ჩასჩურჩულა:

— დედიო, რა ვთხოვო?

— ნაილისმცემლის თავი მოშეცი-თქო! — მიუგო პეროდიადემ.

აი, საზოო სალომეა მამასთან გამობრუნდა, თვალი ჩაუკრა და
მომხიბლავი ღიმილით უთხრა:

— პატარა სალომეას ითანე ნათლისმცემლის თავი უნდა,
ფერცხლის სინით მორთმეული, — აი, ასე, მამიკო!

ასე წყდებოდა აღამიანთა ბედი ტირანთა სასახლეებში.

* ქვემოთ (და ზოგ სხვა წყაროშიც) სალომეა ცხადდება პეროდეს და
პეროდიადეს ასულად, რაც გაუცემობა: პეროდემ მისი ცოლი იმ ერ-
თა წლის წინ შეირთო და მისგან მომდენა ქალშევილი როდის ეკოლე-
ბოდა უცნაური ისაა, რომ დედინაცელის ჭერაზეა და მისი თხოვნით პერ-
ოდენ თავს ითანეს, რომელიც სწორედ მისი განდევნილი ღვიძლი დედის
ღირსებას იცავს ასევე მიწერილულია გამდებრები ცოლის ძლიერი ძმის
როლი, უილიმერ რომ უსხენა მშას, როცა ასეთი განშრახვა გაუგო.

ასეთ რამეს ჰეროდე არ მოელოდა. კერ თავის სავარძელში შეხ-
ტა, მერე კი თავი მკერდზე დაჭიბდა, როგორც კაცმა, რუმედემც
გარგად უნდა მოიფიქროს, ვიდრე გადაჭრიდეს.

მაგრამ გალეშილი კარისკაცები სალომეას გადაწყვეტილებას
ძლიერ მომხიბლავად თვლიდნენ და ერთხმად გაიმეორეს:

— ნათლისმცემლის თავი! ნათლისმცემლის თავი! ნათლისმცემ-
ლის თავი!

მონარქისათვის მიცემულ სიტყვაზე ძვირფასი არაფერია, თუ
მისი შესრულება სურს.

— გარსონ! — ბრძანა მეფემ. — მიართვით მადემუაზელ სა-
ლომეას ითანე ნათლისმცემლის თავი!

— ვერცხლის სინით — დასძინა სალომეამ, რათა მისი ნება
ყველა წესის დაცვით აღსრულებულიყო.

ათიოდე წერთის შემდეგ ნაზმა ასულმა ზნედაცემულ „დედიკოს“
იმ ბედასლი და უხევირო ითანეს თავი მიართვა ვერცხლის ლანგ-
რით. კერძი ისეთი იყო, როგორიც ამ სასახლეს შეეფერებოდა.

თუ ვერწმუნებით წმინდა იერესიას, რომელსაც ამ ნადიმზე
დასწრება არ შეეძლო იმის გამო, რომ სამასიოდე წლის შემდეგ
დაიბადა, შერისმაძიებელმა ჰეროდიადემ ეილბლო ითანეს ენაში მა-
შინვე ქინძისთავი გაუყარა.

ამის შემდეგ ითანე ნათლისმცემლმა საბოლოოდ დაკარგა
ცხოვრების გამო.

იმ დამესაც და მომდევნი დღებშიაც ტეტრაქოსს კოშმარული
სიზმრები ტანჯავდნენ, გულზე მაჯლაჯუნა აწყა. თვალნათლივ ხე-
დავდა თავის უბედურ მსხვერპლს, ლანგარზე დაღებულ წმინდა კა-
ცის თავს. ნათლისმცემლი სრულიად მოულოდნელად გამოეცხადე-
ბოდა რომელიმე საგნიდან. ხანდახან ღამით კარადადანაც კი გა-
მოძრებოდა ხოლმე. ზაქარიას ფერმკრთალი და მოზეიმე შვილი
დეთის რისხეის ნიმნად თითს გაუწვდიდა და მქეჩარე ხმით ეტ-
ყოდა:

— მკელელო! მკელელო! მკელელო!

ხდებოდა უარესიც. როცა პეროდეს იქსოს საქმეები უთხრეს,
სასოწარკვეთილმა შეფერ შესძახა:

— ვიცი, ვინც არის ...ქსა ითანე, რომელსაც თავი მოეკეთე-
ახლა ის მკედრეთით აღდგა, სამარიდან ამოეიდა და სასწაულებს

ახდენს! („ესე არს იოანე ნათლის-მცემელი. იგი აღდგომილ ასე
მძვდრეობით და მისთვის იქმნებიან ძალი კუნ მისთანაური (მათ 14, 1 — 12; მარკოზი, 6, 14 — 29; ლუკა, 9, 7 — 9). პირველი დროისა



რაფაელი. „შე ვარ იესო ნაზარეველი, რომელსა შენ მდევრი“.

* სალომეს სახელით ცნობილია სამი ბიბლიური ქალი: 1. ჰეროდე დიდის და, ჰყავდა სამი ქარის: იოსები, კოსტობარი და ოლესის. პირველს ჰეროდეს ცოლთან მარიამნასთან კავშირი დაბრულდა, მეოუმ თრივე სიკვდილით დასახა. კოსტობარს გაეყარა და ისიც სიკვდილით დასაჭა. მესამეს უღალატა. 9 წ. ძ. წ. სიკვდილით დასახა შეიღება ოლექსანდრე და ორისტობელი; 2. ჰეროდე ონტიპას და ჰეროდიაზეს ასული, ცეკვით რომ იოანეს თავი მოაპოვა პრინცის სახით; 3. გალილეელი ქალი, ზემდეგს ცოლი, მოციქულთა — იოანეს და იაკობის დედა. კველგან თან დაპყვებოდა იესოს, სხვა ქალებთან ერთად, და სოხოვა, ცად ამაღლების შემდეგ ერთი ჩემი შეილი მარგვნივ მოისი, შეორე მარცხნივო, რითაც სხვა მოციქულები აღაშფოთა. აღდგომის შემდეგ სალომეს და მარიამ მაგდალინელს მაცხოვარი სხვანე უმაღ გამოიცადა.

პერი და თევზე: სერობა უძაბონები

და მიგაღო ხუთი იგი პერი და ორი თევზი და აღიშილნა ზეცად და აკერთხა და დამისესრა პერი იყი და მიქაცემდა მოწიაფეთა თვისთა, რათა დაუკუნ მათ (გაანაწილონ), და ორი იგი თევზი ვერეფვე განუყო ყოველთა.

და მშპამეს ყოველთა და განპატიჲს, და აღიღეს ნერტი ნამუსრევი ათორმეტი გოლორი სავსებით და თევზიდა მისეანცა.

და იყვნეს რაოდენთა იგი მშპამეს, ვითარ სეთ-ათას კაცი.

და მეცესერულად აიძულა მოწაფეთა შესლებად ნაუსა, რათა წინა-წარუძლევს მას წიაღერის ზღვასა მას ბედსაიდათ, ვიღრემდე განუტეოს მან ერი იგი... და აღიღდა მთასა ლოცვად.

მარჯოში, 6, 41-46.



ხლა დავუბრუნდეთ ჩვენს მოციქულებს, რომელნიც მირონცხებულმა წყვილ-წყვილად დაგზავნა ქვეყნის ყველა მხარეში საგანგებო დავალებით*. მათ გაიგეს ნათლისმცემლის სავალალო აღსასრული და, რაღა თქმა უნდა, საჩქაროდ უკან დაბრუნდნენ.

* შეითხველს შევასენებთ, რომ ოთხივე სახარება ერთსა და იმავე აშჩავს — ქრისტეს ქრისტებას — მოვეოთსრობს, შეგრამ თუ ათვან ერთომეორეს ხედებიან, ოცგან სცილდებიან, თანმიმდევრობაც არაა მეღამ ერთოაინია. კარტინალი ტაქსილი ღვთისშეტყველების ღრმა ცოდნით აღწევს იმის, რომ ამ აღრეულ-განმეორებულ-განსხვავებულ წიგნებს ერთ შანაარსში აქცევს, რაც, ცხადია, ხშირად აიძულებს უკან დაბრუნდეს, შეცვალოს თანმიმდევრობა და *

— ღმერთო მაღალი! მოძღვარო! ისეთი საშინელი ამბავი ცვი...
თხრეს, რომ...

— რა გაიგეთ კიდევ ასეთი?

— საქმე ცუდადაა. როგორც ეტყობა, შენი ნათესავი ითანე
წინაპრემიერი გაისტუმრეს. ამბობენ, თავი მოქავეთესო.

— ეს ვიცი. ასრულდეს ნება უფლისა!

— უფლა ვინა ჭიათავეს? უფლის ნება კი არ ასრულდა, არა-
შედ შადამ ქრისტიანები, თუ რამე გვესმის.

— ეს შეიძლება. მაგრამ რაკი ქვეყნად არაფერი არ ხდება
ღვთის ნება-სურეილის გარეშე, ამიტომ ითანეს თავის მოქვეთაც
მხოლოდ ჩემი ციური მამის ნებით მოხდა.

— შენი ციური მშობელი ჯრ მოექცა ლამაზად თავისი შვი-
ლის ნათლიას! რას გადავეიდა?

— უფლის ნება მიუწვდომელია.

ასეთი ახსნა, ცხადია, ცუდი ნეგეში იყო. მოციქულებმა ჰკი-
თხეს, ხომ არ ემჯობინება დროებით საღმე თავი შევაფაროთ?

— მომითმინეთ, ჩემი მედის საათს. უნდა დაეხედო, — მიუგო
ცესომ.

ცოტა მოგვიანებით კი დაუშატა:

— არა, ჩემი საათი ჯერ არ დამდგარა. უნდა გადავიმაღო!

წინდა ძმობამ უახლოეს ნაერადგურს შიაშვილ, ნაფში ჩაჯდა
და ტიბერიადის ზღვა-ტბის ჩრდილოეთ სანაპიროშე გადავიდა.

ჩვენი მოგზაურები ბეთსაიდის მახლიობლად გადასხდნენ. ეს
აღილი ეკვე ცნობილი იყო თევზჭერის სახწაულით. ეს სოფელი იმ
შიწა-წყალშე მდებარეობდა, რომელსაც ქეროდეს ძმა ფილიძე გა-
ნაგებდა. ერთი წლის წინ ამ სოფელ-დაბას ქაღაქი ეწოდა. მაშინ
ტეტრარქის ბრძანებით სახლიც კი გამოუცვალეს: იმპერატორი აფ-
განესტუსის ასულის სამებლად ბეთსაიდს იულია ეწოდა*.

ახალგაზრდა ქალაქის გარშემო ველები იყო გადაშლილი, აღმო-
სავლეთით ამ უდაბურ ველებს ესაზღვრებოდა მათებრ მუირი და
უნაყოფო გორაკები, ისეთივე გადატიტვლებულნი და და სევდეს მომ-
გვრელნი, როგორც დღეს, სწორედ აქ ფიქრობდა იქსო შესვენებას
და საიმედო მყუდროების პოვნას.

* ცხალია, ფალიპეს აბარძანებელში ვერ იქნებოდა სამედო თავშე-
საფარი იქსოს და მისი შიწალეებისათვის. ვინც ძმას ცოლა დაუთმო,
ხიზებსაც იოლად დაუთმობდა.

მაგრამ სიშვიდე ბედის წიგნში არ ეწერა არსალ არასოდეს უკარავა
მიუხედავად იმისა, რომ დიადი მეურნალი წყნარად და შეუძინებოდა
ლად მიმოღიოდა, არ ხმაურობდა და რაც შეიძლებოდა უბრალიდ
ეჭირა თავი, მეოვეზეებმა მისი ნავის იალქანი შორითვე შეამჩნეს
და ხალხი გააფრთხილეს. მორწმუნები ბრძობად მოაწყდნენ ნა-
პირს და ცდილობდნენ იალქანი მხედველობიდან არ გაეშეათ.
ორჩომელი ნელა მიცურავდა, ამინდი არ იყო ხელსაყრელი,
ბრძომ გაუსწრო, და როცა იქსო ნაპირზე გადმოვიდა, იმდენი ხალ-
ხი დახვდა, რამდენიც არასოდეს არ ენახა არც კაპერნაუმში, არც
ნაინში*.

ეს მოხდა პახქის დღესასწაულზე. ყოველი მხრიდან მოაწყდა
იქარინბას მიმღოცველთა ბრძო. შირიდან ცნობისმოყვარეთა მოე-
ლი ქარავნები მოეშურებოდნენ. მამა ზებედემ რომ გაიგო, ჩემი
შვილები და იქსო ქრისტე ჩამოდიანო, სიხარულით ცას ეწია, მე-
რე მიწაზე დაბრუნდა და გელანთებული მოუწოდებდა ყველას,
ღირსეულად დახვდითო.

— თეითონვე ნახავთ ჩემი შვილების მოძღვარს, იქსოს, —
უქადაგებდა გამოღელ-გამომვლელს. — ოჲ, რომ იცოდეთ, რა ღო-
ნისა და ზემთაგონების პატრინია! მე მოგახსენებთ აგერ! ერთხელ
ისეთი უქმური ამინდი იდგა, ხათვეზაოდ რომელი გაგებული კაცი
გავიდოდა, — მე, როგორც ბებერ მგელს, მაღლობა ღმერთს, ამ
საქმისა გამეგება, — იმან კი ერთ დილას ორი ნავი სავსე თევზა
დაქირა! ღმერთმანი, ეს იყო გაუგონარი სასწაული! ცეკვენ ოლ-
ონდ უთხარით, იმდენ სასწაულს მოახდენს, რამდენიც გინდათ. ასი
სასწაული ითხოვთ — ასს მოახდენს, ათასი გინდათ — ათასა!

ასეთი აგიტაციის წყალობით ბეოსაიდ-იულის მოსახლეობამ
იქსოს საკადრისი შეხვედრა მოუწიო.

— რაბი! მოძღვარო! დამრიგებელო! — უხმიბდა ხალხი ყოვე-
ლი მხრიდან. — გვიჩვენე სასწაული! სასწაული გვინდა!

— მომითმინეთ, ახლა არა! — მიუკო მირონცხებულმა. — სა-
სწაულების ბოროტად გამოყენება არ ვარგა, ხანახობა გინდათ?
სხვა დროს.

— გთხოვთ! გვედრებით! სასწაული! სასწაული!

— შემიწყალენით! მე დავიდალე...

* სუსტ თარემანში შეცდომით წერია „ნამ“ (ამ დაბას დღეს „ნა-
მის“ ეძახია).

- სასწაულები არა გღლის! სასწაულის მოხდენა, შენთვის რა არის? ერთი გადაფურთხება! სასწაული! სასწაული! პირებითია არა
— გთხოვთ! გვედრებით! სასწაული! სასწაული!
— მაცალეთ, ერთი თავისუფლად ამოვისუნობრივ, თავი გავიმარტოხელ!
- სასწაული! მოხდენ თუ არა სასწაულს?

იქსომ ჯავრით მართლა გადააფურთხა და მოციქულების თანხლებით მახლობელ გორაკებს მიაშერა. მაგრამ ჯიუტი ბეთსაიდელები და არა ნაკლებ ჯიუტი მიმღლოცველები არ ეშვებოდნენ, არ ცხრებოდნენ, უკან აედევნენ. იქსო ავიდა ჯერ ერთ გორაკშე, შერე მეორეშე, მესამეშე; ეს ხალხი კედმი დასდევდა, წეთსაც არ ისვენებდნენ, ნაბიჯითაც არ ჩამორჩიბოდნენ.

მაშინ სასწაულის მაგიერ საკუთარი გონების ნაყოფით, გრძელი ქადაგებით გაუმასპინძლდა.

იქსომ მშევრმეტყველი იყო, რომ მსმენელებს სულ დაავიწყდათ, რისთვის გამოძყნენ ამ უდაბნოში ასე შორს. სიტყვა კი უსასრულოდ გრძელდებოდა. მთელი დღე ლაპარაკობდა და ერთსაც არავის უფიქრია სადილად მაინც შინ დაბრუნებაზე.

არც ორატორს გახსენებია დასვენება ან ყელის ჩასველება გამაგრილებელი წყლით, — ეტყობა, მის ღვთაებრივ ყელს სიმშრალე არ ეკარებოდა. დაამთავრა და დღეც დასრულდა. მზე ჩაესვენა და გორაკებზე დაისის ბინდი ჩამოწეა.

მხოლოდ მაშინ იზრუნეს ქრისტეს მოწაფებმა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ჯანმრთელობაზე. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ზრუნვა ხალხის კუჭისათვის, რომელიც მშრალებლებს ხშირად ავიწყდებოდათ, თემცა საკუთარი კუჭი პირველად ახსენდებათ.

— ჩვენც ერთი! — ბუზღუნებდნენ მოციქულები. — საითაც გაიხედავ, უდაბნოა, ამ კეთილ ხალხს ჩვენი გულისათვის მიუტოვებია სახლი და კარი, წამოსულა, რომ ღვთის სიტყვა ისმინოს, ჩვენც გავაძით ფეიქრის ქსელი ამ ცარიელ-ტარიელ უდაბნოში, ჯადაგებთ ათას სისულელეს და ისიც კი აღარ ვიცით, რა გაჭამოთ ამ დამშეულ ხალხს!

— სხვამ იყითხოს, თორემ ჩემთვის ეს პრობლემა არაა! — შენიშნა ჩირონცხებულმა. — იყიდეთ პური და მიეცით ხალხს.

— ვიყიდოთ? ერთი ესეც გვიძრძანე, მოწყალეო, სად ვიყიდოთ? ან რა გვაძადია? არც ჯიბებში მოგვებოვება რამე და არც 812

— მერე რა! როგორ იქნება, რომ ამდენ მომღლოცელების სადაც
ჩვერებში და ჩანთებში ლუკმა პური არ მოეძებნებოდეს?

ანდრია კლდის ნაპრალზე გადაძვრა და ხალხს მიმართა:

— პატივცემულო მსმენელებო! პურის ნამცეცი თუ მოგეპო-
ვებათ ვინმეს?

პატარა ყმაწვილი მიჭი გამოვიდა წინ და თქვა:

— მე მაქვეს ხუთი პური და ორი თვეზი.

— ო, ბედმა გავვიღიმა! — შესძახა იქსომი.

— შენა გგონია ეს ეყოფა ამ ზღვა ხალხს? — ირონიულად
პეითხა ანდრიამ

— მაინც დაურიგეთ და რაც გადარჩეს, მე მომიტანეთ.

ანდრია თავის მოძღვარს ცუდად იცნობდა.

„და უბრძანა ერსა მას დასხდომა თივასა ზედა და მოიღო ხუ-
თი იგი პური და ორი თვეზი, აღიზილნა ზეცად და აკურთხა“,
შემდეგ კი პური მოწაფეებს მისცა, მოწაფეებმაც ხალხს ჩამოური-
გეს. იქსოს ბრძანებით ერი ჯგუფ-ჯგუფად იჯდა, ყოველ ჯგუფში
ორმოცდაათი კაცი იყო. გადააწოდებდნენ პურის ნატეს მეზო-
ბელს, ის კიდევ თავის მეზობელს მოუტეხდა, და წარმოიდგინეთ,
იქსოს ხელიდან გამოსული პური მთელს უდაბნოს გადასწედა. ანე-
ვე გამრავლდა ორი ღერი თვეზი. მაშინ, როცა თითქოს აღარაფე-
რი რჩებოდა, მაინც რაღაცა რჩებოდა. ასე განაგრძობდა არაფრის
დარიგებას და ეს არაფერი იქცეოდა ყველაფრად. ეს სურათი
გრძელდებოდა მანამ, სანამ მთელი ერი არ გაძლა და ერთხამად არ
შესძახეს:

— კმარა! გვეყოფა! აღარ შეგვიძლია!

ამგვარად, ამ შეაგულ უდაბნოში „პსტამეს ყოველთა და განპსძ-
ლეს... ხოლო იყვნეს, რომელთა იგი პსტამეს, მამანი, ხოლო ხუთ
ათას, თვინიერ ყრმებისა და დედებისა“ მოკლედ, ხუთი ათას

* მოწაფეები ქრისტეს გარევევით ურჩევენ: „უდაბნო ას აღგილი
ეს და უამი გარდასულ არს. გამუტევე ერი ესე, რათა წარვიდენ გარე-
მო დაბნებსა და იყილონ თავისისა საზრდელი. ხოლო იქსო პრევა
მათ: არა უხაშს შეთ წარსვლა, თქვენ ეცით მაგათ ჰამალი“ (მათე, 14,
15—16).

კაცს, და ერთ ამდენს კიდევ ქალებსა და ბავშვებს ეყოთ ხუთი ფრანგი
თუშა პერი და ორი ცალი თევზი.

ამის მიუხედავად, მთელი ამ ზნეობრივი ნიჭის მიუხედავად,
ისიმ დაამტკიცა ისიც, რომ ფუძეად არაფერს ფლანგავს, მომჭირ-
ნეა და წინდახედული. მისი ბრძანებით ნარჩენები მოაგროვეს და
სრული თორმეტი გოდორი საჟსე ხორავი აღმოჩნდა.

კიდევ კარგი, უაღვილოდ სასწაულებს არ ახდენდა, თორემ ასე
უდაბნოში მუქთი კვებით ხალხს გაანებივრებდა და პირუტყვს დაა-
მსგავსებდა.

შემდევ ბეთსაიდ-იულიას მცხოვრებლები თავთავიანთ სახლებ-
ში გაემართნენ და უკვე კარგა ხნის დაღამებულზე მიაღწიეს ქა-
ლაქს, მინ დარჩენილების სასიხარულოდ, რომელთაც ამ მოულოდ-
ნელმა ემიგრაციამ მოსვენება დაუკარგა.

ჯერ ერთი, მთელი ქალაქის მოსახლეობა, ქალი, კაცი და ბავ-
შვი რომ ადგეს და სადღაც უდაბნოში გაქცევს მქადაგებელს, ისე
რომ საგზლად ლუკმა პერიც არ წაიღოს, — თავისთვის სასწაუ-
ლია. ხომ შეეძლოთ ქადაგება ქალაქშივე მოესმინათ!

მეორეც, წარმოიდგინეთ ამოდენა ხალხი, ხუთი ათასი ჯანმაგა-
რი მამაკაცი, რომელსაც დაზარებია შოთი პურის წალება, მაგრამ
თან წაუდია თორმეტი უშველებელი გოდორი! ხომ ვერ იტყვით,
რისთვის უნდოდათ? უთუოდ თივის მოსაზიდად! განა ეს სასწაული
არაა?

ასეთია ზოგადად ხუთი ფუნთუშა პერისა და ორი დამარილებუ-
ლი თევზის გამრავლების ამბავი. როგორც ჩანს, ეს კიდევ უფრო
დიდი სასწაულია, ვიდრე მორწმუნები ფიქრობენ (ჩათე, თ. 14;
მარკოზი, თ. 6; ლუკა, თ. 9; იოანე, თ. 6, 1—15).

უახლო ზღვაზე გასეიჩნეა

და კითარცა შექმნილდა, იყო ნავი იყო შეაოდენ ზღვასა მას, და იყო თავადი მარტი ქვეყნასა (მოუიტელებ ზღვაში გავიდნენ, იქმ მოაში ღოლილობდა).

და იმილნა იყონი, რაშეუკიდეს სლევასა მის ნავისას, რამეთუ იყო ჭრი იყო პირით ქრისტ მათხა. და შეოთხება ხახმილავსა ღამისახა (ღამის შეოთხე გვემავისას გამს) შევიდა იქმ სლევით ზღვას ზედა, და უნდა თანა-წარსლვად მათგან.

ხოლო მით, კითარცა იხალეს იყი, ვაღილდა რა ზღვასა ზედა, ქერძებდეს, კითარმედ ხა-ოუარ რამე ირჩ, და ღაღად-ქვეებ.

რამეთუ უაკედთა იმილებ და შეხმრწუნდეს, და ნერებერდად ეტუდა მით და პრეკა მეღ-პურობელ იყვენით, მე ვარ, წუ გეშინინ
და აღვიდა მით თანა ნავსა და დასქერდა ჭრი იყი, და ემეტესად დაუფირდებოდა მიწალეთა მისთა.

მარჯოში, 6, 47-51.



ე მეონია აღარავის გაუკვირდებოდა, თუ ასეთი სასწაულის შემდეგ, როცა იქსომ ათასობით აღაშიანს ედაბნოში საშრდო გაუჩინა, ბეთსაიდელები მაცხოვარს ხელს ჩაავლებდნენ და მეუედ დახვამდნენ. ასე-

თი განზრახვა კი ნამდვილად პეტონდათ და ის სრულიად ღოლი-
კურია. ბეთსაიდელები გარაუდობდნენ, რომ თუ ასეთი უკველის მა-
შემძლე მეცე ეყოლებოდათ, ყველა მტერს დაჩაგრავდნენ, ჩაირკვე-
რიგმი კი რომაელთა ლეგიონებს განდევნიდნენ, მეავე კომბოს-
ტოსავით რომ ჩაამუავეს იუდეა, აღარ წავიდნენ და სიცოცხლე
გაუმწარეს ხალსს. იუდეაში ხომ ლეგიონი საწყვეარ და საზარელ
სიტყვად მიაჩინდათ!

შაგრამ ასეთი პერსპექტივა სულაც არ უღიმოდა მოარედ
სიტყვას. ჯერ ერთი, ის ქვეყნიერების მეცე იყო და არა მარტო
ბეთსაიდელებისა. მერე, ციურმა მეუფემ ედაბნოს გორაკი იმისა-
თვის აირჩია კათედრად, რომ იქიდან თავისი მჭერმეტყველების
ნაკადით ახალ სარწმუნოებაზე მოექცია ხალხი და არა იმისათვის,
რომ მთავარსარდლის კვერთხი მიეღო, რათა საეჭვო სამხედრო
წამოწყებას ჩასდგომოდა სათავეში, ერთი მუჭა მეამბოხეთა ლაშ-
ქრით შებმოდა რომის იმპერიატორებს, რომელთაც ვერ მოერია
თვით ჰანიბალი.

როცა ბეთსაიდელთა სურვილი აუწყეს, იესომ გადაჭრით
განაცხადა უარი:

— არა და არა! — შესძახა მყისვე. — არავითარი გვირვეინი
არ მესაჭიროება! მომასვენეთ, მე ჩემი საქმე მაქვს. ყრუ-მუნჯები
უნდა განკურნო, ბნედიანნი და ბორგნეულნი მოვარჩინო, კაცთა
ტკივილებს ვემკურნალო. სხვა ჩემთვის ყოველივე ამაოებაა

შაგრამ მოციქულები სხვა აზრისა იყვნენ. დიდებას დაეჭებდ-
ნენ და ბეთსაიდელების მეომრული სულისკეთება ხელს აძლევ-
დათ. ასეთი სარდლის ხელში ვის არ დაამარცხებ, რას არ დაე-
პატრონები! ამიტომ ცდა არ დააკლეს, იქნებ გადმოვიბირთოთ.

— უფალო, — ეუბნებოდნენ, — თუ სათავეში ჩაუდგები ამ-
ბოხებას, რაც დიდი ხანია მომწიფდა, უსათუოდ გავიმარჯვებთ.
ჩვენ ვაჩვენებთ იმ რომაელებს, რა შეუძლია მაცხოვრის არმიას აი,
ნახავ.

— ვნახავ და რას ვნახავ! — გაწყრა მირონცხებული. — ჩვენს
წინააღმდეგ გამოვლენ არა მარტო რომის ლეგიონები, არამედ პე-
როლეს ჯარებიც და სინედრიონიც!

— მერე რა მოხდა? შენ ხომ ღმერთის შვილი ხარ, რა ეშმა-
კის გეშინია? ერთი შენი სიტყვა საკმარისია, რომ მოწინააღმდეგი
მტკრად აქციო, რაოდენ რიცხვმრავალიც არ უნდა იყოს.

— შეიძლება, მაგრამ აჯანყების მოწყობა და ჯარების წინა-
მძღოლობა ჩემს მისიაში არ შედის.

— მაგრამ ზოგი ჩენც მოგვისმინე, მოძღვარო...

— არავითარი „მაგრამ“! თვითონ ვიცი, რა უნდა გავაკეთო.
რავი თქვენს წინამძღოლად მაღიარეთ, კეთილი ინებეთ და და-
შემორჩილეთ! ბრმა მორჩილება — ქრისტიანთა პირველი სათოე-
ბაა. ამიტომ ახლავე გემზე ადით და კაპერნაუმში გაემურეთ
გთხოვთ, სიტყვას ნულარ შემომიბრუნებთ.

მოციქულებმა თავები დახარეს, როგორც ადამიანებმა, რო-
ცელთაც უცებ ტახტი და დიდება დაკარგეს. როცა მათი ნავი
თვალს მიეფარა, იქსომ მის მოსასმენად თავმოყრილი ხალხი
გაისტუმრა, თვითონ კი ღამის ბინდით ისარგებლა და მთას მია-
შურა. ძლივს მარტო დარჩა!

ამასობაში იორდანის ხეობაში ღრუბელი წვებოდა. ღამით
აშინდი შეიცვალა. იქვე და იქვე. ტიბერიადის ტბაზე აზვირ-
თებულმა ტალღებმა ნავი შეათამაშეს და ისე დაატრიალეს, რო-
გორც ნაფოტი მორევში. ნავში წყალი შევიდა, დაძძიმდა. მოცი-
ქულების მდგომარეობა უნეგეშო იყო, მით უმეტეს რომ მათი მო-
ძღვარი მთაში ლოცვულობდა, შემწე და მფარველი თან არ ახ-
ლდათ.

მოწალეები ბედს იწყევლიდნენ. ცდას არ აკლებდნენ, მაგრამ
თავს იქით ლონე არ იყო. ქარიშხალი სულ უფრო და ეფრო
ძლიერდებოდა. ტალღების ძალა და სიმაღლე მატელობდა, ორ-
ჩხომელმა მიმართულება დაკარგა და სტიქის ტყვეობაში ჩა-
ვარდა.

ღამის ოთხ საათზე ჯერ კიდევ შეაგულ ზღვაში იყვნენ და
საფრთხე კი სულ უფრო იშრდებოდა. ახლა აღარავის ეჭვევებოდა.
რომ დაღუპვა არ ასცდებოდათ.

უცრად მოციქულებმა შორიახლო მომავალი კაცი შეამჩი-
ნიეს. წყნარად მოდიოდა ტალღებზე, ვითომ ველი იყო. ფიცით
იტყოდით, რომ მყარ მიწაზე დასეირნობსო ე კაცისა, ისე მტკი-
ცედ და დაჯერებულად მოაბიჯებდა ტალღიდან ტალღამდე.
ქიტონის კალთები ტალღებზე ირხეოდნენ. თან ნათლის სვეტი
მოპყვებოდა, თავზე შარავანდედი ადგა. ეს იყო იქსო.

საგანთა ლოგიკის მიხედვით, მოციქულებს უნდა გახარებო-
დათ ფრიად, რომ მათი მხსნელი მოდიოდა განსაცდელის ფამს.

არა! შიშით გულგახეთქილებმა ყვირილი და გოდება მორთეს.
„საოცარ რამე არსო“, ეგონათ, „და ღაღადყვეს... და შესტრუნკა
დეს“. ვის არ შეეშინდებოდა!

— შეწყვიტეთ გოდება, სულელნო! — შესძახა მიროცხებულ-
ზა. — ეს მე ვარ.

— არა, ის არ არის! — ღაიკვნესეს მოციქულებმა. — ეს
აჩრდილია!

— გეუბნებით, მე ვარ, თქვენი მოძღვარი!

პირველად სიმონ-პეტრემ გაბედა დაჯერება.

— უფალო! — ძლიეს მოიბრუნა ენა მთავარმა მოციქულმა. —
თუ ეს ნამდვილად შენა ხარ, „მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალ-
თა ამათ ზედა“.

— მოდი, პეტრე, თუ ასე გინდა.

— მერე გარანტიას მომცემ, რომ არ ჩავიძირები?

— პატიოსან სიტყვას გაძლევ!

პეტრემ თამამად გადაბიჯა ნავის ქიმშე, წყალზე დადგა და
ფრთხილად გაემართა მირონცხებულისაკენ. გულის სიღრმეში
დიახაც ეშინოდა, ვაი თუ ამ მერწევმა გუამ მიმუხროს და სა-
ხიფათო ხუმრობა ძვირად დამისვასო. მაგრამ პირველად ყველა-
ფერი კარგად წარიმართა. პირველი ძე-ხორციელი თავისულად
მიძიჯებდა წყალთა ზედაპირზე, მხოლოდ წვრილი შხეფები
ცვიოდა. მაგრამ ანაზღაული დაქწროლა ნიაგერმა და ვაი ამ დღეს!
მოციქულმა იქ დააბიჯა, სადაც წყლის ზედაპირი გაიპო, შეტორ-
ტმანდა და ნელნელა ჩაიძირა. როცა წყალი მუხლამდე მოადგა;
პეტრეს ფერი წაუვიდა, თავის გადარჩენაზე დაიწყო გადაჭრით
ზრუნვა.

— მოძღვარო! მოძღვარო! — გაისმა მისი გოდება უცხო ხმა-
ზე. — მისხენი, ვიხრჩიბი!

— მხოლოდ გეჩვენება, — მიუგო ქრისტემ, ტალღების თხემ-
ზე რომ იდგა ლაღად და მეფურად, წყნარად იცავდა წონასწო-
რობას. — აი, შემომხედე, რა მტკიცედ ვდგავარ!

პეტრეს მასწავლებლის გადაკრული ლაპარაკის თავი აღარა
ქეონდა, ისევ ისე უმშეო ხმით განაგრძო:

— არა, მოძღვარო, სულაც არ გხედავ, არც რა მეჩვენება!
შეიძლება შენთვის ეს სითხე საკმაოდ მაგარია, რადგან ღმერთი
ხარ, ჩემთვის კი, ხომ ხედავ... მე ხომ უბრალო მოციქული ვარ...

ო, უფალო, მიშველე, თორემ წყალი ჭიბამდეა! ამომიყვანე, ღვთის
გულისათვის, გვედრები... რა ეშმაკისათვის გამომიტყუე აშ სულ
ნიადაგზე ჩემი ნავიდან! რა უაზრო ხუმრობაა! მიშველე, ძრიტო
ჩემი!

იქსომ ბოლოს და, ბოლოს შეიბრალა უბედური პეტრე, რომე-
ლიც ნახევრად ჩაძირული იყო და დაჭრილი იხვივით ფართხა-
ლებდა ტალღებში. ნავში გაიყვანა და დატექსა კიდეც:

— სუსტად მდწამე, ჩემო ძველო მეგობარო! გულში რომ ჩემ-
ზე ეჭვი არ შეგპარვოდა, ბანაობა არ მოგიხდებოდა. თავს დააბ-
რალე, სუსტად მორწმუნეო!

ახალ აღთქმაში ეს ეპიზოდი ასეა აღწერილი: „მიუგო პეტ-
რე და პრევა მას: უფალო! უკეთე შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად
შენდა წყალთა ამათ ზედა.

ხოლო მან პრევა : მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით და
ვიდოდა წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა იქსოსა.

და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დან-
თქმად, ღაღად-ჰყო და თქვა: უფალო, მისენ მე!

და მეყვეულად განპყო ხელი იქსო, უპყრა მას და პრევა:
მცირედ მორწმუნეო, რასა შეორგულდი?“ (მათე, 14; 28—31).

იქსო და პეტრე ხელიხელჩაკიდებულნი მივიღნენ ნავთან.

როგორც კი იქსომ ნავში ფეხი შედგა, ქარი ჩადგა და მაშინ-
ვე დანიმულების ადგილზე აღმოჩნდნენ (მათე, 14; მარკოზი, 6;
იოანე, 6).

ამჯერად მოციქულები აღარ შეორგულებულან, სამუდამოდ
იწამეს მაცხოვარი, ფეხევეშ ჩაუვარდნენ თავიანთ მხსნელს და შექ-
დაღადეს:

— შენ თუ მარტო წინასწარმეტყველი იყო, აქვე გავთავდეთ
ყველანი! ჭეშმარიტად, შენ ღვთის შვილი ხარ! („რამეთე შენ ხარ
ქრისტე, რე ღმრთისა ცხოველისა“).

განდევნება და ლაპრენება გალილეაზი

ქრემები მას: უფალის მარალის მიმეც ჩვენ
ბური ესე!

ქრემები მათ იქსო: ჩე ვარ პუნა ცხეორე-
ბისა; რომელი მოვიდეს ჩემდა, არა ქმით-
დეს, და რომელსა ქრწმენეს ჩემი, არა საღა
სტერიდეს.

არამედ გარჩევი თქვენ, კითარმედ მიხილეთ
ჩე, და არა ცრუამს.

და ფაველი, რომელი მიმეცა ჩე მამაშან ჩე-
ვანი, ჩემდა მოვიდეს; და რომელი მიმეცეს
ჩემდა, არა განვაძო ვარუ.

რამეთუ გარდამოვამხედ ზეცით, არა რათა
ვაჟი ნება ჩემი, არამედ ნება მიმავლინებე-
ლისა ჩემისა მამისა.

ითარე, 6, 34-38.



აფიდა სრული ოცდაოთხი საათი და იე-
სო ქრისტე შეკვ კაპერნაუმის სინაკოგაში
ქადაგებდა. ტაძარი ხალხით იყო გაჭედი-
ლი. ადგილობრივი მცხოვრებლების გარდა
აქ იყვნენ ბეთსაიდელებიც. როგორც კი
გაიგეს, ორჩხომელი ზღვაში გავიდა, მოძღვარი კი შიგ არ იჯდაო,
მყისვე მთასა და ველს მიაშურეს, რომ იქსო ეპოვათ და თავთავიან-
თი სნეულები მოერჩინათ. ხურო-მოძღვარი რომ ვერსად ნახეს,
ბეთსაიდელები საგონებელში ჩავარდნენ, შაგრამ დიდი ხნით კი
არა.

იმ ეპოქაში არც ტელეგრაფი არსებობდა, არც ტელეფონი. მაგ-
რამ თუ სახარებას ვერწმუნებით, უნდა დავიკეროთ, რომ ტელე-
ფონი მაინც ჩავავ არსებობდა, თორემ მაშ როგორ მოხდა, რომ ბეთ-
საიდელებმა იმავე დღეს გაიგეს, იქსო ზღვაში ფეხით გასულა, კა-
320



1950-1951
1951-1952













Digitized by
Digitized by
Digitized by



















პერნაუშში ჩასულა და იქ ქადაგებსო, და იმავე დღეს თვითონაც მოასწრეს კაპერნაუშში ჩასვლა, ქადაგებაც არ გაუცდენიათ!

ასეა თუ ისე, უდაბნოში მოწყობილი საოცარი სერობის შეზღუბი, მეორე დღესვე, მთელი ბეთსაიდი და კაპერნაუში ერთად ისმენდა იმ გამაბედნიერებელ სიტყვას, რომლის საიდუმლოება მხოლოდ ქრისტემ იცოდა. სიტყვა სიხოვეს და უასს როგორ ეტყოდა!

მაგრამ როცა ლექტიის შემდეგ ხალხმა სთხოვა, ვეშინდელი სა-სწაული გაიმეორეო, ვ. ი. პურისა და თევზის სასწაული, იქსომ შორს დაიჭირა. ცირკის ჯამბაზი კი არ არის, რომ ყოველდღე ერთი და იგივე სანახაობა იმეოროს! ხალხი მაინც თავისას ითხოვდა და საქმე კინაღამ ცუდად დამთავრდა. ჯერ იმით დაიწყო, რომ ჰქითხეს: როდის მოხვედი აქო?

„მიუგო იქსო და პრევა მათ: ამინ, ამინ გეტყვი თქვენ: მეძიებთ მე არა თუ, რამეთუ იხილენით სასწაულნი, არამედ რამეთუ პსკამეთ პურთა მათგან და განკსლენით... არა მოსე მოგვა თქვენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგვა თქვენ პური ჭეშმარიტი ზეცით... მე ვარ პური ცხოვრებისა, რამეთუ გარდამოვახედ ზეცით“.

ამის გამგონე ხალხი საგონებელში ჩავარდა: „ჰსლრტვინვიდას მისთვის ურიანი იგი, რამეთუ პრევა: მე ვარ პური იგი, რომელი ზეცით გარდამოვახედ! და იტყოდეს: არა ესე არსა იქსო, მე იოსებისი, რომლისა მამა და დედა ჩვენ ვიცით? ვითარ უავე იტყვის ესე, ვითარმედ ზეცით გარდამოვახედ?“

ამრიგად, ურიანი ისევ ძველ პანგზე მღერიან: იოსების და მარიამის შეილი თავს ცით მოვლენილად ასაღებსო! ვერანაირად ვერ შერიგებოდნენ ამ აზრს იუდეველნი. იქსომ კი უარესად აღაშფოთა დაუჭვებულნი: „პური, რომელი მე მივასცე, ხორცი ჩემი არს... და ილალვიდეს ურთიერთარს ურიანი (დავობდნენ) იგი და იტყოდეს: ვითარმედ ხელეწიფების ამას მოცემად ჩვენდა ხორცი თვისი ჭამად?“ იქსო კი განაგრძობდა:

— „უკეთუ არა ჸსჭამოთ ხორცი ძისა გაცისა (იქსოსი) და ჸსვათ სისხლი მისი, არა გაქვნდეს ცხოვრება თავთა შორის თქვენთა... რამეთუ ხორცი ჩემი ჭეშმარიტ საქმელ არს და სისხლი ჩემი ჭეშმარიტ სასმელ არს“. რა გიკვირთ? ხომ მოხვედით ჩემთან იმისათვის, რომ ისევ გაგაძლოთ? მე გაგაძლებთ ჩემი სისხლით და ხორცით!



ამის გამგონე შესმენელებს რომ მთელი თავიანთი პატივისცემის
მიუხედავად დრტვინვა დაეწყოთ, რა გასაკვირია?

მაცხოვარი კი, იმის მაგიერ რომ თავისი სიტყვების აზრი აეხს-
ნა, იმავე კილოზე განაგრძობდა:

— გინდათ გასინჯოთ ჩემი სისხლი და ხორცი?

— არაო! — იქუხა ხალხმა.

— მით უარესი თქვენთვის. ორჯერ პატიეს არ დავიწყებ.
თქვენ ნახეთ, როგორ აღვადგუნდი მიცვალებულებს. პოდა, თუ
გსურთ, რომ განსვენების შემდეგ თქვენც აღგადგინოთ, უნდა ჭა-
მოთ ჩემი ხორცი და სვათ ჩემი სისხლი.

ეს კაციჭამიობის ქადაგება მსმენელებს აშკარად არ მოეწონათ.
თვით მოციქულები შეაშფოთა მოძღვრის სიტყვამ, იგრძნეს, რომ
შორს შესტოპა და მოკრძალებით მიმართეს:

— ფიცხელ არს სიტყვა ესე! ვის ხელეშიცების სმენად მისა?

იქსომ ნახა, რომ მისი მოწაფებიც დრტვინავდნენ და უთხრა:
რომ გაჩვენოთ ჩემი ამაღლება იქ, საიდანაც ჩამოვედი?

ამაზე რა უნდა ეპასუხათ? ღმერთი არ ხსნიდა თავის ქარაგ-
მებს. ხალხი დრტვინავდა. პურსა და თევზს ისევ სიაშეწებით მიირ-
ომევდნენ, მაგრამ ძე-ხორციელის ხორცი ვერავის ედვიძებდა მა-
დას*.

— ეს რა, ახალი იგავია? — შესძახა ვიღაცამ, — გადაკრელ
სიტყვას აშპობ?

— სულაც არა! როგორც მოგახსენეთ, „ხორცი ჩემი ჭეშმარიტი
საჭმელი არს... და რომელი სჭამდეს ხორცა ჩემსა, იგი ჩემთანა
დადგრომილა-არს, და მე მისთანა. და ვითარცა მომავლინა მე ცხო-
ველმან მამამან ჩემშან, და მეცა ცხოველ ვარ მამისათანა; და რო-
მელი ჭამდეს ჩემგან, იგიცა ცხონდეს ჩემ მიერ“ (იოანე, 6,
55 — 57).

ეს ჩავთ მეტისმეტი იყო! ყველა შეკრებილი აუდგა და აღშ-
ფოთდა, მათ შორის ქრისტეს მომხრეები და მიმდევრებიც კი, რო-
მელნიც საგანგებოდ მოვიდნენ მის მოსასმენად, რათა მისი მოწა-
ფები გამხდარიყვნენ.

* ადამიანის ხორცის ჭამის ერთადერთი შემთხვევაა შოთხრთბილი
ბიბლიაში, და ისიც სადაცოა. ცხალია, საკუთარი სისხლის და ხორცის
შეთავაზებით (რაშიც იქსო ზიარებას გულისხმობდა) მესია ხალხს აღაშფო-
თვებდა.

— ქმარა! — გაისმა შეძახილები. — რომ ასეთი მქადაგვერდებია
ლი! ეს საძაგლობაა! ეს კაცი შეიმალა!

ცხადია, საწყვენია, რომ სათოვების მოძღვრებაში ასეთი მოუ-
ლოდნელი უხამსობა გაერია და მომხრენი განდრიკა თვითონვე თა-
ვისი აბსურდით. მაგრამ რამდენადაც კაპერნაუმელებსა და ბეთსაი-
დელებს იქსოს დაღუპვა მაინც არ უნდოდათ, იმით დაკმაყოფილ-
დნენ, რომ კაოედრაზე მიატოვეს, ზურგი აქციეს და უერთხებით
წავიდ-წამოვიდნენ, სახლებს მიაშერეს.

„ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი ჟყუნ-იქცეს და
აღარავიდოდეს მისთანაო“, — მელანქოლიურად შენაშნავს ევანგე-
ლისტი იოანე.

იქსოს მხოლოდ თავისი თორმეტი განუყრელი მოციქული შერჩა.

— აბა, რას იტყვით? — მიმართა შათ. — იქნებ თქვენც გინ-
დათ წახვლა?

— არა, გვიანდაა! — მიუგო სიმონ-ქეამ. — ჩვენ ხულ დავივი-
წყეთ ხელობა, რითაც თავს ვირჩენდით, თავისუფალ ცხოვრებას
მივეჩვიდეთ და შენთანვე დავრჩებით. მართალია, თუ ახლა ხორცის შე-
იჭრი და იმით გაგვიმასპინძლდები, შეიძლება გული ავერიოს, მა-
გრამ დროთა განმავლობაში აღბათ ამასაც მივეჩვევთ. ადამიანი
რას არ მიეჩვევა! შენ იმდენი სასწაული გვიჩვენე, რომ ახლა ვე-
ღარაფრით გაგვაოცებ. მოკლედ, ჩვენ გვწამს შენი. აბა დაუფიქრ-
დი, უფალო: „ვისა მივიდეთ ჩვენ? რამეთუ სიტყვა ცხოვრებისა სა-
უკუნოსანი გქონან შენ“. თუ არ გჯერა, კიდევ გაგიმეორებთ ჩვენი
რწმენის სიმბოლოს: „ჩვენ გვრწმენა და გვიცნობიეს, რამეთუ შენ
ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა“!

— მადლობელი ვარ! — მიუგო ქრისტემ. — გმადლობთ, მე-
გობრებო!*

ერთგული თორმეტი მიმდევრის თანხლებით იქსი კაპერნაუმის
სინაგოგიდან გამოვიდა, ქეჩებს გამყენა. გაცბუნებული მოქალაქეები
თვალს აყოლებდნენ და ასე საუბრობდნენ:

— ნეტა, რა საქმეს ეწევიან, მარტონი რომ რჩებიან?

* ეს ტაქსილი სახარების ტექსტილან ღლავ უხვევს. ქრისტემ უშეა-
ლოდ ასე უპასუხა მოციქულებს: „არა მე თი-ორმეტნი გამოვირჩიენა? და
ერთი თქვენგანი ეშვეა არს. ხოლო იტყოდა იტლა სეიმონისა ისკარიო-
ტელსა... რამეთუ ამას ეგულვებოდა მიცემა მისი“ (ეს აპირებდა ქრისტეს
გაცემას).



— ალბათ ფიქრობენ, როგორ გვაჭამონ თავიანთი ჟორულ დღეს
გვახვან სისხლი.

— ესღა გვაკლდა! ჩვენს დროში რომ კაციჭამიობამდე მი-
ხვალ...

— და კაცის სისხლს დალევ!

— როგორ არ ეზიშდებათ?

სრულიად ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევამ იქსოს დიდი ზიანი მიაყენა. მისმა სიტყვამ საგრძნობლად ავნო მის მოძღვრებას. ბო-
ლოს და ბოლოს, თვითონვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გარკვიუ-
ლი დროით ხალხს უნდა გაეცალოს. ამიტომ მალე ქალაქიდან წა-
ვიდა და შემდეგ საერთოდ დატოვა იუდეა. რამდენიმე დღის შემ-
დეგ ეპი ქალაქ ტვიროსში იმყოფებოდა, ქანაანის ძველ მიწაზე
აღარ ედგომებოდა.

სახარება ძალზე თავშევავებულად ლაპარაკობს იქსოს მიმოსვ-
ლაზე წარმართთა შორის. ნათევამია მხოლოდ ერთი რამ: ვიღაც
ქალს დაეჭმარაო, ოღონდ წინასწარ კი ისეთი სიტყვებით გაემას-
პინძლდა, ყურებს დაიცომდით, რადგან მტრედის შვილი ყოველ-
თვის მტრედივით სათონ არ გახლდათ.

ეს დედაკაცი წარმართი იყო, სიროფინიკიული, თავისი ასუ-
ლის განკურნება სოხოვა, ბნედიანისა, ეშმაკი შეუძვრაო საცო-
დავს.

პირველად იქსომ საშინელი სიტლანქე აკადრა: ჩემი სასწაულე-
ბი ძაღლებისათვის არ ხდებაო! მოვუსმინოთ მარკოზს:

„ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ნათესავით ასური ფინი-
კელი ზღვის-კიდით, და ევედრებოდა მას, რათა განხსაღოს ეშმა-
კი იგი ასულისაგან მისისა. ხოლო იქსო პრქვა მას: მაცადე პირ-
ველად განძლებად შვილთა, რამეთუ არა კეთილ-არს მოღებაი
პურისა შვილთაგან, და დაგებად ძაღლთა! ხოლო მან მიუვო და
პრქვა: ეფალო! რამეთუ ძაღლნიცა ტაბლასა ქვეშე ქსჭამედ ნამუს-
რევისაგან შვილთასა. ხოლო იქსო პრქვა მას: მაგის სიტყვისათვის
ვიდოდე; განსრულ-არს ეშმაკი ასულისაგან შენისა“ (7, 26—29).

ეტყობა, იქსო პატივსა სცემდა მახვილ სიტყვას, რაც არ ით-
ქმის მრავალ შურით აღმრულ მწიგნობარზე, თხის ტყავით რომ
აღჭურვილან და აქილევსის ფარად ასაღებენ.

იქსო იმდენად მოიხიბლა მანდიღოსნის მორიდებული პასუხით,

რომ უტიფრული ლაპარაკი შეწყვიტა და ერთი ნამცეცი სასწაული წარმართისათვისაც გაიმეტა, თუმცა სახე ზისღით დაემანქა. გავიდა მცირე ბანი და ყრუ-მუნჯი მოუყვანეს.

თუ მსურველი ხართ გაეცნოთ მკურნალობის ახალ მეთოდს, რაც ამჯერად იქსომ გამოიყენა, დაბეჯითებით გთხოვთ, ნე მოურიდებით ძველი ენის სიძნელეებს და წაიკითხეთ მარკოშის სახარების მე-შვიდე თავი. განსაკუთრებით ექიმებს ვურჩევთ.

მოკლედ კი ასე მოხდა.

იქსომ სნეულს ყურში თითო ჩაუყო, პირში მიაფურთხა და მია-ძახა:

— ეფუაფა! („პნერწყვა და შეახო ენასა მისესა... და პრქვა მას: ეფუაფათა, რომელ-არს „განეხვენით“! და მეუსეულად განეხვენს (გაეხსნა) მას სასმენელნი...“).

მოკლედ, ყრუ-მუნჯს წამიერად დაუბრუნდა სმენა და შეტყვა-ლების უნარი.

რამდენიმე დღის შემდეგ იქსომ მოუხდა პერისა და თევზის სასწაულის განმეორება. ბეთსაიდელებს რომ გაეკოთ, როგორ გაი-მეტა წარმართებისათვის ის, რაზედაც უარი უთხრა კაპერნაუმე-ლებს, შერით გაწიწმატდებოდნენ, ეს ნამდვილია.

ჩვენმა გმირმა ტვიროსისა და სიდონის მხარეში წარმართ-თა შორის სრული ექ्यნი თვე დაჲყო, რაც შეტისმეტად დიდია მა-ცხოვრისათვის, რომელსაც თავისი უშუალო მისიისათვის სულ სამი წელი ჰქონდა განსაზღვრული. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირ-დაპირ გული უწერილდებოდა მოწყვნილობისაგან. გალილეა მოე-ნატრა და განსაკუთრებით დარღობდა მაგდალაზე, სადაც დარჩა მი-სი პატარა ჰარამხანა.

ამიტომ, როგორც კი შეატყო, რომ განდევნილობაში საკმაოდ ბევრი დრო და ხანი დაყო, იქსომ უწინარეს ყოვლისა მაგდალას მიაშერა.

ტმინდა მანდილოსნების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, თა-გიანთი კერპი რომ ისევ იხილეს. აბა რანაირად? მთელი ნახევარი წელი გადაკარგული იყო. სად იყო და სად არა! მეგობრის სიშორე რა ძნელია, ხომ იყით? მთელი ამ ხნის განმავლობაში ამბავიც კი არ მიაწედინა. რანაირია!

უმაღლერის დაბრუნება ოდალისკებმა ზეიმით აღნიშნეს. ღვთის-ნიერი ცოდვილნი ნაში საყვედურებით ავსებდნენ, ართმევდნენ ფიცს,

რომ აღარასოდეს არ იშამდა მეტად ასე, ბოლოს კი, როგორც ხდება ხოლმე, ყველაფერი აპატიეს საძაგელ ოინბაზს, გაუღიმეს და მეტორთავა სი თვის მარხვა სანაქებო ხსნილობით დააგვირგვინეს.

ამ დროს იშეა სამწუხაროდ ასე შორს გავარდნილი ზმა, რასაც სახარება ქრისტეს მიაწერს⁴¹.

ერთხელ დილით იქსო თავის მოციქულებს ებაასებოდა და უცებ ჰქითხა:

— მომისმინეთ. თქვენ ყველგან დაძვრებით, ყველას უსმენთ, ჭორებს აგროვებთ. ერთი მითსარით, რას ამბობს ხალხი ჩემშე?

— სიმართლე რომ გითხრათ გულზე ხელის დადებით, — მიუგეს მოციქულებმა, — არავის არ სჯერა შენი მესიობა. ვინც შემოგვხედა, ყველას ვკითხეთ. ერთინი ამბობენ, რომ ჭკუაზე მწყრალადა ხარ, შეორენი ამბობენ, მკვდრეთით ამდგარი იერემია წინასწარმეტყველიაო, — ამით, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდ პატივს იმეტებენ, — მაგრამ ჩვენი ხალხის უმრავლესობა კი ნამდვილ მასხარად, საქმოსნად და თაღლითად გნათლავს.

— თქვენა? თქვენ როგორდა ფიქრობთ?

— ჩვენა, რაბი, — ყველას სახელით მიუკო პეტრემ, — ჩვენ ძველი ფიქრი და აზრი არ შეგვიცვლია. ჩვენთვის შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა ცხოვლისა. ასე ვქადაგებთ ყველგან.

— ძალიან კარგი, ჩემო მეგობრებო, მე თქვენით კმაყოფილი ვარ. მეტადრე შენი მადლობელი ვარ, პეტრე. მადლობელი ვარ, რომ ყველას აზრი მაუწყე დაუფარავად. საერთოდ, შენ კარგი კაცი ხარ და ამიტომ გამიგონე, რას გეტყვი. შენ პეტრე გიწოდე, ხომ მართალია?

— რა თქმა უნდა, შენ ასე მომნათლე. სიმონის ნაცვლად პეტრე მიწოდე.

— ძოდა, რაკი პეტრე ხარ, შენზე ავაგებ ჩემს ტაძარს. ეს იქნება ქლდეზე ნაგები ტაძარი.

— არ გამიწყრე, ვერ გავიგონე...

— „და მე გეტყვი შენ: რამეთუ შენ ხარ ქლდე, და ამას ქლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას!“ (მათე, 16, 18).

— დიდებული ნათქვამია! ბჭენი ჯოჯოხეთისანიო?

— დიახ, ჯოჯოხეთის, ბჭენი.

— რაღაც ვერ ვერკვევი კარგად....

— ამას რა მნიშვნელობა აქვს! გარდა ამისა, შენ ჩაგაბარებ გა-
საღებებს, მთელს შეკვრას, ეს იქნება ქიური სასუფეცელის განაღულება.
ბები, ის მაღლაა, მთვარეზე მაღლა. როცა შენ მიწაზე რატოვნია გა-
სკვავ, ზეცაშიც გაინასკვება, ხოლო როდესაც გახსნი, ზეცაშიც გა-
იხსნება.

— უდიდესი მაღლობა! — მიუგო სიმონ-პეტრემ. — ჩემთვის
ეს დიდი პატივია. ვეცდები გავამართლო შენი ღვთაებრივი ნდობა*.

მერე დანარჩენ მოციქულებს მიუმრუნდა, წვერზე ხელი ჩამოი-
სვა და ამაყად უთხრა:

— გაიგონეთ? ამრიგად, გადაწყვეტილი საქმეა: ამიერიდან
ჩვენი საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი გახლავართ!

* ეს მნიშვნელოვანი ამბავი მოთხრობილია სამ სახარებაში: (ზოთე, 15;
მარტინი, 7; ითანე, 6). მიქელინჯელოს უნივერსალურ ქმნილებაში „ვან-
კოხეის დღე“ ქრისტე გამოსახულია მრისხანე მსაჭურად, რომელსაც
ცალ ხელი აუქნებია მართალთა გამსაყითხვად, მეორე ხელი კი ძირს და-
უხრია ნიშნად რისხეისა, და წოწოხეთში გზავნის ცოდვილებს. იქვე დგას
შეშინებული პეტრე, ხელში უკირავს საკუთარი ტყავი, რაც წამების
დროს გააძრება, და სხენებულ გასაღებებს უბრუნებს იქსოს, ისე შეძრ-
წენებულია. სანთლების კვამლმა საუკუნეების მანძილზე ფრესკა საფრანთ-
ბლად დააზიანა.

საცდელი ხალახალლება და თანაზრახვა

და შემდგომად ექვეიდ დღისა დღისა წარიყვანნა იქნო პეტრე და იაკობ და ითანე, მშა შიხი, და-აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თვისა-გან.

და ჩცალა მათ წინაშე სხვად ფერად, და გამობრწყინდა პირი მისი, ვითარცა შეს, ხო-ლო სამოხელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათვლი (თოვლი).

და ამა ეწერენ მათ მოსე და ილია მის თანა, და თანა-ზრახვიდებ (ესაუბრებოდნენ).

...ამა ეხერა ღრუბელი ნათლისა აკრილობ-და მათ და ამა ხმა იყო ღრუბლით გამო და თქვა: ესე არს ტე ჩემი საკვარველი, რო-მელი მე საოთო-ეიგავ. მაგისი ისმინდო.

და ესმა რა ესე მოწაფეთა, დავარდეს ბირსა ზედა თვისსა და შეესინა ფრიად.

...ამცნო მათ იქნო და პრქვა: ნუკის უობ-რობთ ხილებასა ამას, ვიღრემდის ტე კაცისა მკვდრეობთ აღდგეს!*

წარუ, თ. 17, 1-9.



რთი კვირის შემდეგ იქნო გენესარეთის ტბის დასავლეთის მთაგორიან მხარეში წავიდა. საღამოხანს თავისი სამი მოციქუ-ლის — სიმონ-პეტრეს, იაკობ დიდისა და იაკობ მცირის თანხლებით ავიდა მაღალ მთაზე, რომლის სახელიც იყო თაბორი.

* საბაოთის ეს სიტყვები სამი მოციქულის გარდა არავის სმენია და იმა-თაც სიღდუმლოდ შეინახეს, რაც გამგებარია. ლმერის რომ ეს ხალხის გა-საგონად ეთქვა, მის ძეს ჭვარცმა ასცდებოდა.

შწვერგალს. რომ მიაღწიეს, იქსომ თავის უერთგულეს მოწა-
ლებს მიმართა:

— მე აქ ვიღოცებ მომავლის სიზმარს. თუ გინდათ, იღოცეთ თევენც ჩემთან ერთად.

შემდეგ მუხლებზე დაემხო, ხელები ცაში აღმართა და დაი-
წყო უძმოდ ლოცვა. პირველ ლოცვას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთ-
ხე და ასე ბოლომდე.

მოციქულებმაც მის მაგალითს მიპატეს. დაიჩიქეს, ხელები აღა-
ბყრეს და „მამაო ჩვენო“ აღავლინეს.

ამასთან ერთიმეორეს თვალს ჩაუკრავდნენ ხოლმე, თითქოს
უნდა ეთქვათ:

— რა კარგი ვინმეა ეს კურთხეული! ჩვენს მოძღვარში ორი
არსებაა: ღვთაებრივი და ადამიანური. როცა უნდა, ღმერთია, რო-
ცა უნდა — ადამიანი, სურს დაიღლება, სურს არ დაიღლება-
თუნდაც ახლა, ნახევარი საათია ხელები მაღლა გაუშეშებია და თი-
თქოს საგარენელზე ეწყოს. ეტყობა, ღვთაებრივი არსება ჩაურთავს.
ასე შეეძლია კიდევ სამი-ოთხი საათი გაძლოს და წარბიც არ შეა-
ხიოს... მაგრამ ჩვენ ხომ სხვა საბლითა გართ მოზარდილი და სხვა
მასალისაგან გამოძერწილი, ეშმაკმა დალახეროს! ერთი არსება გა-
გვაჩინია, ადამიანები გართ და ხუთიც კმარა, ხომ ხელები და-
გვაწყდეს!

მართლაც, ამჯერად მაინც იქსო იმნაირი ზემთაგონებით ლო-
ცულობდა, რომ დაღლილს ვერ ეტყოდით, თუმცა ასეთი მოუხერხე-
ბელი პოზა ეჭირა. სამაგიეროდ მოციქულებს მუხლები ეკვეთებო-
დათ და დამიმებულ ხელებს პაერში გაჭირვებით იკავებდნენ.

ბოლოს, არაქათი რომ გამოეცალათ, სხვა რა გზა პქონდათ, ცა
დაივიწყეს და პირდაპირ მიწაშე დაგორდნენ, იქნებ ცოტა თვალი
მაინც მოვატყეოთო. მალე სამივეს მკვდარივით ჩაეძინა.

და სწორედ მაშინ, როცა სამივე მოციქული ღრმა ძილში იყო,
თაბორის მთაშე მოხდა რაღაც საოცრება*.

იქსომ შეწყვიტა ლოცვა, მიწას ასცდა და თანდათან ამაღლდა,
რიგორც პაეროვანი ბურთი. ძალიან შორს კი არ ასულა — რამ-
დენსამე მეტრზე ასცილდა მთას. ეს ხომ მხოლოდ საცდელი აფრე-

* ვისაც სურს ამ სურათის შეცლი სიღიადე განიცადოს, ნახოს რაცა-
ელის „ცერისცვალება“: თაბორის მთაშე იქსო ამაღლებულა, დაბლა
ხალხია. ჩვენს გამოცემაში ეს გრეას ფერადი ჩემირდექცა შევიტანე.



ნა იყო! ნამდვილი ცალამაღლება უნდა მომხდარიყო უფრო ჭაშქი-
მო ვითარებაში. ამიტომ ახლა უძრავად გაჩერდა სიჭრული, რათა
დაუმტკიცებინა, რომ ბუნების კანონები ღმერთებისათვის არ არსე-
ბობენ და დედამიწის მიზიდულობისა რა სცოლნია!

იმავე დროს ცის თაღი გაიყო და იქიდან ჩამობრძანდა ორი
დროული კაცი. ერთს თავშე გვირგვინად ადგა ორი ნათელი რქა —
ეს იყო მოსე. მეორე კი ცით ჩამოეშვა ცეცხლოვანი ეტლით, რაიც
ღრუბელთა შორის ელვარებდა, ვითარცა თვეში წყალში, — ეს
გახლდათ ილია წინასწარმეტყველი. ღრმად მოხუცი მოსე იქსოს
გვერდით დაეკიდა სივრცეში, ილიაც თავისი ეტლიდან გამობრძან-
და და ასევე აშოულგა გვერდში იქსოს, მეორე მხარეს, სამივე ცი-
ური არსება ასე ეკიდა სივრცეში, თითქოს უხილავი ძაფით დაეკი-
დებიათო. ირხეოდნენ და კი არ ვარდებოდნენ. სანახაობა უკეთესი
რა გინდოდათ! სამივე მეგობრულ საუბარში ჩაება. წყნარად და
ბრძნულად იზრახვიდნენ ცისა და მიწის ამბებს.

— დიდო მოსე და ბრძენო ილიავ, — მიმართა ციურ სტუმ-
რებს იქსომ. — თქვენი თავაზიანობა მხიბლავს, რომ ასე გვიან ტე-
დამიწაზე ჩამობრძანდით ჩემს სანახავად.

— გეყოფა! — მიუგო მოსემ. — ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა.
რაიც აქამდე უგულვებელ-ვყავით... უმჯობესია გვითხრა, როგორ
არის შენი მიწიერი საქმები? ყველაფერი კარგად ეწყობა? ისმენენ
თუ არა შენს ხმას ადამიანები? სულთა განწმენდა ხომ ხდება?

— კმ, რა გითხრა, აღარ ვიცი... არც აგრე იოლია. ბევრი ვინმე
ჯერაც ჯიტობს, მაგრამ საერთოდ თესლი ჩაყრილია. ნათესი კი
ისე არ ამოდის, როგორც ვფიქრობდი.

— ამას ვის ეუბნები? — ჩაერთა ილია წინასწარმეტყველი. —
განა მე მესწავლება. ვინ ბრძანდებიან ჩემი თანამემამულენი? ისინი
ხომ ანდაღუზიური ჯორებივით ჯიტნი არიან! მე თვითონ ვუქა-
დაგე წლების განმავლობაში სულის სიტყვა, რა გამოვიდა? წყლის
ნაყაფა! ყოველი ჩემი ქადაგების შემდეგ უფრო ღრმად ეფლობოდ-
ნენ მანკირების ჭაობში.

— არც მე მქონია თქვენზე მეტი წარმატება, — ამოიოხრა
სკულმდებულმა. — თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, საჭიროების
შემთხვევაში ფიცხელი ზომების მიღებაზე არა ვტუნწობდი. ხათ-
რით შორის ვერ წახვალ. როცა ჩემი ძველი ებრაელები ტლინკვებსა
ყრიდნენ, ცეცხლითა და მახვილით მომყავდა ჭკუაზე. შეესმენელი

ხალხის ჭეშმარიტების გზაზე დასაყვენებლად საყოველთაო აწიოკებაზე ჟექთესი საშუალება არ არსებობს.

— არა, მოსე, — შეედავა იქსო. — შენი კანონები მაინც მეაუცილებელია მეტისმეტად. ამას როგორც მეგობარს, ისე გეუბნები. მე ბუზებს არა გსრეს, თაფლით მოზიდვას ვამჯობინებ.

— ო, თუ ამით რაიმეს გახდები, დიდება შენ! ღმერთმა ხელი მოგიმართოს! მაგრამ შენ ჯერ ჭაბუკი ხარ, მე გამოცდილება მაქვს, დამიჯერე, ჯევლო. როცა გინდა ახალი რელიგია შექმნა, კოპტიობა არ ვარგა, თორემ ყველაფერს თავდაყირა დააყენებ.

— პირველად, მართალი ხარ, მაგრამ შემდეგ და შემდეგ...

— შემდეგ დევნას დაგიწყებუნ, ყველას ცოდვას შენ აგიდებუნ, ძალებს მოგისვევნ, დაგცინებუნ, ბოლოს კი გაწამებუნ.

— ეს ვიცი. სამაგიეროდ მომავალში რა ტრიუმფი მელის!

— ქო, თუ გინდა, რომ ჯეარს გაცვან, ეს შენი ნებაა, — ჩაურთო სიტყვა ილიამ. — სულითა და გულით გისურვებ მოთმინებასა და მხიარულებას! რაც შემეხება მე, გულითად მადლობას მოვახსენებ შენს შეედარებელ მამას საბაოთს, რომელმაც დროზე გამიტაცა ზეცაში ცოცხლადეს. როდესაც თანამებამულები წირვის გამოყვანას მიძირებდნენ. მისი მხრიდან ეს ისეთი ყურადღება იყო, რომ ორს არ ღირსებია.

ასე ტებილად და მეგობრულად ბაასობდნენ კიდევ კარგა ხანს ჩვენი დაკიდული ჯენტლმენები, ნათელი ღრუბლებით გარემოცულნი და ციური შარავანდედით სხივმოსილნი. მათი სხეულიც კი გამჭვირვალე გავონებოდათ, ისე ძლიერ აშუქებდათ საკუთარი გამოსხივება. უნდა გენახათ იქსო! „სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ, ვითარცა თოვლი, რომელ ყოველსავე მმერკნვალსა (მღებავს) ქვეყანასა ზედა ვერ ხელეწიფების ეგრეთ. განსპეტაკებად“ (მარკოზი, 9, 3). ეს იყო მშვენიერი სანახაობა, ჭეშმარიტად მშვენიერი და ამაღლებული!

თვალისმომჭრელი სანახაობა ისეთ შექს აფრევევდა, რომ ჩვენს მოციქულებს გამოეღვიძათ. ციურმა ნათელმა თვალები მოსჭრათ, მოიფშენიტეს, მაგრამ სახარების მტკიცებით მაინც გაიგონეს ილიას და მოსეს საუბარი იქსოსთან. „რომელნი გამოქსნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი ვგელვებოდა იერუსალიმს“ (ლუკა 9, 31), ე. ი. იერუსალიმში გამოსვლა ურჩიეს.

შაგრამ ასეთი დიდებული სანახაობა დიდი ხნით ვერ გაუჩინდება დებოდა, ბუნებრივია. ყველაფერს ხომ დასასრული პექნი მდგრად ფილმიც კი თავდება, როცა აფსა ბოლომდე გადაეწვევა.

მოციმულმე ჩვენებაც თანდათან მინელდა, მიიღინდა და ბოლოს გაქრა. მოსე და ილია ისე დაღნენ, როგორც ჯადოსნური ნათერის ჩრდილები.

პეტრეს აზრით, ყველაფერი მეტისმეტად სწრაფად დასრულდა.

— მოძღვარო! — ეთხრა იქსოს. — რა კარგია აქაურობა! თუ არ დაგვიშლი, ახლავე სამ კარავს გავმართავთ: ერთს შენოვის, ერთს მოსესათვის, ერთსაც ილიასთვის, — და თვითონაც ამ ჯადოსნურ მთაზე დავრჩებით.

— რას როტავ? — აღმორთდა იქსო. — ექვსი ადამიანისათვის სამ კარავს გამართავ? — მერე, თქვენ სამი სად დაიძინებთ?

— როგორმე მოვთავსდებით, დავნაწილდებით, ერთად ვიქნებით....*

ასე ასაბუთებდა თავის აზრს, როცა უეპრად შავი ღრუბელი დაეშვა, იქება და მაღლით გაისმა მქუხარე ხმა, რამაც პეტრეს სიტყვა პირში გაუყინა:

— ესე არს ძე ჩემი საყვარელი! ამისი ისმინეთ!

მეხთამტები ხმა იმდენად არ პგავდა მტრედის ღედუნს, რაც უფრო მოსალოდნელი იყო, რომ მოციქულებმა აღარ იცოდნენ, რა ეფიქრათ. ისღა მოახერხეს, რომ თავდაღმა გაიშელართნენ დედამიწაზე და ცხვირი ბალახში ჩარგეს.

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ ცის თაღი არ აპირებს ჩამოქცევას, ჩვენმა მამაცებმა თვალების გახელა და წამოწევა გაბედეს. თავით ფეხსამდე აიხედ-დაიხედეს და შვებით ამოისუნთქეს: მთელი ვართ და უგნებელიო.

იქსო შორიახლო იჯდა კლდის ქიშებ. მარტო იყო და მოციქულებს საქმაოდ უქმაყოფილოდ უყურებდა.

— აი, თქვე ლამირებო! — უსაყველურა მოწაფეებს. — რამდენად გამეგება, ამას ეწოდება შიშისაგან თავგზის დაკარგვა. კაცი გერ გაიგებს, ჯერაც ცოცხლები ხართ თუ სული კოჭებმი გაგეპარათ და მამა აბრაამს მარილი წაუღეთ. გადაითვალეთ თქვენი

* სახარებაში ლაპარავია, მხოლოდ სამ კარავზე სამთა საღილებლად. იქსოს კითხვა და პეტრეს პასუხი, რაც არაა მოვლებული უალავო ცინიშის, ტაქსილის მოგონილია.

ძელები, ყველა მოელია? თანაც დანომრეთ. შეიძლება სხვა დროს
გამოგადგეთ. პატიოსნებას გეფიცებით, ვიწები კი შინახავს მეჯრამ
ასეთები არა! ბოლოს და ბოლოს, როდის შეიგნებთ ამ ჩლუნგი თა-
ვებით, რომ ვიდრე თქვენთანა ვარ, არაფერი მოგივათ?

მოციქულებს ისიც ყოფოდათ, რაც მოხდა. იაკობ დიდმა თა-
ვისი კოლეგების აზრი გამოხატა, წინამძღოლს ჩაუკრა, შინ დაბრუ-
ნების დრო ხომ არ დადგაო? ყველა ცდილობდა შეეგნო, რომ ეს
ჯადოსნური მთა არც ისე საშინელია, როგორც ეგონათ, მაგრამ გე-
ლი საგულეს მაინც ვერა ჰქონდათ.

იესომ აღარ ინება მათი წვალებით თავის შექცევა. თაბორის
მთიდან ჩამოსვლა და უახლოეს ქალაქში მისვლა განისაზახა. უნდა
ითქვას, რომ აღმოხავლეთი უკვე აისის სხივში შეაფერადა. ირიე-
რავა. როცა გათენდა, მოძღვარი და მოწაფეები ჩავი დაბლა იყვ-
ნენ.

გზადაგზა იესომ თავის მოწაფეებს განუმარტა, რომ ეს იყო
საცდელი აფრინა, სავარჯიშო ცადამაღლება. ილია წინასწარმეტ-
ყველი და მოსეც საგანგებოდ იმისათვის ესაუბრებოდნენ, რომ მათ
გაეგონათ. მაგრამ რაკი ეს ჯერ არ იყო მთავარი ამაღლება, ამი-
ტომ. მათი ცით გადმოკიდება და თანაზრახვა ღრუბელთა ზედა
უსასტიკეს საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. — „ნე ვის უთხ-
რობთ ხილვასა ამას!“ — უბრძანა მოციქულებს ღვთის ძემ.

იქნებ სწორედ ამიტომ ინახავს ამ დიდ საიდუმლოს გულის
სიღრმეში ითანე, პირმშევნიერი ევანგელიისტი? ის იყო ერთადერთი
თორმეტთაგანი, ვინც ეს ციური სპექტაკლი იხილა ოთხი ევანგე-
ლისტიდან, და სწორედ ის დუმს ამაზე. როგორ მოუთმინა გულშა
და არ დაწერა?

გადაშალეთ სახარებანი და ადით ჯადოსნურ მთაზე:

1. წმინდა მათე წერს, თემცა თვითონ თაბორზე არ ასელა
(17, 1—13).

2. წმინდა მარკოზი წერს, თემცა იქ არც ის ყოფილა (9,
1 — 12).

3. წმინდა ლუკა წერს, თემცა ამ ამბავთან ორ დანარჩენზე შე-
ტი საერთო არც მას აქვს (9, 28—36).

მხოლოდ მეოთხე, ითანე დუმს, ვითარცა თევზი.

ამრიგად, ჭაბუკი ითანე თაბორის ჩვენებას საიდუმლოდ ინა-

ხაეს, მაგრამ მაშინ საიდან გაიგო საშმა დანარჩენმა უვანგელიტმა ეს ამბავი?

თუმცა, მომიტევეთ, სულ დამავიწყდა: სახარებას ხომ ციურა მტრედის კარნახით წერდნენ, მტრედს კი ყველაფერი ეცოდინებოდა.

ამრიგად, იქსომ ჯერ გააფრთხილა მოციქულები, ენას ქბილი დააჭირეთ (კალამისაცო, ალბათ დაუმატა!), მერე კი გამოუცხადა, ჯვარს მაცვამენ და ჩეკვდრეთით აღვდგებიო.

აქ ისევ მოგვიხდება სახარების გადაშლა.

მოციქულებს თავშარი დაეცათ, გონს ვერ მოსულაცყნენ.

— როგორ თუ ჯვარს აცვამენ! და როგორ უნდა აღდგეს მკვდრეთით? — ეკითხებოდნენ ერთიმეორებს. — საით გაქრა იღია? მწიგნობარნი ხომ ქადაგებდნენ, ჯერ იღია მოვა და ყველაფერს მოაგვარებსო? მაში ჩვენი მასწავლებელი ქრისტე არ ყოფილა?

თუ წმინდა წერილს ვერწმუნებით, ეს კითხვები მოწაფებს ძლიერ აღელვებდათ („შევ იტყვიან მწიგნობარნი, ვითარმედ იღიასი ჯერ-არს პირველად მოსელა?.. აწვე მოვიდა და არა იცნეს იღია...“).

მოდით, საქმის ვითარებას შექი მოვფინოთ. ორიდან ერთია: ნახეს მოციქულებმა იქსოს სასწაულები თუ არ უნახავთ? ხომ ნახეს? მაშინ რატომ ეჭვიანობენ ასე უსასრულოდ? თუ მათ წინაშე მდებარე ცხედრები წამოაყენა, რატომ არ შეეძლო თვითონაც ამდგარიყო, ღმერთი უზენაესი და ყოვლის შემძლე?

შე პირადად, სიმართლე გითხრათ, საქვეყნოდ აღიარებული წინასწარმეტყველი ან ჯაღიქარი კი არა, ჟავანასკნელი ვიგინდარაც რომ იყოს, თუ ჩემს თვალწინ თოკისა და სხვა რაიმე ღონისძიების გამოუყენებლად პაერში დაეკიდება; თუ ჩემი თხოვნით განსყენებულ ბებიაჩემს გააცოცხლებს ორი სიტყვით „ტალიფა კეში“; თუ ყრუ-მუნჯეს სმენას დაუბრუნებს და ენას აუდგამს ისეთი მარტივი საშუალებით, როგორიცაა ყურში თითის ჩაყოფა და პირში ჩაფერობება, — მთელი ჩემი სკეპტიციზმის მიუხედავად ამ ვიგინდარასაც კი ღმერთად გამოვაცხადებ და შის წინაშე დაჩიქილი ვიღოსებ.

როდესაც ვფიქრობ მოციქულებზე, რომელთა თვალწინაც იქსო უთვალავ სასწაულს ახდენდა, და მაინც დროდადრო ეს სუსტად



მორწმუნენი ეჭვობდნენ, ქრისტეა თუ არ არის ქრისტეო, ემცენა გმხელობ ხოლმე:

სამოთხე არ არსებობს, ამაში დაჯერებული ვარ. მაგრამ რომ იყოს, მე იქ უთუოდ მოვხვდებოდი, მიუხედავად ასე-იი წიგნებისა. მოციქულები, ასე ხშირად რომ ირყევიან, თუმცა არავითარი საა-მისო მიზეზი არა აქვთ, პირიქით, კულამდე არიან სასწაულებით და კველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილებიც უძირავთ, — პირველი თანრიგის წმინდანები არიან. მე თუ ვმერყეობ რწმენის საკითხში, ერთგვარი შემამსუბუქებული გარემოება მაინც მაქვს: არც ერთი სასწაული არ მინახავს. ამიტომ, თუნდაც ღმერთი არ მწამდეს, მე-პატიქება, და როცა უზენაესის წინაშე წარვდგები, თუ კარგ ხასიათ-ზე იქნება, მეოთხე თანრიგის წმინდანის დიპლომს მაინც მიბო-ძებს. მეტი არც მინდა. „ნეტარი ლეო ტაქსილი“, — ღმერთმანი, არ იქნება ურიგო, თუ საკედლესიო კალენდარში ასე ჩაიწერება! ჩე-მი სახელი რომ წმინდანთა შორის ვიხილო... მაგრამ კმარა ამაშე ლაპარაკი! ჩენ მოციქულთა ეჭვებს ისედაც ბევრი ადგილი და-გეთმეთ*.

აქ იქსოს ბევრი მსჯელობა აღარ დაუწყია.

უბრალოდ უთხრა:

— იქნებ ფიქრობთ, რომ მე ქრისტე არა ვარ? საკუთარ თავს ეკითხებით, თუ როგორ აღვდგები მკვდრეთით, ხომ მართალია? ამისათვის თქვენ ნედარ შეწუხდებით! ამბობენ, ჩემზე ადრე თი-თქოს იღია უნდა მოსულიყო... ქოდა ცყოდეთ: ის უკვე მოვიდა, ოღონდ ყურადღება არავინ მიაქცია წინასწარმეტყველს. ის ჩემი კუზენის იოანე ნათლისმცემლის ნიღაბში იმაღებოდა... ეს არის და ეს! ქოდა, ჩაკი იორდანში ხალხის მომნათლავი ნამდვილად ჩე-მი წინამორბედი იყო — იღია, იოანეს სახით მოვლენილი, მაშა-

* 1907 წელს ქრისტეს დაბადებიდან დაპირა საათშა და ტაქსილიც „წარუდგა უზენაესს“, მაგრამ ის ვიცით, მიიღო თუ არა სამოთხის ვიზა და წმინდანის დიპლომი; ცნობილია მხოლოდ ის, რომ ვატიკანის კონ-სტიტუციის და კათოლიკურ სალჩინებელს აღრიცვე დააღწია თავი.



სადამე მე ვარ მესიათა შორის ჭეშმარიტი მესია!* და მეტ მოსახულე
ვით წამება მელის უმაღლერთაგან („და ეგრეთვე ძესაცა კაცისასავარაუ
მიუღვების ვნებად მათგან“).



გვიდო რენი. ძე კაცისა (იესო, მყლის გვირგვინოსანი).

* აქ ტაქსილი თვითნებურად ცელის სახარების ტექსტის დეტალს. ქრისტე ლაპარაკობს ილიას გამოცხადებაზე მასთან, სივრცეში, მოსესთან ერთად. ხოლო მოწაფეებს ეგონათ, რომ ილიას გამოცხადებისა და ვნების გასხვნებით იესო გულისხმობდა ილიას გამოცხადებას ითანე ნათლისმცემლის სახით („ილია აწვე მოვიდა და არა იცნეს იგი, არამედ უფაფეს მას, რაოდენ უნდა... მაჲინ გულის-ხმა ჟევეს მოწაფეთა, რამეთუ ითანე ნათლის-მცემლისა თვის პრექა მათ“ — მათე, 17, 12—13).

რომელი მთებსა ძრავს



და (ვითარება) მოქადარებს, შექრისხნა მას
იქნ, და განვიდა მისვან უმაკი, და გა-
ნიკურნა ყრმა იგი მიერ-ეამითგან.

მაშინ მოუხდეს იქსოს მოწაფენი თვისა-
გან და პრეცეს: რასათვის ჩვენ ვერ შეუძლეთ
განხდად? მისა? (მოწაფეები მივიღნენ და
უთხრებ: ჩვენ რატომ ვერ განვდევნეთ ამ
ყრმისაგან უმაკიო?).

თოლო იქსო პრეცეს მათ: ურწმუნოებისა
ოქენისა თვის! ამინ გვიტყვი თქვენ. უკარ
გაპენდეს სარწმუნოება, ვითარება მარცალი
მდიდარია, პრეცეს მისახა ამას: მიიცალე
ამიტრ იქი, და მიიცალოს, და არა რაი შე-
უძლებელ იყო თქვენ მიერ.

თოლო ეს ნათესავი რათ განსვალს, გარნა
ლოცვითა და ვარსებითა?

მათე, 17, 18-21.



სეთი საუბრით მიეიღნენ იქსო და მი-
სი მოწაფეები ქალაქის გარეუბნამდე აქ
შეხვდნენ თავიანთ დანარჩენ ამხანაგებს,
დიდძალი ხალხით გარემოცულებს.

იქსოს არყოფნაში მის მოწაფეებს ერ-
თი ყრუ-მუნჯისა და ბნედიანის განკურნება უცდიათ. მოძღვრის
ზოგადი დაპირება გაუხსნებიათ, სასწაულებს თქვენც მოახდენთო,
და მძიმე სნეულის განკურნება უკისრიათ, მაგრამ ვერაფერს გამხ-
დარან და იყვნენ ასე შეჭირვებულნი.

როცა ყრუ-მუნჯის მამა ანდრიასთან მივიდა, მოციქულმა
უთხრა:

* ჰარბლის და ჭრუჭის ვარიანტებშია „განკურნებად“.

— შენი შვილი ყრუ-მუნჯია და თანაც ბნედიანი? არაფერიას ჩვენ ჯადოსნური ძალის პატრონები ვართ და ერთი შებეჭვილ /მოუკავშირი/ გირჩენთ ამ ყმაწვილს....

ყრუ-მუნჯი რამდენიმეჯერ დაიკრუნჩხა, ამავე დროს გულსაკლავად წამოიყორა. მოწაფეებმა ხელი ჩაავლეს, მოძღვრის სიტყვებსა და მიმოხვრას მიძღვავეს, ვითომ ჩვენცა ვმკურნალობთო. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ მათი ჯადოქრობა შედეგს არ იძლეოდა.

ამაოდ აფურთხებდნენ სწეულს პირში მორიგეობით, ამაოდ ჩხვლეტდნენ ყურებში თითებს, ამაოდ იწვდიდნენ მია თავს ზემოთ ხელებს არტისტულად და იმეორებდნენ ათასნაირ აბდაუბდას. როგორც იტყვიან, სრულიად ჩაფლავდნენ.

მწიგნობრებს დიდი ხანია კბილები პეტონდათ დალესილი მოციქულებზე, დასაკლავად არ დაინდობდნენ და ახლა გახარებულები უყურებდნენ მათს ამათ გულმოდგინებას, წინასწარ ზემობდნენ გამარჯვებას. მაგრამ როგორც კი სცენაზე ღვთის შვილი გამოჩნდა, ეცებ ყველაფერი შეიცვალა.

— აქ, აგერ მოძღვარიც! — შესძახა ბართლომემ, რომელსაც ოფლი ღვარად გადასდიოდა. — დროშე მოგვისწრო!

— რა ხდება, რაზეა დავა? — იკითხა მირონცხებულმა.

ბრძოს ყრუ-მუნჯის მამა გამოეყო.

— რაბი! — თქვა. — ჩემი უბედური შვილი მოვუყვანე, ბავშვობიდან იტანჯება განკურნებელი და უცნაური სენით. ჯერ არის და ყრუ-მუნჯია, მერე კიდევ მოუვლის ხოლმე, იგრიხება, იკრენჩება, მიწაზე გორაობს, კბილებს აკრაჭუნებს, დორბლი გადმოსდის და დღითიდღე მიღნება საბრალო. მოგეხსენება, ეს არაბუნებრივი ამბავია. ეტყობა, მუცელში ეშმაკი უზის და აიძულებს ასეთი ჯამბაზობით დაიტანჯოს. შენს მოწაფეებს ვთხოვე განედევნათ ეშმაკი, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაგრამ შენ, უფალო, ვიცი, სხვანაირი ხარ, მე მწამს, უსათუოდ გაიმარჯვებ და განდევნი ეშმაკს, რომელიც ჩემს შვილს აწამებს. დამესმარე, რაბი, განკურნე საბრალო ბავშვი, ის ხომ ჩემი ერთადერთი იმედია!

ამ სიტყვებზე მოხუცი იესოს ფერხთით გაიშელართა. დიდი შკურნალი მოხიბლა მისმა ქცევამ. ძლივს ერთი განათლებული კაცი გამოჩნდაო!

— მომიყვანე შენი შვილი! — ებრძანა.

ყმაწვილი კაცი მოუყვანეს. მაგრამ როგორც კი სწორების ტე დაინახა ბნედამ მოუარა, დაიწყო გრეხვა და მიწაზე კოტრიალი. ეტყობოდა, ეშმაკი ცედად გახდა, თავისი აღსასრული რომი იქნდნ.

— ხშირად მოსდის ასეთი ბნედა? — იყითხა მირონცხებულმა.

— ძალიან ხშირად. ისე დაიტანჯა, რომ ერთხელ თავის დასახრჩობად წყალში გადავარდა, ერთხელაც კოცონში გადაეშვა... ო, ღმერთო ჩემო, რა ებედური ვარ! რასაკვირველია, ეშმაკი აკეთებინებს ამას ყველაფერს... რაბი, რაბი, შეიძრალე ყმაწვილი კაცი, შეგვიბრალე!

— თუ შენ გწამს ჩემი, ყმაწვილიც განიკურნება უწმინდურისაგან.

იმის შიშით, ვაი თუ საკმაოდ ვერ მწამდესო, მოხუცი ატირდა.

— რაბი! — შესძახა სასოწარკეთილის ხმით. — პატიოსან სიტყვას გაძლევ, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ საკურით გიწამო. მაგრამ თუ ეს მაინც ვერ მოვახერხო, ისევ შენ დამეხმარე, რომ ურწმუნობისაგან განვიკურნო!

. ამასობაში მირონცხებულს ხალხი ყოველის მხრიდან შემოერტყა. იყსომ ერთხელ კიდევ დახედა მოკრუნჩელ ყმაწვილს და თქვა:

— უწმინდურო, ყრუ და მუნჯო ეშმაკო, გამოდი ამ ბავშვის სხეულიდან და აღარასოდეს არ დაბრუნდე მის არსებაში, მე შენ გიბრძანებ!

ეშმაკმა გააფირებით გაიწია, შეძაგძაგდა, ხმამაღლა შეძყვირა, როგორც ყოველთვის, და ყმაწვილის პირიდან გამობრა.

ზეზე წამოწრილი ყმაწვილი მიწაზე დავარდა. პირზე მომდგარი დუღი წამიერად გაუქრა, აღარ აძაგძაგებდა, მაგრამ მყვდარივით ევდო ძირს*.

— აი მესმის ასეთი განკურნება! — სიხარულით შესძახეს ბო-

* როგორც ამ ეპიზოდიდანაც ჩანს, გადოსნური განკურნების ფაქტი შეიჩად მეორდება, მაგრამ უკველთვის ორიგინალურ სიტუაციებში, ასე რომ ამბავთა ეს ქარავანი არ ქმნის ერთულოვნების შთაბეჭდილებას, რაც აღთქმის მხატვრულ ღირსებას მიეწერება, კომიკურია ის ამბავიც, რომ იყდეაში ისევ და ისევ ძლიერ უცირთ, რომ ვინმე ვალაჭრათ იწერონ. მკართ თვით მოციქულებს, თვით უზადო სასწაულით მოჩერენილთა შშიბლებს, და ისევ იყსოს შესთხოვენ „ურწმუნობისაგან განკურნებას“.

როტმა მწიგნობრებმა, როცა სიკედილის ნიშნიანი მე კაცისა ძირს, გაიშოტა, ელდანაკრავი მოხუცი მამა კი შვილის გაშეშებულ სხე-ულს დააშტერდა. ოღონდ იქსოს მარცხი განკუცადა, გელღრძო და მეშერნე მწიგნობრები მზად იყვნენ მთელი ქალაქის მოსახლეობა გაეწირათ. — დახეთ, ყმაწვილი მკვდარია!

მაგრამ მწიგნობართა ზეიმი ნააღრევი და მათებრ უდღეური იყო. იქსომ ყმაწვილის ხელი ზე ასწია და სრულიად ჯანსაღი, პირ-მშვენიერი ახალგაზრდა ისე გაჩერდა, თითქოს აქ არაფერიაო. * მწიგნობრები ისეთ გუნებაზე დადგნენ, ისე დახარეს თავიანთი კუ-შტი და ბოროტი სახეები, ისე შეწყვიტეს კბილებში ცრა და უნდი-ლი ჩიფჩიფი, რომ კაცი იფიქრებდა, აგერ-აგერ მიწა გაუსკდებათ და ბრაზისაგან შიგ ჩავარდებიანო. ხალხი ტაშისცემით „დიდებას“ გაიძახოდა. ეს იყო სრული გამარჯვება. ღვთის შვილი, ტყის იასა-ვით უბრალო და მოკრძალებული იქსო, აღფრთვანებული ხალხის ქება-დიდებას გაერიდა, აღარ უშმინა და თავი ერთ მახლობელ სახლს შეაფარა. უკან მოციქულები მიძყვებოდნენ, მაგრამ სირცე-ველით ერთიმეორეს სახეში ვერ უკურებდნენ და ამაოდ ცდილობდ-ნენ თავიანთი მარცხის მიზეზი აეხსნათ.

როცა მარტონი დარჩნენ, მაცხოვარს სთხოვეს, ჩვენი უძლე-რობის მიზეზი გვითხარით.

— რა არის ეს, ბოლოს და ბოლოს? — ჰკითხა ერთმა ყველას სახელით. — ნახევარი წლის წინ საგანგებო დავალებით გაგვაგზავ-ნე და სასწაულების მოხდენის უნარი გვიძოძე. აქამდე ამ უნარით კარგად ვსარგებლობდით. ჩვენი წყალობით რამდენიმე აღამიანი განიკურნა კიდევაც. დღეს კი, როცა ძველი ოინის გამოყენება ვცა-დეთ, არ გამოვივიდა! უცემ ჩავფლავდით, თავი მოგვეჭრა. რა-ტომ? პატიოსნად გვითხარი, წაგვართვი სასწაულების ნიჭი თუ რა მოხდა? ხოლო თუ წაგვართვი, რა საფუძვლზე და რა დანაშაუ-ლისათვის?

— უწმუნოებისათვის, ჩემთ სამრალო ცხვრებო! — მიუგო იქსომ. — ყველაფერს უფრო უბრალო ახსნა აქვს. საქმე ისაა, რომ აღარა გაქვთ ის რწმენა, რაც ნახევარი წლის წინათ გქონდათ: ფინც მე უსასრულოდ მიწამებს, მას ძალაც უსასრულო ექნება. ვისაც

* რატერლს „ფერისცვალებაში“ ცადამაღლების სცენა და მოციქულთა ამაო ცდა უმაწვილის განკურნებისა გაერთიანებული აქვს.

ჩემი ღვთაებრივობა სწამს, თამამად შეუძლია მთას უთხრას: გაი-
წიე აქედან იქით! და მთა გაიწევს. დაიმახსოვრეთ: რწმენა მოუბარება
ძრავს! (მათე, 17, 14—20; მარქოზი, 9, 13—29; ლუკა, 9,
37—43)*.

ეს სიტყვები, ევანგელისტები რომ იესოს მიაწერენ და ყველა
ქრისტიანი დღემდე იმეორებს, ჩემში მუდამ ნაღვლიან ფიქრებს აღ-
ძრავნ. მე მეჩვენება, რომ საფრანგეთის ეკლესიის მსახურნი ცუდი
პატრიოტები არიან. 1870 წელს გერმანელთა არმიამ საფრანგეთი
დაიყავა — ის საფრანგეთი, რომელსაც ღვთისმეტყველნი კათო-
ლიკერი ეკლესიის უფროს დას უწოდებენ მისი ერთგულებისათვის
რომის ტახტისადმი. რაც შეეხება გერმანელებს, იგივე ღვთისმეტ-
ყველნი, ამტკიცებენ, ერეტიკოსები არიან და ჯოვანების ცეცხლშია
მათი ადგილიო (ეს სულ ღუთერის ბრალია!). ახლა სარწმუნოება-
ზე ვთქვათ. ჩვენი უფალი ღმერთის რწმენა უწინარეს ყოვლისა
მღვდელს უნდა ჰქონდეს. ამა თუ მღვდელმა არ იწამა, ჩვენ რა უნ-
და მოვალეობონ, უბრალო მოკვდავთ! მოდა, რამდენადაც მღვდლე-
ბის რწმენა უსაშლვროა, მათ შეუძლიათ ადგილიდან დაძრან მოე-
ბი, თუ მოისურებენ. ასლა სცადეთ და წარმოიდგინეთ, რა იოლად
გაუსწორდებოდნენ ფრანგები გერმანელებს, ფრანგ მღვდლებს რომ
მუხუდოს მარცვლის ოდენი რწმენა მაინც ჰქონოდათ და პატრიო-
ტული სულისკვეთება! როცა გერმანელები საფრანგეთის მიწა-
წყალზე მიიწევდნენ. მათ შეეძლოთ მტრის გზაზე დაუსრულებლივ
აღემართათ დაბრკოლებები. ბოლოს და ბოლოს, მტერს წინსვლის
ყოველგვარი ხალისი დაეკარგებოდა. პარიზის არქიეპისკოპოსის
ბრძანებით მტრის გზაზე პიმალაის მოები აღიმართებოდნენ და
ბისმარქის არმია ერც კი გადალახავდა საფრანგეთის საშტარებს.
თუ გერმანელთა ჯიუტობის წყალობით ვილქელმის არმია მაინც
მოახერხებდა მთის კალთებზე ასელას, ლიონის ეპისკოპოსი რა-
ინზე გადმოადგილებულ ჰიმალაებს მაშინვე უბრძანებდა:

* ტაქსილს აქ გამოტოვებული აქვს იესოს ცნობილი სიტყვები, სახა-
ჩების მიხედვით რომ უთხრა ბნედიან ყმაწევილთან თავმოყრილ ხალხს:
„პიო, ნათესავი უწმუნო და გულარმნილი ვიდრემდე ვიუო თქვენ თანა
და თავს—ვიდებდე თქვენსაზე მომვარე მე აქა ქე შენი!“ ეს სამდურავი,
დალლილობა და უბასითობა უკვე დამახასიათებელია, ამ ღრის იესოსა-
თვის. მოწაფებს ერბნება, ყურადღება აქონიეთ. „რამეთე მე კაცისა
შიცემად არს ხელთა კაცთასა“, წარს უნდა აცვანო, და „ეშინოდა მათ
კითხვად სიტუაცია ამისთვის“ (ლუკა, 9, 44—45; მათე, 17, 17).

— წაიწიქ აქედან იქით! შენ გეუბნები, ჰიმალაი, გადაინაცვლე ჩრდილოეთ პოლუსზე!

საფრანგეთი სამედამოდ დააღწევდა თავს გერმანელია-ძლევა-მოსილი არმიის წინსვლას, მარშალი ბაზენი და მისი ასსამოცდა-ათიათასაიანი კორპუსი — სამარცხვინო ტყვეობას, ხოლო გარი-ბალდის აღარ მოუხდებოდა ჩვენს დასახმარებლად ჩამოსვლა.⁴²



ათელებულტი, იესო მარიამთან და შოთაბთან.


როდესაც სიცხვა მოძღვანა საქვეს

ვაი სოფლისა ამის ხაციურითა მათვანი;
რაშეთ უწებლიერიცა მომავალ არიან ხაც-
თურინი, ხილო ვაი მის კაცისა, რომლისაგან
მოეიღეს ხაცთური.

უკათე ხელი შენი, ანუ ფერბი შენი გაც-
თუნებდეს შენ, მოიცვეო იყი და განაცდე
შენგან: უმჯობეს არს შენდა შესლვა ქაუ-
რებასა შეკლობელისა (კაჭლისა), გინა უხე-
ლოსა, ვიზრე თრინი ხელნი და ორნი უერბინი
ია გესხნეს და შთავარდე ცეცხლსა მას ხა-
ნერწება.

და უკათე თვალი გაცოუნებდეს შენ, აღ-
მიაღდე იყი და განაცდე შენგან: უმჯობეს არს
შენდა ქრო-თვალისა შესლვად ცხოვრებასა,
ვიზრე თრითა თვალთა სხმისა და შთავარ-
ბად გვერიასა ცეცხლისასა.

მათვ, 18, 7-9.



ვენ ჩემი ვიცით, რომ იქსო განსაკუთრე-
ბით აფასებდა კაპერნაუმელებს და გელი
ამ ქალაქში მიუწევდა: იქ მუდამ გელო-
ბილად ხედებოდნენ იმ შაბათამდე, როცა
თავისი კაციჭამიობის თეორია წამოაყენა.

ამიტომ იქსოს ეს ქალაქი არ ეთმობოდა და გაღაწევიტა ისევ
მოეგო კაპერნაუმელთა კული: ითქვა — შენრულდა. აი, მირონცე-
ბელი ისევ კაპერნაუმის გზაზეა.

— „ნახევარ წელიწადში, სხვა თუ არაფერი, მოვენატრებოდით
მაინც“, — ფიქრობდა.

მაგრამ სასტიკად შეცდა. მას შემდეგ, რაც მტრედის შეიღმა

თავისი სისხლი და ზორცი შესთავაზა, ამ ქალაქში მისი ყოველგვა-
რი რწმენა დაკარგა. იქსოს შესვლა ამ ქალაქში არაფრით არ ჰგავთ
და ძველ ტრიუმფს, რაც აქ გაუმართეს. წმინდა მაწაწალების სა-
ცოდავმა ჯერ მოელი ქალაქი ისე გაიარა ერთიც არავინ შექვებე-
ბიათ, მხოლოდ მძღვანე თვალთა მშერით მიაცილებდნენ უმა-
დურნი.

მხოლოდ გადასახადების ამკრეფნი აეკიდნენ და ერთმა მათგან-
მა პეტრეს უთხრა:

— აი, რა გითხრა, მახლობელო, თქვენი მოძღვარი დღემდე
საბოლით გვატარებდა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ დავალებული
გვაქვს იუდეაში ყოველწლიურად სულზე დიდრაქმა ანუ ორ-ორი
დრაქმა ავყრიცოთ. ესაა გამოსახული, რასაც იუდეველნი უხდიან
იყღოვას თავიანთი ცოდვებისათვის. დიდრაქმებს იხდის ყველა
ჟალებლივ: ღარიბი და მდიდარი, რადგან ეს თანხა ისრაელში
გროვდება იყრესალიმის ტაძრის შესანახად. ამ ხარკისაგან მხო-
ლოდ სწავლული ღვთისმეტყველნი თავისუფლდებიან, ამიტომ მის-
გან არასოდეს არაფერი გვითხოვთ. მაგრამ ახლა ეკვე ვიცით, ვის-
თანაც გვაქვს საქმე: თქვენი იქსო ქრისტეც ისქოვე ღვთისმეტყვე-
ლების დოქტორია, როგორც მე ან ჩემი განსვენებული ბებია.
უძრალოდ, ენაგაწაჭული შარლატანია და შეტი არაფერი! ასე
რომ, უთხარი, თუ შეიძლება, გადაიხადოს ხსენებული დიდრაქმა,
ანუ ნახევარი სტატირი, ვიდრე პატიოსნად სთხოვენ, თუ არ უნდა,
მოვალეების ორმოში ჩაბრძანდეს — ჩვენთან ეს ირმო თავისუ-
ფალია.

ნახევარი სტატირი ბევრი არაფერი თანხა იყო — სულ რაღაც
ერთნახევარი ფრანგი ან მანეთზე ცოტა შეტი. მაგრამ იქსოს არც
ამისი გადახდა შეეძლო, რადგან ჯიბეში, როგორც წესი, არასოდეს
ფული არ ქვენდა. მარიამ მაგდალინელი რომ აქ ყოფილიყო, რა
თქმა უნდა, ასესხებდა ამ ნახევარ სტატირს.

— მომისმინე, ძვირფასო, — ეტყოდა, — ებედურება დამატყ-
და! ეს პირუტყვები, გადასახადების ამკრეფნი დიდრაქმას მთხოვენ
იმ საბაბით, რომ ღვთისმეტყველების დოქტორის დიპლომი არა
მაქვს. ქენი სიკეთე, ჩემო ლამაზო, ერთი მანეთი მასესხე და რო-
გორმე გადავიხდი! ახლა კი, ხომ ხედავ, სულს იქით არაფერი გა-
მაჩინია....

რაღა თქმა უნდა, მაგდალინელი უარს არ ეტყოდა, რადგან, როგორც ვიცით, ემსახურებოდა იმით, რაც გააჩნდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მაგდალინელი კაპერნაუმში არ იშკო-
ფებოდა.

როცა პეტრემ გადასახადების ამკრეფთა მოთხოვნა გადასცა, იქსომ მხოლოდ მხრები აიჩინა.

— რა ხალხი! — თქვა. — სულ უბრალო რამეები არ გაეგე-
ბათ ამ საცოდავებს. აბა დაფიქრდი, ძეველო მეგობარო პეტრე-
დიდრაქმებს ხომ იეღოვას ტაძრისათვის ავროვებენ, არა? ასეა,
ახლა მითხარი, მიწიერი მეფეები ვისგან იღებენ ბაქს ან გადასა-
ხადს? თავიანთი შვილებისაგან თუ გარეშე ხალხისაგან?

— რა სისულელეს ამბობთ! რა თქმა უნდა, გარეშე ხალხისაგან,
ეზევერდომებისაგან.

— მერე, მე ხომ ღმერთის შვილი ვარ! რატომ უნდა ვეხადო გა-
დასახადი მამაჩიმს?

— მართლაც, ვერ გამიგია, ეშმაქმა დალახვროს! — შეყოფან-
და პეტრე. — რა თქმა უნდა, ლოგიკის თვალსაზრისით შენ სა-
ლად მსჯელობ, აქ ვერაფერს გეტყვიან, მაგრამ მეორე მხრივ მეში-
ნია, რომ ეს წყეული გადასახადების ამკრეფნი არაფერს არ დაგვი-
კრებენ. და არც მოგვეშებიან. მათ მსჯელობა არ უნდათ, მხოლოდ
მონეტები მიეცი! ხოლო თუ არ მისცემ, ორმოში ჩაგდებით გემუქ-
რებიან.

— მაშინ უნდა გადავიხადოთ. ჩემი უაში ჯერ არ დამდგარა.
— გადავიხადოთ? საიდან!

— ნეთუ აქ ვინმე ნაცნობი არ გვეგულება, რომ ეს ცოტაოდენი
ფული გვასესხოს?

— კაპერნაუმში? შენი სისხლის და ხორცის იგავი რაც მოის-
მინეს, იმ დღიდან კაპერნაუმელები სხვა ჭირაშე არიან. ახლა მთე-
ლი ციური სასუჟეველიც რომ დაულოცო, ურთ გახვრატილ დრაქმას
არ მოგვეცმენ.

— ქო, მართლაც გასაჭირში ჩავვარდით...
— შენ შევიძლია სასწაული მოახდინო, მოძღვარო! დიდრაქმა
რა არის...

— სასწაული, რასაკვირველია, შემიძლია მოვახდინო, მაგრამ
სასწაულების ბოროტად გამოყენება არ ეგების... თუმცა, რაკი სხვა
გზა არ არის, მომისმინე კარგად! სადმე ანკეხი და მისი მკედი იშო-

ვე. წალი ტბაზე, ითევზავე და ეცადე. არ გაუშვა ხელუფაზ ცერულა; ილივე თევზი, რომელიც ნემს-კავს მოეკიდება. გაუხსენის ვართ ეჭა შიგ სტატირს იპოვი, ეს იქნება ოთხი დრაქმა. აიღვ ეს თოხი დრაქმა და შენი და ჩემი გადასახადი გაისტემრე.

პეტრემ გაუკონა. სასწაული მოხდა და გადასახადი გადაიხადეს (მათე, 17, 23—27).

იმ დღეს იესო ჩინებულ გრძებაზე იყო. მეგობრულად ეხუმრებოდა მოციქულებს, რომელთაც ამასწინანდელი წევნა ვერ მოენელებინათ: რატომ აიყვანე თაბორის მთაზე სამი მოციქული და არა ყველანიო? როცა შეატყო, რომ თორმეტსავე მოციქულს ერთნაირად უნდოდა ვიცე-პრეზიდენტის სავარძლის დაკავება, ხუმრობა გაშვებით ეთხრა:

— ვისაც სურს იყოს პირველი, ის უნდა იყოს უკანასკნელი და ყველა დანარჩენის მსახური!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისი უწმინდესობა რომის პაპი საქრისტიანოს მმრდანებელთა შორის პირველია, მაგრამ ერთხელაც არ გამიგონია, რომ ქრისტეს ეს ბრძნული მცნება შევსრულებინოს და თუნდაც ერთი მიმღოცველისათვის ფეხსაცმელი გაეწმინდა, მიღიონობით მიმღოცველი რომ აწყდება პეტრეს ტაძარს და ქოშებს უკოცნიან თვითონ პაპს. აკი მოგაბსენეთ, პირიქით ხდება: მიმღოცველი უკოცნიან ქოშებს. თავს იმდაბლებენ.

შემდეგ იესომ მუხლებზე დაისვა ყმაწვილი, აკოცა და მოციქულებს აუჩსნა, ბავშვები უნდა გიყვარდეთ*. მათი უმანქობა დაიცვათო.

— თუ ერთ ასეთ ბუთხუზა ბიჭუნას ვინმე შეაცდენს, კისერზე წისქვილის დოლაბი უნდა გამოებას და ზღვაში გადაუძახონ. — დაარიგა მოწაფეები.

როგორც ხედავთ, სახარება იესოს ხშირად უაღრესად გონივრულ სიტყვას ათქმევინებს ხოლმე, — უთუოდ იმ უზნებობის გასაზომიერებლად. რასაც წინა თავებში გავეცანით.

საუბედუროდ, წმინდა მტრედის მდივნები — მათე, მარკოზი,

* რაც შეეხება ქრისტეს ამ მცნებას, ლაპაზი ბიჭუნები გიყვარდეთო, რომის პაპები და კატოლიკები მას ულაპარაკოდ ასრულებდნენ, უპატიათვისებურალ: მდინარე ტიბრია მოწამე, როგორ ისროლენ მათი მხეცური კანკალეს მსხვერპლად ქცეულ ურმებს ვატიკანის ფანჯრიდან პირდაპირ შღვრიე ტალებში.

ლუკა და იოანე — ერთხელად არ გვეუბნებიან, როგორ ატარებდა ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისი უზადო მორალური კოდექსის მოთხოვნებს, უფსერული ხომ არ არის ამაღლებულ მოისხვნებსა და საქმეს შორის? ხაყოველთაო სიწამხლე და თავაშვებულობა ხომ არ სულევს იმ ქეყანაში, სადაც მოციქულებს ზნეობრივ სიწმინდეს უქადაგებს? სწორედ ასეა მუდამ: ერთის მხრივ ის პატიოსნებას ქადაგებს და მოწავეებს ასწავლის, ბავშვები გიყვარდეთო, მეორე მხრივ თვითონ მაცხოვარიც კი ხშირად ქეიფობს, მეძავი ქალების ხარჯშე ცხოვრობს და პირშვენიერ იოანესადმი ისეთ ყურადღებას იჩინს, რომ უნებურად გაგიკვირდება.

ეტყობა, ამიტომ ძმანი ბერები ნაკლებ ყურადღებას აქცივნის სიტყვებს, უმჯობესად თვლიან მისი ქცევიდან აიღონ მაგალითი.

საუბარი განაგრძო და მოციქულებს განუცხადა: ყოველთვის, როცა თუნდაც სამი თქვენგანი შეიყრუბა, მეოთხე მე ჭიქნები, თუმცა ვერ მიიხილავთო.

პეტრემ გაბედა და საყვარელ მასწავლებელს ქიითხა, როდემდე უნდა უთმინოთ მტრებსა და შეურაცხმყოფლებს, როდემდე უნდა ვაპატიოთ და ხაერთოდ ექნება თუ არა ხაზღვარი მოთმინებასო.

— ფარისევლები ერთსა და იმავე ადამიანს სამჯერ მიუტევდენ, — დასძინა პეტრემ. — თუ მე ჩემს მტანჯველსა და დამამდაბლებელს შვიდჯერ მივთევდებ, საკმარისი იქნება?

— არა, შვიდჯერ კი არა, — მიუგო იესომ, — არამედ სამოცდანებიდმეტჯერ!*

აბა რით უნდა აიტანას, თუ არა იესოს ამ მცნებით, ის უდავო გარემოება, რომ დედამიწაზე არავინ არ არის ეკლესიის მსახურებზე უფრო მოუთმენელი და შერისმაძიებელი! ერთი სცადე და თუნდაც ერთხელ შეურაცხმყავი ღვთისმსახური, და იქვე ისეთ შარს მოგდებს, ისეთ ხრის მოგიწყობს, რომ თუ როვორმე არ მოთაფლე, სასამართლოებში გაწანწალებს, — ამაში მე დამერწმუნეთ!

ბოლოს, თავისი აზრის უფრო ნათელსაყოფად იესომ მოციქულებს კიდევ ერთი იგავი უთხრა.

* „მაშინ მოუხდა მას პეტრე და პტერვა: უფალო! რაოდენ გზის შემციროს ამამან ჩემმან და მიუტეო მას? ვიდრე შეიდ გზისამდეა? პტერვა მას იესო: არა გატყვა შენ: ვიდრე შეიდ-გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოცდა-ათ-შვიდ-გზის“ (შათე, 18, 21—22).

რომელიღაც სახელმწიფოში, რომელიღაც სამეფოში... იყო და
არა იყო რა, ღვთის ჰკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი შეფერ ქრის-
ტელ თავისი მსახურები იხმო და უბრძანა, თქვენ-თქვენ უკუმები
მომახსენეთო. მსახურთა შორის აღმოჩნდა ერთი, რომელსაც მეფის
ათი ათასი ტალანტი ემართა, ესე იგი ათი ათასი გირვანქა ვერც-
ლი. ეს რა თანხაა, თავად განსაჯეთ.

მეფის ეს მსახური ერთ-ერთი მდიდარი პროვინციის გებერნა-
ტორი იყო, მეფისთვის გადასახადებს კრეფლა, მაგრამ ეტყობა, წაა-
გო. კანონის თანახმად მეფეს შეეძლო მფლანგველი გებერნატო-
რის მთელი ქონების კონფისკაცია მოეხდინა, მონად გაეყიდა ისიც
და მისი ცოლ-შეილიც. მაგრამ ეს მეფე რატომღაც ძალიან კეთი-
ლი ადამიანი აღმოჩნდა, სხვა მეფებს არ ჰკავდა. ადგა და გუბერ-
ნატორს ვალი აპატია იმ პირობით, რომ შემდეგ უფრო გონივრუ-
ლად მოიქცეოდა და წესიერად გადაიხდიდა გადასახადს.

ამრიგად, გებერნატორი გულდამშვიდებული წავიდა სასასლი-
დან-ეკანასენელ სალეხურსე რომ დადგა ფეხი, წინ შეეჭეთა ერთი
კაცი, რომელსაც მისი ასი დინარი ემართა, ესე იგი ერთ ტალანტ-
ზე ბევრად ნაკლები.

— ააა, გაები თუ არა მახეში? — უყვარა უბედურ მოვალეს
გებერნატორმა და ქეჩიოში ხელი ჩაავლო. — რამდენი ხანია დაცუ-
ძებ! ახლავე მომეცი, რაც გმართებს, თორემ ბუშივით გაგსრეს!

ტყუილი ლაპარაკი არ ჰყვარებია, მართლაც ყელში წაეტანა.
საწყალმა კაცმა ხვეწნა-მუდარა დაუწყო, მაგრამ გებერნატორი
*ულმობელი აღმოჩნდა. თავისი ხელით წაიყვანა საბრძანებელში და
მოვალეთა ორმოში უკრა თავი, დღის სინათლე არ აღირსა, ვიდრე
მთელი ასი დინარი და მისი პროცენტები არ გადაუხადა.

ეს ამბავი მეფის ყურამდე მიეღიდა. მაშინვე ბრძანა, კუბერნატო-
რი აქ მომგვარეთო, და თქვენს მტერს ისეთი, მას რომ დღე დაა-
ყარა.

— ჰაი, შე ბოროტმოქმედო! — უყვიროდა ხელმწიფე. — მე
შენ ათი ათასი ტალანტი გაპატი, ნელნელა იხადე-მეთქი,
მფლანგველ ჰკეთურო, შენ კი არ შეიბრალე საწყალი კაცი, რო-
მელსაც მხოლოდ ასი დინარი ემართა! ახლა გიჩვენებ!

განრისხებულმა მეფემ ჯალათი იხმო და დაუკონებლივ გამო-
უქადა განაჩენი: ეს არამშადა სათანადო სიმაღლეზე და საიმე-
დოდ ჩამოახრიეო!

ასეთი იყო იქსოს იგავი. უსათუოდ სრულყოფილი მოთხოვდა!
შოციქულები მან ძალიან დააინტერესა. ამ შინაარსის ამბები სწორება
რედ მათი გემოვნებისა იყო.

მღვდლები დღემდე ღვეულენ ამ იგავებს — სოლომონის იგა-
ვებს, დავითის სიბრძნეს, იქსოს იგავებს — და მორწმუნებს შეა-
გონებენ, აი, ასეთი და ასეთი იყავითო, მაგრამ როგორც კი მორ-
ჩება გუბერნატორის ლანძღვას, საწყალ მოვალეს რომ ასიოდე დი-
ნარი არ აპატია, მაშინე იგივე მღვდლი ტყავს აძრობს საბრალო
მრევლთაგანს, რომელსაც მისივის ნათლობის ფული დროზე ვე
გადაუხდია (იხილეთ მათე, 18,1—35; მარკოზი, 9, 32—49; ლუ-
კა, 9, 46—50).



გილბერტი. ადამიანის შექმნა და სამოთხიდან განდევნა.

**სკიმისაბის, ან უფრო სწორად კარვების,
დღესასწაული**

ეტიპების შესკურისად და არა ვინ და-
მსხა მას ხელი, რამეთუ არღა მოწევნელ-
იყო ქაში მასი.

და მრავალთა ერთსა მისვანთა ქრისტენა მი-
სა მიმართ და იტყოდეს: ქრისტე იდეს მო-
ვიდეს, ნე უკი უმრავლესი სასწაულია
ქმნესა, რომელი ამან ქმნა?*

და ესმა ფარისეველთა ერთსა მის ღრტეი-
ნეა მისოვთის და მიაკლინეს მდედრელთ-მთა-
ვართა მათ და ფარისეველთა მსახური, რა-
თა შეიძურან იყო.

და ქავება იქსო: მცირედ გამ თქვენთან
გარ და წარეალ მომავლინებელისა ჩემისა!

იოანე, 7, 30-33.



ინა სამ თავში აღწერილი ამბები მოხ-
და მაშინ, როდესაც ებრაელებს თავიანთი
ტრადიციული დღესასწაული ჰქონდათ —
სკინიების დღესასწაული. როგორც წესი,
ის შემოღომაზე ეწყობოდა. დღესასწაული

* ამ განცხადებაში: ქრისტე რომ მოვა, ამაზე მეტ სასწაულს მოახდენ-
სო, იმ ხალხის გაუმაძლრობა და სირეგვენე ჩანს, სხვა არაფერი: ამასე
დიდი სასწაული არ უნდა მოეხდინა „მეორე ქრისტეს“ ანუ „ნამდევალ
მესიას“, რომა იყსომ სამ წელიწადში მეტი სასწაული მოახდინა, ვიზრე
იყლოვამ — საუკუნეების შანჩილზე! ლამის მთელი იელეა განკურნა. მა-
გრამ ეს არაფერი. მთავარი ისაა, რომ აქაც ჩანს ხალხის პოზიციის ბენ-
დოვანობა: ქრისტე ახალ ქრისტიანულ სარწმუნოებას ქმნის და ქრისტე
არ ჩანს გარევეული მიწნა, რომ იუდეველებმა ეს იკრძნონ, ისინი კიღევ
ელიან „ქრისტეს“, მესიას, და არ იყიან, რას მოუტანს მათ ის.

დაწესდა ძველ ებრაელთა ცხოვრების იმ მონაკვეთის აღსანიშნავად, როცა ეს ხალხი უდაბნოზე მშვიდობით გადავიდა. ეს გადასული შეიტყ დღე გრძელდებოდა. ამ შვიდი დღის განმავლობაში ებრაელები ცხოვრობდნენ მწვანე კარვებში, როგორც ოდესლაც მათი წინაპრები — მოძრავ კარავთა ჩრდილში.

თუ ზუსტად გადავთარგმნით ძველ ებრაულ სიტყვას, რაც ამ ზეიმს შეესიტყვება, მისთვის კარავთა დღესასწაული უნდა ეწოდებინათ და არა სკინიების ანუ ტალავართა დღესასწაული, როგორც დღეს იტყვიან.

ამ დღეებში ჰოლს ისრაელში სიხარული მეფობდა. ხალხი ტოვებდა სახლებს და ქზოში იძნებდა მწვანე ფანჩატურებს, საჩრდილობლებს, რომელთაც კედლებად და სახურავად პერნდა ზეთისხილის, ფიჭვის, მირტის ან პალმის ტოტები. შვიდი ღამე ეძინათ ამ მწვანე კარვებში, რომელთაც დაეფარათ მოვლი ეზოები, ქუჩები, მოედნები და გარეუბნებიც კი. მოვლი კვირა იერუსალიმი პგავდა შრიალა ტყეს, გამრიყვებულ მოწმუნეთა სავანეს, — ქურდა და მძარცველთა საბედნიეროდ, დაცარიელებულ სახლებში რომ დაძრწოდნენ და არხეინად მიძეონდათ ყველაფრთი, რაც მოწონებოდათ. მაგრამ ეს მხოლოდ მედლის მხორე მხარე გახლდათ და ამაზე ფიქრიც არავის სურდა, ისე ერთობოდნენ ამ საყოველთაო ზეიმსა და დროსტარებაში.

ყველგან მხიარული სიმღერები გაისმოდა. „დავითის ქარსა“ და წინასწარმეტყველთა სალამურებს უკრავდა ყველა, და ეს იყო გამოძახილი ბუკნაღარის ხმიანობისა, იერუსალიმის ტაძრის გაღვნიდან რომ მოდიოდა. მხიარულების ნიმნად ყველას თან დაპქონდა პალმის რტოები, აგრეთვე ატმის, ლიმონის, ლეღვის და წლის ამ დროისათვის მომწიფებული სხვა რაიმე ნაყოფით დახუნძლული ტოტები. იუდეველთა სიხარული მით უფრო სრული იყო, რომ კარვების დღესასწაული უშაულოდ მოსდევდა გამოსყიდვის დღესასწაულს და ყველას თავისუფალი ეგონა თავი იმ ცოდვებისაგან, რომლებიც გასული პასქის აქეთ ჩაედინა.

ხალხი ყოველი მხრიდან აწყდებოდა იერუსალიმს.

როცა ჩვენს გმირებს მოაგონდათ, მორიგი დღესასწაული ახლოვდებაო, პირმშვენიერმა ითანებ შექუვირა:

— კარვების დღესასწაული! აი, ეს მესმის!

მაგრამ მირონცხებულმა თავისი მოწაფის აღტაცებას იქნა და-
ვი წყალი გადაასხა.

— ჩემო საუნჯვე! — უთხრა, — ჩვენი იერუსალიმში გამოჩენა
საშიშია. უკვე ჩველა გვიცნობს და თუ იქ გამოვჩინდებით, ხიფათი
არ აგვცდება.

მერე იესოსთან მივიღნენ მისიანები, რომლებიც რატომლაც
გაპერნაუმში აღმოჩნდნენ, და აგრეთვე დღესასწაულზე მიიპატი-
ვეს.

— ჩვენ აუცილებლად წავალთო, — განუცხადეს. — რატომ
არ უნდა მოხვიდე შენც ჩვენთან ცრთად? თუ მართლა დიდი წი-
ნასწარმეტყველი ხარ, როგორც ამტკიცებ, შენი ნიჭისა და უნარის
გამოსაჩინად ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერც გამონახავ. ყველა რა-
ტომლაც ამაზე ლაყბობს, დაეხეტებათ დაბა-ქალაქებში და სოფ-
ლებში. ერთი სატახტო ქალაქში გამოჩნდი, ყველამ დაგინახოს,
თორემ მტრები დაგცინებდნ. ბოლოს და ბოლოს, თუ გაქვს ღვთაებ-
რივი მონაცემები, რატომ იმალები?

— გამი ჩემი არღა მოწევნელ რა! — ყოველგვარი ახსნა-გან-
მარტება ზედმეტად ჩათვალა, მხოლოდ ესა თქვა იესომ. — თქვენ
კი არ გაკავებთ, წადით და იმხიარულეთ, რამდენიც გენებოთ.

სინამდეილეში კი იესოს გულითა და სულით უნდოდა იერუსა-
ლამში წასვლა. ამას გულმოდგინელ ფარავდა, რომ დანარჩენები
შეცდომაში შეეყვანა, რაღან როცა საჭირო იყო, იესო ტყუშოდა კი-
დეც. ცოტას ყველა ტყუის.

დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა არ გამოეტოვებინა კარავ-
თა ეს დღესასწაული, მხოლოდ არ უნდოდა, რომ წმინდა ქალაქში
მისი მისვლა ვინმეს სცოდნოდა. იესოს ეშინოდა ფარისეველების,
მწიგნობრებისა და სინედრიონისა, რომელთაც შეეძლოთ რაიმე სა-
ბაბით ხალხი მის წინააღმდეგ აემხედრებინათ.

დავიმოწმოთ მის ერთგულ იოანეს სახარება:

„ხოლო იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათა, რომელ
არს კარვობისა (ტალავრობისა).“

პრევეს მას ძმათა მისთა: გარდაგვალე ამიერ და წარვედ ჰური-
ასტანად, რათა მოწაფეთაცა შენთა იხილნენ საქმეზი შენი, რო-
მელთა იქმ.

რამეთუ არავინ ფარულად რასხე იქმნ, და ეძიებნ, რა-



თამცა განცხადებულ იყო. უკეთე ამას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა.

რამეთუ არცალა ძმათა მისთა პრწმენა მისი.

პრქვა მათ იქნა: უამი ჩემი არღა მოწევნულ-არს; ხოლო უამი თქვენი ოდესვე განმზადებულ-არს.

რამეთუ ვერ ხელ-ეწიფების სოფელსა მოძელებად თქვენდა, ხოლო მე ვსტულ რამეთუ ვეწამებ მისთვის (ვამშილებ მას), ვითარმედ საქმენი მისნი ბოროტნი არიან.

თქვენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვალ დღე-სასწაულსა ამას, რამეთუ უამი ჩემი არღა ასრულებულ-არს.

ესე პრქვა მათ და დაადგრა გალილეას.

და ვითარცა აღვიდეს ძმანი მათი დღესასწაულსა მას, მაშინ თავადიცა იქსო აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ვითარცა ფარულად“. (იოანე, 7, 2–10).

ამრიგად, მირონცხებული თავისიანებს არ გაეკარა და სწორა-დაც მოიქცა, რომ თავი დააღწია მათს სიახლოეს. მისი ძმები იორ-დანის გაყოლებით წავიდნენ იერუსალიმის მხარეს, ხოლო თვითონ თავისი მოციქულების თანხლებით შორი გზიდან წავიდა, სამარიის გავლით.

ევანგელისტ ლუკას თქმით, იქსო ძალიან ცედ გუნებაზე იყო. დღესასწაული ანდამატური ძალით იზიდავდა და იმავე დროს აეპე-დითი წინათგრძნობა ქვენდა. რა გასაკვირია, რომ მტრის თვალის ასახვევად არალეგალურ გზას დაადგა და პირველად დასვერა, არი-სო თუ არა გზა თავისუფალი. ამ მიზნით წინასწარ მაცნენი გააგ-ზავნა, „წინარე პირისაგან თვისისა“*.

იერუსალიმის გზა, თუ ევანგელისტებს ვერწმუნებით, სულაც არ იყო მხიარული მგზავრობისათვის ხელსაყრელი. სამარეველი ყოველთვის შერით შესცემეროდნენ დედაქალაქის მცხოვრებლებს და ალმაცერად უყურებდნენ საქმეშემოლეულ ტურისტებს, რომ-ლებიც მათს მიწა-წყალზე გავლით სოლომონის სატახტო ქალა-

* იქსოს შიში უსაფუძვლო ას იყო. იოანეს მოწმობით „ურიანი იგი ეძიებდეს მას დღესასწაულსა მას და იტყოდეს: სადამე აჩს იგი? და იყო მრავალი დრტვინეა მისთვის ერსა შორის. რომელნიმე იტყოდეს: კეთილ აჩს, ხოლო სხვან იტყოდეს: არა, არამედ აცლუნეს ერსა. და არავინ განცხადებულად იტყოდა მისთვის შიშისათვის ურიათასა“. ამრიგად, დივ-ნა უკვე მომწიფებულია და საზოგადოება თრადა გაუთლიალი.

ქისაკენ მიეშურებოდნენ. იქსოს და მის მოწაფეებს ყველგან ჩაკეტილი ხვდებოდათ კარი. ღამეს არ ათევინებდნენ, ლუქმა-პურა არ აძლევდნენ. ბოლოს და ბოლოს იაკობი და იოანე გამოგდნენ.

— ღმერთო! — შესძახეს. — რა უნდილი ხალხი ეთრევა აქ! გვიბრძანე, ცას შევთხოვთ, ცეცხლი დაატეხოს აქაურობას, როგორც იღია აკეთებდა ხოლმე.

— ახლა ასეთი ხემრობის დრო აღარაა, — მიუგო იქსომ. — წავიდეთ.

ასე განაგრძეს გზა, ნახევრად მშივრებმა.

გზად ერთი მწიგნობარი შემოხვდათ. ამ გაიძვერას ათასი რამ მოესმინა იქსოზე და ასე ეგონა, თუ მივემხობი, ოქროში ვიცურავებო. ერთი სიტყვით, ბედი გამიღიმებით, ფიქრობდა. მა-გრამ მწიგნობარს ამკარად გადაეფასებინა მოციქულთა ცხოვრების ყაიდა. ამ ვაჟბატონმა არ იცოდა, რომ მედმიერი ხეტიალი ათას მწელბედობასთანა დაკავშირებული, ყოველ ნაბიჯზე ხილათია მოსალოდნელი, ამაღლებას დაცემა მოხდებს, და მხოლოდ მაგ-დალინელის მსგავს საეჭვო მანდილოსანთა წყალობით ახერხებდნენ ზოგჯერ ხეირიანად კუჭის ამოვსებას, სხვა დროს კი ქრისტეს მოწაფეების კბილებს ქანგი ედებოდა. ახლაც სწორედ ასეთი პე-რიოდი იყო: კბილები თაროზე პქონდათ შეწყობილი.

იქსომ მწიგნობარს საქმის ვითარება აუხსნა.

— მეგობარო, — უთხრა, — შენ შეგეძალა. მელასაც კი აქვს ხვრელი, ციურ ფრინველსაც აქვს თავისი ბუდე, ძემ კაცისამ კი არ უწყის, თავი სად შეაფაროს.


ასეთ კომპანიაში შესელა მწიგნობარს ვერაფერ სარფას ვერ პპირდებოდა და ის დროზე გაეცალა.

მრავალი ჯაფისა და თავეგადასავლის შემდეგ იქსომ და მისმა მოწაფეებმა იქრუსალიმში ჩააღწიეს. არ გამოუვიდა ინკოგნიტო. ვიდრე ჩავიდოდა, მისი ამბავი უკვე იქ იყო, როგორც ამონაწერი-დან ვნახეთ, ასრთა ბრძოლა აშკარად იგრძნობოდა.

— კეთილი კაცია, — ამბობდა ზოგი.

— რისი კეთილი, ხალხს ატყუებს, — შორს იჭერდა უმრავ-ლესობა.

დღესასწაულის პირველ დღეებში იქსოს ნიაგსავით მშვიდად უჭირა თავი. შემდეგ ვეღარ აღუდგა წინ თავისი ღვთაებრივი მჭევრმეტყველებით გამოჩენის სურვილს, შევიდა ტაძარში, ერთ



შეუდრო კუთხეში მოიკალათა და იქ დაიწყო თავისი გეთილა
სულელური იღვების ქადაგება.

პირველად ხალხი და უფროსები გაოცებული იყვნება ანეთი
სითამაშით. მისი ყოველი სიტყვა სწამდათ. შემდეგ გონის მოვიდ-
ნენ და მირონცხებულს იყლიკანტური კითხვები დააყარეს. კერ-
ძოდ, ჰეითხეს, რა უფლებით კისრულობ ბიბლიის განმარტებას,
როცა თვითონ არაფერი გისწავლიათ?

იქსოს შეეშინდა, შემდეგ კი ხალხის გადმობირება მოინდომა
და თავის მხრივ მღვდელმთავრებს ჰეითხა:

— რაისთვის მემიებთ მე მოკლვად?*

ყრე დუმილი ჩამოვარდა. ყველა ფიქრობდა, რომ თვითმარ-
ქვია ღვთისმეტყველი შეიძალა. მერე ვიღაცამ უპასუხა:

— ჩემო კეთილო, შენ, როგორც ვატყობ, ცოტა გაკლია. ეშ-
მაკი ხომ არ შევისაბლდა, რომ ყოველნაირ სისულელეს ყბედობ?
ვინ გეძებს მოსაკლავად? ვის უნდიხარ, ვისა სცალია შენთვის?

ცხადია, ყოველი უბირი ავა, ყოველი დებილი ავა კათედრაზე
და ეტყვის იქსოს: ვისა სცალია შენთვისია? — თუ სინედრიონისა
ელის ფარი, მაგრამ იქსო მაინც იყო იქსო, უბირთა უტაქტო კი-
თხვებს ყურადღებაც აღარ მიაქცია და ამდენი სასწაულის მოქმედ-
მა დაიწყო ლაპარაკი იმ სასწაულზე. რაც გასულ წელს „ბითეზ-
დას“ აბაზანაში მოახდინა.

ეს თემა უაღრესად ძლიერი და სასარგებლოც იყო, რადგან
ხალხმა ეს ამბავი იცოდა და დამბლადაცემულის განკურნების ამ-
ბავი მთელს იერუსალიმს პირზე ეკვრა. ცხადია, გაბლენძილი რე-
გვენის კითხვა ამასთან შედარებით ბატის სივილზე მეტს არ ნიშ-
ნავდა.

* ეიღრე ამ ცნობილ კითხვას მისცემდა, იქსომ მოიაექტებს საქმიოდ
დამაკერტებლად დაუსაბუთა თავისი სიმართლე: „უკირდა ურიათა მათ და
იტყოდეს: ვათარ უკეთ ამან წიგნი იყის უშველელად? მიუგო იქსო და
პრეჭვა: ჩემი ეს მოტლვება არა არს ჩემი, არამეს მომავლინებელისა
ჩემისა. უკირდა ვანშე ნებასა მისსა ჰყოფდეს, სცნას მან მოტლება ესე.
ვითარ რა არს, ღმრთისაგან არს ანუ მე თავით თვისით ვიტუთ. ჩომელი
თვით თვისით იტყვინ დიდებასა, თავისა თვისისასა ემიებნ, ხოლო ჩომელი
ემიებნ დიღებასა მომავლინებელისა თვისისასა, იგი კეშმარიტ არს და სიც-
რეე არა არს მისთანა. ანუ არა მოსე მოვცა თქვენ პსფული? და აჩვენ
ოქენენგანი ჰყოფს ქსელსა. რასათვის მემიებთ შე მოკლვად?“ (იოანე
7, 15 — 19).

იქსოს დროზე მოაგონდა განკურნებული დამბლიუნი ტრბოს სიმპათია ერთბაშად მირონცხებულის მხარეზე გადავიდა და სინუ- დრიონის მესვეურებრა მისი შეპყრობა ვეღარ გაბედეს, თუმცა ხე- ლები ექავებოდათ. მათი დამარცხება და წათრევა ერთი იყო, მაგ- რამ ტაძრის გუშაგებს კი ბრძანება დაუტოვეს, როგორც კი მარტო დარჩება, დაიჭირეთ და საიმედო ადგილზე მოათავსეთო.

ამ ბრძანების შესრულება არ მოხერხდა. დაცუის მეომრები ხალხში გავიდნენ და საერთო ზეგავლენის ქვეშ მოქცეულნი ქრი- სტეს მოწიწებით შესცეროდნენ. მის ყოველ სიტყვას ნთქავდნენ, ხოლო იქსომაც იკრძნო, საქმე შეიძლება უკუღმა. შეტრიალდესო, ამიტომ ისეთი იადონის ენით ამეტყველდა, ისე აამა ხალხს, რომ თვითონ სინედრიონის მსახურებმა ყურები ჩამოყარეს, ხელსაყრე- ლი მომენტი ხელიდან გაუშვეს.

როცა შედამების შემდეგ სინედრიონში გამოცხადდნენ და თა- ვიანთი მარცხი გაამხილეს, გაბოროტებული მღვდლები ობობები- ვით აფოფრილები დაესხნენ თავს გუშაგებს, უმოწყალოდ დაცო- ფეს, როგორ თუ იქსოს ხელი არ სტაცეთ, როცა ხალხი დაიშალა და უხმაუროდ შებოჭვა შეიძლებოდა!

— რატომ არ მოიყვანეთ? — უმეორებდნენ გამძვინვარე- ბულნი.

დაცუის კაპიტანი რაღაცას ბურტყუნებდა. მოარული სიტყვის ქადაგებამ მეც მომხიბლაო.

— ბრძანების გაცემა ადვილია, — ლეღლუღებდა ის, — მაგ- რამ აბა შესრულება სცადეთ! რა შემეძლო? იმ ჭაბუკს ენა სამარ- თებელივით უჭრის. ერთი მოგესმინათ ბოლომდე! რომელი ღვთის- შეტყველი შეედრება, პირდაპირ მოგვაჯადოვა...

— მაშ შენც გაცდუნა, იმ ბრძოსავით? — უარესად გაწიწმატ- და სინედრიონის მესვეური. — ბრძოლის დოკულაპებო! ნუთე რო- მელიმე უფროსთაგანმა და ფარისევე მაც იწამა? რომელი იუდე- ველი ირწმუნებს იმის იგავებს, თუ ორი ასოს გადაბრა მაინც ეხერ- ხება? ეს იგავები გამოსადეგია მხოლოდ ყმაწვილებისათვის, რო- მელთაც ჯერ არ იყიან ბიბლია. ეს რა წყველი ხალხია! ყველგან უმეცრება! ჩვენ კი გვეგონა, რომ თქვენ უფრო ჭკვიანები იქნე- ბოდით...

კაპიტანმა და მეომრებმა აღარ იცოდნენ, რა გზას დასდგომოდ- ნენ. სიტყვა მისცეს, შემდეგისათვის ასეთ დოკულაპიობას აღარ

დავუშვათ, აღარ მოვისმენთ მოარული სიტყვის ლაყბობას, თუნ-
დაც ღვთაებრივს, და მაშინვე ჩავაფრინდებით.

უშენაა სამსჯავროს წევრთაგანმა ნიკოდიმმა, — სწორედ
იმან, რომელსაც ბუზის განაწყენებაც არ შეეძლო, — თავისი კო-
ლეგების დაშომმინება ხცადა. არც მას სწამდა მირონ ცხებულის
ღვთაებრივი ჩამომავლობა, მაგრამ არც მისი ცედი უნდოდა, რად-
გან უშიყინარ სულელად მიაჩნდა. ამრიგად, ნიკოდიმმა სცადა გა-
მოქომავება.

— დავუშვათ, — თქვა, — რომ იმ კაცის ბოდვითი სიტყვა
ერთგვარ საფრთხეს ქმნის. დავუშვათ! მაგრამ იქნება თუ არა ეს
საქმარისი საბუთი მის პატიმარსაყოფად? ვშიშობ, რომ არა.
ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება აქ მოვიწვიოთ და მოვუსმინოთ. დაე,
თვითონ გვითხრას თავისი საქმეები და მაშინ დამშვიდებით გა-
დავწყვიტოთ, იმსახურებს თუ არა სასჯელს. არ შეიძლება ადამია-
ნის დასჯა ისე, რომ არც მოუსმინო, ეშმაქმა დალახვროს!

მაგრამ თვითონ ნიკოდიმს კეთილი სიტყვა უადგილოდ გა-
მოუვიდა. მთელი სინედრიონი იქსოზე იყო ამხედრებული *, და ბე-
ნებრივია, თვითონ მას, უადგილო ვექილს, კარგი დღე არ დაად-
გებოდა.

— შენ რა, თვითონაც გალილეელი ხომ არა ხარ? — უყი-
როდნენ. — ან იქნებ არ იცი წერილი? აიღე ბიბლია და წაიკით-
ხე. გალილეიდან ჯერ არც ერთი წინასწარმეტყველი არ გამო-
სულა.

ნიკოდიმმა ენაზე იყბინა. უკვე იმისათვის შეწუხდა, რომ მისი
მიზეზით ასეთი ხმაური ატყდა. მაგრამ მის გაუბედავ გამო-
სვლასაც არ ჩაევლია უშედეგოდ, რადგან გუმაგთა აზრს დაემთხ-
ვა, და იქსო დროებით გადარჩია. სინედრიონი ისე დაიშალა, არავი-
თარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

* სინედრიონის წევრთა გამორიტება ისევე გასავებია, როგორც რო-
მის წმინდა სამსჯავროსი, რომელიც ჭორდანო ბრუნომ თეთი საღვთის-
მეტყველო პატიმარების დამარცხა. ლახავებულ სამსჯავროებსა და კო-
ლეგიებს არავინ ისე არ სძულთ, როგორც ახალი იდეის მქადავებელი,
რომელიც მათ სქმბის. მათს სიჩურგეზე ისიც მეტყველებს, რომ იქსო
წინააღმდეგ მთავარ საბუთად ის მოქავთ, ჯერ გალილეიდან არც ერთი
წინასწარმეტყველი არ გამოსულაო (მოთვ. 8, 19—22; ლუკა. 9 51—62;
ოთანე, 7, 7—53).



დაამთვენოთ ქმრები რძაგით, ხალხაზონული; დაართი თქვენთანაა!

ხოლო მწერნობართა მათ და ფარისეველთა მითიყვანებს მისა დედაკაცი, რომელიც ცხადად კრისა ჟერა დაქცეული მრუშებასა და დააღვინეს იგი შორის. და პრექტი ჩას: მოძღვარი! ესე დედაკაცი ცხადად მრუშებასა დაქცეული... ხოლო იქსო აღემართა და არავინ იხილა, გარნა დედაკაცი იგი, და პრექტა შას: ხადა არიან შემახმენვდნი შეწნი? არავინ განგიცითხა შენ? (სად არიან შეწნი მრალ-მდებელნი? არავინ გადამართლათ?). ხოლო ნან რქევა: არავინ, უფალი! ხოლო იქსო პრექტა: არცა მე განგიცითხავ შენ წარვედ და ამიტითგან ნებარი ქსერდავ

ლონე, 8, 3-4; 10-11



მავე დღეს საღამოს იქსომ იერუსალიმი დატოვა. ეს იყო ფრთხილი და გონივრული ნაბიჯი. ზეთისხილთა მთაზე ემჯობინებათ ღამის გათვეა. ამინდი ჩინებული იყო და უდარდელად დაიძინა ხეთა ჩრდილში. მაგრამ გათენებისას ისევ გამოჩნდა ტაძარში და ისევ მოქავა თავის ქადაგებას. მთელი იერუსალიმი მას უსმენდა.

სინედრიონის წევრებს არ აუღიათ ხელი განზრახვაზე, რომ ეს მოლაპბე თავიდან მოეშორებინათ. ოღონდ ამჯერად ცერაგული გზა აირჩიეს. ჯერ გადაწყვიტეს სახელი გაეტეხათ ხალხში, ყოველგვარი ღონისძიებით შეერყათ მისი ავტორიტეტი და შემდეგ ციხეში ჩაესვათ. თავს იმტკრევდნენ, რა მოვიგონოთ ისეთი, რომ გამობრძედილი მქადაგებელი დავამარცხოთ, ხელთ ვიგდოთ და ციხეში ჩავაგდოთო. ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რამაც მათ საქმე შეემსუბუქა.

შვიდი დღისა და შვიდი ღამის გატარება მწვანე ქარავა
ჩრდილში პატარა გამოცდა კი არ იყო იერუსალიმის ქალების სათ-
ნოებისათვის. საერთო მხიარულებას საზღვარი არა პქონდა ყველა
ნადიმობდა და დროს ატარებდა არაქათის გამოცლამდე. იცინოდ-
ნენ, ხემრობდნენ, მღეროდნენ, ღაზღანდარობდნენ, დადიოდნენ
სტუმრად ერთამეორები. შებინდებისას მოერიდებელი უსაქმერები
უსირცხვილოდ იჭყიტებოდნენ მწვანე ტოტებს შორის დარჩენილ
ჰეჭრუტანებში და უყურებდნენ, როგორ იხდიდნენ ტანჩე ლამაზი იუ-
დეველი ქალიშვილები. ღამის წყვდიაღმი შრავალ ვიქმაჟ ეშლებო-
და მისამართი, სხვის კარავში ზეხეტალდებოდა ხოლმე, შემდეგ კი
ძალიან უნდოდათ წასვლა, მაგრამ მოელოდნელი სტუმრობით შეწუ-
ხებულ ღამაზ ქალებს ქვეყნის ყბაში ჩავარდნისა ემინოდათ, ხმას ვერ
იღებდნენ და საქმე შშვიდობიანად თავდებოდა. თანაც საყოველთაო
სიხარული ისე ძლიერი იყო, რომ იმ დღებში ბევრი რამ ეპატიებო-
და ყველას. მხიარულებისა და ვნებათაღელების ამ ბეღნიერ კვირას
ყველა ცდილობდა უკუთესი ნომერი აეკრიფა. მთავარი იყო არ გაბ-
რულიყო, თორემ დანარჩენის დარდი ვისა პქონდა! ქოდა, სწორედ
იმ ღამეს, როცა იქსო ზეთისხილის ქვეშ იწვა, ერთ ქალს დანაშაუ-
ლის ადგილზე წაასწრეს. ღალატის ფაქტი სახეზე იყო, წყალი არ
გაუვიდოდა. ახალგაზრდა ქალს ვიღაც ქარაფშეტა ჰიჭი ეხვეოდა
და მათი პოზა აშკარად მეტყველებდა იმაზე. რასაც აეკუთხდნენ.

ჭკუიდან გამოსულმა ქმარმა ჭაბუკი თხხში ამოიჭო. მაგრამ მისი
ცოლის ნამუსს ამით რა ეშველებოდა! წაიყვანა და სინედრიონის სა-
შსჯავროს გადასცა, რათა მღვდელმთავრებს გამოეტანათ განაჩენი*.

იმ ეპოქაში, რომის კულტურის ერთგვარი შემამუბუქებელი
ზეგავლენის წყალობით, ქმარს, სულ დიდი, იმისი უფლება პქონდა,
რომ საჯაროდ გაეგდო ცოლი, რომელმაც რქებით დაუშვენა თა-
ვი. წარსულს ჩაბარდა ძველი ქებული დრო, როდესაც მოხსეს კა-
ნონის მიხედვით მოღალატე ცოლს ჩაქოლვა ელოდა. ახლა კი ქმა-
რი თავის შემარცხუნელს გაეყრებოდა და მოჩჩა!

რომმა იუდეას თავისი სისხლის სამართლის კოდექსი შოახვია
თავს. ახლა მხოლოდ კეისრის წარმომადგენლებს შეეძლოთ სიკედი-

* ზეობის საყითხში იუდეელთა კანონი საერთოდ მკატი იყო. სა-
დლესასწაულო დღეებში გარუცნილებას ის გარეშემობაც ამასმებდა, რომ
ბაალისა და ასტრიტა წარმართება კულტის თრგუებს ემსგავსებოდა.

ლით დასჯა და შეწყალება. რომის ნაცვლები კი მოღალატე ქაღლებს გარყვნილებისათვის არახოდეს არ სჯიდნებ სიკედილისა რეაჩავა

როცა ქმარმა მემრუშე ცოლი სინდროინში მიიყვანებოდა ქავება ნონის ყველა წესის დაცვით გაყროდა, ერთმა ძველმა მიმართლებ ხელების ფშვნეტით შესძახა:

— ღირსპატიცვემულო კოლეგებო, ახლა იქსო ჩევნს ხელთაა!
• — ეს რანაირად? — გაჟვირდათ ღირსპატიცვემულ კოლეგებს.
— აი, როგორ! რაკი ის პიროვნება თავს ბიბლიის მცოდნედ ახალებს, ახლა ერთ კარგ იონს მოუწყობთ. მოსეს კანონის თანახმად, მოღალატე ცოლი ჩაქოლვას იმსახურებს*. დე, იქსომ გაარჩიოს ეს საქმე. თუ იტყვის, რომ მოსეს კანონით უნდა დაისაჯოს, ამით თავის ავტორიტეტს წყალს გადასხამს და აღარავინ დაიჯერებს მის ქადაგებას ლომბირებაზე, აღარავინ იტყვის, კეთილი კაციათ. გარდა ამისა, პილატეს რისხვას დაიტეხს, რომის გებერნატორი იოლად არ აპატიებს მოხეს კანონის აღდგენას. ხოლო თუ ჩევნი მოღაყბებადაწყვეტს რომ საკმარისია ჩევეულებრივი გაყრა, ყველგან ხმას დაყვრით, რომ პატივს არა სცემს ბიბლიის კანონებს. ორსავე შემთხვევაში საქმეს ჩევნ მოვიგებთ, იქსო კი წააგებს.

სინედრიონის წევრებმა ეს წინადადება აღტაცებით მიიღეს. მაშინვე ტაძრის იმ განყოფილებაში აღმოჩნდნენ, სადაც იქსო თავის მოძღვრებას ქადაგებდა მრავალრიცხოვანი მსმენელით გარემოცული. მოარული სიტყვა სწორედ „წმინდა წერილს“ ახასიათებდა. სინედრიონის წევრები პირდაპირ მოათრევდნენ რეგვენ ქალს, რომელმაც ჭაბუკის მიმართ განცდილი ვნება ვერ დაფარა.

— ვინ არის ეს დედაქაცი? — უკიოხებოდნენ.
— ერთი ვინმე ქალთაგანია, ქმარს რქები დაადგა, საქმეზე წაასწრეს...

— შესახედავად არ ყოფილა ურიგო. საწყალი ფისო! სანაძლეოს დავდებ, მისი ქმარი რომელიმე ბებერი რეგვენი აქნებოდა, ზედაც არ შეხედავდა. ათასში ერთხელ...

* ჩაქოლვას მოსეს კანონებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს (იეღოვას რჩევით). ჩაქოლვა ელოდა მოღალატეს, მემრუშეს. შაბ თს მომერვავეს... ერთხელ ისრაელებმა „უდაბნოსა ზედა პოვს კაცი, რომელიც შესკრებდა შეშასა დღესა შებათსა... და განიუვანეს იგი უკეცლმან გარეშე ბანაქსა და ქვა ლაქრიბეს მას კრებულმან“, ე. ი. ჩაქოლეს (3 მოსე, 15, 32—36).

— რაც უნდა ყოფილიყო, ეს არ უნდა გაეკეთებინა. მაგ ქმარი, ბებერია, მით უმეტეს, სულ არ დაშვენდება რქები.

— გეოფფათ, რა მოხდა ისეთი! ვის არ გაეკეთებია!

— რა მოხდათ? სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რომ ქალებმა თავი არ აიშვან და ქვეყანა არ გააცინონ.

— მაინც რით უნდა დაისაჯოს, თუ შენ ასეთი სამაგალითო ხარ?

— მე რა უნდა ვთქვა? მოსეს კანონებში ყველაფერი ნათქვაშია.

— ეს კანონი ხომ აღარაა მოქმედებაში, აგრეთვა ჩამდენი საუკუნეა!

ასეთი სხვადასხვა აზრი აღელვებდა ხალხს, ვიდრე სინედრიონის წევრები იქსოსაკენ მიიკვლევდნენ გზას. განსაკუთრებით ქმრები იყვნენ აღშფოთებული. მწარედ ნანობდნენ, რომ მოღალატე ცოლებს ვეღარა სჯიან მოსეს კანონებით.

ბოლოს, როგორც იქნა, სინედრიონის წევრებმა შოარულ სიტყვასთან გააღწიეს, სახეები საცოდავად დაელრიჯათ და თაფლივით ტკბილი ხმით დაუწყეს იქსოს საქმის ვითარების გადმოღავება, თან მემრუშე ქალშე ეთითებდნენ.

— მასწავლებელო, აი ცოლი, რომელსაც იმ ღროს წაუსწირეს, როდესაც თავის პატიოსან ქმარს ქორბუდა რქებით ამკობდა. მოსემ ვეგიანდერძა, მემრუშენი ჩაქოლეთო. მაგრამ ჩვენ ეჭვი შეგვებარა. გაასამართლე, როგორ მოვიქცეთ?

იქსომ ისეთი სახე მიიღო, ვითომ არაფერი ესმის და არაფერს ხედავს. პასუხის გაცემის ნაცვლად დაიხარა და იატაჭე თითით რაღაც სახეების სატვა დაიწყო. ამაზე დიდი შეურაცხყოფა წარმოუდგენელი იყო. თითქოს იმის თქმა უნდოდა, რომ იატაჭის მტკურშე უაზრო სახეების, ნიშნებისა და ახოების ვამოყვანა ბევრად უფრო ხერიონულ საქმედ მიანინა, ვიდრე სინედრიონის სწავლულ დოქტორთა ცნობისმოყვარეობის დაგმაყილება.

ამასობაში ყველაზე უფრო ეჭვიანი ქმრები, რომელთა სმენასაც მოსეს კანონთა ხსენება მისწვდა, მოთმინებიდან გამოვიდნენ. ქმრის მოღალატე ცოლი მათოვის ასპიტშე უფრო საჭელველი იყო. ამიტომ მახლობელ შშენებლობაზე კარგა მოზრდილი რიყის ქვები მოეგროვებინათ, მოეტანათ და ახლა სასწრაფოდ მოითხოვდნენ საქმის გადაწყვეტას, რომ ჯავრი ეყარათ. საწყალ ქალს სა-

ზარელი სიკვდილი ელოდა. ფარისევლებმა და მწიგნობრებმა კი ისეთი სახე მიიღეს, ვითომ ვერ ამჩნევენ ქრისტეს ამ შეურაცხმულ-
ფელ უყურადღებობას, ისევ ისე განაგრძობდნენ თხოვნას და და-
უნებით ეკითხებოდნენ, გვირჩიე, რა ვქნათო, როგორ მოვექცეთო
დამნაშავეს, რომელიც გრძნობდა მოახლოებულ ხიფათს და თავს
ძალიან უხასიათოდ გრძნობდა. ელმობელი ქმრები ისე ექადნებო-
დნენ, თითქოს მათი ცოლი ყოფილიყო, ზოგს უკვი მოემარჯვებინა
ქვა და ყოველივე ამაში სანუგეში არაფერი იყო.

ფარისევლები და მწიგნობარნი არა ცხრებოდნენ.

— რაბი! გვითხებით, რას გვიტყვი, — არ ეშვებოდნენ ფრავ
ნი, — ქვები დავუშინოთ ამ საძაგელს და ჩავქოლოთ თუ გადა-
გუხვიოთ მოსეს კანონიდან?

ბოლოს და ბოლოს, ღვთის შვილი მოთმინებიდან გამოვიდა.
წელში გასწორდა და თქვა:

— და, პირველი ქვა ესროლოს იმან, რომელსაც არასოდეს
არავისთვის რჩები არ დაუდგამს!

მამაკაცებმა ერთიმეორეს გადასხდეს. ვითარება მართლაც
დამაფიქრებელი იყო.

მამაკაცთა მოღმის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ მათი
უმრავლესობა მაშინვე მზადაა სასტიკად გაკიცხოს და განკვეთოს
მოღალატე ქალები. მაშინვე შეურაცხყოფილის ადგილზე თავს
წარმოიდგენენ წოლმე და ვერავითარ შემამსუბუქებელ გარემოებას
ვერ პოულობენ მის სასარგებლოდ. მაგრამ ამასთან ისინი ივიწყე-
ბენ ერთ პატარა დეტალს: ცოლქმრული ღალატი ანუ აღულტერი
შეუძლებელია მამაკაცის მონაწილეობის გარეშე. კუროს დანაშაულს
ისინი გულგრილად უყურებენ, თუმცა კაცის ღალატი ქალისაზე
ნაცლებ დამამძიმებელი როდია. ასეთი ვაჭატონები მზად არიან
ჩაქოლონ მოღალატე ცოლები, თვითონ რქებს ადგამენ მახლო-
ბელს, ხოლო საკუთარი ცოლი კი ღამის დაახრინ იმისათვის,
რომ ნათესავს წერილი მისწერა.

იქსომ იცოდა, რაზე დაემყარებინა თავისი იურიდიული სიახ-
ლე. ცოლქმრული ერთგულების თავგამოდებული დამცეცელნი მან
ჩააფიქრა და აიძულა საგნებისათვის უფრო რეალურად შეეხ-
დათ. თქვენ გმობთ ქალებს, რომელიც სცოდავენ, მაგრამ თქვენ-
ვე, მამაკაცებს, გავიწყდებათ, რომ ყოველი ოთხი შემთხვევიდან
სამში თვითონვე აიძულებთ შესცოდონო! — აი, რას გულისხმობდა

მისი მოულოდნელი ფრაზა, რამაც მწიგნობრებზე და ფარისეველებზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს გოზა სავსე ციფრული წყალი გადაესხათ.

მეტი სიცხადისათვის იქსოს შეკლო ეთქვა: „მონახეთ ამ ქალის საყვარელი და ჩაქოლეთ, თუ მოსეს კანონი აიას მოითხოვს“. ეს თავისთავად ორიგინალური სელაა, მაგრამ იქსოს არც ის ავიწყდებოდა, რომ თვითონაც რქებით დაამშვენა მარიამ მაგდალინელის ქმარი პაპესი, აგრეთვე იოანას ქმარი, მდიდარი ქუზა, ამიტომაც თავისუფალი ქცევის ქალებს გაღმოდგინედ ეწვდა მფარველობას“.

ამრიგად; მირონცხებულის პასუხმა გაშმაგებული ეჭვიანი ქმრების რისხვას წყალი გადაასხა. მათაც, ფარისეველებმაც და მწიგნობრებმაც ხელები ძირს დაუშვეს, შემდეგ თითები მოუდენდათ, მოეშვათ და ქალის ჩასაქოლავად მოზიდული ქვები მიწაზე დაიყარა. საქმის ასე მოუღოდნელი შემოტრიალებით შერცხვენილი თანდათან წავიდ-წამოვიდნენ, — პირველად ძველი მუსუსები, რომელთაც აუარებელი ცოდვა ეკიდათ ზურგზე, შემდეგ კი ახალგაზრდები, რომლებიც სისახტიკეში არავის ჩამორჩებოდნენ. ბოლოს, როდესაც „დამშთა თავადი მარტო და დედაკაცი იგი“, გაღითადი საუბარი გაიმართა.

რაზე საუბრობდნენ იქსო და შეცდენილი ქალი? უნდა ვივარაუდოთ, რომ უბედო ქალმა თავის მხსნელს აღუთქვა: ყველაზე დიდ სანთელს აგინთებოთ.

— თქვენ რომ არა, ჩემი წირვა გამოსული იყო, — უთუდ ასე ეუბნებოდა, — რომ იცოდეთ, რა დავალებული ვარ თქვენი კეთილშობილური ჩარევისათვის.

— რასა მრანებთ, ქალბატონ! ჩვენ, მართალია, ხუროს ოჯახიდან ვართ გამოსული და სხვადასხვა უნივერსიტეტები არ დაგვიმთავრებია, მაგრამ მშვენიერ სქესთან მოპყობისა ცოტა რამ გაგვეგება.

— ეს მაშინვე შევამჩნიო. ღმერთო, რა მოხერხებულად ჩაუგდეთ ენა მუცელში!

* აქ ტაქტილს უნდა დაემატებინა: „თუ თანმიმდევრული იქნებოდა, არც მას ასცდებოდა ის სასწელი, რასაც სხვა მამაკაცებს გამოუტანდათ“.

ხელოვნებაში ეს ეპიზოდი უზაღოდ ასახა ტინტორეტომ („ქრისტე და ცოდვილი ქალი“).

— მე არ მიყვარს, როცა ჩემთან ეშმაქობით ფონს გასვლას ცდილობენ. არც თვითონ მიხდება ერმაკობის საშოვნელიდ, ვარდული კარ სიარული. ჩემი დაღუპა მოინდომეს და გასულელებაზე ჩემი განა შემიძლია დავსაჯო ლამაზი ახალგაზრდა ქალი მხოლოდ იმი-განა შემიძლია დავსაჯო ლამაზი ახალგაზრდა ქალი მხოლოდ იმი-სათვის, რომ უყვარს? განა მე არა ვთქვი: ვისაც ბევრი უყვარდა, ბევრიც ეპატიება?

— მაშ თქვენ მირჩევთ...

— მე გირჩევთ, როგორმე შეურიგდეთ ქმარს და ამიერიდან ისე მოიქცეთ, რომ თქვენს ცოლქმრულ პატიოსნებას ჩრდილი არ მიაყენოთ. თავადაც მოგეხსენებათ: თუ კიდევ შეგიცყრობენ და მე აქ აღარ ვიქნები, მაშინ ვინდა დაგიცავთ?

— ჲო, თქვენ მართალსა ბრძანებთ, მაგრამ ჩემმა ქმარმა რომ აღარ მინდომოს?

— ნუ შეწეხდებით. თუ ასე მოხდა, ჩემთან გადმოდით. მე მოგცემთ სარეკომენდაციო წერილს მაგდალინელ და ტიბერიადელ თავისანისმცემლებთან, რომლებიც თავიანთ წმინდა ქალთა წრეში მიგიღებენ. თქვენზე ბევრად უფრო მძიმე ცოდვილნიც არიან. ყველა-ზე მძიმე ცოდვა ისაა, რომ მე არ მიწამონ.

— ღმერთო, მე მწამხარო!

— მადლობელი ვარ.

— მაშ მე უკვე განტევებული ვარ?

— თანაც როგორ! ხშირად გამიხსენე, და მეც ყოველთვის ვი-ფიქრებ შენზე... იქნებ კიდევ გვიწერია საღმე შეხვედრა. ცხოვრება სავსეა მოულოდნელობით.

— ღმერთო, მე ჩემი ფიქრით ამიერიდან მუდამ შენთან ვიქ-ნები.

— მით უკეთესი. მაშინ ნამდვილად მოხვდები სამოთხეში*.

— სამოთხე რაღაა?

— ესაა ნეტართა სავანე, სადაც სიხარულსა და სიამეს მივა-ნიჭებ ყველას, ვინც ჩემთან იქნება, ვისაც მე ვეყვარები.

— რაკი ასეა, მე სამოთხე მინდა.

* მეძავებთან ღმერთის მოწყალე დამოკიდებულების ხაზგასმით ტაქ-სილი გადაპირავს მღვდელმთავრებისა და საერთ შბრძანებელთა უსულით ნათესაობას „შემრტეშე ქალებთან, ქურდებთან და ნაძირალებთან, რომელ-თაც არაერთი უნდილი მბრძანებელი უყურებდა მოწყალე თვალით და ამ მეცნიერობით ამტკიცებდა, რომ თეოთონაც იშათ ღონეზე დგას.

— ნუ ჩქარობ, ყველაფერი ერთმაშად არ იქნება... როცა დრო
მოვა, სამოთხეში თვითონვე დაგიძახებ, ამას გპირდები, რომლდ
იმ პირობით, რასაკვირველია, თუ ყველაზე მეტად მე შემიყეარებ.

— გეფიცები, ო, შეუფევ!

— კარგი, კარგი, გეყოფა, აქეთ მოდიან.

სანდომიანი ცოდვილი მართლაც მუხლებზე დავარდა საიდუმ-
ლოებით მოცელი უცნობის წინაშე, რომელმაც აშკარად იხსნა,
და უნდოდა მისთვის დაემტკიცებინა, თუ რა ძლიერი გრძნობა
დაეუფლა. მაგრამ სწორედ ამ დროს ტაძრის კიბის საფეხურებზე
ამოდიოდნენ მოციქულები, რომლებიც თავიანთ მასწავლებელს
მთელს იერუსალიმში დაეძებდნენ.

მირონცხებული თეატრალური ჟესტებით დაეხმარა ცოდვილს
წამოდგომაში და ყველას გასაგონად შესძახა:

— წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდებ!

ამის შემდეგ იესო შევიდა „ფასის-საცავში“ — საუნჯეში ტაძ-
რის განსაკუთრებული ნაწილში, რაც მხოლოდ ქალებისათვისაა
განკუთვნილი. ხმა გავარდა, იესო ქმრის მოღალატე ქალს გამოე-
ქომაგაო, ამიტომ ქალები გაუგონარი აღტაცებით შეხვდნენ მა-
ცხოვარს. ვეანგელისტი აღიარებს, საუნჯეში იესოს შევძლო მად-
ლიერი ქალებისათვის ეთქვა ყველაფერი, რასაც კი ინებებდა. და
სინედრიონის წევრებს არავითარი ღონე არ გააჩნდათ, რომ ის შე-
ეპყროთ, თუმცა მწიგნობარნი და ფარისეველნი გულზე სკდებოდ-
ნენ ჯავრით (იოანე, 8, 1—20). „ამას სიტყვასა ეტყოდა ფასის-
საცავსა მას თანა, და ასწავებდა ტაძარსა შინა, და არავინ შეიპყ-
რა იგი, რამეთუ არღა მოსრულ-იყო უაში მისი“.

მოღალატე ცოლის ანექდოტური ამბავი სხვადასხვანაირად
ფასდებოდა. კომენტატორთა უმრავლესობა აღიარებს, საგონებელში
გააგდებსო მფარველობა, რასაც იესო მოღალატე ცოლებს უწევს.
დიდი ხნის განმავლობაში ყველესია საერთოდ დუმდა ადულტერის
ამ საჩინორო ამბავშე, სახარების სომხურ ენაზე მთარგმნელებმა
ეს ადგილი გამოტოვეს, მაგრამ გამოტოვება რა სერიოზული ღო-
ნისძიება! კათოლიკიზმის ბურჯები არ ტოვებენ, თუმცა ეს ამბა-
ვი მათაც ეჩითირებათ.

ძველ ხელნაწერებში კი გამოტოვების შემთხვევები მრავლად
იყო: ის არაა ალექსანდრიის სიაში, სინაის სიაში, ეფურემის პა-
ლიმფსესტში, აგრეთვე ისეთი ავტორიტეტული საეკლესიო მამე-

ბის ადრეულ თარგმანებში, როგორიც არიან ორივენ-, წმინდა კი-
რილე, ტერტელიანი, წმინდა კიპრიანე, იოანე ოქროპირის და სამარ

გველაფერი ეს მოწმობს, რომ ეკლესიის მრავალ მოღვაწე
თავისი ღმერთი არ მოსწონდა, მისი ბევრი მსჯავრი საჩიტიროდ
მიაჩინდა. ქმრის მოღალატე, მეძავი ქალის დაცვა არავის მოეწო-
ნება, ცხადია. და მხოლოდ ეკლესიის ბურჯი წმინდა ავგუსტი-
ნე, რომელსაც არაფრად მიაჩინდა, რას იტყოდა მისი სამწყსო,
როგორც უნიჭი მწერალს არაფრად მიაჩინია, რას იტყვის მისი
მკითხველი, — თვითონვე არ აკლებდა ყერადღებას ღამაზ მორ-
ჩილ მანდილოსნებს, ამიტომ მანვე შეინარჩუნა ეს ადგილი ყველა
თარგმანში, რაც მისი მეთვალყურეობით შესრულდა. ცხადია, ლი-
ტერატურულად ეს უფრო კეთილსინდისიერი და სწორი გზა იყო.



ტაციანი. „ვინ უცოდველ არს თქვენგანი, პირველად მან დაუტევენ
ქვაზ მაგას ჰედა“ (ი., 8, 7).

უფლის ხერხვას ჯადოსნერი თვისებები

და ვითარება წარვიღოდა იქნო, ისიღა კა-
ცი ბრძა შიგითვან. და ჟეოსვიდეს მიწაუ-
ნი მისნი და ეტყადეს: რამი ვინ სეოდა,
ამან თუ მშობელთა ამიხთა, რამეთ ბრძა
იმივა? ჩრევა მათ იქნო: არეა ამინ სეოდა,
არცა მშობელთა ამისთა, არამედ რათა ვა-
მოცხადნეს საქმე ღმირისა მაგას ზედა (ბრძა
იმისათვის შობილა, ღმირის საქმე გამოჩ-
ნდეს მის თავზე). და ჩემდა ჯურ არს საქ-
მედ საქმესა მომავლინებელისა ჩემისახა
ვიდრე დღე არხდა. მოვალს დამკ, რდეს გერ-
გის ხელეწუოს საქმედ. ვიდრე ვარ სოფელ-
სა შინა, ნათელი ვარ სოფელისა. და ქვე
ვითარება თქვა, ქნერწყვა ქვეყანას (და-
ურითა მიწაზე) და შექმნა თასი ნერწყ-
ვისაგან და ქსესო მან თასი იყი თვალთა მის
ბრძისათა, და ჩრევა მას: წარვედ და და-
ბანე საბანელსა მას სილომისახა. რომელი
ითარებინების მოვლინებულად. წარვიღა კა-
ცი იყი და დაბანა, და მოვიდა და შედ-
ვიდა.

ოთხე, 9, 1-7



ესო რომ მართლა ისეთი შეკვიანი ყო-
ფილიყო, როგორც ამტკიცებდა, ის დაკმა-
ყოფილდებოდა იმ წარმატებით, რაც ფა-
სიხ-საცავში ქალებთან პქონდა, ან საერ-
თოდ იქრუსალიმის ტაძარში. მაგრამ ამის
ნაცვლად მირონცხუბულმა ხელი მიძყო სულთა მასობრივ მონადი-
რებას, თანაც ისე გამოაცხადა თავისი ახალი მოძღვრება, რომ ებ-

რაელები აშეარად გადაიკიდა, და ეს წამოწყება მეტისმეტად მკი-
რად დაუკლა. კიდევ ცოტაც და მისი საათი, რაც ჯერ ჩი გამრეკა
რიყო, დანიშნულ დროშე ადრე დაპერავდა.

რაკი მსმენელთა გელი მოიგო, მოპყა და ენადაუყენებლად
ქადაგებდა, როგორც მეწვრილმანე, გზაჯეარელინზე რომ თავის სა-
ქონელს აქებს. საამისოდ იქრუსალიშის ტაძრის ჰაელაზე უფრო
უართო მინაშენი, ეკვდერის მინაგვარი განყოფილება აირჩია. სა-
კუთარი მშევრმეტყველებით გატაცებულმა თავი სოფლის მნათო-
ბად გამოაცხადა (ზე ვარ ნათელი სოფლისაო), და ვინც მე გამუვა-
ბა, მხოლოდ ის არ ივლის ბნელშიო („რომელი მე შემომიდგეს,
არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქვნდეს ნათელი ცხოვრებისა“).

რომელიღაც მსმენელმა სიცილი დაიწყო, როგორც ხდება ყო-
ველთვის, როცა ორაგორი დიდ სისულელეს ან ღიღ სიბრძნეს ლა-
პარაკობს ხოლმე, რასაც ხალსი ვერ გებულობს.

— შენი სიტყვა არაფერს არ ნიშნავს, — უთხრეს, — შენ თვი-
თონ ემოწმები საკუთარ თავს, შენს დიდებას შენვე ლაპარაკობ, ამი-
ტომ შენი ნათევამი ჭეშმარიტება არ არის. რატომ უნდა გერწმუნოთ?
აი, ორი მოწმე მაინც რომ გამოჩნდეს და დაგიმოწმოს, კიდევ დაეი-
ჯერებდით, ასე კი ტყუილი იმედი ნე გექნება.

— კარგი, — დაეთანხმა იქსო, რომლის ჩიხში მომწყვდევა ეგ-
რე იოლი არ იყო, — მაშ ასე: მე თვითონ ვადასტურებ ჩემს სი-
ტყვას, — ეს ერთი მოწმე.

მსმენელებმა მხრები აიჩინეს. იქსომ განაცრძო:

— გარდა ამისა, მამაჩემი, მომაცლინებელი ჩემი, იმასვე ამ-
ბობს, რასაც მე გებნებით, — ესეც მეორე მოწმე. ამრიგად, ჟევე
ცნობილია ორი მოწმე, ჩემს სასარგებლოდ მეტყველი, და ჩემი სი-
მართლეც დამტკიცებულია.

— მაგრამ სად არის მამაშენი? — ჰეითხეს ურიებმა.

— აი, ეს უკვე თქვენი ჭკუის საქმე აღარაა. მე ვიცი, სადაც არ-
ის, და მორჩია. თქვენ არც მე „მიცით“ და ამიტომ არცა მამაჩემი
იცით, ამიტომ ჩემს სიტყვას უნდა ერწმუნოთ. ვინც მე მერწმუნება,
ის შეიცნობს ჭეშმარიტებას, ხოლო ჭეშმარიტება მოგანიჭებთ თქვენ
თავისეუფლებას („ხოლო ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს
თქვენ“).

ამ უკანასკნელ სიტყვებს საერთო დრტვინვა მოპყა. იქსო თან-
დათან ასხამდა ცეცხლზე ნავთს. ებრაელები იმ დროს რომაელთა

უდილესებ გმინავლენ და არ უყვარდათ. როცა ვინმე ამას შეასე
ნებდა.

— მოგვისმინე! — მიაძახა ვიღაცამ თრატორს — ჩვენ ისე-
დაც თავისუფალი ვართ! ჩვენ აბრაამის შეილები ვართ, მაშასადა-
მე ღმერთის შვილები, და შენ ვერ გვასწავლი, როვორ უნდა პატ-
რიოტობა, რადგან „არა სადა ვის ვამონებდით!“

— „ამინ გეტყევი თქვენ, რამეთუ ყოველმან; რომელმან პქმნეს
ცოდვა, მონა არს იგი ცოდვისა! — მოუჭრა სიტყვა იქსომ. — უკი-
თუ ძემან განგათავისუფლენ, ჟეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ!
უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაამისნი ხართ, არამედ მეძიებთ მე მო-
კლედ, რამეთუ სიტყვა ჩემი ვერ დაუტევის თქვენ შორის!“ (იოანე, 8, 33—37).

თრატორული სელოენების თვალსაზრისით უდავოდ თვალსაჩი-
ნო ეს სიტყვები ისე იგარებოდა, როგორც წვეთი წყალი უდაბნოს
ქვიშაში.

სამტრო წამოძახილებმა დაქანცეს და თავბრუ დაახვიეს ქრის-
ტეს... ისიც მოპყვა უთავბოლო მტკიცებებს. მეც აბრაამის თესლიდან
ვარო, მეც ღვთის შვილი ვარო, და ბოლოს სრული უაზრობა გამო-
უვიდა — ყოველ შემთხვევაში, იმ ეითარებისათვის მაინც.

— მე აბრაამზე მაღლა ვდგავარ, რადგან ის მოკვდა, — განა-
ცხადა. — თქვენს მამა აბრაამს გაუხარდა ჩემი გამოცხადება. აბრა-
აამის შვილები რომ იყოთ, „საქმეთამცა აბრაამისათა იქმოდეთ“.
მაგრამ აბრაამს გაუხარდა ჩემი გამოცხადება, თქვენ კი მოსაკლა-
ვად დამეძებთ.

ბრძომ პირდაპირ ღმუილი მორთო.

— ეს რა თქვა?

— შეიძლა!

— ჩვენ სიძეითა არა ვშობილვართ, ერთი მამა კიცით, ღმერ-
თი ჩვენი!

— თუ ღმერთი მამათქვენი იყო, მეც გეყვარებოდით, რადგან
ღმერთისაგან გამოვედი, და აბრაამსაც იმიტომ გაუხარდა ჩემი
დაბადება.

— ეს კი მეტისმეტია!

— ჩვენც ეგ გეიგირს: რანაირად ნახე აბრაამი, როდესაც შენ
მხოლოდ ოცდაათი წლისა ხარ?

— გადმოათრით ეგ თავხედი ჭაბუკი! ცივი წყალი გადასწოო!
შეძოგეთ!

იქსომ კი გულდამშვიდებით დასძინა:

— „ოქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ, ხოლო მე ჭეშმარიტს გე-
ტკვით... პირველ აბრაამისა ყოფადმდე მე ვარ!“ (აბრაამის მო-
სელამდე მე უკვე ვიყავიო).

ეს უკვე ნამდვილი ბოლვა იყო. ტყუილად როდი უთხრეს ური-
ებმა: კარგად გითხარით, სამარიტელი ხარ და ეშმაკია შენთანა,
აბრაამი მოკვდა და წინასწარშეტყვლინი მოევდნენ, შენ ვინა გვო-
ნია თავიო? ახლა ხაბოლოოდ დარწმუნდნენ, იქსო დაგვცინის, უკა-
ნასკნელი აჯამები ვვონივართო, ამიტომ პავრობას თავი ანებეს და
თავიანთ ბარბაროსულ რისხვას გზა მისცეს. მაშინვე მისცვიდნენ
ქვის გროვას, — იერუსალიმის ტაძარი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო
მოლად აშენებული და მოედანზე ქვა ზვინებად ეყარა, — მტკიცე
გადაწყვეტილებით, რომ კადნიერისათვის ჭეშა ესწავლებინათ, სა-
ჯაროდ ჩაექოლათ. მაგრამ ქრისტეს არაფრით არ სურდა, რომ
იქსი ხაათი დროზე ადრე მოსულიყო. ამიტომაც „იქსო დაეფარა
და განვიდა ტაძრით, განკლო შორის მათსა და წარიკიდა ესრეთ“*.
მოციქულებმა გამოქომავება, ცხადია, ვერ გამედეს და მასწავ-
ლებელს მიპყვნენ. როცა წამოეწივნენ, იქსო უკვე ერთ ბრმა მათ-
ხოვარს ებაასებოდა.

ეს მათხოვარი ქუჩის კუთხეში იჯდა. თან ძალლი ახლდა. კისერ-
ზე პატარა დაფა კვიდა. დაფაზე ასეთი წარწერა იყო: „კეთილთ
მოქალაქენო, შეეწიეთ უბედურ გლახაკს, დაბადებიდან ბრმას,
უბნის უფროსის ნებართვით“.

— საგულისხმო შემთხვევაა, — მიმართა იქსომ აქმინებულ
მოციქულებს. — ეს ოქვენ ცორუ ბრმა არ გვეონთ, იმ ბრმების
მსგავსი, ამეამად რომ ასე მომრავლებულან. არა, ნამდვილი ბრმაა.
ესაა მაცწა თავისი ძნელბედობის ამბავი. იუდეველთა გული გაქვა-
ვებულა. აღარ აღელვებთ მისი ტანჯვა და არ განიკითხავნ უმწეო
გლახაკს. ბავშვები დასცინიან, ფიალაში შარვლის ღალებს უყრიან,

* ცხადია, ესეც ლვთაებრივი განრიცება იყო და არა ისე უბრალო,
როგორც ტაქსილს აქვს: საერთო არეულობით ისარგებლა და მოქარებუ-
ლაო. გაშმაგვებული ფანატიკოსების ბრძო არც ისეთს რეგვენი იყო, რომ
თვალსა და ხელს შეა გაშვათ ის, ვის ჩასაჭრლავადაც იქვე ეყარა ქვის
ზეინები.

ხოლო როცა საცოდავი ბრმა ასეთი მოწეტის იმედით მეპურესთან
ან მეღვინეობთან მიდის, არც პურს აძლევენ, არც ღვინოს... ჰერი-
რიტად, ეს ბრმა შებრალების ღირსია. წარმოგიდგენიათ, შეც კი
ვერა მხედავს, სოფლის ნათელს!

— ღმერთო, მერე რა გაწუხებს? — შესძახა ერთმა მოციქულ-
მა. — დაებრუნე მხედველობა და მორჩია!

— იცით, ეს ისე უბრალო საქმე არაა. ეს კაცი დედის მუცლი-
დან ბრმაა, ასე რომ აქ „დაბრუნებაზე“ ლაპარაკი გაუგებრობაა.
მას უნდა მიეცეს ის, რაც არასოდეს არა ჰქონია. რაიმე უბედური
შემთხვევის ნიადაგზე რომ დაეკარგა მხედველობა, სულ სხვა საქ-
მე იქნებოდა.

ასეთი საუბარი რომ გაიგონა, უსინათლოს ეგონა, რომ მის
წინაშე დგას მთელს იუდეაში სახელგანთქმული ექიმი, ამიტომ შე-
საბრალისი ხმით დაწიცო ჯედრება, შემიბრალე და თვალები ამი-
ხილეო.

იქსომ მოციქულებს აუსხნა: ეს საქმე სხვანაირია. უბედურების
მიზეზი არც მისი ცოდვაა, არც მისი მშობლებისა, არამედ ზებუ-
ნებრივი ზრახვა, რომ მისი განკურნებით გამოჩინდეს ჩემი ღვთაებ-
რივი ძალაო.

შემდეგ იქსომ მიწაზე დააფურთხა, დაიხარა, თავის ნერწყვში
ცოტაოდენი მტკერი მოზილა, ტალახის გორგალი გააკეთა. ეს ტა-
ლახი წაუსვა ბრმას თვალებშე. როცა ტალახწაგლესილი თვალე-
ბი საკმაოდ დაუზილა, იქსომ უბრძანა:

— ახლა წადი და „სილოოამის“ აბაზანაში იბანავე.

აბაზანა „სილოოამი“, რაც ნიშნავს „ზეგარდმო ნაბოძებს“, ორ
ნაბიჯზე იყო. უსინათლომ მისთვის უჩვეულო სისწრაფით შიაშუ-
რა აბაზანას და თავის ძალლთან ერთად გადაეშვა აუზში.

როგორ ფიქრობთ? ახელია თვალები ამ ბრმადშობილს თუ არა:
რა თქმა უნდა, აეხილა*.

ყველა იქ მყოფი პირდაპირ გაშტერდა.

მეზობლები, რომელთაც ეს კაცი იმ დილითაც იხილეს, ქუჩის
კუთხეში რომ ითხოვდა ხელგაშვერილი, საკუთარ თვალებს არ უჯე-
რებდნენ.

* ბრძის განკურნება ხელოვნებაში მრავალგზის აღსახა (ლუკას ვან
ლევენი და სხვ.).



— ნუთე ეს ის ბრმაა? — ეკითხებოდნენ ერთიმეორეს,
— სწორედ ისაა.

— შეუძლებელია! — არ სჯეროდათ სკეპტიკოსებს. — მსგავსი
იქნება ვინჩე.

— მაშინ მათი მსგავსება არანაკლებ საოცარია!

— ალბათ მისი ძმაა, ტყუპის ცალი იქნება. ტყუპებში ისეთი
მსგავსებაა, რომ ვერ გაარჩევ.

— ყველაფერს სჯობია ოვითონ მას პჰითხოთ.

ყოფილი ბრმის გარშემო მაშინვე მთელი ბრბო მოგროვდა.

— გვაპატივთ, ძვირფასო, ეს თქვენა ხართ? თუ თქვენი ძმა
ხართ?

ყოფილმა ბრმამ უპასუხა (ითანეს სახარების მიხედვით):

— არა, ეს მე ვარ.

— გეყოფათ, უძვირფასესო! მერე, როგორ აგეხილათ თვალე-
ბი? იქნებ ერთ-ერთი სიმულანტი იყავით, თავს ბრმად ასაღებდით?
ასეთებს ყოველ გზაჯვარედინზე შეხვდებით. მაშ აქამდე გვაბრი-
ყებდი?

— არავითარი სიმულანტი! დაბადებიდან ბრმა ვარ. ეს თვი-
თონაც იცით, რამდენჯერ გამოგივლიათ, დამცინოდით და აბუჩად
მიღდებდით. პჰითხეთ თუნდაც ქუჩის ბიჭებს, თეთრთვალებიანი
რომ მიწოდეს, ქუჩაში თოკებს აბამდნენ და ძირს ვეცემოდი... რო-
გორ ფიქრობთ, მსიამოვნებდა და იმიტომ ვგორაობდი მტვერში?
გეფიცებით, ნამდვილი ბრმა ვიყავი. დღეს კი ვიღაც მადლიანი კა-
ცა მოვიდა, სახელად იქსოს ეძახდნენ. მტვერი მოზილა. არ ვიცი,
რით მოზილა, მაგრამ წებოვანი იყო. წამისვა თვალებშე და მიბრ-
ძანა, სილოამის წყალში იბანავე. ვიბანავე და აი, ხედავთ, თვა-
ლები ამეხილა!

— სად არის შენი მკურნალი?

— აი, ეს აღარ ვიცი.

„იყო შაბათი, ოდეს იგი თიხა შექმნა იქსო და აღიხილნა თვა-
ლინი მისნი“.

ამრიგად, მირონცხებულმა ისევ დაარღვია რაბინების დებულე-
ბა, რაც შაბათობით საექიმო პრაქტიკას კრძალავს, თუნდაც მხო-
ლოდ ქუჩის ტალახის მოზელა იყოს, ისიც იმავე დღესა და საათს,
როდესაც მწიგნობრები და ფარისეველნი ჩაქოლვას უპირებდნენ!

ჭეშმარიტად, ეს იყო გაუგონარი ამბავი. ჯერ არავინ გამოწენილა, რომ ასე თავსედურად გაეთვლა ბიბლიის კანინები.

ახალი სასწაულის მზიღველი, ძველ ფისკალთა წარმომადგენილობა სინდისის ქენჯნასაც ვერ შეეფერხებინა, ისე გაქცეულან სინედრიონში, რომ მომხდარი ანბავი მსაჯულთათვის შეეტყობინებინათ.

შაბათ დღეს სინედრიონი თითქმის არასოდეს არ იყრიდა თავს სრული შემადგენლობით, მავრამ ახლა, კარავთა დღესასწაულთან დაკავშირებით, წევრთა უმრავლესობა ტაძრის მიღამოებში იმყოფებოდა: მორწმუნეთა აურაცხელ შესაწირავს ითვლადნენ და ინაწილებდნენ*.

როგორც კი დასმენა მღვდელმთავართა ყურამდე მივიდა, განკურნებული ბრძის მოყვანა ბრძანეს. ის პატიოსანი კაცი საშინლად შეწუხდა, ვაითუ ჩემი მიზეზით ქრისტეს ჟსიამოვნება შექვდესო, და ისეთ გუნებაზე დადგა, რომ დანა პირს არ უხსნიდა.

„ღმერთო, რა უნდათ? — ბუსღუნებდა თავისთვის. — ვინ იცის, რას არ დაატეხნ, და ისიც სულ ამ უბადრუკი წყვილი თვალისათვის, ვერაფერს რომ ვერა ხედავდნენ და ახლა ხედავენ... რა იქნებოდა მომეომინა? ხვალ ამისელდა, სულერთი არ იყო?“

— შენი ბრალი კი არაა, — უხსნიდნენ ფარისევლები, — შენ არავინ გერმის, საქმე შენს მქურნალს ეხება. ეტყობა, რაღაც მაღამო იხმარა. მაში ისევ თვითონ დაამშადა? ესე იგი, შაბათ დღეს იმუშავა?

— მას ერთი დრაქმაც არ უთხოვია ჩემთვის.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. გვიპასუხე: სარგებლობდა თუ არა რაიმე წამლით? პო თუ არა?

— რა წამლით? ტალახი, თქვენი აზრით, წამალია?

— უკეთესად!

* ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ასეთ გელექი, დახასესებულ, ფანატიკურ, ფაშუშერ სისტემასთან და სარწმუნოებასთან შეღარებით, როგორიც იყო მოსეს კანონებზე აყებული ბიბლიური წესრიგი, რაც ადამიანის ფანმიჩოლობაზე მაღლა მაბათის სულელურ ვეტოს აყენებდა, ქრისტიანობა მთელი ქრისტიანი ნაბიჯი იყო იმ ღრმისათვის, წინ გაღადგმელი, თეორიულად მაინც, და მას ბრძოლის სტიმული, ხელოვნების აუგავება უნდა მოქმედოდა. ეს სიახლე იგრძნობოდა, და ამიტომ ებრძოდა სინედრიონი ასე სასტუად ქრისტეს.

— კარგი, რაკი ასეა, მეტს აღარაფერს არ გუტყვით, თორებ
ჩემს ფინიასაც რამე შარს მოსდებთ, ისიც ხომ ჩემთან ჭრიად ჰალა
ნაობდა!

სინედრიონის წევრებმა თაობირი გამართეს.

— იესო არ შეიძლება ღმერთის მოგზავნილი იყოს, — ამბობ-
დნენ ერთი. — ის არ იცავს შაბათის აკრძალვას, რაც ღმერთის
სახელით მოქემ დააწესა.

— მაგრამ ეს რომ ცოდვა იყოს, — ედავებოდნენ სხვები, —
მაშინ ღმერთი არ მისცემდა სასწაულების მოხდენის უფლებას ცო-
დვილ კაცს.

რაკი ასეთი პაექრობით ვერაფერს მიაღწიეს, ფარისევლები ისევ
ბრმას მიუბრუნდნენ.

— რას იტყვი იმ ადამიანზე, რომელმაც მხედველობა დაგიბრუ-
ნა? — ჰქითხეს.

— მხედველობა დაგიბრუნაო? მე ის არ დამიკარგავს.

— სულერთია. შენ გვეითხებიან, რას იტყვი კაცზე, რომელმაც
თვალები აგიხილა?

— მაპატიო, უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ „შენობა“ არ
იყოს, ეს უზრდელობაა. რაც შეეხება ჩემს მკურნალს, ცისქვე-
შეთში იმისთვის ადამიანი არ დადის. გარდა ამისა, ის ნამდვილი
წინასწარმეტყველია. ახლა კმაყოფილი რართ თუ არა?

— ნუ გაწიწმატდები, მეგობარო! — ურჩია ერთმა მოხუცმა
მღვდელმთაგარმა. — რა თავს გახვედი და გადიდგელდი? როგორც
გატყობით, შენ თანამზრახველიც იქნები იმ ეგრეთ წოდებული წი-
ნასწარმეტყველისა!

სინედრიონის უმრავლესობაშ თანხმობისა და მოწონების ნიშნად
დაიგუგუნა.

— სახებით შესაძლებელია! აშკარაა! ეს როგორ ვერ მოვისაზ-
რეთ აქამდე?

უნდო და ვერაგი ბებერი მღვდელი კი განაგრძობდა:

— წინადადება შემომაქვს ეს საეჭვო ბრმა შევიპყროთ და გამო-
ვარკვიოთ მისი ვინაობა, თვალსაზრისი და თანამზრახველთა წრე.
უნდა დავიძაროთ მისი მშობლები. მოვუსმინოთ და მერე გადავ-
წყვიტოთ.



ყოფილმა ბრძან მხრები აიჩინა.

— გეოფუათ სისულეების ლაყბობა! — უთბრა თამაშები და გველაზე უფრო გონივრულად მოიქცევით, თუ სიტყვეერად დამიჯურებთ. მთელი თქვენი კელევა-ძიებით მხოლოდ იმას მიაღწიეთ, რომ ჩემი მკურნალის სასწაული საყოველთაოდ ცნობილი გახდება თუ ეს თქვენთვის ხელსაყრელია, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ მე-შინია, რომ თვითონვე ინანებთ.

თავისი მშობლების მისამართი უთხრა, ოთხი გზირი გაგზავნეს და ერთი საათის შემდეგ მოიყავნეს ორი მისრწილი მოსუცა: ბე-რიკაცი და დედაბერი ბებრებს ლამის ჭკუა დაეკარგათ სიხარულით, რომ მათს შეიღს თვალები აქხილა, მაგრამ იმავე დროს შეიშით კანკალებდნენ. უზენაეს სასამართლოში რისთვის გვიბარებენო? მღვდელმთავრის წინაშე წარდგომა, ეს სუმრობა საქმე არავის ეკონომის. საბრალო მოხუცებმა აღარ იყოდნენ, რა ეფიქრათ. ნუთუ ბნელ ციხეში ჩასვამენ იმისათვის, რომ მათს შეიღს თვალები აქხილა?

— მომიახლოედით! — ბრძანა სინედრიონის თავმჯდომარებ.

— შეგვიძრადეთ! მოწყალება მოიღოთ, კვათილო ბატონო! — შექლადადეს მოხუცება და მისმა ცოლმა, თანაც ორივე მუხლებზე დაემხო. — ჩვენ არავისთვის არაუერი დაგვიშავებია. ჩვენი ბრალი არაა, რომ ჩვენს შეიღს თვალები აქხილა. აპატიეთ, მუტს პარ იზამს! ნუ დაგვსჯით სინათლისათვის!

მოხუცები ააყენეს, მაგრამ ისე ისე კანკალებდნენ.

— საქმე ეხება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებას, — განავრდო სასამართლოს თავმჯდომარებ. — თუ სიმართლეს გვეტყვით, არ დაგა-კავებთ, ამრიგოდ, გვიამბეთ ყველაფერი, რაც ამ საქმეშე იცით და მორჩია, ნუ გეშინიათ. ოღონდ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და ზეტი არაფერი.

— სიმართლე, ბატონო მოსამართლევ? ჩვენ უმაღ მოკვდებით, ვიდრე ერთ ტურილ სიტყვასაც გკადრებთ.

სინედრიონის წევრები დარწმუნდნენ, რომ მოხუცებს შეიძლება ენდონ. არც მწიგნობრებს ჰგავდნენ, არც ფარისევლებს, არც მღვდელმთავრებს, მშასადამე პატიოსანი ადამიანები იყვნენ.

— მაშ გვიპასუხეთ: ეს თქვენი შეიღია? — ქიოხა თავმჯდო-მარებ.

— აბა რას გვეკითხებით? — მიუგო დედაბერმა. — მე ხომ მა-

გისი დედა ვარ! მე ვატარე მუცლით, მე ვშვი, მე ვაჭმევდი ძე
ძუს, მე...

— გეყოფა, გეყოფა... მართლა ბრმა იყო დაბადებიდან?

— სამწეხაროდ, ბატონო მოსამართლევ! — ჩაერია ბერიკაცი.

— ვერაფერს ვერ ხდავდა, ბეჭვის ოდენასაც! ისეთი ებედურება იყო ეს ჩვენთვის... და მერე არც ის ვიცით, საიდან დაგვატყდა ასეთი ხვედრი. პაპაჩემი, მართალია, ცაცია იყო, მაგრამ ბრმა ჩვენს გვარში არავინ შობილა.

— შეგიძლიათ დაიფიცოთ, რომ სიმართლეს ამბობთ?

— რასაკვირველია! ვფიცავთ! — ერთხმად უპასუხეს მოხუცებმა. — ყველაწმიდას გეფიცებით! ბიბლიას ვფიცავთ! ჩვენს განსვენებულ წინაპართა საფლავებს! ჩვენს წმინდა სარწმუნოებას!

— საკმარისია! კიდევ ერთი კითხვა: როგორ განიკურნა თქვენი შეიღლი?

— აქ, ბატონო მოსამართლევ! ეს ჩვენ თვითონ ახლა გავიგეთ თქვენი ჯარისკაცებისაგან. მათ გვითხრეს: „თქვენი შვილი ბრმა აღარ არისო“. ჩვენ სიხარულით შევყირეთ! მაგრამ აქ ჩვენს სიხარულს კაპრალმა ცივი წყალი გადაასხა: „ამისათვის დაიკირქეთ“. მაშინ ისე შევწეხდით, რომ ტირილი დავიწყეთ... ჩვენი შვილი... როგორ თუ დაიჭირესო?.. რა თავის მოჭრაა ჩვენი ოჯახისათვის! მაშ ჩვენი შვილი დამნაშავეებს აპყიდებია! ამას ვინ იფიქრებდა! აქ, თუ ასეა, ჯავრისაგან მოგვადებით! ბატონო მოსამართლევ, გვითხარით, ხომ გაათავისუფლებთ? გეფიცებით, არაფერში არაა დამნაშავე! აბა რა იცოდა საბრალო ბრმამ, თუ თვალების ახელის ნება არ ექნებოდა? კითხვა არ შეეძლო, რომ წაეკითხა...

სინედრიონის წევრებმაც აღარ იცოდნენ, როგორ დაეღწიათ თავი ასეთი ვითარებისათვის. ერთობ დამაფიქრებელი მდგომარეობა იყო. ყველა იმას ამბობდა, რომ იქსომ მართლა მთასდინა სასწაული, მღვდლებს კი არაფრის გელისათვის არ ხერდათ ამის დაჯერება. ორი აღალი მოხუცის ცრუ მოწმებად გამოიკვანა შეუძლებელი იყო, და თავიანთი გზით გაუშვეს, მაგრამ ყოცილი ბრმა დააგვეს.

— კარგია, იხუმრე და გეყოფა, — ჩააგონებდა მღვდელმთავარი, — აღიარეთ, რომ ბავშვობიდან ატყუებდით მშინებებს, ვითომ ბრმა ხართ. აღიარეთ, რომ დღევანდელ შაბათაში ყველას აპამ-

პულებდით. არაფერი არ მოგივათ, ამას გპირდებით. ან უძრალოდ ღმერთს მადლობა უთხარით განკურნებისათვის, ოღონდ წუ იტყვით, რომ იქსომ აგიხილათ თვალები. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ის ცოდვილია და მაშასადამე, არ შეეძლო სასწაულის მოხდენა.

ზაგრამ ყოფილ ბრმას თითქოს ასპიტმა უკბინა (ასედაც იყო).

— ცოდვილია თუ არ არის ცოდვილი, ეს მე არ ვიცი, — მიუგო, — ერთი ესაა, რაც ვიცი: არ ვხედავდი და ახლა ვხედავ.

მაშინ მღვდელმთავარმა დაკითხვა თავიდან დაიწყო:

— ბოლოს და ბოლოს, რა გაგიკეთა? როგორ აგიშილა თვალები?

— ე, ღმერთო, როგორ მომაბეჭრეთ თავი! არავითარი მოთმინება არ ეყოფა ადამიანს, ისევ სიბრძნევე სჯობნებია თქვენს ხილვას! დანით ხომ არ ამიხელდა, თევზი ხომ არ ვიყავი! რაც გააკეთა, ყველაფერი აგიშენით და ყველაფერი გაიგონეთ! კიდევ რას მეკითხებით, რას თვალობაქცობთ, პატიოსნებას გაფიცებთ? თქვენ რა, გინდათ მისი მოწაფეები გახდეთ? („ანუ თქვენცა გნებავს მოწაფე ყოფად მისა?“).

— ეს ხეპრე დაგვცინის! — აქოთქოთდნენ დახავსებული მღვდლები.

— „ხოლო იგინი აგინებდეს მას და პრეცეს: შენ ხარ მოწაფე ჩისი, ხოლო ჩვენ მოწაფენი მოსესნი ვართ“. მოხე ვიცით, მას თვითონ ღმერთი ელაპარაკებოდა, შე ღორო უსინათლოვ, ხოლო საიდან მოვიდა შენი იქსო — არ ვიცით.

— „საკვირველი ესე არს, რამეთუ თქვენ არა იცით, ვინა არს, და მე აღმიხილა თვალი. ესე უწიყით, რამეთუ ცოდვილისა არა ისმინის ღმერთმან, არამედ უკეთუ ვინმე არს ღმერთის მსახურ და ნებისა ღმრთისასა ჰყოფნ, ამისი ისმინის ღმერთმან“. იქსოს რომ არ იცნობთ, ეს ნიშანია იმისა, რომ საერთოდ იმაჟე შეტი არ გცოდნიათ, რაც მე გუშინდელ დღემდე ვიცოდი, რადგან ცოდნის სალარებად ასაღებთ თაქს და იმდენი კი არ გესმით. რომ ვინც მე თვალები ამიხილა, ჰეშმარიტი წინასწარმეტყველია. აი, მე არ მისწავლია ღვთისმეტყველება და მაშინვე მივხვდი, რა კაციც მომევლინა.

ეს საშინელი ბრალდება იყო, სამართლიანი და დასაბუთებული. მღვდელმთავერებმა რომ ახეთი თამამი სიტყვა გაიგონეს, ბრაზით გააღმასებული წამოცვივდნენ, თითქოს საჯდომებზე შდოგვი წაეს-

ვათ. როგორ, კიდაც მათხოვარი ამხელს აბრააშის ჯოგის მწევემ-
სებს?

„ მიუგეს და პრქეეს მას: ცოდვათა შინა შობილ-ჰარტშენი ჭიჭუკ-
ლად და შენ გვასწავებ ჩვენ? და განძხადეს გარე“.

იოლად გადარჩა!

ტაძრის საფეხურებზე რომ ჩამოდიოდა, ყოფილი ბრმა კინაღამ
დაეტავა ქრისტეს, რომელიც მას ელოდებოდა. თუმცა პირველად
ხედავდა, თავისი მკურნალი მაშინვე იყნო. იქსო ხომ მაშინ უსვამ-
და ტალახს, როცა ის ჯერ კიდევ ბრმა იყო!

— ო, ღმერთო! — შესძახა ბრმაყოფილმა. — როგორ მიხარის
შენი ხილვა!

— გრწამს ძე ღვთისა? — ქიოთხა იქსომ.

— ვინაა, რომ ვიწამო? თუმცა, სულერთია, ვიწამებ, ვისაც შენ
მეტყვე.

— მაშ იცოდე: ძე ღვთისა — ეს მე ვარ.

— ასეც ვიცოდი... რა თქმა უნდა, ისევ ბრმა უნდა ვიყო, რომ
შენ არ ვიწამო.

აქ ყოფილი ბრმა თავის ფინიასთან ერთად იქსოს ფერხთით
დაეცა.

სინედრიონის წევრები კიბის თავიდან მთელს ამ სცენას უყა-
რებდნენ.

ძნელი გადმოსაცემია მათი აღმფოთება და სიცოდე. ბოლოს ერთ-
ერთმა ფარისეველმა ველარ მოითმინა, ძირს ჩავიდა და იქსოს მი-
მართა:

— გამიგონე, ბრმათა მკურნალო: იქნება გგონია, რომ არც
ჩვენა გვაქეს-თვალები და არაფერსა ვხედავთ?

— დამშეიდებული იყავით, რომ ხედავთ, — მიუგო ძემ კაცი-
სამ, — ეს თქვენი პირადი საქმეა და თქვენ იცით*.

* თანეს სახარებაში იქსოს პასუხი უფრო მწევეეა: „ნე ზევა ჩვენია
ბრმანი ეართა? ჩქეა მათ იქსო: უკეთესმცა ბრმენი იცვენია ცოდვამცა არა
გაქვენდა ხილო აუ იტყვით, ეითარებედ უხედავთ, და ცოდვანი თქვენნი
პეგანა, ე. ა. ბრმები რომ იყოთ, უცოლეველნა იქნებოდით, მაგრამ რა-
თავს თვალხალულებად ასწადებთ, თქვენი ციდევხას აშეარაა. ეს ბრმა
თითქმის ერთადერთია, ვინც მკურნალი დაუუსა და დაცუა. ვევნებულისტე-
ბის გრძმავიშუობა, თორებ ის მაინც დაცავდა ჭარბის წინ იქსოს.

შემდეგ გუშინდალ ბრმას მიუბრუნდა და თავისი მშეგრმეტკავე-
ლების რაბები გახსნა:

— შენ, მეობარო, ტაძრიდან გამოგავდეს. მეც. თუ ჭიშაშიდნერი გა-
გაწეუბებს, მომისმინე, სანუგეშოდ ერთ პატარა იგავს გეტყვია: „ამინ,
ამინ გეტყვი თქვენ: რომელი არა შექვალს კარით ესოსა ცხოვართა-
სა, არამედ სხვით კერძო შექვალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი.
ხოლო რომელი შექვალს კარით, მწყემსი არს ცხოვართა“. წარმოიდ-
გინეთ ფარები. ფარებში ცხვარია. ცხვარს ჰყავს მწყემსი. რას აკე-
იღებს მწყემსი, როდა ფარებში მიდის თავის ცხვართან? კარიდან
შედის. ხოლო როცა ქურდი მიდის მოსაპარავად, ის ფანჯრიდან
ძვრება, კარს კი არ აკაქუნებს, რადგან იცის, მეცხვარე კარს არ
გაუღებს. მაგრამ ეს ჯერ კიღვა ყველაფერი არ არის. როცა მეცხვა-
რეს ცხვარი სამალახოდ მიძყავს, ის წინ მიდის, ფარა უკან მოს-
დევს, რადგან პატრიონის ხმას იცნობენ. პირიქით, როცა უცხო კაცი
ცხვარს მიერეკება, ფარა იფანტება და ყველი ცხვარი აქეთ-იქით
გარბის, რადგან მისი ხმა უცხოა. ახლა მომისმინე, რას ნიშნავს
ჩემი იგავი: მე კარი ვარ ფარებისა. ყველა, ვინც ჩემში არ გაივლის
და განშე გაუხვევს — ქურდი და ავაზაკი ამავე დროს. მარტო კა-
რი კი არა, კეთილი მწყემსიცა ვარ, რომელსაც არ ეშინია მგლები-
სა და თავის ცხოვრებას სამწყელოსათვეს სწირავს.

ყოფილი ბრმა აღტაცებული იყო, მას ახლად აესილა თვალი.
ვინც ახლო იმყოფებოდა, ელდანაკრავი და შემფოთებული ელაპა-
რაკებოდა მესობელს. აზრი ისევ ირად გაიყო.

— ან ეშმაკეულია ან საერთოდ შეიშალა, — ამბობდნენ ერთნი.
— შემცდარი ხარ! — გაისმოდა პასუხი. — ყველაფერი, რასაც
ის ამბობს, საკმაოდ გონივრული და საგულისხმოა. საერთოდ, არა-
ვითარი ეშმაკეული არ არის. როგორ შეუძლია ეშმაქს, რომ ბრმას
თვალი აუზილოს!?

მაგრამ იესო ამ დისკუსიაშე მაღლა იდგა, სულაც არ აინტერე-
სებდა ის და წავიდა. მაღლე საერთოდ მიატოვა იერუსალიმი, წასვ-
ლის დროს მხოლოდ ყოფილ ბრმას ჩამოართვა ხელი მეგობრულად.
ეს იყო ღირსი მესიის დახმარებისა, ერთადერთი, რომელმაც ის
მტკიცედ დაიცვა.

ძალიან ნაწყენი და შეწებებული დავრჩებოდი, თუ ჩემი თავა-
ზიანი მკითხველი და მომხიბლავი მკითხველი მანდილოსნები იფი-
ქრებდნენ, რომ ამ თავში მე გადავუხვიე დასაბამიდან ცნობილ გზას

და საქმეში საკუთარი ფანტაზიის თამაში ჩავაბი. ამიტომ დასას-
რულ მაინც დავასახელებ მუხლებს, რომლებშიაც ეს ამბავი გადმოი-
ცემული.

აიღეთ იოანეს სახარება, წაიკითხეთ მეცნერე თავი მთლიანად და
მეათის 1—21. ქრისტეს ჯადოსნური ნერწყვის ამბავი ჩვენ უკვე
უსტი ციტატით დავადასტურეთ. აქაც ყველაფერი უსტია. ახლა
ხომ დამერწმუნებით მის ღვთაებრივ ძალაში?



¹ პლანშემილტონ. გლაზები ღაზარე შიმუავს აბრაამს (ლ., 16, 22-23)).

რომელიც მაგდალენის იასოს თავის წვერს ახორას

და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე და
იკო მუნ დედაყაცი, რომელისა ხანელი მართა
და შეიყვანა თავადი სახად თვისა (სახლსა
მისსა).

და იყო დაი მისი, რომელსა კუქედა მა-
რთა, რომელი ჯდა ფერთხა თანა იქნებოთა
და ისმენდა სიტყვათა მისთა.

ხოლო მართა მიმოდა ქირუნეიდა მრავლი-
სათვის მსახურების, ზედა მიადგა და პრევა
იქნოს: უფალო! არას იღვწი, რამეთე დამან
ჩემან მარტო დამიტყვა მე მსახურებად?
არქვი მის, რათა ჰემჭუოდეს მე.

მიუერ იქნო და ქრევა მას: მართა! მართა!
ქირუნავ და შუოთ ხარ მრავლისათვის, და
აქა ერთისა (მცირედი) არს ხახმარ (ბევ-
რისთვის ზრუნავ, ურთისა კმარა!).

ხოლო მართამ კუთილი ნაწილი გამოიჩ-
ჩია, რომელი არახადა მიეღოს მიხევან.

ლეკა, 10, 98-42



ამოიცანით, საით გაემგზავრა იქნო იე-
რუსალიმიდან და რა გააკეთა უპირველესად.
გალილეის გზას დაადგა! ეს ნიშნავს, რომ
აკალ-ახალი გზებით სიარული მაინცა და
მაინც არ უყვარდა და ხშირად იმავე გატ-
ეჭმილ გზას არჩევდა, რომელიც ეს არის
გაიარა.

გააკეთა კი აი, რა. მოწაფეების ახალი განუსაზღვრელი შემოქ-
რება-მოგროვება გამოაცხადა. მეორე მხრივ, ეს ნიშნავს, რომ თორ-
მეტი, თუნდაც საუკეთესოდ გაწვრთნილი მოწაფე აღარ კმაროდა

მის დასაცავად იმ მცირე ხანს, რაც დარჩენდა, ვიდრო მისი ხაათი
დაქრავდა.

იქსომ მოწოდებით მიმართა მთელს გალილეას, ჟადაცის აღია-
რეს, მიმართა ყველას, ვინც ის იწამა გალილეაში მცხოვრები დაახ-
ლოებით ასი ათასი კაციდან მის მოწოდებას გამოვხმაურა მხოლოდ
სამოცდაათი კაცი. ამით არმიას ვერ შეადგენდა. მაგრამ მირონცხე-
ბული სულით არც ახლა დაცემულა. ოთხმოცდა ორი კაცი ცალცალ-
ე არაფერი დიდი ბედენა არაა, მაგრამ ერთად რომ გაგზავნო მა-
გალითად რომელიმე პატარა ქალაქში, რათა შენს მისვლას ნიადა-
გი მოუმშადონ, უკვე საგრძნობი კოლონა გამოდის. ამ აზრმა იქსომ
მხნეობა შექმატა*.

ამრიგად, პირველად შეიყარა ქრისტეს მთელი მხედრიონი —
ქალი და კაცი. მაგდალინელმა, იოანამ და სუსანამ მის ჰარამხანა-
ში ახალი ღამაზი მანდილოსნები მოიყავნეს, რომ თავის უფალ
დროს მაინც გაერთოთ თავიანთი მაცხოვარი. საერთოდ, საქმაოდ
შთამაგონებელი რაზმი გამოვიდა, საბარეულიანი.

საღამერო წესრიგი გულმოდგინედ იქნა შემუშავებული. აი, რას
წერს ღვერა თავისი სახარების მეათე თავში:

— „და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკი მცი-
რედ. ეველრენით ჩავ უფალსა სამკალისასა, რათა მოაელინნეს
მუშაკი სამკალსა თვისისა (ეცადეთ შემოიკრიბოთ მომკელნი, ე. ი
მორწმუნენიო). წარვედით! ამა ესერა მიგავლინებ თქვენ, ვითარცა
კრავთა, შორის მგელთა“. ნე წაიღებთ ნურც ტომარას, ნურც ჩან-
თას, ნურც ფეხსაცმლის მარაგს. „და ნუცა ვის გზასა ზედა მოიკი-
თხავთ. და რომელსაცა სახლსა შექმნიდეთ, პირველად ქსოვეით:
შშიდობა სახლსა ამას!“ — და მაშინვე სუფრას მიუსხედით. თქვე-
ნი ხსნა მხოლოდ მოურიდებლობას შეუძლია. „მასვე სახლსა შინა
იყვენით, ქსჭამდით და ქსვემდით მათ თანა, რამეთუ ღირს-არს მუ-
შაკი სახყიდლისა თვისისა. ნე მიქსვალთ სახლითი სახლად. და

* თრმოცდა ცხრა თავში მოთხრობილ ამბავთა შედეგი ამ რიცხვით
გამდება: ოთხმოცდა კაცი მომხრე, მთელი ქვეყნის მოსახლეობა კი — სამ-
ტროდ აღესილი, ასეთია იქსომ წარმატება ფარცმამდე მცირე ხნის წინ.
შძიმება რელიგიის შშენებელთა ხეებრი, მაგრამ ევანგელისტები იმედს არ
ფარგავენ, რომ შემდგომი თაობები იწამებენ. ეს გზა უღაუოდ ისევე რეა-
ლისტურია, როგორც აბსურდული.

რომელსაც ქალაქსა შექმნიდეთ და შეგიწყნარნეს თქვენ, პსკამდით
წინა-დაგებულსა თქვენსა, განპეურნებდით უძლურსა და ეტყოდეთ
მათ: მოახლოებულ-არს თქვენ ზედა სასუფევლი ღმრთისა (ე. ი.
არსებითად, მალე სიკვდილი უქადაგეთ!) და რომელსა ქალაქსა
შექმნიდეთ და არა შეგიწყნარნენ თქვენ, გამორახვიდოდეთ უბანთა
მათ, არქვით მათ: აპა ქსერა, მტვერი, რომელი აღვერა ფერხთა
ჩვენთა ქალაქისაგან თქვენისა, განეიყარით თქვენ ზედაა“, ოღონდ
სოდომელთა ბედი მოაგონეთ და გააფრთხილეთ, მოახლოებული
არის-თქო სასუფლევლი ცისა. დაღუპული ხართ, რაკი საჭმელი არ მო-
გვეცით-თქო: „ვაი შენდა, ქორაზინ, და ვაი შენდა, ბეთსაიდა, ტვირთ-
სი და სიდონი უმოლხინეს იყოს სასჯელსა, ვიდრე თქვენ-თქო!“ და
შენ, გაპერნაუმ, ნე ცადამდე ამმაღლდები, არამედ კოჯორეთალმდე
შთაპხდე! და რომელმან თქვენი ისმინა, ჩემი ისმინა, და რომელ-
მან თქვენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეურაცხ-მყოფს“..

მოწაფებმა სიამოენებით მოისმინეს მასწავლებლის გრძელი
სიტყვა და აღტაცებით უთხრეს:

— უფალო! ემმანიცა დაგევმორჩილებიან სახელითა შენითა!

„პრექა მათ იქსო: ვპხელევდ ემმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით
გარდამოვრდომილსა. აპა მიცცე თქვენ ხელმწიფებასა დათრგუნვად
ჰელთა და ღრიანკალთა, და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა და
თქვენ არარა გვევნოს“.

წავიდნენ. სამოცდაათი პირველქრისტიანი წავიდა იქსოს მო-
ძღვრების საქადაგებლად.

მაგრამ მოქალაქებს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ მათი წყევ-
ლა-კრულვა, და როდესაც ორფეხა კალიის ურდო შეესიათ, დაუყოვ-
ნებლივ მიიღეს გადამწყვეტი ზომები. ამიტომ, სჯელს რომ აყრცე-
ლებდნენ, გაუჭირდათ, და ფეხები რომ არ გაეჭიმათ, ხშირად იძუ-
ლებული ხდებოდნენ დახმარება ეთხოვათ მარიამ მაგდალინელის,
იოანას, სუსანას და იქსოს სხვა შეძლებული მანდილოსნებისათვის.

როგორც კი იქსოს ყურამდე მივიდა ამბავი, შენს მოწაფებს
ჩველგან კინწისკვრით ერეკებიანო, ღმერთ-კაცი გაშმაგდა.

— ვაი შენდა, ქორაზინ! ვაი შენდა, ბეთსაიდა! — იმულრებზა
რისხვის ნიშნად. წარმართთა ქალაქები ტვირთსი და სიდონი უფრო
ღმობიერად მოგვექცნენ, ვიდრე თქვენ, ამიტომ განკითხვის დღეს
მათაც უკეთ განვიკითხავთ, ვიდრე თქვენ. რაც შეგვხება შენ, გაპერ-

ნაუმო, მე შენი არა მშერს: ყველაფრისათვის გამცემ პასუხს, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ჯოჯოხეთში გადაგიძახება! უკროცხადი

ბედზე ერთი პატარა სოფელი მაინც აღმოჩნდა, ჟულ შემჩენეულობა დაბა, რომლის სახელსაც კი არ გვეცნება სახარება, — აი, აქ გულითადი მიღება გაუმართეს ქრისტეს მშედრობას. ჯეროვანი გამასპინძლებით გახარებული მოწაფები ქრისტესთან დაბრუნდნენ და სასიამოვნო ამბავი აუწყეს.

შირონიცხებულმაც არ დააყოვნა იქ შისვლა მოსახლეობას გაცეცხადა, ჩემი ბოვლინების წყალობით ამიერიდან ნუღარც მორიელების შიში გვენებათ და ნუღარც გველებისათ. შემდეგ კი ჭარმო-თქვა მომზიბლავი სიტყვა, რომლითაც ამ სოფელს მარადიულ სასულეველს პირდებოდა (ოღონდ ამა ქვეყნად თუ ცაში, ეს არ უთქვამს).

ერთ-ერთმა სწავლულმა მეკანონემ, რომელიც იქ შემთხვევით აღმოჩნდა, იქსოს ჰქითხა: როგორ მოიპოვებენ მარადიულ სასულელს, როცა უკვდავების ელიქსირი არა აქვთო?

იქსომ მიუგო:

— შეიყვარე ღმერთი შენი და შოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი, — ეს საკმარისი იქნებაო.

— მაგრამ ვინ არის მოყვასი ჩემი? — არ ცხრებოდა მეკანონე.

— უფრო ფართოდ გახსენი სასმენელნი შენი და მისმინე, — მიუგო მირონცხებულმა. — ოდესაც ერთი კაცი ცხოვრობდა. ერთხელ იქრესალიმიდან იქრიქონში გაემგზავრა და მოხვდა ავაზაკთა ხელში, სელს იქით არაფერი შეარჩინეს, ცემითაც სიკვდილის პირას მიიყვანეს და ასე ცოცხალ-მკვდარი დატოვეს ტყეში. მთელი მისი სხეული ერთიან ჭრილობად ქცეულიყო.

იმავე დღეს იმავე გზით ერთი მღვდელი მიდიოდა. უბედერი მგზავრი რომ ამ ყოფაში ნახა, ერთი ესა თქვა:

— რა მაგრად მოხვედრია! — და გზა განაგრძო, მომაკვდავს დახმარება არ გაუწია. მოკლედ, მღვდელთა გულეკეთილობა ყველა-სათვის ცნობილია! მათგან დახმარების იმედი ნუ გვენებათ.

მერე მოვიდა ლევიტელი ანუ მნათე. რაღა მღვდელი და რაღა მნათე — ეს ხომ ერთი ბაღის მოსავალია! ლევიტელმაც დახედა მომაკვდავს, ისევე იფიქრა და თავისი გზით წავიდა.

საბეღნიეროდ, ქვეყნად მარტო მღვდლები და მნათეები არ არიან.

იმათ გარდა სამარეველნიც არსებობენ. პოლა, მოვიდა ქრისტიანი სამარეველი.

— ემშაკმა დალახვროს! — შესძახა, — განა შეიძლება ადამიანის ასე შეღებვა? ეტყობა, აქაური ავაზაკები ნამდვილი ურჯუები ყოფილან!

აიღო ნაძენძი, მალამო, სამკურნალო ღვინო, — სამგზავრო აფთიაქი თან დაქვიდა, — საბრალოს ჭრილობები შეუხვია, ღვინო დაალევინა, ჯორშე შემოისვა და გასწი, გაფრინდი! — უახლოეს სამიკიტონში ამოაყოფინა თავი. მეორე დღეს თავისი ქისიდან ორი დინარი ამოიღო, სახამროს პატრონს გადასცა და უთხრა:

— მიხედვეთ ამ ჭაბუქს! თუ ეს ცოტაა, აქეთ რომ გამოვივლი, კიდევ მოგცემთ.

სახამროს პატრონი იქნობდა სამარეველს და მის სიტყვას ენდო.

— აი, ეს მესმის! — დაიგუგუნა ბრძომ, ეს იგავი რომ მოისმინა. — ნეტავი, მეტი იყოს ახეთი სამარეველი!

იქსო მეკანონეს მიუბრუნდა.

— თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, კოლეგა? — ჰეითხა. — ვინაა გაძარცული მგზავრისთვის მოყვასი: მღვდელი, მნათე თუ სამარეველი?

— რა თქმა უნდა, სამარეველი!

— აი, ხედავთ? — სიტყვა ჩამოართვა მირონცხებულმა. — შიომებით მასავით, როცა ტყემი გაძარცული და ნაცემი უცნობი დაინახოთ.

სწავლულმა მეკანონემ არაფერი თქვა, მაგრამ თავისთვის ჩაიფიქრა:

— რა მარჯვე მოლაყბე ყოფილა! მაგრამ ლამაზი სიტყვები არ ქმარა. რა გამოვა იქიდან, რომ ხანდახან ქველმოქმედებას იქადაგებს? დროა სიტყვიდან საქმეშე გადავიდეს და თეითონ გახდეს ქველმოქმედი!

ამის შემდეგ იქსო მაღვე გაემგზავრა შეთსაიდაში. ამით უნდოდა ესიამონებინა მარიამ მაგდალინელისათვის, რომელსაც იქ ძმა და და ჟყაფდა. ძმას ლაშარე ერქვა, დას — მართა.

როგორც სახარება გვაუწყებს, ეს ძალიან შეძლებული ოკახი მყო. ლაშარეს საქმაოდ მაღალი თანამდებობა ეკაეა: შემთხვევით არ

ყოფილა მისი და მარიამი სენატორის ცოლი. ამრიგად, როგორც
იტყვიან, ეს იყო წესიერი ოჯახი.

მარიამია თვითონვე შეატყობინა დასა და ძმას, ჩემი საყვარე-
ლი იქსო ჩამოდისო.

როცა ამ მიზნით სახლის კარებში გამოჩნდა, და და ძმა გახა-
რებულები მივარდნენ და დაუწყეს კოცნა.

— მარიამ, ძვირფასო, სად დაიკარგე, რამდენი ხანია არ მინა-
ხიხარ! — გაიძახოდა მართა.

— არც მე! — ბანი აძლევდა ლაზარე.

— როგორ ვიკითხო შენი ქმარი, ის ჩინებული პაპუსი? შინ და-
ტოვე თუ ერთად ჩამოხვედით?

— რა გასახსენებელია აქ პაპუსი? — გაუკვირდა მაგდალი-
ნელს. — ვითომ დიდი საუნჯე გამიხსენა!.. მე ის დიდი ხანია გავა-
გუავნე იქით, საღაც საჭირო იყო.

— როგორ, საით, განა ერთად არ ჩამოხვედით? — ვერ გაიგო
ლაზარემ.

— ნუთუ გასცილდი? — შეძრწუნდა მართა.

— გასცილდიო? ჰო, ალბათ, რა მოგახსენო. გეტუვი მხოლოდ
ერთს: იმ ბებერმა ძალმა ისე მომაბეზრა თავი, რომ მეტი აღარ
შეიძლება. ლამის სული ამომაძრო. დილიდან საღამომდე მოსვენე-
ბა არა მქონდა. თუ ვინჩე ახალგაზრდა კაცი ფანჯარასთან ჩაივლი-
და, იმას ქსროდა, რაც ხელში მოხვდებოდა — ციცავი გენებოდა
თუ ჭრაქი. მე მის ხელში ეჭვიანობის მეტი არაფერი მინახავს, თუ
ნაბიჯზე არ მიშვებდა. ღამით, რომ მოვეფერებოდი: „მოდი ჩემ-
თან, ჩემო გოჭო, ჩემო პატარა პაპუსო“, — ის ბიბლიას გადამიშ-
ლიდა, დამიწყებდა მთელი გვერდების კითხვას, მოსეს და იერებიას
წიგნებს ჩამიბულებულებდა, აქაო და ღვთისმეტყველი ვარო!.. ხან-
დახან კიდევ, ნაირუეროვნებისათვის, იმას მიყვებოდა, თუ რა იღა-
პარაკეს სენატში, რადგანაც, მოგეხსენებათ, სენატორიც იყო! აბა
წარმოიდგინეთ, რა მხიარული ცხოვრება მექნებოდა!

— მართლაც, — ჩაიღაპარაკა მართამ, — მხიარულება აქ
ცოტა ჩანს.

— ეს საშინელება იყო, ძვირფასო დათ!

— ბოლოს და ბოლოს, აგვიხსენი! — ვერ შეიკავა თავი ლა-
ზარემ. — ვერ შეეწყვეთ ერთიმეორეს? გაიყარეთ?

— არ გავყრილგართ, მე მიღატოვე... ერთ შშვენიერ დილას დავ-
კარი ფეხი და გავიქეცი.

— რატომ მაშინვე არ მოხვედი ჩვენთან?

— ერთი შენცა! როცა გავიქეცი, ტბას მიღაშურე... მაგდალაში
არ ყოფილხართ, როგორც ვატყობ?

— არა, — მიუვო მართამ. — მაგრამ გამიგონია, საყვარელი
ქალაქიათ.

— მართალი უთქვამთ! მომჯადოებელია! სავსეა რომაელი ოფი-
ცრებით, და ყველანი რა ლამაზები არიან, თვალი ზედ დაგრჩებათ
ო, ღმერთო, რომ იცოდე, რა ოფიცირები არიან მაგდალაში!

ლაშარემ ჟუმაყოფილოდ შეიკრა წარბი.

— მარიამო, ნუთუ ჯარისკაცები მოგწონს?

— მომისმინე, ლაშარე, შენთან დასამალავი რა მაქეს! მართა-
ლია, მე მიყვარს ჯარისკაცები, სამხედროები!

— სამხედროები? ისიც მრავალნი? კმ! მაშ შენ ოფიცირი გავი-
ჩენია საყვარლად?

— დიახ... პირველად ერთი. ძალიან კეთილი ვინმე იყო... ო,
როგორ მიყვარდა ის ყაჩაღი!

— ეს რა თქვი? პირველად ერთიო? მერე მეორეც?

— აბა რა დაგიმალო, ლაშარე! ხომ იცი, შენთან გულახდილი
გარ, ტყუილის თქმა არ შემიძლია!

— ეშმაქმა დალახვროს, მე ვხედავ, როგორ გართულხარ!

— შემდეგ მესამე გავიცანი... იცით, საკმარისია სამხედრო ჩა-
ტულობა დავინახო და თავგზა მეყარგება... შენ არ იცი, რამდენი
კოხტა ოფიცირია მაგდალაში.

— დაიღუძოს მათი თავი და შენიც! არც მე ვარ გამოუცდელი,
მაგრამ შენი საქციელი... მე აღარ ვიცი, რა ვეწოდო ამას! ნუთუ
მთელს გარნიზონს მიუწევი?

— მთელს გარნიზონს არა, ცხადია: ეტყობა, პაპუსმა სამუდა-
მოდ შემაჯავრა მოხუცები!

— მოხუცები? მაშ ყველა ახალგაზრდა...

— ო, რა თქმა უნდა, ლაშარე! ახალგაზრდებს ისე ვუყვარდი
რისთვის უნდა დამეწყვიტა გული! მე მათი სურათებიც მაქეს.
როდისმე ჩემს ალბომს გიჩვენებ და ნახავ, რა კარგები იყვნენ!

მართა გაშტერებული უსმენდა. ლაშარე, როგორც თვითონვე
აღიარა, მეტისმეტი სათნოებით არ იყო დამძიმებული. მერე, ბო-

ლოს და ბოლოს, მარიამი მისი საუკანელი და გახდათ რამდენად
დაც მომხდარს ვეღარაფერი შეცემიდა, გადაწყვიტა და ვალიურ კა
ვაპატიებო, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ უმთავრესი ჯერ წინ
იყო.

მოსაჩვენებლად დატექსა ლვიძლი და, მერე კი უთხრა:

— კარგი, მარიამ, თუ შენ ბედნიერი ხარ, მე რა მეტქმის! მაგ-
რამ სადაა ის ლაშაზი ოფიცერი, რომელიც პირველად აგირჩევია?
გაგვაცანი. დარწმუნებული იყავი, ისე მივიღებთ, როგორც საჭი-
როა.

— იცი, ლაშარე, ის ლაშაზი ოფიცერი სულაც არაა ოფიცერი.

— ეს კიდევ რაღა ეშმაკია?

— იცი, მე მივატოვე ის გარნიზონი, როგორც პაპუსი.

— ო, ღმერთგამწყვრალო! მითხარი მაინც ვინაა? ახლა ვინა
გყავს?

— ო, ეს ისეთი კეთილია...

— თვითონვე ვერძნობ ამას! მაგრამ ვინაა-მეტქი? რა ქქვია?

— სახელიც სათნო და კეთილი აქვს: იქსო...

— იქსო... დაიცა, დაიცა, ეს სახელი გამიგონია... მე მითხრეს
ვიღაც იქსოს ამბავი, კარავთა დღესახწაულზე რომ ერთი ამბავი
დაუტრიალებია იერუსალიმის ტაძარში... მემონევეით, ის ხომ არ
არის?

— იქსო ერთია.

— ჰო-ჰო-ჰო! იცი, მარიამ, აი, ამას კი შენგან არ ვეღოდი! იმ
ტიპს ისეთი სახელი აქვს დავარდნილი, რომ ღმერთმა დაგვიფა-
როს! ამბობენ, ცოდვების საღართოა... გარდა ამისა, ისე დაწანწა-
ლებს თურმე მისი მსგავსი უსაქმერების თანხლებით, რომ...

— შენ ლვთაებრივს ამდაბლებ და ამით თვითონ იმდაბლებ
თავს! ცხადია, ენას ძვალი არა აქვს. შეეძლიათ ილაქლაქონ, რაც
უნდათ, უღირსთა და უმეცართა ენას ჭალი არ მოედება... საბრა-
ლო იქსო, ყველა იმის სიდიადეზე ილესავს კბილებს. კარგად გხე-
დავ, ლაშარე, შენც მხოლოდ მისი მოსისხლე მტრებისათვის მოგის-
მენია. სულ ხუმრობა განა შეიძლება? იცი, რა სიკეთის განსახიე-
რებაა, რა უბრალო, რა სათნო? ერთი მოგესმინა მისი ლაპარაკი.
ის ციური ენით ელაპარავება მიწიერთ, ამ საცოდავებს კი გაგების
უნარი არა აქვთ. თუ გელისყურით უსმინე, გელზე მოგხვდება.
მართალია, დადის ქალაქ-სოფლებში და იშვიათად გაათევს ღამეს

სამჯერ-ოთხჯერ ერთ სასლში, მაგრამ რა არის ამაში ჰაძრახისი? ის სარწმუნოებას ქადაგებს, ხალხშია, სიკვდილს ებრძვის, სნეუტრალურობას ჩენს. უყვარს მოგზაურობა და ეს საქმისათვის ასეა საჭირო! მაგრამ არ გამოიყენოთ მოგზაურობას და ეს საქმისათვის ასეა საჭირო!

მომისმინე. ბოლოს და ბოლოს, ეს შენი პირადი საქმეა. მე ის გითხარი, რაც მოვისმინე. შეიძლება მართლაც არაა იმნაირი და ტუეილად ცილსა სწამებენ. თანაც ვიცი შენი გემოვნება. ვინმე გაუთლელსა და უტვინო ვიგინდარას არ დაიახლოვებდი. შეიძლება შენი იქსო უხვია და მოხეტიალე ვაჭრის კვალობაშე უშურველი, ხომ ასეა?

— არა, ლაშარე, ამას ვერ ვიტყვი... თუ ფულს გულისხმობ, საბრალო იქსო სულაც არაა მდიდარი. ნაჯახითა და ხერხით ბევრს ვერაფერს მოიგებ, წინასწარმეტყველება და ქადაგება კი შემოსავალს არ იძლევა. მერე მე ხომ ისეთი ქალი არა ვარ, მამაკაცებს რომ სიმდიდრისათვის დასდევენ და თავს იმცირებენ! მადლობა ღმერთს, ამით მაინცა ვარ სხვაზე წინ. იქსო ღარიბია, მაგრამ ეს ხელს არ უშენის, რომ მთელი სულითა და გულით მიყვარდეს.

— მაგრამ თუ მდიდარი არაა და მოხეტიალე მქადაგებლის პროფესიას ცოტა შემოსავალი შემოაქვს, მაშინ რით ირჩენს თავს?

— მე ვეხმარები ჩემი მამულით, თუმცა ერთმანეთს იშვიათად ვხვდებით.

— აქა, მაშ შენ ინახავ? — შექცევირა ლაშარემ. — საცოდავო მარიამ, როგორ მოგივიდა თავში ასეთი უსახლეარო ყარიბის შეყვარება? ის ხომ შობის დღეს გაწყვევლინებს!

— ლაშარე, შენ მეტად მკაცრად ვქცევი ჩემს იქსოს. განა ის არის დამნაშავე, რომ მოხეტიალე ორატორებს ფულსა არ აძლევებ? განა მარტო მე ვუარავ მის მცირე ხარჯებს? ჩვენ მრავალნი ვართ, მისი ერთგული მანდილოსნები, მისი ყურადღების ღირსად ცნობილი, ყველანი ვეხმარებით, როცა უჭირს...

— ეს რა მითხარი? მაშ, შენს გარდა სხვებიცა ჰყავს? რაც მეტად გისმენ, უარესად ვხდები. გამაგებინე, იმ ჭაბუკს მრავალი საყვარელი ჰყავს? ვაი და ვაი ამ მოსწრებას, ეს ჩევე ჩვენს ადათ-წესებს არ ეწყობა... ალბათ ჰკონია, რომ სოლომონის დროში ვცხოვრიობთ. მეუე ხომ არაა ის შენი მშვენიერი იქსო? შერე, ერთიმეორეზე არ ეჭივიანობთ?

მაგდალინელი ამაყად წელში გაიმართა.

— ეს აღარაა საშიში. მე არაფერი მაქვს საცვლო, სხვები ეჭვიანობენ, შერით შემომცერიან. მე პირველი ვარ დასკონტაქტობით ული!

ლაზარემ ნაღვლიანად გაიღიმა. ერთხანს სიყვარულითა და სიძრალულით შესცემული მაგდალინელს, გზას ამცდარ დას, რომელიც სწორედ ამ სიყვარულის წყალობით უნდა დარჩენილიყო რელიგიისა და ხელოვნების ისტორიაში.

— შე საცოდავო, შე საცოდავო! — გაიმეორა ბოლოს.

— არაფერიც არ გესმის, ლაზარე! — შეუპოვრად მიუგო მარიამშა. — იქსოს ფავორიტი რომ იყო, მისი პირველი სატრუო და საყვარელი, ეს შენ ჩირის ჭამა არ გევონოს! იქსო ებრალო მამაკაცი არ გახლავს, სხვებივთ. ჯერ ერთი, ის სულაც არაა კაცი...

— ეს რაღას ნიშნავს, „ებრალო მამაკაცი არ გახლავს“, კაცი არააო? ხომ არ გინდა თქვა, რომ ის...

— არა, არა!

— აბა კაცი არ არისო?

— არაა. არც კაცი, არც ადამიანი.

— კისერი მიმშერი, თუ რამე გამეგებოდეს!

— ვერც გაიგებ. მაგრამ თუ ასეთი მიუხვედრელი ხარ, მე გეტქვი, ოღონდ საიდუმლოდ.

მართას ისედაც დიდი ხანია გული მისდიოდა, ენა მუცელში ჩაუვარდა და ახლაც კარისაკენ ფეხი წადგა, მაგრამ მარიამშა შეაჩერა.

— სად მიდიხარ? — ჰეითხა.

— ჯობია წაყიდე. მე ხომ ვიცი, რომ როგორც ქალიშვილს, არ შემეუფერება იმის გაება, რაც ლაზარეს უნდა გაანდო.

მაგდალინელმა გულიანად გაიცინა.

— შენ ფიქრობ... შენ ალბათ გევონა, რომ... ჟა-ჟა-ჟა! აი, ქალიშვილი! არა, მართა, შეგიძლია დარჩე. მე მინდა ერთი საიდუმლო გაგანდოთ, მაგრამ საჩოთირო ამ საიდუმლოში არა არის რა... ძირიქით!

მართამ და ლაზარემ ყურები ცევიტეს.

— ბარემ გვითხარი, მარიამ! — ცნობისმოყვარეობით იწვოდა-და-მა. — რაღას გვაწვალებ, გვითხარი, რა!

— მაშ მომისმინეთ. იქსო სულაც არაა ბდამიანი. იქსო — ღმერთია.



დამ და ძმამ შექცვირეს.

— ღმერთი? — ჩაეკითხა ლაშარე. — მაგრამ ღმერთი ერთია, იეღოვა, ის იეღოვა, რომელსაც თაყვანსა ვცემთ? პირებითი ერთია.

— მართალია, მაგრამ იქსო ძეა მისი და მასავით ღმერთი. აბა როგორ აგისხნათ ამაზე უკეთესად? საერთოდ, მოკლედ რომ გითხ-რათ, იეღოვას სულმა, სულიწმინდამ მტრედის სახე მიიღო, ხურო იოსების დანიშნულ ქალწელ მარიამს შეუერთდა, აქედან იშვა იე-სო ქრისტე. ახლა სამივე — იეღოვა, სულიწმინდა და იქსო იქცნენ ერთარსება ღმერთად. ესაა სამება.

— აი, დომხალი თუ გინდათ, ეგ არის! ეს აბდაუბდა იქსომ გიამბო?

— დიახაც! მაგრამ მე მწამს, ის არ მომატყუებდა. ნამდვილი ღმერთია, თავი ნე მომიკვდება! მე შენ ლენჩი ხომ არა გვონივარ? ეს თვითონაც დამიმტკიცა.

— როგორ დაგიმტკიცა?

— ლაშარე, შენ ძალიან მოურიდებელი ვინმე ხარ!.. შენთვის ისიც საქმარისია, რომ მე რჩეული ქალი ვარ იმ ახალი რელიგიი-სა, რასაც ჩემი იქსო ქადაგებს, და რომ პირველი ვეზიარე მის საი-დუმლოებას... ისედაც ბევრი რამ გითხარი. დამერწმუნე. და კარგად დაიმახსოვრე: იქსო, რომელსაც შენ ახლა აუგად ასხენებდი, არის მაცხოვარი, შესია, რომლის თავიც წინასწარმეტყველთა თაობაშ აღგვითქვა. ესაა ღვთის კრავი, რომელიც გამოისყიდის ადამისა და ევას ცოდვებს. ესაა იქსო ქრისტე, დიდი მსაჯული, რომელიც გან-კითხვის დღეს მოვა, რათა განიკითხოს მკვდარი და ცოცხალი — აი, ვინაა ჩემი იქსო!

ყველაფერი ეს ისე ნათლად და გზნებით წარმოთქვა მაგდალი-ნელმა, როგორც შეეძლო მხოლოდ ქალს, რომლის გულშიაც ღრმად გაედგა ფესვი მგზნებარე სიყვარულს... სარწმუნოებისას, ცხადია*.

* იქსოს და მარიამ მაგდალინელის ბუნდოეანი სიყვარული დაედო სა-უძრავი მოელი შეა საუკუნეების და გვანიდელი მითულით ლიტერა-ტურისათვის კარგად ცნობილი „ღვთაებრივი მიწნურობის“ მოტივი, ისე რომ ჩვითად შეკლევარებსაც ვერ აუხსნიათ, სად თავდება საერთ სიყვა-რული და სად იწყება ციტრი, პლატონური, ალეკორიული, ქრისტეს ძარ-ძლოები ჟეველი ქრისტიანულ ერს ჟყოლია. ჩემი მინაირი. სიყვარულის კლასიური ნიმუში მოგეცა თავის პოეზიაში დავით გურამიშვილმა. მისი ტრაქობის საგანი ხან ხორციელი ქალია, ხან ეკლესია, იქსოს სავანე...



მაგრამ ლაზარე კერ კიდევ ყოყმანობდა.

— მართლა კი გწამს ის, რასაც ლაპარაკობ? — შეიძლო დას.

— თუ ეს სიმართლეა, აქ სერიოზული ამბავია, ძალიან სერიოზული.

— სწორედ ახეა, პატიოსნებას გეფიცები!

— ქო, რაკი შენ პატიოსნებას ფიცულობ, რა ოქმა უნდა, ღმერთი ყოფილა!

საკითხი გადაწყდა. ლაზარემ და მართამაც იწამეს იქსო ქრისტე. მარიამი გამარჯვებას ზეიმობდა.

— ახლაც არ დაიჯერებთ, რა საამაყო პატიოდა ღმერთის საყვარლობა? — ეკითხებოდა მოქცეულ და-ძმას. — გესმით თუ არა, როგორი განსაკუთრებული ზედი მქონია?

მაგდალინელი სიამაყით აღარ იყო. ლაზარე ფიქრებში წავიდა...

მართა ბუნებით ცნობისმოყვარე იყო, როგორც ყოველი ქალი. გელმა კერ მოუთმინა და მარიამს პკითხა:

— შეიძლება მისი ნახვა? იმ შენი უფალი ღმერთისა?

— ნამდვილად გინდა გაგაცნო?

— როგორ არა!

— მეც, — დაუმატა ლაზარემ*.

— მაშინ წავალ, მოვიყვან. ბეთსაიღში ჩემთან ერთადაა ჩამოსული. თვითონვე ნახავთ, რა ლამაზია ჩემი ღვთაებრივი მასწავლებელი! მაგდალის არც ერთი ოფიცერი ფეხსაცმლის ღანჩიდაც არ გამოადგება. შემდეგ მითხარით, როგორ მოგეწონებათ. ოღონდ გახსოვდეთ: რაც მე გითხარით, საიდუმლოდ შეინახეთ! თავი ისე დაიჭირეთ, ვითომ არაფერი იყით.

თქვა და გაფრინდა.

* ეს უბრალო ლაზარე არაა. ქრისტემ ის გელით შეიცვალა და მის ნადრევ სამარეზე დაღვრილი ცრემლით კაცი გააცოცხლა. როგორც დასრულ ლაზარეს მიძინების ამბავი გვიგო, ბეთანის შიაშერა, სადაც მუდამ სიმით ისკვენებდა ხოლმე — მარიამის, მართას და ლაზარეს სახლში: „ლაზარე, შეგობარმან ჩემთან დაიძინაო”, და ჩიქოლეს საცრონოს მიუხედავად წავიდა, გააცოცხლა შეგობარი (იოანე, 11, 17—45). ლაზარეზე იმანე იქროპირის შეოღლით წიგნი აქვს: „შეიღი სიტყვა ლაზარეზე”, თარგმნილია რესულად. იყო სხვა ლაზარეც, სახარების იგავის გმირი, ღატაკი ლაზარე, მდიდრის კარებთან დავარღნილი, ქადაგებათა საგანი (ლუკა, 26, 19—31).



მართა კი ოცნებას მიეცა.

საათსაც არ გაუვლია, რომ მაგდალინა იქსოს თანხლებრივ დროულად. მირონცხებული ყველა წესის დაცვით გააცნო პლაზა და თავაკ ძმის.

„გელის თვალით ხედავს, თორემ სილამაზით რა ისეთი ლამაზია! — ფიქრობდა ლაზარე. — მაგრამ თუ მართლა ღმერთია. მანც ბედი პეტია, რომ ასეთი საყვარელი გაიჩინა“.

შიღება უბრალოდ მოხდა, უცერესობით. იქსომ სიტყვა აიღო და მოკლე ხანში მოხიბლა თავისი ახალი მსმენელები. თუმცა მარიამმაც ურიგოდ როდი მოუმშადა ნიადაგი.

ლაზარემ იქსო სადიღად მიიწვია. ნაზარეველს უარი არ უთქვამს. მართამ სადიღლის თადარიგი დაიჭირა. თან სამზარეულოში ტრიალებდა, რომ ხაკადრისი სუფრა გაეშალა, თან ფარულად გადახედაედა ნათელ სტუმარს, და წარმოიდგინეთ. მასაც მოეწინა, კალმით ნახატიათ. მის ყოველ სიტყვას იჭერდა, ყოველ მიხვრა-მოხვრას თვალს ადევნებდა ბოლოს თავის გრძლს გამოუტყდა: ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი მომხიბლავი კაციო. მართა დასურით შესცემოდა.

— ხაძაგლებს ყოველთვის ბედი აქვთ! — დუღუნებდა სამზა-რეულოში, ქვაბს რომ რეცხავდა. — ამის შემდეგ პირდაპირ აღარ მოგინდება პატიოსან ქალიშვილად დარჩენა.

გელში მართას დაზე არანაკლებ მხურვალე ცეცხლი უგინებდა. გვთვით და წყვინით ადევნებდა თვალს ყურადღების ყოველ ნიშანს, რასაც იქსო მარიამისადმი იჩენდა.

ლაზარე სარდაფში ჩავიდა, კოკაში ღვინო უნდა ჩავასხაო.

მაგდალინელმა ამით ისარგებლა და იქსოს ეალერნებოდა, მართა კი სამზარეულოში ტრიალებდა.

ბოლოს მართამ ვეღარ მოითმინა და დაგებებული ბოლმა გადმოაფრქვია. მოალერსე წყვილს გამოეგიმა, ხელები ბარძაყებზე მიიღო და უფროსი და საყვედურებით აავსო:

— როგორ არა გრცხვენია, უქნარავ! დახეთ, იმის მაგიერ, რომ საქმიანობაში დამეხმაროს, მიწებებულივით ზის! გაქვს ახლა შენ სინდისის ნატამალი?

როცა მაგდალინელმა პასუხის გასაცემადაც ვერ მოიცალა, მართა ჟავე იქსოს მიუბრუნდა და განაგრძო:

— ბატონი, გთხოვ, შენ მაინც უპრძანე, დამექმაროს! ან იწერებ
შენ არ შეგაწუხებს, რომ მე იფული ვიდინო, თვითონ კი იჯდო?

შესია კარგად ერქვეოდა ადამიანის გულის საიდუშლოებაში. მაშინვე გაიკო, რაც ხდებოდა მართას სულმი. ეს ახალი სიყვარუ-
ლი, რაც მისმა მოსვლამ იმთავითვე ჩასახა, მის თაემოყვარეობას
საამოდ ესალბუნებოდა, და რომ უფრო მწველი სახმილი შეენთო,
ნაშად გაუღიმა, რამაც საბრალო ქალიშვილი ლამის ჭერიდან შე-
შალა.

— აქ, მართა, მართა, შენ სულ ტრიალებ, ფუსფუასებ, გინდა
მასიამოვნო, კარგადაც იქცევი, — მრუვო თანაც. — მაგრამ დას რომ
უწყრები, ეს ჟევე არაა სწორი. მაგან ეს აღგილი აირჩია, ჩემს
გვერდით, და ვერავინ წაართმევს.

— მიიღე, ხომ? — გამოაჯავრა მარიამმა მართა.

ქალიშვილმა დას კინაღამ თეუში ესროლა, მაგრამ როგორც
იქნა, ბრაზი გულში ჩაიკლა და თან წაიღო სამშარეულოში, სა-
დაც მწარე ცრემლების წმინდით განაგრძო საქმიანობა (ლეკა, 10,
38—42).

მაგრამ ნუთუ ასე უნუგეშოდ დატოვა იქსომ მართა?

სახარება საპირისისირო ვარაუდის საფუძველს გვაძლევს.

მირონცხებულმა სადილის შემდეგ უთუოდ შეარჩია ღრო, მარ-
თა განშე გაიხმო და ჩასჩირჩულა:

— სადილის წინ გაწყენინე, საბრალო მართა, ხომ მართალია?

— ო, მართალია, უფალო!

— რატომ უჭირანობ და ეწყრები მარიამს? განა ასე გიყვარ-
გარ მე?

— უფალო, მე მთელი არსებით შენი ვარ. შენთვის სიკვდილი
ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება.

— რატომ სიკვდილი! შენ ხომ დღეს გამიცანი!

— ჰეშმარიტი სიყვარული, ღმერთო, წამიერად იბალება, ფიქ-
რი არ უნდა.

— ახლა რა გინდა ჩემგან, მართა?

— რაც ყველას უნდა! ღმერთო, მე ძლიერ უბედური ვარ.
გგრძნობ სიყვარულით არ მიპასუხებ. შენი გული მარიამსა აქვს
დაპყრობილი.

— გულს ნე გაიტეხ, მშვენიერო მართა, შვილო ჩემო! ღვთაებ-
რივი სიყვარული დაუშრეტელია. მას შეუძლია გავრცელდეს ყო-

ქართული ეროვნული მუზეუმი
მიკურნალი

- რა კეთილი ხარ, ღმერთი! რა სასიამოენოა შენი მისმანი!
- დამიჯერე მე, მიწამე და ბედნიერი იქნები უფლის წიაღსა შინა.
- მპირდები? მართლა ბედნიერი ვიქნები?
- ისე ბედნიერი, რომ თვითონვე არ გეცოდინება შენი ბედნიერების საზღვარი.
- გეყვარები? ცოტათი? ძალიან? ვნებით?
- უსასრულოდ და უსაშლეროდ.

იქსოს უხვი გული უსაშლერო სიკარულს იტევდა. გელი კი არა, ეს იყო თაიგული, ყოველ ნაბიჯზე ყვავილებს არიგებდა და მაინცა რჩებოდა. ასე ეზიარა მართაც ციურ ნეტარებას, მაგრამ ყვავილების მეტი და უკეთესი ნაწილი მაინც მაგდალინელს ეკუთვნოდა.



3. მოლმანი. იესო ქადაგებს ხა ესაოეთის ტბაზე.

სიზყვის იდვარი

და იყვნეს ყაველი მეზერენი და ცად-
ვილი მახლობელად მისა, და ისმენდეს
მისა.

და დრტვინუიდეს ფარისეველი და მწიგ-
ნობარი და იტყოდეს, ვათარშედ ეს ცად-
ვილთა შეიწყიარებს და მათთანა ჭამს და
სკაშს.

და ეტყოდა მათ იგაუსა ამას და ჩექა...
დეკა, 15, 1-3



ირდაპირ გიყვირს და გაგვირვებია, რამ-
დენი იგავი ძექონდა მომარაგებული მოა-
რულ სიტყვას! მაგრამ პირმშვენიერი ქა-
ლის წინაშე იგავებით ლაპარაკი აღარ
ესაჭიროებოდა.

იესომ რამდენიმე დღე გაატარა მართასთან, უმანკო ყავილ-
თან, რომელიც უეჭველია არ იყო მოკლებული მომხიბლაობას,
შემდეგ კი გაემზავრა მორიგ ტურნეზე ერთ-ერთ ოლქში, რომე-
ლიც ჰეროდე ანტიკას საბრძანებელში შედიოდა. აქ მან მოაწყო
იგავთა მოელი ფესტივალი. ყველას გადმოცემა შორს წაგვი-
ყვანდა.

ეტყობა, ადგილობრივი მოსახლეობა მოციქულებს ხშირად
დასცინოდა და ბოროტადაც კი ეხუმრებოდა. როცა ამა თუ იმ სო-
უელში გამოჩნდებოდნენ, მათხოვრებად თვლიდნენ და საჭირო სა-
ნოვაგის მაგიერ სრულიად შეუფერებელსა და გამოუსადეგარ რა-
მებს აჩეჩებდნენ და უდებდნენ ჩანთაში. ასე, ერთხელ ანდრიას—
თუ პეტრეს, ზუსტად არავინ იცის, — რომელმაც გლეხს პური
სოხოვა, პურის ნაცვლად ხელში მისცეს რიყის ქვა, თევზის ნაცვ-

ლად გველი და კერძოცხის მაგიერ მორიელი. იქაომ იქვე აუსნა
მოციქულებს: უნდა მოითმინოთ და ასეთი აბუჩად აგდების შეუტყუფი
დავად განაგრძოთ მოღვაწეობათ.

ერთ ღარიბი, მაგრამ სტუმართმოყვარე კაცს შეაღამისას ვინმე
ყარიბი მიადგა კარზე. მასპინძელი მაშინვე მეგობართან გავარდა,
კარზე დაუკაცუნა და სთხოვა: „მასესხე სამი ჰური, რადგან მეგო-
ბარი მესტუმრა შორი გზიდან და არა მაქვს, რომ ვაჭამო რამეო“. მაგრამ კაცს ეძინა, შეიღებსაც ეძინათ და არავის არ უნდოდა თა-
ვის წამოწევა. „აბა, მაშ ასე? — თქვა მეზობელმა. — არ გინდა
ჩემთვის შეწუხდე? გიჩვენებ სეირს!“ — და ისე დააბრახუნა, რომ
კაცმა გაიღვიძა, მაგრამ წამოღვიძა არც ახლა ისურვა: „ნუ შრო-
მასა შემამისხვევ მე, რამეთუ კარი დახშულ-არს და ყრმანი ჩემნი
ჩემთანა არიან სარეცელსა ზედა, ვერ ძალ-მიძს ღღდვომად და
მიცემად შენდაო“. ყარიბის მასპინძელი მაინც არ მოეშვა და იმ-
დენი აბრახუნა, რომ მოთმინებიდან გამოიყვანა. ააყენა და პე-
რი მიაცემინა, რათა როგორმე თავიდან მოცეილებინა (ცუდად მო-
იქცა, მეგობრისათვის მაინც უნდა ამდგარიყო, შეუძლოთაც რომ
ყოფილიყო, ასეთ კომენტარს უკეთებს მის საქცევლს ღუკა).

— მაშ ასე, — უთხრა მოწაფეებს დასასრულ იქსომ. — მიძ-
ყვით იმ დარიბი კაცის მაგალითს. „ითხოვდით და მოგვცეს თქვენ,
ეძიებდით და პპოვოთ: ირეკდით და განვეღოს თქვენ. რამეთუ ყო-
ველი, რომელი ითხოვდეს, მიიღოს, და რომელი ეძიებდეს, პპოვოს,
და რომელი ირეკდეს, განვეღოს“ (ღუკა, 11, 5—13).

დაახლოებით იმ ხანებში ქრისტემ განკურნა ორი ბრძა და ერ-
თი მუნჯი. მუნჯმა რომ ენა ამოიდგა, ერთმა ქალმა თურმე სიხა-
რულით შესძახა:

— ნეტარ-არს მუცელი, რომელმან გიტვირთა შენ და მუძუნი,
რომელთა პსწოვდი!

ამის შემდეგ იქსომ თანხმობა განაცხადა, რომ სადილი ეჭამა
ერთი ფარისევლის სახლში, რომელმაც ისევ უმუხოლა, მხოლოდ
ფარისევლები და მწიგნობარნი ანუ მწერალნი მიიპატიჟა. როგორც
კი სახლში ფეხი შედგა, იქსომ მიხვდა, რომ ხაფანგი დაეგეს.

გაშინ, მასპინძლისათვის რომ სამაგიერო გადაეხადა, მაგიდას
ისე მიუკდა, ფეხი არ დაუბანია, როგორც წესი და კანონი ითხოვ-
და. სტუმრებმა დრტვინვა დაიწყეს. იქსომ ისეთი სახე მიიღო, ვი-

არმ არც კი იცის, როთ გაანაწყენა სტუმრები, და ისე ისადილა
კითომ აქ არაფერიათ.

დესერტს რომ მიირთმევდნენ, წვეულთა კრებულს და შეადგინა
კრულების ნიაღვარი დაატეხა იმისათვის, რომ სინაგოგებში ყველ-
გან ჩჩეულ ადგილებს ისაკეთრებენ, ქუჩებში კი მოითხოვენ, რომ
ხალხი მათ მიესაღმოს, ამასთან ფარისეველნი შეადარა უჩინო სა-
ფლავებს, რომელთა შეხება ადამიანებს ბილწავს („ვაი თქვენდა,
ფარისეველნო, რამეთუ გიყვარს თქვენ ზემოჯდომაი შესაკრებელ-
თა შორის და მოკითხვაი უბანთა შორის! ვაი თქვენდა, რამეთუ
ხართ, ვითარცა საფლავენი უჩინონი და კაცნი ზედა ვლენ და არა
იციან“, ლუკა, 11, 43—44).

ამნაირმა სიტყვათა ფრქვევამ: ვაი თქვენდა, რომ ამას აკე-
თებთ, ვაი თქვენდა, რომ ისე არ აკეთებთო, ფარისევლები მოთმი-
ნებიდან გამოიყვანა. ჯერ წყნარად „მი-ვინმე-უგო შეკლის შეცნი-
ერმან და პრევა მას: მოძღვარ, მაგას რაი იტყვი, ჩვენცა მაგინე-
ბო“, მერე გაისმა შეძახილები:

— თავხედი! ერთი ჭკეა უნდა ვასწავლოთ, რომ დიდხანს ახ-
სოვდეს!

მაგრამ იესო არ დაბნეულა. მარდად შეხტა მაგიდაშე, გადააბ-
რუნა სკამები და დაიწყო დევნა. ბოლოს ალბათ დაიკრებულენ და
ანგარიშსაც გაუსწორებდნენ მამხილებელს, რომ გარედან ბრბო
არ შეჭრილიყო სანადიმო დარბაზში და არ დაეცვა იესო.

იესომ ისარგებლა შემთხვევით, რომ ხალხი მას იყავდა და თუ
ფარისეველნი „პგმობდეს მას მრავლისა მისთვის სიტყვისა“, ხალ-
ხმა ყურადღებით მოისმინა მისი იგავები:

1: მდიდარი მიწათმფლობელი თავის ყანებში იმდენ მოსავალს
იღებს, რომ აღარ იცის, რა უყოს, სად შეინახოს. მაშასადამე, სა-
ჭიროა უფრო მეტი და ტევადი ბეღლები ააშენოს. მაგრამ გადასცა
თუ არა თავისი გეგმები ხუროთმოძღვარს, იმავე ღამეს ანაზღაუ-
ჟეხები გაჭიმა.

2: მეორე მიწათმფლობელს მხოლოდ ერთი ლეღვისხე აქვს, და
ისიც აგერ სამი წელია ზედიზედ ნაყოფს არ იძღვება. მიწათმფლო-
ბელი ამბობს: „წელს ერთხელ კიდევ მოგუუცვიერებ გარშემო მი-
წას, ნაკელს დაგაყრი და თუ შემოდგომაშე კიდევ არ მოისხა ლუ-
ლვი, მოვჭრი, ცეცხლს შევუკეთებო“.

როგორც ხედავთ, დიდი ეშმაკობა არაა. მორალიშ

ორ იგავს შორის იქსომ ერთი ქალი მოარჩინა, უცნაური სენით შეპყობილი. ბედნიერ ასაკში იყო, მაგრამ წელში მოხორცილო, ოთხმოცი წლის დედაბერი გეგონებოდათ. ჩანდა, ეშვაკს შოედუნა და ორად მოეკეცა. უნდა გენახათ, როგორ დადიოდა: უკანალი ცა-ში აეშეირა, ნიკაპით კი მიწას ეხებოდა. აღვილი წარმოსადგენია, რომ ასეთ ყოფაში რაიმე სტემიანობაზე ლაპარაკიც შედმეტია. ერთადერთი რამ, რითაც შეეძლო თავი ერჩინა, ეს იქნებოდა პაპიროსის ნამწვავების შეგროვება, მაგრამ რადგანაც მაშინ პაპიროსი ჯერ კიდევ არ იყო გამოვინილი, ეს დედაკაცი უაღრესად უმწეო და უბედური გახლდათ.

იქსოს ქალი შეეცოდა. ორი სიტყვა თქვა და ქალი წელში გაიძართა, აღვასავით აშოლტილი აღმოჩნდა.

იქსოს ამ მიდამოებში მეტი არც დაუყოვნებია. კურთხევის დღე-სასწაულზე ისევ იერუსალიმში ჭავიდა. ამ დღესასწაულის წარმოშობა ასეთია: როგორც ცნობილია, იუდა მაკაბელი ერთ-ერთი გამოჩენილი იუდეველი სარდალი იყო, რომელიც გადამთიელ დამ-პყრობლებს გმირულად ებრძოდა. უფრო ნაკლებადაა ცნობილი ის ფაქტი, რომ სირიელთა მეფის დამარცხების შემდეგ მას იერუსალიმის ტაძარში განწმნდა და კურთხევა მოუხდა. აი, როცა ტაძარში შევიდა, აღმოჩნდა, რომ მტერს დაემსხვრია ყველა ჭურჭელი, რომელშიაც წმინდა ჟეთი ესხა, დარჩენილიყო მხოლოდ ერთი გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. წმინდა ზეთის დამზადება ხანგრძლივ და რთულ საქმიანობას ითხოვს. რა უნდა ვქნა? ყოველ შემთხვევისათვის მაკაბელმა ბაზმების ნაწილის ავსება ჩაინც სცადა, და წარმოიდგინეთ, ეს მცირეოდენი ზეთი ამდენ ბაზმაში მთელი კვირის განმავლობაში ენთო!

ამ სასწაულის აღსანიშნავად ებრაელები ყოველწლიურად მთელი კვირის განმავლობაში ზეიმობენ, როგორც პასქის ან გარავთა დღესასწაულებზე. ამ დღეობას დაესწრო იქსოც და კინაღამ ჩაქოლეს, რადგან საზოგადოებრივ ადგილზე ამტკიცებდა, მე და მამაჩემი ერთ მთლიან არსებას ჭარმოვადგენთ (ლუკა, 13, 6—18; იოანე, 10, 29—42). ამჯერად საქმე ისე გამწვავდა, რომ იქსო იძულებული გახდა იქით დაბრუნებულიყო, საიდანაც მოვიდა.

ამ მხარეში მან თავი გამოიჩინა სასწაულით, რაც შოახდინა ერთ დიდ ნადიმზე, სადაც აგრეთვე მხოლოდ ფარისევლები მონაწილეობდნენ. ისე უყვარდა მხიარულ იქსოს ნადიმები, რომ ვინც

მიიღვევდა, მას ესტუმრებოდა, მტერსა და მოყვარეს არ არჩევდა.
ის სადილი შეაბათს მოეწყო. ფარისეველებმა განვებ მოყვანის
ერთი წყალმანქიანი კაცი, ისეთი გაბერილი, რომ სავსე ჩუმბი გე-
გონებოდათ.

იქსო მაშინვე მიხედა, რა ოინსაც უწყობდნენ, მტრებს დაასწი-
რო და ასეთი კითხვა დასვა:

— ხომ ვერავინ განკურნავს ამ სწეულს? არის თუ არა ნება-
დართული შეაბათობით სწეულის განკურნება?

კითხვა ურიად კადნიერული და დროული იყო. მასზე პასუხის
გაცემა ყველას გაუჭირდებოდა. „კიო“, რომ ეთქვათ, ამით ფარი-
სეველები დაარღვევდნენ მოსეს კანონს, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე
იმიტობდნენ. „არაო“, რომ ეთქვათ, ამით აღაშუოთებდნენ ავად-
მყოფსაც და ხალხსაც, სისახტიერესა და უგულობას ფარისეველებს
არავინ შეუნდობდა. ამიტომ შეკრებილებმა დუმილი ამჯობინეს.

მაშინ იქსო სწეულს მიუახლოვდა, ხელის ერთი უეცარი მოძრა-
ობით მოარჩინა გათავებული კაცი. ლიპი გაქრა, კაცი კაცს დაემ-
სგავსა. სახარებაში არაა ნათქვამი, სად გაქრა ამდენა წყალი.

განკურნებულს სხვა რა საქმე ჰქონდა, გაიქცა და ქვეყანას გაა-
გებინა, მუცელი შემითხელდაო. პიდა, კველა კოტლი, ხეი-
მარი, ბრმები და სხვა დავრდომილები ქალაქის ღარიბ-ღატაკთა
ლაშერის თანხლებით ამ ხალხს მიაწყდა. იმდენი ხალხი მოგროვ-
და, რომ სადილის გაგრძელებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მაშინ იე-
სომ მასპინძელს ჩასჩიურჩულა:

— კარგს იშამდით, თუ მთელს ამ ხალხს სუფრასთან მიიწვევ-
დით და მშიერ-მწყურვალთ გააძლებდით.

— რაო? იმედი მაქვს, ხუმრობთ! მთელს ამ ბრბოს? რა საზო-
გადოება შეიყრიდა თავს!

მაშინვე მოარულმა სიტყვამ ხალხის გასაგონად დაიწყო სი-
ღარიბის ქება და კიდევ მიუთითა სახლის პატრონს, შენიანებისა
და სტუმრების მოპატიერების ნაცვლად ამ ხალხის მოწვევა გი-
კობსო.

სტუმრებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. ხალხი მესიას ტაშის ქუ-
ხილით უკრავდა კვერს. იქსო კი მორიგ საგულისხმო იგავს ამ-
ბობდა:

— ერთმა კაცმა ნადიმის მოწყობა განისრახა და ყველა წვე-
ულს სადარბაზო ბარათი გაუგრძავნა. დანიშნულ საათს რომ არა-
400



ვინ მოვიდა, მსახურნი გამზავნა და ყველას სათითაოდ შეუთვალია სუფრა გამლილია და გელოდებით. მაგრამ ყველამ მობუდიმური მართვა ბა დაიწყო, თითქოს დათემული პქონდათ. ერთმა თქვა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ თავაზიან პატიჟზე უარი უნდა ვთქვა, მაგრამ მამული ვიყიდე და სწორედ დღეს უნდა წავიდე სანახავადო“. მეორემ შემოიტვალია: „არანაირად არ შემიძლია მოსვლა: სიდედრი გამიხდა ავად, მე კი ის ქალი ისე მიყვარს, რომ წუთით არ შემიძლია მის სარეცელს მოვცილდეო“. შესამემ თქვა: „მეექვე დღეა, რაც ცოლი მომიყვანია, ასე რომ, თავადაც მოგეხსენებათ, ჯერ-ჯერობით არ მცირია“. მეოთხემ დააბარა: „შემიბრალეთ! ამასწინათ ატმის კურკა გადამცდა და ვიდრე ჰქოლაფერი გაივლის, სანადიმო გუნებაზე არა ვარო“. მესუთემ თქვა: „მაპატიეთ, მაგრამ დღეს ჩემს მოახლე ქალს დაბადების დღე აქვს, კარგი თაიგული მაქვს შეკვეთილი და პირადად უნდა შივართვა“. ყველა სხვაც ასე იმართლებდა თაქს.

— აჲ, მაშ ასე მექუევიან? — შეპყვირა სახლის პატრონმა და მსახურებს მიუბრუნდა: — რაკი წვერლები არ მობრძანდნენ, ახლა-ვ გადით „ყურეთა ქალაქისათა“, ყოველ მოედაზე და გასავარე-დინზე დადექით, იყვირეთ, მოუხმეთ, მოვიდეს ყოველი კოჭლი, ბრმა, ხეიბარი, დატაკი და მათხოვარი, „რათა აღიცხოს სახლი ჩე-მი“... ვინც მოვა, სულერთია, მოიწვიეთ და სუფრა არ გამიუქმო-თო! (ლუკა, 14, 16—27).

ეს იგავი, ჩვენს მორის რომ ითქვას, აქ არაფერი მოსატანი იყო, რადგან დღვევანდელ სტუმრებს მასპინძელი არ გაუწიბილე-ბიათ, მაგრამ მოარულ სიტყვას რა იგავიც მოაგონდებოდა, იმას ამბობდა, თუნდაც ამ შემთხვევისათვის მისაღაება ძნელი ყოფი-ლიყო*.

სანიმუშოდ დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე საგულისხმო რჩე-ვა-დარიგებას, მრავალრიცხოვანი ხალხის წინაშე იქსოს პირით წარმოთქმულს:

* ტაქსილი, საჩუქრანიდ, აქაც უველაფურს, პირაპრეც, და აებრა-ლოებს. სხვა რომ არა იყოს რა, სახარების ამ იყვანზე დიდში გოეთები თა-ვისი ერთ-ერთი საცეკვებო ლექსი იყო, „წვერლება“ (იბ. ქართულად, გოეთეს რჩეული ლიტიკა, „მერანი“, 1972 წ.). იყვანის პირი სახარებაშიც ასწილია: ვინც ჩემთან არ მოვა, აკერ ხელ-ერაფერს მოწაუკ უოფად ჩემდაო.

„რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს ზამა თვისი და ცოლი, და შვილი, და ძმანი, და დანი... ვერ ხელ-ეწილების მოწა- ცე ყოფად ჩემდა“ (ლუკა, 14,26).

ამის შემდეგ ამტკიცონ კიდევ პირფერმა მსახურებმა, რომ მა- თი რელიგია ოჯახის სიყვარულს ქადაგებს! პასუხად ყოველთვის შეიძლება შევაჩეროთ მათივე სახარების ახეთი ტექსტები, სხვაგან ნათქვამ საონო სიტყვას რომ ეწინააღმდეგებიან.

იქსოს თანამედროვეები უკიდინებდნენ, მარტო ნაძირალებთან გაქვსო შეგობრული ურთიერთობა. აი, რას გვეცნება ლუკა ამაზე:

„და იყვნეს ყოველნი მეზვერენი და ცოდვილინი მახლობელად მისა და ისმენდეს მისა. და დრტვინვიდეს ფარისეველნი და მწიგ- ნობარნი და იტყოდეს, ვითარმედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სვამს.“

და ეტყოდა იგავსა ამას და პრევა:

ვის თქვენგანსა კაცსა ედგას /ასი ცხოვარი და წარწყმდეს ერ- თი მათგანი, არა-მე დაუტევნესა თოხმოც და ათცრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისოვის, ვიდრემდე მოვოს იგი? (რომელი თქვენგანი არ მიატოვებს თოხმოცდაცხრაშეტ ცხვარს და არ ჭავა დაკარგული ზეასის საძენელადო?).

და პოვოს რა იგი, დაისვას მხართა ზედა თვისთა სიხარულით? და მო-რაი-ვიდეს იგი სახიდ, მოუწოდოს შევობართა და მოძმე- თა პრევის მათ: ჩემთანა გიხაროდენ, რამეთუ გპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული**.

ეს იგავი, მოწმინდანო ფარისეველთ რომ გულის ამაჩუყებელ ცრემლებს აღვრევინებს ბოლმე, საღი აზრის რეალთახედვით უფ- რო ბოროტ პაროდიას ემსგავსება. ფარისევლები და მწიგნობარნი, რომელნიც გონებრივი განვითარებით ქრისტეს მიმდევართა ინ- ტელექტის ნოლ დონეს** საგრძნობლად აღემატებოდნენ, აღმა- თ სიცილით იხოცებოდნენ, ამ სისულედეს რომ კითხულობდნენ. წარ- მოდენილი მაქს, როგორ უპასუხებდა ქრისტეს რომელიმე მია- რული იუდეველი:

* ამ იგავით იქსო ამართლებს თავის სიახლოეს გშას ამცდარ ცოდ- ვილთა წრეებთან. ფარისეველთა განტბადებაზე, სულ ნაძირალებთან ჲა- რი, მას შეეძლო ეფევა: განა თქვენც ნაძირალები საჩონო?

** პეტრეს, პავლეს და იაკობის ეპისტოლები სულაც არ მოშობდნ შიოს დაბალ ინტელექტუალურ დონეს, მაგრამ სახარება ამაზე დუმს.



— შენი მწყემსი დიდი ხუმარა იქნებოდა! შეა უდაბნოში მიუ-
ტოვებია ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი და ერთი დაგარეული ცხვრის კარავა
საძებნელად წასულა. საინტერესოა, რამდენი სული შეუჭამეს მფლობელობა
ბმა, ვიდრე იმ ერთს დაეცებდა?

მაგრამ იქსოს ასეთი კითხვა და პასუხი არ აინტერესებდა. მისი
აზრი ძალზე გამჭვირვალეა, მან თქვა ის, რისი თქმაც უნდოდა:
ერთი დაბნეული ცოდვილი მირჩევნდა ოთხმოცდაცხრამეტ პატიო-
სანსო.

ამ თქმაზე კიდევ ერთი იგავია ნათქვამი ლუკას სახარების
იმავე მეთხუთმეტე თავში.

— კაცსა ვისმე ესხნეს ორი ქ. უმცროსი შვილი მივიდა მამას-
თან და უთხრა: „მამა, შენ ქისაში ცოტაოდენი დანაზოგი გაქვს
და სიკვდილის შემდეგაც ხომ დამიტოვებ რამეს? პოდა, აი მე უძ-
ღები შვილი ვარ, ქეიფი მიყვარს. ფული ახლავე მჭირდება. სუ-
ლაც არა მსურს, რომ დღესვე მომიკვდე. ეს ჩემგან დიდი უზრდე-
ლობა იქნებოდა. ამიტომ პატიოსნად გეუბნები: ახლავე მომეცი
ის, რის ბოძებასაც ბოლოს აპირებ, მე არ მიყვარს დიდხანს ლო-
დინი. მომეცი ნაწილი სამკეიდრებელისა და ჩემთვის გამიშვი“.

მამამ მაშინვე დაიწყო ანგარიში: აი, ამდენი და ამდენი მაქვს.
შენს ძმას ამდენი და ამდენი ერგება, შენ კი ამდენი. აი შენი წი-
ლი. გისურვებ დიდხანს და დიდხანს გეყოს.

მამა კი არა, ოქრო ყოფილა, ხომ მართალია?

უმცროსმა ძმამ მაშინვე მობოჭა თავისი წილი და შორეულ
ქვეყნებში სამოგზაუროდ წავიდა, რათა იქ მეძავებთან გაეფლან-
გა მოელი თავისი ავლადიდება: „და წარვიდა შორსა სოფელსა და
მენ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ცხოვნდებოდა არაწმინ-
დად“. მალე ჯიბე სრულიად დაუცარიელდა, უღუქმაპუროდ დარ-
ჩა. მდგომარეობას ისიც აძნელებდა, რომ იმ ქვეყანაში დიდი შიშ-
შილობა იყო. აღარ იცოდა, რა ექნა. სადაც არ უნდა მისულიყო,
ფალს არავინ აძლევდა, არავინ ენდობოდა. როცა ჯერ კიდევ პერნ-
და ფული, მკერავს არ გადაუხადა, სამაგიეროდ მკერავმა სამოსე-
ლი დაუკავა და ასე ცარიელ-ტარიელი, მშიერ-მწყურვალი და შიშ-
შილ-ტიტველი დარჩა წუთისოფელში.

მისაყურადღისაურადა და სხვას რომ ვერაფერს განდა, „მივი-
და და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ხოლო მან წა-

რავლინა იგი ველად თვისად ქოვნად ღორთა". მოკლედ, მეტორები და დაიწყო, მაგრამ არც ღორების პატრონი გამოდგა უშენესობის მოჯამაგირეს მხოლოდ იმდენს აჭმევდა, რომ შინშილით არ ჰომენუ დარიყო. საცოდავი ძე-შეცოთომილი იმ ზომამდე მივიდა, რომ ღორებისა შერდა. ღორების სალაფავით მაინც რომ ამოევსო მუცელი, ბედს არ დაემდერებოდა, მაგრამ არც ღორები ანებებდნენ თავიანთ ულუფას.

დიდხანს იყო ნაღვლიან ფიქრებში და ბოლოს თქვა; „მამაჩე-მის უკანასკნელ მეჯინიბეს ჩემსე უკეთესი ბედი აქვს, მე კი ამ უცხო მხარეში შიმშილით სული მძვრება, როგორც რეგვენი! რა უშმაკი მინდა, მამიკოსთან დავბრუნდები, რომელიმე მსახურის ადგილს ხომ მაინც მომცემაო!"

დაპერა ფეხი და წავიდა. შორი გზა პეონდა გასავლელი. ძლიერ მიღასლახდა სახლამდე და დავარდა კიდევ.

მაინც ბედმა გაუდიმა! როცა ძირს დავარდა, სწორედ აივანზე გადმომდგარმა მამამისმა დაინახა, შეეცოდა და თავისთვის თქვა: „ეს რა გლოხაკია ძირს, ერთიანად ჩამოძონძილმა რომ ძლიერ მოაღწია ჩემს სახლამდე? ვინ უნდა იყოს? ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი დუხშირი მაწანწალა!... პიო, ღმერთო, ეს ხომ ჩემი უმცროსი შეიღია! აბა რაღა თქმა უნდა, ის არის, მაშ ვინა?

ამ სიტყვებზე მამა პირდაპირ აივნიდან გადაეშვა (აივანი პირველ სართულზე იყო), დაკარგულ შვილს მივარდა, ხელი გადაუსვა, ააყენა⁹. „მირბიოდა და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამზორს-უყოფდა" (ლუკა, 15, 20).

— დამიბრუნდა! რა ბედნიერი ვარ, შვილო, რომ ისევ გიხილე! უშენოდ ისე მომწყინდა, ისე მომენატრე. რომ კინაღამ მოვაკედი... ჩანს, მთელი შენი ქონება ქარს გაატანე... პო, პო, ნუ გადაუიცავ, მეც ვხედავ... მაგრამ ნუღარ ვიღაპარაკებთ შენს ოინებზე... მთავარია, რომ ცოცხალი ხარ... მომეხვიე, მაკოცე... ო, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!

* რემბრანდტის სახელვანთქმულ ტილოზე, ერმიტაჟის შეკვენძაზე, ჩომლის სახელია „უძლები შვილი" ან უფრო სწორად „ძე-შეცოთომილი", მაგა გამოუვანილია ბრძან, კეთილ, თითქმის უკვი დავრდომილ შოთულა, ჩომლის ხელის სითბოს შაუტერბელი გრძნობს, დაწიქილი შვილის მხარზე რომ დაუსვენდია ზრუნვით. იქვე დგას შეორე შვილი, არც თუ კშიული, და ცნობისმოუვარე მეზობლები...

უმცროსი შვილი არ ელოდა ასეთ მიღებას. მამამისი ბუნებით
კუთილი კაცი იყო, მაგრამ ამ სომამდე?

— მამა! — ეკროდა კენესით. — „ვლოდე ცად მიმარტიშვილითავა
წინაშე შენსა, და არღარა ლირს ვარ წოდებად ძედ შეწდა“. მე
უკანასკნელი რეგვენი, არამსადა, უძღვი და უმაღური ვაჩ...

ასე ამბობდა და თან მცრდში მუშტებს იშენდა.

— გეყოფა, შვილო, გეყოფა! ასე რომ იბრაგუნო მუცელში,
კუჭს დაიზიანებ... მე ხომ გითხარი, ყველაფერი დავიწყებას მივ-
ცეთ-მეთქი, და რისთვის ისახიჩრებ თავს ტყუილად!

შემდეგ სამაგალითო, მამამ მოსამსახურები იხმო და უთხრა:

— ხდავთ ამ ბოგანოს? ეს ჩემი შვილია, ხწორებ ის, რომე-
ლიც დაიკარგა და შინ დამიბრუნდა. წადით და საუკეთესო პერან-
გი მოიტანეთ ჩემი განჯინიდან, მე მინდა ის ჩემმა უმცროსმა შვი-
ლმა ჩაიცვას. გაუკეთეთ თითზე ჩემი საუკეთესო ბეჭვდი. არც სან-
დლები დაივიწყოთ, თირემ ფეხშიმველა მოვიდა. შემდეგ გაშალეთ
სუფრა, აავსეთ რჩეული საჭმელებით, რაც ღმერთს მოუცია. ქვეყა-
ნა ვაწვიოთ, თასები ავწიოთ! ბოსელში ნასექი მოზევრი მიბია —
ახლავე დაკალით. ვჭამოთ და ვილზინოთ. მემუსიკებიც მოიყვა-
ნეთ! თუ ქეიფია, ქეიფი იყოს! ქედი ჰერსა ვკრათ!

მართლაც, სანაქებო ნადიმი გამართეს. მამას შეტისმეტი მოუ-
ვიდა. ისე გააბრუა სიხარულმა, რომ მეორე შვილი დაავიწყდა,
უფროსი, შრომისმოყვარე შვილი, ყანაში რომ მუშაობდა. დაუცა-
დათ მაინც ზრდილობისათვის!

როცა უფროსი შვილი შინ ბრუნდებოდა, „და მიეახლა სახლსა
მას, ესმოდა ხმა სიხარულისა და განცხრომისა, და მოუწოდა ერთსა
მონათაგანსა და პეითხვიდა, ვითარმედ რაი არს ესე? ხოლო მან
პრქეა მას, რამეთე: ძმაი შენი მოსრულ არს და მამამან შემმან დაკ-
ლა ზვარაკი იგი ჭამებული (ნასუქი მოზევრი)“, სიხარულით აღარ
არისო.

— აი, რა ყოფილა! ყოჩაღ, მაგის კაცობას! წარმოიღვინე, გა-
ცის გამოგზავნაც არ გახსენებია ჩემთან ყანაში! შერე სულ ამ
გუდაფშეტა ანატოლისათვის, რომელმაც თავისი სამემკვიდრო ისე
შეჭამა, კანონიერ უფლებებში შესველასაც არ დაელოდა!

უფროსი ძმის რისხვა უსაფუძვლო არ ყოფილა. რაკი მისი მი-
წვევაც არ ინებეს, საერთოდ არც ისურვა სანადიმო დარბაზში გა-

შოჩენა. ისევ მამას მოუხდა ხეეწნა. „და მან მიუგო და პრექა მა-
სა თვისსა: აპა ესერა ესოდენი წელი გმონენ შენ თა პრასადა
შცნებასა შენსა გარდავხედ, და მე არასადა მომეც თიკანი ერთი უ-
და ოდეს ძე ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჭამა საცხოვრებელი
შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას ზვარაკი იგი ჭამებული“.

— მომისმინე, ერნესტ, — მიუგო მამამ. — ნუ ხარ ასეთი უხია-
კი. „შვილო, შენ შარადის ჩემ თანა ხარ და ყოველი ჩემი შენი
არს, ხოლო აწ მხიარულება და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმაი
ესე შენი მომკვდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედილ იყო და
იპოვა“.

— მამაჩემო, შენ არ გესმის, რა უსამართლო ხარ ჩემს წინა-
შე! რისთვის ვიღინო ახლა უცხო ხალხთან?

— დამშვიდდი, ერნესტ, ნუ გშურს შენი უმცროსი ძმისა, რო-
მელიც ასე მიყვარს. მე მოვკვდები და მთელი ჩემი ქონება შენ
დაგრიება... ახლა კი წავიდეთ და ჩვენი ანატოლის მშვიდობით
დაბრუნება ვიზეიმოთ.

სამწუხაროდ, იგავში აღარაა ნათქვამი, მოახერხა თუ ვერა მა-
მაზ ასეთი დამაჯერებელი საბუთებით უფროსი შვილის დაშოშმინე-
ბა, თუმცა მთავარი ეს როდია. მთავარი ისაა, რომ ცესო ნამდვი-
ლად ქადაგებდა მართლმსაჯულებისა და საონოების საინტერესო
იდეებს, მეტი რომ არა ვთქვათ.

განა კიდევ საჭიროა მაგალითების დამოწმება იმისათვის, რომ
დავამტკიცოთ, რაოდენ უსაგნო და აბსურდულია ასეთი იდეალე-
ბის ქადაგება, როცა ისინი არ სრულდება და სინამდვილები საპი-
რისპირო რამ ხდება? თანაც ყველა იგავი საონოებას როდი ქა-
დაგებს. საქმარისია გავიხსენოთ ერთი სხვა იგავი, რომელიც უპა-
ტიოსნებას კიდევ უფრო ხელაღებით აღიდებს, ვიდრე ძე-შეცო-
მილის ეს იგავი, რაც ერთის მხრივ დიდულოვნობისა და მშობ-
ლოური სიყვარულის, მეორე მხრივ კი უსაქმურობის განლიდებაა.

ერთი მდიდარი კაცი იყო და მოურავი ჰყავდა. მაგრამ ეს მოუ-
რავი უსირცხვილოდ ქურდავდა, ატყუებდა და ძარცვავდა, თავის
ცოდვებს ბატონის სალაროდან აღებული ფულით ისტუმრებდა.

ბოლოს ამ კაცმა გაიგო მოურავის ვერაგობის აზძავი.

მოიწვია და უთხრა:

— რა მესმის შენზე? ხელგაშლილად ცხოვრობ და რაც არ

გერგება, იმას ირგებ! ასჯერ მეტს ხარჯავ, ვიდრე იღებ. ვატყობ, ლანარჩენს ჩემი ჯიბიდან იღებ, ანუ სალაროდან. ახლავე წილმოწარავა მიდგინე ანგარიში და თუ სწორი არ გამოგივა, ჩემი რისხვად დავაკითხოვა

ტყდება!

მოურავი ცედ გზებაზე წავიდა.

„რა ვქნა? — ეკითხებოდა თავის თავს. — წასულია ჩემი საქე! კიდევ ბედი, თუ ბატონი მხოლოდ უეხსა მკრავს და გამავდებს! ანგარიშის წარდგენა შეუძლებელია! ჯობს ამ მცირე ხანში, რაც მომუა, მეგობრებს გავიჩენ, ვიდრე ჯერ კიდევ მოურავად ჰითვლები. როცა უადგილოდ დავრჩები, მიმიღებენ და მაჭმევენ პურსაო“.

ამ განზრახვით ბატონის ყველა მოვალე მოიხმო.

— რამდენი გმართებს ჩენი მბრძანებლისა? — პეითხა პირველს.

— ასი საწყაო (ასი მარი) ზეთი. თვის ბოლოსთვის დავპირდი.

— ძალიან კარგი! ჩენის უფალს ანგარიშისა არა გაეგება რა. შენ ას საწყაო ზეთს დაპირდი. აი შენი ხელწერილი. მე მას ვხევ-დაწერე ახლავე; მმართებს ორმოცდაათი საწყაო-თქო!

— ათასი მაღლობა! — ამბობს გახარებული მოვალე. — შენ-თან საქმის დაჭერა პირდაპირ სასიამოვნოა.

შემდეგ მოურავი მეორე მოვალეს მიუბრუნდა:

— შენ რამდენი გმართებს?

იმანაც უპასუხა:

— ასი საწყაო (ასი სათველი) ხორბალი.

— ძალიან კარგი! დაჯექი მაგიდასთან. შენის ხელწერილსაც ვხევ-დაწერე: ოთხმოცი! იცი, მე ეს ადგილი უნდა დავტოვო და წასვლის წინ ამით მაინც მინდა გასიამოვნოთ, გამიგეთ?

— შენ საქმიანი კაცი ხარ, უკეთესს ვის მოიყვანს? მთელს სიცოცხლემი დავალებული ვიქნები.

ასე ჩაქყა ბოლომდე. გაიძვერა მოურავმა თავისი ბატონის ხარჯე მეგობრები გაიჩინა.

როგორ ფიქრობთ, განა იესო კიცხავს ამ თაღლითს? ამაო იმედია. პირიქით! სახარება ამტკიცებს, განკითხვის დღეს უზენაესი გაამართლებს ამ თაღლითს, რომელიც სწორად მოიქცა, რადგან

ძენი ამ დროისანი უფრო გონიერნი არიან ნათლის შვილთა ნათე-
სავთა შორის („და აქ უფალმან იგი სიცრუვისა, რომელზე ჩამა-
ნიერ ყო. ხოლო ძენი ამის სოფლისანი უკონიერეს არიან უფრო უფრო კა-
ძეთა ნათლისათა ნათესავთა თვისთა შორის“, ლუკა, 16, 8)*.

უფალმა თაღლითი იმისათვის შეაქო, რომ დანარჩენებზე უფრო
გაქნილი გამოდგა!

ქრისტე სიტყვასიტყვით ასე აგვირვეინებს თავის თვალსაზ-
რისს: „და მე გეტყვი თქვენ: იხსენით თავისა თქვენისა მეცობარ-
ნი მამონაისი მიმართ სიცრუვისა, რაითა, რაეს მოაკლდეთ თქვენ
ამიერ სოფლით, შეგიწყნარხენ თქვენ საუკუნეთა მათ საყოფელთა“
(ლუკა, 16, 9).

აი ქრისტინული მორალი პატიოსნებასა და ერთგულებაზე! აი,
რატომაა, რომ „თაღლითსა“ და ღვთისმსახურს ერთი გაგება მი-
უცათ! იქურდეთ, იპარეთ, რამდენიც გვნებოთ და სადაც გვნებოთ,
ოღონდ ნაქურდალისა და ნაპარავის ნაწილი მოძღვარს მიართვით.
მთავარია მიცემა! მაშინ ყველა ცოდვა მოგეტევებათ და ციური სა-
სულევლის კარები გაიხსნებიან თქვენს წინაშე.

მაგრამ ვიდრე იქ მოგვიწევს გამგზავრება, ჩენ განვაგრძობთ
სახარების უსტი შინაარსის გადმოცემასა და გარჩევას. წმინდა
ლუკას პატარა წიგნი ამოუწერავი საგანძურია იმნაირი იგავებისა
და შეცნებათა, რომელთა ნაწილსაც უკვე გავეცანით.

მთავარი ნიშანი ლუკას სახარებისა, ესაა სიღარიბის დიდება.
ესაა მისი მთავარი შოთაცონება. მაგრამ გავრცელოთ ამ საქმეში. სი-
ღარიბე აქ ყოველთვის სიზარმაცისა და უსაქმურობის შედეგია. სა-
ინტერესი ისაა, რომ მცონარის სიღარიბე და უქონლობა ყოველთვის
რატომდაც უპირისპირდება ქონებას, შეძლებას, რაც ყველა შემთხვე-
ვაში ნაელად ითვლება და დაგმობილია. ასე უნდა უყურებდეს
სიმდიდრეს ერთგული სამწყსო**. რაკი ქონება მანერა, მოურავმა უნ-

* ქრისტის და პატიოს ოთხხავებშია „ნათესავსა შორის შაოსა“. ანა-
ლიგიური აზრია მათეს სახარებაში (ჩ. 20): „ხოლო თქვენ იუნჯებდით სა-
უნექთა თქვენთა ცათა შინა... რამეთუ საღაცა არს სალაცა თქვენი, მუნცა
იუნენ გული თქვენი“.

** ქონება თავისთვალი, თუ პატიოსანი შრომითა შეძენილი, ნაყლი კი
არა, ღიარსებაა. შისი ხელალებით გმობა-ძაგება ივივეა, რომ იმავე სამწყ-
სოს გინა პრეარს უქადაგო: მობიბინე ბალახს უნაყოფო ხრობით სქობით.

და გაქურდოს თავისი „უფალი“ და თუ ამას მოახერხებს, ჰების ლირა-
სი იქნება.

ამიტომ არავის ვურჩევ საქმის მწარმოებლად ქრისტიანის აუ-
განას, რადგან ხელესი ქრისტიანული ბუდალტერიის ისეთ პრინცი-
პებს უქადაგებს, რომ ძალაუნებურად ხელს გაისვრის.

ჩლუნგი მდიდრის მაგალითია მორიგი იგავის გმირი ლაშარე
ამ ლაშარეს საერთო არაფერი აქვს მარიამ მაგდალინელის ძმას-
თან. ეს იყო წყალწალებული უსაქმური, ხელს რომ არ გაანძრევდა,
თუნდაც წუმშები ყოფილიყო ჩაფლული და ბუშტი დასეოდა.
იმის ნაცვლად, რომ საქმე გამოინახა, დაყიალობდა და მათხოვ-
რობდა. უბრალო და შემოსავლიანი ხელობა იყო, იოლად გა-
დიოდა.

ერთი მდიდრის მსახურებმა ამ გლახაკ-პარაზიტს პურის ნამ-
ცეციც კი არ მისდეს მათი სატონი სულ პორფირით იყო მოსილი,
ყოველდღე ვაჭრობდა და იჯებდა.

ერთხელ ეს ბატონები და მისი მსახურები, როგორც იტყვიან,
მარილშე წავიდნენ და აღარ დაბრუნებულან. ჭრებით დაფარუ-
ლი მცონარა ლაშარე ანგელოზებმა აბრაამის წიაღში წაიყვანეს,
ხოლო მდიდარსა და მის მსახურებს ჯოჯოხეთში უკრეს თავი. რო-
ცა ეს მდიდარი ჯოჯოხეთურ ღადარში იხრავებოდა, საშარელი
ცეცხლის ენებს შორის თვალი მოპერა ლაშარეს, აბრაამის წიაღის
ერთ-ერთ კუთხეში რომ განისვენებდა. მაშინ შესძახა:

— მამაო აბრაამ, შემიბრალე და გამომიგზავნე ლაშარე,
რათა წყალში თითო ჩაყოს და ენის წვერი დამინამოს. რადგან ამ
ღადარში ვირუსები და ვიტანჯებით.

აბრაამმა უპასუხა:

— ყველაფერს თავისი რიგი აქვს, ადამიანო! ვიდრე ცოცხლობ-
დი, დღე და ღამე ქეიფობდი, ლაშარე კი, პირიტით, ღარიბი იყო
იმიტივით. ახლა ყველაფერი შეიცვალა: ლაშარე ქეიფობს, შენ კი
გშია და გწყურია.

მდიდარმა თქვა:

— მაშინ, რაკი სიცოცხლეში სიმდიდრის მოპოვება სიკვდი-
ლის შემდეგ აღამიანს უბედურებად ექცევა, გაგზავნე ლაშარე, რომ
ჩემი ნათესავები მაინც გააფრთხილოს. ხეთი ძმა მყავს, ხეთივე
გაჭრობს და ბედს არ უჩივიან. აუხსნას, რაც მოელით, ქონება ქარს

გაატანონ და ისრუწონ იმისათვის, რომ ამ სატანჯველში არ მოუზღდეთ მოსელა.

აბრაამმა გადაიხარხარა, ლაზარემ ბანი მისცა. მაგ ირა პატარი უნდა გაეცათ რეგვენი მდიდრისათვის, რომელიც თვითონ ცეცხლში იწვოდა და თავისი ძმების ბედზე დარდობდა?

— მათ უკვე პყავთ მოსე და წინასწარმეტყველი. გაუკონონ და არაუერი მოუვათ! რისთვის უნდა შევაწუხო ლაშარე?

მდიდარი არ ეშვებოდა:

— არა, მამაო აბრაამ! თუ რომელიმე მიცვალებული ჩემი ძმების ნახვას იყიდებს, ეს კეთილი საქმე იქნება. ჩემი ძმები, რასა-კვირველია, მიცვალებულს დაუკერებენ, ქონებას გაფლანგავენ, ცო-დგას მოინანიერენ და საიქირში მაინც ბედნიერები იქნებიან.

აბრაამმა მხრები აიჩინა.

— თუ შენი ძმები მოსეს და წინასწარმეტყველთ არ გაუკონებენ, მაშინ მიცვალებულიც ტუილად შეწუხდება („უკეთ მოსესი და წინასწარმეტყველთა არა ისმინონ, არცალა მკვდრეთით თუ ვინმე აღდგეს, პრწმენეს მათ“).

ამ სიტყვებზე აბრაამს დააცემინა, ლაშარემ კი ენა გამოუყო მდიდარს, რომელმაც მისთვის პურის ნატეხი არ გაიმეტა და ამი-ტომ ჯოჯოხეთის სახმილში იდაგებოდა, იწვოდა და იხრუქებოდა შწვადივით, გამკითხავი კი არავინ იყო, და თვით კეთილი „მა-მაო აბრაპამიც“ კი დასცინოდა.

კარგად კვლება ის, ვინც დროზე კვლება

იქნე მურმე, განწინებული გონიერასა თე-
სა, მოვიდა სამარტი. იყო ქვამი ერთი და
ლოდი ერთი და იღვა მას ზედა. და პრეტა
მათ იქნე: აღიღეთ ღოდი იგი. პრეტა მას
მართა, და: მან მის შევლისამან: უფალო,
ყროდის, რამეთუ მცირხე დღე არს. პრეტა
მას იქნო: არა გრძევა შენ: უკუთე გრძელება,
იხილო დოდებაი ღმრთისაი?

და ვითარუ აღიღებ ღოდი იგი, და იქნე
აღიშილნა თვალი თვისინი ზეუად და იქვა:
მამათ, გმა: დღლობ შენ, რამეთუ ისმინდ ჩემი.
და მე უწყოლე, რამეთუ უკულისა ფრისა ის-
მინდ ჩემი. და მე უწყოლე, რამეთუ ყოველ-
სა ფრისა ისმინდ ჩემი, არამედ ერისა ამის-
თვის, რომელი განტერ დგას, უყოფ, რათა
პრეტენჯებ, რამეთუ შენ მომავლინდ შე.

ესე ვითარ იქვა, ხმითა მიღლითა ღაღდ-
ყო: ლაზარე, აღდევ და გამოგვალე!*

და გამოვიდა მკვდარი იგი, კრული ფრი-
ხით, ხელით რეზათა, და პირი მისი დაპ-
ევდ იყო სულითა. პრეტა მათ იქნე: გან-
მხსერით ესე და აცალეთ წარსულად.

და მისავალნი ჟურიათა მასდანი, რომელ-
ნა მიხსედ იყვნებ მარიამისა და მართასა,
ვითარუ იხილებ, რომელ იგი ქმნა, პრეტენჯებ
მისი.

ილმე, 11, 38-45

ე დამავიწყდა მეთქვა, რომ ბეთანია
სულ ახლოს იყო იერუსალიმთან.

იქსოს არ უნდოდა ბოროტად ესარგებ-
ლა ლაზარე № 1-ის სტემართმიოყვარეო-
ბით, არც მარიამისა და მართას მეტობრო-

* ასეა პალიშის ოთხთავში. ხოლო ქრისტისა და პარსლის ოთხთავებში, რომელიც ეცართ გვიანდელებია (936 და 973, პალიშისა კი — 897 წლის), ჩვეულებისაშებრ, მცირე ვანისხვებაა: „ლაზარე, გამოვიდ გარე!“

ბით და ამ ოჯაბთან მაინც ამყარებდა კავშირს. ახლაც სოფლიდან სოფელში რომ დაეხეტებოდა და ბრძნულ ანექდოტებს ავტოლეიტები ერთხელ დილით შიკრიკი ეახლა, ჩვეულებრივი ბარათი მოუტანა ასე ეწერა:

„უფალ იქსო ქრისტეს. უფალო, ვინც შენ გიყვარს, სწეულია. მართა და მარიამი“.

იქსომ ბარათი დაკეცა და შიკრიკს უთხრა: დააშვეიდე, მორნებაო!

„ვითარცა ესმა იქსუს, თქვა: იგი სწეულებაი არა არს სასიკვდინე, არამედ დიდებისათვის ღმრთისაი, რათა იდიდოს ძე ღმრთისა მის გამო. და უყვარდა იქსუს მარიამი და მართა, დაი მისი, და ლაშარე“.

შიკრიკმა იქსოს ბატქნებს მიაშურა, ამ სასიამოვნო ცნობით აღტეურვილმა.

მართალია, მწყემსმა ანუგეშა, მაგრამ მართა და მარიამი მაინც შეწეხებული იყვნენ, რადგან ლაშარე ისე მძიმედ სუნთქავდა, გამობრუნების პირი არ უჩანდა. ქალებს გული საგულეს არა ჰქონდათ, დარწმუნებული იყვნენ, რომ იქსო ამ ამბავს ცივად შეპვდა. ნუთუ მათი ლამაზი მეგობარი ასეთია? ჩანს, მათი უპედერება გულთან არ მიუტანია. იქნებ დაივიწყა მათი ოჯახი?

ო, სულაც არა! იქსოს ყველაფერიც შესანიშნავად ესმოდა და იცოდა კიდეც, როგორ მოქცეულიყო, როცა საქმე მისი მეგობრის ლაშარეს ჯანმრთელობას ესებოდა. მხოლოდ ესაა, სწეულების მსვლელობაში ჩარევას მოერიდა. რატომ? ამას ახლავე გავიგებთ.

ორი დღე ისე გავიდა, იქსოს ლაშარე არც უხსენებია. ისეთი სახე მიიღო, თითქოს ორი დის წერილი დაავიწყდა კიდეც. მარიამი და მართა სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი. ასეთა მკურნალი გჭავდეს მეგობრად და ისიც შორს იყოს? მესამე დღეს ლაშარემ სული განუტევა. დებმა ძმა განბანეს, ნედლსურნელებას აფრევევენ, სურნელოვან ზეწრებს ახვევენ, სუდარას აფარებენ და შიკრიკებს აგზავნიან, ამა და ამ დღეს ვასაფლავებთო.

რამდენადაც ლაშარეს ებრაელთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, გასვენებაც საკადირისი პატივით მოუწივეს. ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. ლაშარე დაასვენეს ბრწყინვალე გამოქვაბულში, რაც საგვარეულო სამარხის მაგიერობას ეწეოდა. სამი დღის განმავლობაში ემაღლესი ტარიფით დასტიროდნენ. მაგდალინელი



ლიქრობდა, ვისთვის უნდა გამოვისოგო ცრემლებით და ადათით
ნაკარნახევ ტირილს ფართო გასაქანი მისცა.

მართა და მარიამიც შეუერთდნენ მოტირალებს და ცრემლი
ღვარად ჩამოსდიოდათ. მართალია, მათი ცრემლი გულწრფელი
იყო, რადგან ძმას აღმერთებდნენ. განსაკუთრებით მარიამი წერ-
და, ვერაფრით ვერ შერიგებოდა თავისი სათაყვანებელი ძმის ასე
უდროოდ და უცურად გარდაცვალებას.

— ძვირფასო ჩვენთ ლაშარე! — გაპყიოდა. — ერთი კვირის
წინ ჯანშე იყავი, ვითარცა მუხა, დღეს კი უძლები სარ, კუბოს
მდებარე! შეუძლებელია მისი სიკვდილი! მას ხომ ქორწილიც არ
გადაუხდია!

ეს თქვა და სამარხი გაახსნევინა. ლაშარეს სახეზე საუარევლები
მოაცილეს. ნამდვილი მიცვალებულის სახე ჰქონდა. მაშინ სუდარა
ისევ დააფარეს და გამოქვაბული ჩაგმანეს. ოჯახის მეგობრები დარ-
წმუნდნენ, რომ მარიამისა და მართას ძმა ტყუილად არ დაუსაფ-
ლავებიათ.

მაგრამ იმავე წამს, როგორც კი ლაშარემ თვალი დახუჭა, იე-
სომ მამაღმერთისაგან ყველაფერი გაიგო, ან რა დარჩებოდა მის
თვალს შეუმიჩვეველი და გაუგებელი!

უცურად მოწაფეებს უთხრა:

— წავიდეთ ისევ იუდეაში!

— იუდეაში? — შესძახეს მოწაფეებმა. — ალბათ ხემრობ! ამ
ცოტა სნის წინ ჩაქოლვას გიპირებდნენ, ძლიერ გამოეძევი გაშმა-
გებულ მტრებს და ახლა გინდა იქვე დაბრუნდე? დაგავიწყდა? ეშ-
მაგმა დალახვროს, რა სუსტი მებსიერება გაქვს!

— ნუ გეშინიათ, მებსიერება არ მღალატობს, — მოუჭრა იე-
სომ. — ჩვენ იუდეაში მივდივართ. და თუ იერუსალიმში არა, ბე-
თანიაში მაინც.

— რისთვის? მაგდალინელი მოგენატრა? — მეგობრულად
ჭიითხა ერთმა მოციქულმა. აქათ და გამგზავრების მიზეზი გამოვი-
ცანიო.

— არა, მაგდალინელზე ახლა არ ვფიქრობ. მე მივდივარ ჩემს
მეგობარ ლაშარესთან, რომელსაც ჩაეძინა. მინდა გავაღვიძო.

— დახე, ამ ორი დღის წინ არ შეგატყობინეს, ავად არისო? —
გაიხსენა ერთმა. — მაგრამ ახლა თუ დაიძინა, მაშ უკეთ ყოფილა.
ეს კარგი ნიშანია.

მოციქულს მხედველობაში პქონდა ის კეთილისმყოფელი მილი, რაც ზოგი დაავადების დროს გამოჯანსაღების ნიშანია, მაგრამ მაცხოვარი ასეთ მიძინებას არ გულისხმობდა. მან იქვე აუტისარ შედებ მცდარი ხარო.

— როცა ვთქვი, ლაშარემ მიიძინა-მეთქი, ამით მინდოდა მე-თქვა, რომ მან განისვენა.

— ლაშარე მოკვდა?

— ჰო, ჩემო მეგობრებო.

— ახლა რა ვქნათ?

— ახლა მე გახარებული ვარ.

— გახარებული?!?

— დიახ, აღფრთვანებული ვარ, რადგან შემთხვევა მომეცა გა-გაცოცხლო. როცა ამას გავაკეთებ, ყველანი ერთბაშად იწამებთ, რომ მე ყოვლის შემძლე ვარ... მაგრამ კმარა სიტუა! გადავიდეთ საქმეზ!

მოციქულები მაინც ყოყმანობდნენ. მაშინ თომამ, სიმამაცით გა-მორჩეულმა მოწაფემ, სხვებს მაგალითი მისცა:

— წავიდეთ! გავყვეთ ჩვენს მოძღვარს და მასთან ერთად მოკვ-დეთ!

როდა, წმინდა რაზმი გზას გაუდგა. ბეთანიას რომ მიაღწიეს, უკვე მეოთხე დღე იყო, რაც ლაშარე გაასვენეს. მრავალრიცხოვანი მეგობარი დებს ნუგეშსა სცემდა, ვისაც რაგორ შეეძლო.

რაწამსაც იქსოს მოახლოება აცნობეს, მართა პირველი გაექანა მის შესახვედრად. მაგდალინელი კი შინ დარჩა.

მართამ იქსოს უთხრა:

— აა, უფალო, რატომ დაიგვიანე! როცა მე და მართამმა გაც-ნობეთ, ჯერ კიდევ შეიძლებოდა უბედურ ლაშარეს გადარჩენა. ახ-ლა ცოცხალი იქნებოდა.

— ცოცხალი იქნება! მერე რა, თუ მოკვდა? აღდგება!

— ვაი რომ ამ ნუგეშს ვისმენ ეს ოთხი დღეა და ძმა კი დამარ-ხულია! მეორედ მოსვლის გამს ყველა გაცოცხლდება! ყველა იერუ-სალიმელი მეგობარიც ამას მიქადაგებს.

— არა, მართა, მე სხვა რამეს გვებნები. მე თავად აღდგომა და ცხოვრება ვარ. ვინც მე მიწამა, რომც მოკვდეს, აღდგება („ქრქვა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკან ასკნელსა

დღესა. პრეზა მას იქნა: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება, რომელსაც
ვრწმენე მე..."). ნუთუ არ გჯერა ჩემი, მართა?

— როგორ არა, უფალო! „მრწმენა, რამეთე შენ ხარ ქრისტე, ძე
ღმრთისა, სოფლად მოსრული! და ვითარცა ესე თქვა, წარვიდა და
მოუწოდა (მოხადა) მარიამს, დასა თვისსა, იდუმალ და პრეზა მას;
მოძღვარი მოსრულ არს და გიწესს შენ“.

— მარიამ! მარიამ! იქნო მოსულია და გიხმობს!

მაგდალინელი რაღას გაჩერდებოდა! შენი საყვარელი ორ ნაბი-
ჭუაო, ჩერჩულით უთხრეს, რომ სხვას არ გაეკონა, და მაშინვე შე-
სახვედრად გაეშურა.

— საით მიდისო? — კუითხებოდნენ ერთიმეორეს ოჯახის მე-
გობრები.

— ლაზარეს ცხედრის დასატირებლად წავიდაო, — უთხრეს.

მაშინ ქვალდაკვალ მიპყვა მთელი ხალხიც, რომ მასთან ერთად
ეტირათ და დების დარდი შეემსუბუქებინათ.

მაგდალინელი კი, მივიდა იქსოსთან თუ არა, მის ფერხთით
დაქმეთ და მართას საყვედურების განმეორებას მოპყვა:

— აჲ, უფალო, შენ რომ რამდენიმე დღით ადრე ჩამოსულიყავი,
ჩემი ძმა ცოცხალი იქნებოდა!

მეტი არაფერი უთქვამს. მის თვალთაგან ისეთი მდედარე ნაკა-
დული გადმოსქდა, რომ ყოველ სიტყვაზე მეტყველი. სასოწარევე-
თილების ასეთი აფეთქება გადამდები აღმოჩნდა. მაგდალინელის
კვალზე წამოსული ყველა იუდეველი ერთხმად აბდავლდა. თვითონ
იქსოსაც გული აუჩუქდა და ლამის მოტირლებს შეუერთდა. მაგრამ
მტრედის შვილს მაშინვე გაახსენდა, მე ღმერთი ვარ და ვაგლახი
არ შემეფერება, მით უმეტეს რომ ჩემს ხელთაა ძალაუფლება, დღე-
სვე შემიძლია მიცვალებული ფეხზე დავაყენოო.

— სად დაასვენეთ? — იკითხა უცებ.

ყველამ ერთხმად მიუგო:

— ჩვენთან წამოსყდა ინებე, უფალო, და თვითონვე ნახეო.

მაშინ ყოჩალები იყვნენ, ქვა რომ დაკრიბეს და კინაღამ ჩაქო-
ლეს, ახლა კი ცხვრის ფარასავით შექმდაოდნენ, ნახე და უშეელეო!

ხალხი წავიდა, იქნო მიპყვა. ცოტა ფიქრის შემდეგ ასეთ დასკვ-
ნამდე მივიდა: ურიგო არ იქნება ხათრისათვას მეც მათთან ერთად
ეიტიროო. იქსოს თვალებზე რომ ცრემლები შენიშნეს, ხალხში ჩერ-
ჩელი დაიწყო:



— ნახეთ, მაინც როგორ უყვარდა ლაშარე!

თუმცა ზოგიერთებმა იმავე სახარების სიტყვით ეჭვი ჰქომის კუნძული და

— მართლა რომ ასე ჰყვარებოდა, მის სიკვდილსაც არ დაუმ-
გებდა! ხომ აუხილა თვალები ბრმაღშობილს? ან იქნებ უველა მისი
სასწაული მხოლოდ თაღლითობაა?

ისევ ეჭვი და უნდობლობა! მხოლოდ გოგირდის წიგნი... იქსოს
სმენას არ გამოპარვია სკეპტიკოსთა სიტყვა, და ნაბიჯს მოუჩ-
ქარა.

— ვიჩქაროთ! — თქვა. — სადაა აკლდამა?

როგორც ჩავა ვთქვით, ეს იყო გამოქვაბული, ქვებით დაგმანუ-
ლი საგვარეულო სამარხი.

— გადააგორეთ ლოდი! — ბრძანა იქსომ, როცა სამარეს მიუ-
ახლოვდნენ.

აქ მართამ პროტესტი განაცხადა.

— ლოდი გადააგორეთო? — შესძახა. — არა, უფალო! ოთხი
დღეა, რაც მოკვდა, ძალიან მიყვანდა ძმა, მაგრამ ლეშის სუნი მა-
ინც მაძრწუნებს. გვამი ჩავა აშმორებული იქნება!

— ნუ მიშლი, მართა! — გააფრთხილა იქსომ.

ებრაელებმა ქვა გადააგორეს და მტრედის შეილი შესასვლელ-
თან დადგა, ხმამაღლა შესძახა:

— ლაშარე, ლაშარე, ადექი!

გაიგონა თუ არა ბრძანება, მიცვალებული წამოჯდა. უველა იქ
შეუძლია ერთხმად შეძყვირა. ლაშარე შეირხა, გაიწია, გამოიწია და
ბარბაცით წამოლგა. ეს არც ისე იოლი იყო, რადგანაც დებმა ყრმა-
სავით შეახვიეს არტახებში. ბოლოს, როგორც იქნა თავი გაითავი-
სულა და ვერტიკალური მდგრმარეობა დაიჭირა.

ეს იყო ზარდამცემი სანახაობა და უველას თავზარი დაეცა.

— რას გაშეშებულხართ? — შეეტია იქსომ. — დაეხმარეთ
ჩემს მეგობარს ლაშარეს! მოაშორეთ ეს წყეული ძაძები! ასე რა გა-
მოიყვანს ამ სამარხიდან?

როგორც იქნა, გაძედეს და მკედრეთით ამდგარს ხელ-ფეხი გა-
უხსნეს. ლაშარე დედიშობილა დარჩია და ამოდენა ხალხში სახლამ-
დე ასე მისვლა დიახაც საჩითორო იყო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

გონს მოსულ ებრაელთა ბრძო სამარიდან ამდგარს შემოეხვია. მართა მაღლობის თქმას ვერ აუდიოდა. მაგდალინელს თვალები
აღარ ეცრებლებოდა, კვლავ გამხიარულდა და ძმას ეხუმრებოდა.

— წარმოგიდგენია? — ეუბნებოდა ლაშარეს. — ახლა შეი-
ღიშეიღებს უამბობ, სადაც იყავ, სად არა. მართლა, რა ნახე ამ სამშე
დღეში? გეშინოდა? ენა ხომ არ დატოვე დაბლა? გვიამბე ზოგიერთი გადა-
იქსომ უთუოდ ანიშნა ლაშარეს, ხმა არ ამოიღო და ჩემად
იყავიო, რადგან სახარებაში არსად არაა ნათქვამი, რომ ლაშარეს
საიქიოს ამბები მოეთხოო ვინმესათვის. საწყენი კია! ნამდვილად
საწყენია! ლაპარაკის ნაცვლად ტანზე იქვებოდა, რადგან შევ-
ხრწნა ძეონდა დაწყებული და ტანი ექავებოდა. ამიტომ ვერ გაგვან-
დო საიქიოს საიდუმლო!

ხალხი შესცემოდა, როგორ იქავებდა და რა საოცრად დაეჭ-
ყიტა თვალები. შიშს ადგილი დაუთმო უსაზღერო გაოცებამ. ან
რა გასაკვირია? განა ხშირად ვხედავთ ცოცხალ ადამიანს, რომელ-
მაც თთხი დღე კუბოში გაატარა, ვითარცა მიცვალებულშია?

ცეკერით რომ გული იჯერეს, ხალხი დაიშალა. შინ რომ მიღიო-
დნენ, ასე საუბრობდნენ:

— მიშამ ჩამიტანოს, თუ ეს იქსო უპრალო ვინმე იყოს!
და მრავალმა იწამა იმ დღეს ქრისტე.
სხვები ფარისევლებთან გარბოდნენ და იდემალი გამომეტყვე-
ლებით მიმართავდნენ:
— გაიგეთ, რა მოხდა ბეთანიაში?
— აბა რა იყო?
— ხომ იყონბთ იქსო? იქსო ნაშარეველს?
— იმას ვინ არ იყონბს! მერე?
— აი, იმას, მარიამ მაგდალინელი რომ ჰყავს საყვარლად?
— შემდეგ, შემდეგ?

— ჰოდა, იმ მაგდალინელს ჰყავდა, უფრო სწორად ჰყავს ძმა...
არა მე სწორად ვთქვი: ჰყავდა ძმა! ესე იგი, ასედაც და ასედაც:
ჰყავდა ძმა და ჰყავს ძმა...

— რას ბოდავ?
— სახელად ერქვა... არა, სახელად ქვია ლაშარე...
— მერე? იმ ლაშარეს ყველა იცნობს.
— თთხი დღის წინ ის გაცი დაასაფლავეს, ე. ი. დაქრძალეს.
— ეს ამბავი იერუსალიმამდე მივიღა.
— მაგრამ დღეს ახალი ამბავი მივა: ის ლაშარე ბეთანიაში და-
სეირნობს, ხელში ჯოხს ათამაშებს, გითომ არასოდეს არ მომკვ-
დარიყო.



— უცნაური ამბავია. რა უფლებით უარყო მიცვალებულებების
შარე?

— აი, რა უფლებით: იქსო მივიღა გამოქვაბულთან და უთხრა:
„ადექტი, ლაზარე, და გამოდი გარეთ!“.

— ეს თვითონ ნახეთ?

— კი არ ვნახე, ვეხმარებოდი არტახების მოხსნაში, სუდარაც
ჩემი ხელით მოვაცილე.

— მაშ ჯერ მიცვალებულად ასაღებდა თავს და ახლა ცოცხ-
ლად ასაღებს თავს, არა?

— დამთხვევლები ნე გვონივართ. ჩვენ ვხედავდით, რომ მკვდა-
რი ესვენა, გვამს სუნი სდიოდა. ტყეში მოკლელი და დარჩენილი
ნაღირივით ყარდა, აქ შეცდომა შეუძლებელია!

— მაშ მის მახლობლებს აღმართ გულშე შემოეყარათ.

— ო, ეს გაიცლის.

— თვითონ ჩასა ფიქრობთ ასეთ სასწაულშე?

— რა უნდა ვიფიქრო? ესაა სასწაული სასწაულთა შორის!

— მართალია, საქმე ცუდადა, ერმაკმა დალაპეროს!


ფარისევლები ამ სასწაულმა საბოლოოდ ჩიხში მოაქცია. საგო-
ნებელში ჩავარდნილებმა ყველაფერი მღვდელმთავრებს შეატყო-
ბინეს.

ფარისევლებმა და მღვდელმთავრებმა საბჭო შეყარეს და თათ-
ბირი გამართეს ეინმე კაიაფასთან, რომელიც იმ წელს მღვდელმთავ-
რად იყო. საამისო საბაზიც ჰქონდათ..., და შეკრბეს მღდელთ მო-
ძღვართა შათ და ფარისევლთა კრებული და იტყოდეს: რაი-მე
კვით, რამეთუ კაცი ესე მრავალთა სასწაულთა იქმს? უკეთუ და-
უტევოთ იგი ესრეთ, ყოველთა პრწმენებს მისი და მოვიდნენ პრომინი
და მიგვიღონ ჩვენ ადგილიცა ჩვენი და ნათესავიცა... უმჯობეს არს
ჩვენდა, რათა ერთი კაცი მოკვდეს ერისათვის, და არა ყოველი ნა-
თესავი წარწყმდეს“.

ეს ასე მოხდა.

— ძალიან დამაფიქრებელი ვითარება შეიქმნა, — თქვა ერთ-
შა. — თუ ამ კაცს ნებას მივცემთ, რომ სასწაულების მოხდენა გა-
ნაგრძოს შეუფერხებლივ, მთელი ხალხი მას იწამებს და მიემხრო-
ბა. რომალები იფიქრებენ, რომ აჯანყება მშადდება, წამოვლენ,
ომს აგვიტეხნ და იერუსალიმში ქვა ქვაზე არ დარჩება.

— არაფერიც არ გაგევებათ! — შეხძახა კაიაფამ. — თუ



თვითონებე მივიღებთ ზომებს, რომაელები არაფერს დაგვიშავებენ.

— რა ვიღონოთ?

— ეს იქსო უნდა ჩამოვიცილოთ. განა არა სჯობს ხალხისათვის ერთი კაცი გავწიროთ, ვიდრე მოვლი ხალხი დაიღუპოს?

ფარისეველთა და მღვდელმთავართა უმრავლესობამ ეს წინადადება ერთხმად მოიწონა. ამ დღიდან, ამბობს სახარება, ეს შეთქმული ბანდა ყოველნაირად ცდილობდა, რომ ქრისტესთან ანგარიში გაესწორებინა და მიღებული გადაწყვეტილება სისრულეში მოვყანა. მაგრამ იქსო, რომლის ხაათიც ახლოვდებოდა, მაგრამ ჯერ არ ჰდამდგარიყო, იუდეას გაერიდა, თავისი მოწაფების თანხლებით გავიდა უდაბნოს მახლობლად გაშენებულ დუხშირ ქალაქ ეურაიმში და იქ გაჩერდა.

ლაშარეს გასაოცარი გაცოცხლების შესახებ კიდევ რამდენიმე სიტყვა დაგვრჩია ხათქმელი.

ამ სასწაულს ოთხიდან მხოლოდ ერთი ევანგელისტი მოგვითხრობს — იოანე. საყურადღებოა, ხომ მართალია? ეს ხომ პირველი კლასის სასწაულია და დანარჩენებიც უთუოდ მოიხსენიებდნენ მაინც, რომ სცოდნოდათ. ფაქტი კი ასეთია: მათე, ლუკა და მარკოზი სამარესავით დუმან და ვითომ არც კი გაუკონიათ, როგორ აღადგინა მკვდრეთით იქსომ მარიამისა და მართას ძმა.

მეორე მხრივ, იუდეველი ყველაზე ნაკლებად ელოდნენ ლაშარეს აღდგომას, მხოლოდ ამას ამბობდნენ: „ბრძალშობილს რომ თვალი აუხილა, ამისი გადარჩენა კი არ შეეძლო განაო?“. სხვა სიტყვებით რომ ეთქვათ, ებრაელებს არა სჯეროდათ, იქსოს თუ მიცვალებულთა გაცოცხლების უნარიც ექნებოდა. ასეა იოანეს მიხედვით.

მაგრამ რაკი ეს ასეა, მათ უბრალოდ არ სცოდნიათ ის სასწაული, რაც ნაინელი ქვრივის შვილის გაცოცხლებით დამთავრდა, არც კაპერნაუმელი იაირის ასულის გაცოცხლება! მეორე როგორ? მარიამ ჩაგდალინელი ხომ იმ დროს გაეცნო იქსოს ფარისეველ სიმონის სახლში, წვეულებაში! მაშინ საჯაროდ არ გააცოცხლა იქსომ სინაგოგის მსახური ანგელოზის ასული? რაღას დარღობდა ძმის სიკედილს? განა ეჭვი ეპარებოდა, რომ იქსო თავისუფლად გაიმეორებდა ბეთსაიდაში იმას, რაც უკვე მოახდინა ნაინსა და კაპერნაუმში? უცნაურია, ხომ მართალია? მარჯვენამ არ იცის. რას აკეთებს მარცხენა. თუ ლუკა, მარკოზი და მათე ერთი სიტყვითაც არ ახსენებენ

ლაზარეს გაცოცხლებას, იოანემაც, უტყობა, არაფერი იცოდა იმ თრი
სხვა სასწაულის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, არც მის ჩახარებაშია
ნახსენები იმ თრი სასწაულის ამბავი.

ვიდრე კაცი თავისი ღეგენდების შესაქმნელად დაჯდება, ურიგო
არ იქნება, ჯერ თავისი კოლეგების ნაწერი გადაიკითხოს და მოე-
თათბიროს მაინც, რა დაწეროს და რა არა!



დოლჩი. მელოდიარე მარიამი.


ციფრის ახალი მიაღვარი

ზოგი იქნებოთ ვითარ იყო შეთანისა ხახულის
სიმოწისძა... მოუნდა მას დედაკაცი, რომელ-
სა აქენდა შეისახ ნელსაცხებელი დიდი
სახულებისა, და დაახსა თავსა ზედა მის-
სა, ვითარ ინახ-ედგა მას (დაწოლილ იქსოს
დაახსა თავშე ნელსაცხებელი).

და იხილეს რა მოწიავეთა, გამირისხნეს და
ატყოდეს: რაისათვის იყო ჭარუჭმედა ნელ-
საცხებელისა ამას? (რისოფლის დახარჯო!).
ზეაძლებელ იყო განსულიად ეს დიდმალისა
სახულებისა და მიცემად კლაბაკთა.

გულისხმა-ყო იქნებო და პრევა ჩათ: რაისა
შრომასა შეამოზვევთ დედავაცხა მაგას? რა-
მეოუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ, რა-
მეოუ გლახაკინი მარადის იქენ თანა ასიან,
ხოლო მე არა მარადის ოქენ თანა ვარ. რა-
მეოუ დამისრა მავან ნელსაცხებელი ესე ბორ-
ცა ჩემთა, დახალუავად ჩემდა კო".

მათ, 26, 7-12



ირცხვილით იწვოდა იქსო ქრისტე თა-
ვისა რეგვენი თანამემამულების მაგიერ,
თვით უხავეირეველესი სასწაულებითაც
რომ ვერ არწმუნებდა თავის ღეთაებრივ
ჩამომავლობაში. რა შეეჯერებელი ხალხს
იყო მაცხოვარს მოსწყინდა ურწმუნოთა დარწმუნებაც, ბეთანიაში
დიდხანს აღარ დარჩენილა. ამ დროს უკვე დარწმუნებული იყო,

* ქადაგის ვარიანტში: „სამეცნიეროს შემთხვევა ჩემისაოცენა მიუო მე“.

რომ აღარც ერთი ქალაქი არ გამოადგება საიმედო თავშემატყუად ამიტომ ადგილსამყოფელს ხშირად იცვლიდა*.

სამარია გაიარა თუ გალილეა, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ერთ ბატარა სოფელში ათი კეთროვანი განკურნა. ეტყობა, იმ მიდამო-ებში ძლიერ მოძლიერებულა ეს საშინელი სენი. ამ ათიდან მხოლოდ ერთმა მოისახრა მაღლობის თქმა და ეს ერთი სამარცველი აღმოჩნდა. დიდი მცურნალი არც მაღლობას ითხოვდა, არც გასამრჯელოს.

ამ შემთხვევის გამო იქსო თავის მოწაფეებს ეუბნებოდა:

— ნახეთ? გასსოფთ, რა გითხარით ერთხელ? სამარცველი — ყველაზე უფრო სამაგალითო ხალხია-მეთქი მთელს იუდეაში. როცა სამარცველი სადაც გუშაში მშიერ-მწყურვალს, ნაცემსა და გაძარცელ კაცს ნახავს, ჭრილობას შეუსვებს და მახლობელ სახამროში მიიყვანს... აბა ერთი ამ სამარცველს შეხედეთ! კეთრი სჭირდა, განგურნე და მაღლობა მითხრა, დანარჩენშია ცხრამ კი მაღლობის სიტყვაც არ გაიმეტა... დაიცა, ხომ ათი კაცი განიკურნა? საჯაა დანარჩენი ცხრა? აღარ მიღრუნებულან, რომ ღმერთს მაღლობა შესწირონ? მიღი ერთი, ითანე, ნახე, იქნებ დაბრუნდნენ! აკი პირველად ასე შემომბლაოდნენ. „ისეუ მოძღვარ, შეგვიწყალენ ჩენ!“ არ ჩანან? ამ უცხო თესლმა აჯობა უსრდელებს! „და პრეჯა მას: აღდეგ და წარვედ! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ!“ (ლეკა, 17, 11—19).

იმ დროს მახლობლად ისევ ფარისევლები აღმოჩნდნენ და პეითხებს:

— თქვენ ყველგან უფლის სასუფევლს ქადაგებთ. ხომ ვერ აგვისხნით, სად იქნება ეს სასუფევლი, და მალე მოვა?

იქსომ მიუგო:

— უფლის მეუფება შეუმნევლად მოვა. ვერავინ იტყვის: „აგერ, ქე არის“, ან: „ეგერ, იქ ყოფილაო“. ვერც ვერავინ შეამჩნევს. მეტ-საც ვიტყვი: ჟევე ამჟამად ღვთის სასუფევლი თქვენშია („სასუფევლი ღმრთისა თქვენთანა არს“).

* შეიძლება მკითხველმა იუიქროს, იქსო უტაერო გამოსვლებმა, შეა-ჭულაო იუდეველებს. არა, აქ საქმე უფრო რთულია. სათნოების ქადაგებით და სწორულთა განკურნებით ველარ შენიბბავდა ახალ რელიგიას, რა-სეც ქმინდა და რაც ძირისევინად ეწინააღმდეგებოდა, მოსეს სარწმუნოებას, თუმცა მისგან გამომდინარეობდა და ბევრ რამეს უცვლილად იღებდა. იუდაიზმიტან სრული გამიგნდა შეოლი სიმიგდავით მხოლოდ პავლე შო-ლიქულმა მოითხოვა, ქრისტეს ჭარცმის შემდეგ.



იქაური ფარისეველები ბევრად უფრო გულუბრყვილონი და შემცირებული ნებელი იყვნენ. იმის მაგიერ, რომ ქვები ადოთ და „დავკრისადა მოგორც უთუოდ მოიქცეოდნენ იერუსალიმელი ფარისეველი, მსოლოდ მხრები აიჩეჩეს და გაერიდნენ. ასეთი მიქარვის მოსმენა აღა გვინდაო. იქსო კი თავის მოწაფეებთან დარჩია, და მათ ბოლომდე მოუხდათ მაცხოვრის ახალი ქადაგების მოსმენა.

მირონცხებულის ეს სიტყვა იმდენად წარმტაცი უაზრობაა, რომ მყითხველს ვთხოვ ნება მომცეს ბოლომდე დავიშოწმო, ისე რომ ერთი მძიმე არსად შევცვალო:

„პრექა მოწაფეთა მათცა: მოვიდნენ დღენი და ვწადოდის თქვენი შილვად დღე ერთი დღესაგან ძირსა კაცისათა და ვერ იხილოთ.

და თუ გრძეან თქვენ, ვითარმედ: ამა ესერია აქა არს, ვინა თუ მუნ, ნე გრწამნ.

რამეთუ ვითარცა ელვაი რაი გამობრწყინებულ ცათა შინა ჰეჭე ცასა გამობრწყინდის, უგრეცა ძე კაცისა დღესა მას თვისსა.

ხოლო პირველად ჯერ-არს მისა ფრიად ვნებაი და შეერაცხებაი ნათესავისა ამის.

და ვითარცა-იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, უვრე იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა:

ჭამდეს და სვამდეს, იქორწინებდეს და განპერწინებდეს ვიღ-რე დღემდე შესეგლად ნოეს კიდობანსა. და მოიწია წყლით რღვნაი და წარწყმიდნა ყოველნი.

და ეგრეთვე ვითარცა იყო დღეთა ლოთისთა: ჭამდეს და სემი-დეს, იყიდდეს და განპყიდდეს, ნერგსა ასმიდეს და აშენებდეს.

და რომელსა დღესა გამოვიდა ლოთ სოდომით, აწვიმა ზეცით ცეცხლი და წურწუბი* და წარწყმიდნა ყოველნი.

უვრე იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცისა გამოცხადნეს (გამოჩნდეს).

მას დღესა შინა რომელი იყოს ერდოსა ზედა და ჭურჭელი მისი სახლსა შინა, ნე გარდმოვალნ აღებად რაისამე, და რომელი ველსა გარე, ნე უკმოიქცევიან კვალად.

მოიხსენეთ ცოლისა ლოთისი.

რამეთუ რომელსა უნდეს თავისისა თვისისა განრინება, წარიწყმიდოს იგი (ვინც ხსნას ეძებს, ის დაიღუპება), და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი.

* პალაშის ტექსტშია „წურწუბო“ (კოგირდი).

გეტჩვი თქვენ: ორნი იყვნენ ცხედარსა ერთსა (საწოლზე), ურ-
თი იგი წარიტაცოს და ერთი დაეტევოს.

ორნი ფქვილნენ ერთად: ერთი იგი წარიტაცოს და ერთი იგი
დაშოეს.


ორნი იყვნენ ველსა; ერთი იგი წარიტაცოს და ერთი იგი დაპ-
შოეს*.

და მიუგეს და პრევეს: ვიდრე, უფალო? (სადა, უფალო?) ხო-
ლო თავადმან პრევა მათ: სადაცა ხორცი, მუნცა ორბები შეკრბეს“
(ლუკა, 17, 22—37).

ცოტა ამოვისუთქოთ... იქსო განკითხვის დღით ემუქრება მო-
კვდავთ. ერთი დღეც რომ ინატროთ, ვეღარა მნახავთო; ის მოხდე-
ბა, რაც ნოეს დროს მოხდა: ხალხი ჭამდა, სვამდა, ქორწინდებოდა,
განქორწინდებოდა, უეცრად მოვიდა წარღვნა და ყველა დაიღუპაო;
ასევე იყო ლოთის დროს: ხალხი ჭამდა, სვამდა, ყიდულობდნენ,
ყიდდნენ, — მოვიდა ცეცხლისა და გოგირდის წვიმა, ყველაფერი
დაიწვა. ასე იქნება იმ დღესაც, როცა ძე კაცისა, ე. ი. იქსო მოვაო;
ვინც ბანჩეა, ჭურჭლის ასაღებად ძირს ნუ ჩამოვაო. ვინც ყანაშია,
უკან ნუღარ მობრუნდება, თორებ ხომ გახსოვთ ლოთის ცოლის ამ-
ბავი, ჟყან რომ მიიხედა და მარილის სვეტად იქცა? იმ დამეს ერთ
ლოგინში ორნი იქნებიან, ერთს გაიტაცებენ, მეორე დარჩება, ასევე
მოუვა იმ ორს, ვინც ველად იქნება გასული... სადა, უფალო? და
. „სადაც ლეშია, ორბებიც იქ შეიცერებიან“ . პოეტერად ეს ურიგო
არაა, მაგრამ აბა რა მღვდლები არიან, მთელს ამ უალაგო აბდაუბ-
დას რომ თავიანთ ღმერთს მიაწერენ? თანაც ამბობენ, რომ იუდევე-
ლებმა სასიკვდილოდ გასწირეს ღვთის შეილი, რომელსაც თვითონ-
ვი უწოდეს ძე კაცისა! ასეთი ქადაგებისათვის მხოლოდ ციფი წყა-
ლი უნდა გადაესხაო**.

* ეს მეტა (36) ქრუპის, პარხლის და ჰადიშის ოთხთავებში გამო-
ტრებულია.

** ტაქსილი მსუვ უბრალოებს. არაუკრი ისეთი აბდაუბდა და ბუნ-
დუვანი უაზრობა არა თავისთავად აქ მოტანილ ნაწყვეტებში, სადაც იე-
სო განკითხვის დღის საშინელ სამსახურის ადარებს სამყაროს ზიბლიურ
წარღვნასა და სოლომ-გომორის დალექვას. ყოველ შემთხვევაში, აზრი გა-
საგებია და შედარება — მხატვრულად გამართლებული. წმინდა ჭირილ-
ში არის ნამდვილად ბუნდოვანი და უაზრო ადგილები, კრიტიკოსს ჩისა-
ლა იხედაც ბევრი აქვს.



აი, კიდევ ორიოდე ნაწყვეტი იმავე უძირო კასრიდან:

„მსაჯული ვინჩე იყო ქალაქსა შინა, ღმერთისა არა ფიზოდა
და გაცთაგან არა პრცხვენოდა.

და ქვრივი ვინმე იყო მახვე ქალაქსა შინა, და მოვიდის მისა
და ეტყვინ: მისაჯე მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა (მეტოქისაგან
დამიცავიო).

და არა ისმინის მისი, ვიდრე რომლად ფამადმდე. ამისა შემდგო-
მად თქვა გულსა თვისა: და ღათუ ღმრთისა არა მემინის და კაცთა-
გან არა მრცხვენის, ამისთვის, რამეთუ შერომასა მახვედრებს მე
მარადის ქვრივი ესე, უსაჯო მას, რაითა არა მოვიდოდის და მაწყი-
ნებდეს მე (თუმცა არც ღმერთის მემინია, არც გაცისა მრცხვენია,
მაგრამ მოდი დავიცავ ამ ქვრივს, რომ აღარ შაწუხებდესი!).

და პრქვა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუ-
ფისა იტყვის? ხოლო ღმერთმან არა-მე ყოსა შურის-გებაი რჩეულ-
თა მისთა, რომელი ღაღადებენ მისა დღე და ღამე, და სულ-გრძელ
არს მათ ზედა? გეტყვი თქვენ: ყოს შურის-გებაი მათთვის ადრე,
ხოლო მო-რაი-ვიდეს ძე კაცისა, პოოს-მე რაი სარწმუნოვებაი ქვეყა-
ნასა ზედა?“ (ლუკა, 18, 2—8).

ღვთის შეილს ეჭვება: ძე კაცისა რომ ღედამიწაზე მოვა, იპო-
ვის სამართალსა და სარწმუნოვებასაო?

ესეც მეორე მოტივი:

„ორნი კაცნი აღვიდოდეს ტაძარსა მას; ერთი ფარისეველი და
ერთი მეზეერე. ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა:
ღმერთო, გმაღლობ შენ, რამეთუ არა ვარ ვითარ სხვანი კაცნი მტა-
ცებელ, ცრუ, მემრუშე, გინა ვითარ ესე მეზეერე, ვიმარხავ ორ გზის
შეფასა შინა, ათეულსა შევსწირავ ყოველისაგან მონაცემისა ჩე-
მისა.

ხოლო მეზეერე იგი შორს იდგა და არა იყადრებდა თვალთაცა
ზე ახილვად, არამედ იცემდა მეცრდსა და იტყოდა; უფალო, მიღ-
ხინე მე ცოდვილსა ამას.

გიტყვით თქვენ: გარდამოვიდა იგი განმართლებული სახედ
თვისა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თა-
ვი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი
თვისი, იგი ამაღლდეს“ (ე. ი. მეზეერე გამართლებული გამოვიდა
და წავიდა თავის სახლში...). ამ იგავის აზრი ასეთია: ვინც თავს
იმართლებს, ის დადაბლდება, ხოლო მოკრძალებული ამაღლდებაო
(ლუკა, 18, 10—14).



აი, ერთიც, ბაეშვთა განდიდებისათვის:

„მოპევრიდეს მას (იქსოს) ყრმებსა, რათა მიეახლუნონ უკანონო გითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ (არ უშვებდნენ, აღდებდნენ ბაეშვებს). ხოლო იქსუ მოუწოდა მათ და პრექა: აცადეთ ყრმათა მაგათ მოსვლად ჩემდა და ნე აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგიპტითართა არს სასუფევლი ღმრთისაი“ (ლუკა, 18, 15—16).

რა თქმა უნდა, ეს ძლიერ გულისამაჩუყებელი ხურათი იყო: ქრისტეს ყრმები ეხვევიან, მოწაფები აშორებენ, იქსო მათ მოუწოდებს: ნე მაშორებთ, რადგან ამათია სასუფევლი ციური ვინც მავათსავით უცოდველი არ იქნება, ის ღვთის სასუფევლში ვერ მოშვებათ! (ვინდა მოხვდება?).

ამ დროს იქ გამოიარა ერთმა ახალგაზრდამ, სრულიად წესიერ-ზა ადამიანმა, და ბაეშვთა მეგობარ ორატორს მიმართა:

— მოძღვარო სახიერო, რა საქმე ვიმოქმედო ისეთი, რომ ციური სასუფევლი დაიმკიდრო?

— უწინარეს ყოვლისა, რისთვის მიწოდე მე სახიერი, ანუ კუთილი? — შიუგო ქრისტემ. — ხომ იცი, არავინ არის სახიერი, ღმერთის კილევან. მე სულაც არა ვარ კეთილი.

— კუთილი, ვთქვათ ასე არ მიწოდებია... რა რჩევას მომუქმდე?

— მაშ მისმინე: იცავ მოსეს მცნებებს? ნე იმრუშებ, ნე კაც-პელავ, ნე იპარავ, ნე ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა...

— როგორ არა: ეგრე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითვან. არც მიმრუშია, არც ვინმე მომიკლავს, აწაფერი მომიპარავს, ყალბი ჩვენება არ მიმიცია, დედას და მამას პატივსა ცცემდი.

— ეს არ კმარა, თუ გინდა სასუფევლი დაიმკიდრო, გაყიდე მთელი შენი ქონება, ღარიბ-ღატაკებს ღაურიგე. შემდეგ მოდი ჩემთან და თან გამყევი, საითაც არ უნდა წავიდე.

ახალგაზრდა კაცი დაღონდა. ძალიან მდიდარი იყო.

მაშინ იქსო თავის მოწაფებს მიუბრუნდა:

— ყველანი ერთნაირები არიან! არ იციან, რა ძნელია ღვთის სასუფევლში მოხვედრა! როგორ ფიქრობთ, გაძვრება აქლემი ნემსის ყუნწში?

— ვერა, რასა ბრძანებთ! რაც არ უნდა ეცადოს, არაფერი გამოუვა.

— კარგად მიხვდით! ჩაშ ესეც იცოდეთ: უმაღლესი გამჭრება ნემსის ყუნწიში, ვიდრე მდიდარი მოხვდება ციურ სასუფლავზე, რომელი ასეა, — შენიშნა ვიღაცამ, — ძალიან ვიწრო მისამართი და ლელი ქეთნია იმ თქვენს სასუფლავზე.

— არა, ღმერთი ცაში ყველას გაუშვებს, ვისაც სურს. — მიუვო იქსომ. — „შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“.

— მე არხეინად ვარ, — თქვა პეტრემ. — ყოველივე ჩემი შემომიწირავს შენდა, სახლი და ხელობა მიმიტოვებია და შენ აგუოლივარ, კიბე ცარიელი მაქვს, მე მეგონა, ციური სასუფლავის იმედი უნდა მეონდეს.

იქსომ მიუგო:

— ჩეენს შორის რომ ითქვას, პეტრე, შენ ბევრი არაფერი დაგითმია, თუმცა ესეც ჩაგეთვლება. ჰეშმარიტს გეტყვით: ვინც ჩემთვის დატოვებს სახლსა და კარს, მშობლებს, და-ძმებს, ცოლსა და შვილებს, სამაგიერო გასამრჯელოს უხვად მიიღებს ახლაც და მერეს საუკუნო განსასვენებელში**.

უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა. მოწაფეები განზე გაიხმო და უთხრა:

— აქ უკვე საკმაოდ ვიღაპარაკე. ახლა იერუსალიმში დავბრუნდებით. ძალიან კარგად ვიცი, რაც მომელის იქ, მაგრამ ჩემმა საათ-ზა დაჭრა. ძე კაცისა გადაეცემა კეთილ ადამიანებს, რომელიც სის-მდევილეში არც აგრე კეთილნი არიან. წარმართნი დასცინებენ, დაამცირებენ, სცემენ, სახეში ჩააფურთხებენ, მერე მოკლავენ, მაგრამ მისთვის ეს არაფერია, რადგან სამი დღის შემდეგ აღდგება („აპა ესერა აღვალ იერუსალიმად, და აღესრულნენ ყოველნი წინასწარმეტყველთა დაწერილნი ძესა ზედა კაცისასა: რამეთუ მიეცეს

* სახარებაში ლაპარაკია საძელზე (იხ. ლექსიკონში).

** ამ განცხადებაშიც და მთელი სახარების ასშიც მუარად ჩანს სოცერების, სიცარიელისა და ძალადიბის მართვისული პრინციპი: რაღაც ზეპირი იდეის, მარადიულ სისუფეელის თე მისი ყოველნაირი ვარიანტის (ალთქმული ქვეყნის, ციურ სასუფლავის, ედემის და ა. შ.) მოლოდინში რომ ადამიანები ამძულო ან თუნდაც ურჩიონ დათმონ უკველა მიწიერი სიკეთე, იმინონ სიღატყე, აქონ-აღიდონ რაღაც მიზარე, ესაა ჩეალური ცხოვრებისა და მისი შეცოქმედი აღამიანის აბრაհამ აგდება, სიცერე, ძალადობა, აღრე თე გვიან დასამხობად განწირული. იმთავითვე ამ გზას დააღვა ქრისტიანობაც.

ხელთა წარმართთასა, და კუიტევედნენ მას და იგინოს და პნერწყუ-
ვიდნენ მას, და სტანჯვიდნენ და მოკლან იგი და მესამესა დღესა აღე-
დგეს“ — ლუკა, 18, 31—33).

ქოდა, შმინდა კრებულს იხევ იერუსალიმის გზაზე ეხედავთ.

ამ გზაზე, იერიქონთან, პრაქტიკისათვის, იესომ კიდევ ერთი
შრმა განკურნა*.

გარდა ამისა, მოწაფეებს მოუთხრო ერთი ანკლოტი ერთ რო-
მელიღაც მიწათმფლობელზე, რომელმაც ვენახში სამუშაოდ ხალხი
დაიკირავა და ერთნაირ გასამრჯელოს აძლევდა ყველას: ბეჯითებს,
ალიონიდან დაღამებამდე რომ წელს იწყვეტდნენ, და მცონარებს,
დაღამებამდე რომ ჩალაზე კოტრიალობდნენ. რა გაეწყობოდა, ყვე-
ლას თითო სტატირი აღუთქვა, ხომ ვერ უმუხოლებდა!

სწორედ იმ გზაზე დიდი იაკობისა და მცირე იოანეს დედამ ხა-
ლომებამ იესოს სთხოვა... კი არა, შევევედრა: რაკი უკანასკნელ გზა-
ზე მიდიხარ, ერთი სათხოვარი შემისრულეთ: შენს აღთქმულ სასუ-
ლევლში ჩემს შვილებს თბილი ადგილები დაუსაკუთრეთ.

— დედათა შორის უბედნიერები ქალი ვიქნები, — ეუბნებოდა
სალომეა, — თუ ერთ შვილს მარჯვნიდან მოისვამ, მეორეს კი
შარცხნიდან.

— თვითონაც არ გესმის, რას ითხოვ ჩემგან! — მიუგო იესომ
(„არ უწყი, რასა ითხოვთ. გიძლავს შესვად სასუმელისა მის, რო-
მელსა მე შევსუმიდე?... დაჯდომა მარჯვნით ჩემსა არა ჩემი არს

* ტაქსილი აქაც შეედეველობილ ტოვებს ეპიზოდის მეორე ვარი-
ანტს, და არც პირველს უთმობს ჭეროვან ყურადღებას, ბერ დამოწმე-
ბულ ეპიზოდზე მნიშვნელოვანს. ლუკას სახარების შიხედვით იესო ერთ
ბრძოლ უხელს თვალებს იერიქონთან მიახლოებისას (18, 35—43), მაგრამ
მათეს მიხედვით აქ ორი ბრძან განკურნა იერიქონიდან გამოსკლისას (ტექ-
სტეპი თრივე სახარებისა ერთომეორებს ემთხვევა): „და კითარ გამოვი-
დოდეს ავინ იერიქონით, შეუდგა ჩას ეზი მრავალი (უდევნა, აპუკა, იე-
სოს დიდქალი ხალხით). და ორნი ბრძანი სწდეს გზასა თანა, ესმა, რამე-
თუ იესო წარმავალს, ლალადყველს და თქვეს: მაწყალენ ჩეენ, იესუ, ძეო
დავითისი ხოლო ერმან მან შეპრისხნა მათ, რაითა დაღუმნენ (ხალხი
შესურა, განწმდოთი). მათ უფროის ლალად-ყვეს: უფალო, ვეიშვალენ
ჩეენ, ძეო დავითისი! და დაფა იესუს, ხმა უყო მათ და პრექვა: ჩაარ გნე-
ბავს, და გიყო თქვენი პრექვეს მას: უფალო, რაითა აღმეხვნენ ჩეენ თვალ-
ნი ჩეენნა. შეეწყალენ იესუს და შეახო თვალთა მათთა და შუნქვესვე
(შაშინევ) დღეხილნეს და მისდევდეს მას“ (მათე, 20, 29—34). აქ იესოს
ბირველად აღარებენ ძედ დავითისად!

შიცემა, არამედ რომელთათვის განმზადებულ არს მამისა ჩემისა—
გან— — მათე, 20, 22—23).

ამასთან იქსომ დედა-შეილებს პატარა გაკვეთილი მისცა, რომ გან-
განდიდების მავნე სენი არ შეყროდათ: ადგილებს მე არ ვანაწილებ
და ნე ითხოვთო.

შემდეგ, როგორც სახარება ამბობს, წმინდა ქრებულმა ღამე იქ-
რიქონში გაათია, ვინმე ზაქეის სახლში. ეს იყო ავტული და ფრიად
ბოროტი კაცი, რომელიც თავისი ქცევით ყველას აღაშფოთებდა. მა-
გრამ ჩვენ, იქსოს ცხოვრების ერთი ნაბიჯიც რომ არ გამოგვიტოვე-
ბია, ეს უკაცერობის მაგალითი სულაც არ გვაღელვებს. მით უჩეტეს
რომ ეს ზაქეი მეზევერთა მთავარი იყო.

ამასთან დაკავშირებით ითქვა ერთი საყურადღებო იგავი „ათი
ჩნაისა“, ე. ი. ათ მნაშე, რაც ათ გირვანქა ვერცხლს უდრის.

იქსომ ზაქეის შეატყობინა, დღეს შენთან მოვდივარო. ზაქეი სი-
ხარულით აღარ იყო. სამაგიეროდ ხალხი გაწყრა: ცოდვილთან გაჩერ-
და! ზაქემ პატივი დააფასა: ქონების ნაწილს ვყიდი და გლახა-
კებს ვაძლევო. იქსოს გაუხარდა, „რამეთუ ესეება ნაშობი აბრამაში-
სი იყო“. ხალხს ეგონა, რაკი იქსო იქრუსალიმს უახლოვდება, „ვით-
არმედ მეყსეულად გამოჩნდეს სასულეველი ღმრთისაო“, და სწორედ
მაშინ უთხრა იქსომ ხალხს ეს იგავი:

ვიღაც დიდებული აზნაური წავიდა ეცხო ქვეყანაში, რათა გამე-
ფებულიყო იმ მხარეში, რაც ძლიერ დაშორებული იყო მისი სახ-
ლიდან. ეს საკმაოდ სახიფათო წამოწყება იყო, მაგრამ სიძნელეს
არ შეუშინდა, ოღონდ წასვლის წინ ათი მონა იხმო და უთხრა:

— ააა, თითო ათი ზნა მომიცია და ივაჭრეთ ჩემს მოსვლამდე,
ვიდრე ხელთ ვიგდებდე იმ სამეფოს, რაც თვალში მომივიდა. რაც
მეტი სარგებელი გექნებათ, მით უკეთესი. როცა დავბრუნდები, ან-
გარიშს ჩამაბარებთ.

„ხოლო მოქალაქეთა მისთა პსძელდათ იგი და მიავლინეს მო-
ციქული შემდგომად მისა და პრევეს მას: არა გვნებავს მეუფება გა-
გისი ჩვენ ზედა“.

* ექ ტაქსილს გამოტვებული აქვს ერთი დეტალი: სალომეას თხოვნაშ
დანარჩენი მოციქულები გაანაწერენა: „და ვითარ ესმა მათ, გული განიწყეს
თხრა მათ ძმათათვის“. იქსომ დაამშვიდია: ვინც წინ დაყრენებას მოითხოვს,
თქვენი მონა იქნებათ. ტე გაცისა იმისათვის არ მოსულა, ვინმე იმსახუ-
როს, „არამედ მსახურებად და მიცემად თავისი სასსრაც მრავალ-
თა წილ“.

კაცს მაინც ბედმა გაუღიმა. როგორდაც მოახერხა და ერთმა აუ-
ნაურმა სამეფო ხელში ჩაიგდო. დაბრუნებულმა მონები ისტო და
ქეითხა, აბა ვინ რა სარგებელი ნახაო.

პირველი მონა მივიდა და უთხრა.

— უფალო, შენმა ვერცხლმა ათი სხვა ვერცხლი შემძინაო.

— ძალიან კარგი, მევობარო! — თქვა ახლად მოვლენილმა მე-
უმ. — ნიშნად მადლობისა ჩემს ახალ სამეფოში ათი ქალაქის გამ-
გებლად გნიშნავ.

მეორემ თქვა:

— მე ჩემს კოლეგასავით იღბლიანი ვერ გამოვედი. ათმა მნაშ
მშოლოდ ხუთი მნა მომცა.

— არაფერია, შვილო, შენც ცდა არ დაგიკლია! ხუთ ქალაქს გა-
ბარებ.

მესამე მონაც წარუდგა და უთხრა:

— ბატონო ჩემო, ვაჭრობის ნიჭი არ გამაჩინია, ამიტომ მეში-
ნოდა, საქმე ცუდად წამივა-მეთქი: ბატონს რომ ვერცხლი ვერ და-
ვუბრუნო, ტყავს გამაძრობს-მეთქი! ამიტომ ასე ვამჯობინე: რაც
მაქვს, ის მაინც შევინარჩუნო-მეთქი, და შენი მნა ცხვირსახოცი
შევახვიე, აგერ ინებეთ!

— აჲ, შე ღორის დინგო! — დაიღრიალა ასალმა ხელმწიფემ,
უცხო მხარეში გამოცხობილმა, — ნაკავი ხარ, მონა კი არა! ბანქში
მაინც ვერ მოათავსე, რომ პროცენტები აგელო?

შემდეგ გარშემო მყოფი მიუბრუნდა და უთხრა:

— გამოართვით მაგას თავისი მნა და მიუცით მას, ვინც ათი
ზეა მოიგო!

მაგრამ აქ ვიღაცამ უთხრა: ეს ღორის დინგი საქმაოდ გამოქექი-
ლი ვინმეა და ათი იმდენი მაგანაც მოივოო. ამისათვის მეუემ ცბი-
ერი მონის გაგუდვა ბრძანა.

იგავის დასასრული თავისი სისასტიკით გვაძრწუნებს, თუმცა
აქამდეც ვიცოდით, რომ იქსო ზოგჯერ სათნოების ნიღაბს აკდებდა.

— ხოლო გეტაცი თქვენ, — მიუბრუნდა იქსო მოწაფეებს; —
რომელსაც აქვნდეს მიცეცს, ხოლო რომელსა არა აქვნდეს და რო-
მელდა-იგი აქვნდეს, მო-ვე-ელოს მისგან*. ასლა მომიყვანეთ მტრე-
ბი, რომელთაც არ სურთ, რომ ამ ქვეყანაში მე ვძატონობდე, გიბრ-

* ამ თემაზე ჰაინც ცნობილი ლექსი დაწერა (ლექსაც ბერი ქონება
აქვს, მალე სულაც ააუსებენ...").

ძანებთ! („ხოლო მტერნი, რომელთა არა უნდა მეუფებაი ჩემი მით ზედა, მომგარენით მე აქა და მოწყვიდენით წინაშე ჩემსა“ პირველი ზუსტად ლუკას სახარებაში, 19, 27).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იგავი სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რაც სულ ახლახან თქვა იქსომ სიმდიდრის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მოგაცონებთ, რომ მის მძინარებას შედეგი არ მოყვოლია: არც ერთი მოციქული ადგილიდან არ დაძრულა, რომ მოყვანათ მისი მტრები, რომელთაც მისი მეუფება არ სურდათ, და მის თვალშინ გაეწყვიტათ. იგავი დარჩა იგავად.

ამ მეიგავეობასა და საუბარ-შეგონებებში იერუსალიმიც გამოჩნდა*. ამ სახლში მარიამ მაგდალინელმა ქრისტეს თავშე დაამსხვრია აღებასტრის დოქი, ნელსურნელებით სავსე ძვირფასი ჭურჭელი, რათა მაცხოვარი დაეწყნარებინა. დოქში სახარების სიტყვით „დიდის სახყიდლის“ მური იდგა, სამასი ფრანკის ღირებულებისა მაინც იქნებოდა.

იუდა ისკარიოტელი, მოელი წმინდა კრებულის მოლარე და მოანგარიშე, ხარბი და ძუნწი ნაძირალი, დიდხანს დასტიროდა ამ ზარალს. რომ გაეყიდათ, სამასამდე დინარს აიღებდნენ და სხვა თუ არაფერი, ქალაქის დატაკებს მაინც განიკითხავდნენ. იუდას აზრი სხვებმაც გაიზიარეს.

მაგრამ იქსო ესიამოვნა მორიგი მსხვერპლი, რაც მისთვის მარიამმა გაიღო. მას სწამდა, რომ იქსოს თავი ღირდა ერთ დოქ ნელსურნელოვან საცხებლად, ამიტომ იუდა დატუქსა ჲიძუნწისათვია, „რაისათვის დააშრობთ დედაკაცსა მაგას, რამეთუ საქმე კეთილიქმნა ჩემდა მომართო?“ გლახანი მუდამ თქვენთან იქნებიან, მე კი აღარ ვიქნები თქვენს შორისო!

ასე დაიცვა თავისი საყვარელი მარიამი, რომელსაც მოციქულებმა აწყვნინეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ ღამეს იქსომ მაგდალინელს საქმითაც დაუმტკიცა თავისი კუთილგანწყობილება, რაც სიტყვით გამოიხატა**.

* მაგრამ ჯერ იქსო პირდაპირი გზით გაემართა ბეთანიაში, საღაც შარიამ მაგდალინელი და მართა ელოდებოდნენ. საღილი ვინმე სიმონის სახლში მიიჩოვა. ეს სიმონი კეთოვანი იყო და მან განკურნა.

** იხ. მათე, 26, 6—13; მარკოზი, 14, 3—9; ოთანე, 12, 1—11.



360806 გვ061

გაცილებულთა მრიუაფი

და რაკამს მიეცასლნეს იგინი იქრუსალემზე,
 და მიეციდა ბეთანიალ, შიომა მას ჟეოთს
 ხილობასა, ჩაშინ იქსუ წარავლინნა ორნი მო-
 წაფეთა თვისტაგანნი და პრექა მათ: მიეც-
 დით დაბახა იმას, რომელ არს პირისპირ
 თქვენია, და მენქებ (მექულელად) მოით
 ვირა დაბმული და კიცევი მის თანა. აპხე-
 ნით და მომგვარეთ. და თუ გრძელს რაიმე
 ვინჩე, თქვენ არქვით, ვითარმეჯ: უფალსა
 მაგისა უზმან ვყვნი, და მეყსელად მიაფ-
 ლინნეს იგინი.

ხოლო ესე ყოველი იყო, რათა აღესრულობ
 ხიტყვა იყო წინასწარმეტყველისა, თქმული:
 არქვით ახულსა ხიონისახა: ამა ქერა მეუფე
 შენი მოვალს შენდა, შშეიდ არს და ზე ზის
 ვირსა და კიცება ვინსა!*

მათგ. 21, 1-5



აქერა საათმა! მოვიდა დრო, როდე-
 საც უცოდველი ღმერთი მსხვერპლად უნ-
 და შეეწირათ სამართლიანი ღმერთისათ-
 ვის, რათა დაცებროთ სასტიკი ღმერთის
 რისხეა. იქსოს ცხოვრების საათის ისრები
 მიუახლოვდნენ იმ საათს, როცა უნდა შეჩერებულიყო მათი სვლა.
 თთხი ათასი წლის წინ ვინმე ადამმა და ევამ, რომელთაგანაც ერ-

* „გონიროდეს, ერთსალიმ (სიონ), ახლო არს მაცხოვარი შენი, —
 — ასეთი მოტივი გამოისტულია ისაია და ზაქარია წინასწარმეტყველთა წი-
 გნებში, სახარებაც ამით ასაბუთებს იქსოს იქრუსალიში ვირით (დედა-
 ლი ვირით) შესელის კეშმარიტებასა და უცილებლობას (იხ. ისაია, 62,
 11, ზაქარია, 9, 9).

თი შექმნილი იყო ტალახისაგან, ბეორე კი წევნის ნამუსრევისაგან, საშინელი და მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინეს: თითო ცალი აკრძალული ვაშლი მიირთვეს, ცხოვრების ხის ნაყოფს გემო გაუსინჯეს და ცხოვრება დაკარგეს! ეს დანაშაული ტვირთად დააწვა მთელს გაცობრიობას. ამა რომელს შეეძლო მისი გამოსყიდვა? ისევ კაცობრიობას? სამწესაროდ, არა. მხოლოდ იმას, გინც მას არ გაინეკუთვნებოდა, ესე იგი ისევ ღმერთს, ღმერთ-მსაჯულს, ღმერთს, რომელზაც განაჩენი გამოიტანა. ჯერ ის ბრალმდებლის როლში გამოდიოდა, ახლა კი მასვე უნდა შეესრულებინა ერთდროულად ჯალათისა და მსაჯულის როლი, რადგან იქსო, ხულიშმინდა და საბაოთი არ-სებითად ერთ არსებად უნდა წარმოვიდგინოთ.

საქმე ბევრად ეფრთ იოლად ჩაივლიდა, რომ ამდგარიყო ის დალოცვილი სამება და თავად შეენდო შეცოდება ადამის ტომის-თვის, არ გაეხვია იქსო-ღმერთი ადამიანის ტყავში და არ ეწამებინა სხვისი დანაშაულისათვის, რაც გამოიხატებოდა ედემში ვაშლის ჭამაში.

ამით იქსო თავს დააღწევდა აუცილებლობას, რომ ეგზომ არასა-სიამოვნო და საძაგელი კვირა გამოეცადა, უფლის ვნების კვირად წოდებული, რაზედაც მღვდლები ყველა ენაზე ასე მჭევრმეტყველურად გვიქადაგებენ და ცდილობენ გულები ავეინჩილონ. გულახდილად რომ გითხრათ, ეს კეთილი მოთხრობა ფრიად საეჭვო ტანჯვა-გვემაზე ჩემში არავითარ განცდებს არ იწვევს.

აჲ, რომ მართლა არსებულიყო იქსო ქრისტე, ეს თავგადასავალი რომ სრმართლე ყოფილიყო, თუნდაც რომელიმე უბრალო გაიძვერა გადარეულიყო, ქადაგება დაეწყო, შეეპყროთ, ეკლის კვირგვინი და-ედგათ და ჯვარს ეცვათ, — მაშინ ამ საქმისათვის ასე არ გავილე-სავდი კბილებს და თქვენც მოგასვენებდით, მყითხველო!

შეიძლება კაცმა დამნაშავე შეიძულოს. მაგრამ არავინ დასცი-ნებს მის ტანჯვას, არც ერთი ჭეკათამყოფელი არ იჩასხრებს მის ჯვარცმაზე. მაგრამ იქსოს ამბავი თვით გოლგოთაზე ერთგვარ ღი-მილს იწვევს, რადგან მთელი ეს ამბავი ისტორია კი არ არის, არა-მედ მღვდლების მოგონილი მითი. მღვდელი — ერთადერთი რეა-ლური გმირია ყოველი რელიგიისა, ისევე როგორც მღვდლისათვის გასამრჯელოს მიცემაც ერთადერთი რეალური სახელია, რაც სა-ბრალო გელუბრყვილო მორწმუნის სულსა და გულს ქენჯნის და ტვირთად აწევს დასაბამიდან, ჯოჯოხეთის ცეცხლით დაშინებულს.

ასე რომ არა ღირს ცრემლთა ღვრა მითიური ნაზარეველი გმირია ტანჯვისათვის, მით უფრო რომ თვითონ სახარება ამტკიცებული რალული იშ საცოდავი ხორციელი ადამიანებისათვის, რომლებიც ნამდვილად დატანჯულან ან იტანჯებიან ყოველ ნაბიჯზე და დაიტანჯებიან მომავალში.

ამ ცარიელ მსჯელობასაც მოვრჩეთ და სასწრაფოდ გადავიდეთ ქრისტიანული ლეგენდის ამ ყველაზე უფრო დაუკერძებელ მონაკვეთზე.

მოქმედების ადგილი — იერუსალიმი დრო — გაჩაღებული პასექი. მთავარი გმირი — იესო ნაზარეველი. იუდეველნი გაოცებას ვერ ფარავდნენ, წელს იესო რატომ არა ჩანსო. ყოველწლიურად ჩამოდიოდა დღესასწაულებზე და წელს რა მოუვიდაო?

— სად არის იესო? — კითხულობდნენ უმეცარნი.

— ფინიკის ხახლში, — პასეხობდნენ კითომ უფრო მცოდნენი.

სხვები დავობდნენ:

— არა, მწვანე ლეღვის სახლშია.

ძველ ებრაულ ენაზე „ბეთანია“ ნიშნავდა „ფინიკის სახლს“, „ბეთაგია“ — მწვანე ლეღვის სახლს.

— შერე და რას აქეთებს „ფინიკის სახლში“?

— ღილიდან ხაღამომდე მიცვალებულებს აცოცხლებს. აი, ამას-ჭინათ მისი მეგობარი ლაშარე მიიცვალა, იმანაც გააცოცხლა, ოღონდ ცოტა წამხდარი აღმოჩნდა, მატლებს დაუჭამიათ.

— ეს უბრალო საქმე არ არის, უნდა წავიდე და ვნახო.

მართლაც, დასრულდა შაბათის დღესასწაული თუ არა, მრავალი მორწმუნე წავიდა ბეთანიაშიც და ბეთაგიაშიც.

ევანგელისტი იოანე გვაუწყებს, რომ ბეთანიაში წასულმა ცნობისმოყარებმა ლაშარე ისე ჩასუებულ-გამოკოტავებული ნახეს, თითქოს არასოდეს არ მოკვდარიყოს. მაგრამ იხილა თუ არა რომელიმე მათგანმა ლაშარე კუბოში, ეს კეთილ იოანეს აღარ უჰქვაშს.

ასე იყო თუ ისე, მიცვალებულის ცოცხლად ხილვამ იერუსალიმელი სტუმრები დიდად გაახარა, ხოლო მღვდელმთავრების გულ-შეფელს ცეცხლი შეუნთო.

— ასეთ საუბრებს რომ საბოლოოდ გზა გადავუღობოთ, ის

მკვდრეობით ამდგარი ლაშარე უნდა მოვყლათ! — თქვა ერთხა დათის
მსახურმა.

ასედაც გადაწყვიტეს, მაგრამ აქ ახალი საზრუნავი გამოჟინდათ.
მართლაც, ბეთანიიდან იერუსალიმში ამბავი ჩავიდა, ხვალ იესო
დედაქალაქში ჩასვლას აპირებსო. ეს ბევრად უფრო სერიოზული
ამბავი იყო.

მეორე დღეს იესომ მართლა დატოვა სიმონის სახლი, სადაც
სტემრად იყო, მხერვალედ გადაკოცნა მაგდალინელი და უდრტვინ-
ველი მართა, ხელი ჩამოართვა თავის მეგობარს ლაშარეს და ელე-
ონის ანუ ზეთისხილის მთას მიაშერა. თან გაქცევა თორმეტი მოცი-
ქული და დიდძალი ხალხი.

— აი, რა უნდა გითხრათ, — დაიწყო იესომ. — არ შეგვაუ-
რება იერუსალიმში უბრალო მაწანწალებივით შესვლა. ბოლოს და
ბოლოს, ადამიანების შეფე ვარ თუ არა ვარ მეფე?

— მეფე, მეფე! — შესძახეს მოციქულებმა.

— ზაშინ ეტლი მინდა.

სამწეხარიდ, მახლობლად უბრალო საზიდარიც კი არ აღმოჩნ-
და. მაგრამ იესომ გამოსვალი აქაც მონახა.

— აი, იმ სოფელში გადით, მარჯვენა მხარეს რომ ჩანს, — უბ-
რანა მოციქულებს. — სოფლის ორდობესთან პატარა ვირს ნახავთ
დამშელს. ახსენით და მომგვარეთ. თუ რომელიმე უტიფარი გამო-
გიხტებათ, ასე უთხარით: „ვირი. იუდეის დიდ პროცერატორს ესა-
ჭიროება-თქო“. მაშინ არავინ არაფერს იტყვის*.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იესომ იწინასწარმეტყველა.
ორდობეში ერთი სახლის კარზე ვირი იყო გამობმული და იდგა
წყნარად მიუჩებული. ულაპარაკოდ ახსნეს პატივდებული სახედა-
რი და გამობრუნებას აპირებდნენ, რომ მეზობლის ხმა შემოესმათ:
„ძეი, ვინა ხარ, რას აკეთებო?“ აქ სხვებიც ახმაურდნენ: ეს რა დრო
დაგვიდგა, პირდაპირ კარებზე ვირების ახსნა და წაგვრა დაგვიწ-

* ამ ეპიზოდის ასახვის საქმეში ევანგელისტებს ნამდვილად დავიწე-
ბიათ მოლაპარაკება. ლუკა, მარკოზი და იოანე მხოლოდ ვირზე ლაპარა-
კობენ, მათე კი ამტკიცებს, სოფლის გასაღევართან დედალი ვირი და მა-
სი ჩინჩირი ვგაო. მეორე მხრივ, მათე, მარკოზი და ლუკა აღიარებენ, იე-
სომ ვირი უბრალოდ მოიპარაო, იოანემ კა ჩინებული გამოსვალი ნახა-
წინასწარმეტყველი დაიმოწმა (ლ. ტ.).

ყესო! „ო, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, იერუსალიმის დიდ მსახულს ესაჭიროება!“ — დაამშვიდეს მოწაფეებმა. მსაჯულსო? მაშინვე ხმა ჩაიკრინდეს.

როცა ვირსა პპარაკედა გლეხს, რომელსაც ეს პირუტყვი უფრო ესაჭიროებოდა, ვიდრე მას, იესო ამით თავის ოჯახურ ტრადიციას იცავდა. თქეენ ალბათ გახსოვთ, რომ მისმა მშობელმა ანუ დედის ქმარმა იოსებმა ოდესძაც ბეთლემში ზუსტად ასევე მოიპარა კოხტა ვირი და ეგვიპტეში წაიყვანა.

საბრალო პირუტყვს ზურგზე კეხის მაგიერ მოსასხამების ზეინი დაახვავეს. მორჩილმა ვირმა წმინდა ტეირთი უდრტვინველად აიკიდა და ტრიუმფალური სვლა დაიწყო. ღმერთმანი, სიამოვნებით დავესწრებოდი ამ სპექტაკლს, სანახაობა უდავოდ შეუდარებელი იყო.

პროცესიის მონაწილეებმა ხელში პალმის რტოები დაიჭირეს და ცას შექმნადადეს: „ოსანა დავითის ძეს! ქურთხეული იყოს მომავალი ისრაელთა მეფის სახელით! დიდება საყოველთაო!“

უფრო ზუსტად, მათეს სიტყვით:

„და ვითარ შევიდა იგი იერუსალიმდ, შეიძრა ყოველი ქალაქი იგი და იტყოდა: ვინ არს ესე?“

ხოლო ერმან მან პრეკა: ესე არს წინასწარმეტყველი იესუ ნაზარეთით გალილეასათ!“ (21, 10—11).

გამვლელ-გამოშვლელნი ერთიმეორეს ეკითხებოდნენ.

— ეს რა ხდება?

— ესაა იესოს ზეიმი, — პასუხობდნენ მოციქულები. — ამი-ერიდან იუდეას ახალი მეფე ჰყავს.

— მერე, ეს მეფეა? — იმანჭებოდნენ გაბლენძილი უსაქმურები. — ასეთ მეფეს ჩემი სანდლების ამობნევასაც არ დავავალებდი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ზეიმი მაინც ძალშე შესღედული იყო: გირზე ამხედრებული მესამის ხილვა, ბეთანიიდან ჩამოყოლილი მორწმუნების ხმაური და მოციქულების ქადაგება არ კმაროდა სრული გამარჯვებისათვის. ასე ავიდნენ ზეთისხილის მთაზე, იქიდან მთელი იერუსალიმი ისე ჩანდა, როგორც ხელისგულზე. ქალაქი რომ ისილა, იესო ცრემლად დაიღვარა. ევანგელიისტები ამას სსნიან შეცარი დარდის მოზღვაუებით, რაც გამოიწვია იერუსალიმის მომავალი ხვედრის ხილვამ. მათი სიტყვით, იესომ წინასწარ განჭვრი-

ტა, რომ სოლომონის ქალაქს დააქცევენ და ქვას ქვაზე არ დატუშება
ბენ. ამ წინასწარმეტყველებამ იერუსალიმს ხელი მარიც ვიწრება და
შალა, რომ მცირე აზიის ერთ-ერთ ედიდეს ქალაქად ძლიერიყო*.
უფრო ღოვიკური იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ იქსოს ზეშთაგონე-
ბის მორიგი წეთები დაუდგა და ისევ საკუთარი ტანჯვის მოლო-
დინმა აატირა, რადგან ეს უსაფუძვლო ტრიუმფი მხოლოდ პრელუ-
დია იყო ნამდვილი წამებისა, რაც ხვალ ელოდა.

იქსოს ქვითინი რომ ესმათ, მის მიმდვერებს გულები შეეკუმშათ,
მაგრამ მცირე სნით. უკვე მიჩვეულები იყვნენ თავიანთი მასწავლებ-
ლის ხასიათის სწრაფ ცვალებადობას და ეკეთესის მოლოდინში მა-
თი კაეშანი სწრაფად განქარდა.

დაბოლოს იერუსალიმშიც შევიდნენ. მრავალი თანამდგომიც შე-
უწინდათ, მაგრამ განსაკუთრებული ბრწყინვალება მაინც არ იგრ-
ძნობოდა. ვირმა თავი დახარა, უთუოდ შეეშინდა, ოღონდ თავისი
თუ იქსოს ბედისთვის, ეს ძნელი სათქმელია. მაცხოვარი გაჭირვე-
ბით ახერხებდა ზერგზე გაჩერებას და ცდას არ აკლებდა, რომ ვი-
რი მაინც ბედაურიკით წასულიყო და საზეიმო განწყობილება არ
შეესუსტებინა, როგორც გამარჯვებულს, მორწმუნენი თუ ქაჩის ხუ-
მარები კი „დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა“, რომ ჰკვიან
ცხოვლს ფეხი ზედ შეედგა, მაგრამ სწორედ ეს უძირდა**, მოციქუ-
ლები კი აღმაშფოთებელ აბდაუბდას გაპყვირობდნენ. ყოველივე ამის
მიუხედავად, წმინდა კრებულის მოსვლას იერუსალიმში საყოველ-
თაო ტრიუმფი და სენსაცია მაინცა და მაინც არ გამოუწვევია. ალ-
ბათ საბრალო სანახაობა იყო, ხალხი შესცეკროდა და იცინოდა.

ფარისევლები — კაცმა რომ თქვას, ყოველთვის ასე ბოროტნი
კი არ იყვნენ — თანაგრძნობით უყურებდნენ ნაზარეველ წინასწარ-
მეტყველს. მივიდნენ და მეგობრულად უჩიიეს:

— გააჩუმე შენი მოწაფეები, რა ყოფა აქვთ, სახელს გიტეხენ!

* იუდეის ომში იმპერატორმა ტიტემ იერუსალიმი ისე დაატვირა, რომ
ერთი უძველესი კედლის ნაშთილა დარჩა, ლრთილ უბანთან ერთად, და
ასე, „გოდების ადგილზე“, დაისის ფაშს ებრაელები ფარულად მიღიოდ-
ნენ, ლოცულობდნენ, გოდებდნენ და ჭრებს ემბორებოდნენ. შემც თან-
დათან აშენდა ისევ. 1893 წელს მისი მოსახლეობა 42 ათასმდე აღწია და
და 170 ქაჩა იყო.

** ცხადია, ტაქსილი ხემჩინბს. სახარებაში სრულიად სკრინზელად
ნათქვამი, ხალხი ფეხევეშ სამოსელს უფუნდათ (ლუკა, 19, 36).



მაგრამ იქსომ აქაც გამონახა ისტორიული პასუხი. თავისებ მორიც წაფების არც თუ მთლად გულწრფელი, მაგრამ ხმამაღლი ტექსტის დიდებით მოხიბლულმა ფარისევლებს ამაყად მიუკო:

— მადიდონ, როგორც შეუძლიათ! თუ ისინი დადემდებიან, ქვანი დაიწყებენ ღაღად!

აქედან ჩანს, რომ სატანა ამაოდ ცდილობდა იქსოს შეცდენას. თვითონ ის სჩადიოდა მძიმე ცოდვას, ქედმაღლობის სახით*. თქვა და წინ წავიდა, ვითომ მართლა სრული ტრიუმფი ჰქონდა.

მაგრამ როდემდე შეიძლება ყვირილი და აღტაცება?

პროცესია თანდათან შენელდა, ხალხი დაიფანტა: ჯერ ცნობისმოყარენი წავიდ-წამოვიდნენ, მერე შეცხოვრის მიმდევრები, ბოლოს მოციქულები. იმ გორაკის ფერდობს რომ მიაღწია, რომელზედაც ტაძარი იდგა, იქსო მარტო დარჩა. ამ ფაქტს წმინდა წერილის ყველა კომენტატორი აღიარებს. ჭეშმარიტად, ეს იყო დიდი პიროვნელი ტრაგედია მაინც, თუ დიდი რელიგიური არა.

მხოლოდ სიოს დაპქონდა ქალაქის ვიწრო ქუჩებში იქსოს სიტყვები: „ვაი შენდა, იერუსალიმ!.. რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი... და განგამონ შენ და შვილინი გარემოსა შენსა დაეცნენ, და არა დაშთეს ქვაი ქვასა ზედა ამისთვის, რამეთუ არა გულისხმა-პყავ უამი მოხედვისა შენისა”...

ევანგელიისტ მარკოზის სიტყვით, იქსო იმით დაქმაყოფილდა, რომ ტაძარში მტრედებით მოვაჭრებს შეხედა და იმ დღეს მეტი არაფერი გაჟერებია**. უკვე დამდებოდა. არავინ ჩანდა, რომ მხარი

* ესც ხელოვნერად აღმოჩენილი ზედმეტი „ცოდვაა“. ქრისტეს სიტყვა ქვათა ღაღადის შესახებ თვითგანდიდება კი არა, რწმენის სიმბოლოა (თავის რწმენას უველა წინამძღოლი აღილებს) და საანდაზოდაც ამიტომ დარჩა (იხ. ლექსიკონში).

** ტაქსილი სინტერესო დეტალს ტოვებს. მარკოზი აქ ამაზე დუში, გადაქეს მეორე დღისათვის. ნ. 13, 15—17), მაგრამ ივივე არ ითქმის ლუკაზე, რომელიც მტრედებით მოვაჭრების განდევნას აქვე მოვაითხობს: „და ვითარება შევიდა ტაძარსა მას, იწყო გამოსხმად, რომელიც ჰყიდვებს, და ქრება მათ: წერილ არს: იყოს სახლი ჩემი სახლ საღლო-ველ, ხოლო თქვენ ჰყავთ იგი ქვაბ ავაზათა“ (ლუკ. 19, 45—46). ის მეორედ აწიოებს ტაძარში მოვაჭრებს ამავე ცნობას იმეორებს მათ (21, 12—13). არც ის ცნობაა სწორი: დღეს იქსო ამით დაქმაყოფილდათ

დაუჭირა, ამიტომ იქსომ გადაწყვიტა საიმედო ადგილი უპოვა-თავისა
შესაფარად და ქალაქიდან გავიდა, მაგრამ საით? მისი კუვალეზორშავა
ბიჯი ხომ საინტერესოა? ან მოციქულებმა რაღა ახლა მიატოვეს,
გვენერალური ბრძოლის წინ? სახარება ამაზე დუმს, მაგრამ შეიძ-
ლება ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე მოწაფე მაინც იპოვა და მათ-
თან ერთად გაათია ღამე სადღაც ღია ცის ქვეშ.

რაც შეეხება ვირს, ახალი აღთქმა მას მეტად აღარ იხსენიებს,
მაგრამ სხვა ლეგენდები მის შემდგომ ბედსაც გვაუწყებენ. მისონი¹⁴
თავის ცნობილ წიგნში „მოგზაურობა იტალიაში“ (ტომი 1) ამ
სახელგანთქმული ოთხფეხის შემდგომი ბედის შესახებ მოელს ეპო-
პეას მოგვითხრობს.

როცა იქსო მარტო დარჩა, ვირიდან გადმოვიდა და ბედის ანაბარა
მიატოვა, არც იმაზე უფიქრია, რომ პატრონისათვის დაებრუნებინა.

ამრიგად, ჩვენს ვირს სხვა რა გზა პქონდა, მარტო განაგრძო
ქალაქში მოგზაურობა ლეკმა-პურის საშონელად. შევენივრად ეს-
მოდა, რაც გადახდა; უპატრონოდ რომ დარჩა, ამასაც მიხვდა. ამი-
ტომ გადაწყვიტა ამ დროებითი თავისუფლებით ესარგებლა და პა-
ტარა გასეირნება მოეწყო. გელის გადასაყოლებლად.

ჯერ მოელს იუდეაში დაეხეტებოდა. სამშობლო ქვეყნის მიწა-
წყალი რომ შეაჯერა და საფუძვლიანად შეისწავლა, ახლა საშლვარ-
გარეთ წასვლა განიშრახა.

თავში ჩინებული აზრი მოუვიდა: იტალიას დავივლიო. იტალიის
დავლა ვის არ უნდა, მაგრამ მისთვის ეს ძნელი საქმე იყო: ან ხმელ-
თაშუა ზღვა უნდა გაეცურა, ე. ი. გემში ჩაჯდარიყო, ან შავი ზღვი-
სათვის უნდა შემოევლო სამხრეთიდან. გემში ჩაჯდომა არ ისურვა,
რადგან თავის დამოუკიდებლობას ძლიერ აფასებდა და მიუხედავად
იმისა, რომ ქრისტეს სახედარი იყო, შეეძლოთ დაებათ ან გადაეცათ
მისი თავი კოკისთვის, რომელიც ვირის ხორცისაგან შეზავრებს
ძებუს გაუკეთებდა. ეს არ იქნებოდა კარგი ბოლო.

მაგრამ აქ წმინდა ვირს ძალიან დროულად მოაგონდა, იქსო
რომ წყალშე უნავოდ დადიოდა, ფუსიც არ უსველდებოდა, და გუნე-
ბაში თქვა: „რატომ მეც ასე არ უნდა მოვიქცეო?“

თამამად მივიდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და პირველ-

სულაც არა: „და მოუხდეს მას ბრმანი და მეცობელი (კოცელი) ტამარ-
სა მას შინა და განკურნნა იგინი“ (ჭათვ. 21, 14). ეს უშეალოდ ტამარი
მისელის დღება „დიღება ძეს დავითისა!“ — გაიძიოდა ხალხი.

სავე ტალღაშე შედგა. ო, სასწაულო! ტალღა მაშინვე გაქვავდა, მა
მა ითხების ჩემივით გამაგრდა. ახლა მეორე ჩლიქი დააფვრული ტალღა
დევნო ტალღაშე და არც იმან დააყოვნა გაქვავება. ასე ტალღიდან გადა
ტალღაშე გადაბიჯებით ვირმა ხალხი გააშტერა, თვითონ კი კუნ-
ძულ კვიპროსშე გადავიდა. კუნძულებზე მგლები ნაკლებად იცის თა
ვირმაც თამამად დაიარა როგოსი, კრეტა, მალტა, სიცილია, გზა-
დაგზა წიწკიდა ნარმავას, რომელიც საგანგებოდ ისრდებოდა გამა-
გრებულ ტალღებზე, და ბოლოს ვენეციის უბეში ამოქიო თავი. იმ
ხანებში ვენეცია ჯერ კიდევ არ არსებობდა. იყო მხოლოდ ადგი-
ლი, სადაც ეს ჯადოსნერი ქალაქი აღორძინდა მერწევ ტალღებზე,
ქალაქი, რომელზედაც იტყოდნენ: „ვენეცია ნახე და მერე მოკვდიო“.
არც გონდოლები იყო, არც ქუჩები, ვირსაც რა ესაქმებოდა, აიღო
თავისი ტერიტორიაზე ჯოხი და ვერონაში ჩავიდა, სადაც ჯერ კიდევ
არ იყო დაბადებული ვერონეზე*.

სწორედ ამ ქალაქში დასრულა თავისი დღე, საყოველთაო მო-
წიწებით გარემოცულმა თავისი სასწაულებისათვის. ვერონაში დღე-
მდე ეთაყვანებიან წმინდა ვირის რელიქვიებს, ორთის ღვთისმშობ-
ლის ტაძარში რომ ინახება. წელიწადში ოჯჯერ საზეიმო პროცე-
სია იმართება: ქუჩა-ქუჩა დაქვეთ მისა სასწაულმოქმედი ძვლები

ასეთ ვირულ დიდებას სამართლიანი შერით შესცეკრის მოელი
წმინდა ოჯახი. იმანაც ხომ გაიზიარა პატივი, ზურგით ატარა იქსო
და ისიც არა ბეთანიიდან იერუსალიმდე, არამედ ბეთლემიდან
ებიპტემდე! რისთვის მიანიჭეს მის კოლეგას ასეთი გამორჩეული
პატივი? ამის შემდეგ კიდევ ეთქმით ღვთისმსახურებს, ღმერთი სა-
მართლიანიათ ენა დაიმოკლონ!**

* ვერონიდან იყო აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი შხატვარი
პაოლო ვერონეზე, უპირატესად სახარების სიუკეტებზე ავებული ბრწყინვა-
ლე სურათების შექმნელი („ქორწილი კანაში“, „ნაღმია ლევიტელთან“,
„ქრისტე და მარიამ მაგრალინელი“, „იესოს გამოშევიღობება დედასთან“
და სხვ.).

** შეიძლება ვიკარაულოთ, რომ ბეთლემელი ვირი საღმე არაბეთის
უდაბნოებში ველზებმა შეკამეს და წმინდა ნაწალები დაიკარგა! სხვა გა-
მართლება ამას მართლაც არა აქვს, მით უმეტეს რომ იესო იერუსალიში
ვერ შევიდოდა, ის რომ ბეთლემის ვირს არ ეხსნა.

უკანასკნელი იგავები და უკანასკნელი მუზეუმი

და გამოვიდა იქნე ტაძრით და წარვიდოდა. და მოუხდეს მას მოწაფენი თვისწინი და უწევებდეს მას შენებულისა მას ტაძრისასა. ხოლო იქნე მიუგო და პრქვა მათ: ჩემდავთ სამე ამას ყოველსა? ამინ გეტცევა თვეუკა: არა დაშოეს აქა ქვაი ქვასა ზედა, კიდრებდე ყოველივე დაირღვეს. და ვითარცა დაშავდა იგი მთასა მას ზეთის-ხელისა, მოუხდეს მას მოწაფენი თვისწავან და უტყოდეს: მითხარ ჩვენ: ოდეს იყოს ესე, და რაა არს სახწაული იყი შენისა მის მოხლეისა და აღსახული ამა სოფულისა? (როდის დაიტყვევა იქრუსალიმი და რა იქნება შენი გამოცხადების ნიშანით?). მიუკო იქნე და პრქვა მათ: ცერძალუნით, ნუ ვინმე გაცოუნენ თვეუკა, რამეთუ მრავალნი მოვიდოდენ სახელითა ჩემითა და იტყოდენ, ვითარმდე მევარ ქრისტე, და მრავალთა აცოუნებენ.*

მათე, 24, 1-6



ესირ ქრისტე ღმერთი იყო, და მაინც ისევ ადამიანად რჩებოდა. ჩვენ ეკვე ვიცით, რომ მის განკარგულებაში ყოველ-თვის ორი არსება იყო: ღვთაებრივი და ადამიანური, ციური და მიწიური, წარმავალი და მარადიული. რომელიც უნდოდა, იმას აირჩიებდა. ღია ციურები დამის თევამ ძე კაცისა ძლიერ დაქანცა. გარდა ამისა, წინა დღეს, რაც ტრიუმფით დაიწყო და გაქცევით დასრულდა, იმდენი ვერ

* ქადიშის სახარებაშია „და მრავალნი აცოუნენ“.

მოიცალა, რომ პირში ლუკა ჩაედო. ბრძოს აღტაცება ადამიანს აბრუებს, მაგრამ კუჭს ვერ ენუგეშება. მღელვარება კლავს მაღმისათვა მაგრამ გაივლის აღტაცება ცარიელი სიტყვებით და შიმშილი უფრო რო მწვავედ მოგვაგონებს ხოლმე თავს. უნეტარესი სამოთხის აღტქ- მით ერთ წიწილასაც ვერ გააძლებთ.

მოარულ სიტყვას მოშიგდა. გარშემო კი გადატიტვლებული ვე- ლი იყო. სად უნდა მოეკლათ შიმშილი?

— პეტრე! იაკობ! ანდრია! იოანე! პართლომე! — დაიძახა მა- ცხოვარმა.

მოციქულებმა მიირბინეს.

— იერუსალიმიდან პერისნაირი არაფერი წამოგიღიათ?

— როგორ არა, უფალო.

— ყოჩაღ! მოიტათ.

— ჰო, მაგრამ...

— რა „მაგრამ“?

— მაგრამ გეშინვე შევჭამეთ.

იესომ წკენა ვერ დაფარა.

— მაშ იშოვეთ მაინც რამე.

— გაშლილ ველზე? რა ვიშოვოთ, უფალო?

— ექ, თქვენ... წავალ, იქნებ სადმე ლეღვი მაინც ვნახო.

თქვა და ორი მოწაფის თანხლებით გზას გაუდგა.

გზის გასწერივ ბაღები იყო, მწვანე ფოთლებში აქა-იქ იერუსა- ლიმელ მდიდართა სახლები ჩანდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ებრაული ადათის თანახმად ყოველ მგზავრს შეუძლია შიმშილი მო- ცხლას გზისპირა ხეხილის ნაყოფით, თუ ტოტები ზღუდის გარეთ გადიან.

პირველი ასეთი ხეხილი, რაც იესომ შეამჩნია, იყო დიდებული ლეღვი. დამშეული ძე კაცისა იქით გაეშურა. ხელი ასწია, ფოთ- ლები გასწი-გამოსწია, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერხვშე მე- ტი ნაყოფი არც იმას ესხა!

როგორც უკვე ვნახეთ, მოარული სიტყვა მუდამ სათნო ხასია- თისა არ ყოფილა. ახლაც უეცრად აენთო. ნაყოფი რომ ვერ ნახა, უდანაშაულო ხე დასწყევლა და თანაც მოელი თავისი ხელოვნებით. ლეღვი შეძრწენდა და იქვე იწყო ხმობა.

ეს შემთხვევა, ჩვენს შორის რომ ითქვას, ერთხელ კიდევ ამტ- გიცებს, რომ ფიცხი იესო ზოგჯერ ისე განრისხდებოდა, რომელი

ბორგნეული შეედრებოდა! ხემ რა დააშავა? ჯერ ნაყოფის მოსხმის დრო არ იყო! არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ხდებოდა პასტის ჭრია თუ იორშაბათს, ლეღვი კი, როგორც ცნობილია, ადრე გაზაფრულშე არც ერთ ქვეყანაში არ მწიფდება. მერე, თუ იყსოს ერთი სიტყვით შეეძლო ხე გაეხმო, რატომ არ უნდა გამოეცნებინა იგივე ძალა პირდაპირი დანიშნულებით? განა უფრო ჰუმანური არ იქნებოდა, თუ ინატრებდა და ლეღვის ხეს ნააღრევი მწიფე ნაყოფით დაამშვენებდა? თვითონაც მოგებული დარჩებოდა და უდანაშაულო ხეც გადარჩებოდა.

ჩანს, საამისო ფიქრის დრო არა პქონდა. ხე დასწყველა და ხე გახმა. არ მასიამოვნე და ახია შენზეო!

მაინც დავიმოწმოთ ეს ამბავი ისე, როგორც მარკოში გადმოგვცემს:

„და ხვალისაგან ვითარ გამოვიდოდეს იგინი ბეთანიათ, შეეჩინა. და ისილა შიორით ლეღვი ფურცლოვანი, და მოვიდა, უკეთუმტა პოვა რაი მას შინა და ვითარება შოვიდა მისა, არარაი პოვა, გარნა ფურცელი ხოლო, — რამეთუ არა იყო ქამი ლეღვისაი. და პრექვა მას: ნუღარამცა (ნუცა ვინ) ჭამს ჟევნისამდე შენგან ნაყოფსა! და ესმოდა ესე მოწაფეთა მისთა“ (მარკოში, 11, 12—14).

მისი თანამოძმე მასთეც თითქმის იმავე სიტყვებით გადმოგვცემს ამ ამბავს და იქვე დასძენს: „და განსმა ლეღვი იგი შეყვსეულად“ (21, 19).

იყსო ისეთ გუნებაზე დადგა, რომ აღარ შეეძლო არ წასულიყო ტაძარში და იქ ისევ ალიაქოთი არ აეტეხა. მივიდა, იგივე სპექტაკლი გაიმორა, რაც სამი წლის წინათ დადგა: ქურდები უწოდა მოვაჭრებს და ააწიოკა. „და ესმა ესე მდღელთ მოძღვართა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, რაითამცა წარწყმიდეს იგი, და ეშინოდა მისა (ეშინოდათ), რამეთუ ყოვლისა მას ერსა დაუკვირდებოდა მოძღვრება იგი მისი“.

წმინდა ძმობა იმ დღეს უკანასკნელ ზომამდე მივიდა, რომ როგორმე საჭმელი და ფული ეშვოვა.

შემდეგ იყსომ კოჭლთა და ბრმათა მთელი ჯგუფი განკურნა ერთად. ბრმები და კოჭლებით, წერია სახარებაში. არც ერთი სხვა სწერელი იმ დღეს განკურნებას არ ღირსებია. უნდა შევნიშნოთ, რომ დედამიწაზე მისი ყოფნის მთელი ხნის მანძილზე ერთი კუზიანიც



არ გაუმართავს წელში. იქნება ისინი ეზისღებოდა? ჟანზუფრული იცის, წმინდა საიდუმლოა.

კვლების ერთ-ერთი მამა, ვინმე ეზები ამტკიცებს, იმავე დღეს ერთი კეთროვანიც განკურნაო, ისიც დაუსწრებლად, წერილით. ერთ მოციქულს, ფილიპეს, უცხოელები შეხვდნენ და უთხრეს, იესოს ნახეა გვინდაო. ფილიპემ ანდრიასთან მიაგავავნა, ანდრიამ იესოს მოახსენა და იმანაც ზოგიერთი გაძლენძილი დიდი კაცივით კი არ ალოდინა მოსაყდევლში, მაშინვე მიიღო მთხოვნელები.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — პეითხა სტუმრებს.

— ჩვენ გამოგვაგზავნა ჩვენმა მბრძანებელმა აბგარ მეხუთემ, ედესის მეფემ. გვპატივებათ და თავშესაფარსა გთავაზობთ თავის ძველანაში, თუ თქვენს თანამემამულებს ვერ შევწყობით.

იესომ ასეთი თავაზიანი წინადაღებისათვის უცხოელებს მაღლობა მოახსენა, მაგრამ მის მიღებაზე უარი განაცხადა. ეს დიდი წინდახედულობა იყო: მაშინ ვინ იტვირთებდა კაცობრიობის ცოდვებს?

მაშინ ელჩებმა მოახსენეს, ჩვენი მეფე კეთრით არისო სწერელი. ეს საშინელი ხენი მეფეებსაც არ ინდობდა, მაგრამ რაღაც უპირატესობით მაინც სარგებლობდნენ: კეთროვან მეფებს კარანტინით არავინ ზღუდავდა.

იესომ თავისი კეთილშობილი მნახველები მაშინვე დაამშვიდა და დაარწმუნა, ჩემი ჩასვლა არ არის აუცილებელი, თქვენი ხელმწიფე გაჯანსაღდება, რა დღესაც ჩემს პასუხს მიიღებსო.

ევანგელისტი იოანე ამ შეხვედრის ამბავს იხსენიებს, ოღონდ სტუმრებს ბერძნებად თვლის, ეზები კი ყველაწმინდას ფიცხულობს, აბგარ მეხუთის ელჩები იყვნენო (სხვათა შორის, ისტორიამ ასეთი მეფე არ იცის). მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

იგივე იოანე მოგვითხრობს, იმ საღამოს ჩვენი ღმერთი რაღაც შიშმა მოიცვაო, რაც სრულიად გასაგები ადამიანური ამბავია:

„აწ სელი ჩემი შეძრწუნებულ არს, და რაი ვთქვა? მაშაო! მიხენ მე უამისა ამისგან, არამედ აშისთვის მოვედ უამსა ამას“ (იოანე, 12, 27).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: „მამაჩემო, თუ შეიძლება, მიხენი ამ ტანჯვისაგან! არ შეიძლება? მაშ იყოს, მეც ამისათვის მოვედი“.

სამშაბათს მოციქულებმა როგორლაც ისევ გაიხსენეს გამხმარილები და ასეთი ბაასი გამართეს:

— შეტკი, — შენიშნა პეტრემ, — ერთი დღეც არ გასულა!

— მაშ! ამ დილით ვნახე, — მიუგო ბართლომემ — გამოსარი
იყო, როგორც გინახავს წიფლის შეზა.

საუბარში მოარული სიტყვა ჩაერია:

— მეგობრებო, თუ რწმენა გვეწებათ, თქვენც მოახდენთ ისეთ
სასწაულებს, როგორიც იხილეთ. მთავარია რწმენა გქონდეთ. ვიდ-
რე დაუჭვებას დაიწყებთ, ისეთი ძალა გვეწებათ, რომ ლეღვის გახ-
მობა რა არის! შეგიძლიათ ამ მთას უთხრათ: „დაიძარი და ზღვაში
ჩავარდიო!“ — და მთა მეყსეულად ზღვაში გადაეშვება. მოკლედ,
„ვიდრე ნათელი გაქვს, გრწმენინ ნათელი, რათა ძე ნათლისა
იყვნეთ“.

მოციქულები, რომელთაც ლეღვის ხის სასწაული ძალიან მოე-
წონათ, ბავშვებიერი გაახარა იქსოს ცნობამ, ჩემსავით სასწაულებს
თქვენც მოახდენთო. გაოცებულებმა ახედეს ზეთისხილის მთას და
მშვით გულები გადაუქანდათ: ამოდენა ბუმბერაშს როგორ დაგდ-
რავთ!

ნაშაუადღევს მთელი კრებული ისევ იერუსალიმში დაბრუნდა. წი-
ნამძღოლმა კიდევ ილაპარაგა ტაძარზე, ფარისეველთა სააუგოდ,
შეადარა ისინი ადამიანებს, რომლებიც სიტყვით ღმერთს ემსახურე-
ბიან, საქმით კი მხოლოდ საკუთარ სიამოვნებას ემორჩილებიან.

და თქვა იქსო არავი:

„რასა პეტრებოთ თქვენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე, და მიუხდა
პირველსა მას და პრქვა: შვილო, მივედ დღეს და იქმოდე საყურძ-
ნესა ჩემსა (ჩემს ვნახაში იმუშავო).

ხოლო მან მიუგო და პრქვა: მივიდე, უჟალო! და არა მივიდა.

და მივიდა ერთისა მის და პრქვა ეპრევე. ხოლო მან მიუგო და
პრქვა: არა მინებს! მერმედა შეინანა და მივიდა.

ვინ ორთა ამათგანმან პყო ნებაი მამისა თვისისა?* პრქვეს:
უკანასკნელმან მან! პრქვა მათ (მოციქულებს) იქსო: ამენ გეტრ-
ვი თქვენ, რამეთუ მეზევერენი და მეძავნი** წინა-გიძღოდიან
თქვენ სასუფეველსა ღმრთისასა“, ე. ი. ბაჟის ამქრეფნი და მეძავე-
ბი გიძღვიან უფლის სასუფევლის გზაზეო! (მათე, 21, 28—31).

ამრიგად, იგავის პირდაპირი აზრიც ნათელია, მაგრამ იქსომ
ფარისევლებს გამზადებული დასკვნაც მიაწოდა: სასუფევლის გზაზე

* პიდიოშის გარიანტშია: „რომელმან-შე თრთაგანმან ყო ნება მამისა?*

** ზოგ ფარიანტშია „ცოდვილნი“.

შეძავები და მეზურები მიიღიდლეთანო: ე. ი. ვინც ერთი შემადგრომებელი სა-პრი-ტოკო
წინააღმდეგია და უარს ამბობს, ნამდვილი შემსრულებელი ის-პრი-ტოკო
სო! თავისებური სიბრძნეა!

მაგრამ ესც კი ეცოტავა და იქვე მოიგონა მეორე იგავი, კიდევ
უფრო შეურაცხმყოფელი. ახლა ფარისევლები შეადარა მევნახებს,
რომელთაც, იმის ნაცვლად, რომ ვენახისათვის ხშირ-ხშირად მიეხე-
დათ, პატრონის ყველა მსახური დახოცეს, ბოლოს კი შეილიც მოუ-
კლეს. მაგრამ დაიცადონ, მოვა ვენახის პატრონი და სამაგიეროს
მიუსწავეს, დუჭკირ მევნახებს ერთიანად გაჟურავს!

ბოლოს თქვა არაკი ერთ ვიღაც შინკეყლიან მდიდარზე*. ამ
გაებატონმა ცოლი შეირთო. ქორწილში უთვალავი სტუმარი მოი-
წიგა. გახურებულ ნადიმში უცებ შენიშნა, რომ ერთ წვეულთაგანს
საზეიმო სამოსელი არ ეცვა. რა გააკეთა ჩვენმა ნეტემ?** ჯერ წვე-
ულს მიუძრუნდა: „მოყალი ვითარ შემოხვედ აქა, რამეთუ არა გმი-
სიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი სდუმნა. მაშინ პრქვა მეუ-
ფერან მან მსახურთა თვისთა: შეუკრენით მაგას ხელნი და ფერნი
და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესანელსა. მუნ იყოს ტირილი და
ღრეჭნა კბილთა! რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ
ჩიეულნი“ (მათე, 22, 12—14).

ფარისევლებს გელში ეკლად ხედებოდათ მთელი ეს ორაზროვა-
ნი იგავები, რომლებიც მათს სუსტ მხარებს აშიშვლებდა, და სამა-
გიეროს გადახდა მოინდომეს, „რათა სიტყვითა საფრხე უგონ მას“,
შაგრამ იქსომ „დაუყო პირი საღუაველთაც“ და ფარისეველთაც.

* აქ ტაქსილს აშერა უზესტობა აქვს: სახარებაში ლაპარაკია შეუე-
ზე („ეს გაესება სასუტეველი ღმრთისა კაცსა მეუფესა, რომელმან სუ-
კორწილი ძაბა თვისისა“; ახე ლუთერის ბაბლაშიც: gleich einem König,
და რუსელშიაც: подобно человеку царю — მათე, 22, 2). თანაც ქორ-
წილი გადატანა თავის შეილს. ეს სიუზერი გამოყენებული აქვს გოეთეს
ლექსში „წვეულება“.

** აქაც ღასტურდება, რომ ტაქსილსაც და მის რუსელად მთარემნელ-
თაც შეცდომა აქვთ გამარტლი: ქორწილში მპრანებლიბს მეუე, მამა,
და არა მისი მე, სიძე (König). მეორე ამბავი: ტაქსილს გამოტო-
ვებული აქეს იგავის პირველი ნაწილი (მუხ. 1—10), რომელშიაც სტუმ-
რები მეფეს არ ეკარებიან, მიხედვად არაერთგზის მიწვევისა, და მერე
კადევ სხვათ შეიძყრნეს მონანი იგი მისინი, აეინეს და მოსწეულენს“, —
მონებს უბრძანებს: გადით შარაგზებზე და ვინც ნახოთ, ყველა მოიწ-
ვოთო.

ფარისევლებში იმით დაიწყეს, რომ პეროდეს თანამორისა მიმართეს. ისინიც ტაძარში გამოცხადდნენ, ვითომ ერთიმერი დავა მოვიდათ და დაუდალავ მოლაყბეს მიმართეს, განგვანათლეო*. —

— რაბი, — გადამეტებული ხელოვნური მოკრძალებით მიმართეს იქსოს. — ჩვენ ვიცით, რომ მრავალ საქმეში გაგებული ხარ ისე, როგორც არავინ. კეთილი ინებეთ და აგვისავნით. უნდა გაძლიოთ კეისარს ხარკი თუ არ უნდა ვაძლიოთ?

ამჯერად მახე მოხერხებულად იქნა დაგებული. თუ ხარკის მიცემაზე უარს იტყოდა, ამით სარმას გამოსდებდა პონტიო პილატეს, რომაელთა სახელით იუდეის გაშევბელს. ხოლო თუ იტყოდა, უნდა მიცეცოთ, ამით მოიგებდა დამპყრობელთა გულს, მაგრამ შელახავდა იუდეველთა პატრიოტულ თავმოყვარეობას.

მაგრამ იქსომ მაშინვე შეიცნო ეშმაკის მახე.

„გულისხმა-პყო იქსო უავთურება მათი და პრევა: ჩასა გამომცდით მე, ორგულნო?“

პასუხი კი მაინც გასცა:

— შვილებო! ჩემი გამოქურა აგრე იოლი არაა, უფრო ჰქვიანები უნდა იყოთ საამისოდ. მაგრამ მომიტანეთ მონეტები, რომელთაც რომაელებს უხდით.

ვიღაცამ დინარი გაუწიოდა.

— ვისი სახეა ამ დინარზე ამოკვეთილი და ვისი სახელი აწერია ამ მონეტას?

— კეისრისა! კეისრისა! — შესძახეს ერთხმად.

— მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისა ღმერთს!

ვინც სხვას ორმოს უოხრიდაო, შიგ თითონვე ჩავარდაო, იტყვიან. მოარულმა სიტყვამ სიტყვა ბანზე ააგდო, მართალია, ამაზე უფრო მარჯვედ შებრუნებული პასუხი ძარმოსადგენია, მაგრამ ეს იყო ფრაზა და შერე როგორი! ამიტომ იქსოს მახვილგონივრულ პასუხს მქეხარე ტაშითა და ოვაციით შეხვდა ხალხი, რომელიც ყოველ დროში მაღალფარდოვანი სიტყვის ტყვეა.

პეროდეს მომხრეთა გაწმილების შემდეგ იქსოსთან მივიდნენ სა-

* ტაქსილი ჩშირად კარგავს ზომიერების განცდას და უდიერ, შეერაცხმულ ეპითეტებს ხმარობს, რაც სერიოზულობას უკარგავს მის შრომას. ასეთი ეპითეტები: მოლაყბე, მაწანწალა, ქურდი და ა. შ. სრულიად შედმეტია.



დუდეველნი — იუდეველთა გაფლენიანი სექტის მომხრევბიში და ასეთი კითხვა დაუსვეს:

— „მოძღვარ! მოხე ესრეთ თქვა: უცაუ ვინწე შოკუდეს და არა ესვას შვილი, შეირთოს მისი ცოლი მისმა ძმამ და ოღუდენოს თესლით. ჩვენს შორის შვიდი ძმა იყო. პირველმა ცოლი შეირთო და მოკვდა, თესლი არ დარჩა, და ცოლი ძმას დაუტოვა. ასე ერგო ეს ქალი მეორესაც, მესამესაც და მეშვიდესაც. ამ უკანასკნელთან ერთად ის დედაკაციც მოკვდა. „აწ ჩემი აღდგომასა მას ვისა შვილთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველსა ესვა იგი?“

იქსომ მიუგო:

— არ გყოდნიათ, სადევეველნო! „აღდგომასა მას“, ე. ი. მეორედ მოსვლის ქამს არც ქმარი იქნება, არც ცოლი, არც ქორწინება, არც განქორწინება, „არამედ ვითარცა ანგელოსნი ღმრთისანი იყვნენ ცათა შინა“. ასე რომ არხეინად იყავით, არაუთარი გართულება შოსალოდნელი არაა. რაც შეეხება აღდგომას, ღმრთის სიტყვა არ წაგიკითხავთ: „არა არს ღმრთი მკვდართა, არამედ ცხოველთა, ხოლო თქვენ ფრიად სცოტებით“.

სადევეველთაც რომ ჩაუგდო ენა მუცელში, ახლა მწიგნობარი მიემველა დამარცხებულებს:

— მოძღვარო, — თქვა, — რავი საღვთისმეტყველო საკითხების გადაჭრა გიკისრათ, მითხარით, მოხეს რომელი მცნება მიგანიათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად?

— პირველი, — მიუგო იქსომ. — „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოველითა გელითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოველითა ძალითა შენითა და ყოველითა გონიერითა შენითა. ესე არს პირველი მცნება“ (მარქოში, 12, 30). მაგრამ არის მეორე მცნებაც, არანაკლებ მნიშვნელოვანი პირველზე: „და მეორე მსგავსი მისი: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. — შეძახა მწიგნობარმა. — შესანიშნავი პასუხია!

ეტყობა, ამ მწიგნობარს ხიბლავდა ცოდნა და არ დაუსახავს მიზნად, ფარისეველთა, სადევეველთა და პეროდეს მომხრეთა მსგავსად, საკონებელში ჩაეგდო ქრისტე ან ჩიხში მოექცია ის. იქსო კი დაიღალა. ჩემი ამ კითხვა-მიგებებმა ქანცი გაუწყვიტეს.

სწავლული ინტრიგანებს ზურგი აქცია, ხალხს მიუბრუნდა და მთელი თავისი ზებუნებრივი მჭევრმეტყველების რისხეა დატეხა მტრებს. რა ლანძღვა და რა კრულვა გინდათ, რომ ფარისეველთა

თავზე არ დაატეხა! ეს იყო მთელი სიყალბისა და ვერაგრძნის გა-
უამტვერება. ყოველი უბედურების მიზეზად გამოაცხადა ულაფა-
და ტალასს აღვრიდა, აუკრისტებდა, წიხლავდა. უწოდებდა პირმო-
თნეებს, ქვრივთა სახლების შემჭმელებს, კოლოების მწველავებს,
აქლემიჭამიებს, ძვლებითა და ყოველნაირი სიბინძურით საესე კე-
ბოებს, ექიდნის ნაშობ გველებს და ა. შ. ბოლოს ისინი გამოაცხადა
ყველა ცოდვისა და სისხლისღვრის მიზეზებად, კაენის და აბელის
დროიდან მოყოლებული ზაქარია ბარუების ძემდე. აი ნიმუშები ამ
განმაჟიქებელი სიტყვიდან:

„ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რო-
მელნი შეშჭამთ სახლებსა ქვრივთასა.... რამეთუ დაჭმავთ სასუფე-
ველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქვენ არა შეხვალთ და არცა შემა-
ვალთა უტევებთ შესლვად... ვაი თქვენდა, წინამძღვარნო ბრმანო...
ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროის არს: ოქრო იგი ანუ ტაძარი,
რომელი განსწმენდს ოქროსა მას?.. რომელნი დასწურავთ ერნაქ-
სა (კოლოს მოწველით) და აქლემსა შთანთქამთ... ვაი თქვენდა,
მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ
ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი იგი გარეშე შვენიერ ჩან,
ხოლო შინაგან სავსე არიან ძვალებითა მკვდართაითა და ყოვლითა
არაწმიდებითა. ეგრეუა თქვენ გარეშე პერინიეთ კაცთა მართალ,
ხოლო შინაგან ხართ სავსე ორგულობითა და უშკულოებითა... გვილ-
ნო და ნაშობნო იქედნეთანო... რაითა მოიწიოს თქვენ ზედა ყოვე-
ლი სისხლი მართალი, დათხეული ქვეყანასა ზედა, სისხლითგან აბე-
ლის მართლისაით, ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაისა, ძისა ბარუ-
ებისა, რომელი მოქალთ შორის ტაძრისა და საკურთხევლისა“ (მა-
თვე, 23, 13—35)*.

იუდეველისათვის რომ ზაქარიას მკვლელი გეწოდებინათ, ამას
ერჩია თვითონ მიგვყლათ. ეს დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა.
და იმაზე უარესი იყო, რომ მაგალითად დონ-ეუანისათვის საჭური-
სი ან მცვედანი გეწოდებინათ. დონ-ეუანი მხოლოდ გაიცინებდა,
აქ კი ამას რელიგიური სარჩელიც ედო. ისრაელები ზაქარია ბარუ-
ების ძის მკვლელობას უმიმდეს დანაშაულად თვლიდნენ, რისთვისაც
განრისხებულმა იაღვემ იერუსალიმი დასაჯა. მიუხედავად იმისა,

* ჩუსულ თარგმანში თავი არასწორადა მითითებული (22, ნაცვლად
23-სა).

რომ ზაქარია დაახლოებით ასი წლის წინ მოკლეს, ებრაელები ამ ჯოჯოხეთურ ბრალდებას იმას წაუყენებდნენ ხოლმე, ვინც ყველაზე მეტად სხულდათ.*

ზაქარია მღვდელი იყო, მსხვერპლის შემწირავი. მისმა კოლე-
გებმა მას მაშინ გააცხებინეს სული, როცა სამსახურებრივ მოვალე-
ობას ასრულებდა და საკურთხეველს უახლოვდებოდა. ამრიგად, მი-
სი სისხლი ისევ ისე დუღდა ტაძრის ფილებშე და აღარაფერს არ
შეეძლო მისი წარეცხვა. როცა მეუე ნაბუქოდონოსორი ტაძრად მივი-
და და ფილებშე ეს სისხლი ნახა, ტლიერ გაიკერვა. ვართლმორწმუ-
ნე წმინდა კაცის სისხლი რომ დაემშვიდებინა, ნაბუქოდონოსორმა
გადაწყვიტა სასტიკად ეძია მისთვის შერი: ამავე ადგილზე მოათ-
რიეთ ყველა რაბინი და დააკალითო, ბრძანა. ზაქარიას სისხლი
მაინც დუღდა. ნაბუქოდონოსორმა ახალგაზრდა ქურუმებიც მოაყ-
ვანინა და შედ დააკლა. ზაქარიას სისხლი მაინც ისე დუღდა, რა
სისხლი ქეონია! ამი ათასამდე მსხვერპლი დაიკლა და ზაქარიას
სისხლი მაინც ეერ დაამოშმინეს. ჩანს, იაღვე იყო შეურაცხყოფილი,
მსხვერპლის შემწირველი რომ მოკლეს. მაშინ იმ საოცარ ადგილ-
ზე ნაბუქოდონოსორი მივიდა და შესძახა:

— ზაქარია! ზაქარია! შენ ჟეკე მოსპე და შეიწირე შენი ხალხის
რჩეული ნაწილი. ნუთუ ის გინდა, რომ შენი იუდეველი თესლად
მოვსპო?

მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო ზაქარიას წისხლმა, რომ მიქა-
რავს, და დაცხრა; დეღილი შეწყვიტა.

ასეთია ლეგენდა ზაქარიას სისხლის დუღილისა. როგორც ხე-
დავთ, მისი მცველელობის დაბრალება ხუმრობა საქმე არ იყო. ამი-
ტომ ფარისევლებმა, რომელიც ისედაც ამდენი წელი დაეძებდნენ

* ზაქარია ბიბლიაში რამდენიმე ცნობილ პირს ეწოდება. მათ შორის
პირველია ისრაელის მეუე, რომელმაც შეოთიან დამს ურლ ექვსი თვე
იმუშა და შეთქმულებმა მოკლეს; მა სახელითაც ცნობილი აგრძოთვე ითა-
ნე ნათლისმცემლის მამა, ქეელ ქრისტო შთამომავალი; აქ ლაპარაკია
ზაქარია ბარუების ძეშე, რომელიც თავისი მამხილებელი ქადაგებისათვის
შოლეს მღედლებში, „შორის ტაძრისა და საკურთხეველისა“. სხვათ შო-
რის, მას აივივებენ წინასწარმეტყველ ზაქარიასთან; რომელიც ბაბისა-
ნის ტყვეობის შემდეგ მოღვაწეობდა და დატოვა წიგნი—წინასწარმეტ-
ყველო გაღის სიმღერა; აქ ბევრს ლაპარაკობს შესრაზე და, აღბათ ამი-
ტომ იცავს ასე იესოც.

სათანადო საბაბს, ახლა გადაწყვეტეს ეს საქშე აღარ გადა-
დოთ.

ვიდრე მოარული სიტყვის, მოარული ტაძრის გარშემო ინტერ-
გის ქსელსა ქსოვდნენ, თვითონ მაცხოვარი ტაძარში მიმოდიოდა
თავისი მოწაფეების თანხლებით და აღდგენით სამუშაოებს ათვალი-
ერებდა. ერთ-ერთ ბაქაზე შემოწირულებისათვის განკუთვნილი ფი-
ალები იდგა. როგორც ვიცით, ეს წესი დღემდევა შემორჩენილი: მრა-
ვალ ეკლესიაში დგას ფიალები ღვთისმშობლის ეკვდერისათვის,
ცოდვილთა სულების სახსნელი წირვისათვის, ტაძრის შესანახი
თანხისათვის, სემინარიის ხარჯებისათვის, ღარიბთა შეწევნისათვის,
ყინწვილ ჩინელთა ქრისტიანულად მოქცევისათვის და ა. შ. ყვე-
ლას ვერ ჩამოთვლი. იერუსალიმის ტაძარში ცამეტი ასეთი ფიალა
იდგა, ერთიმეორებულ ხარბი და ღიპიანი. პირი დაეღოთ და ითხოვ-
დნენ. თავმომწონე მორწმუნებაც თავის გამოჩენა უნდოდათ, ერ-
თიმეორის ჯიბრით ვერცხლის მძიმე მონეტებს იღებდნენ და ყე-
ლაბა-ქილაში გადაუძახებდნენ. აი, მოვიდა ერთი ქვრივი დედაგა-
ცი, მორცხვად აიღო ორი სპილენძის ფული ერთობ მცირე ღირე-
ბულებისა, ოციოდე კაპიკი ჩვენებურად.

— თქვენ ნახეთ ეს ქალი? — ჰეითა იქამო მოციქულებს.

— დიახ, მოძღვარო.

— ქოდა, მაში იცოდეთ, ამ ქალმა ყველაზე მეტი შესაჭირი შე-
იტანა, რადგან მდიდრები ზედმეტ სარგებელს იღებენ, ამან კი
უკანასკნელი დანაზოგი შეიტანა, რაც ვინ იცის, პურის ფულად
სჭირდებოდა!

ბოლომდე რომ ლოგიკური ხაზი გავატაროთ, უნდა დაემატები-
ნა, რომ თვითონ მდიდრები, რომლებიც ზედმეტ მონაგებს სწი-
რავდნენ, უფრო გულუხვნი იყვნენ, ვიდრე თვითონ და მისი მოწა-
უები, რომელთაც საერთოდ არაფერი შეუწირავთ.

ერთ-ერთ ხარაჩიზე ასულმა ქრისტემ თქვა: ტაძრის დასრულება
აღარ ღირს, რადგან მტკრი მოვა და ქვას ქვაზე არ დატრევებსო. ამ-
ჯერად სრული სიმართლე თქვა იმ აზრითაც, რომ ყველა ხუროთმო-
ძღვრული ძეგლის ბედი ასეთია. რაც არ უნდა მტკიცედ ნაგები
იყოს, დროის შემშესვრელ ძალას ვერ გაუძლებს.

ბოლოს, საღამოს იქსომ თავისი მოწაფეები ისევ ზეთისხილის
მთაზე აიყვანა, ეტყობა, ეს იყო მისი დამის გასათევი ადგილი. ვი-
დრე ლოგინში გაიჭიმებოდა, ესე იგი მწვანე ბალაზე გაგორდებო-

და, მოწაფეებს მომაცლის სისტემად ეთთი ა-ეკლესიურ უამით. ეს იყო
მისი უკანასკნელი ანეკლოტი: ხუთი ბრძენი და ხუთი უგნური ქალიშვილი

წულის იგავი.

— „მაშინ ენსგავსოს სასუფელი ცათა ათთა ქალწულთა“, რომელთაც ლამპრები აანთეს და თავიანთი ქალწული შევიბრის გა-
საცილებლად წავიდნენ, ე. ი. სიძის შესახეედრად. „ხოლო ხუთი მათგანი იყვნენ ბრძენი და ხუთი სულელნი“. ჩვეულების თანა-
ხმად, ათივე პატარძლის სახლში მივიდა შეღამებისას. ათი ლამპა-
რიც ამისათვის ესაჭიროებოდათ: ღამე ამ ლამპარების შექშე უნდა
გაეტარებინათ. მაგრამ ხუთ სულელ ქალწულს ლამპარში (სანა-
თურში) ზეთის ჩახმა დავიწყებოდა. მოხდა ისე, რომ სიძე სადღაუ
გაერთო და შეაღამებდე არ გამოცხადდა. ამასობაში ქალიშვილებს
ჩაეძინათ. „ხოლო შეაღამეს ოდენ ღაღადება იყო, ვითარმედ აპა
ესერა, სიძე მოვალს, გამოვედით მიგებებად მისა მაშინ აღსდგეს
ყოველნი იგი ქალწული და აღიგნეს ლამპარი მათნი“. ბრძენთა
ლამპრები ენთო, სულელთა კი ჩაქრა. მაშინ სულელებმა ბრძენთ
სთხოვეს: ზეთი მოგვეცით, ლამპრები გვიქრებაო!

— სხა არაფერი მოგინდათ? ზეთი რომ მოგცეთ, თავად ჩა-
გვიქრება სანათურები! გაიქცეით დუქანში და იყიდეთ!

ხუთი სულელი გოგო ზეთით მოვაჭრესთან გაიქცა. მაგრამ ბედმა
არ გაუღიმათ. ვიღრე ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდნენ, ხუთი ბრძენი
ქალიშვილი, სიძე და პატარძალი შინ შევიდა, კარები ჩაკეტეს, რომ
დაუპატიჟებელ სტემრებს არ შევწეობინათ და არხეინად გამართეს
ქეიფი. გავიდა ცოტა ხანი და ვიღაცამ დააკაუნა. ეს იყო ხუთი სუ-
ლელი ქალიშვილი, ზეთი ეშოვათ და დაბრუნებულიყვნენ.

— ვინ არის? — იჯითხა სიძემ.

— ჩვენა ვართ, თქვენი პატარძლის ხუთი მეგობარი, — უპა-
სუხეს ქალწულებმა. — თქვენ რომ ქეიფობთ, ჩვენ არ გვინდა?

— აქამდე სად იყავით, სულელებო? არ იცით, როდის უნდა
მოვიდეს ძე კაცისა? ახლა გვიანაა და მე თქვენ არ გიცნობთ.

მოკლედ, კარი არ გაუღო.

მოკლემა ამ სისულელემ მოციქულები ძლიერ გაართო.

მაგრამ ასეთ მხიარულ გუნებაზე რომ არ დასძინებოდათ, იქსომ
მოციქულებს კიდევ უთხრა ერთი არაკი იმის შესახებ, თე როგორ
დადგება ქვეყნის აღსასრული. ეს არაკი ყველამ იცის. თუმცა ეს
არაკი როდია... რაც არის:

— „რაგამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა და ყოველი რი ანგელოზნი მისი მის თანა, მაშინ დაჯდეს საუდართა დიდებითა სა თვისითა. და შექრბეს წინაშე მისა ყოველი ნათესავი და განარჩინეს იგინი ურთიერთარს, ვითარცა-იგი მწყემსმან განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან. და დაადგინნის ცხოვარნი მარჯვენით მისა, თიკანი — მარცხენით. მაშინ პრეზას მეუფემან მან მარჯვენითთა მათ: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითაგან სოფლისათ. რამეთუ მშიოდა, და მეცი მე ჭამადი; მწყუროდა და მასვით მე; უცხო ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხვედით ჩემდა. მაშინ მიუგონ მას მართლთა მათ და პრეზან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასვით შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ შენ? ანუ შიშველი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა? და მიუგოს მეუფემან მან და პრეზას მათ: ამენ გეტყვი თქვენ: რაოდენი — რაი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ. მაშინ პრეზას მარცხენითათა მათ: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ემმაკისათვის და მსახურთა მისთა, რამეთუ მშიოდა და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა და არა მასვით მე; უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ; შიშველ ვიყავ და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა და არა მოხვედით ჩემდა... და წარვიდნენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი — ცხოვრებასა საუკუნესა“ (ზათე, 25, 31—46)*.

სხვა სიტყვებით: გამოწმდება მაცხოვარი, გაიხსნებიან საფლავები, ყველა ჩონჩხს ისევ ხორცის საფარველი გავკვრის, დაქუცმაცებული კიდურები შეერთდებიან, და თვით ის ბეღმავნი, რომელთაც ჟეპანასკნელი თავშესაფარი ნახეს კაციჭამიების კუჭმი ან მტაცელ ნადირთა ნაწლავებში, მარჯვედ გამოძრებიან ცოცხალი სავა-

* აქ დამოწმებელი ტექსტი უდევს საფუძვლად მიქელანჯელოს უნივერსულ ქმნილებას „განკითხვის დღე“, რომელშიაც სამსამდე ფიგურაა, ქრისტეს აწერილი მარჯვენა და დაწერული მარცხენა ხელი — ის ლერძია, რომელიც საშინელ სამსახუროს ბორბალში ატრიალებს კაცთა მოდგმას: მართალთ ზეცაში აშკარა და უკვიდრებს, ცოდვილებს კოქოხებში იგზავნის. ლვოსმშობელი შეიძრებულია, პეტრე მესიას შიშით ტაძრის გახალებს აბირებს. სიქსტინის კაპელის ამ ფრესკაზე შემცველი ფიგურები პაპმა უგა-მოსვინა მხატვარს, რომელსაც დაცინვით „მუშარვლა“ უწოდეს.

ნევბიდან, რათა დიდ სამსჯავროს შატოვარს წარუდგეს ყველა, მთელი და უკნებელი. მიღიარდობით და ასეული მიღიარდობით ადამიანი, ვისაც კი ოდესმე უცხოერია, იოსაფატის ვიწრო ჭალაში შექმნდება. მაშინ გამოცხადდება მრისხანე მსაჯული, ცეცხლოვან ღრუბლებზე შემდგარი, არა ისეთი ღმობიერი, როგორიც იქრუსალიმის გარეუბანში დაეხეტებოდა მშიერი, ფარისეველთა შიშით ქალაქიდან გასული. იქნება ჭექა და ქუხილი, ოღონდ წვიმა კი არა, მარტო მეხი გავარდება. ანგელოზები ბუქ-ნატარას დააქეხებენ და ისეთი ხმაური ატყდება, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობს, ეს იქნება საშინელ სამსჯავროს დასაწყისი: „ადექით! სასამართლო მოდის!“ სამსჯავროს შეადგენს მარტო ერთი უფალი ღმერთი, მაგრამ რამდენადაც ის სამსახოვანია, ამდენად უორმალური მშარე დაცული იქნება: ერთი მოსამართლე იქნება, ორიც მსაჯული. საქმის გარჩევა ერთ წამს ითხოვს, მეტს არა.

— ცხვრები მარჯვნივ! — შესძახებს მოსამართლე. — თხები მარცხნივ!

ცხვრები აღმოჩნდებიან იმ კატეგორიის მორჩილი ადამიანები, რამელთაც მღვდლები ღოცავდნენ, დანარჩენები — ურჩები — თხები იქნებიან. განაჩენიც ხომ მოკლე იქნება:

— დაღოცეილო ცხვრებო, — იტავის თავმჯდომარე, — ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე დატებით ციური სასუფევლით და მთელი მისი სიხარულით. თქვენ კი, წყველო თხებო, ამდენივე ხანს იხრაკებოდეთ ჯოჯოხეთურ ცეცხლში და ვერ შეიხრაკოთ საკუთარ წევნი! რაც შეეხება ქაჯ-ეშმაკებს, რომლებიც თქვენ მოგხრაკავენ, თვითონაც იმავე ცეცხლში მოიხრაკებიან.

ყოველივე ამის შესახებ ცნობები იხილეთ პირველწყაროებში:
ქრისტეს შესვლა იერუსალიმში -- მათე, 21, 1—2; მარკოზი -- 11, 1—2; ლუკა, 19, 29—44; 21, 37—38; იოანე, 11, 55—56; 12, 12—19.

ლეღვის ხის დაწყევლა — მათე, 21, 18—22; მარკოზი -- 11, 12 — 14.

მოვაჭრეთა აწიოკება ტაძარში — მათე, 21, 12—17; მარკოზი, 11, 15—19; ლუკა, 19, 45—48.

ბრძენთა ვიზიტი იესოსთან — იოანე, 12, 20—50.

ორი შეიღის იგადი — მათე, 21, 28—32.

- მეცნახე-შევლელთა იგავი — მათე, 21, 33—46; მარკოზი, 12,
 1—12; ლუკა, 20, 9—19.
 ქვისრის დინარები — მათე, 22, 15—22; მარკოზი, 12, 13 —
 17; ლუკა, 20, 26.
 სადეპეველთა კითხვა — მათე, 22, 23—33; მარკოზი, 12,
 18—27; ლუკა, 20, 27—39.
 შწიგნობართა კითხვა — მათე, 22, 34—40; მარკოზი, 12,
 28 — 34; ლუკა, 20, 27—39.
 ფარისეველთა წყევლა-მხილება — მათე, 23, 1—36; მარკოზი,
 12, 38—40; ლუკა, 20, 45—47.
 ქვრივის წელილი — მარკოზი, 12, 41—44; ლუკა, 21, 1—4.
 ტაძრის ნგრევა — მათე, 24, 1—2; ლუკა, 21, 5—6;
 იგავი ბრძენ და სულელ ქალიშვილებზე — მათე, 25, 1—13.
 განკითხვის დღე — მათე, 25, 31—46.



ოცდაათ ვერცხლად გაყიდული მასინ



შემინ მიეიღდა ქრისტ ათონიშვილთაგანი, რო-
მელსა სახელი ერქვა იუდა ისკარიოტელი
შედელთ მოძღვანთა და პრქვა მათ რა ი
გნებავს მოცემად ჩემდა და მე მიგვე იტი?

და მიერითგან ერიებდა ფაშა მარჯვება,
რაითა მისცეს იყი მათ.

მათე. 26, 14—16



შმაკმა დალახვროს! ტესი დავუს და
იქვე გააქროს გამჩენმა! აღდგეს და და-
ვარდეს! ყველა წმინდა და მშობეობი გაუ-
წყრეს!

თქვენა გგონიათ იუდას წყევლიან? არა,
ასეთი ბოროტი წყევლა წყდებოდა ეკლესიის მთავართა, ფარისე-
ველთა და პერიდეს მომხრეთა ბაგე-პირს, ქრისტეს მტრები კაია-
ფას სასახლეში შეყრილიყვნენ.

ეს მოხდა ოთხშაბათ დღეს. სამშაბათს კი იქსომ დაატეხა მათ
თავზე საკურნო რისხვა და დაღუპვა უწინაშარმეტყველა ჟავთუ-
რებს. განსაკუთრებით ფარისეველნი ცხარობდნენ. „აქლემთამყლა-
პველის“ შედწოდებას კიდევ გაუძლებდნენ, მაგრამ „განგოზილთა
საფლავთა“ ძელებთან შედარებამ შმაგნი უფრო გააშმაგა. ასე ეგო-
ნათ, მართლა აშმორებდეს გვამთა სუნი გვდისო. ზაქარიას მკვლელ-
თა წოდება სომ ამაზე აუტანელი იყო!

— აგერ უკვე სამი წელიწადია ვაპირებთ და სულ ცალცალქი,
— დაიწყო ერთმა გაძვალტყავებულმა ბებერმა აყლაყუდამ. —
ცალცალქე გვაქვს სჯა-ბასი, თუ როგორ მოვიცილოთ თავიდან ეს
უბედური იქსო. შედევი? გეკითხებით, რა აზრი აქვს ამ ჩეენს სჯა-

ბაასს, თუ იქსო დღემდე თავისუფლად დასეირნობს და ცოცხლად გჯრარჩავს?

ბეხრევი ბებრის სიტყვები აღსავს იყო ბალაშით.

— ჯობს ნაკლები ვიყბედოთ და მეტი ვიმოქმედოთ! — მხარი დაუჭირა მეორე ბებრმა, რომელსაც მოსეს წვერები და მიხრწილის ხმა ქვინდა.

— სწორია! კარგადაა ნათქეამი! — ერთხმად დაუდასტურა ყველამ.

კაიაფამ, რომელიც უზენავსი მღვდელმთავრის და თავმჯდომარის უფლებით სარგებლობდა, სიწყნარე მოითხოვა.

— უფალნო, — თქვა, როცა კრება დაწყნარდა. — მოქმედებას, რასაკეირელია, თავისი უპირატესობა აქეს, მაგრამ ის წინასწარ ბრძნელად მოფიქრებული უნდა იყოს. ყველა ჩვენი აღრინდელი ღონისძიება მოწმობს ჩვენს მტკიცე სურვილს, რომ ვიმოქმედოთ, მაგრამ დაუსრულებელი გადადება და შეცერხება კიდევ ეფრო მტკიცედ მეტყველებს ჩვენს კაცომყარეობაზე, შემწყნარებლობაზე და სათნაებაზე. ჩვენ მთელს მსოფლიოს დავუმტკიცეთ, რომ დიდსულოვანნი ვართ და უნარი გვაქვს შეკათანსმოთ მოვალეობის გრძნობა დიდ ხანგრძლივ მოთმინებასთან. დღეს ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი მიეცა. იქსო თავხედობამ და სიტყვასიუხვემ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა! ამიტომ და ამისათვის მოვითხოვ მივიღოთ დაუყოვნებლივ გადამწყვეტი ზომები, მივიღოთ გადაწყვეტილება, რასაც დღეიდან ვეღარ შეცვლის ყოყმანი და შეყოვნება.

— ჟემარიტად! სწორია! ჩინებულია! როგორც იქნა! — ერთხმად დაუჭირა კრებამ მხარი, მხოლოდ ნიკოდიმი შეყოყმანდა ისევ. ეს კაცი საერთოდ თავის შეკავებას ითხოვდა და ამ წესს არასოდეს არ დალატობდა.

— ვის სერს სიტყვა? — იკითხა კაიაფამ.

— მე, — წამოიწია რომელიღაც ფარისეველმა.

— ილაპარაკე!

ფარისეველმა ჩაახველა, გასწორდა და დაიწყო:

— უფალნო, სავსებით ნათელია, რომ საქმე გვაქვს ძალზე საშიშ მეამბოხესთან. თავისი უცნაური და უწვეულო გამოსვლებით მან გარშემოიკრიბა მთელი ბრძო თაღლითებისა, და დარიბ-დატაკთა; აგრეთვე რეგვენთა და აჯამთა, პირებით იშითავს მისა მან-

კიერება, მეორეს ციური სასულევლის აღთქმა, მესამე კბული — საკუთარი სისულელე და გულუბრყვილობა, რასაც საშველი პრა აქვს. ამ გაიძვერების ლაშქარი დღეს დიდ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისათვის, მაგრამ სრულიად უვნებელი და მორჩილი გახდება, თუ წინამძღოლს დაკარგავს. ეს უდავოა. ამიტომაც მთელი ჩვენი ძალიონე იქით უნდა წარვმართოთ, რომ შფოთისთავი მოულოდნელად შევიძყროთ, ისე რომ ბრძოლა ყურადღება არ მივიქციოთ. როცა იქსო ჩვენს ხელში აღმოჩნდება, ჩვენ მას სწრაფად გავუსწორდებით, რადგან არ არსებობს დანაშაული, რაც მას არ ჩაედინოს, არ არსებობს მანკი და ზადი, რომ ამ შტერს არ ამძიმებდეს. მოსეს კანონი დარღვეულია.

— სწორია! ისე ჩამოაყალიბა, როგორც საჭიროა!

გაბატონებული წრების გაქნილმა წარმომადგენელმა, რომელიც მუდამ მზადაა თუნდაც ანგელოზი სატანის ნიღბით შემოსოს, თანხმობით გათამამებულმა ფარისეველმა ჩატრი თამამად განაგრძო:

— დაწყებული იმ მუხლით, რაც ითვალისწინება მისანთა და მომავლის წინასწარმეტყველთა დასჯას საზოგადოების ნდობის ბოროტად გამოყენებისათვის, და დამთავრებული სამუშაო ძალების შემგროვებელთა წინააღმდეგ და მოსული ბრძანებულებით, ხელისუფალთა ნებართვის გარეშე რომ ასაქმებენ ადამიანებს, — ყველა კანონი დარღვეული და შელახულია. საბრალდებო დასკვნის შედგენა სრულიად იოლი საქმე იქნება: აკრძალული კრებები, იარაღის აშკარა და ფარული ტარება, ქუჩებში აღიაქოთის ატეხვა, საიდუმლო საზოგადოება, რაც სახელმწიფოებრივ უშიშროებასა და წესრიგს ემუქრება, მაწანწალობა, მანიფესტაცია, მიტინგები, საჯაროდ გამოტანა ისეთი ღოზუნებისა და სიმბოლოებისა, რაც სიღატაფესა და ურჩობას ეწევს პროპაგანდას, თავისუფლების ქადაგება მონობის ქვეყანაში, მოქმედებით შეურაცხყოფა, სიტყვით შერყევა გაბატონებული რელიგიის საძირკველისა, მოწოდება დანაშაულებრივი აქტების ჩადენისაკენ, შინაგანი განხეთქილების ჩამოგდება, კანონიერი ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაცია, ქურდობა, გაიძვერობა, კელტის მსახურთა შეურაცხყოფა, სახელმწიფო რელიგიის აბურად აგდება, კერძო საკუთრების ხელყოფა, უზნეო ცხოვრება, ოჯახის დაშლისაკენ მოწოდება, არსებული სახელმწიფო წყობილების დამხობის ცდა, ისეთ მოქმედებათა და-

ცვა, რომლებიც არსებული კანონებით კვალიფიცირებულია და-
წაშუალობად, ვაჭრობის თავისუფლებისათვის ძირის გამოიხდის;
ხელისუფლების წარმომაღენელთა წინააღმდეგ მოქმედება და
მათთვის წინააღმდეგობის გაწევა და ასე შემდეგ... ამიტომ, უფალ-
ნო, მივიღოთ შესაფერისი გადაწყვეტილება: როგორც კი პასქა და-
მთავრდება, ხსენებული იქსო დაუყოვნებლივ შევიპყროთ და მა-
შინვე გავასამართლოთ. მე დავასრულე, ბატონებო. გრძლლობთ
ყურადღებისათვის.

აღელებული აუდიტორიის ტაშის ქუხილში ორატორმა აბ-
სურდული ჩმახვა მოათავა და დაჯდა. კაიაფამ საკრებულოს სა-
ხელით მადლობა გადაუხადა.

— თქვენ შესძელით გამოგეხატათ ჩვენი საერთო ფიქრი, —
უთხრა გამოჩერჩეტებულმა მღვდელმთავარმა. — მიიღეთ ჩემი
უგულითადები მადლობა და მოლოცვა. არა მგონია ვინმემ შესძ-
ლოს ასეთი დასაბუთებული და ლოგიკური დასკვნები, ამიტომ
წინადადებას კენჭს ვუყრი.

— სწორია! კენჭი! კენჭი!

— მაშ ვიწყებ კენჭისყრას. ვისაც სურს იქსო დაუყოვნებლივ
შევიპყროთ და საგანგებო საგამომძიებლო ორგანოებს გადავცეთ,
ჩაუშვებთ ბიულეტენს „ზომხრე ვარ“. ხოლო თუ ვინმეს არ მიაჩ-
ნია იქსო დამნაშავედ, — თუმცა არა მგონია ასეთი ვინმე ჩვენს
შორის აღმოჩნდეს, — ჩაუშვებს ბიულეტენს წარწერით „წინააღ-
მდეგი ვარ“.

სინედრიონის კომისიის წევრებმა რიგებში ჩაშოატარეს ურნე-
ბი და მალე კაიაფამ კენჭისყრის შედეგი გამოაცხადა:

მოისმინეს: წინადადება იმის შესახებ, რომ ხსენებული იქსო
პასქის შემდეგ დაუყოვნებლივ შეპყრობილ იქნას.

კრებას ესწრებოდა 247 კაცი.

კენჭისყრაში მინაწილებდა 247 კაცი.

დაპატიმრებას ხმა მისცა 246 კაცმა.

წინააღმდეგი — 0.

თავი შეიკავა 1 კაცმა.

დაადგინეს: წინადადება მიღებულ იქნას ერთხმად.

თავი შეიკავა, რასაკვირველია, შეუპოვარმა ნიკოდიმმა. რაც
მართალია, მართალია, ამ მოლაპარაკებამ საგრძნობი შედეგი უ



მოილო. არა ორაზროვანი და ორჭოფული, არამედ გადაწყვეტილი განადგუნილება გამოიტანეს. მისი აღსრულება უშენაეს მღვდელმცხოვრით გარს დაკისრეს და ის იყო კაიაფას კრება დახურულად უნდა გამოიცხადებინა, როცა სიტყვა ითხოვა ტაძრის გუშაგთა კაპიტანმა. განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობა მაქესო, თქვა, და ყველამ ისევ თავისი ადგილი დაიკავა.

— კაპიტანო, აქვს თუ არა კავშირი თქვენს ცნობას ხსენებულ იქსოსთან? — ჰკითხა იმავე დუხშირმა კაიაფამ, რომელის სახელიც ქვეყნად იმავე იქსოს წყალობით დარჩა.

— დიახ, აქვს.

— იცით, ახლა საქმე ისაა, რომ ჩვენ მხოლოდ იმ შფოთისთავის მოქმედება გვაინტერესებს. მაგრამ რაკი მასთან კავშირი აქვს, ილაპარაკეთ.

— ბატონო თავმჯდომარევ, აგრე ჟეკე რამდენჯერ გიბრძანებიათ ჩემთვის და ჩემი ყოჩალი მუმრებისათვის იმ შფოთისთავის შეპყრობა. მაგრამ იცით თუ არა, რატომ ვერ შევძელით დღემდე მისი შებოჭვა?

— რასაკვირველია, ვიცი. თქვენ მის შესაპყრობად მიღიოდით საუკეთესო სურვილებით, მაგრამ ყოველთვის იმ დროს გისძებოდათ მისელა, როცა ის ქადაგებდა და თავისი ლაყბობით გნუსხავდათ, ისევე როგორც ჩემს მრავალ გაუნათლებელ თანამემამულეს. ასე რომ თქვენ უბრალოდ გავიწყდებოდათ დაპატიმრების სანქციის წარდგენა. მაგრამ განა საჭიროა წარსელის გახსენება? თქვენ ხომ დამპირდით, რომ პირველსავე შემთხვევაში სწრაფად და გადაჭრით იმოქმედებთ?

— სწრაფად და გადაჭრით კი, ბატონო თავმჯდომარევ, მაგრამ სათქმელად ითლია. მომისტინეთ, აგისხნათ. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ იქსო ჩვენ თავისი ქადაგებით გვნუსხავს, როგორც ბრძანეთ...

— გხიბლავდათ.

— მაპატიეთ, ვერ გავიგონე.

— გხიბლავდათ-მეთქი.

— გვებიბლავდა, გვნუსხავდა, ჩემთვის ეს სულერთია. ასე რომ, ბოდიში მომიხდია, საქმე ეს კი არ არის, არამედ ის გახლავთ, რომ ყოველთვის, როცა ბრძანებას გვაძლევდით, თანაც გვაურთხილებდით, აურზაურს ერიდეთო, იქსო კიდევ თაყვანისმცემელთა და თანა-



მოაზრეთა დიდძალი ჯგუფებითაა მუდამ გარემოცული, ღამიწულშე
იოლია უხმაუროდ მისი შეპყრობა. ამიტომ... პირდაპირია

— საქმეშე ილაპარაკეთ.

— საქმე ეს გახლავთ. მე იესოზე ვლაპარაკობ. მაპატიეთ, ბა-
ტონო თავმჯდომარევ და მაღალი კრების წევრებო, ამიტომაც გე-
ბნებით: ახლა სწორედ შესაფერისი მომენტია, საათმა დაპკრა...

— როგორ, თქვენ ამ გახურებულ დღესასწაულზე აპირებთ იე-
სოს. შეპყრობას?

— დიახ, ბატონო თავმჯდომარევ, ესე იგი არა... აქ, იცით, არ-
ის ერთი საგულისსმო წვრილმანი...

— აგვისხენით, ოღონდ მოკლედ მოსჭერით!

— სიმართლეს ბრძანებთ, ბატონო თავმჯდომარევ. აქ საჭიროა
მოკლედ მოჭრა, თორემ თუ გაგვიგრძელდა, მოგეხსენებათ, შეიძ-
ლება ეს საქმე შორს წავიდეს... დიახ, იმას მოგახსენებდით, მაპატი-
ეთ... ამ ბანდის ერთ-ერთი წევრთაგანი...

— რომელი ბანდის? ჩვენი...

— არა... ჰო... ესე იგი, ბატონო თავმჯდომარევ... ხსენებულ
იესოს ბანდისა, ეშმაკმა დალახვროს!

— ჰოდა, შერე, აღარ გაათავებ?

— აი, გეუმნებით, არის ერთი ვინმე, ასე ვთქვათ... მოკლედ,
ხვალისათვის გვპირდება დამნაშავე პირის გადმოცემას... ესე იგი
გაცემას. ხვალ ან ზეგისთვის, როგორც ინებებთ, და თანაც იქ, სა-
დაც ხალხი არ იქნება, ესე იგი ბოროტმოქმედის არალეგალურ
ადგილსამყოფელზე... ესე იგი, შაპატიეთ, თავის საცხოვრებელ ად-
გილზე კი არა, ვინაიდან ასეთი მუდმივი ბინა მაცხოვარს არა აქვა.
მე მინდოდა მეთქვა: ისეთ მიყუჩებულ ადგილზე, სადაც არ იქნება
ხალხის თავშესაყარი, მოკლედ იმ მთაზე ,სადაც იესო იმყოფება
ხოლმე, როცა ხალხში არაა... დიახ, იმყოფება-მეთქი და არა ცხოვ-
რობს, ცხადია, რამეთუ ის არსად არ ცხოვრობს... ერთი სიტყვით,
მე-აშკარად ვიცი, რასაც ვამბობ

— ჩვენც გავიგეთ, რისი თქმაც გინდოდათ, კაპიტანო, თუმცა
თქვენ ვერ გვითხარით.

— მაღლობელი ვარ, ბატონო თავმჯდომარევ.

კასაფა კრებას მიუბრუნდა:

— რას ფიქრობთ ამაზე? — ჰქითხა.

— თუ შესაძლებელია იესოს შეპყრობა ახლავე და ურდაუ-

როდ, შევიპყროთ, — უპასუხა ერთ-ერთმა მღვდელმთავარმა.
მაგრამ ჯერ უნდა მოვესმინოთ იმ ბანდიტს, რომელიც მზადა
თავისი მოძღვარი გასცეს.

— მეც ამ აზრისა ვარ, — დაუდასტურა კაიაფამ.

— ის უკვე აქ არის, — შენიშნა კაპიტანმა.

— შემოიყვანეთ.

გაცი შემოვიდა.

— შენი სახელი?

— იუდა, თქვენო მოწყალებავ.

ნათელ დარბაზში შავი წყვდიადი ჩამოწვა თითქოს.

— შენ იმ იესოს საზოგადოების წევრი ხარ?

— მე ერთი თორმეტთაგანი ვარ, რომელთაც ის მოციქულებს
ჟაბის.

— რამ გაიძულა, რომ შენი წინამძღოლი მიგეტოვებინა?

შეეძლო პირდაპირ ეთქვა: უულმაო, მაგრამ ეს იუდასაც კი
შერცხვა.

— იცით... მის ამხანაგობაში იმისათვის შევედი, რომ ყო-
ველთვის თავისი უფლება მწყეროდა, დამოუკიდებელი კაცი ვიქე-
ბი-მეთქი. მისი სიტყვა მომეწონა, უზრუნველსა და ბეჭნიერ ცხო-
ვრებას ვეპირდებოდა... მერე შევამწინე, რომ ის მქადაგებელი სხვე-
ბივით მატყუარა ყოფილა. შემდეგ რამდენჯერ შემოგვთავაზა თა-
ვისი სისხლი და ხორცი, მე კიდევ მოზიზდი კაცი ვარ, ადამიანის
ხორცს არ ვეკარები... დიდი ხანია ვგრძნობ, რას აპირებს ეს ყმა-
წვილი! მას სურს ისრაელის შეფედ გამოაცხადონ, ახლანდელი
ჩვენი მეფე, პატივცემული ქერძე ტახტიდან გადმოავდოს... მე
კი არ მინდა პოლიტიკაში ჩავერიო. წარმოგიდგენიათ? აჯანყება
უნდა მოაწყოს! ეს რა ჩემი საქმეა? ადამიანი ყრუ და ბრმა უნდა
იყოს, რომ არ იყოდეს რითაც დამთავრდება ასეთი წარმოწყება...
გარდა ამისა, გვაიძულებს ნაქურდალით და მათხოვრობით ვიც-
ხოვროთ... აი, სულ აქლახან, გასულ კვირას, მისი წყალობით ნა-
მდვილ თაღლითობაში გავერიეთ...

— თაღლითობაში?

— ძო ყალთაბანდობაში. ვირი მოგვაპარვინა, რომ იერუსა-
ლიმში იმით შემოსულიყო.

— მაშ ეს მოპარული ვირი იყო?

— აბდ ჩანა ბქას რაიმე თავისი ან პყავს რაიმე საკუთარი?

ვირი ერთ სოფელში აქხსენით... ასე რომ, მე მეყოფა მთელა ეს ზონები, დროა გამოვფხილდე და ხელისუფლებას სამსახურში გვიშავი წით. მე შემიძლია გიჩვენოთ, სადაც იმაღება, და შემიძლია კაშაპა რის მცველთა რაზმით მიღადეს კიდეც შეღამებისას, ან ადრე დილით, ალიონშე. ეს გადასაღები საქმე არაა.

— იუდა, ჩვენ მადლობას გეუბნებით და ვიღებთ შენს წინა-დადებას.

— ჩემი იმედი იქონიეთ. მხოლოდ ჩემი შეცდომის გამოსწორებისა და მთავრობის დახმარების სურვილი მამოძრავებს...

— გასაგებია! გასაგებია! რამდენი გინდა გარჯისათვის?

— ოჟ, ბატონებო, როგორ შეგიძლიათ ასეთი რამე იფიქროთ?

— ყოველგვარი შრომა ითხოვს გასამრჯელოს. შენსან რამდენს აფასებ?

— მე მგონია, ორმოცი სიკილა...

— გეყოფა, არ გადამლაშო! საშუალო მონა ახლა ითხმოცი სიკილა ღირს. მე მგონია, ისეთი დამნაშავე, როგორიცაა იქსო, მონაზე თხხერ ნაკლები ღირს, როგორც არ უნდა გავტეროთ. მოკლედ: ოცი სიკილა ვერცხლი.

— მე არ მიყეარს ვაჭრობა, უფალნო, საშუალოზე შეეთანხმდეთ.

— შენ ოცდაათი სიკილა გინდა?

— ეს მინდოდა მეთხოვა.

— თანახმა ვარ! ჩვენ ხელს გვაძლევს.

— როდის მივიღებ ამ მცირეოდენ თანხას?

— მიღი მოლარესთან, უკლებლივ გადაგითვლის.

არ გასულა ხუთი წეთი, რომ იუდამ თავისი გმობილი სახელის უკვდავსაყოფად ოცდაათი ვერცხლი მიიღო. სიკილა ვერცხლი მაშინ ღირდა ერთი ფრანკი და ოცდასუთი სანტიმი, ოცდახუთი კაპიკი. ამრიგად, თანამედროვეებმა იქსო შეაფასეს შვიდნახვარ მანეთად, მაგრამ რომელმა თანამედროვეებმა? მტერი როდის აფასებს მტერს, თუნდაც ცათა სწორს?

(იხ. მათე, 26, 1—5; მარკოზი, 14, 1—2; 10—11; ლუკა 22, 1—6).*

* მცველობთავართა ყრილობა კაიაფას თავმჯდომარეობით ნაშროვილად შედგა და ითანხმიერეს: როგორ შევიტეროთ, რომ „არა შეუთი იყოს ერთა შერჩისო“, მაგრამ ამბის მიმდევრობა სახარებაში სულ სხევანირია: უშეალოდ აქ მოდის ამბავი იმაზე, თუ როგორ დაასხა თავზე მარიამშა იქსოს ზეთი, რადგან მაცხოვარი უკვე განწირელია (მათე 26, 3—12).

ოჯახური სიხარული — ფერხლა ბანვა ციყვარულით



და ვათარუა სერიმა იყი იყი და ეშმაკი
შესრულ იყო გეღა იუდასა, სიმინის ის-
კარიოტელისა, რათა განსცეს იყი.

იყოდა იქსო, რამეთვ ყოველივე მოშეცა
მას მამამან ხელთა მისთა და რამეთვ
ღმრთისაგან გამოიიყა და ღმრთისა მივამს.

აღდგა სერიმისა მიხვან და დადგა საშო-
სელი თვისი და მოიღო არდავი და მიიჩ-
ტყა იყი.

და მერმე მოიღო წყალი და შთასსა სა-
ბანელსა მას და იწყო დაპანად ფერთა მო-
წაფეთა მათ თეიხთა და წარმომცდა არდა-
გითა მით, რომელ ემისა.

...რამეთვ თქვენ წმინდა ხართ, არამედ
არა ყოველნი.

ოთან, 13, 2-5, 10



უთშაბათს ღილით იქსოს პეტრე და იო-
ანე მიეახლენ და უთხრეს:

— გვისმინე, უფალო. დროა სადღესას-
წაულო ვაშმამზე ვიფიქროთ. პასქაა გა-
ჩაღებული*. სად მოვაწყობთ ჩვენს ბალ-
თაშარის ნადიმს?*

- აბა რა გითხრათ, მეც რომ არ ვიცი! მაცალეთ, მოვიფიქრო...
- იერუსალიმზე ფიქრიც ზედმიტია. კეტ-კომბლით შეგვხდე-
ბიან. შენი იქ გამოჩენა ხომ საერთოდ სახიფათოა.

* პასქა რველი ებრაული სიტუაა, ევვოპტილან გამოსელას აღნიშნავს
და დღემდე სახე არ უცელია არც ერთ ვრაზე (ბერძ. პაქა, ლათ. პასქა,
პასქალია, გერ. პასქა, რუს. პასხა და სხვ.).

— არაფერია! — განაცხადა მაცხოვარმა, რომელსაც თავისი გე-
გმა ქვენდა. — მომისმინეთ, რას გეტყვით. არ დაიზაროთ, ჩადიო
ქალაქში. მისასელელთან გამოლელ-გამომვლელი შეათვალიერეთ.
ვისაც მხარზე ლაგვინით წყალი ქვენდეს შედგმული, მას მიპყევით,
ვიდრე სახლში შევიდოდეს...

— მერე?

— მერე შეხვალთ იმ სახლში.

— ადვილი სამსახურია. მერე?

— იყითხეთ სახლის უფროსი და უთხარით: „სახლის—უფალო,
გეტყვის შენ დიდი მოძღვარი: დაპერა მისმა საათმა. კეთილი ინე-
ბეთ და გვიჩვენეთ ადვილი, სად შეიძლება მოეთავსდეთ-თქო?“
(„სადა არს სავანე, რომელსა პასქა ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვეა-
მო?“). მაშინ ის გიჩვენებთ ფართო დარბაზს, მდიდრულად მოწ-
ყობილსა და ნოხებით დამშვენებულს. იქ მოამზადებთ ყველაფერს,
რაც სანადიმოდაა საჭირო („და მან გიჩვენოს თქვენ ქორი“; დაგე-
ბული დიდი. მუნ მზა მიყავთ ჩვენ“).

ითანე და პეტრე წავიდნენ.

იერუსალიმის გზაზე იესოს ადიდებდნენ:

— რაც გინდა თქვი და ჩვენი შეფის ტოლი კაცი დედამიწაზე
არ მოიძებნება.

— რაც მართალია, მართალია! ყოველთვის რაიმე უცნაურს
მოიფიქრებს ხოლმე.

ქალაქის ჭიშკართან მართლაც შეამჩნიეს კაცი, რომელსაც კოკა
შეედგა მხარზე და სილოეს აუზის წყალი მიპქონდა.

— აი, ეს კაცია, ჩვენ რომ გვჭირდება! — თქვეს მოციქულებმა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იესომ იწინასწარმეტყველა.
მოციქულებს ეს აღარც გაპკვირებიათ. უკვე მიწევულები იყვნენ
ყოველნაირ სახწაულებს და თუ პირველად გაოცებისაგან პირს და-

* როგორც „სახალისო ბიბლიის“ შენიშვნებშიც გვეწერა, „ქორ“ ძველ
ქართულში სახლს ნიშნავდა (საბას განმარტებით „ქორი არს სახლის ერ-
დოშედ სახლი“), საგულისხმო ისაა, რომ სვანეთში დლემდე ასეთი
შენიშვნელობითაა შემონახული: ქორ-სახლი. ბიბლიაში ზუსტად ასეა. ახალ
აღთქმაში ამ აღვილას დედანში ადარბაზია“ (ისე აქვთ ლეთერს — Saal
და რუს მთარგმნელებს — зал). ძველ სლავერში იყო გორიცა. სფანტ-
რი სახლი („დარბაზი“) სწორედ ერთ ფართო საცხოვრისს წარმოადგენდა,
მოლოდ საქონლის სადგომი იყო გმირული.

აღებდნენ ხოლმე, ახლა არაფრად მიაჩნდათ. ადამიანი ყველაფერს უკარისტია და გევევა.

სახლის პატრონმა პეტრეს და იოანეს არ დაუფიცა, ქრისტეს თავგამოდებული თაყვანისმცემელი ვარო, და დასძინა: მოხარული ვიქნები, თუ ვასიამოვნებ და ჩემს დარბაზს დავუთმობო. ეს იყო შერმაღალი დარბაზი.

იერუსალიმის მფლობელი მუსულმანები ამ უკანასკნელ დრომდე აჩვენებდნენ მიმღლოცველ ქრისტიანებს ერთ ადგილს, სადაც თითქოს იქსომ უკანასკნელად ისადილა. მიმღლოცველი ქრისტიანები, რა თქმა უნდა, კმაყოფილი არიან. დგანან, დასცემრიან ამ მიწას, ჰყოცნიან, მტვერს ეამბორებიან და ცბიერ მამადიანებს ფულს აძლევენ.

მართალია, დღეს იქ ცარიელი აღვილია, ქვა ქვაზე არ დარჩენილა და საეჭვოა, იდგა თუ არა აქ ოდესმე რაიმე „ქორი“, მაგრამ ცნობისმოყარე ხალხს ზუსტად უჩვენებენ ნასახლარს, ღვთისმეტყველნი კი დაწერილებით აღწერენ იმ დარბაზს, სადაც იქსომ სერობა გადაიხადა. ამ დარბაზს თაღოვანი შერი პქნია და თეორი კედლები. შეა დარბაზში იდგა დაბალი გრძელი ფერადი მაგიდა, სამივე მხრიდან სტუმრებისათვის მოხერხებული სავარძლები ყოფილა ჩამორიგებული. მეოთხე, თავისუფალი მხრიდან მსახურნი დებოდნენ და სასმელ-საჭმელს აწედიდნენ მონადიმებს. მაგიდა სამი კაცისთვის იყო ძირითადად განკუთვნილი, მაგრამ იქსო თავის მოციქულებიანად ცამეტს შეადგენდა.

ღვთის მეტყველთ ეტყვარი ცნობები აქვთ იმაზე, თუ რა წესითა და რიგით დასხდნენ იქსო და მისი მოციქულები.

„იქსომ, — წერს აბატი ფუარი, — სუფრის შეა ადგილი დაიკირა. მის მხარმარჯვნივ დაჯდა იოანე. საქმარისი იყო თავი გადაეწია, რომ იქსოს გულზე დაუსვენებინა. პეტრეც საყვარელი მოძღვრის გვერდით დაჯდა, იუდაც იქვე დაჯდა.“

ამრიგად, ამ ვერსიით, მირონცხებული აღმოჩნდა ეცოდველ იოანესა და გამცემ იუდას შორის.

ამჯერად საათმა მართლაც დაკკოა. იქსო საუცხოო ხასიათზე იყო. ძალიან კარგად იცოდა, რა ტანჯვა-გვემის გზაც ედო წინ, არაერთხელ უთხრა ეს მოწაფებს, მაგრამ ახლა მხოლოდ სერობაზე ფიქრობდა.

— მა მომიგა უდიდესმა სურვილმა, რომ პასქა თქვენთან ერ-

თად გაეტეო, ვიდრე თქვენთვის საწამებლად გავიდოდე და სიმრღვე
დავღვრიდე, — უთხრა მოციქულებს.

ამ სიტყვებზე მხიარულად შეასო ფიალა, ღვინით ჰირი დას-
ველა და სუფრაზე ჩამოატარა.

მსახურებმა დიდი ტამტი მოიტანეს ხელის დასაბანად. იესო
წამოდგა.

— ხელის დაბანვა არ გვინდა, — თქვა მან.

— მაგრამ წესის თანახმად ხომ ხელი უნდა დავიბანოთ? — გა-
უკირდათ მოციქულებს.

— მერე რა, მე წესში შესწორებას შევიტან.

ამ სიტყვებზე სახელოები დაიკაპიწა, ზოგი ღვთისმეტყველის
მტკიცებით კი ქიტონიც გაიხადა და წელამდე გაშიშვლდა, მერე
აიღო არდაგი (პირსახოცი), სავსე ტაშტი, და პეტრეს მიუახ-
ლოვდა.

— რას მიბრძანებ, უფალო? — გაუკვირდა პეტრეს. — რა გინ-
და ჩემგან?

— ფეხი! მოიტა, ფეხები უნდა დაგბანო.

— შენ მე ფეხები უნდა დამბანო?

— ქო, გაიხადე.

პეტრემ სანდლები გაიხადა, ნახშირივით გაშაგებოდა დაუბანე-
ლი ფეხი.

— ოქ, ასეთი ჭუჭყიანი ფეხი როგორ იქნება! — აღიარა იესომ.

— მეთვეზე კი ხარ! მაგრამ არა უშავს, მხოლოდ ესაა, მაგარი ჯა-
ფა დამადგება.

დარცხვენილმა პეტრემ ფეხი უკან გასწია.

— არა, უფალო, — ჩაილუდლედა. — მე ვერ მივცემ თავს იმის
ნებას, რომ დასაბანად შენ ფეხი გამოგიწოდო... არასოდეს! („პრეკა
მას სიმონ-პეტრე: არა დამბანე უერხნი ჩემნი უკუნისადმდე!“).

— გეყოფა, ნუ მახვეწნინებ! შენ არ იცი, რა მსურს ამით. ნუ
მიშლი.

— არასოდეს! არასოდეს!

მაშინ სიმონ-პეტრეს მოსატეხად იესომ თქვა:

— „უკეთე არა დაგბანე ფერხნი შენ, არა გაქვნდეს ნაწილი
ჩემთანა“ (იოანე, 13, 8), ე. ი. ვერ შეხვალ ციურ სასუფეველში.

— ეშმაქმა დალახვროს! — შესძახა მოხუცმა. — რაკი ასეა, მე-

ტი რა გზა მაქეს! შეგიძლია დამბანო ხელიც, ფეხიც, თავიც და...
მაგრამ იქსომ თავისი მოციქულის ზედმეტი სიფიცხე გაისჩარჩა
მიერა.

— განბანილს ბევრი ჯახირი არ უნდა: მტკერს ჩამოპან და
შორჩია. თქვენ ისედაც წმინდა ხართ*.

ფერხთა განბანვის მთელი ეს ეპიზოდი სახარებაში დაწვრილე-
ბითაა აღწერილი.

მას შემდეგ, რაც მაცხოვარმა პეტრეს ფეხი გაბანა, დანარჩენა
მოციქულების ჯერი დადგა. ეს პიგინური ოპერაცია ყველას ჩაუ-
ტარდა.

ჩვენ, ცოდვილებს, გვიცინება, ამას რომ ვკითხულობთ. ზოგს ეს
ზიზღა პგვრის. ეს სულ იმიტომ, რომ საკმარისად არა გვწამს
ღვთის შვილი. ახლა ბოსუესა[†] პკითხეო, აღტაცებულია ამ ეპიზო-
დით, რადგან სწამს, ისე სწამს, რომ ექვსტაშამდე მიდის.

„შენიშვნეთ, — ამბობს ის თავის შრომაში „ფიქრები სახარე-
ბაზე“, — შენიშვნეთ, ქრისტე ყველაფერს თვითონ აკეთებს! თვითონ
იხდის ტანზე, თვითონ იღებს არღავს, თვითონ ასხამს ტაშტიი
წყალს, — სულ თავისი ხელით, თავისი ღვთაებრივი ხელით, რომ-
ლის ერთი აღმართვა, ერთი შეხება საქმარისია იმისათვის, რომ
კეთროვანი განიკურნოს, ბრმას თვალი აეხილოს, მიცვალებული სა-
მარიდან ადგეს! აი, ამ ხელებით ასხამს ტაშტში წყალს და ქბანს
ფეხებს თავის შოწაფეებს“.

ასე და ამგარად, ფერხთა განბანვას თურმე განსაკუთრებული
მნიშვნელობა აქვს, რასაც ვერა ვწვდებით ჩვენ, თავხედი სკეპტიკო-
სები, სატანის შეილები. მოციქულებს რომ ფეხს ბანდა, ამით იქსო
თურმე ცოდვებისაგან წმენდდა მათ.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან ჩამოპანა იუდასაც უდიდესი
ღალატის ცოდგა! ამ ნაძირალამ ხომ თვითონ მას მოსდო სარმა! თუ
ისკარიოტელს ეს არ ეხება?

იქსომ დაასრულა მოციქულთა ქვედა კიდურების განბანვა და
ისევ თავის სავარძელში დაბრძანდა.

* აქ გამოტოვებულია დეტალი, რასაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს
და რისთვისაც „ფერხთა განბანვის“ მთელი ცერემონიალი ჩიტარდა:
თქვენ ისედაც წმინდა ხართ, ოლონდ არა ჟველანიო (ცელისხმობს იუ-
რას).

— იცით, რა გავაკეთო ახლა? — პეითხა მოწაფეებს.

— რა თქმა უნდა! ფეხები დაგვბანე.

— დაიცადეთ! ნე მაწყვეტინებთ სიტყვას... „თქვენ მზადით შე:

მოძღვარო და ეფალო, და კეთილად სთქვით, რამეთუ მე ვარ? უკეთუ დაგბანნე ფერხნი თქვენნი, უფალმან და მოძღვარმან, და თქვენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერხთა (თქვენც უნდა და-ბანოთ ფეხები ერთიმეორეს). რამეთუ სახე მიგეც თქვენ: ვითარ-ცა—ესე მე გიყავ თქვენ, ეგრევი თქვენცა ჰყოფდით... უკეთუ ესე იცოდით, ნეტარ ხართ, უკეთუ ჰყოფდეთ ამას” (იოანე, 13, 13—17).

ახლა კი, ძვირფასო მეგობრებო, შევეძლეთ და ვიხაროთ იმით, რომ თვისაც შევიკრიბენით.

საიდუმლო სერობა დაიწყო*.



ჩატაელი. „სიმონ, გიუვარვარმეა?”

* საიდუმლო სერობა (ლათ. ალტარისაკრიმენტი, ევერისტიკა, კომუნი-ლი) — საქრისტიანოს ერთ-ერთი უწმინდესი დღესასწაულია ქრისტიანი უკანასკნელი გამოსამშეიღობებელი ნადიმის სახსოვრად. ხელოვნებაში მისი ასახვა დაიწყო VI საუკუნიდან (წმ. პოლინიას ნუოვის მოზაიქა ჩავრცელდა).

ერისთავის სისხლი და ხორბი ანუ არც ფიალი, არც ლვილი



და იყო ერთი მიურდნობილ მოწიაფეთა
შისაუგანი წიაღთა თანა იქმუისთა, რომელი-
ები ჩატარდა იქმუს.

წამ-უყვენა მას (ანიშნა) სიმონ-პეტრე, რა-
თა პეიოზოს, ვინ არს, რომელისათვის იტუ-
ვის?*

მიუკრძნა იგი მკერდსა იქმუისსა და პრევა
შის: უფალი, ვინ არს?

მიუკრ იქმუ და პრევა: რომელსა მე და-
უწო პური და მივსცე, იგი არნ. და დააწი
პური და მისცა იუდას სიმონისსა, ისეარიო-
ტელია.

თანა, 13, 23-26



უკმასა და ლუკმას შეა იქსო ჩაფი-
ქრდა. მოძღვარი მძიმე ფიქრმა წაიღო: აი
ეს ვაჟბატონი, ჩემგან მარცხნივ რომ ზის,
სარმის გამოდებას მიპირებსო. ციურმა
უფალმა მუხთალს გადაკრელი სიტყვია
ანიშნა, ჩემი გაცურება აგრე ითლი არ არის და თუ ნებას გაძლევ
შენი ბნელი საქმე მოლომდე მიტანო, მხოლოდ იმის გამო, რომ
თვითონ ასე მსერსო.

ამ დროს სუფრასთან მხოლოდ ამინდზე ბაასობდნენ, ესე იგი
არაფერზე.

იესომ მოწაფეებს მოაგონა, დიდი მოვლენები ახლოვდებაო,
ამინდზე ლაპარაკის დრო როდიაო.

* მოციქულთა გაკვირვება გამოიწვია იესოს სიტყვებშა, ცოტა ზემოთ
ნათქვამა: „რომელი ჭამდა პურისა ჩემ თან, ალილო ჩემ ზედა ბრკალი
ჩისათ.“

— ჩევნ აქ ვნადიმობთ და არაფერშე არ ვდარდობთ, ხომ მართლია? — დაიწყო მესირ იქსომ. — ჰოდა, უმაღლ, გვდინე მჭევენი იხილავთ ალიონს, მე შეადღეს, მოხდება რაღაც ისეთი, რაც ჯერა არავის უხილავს. აი, ნახავთ, აი, ამ ძველი წმინდა წიგნების გროვაში არის ზოგიერთი ისეთი წინასწარმეტყველება, რაც უნდა აღსრულდეს. მე გეტყვით თქვენ: ის, რაც უნდა აღსრულდეს, უდავოდ აღსრულდება. ვინც ჩემთან პურს შეეძლეთ, ის აღმართავს ჩემს თავის კლანჭებსაც! ამას ახლავე გარკვევით გეუძნებით, რომ როდესაც წინასწარმეტყველება აღსრულდება, თქვენ თქვათ: „ხომ სედავთ? ჩევნი იქსო იმნაირებს არა პევს, შავსა და თეორს რომ ვერ არჩევნ ხოლმე!“*

* მოციქულთა განლაგებაც და მათი პოზაც ამ მოპენტში, როცა იქსომ თქვა: ერთი თქვენგანი გამცემსო, უკადავოფილია აღორძინების ტიტანის ლეონარდო და ვინის „საიდუმლო ხერობაში“, რაც მილახის სანტა მარია დელე გრაციას ტაძრის კადეცხე შეასრულა ქერცოვ მოჩინს და მინასტრის პრიორის დავალებით და რაც უამთა დენაშ ძლიერ დააზიანა, მაგრამ შემონახულია ბრწყინვალე რეპროდუქციებით და ასლებში. სურათის ხილების ღრუს შილებული შთაბეჭდილება შშენირად აქეს აღწერილი გამოჩენილ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეს აკადემიკოს ვაქტორ ლაზარევს: „ტბაში ჩომ ქვას ჩავაკლებთ და ზედაპირზე სულ უფრო ფართო წრეებს გაუშევა, სწორედ ასე განუზომელი ზეგავლენა ნოუზდენია სრულ დროილში თქმელ იქსოს სიტყვის კრებულზე, რომელიც წუთის წინ სრულიად დაშვეიდებული იყო განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება ღაუტოვებია იმ სამ მოციქულზე, ქრისტეს მხარმარცხნივ რომ სხედან. ისინი ქმნიან განუყოფელ ჯვეულს, ერთიან ნებისყოფას და ერთნაირ მოძრაობას აყოლილს. ახალგაზრდა ფილიპე ზენე წაშოკრილა, გაურკვეველი კიოხების ნიშნად შესცემის იქსოს. იყობი, უფროსი, აღმფოთების ნიშნად ხელებგაშლილი, ოდნავ უკან ვადახრილა. თომას ხელი აუწევება, თათქოს ანგარიში უნდა მისისუს მომხდარ მმაგასო. ქრისტეს მარჯვენა მარტეს მფდარ სამეცელს კი სულ სხვაგვარი განწყობილება ღაუფლებია. ცენტრალური ფივერიდან საქმიან დამტრებულ მეტი თავშეკვება ეტუბათ. შეკვეთრად მიბრუნებული შავი იტა ხელს უკერს ვერცხლით საეცე ჭიათ და შეშინებული შესცემის ქრისტეს. მისი ღარჩრდილული მახინი სახის ტლანქი პრიფილი სრულ კონტრასტა ქმნის პირმშევრის და ვახსივოსნებულ ითანეს სახესთან, უმწერდ რომ ღაუხრია თავი მეტებებე და ხელები მაგიდაზე ღაუწევა წყნარად. იტასა და ითანეს შორის სოლივით გამოკრილა ჭალარა პეტრეს თავი. ითანესკენ გადახრილა, მარცხენა ხელი მხარზე დაუსვენებია, რაღაცას ჩასახის უფრში, მარჯვენა კი მახეილისათვის უტაცნია, მზალაა დაიცვას მოძღვარი. სამნიც ბოლოდან აუქერდებიან ქრისტეს: რომელია მოლალატე?...“

ამ სიტყვებზე აღმაცერად გადახედა იუდას, მაგრამ იუდამ ისე-
თი სახე მიიღო, ვითომ გადაკრელი ლაპარაკი ვერ გაიგო. — გემმარიტად, ჭემმარიტად შეტყვით თქვენ, — განაგენდოთთავა
იქსომ, — რამეთუ ერთმან თქვენგანმან გამცეს მე! და რომელი ჭამ-
და პერსა ჩემ თანა, აღიღო ჩემ ზედა ბრჭყალი მისი!

— უფალო, უთეოდ დაგვცინი, — უთხრეს მოციქულებმა. —
რომელი ჩვენგანი გაცემს, მაცხოვარ? შენ ხუმრობ.

— არა, ძვირფასო მეგობრებო რა მეხუმრება! — სულიანად
გაიღიმა იქსომ.

— მაშინ ვინ არის გამცემი? მე? ვინაა?

იქსომ მიუგო:

— ერთი თორმეტთაგანი. კერძში ჩემთან ერთად ჩაპყოფს ხელს
და ვინც ჩაპყოფს, ის გამცემს მე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მიმღენტში მარტო იუდა არ პყოლ-
და ხელს კერძში პერის დასალბობად, თორემ მაშინვე მიხდებოდ-
ნენ, ვინც იზრახავდა ავ საქმეს და იმავე ხალამოს გაუსწორდებოდ-
ნენ პირშავს.

იქსო კი მხილებას განავრძობდა:

— რა ვინდათ? — ამბობდა. — ეს ცაშე წერია. გეგმა წინას-
წარ შეგვიდგენია მე და მამაჩემს უფალ ღმერთს. მე უნდა შევე-
წირო ადამიანებს და უნდა გავხდე დალატის მსხვერპლი. სხვა გა-
მოსავალი არაა. მაგრამ ვაი მას, ვინც მე გამცემს! ის უჯობდა იმ
ადამიანს სულაც არ შობილიყო! („უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა
შობილი იყო კაცი იგი“. მათვ., 26, 24).

დარწმუნებული ვართ, იუდა თავს ტყევში ჟრა გრძნობდა
თავს არხეინად. „ემაქმა დალახვროს! — ამბობდა გულში. — ნე-
თუ მიმიხვდა?“

თავისი ქცევა რომ მოეზომა, დაიხარა და იქსოს ყურში ჩასწრ-
ნელა:

— მითხარი, უფალო, მე ხომ არ გაძლევ?

იქსომაც წყნარად უპასუხა:

— ეს შენ თქვი, იუდა, შენ!

მოღალატეს ცხვირიც კი დაუგრძელდა. ეპვე აღარ ეცვებოდა,
რომ აგერ ამხელენ და შობის დღეს აწყევლინებდნ. მაგრამ იქსო დუმ-
და, იუდაც დარწმუნდა, რომ არა აქვს განსრახული დამნაშავე გან-
სასჯელად კრებულს გადასცეს. თავისუფლად ამოისუნოქა და გული

შოეცა. ამასთან ალბათ ასე გაიფიქრა: „თუ მართლა, განუზრახავს, რომ ტაძრის გუშაგებს მისი თავი მე გადავცე, მაშინ მის წერას გასრულებ და მოსარიდებელი რა მაქვს? ვინ იცის, გულის სიღრმეში ალბათ კიდეც უხარია, რომ საქმე ასე მოწყო. უფლის ნება მიუწვდომელია. ამ შემთხვევაში მე მხოლოდ იარაღი ვარ უფლის ხელში. ასე რომ, ვიდრე ნება დათისა აღსრულდება და ჩემს მისიას აღგასრულებ, ერთი გემოზე გამოვდე უნდა“.

ამრიგად, იუდაც მისიას ასრულებს. ქვეყანას ვინცა სძაგს, ის ქვეყნის მხსნელად სახავს თავს. იუდამ რჩეული ღვინო გადაპყრა. იუდა სვამდა და ჭამდა სამის მაგირ. მოკლედ, პასქის სუფრას სათანადო პატივი მხოლოდ იუდამ სცა. მოღალატენი ღორწი არიან.

ნადიმის დასასრულს იესომ ერთი მოზრდილი შოთი პური აიღო და კიდე წაატება.

„ამას რას ვხდავთ? — გაიკვირვეს მოციქულებმა. — ნუთუ ჯამზე ეერ მოუკლავს შიმშილი?“

ყველა მირონცხებულს მიაშტერდა.

მაცხოვარმა პურის ნატეხი ასწია და თქვა:

— მე დიღი ხანია გელაპარაკებით, რომ ჩემი სისხლი სასმელია და ხორცი — საჭმელი. მოვა-მეოქი დღე, როცა ჩემს სისხლს დალევთ და ხორცს შეჭამთ. აი, ეს დღეც დადგა.

— ეფალო, შევვიწყალე! — ერთხმად შესძახეს მოციქულებმა, თუმცა ჟყვე მიჩვეული იყვნენ წინამძღოლის ხუმრობას.

— მე არ გეხუმრებით. ეს დღე დადგა.

მოციქულები გაონებულები შესცემოდნენ ერთიმეორეს. დღე მეტად ბევრი საიდუმლო თავსატეხი გაუჩინა მათ მოძღვარმა.

— მაგრამ ნუ ღელავთ, — განაგრძო ქრიტემ. — არ იფიქროთ, რომ სისხლი ძარღვებიდან უნდა დალიოთ და ხორცი ჩემი... პა, ნახეთ ეს პური! ხედავთ?

— ვხედავთ!

— მაშ იცოდეთ, ეს პური — ჩემი ხორცია. რა თქმა უნდა, გარეგნულად ის არა ქვავს ხორცსა, მაგრამ გარეგნობას ნუ ერწმუნებით, შეგაცდენთ. ეს პური, აქვე თონეში გამოცხობილი, სინამდვილეში ჩემი ხორცია. შეჭამეთ და ჩემს ხორცს ეზიარებით. ნუ დააჭყიტეთ თვალები, სრულიად ბეჭითად გელაპარაკებით!

შემდეგ იოანეს და პეტრეს მიუბრუნდა:

— „მიიღეთ, ჭამეთ, რამეთუ ესე არს ხორცი ჩემი“. გამედულად გადაყლაპეთ!

ესეც ერთი სცენა, რომელშიაც ჩვენ, უბრალო ცოდვილნი ვხედავთ მხოლოდ აზრისა და გრძნობის გაუკედმართებასა და უბრალო აზირებას. წმინდანები კი, ისევე როგორც მღვდლები, დარწმუნებულნი არიან, რომ იქსო თავის მოწაფეებს არ დასცინდა.

შემდეგ იქსომ აიღო თავისი ფიალა და იგივე სისულელე სისხლის მიმართ გაიმეორა:

— „მიიღეთ და სვით ამისგანი ყოველთა, რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი ახალია აღთქმისაი, თქვენ მრავალთათვის განტეხილი მისატევებულად ცოდვათა“ (მათე, 26, 27—28). ერთი შეხედვით ეს ღვინოა, სინამდვილეში კი სისხლია ჩემი, თქვენთვის დაღვრილი. ამიტომ ნუ იმანჭებით, მეგობრებო, სვით სისხლი ჩემი, ეს არც ისე უგემურია!

მოციქულებმა შეებით ამოისუნთქეს. ასეთი სისხლის დალევა ყოველთვის შეეძლოთ, ოღონდ პქონოდათ. ამიტომ ბევრი ხვეწნაც აღარ დასჭირდათ.

ასე ჩაეყარა საფუძველი საუკუნო რიტუალს ზიარებისას. სახარების ამ ადგილს იმოწმებენ მღვდლები, როცა უთენია საუზმის მოღოდინში თეთრ ან წითელ ღვინოს მიირთმევენ და თან ისეთ სახეს იღებენ, თითქოს რაღაც უდიდეს საიდუმლოს ეზიარებიან, რაიც ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელია.

შემდეგ იქსომ დასძინა:

— როცა მე თქვენს შორის აღარ ვიქნები და თქვენს ძვირფას მოძღვარს მოიგონებთ, ისე გააკეთოთ, როგორც გითხარით, ესე იგი ჭამეთ და დალიეთ, ეს იქნება ჩემი გახსენება.

უნდა შევნიშნოთ, რომ აქ იქსომ ერთხელ კიდევ გაკენწლა მოღალატე, რომელიც იმავე დარბაზში იჯდა მართალთა შორის. ეს იმიტომ მოხდა, რომ პეტრემ ამ საკითხის ბოლომდე გაღაწვეტა მოიწადინა. იმ დროს იოანემ, რომელიც ქრისტეს ასე გულით უყვარდა, მაცხოვარს მკერდზე თავი მიასვენა და ამით უკმაყოფილო პეტრემ იდაყვი წაპკრა, თან ჩასძახა:

— რაკი ასე ახლობელი და საყვარელი ვინმე ხარ, ქეითხე, ვინ არის ჩვენს შორის გამცემი.



იოანემ თავი წამოსწია და კითხვა იქსოს გაუმეორა.

„მიუგო იქსო და პრეზა: რომელსა მე დაუწო პერიდაში ქვეყანა
ივი არს, და დააწი პური და მისცა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელ-
სა. და შემდგომად მიღებისა პურისა მის, შევიდა მისა ეშმაკი“.

იუდა არ მოელოდა, თუ ამჯერად იქსო ასე პირდაპირ გასცემ-
და მის საიდუმლოს და გაანდობდა ერთ-ერთ მოციქულს. ამიტომ
გამოწიოდებული პური არხეინად გამოართვა და მიირთვა.

„აქ, არამშადა, ეგ პირშავი იუდა!“ — თქვა გულში იოანემ.

მაგრამ საყვარელმა მოწაფემ თავისი აღშფოთება თავისთვისვე
შეინახა: სახარებაში არსად არაა ნათქვამი, რომ ვერაგი გამცემის
მხილება განეურახოს.

დრო კი გადიოდა. იერუსალიმშე ღამის ბინდი ჩამოწეა.

— მომისმინე! — მიუბრუნდა ქრისტე იუდას, — შენ საქმე
გაქვს, ნუდარ აყოენებ, წადი ბარემ და გააკეთე!

— რა საქმეს ბრძანებ, ო უფალო! რას მეუბნები?

— პო, პო, გეყოფა, წადი, სადაც გეჩქარება, დროზე!

იქსოს უნდოდა ყოველივე ამას ბოლო მოღებოდა.

მოწაფებმა გარკვევით გაიგონეს მისი უკანასკნელი სიტყვები,
მაგრამ ეცონათ, რომ იუდას კიდევ რაღაცების ყიდვა დაავალა სა-
დღესასწაულოდ: იუდა ხომ მათი საერთო სალაროს გამგებელი-
იყო!

მხოლოდ იოანეს შეეძლო გაეგო, რაც ხდებოდა სინამდვილეში—
ჩან ნახა, როგორ გამოართვა იუდამ იქსოს პური და მაშინვე გაეი-
და. ახლა გამცემს აღარავინ აკავებდა. სინდისის ქენჯის უკანასკ-
ნელი ნატამალიც გაუქრა და ტაძარს მიაშურა.

მისი წასელის შემდეგ სულრაზე საუბარი განახლდა.

იქსო მოციქულებს მიუბრუნდა და უკანასკნელი რჩქვა-დარიგე-
ბები მისცა. თავის შვილებს ეძახდა და ლაპარაკობდა იმ მიეწვდო-
მელ ადგილზე, საითაც ის მიდის და სადაც ვეღარავინ გაქცევება.

პეტრეს არც ერთი სადღეგრძელო დაულეველი არ დარჩენია და
გელაჩვილებული იყო. იქსოს ყოველ სიტყვას ხარბად უსმენდა:

— „აქ იდიდა ძე კაცისა, და ღმერთიცა იდიდა მის თანა... შვი-
ლინო, მცირედ ტამს თქვენ თანა ვარ. მეძიებდეთ მე და ვითარება ვარ-
ქვი პერიათა, ვითარმედ: ვიდრე მე მივალ, თქვენ ვერ ხელ-გაწი-

ფების მოსლვად, აწ თქვენ გეტყვი (როგორც ურიებს ვუთხარი, სა-
დაც მე წავალ, იქ თქვენ ვერ მოყვებით-მეთქი, ასევე თქვენ გეუძინებით). მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რათა იყვარებოდით ურ-
თიერთას, ვითარცა მე შევიყვარენ თქვენ... ამით ცნან ყოველთა,
რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ..."

სიმონ-პეტრემ ვეღარ მოითმინა და შესძახა:

— „ეფალო ვიდრე ხვალ? (სად მიხვალ?)“ ჩვენ თან გამოგ-
ყვებით! დედამიწაზე ისეთი ადგილი სად იქნება! სადაც შენ წახ-
თავისი სიმართლე რომ დაემტკიცებინა, ცეცხლს უფრო ახლოს
მიუჩინდა და კონსპირაციის გარვი უნარი გამოიჩინა კიდევ ცი

მოახლე ქალსაც რა ედარდებოდა, მოეშვა და მორჩილი მისალებრ

თავის შეგობარ გოგოებს კი გადაულაპარაკა, იქსოს ახლდათ.

— მართლაც, — დაუდასტურა ერთმა, — შეც გარგად მასოვს
ეს ბებერი! ისეთი ბანჯგელიანი სახე აქვს, რომ იოლად ვერ დაივი-
წყებ.

მერე პეტრეს მიუახლოვდა, რომ უფრო გარკვევით დაენახა.
მოციქულს ეკვი ნერვებს უშლიდა ეს თვალთა ჭყეტა და ზვერვა.
შუბლი შეიკრა.

— ეს კიდევ ვინდაა? რას ამეციდე, ვოგო, მოგეწონე? — გამო-
ცრა კბილებში წყენით. — ვინ ოხერი ხარ?

— კარგით ერთი, ნუ იგინებით! — შეწყრა მოსამსახურე ვოგო.
— აქ შენისთანები ბევრი ველაზავს! შენც კეფიდან ტერფამდე გი-
ცნობთ. შენ მართლაც იქსო ნაზარეველს ახლდი სხვებთან ერთად.
გადათქვამ?

სიმონ-პეტრე მოთმინებას კარგავდა.

— გამიგონეთ, — უთხრა თავხედებს, — საქმიანად ვიღაპარა-
კოთ. გარკვევით გეუბნებით, შემცდარი ხართ, ვიღაცაში გეშლე-
ბით. ხოლო თუ მეხუმრებით, ეს ურიგო ხუმრობაა. ვინმე სხვას გა-
ეხსმრეთ, მე კი მომასვენეთ.

— ერთი მაგას შექედეთ! — არა ცხრებოდა მოახლე ქალი. —
გაჩემდი მაინც, ან ასე ვინმე შინაბერა გააცურე შენი იგავებით.
ჩემია, ბატონო, პირველად კი არ უთხოვდებით, უკვე ბევრ ვინმეს გა-
ვუსინჯეთ კბილი. ჩვენ ისიც ვიცით, რომ შენს ღვთისმგმობელ ბა-
ტონს დაკვებოდი, ღვთის პირისაგან გავარდნილს, და რაც არ უნ-
და გადაფიცო, აღარავინ დაგიკერებს.

— აგრემც გაგისივდეს ენა, თავი და ღვიძლი! — შექვეირა
პეტრემ. — ქალს რომ თავში რაიმე შეუძვრება, მორჩა, მისი საშვე-
ლი არ იქნება! გეუბნები, არ ვიცი; არ ვიცი-მეთქი, და მორჩა! ეშ-
მაქსაც წაუღია თქვენი თავი!

ამ დავას ერთ-ერთი ჯარისკაცი უსმენდა და ბოლოს თქვა:

— შენ მართლა იმ კრებულიდან ხომ არა-ხარ? მართლა გვე-
თხები.

— მართლა გეუბნები, არა-მეთქი.

— ქო, რაკი არა, შენი ნებაა.

ამჯერად პეტრეს დაუკერეს. ყოველ შემთხვევაში, მოასეუნეს და კიდევ დიდხანს თბებოდა ცეცხლთან.

თავისდა საუბედუროდ, პეტრემ თავი დასარხეინა, ხალხში გა-
ერია და იმის ნაცვლად, რომ თავშესაფარი ეპოვა და არალეგალურ
მდგომარეობაში გადასულიყო, მათვილი სიტყვების ფანტვა დაიწ-
ყო. ასე ყბედობდა, ვიდრე მეორე ჯარისკაცმა არ შეპყვირა:

— ათასმა ეშმაქმა დამლახვროს, თუ ვტუზოდე! რა თქმა უნდა,
იმ იესოს ბანდის წევრია! თვალს ნე გვიხვევ, მოხუცო, აქცენტმა
გაგცა: შენ გალილეველი ხარ.

— დაიცა! — ამეტყველდა მღვდელმთავრის ერთი მონაც. —
რასაკვირველია, იმ ნაზარეველი ხუროს შეგირდთაგანი ხარ! მე მახ-
სოეს კიდევაც, ამ გასულ დამეს გნახე ბაღში მასთან ერთად. კარ-
გად მახსოეს.

პეტრეს ელეო-მელეთი მოუვიდა. ასე ეგონა, შამფურზე იჯდა.
მონა, რომელმაც პეტრე შეიტნო, სწორედ იმ მოლქის ნათესავი აღ-
მოჩნდა, რომელსაც წინა ღამეს მან ყური ჩამოათალა.

მაშინ ისევ თავი გამოიდო.

ფიცხლავ მოპყვა თავის მართლებას, იფიცებოდა, რომ რაღაც
უცნაური გარემოებით ეშლებათ ვიღაცაში და ჭარმოდგენაც არა
აქვს, რაზე ელაპარაკებიან. „არა ვარ, კაცო, მორჩა და გათავდა!“

სწორედ ამ დროს მეზობელ საქაომეში მამალმა იყიდლა*.

უცნაური შემთხვევითობის წყალობით, იესოც ახლა შეიყვანეს
ეზოში, რომ კაიაფასთან მიეყვანათ დასაკითხავად. მოძღვარი პეტ-
რესთან გაჩერდა და ბევრის მოქმედი მზერა მიაპყრო. ეს მზერა
ნიშნავდა:

„რას იტყვი, პეტრე, ახლა ხომ დარწმუნდი, რომ სიტყვებს ჰა-
ერში არ ვფანტავ? ხომ გიოხარი, მამლის ყივილამდე სამჯერ მიღა-
ლატებ-მეთქი? აი, მამალმა უკვე იყიდლა“.

* აქ ტაქტილი შენიშნავს, რომ მამლის ყივილის ამბავი ურიად საეპ-
ვოა, რადგან იუდეველი იერუსალამში მამლების კოლას კრძალავდნენ. მაგრამ ეს ვარაუდიც საეპვოა. ჭერ ერთი, თუ მამლის კოლას კრძალავდ-
ნენ, მაშინ საერთოდ ქათმის ყოლაც ისევე საეპვოა, როგორც იესოს უბი-
რიდ ჩასახვა, და მერე, მამლებს ბიბლიაშიც ხშირად ვხვდებით (მაგ., იე-
რიქონთან). მესამეც: სახარებაში არ წერია, „მეზობელ საქაომეში“. ბოლოს და ბოლოს, მამალს შეეძლო საღმე მახლობელ სოფელში ეყიდ-
ლა... და არც არის ეს მთავარი!

სიმონ-პეტრეს ისედაც მოაგონდა მოძღვრის სიტყვა—
 სასოწარკვეთილმა მოციქულმა სიფრთხილის გრძნობაც დაკარგდა,
 და სულის სიმშვიდეც გარეთ გაიჭრა და ისეთი ქვითინი მორთო,
 რომ ცრემლებით ერთი თხრილი აავსო. რას იზამ, ადამიანი სუს-
 ტია! ერთხელ თვითონ იქსოც შეყოყმანდა, ხომ მართალია?
 (იხ. სახარებანი: მათე, 26, 58, 75; მარკოზი, 14, 54—72; ლუ-
 კა, 22, 54—62; იოანე, 18, 15—27).



ართ შეცემი. მართომ შავდალინელი.

არამშადა იუდას სამარცხვილო აღსასრული

და ვითარება განცენა, ზრახვა-კეცებ ყოველ-
თა შეღელო მოძღვართა და მოხუცებულთა
ერთხანა იქსონოვის, რათა მოკლან იყო. და
შეკრეს და მიიყვანეს და მისცეს იყი პილა-
ტება მთავარსა.

ჰშინ ვითარება იხილა ფუდა, რომელმან
მისცა იყი, რამეთუ დაისაკა, შეინანა და
მიაქცია ოც და ათი იყი ვებჭლი მღღელი
მოძღვართა შათ და მოხუცებულთა. და თქეა:
ვეოდე, რამეთუ მიგეც სისხლი შარალი.
შოლო შათ ჩექვებ შახ: ჩიენდა რა არს? შექ
ეწყო! (შერე ჩეკ რა? შენ იყით!).

და დააბნია ვეცხლი იყი ტაბარსა შახ ში-
ნა და განეშორა და წარვიდა, შიმოვილ-იბა
და მოკვდა. (ე. ა. თავი ჩამოიხრიო).

შოლო შეღელო მოძღვართა შით შოილის
ვეცხლი იყი და თქევეს: არა ვერ-არს ესე და-
და და სიშინდესა, რამეთუ სახყიდვლი სის-
ხლისა არს... და მოისყიდეს მით ავარაკი
საულავად ეპითა.

ჩათვ. 27, 1-7



ხოველმყოფელმა ავრორამ აღმოსავ-
ლეთში ეკვე გაახილა ნათელი თვალი, რო-
ცა იქსო ისევ წარუდგინეს სინედრიონს.

კაიაფას თავისი ახალი სამოსელი ენა-
ნებოდა, ცოლმაც ბუშდენით აიკლო, ვი-
დაც მაწანწალამ სამოსელი როგორ შემოგახიაო! სინედრიონის
წევრებს კიდევ დილაადრიანად ძილი დაუფრთხეს. ასე რომ, ყვე-

ლამ ერთხამად გადაწყვიტა მალე მოეღოთ ბოლო იქსო ნაშარევენ
ლისათვის.

ვიდრე შინ მკერდიდან ტერფამდე გახეულ ტერის ჟენისავდ-
ნენ, კიაფას მოაგონდა რაღაც ამბავი, რასაც შეიძლებოდა მის-
თვის ბევრი უსიამოვნება მოპოლობდა. საქმე ისაა, რომ იუდეის
დამარცხების შემდეგ მათმა სამსჯავროებმა დაკარგეს სიკედილის
განაჩენის გამოტანის უფლება — ეს გახდა რომის კეისრის ნაცვ-
ლის განსაკუთრებული პრივილეგია.

უნდა ითქვას, რომ კაიაფა ისეთივე თავგამოდებული პატრიო-
ტი იყო, როგორიც ფანატიკოსი. იქსო რომ უბრალო მაწანწალად
მიეღო, კიდევ არაფერი, მაგრამ ის მიაჩნდა ყოველი იუდეველისა-
თვის ფრიად და ფრიად საშიშ მეამბოხედ.

იქსო ყველგან დაბეჭითებით ამტკიცებდა, იუდეის მეუ ვა-
რო. რას გულისხმობდა, ვინ იცის, მავრამ რაც ესმოდათ, აშკარა
იყო. ადრე თუ გვიან მას მიემხრობოდა ხალხი, გამოვიდოდნენ
ქუჩებში, დაიწყებოდა მღელვარება, საქმეში რომი ჩაერეოდა, თა-
ნამოქალაქეთა სისხლი დაიღვრებოდა, ხალხს ახალ გადასახადებს
დააკისრებდნენ და, რაც მთავარია, იერუსალიმის ტაძარს შემოსა-
ვალი მოაკლდებოდა. კაიაფა ყველაფერს ითვალისწინებდა.

„დაუყოვნებლივ უნდა გავასამართლოთ დამნაშავე, — თავის-
თვის ფიქრობდა კაიაფა. — უთვალავ შემთხვევაში გათელა ჩვენი
კანონები და ესათუოდ სამაგალითოდ უნდა დაისაჭოს. ასეთი
სასჯელით რომს დავუმტკიცებთ, რომ არაფერი საერთო არ გვინ-
და გვერდები მასთან და მის ბანდასთან. განაჩენს გამოვიტანთ და
შემდეგ გავაგზავნით პონტიოს პილატესთან — რომის გუბერნა-
ტორი დაუყოვნებლივ გაუსწორებს მას ანგარიშს!“

ჯერ ადრე იყო. შორს იყო ის დრო, როცა იქსოს მოძღვრება
გაიმარჯვებდა თვით რომში და დაიდგამდა პეტრეს ტახტს.

ამრიგად, იქსოს მეორე დაკითხვა მხოლოდ ცარიელი ფორმა-
ლობა იყო, რაც არავითარ ინტერესს არ იწვევდა.

იქსოს ქითხეს, მართლა ქრისტედ თვლი თავს თუ არაო, ე. ი.
მესიად, მხსნელად, რომელიც ებრაელთა სახსნელადაა მოწოდე-
ბული.

— თუ ქრისტე ხარ, გვითხარი, — თუთიყუშივით იმეორებდა
კაიაფა.

ამ წუთებში იქსოს ისევ უმუხთლა ღვთაებრივმა ფუნქციაშ და
შასში დარჩია მხოლოდ სუსტი ნებისყოფის ადამიანი*.

ღმერთკაცმა დუმილით უპსუხა. არც „დიახ“ უთქვაშ, არც
„არა“. ეგონა ამით საქმეს შეიმსუბურებდა**.

— თუ ვიტყვი, რომ ქრისტე ვარ, მაინც არ დამიჯერებთ, —
თქვა ძლიერ გასაგონად, — ხოლო თუ თვითონ დაკიტყებთ კითხვე-
ბის დასმას, არ მისასუხებთ და არ ვამიშვებთ. ამიტომ ჯობს გავ-
ჩიტდე.

— რაფი ბრალდებული ორაზროვან პასუხს იძლევა და ჯიუ-
ტობს, წავიყვანოთ პილატესთან! — ბრძანა კაიაუამ.

კაპიტანმა თავის ყოჩაღ ბეომრებს უბრძანა, შებოჭილი კაცის
წყალება რომ ზედმიწევნით ემარჯვებოდათ, იმათ კიდევ ბრძანების
შესრულება არ დააყოვნეს.

რა მოუვიდა იუდა?

შას შემდეგ, რაც ჯარისკაცებმა გეოსიმანიის ბალი მიატოვეს,
იუდაც ფეხდაუეს მიძყვა მათ და მღვდელმთავრის სასახლეში ამირა-
ყო თავი. ვიღრე სასამართლო და განსხვა იყო, მოღალატე ყურად-
ღებით ადევნებდა თეალს ამბავთა მსელელობას. ბოლოს, როგორც
იტყვიან, ნახა დრო და ადგილი, რომ სინდისის ქენჯა ეკრძნო.

ოცდაათი ერცხლი — ოცდაათი ერანები თუ იკდათხუთმეტი
ფრანჯი და ორმოცდაათი სანტიმი — ისე ემიმა, თითქოს ტყეიისა
ყოფილიყო.

უცრად მიხედა, რაც ჩაიდინა. იქსოს ზოგიერთი ნაკლი და მან-
კი არ იყო საქმაო საბუთი იმისათვის, რომ საზომიარი მუხანათო-
ბა გაემართლებინა, რაც მან, იუდამ ჩაიდინა. გამცემლობა ყოველ-
თვის საზიდარია. ისიც გვიყვირს, რომ იუდამ ეს იგრძნო. ისტო-
რიაშ ბევრი იუდა იცის, მოძღვარი რომ გასცა, მოაკვდინა, საფლა-

* ანალიგისათვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ წმინდა სამსაკრიზე
წარდგენილ ქორდანთ ბრუნოსაც უმუხთლა პირე ხნით ტიტანერმა ნე-
ბისყოფამ, რაც მთავრი ქრისტეს სიმტკიცს არ ჩამოუდებოდა, თა-
ვის შემთლება დაიწყო და პატივაც კი ითხოვა (კენებუაში). ეს აღმანუ-
რი ამავევა, რაც უნებერად სახარებაშიც აისახა თვეისებურად.

** იქსოს დუმილი შეიძლება ცოტა სხეანიჩალაც ახსნას: თუ იტუ-
და, ქრისტე ვარო, სამსაკრიზო რისხეა არ ასდებოდა, ხოლო თუ იტუ-
და, არა, სიცრუე იქნებოდა ამიტომ მხოლოდ დუმილი რჩებოდა.



ეი გაუთხარა, და სინდისის ქენჯნა კი არ განუცდია, რეჟისორული ისკარიოტელი დაუჩრდილავს.

იუდას წუთიც არ დაუყოვნებია, აიღო ქისა, ნამცეცი ვერცხლიც არ დაუხარჯავს, ისე მიუტანა მღვდელმთავრებს და წინ დაულაგა.

— კიდევ რა გინდა? — პკითხეს. — გეცორტაჯბა გასამრჩელო?

— არა, არა! პირიქით, მინდა თქვენი ოცდაათი ვერცხლი დაგიბრუნოთ, მე ის არ მშეირდება!

— დახეთ ამ იუდას! ეს უცნაური ამბავია. ორი დღის წინ ისე გვევაჭრებოდა, თითქოს ბაზარზე იყო და ქრისტეს ყიდდა, ყოველ დინარს ანგარიშობდა, დღეს კი ოცდაათ ვერცხლზე უარს აცხადებს! რა მოხდა?

— დაგიბრუნეთ თქვენი შავი ფული! — შესძახა ბრაზმორეულმა იუდამ. — ხელები მეწვის, თითქოს ნაღვერდლებია! იქსო არც ისეთი დამნაშაულა, როგორც აღრე მეგონა. რა დანაშაული შეუძლევის? მე შევცოდე, „შიგეც სისხლი მართალი“. ვირი ვარ და არამზადა, მეტი არაფერი! დაგიბრუნეთ თქვენი წყული ვერცხლი!*

მღვდელმთავრები ტა უფროსები საგონებელში ჩაფარდნენ. უმწეოდ გადახედეს ერთიმეორეს.

— მომითმინე, ძვირფასო! — თქვა ბოლოს ერთმა. — გვიან გამოგეღვიძა. რაღა დროისაა? იქსომ თვითონვე დაიღუპა თავი და განაჩენს ხელი მოაწერა. ღმერთსა გმობს, თავს ღმერთად ასაღებს... ფული პატიოსანი შრომისათვის მიგიღია და შეგიძლია დახარჯო.

— არა, მე ეს ფული არ მინდა! რომელ პატიოსნებას ამბობთ!

— გარდა ამისა, ფულის დაბრუნება ჩვენს ანგარიშებს აურდაურევს. ვწესვართ, რომ ვეღარაფერს გიშველით. ჩვენ არაფერ შეაში ვართ. როგორც გენებოს, ისე დააღწიე თავი ხ:თაბალას, რაშიაც თავი გაიხვიე.

იუდამ მიაფერთხა მღვდელმთავრებსაც, ფულსაც და ტაძრიდან დაფეხული გამოიჭრა.

იუდა იმ ადგილზე მივიდა, სადაც კედრონი ხინის ნაკადს შეერ-

* იუდას სინდისის ქენჯნა და საერთოდ ეს ეპიზოდი ქლიერ დამაკვერებელია თავისთვალი და მარჯვედ მოგონილი ევანგელისტების შეირ, შია უმეტეს, რომ იქსოს მაინც შეიძყრობდნენ და ეს გამცემლობა მშოლოდ იღესტრიაცია იყო წინამძღოლის ღალატისა საერთოდ.

თვის, თან თოკი წაიღო, ყულფი გააკეთა და თავი ჩამოიხრიო, ვი-
ღაც მექონის ყანაში ხე იდგა და იმის ტოტზე დაეკიდა. წმინდა
მოციქულთა საქმეებში, ამ ცალკე წიგნში, რაც სახარებებს ჰქონდნ,
ნათქვამია, რომ თოკი გაწყდა. გაწყდა და გაწყდეს, ადვილი შესა-
ძლებელია, ჩვენ უყოფმანოდ გვჯერა. იუდას რა თოკი გაუძლებდა,
მით უმეტეს ძველი თუ იყო!*

როგორც ჩანს, იმ დროს იერუსალიმში მიწის ნაკვეთები ჩალის
ფასად, იყიდებოდა, რომ მეორე დღეს, როცა იუდას თვითმკვდელო-
ბისა და რუმბივით გასყდომის ამბავი გაიგეს, იმავე შევდღებმა ის
მიწის ნაკვეთი იყიდეს იმავე ოცდაათ ვერცხლად და იქვე დამარ-
ხეს ქრისტეს გამცები. რას გაიმუტებდნენ, მაგრამ თვითონვე შეემინ-
დათ ამ ფულის დაბრუნებისა ტაძრის სალარიში, რადგან დალატის
ფული ეწმინდერად მიიჩნიეს.

ეკლესიის მნათობები სხვადასხვანაირად აშენებენ იუდას სიკვ-
დილის ამბავს.

ეს საკითხი ბოლომდე შეუსწავლელი დარჩა. ევანგელისტი მათე
ამტკიცებს, წავიდა და თავი ჩამოიხრიო. ლუკა თავის სახარებაში
ამაზე არაფერს ამბობს, „მაგრამ მოციქულთა საქმეებში. მოგვითხ-
რობს, თოკი გაუწყდაო. ევანგელისტი მარკოზი იუდის უკანასკნელი
დღეების ამბავს არ შეხებია. ბოლოს, ითანე, რომელსაც სახარებაში
ამაზე სიტყვაც არ დასცდენია, მერე უცებ თავის საყვარელ მოწაფეს
პაპიასს მოუთხრობს, ის ულირსი მოციქული მაინც შეწუხდა და თა-
ვი ჩამოიხრიო, ე. ი. თავის ჩამოიხრიოსა სცადა, მაგრამ თოკი გა-
უწყდა და ჩამოუხრიობელმა იუდამ კიდევ მრავალი წელი იცოცხ-
ლათ. სადაც არ უნდა ეთქვა, ამას რა მნიშვნელობა აქვს! მთავარია,
რომ იუდამ ეტყობა მართლაც ჩამოიხრიო თავი ან სცადა მაინც, და
ალბათ განზრახ სუსტი თოკით.

მოდი და გაარჩიე ახლა ამ უსსოფარი წარსულის ვერსიების
გროვა, რომელია ტყუილი და რომელი მართალი!

* „საქმე წმიდათა მოციქულთა“ გვაუწეუბს მოლალატის სავალალო
აღსასრულს: „და მან მოიგო დაბა იგი სასუიდელითა მით სიცრუესათა,
და განსინა და განსქდა შორის, და განიბინინეს უოველი ნაწლევნი მისნა.
და საცნაურ იქნა უოველთა მეციდრთა იერუსალიმისთა, ვიღრელა ეწო-
დაცა დაბასა მას იულდამა (დედანშია ჰაკალდამა), ეს იგი არს დაბა სია-
ლისა. რამეთუ წერილ არს... იყავნ სამეცილრებელ მისა ოხერ “(I, 18—20).

რაც შემეხება მე, არა მგონია აქ საჭირო იყოს ჩემი არის
გათმოცემა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იქნა არასოდეს არ არსე-
ბობდა, ისევე როგორც იუდა, მათვ, შარკოზი, ლუკა და ათანტ, და
რომ ყველა ეს სახარება დაწერილია: არა უაღრეს II ააჟუნისა ჩვე-
ნი წელთაღრიცხვით, სწორედ იმ დროს, როცა გამოივინეს ქრის-
ტიანული წელიგია, რომელმაც კაცობრიობას აჩვენა ისეთი უფლის
ბატქნები, როგორიც იყვნენ აღეჭვანდრე VI პორჯია და პიუს 11 ანუ
გრაფი მასტაი¹⁵.




ახლონის ვან-დეიკი. ქრისტეს დატორება.

კილაშვის სრუელი და პერიზეს რისხვა

და მცენერებად, კითარცა განვითარა, ზრახ-
ვა-ყვაჭა მღვდელთ მოძღვართა მათ მოხუცე-
ბულთა თანა და მწინობართა და უკუცლ-
ბან კრებულმან და შევრეს იქნო და წარიც-
უნეს და მისცემ იგი პიღატეს მთავარსა.
ხოლო ქეთობა მას ჰილატე და პრეცა: შენ
ხარა მეუცე ქუჩიათა? ხოლო იქნე მიუგო
და პრეცა მას შენ სტეი!

და შეამცინდეს მღვდელთ მოძღვარი იგა
ურიანდ და შენ არარა მიუგო ხოლო ჰილატე
მერმე ქეთობა მას და პრეცა: არას მიუცება?
აა, რაოდენის შეცწამებენ შენ. ხოლო იქნე
არღერა ზიუგო, ვიღრებელე ვაკირდაცა პიღა-
ტეს უჩიად.

მარტო, 15, 1-5-



სმინქთ, გუშაგნო, ჩემი მრანება! —
გააძა კაპიტანმა — მიმართულება — მთა-
ვრის. სასახლე. წინ, ნაბიჯით იარ!

ჰოდა, იქნომ კარისკაცთა თანხლებით
პრეცირის სამსჯავროში შეაბიჯა. მის წინ
იჯდა რომის იმპერატორის ნაცვლი, იუდეის მთავარი პო-
ლატე. მღვდელები ტაძარში დაწინენ, სადაც უკვე „წყებოდა დი-
ლის მსხვერპლშეწირვა, დანარჩენი ხალხი კი, მოცლილთა ბრბო,
რომის „საკონსულოსაკუნ“ გაეშერა. პროცესია ისედაც უარავდა
ქუჩას, გზადაგზა კი იმდენი უსაქმური შეუერთდა, რომ ტევა არ
იყო.

ამასობაში მოქალაქეებმაც გაიღვიძეს ყველა უბანში და უკვე ყო-
შილდღიურ საქმიანობას უნდა შესდგომოდნენ, მაგრამ ვინ მოიცალა!

შებოსტნებმა, მერძევებმა, მემწვანილებმა, ხარაზებმა და ხა-
ბაზებმა, მებაყლებმა და მებაღებმა, საკამურების, მწმენდელებმა
და ფრინველთა გამყიდველებმა, — მოკლედ, მთელმა ქალაქმა შია-
ტრივა ბაზარი, დუქანი, ბაღი და ბინა, პილატეს სასახლისაკენ გაე-
შურა მთელი იერუსალიმი, რადგან ყველას უნდოდა უფასო წარმო-
ლენა ენახა, მუქთი სანახაობით გაერთო თავი.

იქსო პრეტორიუმში შეიყვანეს. მცირე ხნით იქ როგორლაც მარ-
ტო დატოვეს, თუმცა გუშაგები ყველა შესასვლელსა და გამოსასვ-
ლელს იცავდნენ. შერე ბრალდებულთან პილატე გამოვიდა. უწყა-
ლოდ გაბაწრულისა და ნაწამებ იქსოს ისეთი საცოდავი სახე ჰქონ-
და, ისე ნაკლებად ჰგავდა. საშიშ დამნაშავეს, რომ პილატეს გულში
სიბრალული და თანაგრძნობა აღეძრა. მართალია, გაგონილი ჰქონ-
და ამ მდაბით ღვთისმეტყველის ქადაგების ამბავი, მისი მოწოდება,
რომავლთა წინააღმდეგ გაიღაშერეთო (რაც, ცხადია, ცილისწამე-
ბა იყო), მაგრამ ჯერ არავითარი ამბოხება არ ყოფილა, არც ხაი-
მისო ნიშნები ჩანდა, ამიტომ თავისი დამსჯელი მარჯვნაც არ აღე-
მართა.

— ამირიგად, პილატემ ყოფილ ხუროს გულდასმით შეხედა, დაა-
კვირდა, იუდეველებთან გამობრუნდა და ჰქითხა:

— რას აბრალებთ ამ ადამიანს, პრეტორიუმში რომ მოგიყვა-
ნიათ ჩემთან?

— მეამბოხეა!

— ცოდვილია!

— ის წინ აღუდგა ჩვენს კანონს, რაც მოღალატე ცოლებს სჯის.

— მან დაარღვია შაბათის კანონი, რაც შაბათობით შუშაობას
კრძალავს!

— მეძავებთან შეეობრობდა!

— ხალხს ხელისუფალთა წინააღმდეგ აქეზებდა!

— მაწანწალაა!

— მძარცველია!

და ასე დაუსრულებლივ.

— ყველაფერი ეს გასაგებია, — მიუგო პილატემ. — მაგრამ მე
რა მესაქმება ოქვენს ტყვესთან? წაიყვანეთ და ოქვენი კანონების
შიხედვით დასაჯეთ.

— მთავარო, — მიუგო ერთმა სინაგოგელმა ბრძენმა. — ბრალ-
დებულის ზოგი დანაშაული სიკვდილს იმსახურებს, ჩვენი კანონე-

ბით რომ დავსაჯოთ. მაგრამ მოგეშენებათ, მას შემდეგ, რაც იუდია რომის იმპერიის პროვინცია გახდა, ჩვენ დავკარგეთ სიკვდილის დასჯის უფლება, თუ წინასწარ კეისრის წარმომადგენელს არ შევუთანხმეთ.

— ეს მეტად საშიში შფოთისთვის, — დაუმატა შეორებ, ეტყობა ადგილობრივმა გადასახადების ამერიკუმა. — ვინ იცის, რამდენჯერ უქადაგა ხალხს, ნუ იხდითო გადასახადებს, მე იუდეველთა მეუკე ვარო. გარდა ამისა, ირწმუნება, ქრისტე ვარო, ესე იგი მსსნელი, მაცხოვარი, რომელმაც იუდეა უნდა ისხნასო. ეს ხომ უარესია („აღა-შფოთებს ერსა და ასწავებს პურიასტანსა“).

— რა გაეწყობა! — თქვა პილატემ. — ოღონდ ჯერ მინდა დაუკითხო.

მთავარი იქსოსთან შებრუნდა და პკითხა:

— მომისმინე, შენ მართლა მიგაჩნია თავი იუდეის შეფერდ? იქსომ ჰასუხა:

— თქვენ ამას საკუთარი სურვილით მეკითხებით? თუ მტრების შეგონებით, რომელიც ცილსა მწამებენ, ვითომ იუდეის შეფერდ მიმაჩნდეს თავი?

ამ დროს ისევ მხოლოდ ადამიანური არსება კარნახობდა, ამიტომ ქრისტე ჰასუხს თავს არიდებდა.

პილატემ სახე შეიჭრებნა.

— შენს მტრებთან მე არაფერი მესაქმება. მე რომავლი ვარ და არა ებრაელი! თქვენს შინაურულ დავაში არ ვერევი. შენმა ხალხმა და შენმა ქურუმებმა მომიყვანეს აქ შენი თავი. ამიხსენი, რა გააკეთო?

იქსომ ჰასუხსა ისევ აარიდა თავი.

— ის მაინც მითხარი, რას წარმოადგენს შენი სამეუო, რაზე-დაც პრეტერზიას აცხადებ?

— ჩემი სამეფო აქ არ არის. ჩემი სამეფო რომ დედამიწაზე ყოფილიყო, ჩემი მომხრევები და ქვეშევრდომები იძრძოლებდნენ და არ ჩაუგდებდნენ ხელში მტერს ჩემს თავს.

— მაშ შენ უმიწაწყლო მეუკე ხარ?

— გიმეორებ: ჩემი სამეფო არ არის მიწიერი და ამევეყნიური.

— სადაც არ უნდა იყოს, ხომ თვლი თავს მეუკედ, არა? მაშ შენ მეუკე ხარ?

— ეს შენ თქვი! („შენ ხარა მეუფე პერიათა? ხოლო თავადმან პრეზა მას: შენ იტყვი!“ — ლუკა, 23, 3).

„ეტყობა, ეს საცოდავი შემღილა“, — გაიფიქრა პილატემ, რომ გაეგო, რასაც ეუბნებოდნენ.

პილატე ისევ გამოვიდა, აიგანზე და ხალხს მიმართა.

— მე მეონია, ჩემი პატიმარი სახრჩობელას არ იმსახურებს.

პასუხად მოეღომა ბრძომ ერთხმად შეეძახა:

— არა! არა! იმსახურებს! ჩამოიხრიოს! ჯვარს ეცვას! სიკვდილი მას!

და ისევ გაისმა საბრალო მირონცხებულის თავზე ათასი ბრალდება, მძიმე და უცნაური.

მაშინ მთავარმა იქსოს მოყვანა ბრძანა და მიუბრუნდა:

— გესმის, რამდენი მოწმეა შენი წინააღმდეგი?

ღმერთეაცი დუმდა. აქ ისევ გაუხსენეს ამბოხებისაკენ მოწოდების ბრალდება, და პილატემ იკითხა:

— სად ქადაგებდა ამბოხებას?

— კველან! — გაისმა პასუხად ფანატიკოსთა ღმუილი. — გალილეიდან იერუსალიმიდე.

სიტყვა „გალილეამ“ იუდეის მთავარს საშუალება მისცა თავის დაღწევისა. არავითარი ხალისი არა პეტონდა ამ დახლართულ საქმეში ხელის გარევისა.

— მომისმინე, იქსო, — გახარებულმა მიმართა ბრალდებულს,

— შენ შემთხვევით გალილეებილი ხომ არა ხარ?

— რა ოქმა უნდა, გალილეებილი ვარ.

— მაშინ, ჩემო ქვეშევრდომებო, — მიმართა პილატემ მღვდელ-მთავრებსა და ხალხს, — ეს საქმე ჩემს კომპეტენციაში არ შედის. ეს მხოლოდ პერიდე მეფის საქმეა. ასე რომ წაიყვანეთ თქვენი მეამბოხე და ჰეროდემ ჩამოახრიოს, თუ ებალისება. ჩემი საქმე ეგ არ არის.

ამრიგად, იქსო ტეტრარქს მატევარეს. ჰეროდეს ეპიზოდი გაგონილი პეტონდა ქრისტეს I. ხელი. და, რაღა თქმა უნდა, მესია იუდეის მეუქს გულზე არ ეხატა. მართალია, ლუკა გვარწმუნებს: „ხოლო ჰეროდე ვითარება იხილა იქსუ, განიხარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვაი მრავლით უამითგან ამისთვის, რამეთუ ესმოდა შისთვის დასწადიოდა ხილვად რასამე სასწაულისა ყოფად მისგან; და ჰეითხ-

ვიდა მას სიტყვითა მრავლოთა, ხოლო თავადშან არარაი მიუგო მას", სამწევაროდ, იქსო იმ დღეს ცედ გუნებაზე იყო და მეტე პეროდე ერთი უძრალო თინის ღირსაღაც, არ გაძადა. სახწაულის ჩვენება კი არა, პასუხიც არ გასცა. ამაღდ ევედრებოდა პეროდე. ყოფილმა ხურომ, რომელიც ყოველ კეთროვანსა და გლახაკს არნახულ სახწაულებს აჩვენებდა, რომელსაც სიტყვით მოების დაძვრა შევძლო, მეტეს არაფერი ეთხრა და არაფერი უჩივება.

პეროდესაც პილატესავით შთაბეჭდილება დარჩა: ჰერანაკლები უნდა იყოს და რაიმე სერიოზული ბრალდების წაყენება უწყინარი ლაყბობისათვის მიუტევებელი სისახტიცე იქნებათ.

შეფერ ბრძანა, ფეთრად შემოხვოთ, — იმ დროს ეს იყო ჭეუათხელთა და გიგთა ჩვეულებრივი ფორმა. ამ სახით გაეგზავნა უკვე პილატეს".

რამის პრეტორი ამ ამბით უკვე ყველამდე იყო მაძღარი.

-- თქვენ ისევ მე მომგარეო ეს კაცი, — უთხრა მღვდელმთავრებს, — და ბრალს სდებთ წაქეზებაში. მე დავითხე და არ მიმართია საშიშ დამნაშავედ, ამიტომ პეროდესთან გავაგზავნე, და ვერც იმან ნახა სიკვდილით დასჯისათვის საკმარისი საბაძი. კიდევ რაღა გინდათ?

ტაძრის ქურუმებმა ამასობაში უკვე მოათავეს დილის მსხვერპლ-შეწირვა, პილატეს სასახლესთან მიეიღონ და ასეთი პასუხი რომ მოისმინეს, წარბშეკრულებმა დრტვინვა დაიწყეს. რაც არ უნდა დასჯობოდათ, ამ ნაზარეველისათვის ბოლო უნდა მოქლოთ! როგორც ცნობილია, ვკლების მესვეურნი და ყველა დროის დეთისმახურნი განსაკუთრებული სისახტიკით განირჩეოდნენ.

დრტვინვა რომ გაიგონა, პილატემ სინედროინის დაწყნარება გადაწყიტა და ასეთი წინადაღება მისცა:

* იქსო და მარიამის ცურვების სცენები, უზარ თატარობითა და სოფიას სიუცეით დაბეჭდეს ფრესკებსა და ხატებზე ძველმა იტალიელმა დიდოსტატებმა დუჩომ, ჯორბ, ანტონელი და მესინამ, მანტენიამ, პიერო დელა ფრანჩესკამ, კოსიმო ტურამ, ჭოვანი შელინიმ და სხვებმა. სიმრავლით, რეალისტური სიახლეთა და რსტატონითაც გამოიჩინება დუჩოს გრანდიოზული ნამუშევრი, 59 ეპიზოდისაგან შემდგრი ხატი, რომლის სიგანე თოთქმის თახნახვისი მცტრი იყო (1308—1311). რაცა ეს ხატი სახლოსნოდან სიენის ტაძრში გადაძონდათ, ჭალაში მეშაობა შეწყდა, მოელი სიენა ტრიუმფით "მიაყილებდა სახელოვან ისტატის და შეიძლდა ხელოვნების გამოჩვებას.

— ყველა წიკრილმანი დანაშაულისათვის იქსო დაისჯება. მე გბრძანებ გაამათოახონ და მერე გავუშვებ.

— არა და არა! — შესძახეს იერუსალიმელმა ხუცერმა. — ჩვი-
ნი კანონები სიკვდილს ითხოვენ! სიკვდილი იქსო!

მაშინ უხერხებლო მბრძანებელს თავში მისი ჭკუის საკადრისი
აზრი მოუკიდა, რითაც საჩიტირო სახელი დაიგდო, მაგრამ რითაც
ერთხელ კიდევ ცხადპყო, რომ ჰუმანური ვინმება და არ სურს ხელე-
ბი სისხლში გაისვაროს. პონტიო პილატემ განიზრახა ესარგებლა თა-
ვისი უფლებით, რომ პასეიის დღესასწაულზე შეეძლო ერთი ადა-
მიანის შეწყალება. ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ იუდეველებს
არ დავიწყებოდათ რომაელთა სათოობა.

პილატემ ბრძანა საპატიმიროდან მოუყანათ ერთი საძაგელი დამ-
ნაშავე, ნამდვილი ბოროტმოქმედი, ვინწე ბარაბა, იქსო ბარაბა,
რომელსაც თავის სიცოცხლეში ჩადენილი პქონდა ყველა შესაძლე-
ბელი დანაშაულობა.

პილატეს უბრალო და ეშმაკური განზრახვა პქონდა.

„ბრძოს წინაშე წავაყენებ იქსო ქრისტეს და იქსო ბარაბას, —
ფიქრობდა რომაელი, — შემდევ კი ვკითხავ, რომლის შეწყალე-
ბა გინდათ-თქო. მღვდლები გაბოროტებული არიან ქრისტეზე, მაგ-
რამ ხალხს უფრო ბარაბას შეიში უნდა პქონდეს. გარდა ამისა, დღე
ჩემს სასახლესთან თითქმის მთელი იერუსალიმი იყრის თავს. თუ
იქსომ მართლა განკურნა ამდენი ყრუ-მუნჯი, ხეიბარი, ეშმაკერლი,
კეთრიანი, დამბლადაცემული და სხვა სნეული, ყველა აქ იქნება და
ერთხმად აღდგება მკურნალის დასაცავად“.

ურიგო საბუთი არაა, ხომ მართალია?

მაგრამ, აფხუს! ვაი რომ პილატე არ იცნობდა ადამიანის უმაღუ-
რობის მთელს უხამსობას. აზრადაც არ მოსვლია, რომ ყველა კა-
ფეხმრუდე ყოფილი კეთროვანი, ბრმა და ყრუ-მუნჯი პირველი მო-
ითხოვდა მკურნალის ჯვარზე გაკვრას, ან ყოველ შემთხვევაში გაშ-
მაგებულ ბრძოს მხარეზე მაინც დადგებოდა*. რას გააწყობ, ეს იყო
იუდეა! ბიბლიაში ხალხი რა სასტიკია, ეს არაერთხელ ვნახეტ უკვი-
პილატე არ იცნობდა თავის პროვინციას! ამიტომ როცა ორი ბრალ-

* ამ საყურადღებო ეპიზოდში უაქტიურად იკვევ აზრია გატარებული-
რაც ქართულ ანდაზაშია: ავადმყოფი რომ მორჩიება, ექიმი შესტელდება-
უმაღურობისა და „ვულმაუიშუობის“ ასეთი მაგალითები მრავალია ბიბ-
ლიაში.



დებული იქსოს მტრებს წარუდგინა, მან გაიგონა ერთსულოვანი ღრიალი:

— გაუშვი ბარაბა! ჯვარს აცვი იქსო! („და ვითარ შეკრებილი იყვნები იგინი, პრევა მათ პილატე: ვინ გნებავს ორთავანი და მიგი-ტევო თქვენ: ისე ბარაბაისი ანუ იქსუ, რომელსა პრევიან ქრისტე?.. ხოლო მღდელთ მოძღვართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რათა გამოითხოვონ ბარაბა, ხოლო იქსუ წარწყმილონ... მათ პრევეს: ბარაბა! რა რაი ვყო იქსუ, რომელს პრევიან ქრისტე? პრევეს მათ: ჯვარს-ეცუნ!“ — მათე, 27, 22). *

ეს იყო უკანასხვნელი ღონისძიება. ამაოდ სთხოვდა პილატეს თავისი თანამეცხედრე, მადამ კლავდია პროკულა, ნე დასჯიო ამ აღალ კაცს, ამაოდ ჩაერია ეს კეთილი მანდილოსანი ღვთის შვილის ბედის საქმეში, ამაოდ მისწერა ქმარს: „ნე ჩაერევი ამ ხაქმეში, რა დაგი-შავა იმ კაცმა? დამით მე ვნახე საზარელი სისმარი, ეს ცუდი ნი-შანიათ“. არა, პილატეს სახელის მოხევეა მოუნდა, ე. ი. ვეღარ აღუდგა წინ მთელი იერუსალიმის ერთსულოვან მოთხოვნას, ჩავა გვიან არისო, კლავდიას შეეთვალა.

პილატემ ბრძანა, ბარაბას ბორკილი შეხსენით, იქსოს კი რო-გორც მღვდელმთავრებს გენებოთ, ისე მოვექვით. მე ხელი დამიბა-ნიაო. ნიშნად იმისა, რომ სიმართლეს ამბობდა, ხიტყვა საქმით დაამტკიცა, იქვე ბრძანა ტაშტისა და არდაგის მოტანა და საქვეყ-ნოდ დაიბანა ხელი **.

ჯარისკაცებმა განაგრძეს და გააძლიერეს იქსოს წამება, რითაც ბრძოს განუშომელი სიამოვნება მიანიჭეს.

სამწყსოს რომ გული მოულბონ და გადმოიბირონ, ღვთისმეტ-ყველი ამ გვემაზე ყოველგვარ საშინელებას მოგვითხრობენ: თით-ქოს იქსოს შემოაფლათეს სამისელი, წელის ზემოთ გააშიშვლეს, სკეტზე მიაკრეს და დაუწყეს ცემა ღვედით, წერპლით, შოლტით, მა-ინახითა თუ ხარის თასმებით. აშავე შეიძლებოდა შეგვესენებინა, რომ ინკვიზიციის განაჩენი ბევრად უფრო სასტიკი იყო, უფრო მწა-

* ფანატიკოსთა ბრძოს იქსოზე აღრეც პშარად გამოეხატავს თავისი სიძულვილი ბოროტებასთან მებრძოლი გმირისადმი და ბევრად უფრო გვინაც. ანტიკურ მითოლოგიაში ბრძოს განდევნა იაზონი და შედეა, რო-მელთაც მისმკვლელი და ტახტის უზურპატორი, მეუკ ჰელიამი მოკლეს.

** საქვეყნოდ ხელის დაბანვით პილატემ სამედამოდ დატოვა თავისი სახელი ისტორიაში (იხ. ლექსიკონი).

რე და ულმობელი სახელიც იცოდნენ იქსოს სახელით ამხედრებულმა მეომრებმა. იქსოს არ ასხამდნენ ხახაში ცხელა წყალს, არ გაუდაუკრებიათ ხელები, არ აუჭრიათ ტანზე თასმები, არ დაუმსხვრევიათ მუხრუჭებით ძვლები, არ გადაუსხამ მდეღარე ზეთი, არ მდნარი ტყვია, არ დაუწვავთ მკერდი მდეღარე კუპრით, არ მოუჭრიათ თავზე ფერსო, საგანგებო იარაღით გაღებულ პირში არ ჩაუსხამთ მთელი ლიტრობათ წყალი, თანაც ერთბაშად კი არა, არამედ წვეთ-წვეთობით, პირში ჩამირილი რბილი ჩერის ან ღრუბელის სამუალებით. ამას შეიძლება დაემატოს, რომ იუდეველმა მღვდლებმა იქსოს არ მოჰკვეთეს ხელის მტკენები, ამ დაუმსხვრიეს წვივის ძვლები „ესპანური ჩექმებით“, არ ამოჰკვეთეს უზრგნე ღვედები, არ დაუსუმთ რკინის ძელსე, არ გადაუბრუნეს მხრები, არ დაპირდეს ფეხებით ნაშარეველს იქსო, რომელსაც მარაგად ჰქონდა მეორე, ღვთაებრივი არსება და შვეძლო სულაც არ განვცალა ის ტანჯვა, რაც უბრალო ადამიანის ძალ-ღონეს აღმიატება, ამდენად იმის მეასედ ტკიფილსაც არ განიცდიდა, რასაც თავისუფალი ასრის მოწამენი განიცდიდნენ. ღვთისმსახურთა ხელით.

მარამ ჩვენ ყოველივე ამას არც ვეუბნებიც და არც ვუკონებ ჩვენს მიღებულებს. საკმარისი იქნება ხელთ ავიღოთ სახარება და დავუმტკიცოთ, რომ არაკი მთელს ამ ტანჯვა-გვემაზე, ტკივის გაძრობაზე, კანის გახეთქვაზე და დაღვრილ სისხლს — მათი ფანტაზიის ნაყოფია.

მათეს სახარებაში ნათქვამია (27, 26):

„მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იქსე შოლტითა ქსცა და მისცა მათ, რათა ჯვარს ეცვას“.

მარკეზი პიპოს (15, 15):

„ხოლო პილ-ტეს უნდა (უნდოდა) მომაღლება ერისა მის ღამიერება მათ ბარაბა, ხოლო იქსეს სცა შოლტითა და მისცა მათ, რათა ჯვარს აცვან“.

იოანე წერს (19,1):

„მაშინ მიიყვანა პილატე იქსე და ტანჯა იგი. და ერისაგანთა მათ შეთხზეს გეირგეინი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და სამოსელი, ძოწეული შექმოსეს მას“.

ლექა ამ ეპიზოდს საერთოდ გვერდს უვლის.

თარგმანი არ გამოხატავს დედნის ასრის დედანშია „გაწევეპელა“, იოანეს დამოწეულ აღვილზე უნდა შევნიშნოთ, რომ „ცემა“.

„გვიმა“, რაც როზგის, მათრახის გამოყენებას გულისხმობს*, ახეა თუ ისე, ქრისტეს კნება, ჩახედაც პნების კვირას შეზარდებული ცრემლს აფრევევნ, სინამდვილეში იყო ჩვეულებრივი გაშოლტა, მეტი არაფერი გარდა ამისა, ევანგელისტების მოთხოვნილიან ჩანს, რომ თუ ბრძო და სამღვდელოება იქსოს ჯვარცმას მოითხოვდა, ჯარისკაცები მხოლოდ ქიმურჯებითა და ტლანქი ხემრობით კმაყოფილდებოდნენ, რასაც ნამდვილ საღისმთან საერთო არაფერი აქვს. ორიოდე ქიმურჯი, ოუზიოდე სილა, თორმეტიოდე წიხლი, სამჯერ მიუურთხება — სულ ესაა ყბადაღებული ვნება უფლისა! მართალია, ღვთის შეილისათვის ესეც ბევრია, თორმეტი გის არ ჩოზგავდნენ! მსიარელ იუდეველებს რომ არ ჩამორჩენოდა, პილატემ ჯერ გიეის თეთრი სამოსელი ჩააცვა იქსოს, მერე თავის მხრივ შალის მშვენიერი ძოჭისფერი მოსახხამი მისცა — მსგავსი მეფეთა პორფირიისა, ხელში კვერთხი დააკერინა, თავზე კი დაახურა ნორჩი ლერწმისაგან დაწიული გვირგვინი, რომელშიაც ჩამდენიშე ღერი ნართავა თუ ასკილი ჩაურია. პარიზის არქიეპისკოპოსის მტკიცებით, ეს სახელგანთქმული აუკლის გვირგვინი** მასთან ინახება, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, და გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ მისი ხილვა ყოველ მორწმუნეს შეუძლია. მე თვითონ მინახავს: ესაა ზღვის ლერწმის ჩვეულებრივი პატარა გვირგვინი, ერთი ეკალიც ცერსად შევნიშნე***.

აი, ასე შემოსილი იქსო წარუდგინეს აღრენილ ბრძოს და უთხრეს:

— იხარე, იუდეის მეფეო!

სანახაობისათვის რომ მეტი ეფეტი მიეცათ და ხალხი უფრო გაემხიარულებინათ, ჯარისკაცებმა „იუდეის მეფე“ ამაღლებულ ადგილზე დააყენეს, ხელში ჯოხი გამოართვეს და იგივე ჯოხი ორჯერ-სამჯერ დაპკრეს.

პილატემ თავისი ფოკესი გამეორა, ხელები დაიბანა და ჟენასკნელად მიმართა ხალხს:

* ლაბარია ჩუსულ და ზოგ სხვა თარგმანზე, სადაც წერია „ცემა“, „ნიტა“. ქართულ თარგმანში სწორად წერია „სუა შოლტითა“ და ტაქსილის შენიშვნა ამის არ შეეხება (სწორად აქვთ ლუთერსაც geisselte — გაშოლტა).

** ბვადო რენის და ჭიურერის იქსოს მოლიანი ეკლის გვირგვინი დღის.

— სავსებით სერიოზულად გაფრთხილებთ: ჩაკი ქს კუცი გან-
საჯეთ და დასაჯეთ, ნება მომიცია, მაგრამ გახსოვდეთ თქმა-
სჯით და არა მე და თუ ის უბრალოა, მისი ცოდვაც თქვენ დაგატე-
დეთ აწ და სამარადისოდ!

შესანიშნავი, წინასწარმეტყველური სიტყვებია!

— თანახმა, ვართ! — შესძახა ხალჩია. — დაგვატყდეს!

ჩანს, არ ემინოდათ არც ცოდვისა, არც ძისა და არც მამა-
ღმერთისა, რომ ამდენი მაღლის ჩამდენის ცოდვაში ასე დაჯერე-
ბული იყვნენ.

ამ დროს იქსომ უთუოდ გაიფიქრა, რომ ცოდვა არავის არ და-
ტყდება, რადგან სწორედ იმისთვისაა მოვლინებული, რომ ყველა
წარსული, აწმუო და მომავლის ცოდვა გამოისყიდოს.

ყველივე ეს მოხდა დილის ურთმეტის ჩახევრილან თერთმეტაშ-
დე. ახლა მსჯავრდებულის დასჯას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა.

(იხ. მათე, 27, 2—31; მარკოზი, 15, 1—20; ლუკა, 23, 1—25;
იოანე 10, 28—40; 19, 1—16).



გ. პაუპერიცი. გოლგოთის გჰიზე.

თხემის აღმილი

და მისცემებს იგი გრძელობისა აღვიდსა,
რომელ არს გამოთარების ნებით; ასევისა აღვიდს.

და შისცემდებს მას სწავლის ტემუროლისა*
დეინობა, ხოლო მან არა მიღდო.

და კუარს აცემს იგი და განიცდებდებს სა-
შოსელისა მისსა და განიცდებდებს მას ზედა
წილისა, კონ-ძი რაი აღიღოს.

მარკოზი, 15, 22-24



ი. ჩვენ პეტე გოლგოთის წზაზე ვართ,
იქ დასჯიან... ხელში ავიღოთ სახარება და
მიცვყვეთ არსებას, რომელშიაც ორი არსე-
ბაა. ვნახოთ, შეძლებს თუ კურა წარმშევ-
ხრელად სიკვდილს, როგორც გმირს შევ-
ფერება. ჯერ ის ვიკითხოთ, ხაით წაიყვანეს პრეტორიუმიდან. ტაძ-
რის მცხველია რაზმი რომის ლიქტორებით შეივსო, თავში მღვდელ-
მთავრები, მწიგნობრები და ფარისევლები ჩადგნენ, უკან ბრძო მიდიოდა. პირველად მთელი ეს კორტევი იერუსალიმის ციხისაკენ წავი-
და. იქ იესოს გახადეს წითელი მოსახვამი და გიგის ხამოსელი, თა-
ვისი გრძელი ქიტონი (ქლამინდი) დაუბრუნეს. იქვე იესოს შემოუ-

* პადიშეს სახარებაშია „სუმუროვანი ლვინო“. მური, მირა (სუმიტურ-
ბერძნული „მირჩევ“. საყურადღებოა, რომ ზუსტად ამ სახითაა შემოჩ-
ხებილი სვანურში სიტყვა „ქრისტე-მირჩენ“, მირონი) — აღმოსავლეთ-
აურიკული ხის ფინია კროვერი, მისგან ამზადებენ სურნელოვან ზეთს.
სადა ასწევს თხელ შტაბის და სქელ მურის ნაწურს: „მური კვავილისა-
გან გამოიხდება, თუ მკვდარს წასუხო, წლამდისინ არ გაიხრწნება“). სულ
სხვა შერი-კვარტლი.



ერთეს ორი პატიმარი, რომელთაც აგრეთვე სასჯელის უშისძლებელი
ზომა ქქონდათ მისჯილი.

ასე შეესებული პროცესია ისევ დაიძრა და გაეშურა ქალაქება-
რეთ აღმართული გორაკისაკენ, სადაც ჩვეულებრივ მსჯავრდებუ-
ლებს სჯიდნენ ამ ადგილს ერქვა გოლგოთა ანუ თხემის ადგილი.
ეს იგი თავის ქალისა. ასე იმის გამო ეწოდა, რომ თავზე მოშიშვ-
ლებული კლდე იყო, რაც მართლაც ადამიანის ჭაშას, თავის ქალას
უმსგავსებოდა. კომენტატორები, რომლებიც ყველაფერში გელმოდ-
გინედ იქვებიან და ათასნაირ სასწაულს ეძებენ, აქაც ამტკიცებენ,
თავის ქალა იმისათვის ეწოდება, ამ გორაკის ძირას ადამის თავის
ქალაა ჩამართული. ახლავე უნდა ითქვას, გეოლოგიურად ეს შე-
საძლებელია, მაგრამ არქეოლოგიურად არავის დაუდასტურებია
ღვთისმეტყველთა ვარაუდი და დღემდე ცურავის უპოვია თავის ქა-
ლის მსგავსი საგანი.

ქვემოთ მე მოგიყვებით, რანაირად ხსნიან ამ საოცარ ამბავს
მღვდლები და იმავე დროს განაგრძობენ მტკიცებას, რომ აქ, გოლ-
გოთის ქვეშ, ნამდვილად არისო ადამი დამართული.

ამრიგად, პროცესია ქუჩებს გააჟყვა. ყოველ გადაევთაზე საბრა-
ლო მაცხოვარი ახალ-ახალ გვემასა და დაცინვას განიცდიდა. ყო-
ველ ქუჩაში სედებოდა ყოფილ ბრძანს, ყოფილ კეთროვანს ან დამ-
ბლიანს, რომლებიც მან განკურნა, და ეგონა, რომ სადაცაა ეცემიან
გრძელებს, გაფანტუჭნ და მაცხოვარს დაიხსნიან, იმდენად იყვნენ
მისგან დავალებული. მართლაც, თავის სიცოცხლეში იმდენი ვინმე
განკურნა, ყველა რომ შეკრებილიყო, იქმარებდა იმისათვის, რომ
მისი მტრები დაეფშვნათ და გენისარეთის ზღვაში გადაეყარათ.

მაგრამ ვაგლას! ექს-ხეიბრები მხოლოდ იცინოდნენ, თავიანთი
მკურნალის გამხდარ, ნაცემ, დასუსტებულ სხეულს რომ დაინახავ-
დნენ ხოლმე. ერთსაც არ უფიქრია მიშველება და გამოქომაგება. ჭე-
შმარიტად, ეს იყო უმაღურთა კლასიკური ქვეყანა.

აკრძალული ვაშლის მჭამელთა ცოდვა ყველა წესის დაცვით
იფარებოდა. პირველი, რომელთაც მსჯავრდებული შეიძრალეს,
ჯარისკაცები იყვნენ. ჯვრების მთავარი საწყობი ციხის შენობაში
იყო მოთავსებული. ადათისა და წესის თანახმად, სიკედილმისჯილს
თავისი ჯეარი თვითონ უნდა ეტარებინა გოლგოთის გზაზე. ორივე
სიკედილმისჯილი შედარებით იოლად ეზიდებოდა თავთავის ჯვარს,
რადგან მხრებზე გადაიდეს, როგორც შეშის მორი. რაც შეეხება იქ-



სოს, მისდა შავბედად აქაც კუელაშე მძიმე ჯვარი შეხვდა, შეკდედა მთავრებივით გაუთლელი, და იმთავითვე წელი მოსწყვეტის ჩექნ ვიცით, რომ ხელობით ხური იყო და ამიტომ თარმაგად იტანჯებოდა: ფიზიკურად, ჯვრის სიმძიმის ქვეშ, და მორალურად, რაღაც პირველი შეხვდითვე მიხვდა, რა გაურანდავი ჯვარია და რა ზერელედ გამორანდული*.

გარდა ამისა, არც ის უნდა დავიციწყოთ, რომ გეთსიმანის ბაღში, სადაც ანგელოზმა იქსო აიძულა ბოლომდე დაეცალა სიმწრის თასი, ჩექნი მირონცხებული ძალიან ცუდ გუნებაშე იყო. ეგრეთ წოდებული წმინდა წიგნები ამტკიცებენ, სწორედ გეთსიმანის ბაღში დაიწყოთ მისი ავონია. ამიტომ ახლა, როცა მიხი აღამიანური არსი ღვთაებრივს აღემატებოდა, ძლივსდა მილასლახებდა და ჯვრის ქვეშ ქედმოსწერილი სშირად ძირს ეცემოდა**. ქალაქის ჭიშერებს რომ გასცდნენ, მაშინ ხომ საერთოდ დავარდა და კულარ ადგა.

მაშინ ჯარისქაცებმა დაიწყეს თათბირი.

— საწყალი გაცი, სულ გამოეცალა არაქათი! — თქვა ერთმა. — როგორ უნდა ზიღლოს კიდევ ეს ბოძი, რომელზედაც ძელია მიჭედილი? ეს შეტისმეტი სიმკაცნე იქნებოდა.

— მართლაც, ცოდვაა! — დაუმოწმეს სხვებმა.

მიმოიხეჯეს. ხალხში ერთი ჯანმაგარი ვაჟუაცი დაინახება.

— ჰეი, შენ, რა გქვია. სახელად? — მიაძახა ერთმა ჯარისქაცმა:

— სიმინდი.

— აბა, სიმონ, ასწირ ეგ ჯვარი, გოლგოთაშე აიტანე.

სიმონს — როგორც გამოირკვა, კორინთელს — ეს წინადადება ჰქუაში არ დაუკადა

— თვითონვე ზიდეთ თქვენი სახრჩობელა! — ჩაიბურტყუნა. — მე არაფერი დამიშავებია! რისთვის უნდა წავიდო?

მაგრამ თავის დაძვრენა არ გამოუვიდა.

სიმონმა ლანძღვა-გინებით ასწია ჯვარი, გადაიდო მსარზე და იცხოს მიქეყა.

* ჯვრის ზიღვა, როგორც ხელოვების თემა — იხ. ლექსიკონში.

** წმინდა ჩელივერი პოზიციებიდან უნდა შეენიშნოთ, რომ ერთად ერთი ღვიძლი შეილის ასეთი ტანგვისა და დამცირების გულგრილად ყრჩება, როცა ერთი სიტყვითაც შეეძლო გოგირდის წვამით დაეთრიცუნა მთელი იყრესალიძი და თვითონვე ეპატიცებინა ცოდვა აღამიანთა მოღვისაფვის, — მოწმობს ბიბლიური ღმერთის გულქვაობასა და შემაძრენებელ სისასტრიკეს.



სხვათა შორის, მე დიდი ხანია ვერ ამიხსნია: რისთვის მდგრადი სენი არ არის? ეს ხელაღებით სიმონის? ქრისტეს მეორესად ვერ არ არის საღებენ და ლამის წმინდანად შერაცხონ, როცა სინმადვილეში სი-მონ კორინთელი (სვიმონ კვირინელი), „მომავალი ველით“ ძა-ლით „მოიყვანეს, რათა აღიღოს ჯვარი მისი“, მარკოზის ნათქვამს ადასტურებს მათეც („წარიქვიეს, რათა აღიღოს ჯვარი მისი“) და სხვა სახარებანი*.

ცისა და მიწის უბედური შემოქმედი ისე იყო დაოსებული, რომ ბოლოს ისევ ჯარისკაცებს მოუხდათ მისი ხელით წაყვანა: „მოი-ყვანესო“, ამბობს მარკოზი**.

ვზაში ქალების გრძნი შემოუერთდათ. იქსოს სავალალო მდგო-მარეობით შეწუხებულმა მანდილოსნებმა ტირილი დაიწყეს. ამ წერილმანს მხოლოდ ლუკა გადმოგეცემს. დანარჩენი სამი სახარება კი ამბობს, რომ მთელს გზაზე პრეტორის სახალიდან გოლგოთამ-დე ბრძოში ერთი თანაგრძნობის შეძახილიც კი არ გაისმა, ცვარი ცრემლიც კი არავინ დაღვარაო, მირონცხებულის სანუგემოდ.

ამრიგად, თუ წმინდა ლუკას ვერწმუნებით, რამდენიმე მანდი-ლოსანმა იტირა: „და შეუდგა მას სიმრავლე ერისა და დედათა, რომელი ტიროდეს და ეტყებლეს მას“. იქან თანაგრძნობამ ისევ გაამზნევა, ამეტყველდა და მოტირალ ქალებს მიმართა:

— „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა და შეილთა თქვენთა პატიროდეთ. რამეთუ მივლე-ნან დღენი, რომელთა შინა თქვან: ნეტარ არიან ბერწნი და მე-ცელნი, რომელთა არა შვნეს, და ძეძუნი, რომელთა არა განზარდ-ნეს! მაშინ იწყონ სიტყვად მთათა: დამეცნით ჩვენ! და ბორცვთა: დამფარენით ჩვენ! უკეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ხმელსა მას - რაი-მე ეყოს?“ (ლუკა, 23, 28—31).

ამ იგავს შემდეგ ეკლესის მამებმა მიუმატეს მეორე ლეგენდა, რაც არც ერთ „წმინდა წერილში“ არ წერია. თუმცა ამ ტექსტების ეტყუარობა უამისოდაც მეტისმეტად საეჭვოა.

ღვთისმსახური ამტკიცებენ, ამ ამბავს ასეთი სცენა მოპყვაო. ერთ-ერთმა მოტირალმა ქალმა, სახელად ვერონიკამ, შეამჩნია,

* დედანშია „პაპარაკად მოყვანა“, ვ. ი. ძალით მოყვანა.

** რესულ თარგმანშია «привели» — როგორც ქანთულშია. ლი-თერს უფრო ზუსტი შესატყვისი აქვს: „brachten“. და არა „führten ihm“ — ვ. ი. „წაიღის“.

რომ იქსო-ოფლში გაწურულიყო. ალბათ გაცივებისა შეკმინდა რა მიუახლოედა და თავისი ცხვირსახოცით შებღიძან ლიტავრიზმა რფლი ჩამოსწმინდა.

პოდა, აი ახალი სახწაული! იქსოს სახის ნაკვთები ცხვირსახოც-ზე დარჩა. ეს იყო ელვისებური და თანაც ფერადი ფოტოგრაფია, რამაც ზუსტად და დაწურილებით ჟევდავქუთ მსჯავრდებული მა-ცხოვრის სახის გამომეტველება.

ყერადღება მიაქციეთ, რაოდენ დიდია ებრაელი ხალხისა და ჯარისკაცების დანაშაული: ამ სახწაულის შემდეგაც კი არ დაიჯე-რეს, რომ მათი მსხვერპლი ნამდვილად ღმერთია! ვაი რომ ვეღარაუე-რი განანათლებს ხალხს, რომელიც წინასწარ არის დაჯერებული და შეგონებული! ვისაც არ სურს მოსმენა, ყველაზე უარესი ყრე ის არის, და ვისაც არ სურს დაინახაოს, ის ბრმად შობილზე უარესი ბრმაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვერონიკას ცხვირსახოცი დღემდე შემოინახა. ასჯერ რეცხეს და აუთოვეს, მაგრამ იქსოს სახე ვერა-ფერმა წარიცხა წმინდა ქსოვილიდან. ამდემად ეს წმინდა რელიქვია წმინდა-ტაძრის საგანძურში ინახება, ღვთისმსახურთა ზრუნვით გა-რემოცული. ვინც წინასწარ პაპის მოღარეს მოქროამავს, შეუძლია იშილოს.

თუმცა ესეც ანგარიშგასაწვევია: მცოდნე ხალხი, რომელსაც ბერ-ძნელი ენა შეუსწავლია, ამტკიცებს, ეს კეთილი ქალი, ვერონიკად სახელდებული, ვინც შემდეგ თავისი ღვთისნიერებისათვის წმინდა-ნად შერაცხეს, სინამდვილეში არ არსებობდა, რადგან ამ სახელის ეტიმოლოგია გვეუბნება: „ვერა იყონიკა“ ნიშნავს „კემმარიტ გა-მოსახულებას“, „ნამდვილ სახეს“. ცხადია, ასეთი სახელი უმაღ მცეკვთვნება ცხვირსახოცს, წმინდა პეტრეს ტაძარში რომ ინახება, ვიდრე ხორციელ არსებას. მაგრამ თუ „ვერონიკა“ იყო მხოლოდ ცხვირსახოცი, მაშინ რაღა რჩება ღვთისმოსავი ქალის ღვევენდი-დან?*

* მართალია, ამ სიტუაცის ეტიმოლოგიაზე ტაქსილამდეც შეაჩერეს უკ-რადღება, მაგრამ იმის თქმა, რომ ვერონიკა საკუთარი სახელი არ იყოს, არაა სწორი. მორს რომ არ წავიდეთ, პეტრე „ქვესა“ ნიშნავს, მაგრამ სახე-ლია. ვერონიკას სახელწოდებით რამდენიმე სახეობის ბალახიცა ცნობი-ლი (მცერვალა, დედოფლისთვითა, ჭიკარტა, ჩალანდრი, ბოსტნის და...).

ბოლოს, როცა იქსოს ოფლი მოსწმინდეს, — თუ, ცხაჭია და უკავა
გას დავუკერებთ და დანარჩენ ვეანგელისტებს არ დავუკავრებოდოთ თუ არ
პროცესია ისევ დაიძრა. თან სამი მსჯავრდებული მიძყავდათ,
ბოლოს გოლგოთის მთის მწვერვალსაც მიაღწიეს.

ქრისტე ამ დროს ეკვე სრულიად დავითდნილი იყო. ჯარისკა-
ცებმა ღვინოში სურნელოვანი მური გაურიეს და შესთავაზეს. რა
თქმა უნდა, ასეთი სასმელი ახლოსაც ვერ მიუდგებოდა ყველაზე
უფრო იაფ ბერგენდიულს, მაგრამ გააჩნდა მაცოცხლებელი ძალა
და ჯარისკაცებსაც მხოლოდ კეთილი განზრახვა პქინდათ. საქმე
ისაა, რომ მურის აქვს უნარი გამოიწვიოს ძლიერი ხელოვნური აღგ-
გზნება, და მაცხოვარი უფრო ითლად გადაიტანდა ტკივილებს.

მაგრამ იქსომ შორის დაიჭირა, ერთი ყლუპიც არ შეუსვამს. მა-
შინ მიწაზე დასვეს და დაიწყეს უკანასკნელი სამშადისი დასასჯე-
ლად.

ჯერ ორმოები ამოთხარეს ჯვრებისათვის. შემდეგ კიბები შეუ-
ყვნეს. ამას მოძყვა ბარბაროსული წამება. მისჯილი ჯვრებზე დაა-
წვინეს, ხელები გაუწიეს, ლურსმნებით მიაჭედეს, ასევე დაჭედეს
ფეხები, ორი ავის-მოქშედი ავაზაკის ტანჯვა ბევრად უფრო აუტა-
ნელი იყო, რადგანაც გრძნობა არ დაუკარგავთ, მაგრამ განა ესაა
შთავარი? თუნდაც იქსოს დროდადრო თავისი ღვთავმრივი ძალა
გამოეწვია და ტანჯვა შეემსუბუქებინა, განა მაინც შეტისმეტი სისას-
ტიკე არ არის მისი ჯვარზე დაჭედვა ერთი ვაშლისათვის, მით უმე-
ტეს, რომ ეს ვაშლი იქსოს კი არ შეუჭამია?

ასე თუ ისე, უბედურ ღმერთსა და ორ ავაზაკს ეს სასჯელი მა-
ინც არც ასცდათ. რომაელმა შეომრებმა იქსოს ჯვარი ზემო მხარეს
წარწერით დაამშვენეს. აქ კი ჩვენი მხიარული ვევანგელისტები ისევ
იწყებენ უცნაური ამბების მოყოლას:

„და დაპსდვეს თავსა ჩისა ზედა მრალად მისა დაწერილი: ესე
არს იქსუ ნაზარეველი, მეუფე ჰურიათა“ (მათე, 27; 37).

„და დაწერილი მრალისა მისისაი იყო ესრეთ დაწერილი: ესე
არს მეუფე ჰურიათა“ (მარკოზი, 15, 26).

„და დაწერა ფიცარი პილატე და დაპსდვა ჯვარსა მას ზედა,

შათს უმეტესობას ლურჯი ინ წითელი ფერისაც აქვს. ალბათ ამისთვისაც
ეწოდა ეს სიხელი, რომ ვერონიკამ ქრისტეს სახეზე თფლი და სისხლი
ჩამოსწმინდა.

და იყო წერილი ესრე: იქსე ნაშარეველი, მეუფე ჰურიათუ, (წოდებული ნე, 19, 19).

ადამიანებს, რომელთაც სიზუსტე უყვართ, ეს განსხვავებული წაკითხვა უთუოდ გააკვირვებს. ალბათ ამიტომ არ გამოქავთ მღვდლებს ჯვარცემებზე არც ერთი დამოწმებული წარწერა? უმჯობესად თველიან ლათინური დასაწყისი ასოებით დაქმაყოფილებას, რითაც შშირად შეცდომაში შეძყავთ მორწმუნე დედაბრები, რომელთაც პეონიათ, რომ ქრისტეს ერქვა „ინრი“. სინამდვილეში კი ესაა შემოკლებული I. N. R. I. — Jesus Nazarenus Rex Iudeorum — იქსო ნაშარეველი, იუდევლთა მეფე.

თუ ითანეს დავუკერებთ, ეს წარწერა თვითონ პილატემ შეთხსა და დაწერა. ეტყობა, რომაელი პრეტორი კარგი კალიგრაფი იყო და ამაყობდა კიდევ.

იმავე ითანეს სიტყვით, მღვდელმთავრებს წარწერა არ მოეწონათ, პილატეს მიმართეს და სთხოვეს:

— იქსოსთვის თქვენი სელით გაკეთებულ წარწერაში წერია „მეუფე ჰურიათა“. თუ შეგიძლიათ მცირე შესწორების შეტანა, მადლობელი ვიქნებით. გევედრებით, დაწერეთ: „ვინც იაუს ჰურიათა მეუფე ასაღებდა“.

— ო, ღმერთო, რა ფორმალისტები სართ! — შესძახა პილატემ და ხელები აღაპყრო.

— ცხადია, გვესმის, ნიუანსია, ელფერი, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი.

— გწეხვარ, — მიუვო პილატემ, — მაგრამ დაგაგვიანდათ რაც მე დაწერე, დაწერე, აღარ შეიცვლება! (მათე, 27; მარკოსი, 15; ლუკა, 23; იოანე, 19).

აღსრულდა!



მაშინ ჯვარს აცვნეს მის თანა ორი აგა-
ზაქნი: ერთი მარჯვნით მისა და ერთი მაც-
ხენით. ხოლო თანა-წარმავალნი იგი პემობ-
დეს მის და ყრიდეს თავს: მათხა და იტყო-
დეს: ეჭე რომელი დამსხსნდ ტაძარსა მის და
მესამესა დღესა აღაშენებდ, ისენ აუ თავი
თვისი. ჟეკო ხარ ძე ღმრთისა, გარდამო-
ხედ მაგისტ ჯვარის.

მათ, 27, 38-40



იმდევარნო თავდადებულნო, სულნო
შეზნებარენო, კრავნო მაცხოვრისანო, მოახ-
ლოვდა უამი ქვითინისა და გოდებისა! ვაი
რომ მაინც დაპკიდეს ჯვარზე, გააკრეს სვე-
ტზე, რათა ერთხელ და სიმუდამოდ გამო-
ისყიდოს პირველი საშინელი ცოდვა, რაც ადამიანებს დაატყდათ
ედემში ვაშლის შეჭმისათვის. ჯვარი რომ აღმართეს, უმანქო ქალ-
წულისა და სულიწმინდის შვილი ერთხანს ასე გულწასული ეკიდა
ძარჩი, მერე ცოტათი გონს მოეგო და კიდევ უფრო მძიმე ფიქრებს
მიეცა, ვიდრე მაშინ, როცა გეთხემანის ბალში სიმწრის თასი და-
ცალა.

გულში ამბობდა, რომ იმ მოხუცმა საბაოთმა, შეთაგსებით მამა-
მისმა, თემცა დღემდე ვერ გაეგო, რა ღონისძიებით, — ურიგო
თამაში გაუმართა, ნება დართო იუდეველებს, რომ ჯვარზე გაკრაო,
იმის ნაცვლად, რომ დროზე ჩარეცლიყო და მოეთავებინა ეს უაზ-
რო მსხვერპლშეწირვა.

წუთით ვცადოთ ჩავწედეთ იესოს მსჯელობას.

ლაპარაკი იყო შავ ლაქაზე, რაც დაბადებიდან თან დაგვიცება,
ხომ მართალია? იესოს გამოჩენამდე აღაშიანება განწირულნი იყვნენ

მარადიული ტანჯვისათვის და ოცნებაც კი არ შეეძლოთ ციურ სა-
სუფეველზე. შემდეგ კი უეცრად — ფჩჩრ! — მოვიდა იქსო ქრისტუმ
დფრინდა გოლგოთაზე, მთარელი სიტყვა დაკიდულ მიტუად
იქცა და უკანასკნელ ტრიბუნად ჯვარი აირჩია. ამ წეთიდან კაცობ-
რიობა დახსნილი იყო პირველი ცოდვისაგან.

ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობთ თქვენ, დაჯერებული ცოდ-
ვილი მკათხველები.

სინამდვილეში კი თურმე საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. მეც
ასე მეგონა. კაცობრიობას ჯვარცმამ აბსოლუტურად არაფერი არ
მისცა. პირველი ცოდვა თურმე ისე ისე ამძიმებს ადამიანს, ახალ
ცოდვებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელთაც საერთოდ არაფერი
ეშველებათ, და ბავშვობიდან მოყოლებული სიკედილამდე ისე
დაგვიცება, თითქოს იქსო არასოდეს არ გაეკრათ ჯვარზე.

მართლა, რას გვასწავლის ექლესია?

მოუნათლავად ცაში ვერ მოხვდებითო. მაშასადამე, მხოლოდ ნა-
თლობას შეუძლია ჩვენი ხსნა, ითანე ნათლისმცემელმა რომ მოი-
გონა და იქსომ დააკანონა, მხოლოდ მას შეუძლია ჩამოგებანოს
ცოდვისებითხვის ღაწე?

ამაზე მღვდლები ასეთ პასუხს გვაძლევენ:

— დიახ, მაგრამ უფლის კრავი რომ ჯვარზე არ გაეკრათ, ნათ-
ლობას არაეითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

ძალიან კარგი, ბატონო მღვდლები! მაგრამ მაშინ შეწყვიტეთ
ლაყბობა იმაზე, რომ იქსო კაცობრიობის ცოდვისათვის ვონ. სინამ-
დვილეში, ცხადია, ლაპარაკია მხოლოდ საექლესიო ლეგენდაზე,
რომლის მიხედვითაც იქსო ეწამა მხოლოდ იმათთვის, ვისაც ბედ-
მა გულიმა და შეხვდა ანაფორიანი ქეთილისმყოფელი, რომელმაც
გოზა სავსე წყალი დაასხა თავზე! სხვამ რა დააშავა?

მაგალითად, ყმაწევილი რომ დაბადებისთანავე მოკვდება, ისე
რომ მონათვლას ვერ მოასწრებენ, საუკუნო წამებისათვის იქნება
განწირელი? ამ უცოდველი კრავისათვის სულერთი ყოფილა, და-
დგარა მისთვის კრავმა სისხლი თუ არ დაუღრია, სამოთხეში მაინც
ვერ მოხვდება, ცოდვის კალოების გამლეწავი პაპები კი მოხვდე-
ბიან. თქვენ კი ამბობთ, საბაოთი სამართლიანი და გამკითხურა
ღმერთიაო. გრუხენოდეთ მაინც, ასე ეტიფრულად რომ ტყუით!

ამ მანქიერი წრიდან გამოსვლა შეუძლებელია, თუ საღი აზრისა
და ლოგიკის ერთგული დარჩები. სამართლიანი ღმერთის გამოგ-

ზავნილი სამართლიანი შეილი რომ ყოფილიყო, ბოლომდე თანმიმდევრი, იქსოს ჯგარიდანვე უნდა დაუწეულა საბაოთი ზიტუპებისათვის, რომ ამდენი აწამა კაცობრიობის სულ უმნიშვნელო უმცირესობისათვის, რადგან საბოლოოდ ჯვარცმა აღმოჩნდა უსირცხვილო მისტიფიკაცია, სასტიკი ხუმრობა, რაც მამა-ღმერობა გაუმართა ძელმეროს.

მაგრამ იმ წუთებში მირონცხებულს მარტოოდენ მსხვერპლის შედეგები როდი აწებებდა.

ჯარისკაცებს დახვდა, ჯვრის ქვეშ რომ მის სამოსელს ინაწილებდნენ. რა იმდენი სამოხელი პერნდა, რომ ტაძროსნებს გასწვდენოდა, ქლამინდი იყო და ოთხად ჭრიდნენ. ჰიტონზე რომ მიღდგა საქმე, აქენში უყარეს: ვისაც შესვდება, შესვდებათ. ეს უბრალი ჰიტონი როდი იყო. ლაპარაკია იმ ჯადოსნურ სამოსელზე, მარიამმა რომ მოუქსოვა პატარაობაში და ეტყობა, მასთან ერთად იშრდებოდა, ჭირისა და ლხინში ემსახურებოდა. ჯარისკაცმა, რომელსაც შესვდა, ერთ თავგამოდებულ ქრისტიანს აჩექა, იმან კიდევ სხვას უანდერძა და ასე მოხვდა არეანტეის მონასტერში, სადაც დღემდე აუარებელ მოწმუნეს იზიდავს.

მისი სამოსის გაყოფამ და გახერეტილი ხელ-ფეხის ტკივილმა იქსო გონს მოიყვანა. ამ დროს ისევ განათდა მისი ღვთაებრივი გონება და უზენაესს მიმართა:

— მამაო ჩემო მიუტევე. რამეთუ არა იციან, რასა იქმენო!

მაგრამ ხალხი და ჯარისკაცები ახლაც კი დასცინდნენ ჯვარცმულის ამაღლებულ განცდებსა და მის ლოცვას.

— ჸეი! — უყვიროდნენ, — ზენ, ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში ახლად ამშენებელო, აი, მშვენიერი შემთხვევა, გეძლევა, რომ კიდევ ერთი სახწაული მოახდინო: მოწყდი ჯვარს და დაბლა ჩამოდი! მაშინ გავიკვირვებოთ, თუ გავიკვირვებოთ, და ალბათ გიწამებთ კიდეც.

სხვები ბანს უუბნებოდნენ:

— როგორ იკვეხნიდა, სხვებს ვიხსნიო და თავი გერ უხსნია!

მეხამენი დასძენდნენ:

— მართლაც, უურები გამოგვიტედა, უფლის შეილი ვარო! რატომ არ იხსნის ციური მშობელი?

მაგრამ ქრისტეს თავისი მიშეზი და მოსაზრებანი პერნდა, არც ჩამოდიოდა ჯვრიდან და არც უხსნიდა რეგვენთ.

არც იმ თრიშა არამზადამ დაინდო, აქეთ-იქიდან რომ დაპკი-
დეს.

ამაზეც უჭირო შეთანხმება ევანგელისტებს.

მათე წერს: „ეგრძელ ავაზაკნი, მის თანა ჯვარ-ცმულნი, აყვე-
დრებდეს მას“ (27, 44). ე. ი. აგინებდნენ.

მარკოზიც ამ აზრისაა:

„და მის თანა ჯვარ-ცმულნი იგი აყვედრებდეს მას“ (15, 32).

ითანე ავაზაკ ძმების გინებაზე არაფერს ამბობს.

რაც შეეხება ლუკას, ასე ამტკიცებს:

„ხოლო ერთი დამოკიდებულთაგანი ძვირის მოქმედთა პემობ-
და მას და ეტყოდა: შენ თუ ხარ ქრისტე, ისსენ თავი შენი და
ჩვენცა.

„მიუგო ერთმან მან მოყვასმან, შექრისხნა მას და ეტყოდა: არც-
აღა გეშინის შენ ღმერთისა, რამეოუ მასევ საშეველსა შინა ხარ? რა-
მეთე ჩვენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენი, მოგვეცების, ხო-
ლო ამან უშჯულობაი არარაი ქმნა.

და ეტყოდა იესუს: მომისსენე მე, ოდეს მოხვიდე სულევითა შე-
ნითა.

„ხოლო იესუ ჰრეგა მას: ამენ გეტყვი შენ: დღეს ჩემ თანა იყო
სამოთხესა“ (23, 39—43).

ლუკას სახარების ეს ხეთი მუხლი დაედო საფუძვლად თქმულე-
ბას ერთი კეთილი ავაზაკის შესახებ, რომელმაც აღიარა, ჩვენ სა-
მართლიანად დავისაჯეთ და ამან არაფერი არ დააშავა; არ გვშინია,
რომ ღმერთთან ერთად ხარ მსჯავრდებულიო? — უთხრა ერთმა თა-
ნამზრახველს — იესოს მძრახველს. კომენტატორმა ღვთისმეტყვე-
ლებმა საკმაოდ მახვილონივრულად გამოუქვებნეს ამ ნაძირალას სა-
ხელი: დიმასი დაარქვეს და განაცხადეს, ეს ის დიმასია, რომელმაც
იოსები, მარიამი და ყრმა იესო შეითარა, გვიპტეში რომ გაექცნენ
ჰეროდე დიდსო. წარმოგიდგენიათ, სად შეხვდნენ ერთმანეთს?. მთა
მთას არ შეხვდება, კაცი კაცს კი შეხვდებაო. წერთისოფელი ვი-
წროა...

ამრიგად, ეკლესიის მოძღვრების თანახმად, პირველად ცაში
მოხვდა ქურდი და კაცისმკვდღელი. ჩანს, ამიტომაც ბევრ ურწმუნო
და რეგენ დესპოტს დაუჭრია მცდომრული კავშირი ქურდებთან და
ბანდიტებთან. თემცა ჩალე დიმასს შეუერთდა მრავალი სხვა
მკვდელი- და ხალხის მტარვალი, რომელსაც ქვეყნის კეთილისმყო-

უელად გაუსაღებია თავი და ცოდვების მონანიება მოუსწრია. ბევ-
რსაც, ჯეარშე აყვანის ღირსს, განცხრომის ლაფში და უზრუნველყო
თავისი ნაძრახი სიცოცხლე. ყველაფერი უფლის ნებაა.

აქ ისევ იძულებული ვხდები ზედიცედ მოვიტაბო ევანგელის-
ტების ციტატები, რათა დავამტკიცო, რამდენი გაუგებრობა და აზრ-
თა სხვადასხვაობაა მათ შორის, თუმცა ყველას ერთი სულიწმინდა
შთააგონებდა.

მათე: „ხოლო ექვს ეამითგან დაბნელდა ყოველსა ქვეყანასა, ვი-
დრო მეცხრედ ეამადმდე (ცხრილან ექვს საათამდე საყოველთაო მწე-
ხრი ჩამოწვა).

და მეცხრესა ოდენ ეამსა ხმა-ყო იქსო ხმითა დიდითა და თქვა:
ელი! ელი! ლამა საბაქთანი? ესე არს: ღმერთო ჩემი, ღმერთო ჩე-
მო! რაისათვის დამიტევებ მე?

და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს: ელიას
უხმობს ესე!

და მეცხველად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი
და აღავსო ძმირითა და დაადგა ღერწამი და ასემიღა მას.

ხოლო სხვანი იტყოდეს: აცადეთ და ვიხილოთ, უკეთე მოვიდეს
ელია გარდამოსხნად მაგისა!

ხოლო იქსუ კვალად ღაღად-ყო ხმითა დიდითა და განუტევა
სული“ (27, 40—50).

მარკოზის აღწერილობა საკმარიდ უახლოვდება მათესას (15,
33—37):

ღუპასთან სულელური ხემრობა, ღრუბლის ძმირით გაეღვინთვა,
მევრად უფრო ადრე ხდება, ვიდრე ავაზაკები დაუწყებენ გინებას,
ხოლო რაღაც ვულგარული „ელი, ელი! ლამა საბაქთანის“ ნაცვ-
ლად იქსო უფრო პოეტურად ამბობს: „მამაო, ხელთა შენთა შეექვედ-
რებ სულსა ჩემსა! — და განუტევა სული“ (23, 46).

მაგრამ აი, მივეღით მეოთხემდე, ესაა ითანე. სწორედ ის არა-
ფრით არ ეთანხმება თავის თანამოძმე ევანგელისტებს. არც აცია,
არც აცხელა, ისე განაცხადა, ჯეართან აღმოჩნდნენო იქსოს დედა
მარიამი, მარიამ მაგდალინელი, „დაი დედისა მისისა, მარიამ კლე-
ოპაისი“*, აგრეთვე მისი საყვარელი მოწაფე, ე. ი. თვითონ ითანე.

* საცელიერას და იარილინას თარგმანში (ორსავე გამოცემაში) გამოჩ-
ნილია მესამე მარიამი, ღვთისშობლის ღა, ქემოთ კი წერია: „აუდა
მს ქალი...“ (ვვ. 385). საერთოდ, გოლგოთაზე სამი მარიამია.

უნდა ითქვას, რომ ამაზე ბუნებრივი არაფერი იქნებოდა! ეს სამი, პეტრეს თუ არ გავისხენებთ, ნამდვილად ყველაზე უფრო მომავრდი საშეულია იქსოს ცხოვრებაში. იქსოს დეიდა კი შედარებით ნაკლებ როლს თამაშობს საერთოდ. სამი სხვა გვანგელისტი დაბეჯიორებით ამტკიცებს, ხსენებული პირები გოლგოთიდან დიდი დაშორებით იმყოფებოდნენ. ღმერთი იყოს მათი მფარველი!

ამრიგად, გამოწინეული მოწაფე, რომელმაც გეთსემანის ბაღში მოძღვრის შეპყრობის დროს მოპკურცხლა, ახლა როგორდაც მოუღოდნელად გამოიწვია თხემის ადგილზე, სადაც ველარაფერს უშველიდა. იქსომ დაინახა, დედა და უთხრა: „დედაგაცო, აპა ქე შენი! მერე ითანეს მიუძრუნდა აა „პრექვა მოწაფეს მას: აპა დედა შენი! მიერ დღითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თვისთა თანა“ (ითანე, 19, 26—27).

ეს „თვისთა თანა“ პირდაპირ შედევრია! ჩვენ ხომ ვიცით, რომ მოციქულებს არც სახლი ჰქონდათ, არც კარი. რომ წაიყვანა, სად წაიყვანა?

შემდეგ იქსომ წამოიძახა ყველაზე უფრო ბუნებრივი სიტყვა: „მწყურის!“ ეს გასაგებია, მომავლავს წყალი სწყუროდა, ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა. ითანეს სიტყვით სწორედ აქ მიართვეს ჯარისკაცებმა ძმრით გაედენთილი ლრუბელა და იქსომ სითხე-მოწყვა. ამჯერად იქსომ აღარ უშმი ილიას, აღარც მამას მიმართა მაგიერი სიტყვებით: „ლამა საბაქთანი!“ პირიქით, საოცარი სიმშევიდე დაუფლა. თავი დახარა: „მიიღორიყა თავი, თქვა: „აღსრულებულ არს!“ და განუტევა სული“.

უნდა აღინიშნოს, რომ არც მათემ, არც მარკონიშა, არც ლუკამ არ იციან ერთი შემაძრწუნებელი დეტალი, რაც მხოლოდ ითანემ იცის. პარასკევი იყო და ურიებს არ უნდოდათ შაბათის დიდ დღე-სასწაულამდე ასე ცოცხალი დარჩენილიყვნენ დასჯილი, ამიტომ პილატეს ჰქითხეს, წვივები ხომ არ გადავუტეხოთო, — იუდეაში აღბათ ასე უსწრაფებდნენ სიცოცხლეს ჯვარცმულებს, — პილატეს პიდევ ხელის დაბანვის გარდა რისი უნარი ჰქონდა! წავიდნენ „ერისაგანნი“ და ავაზაკებს წვივები გადაუმსხვრიეს, იქსო კი „იხილეს, რამეთუ მომკვდარ იყო, არა განუტეხნეს წვივნი მისნი“, მ. გრამ ერთმა გულღრძით ერისაგანმა მაინც ვერ მოითმინა, ლახვარი „უგმირა“ გვერდში, „და მეყსეულად გამოხდა სისხლი და წყალი“.

ამ კაცმა იქსო იწამა, „და ჭეშმარიტ არს წამებაი მისი... ქვალი მისი სი არა შეიმუშაროს“. ეს მხოლოდ ირანემ იცის (19, 25—37) რომ განსაცვიფრებელი ამბავი.

ტაძრის ფარდაზე იქსოს ჯვარცმამ ისე იმოქმედა, რომ მღვდელ-მთავარ კაიაფას მაგალითს მიჰპაძა, თავიდან ბოლომდე გაიფხრი-წა, იმ განსხვავებით, რომ ეს თავისით გააკეთა, არავინ არ შექმნია. აი, ასე რომ მოქცეულიყო კაიაფა, მისი დარდიც სარწმუნო იქნებოდა!

დედამიწამაც დაკარგა წონასწორობა და გარკვეული სწით, — სახარება არ გვიშუსტებს, რამდენი, მაგრამ ეტყობა, საკმაოდ დიდი სწით, — ბნედიანივით ძაგლავებდა. რამდენსამე აღვილას გასედა კიდევეა! თვითონ გოლგოთა ხომ გაიხსნა და როგორც გინახავთ ხა-მანწეა მცხუნვარე მზეში, ისე გამოჩნდა აღამის თავი, რომელიც მის წიაღში იყო ჩამარხული, როგორც უკვე ვიცით, შეიძრა აღამის თავი ჯოჯოსეთში და დაიგუგუნა. ვინ იცის, რა მოუვიდა, რომ დღემდე ვერ უპოვიათ!

ქვეყნის ყოველ მხარეში უთვალავი საფლავი გაიხსნა, მიცვალე-ბულებმა კუბოს ფიცრები ასწიეს, წამოიწიეს და ნათელ ქვეყნას გა-სხდეს. ღვთისმიტეტველთა მტკიცებით, დაიწყო საყოველთაო აღდგო-მა. ამა ვინ დაიკერძეს, თორებ სამარიდან ამოსვლით გახარებული მიცვალებულები ქუჩა-ქუჩა და მარტო დადნენ. კაფე-შანტანები და რესტორნები იმ დღეს გაჭერილი იყო. დედამიწის მოსახლეობამ ერთბაშად იმატა, რადგან ცოცხლებს მიემატა ყველა, ვინც განისვე-ნა, მიიცვალა. ღვთივ განისვენა, აღესრულა, მზეს მოსწყდა. წეთი-სოფელი მოჭამა, ბოლო მოედო, მიქელ-გამრიელმა წაიყვანა, ყალი-ონი მიაკუდა, უქები გაჭიმა ან ხსენა ასეთი ხიფათი შეემთხვა უკა-ნასკნელი ათასეული წლების განმავლობაში. წარმოგიდვენიათ?

არ იფიქროთ, რომ ვაშვიადებ. ასე ამბობს მათე, და ესაა სახა-რების სიტყვები:

„და ამა კრეტსაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად შეითვან, ვიდრე ქვედმდე, და ქვეყნა შეიძრა, და კლდენი განსთქმდეს; და სა-ფლავი აღეხვნეს და მრავალნი გვამნი შესვენებულთა წმიდათანა აღდგეს, და გამოვიდეს საფლავით მათით და შემდგომად აღდგომი-სა მისისა და შევიდეს წმინდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრა-ვალთა“ (მათე, 27, 51—53).

მე მჯერა შენი, მათე! რა უფლება მაქეს არ დაგიჯერო, შენ ხარ 540

წყარო იქსოს ცხოვრებისა. ასეთი სანახაობა შეუმჩნეველი წოდორ
დარჩებოდა!

მეომართა ასეულის უფროსს კლდა ეცა. დედამიწა რომ ფე-
ხევშ შეიძრა და გიგინით დატრიალდა, მოელი ძალით ჩაემდაუჭა
მოძაგძაგე კლდის ქიმს და შესძახა:

— ეშმაკმა დალახვროს! ლამის ნაპრალში ჩავინთქა! ჟეშმარი-
ტად, ეს იყო ღვთის შვილი! („ჟეშმარიტად, აյ ღმრთისა ეყო
ესე!”).

ეს ნამდვილად თქვა. შემდეგ კი ალბათ დასძინა:

— ღმერთმანი, მწყინს, რომ მოკვდა! როგორ მენანება!

მაგრამ სახარებას ეს ბოლო ხიტყვები არ შემოუნახავს.

რაც შეეხება მღვდელმთავრებს, მწიგნობრებს, ფარისეველებს,
უმაღურ ხეიბრებს, რომელნიც იქსომ განკურნა და სხვებს, იმათაც
ყველას მშვენივრად ეხმოდათ, ვისთანაც პქონდათ საქმე თავად გან-
სახეო, განა ბუნების კანონების ასეთი ჰყარა დარღვევა გადამწყვე-
ტი ბაზუთი არ იყო მათი მსხვერპლის ღვთაებრივი ჩამოძალო-
ბისა?

მაგრამ იმ ეპოქაში ადამიანები ისეთი ეშმაკის კერძები იყვნენ,
რომ არსად და არანაირად არ უხსენებიათ ეს ზეარაჩვეულებრივი
მოვლენები, რომელთა მოწმენიც აგერ ჩვენა ვართ. მკვდრეობით ამ-
დგარნიც საოცრად უმაღურები აღმოჩნდნენ. ყოველნაირი მისწრა-
ფების გამოჩენილმა ადამიანებმა, რომელთაც იქსოს ჯვარცმაშ მეო-
რე ხიცოცხლე მიანიჭა, ისე შეკრეს პირი, რომ მათი მეორე სიცო-
ლელისა ხსენებაც არაა. არისტოტელეს მაინც ეთქვა რამე!

ალბათ ამიტომ მოხდა, რომ იმ დროის არც ერთ წიგნში არაა
ნახსენები ეს სასწაული, და ის მხოლოდ სახარებიდან ვიცით.



სამეცნიერო სასრული

ჩარდამოსინა

და ამა კერია კაცი, სახელით იოსები,
მზრახელი (საბჭოს წევრი), იყო კაცი სა-
ხიერი და მართალი. ეს არა შერთულ იყო
ზრახვასა მათსა და ხატება. და იყო იყო
არიმათიათ, ქალაქისაგან პურიათისა, რო-
მელ იყიცა მოელოდა სასულეულისა ღმრთი-
სასა. ეს მოუხდა პალატებს და გამოითხოვ-
გვამი იქმუისი. და გარდამოქმნია იყი და
შექმნია მას ანდაცი და დაღვა იყი საფ-
ლავება გამოკოდილსა, სადა არავინ დაღებულ
იყო. და დღე იყი იყო პარასკევი, შებათად
განცენებოდა.

ღვევი, 23, 50-54



ევობარო მყითხველებო, იმედი მაქებ არ
დაგვიწყებიათ ნიკოდიმოსი, ის თავშესაქ-
ცევი მწიგნობარი, ღამით რომ ესტუმრა
იქსოს და ბევრი ემასლაათა, მაგრამ ისე
დაბრუნდა, რომ მაინც ვერ დარწმუნდა,
მარიამის შეიღი — ღვთის შეიღიათ. ნიკოდიმოსი ყოვმანობდა.
სინედრიონის სხდომებზე იქსოს არც ბრალს სდებდა და არც ამარ-
თლებდა, ბრძნელ დუმილს არწევდა.

ბებერი დედამიწის გიღურმა ცეკვამ, რაც აღდგომის წინა პა-
რასკევს მოხდა, მის ჭოქმანს ბოლო მოუღო. აბლა იცოდა, ვისკენ
აეღო გეზი. გოლგოთელი ასისთავის მსგავსად შესძახა:

— ჭეშმარიტად, ძე ღმრთისა იყო ეს!

მისი აზრი უზენაას მოხელეთა უმრავლესობამ გაიზიარა, თანაც
საოცრად მიმსგავსებულად. მათ შორის პირველი იყო ძლიერი და
ძლევამოსილი სენატორი, საარაკო სიმდიდრის პატრონი, სახელად

იოსებ არიმანთიელი. ამ კაცს ალბათ იქსოს გადარჩენაც შევიღო, დროშე რომ ენებებინა ჩარევა და ჯვარცმის წინააღმდევი წაული— ყო სასამართლო პროცესზე. თუ ეს ადრე არ გაუკეთებია, არა იმიტომ, რომ ხინდი დირსების შელახვად მიაჩნდა ვინმე ხუროს შვილის სასამართლო პროცესში ჩარევა.

არაჩვეულებრივმა სპეცტაკლმა — მიცალებულთა საყოველთაო აღდგომამ ეს ეჭვიანი კაცი ქრისტეს თავგამოდებულ მიმდევრად აქცია. რა თქმა უნდა, ცოტა შეაგვიანდა, მაგრამ როგორც იტყვიან, ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ამრიგად, ეს იოსებ არიმათიელი პილატესთან მივიდა და უთხრა:

— გილოცავი, მთავარო! თქვენ სათხო საქმე გააკეთეთ!

— იქსოს ჯვარცმის ნება რომ მივეცი?

— რა თქმა უნდა!

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ.

— იმედი მაქვს ახლა მაინც შეიგნებდით, რომ საქმე რომელიმე მუქთახორასთან არა გქონიათ?

— ოღონდაც, ახლა კი ყიცი, რომ მივქარე. მაგრამ მომისმინეთ. რამდენი ვეხვენეთ მე და პერიდე, რომ თავისი ღვთაებრივი ძალა გამოიჩინა. არ დავვიჯერა, თორემ არაფერი არ მოხდებოდა.

— მაში ვინც ღვთაებრივ ძალას არ გამოიჩინს, ყველა უნდა ჯვარს აცვათ? ჯობს გამოტყდეთ, რომ ნებისყოფის სიმტკიცე ვერ გამოიჩინეთ.

— ძვირფასო, მე შემიძლია მხოლოდ ეს ვაღიარო: იქსოს ღვთაებრივ შთამომავლობაში ვჭვი არ მეპარებოდა და ყველა ღონეულ ვიხმარე, რომ მეხსნა. მაგრამ თქვენი იერუსალიმის მოსახლეობა პირდაპირ გაგიქდა. ამ ჭაბუქმა თავის თანამემულეთა უმრავლესობას მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, იმათ კიდევ დაცვის მაგიერ დასჯა მოითხოვეს. მე რა ვქნა, რომ ასეთები ხართ? მერწმუნეთ, ჩემი ცდა არ დამიკლია...

— ვიცი, ვიცი, თეთრი ქლამიდი, როსგები, ბარაბა... შემდევ კი ხელი დაიბანეთ.

— ოღონდაც! თავსაც დაჯიბანდი, ფეხსაც და ტანსაც, რომ საჭირო ყოფილიყო... მაგრამ საით უმიზნებო?

— აი, საით. მე ძლიერ მანაღვლებს უფლის განსვენება. მინდა

ადამიანურად მაინც დავკრძალო მსად ვარ ერთი საუკეთესო და ხელუხლებელი აკლდამაც კი გამოუეყო ერთ-ერთ ჩემს მაშვიდმა — კეთილი, საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს! მაგრამ ზუმრავა მიბოძეთ ერთი კითხვა მოგცეთ. ძვირფასო იოსებ, დარწმუნებული ხართ, რომ იქნო ნამდვილად მოკვდა?

— უნდა დავიჯვროთ, მეტი გზა არაა. ერთ-ერთ მეომარს ვეღაბარავე, თხემის ადგილის გუშაგს. ყოველ შემთხვევისათვის მახვილი გაუყარესო. ასე რომ, ახლა უთუოდ ჟევე განისვენა.

უნდა ვივარაუდოთ; რომ ამ დროისათვის გოლგოთიდან ასის-თავი ჟევე დაბრუნდა, რადგან პილატემ ქიოთხა, შეიძლება თუ არა სენატორის თხოვნის შესრულებათ.

ასისთავის ოფიციალურმა მოხსენებამ დაადასტურა იოსების სიმართლე და პილატემ თქეა, არაუერი საწინააღმდეგო არა მაქვს იქნოს მეგობრებმა მისი ნეშტი დაკრძალონო.

სასახლიდან გამოსული იოსები კინაღამ შეეჯახა ნიკოდემოს, რომელიც პილატესთან იმავე თხოვნით მიეშურებოდა.

ორი გავლენიანი გვამი ერთიმეორეს მიესალმა. მოკითხვისა და გამოკითხვის შემდგვე აღმოჩნდა, რომ საერთო მიზანი ამოძრავებდათ, ამიტომ განიზრახეს, რომ იდეა საერთო ძალით განეხორციელებინათ.

ადგა ორი ქრისტიანი და მებაღზამესთან გაემურა, რომ გვამი საკადრისად შეემურათ.

აქ ზედმეტი არ იქნება ერთი გარემოების გახსენება: ყველაფერი ეს პარასკევის მოხდა და ჟევე საკმაოდ გვიანი იყო. თუ დროზე ვერ მოასწრებდნენ, მეორე დღეს ხელსაც ვერ გაანძრევდნენ: შაბათი ხომ უქმადწოლის დღე!

ამრიგად, იოსებმა და ნიკოდიმოსმა საარაკო აქტივობა გამოიჩინეს. მოზრდილი თანხისათვის მებაღზამემ ვახშამი მიატოვა და ამ უდროო დროს საქმეს შეუდგა. ვიდრე არტახებსა და ნელსურნელებას ამზადებდა, იოსებმა და ნიკოდიმოსმა ერთხელ კიდევ აირბინეს გოლგოთაზე, იმედი ჰქონდათ, რომ იქ ღმერთყაცის ნათესავებს ნახავდნენ.

მართლაც, სამივე მარიამი, შათ შორის ღვთისმშობელი, ჯვარს არ შორდებოდა. იქვე იყო მშვენიერი ითანე.

— ღედი, ნე იყლავთ თავს! — უუბნებოდა იქნოს საყვარელი მოწაფე მარიამს.

— ამ, იოანე, შვილო ჩემო! — გოდებდა მარიამ ნაზარეველი.

ასეთი რამ ნიკოდიმოსისათვის მოულოდნელი იყო. გაკვირვებისაგან პირი დააღო და თვალები დააჭყიტა. მაგრამ ჩვენ შესი გაოცება არ გვიკვირს, რადგან მოხუცი მწიგნობარი არ იყო თხემის ადგილზე იმ დროს, როცა იქსო თავის ადგილზე იოანეს ტოვებდა და დედას ავედრებდა.

ქალებს პირველად იოსებ არიმათიელი მიუახლიოდა.

— ქალბატონო ღვთისმშობელო! — თქვა და მოწიწებით დახარა თავი მარიამის წინაშე. — მიიღეთ ჩვენი უგულითადესი თანაგრძნობა. სასტკი დანაკლისი, რაც თქვენ განიცადეთ, ჰერმარიტად აუნაზღაურებელია და ჩვენ გვესმის მოელი მისი სერიოზულობა.

იქსოს დედამ ქვითინი მორთო. მიუხედავად მთელი დავიდარაბისა და ხაზრუნავისა, რაც უფროსმა შვილმა გაუჩინა, მაინც ის ერჩია სხვა შვილებს.

— შადლობელი ვარ, უფალნო, რომ ამ მძიმე ქამს ჩვენთან მოხვედით და ჩემი მწერარება გაიშიარეთ... მაგრამ რომელი ბრძანდებით?... თუ არ ვდები, დღემდე არა·მქონია ბედნიერება...

— იოსებ არიმათიელი, სენატორი, — წარუდგა თავდახრილი მიწიეველი.

სამივე მარიამი შეკრთა და უკუიქცა.

— მაპატიეთ, — უთხრა მარიამ მაგდალინელმა, — თუ მართლა სენატორი ხართ, როგორცა ბრძანეთ, მაშინ შე არ ვიცი, რა თანაგრძნობაზე შეიძლება ლაპარაკი, განა თქვენ იქსოს მტრების რიცხვში არ იყავით?

იოსებმა აუხსნა საქმის ვითარება და იმავე დროს ნიკოდემოსიც წარუდგინა. პირველად მარიამები უნდობლად უსმენდნენ, მაგრამ როცა პილატეს ხელმოწერილი საბუთი აჩვენეს, იქსოს ჩამოხსნისა და დაკრძალვის ნებართვა, დაუკერცს.

უკუთხი შთაბეჭდილება დატოვა ნიკოდიმოსმა, რომელსაც მებალზამე მოპყვა ფეხდაფეხ, თან მოიტანა ყველაფერი, რაც ამ საქმეს ესაჭირობოდა; აქ ისევ იოანე უნდა დავიმოწოო, თორემ ჩვენ არც დაგვიჯერებთ: „მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელი — იგი მოვიდა იქსინისა ღამე პირველ და მოიღო აღრეული მურისა და ალოისა, ვითარ ასი ლიტრა“ (19, 39). თითქმის ორმოცდაათი კილოგრამი, სამი ფუთი სურნელოვანი ნივთიერება ერთი კაცისათვის, თუნდაც ღმერთისათვის, — ეს თქვენ ხუმრობა არ გეგონო!

სუნატორმა თავისი მონები მოიყვანა, თან მოატანინა კიბეები თოკები, ბარწუხები, არტახები, სუდარა და სსვა მოწყობილობა. თავს ღვთის შეილის გარდამოხსნას ესაჭიროებოდა. „და მოიღეს გეამი იქსუსი და შეპერაგნეს იგი ტილოებითა, არდაგებითა სელნელთა მათ თანა, ვითარცა არს ჩვეულება ჰერიათა დაფლვასა“.

ეს ოპერაცია, რასაკვირველია, იოლი არ იყო, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯალათებს გვამი პატიოსნად მიეჩიდიათ. ამის მიუხედავად, როგორც მდვდლები გვარწმუნებენ, ყველაფერი კარგად მოეწყო და იქსოს ხელ-ფეხი გაფხაჭნილიც კი არ აღმოჩნდა. როგორ დაკიდეს?

ზოგი მკითხველი სკეპტიკურად იტყვის:

— იქსო ალბათ სიცილით ედებოდა! მაშ როგორ? სულ ამაოდ ასაღებდა თავს მიცვალებულად, რადგან ღმერთი ხომ არ კვდება! ერთი წამითაც არ მომკვდარა. ჯვარცმა, ტკივილი, ჟყანასქნელი ამოკენესა — ეს ყველაფერი წინ-სწარ მოფიქრებული სპექტაკლი იქნებოდათ!

არა, ამაზე ვერ დაგეთანხმებით. მესირ იქსო ნამდვილად მოგვდა, იოსებ არიმათიერის მსახურები და ნიკოლემოსის შემსურველი გვამს დასტრიალებდნენ, ცოცხლის შემსურვა ვინ გაიგონა!

ჩემი მეგობარი მდვდლები კიდევაც აგისხნიან, საით გაფრინდა მისი სულო, რადგან მათი რწმენით ჩვენს სულს აქვს უნარი იარსებოს ცალკე, სხეულისაგან დამოკიდებლად.

პოდა, იქსოს სულიც, რომელმაც, მისტიკოსების ენაზე რომ ვთქვათ, თავისი მიწიერი სავანე შიატოვა, ორფეოსიკით აჩრდილთა სამეფოში⁴⁹ ჩაეშეა. იქ მან ღვთისმეტყველთა აზრით ნახა ყველა მიცვალებული სული, სამყაროს შექმნიდან შობილთა და განსვენებულთა.

მართალია, ამ ბრძნთაბრძნენ ღვთისმეტყველთ დაავიწყდათ, რომ სულ ამ ხეთი წინ გვიმტკიცებდნენ, იქსოს ჯვარცმასთან დაკაეშირებით ყველა მიცვალებული სამარიდან წამოდგაო, და ისიც მოელს დედამიწაზე, უსულოდ ხომ ვერ ადგებოდნენ? მაგრამ ნე ვიქნებით ასეთი პედანტები! განა ღირს ასე იქედნურად ჩავაცივდეთ ყველა წინააღმდეგობასა და გულმავიწყობას, რაშიაკ ღვთისმსახური და ყველა მატყუარა-მოძალადები გახლართულან ყველა დროსა და ქვეყანაში? ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ეს ხომ სიცილს უმაღ იწვევს, ვიდრე აღშფოთებას? გავიცინოთ და წავიდეთ.

ამრიგად, სულები იქსოს არნახული ენთუზიაზმით შეხვდნენ. ნამდვილი ოვაცია გაუმართეს. თუ ზემოთ, დედამიწაზე იქსოს სულები ვდილმა გლოვა გამოიწვია, სულთა სამეფოში ისეთი ზეიმი გვაძიარავა თა, რომ ქუდები ჭერსა ჰქრეს.

— ჩვენო კეთილო იქსო! რა სათნო და ქველი ხარ! რა თავაზიანი! შენ ხომ ჩვენთვის მოკვდი! შენ ხომ ჩვენ გვიხსენი! ჩვენთვის ვნე და ეწამე! რა დიდსულოვნური ნაბიჯია!

განსაკუთრებით ხარობდა ქვრივი ივდითი, სწორედ ის გმირი ქალი, რომელმაც ოლომფრე თუ ოლოფერნი⁵⁰ მოკლა, რათა მოხუც საბაოთისთვის ეამებინა. შერე. როგორ ხარობდა! ახლავე გაიგებთ, რატომ და რისთვის.

ივდითი, ბიბლიური ლეგენდის თანახმად, ყველა მიწივრი ღირსებით იყო შემჩული. არც ერთი ქალწული არ იყო მასავით ღირსი სამოთხეში მოხვედრისა. მაგრამ სამწუხაროდ იმავე პირველი ცოდვის წყალობით სამოთხე მისთვის მიუწვდომელი იყო. ივდითი, აბრაამი, მოსე, დავითი, იაკობი და სხვა რჩეულნი უფლისანი მიტევების უამს ელოდნენ კუშტ მიწისქვეშეთში, რასაც ღვთისმეტყველი კათოლიკენი რატომდაც სამოთხის წინკარს უწოდებენ*.

აი, რატომ ვერ მოითმინა ახლა ივდითის სულმა და მადლიერების ნიშნად იქსოს სულს გამბორა. რასაკვირველია, ეს იყო უბიწო ამბორი — სულთა გადაჭდობა აღარ აღიზიანებს ზნეობის გუშაგებს.

— აა, ჩემო მაცხოვარო, რა კეთილი ხარ! — შესძაბა გმირმა ქალმა.

— ჩემო სულიკო! — მიუგო იქსომ.

მოკლედ, იმ დღესა თუ ღამეს ქვესკნელში ისეთი მხიარულება იყო, რომ არც ზღაპრად ითქმის, არც კალმით აიწერება.

როგორ გტანჯეს და გაწამესო, ეყითხებოდნენ ქრისტეს, და მერე შსჯელობდნენ, როგორც თეატრმცოდნებმა იციან სპექტაკლის განხილვაზე.

* მეობეველს შევახსენებო, რომ ეს მოლოდინი სამი — ოთხი ათასი წელი გრძელდებოდა. განა შეიძლება დეთილი და მოწყალე ღმერთი ეწოდოს საბაოთს, რომელმაც თავის რჩეულ, თვედალებულ, ნეტარ პატრიარქებს ღრმოცი საუკუნე აცდევინა ბნელ ქვესკნელში, ვიღრე უკეთეს ბინას გამოუყოფდა, და ისიც ერთი ვაშლისათვის, რომელიც მათ არ შეუკამიათ 50

— ამბობენ, გაშოლტესო, ეს მართალია? — დაინტერესდა ფე-
დეონის სულინა.

— ასე იყო, — მიუკო ქრისტემ. — ერთ სერეანტს ისეთი მშიშე
ხელი ჰქონდა, რომ ეშმაკი ვერ გაუძლებდა.

— მით უკეთესი, მით უკეთესი! — უხაროდათ სულებს და
დარწმუნებული იყვნენ სულელები, რომ სამოთხის კარი უკვე ღიაა
მათვის.

ბოლოს იქსომ შეუძლებელი საქმე იყისრა: სულები დათვალა,
დანომრა და მამა საბაოთთან წარსადგენად წაიყვანა*.

მოხუცი მამა-ღმერთის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ
დღეიდან მისი სასუფეველი უთვალავი სულით აიგებოდა: რაც უნ-
და იყოს, გაერთობა ადამიანი! ამიტომ ბრძანა, ყველანი პატივით
მიიღეთო.

როცა პროცესია უკვე სამოთხეში შედიოდა, იქსოს სულმა უცებ
შესძახა:

— ღმერთო! ხვალ ხომ აღდგომა! დროზე მომაგონდა, თორემ
ჩვენი წინასწარმეტყველი და მათი წმინდა წერილები სულ ტყე-
ლი მოლაყბები გამოდგებოდნენ... ძალიან ვწევვარ, ძეირფასო სუ-
ლებო, მაგრამ იძულებული ვარ მიგატოვოთ მე ჩემს სხეულს უნდა
დავუბრუნდე, რომ კვირას მკვედრეობით ადგომა მოვასწრო. მალე
შეხვედრამდე, მამაო ჩემო, რომელიცა ხარ ცათა შინა! მალე ნახეამ-
დის, ძეირფასო სულებო!

ამ სიტყვებზე ციური სული დედამიწაზე დაეშვა.

ვიდრე საიქიოში ასეთი ამბები ხდებოდა, სააქაოში იქსოს მე-
გობრები მის გვამს აბალზამებდნენ. აი, როგორ ხდებოდა ეს შე-
მურვა.

ტანიდან მთელს გულ-მუცელს უდებდნენ, თავიდან — ტვინს.
შემდეგ ყვალა ღრუ და ძარღვი ნელსერნელოვანი ნივთიერებით ივ-
სებოდა. ასე დამუშავებულ გვამს სურნელოვან ზეთში ჩაასვენებდნენ
და ბოლოს არტახებს ახვევდნენ.

ამრიგად, იქსოსაც ნაწლავები და გულ-ღვიძლი გამოუდეს და

* ამდენი სული რომ სათითაოდ მიიღონ და განსაჭონ, სამისოდ თვა-
თონ ღმერთებს არ ეყოფათ ღდვეგრძელობა. ღვთისმეტყველი უფრო გა-
ნიერულად მოიქცეოდნენ, რომ მიკალებულთა განსხა თავისითავად, უფ-
ლის ერთი ნებით მოეძინათ. რაც უფრო ამარტივებენ, მით უფრო ირთუ-
ლებენ საქმეს.

საპატიო ადგილზე დაასვენეს: „იყო ადგილსა მას, სადა კვარს-ეცვა, მტილი (ფენახი) და მტილსა მას შინა საფლავი ახალი, სადა არავინ დადებულ იყო. მუნ დადვეს გვამი იგი იქსუსი“ მუნებრი-ვია, როცა სული სხეულს დაუბრუნდა და იქ მოფუსფუსე სამი მარიამი, იოანე, ნიკოდემოსი და იოსებ არიმათოელი ჩახა, მაშინ-ვე მიხვდა, რომ ნეშტს ბევრი რამ აკლდა. მაგრამ ქმარა! განგებამ ასე ინება, აღდგომის შემდევ იქსო დედამიწაზე შხოლოდ ორმოც დღეს გაატარებსო და რა სალაპარაკოა კუჭი, რაც ზოგან მოელ სი-ცოცხლეში უქმადაა? ტვინი კიდევ რამდენ მბრძანებელს არა ჰქო-ნია, მაგრამ არსეინად დამუავებულა საკუთარ ტახტზე, გვირგვინს ამით ელვარება არ დაუკარგავს! რაკი იქსო მეფეებზე ძლიერი და ყოვლისშემძლეა, რაღაც ორმოცი დღე უტვინოდ და უტეოდ გაძ-ლება არ გაუჭირდებოდა.

(მათე, 27, 57—61; მარკოზი, 15, 42—47; ლუკა, 23, 50—56; იოანე, 19, 38—42).




მიქელანჯელო. პეტა. რომი. 1498.

ყალაი მოქვალეაგული



წოლო ერთხა მას შაბათხა მხვად
(აღიონშე) მოვიდეს საფლავება ჩას და
მოაქენდა რაი-იგი მოემზადა სულნელები
და სხვანი კინძე ჩათ თანა. და პოეტი ლო-
დი იგი გარდაგორვებული ხაფლავისა მის-
გან. შე-რაც-ვიდეს შინა, არა პოეტს კვამი
იგი უფლის იქნება.

ლეკა, 24, 1-3



რსებ არიმათიელს ზედ გოლგოთაზე პჟონ-
და ბალი, იმ ადგილის მახლობლად, სადაც
ჯვრები იყო აღმართული. სახარებაში ზეს-
ტად არაა მითითებული, ეს ბალი უთოდ
სენატორს ეკუთვნოდათ, მაგრამ მღვდლები
ამას ამტკიცებენ და, მართალი გითხრათ, გვეზარება ასეთ წვრილ-
ბაზე შათთან კამათი.

ღვთაებრივი ნეშტი ხელით გაახვენეს იოსებ არიმათიელის ბა-
ღამდე. იქ იყო შესანიშნავი ახალი აკლდამა, რაზედაც სენატორი
პილატეს ეუბნებოდა. სამი მარიამი და პირმშვენიერი იიანე იყვნენ
მოწამენი ამ მოკრძალებული სამგლოვიარო პროცესისა, სხვა არა-
ვინ. უბმაუროდ და უბრალოდ ჩაასვენეს სამარეში დიდი იქსო.

მარიამს, კლეოპატრას ცოლს, და მეორე მარიამს, მაგდალინელს
უნდოდათ საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ, რომ ყველა-
ფერი პატიოსნად და მოტკეცების გარეშე მოხდებოდა. ყურადღებით
ადევნებდნენ თვალს ამ ნაღვლიანი ადათის ყოველ წვრილმანს და
წავიდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იოსების მონებმა აკლდამის შე-
სასვლელი მძიმე ლოდით ჩაემანეს.

ამასობაში, იოსებ არიშათიელის შემდეგ, პილატეს ეკვე მღვდელ-
მთავრის დელეგაცია ეწვია.

— მთავარო, — მოახსენეს სინედრიონის ელჩებმა, — იყსო
მოკვდა, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჩენ მოვგავონდა, როგორ
ტრაბახობდა სიცოცხლეში: მე მოკვდები, მაგრამ სამი დღის შემდეგ
ავდგებიო! ახლა გვემინია, ვაი თუ მისმა მომხრეებმა გვამი მოიპა-
რონ, მერე კი დაიწყონ ძახილი: „ნახეთ, იყსოს გვამი აკლდამაში
აღარ არის! ნახეთ, მართლა ღმერთი იყო და მყვდრეობით აღდგათ!“

— მერე, რა მოხდება? — მიუგო პილატემ. — განა გვამის
გაქრობა მის აღდგომას ამტკიცებს? პირიქით, აღდგომის ერთად-
ერთი უცველი დამამტკიცებელი საბუთია მისი გამოცხადება ისე,
რომ ხალხს ეწევნოს მთელი და უცნებელი სახით.

— აა, თქვენ არ იცით, რა გაიძვერა მოწაფეები ჰყავდა და რა
იოლად სჯერათ ყველაფერი ქუჩის ღოყლაპიებს! ერთინი იმას იტყ-
ვიან, რაც სურთ, მეორენი დარჯურებენ იმას. რასაც უტყვიან, თუნ-
დაც გვამი გაქრეს.

— მამ რა გინდათ?

— უბრძანეთ, გუშაგები დააკუნონ აკლდამასთან, ისე რომ ახ-
ლოს არავინ მიუშვან პირებელ სამ დღეს მაინა.

პილატემ ცოტა იციქრა და მერე თქვა:

— თქვენ რატომ არ დააჭინებთ თქვენს ბუშაგებს? განა თქვენ
არა გყავთ ჯარისკაცები?

— გყავს, უფალო მთავარო!

— მაშინ დააყენეთ აკლდამასთან და თქვენს გვამს თქვენვე
უდარაჯეთ.

მღვდელმთავრებმა თავიანთი ჯარისკაცები დააყენეს აკლდამას-
თან და უსასტიკესი ბრძანება გასცეს, არავინ არ გააკართ აქაურო-
ბასთ მეტი სიფრთხილისათვის კიდევაც დაბეჭდეს ქვა, აკლდამის
შესასვლელს რომ ფარავდა.

პახევის შაბათი ისე დაღამდა, რომ განსაკუთრებული არაფერი
მომხდარა. იყსოს ნეშტი ჩვეულებრივი გვამი იყო, რადგან მისი
სული საიქიმი იმყოფებოდა, ჩამა საბათოს მიძღვარა სალხინებლის
სულები, რომელთაც სამოთხე დაიმსახურეს. სამაგიროდ კვირა დი-
ლით საქმეშ სხვანაირი მიმართულება მიიღო.

გუშაგებს, ცხადია, მართალთა ძილით ეძინათ თვიანთ საგუშა-
გოზე. ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა მაგდალინელი და მეორე მარიამი

აკლდამასთან გამოწინდნერ, გვამისათვის მელსურნელების ახალი დო-
ზა მოიტანეს. ნიკოდემოსის შემოწირული ორმოცდაათი კილოგრამი და
მური და ალო არ ყყოფაო და ნეშტის უკეთ შენახვის მიზნით ჟადებ
მოპქონდათ ზეთი და ნელსაცხებელი.

უეცრად უეხევეშ მიწა იძრა. იმავე წამს მეგუშაგე რასმიც ზეზე
წამოიკრა.

მაშინ ყველამ დაინახა ცით ჩამოშვებული ანგელოზი, თეთრად
მოსილი, თოვლივით თეთრი და სხივთამთოველი სამოსით მოსილი.
ერთი ზელის გაქნევით გადააგორა ანგელოზმა აკლდამის ლოდი.
შეძრწენებული გუშაგების ჟაუეცვა და ძირს დაცემა ერთი იყო.
პირდაპირ მტკურში ჩარგეს ცხვირები. ალბათ ამ დროს გამოვიდა
კუბოლან იქსო.

ქრისტეს აღდგომას, ცხადია, ოთხივე ევანგელისტი მოგვითხრობს,
მაგრამ ისევ თავისებურად. თუ მათეს დავუკავერებთ, მარიაშ
მაგდალინელი და მეორე მარიამი ბაღში შევიდნენ და აკლდამისაკენ
წავიდნენ, როცა დაინახეს ცით გადმოშვებული ფრთხოსანი ანგე-
ლოზი, მაგრამ ქრისტეს აღდგომა არ უხილავთ. მარკოზის მიხედ-
ვით, იქ სამი ქალი იყო: ორი მარიამი და საღომეა, მაგრამ როცა
მოვიდნენ, აღდგომა ჰკვე მოთავებული იყო. ანგელოზი საფლავის
ლოდის იჯდა, მოგვითხრობით რომ ეგდო, ჯარისკაცები კი გაქცეულიყ-
ვნენ.* ლუკა მოგვითხრობს, რომ ბაღში ითანეს და მაგდალინელის
გარდა მოვიდნენ ის ქალებიც, რომლებიც საერთოდ გოლგოთის ამ-
ბებში მონაწილეობდნენ, ანგელოზი თრი იყო, ერთი კი არა, და
ორივე იჯდა აკლდამაში, ლოდზე კი არა. იოანეს თანახმად კი ისე
გამოდის, თითქოს მხოლოდ მაგდალინელი მოვიდა, არავითარი ან-
გელოზი არ უნახავს და პეტრეს მოსაყვანად გაიქცა, რათა მასთან
ერთად ეხილა, რომ აკლდამა ცარიელია. იოანეს უფრო დაკავერება,
თუ დავიკურეთ, რომ თვითონ კი იყო გოლგოთაზე.

რაკი ევანგელისტებს შორის თანხმობა არაა, ერთ რომელიმე
წყაროს უნდა ვერწმუნოთ. წმინდა წერილში იმდენი სხვადასხვაო-
ბაა, რომ ეშმაკი ფეხს მოიტეხს. ერთს დავუკავეროთ და ის იქნება,
მაგალითად, იოანეს.

* მ თემაზე უშადო სურათი შექმნა ანიბალე კარაჩიშ: სამი ქალი
და ანგელოზი გახსნილ აკლდამასთან. ეს ხავერდოვანი, ღრამატეულად და-
ძაბული სახეებით ეგზომ ამაღლებელი ტილო ერმიტაჟის შეკვენძაა.



ამრიგად, ბაღში მაგდალინელი შემოვიდა.

— აი სახწაული! — შესძახა. — აკლდამა ღიაა! გრიგორი შიგნით შეიხედა.

— ცარიელია! ღმერთმანი; ცარიელია!

დაქრა ფეხი და ბაღიდან გაიქა, რომ პეტრე და იოანე მოეყანა.

— ჩქარა წამოდით! — უთხრა ორივეს, როგორც კი იპოვა. — წაიყვანეს ჩემი საყვარელი იქსო სამარიდან, მოიპარეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი და უფალი! აბა ახლა სდიე და გაიგე, სად გადამალეს!

— დამშვიდი, მაგდალინა, — მიუგო პეტრემ. — გვამი ნემსი ხომ არ არის, ვიპოვით როგორმე!

მაგდალინელი, პეტრე და იოანე ბაღის მხარეს გაიქცნენ. იოანე ყველაზე ახალგაზრდა იყო და გეთსიმანიაში პირველი მიგიდა. პირდაპირ აკლდამას მიუახლოვდა, დაიხარა, შეიხედა, მაგრამ ვერაფერი ნახა, გარდა გვამის არტახებისა და გულმოღვანედ დაკეცილი სავანისა, ცალკე რომ ელაგა. შემდეგ პეტრე მიშვიდა, შევიდა და იგივე საგნები იხილა. გამზნევებული იოანეც შევიდა პკლდამაში. განცვიურებულმა მოციქულებმა ერთიმეორეს გადახედეს და ხმა არ ამოუღიათ. შემდეგ შინ დაბრუნდნენ.

სამარესთან მარტო მარიამი დარჩა. ცრემლად იღვრებოდა და მოთქვამდა:

— ჩემო საბრალო იქსო! უბედურო ჩემო კეთილო ქრისტე! არ გაიხარონ მაგ ფარისევლებმა და მწიგნობრებმა! ეგ ბარბაროსები... ჩემი საყვარელი ღმერთკაცის გვამიც კი შემიგინეს! ნამდვილად იმათ მოიპარეს... ვაი და სიკედილი მაგათ! მაინც რისთვის დასჭირდათ მიცვალებული?

ტირილით თავდახრილმა ერთხელ კიდევ შეხედა ცარიელ გუბოს და უეცრად ნახა, რომ აკლდამაში ორი ანგელოზი იმყოფებოდა, თეთრად შემოსილი. ერთი თავთან იჯდა, მეორე ფერხთით.

— მეუღლევ, რა გატირებს? — ჰეითხეს ანგელოზებმა.

ჩემი ბატონი მოიპარეს და არ ვიცი, სად წაასვენეს, — მიუგო მაგდალინელმა*.

* გოეთ ვენეციურ ეპიგრამებში წერდა:

„ქვა აღარ არის საფლავზე! ღმერთი აღდგაო!“ — ვის სჯერა? თქვე თალღითობო, თქვენიგე გაღაგდებული იქნება!

ჭიდრე ამ პასუხს აძლევდა, საიდანღაც ერთი მაღალი ქაცი გა-
მოჩნდა, ფართო ქედი ეხურა და ხელში ნიჩაბი ეჭირა.

— მებაღეა! — გაუკვირდა მაგდალინელს. — აქ რა უნდაჩირთავა
ტაცმა ანგელოზების კითხვა გაუშეორა:

— მეუღლევ, აქ რას აკეთებ და ვის ეძებ?

— ბატონო მებაღევ, — მიუცო მაგდალინელმა ხელების
მტკრევით, — თუ შენ გაიტანე, მითხარი, სად დაასვენე და მე ავი-
ღებ ჩემს მიცვალებულს.

შებაღემ ორი ნაბიჯი გადადგა და ნაზად ეთხრა:

— მარიამ...

— ო, ეს ხმა! — შესძახა ქრისტეს საყვარელმა ქალმა. — ახლა
ვიცნობ ამ ხმას! ეს წვერიც მეცნობება! ეს ხომ ჩემი უქოა!

ამ სიტყვებზე მივარდა, რომ გადახვეოდა, თან იმეორებდა:

— ო, ჩემო მოძღვარო! ო, ჩემო მმრბანებელო!

— მიყურე, ოღონდ არ შემეხო! — შეაჩერა მირონცხებულმა
მყაცრი უესტით. — მე აგერ ახლა ავდები, გელ-ღვიძლი ამოღებუ-
ლი მაქვს და საერთოდ თავს სუსტად ვგრძნობ. ჯერ უნდა მოვმაგრ-
დე, ახლა კი გაიქვეცი და ჩემს მოწაფეებს უთხარი, რაც ნახე.

მორჩილმა კრაცმა მაგდალინელმა ბრძანება საჭრაფოდ აასრუ-
ლა, მოწაფეებს შეატყობინა საოცარი ამბავი.

ევანგელიისტ მათესთან ამ სცენაში ორი ქალი მონაწილეობს.
მკვდრეთით ამდგარ მაცხოვარს ფეხზე გამბორნენ და იქსოს არ და-
უშლიაო.

ივივე მათე თავის მოთხრობას ამთავრებს ეპიზოდით, რაც და-
ნარჩენ სამ ევანგელიისტს არა აქვთ: ჩანს, ეს ღეტალი მათოვის უც-
ნობი იყო.

განცდილი შიშისაგან გონდაკარგული ჯარისკაცები თავებულები-
ლევალები გარძოდნენ ბაღიდან, სადაც საფლავიდან წამომდგარი
მიცვალებულები დასეირნობდნენ. მღვდელმთავრის სასახლეს რომ
მიაღწიეს, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, გიცები გვეორნებოდათ.

— რა მოხდა? რა იყო? — მისცვივდნენ ტაძრის მესკერები.

— რაღა რა მოხდა! თქვენი მიცვალებული ბაღში დასეირნობს!

— რა ეშმაკი გალაპარაკებთ? ვინ დასეირნობს?

— თქვენი ყალბი, მიცვალებული!

— ყალბი?

— რა თქმა უნდა! ღმერთს რა მოკლავდა! ერთი გენახათ იმისი

მეცობრები, ციდან რომ ეშვებოდნენ... სულ თეორად ემოხათ, სახუ-
ები ელგასავით უნათებდათ.. საფლავის ქვა გადააგორეს! დედამიწა
იძრა! ჩვენ გვეყოფა! ასეთი მიცვალებულების დარაჯობა განმეობების
დაავალეთ!

ზღვდელმთავრები გაოცებისაგან გონს ვერ მოსულიყვნენ. ბოლოს
თქვეს:

— პო, კარგი, კარგი. ოღონდ არავის უთხრათ ის, რაც აქ იყბე-
დეთ. აგერ, ფეხის ქირა... თუ ვინმემ იყითხოს, უთხარით, რომ
იესოს მოწაფეები მოსულიყვნენ შეაღამისას, როცა გეძინათ, და
გვამი მოუპარავთ.

მათეს სიტყვით, მღვდლებმა იხტიბარი არ გაიტეხეს, ჯარისკა-
ცებს მოზრდილი თანხა ჩაუჯიბეს, ისინიც სამიკიტნოში წავიდნენ,
რათა ზღვდელმთავრებისა და იესო ქრისტეს საღღებრძელოები და-
ქლიათ.

(მათე, 27, 62—66; 28, 1—15; მარკოზი, 16, 1—11; ლუკა, 24, 1—12; იოანე, 20, 1—18).

ურთიერთ თორა ანუ ჩაყავი თითო ჯალილგაშვილი

და შემდგომად რეისა დღისა კვალად შეკ-
რებულ იყვნეს მოწაფენი შინაგან, და თომა-
ცა მათ თანა. და შევიდა იქცე კართა დამ-
შელთა, დადგა შორის მათსა და პრევა მათ:
შევიდობა თქვენ თანა!

მერჩე პრევა თომას: მოყვენ თათონი შენიდ
და იხილენ ხელი ჩემი და დამძვე ხელი
შენი გვერდხა ჩემსა და ნუ იყოფი უწისე-
სო, არამედ გრწმენენ.

მიუვით თომა და პრევა მას: უფალი ჩემი
და ღმიერთა ჩემი!

პრევა მას იქცე: რამეთუ მიხილე და
გრწამ! ნეტარ არიან, რომელთა არა უხი-
ლავ და პრევენ.

თანა, 20, 26-29



აინც რა უწიმენოა ხალხი! ადამიანებს
არაფერი სკერათ. ეს, მგონი, ჩვენი ყველა-
ზე უფრო ბუნებრივი თვისებაა.

როცა მაგდალინელი მოციქულებთან გა-
იქცა და მოუთხრო ის, რაც ნახა, სასაცი-
ლოდ აიგდეს.

მხოლოდ იოანემ ირწმენა სასწაულიო, ამბობს იოანე. „მაშინ
შევიდა სხვაიცა იგი მოწაფე, რომელი მოვიდა პირველად საფლავად,
და იხილა (ცარიელი) და რწმენა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ:
ჯერ — არს მისი მკვდრეთით აღდგომა“, — ნათქვამია... იმავე
იოანეს სახარებაში (20, 8—9).

რაც შეეხება პეტრეს, მანაც იგივე იხილა: დია კუბო, გაფანტუ-
ლი არტახები და დაკეცილი სუდარა, მაგრამ მას ამ სანახაობაში ვე-
რაფერი უთხრა. კეფას იფხანდა და თაფს იმტკრევდა: რა იქნა მიც-
ვალებული?

— მოძღვარი აღდგა, — აუხსნა ითანეშ.

— აღდგა, აღდგა! — გამოაკავრა პეტრემ. — აღდგაო კველუნები ითლი სათქმელია. მე კი სანაძლეოს დავდებ: გვამი იმ არამარტვა უნ რისეველებმა გაიტაცეს. მათ უნდათ დაწვან ფარულად, რომ არ ვა- ცოდეთ, სადაა და თაყვანი არა ვცეთ მის საფლავს.

პეტრემ თავისი არც თუ უსაფუძვლო მოსაზრება სხვა მოწაფე- ებსაც გაანდო და კველა მის მხარეზე დადგა. გვამის გაქრობა აშკა- რად მეტყველებდა იმაზე, რომ საფლავი ცარიელი იყო, მაგრამ სიჭ- რიელე არ კმაროდა იმის საბუთად, რომ ქრისტე აღდგა, ცალ ამაღ- ლდა. ამიტომ, როცა მაგდალინელი პეტრეს და ითანეს სერობაზე ესტუმრა იმ დარბაზში, სადაც იქსოს ჯვარცმის შემდეგ იკრიბე- ბოდნენ მისი სისხლის და ხორცის საშიარებლად, — კველამ დას- ცინა.

პირველად მარიამმა თქვა, რომ სანეშტე გამოქვაბულში ორი ანგელოზი ნახა. ამაზე სიმონ-პეტრემ უპასუხა: იქ იმდენი ანგელოზი იყო, რამდენიც ხელისგულზე ბეჭვი მაქვსო. ითანე ამაღლების ვა- რიანტს იცავდა და იქსოს საყვარელი სასტიკად გაკიცხა ჭეშმარი- ტების დამასინჯებისათვის. ანგელოზები აშკარად მისი ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნია. მისი აზრით, იქსოს ცალამაღლება უბრალოდ უნ- და ირწმუნონ, მაგრამ ამაში სხვების დარწმუნება ქერუბიმებსა და სერაფიმებსე მითითებით, რომლებიც თვითონ ითანეს არ უნახავს, აკრძალული ხერხია და უწინარეს ყოვლისა ცუდი გემოვნების ნი- შანი.

— ვინც მეტისმეტად ბევრის მტკიცებას ცდილობს, ვერაფერ- საც ვერ ამტკიცებს, — დაასრულა ითანემ.

მაგდალინელი კი თავისას იმეორებდა:

— ჯერ მაცალეთ, გითხრათ ის, რაც ვიხილე, და მერე განსაჯეთ.

— როგორ, შენ კიდევ რამე ნახე? — გაიცინეს მოციქულებმა.

— აბა, გვიამბე, მოგისმენთ.

— ანგელოზების შემდეგ მე ვიხილე თვითონ იქსო.

— მართლა? ეს საინტერესოა!

— ხორცშესხმული იქსო.

— ქო, ალბათ მოგვეხვია და გაკოცა, როგორც ძველ ქებულ დროს გაპერნაუმში, ხომ ასე იყო?

— არა, არც უკოცნია და არც გამიკარა, მაგრამ მელაპარაკა.

— ერთი უსმინეთ მარიამს! რა გითხრა შერე?

— მეითხა, რისთვის ტირიო... რადგანაც მე ვტიროდი, შემდეგ კარგი მეითხა, ვის ეძებო...

— შენ კიდევ ეტყოდი, ჩემს დაკარგელ ბატყანსო, ხომ? არა? თუ ღმერთი გწამს!

— არა, მე ვუთხარი, რომ ვეძებ ჩემს საყვარელ ქრისტეს... მაცალეთ! პირველად კერ ვიცანი.

— წარმოგიდგენიათ? ვარ იცნო თავისი მიჯნური! ეს როგორ?

— სხვაგვარად ეცვა და იმიტომ პირველად ვაფიქრე, რომ ესაა სენატორის მებაღე. ფართო ქუდი ეხურა, ბარი ეჭირა, მშენებირი სანახავი იყო. მხოლოდ შაშინ, როცა თავისი სახელი მითხრა, დავრწმუნდი, რომ ისაა... დედოფალივით ბედნიერი ვიყავი! გადავეხვეოდი, მაგრამ მანიშნა, არ მომვარო, კერ კიდევ სუსტად ვარო, ხელი არ მახლოო! შემდეგ თქვენთან მოსვლა მიბრძანა, რომ გადმოცეთ: წარმოვდექი და ცოცხალი ვარო!

მოციქულები უსმენდნენ და თავებს აქნევდნენ ურწმუნო თომა-საეთ. ერთი კი, სწორედ ის ურწმუნო თომა, მარჩბივად წოდებული, მარიამს სულელად რაცხდა.

— ბარემ თვითონ მოსულიყო და ეთქვა ჩვენთვის, ცოცხალი ვარო, — შენიშნა თომამ. — რავ შემეხება მე, ვიდრე მის ხელებზე ჭრილობების კვალს არ დავინახავ და მის ნეკნებში თითებს არ ჩავყოფ, კერ დავიჯერებ, რომ აღდგა.

ასე დასცინეს მაგდალინელს და ბერე შეიბრალეს, დაამშვიდის,

— საწყალი ქალი! — ამბობდნენ ერთიმეორები, — ხომ იცით, როგორ უყვარდა! ჩა გასაკვირია, რომ ძეირფასი ადამიანის ნააღრევ-მა სიკვდილმა გონება დაუბნელა! ამა ეს ახლა საქმეა? — სენატორის მებაღე იქსო ქრისტედ მიუღია. არაფერია, გაიცლის, იმედი უნდა ვიქონიოთ.

იმ დღეს იქსოს ორი თანამგზავრი — მოციქულები კი არა, მეორეხარისხოვანი მოწაფეები ემაუსში მიემგზავრებოდნენ რაღაც საქმეებზე. ეს პატარა ქალაქი იერუსალიმიდან ორი საათის სავალშევა. გზადაგზა გასული ღამის ამბებზე ქქონდათ სჯა-ბზასი. გზაში ერთი უცნობი შემოუერთდათ.

— რაზე ლაპარაკობთ? — ჰეითხა. — ან რაზე დაღვრემილ-ხართ?

ერთმა მეორეხარისხოვანშა მოწაფემ, სახელად კლეოპეტ მიუ-ჩეო:

— გეტყობა, იურესალიმელი არა ხარ, თორემ გეცოდინებოდა, რაც-მოხდა წინა ღამეს!

— რა მოხდა? — დააჭირა უცნობმა თვალები. — რა იყო ასეთი?

— ეშმაკმა დალაზეროს! ნუთუ არასოდეს არ გაგიგონია იქსო ნა-ზარეველის სახელი?

— არა. მაგრამ ძალიან დამავალებთ, თუ მეტყვით, ვინ იყო.

— მაშ მისმინე. ეს იქსო, ხუროს შვილი და ოვითონაც ხურო, დიდი წინასწარმეტყველი და სასწაულთმოქმედი იყო. სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში სხვა არაფერი ჟყეობია, ხულ სას-წაულებით აოცებდა ხალხს. ჩვენს მღვდელმთავრებსა და სენატორებს მისი დიდება შემურდათ, ციხეში ჩასვეს და მერე ჯვარს აცვეს.

— ოკ, ეს მართლაც საწყვენი ამბავია!

— დაიცა, ჯერ სადა ხარ! ყველაზე უფრო სამწუხარო ისაა, რომ იქსომ წინასწარ თქვა, სამი დღის-შემდეგ მევდრეოთით აღვდგებით. აი, დღეს სწორედ მესამე დღეა, მაგრამ არც მოცეკვულებს, არც ჩვენ იქსო არ გვინახავს. მართალია, როცა ჩემი ნაცნობები იოანე და პეტრე აკლდამასთან მივიღნენ, კუბო ცარიელი დახვდათ, მაგრამ ეტყობა, გვამი ფარისყვლებმა გაიტაცეს, იმ თბიებმა: თუმცა იქსოს სატრუო მაგდალინელი ამტკიცებს, გადაცმული მებალის სახით გამომეცხადაო, მაგრამ ეს მისი ავადმყოფი წარმოსახვის ნაყოფია: საბრალო ქალი დარდისა და სიყვარულისაგან აღარაა. ახლა იმედი მაქვს გაგვიგებ, რომ სასახარულო არაფერი გვაქვს? ჩვენ ხომ ვიცნობდით განსვენებულს!

— მართლა? პირადად იცნობდით?

— როგორ არა! ისეთი ხუმარა იყო, ეშმაკს მოუგებდა სიტყვას! ახლა იმდენი ანეცდოტი იცოდა, ვინ მოთვლის! დაიწყებდა, აღარ მოათავებდა. საცოდავი ყმაწვილი კაცი!

— დარწმუნებული ხართ, რომ წინასწარმეტყველი იყო?

— იმაზე ნამდვილი წინასწარმეტყველი მიწას არ ჟტარებია.

— ყოვლისშემძლეც იყო?

— იმაზე ყოვლისშემძლე არავინ მეგულება.

— რაკი ასეა, ნუ გეწყინებათ და თქვენ ბრიყვები ყოფილხართ.

— რასა ბრძანებთ? ეს როგორ?

— ისე. თუ ყოვლისშემძლე იყო, წინასწარმეტყველი იყო, აღ-

დგომას დაგპირდათ, მაში აღდგებოდა კიდეც და ისევე სალად იქნება, როგორც მე და თქვენ.

შემდევ, თავისი ცოდნის დასამტკიცებლად, უცნობმა, ზიმღი-იღან დაიწყო ციტატების მოტანა.

ამასობაში ემაუსიც გამოჩნდა. უცნობმა თქვა, მე იქით მივდიგარო.

— ნუ წახვალთ! აგერ დამდება, გზა კი სახიფათოა. არ წახვიდეთ! — დაიგინეს ქრისტეს მეგობრებმა. — მერე, რა სასიამოვნო თანამგზავრი ყოფილხართ! დაგვდე პატივი, გატეხე ჩვენთან პური და გაინაწილე ჩვენი სერობა. აგერ, დუქანში გავათევთ დამეს, ხვალ დილას კი ღმერთმა გზა მოგიმართოს! ახლა დამეა, ამ გზებშე ავაზაკები დათარეშობენ... თანამგზავრი დათანხმდა. სუფრასთან საუბარი არ შეუწყვეტიათ. ბოლოს, როცა დესერტამდე მივიღენ, ეცნობმა უეცრად თქვა:

— თქვენ ისურვეთ, რომ თქვენთან პური გამეტეხა. აი, ნახეო! დაინტერესებულმა მსმენელებმა ღეჭვა შეწყვიტეს. უცნობმა, რომელშიაც ჩვენ, უბრალო მოკვდავმა ცოდვილებმა ჩეცე შევიცანით ქრისტე, თუმცა მოციქულების შორისმჭვრეტელობა არ გავაჩინია, -- პურის ნატეხი აიღო, წინა ხუთშაბათს გათამაშებული ეპიზოდი გაიმეორა: დალოცა პურის კანი და გული, გაუწოდა და უთხრა: ამ პურის სახით ჩემს ხორცს გაძლევოთ. ენ საკმარისი გახდა, რომ მაშინვე შეეცნოთ მაცხოვარი.

— უფალო! იქსო! — შექდაღადეს და უნდოდათ მის ფერხთით დაბზობილიყვნენ მაგრამ გაღმერთებული მასწავლებელი თვალსა და ხელს შეა გაქრა, თითქოს არც კი ყოფილიყო*.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ნანობდა შემდეგ ორი კეთილი კაცი, რატომ მაშინვე არ შევიცანითო იქსო. მაშინვე მიატოვეს საქმები, აიღეს ბარგი-ბარხანა და იერუსალიმს მიაშურეს, რომ მეგობრებისათვის ეთქვათ, რაც იხილეს.

— რა რეგვენი ვარ! — დარღობდა გზაში კლეოპი. — მაშინვე მეცნო! მისი ხმა რომ გავიგონე, ძარღვებში სისხლი ამიღულდა.

— ახლა მე მეითხე! თითქოს ტანში ლავა დამიტრიალდა.

— ორივე ლენიზი ვართ, ეს არის და ეს.

— რაც მართალია, მართალია!

* ეს ეპაზოდი, ქრისტი ემარცხე ირ ტილოზე ასახა რეშებანდტმა.

— ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩენდება. ახლა ათას წილაში პოკლომდნენ, რის ჩიხედვითაც უცნობის გამოცემობა იყო.

სერობის დარბაზს რომ მიაღწიეს, მოციქულებს გადასცეს ამ-პაფი, რაც თავს გადახდათ. მოციქულები გაშეშდნენ. მაგრამ როგორც კი შეტყველების უნარი დაუბრუნდათ და რაღაცის თქმა დაპირებს, ანაზღად კედელი გაიტანა და ჩაგდეტილ დარბაზში გამოჩნდა ღმერ-თი ჩვენი მაცხოვარი. ამჯერად მოელს კრებულს გამოცემადა.

აქ ეკანგელიისტები ისევ უსაშველო წინააღმდეგობაში ვარდე-ბიან. მარკოზისა და ლუკას თუ გერწმუნებით, ამჟამად მოციქულე-ბის მთელი კრებული ამ დარბაზში იმყოფებოდა, თერთმეტივე. მა-შასადამე, თომამაც იხტო იქსო, რომელიც სწორედ ამ დროს გა-მოცხადა მოწაფებს, როცა ემაუსიდან დაბრუნებულთა მონათხრობს ისტენდნენ, მაგრამ არავითარი ურწმუნოება არ გამოხატავს და არც უფიქრია გამოხატა გვევი, რამაც ასეთი სახარისელო სახელი მოუხვეჭა. იოანეს მიხედვით კი იქსო არავითარ მგზავრებს არ გა-მოხადებია ემაუსის გზაზე: მხოლოდ მაგდალინელმა ნახა შებალის სახით, შერე კი ერთბაშად სერობაზე მოვლინება მოციქულებს, რო-მელთაც დარბაზის კარებზე ბარიკადები აღუმართავთ, იუდევილე-ბით გარშემორტყმულებს. ამასთან ამ დროს თომა აქ არ ყოფილა და მხოლოდ რვა დღის შემდეგ უხილავს იქსო. ახლა მათეს მოუსმი-ნეთ: მარიამ მაგდალინელის პირით შეუთვალა მოციქულებს, გა-ლილების მოებში დამხვდითო, და ერთადერთი გამოხადებაც იქ მოხდა მისი, ასე რომ მოციქულების გარდა კაცის შეილს არ უნა-ხავს, ემაუსელი მგზავრები კი აქ ასე საერთოდ არავის უხსნებია.

ასე იყო თუ ისე, მოციქულები იქსოს გამოცხადებამ შეაშფო-თა. „ხოლო იგინი შეძრწუნდეს და შეშინებულ იქმნეს, ეგონა, ვითარ-მედ საოცარ რამე იხილეს (ეჩვენა)“, — ამბობს ლუკა (24, 37). მათი გადაჯერება იოლი საქმე არ იყო. იქსო მათ თავის ხელებსა და ფეხებს უჩვენებდა, აიძულებდა მოესინჯათ მისი გვერდები და ნეკები. ამის მიუხედავად მოციქულებს თავიანთი ბეჭინიერება ვერა-ნაირად ვერ დაეჯერებინათ.

მაშინ იქსომ იყიდთხა:

— რაიმე საჭმელი თუ გაგაჩნიათ?*

* ლუკას სახარებაში ეს ეპიზოდი ასევე მოთხოვილია: „და თავადმინ პრექვა მათ: რასა შეძრწუნებულ ხართ, და რაისაოვის გველის სიტყვანა

შემწვარი თევზი და ფიტის თაფლი მიართვის. ცოტა შეპატა ყვალას დასანახად და დანარჩენი სსვებს გაუწოდა. შემდეგ სათითობოდ შეუძერა სახეში და ამით აგრძნობინა, ამიერიდან სულიწმინდა გარდამოეშვა თქვენშედათ.

— უბრალოდ კი არ გიბერავთ, — უთხრა, — ეს შებერვა სხვა არა არის რა, თუ არა მამაჩემი, მტრედი ციური, ჩემს სულთქმად ქცეული, რათა თქვენს არსებაში შეაღწიოს. ამიერიდან ცოდვანი; რომელთაც თქვენ მიუტევებთ, მიუტევებიან და რომელთაც არ მიუტევებთ, არ მიუტევებიან. თქვენ შეგიძლიათ განდევნოთ ემშაკეული, იმეტეჯლოთ ყველა ენაზე, არ დაგჭირდებათ ენების შესწავლა, შეგიძლიათ ხელში გველნი აიღოთ, არ გიკბენენ, დარჩებანიანი წვენიც რომ შესვათ — არ მოიწამლებით.

— ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაუხარდებოდათ მოციქულებს ასეთი სანატრელი აღთქმები. ახლა უყოყმანოდ აღიარეს, რომ იქსო ჰეშმარიტად აღდგა და თავისი დაპირებანიც შეასრულა.

ზაგდალინელი ხომ სიხარულით ცას ეწია და მოციქულებს ენას უყოფდა — რომ არ დამიჯერეთ, ახლა როგორ გუნებაზე ხართო? უწყალოდ კიცხავდა და მიუწიც ძეონდა.

— წარმოიდგინე, უფალო, — ამიშვლებდა ურწმუნოებს, — როცა ვუთხარი, დესო მებაღის სახით გამომეცხადა-მეთქი, შემლილი მიწოდეს. როგორია?

— ეს არ მიკვირს: მუხუდოს მარცვლის ოდენა რწმენაც არა აქვთ. ჩემი ამდენი ზებუნებრივი სასწაული რომ არა, საერთოდ არაფერს არ ირწმუნებდნენ.

— გვაპატიე, მოძღვარო, — ეფიცებოდნენ მონანიებული მოციქულები, — ზაგდალინელო, ნურც შენ გეწყინება. ვინც წარსულს იგონებსო, თვალი დაუდგებათ.

ბოლოს ზაგდალინელმაც, ბუნებით კეთილმა ქალმა, დაცინვა და ნიშნის მოგება შეწყვიტა, იქსომაც გელითადი საუბრის შემ-

შრავალნა მოვლენან გულთა თქვენთა? (პალიში: ვარიანტით: რაისა ზრაბვანი შეელენან გულთა თქვენთა?). იხილენით ხელი ჩემი და ფერხნი, რამეთუ თავადი მე ვარ. ხელი შემახეთ მე და იხილეთ... და ესე რა თქვა, უჩეენნა მათ ხელი და ფერხნი მისნი. და ვიღრე არღა პრშმენა მათ სიხარულისა მისგან და საკვირველებისა, პრქვა მათ იესუს: გაქვს რაი ექა ჭამადი? (პალიში: და ვიდრე ორგულობდეს-ლა სიხარულითა მით და უკირდე...). — 24, 38-41.

დეგ მოწაფეები მიატოვა და წინახშარ გააფრთხილა, ამიერიცამ
ნურაფერი გაგიკირდებათო. ევანგელისტ ითანეს ვერსიით, რომ დღეს
მოციქულებს შორის არ იყო თომა.

პირველი თომა

— რა ეშმაკი შეგიჯდა, სად გაქრი? — საყვედურობდნენ
მეგობრები. — რაღა მაცედამაინც იმ დღეს მოგინდა გადაკარგვა!
ჩვენი მოძღვარი ჩვენთან იყო სადილად! საღ-სალამათი! მაგდალი-
ნელი მართალი გამოდგა.

თომამ თავისი ჩვეულებრივი ფრაზით უპასუხა:

— რამდენიც გინდათ, იმდენი იწამეთ, მე კი არ მჯერა, ვიდრე
თოთს არ ჩაფდებ...

ისეთი უჯიათო და ურწმუნო ვინმე იყო ეს თომა, რომ მევობ-
რებმა იმედი დაკარგეს, ვერაფერს შევაჯერებთო. და უკან დაიხიეს..

თომა მარჩიბიგს კიდევ ერთი გამოცხადება ესაჭიროებოდა, და
იქსომაც მისთვის საგანგებოდ მოაწყო ასეთი უკანასკნელი ვიზიტი.

რამდენიმე დღის შემდეგ წმინდა კრებულში იქვე მოიყარა თავი
სადაც მუდმივი სხდომები ჰქონდათ — იქსოს თანამოაზრის სანადი-
შო დარბაზში.

დაიწყო მორიგი სერობა. ამჯერად მთელი ქვორუმი აქ იყო. ურ-
წმუნო გაქირიც აქ ბრძანდებოდა, მარჩიბივი თომა.

ტკაც! ისევ გაიპო კედელი და გამოჩნდა იქსო.

— ჰაი, მევობარო თომა! შენ არ გჯერა ჩემი აღდგომა? რო-
გორ არა გრცხვენია? შენ გინდა ეს დაუბანელი თითები ჩაქყო ჩემს:
პირლია ჭრილობებში? თვალები არა გაექს? აგრე, ჩაყავი, ნუ მოგე-
რიდება! მაშინ ხომ დარწმუნდები, რომ ეს მე ვარ?

თომამ თვალები დაჭუიტა.

„თუ მევობრები მეხუმრებიან?“ — გაიფიქრა თავისთვის.

მართლაც, მოურბოდებლად განაცხადა, მინდა იქსო ხელით მოვ-
სინჯო, ვუჩემიტო და ხელი ჩავყო ჭრილობებშით.

ასედაც მოიქცა.


ჩქმეტს, ყოფს თითებს მაცხოვრის ჭრილობებში, და როცა სა-
ბოლოოდ რწმუნდება, რომ სიუმარში არაა, მხოლოდ მაშინ ეცემა
მაცხოვრის წინ მეხლებზე:

— „ეფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ — თქვა და იწამა. — ასლა
კი მჯერა, რომ იქსო ხარ, ჩემი მაცხოვარი.

იქსომ წამოაყენა.

— აქ, თომა, თომა! — ჩაილაპარაკა საყვედურის ნიშნად. 
 შენ არ დაიჯერე, ვიდრე თითო არ ჩაყავი! ნეტარ არიან მოწიმეთა გამოცხადება
 ნენი, რომელთაც არ უშილავთ და ისე ირწმუნეს!

(მარკოზი, 16, 12—14; ლეკა, 24, 13—43; ოთანე, 20, 19, 31).



ჩაილაპარაკა კრისტეს აღდგომა.

* ქრისტეს ენებისა და ცადამალლების ამშებთან დაკავშირებით კადეკ
 რამდენიმე გადაუქრელი ეკითხვა იქნება თავს: 1. სად წავიდა იესო უშეა-
 ლოდ საფლავიდან დავომის შემდეგ, რატომ არ ამაღლდა ცად ხალხის
 ოვალური? 2. თუ ეპე-ნაწლავა გამოილეს, როგორ მიირთვა პერი და თაუ-
 ლი? (ჩანს, ტაქსილისტები ეს ეკრისა უნდა დაკომის); 3. თუ დედამი-
 წახე ირმილია დობე გაატარე, როგორ მიხსდა, რომ თომის დარწმუნების
 შემდეგ, შერევა დღეს, ცად ამაღლდა? 4. რატომ არ გამოიცადა ხალხს
 საფარიდ და არ შეატრწუნა კაიაფა და სინედრიონი, თუ ახალი რელიგიის
 გამარჯვება სურდათ მამას და შეიძლება? 5. რატომ არ შეიცურო სინედრიონ-
 ში მოციქულები, რომელთაც მოძღვრის ჭვარტმის შემდეგ არხეინად გა-
 ნაგრძეს ქადაგება და ზექრება? 6. რალი. ქადაგებდა თომა, თუ თვითონვე
 არ სწამდა ქრისტე?

დადამითა — ზეგა, ძირს დაუზიანებული გადაურჩანა

და განიცემანა იგინი ვიდრე პეტანიადმშე
 და ალიპრინა ხელი თვისნი და აკურთხნა
 იყინი.

და იყო კუროსევასა მას იქცევისა (იქცოს-
 ხა) მათდა მიმართ, განეშორის მათგან და
 აღვიღოდა ზეცად.

და იგინი მოიქცეს იერუსალიმიდ სიხა-
 რულითა დადგითა.

ლეკა, 24, 50-52



მჯერად მოციქულებმა ერთსულოვნად აღია-
 რეს, რომ იქსო გაცოცხლდა.

ამასთან იქსომ თავისი აღდგომა უთვა-
 ლავი ახალი სასწაულით დაამტკიცა. მაგ-
 რამ სამართლიანობის გრძნობა მაიძულებს
 გულწრფელი სინანული გამოვთქვა იმის გამო, რომ ეს სასწაულები
 არ მოახდინა ხალხს თვალწინ, პილატეს, ჰეროდეს და კაიაფას
 ცხვირწინ, ფარისეველთა გულის გასახეთქად.

არასოდეს არავის არაფერი სმენია ამ სასწაულებზე. მოციქუ-
 ლების გარდა — ეს გარემოება ჭეშმარიტად სინანულის ღირსია!
 ცოდვილ სკეპტიკოსებს ხომ შეეძლოთ ეთქვათ, არავითარი აღდგომა
 არ მომხდარა და კველა ეს სასწაული ხალხის გასაბრიყებლად
 მოციქულებმა მოიგონესო! საწყენია!

მართალია, სკეპტიკოსებს უფრო შორს წასვლაც შეუძლიათ
 ქრისტე საერთოდ არ არსებობდა და მისი ღეგენდა ქრისტიანულ
 რელიგიის დამაარსებლებმა შეთხქესო არა უაღრეს შესამე საუკუ-

ნისა ჩვენი წელთაღრიცხვით. მაგრამ რას იშამ, იმიტომაც არიან
სკეპტიკოსები!*

მართლაც, იმ დროის არც ერთი ისტორიკოსი და მწერალი რომ
არ ადასტურებს ვინმე ჯვარცმულ იქსოს აღდგომას, ეს კიდევ არა-
ფერი. მეტიც. იმ დროის არც ერთი ისტორიკოსი არ ადასტურებს
ზემოთხსენებული ინდივიდუმის არსებობას, როგორც ფაქტს, ეს კი
უარესია.

იმ ეპოქის სხვადასხვა ავტორები — მათი რიცხვი კი დიდია,
რადგან რომის კულტურა აყვავების ხანაში იყო — ხშირად ახსენე-
ბენ ტეტრარქ პეროდეს, იუდეის მთავარს პონტიო პილატეს,
მღვდელმთავარს კაიაფას, მაგრამ არსად, არც ერთ დოკუმენტში არაა
ნათქვამი, რომ რომელსამე სსენებულ პირს ოდესმე საქმე ქვენოდა
რომელიმე ისტორიულ პიროვნებასთან, რომლის სახელია იქსო. მისი
სიკედილიც კი, რასაც უსათუოდ დიდი გამოძახილი უნდა ეპოვა
არაჩერებულებრივი გარემოებების გამო. რომლებმიც ის მოხდა, არ
არის აღნიშნული იმპერიატორ ტიბერიუს-კეიისრის თანამედროვე-
თა არც ერთ შრომაში.

ამრიგად, ცოდვილ სკეპტიკოსებს თავისუფლად შეუძლიათ ირო-
ნიერად იღაპარაკონ სახარებაზე, წმინდა წერილზე, რომლის მო-
ნაყოფი არ დასტურდება არც ერთი სხვა ავტორის მიერ, რომელსაც
ადამიანი შეიძლება ოღნავ ენდოს, და იმავე დროს ყოველ ნაბიჯზე
წინააღმდეგობებითაა სავსე.

ამ შენიშვნის შემდეგ იოლად შემიძლია მივიღო ღვთისმეტყველ-
თა თვალსაზრისი.

- იქსო სამარილან ამოვიდაო, — ამბობენ.
- რა თქმა უნდა, ჩინებულადაა მოფიქრებული.
- მოციქულებს გამოეცხადა.
- მაშ როგორ, ეშმაქმა დალაპვროს!
- გაიმორია მოელი სერია სასწაულებისა, რომლებიც დასჯამ-
დე მოასდინა.

* ქების ღირსია ავტორული თავმდაბლობა ხახარების უღვოდ ნიჭიერი
შემთხველებისა, რომელთაც ახალი რელიგიის ტროუმფისათვის უყოფი-
ნოდ გასწირეს თავიანთი ნამდვილი ვინაობის გარმაზადელი სახელები და
ფაქტორებად შექმნეს ანონიმური თხზულებანი, რომლებიც მოციქულთა მი-
თიურ კალამს მიაწერეს. იგივე ითქმის ბიბლიის უოვალავ ივტორზეც სა-
ერთოდ.



— თანახმა ვარ, გამაგრძელ!

ერთ მშვენიერ დღეს სიმონ-პეტრე და მისი შევობრების წყვეტა
ზაოდ წავიდნენ და ერთი ღერი თევზიც ჰურ დაიჭირეს. ეს კაცისა,
თავისი ჩვეულების თანახმად, მოციქულების მისაშეკელებლად გაე-
შურა და იმ დროს მივიდა, როცა ნაცემი ძალლებივით გაწმილებუ-
ლი და დასველებული მოწაფეები ხმელეთზე ხელცარიელი გამო-
გიდნენ.

— შეიღო ჩემნო, გაქვთ რამე ჭამალი? — პკითხა იქსომ.

— არა.

— არა უშავს! გადააგდეთ ბალე მარჯვივ და დაიჭირეთ.

პეტრე და მოციქულების მთელი კრებული სახტად დარჩა. ორ-
სამ წეთში ნავი თევზით აიქსო, კინაღამ გადაბრუნდა.

როცა მეოთეშვები ნაპირზე გამოვიდნენ, პეტრემ თევზი დათვა-
ლა და აღმოჩნდა, რომ ასორმოცდაცამეტი დიდრონ-დიდრონი თევ-
ზი დაუჭერიათ. არც მეტი, არც ნაკლებიო, ასე ამტკიცებს სახა-
რება.

— მოღით, ვისადილოთ, — უთხრა იქსომ.

მოციქულები საქმეს შეუდგნენ. მაგრამ რაც მეტს მიირთმევდნენ, მით მეტი თევზი რჩებოდა.

რა სამწუხაროა, რომ საბრალო მოწაფეებს თავიანთი მოძღვრის
ზებუნებრივი ძლიერება არ გააჩნიათ! როგორ გამოადგებოდათ მში-
ერი ოჯახების გამოსაკვებად!

სადილი სანაქებო გამოდგა, თევზი ჟეტესი არავის ენახა იმ
ზღვაში, მხოლოდ დასაყოლებელი არაფერი პქონდათ. სამაგიეროდ
იქსომ ტკბილი სიტყვით ჩაუშაქრა პირი მოწაფეებს.

— პეტრე, შენ ხომ გიყვარვარ? — მიუბრუნდა სიმონ-ქვას.

— კი, უფალო, მაშ როგორ!

— მაშინ ჩემი ცხვრების მწყემსად დაგნიშნავ.

ხუთი წეთის შემდეგ კითხვა გაიმეორა:

— პეტრე, გიყვარვარ თუ არა?

სიმონ-პეტრემ პასუხი გაიმეორა.

მოარულ სიტყვას უყვარდა გამეორება (ამ მხრივ დალეჭილი
სიტყვის გამეორებაში გაწაფულ ხავსმოდებულ სქილასტიკოსების
სკაფლა). ამიტომ თვითონაც დაზეპირებელ-დაკანონებული სიტყვა
გაუმეორა:

— მაშ მწყემსე ჩემი ცხვრები.

გავიდა მცირე ხანი და იგივე ღრმააშროვანი დიალოგი განმეორ-და. (მერე რა, სქოლასტიკოსები ათეული და ასეული წლობის რჩქანა თორებენ!). სწორედ ამ ბრწყინვალე დიალოგის საფუძველზე აცხა-დებენ ეკლესიის ბურჯი, რომ პირველი პაპი იყო პეტრე.

იქსო კიდევ რამდენიმეჯერ გამოეცხადა მოციქულებს.

ერთხელ დილით, ალიონზე, მთაში წაიყვანა. გზადაგზა მოცი-ქულები ერთიმეორეს ეკითხებოდნენ, ნეტა რა უნდაო?

— იქნებ ისევ ამბოხებისაკენ მოგვიწოდებს? არ იქმარა, რომ ერთხელ უკვე ჯვარს აცვეს?

რომელიდაც მოწაფე მართლა შეწებდა:

— ვაი თუ ჩვენი წამების რიგი დადგა! რას იტყვით?

ჯვარზე გაჭრა და ლურსმნებით ჰაერში გადმოკიდება ყვავ-ყორნების საჯიჯვნად არავის არ უქადა სანუკვარ პერსპექტივას.

მწერვალს რომ შიაღწიეს, მოარულმა სიტყვამ მათ ასე მი-მართა:

— კონედია დამთავრებულია, დროა ფარდა ჩამოეუშვათ. ჩემი მისია დასრულებულია. ამ გლოვის ველზე აღარაფერი დამრჩენია. ამიტომ ვარუნდები ჩემს შამა იელოვასთან. გადავეხვიოთ ერთიმე-ორეს და — უკეთეს სასუუფლში შეცვედრამდე!

მოციქულები თითქოს გაქვავდნენ.

— როგორ? შენ უნდა მიგვატოვო?

— ვერაფერს გააწყობ, ასეა საჭირო. აუცილებლობას ღმერთიც ემირჩილება. ასეა ჩაწერილი ბედის წიგნში.

— მაგრამ უშებოდ რა ნოველება, რა გვემოლება? ვინ გაგვამ-ხნევებს პირადი მაგალითით?

— წუ გეშინიათ, მე ვისრუნებ თქვენთვის. მე უკვე შთაგბერეთ სული, მაღვე სულიწმინდა ჩამოეშვება და გადმოგცემთ იმ თვისე-ბებს, რომელთაც მე დაგპირდით. აბა უკანასქნელად დავემშვიდო-ბოთ ერთიმეორეს, თორემ მესამე ზარიც დაპკრავს. ყველაფერს აქვს დასრული.

მოციქულებმა იქსო უკანასქნელად გადაკოცხეს.

ბოლოს ქრისტემ მარიამ მაგდალინელი გადაკოლნა, ლილზე ავიდა, აიწია და ჰაერში მსუბუქად ასრიალდა

თომას მაშინვე ეჭვი შეეპარა: ახლა გადმოვარდებაო!

ო, ეს ურწმუნოები! თომა მოტყუფდა.

მტრედის შვილი მსუბუქად ირჩეოდა პაცირში და საკმაოდ უწინა-
ფად ადიოდა მაღლა-მაღლა.

მაცხოვარი პირდაპირ ნათლის სევტის აყოლების მიზიშვილა უკ-
მოთ, არც ერთ ფრინველს არ შეუძლია ასე ფრტიყალურად ფრენა.
ბოლოს ისეთ სიმაღლეზე აყადა, რომ მოციქულები გედარაფერს ხე-
დავდნენ.

მაშინ იქ გამოჩნდა ორი ანგელოზი და გაისმა მეღოდიერი
ჰანგი:

— გეთილნო გალილეველნო! გეყოფათ პაცირში თეღლა ცეცხა,
ცის თაღებს თქვენ ვერ განჭვრეტთ. იესო ამაღლდა, და დიდი ხნით
წავიდა ცაში. მხოლოდ ქვეყნის აღსასრულს დაბრუნდება; ჩათა გან-
სახოს, მკვდარი და ცოცხალი განიკითხოს.

ასე დაბრუნდნენ მოციქულები სერობის დარბაზში. მიღიოდნენ
დაღვრემილები, სახეები ჩამოსტირდათ, რაღვან კარგად ესმიდათ,
რომ ამიერიდან მათი გზა არ იქნებოდა ფირნდაზებით მოფენილი.

(ახალი აღთქმის ამ უკანასკნელი მოქმედების მასალებს ნახავთ
ოთხსავე სახარებაში: მათე, 28, 16—20; მარკოზი, 16, 15—20;
ლუკა, 24, 44—53; იოანე, 21, 1—25).



ვალპელმ ფინ კაულბაბი. იმპერიატორი ტიტე ანგრევს იერუსალიმს

1. სიტუაცია, ე. ი. უ ფას ქრისტე...

სახარების პირველი სიტუაცია გვაუწყებენ: „პირველითგან იყო სიტუაცია და სიტუაცია იყო იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სატყეა იყო“ (იოანე, 1,1). ქრისტიანობის საყოველთაო მოძღვრებით, ღმერთი ერთია, ოღონდ სამსახურია: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიშმინდა. ძე-ღმერთის სინონიმი ღვთისმეტყველი სიტუაცია ხმარობენ, მაგრამ რამდენადაც ქრისტე ღმერთი იყო, მაღნად სიტუაცია ღმერთის სინონიმიცაა. ტაქსილი ათავრობელ ათამაშებს ქრისტიანული მოძღვრების ამ აბსულუტულ, უანტასტიურ გაუგებრობას. მამა-ღმერთსაც რამდენიმე სინონიმი აქვს, ხან ერთს ეძახიან და ხან მეორეს. ქრისტიანულ ბიძლიაში ის უბრალოდ ღმერთია. მაგრამ დევლი აღთქმა ხომ „წმინდა“ წიგნი მეორე, სულ სხვა რელიგიისაც — იუდაიზმისა ძევლი ებრაულიდან შესრულებულ თარგმანში იმავე ღმერთს ჩეირად ეძახიან იაღვეს ან იეღვეს. საბაოთი ძევლ აღთქმაში იმამება, როგორც მხოლოდ დამატება იაღვეს სახელისა: „იაღვე საბაოთი“ ნიშნავს „მხედრობის ღმერთს“, ომის ღმერთს, „ძალთა ღმერთს“. ბერძნულ თარგმანში ეს სიტუაცია მოწყვდა საბაოთს და იქცა დამოუკიდებელი ერთი ღმერთის, მამა-ღმერთის სინონიმი. ეს საბაოთი შევიდა მერე ევროპულ ენებზე შესრულებულ თარგმანებშიც.

2. დ ე ვ ი ტ ე ბ ი ა . . .

ბიძლიური გაღმოცემის თანაჩჩად, ლევიტელი არიან პატრიარქ იაკობის შეიძის დევის ჰთამომავალი, რომელთაც იმთავავე განსაკუთრებული პრივილეგია მიიღეს ღვთისმსახურების საქმეში. იუდეველთა ღვთისმსახურის სამ ჯგუფად იყოფილნენ: მღვდლებმთავარი, მღვდლინი და ლევიტელი. ამ უკანასკერებს უმდაბლესი მოვალეობაა: უკისრებოდათ. ხილად ჰყავდათ მსხვერპლის-შემწირველებად, ტაძრის მუსიკოსებად, მომღერლებად, წმინდა წიგნების წამეითხველებად (დიკვირებით) და მოსამართლებებად.

ზოგიერთი ლუკა...

ბერძნულად მოციქულის „აქოსტოლი“ უჩივა, რაც „გაგზავნილს“ ულის“, მოციქულს. ნაშნავს სატყეოთო, ეს სიტუაცია ერთხელ და სამცდამოდ მიეკუთვნა იმ 12 მოწიაფეს, რომლებიც ვითომ ქრისტემ დაგზავნა ქვეყნის კველა მხარეში, რათა ხალხისთვის ეცწებინათ მისი გამოცხადება და მოძღვრება. ასე უწილესებ დგრეთვე ქრისტიანობის პირველ გამოჩენილ

* ჩვენ თითქმის უცრულად ვტოვებთ შენიშვნების იმ ტექსტს, რაც რესულ გამოცემას ერთვის, მხოლოდ ნუშერაციის პრინციპს ცვლით, თოლად სარგებლობის შინით. ა.გ.

კროპავანდისტებს, მათ შორის ლუკას და მარკოსს, თუმცა სინი არ უფლებან ქრისტეს პირეული მოწაფეები, მათ კოლეგების მათვს და იანის მცდელად სახარება იყოვე „კუთილი სიტუაცია“, „სახარებარულო ცნობაა“. კრისტიანული რელიგიის ეს ოთხი წანინ შეაღებული ახალ ღიატშის, მის მიზანთად ჰავადი, შემიღებულის საკუთრივ ქრისტიანულ ნაწილს. ისინი შეიცავდნ იქსის ცხოვრების მშებას და ქრისტიანულ ფოგოსტებას. პირეულად მრავალი სახარება არსებობდა. თითქმის ყოველ სექტას თავისი სახარება არ ცვალებოდ ჰქონდა.* რიცხოს საკულტოი კრისტე (325) კანონიურად აღიარეს მხოლოდ ეს ოთხი სახარება, რომელიც თითქმის მითარუ მიწატევებს დაწერით (ძათვს, მარკოს, ლუკას, იოანეს). სახარებათა ტექსტების აღალიშვი ცხადეს, რომ ისინი მრავალი აეტორის ტექსტების შეწავლის, გარჩევის და სესხების გზით დაწერილია. დამტკიცებულია, რომ სახარებები დაწერილია, ჩვენი შელთაღისტების II საკურნის შეაწებში, არა ცადერეს. ეს შიგნები რომ არა ისტორიული შემთხვება და არ ასახავთ რეალურ მოვლენებს, ცვლისის მამებიც კი იძულებული გახდნენ ელიარებინათ. წეტარი აეკუსტინე (353—430) წერდა: „ცვლისის აეტორისტეტი რომ არ მაიძულებდეს, სახარებას არ მე დავიკრებდი“.

3. ვ მ ც ვ ა ...

„თითქმის ან საკმელის კრევა—ცვლელი რელიგიის წესია, რაც ქრისტიანობაში გადმინილი ემცვის ღროს წვავენ სტრილოვან ზეოს, მერე სხვა ნივთიერებათა კრევა დაიწევა.“

4. მ თ ე ლ ი ი ს რ ა ე ლ ი ხ ა ლ ბ ი ...

ისრაელი ან ისრაილი ბიბლიური პერსონაჲის—იაკობის მეორე სახელია, მისი 12 შეიღისაგან შეიქმნა ეთომო ებრაელთა 12 გვარ-ტომი. აქედანაა გამოთქმა „მთელი ისრაელი ხალხი—მთელი ებრაელი ხალხი, იუდეილია.“

5. ვ ც ს ი ი ს წ ი ნ ა მ თ რ ბ ე დ ი ...

ნუ პგონებთ, ვითარმედ მოვედ მიუენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა; არა მოვედ მიუენად მშვიდობისა, არა მედ მახვილისა (მათე, 10, 34) — იქსო უცხადებს მოწაფებს, და ესაა მთელს სახარებაში ყველაზე უფრო ნათელი, მკვეთრი განცხადება იმისა, რომ მშვიდობის მქადაგებელი ქრისტე მახვილითაც იმუქრება გარკვეულ შემთხვევაში. ესაა სახარების მუქარა.

ნუ პზრ უნავთ ხვალისა — მათქმ სახარების სიტყვებია (შდრ. ნუ განიკითხავთ): „ნუ პზრუნავთ ხვალისა, რამეთე ხვალებან იზრუნოს თავისა თვისსა, კრა არს დღისა მის სიბოროტე“ (რესპ., ჭირი თვისი).

* * * დღეს ეიზრუნოთ დღეისთვის, ესეც საკმაო დარღია, ხვალისა კი ხვალ იწება.

ორთა უფალთა მონება — ცნობილი ტერმინი, რაც ორ სახარებაში გვხვდება. მათე წერს (6,24): „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად; ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხვა იგი შეიყვაროს. ანუ ერთისა მის თავს-იღვას და ერთი იგი შეურაცხ-ქყოს“ (შდრ. მამონას მონება); ღუკა (16, 13): „არავის მონასა ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად...“

ეს ფრაზა იტალიურშია დრამატურგმა კარლო გოლდონიმ კომედიის სათაურად გამოიყენა: „ორი ბატონის ყმა“. მისი გმირი ტრუ-ფალდინო მამონას ემსახურება (ორ ბატონს).

* * * ორ ბატონს ემსახურებათ — ქონების მოყვარულ თაღლითაც იტყვიან.

ორი ბატონის ყმობა — ნ. ორთა უფალთა მარება
ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა —
ვაშოთქმა X ს. ქართველ მწერალ იოანე-ზოსიმეს თხილითიან
ქვებაი და დიღვებაი ქართველისა კნისაი“, ხადაც ლაპარაკია საქარ-
თველის მოქალაქეებე: „და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დე-
დოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“.

* * * განუყოფლი თრული, რწმენისა და იღენის ბოლომდე
ერთგული მანდილოსნები, როგორიც იყვნენ მარიამ მაკვდალინელი
და მართა, ლაშარეს დები.

ოცდაათი კერცხლი — გამცემლობის საზღაური,
ქრისტეს ფასი: გახსმრჯელი, ჩაც მისცემ იუდას შაცხოვრის გაცემი-
საოცის (ნ. იუდა). ვ(რ)ცხლი, იგ სიკილა უდრიდა რვა კაპიტ
ოქტოთი, 30 კერცხლი — 24 მანეთამდე იყო. ხელოვნებაში უბრო
ოსტატობით ასახა ლეონარდო და ვინჩიმ: იქსოს ნათელ სახეს
უტიცრებულად შესცემის პირნელი შავშევრა იუდა, ხელს ფულით
სავსე ქისას უჭერს. („საიდუმლო ხერობა“).

პეტრე და პავლე — ორი განუყოფლი და უდიდესი
მოციქული, რომელთაც მიაწერენ ქრისტიანელი ეკლესიის დაარსე-
ბას (კათოლიკები ამ პატივს მხოლოდ პეტრეს აკუთვნებენ, რო-
მელმაც ქრისტეს დავალებით აავი სარწმუნოვან კლდეზე, პეტრეს
ტაძრის საბით). პეტრე შეთვეუწი იყო და გაუნათლებელი, სამაგი-
როდ პავლემ ფართო განათლება მიიღო და არეთავაგზე ბერძენ
პოეტთა ციტატებიც კი მოძყავდა, თავის 14 ეპისტოლები კი, რო-
მელნიც ახალ აღარქმაში შეაქვთ, საფუძველი ჩაუყარა დიდ ქრის-
ტიანელ ლიტერატურას (სინამდვილეში კი ეს ეპისტოლები სხვა-
დასხვა პირთა გვიანდელი შრომებია, თუმცა ფართო გაქანებითა და
სიბრძნით გამორჩეული). პავლეს, რომელსაც პირველად სავლე ერ-
ქვა, აღაშფოთებდა ებრაელთა შეუფედ, შესიად უძრალო ნაზარე-
ებელი მასწავლებლის გამოცხადება და იმ დროს დევნიდა ქრისტია-
ნებს, როგორც ფარისეველი (მან აწამა სტეფანე), ქრისტეს გა-
მოცხადების და მოქცევის შემდეგ კი გახდა შეუპოვარი მქადაგე-
ბელი, წარმართთა შორის ქრისტიანობის გამავრცელებელი („წარ-
მართთა მოციქული“), მთელი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები მოიარა,
არაერთხელ დაღუპა გემი და ყველაფერს გადარჩა, ვიდრე მისმა
საათმაც დაძრა: ნერონმა რომში პეტრესთან ერთად აწამა (თითქოს
65 წ. ახ. წ.). ხელოვნებაში ეს ორი მოციქული განსაკუთრებით



ნათლად ასახა ელ გრიფომ (1587—92). პავლე შორეთს გასცემულის... ქართული ხელოვნების კლასიკური სახეა უბისის სტრუქტურული პეტრეს ბრწყინვალე პორტრეტი (XIV ს.).

„სანამ პეტრე მოვიღოდა, პავლეს ტყავი გააძერესო“ (ქართ. ანდ.).

„პეტრე გეემნეს შენ კლდე სარწმუნოებისა... პავლე ეპისტოლეთა თვისთა სამკაულითა“ (ეფრემ მცირე, იამიკონი მოციქულთა საქმისა...).

„პეტრე და პავლე, სამოთხის მცველი, ნუ მექნებიან კართა დამზჟველი“ (დ. გურამიშვილი, „ოდეს ბრუსაში დატყოვდა“).

ანალოგიური ეპიზოდია იბსენის „პერ გუნტში“: გუნტი პეტრეს ეჭვდობა, დედანიშნის სამოთხის კარი არ ჩაუკეტო, მე კი ღირსი არა გარო.

3 ი ლ ა ტ ე (პონტიო პოლატე, საკ. პონტიუს პილატეს) — რომის პროკურატორი, უმაღლესი სამოქალაქო და სასამართლო უფლებებით აღჭურვილი ნაცვალი რომის იმპერატორისა იუდეის პროვინციაში 26—36 წლებში ახ წ., რომის მაგისტრატურის წევრი. მითის მიხედვით, მის დროს მოხდა იესოს ჯვარცმა. პირველად რომი მიძღვანეს შეცყრიბილი იესო, გულმადგინედ იცავდა, ვერაფერ დანაშაულს ვერ ხედავდა და ხალხს ჰქითხა „რაი ბოროტი უქმნის მაგას?“ მერე კი ხალხის დრტვინვას და მღვდელმთავართა ღმეილს „ჯვარს აცვი!“ ვეღარ აუდგა წინ, თუმცა შეშეოთვებული ცოლიც შეწყალებას ითხოვდა: „რაი ძეს შენი და მავის კაცისა მართლისა?“ მავრამ „ვითარცა ისილა პილატე, რამეთუ არას არვებს მას, არამედ უფროის-და შუოთი იქმნების“. წყალი მოითხოვა, „დაიბანნა ხელნი წინაშე ურისა მის და თქვა: უბრალომცა ვარ მე სისხლისაგან მავისისა, და თქვენ ისილეთ“ (მათე. 27, 24). ეს მოხდა მას შემდევ, რაც ჯერ პერიდე მეფესთან გაგშავნა და იმპატ უკანვე მოაბრუნა იესო.

*** ხელის დაბანვა — თავის არიდება, სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის ნაცვლად სხვისთვის მინდობა, ვალდებულების მოხსნა, — პასიურობის დევიზი: როგორც გენებოთ, ჩემია საქმე არაა, მე არ ვიცი, ხელი დამიბანიაო.

„რაც შეცემდო, უკელაფერი გავაკეთო, ახლა კი ხელი დამიბანიაო, უთბრა პეტრე ივანიშვილი ცოლს“ (ი. გონჩაროვი).

„არა ხელის დაბანვის პოლიტიკამ, პასიური თავშეკავების პო-

ლიტერატურული დამტკიცა მათი სრული უფარგისობა ჩვენს მატ-
ტიულ პოლიტიკაში” (გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 412). როგორც ასე
პირველი ითვან იყო სიტყვა — ასე იწყების სისახლეს მართვა

სახარება: „პირველი ითვან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმრთი-
სა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი” (ითან, 1, 1). ამით ეყრდნობა სა-
ძირებელი იქსოს, როგორც მოარული სიტყვის ღვთებრივ სებს-
ტანტიას და იდგალისტურ თეორიას სიტყვის პირველადობაზე-
ჰაინ ამის ანალიგით ხუმრობდა: პირველად იყო ბულბულით.

პირითა ყრმათა ჩვილთა... — ნ. განურჩევლად პი-
როვებისა.

პონტიონდან პილატემდე გაგზავნა (ტარ-
ება) — საქმის ბიუროკრატიული გაჭიანურება, წვრილმანი სა-
ისოვრის გაზიადება, როცა ვინმე უფროსსა სთხოვენ, ის კი მეო-
რესთან აგზავნის, მეორე მესამესთან, ან ისევ პირველთან. ხა-
ტივნად რომ ვთქვათ: კურდღლი მგელს უჩივის და საჩივარს ისვე
მგელს უგზავნიან, განსაჯეო. ფრთიან თქმის აქცე ირონიული მნიშ-
ვნელობა და გულისხმობს ასეთი წესის სისწლუნება და უსულგუ-
ლობას. წყარო: იქსოს ვნების ამბავი. იუდეველებმა შეპყრიობილი
იქსოს სიკედილის განაჩენის დასამტკიცებლად რომის იმპერიატორის
ნაცვალს პონტიონ პილატეს შიძგვარეს, იმან ტეტრარქ პერიდეს გა-
უგზავნა, როგორც გალილევლი (ლუკა, 23, 1—12). იქსომ პე-
რიდეს პასუხიც არ აღირსა, და მეცვემ პატიმარი ისევ პილატეს გა-
მოუგზავნა. ამრიგად, უნდა ვამზობდეთ „პონტიონ პილატესა და პე-
რიდე მეფეს შორის ტარებას“, მაგრამ პერიდე ამოვარდა, პონტიო-
ნ და პილატე ხალხმა სხვადასხვა პირებად მიიღო და ასე აითვისაო,
ამბობენ. ხინამდევილები კი გონებამახვილმა ხალხმა რომის უნიათო
პროკურატორი „გააორა“ და ამით ბიბლიურ სიტყვის შასალას ატი-
ტური მარილი დააყარა.

ცრონანი თქმა ჩვეული სიმახვილით გამოიყენა ლენინმა, რომე-
ლიც მუდამ ებრძოდა მწიგნობრულ-ფარისევლურ სტილსა და ბი-
უროკრატიულ გაჭიანურებას: „...სახალხო თავისუფლების პარტია, ბატონიშვილი კურძო საკუთრებიდან რომ კაპიტალისტური კურძო სა-
კუთრებისაკენ გვეწევა, ამით უბრალოდ გვაგზავნის პონტიონდან პი-
ლატესაკენ, ან უფრო მარტივად — თავს იძვრენს, საკითხის ნათ-
ლად დაუყენებას გაურბის“ (სიტყვა მეორე სახელმწიფო სათათბი-
ოში, ტ. 12, გვ. 248).

„მიხეილ კალინინი არასოდეს არ ივიწყებდა უბრალო აღაშიანთ-
თა თხოვნას, გვასწავლიდა მთხოვნელისადმი ყურადღებით ცალი და გვისა-
გომას, ხაჭირო და საფუძვლიანი ხაქმის დაუყოვნებლივ დადგინდნელ
გადაწყვეტას. „ოღონდ ნუ აგზავნით პონტიოდან პილატესკ მას,
კინც თქვენ მოგმართავთ! — ასწავლიდა პასუხისმგებელ მუშავებს. —
თვითონ შეუსრულეთ ის, ჩასაც ითხოვენ!” (ვ. მარი, შერიმელთა
ქეთილ წევრარს, წერილები კალინინს). ეს მაგალითი სახელმძღ-
ვანელო უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ცოტას ან ცუდად კითხუ-
ლობს და დღემდე სახარების მეთოდით მუშაობს: პონტიოსა და პი-
ლატეს შორს გვატანებს ხოლმე, ხალხის სამართლიან თხოვნაზე
პასუხობს უსალგულო, მშრალი რეზოლუციებით: „შპასუხეთ!“
„გოხოვთ ერთხელ კითხვა უპასუხოთ!“.

„ის კი ფიქრობდა და ფიქრობდა მიაწე, როგორ დარბოდა ივ-
ლისსა და აგვისტოში პონტიოსა და პილატეს შორის, ნებართვის
ასაღებად“ (პანი ლალადა, „აწ რაღას იზამ, პატარა კაცო?“).

პური ჩვენი არსობისა — „მამაო ჩვენოდ“ წოდე-
ბული ლოცვის სიტყვები, ვითომ იქნოს მთავრობებული.

* * * ყოველდღიური არსებობისათვის ყველაზე უფრო აუცი-
ლებელი, ძარისებით საჭირო რამ.

„დამქანცეს ჩემიმა გაკვეთილებმა და პურმა არსობისამ, რაც ამ
უკანასკნელ ოვეს უნდა მომეპოვებინა“ (ა. ჩეხოვი, წერილი ლეი-
კინს).

„მუშა. იცით, რანაირად ვშოულობთ ჩვენ, მუშები, ლუკმა-
პურს, რასაც თქვენ შამაოჩენოში ითხოვთ?

მღვდელი. არ ვიცი. მე ვიცი მხოლოდ ლოცვა“. (ბ. ბრეტი).

რა არს ჭეშმარიტება? — საჭიროოროტო კითხვა, რაც
პონტიო პილატემ მისცა იქნოს, როცა ამ უკანასკნელმა უთხრა: „ჩე-
მი მეუფება არა ამის სოფლისაგან არს“. პილატემ ამაზე ძვირხა: „შეითუ გროვ არს, მეუფე ხარ შენ? მიუვო იქსი: შენ სოჭვი (იტყ-
ვი), ვითარმედ მეუფე ვარ. ხოლო ამისთვის შობილი ვარ და ამის-
თვის მოვილინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტებისათვის“. „რაი
არს ჭეშმარიტება?“ — ძვირხა პილატემ, გამოვიდ: და „ძრევა ური-
ათა მათ: მე არცა ერთი ბრალი ვამოვე ამის თანა“ (ითანე, 18,
37—38). პილატეს კითხვა უპასუხოდ რჩება. რეგვენი პილატე ვერც
გაიგებდა, რა არის ჭეშმარიტება, და გამოთქმა იქცა სკეპტიციზმის
ფორმულად. ნიკ. გემ ამ თემაზე შესანიშნავი სურათი შექმნა: „რა

არის ჰეშმარიტება?" (1890), რაც ტრეტიაკოვის გალურებაში ინახება.

„თუ ჰეშმარიტების სახელით შეეკამათებიან, იოლად გამოეკარისა და გამოეკარისა გაიმეოროს განთქმული კითხვა „რა არის ჰეშმარიტება?" (ი. ტურგვენევა).

რათე გვესმა საქმე ვენი კაპერნაუმს, ქმენ აქაცა, მამულსა — იქსოს უთხრეს ნაზარეფელებმა, რომელთაც არ დწამეს თავიანთი „ხელოსნის“ (ხურის) ღმერთობა (ლუკა, 4, 23). იქსომ კაპერნაუმის სასწაულების გამეორება არ ინება, და ის შერისხეს. გამოთქმაში იგივე აზრია, რაც ეზოპეს იგავიდან აღებულ ცნობილ თქმაში „როდოსზე ძალიან შორს ხტებოდი?“ აქაც როდოსია, აქაც გადასტიო!

რასა ავის მერიებთ მე მოკლვად? — ეს კითხვა მისუა ქრისტემ უბუღრუკ ფარისეველებს, მტრულად განწყობილ მწიგნობრებს, სამეცნიერო ალექსილ იუდეიელებს. გამოთქმაში განზოგადებული მნიშვნელობა მიიღო: როცა იდეისათვის თავდადებულ, მტკიცე, ფოლადივით გაუტიშებდ და მართალ გამოჩენილ ადამიანს აქარად ან ფარულად დგვნიან უმაღლერი „ფარისეველნი“ და კლავენ, შესაფერის დახასიათებას ჯვარცმული მაცხოვერის ამ სიტყვებში პოლონენ (იოანე, 7, 15—17).

რასაც აკეთებ, დროზე გააკეთე! — 6. რომელი გვიგულების საქმედ...

რასაც დასთეს, იმას მოიშკი — 6. მოიმე, სადა არა დასთესი.

რომელი გვიგულების საქმედ, ყავა ადრე (რასაც აკეთებ, დროზე გააკეთე) — იქსომ უთხრა იუდას, რომელსაც დალატი შეატყო (იოანე, 13, 27). მაცხოვარს მოციქულებმა ვერ გაუგეს, იუდამ კი ეშმაკს უსმინა, წავიდა, ტაძროსნები დასხათავს. როგორც ირკვევა, პლავტის კომედიაში უკვე არის ასეთივე გამოთქმა: რასაც აკეთებ, გააკეთეო! მაგრამ შეიძლება აქ სრულიად დამოუკიდებული თქმაც იყოს, მეტადრე, რომ იოანეს და მის კოლეგებს ნახესხები იგავების მოშველიება არ ესაჭიროება, თვითონევ აქვთ „ხიბრძის სალარო“.

„რასაც აკეთებ, დროზე გააკეთე!“ — ასეთი სათაური აქვს ლენინის ერთ სტატიას (თხშ., ტ. 11, გვ. 12). სხვაგანაც: კ. ჩილი 654



ერთხელ პიდევ ჰუბნებით „სახალხო თავისუფლების“ პარტიას ურაშეს აკცენტ, ღროშე გააკეთე” (ლენინი, თხ. 10, გვ. 75) ჩამოარცავა
რომელი არა არს ჩემთანა, მტერი პირზეა ითვალისწინება — მტერის უფლებად კატეგორიული, მაგრამ პრინციპულად სწორია
და ნათელი ფირმებია თანადგომისა და ორგელობისა; რწმენისა და
მიმდევრების დევიზი, რაც მეიძღვება ითქვას იდეურ მიმდევარზე, მე-
გობარზე, ქმ.რზე ან ცოლზე, რომელიც მეუღლეს ტრებს და სხვისი
თანხლებით დასკირნიბს; იქნო ქრისტეს სიტყვებია. (ლუკა, 11, 23).

რომელი ბნელსა შინა სთვათ, ნათელსა
შინა ისმეს — იქნომ უთხრა მოციქულებს (ლუკა, 12, 3).

* * * ფარული, ბნელი საქმე და სიტყვა უსტველად სააშკარაო-
ზე გამოივა.

რომელი დავწერე, დავწერე — დაწერილს არ შევ-
ცვლი, წყალი არ გაუვაო! არ მსურს და არ შევცვლი დაწერილს, თუნ-
დაც შემცდარი იყოსთ. სახარების ლეგენდით, იქნოს ჯვარზე (თავს
ზემოთ) პილატემ თავისი ხელით წააწერა: „იქნო ნაშარეველი, მე-
უფე ქურიათა“. იუდეველმა მღვდელმთავრებმა ხოსოვებს: „ნე დახ-
წერ მეუფედ ქურიათა, არაშედ: მან თქა: მეუფე გარ ქურიათა“.
პილატემ განსხვავება ვერ პპოვა, რა მედანტები ყოფილანო, გაი-
ცინა და მიუგო: „რომელი დავწერე, დავწერე!“ (იოანე, 19, 19—
22). ითქმის ჩლუნგ, შებლევიწრო ბიურიკატზე, რომელიც თავის
გადაწყვეტილებას არაფრისათვის არ შეცვლის, სისულელესაც კი
დოგმად გვისდის, შაბლონურ პასუხებს გვაძლევს.

„დროის ნაკლებობამ შემიშალა განმევითარებანა ზოგი აზრი...
მერე ხელი ჩაეკინე და ჩემს დისერტაციას წავაწერე: რაც დავ-
წერე, დავწერე! — და წარვადგინე“ (პისარევი); გამოიქანა უყვარ-
დათ ვიაზემსკის, ლესკოვს, გორკის...

რომელი ჭამდა პურსა ჩემ თანა, აღიღო
ჩემ ზედა ბრჭყალი მისი — იქნომ უთხრა მოციქუ-
ლებს სერობაზე, იუდას მისამართით, და უველანი შეაშუოთა
(იოანე, 13, 18). ითქმის ასეთივე მნიშვნელობით: ვინც ჩემთან
პური გატეხა, ვის წინაშეც ამავი მიძღოდა, იმან შიღალატაო.

რომელი პხედი დას — ნ. ჩხვა-
ლვალი შენი მარჯვენე.

რომელ მან უგარ-ზყოს მე წინაშე გალთა,
შვარ-ზყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა

ჭეცათასა (მათე, 10, 33) — იქსომ უთხრა მოწიფებებს. კერძოდ იქცევს შურისძიების მომენტი, თუმცა განუზღვეს უდაბა ამაღლებული საბით.

რომელმან ფრიად მიიღო, არა ემატა, და რო მელმან მცირედ, არა დააკლდა — პავლეს II ეპისტოლე კორინთელთა მიმართ (8, 15). იგ . ბიბლიაში (მოსე, 2, 16, 18).

* * * ვინც ბევრს მოიხვეჭს, სიუხვე არ მოემატება, ვინც ნაკლებს — არ დააკლდება (მოსემაც იგივე უთხრა უდაბნოში წალს, მანანა რომ მიიღეს და გაზომეს, ყველას იმდენი შეხვდა, რამდენიც ესაჭიროებოდა).

რომელნი მაღლად იტყოდეს სიცრევესა, რამდაბლდეს — თემა X საუკუნის ქართველი მოღვაწის, პიმინგრაფ ეპისტოლას პიმინდან: დასდებელი (დავითის გვერდით „დადებული“ საგალობელი) წმიდისა ეძეთიმე მოღვაწისანი:

„დამდაბლდეს, რომელი მაღლად რაი იტყოდეს სიცრევესა, ბოროტად შეუცომილნი ბილწნი მწვალებელნი, და აღმაღლდეს ჩართლმაღლიდებელნი“ (სახარების მოტივებშეა: „რამეთუ რომელიან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დაპმდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (ლუკა, 18, 14)).

* * * უღირსად, შემთხვევის წყალობით ამაღლებულნი ღადაბლდებიან, წყვდიადის მეუფება მათი დაემხობა.

რომელსა აქვნდეს, მიეცეს და მიემატოს, და რომელს არა აქვნდეს, და რომელიღა-იგი აქვნდეს, მოვე-ეღოს მას — სახარების ამ უცნაურ ასრის, ჩაც უსამართლო წყობილების პრაქტიკით მუდამ მართლდება, ჟან-ზემ ზახეილი პოეტური შესატყვისი მოუძებნა:

„ვისაც ბევრი ქონება აქვს, მაღვე სულაც აავსებენ,
თუ ცოტა აქვს, ცოტა ხანში ამ ცოტასაც წაართმევენ.
თუ არა ვაქეს არაფერი, სოხოვე მიწა გავითხარონ —
შენ ვინ მოგცა, ღატაქს, ნება ამა სოფლად გაიხარო!“
(„ლაზარეს“ ციკლი, „წუთისოფელი“).

რომელსა მე ხუთი ქანქარი, რომელსა მე სრი... — სახარების ფრაზა, რასაც კრიტიკოსები ირონიული ჩნიშვნელობით იყენებენ. ვიღაც ბატონშა მონვებს გამოსაცდელად ჯული დაუტოვა: „და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელ-



სამე ერთი... და წარვიდა". ქანქარი ფრლის ერთეულია, ტერტიულური ტალანტის შესატყვისი. ბელინსკი ამაზე ორაზეოდაც მატერიალურად „არიან ადამიანები, რომელთაც გონიერა ჰყოფნით რაზეციმე გვერდიანი სტატიისათვის, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ჭირობობის სტრიქონისათვის ჰყოფნით... რომელსამე ხუთი ტალანტი ებოდათ, რომელსამე თრი" (ანგარიში გამომცემელს).

რომელ უფროს არს, თქრო ანუ ტაძარი? — იქსომ მიმართა თავის მამხილებელ სიტყვაში მწიგნობართ და ფარისეველთ (მათე, 23, 17, 13 და შემდგომ): „ვით თქვენდა, ორგულონ, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა..." და ა. შ.

*** ეტყვიან მკრეხელს, რომელსაც წმინდა ტაძარზე, პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ეროვნულ ღირსებაზე და ა. შ. მაღლა თავისი პირადი კეთილდღეობა, ოქრო და ავეჯი დაუყვნებია.

რომლითა სასჯელითა სჯიდეთ, მითცა და ისაჯნეთ, და რომლითა საჭყაფლითა მიუწყოთ, მითცა მოგეწყოს თქვენ — ასე არცებდა იქსომციქულებს (მათე, 7, 2). სენტუნცია ითხოვს სამართლიანობისა და სისწორის გატარებას ცხოვრებაში, მაგრამ შერჩებიებასა და ნაცვალებასაც გულისხმობს (ჯრუჭ-პარხლისა და პალიშის ვარიანტებშია „საშველითა“, „შეიძლეთ“ და ა. შ.).

რწმენა მთებსა სტრავს — იქსომ ეთხრა მოციქულებს: „უკეთუ გაქვნდეს სარწმუნოებაი, ფითარცა მარცვალი მდოგვისაი, ქრევათ მოახა ანას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაი შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ" (მათე, 17, 20). მთების დაძრაზე იობის წიგნიცაა ლაპარაკი (9, 5). წმინდა წერილში სარწმუნოება იგელისხმება, მაგრამ ფრთიანმა თქმამ დაკარგა რელიგიური შინაარსი და იქცა ჩემენის, სიმტკიცის სიმბოლოდ: დასახული მიზნის ჩუმუნა გამარჯვებულის საწინდარია და ბევრი შავი ძალა დარჩენილა გამარჯვებული ამ ფანატიკური ჩუმენის წყალბით (ცხადია, აქეს დადგებითი გაგებაც).

„პარტიის სახელით ჩვენ მთები დავძარით" (ე. მაიკოვსკი).

რწმენის სიმბოლო, კრედო (ბერძ. სიმბოლონ-ნიშანი, ლათ. კრედო — შრამს) — რელიგიის მთავარი დოგმატების ერთობლიობა, რომელთა ბრმად რწმენა სავალდებულოა.

რწეულებრივ, რწმენის სიმბოლო იყვლება, რელიგია რჩება... ქრის-
ტიანული რწმენის სიმბოლოთა სამება, სამსახურანი ღმრთის და მის სა-
მება (ეკლესია, სულიშმინდა), აგრეთვე საიქაოს რწმენის ასსურდელი ღონ-
ბა. ცხადია, მთავარია არა სიმბოლო, არამედ შინაარსი. თუ ქალ-
გება მაღალ დონეზე დგას და ხალხი გაჰირვებაშია, მეტადაგებელი
ხრამში გადასწევას იმსახურებს ამის მიუხედავად, დოგმა და მი-
ტკიცა ნიკეის (325), კონსტანტინეპოლის (381) და ტრიდენტის
კრებებმა (1545—1563);

„მარქსიზმი იქცა ხალხის „რწმენის სიმბოლოდ“ („პრავდა“, 1947, 24—VIII).

საბერი ნებისის კუნძული — რაიმე შეუძლებელი საქ-
მის აღმინიჭენლი თქმა. როცა იქსომ მღიდარ კაცს ურჩია: თუ ციურ
სასულეველში მოხვედრა ვინდა, ქონება გაუიდე და გლასაკებს დაუ-
რიგოო, ის შეწეხდა, იქსო კი მოწაფებს მიუბრუნდა: „უადეილეს
არს მანქანის საბერი ხერელსა ნებისისას განსლვად, ვიდრე მღიდა-
რი სასულეველსა ღმრთისისა შესლვად“ (ლუკა, 18—25). მერე სა-
ბერი აქცევით შეიცვალა.

საკლე იქცა პავლედ — ცნობილი ფრთიანი თქმა:
საკლე ეპრაცელთა მეურის საულის ბერძნული სახეა (ლათ. საულეს) —
ძირფესვიანად გარდაიქმნა. წყარო: საქმე მოციქულთა (8,3). საკლე
მღიდარი ანტიოქელი იყო, ფარისეველი, უანატიკოსი, მორწმუნე
ებირაელი, სასტიკად დევნილა ქრისტიანებს, ვერანაირად ვერ შეგე-
გბოდა ქრისტეს გამოცხადებას მესიად, რადგან მას უნდოდა ისეთი
მესია, რომელიც ეპრაცელებს დავითის დროის დიდებას დაუბრუნებდა.
„ფრიად მაგნებელი იყო კულებიათა მიმართ. სახლებსა შევიღოდა
და ითრევდა მამებსა და დედებსა და მისცემდა საპყორბილება“. მის
თვალწინ მორწმუნეს ჩაქოლავდნენ ხოლმე და სამოსელს ფერხთით
დადასტებლენ. ცნობილი წმ. სტეფანე აწამა: „ქასა დაპერებდეს სტე-
ფანეს, ხოლო იგი ილოცვიდა და იტყოდა: უფალო იქსო ქრისტე! მე-
ივებრუ სტელი ჩემი!“ ქრთხელ, ქრისტიანთა დასათრებუნავად დამას-
კოში რომ მიდიოდა, ცაშე ნათელი იხილა და ქრისტეს ხშა გაიგონა:
„საკლე, საკლე, რისთვის მდევ მე?“ საკლე დავცა, შემდევ კი გულ-
მანოდ გაქრისტიანდა და თავგამოდებული მორწმუნე გახდა, ამასთან
საკლეს ეწოდა პაკლე. „ხოლო საკლე, რომელ არს პაკლე, აღიგირ
სულითა წმინდითა“ (საქმე მოციქულთა, 13,9).



ჭეხ ფართო ტილო „სავლეს მოქცევა“.

***იდეის, თვალსაზრისის, მიწამისის ძირფესვიანად შემცირებული მდევრის გადაქცევა მიმდევრად; ხელ სხვა ვინჩედ ქცევა, საბის და სახელის შეცვლა.

რა უნდა სავლეს (საულს) წინასწარმეტყველთა შორის? — ბიბლიირი ანდაშაა, საულზე თქმული (პირველ მეცენა, რომელიც როკავდა მეცენ ხელდასხმაშდე, როგორც წინასწარმეტყველი); კუმფერი გამოჰყოო.

საიდ უმღლო ეს ე დიდ არს — პავლე მოციქულმა მისწერა ეფეხდებს (5,32). ეხება ცოლქმრული სიყვარულის სიწმინდეს, სიმტკიცეს, მარადიულობას, და იყითხება მართლმადიდებელ კლესიაში ქორწინების დროს.

***რაღაც დიდი, წმინდა საიდუმლო, რახაც ადამიანი „პზრდის და უუფრენებინ, ვითარცა ქრისტე კაკლეხიასა“ (იქვე).

საიდ უმღლო ხერობა — იქსოს უკანასკნელი ვახშმობა თავის მოწაფეებთან (იერუსალიმში, მეცობრის სახლში), რის შემდეგაც იქსო შეიპყროს. ეს იყო გამოსამშვიდომებელი პურობა, ვნების წინ. ესაა ქრისტიანული კლესითი ერთ-ერთი უწმინდესი დღეხასწაულთაგანი (ლათ. კვეკარისტია, ალტარსაკრამენტი, კომუნიონი, გერ. აბენდმალ, რუს. ტაინაია ვეჩერია). ხელოვნებაში ეს ოქმა შესავდება VI საუკუნიდან (რავენის მოწაიკა და სხვა.), მერე და მერე უფრო მხატვრული და შინაარსობრივი სრულყოფით აისახა მთელი კვრობის ხელოვნებაში (პლასტიკერი გამოსახულება ნაუმბერგის ტაძარში, 1250 და სხვ.). ჯერ მრგვალ მაგიდასთან სხედან, მერე გრძელთან, შეაში ქრისტეა, მარჯვნივ ითანა, პეტრე და ა. შ. იუდას ან საუკლე წაუმღევავს, ან იქსოს ართმევს პურის ნატეხს, რაც დალატის სიმბოლოა. ენივერსალურ სრულყოფას ამ ოქმის და საერთოდ ფერწერის ისტორიაში მიაღწია ლეონარდო და ვინჩიმ თავისი დიდი ფრესკით სანტა მარია დელა გრაციას კალეხიაში, მილანში (ერთ დროს ეს კალეხია მერქებლებმა საჯინიბოდ აქციეს, ხაღებავი დაიშალა, სურათი ძლიერ დაზიანდა, მაგრამ შემონახულია ბრწყინვალე ასლებში, რეპროდუქციებში. (იხ. 8. ფლობერგის ორტომიანი შრომა უვერისტიის ისტორიაზე, 1946).

*** საიდუმლო, ტრაგიკული, უკანასკნელი ვახშმობა დაღუპვის წინ.

საკვირველი ესე არს, რამეთე თქვენ გრა
იცით, ვინა არს, და მე აღმიხილნა თვა უნდო—
ფილი ბრძის. სიტყვები, სინედრიონს რომ უთხრა, როცა იქნოს ბრა-
ლს სდებდნენ, მაბათს უშკურნალათ უსინათლოს. ეტყვიან ჩლუწ
და უმაღურ თანამედროვეებს, ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომელთაც
დიდი პიროვნება ვერ დაუფასებიათ და დიდების ნაცვლად მოსაკ-
ლავად დასდევენ (ითან, 9, 30).

სამება—მთავარი ქრისტიანული დოგმატი სამციროვანი ღმე-
რთისა, რაც ერთარსებას შეაღენს: მამა, მე და სულიშვინდა; სა-
მება ჰყევ არსებობდა ძველ ყველიტები: პორუსი, ოსირისი და იზიდა
(ტრიადა), მაბილონში (ანუსი, ბელი და ეა), ინდოეთში (ბრამა,
გიშნუ და შივა) ... თეოთ ქრისტ ეკლესიაში ამ ცნების გაგებაში ერ-
თიანობა არაა. „მართლმადიდებლობის თვალსაზრისით, „სული წმი-
ნდა ღმერთი“ მხოლოდ მამაღმერთისაგან გამომდინარეობს, კათო-
ლიკეთა მიხედვით კი იგი ერთდროულად „მამისა და ძისაგან“ წა-
რმოდგება“*

* * * „განუყოფელი, მედამ ერთად მყოფი სამეცლი, სამი მეცობარი
(იტყვიან წუმრობით).

„სამ ძმიას სამება სწყალობდა“ (ვაკა); „ქონდარასაც გაუხარდა:
„ოჲ, თქვენს სამებას კი ვერაცხალუ!“ (ხ. შანშ.); „ვალია, კოლია და
უენია ნიკიტინი—ეს სამებაა განუყოფელი“ (კვტლინსკია).

სარწმუნოება თვითი ერ საქმეთა მკვდარ არს — ბრწყინვალე თქმა, აღებული იყოობ მოციქულის ეპისტოლედან (2,20): ცარიელი სიტყვა, ვინა იღეა, ხარწმუნობა, თეორია ფუჭია
და არაფრის მთქმელი, თუ ხალხისათვის სასარგებლო საქმიანობაც,
სიცხვე და პარმონიული თავისეფლებაც თან არ ახლავს ლამაზ სი-
ტყვებს: „გნებავს ცნობად, პოი გაცო ამაოო, რამეთუ სარწმუნოება
თვითივრ საქმეთა მკვდარ არს?“ არაერთ ბაქია მბრძანებელს შეახ-
სენეს გაბედულმა ადამიანებმა წმინდა წერილის ეს მამხილებელი
სიტყვა, რასაც თვით ეკლესიის მესვეურნი გვერდს უვლიან.

„გახსოვდეს, რომ სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია“ (სა-
ლტ.-შედრინი, „ჩვენი საშოგ. ცხოვრება“); „სარწმუნოება უსაქმოდ

* სტ. სახაროვი, ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაულის წა-
რმოშობისა და იდეოლოგიური არსის შესახებ, მეც. 1971, გვ. 12.

შევდარია, საქმე სარწმუნოების გარეშე—კიდევ უარესი, დროის და კარგვაა” (ა. ჩეხოვი, „დული“).

სა ა ს წ ა ე ლ ე ბ რ ი ვ ი თ ე ვ ზ ა თ ბ ა—სახარების და მოციქულთა ცხოვრების ეპიზოდი: მეთევზები მთელი ღამე ამაოდ ირჯებოდნენ გალილეის ზღვაზე, ერთი თევზიც ვერ დაიჭირეს. დილას ნავში იქსო ჩაჯდა, ბადე გადააგდებინა და მალე ნავი თევზით აივსო, ჩაძირვაც კი დაიწყო და პეტრე მოძღვარს შეევედრა, გვისნენიო. მაშინ გახდა სიმონი მოციქული და ეწოდა პეტრე. განსაკუთრებით კარგადაა სცენა გამოხატული რაფაელის კარტონზე, საიდანაც XVII საჟუნეში ინგლისმა შპალერები გამოუშვა.

*** უცაბედი წარმატების, მოულოდნელი სიუხვის სინონიმი.

ს ა ს წ ა ე ლ ე ბ რ ი ვ ი ქ თ რ წ ი ნ ე ბ ა—ნ. კანას ქორწილი.

ს ა ს წ ა ე ლ ნ ი ქ ა მ თ ა ნ ი, დ რ თ ი ს ნ ი შ ა ნ ი—ყველაფერს თავისი დრო და ნიშანი აქვს, უადგილოდ არ ხდება არც სასწაული, არც უბრალო რამ. ეტყვიან მას, ვინც დროს ალდოს ვერ უდებს, უადგილოდ ითხოვს რამეს. როცა იქსოს სადჟეველნი და ფარისეველნი არ ასვენებდნენ, სასწაული გვინდაო, მაცხოვარმა ასეთი ბრძნული გაჯევთილი მისცა: საღამოს ამბობთ, ხვალ კარგი ამინდი იქნებაო, რადგან ცა წითელიაო, დილას იტყვით: ამინდი შეიცვლება, ცა წითელი და კუშტიაო. „ორგულნო, პირი ცისა იცით გამოკდად, ხოლო სასწაულნი ქამთანი ვერ ძალ-გიც გულისხმის-ყოფად“, ე.ი. ცის ამბებს არკვევთ და მიწიერი დროის ნიშანი ვერ გაგირვევეიათო, სასწაულს ითხოვთ, როგორც უბრალო სეირსო, რადგან „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებსო“,—და წავიდა (მათე. 16, 1—4). გერმანულ ბიბლიაში აქ „დროის ნიშანი“ წერია, ასეა რუსულშიც (Zeichen, знамение).

ს ა ფ ლ ა ვ ნ ი გ ა ნ გ თ ი ლ ნ ი (ე. ი. შეღებილი კებოები) —გარეგნულად მოციქულე, ლამაზი, შიგნით კი აშმორებული რაიმე ან ვინმე. ასე უწოდა იქსოშ შწიგნობრებსა და ფარისეველებს: „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ქსჩანედ გარეშე შვენიერ, ხოლო შინაგან სავსე არიედ ძვალებითა მკვდართათა და ყოველითა არა-წმიდებითა“ (მათე, 23, 27).

„ქ—ნო, თქვენ ჩემშე მეტისმეტად მაღალი წარმოდგენა გაქვთ. მე ალბათ მხოლოდ ისა ვარ, რასაც განგოზილთა საფლავთა ეძახიან“ (ქ. მანი, „ანრი IV ახალგაზრდობა“).

საფერმოებლი სხვა კერვის ხელ-ეწიულმა და
დებად გარეშე მისსა, რომელი იგი დადგებულ
არს—პავლემ მისწერა კორინთელებს (1 გპის. 3, 11): როგორც
ბრძენმა ხუროთმოძღვარმა, მე ჩავყარე ტაძრის საძირკველი და მას
მეორედ ვეღარავინ ჩაყრისო: ეს არის ქრისტე!

*** მტკიცე საძირკველს დიდი საქმისას ერთი დიდი წინა-
მდღვარი ჩაყრის, დიდი ხუროთმოძღვარი, რომლის ქმნილებას ვერას
ავნებს წევიძა და ქარი, მტერი, და ღვარი: ნიმუშად შეიძლება წარ-
მოვიდგინოთ მცხეთის სვეტიცხოველი ან ჯვარი, რომლის მითვისე-
ბას მრავალგზის ცდილა ორგული.

საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ—სახარე-
ბაში ასეა: საქმეთა მათთაგან იცნნეთ იგინი (იქსომ უთხრა მოციქუ-
ლებს: მათვ, 7,20).

*** აღამიანს, მოღვაწეს მისი ხაქმე და ღვაწლი გამოაჩენს, არა
უქმად ხეტიალი, მაღალფარდოვანი ფრაზების კორიანტელი და თა-
ნამოაზრეთა ქება უსარგებლო; აქილევის ფარი ვერ იხსნის აქი-
ლევის ქუსლს, რაღაც საბოლოო მსაჯული ხალხია, არა ერთიმე-
ორის მაქებარი გუგული და მამალი.

სახელი მათი (ჩვენი) ლეგიონი—ცნობილი გა-
მოთქმა, აგებული სახარების ლეგენდაშე. როცა იქსომ და მისმა მო-
ციქულებმა გაღილების ზღვა გადახერეს, მათეს მიხედვით ორი ეშმა-
კული შეხვდათ (ლუკას და მარკოზის მიხედვით ერთი, ასე აქვს
ტაქსილსაც უშენიშვნოდ). განსაკუთრებით მძიმე დღეში იყო ერთი
მათგანი: უდაბნოში გარბოდა, გამოქვაბულში ცხოვრობდა, იგრიხე-
ბოდა, ჯაჭვებს წყვეტდა „და არა ვის ეძლო დაყენებად მისა“. იქსომ
სახელი ჰქითხა: ბორგნეულმა მიუგო: „სახელი ჩემი ლეგიონი. რამე-
თუ მრავალ ვართ“. ლეგიონი რომის არმიის დიდი ერთეული იყო:
6000 კაცი (აქედან ტაქსილის 6000 ეშმაკი და 6000 ლორი, სახა-
რებაში რიცხვი აღნიშნული არა, ეშმაკები იმას კი არ ამბობენ, ექ-
ვსი ათასი ვართო, არამედ—უთვალავნი ვართო). იქსომ ეშმაკი მა-
ინც განდევნა, ღორებს შეუსახლა, და გაგიცებული კოლტი ზღვაში
გადაეშვა (ლუკა, 8, 30; მარკ. 5,9). სიტყვა სიმრავლის სინონიმად
იქცა:

„ჰაინემ მიმარველთა მთელი ლეგიონები გამოიწვია“ (პისარე-
ვი, „რეალისტები“); „დიახ, თუ ჩემისთანა მხატვარი მრავალია,
თქვენისთანა არტისტი ლეგიონია“ (გონჩაროვი, „ხრამი“); „მწეხ-

რის ეამს მოურავს უბრძანებდნენ, ლეგიონი ყმაწვილი შეყარეთ „გერცენი, „ვინაა დამაზავე?“);

„შეა საუკუნეობრივი მონოპოლიების და ყოველნაირ სხვა შევიწროების გაუქმება (მათი სახელი რუსეთში ლეგიონია) აუცილუბლად საჭიროა მეშათა კლასისათვის“ (ლენინი, „რანი არიან „ხალხის მეცნიერები...“).

ს ა ხ ლ ი კ ლ დ ე ჲ—იგულისხმება პეტრეს ტაძარი, რაც იფსოს სიტყვით კლდეზე ააგვს და რაც რომის კათოლიკური ეკლესიის ბურჯად იქცა.

***მტკიცედ ნაგები სახლი, სამკეოდრო, ტაძარი, იდვა (ნ. სახლი ქვიშაზე).

ს ა ხ ლ ი ქ ვ ი შ ა ჲ—იგავიდან, რაც იქსომ უთხრა მოწაფეებს: „და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყვანი ესე და არა ყვნეს იგინი, მსგავს არს იგი კაცხა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვის ქვიშასა ზედა, და გარდამოხდა წეიმა და ქროდეს ქარინი და ეკვეთნეს სახლსა მას და დაეცა და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფრიად“ (შათე, 7,26—27).

*** მერყევი, ზერელე, ნაჩერევი რამ (აზრი ან საგანი); ითქმის მშენებლებზე, რომელთა აგებული კორპუსები ზოგჯერ უმაღინერვა, ვიდრე გადახურავენ.

ს ა ჭ ა ე რ ო კ ო შ კ ე ბ ი—უსარგებლო, ფანტასტიკური, ცარიელი ჩანაფიქრი, დაპირება, ოცნება. ციტატა ამოღებულია ეკლესიის მამის ავგუსტინეს ერთ-ერთი ქადაგებიდან („შენება პაერში“); იტყვიან: ესპანერ კოშკებს აშენებს.

ს ი ღ თ ა მ ი ს ს ა ბ ა ნ ე ლ ი (საკ. სილოაპის აუზი, გუბე) — განმაჯანსაღებელი, განმაახლებელი, ჯადოსნური ძალით მომადლებული რამ ეს ამაზანა იერუსალიმში იყო. მის სამკურნალო თვისებებს თვით ქრისტე აღიარებდა: დაბადებით ბრმას რომ თვალებზე ტალაზი გადაუსვა, მერე „პრეზა მას: წარვედ და დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა, რომელი ითარგმანების მოვლინებულად წარვიდა კაცი იგი, და დაიბანა, და მოვიდა და მხედვიდა“ (იოანე, 9,7).

„ხედავთ, რა უკარება გახდა... და ეს პარიზიდან დაბრუნების შემდეგ... რა არის ამისთანა ეს პარიზი? სილოამის საბანელია თუ რა?“ (გ. გორკი).

ს ი მ ტ კ ი ც ე ს ა რ წ მ უ ნ ო კ ე ბ ი ს ა დ ა დ ი დ ე ბ ა ე კ ლ ე ს ი ა თ ა — ეზრას პიმნიდან „დასდებელნი წმ. ევთვიმი მოდვა-

წისანი“ (X ს.): ლაპარაკია წმ. ექვთიმეზე, მაგრამ თქმა იღვძს ზოგად მნიშვნელობას: რაიმე იდეის ბურჯვე, დამცველურ იტყვიან:

სიმწის ფიალა—ქართულშია სასმელი, სხვა თარგმანებში (რუსული, გერმანული) — სასმისი, ფიალა (Kelch, ყაშა). „მამაო ჩემო, უკეთე შესაძლებელ არს, თანა წარმხედინ მე სასუმელი ეხე“—დასხის წინ, შეპყრობამდე სოჩოვა იქსომ ღმერთს (მათე, 26, 39; ლუკა, 22,42; მარკოზი, 14,36). სამივე ხახაუებაშია „სასუმელი“. საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში ეს სიტყვა სასმელხაც აღნიშნავდა და სასმისსაც („ძალ-გიცა შესუმად სასუმელი?“; „ხისხლი ჩემი ჭემარიტ სასუმელი არს“).

* * * სიმწრის ფიალის დაცლა—მიზნისაკენ მტკიცედ, ბოლომდე სვლა; ამარიდე სიმწრის ფიალა — ნე შემამთხვევ განსაცდელს. ეს გამოთქმა უკეთ ნახმარია ესაიას წიგნში (51, 17): აღდეგ იერუსალიმ, შენ ხომ სიმწრის ფიალა ბოლომდე დაცალე უფლის ხელით!

სიტყვა ჩემი ვერ დაეტევის თქვენ შორის — იქსომ უთხრა იუდეველებს, რომელთაც მისი გაგება და შეფასება არ შეეძლოთ (იოანე, 8, 37).

სმენით გესმოდის და არა გულის-ხმა ჰყოთ, ხედვით ჰნედვიდეთ და არა იხილოთ, — ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები, რომელთაც იქსომ უმეორებს ხალხს (13, 13).

* * * ხედავს და არც ხედავს, ესმის და არც ესმის — ითქმის ჯიუტ, შეუგნებელ, ეგულისყერო და უბადრუკ ადამიანზე, ვინც არ აღიარებს მის თვალშინ გადაშლილ სინამდვილეს. ასე უთხრა ერთმა სწავლულმა მასწავლებელს, რომელიც მოწაფეთა უჩვეულო გნიასს, ღმეულსა და თავდაყირა გადასვლას გულგრილად შესცემროდა, შენიშვნაზე კი გაოცდა: განა რას აშავებენ ჩემი „სამაგალითოდ დისციპლინირებული მოწაფები?“

სოფელსა შინა იყო და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმან იგი ვერ იცნა — ევანგელისტი იოანე წერს იოანე ნათლისმცემლის შესახებ.

* * * დიდი ადამიანი, ქვეყნის შსსნელი და შოამაგე, ბნელი-დან სინათლეში გამყვანი, რომელიც უმაღურმა თანამეტამულებმა ვერ დააფახეს, განკიცხეს ან მოკლეს, — აი, ვინ იგულისხმება ამ ფრთიან თქმაში.

სტიროდეთ და ჭგოდებდეთ თქვენ, ხოლო
სოფელსა უხაროდეს — იქსომ უთხრა მოწაფეებს წევბის
წინა დღეებში (ითან, 16, 20).

სტომაქისათვის — კეტისათვის: „ნუ წყალსა ხოლო ჟსვამ,
არამედ ღვინოცა მცირედ იხმიე სტომაქისათვის და ზედას-ზედა
უძლურებისა შენისათვის“ (პავლეს პირველი ეპისტოლე ტიმოთე-
სალმი, 5, 23)*. ეს მუხლი წონასტრის წესდებაშიც შევიდა: მცირე
ღვინოც იხმარონ ბერებმა ძმური ნუეშისა და სნეული კეტისა-
თვის.

„არ ვეწევი, მხოლოდ შავ ღვინოსა ჟსვამ სტომაქისათვის და
უძლურებისა ჩემისათვისო“, — ამბობდა დიაკონი“ (ნ. ლესქოვი
ლევ ტოლსტოის).

* * * ირონიულად ითქმის იმაზე, ვინც სულ სნეულებაზე წუწუ-
ნებს და ფარულად თუ აშეარად სტომაქს ივებს.

სული უფლისა ჩემ ზედა — იქსომ ამოიკითხა ესაა
წინასწარმეტყველის წიგნში: „სული უფლისა ჩემ ზედა, რომლის-
თვის მცხო მე, განკურნებად შემუსროვილთა გელითა, ქადაგებად
ტყვეთა განტევებად და ბრმათა აღხილვად“ (ლუკა, 4, 18).

* * * ითქმის ამაღლებული იდეალების მსაზრზე, დიდბენებო-
ვან ადამიანზე, რომელიც თანამედროვეებს ვერ დაუფასებიათ და
უწამებიათ; თუმცა სიკეთე უკეთებია და მონათა თავისუფლება უქა-
დაგებია.

სული წმინდა — ქრისტეს მშობელი, სამების მესამე წევ-
რი, ხელოვნებაში გამოსახავდნენ მტრედის, ვარსკვლავის ან ნათ-
ლის სვეტის სახით, რაც ქრისტეს ადგას თავზე. ანთროპომორფული
(ადამიანის-სახე) გამოსახულება მიიღო XII ს-დან დასავლეთში,
უფრო კი დამკვიდრდა რესულ ხელოვნებაში (სიმისოლურად ნაგუ-
ლისხმევია სამი ანგელოზი, აბრაამს რომ მოევლინა).

* * „წმინდანი“, ეცოდველი ვინმე (ირონიულად).

სხვა დიდება არს ვარს კვლავთა (მშისა, მთვა-
რისა) — ითქმის გამოჩენილ ადამიანებზე, რომელთაც თავიანთი
გამოჩეული სხივი გააჩნიათ. პავლე მოციქული სწერდა კორინთე-
ლებს (I ეპისტოლე, 15, 41): „სხვა დიდება არს მშისა, და სხვა
დიდება არს მთვარისა, და სხვა დიდება არს ვარსკვლავთა; რამეთუ
გოთარცა იგი ვარსკვლავი ვარსკვლავსა, პმატებს დიდებითა“.

* სტომაქი ბერინულია, კეტს ნიშნავს, ლუოზრისაც კეტი უწერს, რესულ თარ-
გმანშიც კი სიტყვაა (Mager, stomach).

პისემსკის და დოსტოევსკის გარდაცვალებაზე 1881-წლის იანვარში 6. მიხაილოვსკი წერდა: „ესენი იყვნენ ვარსკვლავი, სახლგანთქმული ორმოციანი წლების ხომლის მონაწილეობა... მაგრავ ვარსკვლავი ვარსკვლავსა ქმარებს დიდებითა“.

სხვის თვალში ბეჭვის შემჩნევა — 6. ბეჭვის შემჩნევა სხვის თვალში.

სჯულსა სიმართლისასა ვერ მისწვდა — რაიმე დიდი, ამაო ცდისა და გულმოდგინებისაფურის იტყვიან. ხატოვანი თქმა აღებულია პავლე მოციქულის ეპისტოლედან რომაელთა მიმართ: „ხოლო ისრაელი სდევდა სჯულსა მას სიმართლისასა და სჯულსა მას სიმართლისასა ვერ მისწვდა“ (9, 31).

ტაძრად შესვლა მარიაშისა — ახალი აღთქმის ის მომენტი. როცა საზეიმო ვითარებაში ღვთისმშიბელი ტაძარში შედის. გადატანით: რაიმე დიდი მოვლენის წმინდა ცერემონიალი. ხელოვნებაში ყველაზე ნათლად ასახა ჯამბატისტა ჩიმამ (კონკლიანომ, დაახ. 1500). ეს სურათი ღრეულდენის მშვენებაა.

ტაძრიდან გამოსხმა (განდევნა) — უღირ ადამიანთა, რწმენითა და სინდისით მოვაჭრეთა, უნდილთა და ნაძირალების განდევნა წმინდა ტაძრიდან, უფლის სახლიდან, საერთოდ საპატიო ადგილიდან, სადაც ბედის აზირებით მოხვედრილან ხალხის საზიანოდ და სააგოდ. „ავაზაკთა ბუნაგად შეცვევით ღვთის სახლი“ იქსომ იერუსალიმის ტაძარში იხილა ცხვრებით, მტრედებით, ხარებით მოვაჭრენი, შოლტი შეკრა და განდევნა, დახლები დაუქცია ფულის დამსურდავებლებს: „და შევიდა იქსო ტაძარსა მას ღმრთისასა, და გამოახსა ყოველი იგი განმსყიდველი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთა მათ დაამსენა, და დასასწდომლები ტრედის-მოფარდეულთა (გამყიდველთა) მათ დაუქცია და პრევა მათ: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქვაბავაზაკთა“ (მათე, 21, 12—13; მარკოზი, 11, 15; ლუკა, 19, 45; იოანე, 2, 14—15). ეს სიმბოლური სცენა ორჯერ მოაწყო, თუმცა დარბევამ საქმეს ვერ უშეველა, რადგან მანკიერებაზე აგებული სინამდვილე ხშირად ღმერთსაც ვერ შეუცვლია. ხელოვნებაში ეს ეპიზოდი უშადო ოსტატობით ასახეს ლუკა ჯორდანომ (იტ.) და ვალენტინმა (საფრ.).

ტაძრის დაჭვევა — რაიმე განუშომელი ბოროტების

ჩადენა, უკიდურესი დანაშაულის მოხდენა. იქსომ უთხრა იუდე-
ფოლებს: „არ გინდათ მიწამოთ? შემიძლია იერუსალიმის ტაძრი და-
გაქციო და სამ დღეში ისევ ავაშენოთ! (სხვა ხომ ამას ვერ შესძლებ-
და!). თქმის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება „უჩვე-
ულო რამის მოხდენის“ გაეცით. „მეზობლებმა სახწავლო ნაწილის
გამგე მანდილოსანს სთხოვეს: თუ შეიძლება, თქვენი მოწაფეები ცო-
ტა დააჭყნარეთ, ამ ბერზერკერული გნიასისა და სტვენა-კივილი-
საგან მოხვენება არა გვაქვსო“. „რასა ბრძანებთ? განა ისეთს რასა
სჩადიან?“ „ქო, მართალია, ჯერ იერუსალიშის ტაძარი არ დაუქ-
ცევიათ, — დასცინეს შეუგნებელ მასწავლებელს. — ვაცალოთ,
დააქციონ და მერე ვილაპარაკოთ!“ (ფელეტ.).

ტყავის გაძრობა — დატანჯვა, დასჯა, ოთხში ამო-
ლება. მოციქულ ბართლომეს ტყავი გააძვრეს (ატრიბუტი — დანა).
შიქელანჯელოს „განკითხვის დღეში“ საკუთარი ტყავი ჰქოირავს და
იქსოს უჩვენებს; იი, როგორ ვეწამეო შენთვის; სანამ პეტრე მოვი-
დოდა, პავლეს ტყავი გააძვრეს (ანდ).

უადვილეს არს აქლემი განსლვად ხვრელ-
სა ნებსისასა, ვიდრე მდიდარი შესლვად სა-
სულეველსა ცათასა (მათე, 19, 24; ლუკა, 18, 25) —
ვარაუდობენ, რომ ესაა ძველი ვძრაული ანდაზა, რაიმე შეუძლებელ
საქმეშე თქმული: აქლემი უფრო იოლად გაძვრება ნებსის ყუნწში,
ვიდრე მდიდარი სამოთხეში მოხვდებაო. ზოგი კომენტატორი აქ-
ლემში მსხვილ ბაგირს გულისხმობს, ნებსის ყუნწში კი — იერუსა-
ლიმის გალავნის ერთ ყველაზე ვიწრო ჭიშკარს. მაგრამ აღევორი-
ების ძიება უხარებდოა, უნდა გავიგოთ ისე, როგორც არის.

„აქლემი უფრო იოლად გაძვრება ნებსის ყუნწში, ვიდრე „ლიკ-
ვიდატორი“ მოინელებს პროლეტარიატის პეგემონიას“ (გ. პლეხა-
ნოვი).

უბრალო მცა ვარ მე — ფარისევლური უკანდახვის
დევიზი იქ, სადაც საჭიროა სიმართლის დაცვა. პილატეს სიტყვე-
ბია, ქრისტეს დასჯა რომ ხალხს მიანდო და თვითონ ხელები დაი-
ბანა.

უკეთესი იყო მისა, უკეთემცა არა შობილ-
იყო კაცი იგი — ასე უთხრა იქსომ მოციქულებს: ურთი
ოქვენგანი გამცემს: „ძე-კაცისა წარვალს, ვითარცა წერილ-არს
მისთვის, ხოლო ვაი არს მის კაცისა, რომლისაგან მე კაცისა მიე-

ცემის (ვაი მას, ვინც ღმერთს გასცემსო). უკეთეს იყო მარტინ ჭიჭადავიში, 14, 21).

ეკეთ უ თვალი შენი მარჯვენა გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან — უკომისრომისო პრინციპულობის დევიზი, შეუპოვრობის ქადაგება მიუნისაკენ მისწრაფებაში იმ ზომამდე, რომ საკუთარი თვალი ამინიგდო, თუ გაცთუნებს, საკუთარი მარჯვენა მოიკვეთო, თუ გზიდან გადახვევას ითხოვს; რადგან ცოტნებაზე ფიქრიც კი ცოტნებაა: „ყოველი, რომელი ქხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას, მუნძევესვი იმრეშა მის თანა გულსა შინა თვისესა“ (მათვ, 5, 28—30). ცხადია, ესაა პიპერბოლა, მეტი სიცხადისათვის თქმული.

ეკეთ უ მცა არა ვემნენ საქმენი იგი... (რომელი სხვამან არავინ ქმნნა, ცოდეამეა არა აქვნდა. ხოლო აუ მიხილესცა მე და მო-ცა-მიძულეს მეცა და მამაცა ჩემი) — მე რომ ამდენი სასწაული არ მომეხდინა, ამ ხალხს ბრალიც არ ექნებოდა, მაგრამ ამდენი საქმის მოქმედი რისთვის მომიძულესო? — ამბობს იქსო (იოანე, 15, 24). უმაღურთა მამხილებელი თქმა დიდი მოღვაწისა.

ეკეთ უ შესაძლებელ არს, თანა წარმხედინ (ამარიდე) სასუმელი ესე ჩემგან — ასე ვედრებოდა იქსო მამა-ღმერთს ჯვარცმის მოლოდინში, მაგრამ საბაოთმა აიძულა ბოლომდე დაეცალა სიმწრის ფიალა. თქმა უკვე არის ესაიას წიგნში (51, 17), ოღონდ იქ ლაპარაკია იერუსალიმშე: აღსდეგი, იერუსალიმ, სიმწრის ფიალა რომ ბოლომდე შესვი და ფსკერიც აღოკეო! თქმა მეორდება იქსოზე. ხელოვნებაში: ელ გრეკო, „ვედრება თასზე“ (ბუდაპეშტი).

* * * ვედრება: თუ შეიძლება, ამარიდე ეს უბედურება! „სასმისი (თასი) ბოლომდე დაცალა“ — მთელი სიმწარე ნახა, ცხოვრების ბალლამი შესვა. „არა, დაცალა თასი ფსკერამდე!“ (იბსენი, „ბრანდი“).

„თუ ეს სასმისი შენ აგდა, სხვას არ ასცდება, შენსავით ადამიანებს მოუხდებათ მისი დაცლა“ (ა. ფადევევი). პერიფრაზა: „გარეთ ქარი ზუზუნებდა. ბარლახი მშვიდად იწვა. დღეს ერთხელ კიდევ ასცდა სიმწრის თასი... სიკედილის განაჩენი დაფანალარით მოვა და არა ტელეფონის ზუზუნითო“ (ფრანც ფიცმანი).

ეკეთ უ ხარ ძე ღმრთისა, გარდა მოხედ მა-
648



გიგრ ჯვარით! — ასე მიმართავდა ბრბო ჯვარცმულ პეტრიცა ბაბუა (მათე, 27, 40), ნიშნად სიბნელისა და სიბრიყისა (სულ მხედვ შიგ მოითვალისარისი აქვს ანალოგიურ ბერძნელ ხატოვან თქმას: აქაც როდოსია, აქაც გადახტიო).

უნაყოფო ლეღვი — ითქმის უშეილო ქალზე, უნაყოფუ მწერალზე, რომელიც არ წერს ან ვეღარ წერს: უნაყოფო ლეღვად ქედელაო! ან დაწყილიან: უნაყოფო ლეღვივით გახმიო! სახარების ლეგენდით, მომიერებული იქსო ლეღვის ხესთან მივიდა და ნაყოფი რომ ვერ ნახა, გუნებაწამხდარმა მიაძხა: „ნუღარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განხმა ლეღვი იგი შეყვეულად“ (მათე, 21, 19).

„რა თავი მოაქვს ამ ულექსო მგრძანს? მგონი, გონი აშლილი უნდა ჰქონდეს: სამოც წელს გადააბიჯა, სამოცი ხეირიანი ლექსი ვერ დაუწერია, და უა ქედად არ მიაჩნია...“ (ცუმორესკა „უნაყოფო ლეღვზე“).

ურწმუნო თომა — საკ. მიციქული, რომელსაც არ სკეროდა ქრისტეს აღდგომა. თომა არ ყოფილა ერთადერთი ურწმუნო მოწაფე. მაცხოვრად იქსოს აღიარება ყველას უჭირდათ. ასე, ფილიპემ უთხრა მოძღვანს: „მიჩვენე ჩვენ მამაი შენი და კმა არს ჩვენდა“ იქსომ მიუგო: „ესოდენ ეამ თქვენთანა ვარ, და არღარა მიცით მეა, ფილიპე? რომელმანა მიხილა მე, იხილა მამა ჩემი, და შენ ვითარ მეტყვე მე: მიჩვენე ჩვენ მამა შენი?“ (იოანე, 14, 8—9); პეტრემაც არაერთხელ გამოიტევა ეჭვი (ზღვაზე ქარიშხალში; ჯვარცმის წინ). მაგრამ ურწმუნობის ცნება ხალხმა სამუდამოდ თომას დაუკავშირა: ვიდრე ლურსმნებით გახვერეტილ გვერდებში თოთებს არ ჩავყოფ, არ დავიჯერებო. „უთხრობდეს მას სხვანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიბილეთ ჩვენ უფალი. ხოლო მან პრქვა: უკეთე არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი სამშველთათ და დავასხნე თითნი ჩემნი აღგილსა მას სამშველთასა და დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა, არარადა მრწმენს“ (იოანე, 20, 24—29). კედელი გაიხსნა, იქსო შემოვიდა, ჭრილობაში ხელი ჩააყოფინა და მამინ კი თქვა თომამამ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ ხელოვნებაში უზადო ტილოები უძღვნეს ანტონინ ვან დეიკმა (ურწმუნო თომა, ფლანდრია) და ჩიმა დე კონელიანომ (იტალია).

* * * კაცი, რომელსაც ძნელად თუ რასხე შეაჯერებ.

„მაგრამ ჩვენს შორის მიმოდის თომა

და არაფერი მას არა სჯერა“ (ვ. მაიკოვსკი).

„ბელზენისაგან წამებული კაცი სასამართლოს წინაშე, უტერდა საჭირო გახდა სხდომის დახურვა. მეორე დღეს პროცესი გაფიქტულა და დამცველებმა, როგორცა სჩვევიათ პროცესიონალურ უწმინდონობის, დაიწყეს თავთავიანთი თითების ჩაყოფა ჭრილობებში“ („იზვესტია“, ლიუნებურგის პროცესზე, 1945 წ. 5 ოქტ.).

ეფალო იქსო, მოდი, იყავი ჩვენი სტუ-
მარი — ასე ეწოდება გერმანელი ისტატის ფრიც ფონ უდეს
ცნობილ სურათს (1885, ბერლ. ეროვ. გალ.). ფრთიანმა თქმამ გან-
ზოგადებული მნიშვნელობა მიიღო, ითქმის სანუკვარ ხტუმარზე.

ეფალო! მოვედ პირველად კაპერნაუმს! —
ხალხის თხოვნა (იოანე, 4, 50). გვესტურე, იხსენი ყმაწვილი,
მოგვეშველეო (შდრ. „ეფალო იქსო, მოდი...“).

ეცნაური ღმერთი — ფრაზა ღუკას წიგნიდან „საქმე
მოციქულთა“. საბერძნეთში წასული პავლე „დასდგა შორის არეო-
პაგისა და სთქვა: გაცნო ათინელნი! ყოვლითურთ, კითარცა კეთილ-
მსახურთა გხედავ თქვენ. რამეთუ მიმორა ვიქცეოდე და მოვიხი-
ლვდ სამსახურებელთა თქვენთა (თქვენს ტაძრებს რომ ვხედავდი ამ
მიმოსვლამი), ვპაოვე ბომონიცა (კერპი), რომელსა ზედა წერილ
იყო: უცნაური ღმერთი. აწ უკვე, რომელსა იგი უმეცარ ხართ და
პმსახურებთ, — მას მე გახარებთ თქვენ, ღმერთსა, რომელმან შექ-
მნა სოფელი და ყოველი, რა არს მას შინა“ (17, 22—24). ამრი-
გად, პავლე ბერძნებს პპირდება: ღმერთი რომ გყვარებიათ და კი
არ იცნობთ, მე გაგაცნობთო იქსოს.

„შივიღე ჩემთვის უცნობი გაზეთის ამონაჭერი და უცნაური ავ-
ტორის ნაშრომი. მაღლობას ვუძღვნი უცნაურ ღმერთს“ (ა. წეხოვი,
წერილები).

უკეთ ურისაგან არს! — ლაკონიური თქმა, რომლის ის-
ტორია ასეთია. იქსო მოწაფებს ასწავლას: ნუ ფიცულობთ წარა-
მარა, „ნუცა ცასა, ნუცა იერუსალიმსა, ნუცა თავსა შენსა... არამედ
იყავნ სიტყვა თქვენი: ჲო, ჲო! არა, არა! ხოლო უმეტესი ამისგან
უყვითურისაგან არს“ (მათე, 5, 34—37), ე. ი. ზედმეტი ფიცი ეშ-
შაკისა არის, არ დაიჯერებათ.

* * * ზედმეტი, უპატი, საზიანო, ცრუ ფიცი, აზრი და ა. შ.
ლებედევ-კემარი დასცინოდა პედანტებს, რომელნიც შხოლოდ

ზუსტ მეცნიერებებს ცნობვნ, ყველაფერი დანარჩენი კი „ეკეთური-საგან არსო“, ამტკიცებენ“ („პრაღდა“, 26, ივნ., 1946).

უძღვები შვილი (გერმ. დაკარგელი შვილი. რუს. რწვა, ფრ. მფლანგველი, გზააბნეული შვილი) — ასე დამკვიდრდა ქართულში იმ უმცროსი ვაჟიშვილის სახელი, პომელმაც სახარების ერთ-ერთი იგავის მიხედვით მამას ნაადრევად გამოსისოვა თავისი შილი ქონება, უცხო მხარეში წავიდა, გაფლანგდა, გაღატაკდა; მეღორედ დადგა, ლორების სალაფივიც სანატრელი გაუხდა, ბოლოს კი ჩამოძონძილი დაბრუნდა შინ, მამას გაუჩარდა, ნადიმი გაუმართა (ლუკა, 15, 11—32). ეს იგავი იქსოვ უოხრა ხალხს. აქედან უძღვები შვილი ანუ ძვ-შეცოომილი ითქმის მამის ურჩ შვილშე, ან გარეუნილ, მერყენ. ქარაფშეტა, მონანიებულ ცოდვილზე, რომელიც გამოსწორდა და აღიარებს: „მამათ, ვცოდე ცად და წინაშე შენსა, და ართარა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა“.

„რა გაეწყობა, გავემასპინძლდეთ უძღვე შვილს“ (მ. გორგი, „თომა გორდევვი“); ვოლტერის კომედიის სათარიია;

„მის წინ იდგა ბერიკაცი: „დაკარგელო შვილო,
როგორ არის, არც მამა გყავს, არც მმობელი დედა
და არც ვინმე მევობარი, რომ იცელქო მასთან?
ნუთუ ციდან ჩამოვარდი უთვისტომო, კენტი,
კაცის შვილი არ გყოლია მოზიარე, შემწე?“

(ჰერდერი, „ჭიანჭველა“).

უარისეველთა რელიგიურ-პოლიტიკური სექტის წევრი, გამოუსწორებელი ფანატიკოსი, ქრისტეს მტერი. ეს იყო მხოლოდ სექტა, პარტია, ჯგუფი, და ამდენად ურც გამოხატავდა მთელი ხალხის მისწრაფებას, მაგრამ როგორც გაბატონებული მოძალადნი, ფარისეველები თავს აზვევდნენ ყველას თავიანთ დახავებულ მოსეს კანონებს და საკუთარ, მხოლოდ მათვის ხელსაყრელ შეხედულებას სიბრძნის აღფად და ომებად ოვლიდნენ. მზად იცვნენ ამ შეხედულების ტრიუმფისათვის გავწირათ თვითი ის ხალხი, რომლის აურთა მპყრობელადაც თავს ასაღებდნენ. იქსო, ვიდრე „სოფელში იყო“, ამხელდა მათს საზიზღარ სიცრუესა და ძალადობას, ქვრივთა სახლების შემჭმელთ, აქლემთა მყლაპველთ ეძახდა, მაგრამ ჯვარს აცვეს ქრისტე და გაგრძელდა ფარისეველბა. გოლგოთის გორის ძირას გაიმართა ფარისეველთა ნადიმი.

* * * მოიქანელი, ქლესა, გაიძვერა, ბოროტი და საშიში ადა-
მიანი.

„ფარისეველმან მოშურნემან სიკვდილდ მისცა... ზოლო ერმან უშაულომან, კრებულმან ამაომან, ქვა დაპურიძა უწყალომან“ (ხტელანე სანანოძე, „დასდებელნი წმ. სტელანე მოწამისაი“, I ს.).

ფარისეველი ასწავლის იესო ქრისტეს — ირონიულად იტყვიან ვინმე ჩეგვენზე, რომელიც თავს ნებას აძლევს დაარიგოს, დატექსოს, გაკიცხოს მთელი თავით მასზე მაღლა მდგარი ადამიანი. ასეთი ჭირის მასწავლებლები იესოს მრავლად ჰყავდა (ფარისევლები, მწიგნობარნი, მღვდლები, ძმები, კაიაფა, პილატე...); ნ. კაცი ხარ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ.

* * * ანალოგია: პანი ასწავლის აპოლონს ქარიზე დაკურას.

ფარისეველნო, განვედით! — ფრთიანი ოქმა, გული-
სხმობს უღირსთა, უმეცართა განდევნას წმ. ტაძრიდან, საიდანაც
ერთ დროს იესო განდევნეს ფარისევლებმა (ირონ. ანალოგია:
„ფარისეველნო, განაგეთ ტაძარი!“).

ფერხთა მტკვრის განყრა — ფეხის მოკვეთა, ვინ-
შესთან ან რამესთან კავშირის გაწყვეტა, აღშფოთებით წასვლა.
იესო მოციქულებს საქადაგვბლად აგზავნის და არიგებს: „შეეთუ
არავინ შეტაწყნარნეს თქეენ და არცა ისმინნეს სიტყვანი თქვენი,
გამორახვიდოდეთ მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარნეთ
მტკვერი ფერხთა თქენთა“, და მერე იმ ქალაქს სოდომ-გომორის
ბედს განატრებო! (მათე, 10, 14; მარკოზი, 6, 11; ღვაგა, 9, 5; საქ-
მე მოციქულთა, 13, 51). საგულისხმოა, რომ სვანურში დღესდე
მტკვედაა შემორჩენილი — სიტყვაც და მოქმედებაც. როცა ვინმე
აღშფოთების ნიშნად ტოვებს სხვას ან ზერგს აქცევს, კოველგარ
ურთიერთობის გაწყვეტის ნიშნად ზღურბლზე დადგება, მაწას ფეხს
გადაუსვამს და იტყვის: „ამა, დღეიდან ჩემგან ფეხები გამიწმენ-
დია, შენთან საერთო აღარაფერი მაქვსო“.

„დაწმუნებული იყავით, რომ ხვალვე ფერხთა მტკვერს განვიყ-
რი ამ სახლის ზღურბლზე“ (თ. დოსტ., „სოფელი სტეფანჩიკოვო“);
„ათანამოქალაქეთა უსამართლობით მობეზრებულმა განიყარა ფერ-
ხთა მტკვერი და რეხეთის თოვლი გადამარგდა“ (მ. სალტ.-შჩედ.,
„საზღვარგარეთ“).

ფიალის დაცლა — ნ. უკეთე შესაძლებელ არს..

უიცხელ არს სიტყვა ესე — მოწაფებრია უთხრეს
მოძღვარს, იქსოს: „ვის ხელ-ეწიფების სმენად მისა“, მისი ხორცის
ჭამას რომ გვიქადაგებსო! (მათვ, 6, 60). ღმერთი ქარაგმას არ
ხსნის, ხალხი დროინავს (ზიარების პური და ღვინო ვითომ ქრის-
ტეს სისხლი და ხორცია).

* * * სასტიკია შენი სიტყვა, ამას რას გვეუბნებიო!

ფსალმუნი (იგ. დავითი) — 150 საგალობელი, მოელი
წიგნი, რაც მეფე დავითს მიეწერება (XII ს. ძვ. წ.). სრულდე-
ბოდა ცალკე გალობად, ინსტრუმენტზე, სკოლაში, ღვთისმსახურე-
ბაში და ა. შ. ბევრგანაა მინიშნებული მაცხოვარზე. ქართულად
უძველეს დროსვე თარგმნეს.

* * * საგალობელი, ლექსი (ალ. აბაშელის აქვს ლექსი „მწეხ-
რის ფსალმუნი“);

„ენამშეობდეს სიტყვათა რჩევად

ფსალმუნთა მოქმედთა შენსა სასვენსა“ (ჩახრ., „თამარიანი“).

ქალაქის მაძიებელნი — ირონიულად იტყვიან შიმ-
ლოცველებშე, მართლმორწმუნებებზე და საერთოდ ადამიანებშე,
რომელთაც სამყოფელი აღაგი არ გააჩნიათ, დადიან და არარსე-
ბულს დაეძებენ, ან გადატანით: უკეთესი იდეის, სახელმ. წყობილე-
ბის ძებნაში არიან და ვერ პოულობენ. წყარო: პავლე მოციქულის
ეპისტოლე რომაელმა მიმართ (13, 14): „რამეთუ არა მაქვს ჩეენ
აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“. რესეტში
ქალაქის მაძიებლებად იწოდებოდა მორბენალთა ანუ ყარიბთა
ხექტა.

„ტოლსტიო არ იყო წინასწარმეტყველი, არ იყო წმინდანი, მაგ-
რამ იყო რაღაც, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ცხოვრები-
სათვის. ის იყო მგზნებარე, შეუპოვარი მაძიებელი, კაცი „ქალაქის
მაძიებელი“ (ვ. ვერესავი, „ცხოვრების შსატვარი“); იღია ერენ-
ბურგმა ბელინსკის, ჩერნიშვილების, რუს რევოლუციონერებს „ქა-
ლაქის მაძიებელი“ უწოდა („პრადა“, 1943 წ. 9 აპრილი).

ქარი ბრუნდება საკუთარ წრეში — ყველაფერი
მეორდება, ერთ წრეში ტრიალებს (ეკლესიასტე, 1, 6).

ქების ფსალმუნი — დავითნის № 67 ფსალმუნი („ღმერთო,
მიწყალენ ჩეენ“).

* * * ხოტბა, შესხმა, ოდა, პანეგირიკი შოგადად.

ქვათა ღაღადი — რაღაც აღმაშფოთებელი, საზარელი, მიუტევებელი, ანტიმეცნიერული გამოხდომა ან მკრებელობა, რაზე დაც თვით უტყვი ქვები დაიწყებენ ღაღადს, რომ შეეძლოთ: ადამიანი რომ დადუძეს, ქვანი იღაღადებენო, იტყვიან. ვიდრე იქო იერუსალიმში შევიდოდა (შეპყრობის წინა დღეებში), შეთისხილის მთაზე მოხდა „ძალთა ხილვა“ და მოწაუებმა დაიწყეს ღაღადი: „ეურობებულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაითა! მშვიდობა ცაგა ზედა და დიდება მაღალთა შინა!“ ამის გავონებაზე ფარისეველი ცედად გახდნენ, იქსოს სხხოვეს: „მოძღვარ, შეპრისხენ მოწაფეთა შენთა, რათა დადემნენო!“ მაშინ იქსომ მიუგო: „გეტყვი თქვენ: და ღათუ ესენი დადუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე!“ (ლუკა, 19, 37—40).

ლენინი წერდა: „პოლიციურმა თვითნებობამ და ინკვიზიტორულმა დევნამ რუსეთის ცხოვრებაში საერთოდ ისეთი უსაზღვრო „დემორალიზაცია“ შეიტანა, რომ ქვანიც კი ღაღალებენ, თავადაზნაურობის წინამძღვლებმაც კი სინდისის თავისუფლებაზე დაიწყეს ღაპარაკი“ („საშინაო მიმოხილვა“, ტ. 5, გვ. 267).

ქვა ქვაზე არ დარჩება ო — რაიმეს მოსპობა, ნგრევა-გაპარტაზება, იავარყოფა, ძირულებისად შეცვლა ახლით, ან მხოლოდ დაქცევა. იქსო მიმართავს იერუსალიმს: მტერი მოგადება, „და არა დაშთეს ქვაი ქვასა ზედა შენ შორის“ (ლუკა, 19, 44); აგრ. მოწაფებს უთხრა ტაძრის ხარაჩოებთან (მარქოში, 13, 2). აქედან იქცა ფრთიან თქმად.

„არც ერთი ცოცხა არ ხვეტვდა ისე სუფთად, როგორც რევიზიის ჩამტარებელი სენატორი. ქვა ქვაზე არა ჩემბოდა“ (სალტ.-შჩედ., „ცხოვრების წერილმანები“); „ძველი კანონმდებლობისა ჩვენში ქვა ქვაზე აღარ დარჩა“ („პრავდის“ მოწინავე, 1957 წ. 5 თებ.).

ანალოგიური თქმა „ჩვენს შემდვევ თუნდაც წარღვნა ყოფილაო“, რაც ლუდოვიკ XV ან მის საყარელს პომპადურს მიეწერება, უფრო ბრძენი (უცნობი) პოეტის გამოთქმიდან უნდა იყოს აღებული (ციცერონის და სენეკას ციტატები).

ქვეყანასასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება — „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა შევიდობა“ — ასეთი საზეიმო-ამაღლებული სიტყვებით აუწყა ანგელოზმა მწყემსებს ყრმა იქსოს დაბადება (ლუკა, 2, 14). ცხადია, ამ საზეიმო განცხადებასაც მხოლოდ ტანჯვა, ვნება

სიხელი და კოცონი უნდა მოქმოლოდა, რადგან არც ოდეს ყოფილა ქვეყნად ჰარმონია, იდეალური სიშვეიდე. მხოლოდ მეცნიერება იყო „ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის უნდა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოების დამკვიდრებას“ (პ. ტიმირიაზევი).

„პარიზში მათხოვნები ვერა ვნახე გამიკვირდა, უკვე ამგვიდ-რებენ-მეთქი კაცთა შორის სათნოებას. თურმე რაღაც ეთიკა თუ პო-ლიციელთა სიუხისლე ფრანგებს ნებას არ აძლევს ხმამაღლა ითხო-ვონ და ხელი გაიშვირონ“ (ვ. მაიაკოვსკი).

ქვეყანასა კვთილსა და ავარდნა — ნოყიერ ნია-დაგში მოხვედრა, გაზრდა-გახარება. ხატოვანი თქმა ენებში დამ-კვიდრდა იქსოს იგავიდან, რაც გალილეის ზღვის პირას ნავიდან უქადაგა ხალხს (ეს მომენტი დიდი ოსტატობითაა გამოხახული ცნი-ბილი საქანონიერი მხატვრის ფრიც ფონ უდეს სურათში „ქადა-გება ზღვაზე“); „და შეურთა მისა ური მრავალი... და იგი ერი ზღვის კიდესა მას იდგა. და იწყო იქსე სიტყვად იგავით: ამა ქერა, გამოვიდა მოხვევარი თესვად. და თესვასა მას მისსა რომელიმე და-ვარდა გზესა უდა. და მოვიდეს მცრინველნი ცისანი და შეკაშეს იგი. და სხვაი დავარდა კლდოვანსა, სადა არა იყო მიწა ფრიად, და მეყვეულად აღმოცენდა, რაშეთუ არა იყო სისქეი (სიღრმე) მი-წისა. ხოლო მზე რაი აღმოჩედა, დასცხა, რამეთუ ძირნი არა დაებ-ნეს (ფეხვი ვერ გაედგა) და განხმა. და სხვა დავარდა ეკალთა შო-რის, და ეკალნი იგი აღმოსცენდეს და შეამთვეს (დაახრჩვეს). იგი. და სხვა დავარდა ქვეყანასა (მიწასა) კეთილსა და მოსცემდა ნა-ყოფსა: რომელიმე ასსა, რომელიმე ხამეოცხა, რომელიმე ოც და ათსა“ (მათე, 13, 2—8). იქსოს ეს იგივი იმისათვის დასჭირდა, რომ მორწმუნეთათვის ეთქვა: ხახულევების კარი თქვენთვის ლიაა, ურწმუნოები კი იმ თესლივით გახმებან, რომელიც ეპლებში და გზისპირა ქვებში მოხვდათ. მაგრამ თქმაც იქცა ანდაზად: ნოყიერ ნიადაგში მოხვედრილი ყველაფერი გაიხარებსო (ასევე ბორო-ტებაც).

ქვის და შენა (დაკრება) — ნ. ჩაქოლვა; თქმა შომდი-ნარეობს ითანებს სახარებიდან (8, 7). იერუსალიმის ტაძარში მწიგ-ნობრებმა და ფარისევლებმა იქსოს ქმრის მოღალატე ქალი მიპგ-გარეს და მოხოთხვეს, განსაჯეო. იქსო მიუხვდა, კურ იატაკზე ხაზვა განაგრძო, მერე კი „აღემართა ზედა და პრევა მათ: „ვინ უცოდველ-

არს თქვენგანი, პირველმან შან დაუტევენ (დაუშინოს) ქარ შაგას
ზედა (იუდეაში ჩაქოლდა მოღალატე ქალისა დასაბამიშვან იყო
შილებული მოსეს კანონით).

„მე ვფიქრობ, რომ მთელი თქვენი ღირსებებით არ პრინცართ
ამ უბედური ქალიშვილის ნეკად, ქვებს რომ უშენთ“ (დოსტ., „და-
ნაშაული და სახელი“).

გამოთქმა გამოიყენა ვიშინსკიმ 1948 წ. დუნაის კონფერენცია-
ზე — ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი დიპლომატების მიმართ:
„ამ ერთ რამეში მეც უოდვილი ვარ, მაგრამ დაუ, ვინც თვითონ
ეცოდველია, იმან მესროლოს პირველი ქვა!“

* * * ქვა დაუშინა, ქვა ესროლა — უსამართლოდ მოუქა,
თავს დაესხა. ქვასროლია — წერილიფეხა მქირდავი, ზოილივით
უხამსი, უვიცი და უგემოვნო, ყველაფერში ჩრდილის მაძიებელი
კრიტიკოსი, რომელიც „სიბეცისა გამო თვალთა თვისთა“ საკუთარ
სისუსტეზე თვალს ხუჭავს, „იდრისს მიძყება“, ამაღლებულ
საგნებს ვერ ამჩნევს და მშადაა ნათლის სეეტს შებლი შეალებოს;
მკრეხელი; ასოკირკიტა, პედანტი, რომლის ქვა — მისივე უნიჭო-
ბაა.

„იცით, პეტრე, — თქვა ქალმა, — იმისი წარმოდგენაც კი
მზარავს, რომ ყოველი დამნაშავე მსაჯელის როლში გამოდის.
ცოდვილნი და შემცდარნი სხვათა ცოდვებსა და შეცოდებებზე მსხე-
ლობენ...“ „მათ ბიბლიის სიტყვას შევასხენებდი: ვინც თავად უცო-
დველია, პირველი ქვა იმან ისროლოს“ (კ. ვებერი); „ჩემი მანდი-
ლოსნებო, თქვენს შორის ვინც მთლად წმინდაა, მან ესროლოს პირ-
ველი ქვა საბრალო დას“ (ჟაინე, „შექსპირის ქალები“).

ქვრივის წვლილი — მცირე შესაწირავი, რასაც დიდა
სულიერი და მორალური მნიშვნელობა ენიჭება. ფრთიანი თქმა და-
კავშირებულია იქსოს ყოფნასთან იერუსალიმის ტაძარში: მდიდ-
რებმა უხვად შეიტანეს შესაწირავი ფასის-საცავი (სალაროში),
ქვრივმა გლახაკმა კი „ორნი წვლილნი“ (სპილენძის მცირე ფუ-
ლი). იქსომ მოწაფეთა ყურადღება ამ ქვრივზე შეაჩირა და უთხრა:
„ამინ გეტყევი თქვენ, რამეთუ ქვრივმან ამან გლახაკმან უფროს
ყოველთა დასდვა“, რადგან სხვებმა ზედმეტი მონაცემი დადგს, ამან
კი — რაც გააჩინია, იქნებ პურის ფულით (მარკოში, 12, 41-44;
ლუკა, 21, 1-4).

„ქვრივის წვლილი ღარიბული

და ციმბირის მაღაროთა

ხარჯი შენთვის ერთნაირად

არის წმინდა“ (პუშკინი, „ნ. მორდვინოვს“).

ქრისტე და ცოდვილი ქალი — ეპიზოდი იერუსალიმის ტაძარში (ნ. ქვის დაშენა); ასე ეწოდება ტინტორეტოს (საკოპო რობერტის) ბრწყინვალე ტილოს. ტაძრის ფართო დარბაზში, რაც ბობოქარ ზღვაშე გადასახედით ფართო ოკეანეს მოგვავრნებს, ზის ქრისტე, წინ დგას მშევნეობი და მდიდრულად ჩატარებული ცოდვილი ქალი და ელის განაჩენს. უკან მდემარე ხალხია. მანერისტულად დაგრძელებული ფიგურები აძლიერებენ საერთო დაძაბულობას. იქსო სადაცაა იტყვის „ვინც უცოდესია, პირველი ქვა იმან ესროლოსო“ და ისსნის ქალს. გამოთქმაც და სურათიც შეიძლება გავიგოთ, როგორც ჰუმანიზმისა და სამართლიანობის ტრიუმფი.

ქრისტეს გამოცხადება — ხალხის სულიერი განსპეტაკების, მორალური სრულყოფის სიმბოლო. თქმა კარგის რელიგიურ შინაარსს და იქცევა უძრავო ხალხის მცელვარებისა და სასოფტის ილუსტრაციად, მაგალითად, აღ. ივანოვის „გამოცხადებაში“, რასაც შეატვარმა ოცი წელი შესწირა და კიდევ დაუმთავრებელი დარჩა (დაახლოებით მენტის სტილში; მორს მოდის იქსო, ხალხი გარინდებულია ნაირნაირ პოზაში).

ქრისტეს გვემა — ტანხვა, წამება, ცემა და დამცირება გოლგოთის გზაშე და ჯვარშე; ნ. ჯვარცმა; „ქრისტე სამარცხევინო ბოძთან“ — ასე ეწოდება ტიციანის ტილოს. ბოძებ მიერულ, ნაცემ, დასერილ, გაოფლილ იქსოს ძლიერი მსერა ცისკენ მიუპყრია (რომი). ზარდამცემ შთაბეჭდილებას ტოვებს ელ გრეკოს ძლიერი, ქუფრი ფერებით შესრულებული ტილო (ბუდაპეშტი).

* * * (ლათ. პასიონ, გერ. გაისელუნგ, რუს. ბიჩევანიე) ტანჯვა-წამება საერთოდ.

ქრისტეს ქორწილი — იგულისხვება ზეიმი სარწმუნებისა ციურ სასუუფლები, იქსოს ლხინში ინახის დება (მონაწილეობა), სიკეთის საზღაური.

„ნე ხარ სულელი, ზარმაც-უდები,

არ დაგეკარგოს ქრისტეს ქორწილი...

მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწყარი,



რომ შენ განმიღო ქორწილთა კარი!“

(დ. გურაშიშვი „ოდეს ბრუსიაში დატყუფვაზ“) ვაკე

დ ე ლ ე გ ლ ო ვ ი ს ა (გლოვის ველი, გოდების ველი) — ვაებისა და მწუხარების სავანე, მიწიერი ტანჯვის გზა, სიმრუდე წუთისოფლისა. წყარო — დაკითნი: „ნეტარ-არს კაცი, რომლისა შეწევნა მისი შენგან არს... ღელესა მას გლოვისასა, ადგილსა მას...“ (ფსალმ. 83, 5—6).

„გოეთეს ინდივიდუალობა ხელახლა უნდა იქნას შესწავლილი და აუცილებლად მოძველებული აზრის საპირისპიროდ, რაც ქადაგებს მის ვითომდა გულგრილობას „გლოვის ველისა და კბილთა ღრმენის“ მიმართ“ (პლეხანოვი; ლიტერატურული კრიტიკა, 1933, 96).

დ ვ ა რ ძ ლ ი ს ა დ ა ი ფ ქ ლ ი ს გ ა რ ჩ ე ვ ა — ნ. იფქლისა და ღვარძლის გარჩევა. ღვარძლი საზოგადოდ სამსალას, მავნე და უსარგებლო რამის სინონიმია. ამ გაგებით ხმარობენ მწერლები.

„ეტყობა, მტერს არ ეძინა, მთასწრო ამ სპეტაკ ხულში საკმარ ღვარძლის დათესვა“ (შამინ-სიბირიაკი).

„ჩვენ გავწმენდო ჩვენს ნათებს კაპიტალისტური ღვარძლისა გან“ (კიროვი).

დ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი — მადონა, დედა ღვთისა, მარიამი, სათნო ქალწული, უბიწო გალილეველი ქალი, ხურო იოხების დანიშნული, რომელსაც ძილში გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა, მესის დედობა ახარა, მერე კი სულიწმიდამ ჩაუსახა იქსო. ეზარ მაზარ როლს თამაშობს ქრისტიანულ კელესიაში. უბიწოდ ჩასახვის დორგია შედამ აღვლევნდათ რომის პაპებს და არა მარტი იქსოსი, არამედ მარიამისაც (დოგმა დამტკიცდა 1854 წ.). ისიც ცად ამაღლდა.

*** შვენიერი და სათნო მანდილოსნის სინონიმი — მადონა.

ბეთლემში ყრმის შობას და თვით ღვთისმშობელს შშვენიერი საგალობელი უძღვნა X საუკუნეში ქართველმა პოეტმა ფილიპე (კიდურწერილობა „ფილიპე ჭეთლემი“):

„ფესვთა მათგან ოქროანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო,
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქვს, ღმრთისმშობელო,
ლამპრითა მით ბრწყინვალით მიგეგვიცით, დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევებაი ბრალთა ჩვენთა, დიდებული.

პატიოსან და წმიდა არს სახლი შენი, სანატრელო,
ეკლესიაი ბეთლემისაი ცაჲა მსგავს არს, უბიწოო...“

ხელოვნებაში მაღონას ასახვის ისტორიას მოტელი ტომები დას-
ჭირდებოდა. ეს იყო ყველა დროისა და ხალხის ქრისტიან ოხტატ-
თა სასინჯი ქვა. ჩამოთვლაც კი შეუძლებელია ყველა მხატვრისა,
ვინც მაღონა დახატა და ისიც არაერთგზის: ღვეონარდო და ვინჩი (მა-
ღონა ლიტა, მაღონა ბენუა—ჯვრისებური ყვავილით), რაფაელი
(სიქსტინის მაღონა, მაღონა ყრმით — კონქსტაბილე, ერმიტაჟი...),
სიმონე მარტინი, პიეტრო პერუჯინო, გვიდო რენი, სურბარანი,
ანტონელო და მესინა, ლორენცო დი კრედი (მაღონა, ყრმა და
ითანე ნათლისმცემელი), სანდრო ბოტონელი (დიდი ჯგუფი ჩესე),
ბოლტრაფიო (ყრმით, ბუდაპეშტი), ვეკიო (ითანე ნათლისმცემ-
ლით და ეკატერინეთი), ლორენცო კოსტა, ვან დეიკი (ტრიპტიქი),
პეშელინოს სკოლის ოსტატი (მაღონა ტახტუე, დრეზდენი), კო-
რეკო (წმ. გიორგისთან და წმ ფრანცისკთან, ორივე დრეზდენი),
მურილიო, ლორენცო ლოტო, ტიციანი (ყრმით და ოთხი წმინდა-
ნით), ჩიმა და კონელიანო (ტაძრად შესვლა, დრეზდენი), ბოტი-
ჩელი, (მრგვალი „მაღონას დიდება“) პოლბაინ უმცროსი (ბრწყინ-
ვალე, მეფეური ტილო „სიცოცხლის წყარო“, ლისაბონის სამეფო
სასახლე), ღვევას კრანახი და სხვ. მრ. (ქანდაკებაში ყველას
ჩრდილავს მიქელანჯელოს „პიეტა“ — მოწიწება). ქართულ ხე-
ლოვნებაში ღვთისმშობლის სახეს თავისებური ეროვნული იერი მი-
უღია და ყველა ორიგინალური გამოსახულება ამ ერთიან კლასი-
კურ ქართულ იერს ატარებს. უფრო თვალსაჩინო ნიმუშებია: წყლით
მხილება ღვთისმშობლისა (ატენი, X ს. მარიამი წყალს სვამი); გე-
ლათის მოზაიკის სახე (1125—1130); ღვთისმშობელი ძითურთ
(ყინწვისი, კონქის მოხატულობა, მეფეური, დიდებული მაღონა ზის,
მუხლებზე ყრმა უზის, მთელი სურათი სიმშვიდისა და სიდიადის
შთაბეჭდილებას ქმნის); ანჩისხატის მაცხოვერის ხატის მოჭედი-
ლობაზე გამოსახულია ღვთისმშობლის მიძინება. შუქ-ჩრდილის
კონტრასტი ტენებროშეს ტიპის ფრესკის იერს ტოვებს. სურათი
მოგვავონებს დავით აღმაშენებლის პიმნს: „არა უხილავს მშესა
ქალწული დედაი, თვინიერ შენსა“ („გალობანი სინანულისანი“).
ხელოვნების ამ ცნობილ შედევრთა სიტყვიერ პარალელებს ვპოუ-
ლობთ მწერალ-პიმნოგრაფთა ნაწერებში: „ქალწულმან შვა იქსო



უთესლოდ" (იოანე ანჩელი, გალობანი ანჩისხატის: ნი) და მამაშვილი
შობა ღმრთისა ადამიანისაგან იქმნა, რათა მიწით შობილობის კუც
თა ცოორისა, ვითარცა ღმრთის დედაი, დაპხსენილებ ქადაგი და
იოხდეს ცოდვილთა" (დ. აღმაშენებელი); „საუკუნეთა უპირატეს
ყოფილი თვალთ-შეუდგამი ზეცისა მხედრობათა აპა ებერა ქალწუ-
ლმან შვა ხორცითა, აღიგსო დღეს ყოველი ბრწყინვალებითა" (ეზრ.
ათონელი, იამბიკონი ქრისტეს შობისანი).

ღვთის წყალობით — ნ. მადლითა ღმრთისათა.

ღრმენა კბილთა — უძლურთა ბრაზი, გაშესკულ აღა-
მიანთა ამათ დრტვინვა. სახარებაში ეს ფრაზა არაერთხელაა ნახ-
მარი — ხან დილეგის, ხან ჯოვონების, ხან ძაღლადობის რევიტის
მსხვერპლთა განცდების გამოხატავად: „ხოლო ძენი იგი სასუ-
ფელისანი განითხისენ (გაიტყორცნონ) ბნელსა მას გარესკელსა;
მუნ ცეის ტირილი და ღრმენა კბილთა" (მათე, 8, 2).

„დიახ, ჭაბუკო, ლონდონში დიდი ტირილი და კბილთა ღრმე-
ნაა" (ბ. ბრეხტი, „ედუარდ 11 ქხოვრება").

ყველა ფერი თავის დროზე — ყველაფერს თავისა
ღრიო და ადგილი აქვს. თქმის წყარო — ლუკა (12, 56): „ორგულ-
ნო, ქვეყანისა და ცისა იცით გამოცდად, ხოლო უამი ესე ვითარ
არა გამოიცადეთ?" (იესომ უთხედადისევლებს).

ყველთა რომელთა აღიღონ მახვილი, მახ-
ვილითაცა წარწყმდენ (მოწყდენ) — იესოს ცნობილი
სიტყვები, პეტრეს რომ უთხრა შეპყრობის დროს, როცა მოციქულ-
მა ერთ სინედრიონელ ვაი-მეომარს ყურში ჩასჩირჩულა: ჩააგდ
მახვილი, რადგან ვინც მახვილს იშიშვლებს, მახვილითვე დაღუპუ-
ბაო (მათე, 26, 52).

ეს სიტყვები ათქმევინა პავლენებომ ალექსანდრე ნეკელს კინო-
ფილმში, თუმცა მატიანები ეს არაა. დიდი სამამულო იმის დროს
ნეკელის პირით წარმოთქმულ ამ ბრძნელ და მრისხანე სიტყვებს
ხალხი ტაშით ხვდებოდა.

მახვილს ხამართლიანობის მცველის გაგებაც პეტონდა (სიმართ-
ლის მახვილი), რისხვა-გათრგუნებისაც (დამსჯელი მახვილი), ომის
გამოცხადებისაც (მახვილი იშიშვლა, აღმართა), საღმრთო სიტყ-
ვისაც („მახვილი იგი სულისა, რომელ-არს სიტყვა ღმრთისა" —
ეფესელთა, 6, 17).

„სტალინგრადში ისეიმა სამართლიანობამ, სტალინგრადში



დაიწყო ნაცვალგება: რომელმან აღიღო მახვილითვე მთავრული წყდა“ (ი. ერენბურგი, სტალინგრადი, „ერასნაა ზვეზდა“, 1943, 2 თებ.); „მე ყოველ შემთხვევისათვის ჯიბეში დანას ვინახავ“ „გინც მახვილს იშიშვლებს, მახვილითვე დაეცემა“ (ბ. ბრეხტი); „რა არის ბარიბარი? ვინც მახვილით მოვა, მახვილითვე დაიღუპება. ესაა ბარიბარი“ (თ. ფონტანე, „ბარიბარს ყოფნა“).

ყოველი კე მოცემული კეთილი (და ყოველივე ნიჭი სრული) — რასაც გაიშეტებენ და მოგეჭმენ, ყველაფერი კარგია, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებათ (იაკობის ეპისტოლე, 1, 17).

„ცხადია ოდოვცსკის ქ-ნი ზიში უცრო მართალი და თავშესაქცევია, ვიღრე სილციდი. მაგრამ თქვენი მოცემული უოველივე კეთილია“ (პუშკინი ოდოვცსკის).

ყოველ მან ხემან, რომელ მან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა და ედვას (უნდა იყოს: ყოველი ხე...) — იქსომ უქადაგა მოციქულებს (მათვ, 7, 19): უხარებობო არც ხე ვარგა, არც კაცი, არც საქმეო. ეკლესია ახეთ ხედ თვლიდა ერეტიკოსებს, „კვეთდა“ და წვავდა მათ.

ყოვლისა, რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიეღოს — ვისაც ბევრი მიეცა, ბევრიც მოეთხოვბა („და რომელსა მიეცა ფრიადი, უმეტესი მოქადან მას“) — იქსომ უიხრა ერს (ლუკა, 12, 48). სიტყვამ ზოგადი მნიშვნელობა მიიღო; პატივდებულს, ამაღლებულს ბევრიც მოეთხოვება.

ყოვლისაგან ანგარებისა დაცავით თავი თქვენი — იქსომ უიხრა ერთ იუდეველს, როცა „ბევრეული ერი“ შეიკრიბა მის მოსასმენად. „ეკრძალებით და დაიცავით თავნი თქვენი ყოვლისაგან ანგარებისა“ (ლუკა, 12, 15).

* * * ნუ გადაქვევბით მოხვევის სენს, ისრუნულ სულიერი სიმდიდრისათვის.

ყრმა იესო, ასპიტის შემსუსრველი — მომავალი მესია, გმირი, რომელიც ჰერაკლესავით „აკვანშიცე ახრჩობს ბველს“. საერთოდ, საუკუნეების განმავლობაში ყრმა იქსოს ხატავდნენ, როგორც ფიქრიან, სათონ ბიჭუნას. ერთგვარი გამონაკლისია კარავაჯოს (მიქელანჯელო მერიზის) სურათი „მაღონა პალაფრენიერი“: მოსრდილი ტიტელი ყმაწვილი დედის დასმერებით

სრესს გველს (თავზე დაუდგამთ ფეხები, ჯერ დედას, მერე ყრმას) იქვე დგას ხნიერი ანა და დაძაბულ სცენას დასცეკრის, ჰალაფურუე ნიერის ეკლესიაშ სურათი არ მიიღო: მეტად უბირი ქალებია და თანაც ყრმა ტიტველიათ. ნამდვილად კი სურათი მეტისმეტად სიმბოლური, თანადროული ეჩვენათ: სიკეთე სრესდა ბოროტებას! ცხადია, საკუთარი ხიშიშვლე უფრო აწესებდათ მომალადებს, თორეშ ყრმას უწინაც ყველა ტიტველს ხატავდა.

* * * სიკეთე, ბოროტების შემმუსვრელი.

ყრმა ითანე ნათლის მცემელი (იხ ნათლისმცემლის თავი) — უმანქო, სპეტაკი ყრმა, როგორიც დახატა მურილიომ: თეორ კრაქს ეხვევა პატარა ითანე. მათებრ უმანქო ბუნების წიაღმი. „მურილიოს ითანესავით უმანქოათ“, იტყვიან (საერთოდ, ნათლისმცემელი იქიმზეც კი უფრო წმინდა და უცოდველია).

ყრმათა გაედლეტა, ბეთლემელი ყრმების გაწყვეტა — საზარელი დანაშაული, რაც თითქოს ჩაიდინა პეროდე I დიდშა, როცა მოგვებისაგან გაიგო, რომ იშვა ყრმა იქსო, იუდეის მომავალი მეფე. მაგრამ ვერ გაიგო, სად იყო. იმ იმედით, რომ იქსოც მოკყვებოდა, საერთო სვრემა ბრძანა ტირანმა. მოგვები რომ აღარ დაუბრუნდნენ, „მაშინ განრისხნა ფრიად, წარავლინნა და მოსწყვიდნა ყოველნი ყრმები, რომელი იყვნეს ბეთლემსა და ყოველთა საზღვართა მისთა, ორით წლითგან და უდარესნი“ (მათე, 2, 1—5 და 16—18). ლეგენდა გვეუბნება, რომ იმ დღეს 20 000 ბავშვი გაწყდა.

* * * გაუგონარი ურჯუკობა, ყმაწვილთა სურემა.

1902 წ. მ. გორკი დემონსტრაციის დროს შეპყრობილ ყმაწვილებზე წერდა: ირონიულად: „რუსთი გადარჩენილია! ეს რა საზოგადოებაა, გულგრილად რომ უყურებს პეროდეს ყმაწვილთა ქლეტას?“ ხელოვნებაში ეს თემა დიდი ოსტატობით ასახეს კარელ ვან მანდერმა (პოლ.) და სებასტიან ბურდონმა (საფრ.).

ყრმის თავკუკანისცემა — იგულისხმება ძელმერთის იქსოს თაყვანისცემა (უმთავრესად მწყვემსებისა და აღმოსავლელ მოგვთაგან); განზოგადებით: მოწიწება ვინმე დიადის, ახალი მოვლენის და ა. შ. წინაშე. ხელოვნებაში ეს პიზოდიც მრავალმა ასახა. განსაკუთრებით მომხიბლავია ფლორენციელ პიერო და კოზიმოს მრგვალი ფერადი სურათი ხეზე (ღვთისმშობელი, ყრმა, ორი ანგელოზი, პეიზაჟი), ფრა ბარტოლომეოს (მადონა, ყრმა, იოსები),

იოს ვან ქლევეს (მოგვთა თაყვანისცემა, მრავალი ფიგურა, შეფური დიდმშვენიერება), ალბრეხტ დიურერის, ლორენცი დი კრედის და სხვათა ტილოები.

შაბათი კაცისათვის, არა თუ კაცი შაბათისათვის! — იქსომ ეთხრა ფარისევლებს, რომლებმაც ბრალი დასდეს, შენი მოწაფეები პურის თავთავებს აგრიცებენ „შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ არს ყოფად“ (მარკოზი, 2, 24). იქსომ ბიბლია მოაგონა: არსად არ წაგიკითხავთ, როგორ შევიდა დავითი აბიათარ მღვდელმთავრის დროს ტაძარში და შეკამა შესაწირავი, რომელთაც მღვდელთა გარდა არავინ ჭამსი? „და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისათვის დაეძადა, და არა თუ კაცი შაბათისათვის“ (2, 27). ანალოგიური გამოთქმა თაღმედშიცაა.

* * * არ უნდა ვიყოთ კანონის მონა, თუ ადამიანს ზიანს აყენებს. უნდა ვიმოქმედოთ გარემოების შესაბამისად და არა ბრძა ავტომატებივით.

ლენინი აკრიტიკებდა კადეტ კოკოშკინს, რომელიც ბრძანებდა: „ერთა თვითგამორკვევის უფლებასთან ცოტა ფრთხილადო!“, და განაცრძობდა: „მაგრამ კოკოშკინი და კადეტთა სხვა ბეღადები ბავშვები აღარ არიან. მათ შევენივრად იციან ბრძნული გამოთქმა: „არა კაცი შემათისათვის, არამედ შემათი კაცისათვის!“! არა ხალხი სახელმწიფოსათვის, არამედ სახელმწიფო ხალხისათვის!“ (ლენინი, ეროვნული პოლიტიკის საკითხისათვის, თხ., ტ. 20, გვ. 201). ნ. პონტიოდან პილატემდე.

შენ გაიმარჯვე, გაღილეველო! — საქვეყნოდ ცნობილი წამოძასილი სპარსელებთან ომში სახიყვდილოდ დაჭრილი რომის იმპერიატორის იულიანე განდგომილისა (361—363), რომელიც წერდა ანტიქრისტიანულ შრომებს და ბოლომდე დევნიდა ქრისტიანებს. მხოლოდ სიკედილის წინ აღიარა ფილოსოფოსმა ქრისტეს გამარჯვება (იქსო ქრისტე ხომ გალილეველი იყო!).

* * * რაიმე იდეის, რწმენის, გამარჯვების, აღიარების, ცნობის, ჰეშმარიტების წინაშე ქვედის მოხრის გამომხატველი ფრთანი სიტყვა.

შენ ხარ ვენახი — ძველი ქართული საგალობლის ქსიტყვები ანალოგიას პოულობენ იოანეს სახარებაში, სადაც ქრისტე უკანასკნელად მიმართავს მოციქულებს: „მე ვარ ვენახი ჰეშ-

შარიტი, და თქვენ რტონია (15, 5). საქართველო, უკრაინა, ვინა
ხოვანი, ამ სიტყვებზე მთელს სიმღერას ქმნის; პირები გადა

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შევამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
თავით თვისით მშე ხარ განბრტყინბული“.

(დიმიტრი მელქი, დავით აღმაშენებლის ძე).

„ნაკადულმა“ 1972 წ. გამოსცა წიგნი „შენ ხარ ვენასი“ (ა. ლე-
ქიაშვილის).

შეკრისხენ შენ ამჰარტავანთა — ფსალმუნის სიტყვები: დავითი წყევლის უღირს მორწმუნებს, რომელთაც ამპარტავულად უარყვეს ციური სიტყვა და პირად ბეჭდიერებას ანაცვალეს უფლის მცნება (დავითნი, 118, 21).

შვიდი ბეჭედით დაბეჭედილი წიგნი — ასეთი საოცარი, საიდუმლოებით მოცული წიგნი ეჩვენა იოანეს თავის „გამოყენებაში“ (აპოკალიპსიი, 5, 1—5): „და ვიხილე მარჯვენით მჯდომარისა მის საყდარსა ზედა წიგნი, დაწერილი შინაგან და გარეგან, დაბეჭედილი ბეჭედითა შეიდითა. და ვიხილე ანგელოს ძლიერი, რომელი ქადაგებდა ხმითა დიდითა, ვითარმედ ვინმე ღირს არს განლებად წიგნისა მის და განსხვად ბეჭედითა მიხითა? და ვერ ვინ შემძლებელ-არს ზეცათა შინა, და არცა ქვეყანასა ზედა, არცა ქვესკნელსა შინა, განლებად წიგნისა მის, და არცა შიხედვად მისა. და მე ვტიროდე ფრიად, რამეთუ არა ვინ იძოვა ღირსი, რომელსამცა განეღო წიგნი იგი და წარეკითხა... და ერთმან მღვდელ-თაგანმან მრქეა მე: ნე სტირ: აპა ესერა, სძლო ლომბან, რომელ-არს თესლისგან იუდასსა, ძირმან მან დავითისმან, რომელმან განალოს წიგნი და განხსნას შეიღნი იგი ბეჭედი მისნი“. ასე შვიდგზი დაბეჭედილი წიგნი მხოლოდ იესო ქრისტემ გახსნა.

* * * გაუგებარი წიგნი ან წერილი, ჩინური; საერთოდ გაუკ ბარი და წეველებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელი რამ.

„მეცნიერობა, გარდასულნი დროვებანი,

შეიდის ბეჭდით დაბუჭდილი წიგნებია“ (გოთვა, „ფაუსტი“, 1

შიშითა და ქრწოლით — ეს ფრაზა არაურთხეს გვხვდება წმინდა წერილში: „წმინდა უფლისა შიშით და უგალის

დით მას ძრწოლით“ (ფსალმ., 2, 11); „შიშით და ძრწოლით შეიწყნარეთ იგი“ (ტიტეზე მსჯელობის დროს, 7, 16); „შემით და ძრწოლით თვისისა ცხოვრებასა იქმოდეთ“ (ფალიპელთა, 2, 12).

* * * ზოგადად: გეშინოდეთ ძლიერთა ამა ქვეუნისათა! ძრწოდეთ უღმობელ მჩაგვრელთა უღელქვეშ! ძრწოლით ილოცეთ, რომ დღეებეთილობდეს თქვენი მოძალადე და მძარცველი, თუნდაც თავს კეთილისმყოფელად აცხადებდეს, — ასეთია ამ ტერმინის აზრი (თუ უაზრობა?); მორჩილება!

„მონად ვშობილვარ და ყოველგვარ მოვალეობას შიშითა და ძრწოლით უნდა ვასრულებდე“ (თ. დოსტოევსკი); „შიშით და ძრწოლით შლიდნენ გაზეთებს: როდის მორჩება ხოცვა-უღეტაო?“

შობა უფლისა (წმინდა ღამე, ქრისტეშობა) — ქრისტეს დაბადება ბეთლემის ქაბში (ბეთლემი — „პურის სახლი“), საღაც მოხვდნენ ამ დროს იოსები და მარიამი წყარო: მათე, 1, 18—25; ღუკა, 2, 1—20; აპოკრიფები, ფსევდომათე... ქართულ მწერლობაში მრავალი შეეხო, ხატოვნად გამოიქვა გიორგი ათონელმა: „ლოდი უხელოდ გამოიკვლე“ (გალობანი ქრისტეს შობისანი). ხელოვნებაში წმ. ღამის ასახვის პირველი ცდები უკვე ცნობილია IV ხაუკუნეში (იტალიურ სარკოფაგებზე, კელესიებში). იესო არტახებშია, მარიამი წევს ან მუხლებზე უზის ძე, იქვე დგას წვერიანი იოსები, ბავაშე ხარი და ვირი აბია. შერე უფრო ხშირდება (ბიზანტია, საქართველო, რუსეთი). ყრმა ხშირად იატაქსე წევს, მოგეები თავანს სცემენ, უკან ხალხი მოჯარულა, მაღლა — ანგელოზებია. მაღალ ხელოვნებაში ფრანგებსკო ფრანჩია (მაღლა მტრედია, დრესდენი), რაფაელი, ფაბრიანო, ალტორნერი, პოლბაინი, კორეკო... ხალხურ ხელოვნებაში — დღემდე. ქართული გამოსახულებებიდან დავასახელებთ იურარის ბრწყინვალე ფრესკას (სვანეთი, 1096); დღესასწაული 25 დეკემბერს ხვდება, როცა დღე უმიკლესია და „ახლოა წყვდიადი, მავრამ იშობა იესო, ნათელი ქვეყნისა, და მშე იწყებს მატებას“.

შეაღამის სასიძო — ქრისტეს ზედწოდება, გამომდინარეობს წმინდა წერილის ტექსტებიდან, საღაც არაერთხელაა მინიშნებული, რომ ქრისტე შუაღამისას გამოცხადდება (დავითი, 118. „მოჟისხენ ღამე სახელი შენი“, „შუაღამე აღვსდგი აღსარებად შენდა“ და სხვ.). ეს დრო უფრო მოხერხებული იყო ღმერთთან სასაუბროდ (ვასილ დიდი, მეორე ეპისტოლუ გრ. ნაზიანშელთან), თა-

ნაც უფრო შესაფერო დეპილ ქრისტიანთათვის. ოვითონ ქრისტე ჯვარცმის წინ შეაღამისას მივიღა მოწაფეებთან და შესჩივლა: „შე-წეხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე“ (მათე, 36—44, მარკოზი, 14,32—39). შეაღამის სახიძოს ამბავია მოთხოვბილი ათი ქალწულის იგავში, რაც იქსომ უამბო მოწაფეებს (მათე, 21,1—13). მისივე თქმაა: „მოვალს ღამე, ოდეს ვერვის ხელეწიფე-ბის საქმედ“ (იოანე, 9,4), ე. ი. მაშინ მოვალ, როცა ყველა საქმე ძნელდება და შეპყრობაც უფრო გაუჭირდებათო.

„შეაღამისას მოვიდეს სიძე, გარეთ არ დარჩე კარ დაჭვტილი“ (დ. გერამ.); გამოყენებული აქვს გოეთესაც; იტყვიან ირონიულად (დაგვიანებულ სტემარზე და სხვ.).

ჩემი მეუფება არა ამის სოფლისაგან არს — იქსომ უთხრა პილატეს, რომელსაც იუდეველმა მღვდელმთავრე-ბმა საქმე მარტივად მოახსენეს: თავს იუდეის მეფედ აცხადებსო, და პროკურატორმა საკითხის დაზუსტება მოსთხოვა (ამა სოფლის მე-უფე რომ ვიყო, მსახურების ჯარი მეყოლებოდა, დამიცავდნენო, იოანე, 18,36).

*** თამამი განცხადება, რასაც იტყოდა ღმერთი ან დიდი შემო-ქმედი, ვინც ამაღლებული იდეალებით სულდგულობს, უბირთა და უშეცართ კი მისი ხელისხვეობა ვერ გაუგიათ; დაცინება რაიმე ჟა-ლმართობის წყალობით წაშოტივტივებული არარაობისა, რომელსაც ტვინში ღრაჭა ჩასჯდომია და მაშვრალი ხალხის ხელს ხრავს — მე-ფის, სატრაპის, მღვდელმთავრის...

ჩვენი ძმა ისაა კი — ჩვენი მოძმე, მახლობელი (სოცია-ლური მდგომარეობით); მოტუებული, გაწილებული ადამიანი (კიევის მონასტრის ძმა ისააკს შევენიერი ჟაზევილების ხასით ეშმა-გები გამოცხადნენ, უთხრეს: „ისააკ, ჩვენ ანგელოზები გართ, იქსო მოღის, თაყვანი ეცოდ“. ისააკმა ეშმაკს თაყვანი ჟყა. „ისააკი ჩვე-ნია! — შესახეს ეშმაკებმა. — აბა იცეკვე!“ — და ქანცის გაწყვეტამდე აცვევეს; გამოთქმას ირონიული აზრიც აქვს.

ცა და ქვეყანა — ქვეყნიერება, მსოფლიო, კაცობრიობა. ეს გამოთქმა, რაც წმინდა წერილში ხშირად გვხვდება („ვიდრემდეს წარჩედეს ცა და ქვეყანა“, მათე, 5, 18 და სხვ.), მტკიცედ შემორ-ჩენილია სვანურში, სადაც „ცადაქვეყანა“ მოელს ქვეყნიერებას ნი-შნავს.

„ცანი და ქვეყანა წარხდენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხ-

დენ“ — იქსომ უთხრა მოციქულებს, როცა შეორედ მოსვლის სურათს უსატავდა (მათე, 24, 35).

ცოდვა სიჭაბ უკისა — ახალგაზრდობის დროს ჩაღწილი შეცდომები, რომელთა პატივებას ითხოვენ. წყარო. დავითის ფსალმუნი (24,7): „ცოდვათა სიჭაბუებისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ, წყალობითა შენითა მომიხსენე მე“.

ცოცხალი ძალის ხვედრი სჯობს მკვდარი ლომისას — ეკლესიასტეს სიტყვებია (9,4). ამ ოპტიმისტურ აზრს მ. გორეთი ასე ახასიათებს: „სიკვდილზე ნუ ფიქრობ... სისულელეა, ცოცხალმა კაცმა რომ სიკვდილზე იფიქროს ეკლესიასტეს დამწერმა ცველაზე კარგად იფიქრა, იფიქრა და თქვა: ცოცხალი ძალისა ხვედრი სჯობს მკვდარი ლომისასო“ (მ. გორეთი, „თომა გორდევი“).

ცრუ წინასწარმეტყველნი — თვითმარქებია შარლატანები, რომელთაც თავი დიდ ადამიანთა ტოლად მოაქვთ და სხათა პატივს იჩემებენ. იქსო აფრთხილებს მოციქულებს. ფრთხილად იყავით, ცრუ არ იწამოთ, „რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუარნი და ცრუ-წინასწარმეტყველნი და ჰყოფდეს სასწაულებსა დიდ-დიდსა ნიშებსა, ვითარცა ცოტნებად“ (მათე, 24,24).

ცხვარი წყმედული (წაწყმედილი) — ნ. დაკარგელი ცხვარი.

ცხვრებისა და თხების გამორჩევა (გარჩევა, გაყოფა) — ავისა და კარგის, სასარგებლოს და მავნის, სიკეთისა და ბოროტების გარჩევა, როგორც მწყემსი გაარჩევს ცხვარსა და თხას (თიკანს; სხვა ენებზეა თხები, ვაცები). ასევე მაცხოვარმაც „დაადგინეს ცხოვარნი მარჯვნით მისსა და თიკანით მარცხნით“ (მათე, 25,33), მერე მშიერ-მწყურვალ, შიშველ-ტიტველ ცხერებს სასულევლში შერეკავს, სამრალო თხებს კი, რომელთაც მშიერს არ აჭამეს, მწყურვალს არ ასვეს, შიშველი არ შემოსეს, — სასტიკად შერისხავს: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის“. ცხადია, იგულისხმება მართალნი და ცოდვილი.

„ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ გამოგვერჩია თხები ცხვრებისაგან, გაგვემიჯნა უცხონი, მოგვერდინა ადგილუბზე გამოცდილ რევოლუციონერთა კადრების ორგანიზაცია“ (სტალინი, „ლენინი“).

ძალნო ჯოჯოჩეთისანო — ბოროტი ძალები, ქაჯ-ეშმა-

კნი და ავსულნი. სახარებიდანაა. „ერ შემუსრონ (სოფიოს ტაძარი) თვით ძალაც ჯოჯოხეთისა“ (ვ. ბარნოვი).

ძველი კაცი (ძველი — ადამი) — ცოდვილი, უამგაბატა
სული კაცი, რომელიც კვდება და ამით ცოდვებისაგან თავისუფლდე-
ბიან დანარჩენები; უფრო იგულისხმება საკუთარ თავში არსებული
ძელი იდეის, აზრის, ცოდვების დაომიბა, ძლევა, დაგმობა, და ამ-
ით სულიერი განახლება (ამ აზრით იხმარა პუშკინმა დელევიგისა-
დმი გაგზავნილ წერილში 1821 წ. 23 მარტს: „პოეზია — შენი ჭეშ-
მარიტი ხვედრია! მოკალი შენში ძველი კაცი — არ მოკლა შთაგონე-
ბული პოეტი“).

„ექსპლოატირებულნი მაგრდებიან, ვაჟაცდებიან, იზრდებიან.
სწავლობენ, იგდებენ კისილან დაქირავებული მონობის ეღლეს
„ძველ ადამს“ (ლენინი, თხ. ტ. 26, გვ. 364).

ეს ღრმად გააზრებული თქმა, რაც თაობებმა აიტაცეს, აღებულია
პავლე მოციქულის ეპისტოლებან რომაელებისადმი, ეფესოლთა და
კოლასელთა მიმართ: „ეს ეწყიო, რამეთუ ძველი იგი კაცი ჩვენი
მისთანა ჯვარს-ეცვა, რათა განქქარდეს ხორცი იგი ცოდვისა, რათა
არღარა ვქმონებდეთ ჩვენ ცოდვასა. რამეთუ რომელი იგი მოკვდა,
განმართლებულ-არს ცოდვისაგან“ (რომ. 6,6). „განიშორეთ თქვენ-
გან... ძველი იგი კაცი, განხრწნილი გულის-თქმისა მისებრ საცოტ-
რისა, და განახლდებოდეთ თქვენ სულითა, მით გონებისა თქვენისა-
თა“ (ეფესელთა, 4,22); „განიძარცვეთ ძველი იგი კაცი და შეიმო-
ხეთ ახალი“ (კოლასელთა, 3, 10).

წილის ყრა სამოსელზე — ნ. განიყვეს სამოსელი ჩემი.

წინასწარმეტყველსა თვის სა სოფელზა პა-
ტივი არა აქვს (იოანე, 4,44) — ნ. არა არს წინასწარმეტყვე-
ლი შეერაცხ...

წმიდა ოჯახი — მარიამის, ძირა და იოსების ტრადიციუ-
ლი გამოსახულება, განსაკუთრებით ფართოდ აისახა XV—XVII საუ-
კუნების ხელოვნებაში, უპირატესად ეგვიპტის გზაზე (სადაც წმი-
ნდა ოჯახი ძეროდეს რისხვას გაექცა). ერთიმეორუზე ძვირფასი შე-
დევრები შექმნეს რათაელმა, რემბრანდტმა, ანბალე კარანიმ, ან-
დრეა დელ სარტომ (უზადო ოსტატობით შესრულებული სერიოზუ-
ლი სახეები). ანტონის ვან დეიკმა, ბარტოლომეო ესტებან მური-
ლიომ, ბარნეტ ფაბრიციუსმა (კარელის ძმამ), ფრანსუა ბუშემ, ტი-
ციიანმა (გაქცევა ეგვიპტეში), ანდრეა მანტენიამ (დრეზდენი), მა-



რტინ შონგაუერმა (ვენა), დიურერმა, კრანახმა, პიერო დი კონიგმოზ რაბა
(ყრმა ითანე და ორი ანგელოზი, დრეზდენი). ყველაზე ბრწყინვალეს როგორ
მიქელანჯელოს მრგვალი სურათი უზადო სახეებითა და ფერგადაუ-
სვლელი საღებავებით.

წ მ ი ნ დ ა ღ ა მ ე — ნ. შობა.

წ უ ე ლ ს ა თ ვა ლ ს ა ში ნ ა ძ მ ი ს ა ს ა — ნ. ბეწვის დანა-
ხვა სხვის თვალში.

წ ყ ვ დ ი ა დ ი ს მ ე ც ფ ე ბ ა — ნ. ხელმწიფება.

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა მ ა ნ გ ა ნ გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ნ ე ს თ ქ ვ ე ნ —
იქსომ უთხრა ხალხს. სახარებაში ამას, ცხადია, რელიგიური სარჩუ-
ლი უდევს, მაგრამ განსოგადულელი მნიშვნელობით ამ თქმაში დი-
დი ხიბრძნეა; ჭემმარიტება ათავისუფლებს, აძლიერებს და ამაღლებს
ადამიანს (ითანე, თ. 9).

ჭ ი რ ი ს კ ა ნ ო ნ ი — დავითინის ერთ-ერთი თავი, განსაცდელ-
ში მყოფის „სანუგეშო“, ასეთი შინაარსისა ფხალმუნიც „მდინა-
რეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დავხსედით და ვსტიროდით, რაუამს
მოვიხსენეთ ჩვენ სიონი“ (136).

ჭ რ ი ლ თ ბ ე ბ შ ი თ ი თ ე ბ ი ს ჩ ა ყ თ ფ ა — ნ. ურწმუნო
თომა.

ხ ა რ ე ბ ა (Annuntiation, Verkündigung, благовещение) — საკ. გახარება, სახიხარულო რამის უწყება: „გახარებ თქვენ სიხა-
რულსა დიღსა“ (ლ. 2, 10), „ახარებდა ერსა მას“ (ლუკა, 3, 18); სი-
ტყვამ მიიღო რელიგიური მნიშვნელობა: ანგელოზმა ახარა მარიამს,
ქ ღვთისა გეყოლებათ; „მოვიცლინე სიტყვად შენდა და ხარებად
ამას“ (ლუკა, 1, 19). აქედან მახარებელი: „მახარებლად გლახაკთა
მომავლინა მე“ (ლუკა, 4, 18); ასე ეძახიან ევანგელისტებს (მათეს,
მარკოზს, ლუკას და იოანეს); ხელორზებაში განსაკუთრებით თვა-
ლუსაჩინოდ ასახეს ფრანჩესკო კოსამ (დრეზდენი), ანტონელო და მე-
სინამ, ელ გრეკომ, სტროციმ (ბუდაპეშტის მეზეუმი). სიმონე მარ-
ტინის ბრწყინვალე ტილო ფლორენციის უფიცის გალერეას ამშვე-
ნებს. ქართულ ხელოვნებაში მრავალგზის ასახულა: ოთხთავის შე-
სანიშნავი, კარგად შენახული სურათები ორნაზენტებითურთ; ლუკა
მახარებელი (XI ს. მინიატურა), მარკოზი (უბისის სერობა, XIV ს.)
და სხვ. როგორც საეკლესიო დღესასწაული — 25 მარტს — ითვლება
დიდ საიდუმლო დღესასწაულად, როგორც „კაცობრიობის ხსნის.

ადამიანის ბუნების ღვთაებასთან ზიარების, შარადიული მეუფის აესო ქრისტეს ხელში მსოფლიოს გადასვლის დღეზეიმზა (Auseinander Schott, Messbuch der heiligen Kirche, გვ. 568).

სატად თვისად—ღმერთმა ადამიანი გააჩინა „თანამსგავსად ხატისა მისა თვისისა“ (რომაელთა, 8,30); ადამიანი მსგავსია ღმერთისა, რომელმაც ჟეკოსი ვერაფერი მოიგონა და მისცა თავისი სახე (ასახვის აზრითაც); შდრ. „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“ (შექმნათა, 1,6).

ხელვით პხედვიდეთ...—ნ. სმენით გესმოდის...

ხელეწიფებისა ძეთა გლოვად. ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? — ირონიული მნიშვნელობითაც იხმარება (ადამიანის შეიღებს რა ატირებთ, ვიდრე სიძე მათთანა? ე. ი. ქრისტე?) — ასე მიუგო იქსომ იოანე ნათლისმცემლის მოწაფეებს, როცა ჰქითხებს: ჩვენი მასწავლებელი ქეროდეს საპყრობილები ჰყავს, ჩვენ ვმარხულობთ და შენი მოწაფეები რატომ არ მარხულობენ? — ჯერ სიძე აქა ვარ, რისთვის იმარხულონ? — აღნათ ირონიულად მიუგო იქსომ. — „მოვლენან დღვინი, რაფაშ ამაღლდეს მათგან სიძე იგი და მაშინ იმარხვიდენო“ (მათე, 9,15).

***გლოვისა და მწეხარების დღე კვილას დაუდგება, მანამდე ყველამ იხაროს.

ხელის დაბანვა (ხელი დამიბანია) — ნ. პილატე; ხელის დაბანვის წესი, რაიმეზე ხელის აღების ნიშნად, ებრაელთა შორის უძველესი დროიდან იყო.

„ხშირად წამიკითხავს, რომ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, უდანაშაულო ვარო და ხელების იბანენ, ამას სისხლიან ტაშტებში აკეთებენ, ასე რომ ხელებზე კვალი რჩებათ“ (ბ. ბრეტი); „პონტიოლან პილატესკენ აგზავნიდნენ, ყველა ხელებს იბანდა, უდანაშაულო ვართ, არავის ეცალა მოსასმენად“ (ი. აიხენლორფი).

ხელმწიფებაი ბნელისაი — ხატოვანი ტერმინი, რაც იქსომ იხმარა ტაძრის მცველთა მიმართ, როცა ღამით დასაჭერად მოსულნი იხილა: „დღითი-დღე (ყოველდღე) ვიყავ მე თქვენ თანა ტაძარსა შინა და არა გაძყავო ხელი ჩემ ზედა, არამედ ასე არს გამი ჩვენი და ხელმწიფებაი ბნელისაი“ (ლუკა, 22,53), ე.ი. ბნელეთის მოციქულნი ხართ, ღამით დათარეშობთო.

***საყოველთაო ჟეკოსტერობა, ემკერება, სიბნელე, მცველობა, ძალადობა, სიკეთის ხმის დაზშობა, მწერლობის შეზღუდვა, ხე-

ლოვნების ჩახშობა, და ყველაფრის ჩაყენება ბნელი რელიგიის, მძიმე რეეიმის სამსახურში. ხატოვანი მნიშვნელობა რუსეთში და ჩვენში მიიღო უმთავრესად ლევ ტოლსტოის დრამის „წყვდიადის შეუფების“ გამოსვლის შემდეგ; ნიკ. დობროლიუბოვმა ა. ოსტროვსკის „ჭექა-ქეხილის“ გმირ ქალს კატერინეს უძღვნა სტატია, რომლის სათაური „სინათლის სხივი ბნელ სამეფოში“ საანდაზოდ იქცა: შეურაცხყოფილი და დამცირებული კატერინეს თავის დახრიბა გაგებულია, როგორც ნათელი მოვლენა, მონამორჩილი ხალხის გამოღვიძების ნიშანი, რათა წყვდიადის მეუფება დაახვრიოს; ი. ჩიაბოვმა ეს თქმა ძველი რუსეთის სოფლის დასახასიათებლად გამოიყენა (მეფის რეეიმი მაინც „ითმენდა“ ასეთ სასტიკ ხიმართლეს იმავე სიმართლის ძალით).

ხელმწიფებასა უმთავრესი სასა და ემთრჩილენ—ციტატა პავლეს ეპისტოლედან რომაელთა მიმართ (13,14): „ყოველი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილენ: რამეთუ არა არს ხელმწიფებაი გარნა ღმრთისაგან... გნებავს თუ რათა არა გეშინოდეს ხელმწიფებისაგან? კეთილსა იქმოდე და მიიღო ქებაი მისგან“. ხელმწიფეთა და თუნდაც მდარე, მოძალადე, გაბადრუკ ძალაუფლებათა მორჩილების ამ დევიზში ირონიული მნიშვნელობა მიიღო: მაინც ღვთისაგანაა და უფრთხილევლად პმორჩილობდეო, რაც მონობას აკანონებს. ფრანგები ამ დევიზს მუდამ ბარიკადებს უპირისპირებდნენ. საერთოდ, პავლეს ეპისტოლენი უკვე მონობას აკანონებენ, ქრისტეს პროტესტი ქრება...

ხორბლისა და ღვარბლის გარჩევა—ნ. იფელისა და ღვარძლის...

ხორცი ხორცთაგანი, ძვალი ძვალთაგანი, სისხლი სისხლთაგანი—უახლოესი, ღვიძლი ნათესაობის ერთგვარი ფორმულა, არაერთხელ ფიქსირებული წმინდა წერილში. ხშირად ამ ნათესაური კავშირის ცნებაში იგულისხმება ერთი შერიც ადამიანთა სიახლოეს ქრისტესთან და მეორე შერიც ქრისტესი კვლესიასთან, „რამეთუ ახონი გართ გვამისა მისისანი, ხორცთა მისთაგანნი და ძვალთა მისთაგანნი“. ამისათვის დაუტეოს კაცმან მამაი თვისი, შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ-ხორც“ (პავლეს ეპისტოლე უფასელთა მიმართ).

* * * განუყოფელი, ღვიძლი ნათესაობა, რაც შეიძლება დაუპირისპირდეს ხულიერსა და იდეურს.

ხუთი პურის და ორი თევზის სასწაული — ეს მოხდა ბეთსაიდში. ქრისტე ნაცილან გადმოიდა, დასერენება უნდა დოდა და იხილა ერი მრავალი, „და შეიწყალნეს იგინი, რამეთ უაყვის, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქვნ მწევემსი“. სასწაული მოსთხოვეს. ამის ნაცვლად უდაბნოში გაცილა, ხალხი გაიყოლია და მოელი დღე უქადაგა. საღამოს კ. მშეელ ხალხს ჭამა უნდოდა, ქრისტემ მოციქულები მიაგზავნა, ორიოდე პური ექნებაო ვინმეს. ხუთი პური და ორი თევზი აღმოაჩნდა ერთს. იქსომ დალოცა პური და თევზი, მოწაფებს გადასცა, იმათ სხვებს გადასცეს და „სჭამეს ყოველთა და განძლეს და აღიღო ნამუსრევი ათ-ორ-მეტ გოდორი სავსე, ხოლო იყვნეს, რომელთა იყი სჭამეს, მამანი ხოლო (მარტო მამაკაცები) ხუთ-ათას, თვინიერ ყრმებისა“ (მათე, 14, 13—21; მარკოში, 6, 30—44 და სხვ.). ამრიგად, ხუთი პური და ორი თევზი ეყო ხუთი ათასშე მეტ კაცს და კიდევ გადარჩა.

* * * ხუთი პურის სასწაული მოახდინაო — ხალხს არარაობისაგან ლუქმა გაუჩინაო (ითქმის დიდ მოამაგებე).

ჯერ არს ქმართა ცოლთა თვისთა სიყვარული — ბავლეს ეპისტოლებან ეყესელთა მიმართ, რაც ცოლქმრული, ოჯახური სიყვარულის სიწმინდეს ქადაგებს: „ჯერ არს ქმართა ცოლთა თვისთა სიყვარული, ვითარცა ხორცია თვისთა, რამეთუ როჩელსა უყვარდეს ცოლი თვისი, თავი თვისი, უყვარს“ (5, 28).

ჯვარის (ჯვრის) ზიდვა — მძიმე ტვირთის ზიდვა ცხოვრების გზაზე: ქრისტე, როგორც ყველა მისხილი, გოლგოთის გზაზე თავის ჯვარს თვითონვე ეზიდებოდა. ეს ტანხვა ხელოვნებაში მრავალმა ასახა, IV ხაუკუნიდან მოყოლებული (სპილოს ძვლის რელიეფი, ლონდონი, მერე ურესები, ტილოები). ადრეულ შეა საუკუნეებში რავენის, რომის ეკლესიებში დახატული იქსო თვითონ ეზიდება ჯვარს: დუჩი, ლორენცუტი, ჯოტო (პადუა), შემდეგ — ხალხის თანხლებით; ჯვარი მძიმდება, იქსო ახლავს ქალები, ჯარისქაცები... ვპიშოდს ასახავენ ბრიუგელ უფრობი, შონგაუერი (სპილენზე ამოკლეთილი გრაფიურა), ლიურერი (დიდი ქნება, ქრისტეს ცემა), რაფაელი, ტიციანი, პაპერიცი, ჯან ფრანჩესკო მაინერი და სხვ.

ჯვარს აცვი! — ფანატიკური ღრიალი, ულმობელი დასკის, გაუსამართლებლად ანგარიშის გასწორების დევიზი, ანტიკუ-

რი ხანის ლინჩის კანონი. ბრძო იქსოს დასჯას ითხოვდა — ბრძო, რომლის ნახევარი მან იხსნა კეთრის, სიბრმავის, სიყრუის, დამბრუაულის და ეშმაკისაგან (მარკოზი, 15, 13). იმის ნაცვლად, რომ უფრო ითხოვდა კირატი: „იწამეთ! გვიხსნაო!“, გაიძახოდნენ: „ჯვარს აცვით!“

* * * ბიბლიური სისასტკის დევიზი, დიდი ადამიანის წამების მოთხოვნა (ასე ითხოვდა ბრძო პილატესაგან).

ჯვარცმა (კრიუციფიქს, გერ. Kreuzigung, რუს. распятие) — პროცესი იქსოს ჯვარზე გაკერისა, ღმერთების ვნების აპოთეოზი; ამით თითქოს ცოდვილი კაცობრიობა იხსნა იქსომ (ნ. უკეთუ შესაძლებელ არს, სიმწრის ფიალა): „დაიდო ნეფსით თვისით თავი საფლავსა“ („მოძგალ სიკვდილი სიკვდილითა, უკვდავო“, მიქელ მოდრეკილი). ხელოვნებაში ამ თემაზე აურაცხელი სურათია შექმნილი. ბერნარდინო ბიაჯომ ქრისტესთან გამოიყანა წმ. იერონიმე და იოანე. მომხიბლავია შესრულების ოსტატობით პაოლო ვერონეზეს „ქრისტეს დატირება“ (მაცხოვარს აქ ხრწნა ვერ შეხებია, ცოცხალივითაა, თავთან ღვთისმშობელი დახრილა, მძინარეს ჰგავს. ერმიტაჟი). გოიას იქსო (დამხრჩვალი), პირიქით, უკვე იხრწნება. სხვა ნიმუშებიდან დავასახელებთ ისეთ დიდოსტატებს, როგორიც იყვნენ: რაფაელი (გარდამოხსნა და სხვ., მიქელანჯელოს სტილზე), სებასტიანო დელ პიომბო, პაოლო ვერონეზე, ორტოლანო, ანიბალე კარაჩი, ანტონელო და მესინა, ანტონიო და ფირენცე, ფრა ბარტოლომეო, ფრანჩესკო ფრანჩია (მარიამით და იოანეთი), ჯიოვანი სანტი (ზის, ჭრილობებიდან სისხლი სდის, ცოცხალია, ორი ანგელოზი შემოსდგომია) — სულ იტალიელი ოსტატები. ბრწყინვალე ელ გრეკო (ლუკრი), მარტინ ვან ჰემსკერკი (ნიდერლ.), სიმონ ვევ (ფრ.), რემბრანდტი (გარდამოხსნა) და მისი სკოლა (სამი მარიამი და იოანე)... ფრანგ სიმონ მარმიონის სურათზე გამოსახულია ხალხი და ჯვარცმასთან მდგარი რომის ცენტურიონი, რომელმაც ახლა იწამა. ჰემსკერკის სურათის ფონზე გვემის მთელი ეპიზოდებია (სამოსის დანაწილება, ეკლის გვირგვინის დადგმა, ცემა). ქართული ხელოვნების ნიმუშებია ზარზმის ფერისცვალების ხატი (შემოქმედის ტაძარი, 886), ჯვარის ამაღლების ბრწყინვალე სცენა (ბერთუბნის ტაძრის თაღზე: ანგელოზს ააქვს ფარის მოყვანილობის დისკეზე გამოყვანილი ჯვარი, იგრძნობა სივრცის დიდი განფენილობა); ვნების კვირის მომდევნო ხეთშაბათს ეკლესია ზეიმობს მარიამის შვიდი ვნების დღეს. ეკლესის მამა წმ. ამბროსიესი ამ

შომენტს ასე აღწერს: „მარიამი წელგამართული იდგა შვილის ჯვარ ცმასთან და დედობრივი სიყვარულით შესცემეროდა მის დია ჭრილობებს, მაგრამ ფიქრობდა არა საყვარელი შვილის სიკვდილზე, არაამედ მის მიერ სამყაროს დახსნაზე“. მაშინ ინება იქსომ ჯვარც-მიდან დედის გაფრთხილება: იოანე იყოსო შვილი შენი. ამით ადა-მიანი ღვთის შვილად ცხადდებოდა. სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ჯვარცმასაც.

ჰგონებთ, ვითარ მშვიდობისა მოვედ მო-
ფენად ქვეყანასა ზედა? არა გეტყვი თქვენ,
არამედ განყოფად! — იქსომ უთხრა ხალხს (ლუკა, 12,
51). მართალია, იქსო ხშირად მშვიდობასა და ძმობას ქადაგებს,
მაგრამ რისხვასა და მუქარასაც ხშირად გამოხატავს (შდრ. ნუ ჰგო-
ნებთ, ვითარმედ...).

ჰეროდე (ჰეროდეს, ქართ. სახარებაში „იროდი“) — რამ-
დენიმე იუდეველი მეფის ეს სახელი საწყვერად და სალამდავად
ქცეულა, როგორც ურჯეკი და უწყალო ტირანის სინონიმი, უმთავ-
რესად ყრმათა გაწყვეტის გამო (ნ.), თუმცა ჰეროდე I დიდი
(73—4 ძვ. წ.) ოთხი წლის გარდაცვლილი იყო, როცა თითქოს
იქსო დაიბადა. ცხადია, სამარიდან ვერ გაწყვეტდა ყრმებს. მის
შვილსა და მემკვიდრეს ჰეროდე ანტიპას კი სახარება მიაწერს იოანე
ნათლისიმცემლის თავის მოკვეთას და იქსოს სულელად გამოცხა-
დებას.

სახელთა საქიმიკოლი*

- აბრააში — 369
 ავგუსტინე (ეკლესიის მამა) — 366
 ანა — 1. ღვთისმშობლის დედა — 36, 41, 45, 46, 47, 100; 2. მღვდელმთა-
 ვარი — 104, 498
 ანდრია პარეკლწოდებული, პეტრეს ძმა, მოციქული — 116, 118, 121, 127,
 186, 313, 396, 447
 ანტიმა — 6. ჟეროდე — 2
 ბალთაზარი, აღმისავლელი მოგვი — 64, 67, 70, 72
 ბარაბა (იესო), ბოროტმოქმედი, რომაელთა პატიმარი — 522, 524
 ბართლომე (ნათანაოლი), მოციქული — 117, 118, 121, 127, 170, 187, 338,
 448
 გასპარი, მოგვი — 64, 67, 70, 72
 დიმაზი, ავაზაე (ეგვიპტის გზაზე და ჯვარზე) — 77, 537
 ელისაბედი, იოანე ნათლისმცემლის დედა, მიულოცა მუცლადლება — 28,
 33, 40-42, 45 (საკ. „ღმერთია ჩემი ფიცი“)
 ეპიფანიუსი, ეკლესიის მამა — 99
 ფერონიკა, წმინდანი, ვინც გოლგოთის გზაზე იესოს ოცლი შეაწინდა — 531
 1. ზაქარია, იოანე ნათლისმცემლის მამა — 28-35, 41
 2. ზაქარია, ბარუქის ძე, მღვდელი (ბიბლ.) — 452-453
 ზაქეო, მეზევერეთა მთავარი — 429
 ზებედე, იაკობის და იოანეს მამა, მეთევზე — 187-191, 311
 თალეოზი, ალექსის ძე, მეზევერე, მოციქული — 236-237, 279
 თომი, იგ. ზოლოტი (მარქიზივი), მოციქული — 236, 414, 558, 561, 563-564,
 568
 თამარ, სინაგოგის მოძღვარი — 293-297, 414

* ხაშიებელი შეადგინა ლ. იონათამიძევილმა.

დაკოში, 1. იესოს ძმა — 99, 272, 298; 2. ზებედეს ძე, იოანე მახარებლის ძმა, ღლიდი — 186, 297, 328, 484, 486; 3. უშიროსი, მოციქულის ძმა 236-287, 328

იესო ქრისტე, მაცხოვარი, მესია, სიტყვა, ძე კაცისა, ძე-ღმერთი — 35, 38, 41, 51, 53, 55, 61-62, 71 (ჩამოძალობა, შობა, თაყვანის ცემა); 75 (ცვიპტეში გაქცევა); 83 (ცვიპტეში); 84 (ნადირი ელაქუცებიან); 87-88 (დაბრუნება, სწავლა); 89 (იერუსალიმის ტაძარში); 92-93 (დურგლობა); 97 (ოფიციალური ბურჯი); 101 (და-ძმები); 106, 109 (უდაბნოში); 113, 116-118 (პირველი მოციქულები); 119-122 (ყანაში); 125-130 (იერუსალიმის ტაძარში); 125-130 (ნათლავს ხალხს); 150-154 (გაიცნობს სამარტინო ქალს); 156, 159-160 (ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში); 164-165 (ტიბერიანი ტბაზე); 167-170 (სასწაული შორიდან); 170-176 (ქაბერნაუმელი ეშმაკეულის განკურნება); 179 (ცეტრეს სიღდერს არჩენს); 180-182 (კაცერნაუმის სასწაულები); 185-192 (ბარაქიანი თევზაობა); 195-199 (ვანკურნებანი, ახალი სასწაულები); 209-219 („ბიოზნდის“ აბანო); 224-227 (დავა ფარისევლებთან ყანაში); 229-231 (მარჯვენა-გამხმარი კალატონის განკურნება); 232-233 (თაობირი იელოვასთან); 237, 240-245 (ქადაგება მთაზე); 250-253 (სასწაულები ნაინში); 259-263 (სტუმრად ფარისეველ სიმონთან); 270-276 (ისევ ნაზარეთშია, უაროთს თავისიანებს); 278-287 (ქარიშხალი გენისარეთის ტბაზე; გა-ცოფებული ღორები); 288 (ქეიფი მეზევერებთან); 309-314 (სერობა უდაბნოში); 315-319 (ფეხით ზღვაზე გასეირნება); 320-322 (ხალხი სა-სწაულებს ითხოვს); 322-323 (იესო ხალხს თავის სისხლსა და ხორცსა სთავაზობს, იკვებებს); 324 (წარმართო ასულის განკურნება); 325 (უქვ-ხი თევე წარმართულ სიღონიაში); 328-333 (საცდელი ცადამილება თაბორის მთაზე); 337-339 (ყრუ-მუნჯი ეშმაკეულის განკურნება); 340-341 (რწმენა მთებსა ძრავს); 350-357 (ისევ იერუსალიმში, ქადაგე-ბა ფარების დღესასწაულზე); 358-365 (მემავს ასამართლებს და ამარ-თლებს); 365 (ტაძრის საუნცეში); 367-380 (ბრმაღშობილის განკურნე-ბა ნერწყვით); 381-382 (82 მიმდევარს აგზავნის საქადაგებლად); 384-385 (სამარტეველი კეთილი კაცის იგავი); 385-395 (სტუმრობა ბეთსაიდ-ში, ლაზარესთან და მართიასთან); 395-410 (ახალი იგავები და სასწაუ-ლები); 403-406 (ძე-შეცომილის იგავი); 411-419 (ლაზარეს აცოცხ-ლები); 422 (კეთროვანი სამარტეველის განკურნება); 425 (დადამლებუ-ლი ამაღლება); 426-427 (ვინ მოხედება სასულიერებეში); 427 (საათმა დაპერა); 430 („რომელსა აქვნდეს, მოვეველოს“); 437-438 (ბეთანიის გავ-ლით იერუსალიმში); 439-442 (ვიზიონ შედის იერუსალიმში); 442 (იე-სოს ვიზიონ ბედი); 444 (იერუსალიმის ტაძარს უწინასწარმეტყველებს: არა დაპატეოს ჭვაი ჭვასა ზედა); 445 (ლელვის ამონბს წყევლით); 446 (მოვაჭრეთა აწიოვება ტაძარში მეორედ); 449-450 (კუისრის დინარი); 451 (დავა საღუპაველ მწიგნობრებთან); 452 (გმობს ფარისეველთ); 454 (ქვრივის წვლილი); 455 (ხუთი ბრძენი და ხუთი სულელი ქალწულის იგავი); 457 (ვანკითხვის დღე); 468-469 (უკანასკნელი სერობისთვის

სახლს ეძებენ პეტრე და ოთანე); 470-480 (სერობაზე); 482 (მე ვარ 30-ნაბი); 486-488 (სიმწრის ფიალას ცლის, მოციქულებს სძინავთ); 493 (იუდას კოცა); 498-499 (სცემენ, დაკითხვაზე); 512 (მეორე უკანონი); 517-522 (პილატესთან); 528-531 (გოლგოთის გზაშე); 532-536 (ჯვარტმა); 539 („აღსრულებულ არს“); 546 (ვარდამოხსნა); 547-550 (გასვენება); 552-555 (მევდრეთით აღდგომა); 556-558 (გვამის გაქრობა); 558-559 (სერობა ემაუსში); 560-563 (მოციქულებს გამოცხადა ჯვარტმის შემდეგ); 567-568 (საუზე მოციქულებთან); 568-569 (კადამალლება).

იესო ბარაბა — ნ. ბარაბა

იფლითო (ბიბლ.) — 547

იოანნ, იესოს მეგობარი ქალი — 268, 300, 382.

იოანნ — 1. ზებედეს ძე, მოციქული, მახარებელი — 31, 34, 41, 97, 113, 116-125, 127, 131, 135-136, 148-149, 170, 185, 192, 209, 220, 280, 291, 297, 320, 322-323, 333, 350, 351, 355, 358, 369, 380, 419, 467, 473, 477-478, 482-484, 486, 515, 538-539, 552, 556-557, 561; 2. ნათლისმცემელი, ჭინამორბედი — 104-105 (უდაბნოში დაეხეტება, ქადაგებს); 106 (ნათლავს იესოს); 107-108, 113-116, 131-132, 135, 138-145 (ამხელს პეროდეს); 254 (კიხეში); 301-308 (დასკა); 3. ოქროპირი — 365

იოანიში, ლეთისმშობლის მამა — 36-38, 40-41, 45-48, 100

იონები — 1. მარიამ ლეთისმშობლის ქმარი, იესოს მამობილი — 36-37, 41 (შეულლება); 42-46, 49, 53, 55, 57-58, 61-63, 71, 73-75 (ეგვიპტეში გაქცევა); 83-86, 89 (დაბრუნება ნაზარეთში); 89-100, 97, 99, 100, 321, 439; 2. არიმათიელი, მლუდელმთავარი — 92, 543-546, 550-551; 3. იესოს ძმა — 99, 272.

იონია, იესოს ძმა — 99, 298

იროდი — ნ. ჰეროდე.

იუდა — 1. ქრისტეს ძმა — 99, 272, 298; 2. ისკარიოტელი, მოციქული — 237, 323, 459, 465-466, 469, 473-475, 490-493, 513-516.

კაიაფა, მლუდელმთავარი — 104, 418-419, 460-463, 465, 498-500, 502-503 (სამოსი შემოიგლიფა), 509, 511-513, 540, 566.

ლაშარე — 1. იესოს ბეთსაიდელი მეგობარი, მარიამის და მართას ძმა — 385-392, 411-419 (იესო აცოცხლებს), 437-438; 2. ღარეული უსაქმიტრი — 409-410.

ლივი, მეზეერე — ნ. მათე.

ლუკა, მოციქული — 60-61, 87, 90, 92, 99, 105, 108, 110, 148, 155, 159, 191, 200, 245, 267-269, 288, 331, 333, 381-382, 396, 408, 419, 425, 461, 490, 497, 504, 515, 530, 537, 539, 542, 550, 561, 565.

- შათე, მატეოსი, ლევი, მოციქული, მახარებელი — 64, 72, 74, 78, 83, 99, 105, 106, 111, 181, 193, 200-205, 234, 328, 333, 337, 343, 419, 421, 435, 438, 444, 459, 540, 561, 584.
- ვართა. მარიამის და (მაგდალინელის) — 381, 386-392, 394, 411, 416, 438.
- ვარიაში — 1. ნაზარეველი, ღვთისმშობელი, ღეღა ლეონა — 35-41, 43, 45-46, 48-49, 53, 55, 57-59, 62, 73, 98, 100, 120 (კანაში), 300, 538, 544-545, 550; 2. მარიამ მაგდალინელი — 261-267, 382, 385-392, 411-417, 538, 544-546, 550-554, 556-561, 562-563, 568; 3. იესოს დედა, კლეოპას ცოლი — 538, 544, 550; 4. იაკობ მცირის ასული, იესოს მეგობარი ქალთაგანი — 269, 544, 550.
- ვარქოზი, ვარქოსი, მოციქული — 97, 99, 102-103, 109, 138, 170, 175, 196, 224, 272, 297, 301, 302, 309, 324, 331, 419, 438, 446, 484, 517, 527, 530, 537, 539.
- ველქაორი, მოვე — 64, 65-67, 69-70, 72.
- ვოლქი, ებრაელი ჯარისკაცი, იესომ გაუმოւლა ჟური, პეტრემ რომ მოათაღა — 494, 509.
- ვეოდემონი, ნიკოდიმოსი, ნიკოდიმი, ფარისეველი, სინედრიონის წევრი — 131-138, 357, 460, 462, 542, 544-546, 552.
- ვანოცერი, ვარიამის ხელის მთხოვნელი — 98.
- ვაპუხი, მაგდალინელის ქმარი — 261-263, 266, 363, 386-388.
- ვეტრე, სიმონი, ქვა, ბეთსაიდელი, მოციქული — 117, 127, 177, 185-192 (თვეზაობა); 297 (მიცვალებულ ქალიშვილთან); 300 (საქადაგებლად ვამგზაურება); 318-319 (გვინისარეთის ტბაზე ქარიშხალში); 223 (იესოს არ ტოვებს); 326-327 (ქრისტე სამგზის ეკითხება, ერთგული თე ხართ ჩემი, სამგზის უმოწმებს, მიუვარჩაორო, და იესო გასაღებს აბარებს: ცხევარი მიმწყებსეო); 328 (საკდელი ცადამაღლების დროს); 427, 448, 467-468 (სერობისათვის სახლს ეძებს); 470 (იესო ფეხს ბანს); 477, 479 (სამგზის გამცემო მამლის ყიფილამდე, იესო უცბნება); 484 (ლოცვის ლამეს); 486-487, 494-495 (ჟურს ათლის სინედრიონის ჯარისკაცი); 504-510 (სამგზის უღალატა იესოს-შიშით); 553, 556-557, 567-568 (პირველი პაპი).
- ვილატე, ვინტირ, რომის პროკურატორი, იუდეის გამგებელი — 104, 511, 512-513, 532-533, 539-545, 551, 566.
- ვალომე, იესოს სატრუო — 269.
- ვალომეა — 1. ქრისტე მცირის ასული — 306 (იოანე ნათლისმცემლის თავით ხელში); 2. ქრისტე დიდის და — 308; 3. გალილეელი, მოციქულთა — იოანეს და იაკობის დედა — 308, 428, 552.
- ვამარიტელი ქალი, 150-152.
- ვიმონი — 1. მღვდელი — 79, 80, 92; 2. ქრისტეს ძმა — 99, 272, 298; 3. სიმონ კანანელი, მოციქული — 102, 236; 4. მოციქული — იხ. პეტრე; 5. ფარისეველი — 259-265; 6. კორინთელი, ქრის ზიღვაში შეენაცვლა იესოს — 529-530.

ნუსანა, ქრისტეს სატროო — 268-269, 300, 382.

ფალიპე, ჰეროდეს ძმა — 104, 138, 141-144 (ცოლს უთმობს ძმას), 234; 2.

ზებედეს ძე, ბეთსათდელი, მოციქული — 117, 121, 147.

ქრისტე, იესო (6.) — 55, 57, 62, 98, 112 (ემაჟის ცოლება), 152-153; და
სხვ.

კუშა (ხუშა), იოანას ქმარი — 268, 363.

ჰეროდე (იროლი) — 1. დიდი, იუდეის მეფე, ტირანი — 28, 35, 58, 64, 69,
71, 74, 78, 79-81 (ყრმების გაელეტა), 86, 103 (გარდაცვალება); 2. ან-
ტიპა, ჰეროდეს ძე, ტეტრარქი — 137, 141-145, 301-306, 450, 459,
465, 520-521, 566.

ჰეროდიალე, ფილიპეს ცოლი, ჰეროდეს (ძმას) დაუთმო — 141, 144-145,
303-306, 310.

ନିଃପତ୍ରଶଲି ପଲାଶିତରାପେଜର

(160-161 ଗ୍ରେହଦ୍ୱୟବୁ ଶୋଖିଳି)

ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, ନୈଜେଶ୍ଵରିନୀର ମାଧୁନା,
ଶୈରନ୍ଦାରିଦ୍ଵାରା ଶ୍ରୀରାମଙ୍କା, ଶାରୀରା,
ଗ୍ରେହନ୍ରେଶ୍ଵର, ମନ୍ଦିରାତ୍ମକ ତାପ୍ଯବାନିକୁମ୍ଭମା, ଉରମିତ୍ରାତ୍ମା,
ଲ୍ଲୋନ୍ଦାରିଦ୍ଵାରା ରୂପିନ୍ଦିର, ମାଧୁନା ଲୋତୁର, ଦ୍ରୋତ୍ରାଲ୍ଲାଙ୍କ,
ଲ୍ଲୋନ୍ଦାରିଦ୍ଵାରା ରୂପିନ୍ଦିର, ମାଧୁନା ପରମିତ୍ସରତ,
ଲ୍ଲୋନ୍ଦାରିଦ୍ଵାରା ରୂପିନ୍ଦିର, ମାଧୁନା ପ୍ରାଣପିଲାତ,
ଲ୍ଲୋନ୍ଦାଶ କୁରାନ୍ଦାଶିର, ମାଧୁନା ପରମିତ୍ସରତ ପାଶିଲାଇ କିମ୍ବା କ୍ଷେତ୍ର,
ଲ୍ଲୋନ୍ଦାରିଦ୍ଵାରା ରୂପିନ୍ଦିର, ମାଧୁନା ଶ୍ରୀରାମଙ୍କା,
ଶ୍ରୀରାମ, ମାଧୁନା ମାଧୁଦାଲୀନ୍ଦ୍ରିଲ୍ଲା,
ଶ୍ରୀରାମ, ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା ଅଶ୍ଵମରି,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, ଲାଲପାତା, ତାମ ଶାଶ୍ଵତିଲାଇବୁ,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, ଗାରିଦାଶିନ୍ଦିର,
ଶ୍ରୀରାମରେଶ୍ବର, ଶାଶ୍ଵତିଲାଇବୁ 1511.
XV ଶ. ଶ୍ରୀରାମରେଶ୍ବର ଗ୍ରେହନ୍ରେଶ୍ଵର ମହାତ୍ମାର, କ୍ଷୋରପଥ,
ଶ୍ରୀରାମରେଶ୍ବର, ଗାନ୍ଧିନ୍ଦ୍ରିଯିବୁ ରୂପ, ନୈଜେଶ୍ଵରିନୀର କାଶ୍ରେଲାଇ
1536-1541 ଚିତ୍ର.

(320-321 ଗ୍ରେହଦ୍ୱୟବୁ ଶୋଖିଳି)

ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, କ୍ଷାଲିଶ୍ରୀଲାଇ ନିଶ୍ଚିନ୍ଦା, ମିଲାନା,
ଶ୍ରୀରାମ, ଶୋଖିଳି ଲାମି, ଦ୍ରୋତ୍ରାଲ୍ଲାଙ୍କ,
ଶ୍ରୀରାମରେଶ୍ବର, କ୍ଷମିତ୍ରା ରକ୍ଷଣି (ମାଧୁନା ରାମନୀ), ଦ୍ରୋତ୍ରାଲ୍ଲା,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, ମାଧୁନା ଶାଶ୍ଵତିଲାଇଶି, କିମ୍ବା ଗାଲ୍ପରା,
ଲ୍ଲୋନ୍ଦାରିଦ୍ଵାରା ରୂପିନ୍ଦିର, ମାଧୁନା ଲୋତୁର, ଉରମିତ୍ରାତ୍ମା,
କିମ୍ବାନାନି ଦ୍ରୋତ୍ରାନି, ମାଧୁନା, କାରାରା,
ରୂପିନ୍ଦିର ରୂପିନ୍ଦି, ପ୍ରମାତା ପ୍ରମାତା ଶ୍ରେଷ୍ଠମିଶ୍ର,
ମାନ୍ଦ ଦାଲଦ୍ଵାରା, ରାମାନ୍ଦ ନାତଲୀଶିମିଶ୍ରମିଶ୍ରା ନାତଲୀଶି ପ୍ରସର,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, କ୍ଷମିତ୍ରା ପାଦମାଲାଲ୍ଲାଙ୍କ,
ପାଦମାଲାଙ୍କ ମାନ୍ଦାନି, ରାମାନ୍ଦ ନାତଲୀଶିମିଶ୍ରମିଶ୍ରା ତାପ୍ଯବାନିକୁମ୍ଭମା,
ରୂପିନ୍ଦିର ଶ୍ରୀରାମ, କ୍ଷମିତ୍ରା ଶ୍ରୀରାମଙ୍କା, କିମ୍ବାନାନି,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, କ୍ଷମିତ୍ରା କ୍ଷମିତ୍ରା,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, ଗାରିଦାଶିନ୍ଦିର,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା ରୂପିନ୍ଦିର, ଗାରିଦାଶିନ୍ଦିର,
ରାତ୍ରାରେଣ୍ଟା, କ୍ଷମିତ୍ରା କ୍ଷମିତ୍ରା କ୍ଷମିତ୍ରା.



(480-481 გვერდებს შორის)

ქორქონე, მწყემსთა თაყვანისცემა.

ანთონის ვან-დეიკი. მოგვთა თაყვანისცემა. მიუნხენის პალლო ვერონეზე. ქრისტე და მარიამ მაგდალინელი. ტურინა. ფრანკ კირჩბახი. მოვაჭროთა განდევნა ტაძრიდან.

რატუელი. პავლე მოციქულის ქადაგება. გობელენი. ლონდონი.

წოტო. იუდას კოცნა. დეტალი. ურესკა. პალუა.

მარტინ შონგაუერი. გვრის ჰიდვა.

ტიციანი. ამა კაცი! (იესოს დასცინიან).

პეტერ ფონ კორნელიუსი. განკითხვის დღე. მიუნხენი.

ტიციანი. ლვონისმშობლის ცადაშალება.

შიქელანგელო. განკითხვის დღე. დეტალი. ცენტრში — იესო.

პერუქინო. იესო გახალებს აბარებს პეტრეს. დეტალი. რომი.

ანდრეა როსონი. ლვონისმშობელი. XVI ს. (იტ-ბერძნ. ხატი).

ფაბრიცელ მთავარანგელოზი. წალენჯიხის ფრესკა (XIV ს.).

ალბრეხტ დიურერი. აპოვალიუსის ოთხი მხედარი.

ილუსტრაციები შეუცმიტულებელი

უაიტ შტონი. ხარება. კრაკაუს ლვონისმშობლის ტაძრის მოხატულობა. (გვ. 25).

პერუქინო (პიეტრო ვანტიჩი). ნათლობა (გვ. 95)

ა. წოვე. ქადაგება მთაზე („ნეტარ ხართ გლახაკი...“ ლ., 6, 20-49).
გვ. (207)

ე. ფ. გებპარდტი. ფვარცმა. (გვ. 433)

პეტერ ფონ კორნელიუსი. აპოვალიუსური მხედრები. (გვ. 548)

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ

ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ ବ୍ୟାକରଣରେ ପରିଚୟ ଓ ନିରଦ୍ଵାଳି (ଶ୍ରେଷ୍ଠବାଲି ନାର୍ଯ୍ୟାଙ୍ଗ) —	
ପ୍ରେଲିମ୍ବନ୍ଦିକାରୀଙ୍କର ପରିଚୟ	3
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ ପରିଚୟ	23

ବ୍ୟାକରଣ ପରିଚୟ

ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ଶାଖାବିଭାଗ

ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 1. ଶାରୀରିକ କ୍ଷିଳ୍ପରେ	27
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 2. ଜୀବବିଜ୍ଞାନରେ	33
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 3. ସ୍ଥାନିକିତ୍ତବିଜ୍ଞାନରେ	35
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 4. ବାହୀକାରିତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନରେ	40
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 5. ଜୀବବିଜ୍ଞାନରେ ବ୍ୟାକରଣ ଏବଂ ଅଧିକାରୀ ପରିଚୟ	44
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 6. ବାହୀକାରିତା ବିଭାଗରେ	49
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 7. ଶବ୍ଦରେ ଓ ମିଥ୍ୟରେ	57
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 8. ବ୍ୟାକରଣରେ ଉପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ବିଭାଗରେ	61
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 9. ଜୀବବିଜ୍ଞାନରେ ବାହୀକାରିତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନରେ	64
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 10. ବ୍ୟାକରଣରେ ବାହୀକାରିତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନରେ	68
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 11. ବ୍ୟାକରଣରେ ବାହୀକାରିତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନରେ	74
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 12. ବ୍ୟାକରଣରେ ବାହୀକାରିତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନରେ	78
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 13. ବ୍ୟାକରଣ ଉଲ୍ଲଙ୍ଘନରେ	83
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 14. ବ୍ୟାକରଣ — ବ୍ୟାକରଣରେ	87

ବ୍ୟାକରଣ ପରିଚୟ

ବ୍ୟାକରଣ ପରିଚୟ ଶାଖାବିଭାଗ

ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 15. ବ୍ୟାକରଣ ବ୍ୟାକରଣରେ ବାହୀକାରିତା ଉଲ୍ଲଙ୍ଘନରେ	97
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 16. ବ୍ୟାକରଣ ବ୍ୟାକରଣ ବ୍ୟାକରଣରେ	103
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ 17. ଜୀବବିଜ୍ଞାନରେ ବ୍ୟାକରଣରେ	688



გორ განიჩრახა ღმერთის შეცდენა

თ ა ვ ი	18. სიტუას ემატება პირველი ზედსართავები	გორგარებულება
თ ა ვ ი	19. აქა ამბავი ღმერთის გამოცხადებისა ქორწილში	119
თ ა ვ ი	20. აურზაური იერუსალამის ტაძარში	123
თ ა ვ ი	21. ნიკოდიმოსი	131
თ ა ვ ი	22. იოანე ნათლისმცემელი ხათაბალაში ებვევა	138
თ ა ვ ი	23. იესო იმორჩილებს სამარიტილ ქალს	148
თ ა ვ ი	24. პირველი შარტი	155
თ ა ვ ი	25. განკურნება შორ შანძილზე	164
თ ა ვ ი	26. ეშმაკეული	170
თ ა ვ ი	27. სასწაულის დღე	177
თ ა ვ ი	28. თვეზის კერის სასწაული და გაგრძელება განკურნებათა	185
თ ა ვ ი	29. პირველი პრემია პირშავობისათვის	200

ნაწილი ვისამი

იისო სახელაოზა

თ ა ვ ი	30. აბანო „ბიოეზდა“	209
თ ა ვ ი	31. ფარისევეულთა ფარისევეულობა	224
თ ა ვ ი	32. თორმეტი მოციქული და კომპლექტებულია	234
თ ა ვ ი	33. ჩაშლილი ქელები	243
თ ა ვ ი	34. იოანე ნათლისმცემლის გასაჭირი	254
თ ა ვ ი	35. იესო მეგობარ ქალს იჩენს	259
თ ა ვ ი	36. იესო ქრისტეს ოჯახი	267
თ ა ვ ი	37. დაოკებული ქარიშხალი და გაცოუებული ღორები	277
თ ა ვ ი	38. ქეიფი მეზევერებებთან	288
თ ა ვ ი	39. სადაც იოანე ნათლისმცემელი ცხოვრების გემოს კარგადს	301
თ ა ვ ი	40. პერი და თვეზი: სერობა უდაბნოში	309
თ ა ვ ი	41. ფეხით ზღვაზე გასეირნება	315
თ ა ვ ი	42. განდევნა და დაბრუნება გალილეაში	320
თ ა ვ ი	43. საცდელი ცადამაღლება და თანაზრახვა	328
თ ა ვ ი	44. რწმენა მოებსა ძრავს	337
თ ა ვ ი	45. როდესაც სიტყვა შორდება საქმეს	343
თ ა ვ ი	46. სკინიების, ან უფრო სწორად კარვების, დღესასწაული	350
თ ა ვ ი	47. დამშევნეობით რქებით ქმრები, ქალბატონებო: ღმერთით თქვენთანაა	358
თ ა ვ ი	48. უფლის ნერწყვის გადოსნური თვისებები	367
თ ა ვ ი	49. რომელშიაც მაგდალინელი იესოს თვეის ოჯახს აწობს	381
თ ა ვ ი	50. სიტყვის ნიაღვარი	396
თ ა ვ ი	51. კარგად კვდება ის, ვინც ღროშე კვდება	411
თ ა ვ ი	52. სიტყვის ახალი ნიაღვარი	421

ත අ ඩ	53. ගෘන්ඩිරුපුලතා උරිංඡමුද	435
ත අ ඩ	54. මුදානාසේනුලි තුගැවීම් දා ජුයානාසේනුලි මුද්‍යාරා	444
ත අ ඩ	55. ගෙඟාත වෝරුප්‍රේලාඳ ගායුංඡුලි මුද්‍යාරා	459
ත අ ඩ	56. ග්‍රෑන්ඩ්‍රාම් සිංහල මුද්‍යාරා මුද්‍යාරා	467
ත අ ඩ	57. ජ්‍රිඩ්‍රේස් සිංහල මුද්‍යාරා මුද්‍යාරා	473
ත අ ඩ	58. තබක ජුයිස්ල — මුද්‍යාරා මුද්‍යාරා	481
ත අ ඩ	59. ගාංඩිංගාලිස්ථිංග්‍රේඩ්ලි මුද්‍යාරා	490
ත අ ඩ	60. වේම්බාදාත තැග්මි සායුමාඳ	497
ත අ ඩ	61. රුම්ඩේල්පාප ජුරුරු තැග්මි ගාම්බානිස්, වෙළඳාම තැග්මි සාක්ෂේපයේලි මුද්‍යාරා	506
ත අ ඩ	62. අරාම්භාදා තුදාස සාමාජිකෝනි මුද්‍යාරා	511
ත අ ඩ	63. පිලාංත්‍රේස් ප්‍රේම්ලුධී දා ජුරුරු මුද්‍යාරා	517
ත අ ඩ	64. තෙශ්මිස් අඳුංලි	527
ත අ ඩ	65. මුද්‍යාරා	534

වෙළඳාම වාචාචුලි

ත අ ඩ	66. ගාර්ඩාමින්ස්නා	545
ත අ ඩ	67. යාල්ඩ් මිලුවාලුධුලි	553
ත අ ඩ	68. මුර්ඩුමුන් තමනා මුද්‍යාරා තැග්මි ප්‍රාංශුන්දාමි	559
ත අ ඩ	69. දුඳාම්ඩ්‍රා — තුළු, දින්ස්දාංශුවුධුලි ගාදාජුරුණා මුද්‍යාරා	568
	මුද්‍යාරා	573
සාක්ෂේපයිස් සාංඛ්‍යික සාගානක්‍රාම	ලුය්සිංග්‍රීනිස් — එම් වෙළඳාම වාචාචුලි	587
සාක්ෂේපයිස් සාක්ෂේපයිස්	—	675
නියුතුලි මුද්‍යාරා	—	681
මුද්‍යාරා	—	682

ରୁଦ୍ରାଜ୍ୟରୀତି ୬. ଶ୍ଵେତିକ୍ଷେ
ଗାମନମିଳିମିଳିବିଲିବିଲି ୧୫୦ ମିନ୍ଟ୍‌ରେ
ମୋଟବ୍ୟାଲୁଙ୍କ ରୁଦ୍ରାଜ୍ୟରୀତି ୩. କ୍ରାନିକିଶ୍ଵେତିକ୍ଷେ
ରୀପର୍ସିଯାରୀତି ୧୫୦ ମିନ୍ଟ୍‌ରେ
କୋର୍ଟରୀତି ୧୫୦ ମିନ୍ଟ୍‌ରେ
ଭୂର୍ବାଦି ବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତି
ଭୂର୍ବାଦି ବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତିବିଲୁପ୍ତି

ବାଲାବତ୍ରା ବାଲାବତ୍ରା 4/X-73 ଫି. କ୍ରେଲମିନିଟିରିଲିଂକ ଲାଇବ୍‌ରେକର୍ଡିଙ୍ଗ୍ 25/VII-74 ଫି.
କ୍ରାନିକିଶ୍ଵେତିକ୍ଷେ ୮୪X1081/32 ଭୂତୀର୍ଣ୍ଣରୀତି ନାମ୍ବିକ୍ରିପ୍ଶନ୍ ଆର୍ଟିକ୍ଲୀବ୍ 23.8
ସାଲରୀପତ୍ରିକା-କାଗଜିତିପ୍ରେସିଲିଙ୍କ ଆର୍ଟିକ୍ଲୀବ୍ 35.908 ଶ୍ରୀମ. 3244 ରିକ୍ର. 50,000

ପୃଷ୍ଠା 1 ମାତ୍ର ୫୫ ପାତା.



ЛЕО ТАКСИЛЬ


ЗАБАВНОЕ ЕВАНГЕЛИЕ

(На грузинском языке)

Перевод Акакия ГЕЛОВАНИ

Издательство ЦК КП Грузии

Тбилиси — 1974





22

δ 392

T — 0164—036
M—606 (02) 74 26—74

საქ. ქვ. ცენტრალური სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 1
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ле

